სსრკ სახელმწიფო რეცხვა

•

სეიდო მაცყამოდო

ეკვიდრთა საფეარო

•

ერისგულების ადმინისტრატორი

სუბუქრანის საიდუმლოება

•

ბერი კანე

31-ე განყოფილების დალუკვა

•

ნაყის ჩოხელიო ნოდერასი

და თუ ხვალ მოვკვდები...

•

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, 1984

С6' 3
8(4)
ს 177

წინამდებარე კრებულში დაბეჭდილია დეტექტური ჟანრის ოთხი ნაწარმოები: იაპონელი მწერლის ს. მაცუმოტოს „მკვიდრთა სამყარო", მონღოლი მწერლის ჟ. დამდინდორჟის „სუბურღანის საიდუმლოება", პოლონელი მწერლის პ. ვალეს „31-ე გახუოფ-ლ-ების დაღუპვა" და კუბელი მწერ-ლის ლ. რ. ნოგერასის „და თუ ხვალ მოვკვდები"...

თ ა რ გ მ ნ ა
ნოდარ ძოწენიძემ

70304 — 177
С——————394—84
М 601 (08) 84

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1984.

სეფეთ მაკაბელი

მკვიდრთა საგუარი

თავმჯდომარის სიკვდილი

აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის გამგეობის თავმჯდომარის სუგინუმას სიკვდილი ისეთივე უჩვეულო იყო, როგორც მთელი მისი ცხოვრება. ხშირად ადამიანის სიკვდილი თითქოსდა მისი ცხოვრების წლების სიმბოლური გამოხატულებაა და სუგინუმას ამბავიც ამის ბრწყინვალე დადასტურებაა.

თავისი ცხოვრების სამოცდათოთხმეტი წლის მანძილზე სუგინუმა, პრაქტიკულად არაფრისაგან, აურაცხელი ქონების მფლობელი გახდა. ამას ხელი შეუწყო ომისშემდგომ წლებში ფოლადსასხმელი მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ.

აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი მრეწველობა თავის კონტროლის ქვეშ მრავალ კომპანიასა და ფირმას აერთიანებდა და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს საკუთარი ბიუჯეტი გააჩნდა, ყველა სუგინუმას ემორჩილებოდა. უნდა ითქვას, რომ სუგინუმა თავისი მიზნის მისაღწევად არაფერს თაკილობდა — არ ერიდებოდა შავბნელ მაქინაციებს, ფარულად ყიდულობდა აქციებს კონკურენტი კომპანიებისგან და ძალით იერთებდა მათ.

ერთხელ სუგინუმა პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩააბეს და ერთხანს რომელიღაც სამინისტროში მინისტრის პოსტი ეკავა. მაგრამ ის ძალზე შეაშინა პოლიტიკოსების დაუოკებელმა მადამ, ფულს რომ სცინცლავდნენ, და სამუდამოდ უარი განაცხადა ყოველგვარ პოლიტიკურ კარიერაზე.

გავიდა დრო, ეკონომიკური საქმიანობა ქვეყანაში რამდენადმე სტაბილური გახდა და სუგინუმა ძველებურად ვეღარ ახერხებდა თავისი იმპერიისათვის ახალ-ახალი ლუკმების დათრევას. არ იცოდა, რაზე დაეხარჯა ენერგია და როგორღაც ერთბაშად მოტყდა. მაშინ სამოცდაათი წელი შეუსრულდა. მისი კონცერნის სწარმოებს ერთგული ხალხი ხელმძღვანელობდა. სამუშაო თავისი გზით მიდიოდა და სუგინუმამ გადაწყვიტა, პრეზიდენტის უფლებები თავისი შვი-

ლისაგან, კოიტისათვის გადაეცა, თვითონ კი სამმართველოს თავ-მჯდომარის პოსტი დაიკავა.

მაგრამ ეს არ ნიშნავდა სინასხურისათვის თავის დანებებას. თუმცა კომპანიის პრეზიდენტი მისი შვილი გახდა, რეალური ხელისუფლება ძველებურად სუგინუმას ხელში რჩებოდა. კონცერნში შემავალი კომპანიების პრეზიდენტები, მათ შორის კოიტიც, კვირაში ერთხელ, დილაობით, მის რეზიდენციაში იკრიბებოდნენ, მუშაობის ოთახზე მოახსენებდნენ და სათანადო მითითებებს ისმენდნენ სუგინუმასაგან.

ამგვარად, სუგინუმა ძველებურად შეუზღუდავი დიქტატორი რჩებოდა და დილის თათბირებზე შავ დღეს აყენებდა მაღალი თანამდებობის თანამშრომლებს, ისინი კი მორჩილად ისმენდნენ მის ლანძღვას.

სამოცდათორმეტი წლის სუგინუმას ინსულტი დაეძალა და მარჯვენა ხელი და ფეხი ნაწილობრივ წაერთვა. ოდნავ გამომჯობინდა თუ არა, სუგინუმა წამოდგა და კვლავ დაიწყო თავისი საწარმოების შემოვლა მანქანით, რომელშიც სპეციალურად მისთვის იყო ორნყობილი თვლებიანი საკარძელი და ახლა წინანდელზე უფრო მეტად ლანძღავდა დაუდეკარ მმართველებს.

მაინც რა უნარჩუნებდა ამ მოხუცს ენერგიას? ქალები!

სუგინუმას დღემდე არ შეეძლო მშვიდად დაძინება, თუ კვერდით ქალი არ ჰყავდა. ორმოცდახუთი წლისას შვიდი საყვარელი ემსახურებოდა. ახლა მხოლოდ ორი შემორჩა. თუმცა, არც ისინი დაიეიწყა, ვისაც უარი უთხრა, თითოეულ მათგანს აჩუქა ცალკე სახლი და დაუნიშნა პენსია, რომელსაც კონცერნის საერთო განყოფილება უხდიდა. თანაც სუგინუმა ერთ კაპიკსაც არ იხდიდა საკუთარი ჯიბიდან — ყველანაირი ხარჯი ეკისრებოდა ფირმას, რომლის ერთ-ერთი დირექტორიც სპეციალურად განაგებდა სუგინუმას ქალებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

ინსულტის შემდეგ მოხუცს სასაცილო ხასიათი გაუხდა: ღამით, მისი ბრძანებით, რამდენიმე ახალგაზრდა ქალი ლოგინში წვებოდა, თვითონ მათ შორისმოკალათდებოდა და ასე იძინებდა. თავის უახლოეს მეგობრებს არწმუნებდა, რომ სწორედ ამაში იყო მისი ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოება.

ასეთი გართობები სუგინუმას ხელს არ უშლიდა კონცერნის საქმიანობისათვის ყურადღებით ედევნებინა თვალყური. რადგან სამ-

მართველოს სხდომის დარბაზში სიარული აღარ შეეძლო, ბრძანა, ამ მიზნისათვის თავის სახლში, საწოლი ოთახის გვერდით მოეწყოთ სპეციალური ოთახი — ამიერიდან სწორედ იქ ტარდებოდა კონცერნის გონებრივი ტრესტის სხდომები. მხრებში ქალები ამოუდგებოდნენ, შემოლასლასდებოდა იმ ოთახში და თათბირის დამთავრების შემდეგ მათვე მიჰყავდათ უკან.

ერთხელ სუგინუმა ქალაქგარეთ, იძუს ნახევარკუნძულზე მდებარე სახლში წავიდა. სახლი ყველა პირველხარისხოვან სასტუმროზე უკეთ იყო მოწყობილი დასასვენებლად. მარტო აუზში, რომლისთვისაც ცალკე შენობა აეგოთ, ერთდროულად ოცდაათამდე კაცს შეეძლო აბაზანის მიღება. აუზში პირდაპირ ცხელი მინერალური წყაროებიდან შემოდიოდა წყალი. აუზიან სახლს რომ აპროექტებდნენ, მოსამსახურეებს აუწყეს, ჯანმრთელობის გასამაგრებლად ყველას შეუძლია სარგებლობაო, და, რა თქმა უნდა, კომპანიის ბიუჯეტიდან გამოიყო სამშენებლო თანხა. სახლი აშენდა, მაგრამ იქ მხოლოდ სუგინუმას განსაკუთრებით ერთგულ რამდენიმე დირექტორს უშვებდნენ.

იმჯერად სუგინუმამ იძუში ათამდე გეიშა დაპატიჟა.

ერთობლივი ბანაობა მოხუც სუგინუმას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

ბანაობის შემდეგ აუზიდან ამოვიდა და კაფელის იატაკზე დაგებულ ლეიბზე წამოწვა. ქალები მაშინვე გარს შემოეხვივნენ და თავის, მხრების, ხელებისა და ფეხების მასაჟი დაუწყეს. სუგინუმას ნეტარებისაგან სახე გაებადრა და სიამოვნებისაგან თვალები მილულა.

ჩვეულებრივ, ასეთი მასაჟის შემდეგ კმაყოფილებისაგან აკრუსუნებული სუგინუმა ადგებოდა ხოლმე, ამჯერად, იქ მყოფთა გასაოცრად, უძრავად იწვა.

— ბატონო, ისევ ხომ არ ინებებთ აბაზანის მიღებას? — შეანჯღრია უფროსმა გეიშამ.

ის არ პასუხობდა. ქალი შეშინდა და დასახმარებლად სხვებს მოუხმო. ყვირილზე მოვარდნილმა კაცებმა გრძნობადაკარგული სუგინუმა აიყვანეს და ფრთხილად გაიტანეს საწოლ ოთახში. მგზავრობისას სუგინუმას მუდამ თან ახლდა პირადი ექიმი და მედდა. მაგრამ ამჯერად, რადგან ქალაქგარეთ მდებარე სახლში დროს გასატარებლად მიდიოდა, ალბათ, გადაწყვიტეს, რომ მათი წაყოლა

აუცილებელი არ იყო. დაუყოვნებლივ მოიწვიეს ადგილობრივი ექიმი, რომელმაც ფარხმალი დაყარა მის წინ გაშხლართული საქვეყნოდ ცნობილი ბოსის დანახვაზე და პირველი დახმარების გაწევაც კი ვერ შეძლო. დაურეკეს პირად ექიმს ტოკიოში, შემდეგ სუგინუმას კონცერნში შემავალი კომპანიების პრეზიდენტებსა და ნათესავებს დაუკავშირდნენ.

ქალები ნათესავების მოსვლამდე სასწრაფოდ გაამგზავრეს ტოკიოში. სამი საათის შემდეგ ჩამოვიდნენ სუგინუმას ვაჟიშვილი კოიტი და მკურნალი ექიმი, რომელსაც კიდევ ორი სპეციალისტი წამოეყვანა თან. მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ კომპანიათა პრეზიდენტები და დირექტორები.

საძინებელ ოთახში, სადაც სუგინუმა იწვა, ნათესავები შეიკრიბნენ, დანარჩენები გვერდით ოთახში შეგროვდნენ. ყველა ხვდებოდა, რომ დათვლილი საათებიღა დარჩენოდა.

მკურნალმა და მასთან ერთად ჩამოსულმა სპეციალისტებმაც საგულდაგულოდ გასინჯეს სუგინუმა და განაცხადეს, შეიძლება ერთი დღე-ღამე კიდევ იცოცხლოსო. ეს რომ მოისმინა, კოიტიმ მაშინვე მოუყარა თავი იქ მყოფ პრეზიდენტებსა და დირექტორებს სასწრაფო თათბირზე.

ყველა ერთსულოვნად იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ სუგინუმამ დროულად გადასცა პრეზიდენტის პოსტი თავის შვილს, კონცერნის მუშაობა გაკვალული გზით მიდის წინ და სუგინუმას სიკვდილი მაინცდამაინც განსაკუთრებულ გავლენას არ მოახდენს მასზე.

ამავე დროს ნათელი იყო, რომ სუგინუმას სიკვდილი უეჭველად იმოქმედებდა კომპანიის პრესტიჟზე. რაც უნდა თქვა, ის იყო მისი დამაარსებელი და ერთმმართველი დიქტატორი სამრეწველო წრეებში. ამ კომპანიას ტყუილად როდი უწოდებდნენ „სუგინუმას აღმოსავლეთის ფოლადსასხმელს". და სუგინუმას სიკვდილს შეუძლებელია ავტორიტეტი არ შეესუსტებინა მთელი წარმოებისათვის. კერძოდ, ეს, ალბათ, ბანკის კრედიტსაც შეეხებოდა. გამორიცხული არ არის, რომ ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნას შეფერხებები სესხისა და დაფინანსების საქმეებში. გამოსავალი ერთია: დროებით შეწყდეს ანდა გადაიდოს სუგინუმას მიერ დაგეგმილი ახალი საწარმოების მშენებლობა, მშენებარე საწარმოთა მოცულობა კი შეიკვეცოს. მოკლედ რომ ვთქვაო, ერთსულოვნად შეთანხმდნენ, ამიერიდან მუშაობა წარემართათ ჯანსაღ, საიმედო საფუძველზე.

სუგინუმას სიკვდილს აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიისათვის დადებითი მხარეებიც გააჩნდა. საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში სუგინუმა მწვავე საკონკურენტო ბრძოლაში ჩაერთო მეორე ფოლადსასხმელ კომპანიასთან. თავიდან მათი ინტერესები ერთმანეთს არ ეჯახებოდა. ორივე მხრიდან საკონკურენტო ბრძოლა მათ შვილობილ კომპანიებს შორის წარმოებდა. ყველაფერი დაიწყო კუნძულ ხოკაიდოზე ნაგლინის საწარმოო ქარხნის მშენებლობის ლიცენზიისათვის ბრძოლის გამო, რომელიც შემდგომ ღპურვილობისათვის საჭირო კრედიტის მიღებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა. ყოველივეს ამძაფრებდა პრესტიჟის საკითხი, რომელსაც ავადმყოფურად განიცდიდა როგორც სუგინუმა, ასევე მისი კონკურენტი კომპანიის პრეზიდენტი.

ბოლო წლებში სუგინუმა ყველა ძალას ხმარობდა, რათა ნებისმიერი საშუალებით დაემარცხებინა თავისი მოწინააღმდეგე. ამ მიზნით, ზოგჯერ განსაკუთრებული საჭიროების გარეშე ფართოვდებოდა და შენდებოდა ხოლმე ახალი საწარმოები. თანაც ბევრი მათგანი ფაქტიურად წამგებიანი იყო. ყველაფერი მხოლოდ იმისკენ იყო მიმართული, რომ მოწინააღმდეგეზე ბატონობისათვის მიეღწია. და, ვინაიდან სუგინუმამ მთელი ძალაუფლება ხელთ იგდო, ვერავინ ბედავდა მის შეჩერებას.

სუგინუმას სიკვდილი საშუალებას აძლევდათ შეეჩერებინათ ეს უაზრო სისხლის გართმევა, რომელიც დროთა განმავლობაში აღმოსავლეთის ფოლადსასხმელს, ალბათ, კატასტროფამდე მიიყვანდა. საქმეები წესრიგში უნდა მოეყვანათ, მაგრამ სუგინუმას სულის განტევებამდე ეს შეუძლებელი იყო.

აი, ამიტომაც კოიტის მიერ მოწვეული სასწრაფო თათბირი არ მიმდინარეობდა ისეთ ვითარებაში, როგორიც მოსალოდნელი იყო. თათბირის შემდეგ ყველა ხელახლა ალაპარაკდა გვერდით ოთახში მომაკვდავ სუგინუმაზე:

— ბოლო საათამდე ბედნიერებას ზურგი არ შეუქცევია ჩვენი ბოსისათვის. მთელი ცხოვრება როგორც უნდოდა, ისე გაატარა და დღესაც კი შიშველი მზეთუნახავების ალერსში დაკარგა გრძნობა.

— დიახ, დიახ. ჭეშმარიტად, სანატრელი სიკვდილია...

მეორე დილით სუგინუმამ, რომელიც აქამდე გონს ვერ მოსულიყო, მოულოდნელად თვალები გაახილა და ყურადღებით შეათვალიერა ირგვლივ მყოფნი.

შეიცნო თავისი ვაჟი, ქალიშვილები, რომლებიც კარგა ხნის გათხოვილები და მამის სახლიდან წასულები იყვნენ. შეიცნო საწოლის ირგვლივ მდგარი დირექტორები. მაგრამ არც ერთ მათგანზე არ შეუჩერებია მზერა. როგორც ჩანს, დაჟინებით ეძებდა კაცს, რომელიც ამ ოთახში არ იყო. შემდეგ ტუჩები აამოძრავა. კოიტი მისკენ დაიხარა, მაგრამ სიტყვები ვერ გაარჩია. მაშინ სუგინუმა თათით შეეხო შვილის ხელისგულს და, თითქოს იეროგლიფებს ხატავსო, რამდენჯერმე გაუსვ-გამოუსვა. ბოლოს კოიტი მიხვდა, რისი გამოხატვაც სურდა მამამისს, მოულოდნელად გაფითრდა და მკვეთრად შეეცვალა სახის გამომეტყველება.

გამოცანა

აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი საწარმოს სააქციო კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სუგინუმა დილით გარდაიცვალა. იმავე დღეს მისი ცხედარი მანქანით გადაიტანეს მის სახლში, ტოკიოში.

პირველ ღამეს მიცვალებულის კუბოსთან მხოლოდ მისი ახლო ნათესავები მორიგეობდნენ. დანარჩენები მეორე დღეს მივიდნენ გამოსათხოვებლად. დაკრძალვა შედგა აოიამას სასაფლაოზე.

სუგინუმას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთები ბევრს წერდნენ მის დიდ ნიჭზე, რომლის წყალობითაც საკუთარი ხელებით შექმნა და უზრუნველყო აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის დღევანდელი აყვავებული მდგომარეობა. ზოგიერთ სტატიაში ეხებოდნენ მისი კონცერნის შემდგომ ბედს. თანაც გამოთქვამდნენ აზრს, რომ სუგინუმას სიკვდილმა, შესაძლოა, დიდი ცვლილებები გამოიწვიოს აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის საქმიანობის მიმართულებაშიო.

შეიძლება ითქვას, რომ მისმა სიკვდილმა მაინცდამაინც დიდად არ დაანაღვლიანა გარდაცვლილის ოჯახი. პრეზიდენტ კოიტის სახეზე ერთგვარი შვებაც კი ემჩნეოდა. სუგინუმას სიცოცხლეში პრაქტიკულად მთელი ძალაუფლება მის ხელთ იყო და კოიტის არა თუ დირექტორების, არამედ ერთი განყოფილების უფროსის შეცვლაც კი არ შეეძლო მის დაუკითხავად. ამის შედეგად ძალზე საჩოთირო მდგომარეობა შეიქმნა, ვინაიდან კომპანიის მაღალი თანამდებობის

მოსამსახურეები, ერთი მხრივ, ძველებურად სუგინუმას ერთგული რჩებოდნენ და, მეორე მხრივ, ახსოვდათ რა, რომ ბოსი უკვდავი არ იყო, ყოველმხრივ ცდილობდნენ ახალგაზრდა პრეზიდენტის კეთილგანწყობა დაემსახურებინათ. ამიტომ, როდესაც სუგინუმა მოკვდა, კოიტიმაც და იმათაც თავი ისე იგრძნეს, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოიშორესო.

განსვენებულის გვამი ტოკიოში რომ ჩამოიტანეს, კოიტისთან დირექტორი უტიმურა მივიდა, ჭაღარა თავი ზედ მის ყურთან დახარა და რაღაც ჩასჩურჩულა. კოიტი ერთბაშად მოიღუშა და ისე მკვეთრად გააქნია თავი, რომ უტიმურა სასწრაფოდ გასცილდა.

უტიმურა და განსვენებული ერთი სოფლიდან იყვნენ, სოფლის დაწყებით სკოლაშიც ერთად სწავლობდნენ. სუგინუმას კეთილგანწყობა შემორჩა მისდამი და შემდგომში უტიმურა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელ კომპანიაში ერთ-ერთი დირექტორის პოსტზე მიიწვია.

უტიმურა დიდად არ ერკვეოდა კომპანიის საქმეებში, მაგრამ ეს არც იყო აუცილებელი, ვინაიდან მის მოვალეობაში შედიოდა სუგინუმას შვიდი ყოფილი საყვარლისათვის ფულის დროული გაგზავნა, ახალი ქალების მოძებნა და მოლაპარაკება იმათთან, რომელთაც თავი მოაბეზრეს, რათა კეთილად, აურზაურის გარეშე განშორებოდნენ.

აი, ახლაც გადაწყვიტა კოიტის მოთათბირებოდა, როგორ მოეხერხებინა ყოფილი საყვარლების გამოთხოვება მიცვალებულთან, რა თანმიმდევრობა დაეწესებინა მათთვის. სხვაგვარად, ღმერთმა ნუ ქნას, ერთმანეთს შეეჩეხებოდნენ კუბოსთან და სკანდალს ატეხდნენ!

კოიტის კატეგორიულმა უარმა უტიმურა დააბნია. მას ესმოდა, რომ ეს პრეზიდენტის პატიოსნებას არ მოწმობდა — კოიტის, უბრალოდ, ეშინოდა, ცუდად არ გამოჩენილიყო თავისი ქრისტიანი ცოლის წინაშე. უტიმურასათვის ნათელი გახდა მეორეც: სუგინუმას სიკვდილი ნიშნავდა იმას, რომ უახლოეს დღეებში მას დაკავებული თანამდებობიდან დაითხოვდნენ.

ამასობაში კომპანიის დანარჩენ დირექტორებს სხვა საკითხი აწუხებდათ. ისინი მარჩიელობდნენ, რა დაწერა კოიტის ხელისგულზე მომაკვდავმა მოხუცმა იქ, ქალაქგარეთ მდებარე სახლში და რატომ გაფითრდა პრეზიდენტი ასე უეცრად.

ზოგი ამბობდა, თითქოს თავისი ყველაზე ახლობელი საყვარლის

სახელი დაწერა და კოიტის სთხოვა, ეზრუნა მასზე. სხვები ფიქრობდნენ, რომ იმ კაცის სახელი დაწერა, რომელიც ამიერიდან კოიტის მარჯვენა ხელი იქნებოდა. მესამენი — თითქოს სუგინუმამ უბრალოდ დაწერა: „არ მინდა სიკვდილი". ასეთმა გამოცნებმა ხალხში გამოეთნა და, თავისთავად ცხადია, მეგაზეთეების ყურამდეც მიაღწია. ერთ-ერთ მათგანს არ შერცხვა და ამის თაობაზე თვით კოიტის ჰკითხა. მან გულმოსულად უპასუხა:

— არაფერი ამგვარი არ ყოფილა. მამამ, უბრალოდ, ხელზე ხელი მომკიდა.

სუგინუმა მეტისმეტად დიდებულად დაასაფლავეს. სამგლოვიარო პროცესიაში სამი ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დაკრძალვიდან მეხუთე დღეს კოიტი მივიდა კომპანიის სამმართველოში, შეკრიბა დირექტორები და მოკლე სიტყვით მიმართა მათ:

— გთხოვთ, ყველამ მხედველობაში მიიღოთ ის, რომ გამგეობის თავმჯდომარის სიკვდილი ჩვენი კომპანიის საქმიანობაში არ გამოიწვევს სერიოზულ ცვლილებებს. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ თავმჯდომარის სიცოცხლეში დამნიშნეს კომპანიის პრეზიდენტად და საშუალება მქონდა გავცნობოდი მის მუშაობას. თავმჯდომარის სიკვდილთან დაკავშირებით ავრცელებენ ყოველგვარ ბოროტ ჭორს, რომლის მიზანია ჩვენი კომპანიისათვის ზიანის მიყენება. ბატონებო, გთხოვთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ და მშვიდად იშრომეთ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი საწარმოს საკეთილდღეოდ.

იმ დღეებშივე მოხდა ერთი ამბავი, რომელიც უძრაველესობისათვის შეუმჩნეველი დარჩა: მმართველი ნაკამურა, რომელიც კომპანიის ფინანსებს განაგებდა, ფინანსური სამმართველოს უფროსი კამოტო და მთავარი ბუხჰალტერი ონუმა საღამოს სადღაც გაქრნენ. თანაც ონუმამ, ბუხჰალტერიის დანარჩენი თანამშრომლებისაგან ფარულად, თან წაიღო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საბუხჰალტრო წიგნები. ისინი სუგინუმას დაკრძალვასაც არ დასწრებიან. წინა დღით კი კოიტიმ თავისთან გამოიძახა ნაკამურა და საიდუმლოდ უთხრა:

— გთხოვთ, როგორმე თავი დააღწიეთ გარეგნულ ბრწყინვალეებას და ნახეთ, რა იმალება მის ქვეშ. იმოქმედეთ გადაჭრით და თამამად. — საქმეში ჩაუხედავი კაცი ამ სიტყვებს ვერ მიუხვდებოდა. სინამდვილეში ეს იყო ბრძანება გაესინჯათ, რამდენად ფიქტიური ხასიათისა იყო კომპანიის ბალანსი.

განსვენებული სუგინუმა ძალზე აქტიური პიროვნება გახლდათ და ყველანაირად ცდილობდა თავისი კომპანიის საქმიანობის გაფართოებას. ძალზე დიდ კაპიტალს აბანდებდა აღჭურვილობაში, რათა თავისი კონკურენტი ფირმები დაეჯაბნა. განსაკუთრებით დიდი სახსრები დააბანდა ხოკაიდოზე ნაგლინის საწარმოო ახალი ქარხნის მშენებლობაზე, პარტიის პოლიტიკური მიზნებისათვის შესაწირის სახით შეტანილ დიდ თანხაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ცოტამ თუ იცოდა, რა დაუჯდა მას ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში ქარხნის მშენებლობის ლიცენზიის ხელში ჩაგდება. ახალი ქარხანა მნახველებს ანცვიფრებდა თავისი მასშტაბებითა და უახლესი აღჭურვილობით. სუგინუმამ მართლაც აჯობა თავის კონკურენტს. უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი საწარმო ყველა ღონეს ხმარობდა მომიჯნავე საწარმოებზე თავისი გავლენის გასავრცელებლად. მან ხელთ იგდო ლითონის თხელი ფურცლების საგლინი საწარმოები, კომპანიები, რომლებიც მისგან საკონსერვო ქილებს ამზადებდნენ და აგრეთვე მაცივრებისა და სარეცხი მანქანების ლითონის კორპუსების დამამზადებელი ქარხნები. უფრო მეტიც, თავისი საცეცებით გადასწვდა სახლთმშენებელ ინდუსტრიასაც, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ფოლადსასხმელ მრეწველობასთან, და მიწის თავისუფალ ნაკვეთებს იძენდა.

განსვენებული სუგინუმა დახმარებაზე უარს არასოდეს ეუბნებოდა გაკოტრების პირას მისულ კომპანიებს, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ საბოლოოდ ეს კომპანიები მის ხელთ აღმოჩნდებოდა ხოლმე.

სუგინუმას ჯგუფში შემავალ ოცდაათ კომპანიას შორის წამგებიანებიც იყვნენ. დადიოდა ხმები, რომ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის მიერ მოტანილი მოგების უდიდეს ნაწილს სწორედ ეს კომპანიები ნთქავდნენ. ზოგიერთი იმასაც კი ამტკიცებდა. შესაძლოა, ამან კრახამდე მიიყვანოსო იგი. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანია განაგრძობდა გაფურჩქვნას და რეგულარულად იხდიდა დივიდენდებს, რომლებიც ფოლადსასხმელი მრეწველობის საყოველთაო შეფერხების დროსაც კი არ დასულა ოც პროცენტზე დაბლა.

ხალხი ამას ხსნიდა სუგინუმას არაჩვეულებრივი ნიჭით. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, წარსულის ბრწყინვალე კარიერამ შეუცდომელის შარავანდედით შემოსა სუგინუმა, სინ მდვილეში კი მისი კომპანიის საქმეები არც ისე კარგად მიდისო. მაგრამ აღმოსავლეთის

ფოლადსასხმელი საწარმოს სუსტი ადგილები ჯერჯერობით ყველასათვის საიდუმლოებით იყო მოცული.

შეიძლება უცნაურად მოგჩვენებოდათ, კომპანიის პრეზიდენტმა თავის დირექტორს რომ სთხოვა გარკვეულიყო, რამდენად ფიქტიური ხასიათისა იყო ბალანსი. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ თავის სიცოცხლეში სუგინუმა შვილს ახლოს არ აკარებდა კომპანიის უმნიშვნელოვანეს საიდუმლო საქმეებს, კერძოდ, ფინანსურ ოპერაციებს, რომელთა არსი ბოლომდე ცნობილი იყო მხოლოდ სუგინუმასა და, ცოტად თუ ბევრად, კიდევ ერთი-ორი თანამშრომლისათვის.

და მიუხედავად ამისა, კოიტი გრძნობდა, რომ მამამისი, როგორც ჩანს, ფიქტიურ ბალანსს იყო ამოფარებული. როცა ბალანსების შემოწმება უბრძანა, ნაკამურას სახეზე გამოხატულმა დაბნეულობამ კოიტი კიდევ უფრო დაარწმუნა თავის ეჭვებში.

ნაკამურა, როგორც ფინანსური საკითხების მმართველი, სუგინუმას პირდაპირი თანამონაწილე იყო ფიქტიური ბალანსის შედგენაში. ასეთივე თანამონაწილეები იყვნენ ფინანსური სამმართველოს უფროსი, მთავარი ბუხჰალტერიცა და კომპანიის ფინანსური და ქონებრივი ოპერაციების მმართველი.

ახლა ყველანი შეიკრიბნენ კოიტის აგარაკზე და პირქუში სახეებით დაიწყეს ყოველივე იმის გახსნა, რასაც ბოლო წლებში სუგინუმას ბრძანებით თვითონვე ხლართავდნენ.

კაცი, რომელიც სუგინუმას ჰყავდა მხედველობაში

კოიტი თავისი სახლის უკანა ოთახში იჯდა და ყურადღებით კითხულობდა ნაკამურას წარმოდგენილ მოხსენებას. ფანჯრის მიღმა ცივი წვიმა ცრიდა. აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის საქმეების ჭეშმარიტი ვითარების ამსახველი ციფრების შემყურე კოიტი სიცივისაგან აბუზულიყო. ახლა ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე კომპანიაში ფიქტიური ბალანსები დგებოდა.

ათას ცხრაასორმოცდაცხრამეტი წლიდან მოყოლებული, განვითარების მაღალი ტემპებით შეფუცხუნებულმა მეწარმეებმა მკვეთრად გაადიდეს კაპიტალდაბანდებები წარმოებათა აღჭურვილობაში. იმბა-

ნად მხოლოდ ცალკეული პირები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ეს ეკონომიკის არათანაბარ განვითარებას მოიტანდა. ძირითადი მასა კი დარწმუნებული იყო, რომ ეკონომიკის ყოველწლიური ოცი პროცენტი ნამატი მუდმივი იქნებოდა.

და აი, დადგა განკითხვის დღე. ათას ცხრაას სამოცდაორ წელს წარმოიქმნა ჭარბწარმოების კრიზისი, სულ უფრო მეტი მზა საქონელი გროვდებოდა საწყობებში და დაიწყო წარმოების შემცირება. ფოლადსასხმელ მრეწველობაში მან ოცი-ოცდაათი პროცენტი შეადგინა. და მხოლოდ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანია განაგრძობდა მაღალი დივიდენდის გადახდას. ეკონომისტები მდგომარეობას იმით ხსნიდნენ, რომ სუგინუმას გაერთიანებაში შედიოდა სხვადასხვა პროფილის კომპანია, რომელთაგან ბევრს კრიზისი არ შეხებია და ისინი თავისი მოგებით ფარავდნენ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის დეფიციტს.

მაგრამ პრეზიდენტ კოიტისათვის წარდგენილი ნამდვილი საბალანსო ანგარიში იმას მოწმობდა, რომ იმხანად სუგინუმას გაერთიანებაში თითქმის ყველა კომპანია წამგებიანი იყო და სისულელე იქნებოდა ოცპროცენტიანი დივიდენდის გადახდის გაგრძელება. მაგრამ სუგინუმა, თავისი ურყევი ავტორიტეტის შესანარჩუნებლად, საიდუმლო სარეზერვო ფონდიდან და ბნელით მოცული სხვა წყაროებიდან იხდიდა. იგი იმედოვნებდა, რომ შეფერხებას ბოლო მოეღებოდა და კვლავ გაცხოველდებოდა წარმოება. ყოველივე ეს ინიღბებოდა ფიქტიური ბალანსით, რომელსაც ადგენდნენ და ამტკიცებდნენ კომპანიის ფინანსური საქმიანობისათვის პასუხისმგებელი მისი ერთგული თანამშრომლები. და აი, ახლა სუგინუმას სიკვდილის შემდეგ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანია უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ.სთან იყო დაკავშირებული იმ ადამიანის სახელი, რომელიც მომაკვდავმა სუგინუმამ თავის ვაჟის ხელისგულზე გამოიყვანა.

პრეზიდენტმა კოიტიმ. წარდგენილი ანგარიშის შესწავლის შემდეგ, მეორე დღეს მხოლოდ ნაკამურას გაუმეღავნა ეს სახელი. ნაკამურა არ გაოცებულა. კაცმა რომ თქვას, ეარაუდობდა კიდეც, რომ სწორედ იდოხარა იქნებოდა დასახელებული.

— სიტყვამ მოიტანა და, აქამდე არ არის ცნობილი, ამჟამად სად იმყოფება იდოხარა, — უთხრა კოიტიმ.

— უცნაურია, — გაიოცა ნაკამურამ. — თქვენ ხომ იცით ევროპაში მისი მოგზაურობის პროგრამა.

— დიახ. ზუსტად მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ოცდასამ იანვრამდე პარიზში იყო, მაგრამ შემდეგ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

— მეც ასეთი ცნობები მაქვს. მართალია, სატრანსპორტო კომპანია „ორიენტის" საერთო გახყოფილების უფროსმა მითხრა, მგონი, ფრანკფურტში თუ ჟენევაში გაემგზავრაო. მაგრამ ზუსტად არც იმან იცის.

— მითითება მივეცი, დეპეშები გაეგზავნათ ყველა სასტუმროში, სადაც კი შეიძლებოდა გაჩერებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია.

იდოხარა, ვის შესახებაც კოიტი და ნაკამურა ერთმანეთში საუბრობდნენ, სატრანსპორტო კომპანია „ორიენტის" პრეზიდენტი იყო. სუგინუმამ იდოხარა ათას ცხრაას ორმოცდარვა წელს გაიცნო. მაშინ იდოხარას გვარი არავინ იცოდა. მისი წარსულიც ბნელით იყო მოცული. ამის თაობაზე ვიღაცამ დროულად გააფრთხილა სუგინუმა, მაგრამ ის რატომღაც ნდობით განიმსჭვალა იდოხარასადმი.

იდოხარა, სუგინუმას გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე, მდივანთან ერთად ევროპაში გაემგზავრა საზღვარგარეთული ტურისტული კომპანიების მუშაობის შესწავლის მიზნით... და აღარც გამოჩენილა.

ისეთი მოვლენა, როგორიცაა გამგეობის თავმჯდომარის სიკვდილი, შეტად მნიშვნელოვანი გახლდათ მთელი აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის საქმიანობაში და, ვინაიდან ხუთი დღის შემდეგ დანიშნული იყო აუქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, ხოლო ამ კრების წინ კი კომპანიის თანამშრომელთა კრება, სრულიად ბუნებრივია, რომ იდოხარა სასწრაფოდ უნდა გამოეძახათ.

და მაინც, რატომ გამოხატავდა პრეზიდენტ კოიტის სახე ასეთ მოუთმენლობას? ნუთუ ასე აუცილებელი იყო იდოხარას სასწრაფო გამოძახება? საერთოდ, ის მხოლოდ რიგითი მმართველი იყო და, საეჭვოა, დირექტორთა საბჭოს რაიმე მნიშვნელობა მიეცა მისი არყოფნისათვის. „ორიენტი" არც თუ ისეთი სოლიდური კომპანია იყო და ამიტომ იდოხარას არ შეეძლო თავისი ყოფნით რაიმე ზეგავლენა მოეხდინა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის ბედზე.

და, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტ კოიტის სურდა, რაც შეიძ-

ლება მალე შეხვედროდა მას. ეს აზრი მაშინვე დაებადა, როგორც კი მამამისმა ხელისგულზე მისი სახელი დაუწერა.

არც იდოხარას ნაშვილებმა სიოძიმ და მისმა ბიძაშვილმა რიოსა-ბურომ (ორივენი იდოხარას კომპანიაში მუშაობდნენ) იცოდნენ, სად გაქრა ის პარიზიდან.

— იქნებ ცოლს ვკითხოთ? — მოსაზრება გამოთქვა კოიტიმ.

— ეს, ალბათ, ცოტა უხერხული იქნება, — უპასუხა ნაკამურამ და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა კოიტის. — ძალზე საეჭვოდ გამოიყურება მისი მოულოდნელი გამგზავრება პარიზიდან.

— გგონია, აკასაკელი ქალიშვილიც მასთან ერთადაა?

— არა, ის ტოკიოშია, გუშინ ნახეს მზა ტანსაცმლის მაღაზიაში გინზაზე [1].

— მაშასადამე ახალი ვინმე გაიჩინა?

— გამორიცხული არაა.

— ისე კი, ძალზე არასერიოზულად იქცევა, — გულმოსულად წაიბუტბუტა კოიტიმ. — პროგრამის მიხედვით, თვის ბოლოს უნდა დაბრუნდეს. ამდენ ხანს ვერ დაველოდებით. მაინც დაურეკე მის ცოლს. იქნებ რაიმე იცოდეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნაკამურა პრეზიდენტის კაბინეტში დაბრუნდა და აცნობა:

— იდოხარას გამგზავრების შემდეგ მისი მეუღლეც წაეიდა სამოგზაუროდ.

— ერიჰა, ორთავეს ერთდროულად გადაუწყვეტია გართობა. მაინც საით გაემგზავრა ცოლი?

— მოსამსახურემ მითხრა, მეგობარ ქალთან ერთად ახლა, ალბათ, ჰონკონგშია. შემდეგ კი ოკინავისა და ტაივანის მონახულებას აპირებსო.

* *

იდოხარა წარმოშობით ტოკიოს პრეფექტურის შორეული სოფლიდან იყო. გამოჩენილ ადამიანთა ცნობარში აღნიშნული გახლდათ მხოლოდ მისი დაბადების წელი და ადგილი — ათას ცხრაას თხუთმეტი წლის ოცდაოთხი ივლისი, — აგრეთვე ამჟამად მის მიერ დაკა-

---

[1] გინზა — ტოკიოს ცენტრალური ქუჩა.

ვებული ოანამდებობა. არც ის უკანასკნელი სასწავლო დაწესებულება მიეთითებინათ, რომელიც დაამთავრა. მეტი არავითარი ბიოგრაფიული მონაცემები არ იყო. ისიც ჩაეწერათ, რომ მისი ცოლი ხაცუკო ვიცე-ადმირალის შვილია, ხოლო ხაცუკოს დედა უძველეს არისტოკრატულ საგვარეულოს მიეკუთვნება. ჩვეულებრივ, გამოჩენილ ადამიანთა ცნობარში მონაცემები თვით იმათივე სიტყვებით იწერება, ვისზეც ლაპარაკია. და ვინაიდან იდოხ რამ უკანასკნელი სასწავლებელი არ მიუთითა, მაშასადამე, მას მხოლოდ დაწყებითი სკოლა ჰქონდა დამთავრებული. ცნობარში მისი ბიოგრაფიული მონაცემები დაწვრილებით რომ არ იყო აღნიშნული, ესეც იმას ადასტურებდა, რომ ცხოვრებაში ჯერჯერობით დიდი არაფერი გაეკეთებინა.

ხაცუკო მასზე ოცი წლით უმცროსი იყო. ვინმეს ცნობისმოყვარეობა რომ გამოეჩინა და საოჯახო ჩანაწერების წიგნში ჩაეხედა, გაიგებდა, რომ იდოხარა ხაცუკოზე დაქორწინდა პირველი ცოლის გარდაცვალებიდან სულ მოკლე ხანში. იმ დროს სუგინუმას ხელშეწყობით უკვე ფეხი მოეკიდებინა ფინანსურ სამყაროში. სწორედ დაქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე მივიდა სუგინუმასთან და უთხრა:

— აღფრთოვანებული ვარ თქვენი ტალანტით. მე მაქვს თავისუფალი ოთხმოცი მილიონი იენი. აიღეთ და გამოიყენეთ თქვენი შეხედულებისამებრ.

იმხანად სუგინუმა, კორეის ომით გამოწვეული ბუმის გამო, ყოველნაირად აფართოებდა თავის წარმოებას და ძალიან სჭირდებოდა თავისუფალი სახსრები. იდოხარას წინადადება ძალზე დროული იყო. სუგინუმამ ის თავის კომპანიონად აიყვანა, აქედან მოყოლებული მის მიმართ ნდობით განიმსჭვალა და ყოველნაირად მფარველობდა.

მაინც საიდან გაუჩნდა იდოხარას ამდენი თავისუფალი ფული? სანამ სუგინუმასთან მოვიდოდა, ის ხომ უმნიშვნელო სატრანსპორტო კანტორის მმართველი გახლდათ და არავის არაფერი სმენოდა მის შესახებ. მოგვიანებით ერთ-ერთი კომერციული გაზეთის კორესპონდენტმა იდოხარას თავისი ბიოგრაფიის მოყოლა სთხოვა. იდოხარას ნაამბობმა სულ რამდენიმე საგაზეთო სტრიქონი დაიკავა:

„ომამდე ბევრი სპეციალობა გამოვიცვალე, მძღოლადაც კი ვმუშაობდი სატვირთო მანქანაზე. ცოტაოდენი ფული დავაგროვე და სატრანსპორტო კანტორა გავხსენი. ომის დროს ჯარში გამიწვიეს ჩინეთში. შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. დემობილიზაციის შემ-

დეგ ქირით ვმუშაობდი ერთ დაწესებულებაში. თანდათან ბირჟაზე დავიწყე თამაში. ბედმა გამიღიმა და მოკლე დროში დიდძალი ფული ვიშოვე. აი, სწორედ მაშინ შევთავაზე ის ბატონ სუგინუმას. კარგა ხანს აღფრთოვანებით ვადევნებდი თვალს მის მოღვაწეობას. ვფიქრობ, რომ მეორე ასეთი გენიალური მეწარმე არა გვყავს. ვოცნებობდი, ისეთი მეწარმე გავმხდარიყავი, როგორიც სუგინუმა იყო. ახლა, როდესაც მას დავუახლოვდი, უზომოდ ბედნიერი ვარ".

ამრიგად, იდოხარას შესახებ პრაქტიკულად არაფერი იყო ცნობილი გარდა იმისა, რაც თავის თავზე თვითონ მოყვა, არ არსებობდა არავითარი ობიექტური მოსაცემებიც კი, რაც მის ნაამბობს დაამტკიცებდა.

მართალია, ბოროტი ენები ზურგს უკან მეტიჩარას უწოდებდნენ იმის გამო, რომ მეორე ცოლი მაღალი საზოგადოებიდან მოიყვანა და ფულის დახმარებით თავისი უღიმღამო ბიოგრაფიის შელამაზება სცადა. და ეს უეჭველად არ იყო სიმართლეს მოკლებული. ზოგიერთმა ცნობისმოყვარემ გამოჩხრიკა, რომ უფრო ადრე იდოხარა მაჭანკლებს უგზავნიდა უძველესი არისტოკრატული გვარის ორ ქალიშვილს, თანაც ერთი მათგანი სასახლის კარის დიდებულთა წრეს მიეკუთვნებოდა.

ერთი სიტყვით, იდოხარას წარსულში ბევრი რამ იყო ბნელით მოცული.

ჰონკონგში

საკმაოობით ყველა სასტუმროში გამოცოცხლება სუფევს. გამონაკლისი არც ჰონკონგის პარკ-ოტელი გახლდათ. მითუმეტეს, რომ იქ ის-ის იყო ტურისტების ახალი ჯგუფი მივიდა.

ლიფტიდან გამოსული იამანე სავარძელში ჩაჯდა და მუქი სათვალიდან ჰოლში მყოფი ხალხის თვალიერებას მოჰყვა. სიგარეტი გააბოლა და საათს დახედა. როგორც ჩანს, ვიღაცას ელოდა. უკვე თხუთმეტი წუთი ჰოლში იჯდა. უცებ ვიღაცამ მხარზე ხელი დაარტყა. იამანე შემობრუნდა. სავარძლის უკან იდგა დაბალი ტანის იაპონელი და უღიმოდა. მხოლოდ მუქი სათვალის წყალობით შეძლო იამანემ წამიერი შიში დაეფარა.

— გამოდის, რომ არ შევმცდარვარ, — მხიარულად დაიწყო ლა-

პარაკი ტახდაბალმა იაპონელმა. — "ორიდან გითვალთვალებდით, ვერ ვიჯერებდი, არ მეგონა. აქ თუ შეგხვდებოდით. — იაპონელი უცერემონიოდ მიუჯდა გვერდით და ბლოკნოტის ამოსაღებად ხელი ჯიბეში ჩაიყო.

ეს გახლდათ სპორტული გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც სწორედ ბეისბოლის შესახებ წერდა სტატიებს.

— რა ქარმა გადმოგაგდო აქეთ? — შეეკითხა იამანე.

— მთელი ჯგუფი ვართ — ჰონკონგის დათვალიერება გადავწყვიტეთ.

— კარგი საქმეა!

— ღარიბი ხალხი ვართ. აქ ჩამოსელისათვის სამი წელი ვაგროვებდი პრემიალურს.

— ამ ოტელში გაჩერდი?

— ხუმრობთ! ამდენი ფული სადა გვაქვს. აქ ერთი ჩინელის სანახავად მოვედი, და უცებ ნაცნობ პიროვნებას ვხედავ... არც კი ვიცოდი, თუ ჰონკონგში იყავით. თქვენ ხომ კიუსიუზე აპირებდით გამგზავრებას.

— ვიყავი კიდეც. — დაიბნა იამანე. — შემდეგ მოულოდნელად ჰონკონგის დათვალიერება გადავწყვიტე.

— მაშასადამე, ისე, უბრალოდ: მოულოდნელად გადაწყვიტეთ გასეირნება... საზღვარგარეთ. თქვენთვის ასეთი ვოიაჟი ხომ ერთი გადაფურთხებაა, ჩვენ კი ამ მოგზაურობისათვის სამი წელი ვაგროვეთ ფული.

— ცდები, არც ისეთი მდიდარი ვარ.

— დიდი ხანია აქა ხართ?

— მეორე დღეა. კარგად არც კი გამიხედ-გამომიხედავს.

რეპორტიორთან საუბრის დროს იამანე წამდაუწუმ ლიფტისაკენ იყურებოდა და თვალს ადევნებდა იქიდან გამოსულ ხალხს. მაგრამ მის სახეზე გამოხატული ლოდინი ახლა შეცბუნებამ შეცვალა. ამის მიზეზი, უეჭველია, საიდანღაც გამომტყვრალი რეპორტიორი გახლდათ.

— სწორედ რომ კარგი შემთხვევაა, — განაგრძობდა რეპორტიორი. — ჩვენი წრიდან ახლომახლო არავინაა და მშვიდად შეიძლება თქვენგან ინტერვიუს აღება. შესაფერი სათაურიც თავისთავად იბადება: „პიტჩერი[1] იამანე ჰონკონგში".

[1] პ ი ტ ჩ ე რ ი — მომწოდებული მოთამაშე ბეისბოლში.

— მორჩი! — იამანემ ხმას აუწია. — შენ თუ ამას დაწერ, უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდებ.

— რატომ? ამ ინტერვიუს თავისუფალი საუბრის სახეს მივცემთ. თქვენ ხომ ოცდაოთხი გამარჯვება მოიპოვეთ გასულ წელს. ასეთმა სპორტსმენმა-რაც უნდა თქვას — მაინც მშვენიერი სტატია გამოვა. მერედა, როგორი ადგილია ჰონკონგი! სადმე ვაკაიამაში სპორტული ბანაკი ხომ არ გგონიათ!

— კიდევ ერთხელ გთხოვ, მორჩი! აქ მხოლოდ პირადი მიზეზების გამო ჩამოვედი. ამის შესახებ არც მწვრთნელმა იცის, მითუმეტეს, არც გუნდმა.

რეპორტიორი გაოცებით მიაშტერდა იამანეს.

— სწორად გამიგე. აქ მარტო ჩამოვედი და თუ მწვრთნელმა გაიგო, მაგრად მომხვდება. გარდა ამისა, მთელი გუნდი დამიწყებს გამოკითხვას, რატომ აღმოვჩნდი აქ, — დაუინებით უმეორებდა სპორტსმენი.

ოცდაექვსი წლის ასაკში იამანე საქვეყნოდ ცნობილი ბეისბოლისტი იყო. ის თამაშობდა პროფესიულ გუნდ „კონდორ-ში", რომელიც სრულიად იაპონიის სატრანსპორტო სააქციო საზოგადოებას ეკუთვნოდა. გასულ წელს ამ გუნდმა ოცდაოთხი გამარჯვება მოიპოვა და ამ გამარჯვებათა გმირი პიტჩერი იამანე გახლდათ. ამიტომ გასაგები იყო სპორტული რეპორტიორის, მორიტას დაუინება — იამანესთან შემთხვევითი შეხვედრა ხომ დიდი წარმატება იყო მისთვის.

— რა რიცხვისთვისაა განზრახული სპორტულ ბანაკში შეკრება?

— თვრამეტისთვის.

— მაშასადამე, თქვენს განკარგულებაშია მთელი ორი კვირა. კიდევ აპირებთ სადმე გამგზავრებას?

— ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია. იქნებ მოვასწრო ბანგკოკის, სინგაპურისა და მანილას ნახვა.

— ეს ხომ გრანდიოზული მოგზაურობაა! — წამოიძახა მორიტამ, თან უურადღებით ათვალიერებდა ბეისბოლის ახალ ვარსკვლავს. მის მზერაში აშკარად გამოსჭვიოდა კითხვა: „მერედა, საიდან გაგიჩნდა ამდენი ფული?!" მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ეს პიტჩერი მწვრთნელმა აკაიკემ სულ ახლახან წამოსწია და ჯერჯერობით არც ისე დიდი ხელფასი ჰქონდა. ამავე დროს მორიტას გაწაფულ თვალს არც ის გამოპარვია, რომ იამანეს ეცვა ინგლისური ქსოვილის დიდებული

კოსტიუმი, რომელიც, როგორც ჩანს, აქვე შეაკერინა, ხოლო მანეკენის ქვეშიდან ახალი ძვირფასი საათი მოუჩანდა.

— როდის აპირებთ ტოკიოში დაბრუნებას? — შეეკითხა მორიტა.

— არაუგვიანეს თხუთმეტი რიცხვისა.

ამ დროს იამანემ, როგორც ჩანს, ვიღაც შენიშნა, უსიტყვოდ წამოდგა სავარძლიდან და ლიფტისაკენ გაემართა. რეპორტიორმა დაჟინებით გაადევნა თვალი. იამანე ლიფტიდან გამოსულ კიმონოიან ქალთან მივიდა. ქალს კიმონოზე მისი ასაკისათვის ძალზე ხასხასა ფერის მოსასხამი წამოეხურა.

— მეგახეთემ მიცნო, — ჩუმად უთხრა იამანემ ქალს, — სპორტული რეპორტიორია და თანაც ძალზე აბეზარი. ადით ქალბატონთან და უთხარით: როგორც კი თავიდან მოვიცილებ, მაშინვე მივალ დათქმულ ადგილას.

— გასაგებია, — უთხრა ქალმა და წამიც არ დაუყოვნებია, ლიფტში შევიდა.

იამანე ჯერ სასტუმროს გასასვლელისაკენ წავიდა. გარეთ გაიხედა, შემდეგ აუჩქარებლად მივიდა რეპორტიორთან, რომელიც თვალს არ აცილებდა.

— უნდა დაგემშვიდობო, საქმეები მაქვს, — უთხრა იამანემ და რეპორტიორს გაუწოდა წინასწარ მომზადებული კონვერტი, რომელშიც ჰონკონგური დოლარები ეწყო. — სიამოვნებით გაგიწევდი კომპანიას, მაგრამ სასწრაფოდ უნდა წავიდე ერთ საქმეზე. ამიტომ ნუ მიწყენ და — შესვი ჩემი სადღეგრძელო.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! — მორიტამ უარყოფის გამომხატველი ჟესტი გააკეთა, მაგრამ სპორტსმენმა ფული ძალით ჩაუდო ჯიბეში.

— და გთხოვ: ჩემზე არაფერი დაწერო. არ მინდა ჩემი ჰონკონგში ჩამოსვლის ამბავი ეინმემ გაიგოს... სამაგიეროდ, პირობას გაძლევ: დავბრუნდები იაპონიაში და პირველი ინტერვიუ შენი იქნება. ის ქალი კი, რომელსაც ახლა ელაპარაკებოდი, აქაური იაპონური რესტორნის მეპატრონეა. დილით მასთან ვიყაუზმე და ახლა ვასაუზმე მპატიჟებს. თვითონაც მიხვდები, რომ ეგ მოხუცი ქალი სხვა მხრივ არ მაინტერესებს,—დაუმატა იამანემ. თუმცა რეპორტიორს ამის შესახებ არ უკითხავს.

მორიტამ ღიმილით უპასუხა, მიგიხვდიო. მასაც ძალზე ხანშიშესული ეჩვენა ეს ქალი იამანესათვის.

იამანე ოტელიდან გავიდა და ტაქსში ჩაჯდა.

— გოანვილ-როუდი, — უთხრა მძღოლს და უკანა მინაში გაიხედა.

როდესაც დარწმუნდა, რეპორტიორი უკან არ მიყვებოდა, სპორტსმენმა შვებით ამოისუნთქა და გააბოლა. მაგრამ მოულოდნელი შეხვედრის უსიამოვნო გრძნობა მაინც დარჩა. კარგად იცნობდა ამ რეპორტიორს და შიშობდა, რომ იაპონიაში დაბრუნებისას აუცილებლად წამოაყრანტალებდა მათი შეხვედრის ამბავს.

დიახ, არა მარტო ტოკიოში, არამედ აქ, ჰონკონგშიც, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, — გაიფიქრა მან.

იამანე არ შემცდარა. სიფრთხილე აქაც საჭირო იყო. წასვლაც ვერ მოასწრო, რომ მორიტამ დამტვრეული ინგლისურით პორტიეს მიმართა:

— ბატონ იამანეს ნახვა მინდოდა.

ჩინელმა პორტიემ, რომელიც გარეგნულად ძალზე წააგავდა იაპონელს, სარეგისტრაციო წიგნი გადაფურცლა და მხრები აიჩეჩა:

— მისტერ იამანე ჩვენს ოტელში არ ცხოვრობს.

„ეს შეუძლებელია", — მორიტა შეეცადა ინგლისური ფრაზის შეკოწიწებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ სცადა იგივე ჟესტებით გამოეხატა. პორტიემ კვლავ ყურადღებით გადაათვალიერა წიგნი, ხმაურით დახურა და უთხრა, რომ, სამწუხაროდ, ასეთი ვინმე ოტელში არ დაბინავებულა.

გულგატეხილი რეპორტიორი შეტრიალდა და მაშინვე ყურადღება მიაქცია მუქსათვალიან ქალბატონს, რომელიც თავისი ნომრის გასაღებს აბარებდა. შეცდომა გამორიცხული იყო — მასაც იგივე წაბოსასხამი ჰქონდა, როგორიც იმ ქალს, იამანეს რომ შეხვდა.

— გთხოვთ, მაპატიოთ, — მიმართა რეპორტიორმა და ქალის სახეზე გამოსასულმა შიშმა დაარწმუნა, რომ ქალმა იცნო. როგორც ჩანს, იამანესთან საუბრისას დაიმახსოვრა. — თუ არ ვცდები, ცოტა ხნის წინ თქვენ საუბრობდით იამანესთან, „კონდორის" გუნდის წევრთან, არა?

— დიახ, — უპასუხა მოულოდნელობისაგან შეცბუნებულმა ქალმა.

— მე სპორტული გაზეთის კორესპონდენტი და იამანეს ძველი მეგობარი გახლავართ. მითხარით, ამ ოტელში დაბინავდა?

— არა, — უპასუხა ქალმა. თან აბეზარი კორესპონდენტისაგან თავის დაძვრენას ცდილობდა.

— აბა როჟელში?

— არ ვიცი.

— უცნაურია, იამანემ მითხრა, რომ თქვენს რესტორანში ისაუზმა და იქ გაგიცნოთ.

ქალს სახეზე დაბნეულობა გამოესახა.

— ალბათ, ამიტომაც მოხვედით აქ?

— მან მითხრა, რომ ამ ოტელის ჰოლში დამელოდებოდა, მაგრამ ჩემთვის არ არის ცნობილი, სად დაბინავდა.

— მაგრამ თქვენ ხომ ზემოდან ჩამობრძანდით ლიფტით?

— ერთი ნაცნობი უნდა მენახა. ბატონ იამანესთან ამას კავშირი არა აქვს.

— მგონი თქვენ იაპონური რესტორნის მეპატრონე ბრძანდებით. ხომ ვერ მეტყვით, სად მდებარეობს ეს რესტორანი?

— სად?.. — ქალს აშკარად გაჰყავდა დრო. — მაკაოში.

— მაკაოში? — გაკვირვებით გაუმეორა კითხვა მორიტამ.

ქალმა ისარგებლა მისი წუთიერი დაბნეულობით, ბოდიში მოიხადა და იქაურობას გასცილდა.

ჟალბატონი ხაცუკო და პიტჩერი იამანე

ხაცუკო იდოხარა გამოეწყო, სავარძელში ჩაჯდა და გააბოლა. სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ნომრის კარზე კურატამ მიაკაკუნა და რეპორტიორის შესახებ არასასიამოვნო ახალი ამბავი აცნობა, ის კიმონოზე ფართო სარტყელს, ობის იხვევდა.

ყურადღება რომ არ მიექციათ მისთვის, ხაცუკო ევროპული კოსტუმის ჩაცმას აპირებდა, მაგრამ იფიქრა, ეს ბევრ დროს წაიღებს და გადაწყვიტა კიმონო სცმოდა. მით უმეტეს, რომ ხასხასა ფერისა არ იყო. თანაც ზღვის ტალღისფერი მას ძალიან უხდებოდა. ის ელფერს აძლევდა მისი სახის თხელ ნაკვთებს, მის კეთილშობილურ წარმოშობაზე რომ მეტყველებდა.

ომის შემდეგ მამამისმა — ყოფილმა ვიცე-ადმირალმა — ბიზნესს მოჰკიდა ხელი, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია და ხაცუკომ ყმაწვილქალობაში არაერთი გაჭირვება გადაიტანა. სწორედ მაშინ გახდა იდოხარა იმ დროისათვის უკვე მნიშვნელოვანი კაპიტალის მფლობელი. ხაცუკოს ცხოვრება ერთბაშად შეიცვალა, აღარაფერი მიანიშნებდა აქამდე არსებულ ხელმოკლეობაზე. მხოლოდ ზოგჯერ სახეზე გა-

ელეებული ნაღვლიანი ჩრდილი მოგაგონებდათ წარსულს, მაგრამ ეს მხოლოდ ხაზს უსვამდა მის კეთილშობილურ ნაკვთებს

ხაცუკომ სიგარეტი გააბოლა, სავარძლიდან წამოდგა და თვალი მოავლო ოთახს: მიულაგებელი ორსაწოლიანი სარეცელი, ყველგან მიმობნეული ქალის ტუალეტის წვრილმანი საგნები, რომელთა გვერდით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მამაკაცის კუთვნილი ნივთები ეწყო. კართან ახლოს ტანისამოსით გატენილი სამი ჩემოდანი იდგა. ხაცუკომ გასაღები აიღო, დერეფანში გავიდა და თავისი ნომრის კარი დაკეტა. ლიფტთან მდაბლად დაუკრა თავი ჩინელმა ბიჭუნამ.

ხაცუკო ოტელიდან გავიდა, ჩაჯდა ტაქსში, რომელიც ელოდა. ადგილიდან რომ დაიძრა, უკან მოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, ხომ არავინ ამედევნაო. ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, სპორტული გაზეთის აბეზარ რეპორტიორს არ მიეგნო მისი კვალისათვის. ერთ-ერთ ოტელთან შეჩერდა, შიგ შევიდა, ცოტა ხნით შეყოვნდა, შემდეგ გამოვიდა და სხვა ტაქსში ჩაჯდა, ამჯერად მძღოლს ნამდვილი მისამართი უთხრა. ქუჩის ორივე მხარეს დიდი სახლები აღმართულიყო. პირველი სართულები საიუველირო, ავეჯისა და მანუფაქტურის მაღაზიებს ეკავა.

აბრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხაცუკომ მანქანა იაპონურ რესტორან „მიუკთან“ გააჩერა და ნოხმოფენილი კიბით მეორე სართულზე ავიდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მიესალმა იაპონურ კიმონოში გამოწყობილი ქალიშვილი, როგორც კი ხაცუკომ დარბაზის კარი შეაღო. — გთხოვთ, აქეთ მობრძანდით.

ჩანს, ხაცუკოს უკვე იცნობდნენ და მაშინვე გაიყვანეს ცალკე ოთახში, სადაც მის შესახვედრად მხარბეჭიანი კაცი წამოდგა.

— მაპატიე, რომ გალოდინე, — უთხრა ქალმა და მამაკაცის პირდაპირ დაჯდა. — კურატამ მითხრა, რომ სპორტული გაზეთის რეპორტიორმა გიცნო.

— სამწუხაროდ, ასეა, — უპასუხა იამანემ.

— გიხდება, — უთხრა ხაცუკომ, თან ახალ კოსტიუმს ათვალიერებდა. — ჰალსტუხიც შეეფერება.

— ეს ხომ თქვენი ამორჩეულია, — იამანემ თითები შეავლო ნასკვს, და შეამოწმა, ზომაზე თუა გასკვნილიო. — მოახერხეთ აბეზარი რეპორტიორის გაცურება?

— შეუმჩნეველად გამოვედი. ჰოლში არ შემხვედრია.

— კარგია, რომ კურატამ შეძლო თქვენი გაფრთხილება. შემპირდა, რაღაცნაირად მოვახერხებ ეს წაყვანასო. ის, ალბათ, ახლა უკან დასდევს კურატას.

— მიუხედავად ამისა, მაინც ვეცადე, სიფრთხილის ზომები მიმეღო. ტაქსი ორჯერ გამოვიცვალე.

— მაპატიეთ, რომ უნებურად ზედმეტად შეგაწუხეთ.

— რას იზამ, ცნობილი კაცი ხარ.

— გამოდის, ჰონკონგშიც მუდამ ფრთხილად უნდა ვიყო. ვშიშობ. რომ მორიტამ — ასე ჰქვია რეპორტიორს — უკვე იცნოსა, სად გავჩერდი და ოტელთან მელოდება.

მოახლემ საუზმე და საკე შემოიტანა.

— მასპინძელი დღეს აქ არის? — შეეკითხა მას ხაცუკო.

— აეროდრომზე წავიდა ერთი წარჩინებული სტუმრის გასაცილებლად.

— მისი რესტორანი იაპონიაშიც კი ცნობილია. ბუნებრივია, მასთან შორიდანაც მოდიან. სიტყვამ მოიტანა და, როდესაც დაბრუნდება, აქ შემოვიდეს...

— ეს გაუმარჯოს იაპონიაში ყოველგვარი უსიამოვნების გარეშე დაბრუნებას. — ხაცუკომ თავისი საკეთი სავსე ფინჯანი ასწია.

— ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს, — აჰყვა იმანე. — კურატა მოგვიანებით მოვა? — საკე შესვა და შემდეგ შეეკითხა.

— მე დავპატიჟე, მაგრამ, ალბათ, მაშინ მოვა, როცა რეპორტიორს ჩამოიცილებს და, ამიტომ, ვახშამზე ნუ დაველოდებით.

— საბრალო.

— მაინც, რატომ?

— მოგზაურობაში სპეციალურად წამოიყვანეთ კამუფლაჟისათვის და ახლა კი ბედის ანაბარა ტოვებთ. რამეს მაინც აკეთებდა ამ დღეებში?

— ქალაქს ათვალიერებდა.

— კარგი იქნებოდა, მისთვის რომ თანამგზავრი გვეშოვა.

— მისი გარეგნობის პატრონისათვის? მაგის საქმე წასულია!

— რა შეუბრალებელი ხართ!

— თუ ასე თანაუგრძნობ, შენი თავი შესთავაზე. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა იგრძნოს თავი ცუდად? თეითმფრინავისა და სასტუმროს ნომრის ფულიც მე გადავუხადე. სახარჯო ჯიბის ფულიც მივეცი

— როდის ბრუნდება იაპონიაში? — იამანემ საუბრის თემა შეცვალა. მას ხაცუკოს ქმარი, იდოხარა ჰყავდა მხედველობაში.

— ნუ სწუხხარ, დროზე ადრე არ ჩამოვა.

— ახლა სად არის?

— ზუსტად არ ვიცი, პარიზში უნდა იყოს, და, ვფიქრობ, მარტო არ იქნება.

— მაშასადამე, ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდება?

— კმარა, ეს საუბარი არ მსიამოვნებს.

კარზე ფრთხილი კაკუნი რომ გაისმა, სამი პატარა ბოთლი საკე უკვე დაცლილი ჰქონდათ. ხაცუკომ და იამანემ შიშით გადახედეს ერთმანეთს.

— ტერადა ვარ, — მოისმა კარს იქიდან.

— ოჰ, მასპინძელო, მობრძანდით, — ხაცუკომ შვებით ამოისუნთქა. — თქვენ, მგონი, აეროდრომზე იყავით, არა? — ჰკითხა და საკე დაუსხა.

— დიახ. და იცით, ვინ ვნახე იქ? — ტერადამ თვალი შეაელო იამანეს და ხმას დაუწია. — თქვენი მეუღლე.

— შეუძლებელია! — წამოიძახა ხაცუკომ და სახე შეეცვალა.

— მერწმუნეთ, ის იყო. დავინახე, როგორ შევიდა ბატონი იდოხარა სატრანზიტო მგზავრთა დარბაზში.

— დიახ, არ უნდა შემცდარიყავით. თქვენ ხომ იცნობთ იდოხარას?

— რასაკვირველია. გინზაზე ჩვენი რესტორნის ფილიალის ხშირი სტუმარი იყო.

— უცნაურია, ახლა პარიზში უნდა ყოფილიყო, — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ხაცუკომ, ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა, რომ მისი ქმარი აქ, ჰონკონგის აეროდრომზე აღმოჩნდა.

— ტოკიოსაკენ მიმავალი თვითმფრინავი ერთი საათის შემდეგ გაფრინდება, და ეჭვი მეპარება, ბატონმა იდოხარამ სატრანზიტო დარბაზი დატოვოს, — რესტორნის მფლობელი შეეცადა დაემშვიდებინა ქალი.

„რამ აიძულა იდოხარა, დროზე ადრე დაბრუნებულიყო?“ — ფიქრობდა ხაცუკო, მაგრამ აზრიანი ვერაფერი მოეფიქრებინა.

— ყური მიგდეთ, ტერადა, მის გვერდით ქალი ხომ არ შეგინიშნავთ? — ხაცუკოს თავში გაუელვა, რომ მისი ქმრის მოულოდნელი

დაბრუნების მიზეზი, შესაძლოა, ევროპაში მასთან ერთად გამგზავრებული ქალი ყოფილიყო.

— ძნელი სათქმელია, თვითმფრინავიდან ბევრი იაპონელი გადმოვიდა, — ორჭოფულად უთხრა ტერადამ.

ლირსშესანიშნაობათა დათვალიერება

— ამ ცნობამ, მგონი, ძალზე შეგაწუხათ, — უთხრა იამანემ, როცა რესტორნის მეპატრონე წავიდა.

ხაცუკომ ფინჯნიდან საკე მოსვა და ჩაფიქრებული ერთ წერტილს მიაჩერდა.

— რამ აიძულა თქვენი ქმარი, პროგრამა შეეცვალა და სასწრაფოდ დაბრუნებულიყო იაპონიაში? — განაგრძობდა სპორტსმენი. — ნუთუ რაიმე იყნოსა ჩვენს ურთიერთობებზე?

— სისულელეა! ყოვლად შეუძლებელია! — უთხრა ხაცუკომ.

ამ დროს კარი გაიღო და კურატა შემოვიდა. ის მძიმედ სუნთქავდა.

— იცით, რა გადამხდა? — წამოიძახა და მაგიდასთან თავისუფალ ადგილზე დაეშვა.

— გვაპატიე, ველარ დაგელოდეთ და ვახშამს შევუდექით. — ხაცუკომ ღიმილით გადახედა აქოშინებულ კურატას.

— იქნებ თქვენთვის უკეთესიცაა, რომ ასე დაეიგვიანე. მე კი ვერაფრით ვერ ჩამოვიცილე რეპორტიორი. ის იყო ოტელიდან გამოვედი და ტაქსში ჩაჯდომას ვაპირებდი, რომ მაშინვე იქ გაჩნდა! ჩამაცივდა: მითხარით, სად გაჩერდა იამანე? ვეუბნები, მაპატიეთ, სწორედ იმ იამანესთან პაემანზე მაგვიანდება-მეთქი. მან კი მითხრა, ერთად წავიდეთო და თავხედურად ტაქსში ჩამიჯდა.

— მას ახასიათებს ასეთი საქციელი, — უთხრა იამანემ.

— ოტელ „ამბასადორთან“ მივედით, სწრაფად გადმოვედი და ვიდრე ის მძღოლთან ანგარიშს ასწორებდა, ლიფტში შევვარდი. შემდეგ შეუმჩნეველად გამოვიპარე ოტელიდან და აქ მოვედი. ის კი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. ალბათ, ახლაც დამეძებს სართულებზე. ჩანს, გადაწყვიტა, რომ იამანე ჩემთან დროს გასატარებლად ჩამოვიდა ჰონკონგში.

— თუ ასეა, შეიძლება მშვიდად ვიყო, — თქვა ხაცუკომ და გაიღიმა.

არა მგონია, დიდხანს შეძლოთ მისი მოტყუება, — შეეპასუხა კურატა. — წარმოგიდგენიათ, ამ რეპორტიორმა რომ შეიტყოს ბოლისტ იამანესთან თქვენი ურთიერთობის ამბავი და ამის თაობაზე დაწეროს? სკანდალი იქნება!

— მაშინ განქორწინება უეჭველია. ამ შემთხვევაში შენ უნდა შემირთო ცოლად, იამანე. თანასმა ხარ?

— სიამოვნებით, — ნაძალადევად გაიცინა სპორტსმენმა.

— ასეც ვიცოდი! — წამოიძახა ხაცუკომ. — რაღაც სიხარულს ვერ გამჩნევ სახეზე.

— დროზე ადრე ნუ გავიფუჭებთ ხასიათს. ჯერჯერობით ის ფიქრობს, რომ იამანეს საყვარელი მე ვარ. დაე, ასე იცოდეს, თქვენ კი ამასობაში მოასწრებთ იაპონიაში დაბრუნებას, — ცდილობდა მათ დამშვიდებას კურატა.

— ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ წარმოიშვა კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი გარემოება... — თქვა იამანემ.

მაინც რა? — კურატამ რიგრიგობით გადახედა ხაცუკოსა და სპორტსმენს.

— ჰონკონგის აეროპორტში იდოხარა ჩამოფრინდა.

— შეუძლებელია

— რესტორნის მეპატრონემ დაინახა.

იამანეს სახის გამომეტყველებით კურატა მიხვდა, რომ არ ეხუმრებოდნენ.

ის აქ ტრანზიტად იყო და, ალბათ, უკვე გაფრინდა იაპონიაში. — დაუმატა ხაცუკომ.

— იქნებ ვინმემ დაგვაბეზღა?

— შეუძლებელია. შენ თუ არ დაგვაბეზღე. ჩვენ სამის გარდა ხომ არავინ არაფერი იცოდა ამის შესახებ

— როგორ არა გრცხვენიათ, აღელდა კურატა. მერე დამშვიდდა და იკითხა:

— ხომ არაფერი მომხდარა?

— არ ვიცი. არ ვიცი. საკვლევით შესაძლებელია, თან რომ ახლდა, იმ ქალის გამო დაბრუნდა

— ეს ის მსახიობი ქალი ხომ არაა?

— ძნელი სათქმელია. იქნებ ახალი გაიჩინა.

— მაშ, რაღა გვიშლის ხელს ახლავე გაეემგზავროთ იაპონიაში?

— პირიქით, დროზე ადრე თუ წავალთ, ეს მხოლოდ ეჭვს გამოიწვევს, — უთხრა ხაცუკომ. — თანაც იმ ქვეყნებში, სადაც მივდივართ, უკვე დაჯავშნული გვაქვს ნომრები. იდოხარამ მისამართები იცის, და, თუ საჭირო იქნა, თვითონვე ვამომიძახებს. მანამ კი თავიდან მოვიშოროთ უსიამოვნო ფიქრები და გავერთოთ. ხვალ საღამოს, მგონი, მაკაოში მივდივართ. დღეისათვის კი რა გვაქვს განზრახული?

— ჰონკონგსა და ჩინეთს შორის საზღვარზე წასვლა. ამბობენ იქიდან მშვენივრად მოჩანს ჩინეთის ტერიტორიაო.

— საშიში არ იქნება? ხომ შეიძლება სწორედ იქ შევხვდეთ იმ აბეზარ რეპორტიორს? — უთხრა იამანემ.

— არა მგონია, — შეეპასუხა ხაცუკო. — ახლა ის, ალბათ, ჰონკონგის ყველა ოტელში დაგეძებს. ასე რომ, მას ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად არ სცალია.

ვახშმის შემდეგ ხაცუკომ რესტორნის მეპატრონეს დაუძახა და სთხოვა, რესტორნის რომელიმე თანამშრომელი გიდად გაეყოლებინა მისთვის.

ოთხივენი მანქანაში ჩასხდნენ და საზღვრისაკენ გასწიეს. ჰონკონგის ცენტრალური ნაწილის გამოცოცხლებული ქუჩები მალე პატარა, უბრალო ჩინურმა სახლებმა შეცვალა. გამოჩნდა ყურე. ნაპირთან წითლად შეღებილი კოშკურებიანი ორი თბომავალი იდგა.

— ეს რა არის? — ჰკითხა გიდს ხაცუკომ.

— რესტორანი. ჰონკონგის თევზსარეწ ნავსადგურშიც არის ასეთები, მაგრამ იქ ძალზე ჭუჭყიანი წყალია. აქ კი გაცილებით სასიამოვნოა და საჭმელიც უკეთესია.

— აჰ, ეს ის მცურავი რესტორნებია? მსმენია მათ შესახებ, — უთხრა ხაცუკომ და გვერდითა მინა ჩამოუშვა.

— დიახ, აქ აქვთ ახალი თევზი, ხელოვნურად მოშენებული ხამანწკები და მრავალფეროვანი ჩინური კერძები.

— საწყენია, რომ ახლახან კარგად ვივახშმეთ.

— მაშინ თითო ფინჯანი ყავა დავლიოთ.

— კარგი, შევიდეთ, ვნახოთ მაინც. რას წარმოადგენს მცურავი რესტორანი.

დროშებით მორთულ პატარა ხიდზე გავიდნენ და ბიჭმა ააცილა

მეორე სართულზე, საიდანაც შემოგარენის დიდებული ხედი იშლებოდა.

ყავის მოლოდინში ჩინურ სტილში მორთულ რესტორანს ათვალიერებდნენ. მოულოდნელად იამანე ხაცუკოსაკენ დაიხარა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— რაზე ჩურჩულებთ?—იკითხა მაგიდასთან დაბრუნებულმა კურატამ. მას პეიზაჟი მოსწონებოდა და ფანჯარასთან მისულიყო. რათა ფირზე აღებეჭდა.

რეპორტიორი უვლის ოტელლოს

გაზეთ „სპორტული ტოკიოს" კორესპონდენტი მორიტა, ძას შემდეგ, რაც ქალი თვალიდან დაეკარგა, პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდა თავის სასტუმროში, რომელიც პარკ-ოტელთან შედარებით ძალზე ღარიბულად გამოიყურებოდა. ერთადერთი, რაც მოახერხა, გაიგო, რომ ქალის გვარი იყო კურატა.

ქალი იამანეზე გაცილებით უფროსი გახლდათ და სილამაზითაც არ გამოირჩეოდა. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, იამანე იმდენად ყოფილიყო გატაცებული, რომ ჰონკონგში ჩამოეყვანა. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ, როგორ ატყუებდა კურატა მას, მორიტა მიხვდა: ქალი სპეციალურად ცდილობდა კვალის აბნევას, და, მაშასადამე, იამანესთან რაღაც ურთიერთობა ჰქონდა. ნუთუ ეს გათხოვილი ქალი მართლა მისი საყვარელია? მორიტას თვალწინ დაუდგა სენსაციური სათაური „სპორტულ ტოკიოში": „ცნობილი პიტჩერი იამანე გათხოვილ ქალთან ერთად ჰონკონგში ერთობა". მისი გაზეთი თორმეტი კაბადონიდან მხოლოდ შვიდს უთმობდა სპორტის ახალ ამბებს, დანარჩენს რეკლამა და გამოჩენილ ადამიანთა პირადი ცხოვრების წვრილმანები ავსებდა. მორიტა ხელების ფშვნეტით ანგარიშობდა დიდ თანხას, რომელსაც მთავარი რედაქტორი მისცემდა. ამ ფულით, უკიდურეს შემთხვევაში, იმ ხარჯებს მაინც დაფარავდა, რომელიც ჰონკონგიდან ჩამოტანილ სუვენირებზე დაეხარჯებოდა.

— სად დაიკარგე? — აღშფოთებულნი შეეკითხნენ ჰოლში მომლოდინე კოლეგები. — უკვე კარგა ხანია, რაც მთელი ჯგუფი გაემგზავრა.

მორიტა სასწრაფოდ ავიდა თავის ნომერში, ფოტოაპარატი წამოიღო და სხვებთან ერთად ჰონკონგის ღირსშესანიშნაობების დასა-

თვალიერებლად წავიდა. თავისი ფოტოაპარატის შემყურემ, გაიფიქრა, შეცდომა დავუშვი, თან რომ არ წავიღე პარკ-ოტელში, შეიძლებოდა იამანესა და კურატასათვის სურათი გადამეღოო.

ქალაქის დათვალიერება ხელს არ აძლევდა და, მუცლის ტკივილის ნიშნებებით, გაპარვას აპირებდა.

მანქანა თევზსარეწ ნავსადგურთან მივიდა. აქა-იქ ჭუჭყიან წყალში ბოცურავენ საიპანები და ჯონკები მოჩანდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ გაჩირაღდნებული მცურავი რესტორნები, სადაც ნედლი თევზის კერძებით უმასპინძლდებოდნენ. ექსკურსანტები იქ აპირებდნენ სადილობას. მაგრამ გიდმა ყურეში წასვლა შესთავაზა — იქ წყალიც უფრო სუფთაა, პეიზაჟიც სასიამოვნოა და კერძებიც უკეთესი აქვთო. როდესაც მორიტამ გაიგო, აქეთ-იქით მგზავრობას და რესტორანში ვახშმობას ოთხი საათი მაინც დასჭირდებოდა, თითქოს ტკივილისაგან დაიღრიჯა, მუცელზე ხელები წაიკრა და თქვა:

— ალბათ, იქამდე ვერ მივაღწევ. თქვენ წადით, მე კი ოტელში დავბრუნდები და წამალს მივიღებ.

რომ სცოდნოდა, იმ მცურავ რესტორანში, სადაც მისი მეგობრები წავიდნენ, იამანე იჯდა ორ ქალთან ერთად და არხეინად ყავას ბეერთმევდა!

მორიტამ მეგობრებს ხელი დაუქნია და შენებით ამოისუნთქა. ახლა შეიძლებოდა მოქმედება.

კურატამ უთხრა, მაკაოში ვცხოვრობო. ეს აშკარა სიცრუეა, — ფიქრობდა მორიტა. ჩანს, აქ, ჰონკონგში დაბინავდა. მგონი, ურიგო არ იქნება, ყველა რიგიანი ოტელი შემოიაროს, მაგრამ პირველ ყოვლისა საჭიროა ჩინური და ინგლისური ენების მცოდნე იაპონელი მოძებნოს. პარკ-ოტელში მისი მოლაპარაკების ცდა წარუმატებლად დამთავრდა. ჯიბიდან სარეკლამო ბროშურა ამოიღო და გადაათვალიერა. „ოჰო, აქ სათქვამია, იაპონელები ოტელ „მირამირში“ ამჯობინებენ გაჩერებასო. ალბათ, იქ იქნება იაპონელი მოსამსახურე.

ინტუიციამ არ უღალატა მორიტას. პარკ-ოტელთან ახლოს მდებარე „მირამირის“ პორტიემ მაშინვე მოუსმო იაპონელ მოსამსახურეს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ნომერი გნებავთ? — მიმართა მან მორიტას.

— მადლობთ, თქვენთან სხვა სახის თხოვნა მაქვს. მინდოდა გამეგო, რომელ ოტელში გაჩერდა კაცი, გვარად იამანე.

— ოჰ, ბეისბოლისტი, მან სწორედ ჩვენთან აიღო ნომერი, — უცბად მიუგო იაპონელმა.

— მე კორესპონდენტი ვარ, — წარუდგა მორიტა და თავისი სადარბაზო ბარათი გაუწოდა. — თუ იამანე თავისთანაა, მისი ნახეა მსურდა.

— სამწუხაროდ, ახლა აქ არ არის.

— როდის დაბრუნდება?

— არ ვიცი.

— ჩვეულებრივ, გვიან ბრუნდება?

— სიმართლე რომ გითხართ, თითქმის არ არის აქ.

— არც ღამით?

— არა.

იაპონელი მოსამსახურე მორიტას სადარბაზო ბარათის დანახვაზე უცებ რატომღაც გულახდილი გახდა. მორიტა იმწამსვე მიხვდა, რომ იამანეს აქ მხოლოდ თვალის ასახვევად ჰქონდა ნომერი აღებული.

— ახლა ძალზე დაკავებული ხარ? — ჰკითხა იაპონელს.

— არა, არც ისე.

— იქით გავიდეთ, წავისაუბროთ, — რეპორტიორმა ჰოლში გაიყვანა ის.

— მაშასადამე, იამანე საერთოდ არ არის აქ?

— როგორ არა. დღეში ერთხელ ცოტა ხნით შემოირბენს ხოლმე. ამ დროს მას ტელეფონით ურეკავენ და მაშინვე მიდის.

— ქალი ურეკავს?

— როგორ გითხრათ, — ორეზოფულად უპასუხა იაპონელმა და გაიღიმა.

მორიტას მოეჩვენა, რომ იმას იამანე ეჯავრებოდა. იქნებ შურდა კიდეც: აქ ნომერი აქვს, ქალთან სხვაგან ერთობა — და ყოველივე ამისთვის ფულიც აქვს. მორიტამ ათდოლარიანი კუპიური ამოიღო და ძალით ჩაუტენა იაპონელს ჯიბეში. მან შიშით მიმოიხედა ირგვლივ, მაგრამ ფულზე უარი არ უთქვამს.

— შემთხვევით, იმ ქალს, იამანეს რომ ურეკავს, კურატა ხომ არ ჰქვია?

— ესეც ცნობილია თქვენთვის? — გაოცდა მორიტას შემყურე იაპონელი.

რეპორტიორმა რამდენიმე წუთში შეძლო იმის გარკვევა, რომ კურატა მხოლოდ მაშინ რეკავდა, როდესაც იამანე ოტელში ბრუნდებოდა და თანაც ზარი. როგორც წესი, პარკ-ოტელიდან იყო.

— ჩემთან ერთად ხომ ვერ წამოხვალ პარკ-ოტელში? — სთხოვა მორიტამ. — საქმე ისაა, რომ ჩინური არ ვიცი, ხოლო ინგლისურად დიდი გაჭირვებით ვაგებინებ, არც პარკ-ოტელის პორტიეს ესმის ჩემი.

ათდოლარიანმა თავისი საქმე გააკეთა. იაპონელმა პორტიეს წასვლის ნებართვა სთხოვა და ისინი პარკ-ოტელისაკენ გაემართნენ.

ხუთი წუთის შემდეგ მორიტამ უკვე იცოდა, რომ ესიკო კურატა ცხოვრობს ექვსას მეთორმეტე ნომერში, ჩამოვიდა სამი დღის წინ და კიდევ ორი დღე აპირებდა დარჩენას. გაიგო აგრეთვე მისი მისამართიც ტოკიოში: სეტაგაის რაიონი, გოტოკუძი, 201.

— იაპონელი მამაკაცი ხომ არ დაგინახავთ მასთან ერთად? — მოხალისე თარჯიმნის საშუალებით შეეკითხა მორიტა.

— დიახ, მაგრამ მათთან ერთად ჩვეულებრივ კიდევ ერთი ქალი იყო ხოლმე.

— ისიც ამ ოტელში ცხოვრობს?

— დიახ.

— ჰკითხეთ, ვინაა იგი.

ჩინელი პორტიე შეყოყმანდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მორიტას თანამგზავრი მისი დიდი ხნის ნაცნობი იყო და სარეგისტრაციო წიგნის გადაფურცვლის შემდეგ ბურთულიანი კალმისტრით ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაც დაწერა. იაპონელმა მაშინვე გადაუთარგმნა:

— ხაცუკო იდოსარა, ნომერი ექვსას ოცდაათი, ტოკიოს მისამართი: საბუის რაიონი...

უცნაური გვარია — იდოხარა, გაიფიქრა რეპორტიორმა.

იაპონელთან ერთად მეექვსე სართულზე ავიდა და მორიგესგან გაიგო, რომ იაპონელი მამაკაცი დროის უმეტეს ნაწილს ხაცუკო იდოხარას ნომერში ატარებს.

მორიტასათვის ნათელი გახდა: იამანე ხვდება ხაცუკოს, რომელიც თავის მეგობარ ქალს, კურატას კამუფლაჟისათვის იყენებს. სწორედ ამიტომაა, რომ, ჩვეულებრივ, სპორტსმენს „მირამირში“ ხაცუკო კი არა, კურატა ურეკავს.

დაბრუნება იაპონიაში. პირისპირ საუბარი

საღამოს რვა საათისათვის თვითმფრინავი, რომლითაც იდოხარა მოფრინავდა, ხანედას აეროდრომზე დაეშვა. საბაჟო ფორმალობების გავლის შემდეგ იდოსარა გავიდა ჰოლში, სადაც მას დამხვდურები ელოდნენ.

იდოხარამ ოდნავ გაუღიმა მათ და გასასვლელისაკენ წავიდა. მისი გარეგნობა — ღრმად ჩავარდნილი თვალები, დიდი ცხვირი, თხელი ტუჩები და წაწეტილი ნიკაპი — სიმპათიას არ იწვევდა.

დამხვდურთა შორის იყვნენ მისი კომპანია „ორიენტის" ორი დირექტორი, ორი პირადი მდივანი და აგრეთვე აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის ერთ-ერთი მმართველი.

— მოუთმენლად ველოდით თქვენს დაბრუნებას, — უთხრა მმართველმა.

— დიახ, ყოველივე ეს ძალზე მოულოდნელია. — იდოხარა სუგინუმას სიკვდილს გულისხმობდა. — სწორედ იმ დროს ვანში ვიყავი. დეპეშა პარიზის ოტელიდან იქ გადმოგზავნეს. უბრალოდ, არ მჯერა, რომ ბატონი სუგინუმა ცოცხალი აღარ არის.

— ეს ჩვენთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნიშნავდა. დაწვრილებით ამბებს მოგვიანებით გაცნობებთ. ახლა კი პრეზიდენტი გელოდებათ თავის სახლში. მესმის, რომ დაღლილი ბრძანდებით, და მაინც გთხოვათ, მაშინვე მასთან მიბრძანდეთ.

— რასაკვირველია. სწორედ ამიტომ შევწყვიტე მოგზაურობა.

მდივანი სასწრაფოდ გაიქცა და მანქანა მოიყვანა.

— მაპატიეთ, მაგრამ ჩემი მანქანით წავალ. გზაში ჩემი არყოფნის დროს დაგროვილ საქმეებზე ვისაუბრებთ, — უთხრა იდოხარამ მმართველს, რომელსაც უკვე მოესწრო აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის კუთვნილი მანქანის კარის გაღება.

იდოხარა მივიდა თავის მანქანასთან, სადაც მას ელოდა „ორიენტის" დირექტორი ჩემოტო. წამოწეულყვრიმალებიანი და მოკლე, ყაღარა, გაბურძგნილთმიანი ხანშიშესული კაცი.

— სუგინუმას სახლისაკენ, — უბრძანა მან მძღოლს. შემდეგ იდოხარასაკენ მიბრუნდა და უთხრა: — პრეზიდენტს ძალიან უნდა თქვენი ნახვა. არავინ ელოდა სუგინუმას ასე მოულოდნელ სიკვდილს.

— რისგან გარდაიცვალა? — შეეკითხა იდოხარა, თან სიგარეტს აბოლებდა.

— გულის შეტევისაგან. აბაზანის შემდეგ შიშველი გოგონები შემოეხვივნენ და მასაჟი დაუწყეს. მასაჟის დროს გრძნობა დაკარგა. მეორე დილით ცოტა ხნით გონს მოვიდა, კოიტი მოიხმო და ხელისგულზე თითებით რაღაც დაუწერა. ანდერძის მაგიერ.

— მაინც, რა დაწერა?

— თქვენი სახელი. კატაკანათი [1].

— ამის შესახებ კიდევ იცის ვინმემ?

— მხოლოდ პრეზიდენტმა კოიტიმ და მისმა უახლოესძა რამდენიმე კაცმა, რომელთაც თვითონვე უთხრა.

— გასაგებია. — იდოხარამ გაიფიქრა, რამდენად წინდახედული იყო, რომ თავის დროზე სუგინუმას ახლობელთაგან ზოგიერთი მოისყიდა. — მაშასადამე, გამგეობის თავმჯდომარემ შესთავაზა კოიტის, დაუყოვნებლივ გამოვეძახე?

— დიახ. ალბათ, საქმეების მისაღებად. ბოლო დროს სუგინუმას ძალიან აწუხებდა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის ბედი. ბოლო წუთამდე ფიქრობდა ამის შესახებ — ამიტომაც დაწერა თქვენი სახელი.

იდოხარამ და ნემოტომ უსიტყვოდ შეხედეს ერთმანეთს თვალებში. სპეციალურად იდოხარასათვის გამოგზავნილი მანქანით ისინი გზატკეცილზე მიქროდნენ.

* * *

ორმოცი წუთის შემდეგ იდოხარა მუხლმოყრილი, თავდახრილი იდგა დიდი საოჯახო საკურთხეველის წინ, რომელზეც სუგინუმას ნეშტიანი ურნა იდგა. ოდნავ უკან ასევე მუხლმოყრილები იდგნენ კოიტი და მისი ცოლი. დროდადრო კოიტი თვალს შეავლებდა ხოლმე სალოცავ პოზაში დახრილი იდოხარას ზურგს.

იდოხარამ ხელი გაიშვირა სულის მოსახსენიებელი ზანზალაკისაკენ და ზონარი მოსწია. გაისმა მელოდიური წკარუნი. შემდეგ წამოდგა და კოიტისაკენ მიბრუნდა.

— სიტყვები არ მყოფნის ჩემი ღრმა მწუხარების გამოსათქმელად ჩვენი გამგეობის პატივცემული თავმჯდომარის სიკვდილთან დაკავშირებით, — წარმოთქვა ასეთი შემთხვევისათვის წინასწარ დაწე-

[1] კატაკანა — იაპონური მარცვლოვანი ანბანი.

სებული სიტყვები. — ჩვენ დაეკარგეთ დიდი ადამიანი, ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია არა მარტო ფინანსური წრეებისათვის, არამედ მთელი იაპონიისათვისაც. მით უმეტეს, რომ ჩვენს ეკონომიკას უაღრესად ძნელი ხანა დაუდგა.

იდოხარამ იგრძნო, რომ მისი სიტყვები ძალზე ოფიციალურად ეღერდა და დაუმატა:

— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მშობელი მამა დამეკარგოს. განსვენებულ თავმჯდომარეს უნდა ეუმადლოდე ყველაფერს, რასაც აქამდე მივაღწიე. თავისი მფარველობის ქვეშ რომ არ ავეყვანე, ისეთივე არარაობად დავრჩებოდი, როგორიც ადრე ვიყავი. ცოტა ხანიც რომ ეცოცხლა, ალბათ, შეეძლებდი მისი სიკეთის გადახდას. მაგრამ... დროზე ადრე დაგეტოვა და წავიდა იმქვეყნად...

ამ მდგომარეობაში, ალბათ, ანდერძსაც ვერ დატოვებდა,—უფრო საქმიანი კილოთი დაუმატა იდოხარამ.

— დიახ, და ის, ალბათ, ბოლო წუთებში ძალზე იტანჯებოდა ამის გამო. — მიუგო კოიტიმ და თვალები დახარა.

— ვერაფერს იზამ, მას დიდად სწამდა თავისი ჯანმრთელობისა, და ყველა მის ირგვლივ მყოფიც დარწმუნებული იყო, რომ ვერაფერი სძლევდა. — ამოიოხრა იდოხარამ. მას ეშვი არ ეპარებოდა, რომ კოიტიმ მშვენივრად იცოდა, როგორ ატარებდა დროს სუგინუმა.

— ჩვენ ვაფრთხილებდით მას, — ჩაერია საუბარში კოიტის ცოლი და თვალებზე ცხვირსახოცი მიიდო, მაგრამ ცხვირსახოცი არ დასველებულა.

— მაპატიე, მოსალაპარაკებელი მაქვს იდოხარასთან, — უთხრა ცოლს კოიტიმ.

ისინი გვერდით ოთახში გავიდნენ, ცოლმა თვალი გაადევნა მათ.

ნახევარი საათის შემდეგ იდოხარამ დატოვა სუგინუმას სახლი.

ცოლ-ქმარმა კოიტიმ და კომპანიის სამმა თანამშრომელმა გასასვლელამდე გააცილეს იგი.

— როდის სრულდება პირველი შვიდი დღე? — შეეკითხა კოიტის იდოხარა და ხელზე პალტო გადაიგდო.

— ზეგ საღამოს.

— მაშინ ისევ მოვალ განსვენებულის ნეშტთან სალოცავად.

— ნუ შეწუხდებით, თქვენ ხომ მეტისმეტად დაკავებული

ხართ.—კომპანიის დღევანდელ საქმეებში ჩაუსედავი კაცი იფიქრებდა, კოიტი ერიდება იდოხარას ზედმეტად შეწუხებასო.

— არა, აუცილებლად მოვალ. ის ხომ ჩემი კეთილისმყოფელი იყო.

— გელოდებით, — მოკლედ ძიუგო კოიტიმ.

იდოხარა მანქანაში ჩაჯდა და გამცილებლებს თავი დაუკრა.

— კანტორაში წავიდეთ? — შეეკითხა მძღოლი. იგი კარგა ხანია იდოხარასთან მუშაობდა და მისი ერთგული კაცი იყო.

— ჰო. — იდოხარა დადუმდა და ჩაფიქრებული გაჰყურებდა ტოკიოს ღამის სინათლეებს. მძღოლს კარგად ჰქონდა შესწავლილი პატრონის ხასიათი და არ ურღვევდა დუმილს.

— ოკამურა, — წამოიწყო ლაპარაკი იდოხარამ. — ჩემი მეუღლე დათქმულ დროს გაემგზავრა?

— დიახ. — მძღოლმა ოდნავ დაუქნია თავი. — ხანედას აეროპორტამდე გავაცილე.

— მარტო იყო?

— არა, ქალბატონ კურატასთან ერთად გაემგზავრა.

იდოხარამ სიგარეტი გააბოლა. უკან მომავალმა მანქანამ უცებ ხმამაღალი სიგნალები მისცა. მძღოლმა დაამუხრუჭა. მანქანა გვერდით გაჩერდა, იქიდან ნემოტო გადმოხტა და იდოხარასთან გადაჯდა.

— მაპატიეთ, ბატონო. მეგონა, იქ მეტ ხანს შეყოვნდებოდით, მაგრამ როდესაც მოვედი, მითხრეს, უკვე წაბრძანდაო. ძლივს მოგაკვლიეთ, — ქოშინით ჩაილაპარაკა ნემოტომ.

— დაბერდი, მაგრამ ძველი ჩვევები მაინც შემოგრჩა. — უთხრა იდოხარამ.

ნემოტომ გაიცინა.

— როგორ წარიმართა საუბარი კოიტისთან? — შეეკითხა ის და სიცილი შეწყვიტა.

— როგორც ვეარაუდობდი. ზეგ სუგინუმას გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეა. შემომთავაზა, რომ ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და საუბარი განვაგრძოთ.

— გასაგებია. სხვაგვარად ყველა დაიწყებს გამორკვევას, თუ რატომ მოუხშირეთ კოიტისთან სიარულს. ეს კი ხელსაყრელი მიზეზია.

— სწორია.

— ბატონო, ახლა თქვენი მოქმედების დრო დადგა. ძოსარიდე-

ბელი აღარაფერია. კაცი, რომელმაც თქვენ დაგაწინაურათ, მაგრამ შემდეგ ფრთხილობდა, აღარაა.

დიახ, ფიქრობდა ამ დროს იდოხარა, მართლაც ბედმა გამიღიმა. რომ სუგინუმა მოკვდა. ახლა შემიძლია აშკარად ვიმოქმედო. საინტერესოა, რაოდენ ღრმად ჩასწვდა ჩემს ფიქრებს ეს ნემოტო, რომელიც ახლა გვერდით მიზის! ყველაფერი, რაც, ალბათ, ჩემს შესახებ იცის, — ჩემი წარსულია და მეტი არაფერი.

იდოხარამ ნემოტოს გადახედა და სახეში თამბაქოს კვამლი შეაბოლა.

ჭალი, რომელიც ოტელში ცხოვრობდა

„ორიენტის“ შესასვლელთან იდოხარას დახვდა მისი პირადი ძდივანი, რომელიც აეროპორტიდან პირდაპირ აქ წამოვიდა. კომპანიის გამგეობის ყველა წევრი, ნემოტოს გარდა, უკვე შეკრებილიყო და მეოთხე სართულის სხდომათა დარბაზში პრეზიდენტს ელოდნენ. ნემოტო იდოხარას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა და, როგორც ჩანს, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა პრეზიდენტთან. თუმცა დირექტორ-მმართველის პოსტი ეჭირა, მაგრამ კონკრეტულ საქმეს არ აკეთებდა. ჩაბარებული ჰქონდა კომპანიის საზოგადოებრივი კონტაქტები, მაგრამ არც ამ სფეროში იჩენდა დიდ გულმოდგინებას.

სხდომათა დარბაზში თამბაქოს კვამლი ბოლქვებად ადიოდა. იდოხარა რომ შემოვიდა, ყველა წამოდგა და ერთსულოვნად მიესალმნენ.

— მშვიდობით დაბრუნებას გილოცავთ, — მიმართა შვილობილმა სიოძიმ, რომელიც „ორიენტშივე“ მსახურობდა. სიოძი ხაცუკოს ძმისწული იყო და ვინაიდან მასა და იდოხარას საკუთარი შვილები არ ჰყავდათ, ის იშვილეს. დარბაზში იმყოფებოდა სიოძის ბიძაშვილი—რიოსაბუროც—იდოხარას პირველი ცოლის ძმისწული. „ორიენტის“ კომპანიის პრეზიდენტის ოჯახში ისიც შვილობილად იყო მიღებული.

იდოხარამ ადგილი დაიკავა იმ მაგიდის თავში, სადაც ლუდის ბოთლები და ცივი საუზმე ეწყო. მის შემდეგ მაგიდას მიუსხდა „ორიენტის“ შვიდი დირექტორი. მათ შორის მმართველები, ნემოტო და კასამა. გენერალური დირექტორის თანამდებობა იდოხარას ჯერ-

ჯერობით არ დაეწესებინა, მაგრამ მომავალში ამ პოსტზე თავის აღზრდილ სიოძის ეარაუდობდა.

— ბატონო პრეზიდენტო, ნება მიბოძეთ, ყველა აქ მყოფის სახელით მოგილოცოთ მშვიდობიანად დაბრუნება, — უთხრა ასაკით ყველაზე უფროსმა კასამამ და ლუდიანი კათხა ასწია.

— გმადლობთ, — გაუღიმა იდოხარამ. მაგრამ სახეზე კვლავ პირქუში გამომეტყველება აღბეჭდოდა.

საუბარი სუგინუმას სიკვდილს უფრო ეხებოდა, ვიდრე იდოხარას საზღვარგარეთ მოგზაურობას. ყველამ იცოდა, რომ იდოხარა მისი განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა, და მზად იყვნენ მისთვის მიესამძიმრებინათ.

— ვიცოდი, მოხუცი სუსტად იყო, მაგრამ არ მეგონა, ასე მალე თუ მოკვდებოდა, — მშვიდად თქვა იდოხარამ. — დაწვრილებით ახლა გავიგე მიცვალებულის ოჯახისაგან. დიდი ადამიანი გახლდათ, და ახლა კომპანიის საქმეების გაძღოლა იოლი არ იქნება. რაც უნდა იყოს, პრეზიდენტი კოიტი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. „ამიტომ სწორედ თქვენ გთხოვეს ხელში აიღოთ კომპანიის მმართველობის სადავეები“, — თავიანთ გულებში დაუმატეს იქ მყოფებმა — ამის შესახებ ხმამაღლა ლაპარაკი აქ არ შეიძლებოდა.

— მოხუცმა მთელი სიცოცხლე ისე გაატარა, როგორც მოესურვებოდა. არც სიცოცხლის ბოლოს უთქვამს უარი ზოგიერთ ჩვეულ სიამოვნებაზე, — დაუმატა იდოხარამ. ამის შემდეგ ყველამ შვებით ამოისუნთქა და მხიარულად გაიცინა. — ჩემს არყოფნაში, ალბათ, ბევრი საქმე დაგროვდა, მაგრამ ხვალ გავერკვევით.

ნემოტო იდოხარას შეჰყურებდა და ფიქრობდა, ამ რამდენიმე საათის მანძილზე პატრონს ორმაგად მოემატა თავისი თავის რწმენაო.

— თქვენც დაღლილი იქნებით მგზავრობით, — თქვა კასამამ — მოდით, ამით დავამთავროთ თათბირი.

შემდეგ წამოდგა აქამდე მდუმარედ მყოფი ნემოტო.

— დღეს ნამდვილად მნიშვნელოვანი დღეა, — წამოიძახა მან. — და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი პრეზიდენტი ჯანმრთელი დაბრუნდა მოგზაურობიდან. ამიერიდან მას უდიდესი წინსვლა ელის— აი, რატომ მიმაჩნია დღევანდელი დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვნად.

ნათქვამის აზრი ყველამ გაიგო: სუგინუმას სიკვდილმა იდოხარას

ახალი პერსპექტივები გადაუშალა. უკვე აღარავინ აპირებდა სუ-გინუმას სიკვდილის გამო იდოხარასათვის თანაგრძნობის გამოხატ-ვას.

— ნუ ლაპარაკობ სისულელეებს! — იდოხარამ ნემოტოს პანეგი-რიკი შეაწყვეტინა და მაგიდიდან წამოდგა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ თათბირი დამთავრდა.

იდოხარა თავის კაბინეტში გავიდა. მას სიოძი და რიოსაბურო შეჰყვნენ. თათბირის სხვა მონაწილენი კარს მიღმა დარჩნენ.

— კოიტის არაფერი უთქვამს თქვენთვის, როცა განსვენებულის ნეშტთან სალოცავად მიხვედით? — შეეკითხა სიოძი.

— რაღაც მითხრა, მაგრამ ამაზე როგორმე სხვა დროს, — მიუგო იდოხარამ და საკვოიაყიდან ორი პატარა კოლოფი ამოიღო. — ეს თქვენს ცოლებს მიართვით, ბრილიანტებია ამსტერდამიდან. არ ვი-ცი, მოეწონებათ თუ არა ჩემი არჩეული.

— ხაცუკოს შეატყობინეთ თქვენი დაბრუნების შესახებ? — შე-ეკითხა სიოძი და თვალი შეავლო დატენილ საკვოიაყს.

— არა, არც დამირეკავს და არც დეპეშა გამიგზავნია, ღირს კი მისი მოგზაურობის წეწყვეტა? ის ჩემ კარგა ხანია ელოდა ამ მოგზაურობას.

იდოხარამ პირადი მდივანი ოკუნო მოიხმო და ახალგაზრდები მაშინვე გავიდნენ კაბინეტიდან.

— ჩემთან ერთად წამოხვალ, — თავიც არ მოუბრუნებია, ისე მია-ძახა და კარისკენ გაემართა. ოკუნომ საკვოიაყს დასტაცა ხელი და უკან გაჰყვა. სხდომათა დარბაზში დარჩენილმა გამგეობის წევრებმა იდოხარა მანქანამდე მიაცილეს.

— ავასაკუში წავიდეთ, — უბრძანა მძღოლს, — აბა, როგორაა იქ საქმე. ყველაფერი წესრიგშია? — მიუბრუნდა ოკუნოს.

— დიახ, სახლში მივაცილე.

იდოხარას რომ დახვდა, ოკუნო მაშინვე არ დაბრუნებულა კანტო-რაში. საკმაოდ დიდხანს დარჩა აეროპორტში. როგორც ჩანს, ვილაცას ელოდა.

— ჩემ არაფერი დაგაბარა ჩემთან?

— არა.

— კიდევ ვინ დახვდა?

— დედა და უფროსი და.

— ძალიან გასუქებულა მისი უფროსი და. ვერ დაიჯერებ, რომ დები არიან.

იდოხარამ სპკვოიაკიდან ორი პატარა კოლოფი ამოიღო, ჯიბეში ჩაიდო, შერე საკვოიაკი ოკუნოს გადასცა.

— სახლში წაიღე და ოსიმას უთხარი, დამალოს და ჩემი ნებართვის გარეშე არავის აჩვენოს.

ოკუნომ თავი დაუქნია.

— ბატონო, სიტყვამ მოიტანა და, გუშინწინ კიამამ დარეკა და თქვა, რომ ჩამოსვლისთანავე სურს თქვენი ნახვა.

— კიამამ „ფინანსებიდან?“ ვერაფერს იტყვი, ალლოიანია.

ჟურნალ „ფინანსების“ მეპატრონემ, კიამამ, ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე თავისი ჟურნალი პირველხარისხოვან გამოცემად გადააქცია. იდოხარას ბევრჯერ სთხოვა, რაიმე მოეთხრო თავის თავზე, რათა ნარკვევი გამოექვეყნებინათ მის შესახებ, მაგრამ იმ საბაბით, ჯერჯერობით ღირსეული ადგილი არ დამიკავებია ფინანსურ სამყაროში და ჩემზე წერა ნაადრევიაო, იდოხარა უარს ეუბნებოდა.

მანქანა ოტელთან შეჩერდა. იდოხარა ჰოლში შევიდა და ყურადღებით შეათვალიერა იქაურობა.

მელიფტემ მდაბლად დაუკრა თავი და უსიტყვოდ დააჭირა თითი მეთერთმეტე სართულის ღილაკს. ნათელი იყო, რომ იდოხარა პირველად როდი მოდიოდა აქ.

— გმადლობთ,—წაიბუტბუტა იდოხარამ და მელიფტეს ხუთმანეთიანი კუპიური ჩასჩარა ხელში.

— ბედნიერად დაბრუნებას გილოცავთ, — ბიჭუნამ კვლავ დახარა თავი.

ალბათ, მინაკოსაგან გაიგო ჩემი საზღვარგარეთ მოგზაურობის ამბავი, — გაიფიქრა იდოხარამ. მინაკო იყო ცნობილი კინოვარსკვლავი, მისი სცენური სახელი იუკიკო გახლდათ. ჩვენ-ოლ-ე წლის წინ ხშირად იღებდნენ ფილმებში, სადაც პრინცესების როლებს ასრულებდა. ახლა კინოს სამყაროში აღარავის ახსენდებოდა, მაგრამ ახალგაზრდებს შორის კვლავ პოპულარობით სარგებლობდა.

ლიფტიდან გამოსული იდოხარა გრძელ, ბნელ კორიდორს გაუყვა, საჭირო ნომერთან შეჩერდა და დააკაკუნა.

კარი მაშინვე გაიღო და კორიდორში წითელხალათიანმა ქალმა გამოიხედა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — ჩუმად უთხრა მან. ბედ-

ნიერებისაგან თვალები უბრწყინავდა. იდოხარა შეუშვა და კარი დაკეტა. ნომერი, რომელსაც ცალკე ჰქონდა საძინებელი ოთახი, მშვენივრად იყო მოწყობილი. კედელთან იდგა ძვირფასი დივანი, მაგიდის ირგვლივ — ტყავის ოთხი სავარძელი, კუთხეში — ტიტას ფორმის აბაჟურიანი წითელი ტორშერი. მინაკომ იდოხარას პალტო გახადა და მიეხუტა.

— როგორ მიხარია თქვენი ნახვა, — წასჩურჩულა მან. კისერზე სუნამოს მძაფრი სუნი ასდიოდა.

იდოხარამ ცალი ხელი შესუქებულ წელზე მოხვია, მეორეთი ნიკაპი აუწია. მინაკომ ხანგრძლივი კოცნით უპასუხა, შემდეგ ძლივს მოითქვა სული და იდოხარა თავიდან ბოლომდე შეათვალიერა. წამწამები ცრემლებისაგან დასველებოდა.

— თქვენი დეპეშა რომ მივიღე, სიზმარი მეგონა. თქვენს ჩამოსვლას ხომ მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ველოდი, — წაიჩურჩულა მოჭარბებული გრძნობებისაგან აცახცახებულმა მინაკომ.

— სუგინუმა გარდაიცვალა და მისმა შვილმა მთხოვა, სასწრაფოდ დავბრუნებულიყავი, — უთხრა იდოხარამ და თან იმას ფიქრობდა, ბოლო დროს მინაკო ზომაზე მეტად გასუქდა და ახლა ალარავინ შესთავაზებს ახალგაზრდა ქალიშვილების როლებსო. თვითონ იდოხარას კი მუდამ გამხდრები ერჩია — ისეთები, როგორიც ის ქალია, ვისთან ერთადაც ახლა საზღვარგარეთ იმოგზაურა.

— რა კარგია, რომ მაშინვე ჩემთან მოხვედით, — წამოიძახა მინაკომ, თან კარადაში მის პალტოს კიდებდა. — აბაზანა თქვენთვის მზადაა, იმედია, წყალი ჯერ არ გაცივებულა.

— მოიცა, ჯერ ცოტას დავისვენებ. — იდოხარა სავარძელში ჩაჯდა და გააბოლა. — სიტყვამ მოიტანა და, პალტოს ჯიბეში შენთვის საჩუქარია.

— ხელავ რა არის?

— შემდეგ ნახავ. ჩემი გემოვნებით შევიძინე — არ ვიცი, მოგეწონება თუ არა.

— თქვენი ბარგი სადღაა?

— ოკუნოს გავატანე სახლში. საინტერესო არაფერია.

— არა მჯერა. უბრალოდ, არ გინდოდათ, რომ ცოლისთვის ჩამოტანილი საჩუქრები მენახა. ტყუილად შიშობთ — როგორი ახალგაზრდაც უნდა იყოს ის, მაინც არ ვთვლი ჩემს მეტოქედ. — მინაკომ გააბოლა. ის უკვე ალარ იღიმებოდა.

მეორე დილით იდოხარამ დაახლოებით ათი საათისათვის გამოიღვიძა, ღამის პატარა მაგიდიდან სიგარეტი აიღო და ლოგინიდან არ წამომდგარა, ისე გააბოლა. საბაზანოდან წყლის ხმაური და მინაკოს სიმღერის ხმა მოისმოდა. კარგ გუნებაზე იყო. ალბათ, უკვე ნახა საჩუქრად მიღებული ბრილიანტის ბეჭედი, გაიფიქრა იდოხარამ.

ოტელში მინაკოს დაბინავება მისი იდეა იყო. ასეთი მდგომარეობა უფრო ნაკლებ ავალდებულებდა. სულაც არ იყო ხელსაყრელი სახლის ყიდვა: მეტიც დაეხარჯებოდა და გაცილებით შეზღუდულიც იქნებოდა. მიწა მეტისმეტად გაძვირდა, მშენებლობასა და სახლის მოწყობაზე უამრავ ფულს გაფლანგავდა და მოსამსახურეც უნდა დაექირავებინა.

არც სასტუმროს ნომერი ღირდა იაფი, მაგრამ როცა მოისურვებდა, მაშინ შეეძლო მინაკოსთან დაშორება: საკმარისი იყო ნომრის ფული აღარ გადაეხადა. თანაც, ოტელში ცხოვრება თითქოს თანდათან აჩვევდა ქალს იმ აზრს, რომ მათი ურთიერთობა დროებითი იყო და გაცილებით იოლად დაშორდებოდნენ ერთმანეთს, თუ ამის აუცილებლობა წარმოიქმნებოდა.

მინაკო არ ჩქარობდა აბაზანიდან გამოსვლას. ჯერ არ იცოდა, რომ იდოხარამ უკვე გაიღვიძა. ის ქალი, ვისთან ერთადაც ევროპაში იმოგზაურა, მინაკოზე გაცილებით ახალგაზრდა იყო. იდოხარამ გაიფიქრა, რომ ბოლო დროს ახალგაზრდა გოგონები იზიდავდა. ნეტავ, მოახლოებული სიბერის ნიშანი ხომ არ იყო? იმიტომ ხომ არ გრძნობდა თავს თავის ასაკთან შედარებით ხნიერად, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთთავად რაღაც მიზნისაკენ ისწრაფოდა? ჩვიდმეტი წლისა სოფელში მიწას თოხნიდა, ცხრამეტი წლისა იქიდან წამოვიდა, შემდეგ დაიწყო ხიფათითა და რისკით აღსავსე ცხოვრება. ომის დროს კონტინენტზე იბრძოდა, ხოლო როდესაც ომი დამთავრდა, ხელი მიჰყო ისეთ ბნელ საქმეებს, რომლებიც თითქმის დანაშაულს უდრიდა. არა, მის განვლილ გზას არაფერი ჰქონდა საერთო სხვა მეწარმეების ცხოვრებასთან. ალბათ, ამიტომ დაუღალა უდროოდ ნაოჭებმა სახე. უკვე დიდი ხანია შეეჩვია იმას, რომ ყველას უკვირდა და, უბრალოდ, არც სჯეროდათ, როდესაც პირველად გაიგებდნენ ხოლმე მის ნამდვილ ასაკს.

გასაოცარი გახლდათ მისი სახის პირქუში გამომეტყველება: არა,

ის არ იყო იმ გარეგნობის მამაკაცი, ქალებს რომ მოსწონთ: გამელოტებული თავი, თხელი წარბები და ნაოჭებისაგან დაღარული სახე ჰქონდა, მისი ასაკის გლეხიც კი, ალბათ, გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

იდოხარამ ნამწვი საფერფლეში ჩააქრო, საწოლიდან წამოდგა, ფეხები ფლოსტებში წაჰყო და წავიდა კარისაკენ, სადაც ჰუჰრუტანაში გაზეთი იყო გაჩრილი. აიღო იგი და ისევ საწოლში დაბრუნდა.

საბაზანოს კარი ოდნავ გაიღო და მინაკომ გამოიხედა.

— უკვე გაიღვიძეთ? აბაზანის მიღებას ხომ არ ისურვებდით? — შეეკითხა ის.

იდოხარამ არაფერი უპასუხა, რადგან ამ დროს მისი ყურადღება მიიპყრო საკმაოდ დიდმა სტატიამ, რომლის სათაური იყო: „სუგინუმას კონცერნის ბედი. როგორია ახალი პრეზიდენტის კურსი — მოქმედების სფეროს შემცირება?"

სტატიაში აღნიშნული იყო, რომ განსვენებული სუგინუმა ყოველნაირად ცდილობდა თავისი საქმის გაფართოებას და ყველაფერს იტაცებდა, რაც ახლომახლო გამოჩნდებოდა. ზოგს მისი მოქმედება „ყაჩაღურად" მიაჩნდა. მართლაც, მას, უბრალოდ, მოსვენებას არ აძლევდა მეწარმეობის უსაზღვრო წყურვილი და მისწრაფება ყველაფერი თავის ხელში მოექცია. მაგრამ მის, ეგრეთ წოდებულ, კონცერნში შემავალი ბევრი საწარმო პრაქტიკულად არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და სწორედ ეს გახლდათ მისი აქილევსის ქუსლი. ის იტაცებდა ყველაფერს, რასაც სთავაზობდნენ, და ზოგჯერ არც ფიქრობდა, სჭირდებოდა, თუ არა.

სწორადაა შემჩნეული, — გაიფიქრა იდოხარამ. სუგინუმამ იწამა თავისი შეუმცდარობა, თავისი მეწარმეობრივი ტალანტი. ჩინოვნიკური ოჯახიდან გამოსულმა, თვითონვე შეიქმნა ილუზია, რომ ის არის არაჩვეულებრივი ადამიანი, ვინაიდან ასე საუცხოოდ შეუძლია თავისი სამფლობელოების გაფართოება, საზოგადოება კი თავისთავად მხარს უჭერდა ამ ილუზიას. მაგრამ ჯერ კიდევ სუგინუმას სიცოცხლეში აღარ არსებობდა ეს ილუზია, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ „სუგინუმას კონცერნი" კრახის ზღვარზე აღმოჩნდა.

ამიტომ, ასკვნიდა სტატიის ავტორი, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რა კურსს აიღებს ახალი პრეზიდენტი შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. სავსებით შესაძლებელია, მოღვაწეობის სფეროს მნიშვნელოვანი შემცირების გზას დაადგეს: გააუქმოს არა-

საჭირო წარმოებები და კომპანიები, შეწყვიტოს ბრძოლა კონკურენტ ფირმასთან და ზოგიერთ პუნქტში კომპრომისზეც კი წავიდეს.

იდოხარამ გაზეთი ბოლომდე წაიკითხა და მაგიდაზე მოისროლა. სხვა სტატიები არ აინტერესებდა.

ზუსტადაა ჩავლებული, — გაიფიქრა მან, მაგრამ ავტორს, კაცმა რომ თქვას, არაფერი აღმოუჩენია. სუგინუმასთან შედარებით ახლანდელი პრეზიდენტი კოიტი მოისუსტებს და მართლაც ვერ შეძლებს კონცერნს დღევანდელი მდგომარეობა შეუნარჩუნოს. და განა მარტო ის, სუგინუმას ნებისმიერი მემკვიდრე, ჭკუის კოლოფიც რომ იყოს, ვერ შეძლებს ამას. სუგინუმამ იმდენი სისულელე ჩაიდინა, რომ საეჭვოა, საერთოდ თუ შეეძლო მეწარმოებრივი საქმიანობა. მცოდნე კაცისათვის რომ მიეცათ საშუალება, მის საქმეებში გარკვეულიყო, თმები ყალყზე დაუდგებოდა. და სწორედ თავისი პოპულარობის შესანარჩუნებლად სუგინუმას არაერთხელ მიუმართავს მაქინაციებისათვის, სახელდობრ, თავისი კონცერნის საქმიანობის ფიქტიურ ბალანსებს ადგენდა.

მაგრამ სტატიის ავტორი ჯერაც ვერ ჩასწვდომოდა ბოლომდე საქმის არსს. არადა, იქმნებოდა სიტუაციები, როდესაც მოსამსახურეებს ხელფასსაც ვერ უხდიდნენ. ვინ ეხმარებოდა მაშინ სუგინუმას ძნელი მდგომარეობიდან თავის დაღწევაში და ვინ აძლევდა ნაღდ ფულ? ვინ დაფინანსა ის ორმოცდარვა და ორმოცდაცხრა წლებში, როცა მუშები ხელფასის მომატებისათვის იბრძოდნენ და საჭირო შეიქმნა დამატებითი სახსრები მუშებისათვის გადიდებული ხელფასის მისაცემად? ამის შესახებ ჯერჯერობით არავინ არაფერი იცოდა. ჟურნალ „ფინანსების“ მეპატრონე, ყოველისმცოდნე კიამამაც კი ვერაფერი მოუნოსა. მართალია, ზოგ რამეს, მგონი, ეკვობს, მაგრამ წვრილმანებს მაინც არ მოუყვანია. — ფიქრობდა იდოხარა. ვერც გავაკეთებ ამას, რადგან კიამას მაშინვე დაებადება კითხვა: საიდან გაუჩნია იდოხარას ამდენი ფული? ყველამ იცის, რომ ცხრამეტი წლის ამ ჯიბეგაფხეკილმა დატოვა ტოგიის პრეფექტურაში გადაკარგული ხიტარა სოფელი. ისიც იციან, რომ ომის დროს ჩიეულებრივი მოსამსახურე იყო რომელიღაც უმნიშვნელო კომპანიაში. თავისთავად დაიბადება ეკვი: ათას ცხრაასს ორმოცდარვა წელს საიდან გაუჩნდა ამ კაცს იმდენი ფული, რომ ყოველისშემძლე სუგინუმას მისცა?

მართალია, სუგინუმასთან დაახლოებულ პირთაგან ზოგიერთმა იცოდა, რომ იდოხარამ თითქოს სუგინუმას თავისი შეხედულებისა-

მეტრ გამოსაყენებლად ოთხმოცი მილიონი იენი მისცა, მაგრამ ეს ნამდვილი სისულელე გახლდათ! სუგინუმასთან ერთად მოგონილი სისულელე, იმ მითის შესაქმნელად, თუ რატომ ჰყავდა სუგინუმას იდოხარა თავისი მფარველობის ქვეშ.

სუგინუმას იცნობდნენ როგორც ძუნწ კაცს და ამის გამო არ უყვარდათ. თანაც ნამდვილი დიქტატორი იყო. არც თავის ხელქვეითებს ენდობოდა და არც გარედან მოსულებს. მაინც რა მიზეზით დაიახლოვა მოულოდნელად იდოხარა? ამის ასახსნელად საჭირო იყო მითის მოგონება. კაცმა რომ თქვას, მითებს ვერც მიუდგები ლოგიკური საზომით. რაც უფრო ძნელი გამოსაცნობია, რაც უფრო მისტიკური ხასიათისაა მითი, მით უფრო ნაკლებ ეჭვს იწვევს ხალხში. აი, რატომ გაჩნდა ზღაპარი იმის თაობაზე, თითქოს იდოხარამ ოთხმოცი მილიონი იენი აჩუქა სუგინუმას და სუგინუმამაც ამიტომ შეიყვარა და დაიახლოვა იგი.

სინამდვილეში კი სუგინუმა იდოხარასაგან იღებდა სესხებს, რაზედაც სათანადო ხელწერილები ჰქონდა. ყველაფერი ეს წარმოადგენდა მკაცრ საიდუმლოებას, რის შესახებაც მხოლოდ კომპანიის ფინანსური ოპერაციების მმართველმა იცოდა.

სიმართლე რომ ითქვას, იდოხარა არც ვარაუდობდა, რომ სუგინუმა ასე მალე განუტევებდა სულს, მაგრამ რადგან ეს მოხდა, დადგა დრო ანგარიში გაესწორებინათ და, თანაც, რაც შეიძლება, მალე. ამბობდნენ, სუგინუმამ თითით გამოიყვანა კოიტის ხელისგულზე მისი გვარიო. როგორც ჩანს, იდოხარა იმდენად აწუხებდა მას, რომ სასიკვდილო სარეცელზეც კი ვერ ივიწყებდა ვალებს.

წინა დღეს, საღამოს, როდესაც სუგინუმას ნეშტთან სალოცავად მივიდა, კოიტი ძალზე ფერმკრთალი მოეჩვენა. უთხრა, რომ უკვე ყველაფერი იცოდა მმართველისაგან და მდგომარეობის განხილვა სთხოვა. იდოხარამ სიცილით დააღწია თავი და უპასუხა, რომ მოგვიანებით მიხედავდა საქმეს. დიახ, დიახ, დაე, ინერვიულოს კოიტიმ — უფრო დამყოლი გახდება! ვანახებ იმ ცინგლიან პრეზიდენტს, როგორი სასტიკია ეს ქვეყანა. კარგი გაკვეთილი იქნება მისთვის. დაე, შემომხედოს მე. რამდენჯერ უმოწყალოდ დამჩაგრა ცხოვრებამ, გაპაცურა და ძირს დამანარცხა, ვიდრე დღევანდელ მდგომარეობას მივაღწევდი. მას კი ყველაფერი მზამზარეული დახვდა, რადგან სხვა წარმოშობისაა.

დიახ, წარმოშობა უმნიშვნელო როლს როდი თამაშობს! ეს კარგა

ხანია გაიგო და, როდესაც მოუკვდა პირველი ცოლი — მასავით მდა-ბიო წარმოშობის ქალი — იდოხარამ ძებნა დაუწყო კეთილშობილი გვარის საცოლეს, რომელსაც თავისი არისტოკრატულობით უნდა შე-ენიღბა მისი ბნელი წარსული. პრინცესასთანაც კი სცადა მაჭანკლების მიგზავნა, მაგრამ ზიზღით დაიწუნეს. და აი, რამდენიმე წარუმატებ-ელი ცდის შემდეგ, მაინც შეირთო გაღარიბებული გადამდგარი ვიცე-ადმირალის ქალიშვილი, რომლის დედა ძველ არისტოკრატულ გვარს ეკუთვნოდა. ბოროტი ენები არც თუ უსაფუძვლოდ ამტკიცებდნენ, ცოლი დიდძალი ფული დაუჯდაო, მაგრამ იდოხარა ცდილობდა ამგვა-რი მითქმა-მოთქმისათვის ყური არ დაეგდო. მან მიაღწია მთავარს: მი-სი ცოლი საზოგადოების მაღალ წრეს ეკუთვნის და მისდამი დამოკი-დებულება უნდა შეიცვალოს.

იმ საზოგადოებაში, რომელშიც ხაცუკო ტრიალებდა, კარგ ტონად ითვლებოდა, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთის საქმეებში არ ერე-ოდა, და იდოხარამ, ამ ტრადიციის პატივისცემით, სრული თავისუფ-ლება მისცა ხაცუკოს.

ხაცუკო ახლა სინგაპურში თუ ჰონკონგშია. იდოხარას დაეზარა ზედმეტად ჩაეხედა მისი მოგზაურობის პროგრამაში. მას თან ახლავს შეგობარი ქალი, რომელსაც ბევრ არისტოკრატულ ოჯახთან აქვს ნაცნობობა. იდოხარას მოსწონდა მთელი ეს მისთვის ადრე უცნობი ატმოსფერო. სიამოვნებდა ცოლის მუდმივი შეგრძნება გვერდით, ამა-ვე დროს, თითქოსდა შორიდან თვალთვალი...

— ისევ ლოგინში ხართ?—მინაკო სააბაზანო ოთახიდან გამოვიდა და იდოხარას მიუახლოვდა. ბრჭყვიალა ვარდისფერი ხალათი ეცვა, იშვიათი მწერის ფრთებს რომ მოგაგონებდათ. თავზე დოლბანდიით შემოეხვია ვარდისფერი თავსაფარი. — დროა, ადგეთ, შეხედეთ, რა მშვენიერი დღეა. — ფარდა გადასწია და ოთახში მზის სხივები შემო-იჭრა.

იდოხარამ დაამთქნარა, საბანი გადააგდო და წამოდგა.

— აბაზანას მიიღებთ?

— დიახ. — იდოხარა სააბაზანოში შევიდა. ცოტა ხანს იჭყუმპა-ლავა, შემდეგ, ჩვეულებისამებრ, სარკეში ჩაუხედავად დაიწყო პარსვა. როგორც კი სააბაზანოდან გამოვიდა, მაშინვე თეთრი პერანგი გადა-იცვა.

— უკვე მიდიხართ? — გაიოცა მინაკომ. — მე კი ვიმედოვნებდი, რომ დღევანდელ დღეს მაინც გავატარებდით ერთად.

— არ შემიძლია.

— თქვენი ცოლი ხომ სახლში არ არის, სამოგზაუროდაა.

იდოხარამ დუმილი ამჯობინა. სარკესთან მივიდა, თმა დაივარცხნა და მაგიდასთან დაბრუნდა. მოულოდნელად ყურადღება მიაქცია, რომ გაზეთი, რომელიც მან წაიკითხა, გადაშლილი იყო სხვა გვერდზე — იქ. სადაც კინოფილმებისა და სპექტაკლების რეცენზიებს ათავსებენ. ეტყობა, სწორედ ამ რეცენზიებს ათვალიერებდა მინაკო, სანამ ის აბაზანაში იყო. ალბათ, დღემდე ნაღელობს კინოზე, — გაიფიქრა იდოხარამ და შეებრალა მინაკო: ამ ქალმაც ხომ თავის თავზე გამოსცადა მარცხისა და დანაკარგის სიმწარე. და, მიუხედავად ამისა, უნდა დასცილდეს მას. ერთდროულად ორი საყვარლის ყოლა ძალზე ძნელია.

— მოხვალთ დღეს საღამოს? — გააწყვეტინა ფიქრი მინაკომ.

— ალბათ, არა, ვინაიდან ცოტა ხანს ძალზე დაკავებული ვიქნები.

კარადიდან პალტო გამოიღო, მაგრამ სანამ შეიკრავდა, პორტმონე ამოიღო, ათიათასიენიანი ოცი კუპიური გადათვალა და მაგიდაზე დადო.

ათი წუთის შემდეგ კანტორიდან გამოგზავნილი მანქანით უკვე თავისი სახლისკენ მიდიოდა. რაიონი, სადაც იდოხარა დასახლდა, მდიდრული სახლებით იყო განაშენიანებული და მათთან შედარებით მისი ორსართულიანი სახლი საცოდავად გამოიყურებოდა. იქამდე მისასვლელი გზა იმდენად ვიწრო იყო, რომ მანქანიდან უნდა გადმოსულიყავი და შესასვლელამდე ფეხით გევლო. მისი სახლი სავსებით შეეფერებოდა კომპანიის რომელიმე განყოფილების უფროსს და არა უთვალავი ფულის პატრონს.

სახლში იდოხარას მდაბალი სალმით შეხვდა ორივე შინამოსამსახურე ქალი — ოსიმა და აიაკო. იგი მეორე სართულზე ავიდა და კაბინეტში შევიდა. მისი კაბინეტი ცოლის, ხაცუკოს მდიდრულად მორთული ოთახისაგან განსხვავებით, პატარა და სადად მოწყობილი იყო.

შინამოსამსახურე ქალმა ოსიმამ კარზე დააკაკუნა და ჰკითხა, საჭმელს ხომ არ ინებებთო. მან უარი უთხრა.

— აი საკვოიაჟი, რომელიც ოკუნომ გადმომცა შესანახად.

— გმადლობთ. — იდოხარა მისი არყოფნისას დაგროვილი კორესპონდენციის გარჩევას შეუდგა.

— ცოტა არ იყოს, დავიღალე, ყავა მომიმზადე. — მიმართა ჯერ კიდევ იქ მდგომ შინამოსამსახურე ქალს.

ტელეფონმა დარეკა. ოსიმამ ყურმილი აიღო და ბატონს გადასცა. ოკუნო რეკავდა. მან უთხრა, რომ გამგეობის წევრთა კრება დანიშნული იყო პირველი საათისათვის. იდოხარამ თხოვა, უფრო მოგვიანებით დანიშნეთო.

— საკვოიაჟი მომაწოდე, — უთხრა ოსიმას. იდოხარამ ორი ერთნაირი და ერთიც უფრო მოზრდილი შეკვრა ამოიღო.

— ეს შენ და აიაკოს — პარიზიდან ბეჭდები ჩამოგიტანეთ. ეს საათი კი მძღოლ ოკამურას გადაეცი.

საჩუქრების დარიგება დამთავრდა.

კვლავ დარეკა ტელეფონმა. ყურმილი იდოხარამ აიღო.

— თქვენ ბრძანდებით? — მოესმა ნაცნობი ხმა. — თქვენთან ყველაფერი წესრიგშია?

— დიახ, კარგად გამოვიძინე.

— მეც. მხოლოდ ათ საათზე გამომეღვიძა. თქვენი მდივანი ძალიან თავაზიანად მოიქცა და ყველაფერში დამეხმარა. თქვენი დამხვდურებიდან კიდევ ხომ არავინ შემამჩნია?

— ალბათ, არა. კიდეც რომ მიექცია ვინმეს ყურადღება, მერე და, რა მოხდებოდა?

— გულადი ადამიანი ხართ.

— კაცმა რომ თქვას, მაინც რა არის საშიში?

გვერდზე მდგომ ოსიმას უნდოდა, წასულიყო, მაგრამ იდოხარამ ჟესტით შეაჩერა.

— სამუშაო შემომთავაზეს, — მოესმა ყურმილში. — ორი კვირის შემდეგ კინოფილმში, მერე კი ტელევიზიისათვის დავიწყებ გადაღებას. — ახალგაზრდა ქალის ხმა მხიარულად ჟღერდა. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა ევროპაში მოგზაურობისათვის და სანამ ყურმილს დაკიდებდა, დამშვიდობებისას უთხრა, რომ უახლოეს დღეებში აუცილებლად ისურვებდა მასთან შეხვედრას.

მას ერქვა კინუკო, სცენაზე კი ტაკაკო მიძუხოს სახელით გამოდიოდა, ოცდაერთი წელი შეუსრულდა. ბოლო დროს კინუკო პოპულარული კინოვარსკვლავი გახდა იამატოს კინოფირმაში. მასთან ტელეფონით საუბრისას იდოხარა ფიქრობდა მინაკოზე, წინა ღამე ხომ მასთან გაატარა. ათი წლის წინ მინაკო ცნობილი კინოვარსკვლავი იყო, მაგრამ შემდეგ სრულებით დაივიწყეს. თავი იჩინა კინოში მაშიხდელმა მოდუნებამ. სიამაყის გამო არ წავიდა ტელევიზიაში და ახლა იქაც აღარავინ იწვევდა. იდოხარამ, ალბათ, სიბრალულის გამო

გაატარა მასთან ის ღამე. მიუხედავად ამისა, დროა დასცილდეს. და კვლავ გაიფიქრა, რამდენად წინდახედული იყო მისი გადაწყვეტილება, როცა მინაკო ოტელში დააბინავა.

— რამდენიმე დღე არავის შევხვდები. — მიუბრუნდა იდოხარა ჯერ კიდევ მის გვერდით მდგომ ოსიმას. — ამიტომ ტელეფონით ნურავისთან შემაერთებთ.

— დღეს გვიან დაბრუნდებით?

— ალბათ, კი.

შინამოსამსახურე გავიდა თუ არა, კვლავ დარეკა ტელეფონმა. იდოხარამ უგულოდ აიღო ყურმილი. კოიტის მდივანი რეკავდა.

— ბატონი პრეზიდენტი გთხოვთ, ზეგ საღამოს ესტუმროთ. თუ თქვენთვის ეს რაიმე მიზეზის გამო მოუხერხებელია, მზადაა მომდევნო დღეს შეგხვდეთ.

როგორი მოკრძალებით მთხოვენ, — გაიფიქრა იდოხარამ. არადა, კომპანიის პრეზიდენტის სახელით რეკავენ, მე კი მხოლოდ ერთ-ერთი მმართველი ვარ.

— როგორც თქვენთვის ცნობილია, საკმაოდ კარგა ხანი აქ არ გახლდით, უამრავი გადაუდებელი საქმე დამიგროვდა. საჭიროა მათი სასწრაფოდ გადაწყვეტა, ამიტომ უახლოესი კვირის მანძილზე მეტისმეტად დაკავებული ვიქნები. გთხოვთ, ბატონ პრეზიდენტს გადასცეთ ჩემი უმდაბლესი ბოდიში.

— მეტად საწყენია, პრეზიდენტს უნდოდა თქვენთან მოლაპარაკება... მაგრამ რადგან დაკავებული ბრძანდებით... სწორედ ასე მოვახსენებ ბატონ პრეზიდენტს.

— დიდად დამავალებთ. — იდოხარამ ყურმილი დადო და გაიცინა. მშვენივრად იცოდა, რატომ დასჭირდა მასთან ასე სასწრაფოდ შეხვედრა სუგინუმას ვაჟიშვილს.

კვლავ ჭონაკუნბი

მაშ ასე, რეპორტიორმა მორიტამ შეძლო იმის დადგენა, რომ ქალი, ვისთანაც „კონდორსის“ გუნდის ბეისბოლისტი იამანე ღროს ატარებდა, ხაცუკო იდოხარა გახლდათ. მაგრამ რა მდგომარეობა ეჭირა ამ ქალს საზოგადოებაში, მისთვის აბსოლუტურად უცნობი იყო.

ყველა ქალი როდი იქნება თანახმა ჰონკონგში წავიდეს ბეისბოლისტთან დროის გასატარებლად. მორიტას აზრით, ასეთი რამ შეიძლება იკისროს ან დიდი ბარის მეპატრონე ქალმა, ანდა უზრუნველყოფილმა უსაქმურმა ქალბატონმა.

თავისი აღმოჩენით სკანდალის მოწყობას არ აპირებდა და მაინც, სახელგანთქმული სპორტსმენის საიდუმლო მოგზაურობა ჰონკონგში მანდილოსანთან ერთად მაცთუნებელი თემა გახლდათ სტატიისათვის, და რომანტიკულ ასპექტში მკითხველისათვის მიწოდება სულაც არ იქნებოდა ურიგო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბეისბოლის სეზონი უკვე დამთავრებული იყო და გაზეთი საინტერესო მასალების ნაკლებობას განიცდიდა, ეს გაამაგრებდა მორიტას პოზიციებს გაზეთში.

მორიტამ რედაქციაში გაგზავნა დეპეშა, რათა სასწრაფოდ გაერკვიათ, ვინ იყო ხაცუკო იდოხარა. პასუხის მოლოდინში, შემთხვევით იამანეს რომ არ შეხვედროდა, გადაწყვიტა, პარკ-ოტელის ახლოს არ გამოჩენილიყო. ის იფიქრებდა, მორიტა წავიდაო და დამშვიდდებოდა. რეპორტიორი ფიქრობდა კვლავ მუცლის ტკივილი მოემიზეზებინა და უარი ეთქვა მაკაოში გამგზავრებაზე. დღე, სხვები წავიდნენ, მას კი იამანეს შესახებ სტატიის მასალების შესაგროვებლად ხელები გახსნილი ექნება.

მაგრამ როდესაც მეგობრებმა კაბარეში წასვლა შესთავაზეს, მორიტამ ვერ გაუძლო ცთუნებას — ღვინო და ქალები მისი სუსტი ადგილი იყო.

საღამოს ტაქსი დაიქირავეს და საცეკვაო დარბაზში წავიდნენ. მაგიდასთან დაჯდომაც ვერ მოასწრეს, რომ მათთან მიიჭრა დამტარებელი ბიჭი და დაინტერესდა, უკვე ნაცნობ პარტნიორ ქალებთან ცეკვას ხომ არ ისურვებთო. მათ უპასუხეს, აქ პირველად ვართო. მაშინ დამტარებელმა ბიჭმა მენიუს მსგავსი ორად მოკეცილი სქელი ფურცელი მოუტანა. იქ ჩინურ და ინგლისურ ენებზე გარკვეით ეწერა პარტნიორი ქალების სახელები, ხოლო გვერდით მიწერილი იყო, რომელ ენაზე შეეძლო ქალს ლაპარაკი: იაპონურად, ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად თუ პორტუგალიურად.

მეგობრებმა ინგლისურად მოსაუბრე გოგონები აირჩიეს, მათი აზრით, საზღვარგარეთ ყოფნას ის ეშხი აღარ ექნებოდა, თუ იაპონურად მოსაუბრე გოგონას აირჩევდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მათ მაგიდას ხუთი ქალიშვილი მიუჯ-

და. მორიტამ დიდთვალება, ტანადი პარტნიორი აირჩია. მოეჩვენა რომ ქალიშვილი ძალიან ლამაზი იყო.

— მოდით, ვიცეკვოთ, — მაშინვე შესთავაზა რეპორტიორმა და თავისთვის შენიშნა, რომ ჩინურ კაბაში სასიამოვნოდ იკვეთებოდა მისი სხეული. საინტერესოა, რამდენს მომთხოვს, ოტელში რომ დაპატიჟო, — გაიფიქრა მორიტამ.

ორი წრე რომ შეპოუარეს, როგორც იქნა, შებედა:

— წავიდეთ ერთად ოტელში? რამდენს მომთხოვ? — დამტვრეული ინგლისურით ჰკითხა.

ქალიშვილმა უსიტყვოდ გაუღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შემდეგ ყურადღებით შეათვალიერა მორიტა და სხაპასხუპით რაღაც უთხრა. მორიტამ ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა, მაგრამ ხელახლა შეკითხვა უხერხულად ჩათვალა. დამთავრდება ცეკვა და მაშინ დავაზუსტებო, გადაწყვიტა მან.

ამ დროს ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში შენიშნა კაცი, ვისთანაც ყველაზე ნაკლებად ელოდა შეხვედრას: მისგან რამდენიმე ნაბიჯზე იამანე ცეკვავდა. შავი კოსტიუმი ეცვა, მის პარტნიორ ქალს კი — ჩინურ ყაიდაზე შეკერილი კაბა. ნელა აცეკვებდა ქალს და ცდილობდა, სახით მუდამ ორკესტრისაკენ ყოფილიყო, ზურგით კი — იმათკენ, ვინც მაგიდებთან ისხდნენ. ამის წყალობით მორიტამ შეძლო სპორტსმენის პარტნიორის შეთვალიერება, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა ნახევრად ჩაბნელებული დარბაზი. შესანიშნავი აღნაგობის ქალი გახლდათ და სახეც ლამაზი ჰქონდა. მისი ჩინური კაბა საგრძნობლად გამოირჩეოდა იმათგან, სხვა ქალიშვილებს რომ ეცვათ. მორიტა თავის პარტნიორს ამოეფარა და მოცეკვავე წყვილს მიუახლოვდა. იამანე მხოლოდ თავისი მანდილოსნით იყო გართული და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა რეპორტიორს. დროდადრო თავისკენ მიიზიდავდა ხოლმე ქალს და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა. მორიტამ ყელზე მარგალიტის სამმაგი ყელსაბამი დაუნახა. მისი სახის ნატიფი ნაკვთები და წყლიანი მოელვარე თვალები შეათვალიერა. არა, ის არ გავდა სხვა პარტნიორ ქალებს, ხოლო მისი ღია ცისფერი კაბა, ზედ ამოქარგული დრაკონებით საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. მორიტას ინტუიციამ უკარნახა, რომ ეს მანდილოსანი ხაცუკო იდოხარა იყო.

რეპორტიორმა გადაწყვიტა, რომ დღეისათვის საკმაოდ ბევრი რამ გაიგო და თავისი პარტნიორი მაგიდისაკენ წაიყვანა. ახლა მხოლოდ

იმას ფიქრობდა, მის კოლეგებსაც არ ეცნოთ იამ.ნე. მორიტამ ქალიშვილი გვერდით მოისვა, მისკენ დაიხარა და შეეკითხა:

— რამდენი გინდა?

ქალიშვილმა იფიქრა, ინგლისური ცუდად ესმისო და პიჯაკის სახელოზე ციფრი ას ორმოცდაათი დაუხატა.

— ას ორმოცდაათი დოლარი? — დააზუსტა მორიტამ. მან სწრაფად იანგარიშა, რომ ას ორმოცდაათი ჰონკონგური დოლარი უდრიდა ორმოცდაათ ამერიკულს და მისი ბიუჯეტი ასეთ ხარჯს გაუძლებდა.

მეგობრებს დაელოდა. ისინი აქედან ბარში აპირებდნენ წასვლას და მორიტამ უთხრა, სამწუხაროდ, ვერ შემოგიერთდებით, ვინაიდან კვლავ მუცელი ამტკივდა და ოტელში უნდა დავბრუნდე, ქალიშვილი კი ცოტას გამაცილებსო. კოლეგები მიუხვდნენ და გაიცინეს. მორიტა ქალიშვილთან ერთად საცეკვაო დარბაზიდან გავიდა.

რეპორტიორს ესმოდა, რომ უხერხული იყო მისი ოტელში მიყვანა და ძლივძლივობით გააგებინა, შენ წამიყვანე შესაფერის ადგილასო.

ჰონკონგის ვარსკვლავიანმა ღამემ და გვერდით მდგარმა ლამაზმა ქალიშვილმა მორიტა რომანტიკულ გუნებაზე დააყენა, მაგრამ ქალიშვილმა გაუფანტა ეს განწყობილება და პირველივე ფარანთან ფული წინასწარ მოსთხოვა. ასეთი უნდობლობა, ცოტა არ იყოს, ეჩოთირა რეპორტიორს, მაგრამ მაინც მორჩილად ამოიღო პორტმონე და ხუთი ამერიკული ათდოლარიანი გადაუთვალა. ქალიშვილმა ფარნის შუქზე სელახლა გადათვალა ისინი და კვლავ გაუწოდა ხელი.

— მოიცა, — აღშფოთდა მორიტა. — ეს ხომ ჰონკონგური არაა, ამერიკული დოლარებია.

— ვიცი, — უპასუხა ქალიშვილმა ინგლისურად. — მაგრამ მე ას ორმოცდაათ ამერიკულზე შეგითანხმდით.

განაწყენებულმა მორიტამ გადააფურთხა, თავისი ორმოცდაათი დოლარი გამოართვა და იქაურობას გასცილდა.

იმ საღამოს მორიტა სხვებზე ადრე მივიდა ოტელში და დაიძინა. ჩაძინებისას გაიფიქრა, ეშმაკსაც წაუღია გართობა, სამაგიეროდ, ორმოცდაათი დოლარი დავზოგეო. დილით ნომერში კოლეგებმა მიაკითხეს და დაინტერესდნენ, მაკაოში თუ წავიდოდა. მორიტამ კვლავ უქეიფობა მოიმიზეზა და უარით გაისტუმრა

საღამოს რედაქციიდან პასუხი მოვიდა მის ლეპეშაზე: „ხაცუკო —

კომპანია „ორიენტის“ პრეზიდენტის იდოხარას ცოლია. შეგვატყობინე, რისთვის დაგჭირდა ასეთი ცნობა“. იდოხარას გვარი რეპორტიორისათვის უცნობი იყო, მაგრამ მისი ვარაუდი გამართლდა.

— სწორედ ასეა. უსაქმურმა გათხოვილმა ქალმა გართობა გადაწყვიტა, — წაიბუტბუტა მან.

თვალწინ ხაცუკოს არისტოკრატული სახე დაუდგა. რადგან ამ საქმეში გარეულია კომპანიის პრეზიდენტის მეუღლე, საჭიროა მეტი სიფრთხილე და დამატებით ზოგიერთი საკითხის გარკვევა. მაგრამ ახლა, როდესაც ქალის გვარი და მდგომარეობა გაიგო, მისთვის უფრო იოლი შეიქნა პორტიესთან ურთიერთობა.

ჩინურის მცოდნე მოსამსახურეს სთხოვა პარკ-ოტელში დარეკვა. იქიდან უპასუხეს:

— ქალბატონი იდოხარა და ქალბატონი კურატა დღეს დილით ტოკიოში გაფრინდნენ.

მორიტა გაშეშდა, შემდეგ გონს მოეგო და უთხრა:

— ოტელ „მირამირში“ დარეკეთ და გაიგეთ, კიდევ თუ აქვს იქ ნომერი დაჭირავებული ბეისბოლისტ იამანეს...

შეხვედრა პატარა დუქანში

იდოხარამ პრეზიდენტ კოიტის დაურეკა. ყურმილი ჯერ მდივანმა აიღო, შემდეგ კოიტის ხმა გაისმა.

— თქვენს გვერდით არის ვინმე? — შეეკითხა იდოხარა.

— არავინ არაა. მდივანი, რომელმაც ყურმილი აიღო, მეორე ოთახშია. — კოიტის ხმაში დაძაბულობა იგრძნობოდა. მას ეგონა, ახლა იდოხარა რაღაც ძალზე მნიშვნელოვანს იტყვისო.

— დღეს საღამოს შვიდ საათზე თქვენთან შეხვედრა მინდოდა. ხელსაყრელია თქვენთვის ეს დრო?

წინა დღეებში კოიტიმ არაერთხელ სცადა იდოხარას შეხვედროდა, მაგრამ ის ერთთავად დაკავებული იყო.

— მაწყობს, — უპასუხა კოიტიმ.

— მაშინ შვიდ საათზე კუდანის რაიონში, კიტამურას დაწესებულებაში გელოდებით.

— სად, სად? ერთხელ კიდევ გაიმეორეთ.

— როგორც ჩანს, ეს ადგილი არ იცით. მესამეხარისხოვანი და-

წესებულებაა. ყოველი შემთხვევისათვის, ტელეფონის ნომერი ჩაიწერეთ.

— აუცილებლად ვიქნები, — უთხრა კოიტიმ.

— გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს კონფიდენციალური შეხვედრაა და ამიტომ თან მხოლოდ ფინანსების მმართველი ნაკამურა წამოიყვანეთ.

იდოხარამ ყურმილი დადო და ფანჯარაში გაიხედა. მშვენიერი ამინდი იდგა, ცაზე ღრუბლის ნატამალიც არ იყო.

კოიტი აშკარად ღელავდა, ხმაშიც იგრძნობოდა, — ფიქრობდა იდოხარა. მიხვდა, რის გარშემო იქნება საუბარი. ტყუილად კი არ ვთხოვე ნაკამურას წამოყვანა. ისიც უსიტყვოდ დამეთანხმა.

სუგინუმასთან ყველაფერი პირიქით იყო. მას ყოველ წუთს შეეძლო იდოხარას გამოძახება, ისიც ყველაფერს მიატოვებდა და კისრისტეხით გაიქცეოდა. ახლა კოიტის ჯერი დადგა. იდოხარამ წარმოიდგინა, როგორ მისცემდა მითითებას, გაეუქმებინა ყველა დათქმული ვიზიტი და საქმეები მეორე დღისათვის გადაეტანა. და თავმომწონედ ჩაიცინა. საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რაოდენ რთული იყო ამის გაკეთება.

სეიფიდან დიდი საკანტორო წიგნი გამოიღო და გადაშალა. ყველა გვერდი გადაჭრელებული იყო ციფრებით: თარიღები და თანხები, თარიღები და თანხები, ყველაზე მეტად ქვეყნიერებაზე ამ წიგნს უფრთხილდებოდა. როცა საქმე მოითხოვდა, აქედან აკეთებდა ამონაწერებს, მაგრამ თვით საკანტორო წიგნს არავის აჩვენებდა.

იდოხარა თავის კაბინეტში ჩაიკეტა და ორი საათის განმავლობაში იმ წიგნიდან ციფრებს იწერდა ცალკე ფურცლებზე. შემდეგ სეიფი გააღო, საკანტორო წიგნი ადგილზე დადო და თვალი მოავლო სეიფის კუთხეში დადებულ ქაღალდების დასტას. ეს ვალის თამასუქები იყო. სეიფი დაკეტა, მაგიდასთან დაბრუნდა და მდივანი გამოიძახა.

— საღამოს შვიდი საათისათვის კუდანის რაიონში კიტამურასთან წავალ. ალბათ, ორ საათზე მეტს არ დავყოვნდები. ამასობაში შენ აქ იყავი და, თუ რაიმე სასწრაფო იქნება, იქ დამირეკე, — გააფრთხილა იდოხარამ.

მდივანმა უხმოდ დაუქნია თავი.

ექვსი საათი იყო დაწყებული, როცა კაბინეტში ნემოტომ შემოიხედა. როდესაც დარწმუნდა, ოთახში იდოხარას მეტი არავინ იყო, შევიდა და დაუკითხავად დაჯდა სკამზე პატრონის პირდაპირ.

— ოკუნოსაგან გავიგე, რომ შვიდი საათისათვის კუდანში აპირებთ წასვლას.

— ვაპირებ, — ქალალდებისათვის თვალი არ მოუცილებია, ისე უპასუხა იდოხარამ.

— მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს, შედგება შეხვედრა ახალ პრეზიდენტთან?

— შედგება.

— ბრძოლა იქნება?

— ვფიქრობ, აქამდე არ მივა საქმე. ჩემს აზრს მოვახსენებ — ამით დამთავრდება ყველაფერი.

— როგორც ჩანს, ციფრები უკვე ცნობილია მათთვის და არა მგონია დაადგვიანონ იმ მიზეზით. ყველაფერი უნდა შემოწმდესო. თუმცა, გამორიცხული არაა, დროის მოგების მიზნით სწორედ ასე მოიქცნენ.

— ფიქრადაც არა ღირს. იდოხარამ პირქუშად ჩაიცინა. ნემოტოსათვის დეტალები არ შეუტყობინებია, მაგრამ ის ისე იქცეოდა, თითქოს უკვე ყველაფერი იცოდა.

სხვა თანამშრომელი რომ ყოფილიყო, იდოხარა, ალბათ, გალანძღავდა: სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფო. მაგრამ ნემოტოს რატომღაც ასე ვერ ექცეოდა. რამდენჯერ დაუპირებია შეხურება, მაგრამ ბოლო წუთში თავი შეუკავებია.

ნემოტომ ისეთნაირად იცოდა კითხვების დასმა, თითქოს პასუხი მისთვის წინასწარ ყოფილიყოს ცნობილი. ჩანს, მრავალწლიანი ვარჯიშის შედეგად გამოიმუშავა ეს ჩვევა, რაც უკიდურესად აღიზიანებდა იდოხარას და. ვინაიდან ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, ხმამაღლა არ გამოესატა აღშფოთება ნემოტოს საქციელის გამო, ამიტომ პასუხად ყოველთვის დუმილს ამჯობინებდა.

ყოველივე ამის გარდა, გასაოცარი იყო, როგორ იყნოსავდა ხოლმე ნემოტო საიდუმლოებებს. იდოხარას წესად ჰქონდა, რომ არავისთვის, თავის შვილობილ სიოძისთვისა და მის ბიძაშვილ რიოსაბუროსთვისაც კი არ გაეგზავნა საიდუმლო ცნობები. მაგრამ ნემოტო რაღაც ზოუწვდომელი გზებით იგებდა ამ საიდუმლოებებს. ამიტომ ვერ ბედავდა იდოხარა მის განთავისუფლებას ან სადმე კომპანიის პროვინციულ განყოფილებაში გაგზავნას. ჯერჯერობით ეს საშიში იყო. ჯერჯერობით...

— რამდენი ხანი შეიძლება გაგრძელდეს თქვენი საუბარი? — კვლავ შეეკითხა ნემოტო ისეთ რამეს, რაც შესაკითხი არ იყო.

— ვფიქრობ, არა უმეტეს საათ-ნახევრისა.

— სწორია, ძალზე გაჭიანურება არ ღირს, — ნემოტო მოულოდნელად წამოდგა და დაუმატა: — ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ სულ მალე პირადი მცველი დაგჭირდეს.

— შენ ასე ფიქრობ? — გაიცინა იდოხარამ, მაგრამ გულში გაიფიქრა, მგონი, მართალს ამბობსო.

— აბა, რა გაეწყობა, წარმატებას გისურვებ. — ნემოტო გამოეშვიდობა, მაგრამ კარამდე რომ მივიდა, მოულოდნელად შემობრუნდა: — დღეს საღამოს ძველ მეგობრებთან მომიწევს სმა. დიდი ხანია მათ არ შევხვედრივარ.

ნეტავ რატომ გაახსენდა უცებ თავისი „ძველი მეგობრები“, გაიფიქრა იდოხარამ. მათ შორის ხომ ერთიც არ ურევია, კაცად რომ ვარგოდეს, მხოლოდ ღარიბ-ღატაკი ბოგანოები არიან. თვით ნემოტოც ვინ იქნებოდა, იდოხარას თავისთან რომ არ მოეწყო. ეს მეგობრები — ყველანი მისი ყოფილი ხელქვეითები არიან. უფროსობიდან, ალბათ აღარავინაა ცოცხალი — ზოგმა თვითმკვლელობით და ამთავრა ცხოვრება, სხვები ციხეში ყოფნისას დაიხოცნენ. ერთი რამ ნათელია: ტყუილად არ შეკრებდა ნემოტო ღრეობაზე მეგობრებს, რაღაც აქვს ჭკუაში.

მდივანმა დარეკა და აცნობა, ტელეფონთან კიამაა ეურნალ „ფინანსებიდანო“. ეტყობა, რაღაც შეიტყო, კოიტი გაფრთხილებულიყავდა, რომ მათი შეხვედრა სასტიკად გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო და, საეჭვოა, რაიმე წამოსცდენოდა. ასეთ საქმეებზე, კიამას, უბრალოდ, ინტუიცია აქვს. ალბათ, მაინც უნდა ღაველაპარაკო, გადაწყვიტა იდოხარამ და ყურმილი აიღო.

— მშვიდობით დაბრუნებას გილოცავთ, — უღიმღამოდ მიესალმა კიამა. — თქვენი მგზავრობა, ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, სასიამოვნო იყო. ვისურვებდი სულ მალე პირადად თქვენგან გამეგო ყოველი წვრილმანი. რასაკვირველია, ეურნალში გამოსაქვეყნებლად კი არა, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო. მოხარული ვიქნები, თუ უახლოეს დღეებში ჩემთვის დროს გამოძებნით. სიტყვამ მოიტანა და, ახლა საქმის თაობაზე, თუ გახსოვთ, კარგა ხნის წინ გთხოვეთ

ჩვენი ჟურნალისათვის დაგეწერათ რაიმე თქვენს თავზე — ბიოგრაფიის მაგვარი ამჟამად წარმატების მქონე ბიზნესმენზე.

— გთხოვთ, გამათავისუფლოთ ამისაგან, — უთხრა იდოხარამ და გაიცინა.

— უბრალოდ, მოჯადოებული ვარ თქვენი თავმდაბლობით. ნუთუ ასე არ გსიამოვნებთ საკუთარ თავზე ლაპარაკი?

— საქმე ეს როდია. ჯერ არ დამიმსახურებია, ჩემს შესახებ ჟურნალში სტატია გამოაქვეყნონ.

— აი, სწორედ ამიტომ გცემთ დიდ პატივს, მაგრამ ერთ საიდუმლოებას გაგიმჟღავნებთ. წვრილი კომპანიის ბევრი პრეზიდენტი მთხოვს მათზე სტატიის გამოქვეყნებას ჩემს ჟურნალში, ფულსაც კი მპირდებიან. მაგრამ მე ისინი არ მაინტერესებს. ყველა ღირსეულ პიროვნებაზე უკვე დაწერილია სტატია. მხოლოდ თქვენ დარჩით. კარგი სათაურიც გავამზადე: „როგორ მიეაღწიე წარმატებას?"

— გთხოვთ, ცოტა კიდევ მოითმინეთ. ჯერჯერობით არ არის საჭირო.

— ცოტა კიდევ მოვითმინო? მაშასადამე, მსედველობაში რა გაქვთ? სუგინუმას სიკვდილის შემდეგ ბრძოლას რომ მოიგებთ და დასახულ მიზანს განახორციელებთ?

— ასეთი განზრახვა არა მაქვს. სუგინუმა ხომ ჩემი კეთილისმყოფელი იყო.

პასუხად დამცინავი სიცილი გაისმა.

— ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, მალე შევხვდებით, — უთხრა კიამამ და ყურმილი დაკიდა.

იდოხარამ გააბოლა და საათს შეხედა. შეხვედრისათვის დანიშნული დრო ახლოვდებოდა. რატომ უჩიჩინებს კიამა ერთსა და იმავეს. ფინანსური ინფორმაციის საკითხში ის ყველაზე გათვითცნობიერებული კაცია. ნუთუ რაიმე მოყნოსა ჩემი წარსულიდან, ფიქრობდა იდოხარა. ნემოტო და კიამა წარმოიდგინა, როგორც ნათელი მომავლის მაუწყებელ ჰორიზონტზე აკიაფებული ორი პატარა შავი ლრუბელი.

კაბინეტში ოკუნო შემოვიდა.

— თქვენთვის დეპეშაა მეუღლისაგან, — უთხრა მან.

იდოხარამ დეპეშა გახსნა. ატყობინებდნენ, რომ ხაცუკო დღეს ჩამოფრინდებოდა იაპონიაში.

— როდის დაეშვება თვითმფრინავი ხანედას აეროპორტში? — იკითხა მან.

— საღამოს ათ საათზე.

იდოხარამ დეპეშა ჯიბეში ჩაიდო და უთხრა:

— გთხოვ, არავის უთხრა, კიტამურასთან რომ მივდივარ. თუ დაინტერესდებიან, რაიმე მოიგონე.

— მესმის.

— საიდან გაიგო ნემოტომ ჩვენი შეხვედრის ამბავი? შენ უთხარი?

— დიახ. დაუინებით მეკითხებოდა. — ოკუნომ დამნაშავესავით ჩაღუნა თავი. საყვედურს ვერ ეტყოდი. ჩამოსვლის წუთიდანვე ნემოტო ფეხდაფეხ დასდევდა იდოხარას და ოკუნომაც იფიქრა, ალბათ, ყველა საქმეში გათვითცნობიერებულიაო. მართლაც, „ორიენტის" თანამშრომელები რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნემოტო იდოხარას უახლოესი მრჩეველი იყო.

— რადგან წამოგცდა, უკვე ვეღარაფერს იზამ, მაგრამ მომავლისათვის დაიხსომე: არასდროს არავის არაფერი უთხრა, მათ შორის, არც ნემოტოს.

— გთხოვოთ, მაპატიოთ.

— მანქანა მზადაა?

— სადარბაზოსთან დგას.

იდოხარა გასასვლელისაკენ გაემართა. ოკუნო დაეწია და შეეკითხა:

— შეიძლება სიოძისა და რიოსაბუროს ვაცნობოთ ქალბატონის ჩამოსვლის ამბავი?

დასტურის ნიშნად იდოხარამ თავი დაუქნია და მანქანისაკენ წავიდა.

საიდანღაც ნემოტო გამოტყვრა, გაუღიმა და ხელი დაუქნია.

კიტამურას სახლი მდებარეობდა კუდანის რაიონის განაპირას, ვიწრო ქუჩაზე, სადაც მანქანა ძლივს ეტეოდა. აქ ერთთავად პაემანის სახლები იყო ჩამწკრივებული და კიტამურას დაწესებულება ბევრად არ განსხვავდებოდა მათგან.

შესასვლელთან შინამოსამსახურე შეეგება.

— იდოხარა ვარ, სტუმრები მოვიდნენ? — შეეკითხა ის.

— დიახ, რამდენიმე წუთის წინ. — შინამოსამსახურემ ვიწრო კორიდორში გაიყვანა: ერთ-ერთი ოთახის კარის წინ შეჩერდა და ხმადაბლა თქვა: — ბატონი იდოხარა.

იდოხარა ოთახში შეავლა. მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ კოიტი და ნაკამურა ისხდნენ. იდოხარა რომ დაინახეს, სასწრაფოდ ჩასრიალეს საფერფლეში სიგარეტები.

— ვიცი, ძალიან დაკავებული ბრძანდებით და მაპატიეთ, აქ რომ მოგიპატიჟეთ, — მიესალმა და შემდეგ მიმართა იდოხარამ.

შეხვედრებისათვის ხშირად სარგებლობთ ამ დაწესებულებით? — შეეკითხა კოიტი და ოთახს თვალი მოავლო.

ეჰ, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში.

— ბატონ პრეზიდენტს თქვენი შეშურდა. ჩაერია ლაპარაკში ნაკამურა.

— ნუთუ? მაინც რატომ?

— ჩინებული ადგილია საიდუმლო მოლაპარაკებებისათვის.

საქმე ეს როდია. უბრალოდ, ჩემს გემოვნებას შეესაბამება, აქ საქმელი უგემურია, არც სისუფთავით გამოირჩევა, მაგრამ უბრალო ხალხზე გათვალისწინებული სადა დაწესებულებაა.

შემოვიდა ჩასუქებული მეპატრონე ქალი და სტუმრებს მიესალმა. მას ფეხდაფეხ მოჰყვა შინამოსამსახურე, რომელსაც ლანგრით მოჰქონდა პატარა ფინჯნები და შემრობარი საკე.

ვალს გადახდა უნდა

სამივენი ხელა წრუპავდნენ საკეს, კოიტის სახე მოუთმენლობას გამოხატავდა. რაც შეიძლება ჩქარა უნდოდა დაეწყო მოლაპარაკება. ის გრძნობდა, რომ მანამ ვერ მოისვენებდა, ვიდრე ყველაფერი არ გაირკვეოდა.

„დროა", — გადაწყვიტა იდოხარამ და თავისი ფინჯანი მაგიდაზე დადო.

— მაშ ასე, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი იმისათვის, რომ აქ მოგიპატიჟეთ. ვიცი, როგორი დაკავებული ბრძანდებით. საქმე ისაა, რომ ბატონ სუგინუმას საკმაოდ დიდი თანხა მართებს ჩემი. აი მისი თამასუქები, აქ აღნიშნულია თანხა. რომელიც ბან ხეზედ ხეზედ დროს ივალა. — იდოხარამ კოიტის წინ დაუდო ფურცელი, რომელზეც აღნიშნული იყო საკანტორო წიგნიდან მის მიერ ამოწერილი თანხა. კოიტიმ და ნაკამურამ ფურცელს დახედეს. შემდეგ ნაკამურამ პორტფელიდან სქელტანიანი რვეული ამოიღო და თამასუქებისა და მათში

აღნიშნული თახსების შედარება დაიწყო. ზოგიერთ ციფრს ის კოიტის უჩვენებდა და ისიც თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა.

— გმადლობთ. — კოიტმ ფურცელი იდოხარას დაუბრუნა. — ჩვენთან არსებულ მონაცემებს შევუდარეთ, ყველაფერი ემთხვევა.

— ნაკამურა, როგორც კომპანიის ფინანსური ოპერაციების მმართველი, თქვენ ეთანხმებით ამას? — დააზუსტა იდოხარამ.

— დიახ, ვადასტურებ, რომ აღნიშნული თამასუქები თქვენ მოგცათ განსვენებულმა ბატონმა სუგინუმამ.

— ბატონი სუგინუმა ჩემი კეთილისმყოფელი იყო, მაგრამ ამ სიას რომ ვადგენდი, თვითონაც გავოცდი, რა დიდძალი თანხა მისესხებია მისთვის. საერთო თანხა ხომ თითქმის ოცდაათ მილიარდ იენს შეადგენს. — იდოხარამ ამოიოხრა. — გამიგეთ, ეს ჩემთვის იოლი არ იყო. ეს ოცდაათი მილიარდი რომ არ გამესესხებინა, მე მათ საქმეში გავუშვებდი. წარმოიდგინეთ, რა ზარალი ვნახე.

— დიახ. მამაჩემი პატივმოყვარე კაცი იყო და ყველაფერს თვითონ აკეთებდა, არავის არაფერს არ ეკითხებოდა. სიმართლე გითხრათ, ამ თამასუქების შესახებ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გავიგე. თუმცა ნაკამურა საქმის კურსში იყო, სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა. ამიტომ ნაკამურას ვერაფერში დავადანაშაულებ. მამაჩემი ნამდვილი დიქტატორი გახლდათ და ერთი წუთითაც ვერ იგუებდა თავის გვერდით კაცს, რომელიც მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ იმოქმედებდა. და მაინც, როდესაც ნაკამურამ ვალის საერთო თანხა მითხრა, კინაღამ გრძნობა დავკარგე.

— იქნებ სიკვდილის წინ სუგინუმამ ამის თაობაზე რაიმე მითითებები მოგცათ? — იდოხარასათვის ცნობილი იყო, ვისი გვარი დაწერა განსვენებულმა კოიტის ხელისგულზე, მაგრამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა პირდაპირ ეთქვა ამის შესახებ.

— სამწუხაროდ, ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ მამამ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, — უპასუხა კოიტიმ.

— ნუთუ! — ცივად წარმოთქვა იდოხარამ.

იდოხარას მიერ ნასესხები ოცდაათი მილიარდი იენი სუგინუმამ მრავალრიცხოვანი ხარვეზების დასაფარავად და იმ სინამდვილის შესალამაზებლად გამოიყენა, რომელშიც ალმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანია აღმოჩნდა. ყველაფერი დაიწყო ხოკაიდოზე ქარხნის მშენებლობით. ირგვლივ მყოფი ხალხი აფრთხილებდა მას, რომ

ეს წარმოება უაზრო იყო, მაგრამ მან არავის რჩევა არ შეისმინა. მის თანამშრომლებს არც უცდიათ წინააღმდეგობის გაწევა.

ახალი ქარხანა იმთავითვე დიდი დეფიციტით მუშაობდა. მ გრამ სუგინუმას კატეგორიულად არ უნდოდა ეს დეფიციტი ბალანსზე ასახულიყო, თორემ შეირყეოდა მისი ავტორიტეტი როგორც შეუმცდარი მეწარმისა. უსაზღვრო თავმოყვარეობის გამო ვერ დაუშვებდა იმას, რომ ახალი ქარხნის წამგებიანი მუშაობის გამო დაქვეითებულიყო აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის მოგება, შემცირებულიყო აუქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდები და დაცემულიყო მისი კომპანიის აქციები. იმდენად სწამდა თავისი თავისა, თავისი საქმოსნური ნიჭისა. რომ არასდროს ეპარებოდა ეჭვი საბოლოო შედეგში, მაშინაც კი, როდესაც წარმოებები, რომლებშიც ფული ჰქონდა დაბანდებული, თავიდანვე წაგებით მუშაობდნენ. ამასთან, წარსულის ზოგიერთი ფაქტი განამტკიცებდა მის თვითდაჯერებულობას. ავიღოთ, თუნდაც, ათას ცხრაას ორმოცდაცხრა წელი. მაშინ გამეფებული კრიზისის გამო აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანია გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა, მაგრამ კორეის ომმა იხსნა. სუგინუმა მაშინვე მიხვდა, რა პერსპექტივებს უქადდა ეს ომი. მან მკვეთრად გააფართოვა წარმოება და დიდძალი თანხა დაითრია. წარსულში ჰქონდა შემთხვევები, როცა ყურად არ იღო არავის რჩევა და გაფრთხილება და მაინც წარმატებას მიაღწია. ქარხნის აშენებლობაზე პირველად წაიფორხილა. ქარხანას უდიდესი წაგება მოჰქონდა და უახლოეს მომავალში არც იყო მოსალოდნელი სასწაული, რომელიც მას გადაარჩენდა.

სუგინუმა ძალიან შეშინდა. რასაკვირველია, ბანკიდან აიღო სესხი და ზოგ-ზოგი თანხა მის კონცერნში შემავალი სხვა კომპანიებიდან გადაანაწილა. მაგრამ არსებობდა ზღვარი, რომლის გადამეტებისას იძულებული იყო ყველაფერი ბალანსში აესახა და ყველაზე მეტად ეს არ უნდოდა. აი, სწორედ მაშინ მიმართა დახმარებისათვის იდოხარას.

იდოხარას მეხსიერებას დღემდე ცოცხლად შემორჩენოდა მათი შეხვედრის გარემოებანი. სუგინუმამ მიიპატიჟა პაემნების სახლში და, ვიდრე ქალიშვილებს მოუხმობდნენ, უთხრა: „მისმინე, იდოხარა, მასესხე ხუთი მილიარდი“. ჰოდა, იმანაც უთხრა: „უარს ვერ გეტყვით“.

ორი დღის შემდეგ სუგინუმასთან მივიდა და ხუთი მილიარდი

ნაღდი ფული ჩაუთვალა. სუგინუმამ სწორედ ნაღდი ფული სთხოვა, რადგან ამ თანხის ფასიანი ქაღალდების გაცემა აუცილებლად მიიჩქარობდა გარეშე პირთა ყურადღებას.

„ექვსი თვის შემდეგ დაგიბრუნებ", — უთხრა მაშინ სუგინუმამ. მას უნდოდა თამასუქზე მხოლოდ თავისი გვარი მოეწერა, თითქოს იდოხარამ პირადად ასესხა ფული, მაგრამ იდოხარამ დაჟინებით მოითხოვა, ხელი მოეწერა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის სააქციო საზოგადოების თავმჯდომარეს და, მაშასადამე, ახლა ვალი ითელებოდა კომპანიაზე და არა პირადად სუგინუმაზე.

ხუთი მილიარდი სუგინუმამ დროულად დაუბრუნა, მაგრამ მოკლე ხანში კიდევ ხუთი მილიარდი სთხოვა, — შემდეგ — რვა, ათი და ყოველ ჯერზე თამასუქებს ხელახლა აწერდა ახალ ვადებს. ერთხელაც, როცა იდოხარას თამასუქების გვარიანი დასტა დაუგროვდა, უთხრა: „ბატონო თავმჯდომარე, ამჯერად გთხოვთ, ხელახლა კი არ გადამიწეროთ თამასუქები, არამედ ვალები დამიბრუნოთ". — „მომისმინე, იდოხარა. შენ ჩემი სიკვდილი გინდა. ახლა კომპანია საშინელ მდგომარეობაშია, თუ ვალს დაგიბრუნებ, ის საჯარო ვაჭრობით გაიყიდება. შენ კი ფული თავსაყრელად გაქვს. მადროვე". — უთხრა მაშინ სუგინუმამ და ხელახლა გადაწერა თამასუქი. კარგად ახსოვს, ეს საუბარიც სიმბასის რაიონში, ერთ-ერთ პაემნების სახლში მიმდინარეობდა. ვინაიდან სესხის ამბავი თავისი თანამშრომლებისაგან დაფარული ჰქონდა, ამიტომ არ სურდა ამგვარი მოლაპარაკებები თავის კაბინეტში ეწარმოებინა. სესხის შესახებ მხოლოდ ნაკამურამ და საფინანსო სამმართველოს უფროსმა — კამოტომ იცოდნენ.

ირგვლივ კი ყველა ვაოცებული იყო: ხოკაიდოზე აშენებული ქარხანა წაგებით მუშაობს, მეტალურგიული მრეწველობა ერთ წერტილზეა გაყინული, აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანია კი კვლავ სტაბილურ მოგებას იძლევა, იხდის დივიდენდებს და მისი აქციები სრულებითაც არ დაცემულა. ეკონომისტი-მიმომხილველები ამას სუგინუმას არაჩვეულებრივ ნიჭს-მიაწერდნენ.

სანამ სუგინუმა ცოცხალი იყო, იდოხარას მეტი აღარ მოუთხოვია ვალის დაბრუნება. ჯერ ერთი, სუგინუმასაგან თავს დავალებულად გრძნობდა, რადგან იმან დაიახლოვა და ყოველნაირად მფარველობდა. გარდა ამისა, ეუხერხულებოდა ზედმეტად შეეხსენებინა ვალის შესახებ, ვიხაიდან სუგინუმა რაოაცნაირი სხვა, მისთვის მიუწვდომელი სამყაროს კაცად მიაჩნდა. დიბოლოს, იდოხარას ეჩვე-

ჩანდა, რომ სუგინუმასათვის თითქოსდა ცნობილი იყო, საიდან გაუჩნდა მას ამდენი ფული.

მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც სუგინუმა გარდაიცვალა და კომპანიის სრულუფლებიანი პატრონი გახდა მისი შვილი — კოიტი. იდოხარას არავითარი მორალური და სხვა ვალდებულებანი არ გააჩნდა მის მიმართ და გადაწყვიტა ესარგებლა იმ მძიმე მდგომარეობით, რომელშიც აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანია აღმოჩნდა და შეტევაზე გადასულიყო.

და აი, კოიტიმ იანგარიშა, რომ ყველაზე სასწრაფო თამასუქების მიხედვით, უახლოეს დროში იდოხარას ცხრა მილიარდი იენი უნდა გადაუხადოს.

— ბატონო იდოხარა, საზღვარგარეთიდან თქვენი დაბრუნების პირველსავე დღეს მინდოდა ამ საკითხის თქვენთან ერთად განხილვა. გარკვეული დროით ხომ ვერ გვადროვებდით, როგორც ამას მამაჩემის სიცოცხლეში აკეთებდით? — უთხრა კოიტიმ.

— ეს შეუძლებელია, — უმალ უპასუხა იდოხარამ. — მე თვითონ ვაპირებ ერთი საქმის წამოწყებას, რომელიც აუარება ხარჯს მოითხოვს. ვერც წარმოიდგენთ, რა ზარალი ვნახე, ბატონ სუგინუმას დაბალი პროცენტით რომ ვაძლევდი სესხს. მაგრამ მადლიერების გრძნობის გამო ხმას არ ვიღებდი. არავითარი შესაძლებლობა არა მაქვს მომავალშიც ასევე მოვიქცე.

— მეც ვუერთდები პრეზიდენტის თხოვნას, — შეეხვეწა ნაკამურა და თავი იატაკამდე დახარა.

— მორჩით, ნაკამურა. — ხმა გააკმენდინა კოიტიმ.

ნაკამურა შეკრთა, ვედრებით შეხედა იდოხარას და უთხრა:

— ბატონო იდოხარა, მეც დამნაშავე ვარ, ამდენი უსიამოვნება რომ მოგაყენეთ. მესმის, თქვენთვის იოლი არაა, და მაინც გთხოვთ, კიდევ ნახევარი წელი გვაცალოთ... თუ ახლა წარმოგვიდგენთ თამასუქებს გასახაღლებლად, ჩვენ გაკოტრება გველის.

— ნაკამურა, ნუ აზვიადებთ! რას წარმოადგენს აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიისთვის ოცდაათი მილიარდი იენი? უმნიშვნელო თანხაა!

— არა, ბატონო იდოხარა, უმნიშვნელო სულაც არაა, — ჩაერია ლაპარაკში კოიტი. — მართლაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდით. არ მინდა ვუსაყვედურო მიცვალებულს, მითუმეტეს, რომ ის მამაჩემი იყო, მაგრამ ცალზე ბორს ზეტოაა. რა თქმა უნდა, კომპანიის

ზოგიერთ თანამშრომელსაც მიუძღვის ბრალი, მაგრამ ახლა მთელი პასუხისმგებლობა მე დამაწვა მხრებზე. შედარებით ახალგაზრდა ვარ და არა მაქვს საკმაო გამოცდილება. სიმართლე გითხრათ, ახლა ბევრი უნდობლადაც მიყურებს. განსაკუთრებით ფინანსური წრეების წარმომადგენლები. სხვა საქმე გახლდათ მამაჩემი. ბანკში აბსოლუტური კრედიტით სარგებლობდა, მე კი ბანკირები შიშით შემომცქერიან. მართალია, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში გავხდი პრეზიდენტი, მაგრამ ყველა საბანკო ოპერაციას თვითონ აწარმოებდა. ვერც კი წარმომიდგენია, რა კატასტროფული შედეგი შეიძლება მოყვეს თქვენთვის ვალის დაბრუნებას. გთხოვთ, გაიგოთ ეს.

— არც ვიცი, რა გიპასუხოთ, — მშვიდად მიუგო იდოხარამ, თან აბოლებდა. უკვე მერამდენედ იმეორებდა ამ ფრაზას, მაგრამ დათმობაზე არ მიდიოდა.

— კარგი, — შესთავაზა კოიტიმ. — როგორმე მოვაგროვებთ თანხის ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს მოგვიანებით გადაგიხდით და ხელახლა გადავწერთ თამასუქს.

იდოხარამ უპასუხა, მთელი თანხა მჭირდებაო. ეს თავისებური გამოწვევაც იყო. იდოხარამ აშკარად მიახვედრა: მამათქვენის მწამდა, მაგრამ თქვენ ვერ გენდობითო.

— ასეთ შემთხვევაში თანხის ნახევარი ფულით რომ გადაგიხადოთ, ხოლო დანარჩენი აქციებით მოგართვათ, თანახმა იქნებით? — აკანკალებული ხმით შესთავაზა კოიტიმ. — მზად ვარ გამოგიყოთ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის აქციების მცირე ნაწილი და აგრეთვე გადმოგცეთ ჩვენდამი დაქვემდებარებული სხვა კომპანიების აქციების განსაზღვრული რაოდენობა.

კოიტის არ უნდოდა მხოლოდ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის აქციებით გადაეხადა ვალი. ეშინოდა, ვაითუ იდოხარამ მთლიანად ჩაიგდოს ხელში კომპანიაო. რა თქმა უნდა, აღნიშნული თანხის აქციებს რომ მიიღებდა, იდოხარა მაშინვე ვერ გახდებოდა კომპანიის სრულუფლებიანი მეპატრონე, მაგრამ თავისუფლად შეეძლო აღმოსავლეთის ფოლადსასხმელისა და სხვა კომპანიების აქციების შესყიდვა დაეწყო. იდოხარასნაირი პიროვნებისაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. და, როდესაც სუგინუმამ შვილის ხელისგულზე იდოხარას გვარი დაწერა, მას მარტო ვალები როდი ჰქონდა მხედველობაში. ეს გაფრთხილებაც იყო: უფრთხილდი იდოხარას! კოიტი კარგად მიხვდა ამას

— სუგინუმას კონცერნში შემავალ რომელი კომპანიის აქციებს მთავაზობთ? — იკითხა იდოხარამ.

კოიტიმ რამდენიმე ჩამოთვალა. ისე გაიანგარიშა, რომ იდოხარას ხელთ არ აღმოჩენილიყო ერთი რომელიმე კომპანიის აქციების მეტი ნაწილი. თანაც არც ერთი მათგანი არ იძლეოდა დიდ მოგებას.

— სამწუხაროდ, შემოთავაზებული კომპანიების აქციებს ვერ მივიღებ, — გააქნია თავი იდოხარამ.

— აბა რომელს მოისურვებდით? — შეეკითხა კოიტი. იმთავითვე დარწმუნებული იყო, რომ იდოხარა უარს იტყოდა შეთავაზებულ აქციებზე.

— პირდაპირ ვიტყვი: მე მჭირდება სამშენებლო კომპანიის „იატიოს“ აქციები.

— იატიოს“? — ნაკამურამ კოიტის გადახედა.

— რამდენი ხანია, რაც მშენებლობით დაინტერესდით? — გაუღიმა კოიტიმ. პასუხს არ ჩქარობდა.

— რა გაეწყობა, ასეთი ახირებული ხასიათი მაქვს. ყველაფერს ვედები. ბოლო ხანს ამგვარი საქმიანობისადმი გამიჩნდა ინტერესი.

კომპანია „იატიო“ უმთავრესად საინჟინრო სამუშაოებს აწარმოებდა. თავის დროზე, როცა გაუჭირდა, სუგინუმამ მისი აქციები იყიდა, მაგრამ სამშენებლო საქმისადმი დიდ ინტერესს არ იჩენდა და დამატებითი კაპიტალდაბანდებებით „იატიოს“ არ წყალობდა.

ამჯერად ის ერთგვარი დეფიციტით მუშაობდა, მართალია, სუგინუმას კონცერნში შემავალ სხვა კომპანიებზე მეტ მოგებას იძლეოდა. საქმე ისაა, რომ „იატიოს“ მმართველი თავის სფეროში გამოცდილი კაცი გახლდათ და კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ თუ დიდ მშენებლობას არ განიზრახავ, კომპანია გაჭირვებით როგორმე გაიტანს თავს.

იდოხარას წინადადება კომპანია „იატიოს“ თაობაზე კოიტისა და ნაკამურასათვის მოულოდნელი იყო. ისინი ელოდნენ, რომ იგი კონცერნის წამყვანი კომპანიების აქციებს მოითხოვდა.

— სამშენებლო საქმე საკმაოდ რთულია. ნამდვილად გსურთ „იატიოს“ აქციები? — შეეკითხა ნაკამურა.

— ნაკამურა, — ჩაერია კოიტი. — რა საჭიროა თქვენი ეჭვები? ბატონმა იდოხარამ, ჩანს, ყველა წვრილმანი საგულდაგულოდ აწონდაწონა: ასეა თუ ისე, გამგეობის წევრებს მოვეთათბირები და პასუხს მოგახსენებთ.

— „იატიოს“ კაპიტალი დაახლოებით ორ მილიარდ იენს შეადგენს, — ჩაერია საუბარში ნაკამურა.

— სწორია, — დაეთანხმა იდოხარა, — მაგრამ აქციების საბოცი პროცენტი უკვე მე მეკუთვნის.

ნაკამურამ სწრაფად იანგარიშა, რომ იდოხარა მიიღებდა ერთ მილიარდ იენს და ვალის მხოლოდ მცირე ნაწილი იქნებოდა დაფარული. მაშასადამე, იდოხარა ახლა სხვა მოთხოვნებს წამოაყენებს. იმანაც დიდხანს არ დააყოვნა.

— გარდა ამისა, მინდა ჩემს მფარველობაში გადმოვიდეს აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობა გინზაზე...

კოიტიმ და ნაკამურამ თავი ვერ შეიკავეს და გაოცებისაგან შესძახეს.

სიკვდილამდე ორი წლით ადრე სუგინუმამ მიწის დიდი ნაკვეთი იყიდა გინზაზე და იქ თორმეტსართულიანი სახლი ააშენა, რომლის დიდ ნაწილს არენდით აქირავებდა. სახლი სიმბასის ახლოს, მოხერხებულ ადგილზე მდებარეობდა და სხვადასხვა კომპანიამ თვალის დახამხამებაში აიღო არენდით მთელი შენობა. სახლი დიდ შემოსავალს იძლეოდა, რადგან მთელი პირველი სართული ერთიანად მაღაზიებს ჰქონდა დაქირავებული. სიცოცხლის ბოლო წლებში ეს შენობა სუგინუმას სიამაყეს წარმოადგენდა. თითქოსდა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის სიმძლავრისა და ურყეობის სიმბოლო იყო. კოიტისა და ნაკამურას ელდა ეცათ, როდესაც იდოხარამ ამ სახლზე უფლებების გადაცემა შესთავაზა მათ.

— ეს შეუძლებელია! — წამოიყვირა კოიტიმ, გონს რომ მოეგო.

— ნუთუ შეუძლებლად მიგაჩნიათ ეს? — იდოხარას პირქუშ სახეზე ღიმილმა გაიელვა...

მოლაპარაკების შემდეგ

იდოხარამ კოიტი და ნაკამურა გააცილა და უკან დაბრუნდა.

— შეიძლება თქვენი ტელეფონით ვისარგებლო? — მიმართა დაწესებულების მეპატრონე ქალს.

— ინებეთ. — ქალმა ტელეფონთან მიაცილა და თვითონ გვერდზე გადგა.

იდოხარამ ნომერი ისე აკრიფა, უბის წიგნაკშიც არ ჩაუხედავს, ზეპირად იცოდა.

— მე ვარ, — უთხრა მან. — ცხრა საათისათვის გინზაზე, „ელმში“ გელოდებით.

მან საათს დახედა. რვას წუთები აკლდა. როგორც ვარაუდობდა, კოიტისთან საუბარმა ორ საათზე ნაკლებს გასტანა. იდოხარა თვლიდა, რომ ამით ძირითადი მოლაპარაკება დამთავრდა. ეტყობა, კოიტი სხვა აზრისა იყო. მისი ვარაუდით, იდოხარას მთავარი მოთხოვნები ჯერ კიდევ წინ იყო. თუმცა, თვითონ იდოხარას გადაწყვეტილი ჰქონდა, უახლოეს დროში სამშენებლო კომპანია „იატიოს“ აქციებითა და გინზაზე აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომბინატის შენობით დაკმაყოფილებულიყო. „იატიოს“ საკითხი, მგონი, უმტკივნეულოდ მოგვარდებოდა. რაც შეეხება გინზაზე მდებარე შენობას, იდოხარამ გადაწყვიტა, გადაედგა ზოგიერთი ისეთი ნაბიჯი, რომელიც კოიტის აიძულებდა კომპრომისზე დათანხმებულიყო. ისინი იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ვალის ნაწილი აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის აქციებით დაიფარებოდა, ხოლო დარჩენილ თანხას სამი წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილ გადაუხდიდნენ — ასეთი იყო იდოხარას მოთხოვნა. თუმცა, კოიტი და ნაკამურა სამი წლის მაგიერად ხუთ წელს ითხოვდნენ. ვადებზე მაინც ვერ შეთანხმდნენ და ეს, ალბათ, შემდგომი მოლაპარაკების საგანი გახდებოდა.

იდოხარა მანქანაში ჩაჯდა და გინზაზე წავიდა. იქ მძღოლი გაუშვა და ფეხით წავიდა „ელმისკენ“. ეს გახლდათ ქვედა სართულზე მოთავსებული პატარა ბარი. კინუკო იქ დახვდა. ბარის დახლს მიყრდნობოდა და ჯინ-ფიზს წრუპავდა. მეზობელ მაგიდასთან მსხდარი სტუმრები მის ლამაზ სახესა და კოხტა ტანს თვალს ვერ აშორებდნენ.

ბარის მეპატრონე ქალი მივიდა და იდოხარას ჭიქით სოდიანი ვისკი დაუდგა. იდოხარამ ნახევარი დალია და უთხრა:

— კინუკო, გავიდეთ აქედან.

— ასე მალე? — გაოცდა მეპატრონე ქალი. — ცოტა მოგვიანებით ისევ შემოიარეთ.

— თუ მოვახერხეთ, უსათუოდ მოვალთ.

— გელოდებით, — გაუღიმა მეპატრონე ქალმა.

მეზობელ მაგიდასთან მსხდომნი ხმამაღლა საუბრობდნენ ბეისბო-

ლის შესახებ — თამაშის სეზონი მომავალი თვიდან იწყებოდა. საუბარში ხშირად ახსენებდნენ იამანეს გვარს.

— ვინ არის იამანე? — განსაკუთრებული ინტერესის გარეშე ჰკითხა იდოხარამ მეპატრონე ქალს, რომელიც პალტოს აწოდებდა.

— ნუთუ არ იცით? — გაოცდა ქალი. — ის ხომ „კონდორის“ ცნობილი პიტჩერია. ყველას ჰგონია, რომ ამ სეზონში კვლავ გამოიჩენს თავს.

ბარიდან გამოსულმა იდოხარამ კინუკო დობასისა და სუკიაბასის შორის მდებარე გზაჯვარედინისაკენ წაიყვანა. შემდეგ ქუჩას დასავლეთისაკენ გაუყვნენ. ქუჩა ჩაბნელებული იყო და წითლად ანათებდა მხოლოდ ბარების ფირნიშები, საიდანაც წამდაუწუმ გამოდიოდნენ სტუმრების გამცილებელი ქალიშვილები. კინუკო და იდოხარა აღმოსავლეთის ფოლადასასხმელი კომპანიის შენობასთან მივიდნენ. პირველი სართული დათმობილი ჰქონდა მაღაზიებს, რომლებიც უკვე დაკეტილი იყო და არც ფირნიშები იყო განათებული. იდოხარამ უხმოდ მოავლო თვალი შენობის ფასადს, უფრო სწორად, ქვედა ნაწილს, რომელიც მაღაზიებს ჰქონდა არენდით აღებული.

მამიკო, ხომ არ გსურთ, რაიმე იყიდოთ აქ? — როდესაც მარტონი იყვნენ, კინუკო იდოხარას მამიკოს ეძახდა.

— არა, ისე ვათვალიერებ. — იდოხარამ ყურადღება მიაქცია ელექტროსაქონლის მაღაზიის ვიტრინას, რომელსაც პირველი სართულის საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა. მხოლოდ ის იყო განათებული და შენობის უშველებელი ფასადის შავ ფონზე ნათელ ლაქად გამოირჩეოდა.

იდოხარამ ახალგაზრდა მსახიობ ქალს მხარზე ხელი მოხვია და იქაურობას გასცილდა.

— სიტყვამ მოიტანა და, კვლავ მეგობრული ურთიერთობა გაქვს „ალილუიის“ მეპატრონე ქალთან? — ჰკითხა მან.

— რასაკვირველია, — მაშინვე მიუგო კინუკომ. — ევროპიდან ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღესვე მივართვი საჩუქრები ფუკუსიმას. ძალიან გაუხარდა. სხვათა შორის, მის მაღაზიაში მეტისმეტად მაღალი ფასებია. ისეთივე ნივთები, როგორც მას ჩამოვუტანე, იქ ხუთჯერ მეტი ღირს.

სალონი „ალილუია“, რომლის შესახებაც საუბრობდნენ, აოიამას რაიონში მდებარეობდა და ქალებისათვის განკუთვნილი საზღვარ-

გარეთული საქონლით ვაჭრობდა. კინუკო ამ სალონის მუდმივი მყიდველი გახლდათ და, მიუხედავად სხვაობისა წლოვანებაში, ახლოს დაუმეგობრდა „ალილუიის“ მეპატრონე ქალს.

— როგორ მიდის ვაჭრობის საქმე? — შეეკითხა იდოხარა.

— როგორც ჩანს, მაღაზია აღმავლობის გზაზეა.

— ბევრნი, ალბათ, მეპატრონე ქალის მფარველის რეკომენდაციით მოდიან?

— ალბათ, ნახევარი. ფუკუსიმას ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ ისურვებდა საქმის გაფართოებას, მაგრამ ამისათვის საჭიროა მაღაზიის უფრო შესაფერის ადგილზე გადატანა.

— ფუკუსიმა ყოველდღეა მაღაზიაში?

— არა, კვირაში ორ დღეს სახლში ატარებს.

— როცა ვიცე-მინისტრი ეწვევა ხოლმე?

— ალბათ.

— მოდი, ერთი შევიაროთ იმ სალონში, რაიმე ვიყიდოთ შენთვის.

— მართლა? საოცარია — რამდენჯერ დაგპატიჟეთ და უარს მეუბნებოდით, ახლა კი უცებ თვითონ მთავაზობთ.

— უხერხული ხომ არ იქნება, მამაკაცთან ერთად რომ მიხვიდეთ?

— სრულებითაც არა. ფუკუსიმას ძალიან გაუხარდება. დიდი ხანია სურს თქვენი გაცნობა და თანაც ხელცარიელები ხომ არ გამოვალთ იქიდან — რაიმეს ვიყიდით.

— მაშ წავიდეთ.

— მხოლოდ დავურეკავ. შემთხვევით ვიცე-მინისტრთან ხომ არა აქვს დღეს შეხვედრა დანიშნული.

სანამ კინუკო ტელეფონზე რეკავდა, იდოხარამ თვალით მოზომა ფართობი, რომელიც აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის შენობაში ელექტროსაქონლის მაღაზიას ეპირა. აგრეთვე შეეცადა გაეხსენებინა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის საპარლამენტო მოადგილის ფოტოსურათი, რომელიც საკმაოდ ხშირად გაიელვებდა ხოლმე პოლიტიკური მოვლენებისადმი მიძღვნილი გაზეთების ფურცლებზე. „ალბათ, მას მოსწონს, როდესაც ვიცე-მინისტრს უწოდებენ“, — გაიფიქრა იდოხარამ.

— „ალილუიის“ მეპატრონე ქალი ადგილზეა და გველოდება, — უთხრა ტელეფონის ჯიხურიდან გამოსულმა კინუკომ.

იდოხარამ ტაქსი გააჩერა და ისინი სალონში წავიდნენ.

— რისი ყიდვის ნებას დამრთავთ? — კინუკომ თავისი ხელისგული იდოხარას ხელს დაადო.

— შეგიძლია იყიდო ყველაფერი, რაც მოგეწონება, — გაუღიმა იდოხარამ.

— გმადლობთ, მე იქ იმდენი რამ მომწონს.

— ფუკუსიმასთან სახლში დადიხარ? — თითქოსდა სხვათა შორის შეეკითხა იდოხარა.

— დიახ, სწორედ წინა დღით ღამის სამ საათამდე ვისაუბრეთ. სალონი ხომ თორმეტ საათზე იკეტება. შემდეგ მასთან წავედით, ვივახშმეთ, ვისაუბრეთ და გავიხედეთ, უკვე სამი საათი შესრულებულიყო.

— ვიცე-მინისტრი სომ არ იყო მასთან?

— რასაკვირველია, არა. რომ მოსულიყო, მე მაშინვე წავიდოდი სახლში.

— ხშირად დადის ფუკუსიმასთან?

— ალბათ, თვეში ოთხჯერ, თუ დაკავებული არაა — უფრო ხშირად. აი, როდესაც პარლამენტის სხდომები იწყება, მაშინ იშვიათად მოდის.

— მაშასადამე, თვეში ოთხჯერ... საბრალო ბავშვი, თითქმის ვერ ხედავს მამას. — იდოხარას უკვე გაგებული ჰქონდა, რომ ფუკუსიმას სამი წლის გოგონა ჰყავდა. ადრე ფუკუსიმა აკასაკიში ღამის კლუბის ჩვეულებრივი ქალიშვილი იყო, მაგრამ მალე, მას შემდეგ, რაც ვიცე-მინისტრისაგან გოგონა შეეძინა, სალონი „ალილუია“ გახსნა.

გზაში კინუკომ მოასწრო იმის თქმა, რომ ვიცე-მინისტრს კიდევ ორი ქალი ჰყავდა, მაგრამ უპირატესობას ფუკუსიმას ანიჭებდა. და, ალბათ, იმიტომ, რომ ფუკუსიმამ მისგან ბავშვი იყოლია. იდოხარამ ისიც გაიგო, რომ წარმატების მქონე პარლამენტის მოღვაწე ოცდათვრამეტი წლის იყო და სახელად სინამი ერქვა.

მანქანა გაჩერდა პატარა მაღაზიასთან, რომელსაც სადა ფირნიში

ამშვენებდა. ისინი შიგ შევიდნენ. იდოხარა გაოცდა, ისეთი გემოვნებით იყო გაფორმებული სალონი.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა კინუკო, ერთ-ერთი გამყიდველი ქალი მაშინვე ფუკუსიმას დასაძახებლად წავიდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. — კარში მაღალი ტანის, შავკაბიანი და სადად თმაგადაკარცხნილი ქალი გამოჩნდა.

კინუკო მაშინვე მის შესახვედრად გაიქცა და მხიარული სიცილით იდოხარა წარუდგინა.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა, კინუკო ბევრს მიამბობდა თქვენს შესახებ. მაგრამ ვერაფრით შემოგიტყუეთ აქ. ალბათ, ძალზე დაკავებული ბრძანდებით. ახლახან ჩამობრძანდით უცხოეთიდან, არა? — ფუკუსიმას დიდრონი თვალებიდან გულითადობა გამოკრთოდა.

ჩაი მოიტანეს და სამივე მაღაზიის სიღრმეში მდგარ მოხერხებულ მაგიდას მიუსხდა.

— ამბობენ, თქვენი სალონი დიდი პოპულარობით სარგებლობს? — უთხრა იდოხარამ.

— დიახ, დიახ. — წამოიძახა კინუკომ და მეპატრონე ქალს ხმა არ ამოაღებინა. — აქ მხოლოდ პირველხარისხოვანი ნივთები იყიდება და მყიდველებიც შესაფერისნი არიან.

— კინუკოც ხელს უწყობს ვაჭრობას — აქედან ხელცარიელი არასოდეს გადის, — უთხრა ფუკუსიმამ.

— რას ბრძანებთ? მე ხელმოკლე ცხოვრებას ვარ შეჩვეული და ამიტომ მოკრძალებული მყიდველი ვარ. მაგრამ დღეს ყველაფერს ვიყიდი, რასაც მოვისურვებ, მამიკომ ნება დამრთო.

— ინებეთ, გეთაყვა, რაც არის, ყველაფერი თქვენს განკარგულებაშია. იმედია, ბატონო იდოხარა, ამიერიდან თქვენც უფრო ხშირად გვესტუმრებით.

— ვეცდები.

— მაგრამ სხვა ქალებისათვის თუ შეიძენთ საჩუქრებს, ფუკუსიმა მაშინვე შემატყობინებს, — თითის ქნევით დაემუქრა კინუკო.

— თქვენ, რასაკვირველია, ამას არ იზამთ, — გაიღიმა ფუკუსიმამ.

— ედავოდ.

მაღაზიასთან მანქანა გაჩერდა და კარში ორი მყიდველი ქალი გამოჩნდა.

— კარგი სალონი გაქვთ, მაგრამ ცოტა არ იყოს, სივიწროვე იგრძნობა. — იდოხარამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ფუკუსიმას.

— სივიწროვეს იმდენად არ ვუჩივი, რამდენადაც ადგილია შეუფერებელი. — რაც უნდა თქვათ, მაინც ქალაქის განაპირაა.

— მაგრამ აქ ხომ დიდი მშენებლობაა გათვალისწინებული.

— ეს მართალია. ახლომახლო უკვე გამოჩნდა ქალის ტანსაცმლის რამდენიმე მაღაზია, გაიხსნა ახალი რესტორნები. ხუთიოდე წლის შემდეგ ამ რაიონს ვეღარ იცნობთ. მაგრამ ამდენ ხანს მოცდა არ მინდა და ვოცნებობ, რაც შეიძლება მალე სადმე ცენტრში გავხსნა სალონი. უკვე ვთხოვე ჩემს ვიცე-მინისტრს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ შესაფერისი ადგილი. მართალია, გამოჩნდა ერთი, მაგრამ ისეთი ცეცხლის ფასი დაადეს, რომ გაოცებისგან თვალები დავაჭყიტე.

— დიახ, შესაფერისი ადგილის გამოძებნა იოლი როდია, მაგრამ, ვფიქრობ, ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც ბატონი სინამია, რაიმეს მოიფიქრებს.

— რას ბრძანებთ! მას მხოლოდ საერთო-სახელმწიფოებრივი პრობლემები აინტერესებს. ჩემთვის კი არაფერს ცდილობს. ამბობს, უხერხულია, ერთიც ენახოთ და ვინმემ გაიგოსო.

— სწორია, პოლიტიკური მოღვაწე წინდახედული უნდა იყოს.

— შევთავაზე, ვინმეს სთხოვეთ-მეთქი, მაგრამ ყურიც არ მათხოვა! ამბობენ, ძალიან ნიჭიერი პოლიტიკოსია. იქნებ ასეცაა, მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— რაიონი შეათვალიერეთ?

— კარგი იქნებოდა სალონის გინზაზე გადატანა. ჩვენი ვაჭრობისათვის უკეთეს ადგილს ვერ იპოვნი, გინზაზე მდებარე მაღაზიის მიმართ პატივსაცემ მყიდველებს ნდობაც მეტი აქვთ. იქნებ თქვენ გამოძებნოთ თავისუფალი წუთი და ამის თაობაზე ესაუბროთ ჩემს ვიცე-მინისტრს?

— ჩემთვის უხერხულია. მე ხომ პატარა კაცი ვარ, — უთხრა იდოხარამ.

— რას ბრძანებთ! მას მხოლოდ გაუხარდება. ის გულღია ადამიანია და სრულებით არ ყოყოჩობს თავისი მდგომარეობით, — შეეპასუხა ფუკუსიმა.

— კარგი, როგორმე ვინახულებ, — უთხრა იდოხარამ და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს თხოვნით დაიყოლიესო.

— რახან ასეა, როცა ინებებთ, მაშინ შეგახვედრებთ. სიმართლე გითხრათ, ბევრი ცდილობს მასთან შეხვედრას — ყველას რაღაც სათხოვარი აქვს. ცოტამ თუ იცის ჩვენი ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ვინც იცის, რამდენჯერ მთხოვეს მასთან შეხვედრა, მაგრამ ყოველთვის უარს ვეუბნები. თქვენ — სხვა საქმეა. თქვენთვის მზად ვარ ეს გავაკეთო. იმედია. ასეთი შეხვედრა ოდესმე თქვენც მოგიტანთ სარგებლობას.

— გმადლობთ, ჯერჯერობით არ არის საჭირო.

— გასაგებია, თქვენ ხომ ძალზე დაკავებული ბრძანდებით. — იწყინა ფუკუსიმამ. კინუკომ ეს შენიშნა და საუბარში ჩაერია:

— საყიდლებს მივხედოთ, დღეს აუცილებლად შევიძენ თქვენთან რაიმე ძვირფას ნივთს.

მაღაზიიდან გამოვიდნენ და იდოხარა კინუკოს დაემშვიდობა. მსახიობი ქალი გაიბუტა. ის ფიქრობდა, რომ დღევანდელ ღამეს იდოხარა მასთან გაატარებდა. და თუმცა იდოხარამ სასწრაფო საქმე მოიმიზეზა, კინუკომ არ დაუჯერა, რადგან გადაწყვიტა, ალბათ, სხვა ქალთან მიდისო.

იდოხარა მარტო დარჩა და მძღოლს ხანედას აეროპორტში წასვლა უბრძანა. მანქანაში ფიქრობდა სინამიზე, რომლის შესახებაც უკვე კარგა ხანია აგროვებდა ცნობებს. ახლა სინამის მინისტრის პარლამენტო მოადგილის პოსტი ეკავა, მაგრამ და ხლოებული იყო კაცთან, რომლის დანიშვნასაც ვარაუდობდნენ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე და მორიგ არჩევნებზე ამ პარტიის გამარჯვების შემთხვევაში სინამის გენერალური მდივნობის პერსპექტივა ესახებოდა, მთავრობაში კი, ალბათ, ერთ-ერთი გავლენიანი მინისტრის პოსტს დაიკავებდა. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ ახალგაზრდა, იმედის მომცემი სახელმწიფო მოღვაწე.

დროა, ვიმოქმედო, გადაწყვიტა იდოხარამ, მაგრამ უხეშად კი არა, ნელ-ნელა. მისთვის ადრევე იყო ცნობილი ფუკუსიმასა და სინამის ურთიერთობის შესახებ, თუმცა, სინამის უახლოესი პირებიდან ცოტამ თუ იცოდა ამის შესახებ. მისმა ცოლმაც კი არაფერი იცოდა.

იდოხარამ მხოლოდ იმიტომ კი არ გაბა ნაცნობობა კინუკოსთან, რომ ის ახალგაზრდა ლამაზი მსახიობი იყო, სწორედ მაშინ გადა-

აწყდა კინუკოს, როცა ფუკუსიმას ნაცნობთა წრის შესწავლა დაიწყო, და გადაწყვიტა, რომ სწორედ მისი, ფუკუსიმას მეგობარი ქალის საშუალებით შეძლებდა სინამისთან დაკავშირებას.

მანქანა საერთაშორისო ავიახაზების დარბაზს მიადგა. შესასვლელთან იდოხარას მისი მდივანი ოკუნო ელოდა.

— ყველა შეკრებილია, — მოახსენა იდოხარას. — თუმცა ახლა გამოაცხადეს, რომ თვითმფრინავი ჰონკონგიდან ოცდაათი წუთით იგვიანებს.

— სად არის ნემოტო? — შეეკითხა ის მდივანს.

— ამ საღამოს თათბირი აქვს და ბოდიში მოიხადა, რომ აეროპორტში ვერ მოვიდოდა ქალბატონ ხაცუკოს შესახვედრად.

— თათბირი? — იდოხარას გაახსენდა, რომ ნემოტომ გააფრთხილა, დღეს მეგობრებთან ერთად სმას ვაპირებო. თუმცა აი უკვე ოცი წელი იქნება, რაც ისინი წარსული საქმეებისათვის საზოგადოებამ უარყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. გამორიცხული არაა, რომ ზოგიერთი მათგანი განაგრძობს კიდეც ფარულ მუშაობას. ყოველ შეთხვევაში, ნემოტო, როგორც ჩანს, მათ შორის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ძნელი სათქმელია, რის შესახებ საუბრობენ ისინი ერთმანეთში. იქნებ, ინფორმაციას უზიარებენ ერთმანეთს, ფიქრობდა იდოხარა და აუჩქარებლად ადიოდა მეორე სართულზე, სადაც სიოძი და რიოსაბურო, ცოლებთან ერთად, ელოდნენ.

გუშაგი

ნემოტო მეგობრებს დაემშვიდობა და აუჩქარებლად გაუყვა გინზას. ჩვეულებრივ, ისინი სიმბასის ახლოს მდებარე ჩინურ რესტორანში იკრიბებოდნენ. ეს ადგილი იმიტომ აირჩიეს შეხვედრებისათვის, რომ მყუდრო უკანა ოთახი ჰქონდა და არც თვით რესტორანი იყო მაინცდამაინც თეალში საცემი. თან კვებაც იაფი იყო. ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მათი ორგანიზაციის ბევრ წევრს მუდმივი შემოსავალი არ გააჩნდა. მართალია, სასმელ-საჭმელის ფული როცა არ ყოფნიდათ, მაშინ ყველას მაგიერ ნემოტო იხდიდა. შეხვედრისას სხვადასხვა თემაზე საუბრობდნენ, მაგრამ მთავარი ის

გახლდათ, რომ ეს შეხვედრები ხელს უწყობდა მათი ურთიერთობის განმტკიცებას. მათი უმეტესი ნაწილი საზოგადოების მიერ რატომ-ღაც უარყოფილი ხალხი იყო. იხსენებდნენ გარდასულ დროს, როცა ძალა მათ მხარეს იყო და ეს გარემოება, ისევე, როგორც დღევან-დელი მდგომარეობა, აიძულებდა ერთად ყოფილიყვნენ. ისინი ყო-ველნაირად მალავდნენ თავიანთ წარსულს და, თუ მაინც გამოაშკა-რავდებოდა, ცდილობდნენ არ გაეზვიადებინათ და მოკრძალებულად ეცხოვრათ. ალბათ, ამიტომაც, ყოველი მორიგი შეხვედრის დამთავ-რებისას თითო-თითოდ იშლებოდნენ — თავს იჩენდა ძველი სამსა-ხურებრივი ჩვევა. და აი, ნემოტო მარტო მიაბიჯებდა გინზაზე. ახლა ის კვლავ „ორიენტის“ ერთ-ერთი დირექტორი გახლდათ. შეიხედა ნაცნობ ბარში, ფეხზე მდგარმა დალია ორი პატარა ჭიქა ვისკი, მა-შინვე გადაიხადა ფული და რეკლამის შუქით გაჩირაღდნებულ ქუ-ჩაში გაკიდა. ცოტა გაიარა და უმიზნოდ კუთხეში შეუხვია. უბრა-ლოდ, გასეირნება კადაწყვიტა. იქ ვეება ბნელი შენობები აღმართუ-ლიყო და ქუჩას ძლიკს ანათებდა იშვიათი ფარნები. უცებ შეჩერდა ერთ-ერთ სახლთან, რომლის შესასვლელთან ჩამოკიდებული იყო აბრა: „აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანია“ ჩაფიქრებულმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა შენობის ფასადის გასწვრივ. თან პირ-ველი სართულის მაღაზიების ჩაბნელებულ ვიტრინებში იხედებოდა. გარეშე ადამიანი იფიქრებდა, ალბათ, ვინმეს ელოდებაო. გამვლელი ბევრი იყო, მაგრამ არც ერთ მათგანს არც ნემოტოსაკენ და არც აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობისაკენ არ გაუხე-დავს.

ნემოტომ მეზობელი შენობის გაკაშკაშებულ შესასვლელზე გაიარ-იტანა მზერა. შესასვლელი იმიტომ გაენათებინათ, რომ იქ, მესამე სართულზე, მოდური ბარი იყო. სწორედ იმ დროს კარში გამო-ჩნდნენ ბარის ქალიშვილები, ისინი ხმაურით ემშვიდობებოდნენ სტუმრებს. სტუმრები რომ გაიცილეს, მოპირდაპირე მხარეს შეამ-ჩნიეს ნემოტო, რომელიც მათ უთვალთვალებდა და შეშინებულები სასწრაფოდ უკან შეცვივდნენ.

ნემოტოს ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა კაცმა — მეზობელი შენობის დარაჯმა. ის კედელთან იდგა და უკვე კარგა ხანია აღმო-სავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობის ფასადის გასწვრივ მოსეირნე ნემოტოს უთვალთვალებდა. განსაკუთრებული ყურადღე-ბით მაშინ აკვირდებოდა, როდესაც ფარნის სინათლე ნემოტოს სახე-

ზე ეცემოდა. ბოლოს გაბედულად გამოვიდა თავშესაფრიდან და პირდაპირ ნემოტოსაკენ წავიდა.

— გამარჯობათ, ბატონო კაპიტანო, — უხერხულად წარმოთქვა დარაჯმა და ქუსლი ქუსლს მიარტყა.

ნემოტო შეკრთა და შემობრუნდა. სიბნელეში კარგად ვერ გა ჩია მასთან მისული კაცის სახე, მაგრამ ასეთ მიმართვას მაინ[illegible] მაინც არ გაუოცებია. მითუმეტეს, რომ ახლახან დ. მთვარებულ[illegible] შეხვედრის დროს მეგობრები სწორედ კაპიტანს უწოდებდნენ.

— ვინა ხართ? — შეეკითხა ნემოტო.

— ბატონო კაპიტანო, ხორიკავა ვარ, უნტერ-ოფიცერი ხორიკავა ჟანდარმერიის რაზმიდან, — ხმადაბლა უთხრა დარაჯმა და ირგვლივ შიშით მიმოიხედა.

ნემოტო მდუმარედ აკვირდებოდა მის სახეს.

— შეცდომა გამორიცხულია, შენ მართლაც უნტერ-ოფიცერი ხორიკავა ხარ, — წაიბუტბუტა მან. — გამარჯობა, გამარჯობა! მაინც, როგორ გამოცვლილხარ! — უფრო გულთბილად უთხრა ნემოტომ

— ვიდრე თქვენთან მოსვლას გადავწყვეტდი, მეც დიდხანს კიუურებდით.

— რას იზამ — ორივე მაგრად მოვხუცდით.

— მე ორჯერ უფრო მოვხუცდი — ბევრი სამუშაო დამაწვა კისერზე.

— მეგობრებმა ბევრჯერ მოგიგონეს და კარგის მეტი. არაფერი უთქვამთ შენზე.

— განა თქვენ ხვდებით ვინმეს?

— ზოგჯერ ხდება ხოლმე, როგორმე შენც დაგიძახებთ.

— ალბათ, არ ღირს. ახლა წყნარად ვცხოვრობ, ღამის დარაჯი ვარ, შენობას ვიცავ.

— ნუთუ აი ამ შენობას? — გაოცებულმა ნემოტომ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის შენობაზე მიუთითა.

— არა, მეზობელ შენობას.

— ასე, ასე, აი, თურმე, სად მოკალათებულხარ. პირდაპირ გასაოცარია. გინზაზე ხშირად ვარ ხოლმე და ვერც მოვიფიქრებდი, რომ აქვე. გვერდით, უნტერ-ოფიცერი ხორიკავაა.

— აქ მხოლოდ ღამით ვარ. ერთი სიტყვით, თხუნელასავით ვცხოვრობ.

ნემოტომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ თავი დახარა და უთხრა:

— ხორიკავა, ჩვენ ყველა თავაუღებლად ვმუშაობთ და ზოგიერთმა შეძლო წინ წაწევა. მოითმინე, შენი დროც დადგება.

— დიახ, სულით ჯერ არ დაებერებულვარ და იმედს არ ვკარგავ.

— აი, ეს სწორია! რამდენი წლის გახდი?

— ორმოცდათოთხმეტის.

— გამოდის, რომ ჩემზე შვიდი წლით ახალგაზრდა ხარ.

— მაგრამ, ბატონო კაპიტანო, ნება მიბოძეთ, გითხრათ — თქვენ მშვენივრად გამოიყურებით.

— გმადლობთ, მაგრამ, შესაძლოა, მხოლოდ გარეგნულად გამოვიყურები ასე.

— ბატონო კაპიტანო, გარეგნობაზე ჩამოაგდეთ სიტყვა და უცებ გამახსენდა, რომ ამ ერთი საათის წინ ერთ კაცს შევხვდი სწორედ ამ ადგილზე, სადაც ახლა თქვენ დგახართ. მას ახალგაზრდა ქალიშვილი ახლდა.

— ძველი მეგობრებიდან ხომ არ იყო ვინმე?

— დიახ. სიტყვამ მოიტანა და, იმხანად თქვენც კარგად იცნობდით მას. იდოხარაზე მოგახსენებთ, ის სამხედრო მომარაგების სამინისტროში თავისუფალ დაქირავებულად მუშაობდა.

— რას ამბობ?! იდოხარა?!

— დიახ, სწორედ ის იდოხარა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს სულ ცოტა, რომელიმე დიდი კომპანიის პრეზიდენტი ყოფილიყოს. ქალთან ერთად იდგა და აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობას ათვალიერებდა. მე ვერ შემამჩნია. მინდოდა შევხმიანებოდი, მაგრამ გავიფიქრე, უხერხული ხომ არ იქნება ასეთნაირად მასთან გამოცნაურება-მეთქი, მითუმეტეს, რომ ქალიშვილი ახლდა და, ალბათ, არც წარსულის გახსენება სურდა.

— ასე, ასე. — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ნემოტომ. — ჰო, მართლა, როდის ჩამოხვედი ტოკიოში?

— მხოლოდ ერთი წლის წინ. მანამდე სულ სოფელში ვცხოვრობდი, კიუსიუზე. კუმამოტოს პრეფექტურაში დავიბადე, იქ, სოფელში დარჩა ჩემი ცოლი. ომის დამთავრების შემდეგ მეც იქ დავბრუნდი. ცოლთან ერთად გლეხურ მეურნეობას ვეწეოდი. სამი წელია, რაც ცოლი გარდამეცვალა, სოფელში დარჩენა აღარ მინდოდა

და ტოკიოში წამოსვლა გადავწყვიტე. აქ ერთი კაცი დამეხმარა და დარაჯად მომაწყო. მას შემდეგ ღამის დარაჯად ვმუშაობ.

ნემოტომ გაიფიქრა, ამ ყოფილმა უნტერ-ოფიცერმა, ომის შემდეგ თითქმის ოცი წელი სოფელში რომ გაატარა, საეჭვოა რაიმე იცოდეს იმის შესახებ, თუ რა პოსტი უკავია დღეს იდოხარასო.

— სად ცხოვრობ? — შეეკითხა ნემოტო. — შესაძლოა, შენც შეგატყობინოთ, როცა ძველი მეგობრები ხელახლა შეეიკრიბებით.

ხორიკავამ ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, მისამართი დაწერა, ფურცელი ამოხია და ნემოტოს გადასცა.

— გძადლობთ. — ნემოტოს მისამართის წაკითხვა უნდოდა, მაგრამ მეტისმეტად ბნელოდა, თან სათვალის წამოღებაც დავიწყებოდა.

— ხორიკავა, გირჩევ არავის უთხრა, იდოხარას რომ შეხვდი.

— მესმის.

— როგორმე ყველაფერს მოგიყვები, მაგრამ მანამდე იდოხარას სახელიც კი არავისთან ახსენო.

— მესმის! — დღევანდელ დარაჯში ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ძველი მებრძოლის სული, შეჩვეული იყო ყოველგვარი მსჯელობის გარეშე ბრძანების დამორჩილებას.

ნემოტო ხორიკავას გამოემშვიდობა და იურაკუტეს მიმართულებით გაუყვა ქუჩას. მან იცოდა, რომ ხორიკავა თვალს ადევნებდა და ცდილობდა, ძველებურად მტკიცე ნაბიჯით ევლო.

აი მოულოდნელი შეხვედრა, — ფიქრობდა ნემოტო. იდოხარა კი თვით ბედმა შეახვედრა ხორიკავას. იდოხარა ტყუილად როდი ათვალიერებდა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის კომპანიის შენობას. ასედაც ვვარაუდობდი, — თვითონვე დაადასტურა ნემოტომ. ახლა, ალბათ, ის გაიძვერა იდოხარა აეროპორტში წავიდა ცოლის შესახვედრად, ერთი საათის წინ კი ახალგაზრდა საყვარელთან ერთად სეირნობდა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობის წინ. ჩანს, ბიზნესშიც და სასიყვარულო საქმეებშიც განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენს, — ფიქრობდა ნემოტო...

* * *

იდოხარა, სიოძი, რიოსაბურო და მათი ცოლები დაბლა იცქირებოდნენ, სადაც ჰონკონგიდან ჩამოფრენილი მგზავრები საბაჟო შემოწმებას გადიოდნენ.

— ახლა ქალბატონ კურატას რიგია, — წამოიყვირა ტაეკომ. რიოსაბუროს ცოლმა.

კურატას სწორედ მებაჟის წინ დაეცა ორი დიდი ჩემოდანი და საკვოიაჟი. ხაცუკო მეორე მებაჟესთან იდგა რიგში. როგორც ჩანს, კურატას ჩემოდნების გახსნა შესთავაზეს. ქალმა რაღაც უთხრა მებაჟეს მაგრამ იმან უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და შეუდგა მისი ნივთების ერთი მეორის მიყოლებით გადასინჯვას. ცალკე აწყობდა პატარა კოლოფებს, რომლებშიც, ალბათ, ბეჭდები, საათები და ძვირფასეულობა იყო. შემოწმების შემდეგ ნივთების მთელი გორა დადგა. კურატასგან განსხვავებით, ხუცაკოთან ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მებაჟემ რაღაც ჰკითხა, ჩემოდნებზე ცარცით აღნიშვნა გააკეთა და ხელით ანიშნა — გადიო. კურატაც აიძულეს, ნივთები მიეტანა ინსპექტორთან, რომელმაც გრძელი საუბარი გაუბა.

ხაცუკო მხიარული სახით გაღიმებული მივიდა დამხვდურებთან. ტაეკომ წინ წასვლა დააპირა, მაგრამ რიოსაბურომ სახელოზე მოქაჩა:

— მოითმინე, ჯერ მამა უნდა მიესალმოს!

— აი, მეც ჩამოვედი, — უთხრა ცოლმა იდოს რას და მიესალმა. როდესაც ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, აშკარად იგრძნობოდა მათ შორის ასაკობრივი სხვაობა. ხაცუკო ოცი წლით უმცროსი გახლდათ თავის ქმარზე.

— ბედნიერ დაბრუნებას გილოცავ, — მიესალმა გაღიმებული იდოხარა.

— თქვენ ევროპიდან დათქმულ დროზე ადრე დაბრუნდით? — ხაცუკო დაკვირვებით მისჩერებოდა იდოხარას.

— სუგინუმა რომ გარდაიცვალა, დეპეშით შემატყობინეს და იძულებული გავხდი, დავბრუნებულიყავი.

— ეს მეტად მოულოდნელი იყო. უბრალოდ, ვერ დავიჯერე, როცა ჰონკონგში ჩამოფრენილმა ერთმა იაპონელმა მითხრა. მაპატიე, დაკრძალვაზე რომ დავიგვიანე.

— არა უშავს. რადგან საზღვარგარეთ სამოგზაუროდ წახვედი, ყველა ღირსშესანიშნაობა მშვიდად უნდა დაგეთვალიერებინა.

დამხვდურები გვერდზე გადგნენ. საერთაშორისო ავიარეისების დარბაზში ხალხი მომრავლდა, მაგრამ ჩამოსულ მგზავრთა შორის ცნობილი ბეისბოლისტი იამანე არ ჩანდა.

იდოხარასთან ოკუნო მივიდა და ჩასჩურჩულა:

— კიამა მოდის აქეთ.

იდოხარა შეშფოთებულა. ჟურნალ „ფინანსების“ მფლობელი პირდაპირ მისკენ მოდიოდა.

— ეს თქვენა ხართ, ბატონო კიამა, — იდოხარა მხიარული სახით შეეგება.

— საღამო მშვიდობისა, — უპასუხა მან და მიესალმა იდოხარასა და ხაცუკოს, რომელიც მისი ხმის გაგონებაზე შემოტრიალდა, — ძოხარული ვარ, რომ ერთად გხედავთ, ბბა, რომელმა თქვენგანმა იმოგზაურა? — ხუმრობით იკითხა მან.

— ცოლმა იმოგზაურა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მე კი, როგორც მეოჯახე კაცს შეეფერება, შესახვედრად მოვედი.

— მაშ, კმაყოფილი ხართ მოგზაურობით? — მიმართა ხაცუკოს კიამამ.

— ძალიან! ორივემ მშვენიერი დრო გავატარეთ, — მიუგო ხაცუკომ და საბაჟოდან რამდენიმე წუთის წინ დაბრუნებულ კურატაზე მიუთითა. იმის გამო, რომ ძვირფასეულობა ჩამოართვეს, ქალი მოწყენილი იყო.

კიამამ ზრდილობიანად დაუკრა თავი და იდოხარას მიუბრუნდა.

— ბატონო იდოხარა, დადგა დრო, როცა უბრალოდ, აუცილებელია თქვენს შესახებ დავწერო.

— მაინც, რატომ?

— აქ უხერხულია ამის შესახებ საუბარი. უახლოეს დღეებში აუცილებლად გესტუმრებით — და მაშინ უარით ნულარ გამომისტუმრებთ, გეთაყვა.

— თქვენ არა ხართ კარგი კაცი.

— რას ბრძანებთ! მე კი ვაპირებ ყოველნაირად ხოტბა შეგასხათ, მართალია, ჯერჯერობით საკმარისი ინფორმაცია არა მაქვს. ისიც ვიცი, რომ საკუთარ თავზე ლაპარაკი არ გიყვართ და, ამიტომ, ნება მიბოძეთ, თქვენს დირექტორს, ნემოტოს გავესაუბრო. ეს, ალბათ, უფრო მოხერხებული იქნება. დაე, იმან მიამბოს თქვენს მიერ განვლილ გზაზე.

იდოხარამ გაიცინა, მაგრამ არაფერი უპასუხა. თვალებში ნაღველი ჩაუდგა.

ინტერვიუ ჟურნალისათვის

კიამამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო როგორც ეკონომიკურ საკითხთა მიმომხილველმა, თხუთმეტი წლის წინ დაარსებულ ჟურნალ „ფინანსებში“

გარკვეული მისაგებლის საფასურად სტატიებს თითხნიდა იმ კომპანიის სასარგებლოდ, რომელიც ქრთამს აძლევდა. ამ გზით მან შეძლო თხელი არარეგულარული ჟურნალი გადაექცია სოლიდურ ყოველთვიურ გამოცემად, რომელიც ორას გვერდზე იბეჭდებოდა. თუ რომელიმე კომპანია უარს იტყოდა თანხის გაღებაზე, დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებდა მამხილებელ სტატიას. იყო შემთხვევები, როცა ერთი კომპანიის თხოვნით კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა ამ კომპანიის კონკურენტ ფირმას და ამისთვის კარგა მოზრდილ ლუკმას დაითრევდა ხოლმე. ამგვარი გამოძალვით რამდენიმე წლის წინ შეძლო სტაბილური მატერიალური ბაზა შეექმნა ჟურნალისათვის. დადგა დრო, როცა კიამას უკვე აღარ სჭირდებოდა მოხერხებულობა და ჟურნალში მეცნიერული ხასიათის ობიექტური სტატიები იბეჭდებოდა. მაგრამ კომპანიებისაგან კიამა ძველებურად განაგრძობდა ხარკის აღებას და ამ მხრივ სტატიების სამართლიანობა, მეცნიერულობა და ობიექტურობა მხოლოდ კარგად ორგანიზებული კამუფლაჟი იყო.

ასეა თუ ისე, ამჟამად „ფინანსები“ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჟურნალი გახლდათ, კომპანიებმა კი, მასში გამოქვეყნებული სტატიების რეზონანსის შიშით, კიდევ უფრო გაუზარდეს კიამას „შესაწირი“. მეორე მხრივ, კრიტიკულმა სტატიებმა მკითხველთა ნდობა მოუპოვა ჟურნალს. ეს კი ხელს უწყობდა მისი ტირაჟის გაზრდას. ბოლო დროს კიამა პოლიტიკურ წრეებშიც გამოჩნდა და მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ მოღვაწეთა სხვადასხვა თათბირში.

აეროპორტში იდოხარასთან შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ კიამამ ნემოტო სასაუბროდ მიიწვია. თან გააფრთხილა, რომ იდოხარასთან შეთანხმებული იყო ამ საკითხზე. მათ გინზის ახლოს მდებარე სოლიდური რესტორნის ცალკე კაბინეტში დათქვეს შეხვედრა.

როგორც გამოცდილმა ჟურნალისტმა, კიამამ საუბარი ქალების შესახებ წამოიწყო. მეტისმეტად მოურიდებლად ლაპარაკობდა და

ისეთ სიტყვებს ხმარობდა, რომ მოწვეულ სტენოგრაფისტ ქალს სახე აელანძა.

— მაშ ასე, დავიწყოთ, — თქვა კიამამ. მისი აზრით განყენებულ თემებზე საკმაოდ ილაპარაკეს და დრო იყო ძირითად თემაზე გადასულიყვნენ. — ბოლო დროს ბატონ იდოხარას პიროვნებამ ყურადღება მიიპყრო სხვადასხვა წრეში. კარგა ხანია თვალს ვადევნებ ბატონ იდოხარას და ვფიქრობ, რომ დაუგვიანდა სახელის მოხვეჭა. ეს, ალბათ, თვით იდოხარას ბრალია, ვინაიდან მუდამ ცდილობდა თვალში არავის მოხვედროდა და შეუმჩნეველად გაეკეთებინა თავისი საქმე.

ნემოტომ უხმოდ დაუქნია თავი.

— მართალია, ის მუშაობდა ისეთი დიდი მეწარმის გვერდით, როგორიც სუგინუმა გახლდათ და, ბუნებრივია, შეუმჩნეველი რომ დარჩა მისი დიდების შარავანდედში. ახლა კი, როდესაც სუგინუძა აღარ არის, ბევრს რატომღაც მოულოდნელად მიაჩნია იდოხარას პირველ პლანზე წამოწევა. მე კი, ვითვალისწინებ რა იმ როლს, რომელსაც იდოხარა სუგინუმას კონცერნში ასრულებდა, ამას კანონზომიერად ვთვლი. უპირველეს ყოვლისა, ბატონო ნემოტო, მინდოდა ამ საკითხზე თქვენი აზრი მომესმინა. თქვენ ხომ მრავალი წელია ბატონ იდოხარასთან ერთად მუშაობთ მის კომპანია „ირიენტში".

— სრულებით გეთანხმებით. იდოხარას საქციელში დიდი როლი ითამაშა მისი ხასიათის ზოგიერთმა თავისებურებამ.

— გთხოვთ, დაწვრილებით მიამბოთ.

— არსებობს კომპანიის ხელმძღვანელთა სხვადასხვა ტიპი. ერთნი, პოპულარობის მოპოვების მიზნით, ყოველნაირ რეკლამას უკეთებენ თავიანთ საქმიანობას. სხვები — რომელთაც ბატონი იდოხარა მიეკუთვნება — ზედმეტი ხმაურის გარეშე მუშაობენ და მოკრძალებულად იქცევიან. მათ მხოლოდ თავიანთი კომპანიის საქმეები აინტერესებთ. არაფერი მაქვს პირველთა საწინააღმდეგო, მაგრამ პირადად მე იდოხარასთანა ხელმძღვანელებს უფრო ვცემ პატივს.

— სავსებით გეთანხმებით, — აიტაცა კიამამ. — მაგრამ, ჩემი აზრით, ბატონი იდოხარა მეტისმეტად მოკრძალებულად იქცეოდა. მართალია, ახლა, სუგინუმას სიკვდილის შემდეგ, ძალაუნებურად იძულებულია დათმოს თავისი მოკრძალებულობა. და ეს, ალბათ, გამოისახა მის განზრახვაში. ითავოს კომპანია „ატიოს" ხელმძღვანელობა. არ დავფარავ: მისმა ამ ნაბიჯმა გაოცება გამოიწვია ირგვლივ

მყოფთა შორის. სიტყვამ მოიტანა და, ახლა უკვე ბევრმა იცის, რომ ბატონმა იდოხარამ უდიდესი ფინანსური დახმარება გაუწია სუგინუმას კონცერნს. სხვათა შორის, როდის მოასწრო ამდენი ფულის დაგროვება?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება.

— არ გსურთ იმ კომპანიის საიდუმლო გასცეთ, რომლის ერთ-ერთი დირექტორიც თქვენ ბრძანდებით?

— საქმე ეს როდია. იცით რა, კომპანია „ორიენტი", როგორ გითხრათ, ბატონ იდოხარას პირად მფლობელობაშია და მხოლოდ ის გეგმავს მის საქმიანობას, ჩვენ კი მის მითითებებს ვასრულებთ.

— თუ არ ეცდები, ბატონმა იდოხარამ თავისი სატრანსპორტო კომპანია „ორიენტი" ათას ცხრაას ორმოცდაცხრა წელს შექმნა?

— დიახ. წინათ პატარა კომპანია ჰქონდა და სხვასთან შეაერთა, ასე წარმოიქმნა დღევანდელი „ორიენტი".

— ის პატარა კომპანია როდისლა შეიქმნა?

— მაშინ ჯერ კიდევ არ ვმუშაობდი იდოხარასთან და გამიძნელდება ზუსტი თარიღის თქმა. მგონი, ათას ცხრაას ორმოცდაშვიდ წელს.

— ოჰო, მაშინ სწორედ საგანგებო მდგომარეობა სუფევდა ქვეყნის ეკონომიკაში.

კიამამ სხვა სახელი უწოდა იაპონიაში შაკი ბირჟის აყვავების პერიოდს. ამით სიტყვა გადაუკრა, იდოხარამ თავისი ქონება იმით შეიძინა, რომ წარმატებით თამაშობდა შავ ბირჟაზეო.

— იდოხარამ თვითონვე ახსენა, რომ ომის შემდეგ, ძალზე მცირე ქონების პატრონმა, ბირჟაზე დაიწყო თამაში და ბევრი ფული იშოვა. შემდეგ ნაწილ-ნაწილ შეისყიდა სანაოსნო კომპანიების აქციები და, როდესაც კორეის ომი დაიწყო, ამაზეც მოიგო. მერე გაყიდა ყველა თავისი აქცია და დააარსა ახალი კომპანია, რომელიც ძალზე მომგებიანი აღმოჩნდა. აი საიდან გაუჩნდა ფული, — დაასკვნა ნემოტომ.

— გამოდის, რომ. რა საქმესაც ხელი მოჰკიდა, ყველგან წარმატება ჰქონდა?

— დიახ, ბედი წყალობდა. მართალია, განსხვავებით ნუვორიშებისაგან, რომლებიც ომის დროს თვალის დახამხამებაში გამდიდრდნენ და ასევე სწრაფად გაკოტრდნენ, იდოხარას საქმე საიმედოდ მიჰყვებოდა და მუდამ პერსპექტივა ესახებოდა.

— ნება მიბოძეთ, ახლა უფრო ინტიმური ხასიათის საკითხებს შევეხო: ბატონი იდოხარა ხელმეორედ იმხანად დაქორწინდა, როდესაც სატრანსპორტო კომპანია „ორიენტის“ საქმეები კარგად მიდიოდა?

— სრული ჭეშმარიტებაა. სწორედ ცოტა ხნით ადრე მისი პირველი ცოლი გარდაიცვალა.

— თუ არ ვცდები, მეორე ცოლის მამა ყოფილი ვიცე-ადმირალია, დედა კი წარმოშობით არისტოკრატული ოჯახიდანაა?

— დიახ.

— ამ ამბავთან დაკავშირებით მრავალი ჭორი გავრცელდა და თავს ნებას ვაძლევ, ჩემი აზრი მოგახსენოთ: ღარიბი გლეხის შვილი იდოხარა გამდიდრდა. ხშირად ბრწყინვალე კარიერის უბრალო ადამიანს ცოლად მოჰყავს კეთილშობილი წარმოშობის ქალი. რასაკვირველია, დღევანდელი დემოკრატიის ეპოქაში წარმოშობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, მაგრამ თუკი არისტოკრატული წარმოშობის ქალზე დაქორწინებამ იდოხარას საქმეებში სტიმული შესძინა და გაორმაგებული ენერგიით შეუდგა მეწარმოებრივ საქმიანობს, მაშინ, ჩემი აზრით, ეს მხოლოდ მის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

— სავსებით გეთანხმებით. — ნემოტოს ხველა აუტყდა და მის წინ მდგარი ფინჯნიდან საკე მოსვა.

— მითხარით, ბატონო ნემოტო. მართალია, ომის დროს ბატონი იდოხარა არმიაში მსახურობდაო?

— არმიაში მას არ უმსახურია და არც ჯარისკაცი ყოფილა. მობილიზაციით შრომის ფრონტზე მოხვდა და სამხედრო ქარხანაში მუშაობდა.

— როდისღა შეძლო იმდენი ფულის დაგროვება, რომ ომის დამთავრებიდან ერთი-ორი წლის შემდეგ ბირჟაზე ეთამაშა?

— წვრილმანები ჩემთვის უცნობია. შესაძლოა, ფული ისესხა ვინმესაგან, ვინც მისი იღბლიანობა იწამა.

კიამასთან საუბრის დროს ნემოტო არ იეიწყებდა იმას, რასაც წინა დღეს იდოხარა უჩიჩინებდა: „კიამა სრულიად მოულოდნელი კითხვებს დაგისვამს. რადგან მასთან საუბარზე უარი ვთქვი, ამიტომ მოინდომებს რაიმეში გამოჭერას. დაიმახსოვრე ეს. შენთან შეხვედრა რამდენიმე დღის წინ მთხოვა, აეროპორტში შემთხვევით შეეხვდი. ჰოდა, მეც გულის კანკალით დავთანხმდი“.

— გასაგებია, — განაგრძობდა კიამა. — მაშ' დამე ვიღაცამ გაუმართა ხელი... მიოხარით, ხომ არ იცნობთ ვინმეს, ვინც იმ დროს იდოხარასთან ერთად სამხედრო ქარხანაში მუშაობდა? იცით, მისი ნაამბობი, შესაძლოა, ძალზე ძვირფასი მასალა გახდეს იდოხარას მომავალი ბიოგრაფიისათვის. გარდა ამისა, მისი იმდროინდელი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი გააცოცხლებდა ჩვენს ინტერვიუს.

— მაშინ შრომის ფრონტზე მობილიზებას უკეთებდნენ სხვადასხვა რაიონის ხალხს და ახლა არც ისე იოლი იქნება რომელიმე მათგანის მოძებნა.

— ნუთუ არსად ინახება მობილიზებულთა სია? ამჟამად ძალიან დაგვეხმარებოდა.

— თითქმის ყველა სამხედრო დოკუმენტი ომის დამთავრებისთანავე გაანადგურეს. ვფიქრობ, იგივე ბედი ეწია იმ სიებსაც.

— ესე იგი, ჩვენი მკითხველისათვის იდოხარას ბიოგრაფიაში დიდი თეთრი ლაქა რჩება — მთელი პერიოდი, სამხედრო ქარხანაში სამუშაოს დაწყებიდან, ვიდრე ბირჟაზე წარმატებით ითამაშებდა. საწყენია, ამ ხარვეზის შევსება რომ შევძლოთ, გ ცილებით საინტერესო გახდებოდა იდოხარას ბიოგრაფია.

ნემოტომ გაიღიმა, მაგრამ დუმილი ამჯობინა. იმას ფიქრობდა, კიამას სიტყვებს მილმა „ხარვეზების შევსება რომ შევძლოთ, ბიოგრაფია უფრო საინტერესო გახდებოდა", რა იმალებაო — და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მომავალში, შესაძლოა, ეს კიამა გამოდგომოდა კიდეც.

— ახლა კი, ბატონო ნემოტო, — კიამამ საუბრის თემა შეცვალა, — ნება მომეცით, რამდენიმე შეკითხვა მოგცეთ თქვენი ბიოგრაფიის ირგვლივ, ვინაიდან თქვენი ინტერვიუ ჟურნალში გამოქვეყნდება, სასურველი იქნებოდა მკითხველები თქვენც გაგცნობოდნენ.

— ჩემს თავზე საინტერესოს ბევრს ვერაფერს გიამბობთ. ახალგაზრდობაში სააქციო საზოგადოებაში ვმუშაობდი, შემდეგ ომი დაიწყო და ჯარში გამიწვიეს.

— საით გაგგზავნეს?

— ჯერ ჩინეთში, შემდეგ — სამხრეთის ზღვების ქვეყნებში.

— რა ჩინი გქონდათ?

— უმცროსი ოფიცერი გახლდით... მგონი კმარა ჩემს შესახებ, — ჩაიცინა ნემოტომ.

— რახან ასეა, ბატონ იდოხარას დაეუბრუნდეთ. რა მიზნით გადაწყვიტა, ხელი მოჰკიდოს კომპანია „იატიოს“?

— ჯერჯერობით ჩემთვის არ არის ცნობილი, გადაწყვიტა თუ არა, სათავეში ჩაუდგეს ამ კომპანიას.

— ამის თაობაზე უკვე გვაქვს ზუსტი ცნობები... მაგრამ რადგან თქვენ ჯერჯერობით არაფერი იცით ამის შესახებ, მოდით, უბრალოდ, დავუშვათ, რომ იდოხარა გახდა „იატიოს“ პრეზიდენტი. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ საინტერესო დასკვნა, რომ ბატონმა იდოხარამ გადაწყვიტა სამშენებლო ასპარეზზე გამოსცადოს თავი.

— მართალი ბრძანდებით, დასკვნა შეიძლება საინტერესო გაკეთდეს, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია, აქვს თუ არა ასეთი განზრახვა.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ სავარაუდოდ ვილაპარაკებთ და ასევე სავარაუდოდ გამოვაქვეყნებთ ჟურნალში. მაშ ასე, მშენებლობა... სხვა დარგებთან შედარებით, სტაბილურია, რადგან შეკვეთების ორმოც პროცენტზე მეტი მთავრობის დაწესებულებებიდან მოდის. თანაც „იატიო“ აწარმოებს ყველაზე ხელსაყრელ საინჟინრო სამუშაოებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აშენებს გზატკეცილებს, სანაესადგურო ნაგებობებს, რკინიგზას. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთავრობა ყოველნაირად ცდილობს წაახალისოს ამგვარი სამუშაო, კერძოდ, სესხის საშუალებით. მაშინ საკადრისი უნდა მივუზღათ ბატონ იდოხარას შორსმჭვრეტელობას. მაგრამ სერიოზულ უთანხმოებებს უნდა ველოდოთ უკვე არსებულ მსხვილ სამშენებლო კომპანიებთან.

— თუ სავარაუდოდ ვილაპარაკებთ, მაშინ თქვენი შეხედულება, უეჭველად, სწორია, მაგრამ ბატონ იდოხარას ჯერჯერობით არაფერი უცნობებია ჩემთვის და...

— და თქვენი მდგომარეობის კაცი მეტს ვერაფერს გვეტყვის?

— უბრალოდ, ასეთ საკითხებს თვითონ წყვეტს.

— მაგრამ, ამბობენ, თითქოს თქვენ მისი უახლოესი მრჩეველი ხართ.

— ეს სწორი არ არის. თქვენთვის ცნობილია, რომ იდოხარას ვაჟიშვილი ჰყავს ნაშვილები და ჩვენი კომპანია ერთგვარად ოჯახურ ხასიათს ატარებს. მე კი მხოლოდ ჩვეულებრივი მმართველი გახლავართ.

— ძალიან თავმდაბალი ბრძანდებით, თუმცა ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ თქვენ მეთაურობთ იდოხარას გონებრივ ტრესტს.

ნემოტომ ვერ გაიგო, ცნობილი იყო თუ არა კიამასთვის მისი და იდოხარას განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება, თუ დასკვნები გამოჰქონდა მხოლოდ მათ შორის არსებული გარეგნული ურთიერთობიდან. ასეა თუ ისე, ერთ რამეს მიხვდა: კიამას სურდა, რაღაც ცნობები დაეცინცლა იდოხარას შესახებ. ინტერვიუ კი მასთან დაახლოების ერთ-ერთი ხელსაყრელი მომენტი გ ხლდათ. ამიტომ ნემოტომ გადაწყვიტა, უარი არ ეთქვა ასეთ ცდ ზე, რადგან თვლიდა, რომ ოდესმე, როცა დრო მოვიდოდა, შეიძლება კიამაც გამოდგომოდა.

ინტერვიუ ამით დამთავრდა. კიამა და ნემოტო ზრდილობიანად დაეშვიდობნენ და დასცილდნენ ერთმანეთს.

ნემოტომ, რასაკვირველია, იცოდა, იდოხარა „იატიოს" წართმევას რომ უპირებდა კოიტის და შეთანხმების ზოგადი პროექტიც რომ მზად იყო. მაგრამ ჯერჯერობით არ იცოდა, იდოხარა მართლაც ამ კომპანიაზე დაყრდნობით თუ აპირებდა სამშენებლო ინდუსტრიაში დამკვიდრებას. იმ მდგომარეობისდა მიხედვით, რომელშიც „იატიო" იმყოფებოდა, ჯერჯერობით ამის შესახებ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, ხოლო მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი გაფართოება დიდ ძალ-ღონეს მოითხოვდა. უპირველეს ყოვლისა, „იატიოში" არ ჰყავდათ საჭირო ხალხი, რომლებიც შეძლებდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ არსებული მსხვილი სამშენებლო კომპანიებისათვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მთავრობის მოხელეებთან მჭიდრო კონტაქტს, რადგან ცალკეულ შეკვეთათა ორმოცი პროცენტი ადმინისტრაციული ორგანოებიდან მოდიოდა. ამიტომ სამშენებლო კომპანიებს ხშირად თავის შტატში ჰყავდათ რომელიმე გავლენიანი მოხელე, რომელიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაღალ ხელფასს იღებდა და არავითარ კონკრეტულ სამუშაოს არ ასრულებდა. ხოლო როდესაც საქმე შეკვეთების მიღებაზე დგებოდა, ის კარნახობდა გზებს, რათა ყველაზე სასარგებლო პირობებით მიეღოთ შეკვეთები. ამით კომპანიას კარგი შემოსავალი ჰქონდა და სავსებით ამართლებდა მთელი წლის მანძილზე მოხელეზე გაწეულ ხარჯებს.

მაგრამ „იატიოსთანა" მეორეხარისხოვან სამშენებლო კომპანიაში ამგვარი მოხელის შტატი არ იყო და ეს, უეჭველია, ართულებდა სარგებლიანი შეკვეთების მიღების საქმეს.

თავდაპირველად ნემოტო ფიქრობდა, იდოხარა უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო დაინტერესდა „იატიოთი“, მითუმეტეს, რომ სამშენებლო ინდუსტრიაში ხელსაყრელი კონიუნქტურა სუფევდა. მაგრამ შემდეგ სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ იდოხარას ჰქონდა საკუთარი მოსაზრება, რომელსაც ჯერჯერობით ყველასგან საიდუმლოდ ინახავდა.

გაცნობა

კიამასა და ნემოტოს საუბრის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. იდოხარა, კინუკო და ფუკუსიმა აკასაკში, რესტორან „სონეს“ ცალკე კაბინეტში საღამოს შეხვდნენ ერთმანეთს. ფუკუსიმას გვერდით არავინ არ იჯდა. იგი განკუთვნილი იყო სინამისათვის, ეაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის საპარლამენტო მოადგილისათვის. როგორც ჩანს, მას ცოტა აგვიანდებოდა.

— რა ბედნიერი ვარ, — გაუთავებლად იმეორებდა ფუკუსიმა და იდოხარას გულაჩუყებული შეჰყურებდა. — და ამავე დროს დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ოცნებასაც კი ვერ გავბედავდი, რომ ჩემი სალონი ასეთ ადგილზე გადამეტანა.

— მეც ისეთი მადლობელი ვარ, თითქოს მე მეწია ეს ბედნიერება, — უთხრა კინუკომ. — მამიკო შეგვპირდა, რომ პირველი სართულის ყველაზე კარგ ადგილს მოგცემს აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობაში, სოლო ელექტროსაქონლის მაღაზიას კი ვაადგებს იქიდან.

— უკვე რამდენჯერმე შევიხედე, დავათვალიერე — თვალს ვერ ვაცილებდი. ალბათ, ყურადღება მომაქციეს და ეჭვობენ კიდეც, — თქვა ფუკუსიმამ.

— ყოვლად შეუძლებელია, — ჩაერია ლაპარაკში იდოხარა. — მოლაპარაკება აბსოლუტურ საიდუმლოებაში მიმდინარეობს და ამის შესახებ ჯერჯერობით არავინ არაფერი იცის.

ამ დროს ჩქარი ნაბიჯების ხმა მოისმა და კაბინეტში ოდნავ აქოშინებული სინამი შემოვიდა.

— გაიცანით—ბატონი იდოხარა, ეს კი კინუკოა,—უთხრა ფუკუსიმამ.

იდოხარა და კინუკო მიესალმნენ.

— შაპატიეთ დაგვიანებისათვის. — სინამიმ ოდნავ დახარა თავი. — დღეს სხდომაზე პრემიერ-მინისტრი ბობრძანდა და ადრე წამოსვლა უხერხული იყო.

სინამი ფუკუსიმას გვერდით დაჯდა და, უპირველეს ყოვლისა, მადლობა გადაუხადა იდოხარას იმ კეთილგანწყობისათვის, რაც ფუკუსიმას მიმართ გამოიჩინა, როცა მისი სალონისათვის მშვენიერი ადგილი შესთავაზა. იდოხარამ უპასუხა, რომ შემთხვევით გახდა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობის მფლობელი და, გაახსენდა რა ფუკუსიმას თხოვნა, ურჩია დაეკავებინა ელექტროსაქონლის მაღაზიის ადგილი. საბედნიეროდ, საარენდო ხელშეკრულების ვადა ორ თვეში იწურება და იდოხარას გადაწყვეტილი აქვს აღარ გაუგრძელოს.

— მაგრამ საარენდო ფასი, ალბათ, საშინლად მაღალია, არა? — შეშფოთებით იკითხა ფუკუსიმამ.

— რასაკვირველია, ადგილი ხომ საუკეთესოა. — იდოხარამ მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა.

— ნუთუ უარის თქმა მომიწევს? — ფუკუსიმამ დაბნეულად გადახედა სინამის. სინამიმ მხრები აიჩეჩა და გაიღიმა. ეს ღიმილი იმას ნიშნავდა, რომ იდოხარა, ალბათ, ხელსაყრელ პირობებზე დათანხმდებაო.

— საარენდო ფასი არ უნდა იყოს იმაზე დაბალი, რასაც ამ შენობაში არსებული სხვა მაღაზიები იხდიან, — მიუგო იდოხარამ, შემდეგ გაიღიმა და დაუმატა: — თანხას ხელშეკრულების გაფორმების დროს განვსაზღვრავთ, მაგრამ ის მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. სინამდვილეში კი, ვთქვათ, ორმოცდაათი ათას იენს ავიღებ თვეში, ხელსაყრელი იქნება თქვენთვის ასეთი პირობები?

— მხოლოდ ორმოცდაათი ათასი? — გაიმეორა ფუკუსიმამ, თან ყურებს არ უჯერებდა.

— დიახ. ხოლო როდესაც თქვენი მუშაობა აეწყობა, შეიძლება ეს თანხა შევცვალო.

ფუკუსიმა იდოხარას ისე შესცქეროდა, თითქოს მის წინ ძვირფასი ქვა დევსო.

— გაიგონეთ? მხოლოდ ორმოცდაათი ათასი... — მიუბრუნდა ბოლოს სინამის.

ვიცე-მინისტრმა გაიღიმა.

— ალბათ, ბატონი იდოხარა ხუმრობს. ზედ გინზის შუაგულში

—ასეთ ადგილს ორმოცდაათ ათასად არ აქირავებენ. ეს უველა გონიერი ადამიანისათვის ცხადია.

— მამიკო, მართლა იხუმრეთ? — შეეკითხა კინუკო.

— ასეთ საზოგადოებაში ჩემს თავს ხუმრობის უფლებას არ მივცემ.

— მაშ, მართლა ორმოცდაათი ათასი, ბატონო იდოხარა? — წამოიძახა სინამიმ.

— გთხოვთ, ჩათვალოთ, რომ ეს ჩემი კაპრიზია. მაგრამ თუ „ალილუიას" კარგი შემოსავალი ექნება, მაშინ საარენდო ფასის მომატების უფლებას დავიტოვებ.

— მთელი სულითა და გულით გიხდით მადლობას. — სინამიმ მდაბლად დაუკრა თავი. იგრძნობოდა, რომ მას ამგვარი სამსახურებისათვის მადლიერების გამოსახატავად ხშირად უხდებოდა თავის დაკვრა.

— არ ვიცი, რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი გრძნობები, ახლა, უბრალოდ, გაოგნებული ვარ, — წამოიძახა ფუკუსიმამ. — შენი მადლობელიც ვარ, კინუკო.

— რას ბრძანებთ? მეც ძალიან მიხარია, — უპასუხა კინუკომ.

— ბატონო იდოხორა, — უთხრა ვიცე-მინისტრმა, — თქვენ, თურმე, კიდევ უფრო არაჩვეულებრივი პიროვნება ბრძანდებით, ვიდრე ლაპარაკობენ. — სინამის კვლავ უღიმოდა სახე. მაგრამ სერიოზული და დაძაბული თვალებით შეჰყურებდა იდოხარას.

შანტაჟის დასაწყისი

ჰონკონგიდან იაპონიაში დაბრუნებული რეპორტიორი მორიტა სიამოვნებით ფიქრობდა იმის შესახებ, რომ მისმა კოლეგებმა ვერ გაიგეს იამანესა და ხაცუკო იდოხარას ურთიერთობის ამბავი. მორიტამ შეძლო დაედგინა, რომ იამანე იაპონიაში გაფრინდა ხაცუკოს წამოსვლის შემდეგ მეორე დღეს.

პირველ ყოვლისა, მორიტა დააინტერესა სპორტსმენ იამანეს რომანტიკულმა გატაცებამ. მას რომ ურთიერთობა ჰქონოდა ბარში მომუშავე ქალიშვილთან ან ახალგაზრდა სტუდენტ გოგონასთან, ეს არ გასცდებოდა სადმე პიკნიკზე ჩვეულებრივი გართობის ჩარჩოებს,

მაგრამ აქ საქმე გვქონდა გათხოვილ ქალთან და ეს განსაკუთრებულ პიკანტურობას ანიჭებდა მთელ ამ ამბავს.

ჰონკონგიდან დაბრუნდა თუ არა, მორიტამ მეორე დღესვე რედაქციაში შეიარა. მაშინვე შემოეხვივნენ თანამშრომლები და სთხოვეს, დაწვრილებით ეამბო, როგორი დრო გაატარა ჰონკონგში. მორიტამ დაუყოვნებლივ მოუთხრო საცეკვაო დარბაზის შესახებ. თან, რასაკვირველია, იცრუა, რომ ღამე გაატარა დიდებულ ქალიშვილთან და ამ სიამოვნებისათვის ასი დოლარი გადაიხადა. გაცხარებული თხრობისას რედაქტორი შემოვიდა და ჰკითხა:

— სიტყვამ მოიტანა და, რისთვის დაგჭირდა ინფორმაცია იდოხარას ცოლზე?

მორიტამ გადაწყვიტა, ჯერჯერობით იამანე არ ეხსენებინა და უპასუხა:

— იქ, ოტელში, ერთი ქალბატონი ხელგაშლილად ატარებდა დროს და მის შესახებ ზოგიერთი წვრილმანის გაგება მომინდა.

— მერედა, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა გაეტარებინა დრო, თუკი იდოხარას ჩეჩქივით აქვს ფული და ბოლო დროს ფინანსურ წრეებში შესამჩნევი კაცი გახდა?

— ძაინც ვინ არის ეს იდოხარა?

— ნუთუ არ იცი? კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რამდენად უვიცები არიან სპორტული ჟურნალისტები ყველაფერში, რაც სპორტს არ ეხება. — რედაქტორმა ჩაიცინა და რეპორტიორს მოკლედ უამბო იდოხარას კარიერისა და არისტოკრატული ოჯახიდან გამოსულ ქალიშვილზე დაქორწინების ამბავი.

მორიტა უსმენდა. გონებაში კი უყალიბდებოდა სენსაციური სტატიის სათაური: „პიტჩერი იამანე ინტიმურ კავშირშია ცნობილი მეწარმის, იდოხარას ცოლთან. სიყვარულის ვნებანი ჰონკონგში“.

— მაინც რა ჩაიდინა იდოხარას ცოლმა? — შეეკითხა რედაქტორი.

მორიტა აპირებდა იამანესთან მისი კავშირის ხსენებას, მაგრამ გადაწყვიტა, ჯერ დრო არ დამდგარაო და გაიმეორა:

— უბრალოდ, მინდოდა გამეგო, ვინ იყო ეს ქალი, ასე დიდებულად რომ ერთობოდა ოტელში.

— ასეთი სისულელის გამო გვახარჯვინებ დროსა და ფულს საერთაშორისო დეპეშებისათვის? — რედაქტორი განრისხდა. — შენ

ხომ სპორტული რეპორტიორი ხარ და მეტი არაფერი. რა ჯანდაბს გულისათვის ერევი საქმეში, რომელიც შენ არ გეხება?

რედაქტორმა ისიც დაუმატა, რომ მორიტას ხელფასიდან დაეჭვითებოდა გამოგზავნილ დეპეშათა ღირებულება, აგრეთვე პასუხისა, რომელიც რედაქციიდან მიიღო.

უკანასკნელმა სიტყვებმა აღაშფოთა მორიტა. ის ხომ გაზეთისთვის ცდილობდა. არა, ამიერიდან აღარაფერს იტყვის. და, თუ სენსაციური სტატიის გამოქვეყნებას გადაწყვეტს, მაშინ სხვა გაზეთს მოძებნის.

იდოხარასა და ხაცუკოს შესახებ ცნობების შემდგომმა შეგრძნებამ მორიტა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იდოხარა მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ფინანსურ სამყაროში, მისი ცოლი კი საზოგადოების უმაღლეს ფენას მიეკუთვნებოდა. ახლა კარგად ესმოდა, რამდენად წინდახედულად მოიქცა ქალი, იამანე სხვა ოტელში რომ მოაწყო.

მორიტას ერთი საინტერესო გეგმა მოუმწიფდა გონებაში. საერთოდ, საკმაოდ კარგი რეპორტიორი გახლდათ და პატიოსნად ეკიდებოდა თავისი მოვალეობების შესრულებას. მაგრამ იმ გარემოებამ, რომ შემთხვევით იამანესა და ხაცუკოს ინტიმური კავშირის საიდუმლო გაიგო, მისი აზრები სხვა მიმართულებით წარმართა.

მორიტა ორი მიზნისთვის იღვწოდა. ჯერ ერთი, მისთვის ცნობილი იყო, რომ ბოლო დროს სპორტულ გაზეთებს იმდენი მკითხველი აღარ ჰყავდა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მნიშვნელოვნად შენელდა ინტერესი ბეისბოლისადმი, რომელსაც მთავარ ადგილს უთმობდნენ გაზეთები. ამ საკითხს სპორტული გაზეთების მთავარ რედაქტორთა სპეციალური სხდომაც კი მიეძღვნა. მათ გადაწყვიტეს, შეემცირებინათ ინფორმაცია ბეისბოლზე და მნიშვნელოვნად გაეფართოებინათ განყოფილებები, რომლებიც თეატრალურ-ლიტერატურულ ნარკვევებს ეძღვნებოდა. მორიტას ვარაუდით, თუ მარჯვედ მიაწვდიდა სპორტსმენ იამანესა და იდოხარას ცოლის სიყვარულის რომანტიკულ ამბავს, გამოვიდოდა სენსაციური ლიტერატურული ნარკვევი — სწორედ ის, რაც ახლა იყო საჭირო. ამგვარად, მათი გაზეთი სხვა კონკურენტებზე მაღლა დადგებოდა და გაზეთის ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნებოდა დამსახურებისამებრ დაეფასებინა იგი.

მეორე მიზანი... არა, არა, რასაკვირველია, იგი ასე არ მოიქცევა... ისე კი, საბოლოოდ, რა ხეირი ექნება სტატიის გამოქვეყნებით? მხო-

ლოდ უფროსების შექება და მომატებული ჰონორარი. მაინც, რატომ არ უნდა შეინახოს ეს ცნობები საიდუმლოდ და შესაფერ მომენტში არ გამოიყენოს უფრო ეფექტურად ისე, რომ დიდი თანხა დაითრიოს? ახლა გაზეთში გაცილებით ნაკლებ მასალას გამოაქვეყნებენ ბეისბოლზე და სულ მალე უმუშევრობა ემუქრება. მაშასადამე, ურიგო არ იქნება, თუ მომავალზე იზრუნებს.

დასაწყისისათვის გადაწყვიტა, ზოგი რამ გაეგო ხაცუკოს შესახებ. ორი გზით შეიძლებოდა ამ მიზნის მიღწევა: დამოუკიდებლად შესდგომოდა საქმეს ან კურატას მეშვეობით ემოქმედა. მაგრამ კურატა ხაცუკოს საუკეთესო მეგობარი გახლდათ. მორიტას ზრახვებს შეატყობინებს და ხაცუკოც მაშინვე გაფრთხილდება.

მორიტა ავტომატის ჯიხურში შევიდა, ტელეფონების წიგნში იდოხარას ნომერი მოძებნა და დარეკა.

ყურმილი, როგორც ჩანს, შინამოსამსახურე ქალმა აიღო.

— ბანკ ჰ.-ს მთავარი კანტორიდან გაწუხებთ. — მორიტამ სოლიდური ბანკი დაასახელა. თანაც სპეციალურად მოიხსენია მთავარი კანტორა, რომელსაც მეტი პატივისცემით ეკიდებიან, ვიდრე ბანკის უბრალო განყოფილებას. — ქალბატონ იდოხარას სთხოვეთ ტელეფონთან.

— ერთი წუთით მოითმინეთ. — ყურმილში პოპულარული იავნანა მოისმა: როგორც ჩანს, შინამოსამსახურე ქალმა ყურმილი მუსიკალურ ზარდახშაზე დადო. მალე ყურმილში შინამოსამსახურე ქალის ხმა გაისმა, — სამწუხაროდ, ქალბატონი შინ არაა.

მორიტა მიხვდა, რომ ხაცუკოს, უბრალოდ, არ სურდა ტელეფონთან მისვლა და გადაწყვიტა, შინამოსამსახურე ქალისაგან გაეგო რაიმე.

— ვატანაბე გახლავართ ბანკიდან, — მორიტამ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარი დაასახელა. — დიდი ხანია, ქალბატონი არ შემიწუხებია და მინდოდა გამეგო, როგორ ბრძანდება.

— გმადლობთ, კარგად გრძნობს თავს.

— ეს ყველაზე მთავარია. დიდი ხანია, რაც ჰონკონგიდან დაბრუნდა?

— რამდენიმე დღის წინ.

— ალბათ, დაიღალა ასეთი მოგზაურობის შემდეგ?

— არა, სრულებითაც არა. — იმის მიხედვით. რა ტონით იყო ეს ნათქვამი, მორიტა მიხვდა, რომ იდოხარას ოჯახში არაჩვეულებრივი

არაფერი მომხდარა და, მაშასადამე, იდოხარა, როგორც ჩანს, ვერ ხვდება ხაცუკოსა და იამანეს ურთიერთობას.

— საწყენია, რომ ქალბატონი ვერ შევისწარი შინ, სხვა დროს დავრეკავ. გადაეცით გულითადი სალამი. — მორიტამ ყურმილი დაკიდა და კვლავ დაუწყო ფურცვლა დაფლეთილ სატელეფონო ცნობარს. კურატას სახლის ტელეფონის ნომერი იპოვა, ხოლო გინზაზე მდებარე მისი სალონის ტელეფონის ნომერი იქ არ აღმოჩნდა.

ტელეფონის ნომერი აკრიფა, ყურმილი ქალმა აიღო.

— ქალბატონ კურატას ბინაა? — შეეკითხა მორიტა.

— დიახ.

— ხომ ვერ მეტყვით, რა ეწოდება ქალბატონ კურატას სალონს, გინზაზე რომ მდებარეობს?

— მაპატიეთ, ვინ ლაპარაკობს?

— ცოლის დავალებით გირეკავთ, ქალბატონ კურატას ტალანტის დიდი თაყვანისმცემელია, მისი სალონის მონახულება და რაიმე მოდურის შეკვეთა სურს. — მორიტა მოსაუბრის ძალზე ახალგაზრდა ხმამ დააბნია. პირველად შინამოსამსახურე ქალი ეგონა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ კურატას ელაპარაკებოდა.

— ჩემ სალონს „ტრუა" ჰქვია. მაპატიეთ, მაინც ვისთან მაქვს პატივი საუბრისა?

მორიტა ერთბაშად დაიბნა, ფანტაზიამ უღალატა და იგივე გვარი დაუსახელა, რაც ხაცუკოს შინამოსამსახურეს უთხრა.

— ვატანაბე.

— გმადლობთ. თქვენი მეუღლე მაშინ მოვიდეს, როცა მოეხერხება.

„ესეც ასე. — გაიფიქრა მორიტამ და ყურმილი დაჰკიდა, — ახლა იდოხარას რიგია. სანამ ხაცუკოს შანტაჟირებას დაიწყებდე, დაწერილებით უნდა გავარკვიო, რა კაცია მისი ქმარი".

ზოგი რამ უკვე იცოდა იდოხარას შესახებ გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებიდან. მაგრამ ეს ზოგადი ხასიათის სტატიები გახლდათ, მორიტას კი კონკრეტული ინფორმაციის მიღება სურდა და ამ მხრივ დიდ იმედებს ამყარებდა ჟურნალ „ფინანსების" მეპატრონე კიამაზე, როგორც უთხრეს, თურმე ის ყველაზე კარგად იყო ინფორმირებული ფინანსური და საქმიანი წრეების დიდ მოღვაწეთა შესახებ. მორიტა არ იცნობდა კიამას და კარგად ესმო-

და, რომ იგი გულახდილად არ ისაუბრებდა ვიღაც სპორტულ რეპორტიორთან. ამიტომ გადაწყვიტა, კვლავ მოტყუებით ემოქმედა.

„ფინანსების“ რედაქციაში დარეკა, მაგრამ უპასუხეს, კიამა ახლახან წავიდაო.

— საოცარია, მაშასადამე, ალბათ, უკვე ჩემთან წამოვიდა.

— ვინ ბრძანდებით? — ცოტა შეყოვნდა და ჰკითხა მდივანმა.

— გაზეთ რ-ს ეკონომიკური განყოფილებიდან ვარ, — მორიტამ ერთ-ერთი ძალზე სოლიდური გაზეთი დაასახელა. — საქმე ისაა, რომ დღეისათვის გათვალისწინებული გვქონდა საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“. ყველა მოწვეული, ბატონ კიამას გარდა, უკვე ადგილზეა.

— გთხოვთ, მაპატიოთ, — მდივანმა შედარებით ზრდილობიანად გააგრძელა საუბარი. როგორც ჩანს, გაზეთის სახელწოდებამ გავლენა იქონია. — ბატონ კიამას კალენდარზე არა აქვს აღნიშნული დღეს თქვენი გაზეთის რედაქციაში სტუმრობა.

— რახან ასეა, ახლავე დავუკავშირდები. ამჟამად სად იმყოფება?

— ბატონ კიამას შეხვედრა აქვს კომპანია „ორიენტის“ მმართველთან... — დაბნეულმა მდივანმა რესტორნის სახელი და მისამართი უთხრა. — თუ საჭიროა, შემიძლია ახლავე დავურეკო.

— ნუ შეწუხდებით, მე თვითონ დავურეკავ. — მორიტას სიხარულით აუძგერდა გული. „ორიენტი“ ხომ სწორედ ის კომპანიაა, რომლის პრეზიდენტიც იდოხარა გახლდათ. გონებაში გაიანგარიშა, რომ შეხვედრა საღამოს რვა და ცხრა საათს შორის უნდა დამთავრებულიყო. სადღაც დრო ხომ უნდა მოეკლა და უახლოეს კინოთეატრში შევიდა.

ჯერ პოლიტიკური, შემდეგ კი სპორტული ახალი ამბები აჩვენეს. ეკრანზე გამოჩნდა ბეისბოლისტების სპორტულ ბანაკებში გადაღებული კადრები.

როდესაც კადრში გამოჩნდა ზღვის ნაპირზე გადაღებული იამანე, მორიტამ გადაწყვიტა, ძალზე ბევრი რამ ემთხვეოთ და ეკრანიდან იამანეს მომღიმარე სახემ თითქოსდა, გადამჭრელი მოქმედებებისაკენ უბიძგა.

მორიტას შეცდომა

მორიტა კინოთეატრიდან გამოვიდა და იმ რესტორნისაკენ გაემართა, რომელიც კიამას მდივანმა დაუსახელა. აქ, გინზას პარალელურ ქუჩაზე, ყველაზე ძვირი რესტორნები მდებარეობდა. იქ შესვლაზე

ოცნებაც კი არ შეეძლო მორიტას. ახლომახლო იდგა საზღვარგარეთული მარკის მანქანები, რომლებიც თავიანთ პატრონებს ელოდნენ.

მორიტა რესტორანთან მივიდა და მიმართა კურტაკიან კაცს, როგორც ჩანს, მეგარდერობეს, რომელიც შესასვლელთან იდგა და თამბაქოს ეწეოდა:

— თქვენთან ახლა ბატონი კიამა ვახშმობს. ხომ ვერ გამიგებდით, როდის აპირებს წასვლას?

— ჟურნალისტს გულისხმობთ? — მეგარდერობემ შეათვალიერა მორიტა და, მისდა საბედნიეროდ, გადაწყვიტა, რომ კიამას კოლეგა ყოფილიყო.

— ალბათ, გესმით, უხერხული იქნება თვით კიამას რომ ჰკითხოთ, ამიტომ, უბრალოდ, მოახლე ქალისაგან გამიგეთ, როგორაა იქ საქმე. — თითქოსდა ეუხერხულებაო, სთხოვა მორიტამ.

მეგარდერობე მალე დაბრუნდა და უთხრა:

— ვახშამი დაამთავრეს და ხუთიოდე წუთის შემდეგ გამოეცლენ.

მორიტამ შვებით ამოისუნთქა. მეგარდერობეს რესტორანში შესვლაზე უარი უთხრა და გვერდზე გადგა.

მალე კარში გამოჩნდა საკმაოდ ხანშიშესული, წელში მოხრილი მელოტი კაცი, რომელსაც მოახლე ქალები მოაცილებდნენ. ამ მოხუცის გარეგნობა არაფრით არ შეესაბამებოდა კიამას, რომელიც რეგულარულად წერდა ფინანსური წრეების კულისებს მილმა საქმიანობაზე, და მორიტამ გადაწყვიტა, ეს, ალბათ, „ორიენტის" მმართველია, ვისთანაც კიამა ვახშმობდაო. მოხუცი მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. მეორე მანქანაც იქვე ახლოს იდგა და მაშინვე რესტორნის შესასვლელთან მისრიალდა. კარში გამოჩნდა წელში გამართული ჭაღარათმიანი კაცი. ფარნის შუქზე მორიტამ გულდასმით შეათვალიერა მისი სახე და გაცილებით ახალგაზრდა ეჩვენა, ვიდრე ახლახან წასული. მოახლე ქალებმა თავი დაბლა დახარეს და ისე გააცილეს იგი, ის იყო, ჭაღარათმიანი მამაკაცი მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა, რომ მორიტა მისკენ გაქანდა და მიაძახა:

— ბატონო კიამა!

ჭაღარათმიანმა ბატონმა მოიხედა.

— ცდებით, კიამა არა ვარ. ბატონი კიამა რამდენიმე წუთის წინ წავიდა.

— მაპატიეთ. — მორიტა რამდენიმე წამს დაბნეული შეჰყურებდა ვას და უკვე წასვლას აპირებდა, რომ ჭაღარამ შეაჩერა:

— ვინ ბრძანდებით? — უცნობის ხმა საოცრად მეგობრულად ჟღერდა.

მორიტა მიხვდა, — მის წინ იდგა „ორიენტის“ მმართველი. მასთან ურთიერთობა საჭიროდ არ ჩათვალა და გაპარვა სცადა, მაგრამ ჭეღარათმიანმა ისე გამგმირავად შეხედა რეპორტიორს, რომ მორიტა მისდაუნებურად შედგა.

— თქვენ, ალბათ, გაზეთის კორესპონდენტი ხართ? — შეეკითხა მმართველი.

— დიახ, — უპასუხა მორიტამ და თავი დახარა.

— რას იზამ, რადგან კიამა ხელიდან გაუშვით, ჩემს მანქანაში დაბრძანდით.

— გმადლობთ, მაგრამ...

— რა მოხდა, დაბრძანდით. სადღაც ხომ აპირებთ წასვლას, ჰოდა მე მიგიყვანთ.

შესასვლელთან ისევ იდგნენ მოახლე ქალები, თანაც მეგარდეროობეც გამოვიდა და ამიტომ მორიტამ ამჯობინა ურჩობა არ დაეწყო და მანქანაში ჩამჯდარიყო.

— მეოთხე კვარტლის გავლით წადი, — უთხრა მმართველმა მძღოლს.

მანქანა დაიძრა და მოახლეებმა, როგორც ერთმა, მდაბლად დაუკრეს თავი.

— როგორც ჩანს, კიამას არ იცნობთ, რადგან ერთმანეთში აგვერიეთ, — შეეკითხა მმართველი.

— დიახ. მაპატიეთ, რომ ასე მოხდა. — მორიტამ კეფა მოიფხანა.

— მაშასადამე, თქვენ იცოდით, რომ კიამა ამ რესტორანში მე უნდა შემხვედროდა... ასეთ შემთხვევაში, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგენთ: ნემოტო გაბლავართ სატრანსპორტო კომპანია „ორიენტიდან“.

მორიტას იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, თვითონაც გასცნობიდა. თუმცა ეუხერხულებოდა იმ სპორტული გაზეთის დასახელება, რომელშიც მუშაობდა.

— უცნაურია, რას უნდა მოეყვანეთ თქვენ, სპორტული გაზეთის კორესპონდენტი, „ფინანსების“ მეპატრონესთან? იქნებ, სპორტულ გაზეთს ფინანსური ინფორმაცია დასჭირდა? — ნემოტო კვლავ მეგობრულად იღიმებოდა.

— არა, სხვა მიზეზია.

— მაშასადამე, თქვენ გაინტერესებთ, რომელი აქციები აიწევს ფასში?

— ყველაფერი მაგის გარდა. განა ჩემი ხელფასის პატრონმა შეიძლება იფიქროს აქციების შესყიდვაზე?

— მართალია, ხელფასი მცირეა, სამაგიეროდ სტაბილურია.

„რისთვის დასჭირდა სპორტულ რეპორტიორს კიამასთან შეხვედრა?—ფიქრობდა ამასობაში ნემოტო. — ყველაფერს თუ ავწონ-დავწონით, რედაქციის დავალებით არა, მითუმეტეს, თუ მორიტა კიამას არ იცნობს. კიამა ძალზე გათვითცნობიერებულია ფინანსური წრეების საქმიანობაში, მაგრამ ბოლო დროს წესიერად იქცევა, თუმცა ძველებურად ბნელ საქმეებს არ იშლის და სხვადასხვა კომპანიებიდან ფულის გამოძალვას ეწევა. შესაძლოა, რეპორტიორმა რაიმე შეიტყო კიამას მოღვაწეობის ამ მხარეზე?

იქნებ ეს რეპორტიორი რესტორანში იმიტომ მოვიდა, რომ კიამას „ორიენტის“ მმართველთან ჰქონდა შეხვედრა დანიშნული? აწეთ შემთხვევაში გამორიცხული არაა, რომ მას იდოხარა აინტერესებს. მაგრამ რატომ? არა, მგონი, ეს ამაო შიში იყოს, თუმცა...“

ჟანდარმერიაში მრავალწლიანმა მუშაობამ ნემოტოს თავისებური ყნოსვა გამოუმუშავა. ძველი პროფესიიდან მას ერთი ჩვევა დარჩა: ყოველი ეჭვი, ერთი შეხედვით რა უსაფუძვლოც უნდა ჩანდეს, ბოლომდე შემოწმებას საჭიროებს.

„დიახ, — გაიფიქრა ნემოტომ, — დღევანდელი საღამო თავისუფალი მაქვს, მაშ რატომ არ უნდა ვცადო ყმაწვილის გამოტეხვა?“

მანქანა მიუახლოვდა გზაჯვარედინს, საიდანაც მეოთხე კვარტალი იწყებოდა.

— სად გავაჩერო მანქანა? — მძღოლი ნემეტოს მიუბრუნდა.

— ბატონო მორიტა, რა აზრისა ბრძანდებით, ცოტა ხომ არ დაგველია? — მოულოდნელად შესთავაზა ნემოტომ.

— მე, კაცმა რომ თქვას...

— ნუ გერიდებათ, ზოგჯერ ხომ სვამთ?..

— დიახ. — მორიტას დღეს მართლაც უნდოდა დალევა და რატომ უნდა ეთქვა უარი, თუკი გაუმასპინძლდებოდნენ. „თანაც დარბაისელი კაცია, კარგ რესტორანში დამპატიჟებს და, რაც ხელთ მოხვდება, იმას არ დამალევინებს“, — გაიფიქრა მან. ჰონკონგში მორიტამ ბლომად დახარჯა და ახლა ფული თითქმის აღარ ჰქონდა. ეს კი ხელსაყრელი შემთხვევა იყო.

— აკასაკში, ღამის კლუბში წავიდეთ, — უთხრა ნემოტომ მძღოლს.

მანქანა ოტელ „აკასაკის“ ახლოს, ფეშენებელურ ღამის კლუბთან გაჩერდა. შესასვლელთან ლივრეიანი შვეიცარი შეეგებათ, შემდეგ ჰალსტუხიანმა ბიჭმა ნოხით მოგებული კიბით პირველ სართულზე ჩაიყვანა. ოფიციანტმა თავისუფალ მაგიდასთან მიიყვანა და, მოწიწებით თავდახრილი, შეკვეთას ელოდა.

— რას დალევთ? — შეეკითხა ნემოტო.

მორიტამ შოტლანდიური ვისკი შეუკვეთა. ნემოტომ მის მაგალითს მიბაძა.

— რომელიმე თქვენი ნაცნობი ქალიშვილის მოპატიჟებას ხომ არ ისურვებდით? — შეეკითხა ოფიციანტი.

— გმადლობთ, ვინც თავისუფალია, სთხოვეთ, მოვიდეს.

ორიოდე წუთის შემდეგ მაგიდას ცეკვა-ცეკვით ორი ქალიშვილი მიუახლოვდა: ერთს კიმონო ეცვა, მეორეს — გრძელი ევროპული კაბა.

ერთი ბოკალი ვისკი დალია თუ არა, მორიტა შესანიშნავ გუნებაზე დადგა და საცეკვაოდ გაიწვია ქალიშვილი, რომელსაც ევროპული კაბა ეცვა.

— დიახ, კარგია იაპონიაში, — გაიმეორა მორიტამ და ირგვლივ მიმოიხედა. ამ მდიდრულ კლუბში პირველად იყო.

— საზღვარგარეთ თუ ყოფილხართ? — შეეკითხა ქალიშვილი.

— დიდი ხანი არ არის, რაც ჰონკონგიდან ჩამოვედი. იქ ღამის კლუბში ქალიშვილები არ არიან. უნდა წახვიდე საცეკვაო დარბაზში. მეპატრონეს გადაუხადო იმ დროის საფასური. სანამ ქალიშვილი იქ არ იქნება. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია წაიყვანო იგი. ქალიშვილსაც საკმაო თანხა უნდა გადაუხადო. არა, იაპონიაში უფრო კარგია.

ისინი დაბრუნდნენ მაგიდასთან. მორიტასათვის უკვე შეევსოთ ბოკალი ვისკით. მან მაშინვე მოსვა ნახევარი.

— ჩემთანაც იცეკვეთ, — შესთავაზა კიმონოიანმა ქალიშვილმა.

მორიტამ ნემოტოს შეხედა, იმან ხელის ჩაქნევით წაახალისა და რეპორტიორი კვლავ საცეკვაოდ გავიდა ჰოლში.

— ხომ არ იცეკვებთ? შესთავაზა ნემოტოს ევროპულ კაბაში გამოწყობილმა ქალიშვილმა.

— არა, ამ საქმისათვის უკვე დავბერდი, — გაიცინა ნემოტომ. — როგორ მოგეწონათ პარტნიორი?

შესანიშნავად ცეკვავს. ეტყობა, საზღვარგარეთ დიდი პრაქტიკა ჰქონდა. ამბობს, ახლახან დაებრუნდი ჰონკონგიდანო.

ჰონკონგიდან? — წამოიძახა ნემოტომ და გაიხედა ჰოლში, სადაც მორიტა ცეკვავდა. — როდის ჩამოვიდა?

— თქვა, ახლახანო... რა მოგვიიდათ? — გაოცდა ქალიშვილი.

— არა, არა, განსაკუთრებული არაფერი. — ნემოტომ მის ჭიქას მიუჭახუნა და შესვა.

მგონი, ხედებოდა მორიტას განზრახვას. რეპორტიორი და იდოხარას ცოლი ხაცუკო ახლახან დაბრუნდნენ ჰონკონგიდან. გამორიცხული არაა, რომ იქ შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. და აი, ახლა მორიტა ცდილობს შეხვდეს „ფინანსების“ მეპატრონეს, კიამას, თუმცა ადრე მას არც იცნობდა. ჩანს, ხაცუკო საძრახის საქციელში გამოიჭირა და გადაწყვიტა, კიამას მიპყიდოს საიდუმლო. ეს ვარაუდი იმ ფაქტმაც განუმტკიცა, რომ მორიტა, როგორც სპორტული გაზეთის რეპორტიორი, ამგვარ საქმეებში ახალბედა არ იყო.

ნემოტო სულაც არ თვლიდა, რომ ხაცუკო მორჩილი ცოლი იყო. იდოხარა ხშირად ხვდებოდა სხვადასხვა ქალს და ეს ხაცუკოსათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, მაგრამ, როგორც არისტოკრატულ წრეშია მიღებული, ხმას არ იღებდა. და მაინც, ხაცუკო არ გახლდათ იმ ტიპის ქალი, რომელიც ქმარს ამგვარ საქციელს აპატიებდა. როგორც ჩანს, გადაწყვიტა ასევე ემოქმედა. ამიტომაც გაემგზავრა ჰონკონგში, და ალბათ რომ ჰქონოდა, თავისი ერთგული მეგობარი კურატაც თან წაიყვანა.

წუთით ნემოტოს თავში გაუელვა, რომ ხაცუკოს საყვარელი მორიტა იყო, მაგრამ მაშინვე უკუაგდო ეს მოსაზრება. ამ შემთხვევაში მორიტა შეეცდებოდა, პირველ რიგში, ხაცუკოს შეხვედროდა და არა კიამას. არა, როგორც ჩანს, მორიტა შემთხვევითი მოწმე გახდა ხაცუკოს შეუფერებელი საქციელისა. აი, ახლა ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დადგა.

მორიტას შეეშინდა თვით იდოხარასთან შეხვედრისა და ფულის გამოძალვისა. გაითვალისწინა რა იდოხარას საზოგადოებრივი მდგომარეობა, ძალზე სარისკოდ ჩათვალა ეს ნაბიჯი და გადაწყვიტა, თავისი საიდუმლოება მიეყიდა მესამე პირისათვის — კიამასათვის, რომელმაც ფინანსური ტუზების ყველა საიდუმლოება იცოდა. თუ მო-

რიტას მიზანი მარტო ფული იყო, მაშინ ის თანხაში წააგებდა, როცა კიამას მიჰყიდიდა საიდუმლოების. მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი საქციელი ნაკლებ საფრთხეს უქადდა მას.

მუსიკა დამთავრდა. გამხიარულებული მორიტა თავის პარტნიორ ქალთან ერთად დაბრუნდა მაგიდასთან, სადაც კვლავ ვისკით სავსე ბოკალი ელოდა. მორიტამაც მოიყუდა და გადაჰკრა.

შეამჩნია თუ არა, რომ სასმელი მოეკიდა, ნემოტომ ჰკითხა:

— ბატონო მორიტა, თქვენ თურმე ახლახან ჩამოსულხართ ჰონკონგიდან, მოგეწონათ იქაურობა?

მორიტამ ბოკალი გვერდზე გასწია და გაოცებით შეხედა ნემოტოს.

— საიდან იცით ეს? ჰო, ალბათ, ჩემმა პარტნიორმა ქალმა წამოროშა. ოჰ, ეს ქალიშვილები — სიტყვასაც ვერ ეტყვი, მაშინვე გაგცემენ.

— მოდით, კიდევ სადმე წავიდეთ, — შესთავაზა ნემოტომ, როცა სამი ბოკალი ვისკისაგან სახეალაჟღაჟებულ რეპორტიორს შეხედა. — აქედან არც თუ ისე შორს ერთი მყუდრო ადგილია.

— იცით, როგორღაც უხერხულად ვგრძნობ თავს.

— ნუ გერიდება. მართალია, ჩვენ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ მაშინვე მომეწონე. ასე რომ, დღეს ვიმხიარულოთ.

გაფრთხილება

ნემოტომ მორიტა სადგურ სიმბასის ახლოს მდებარე საკლუბო ბარში მიიყვანა. ამ ბარში შესვლა შეეძლოთ მხოლოდ კლუბის წევრებს — კომპანიების პრეზიდენტებს, დირექტორებს და ზოგიერთ გამოჩენილ პირს. ბარი მდიდრულად იყო მოწყობილი, სკანდინავიური კოტეჯების ყაიდაზე. ავეჯიც კი სპეციალურად შეუკვეთეს და თვითმფრინავით ჩამოიტანეს ევროპიდან. მორიტა და ნემოტო მოხერხებულ დანიურ საავარძლებში ჩასხდნენ და ვისკი მოითხოვეს. აქ მომსვლელებს ქალიშვილები არ ემსახურებოდნენ, მაგრამ შეიძლებოდა ქალის მიყვანა. მართალია, ყველას ვერ მოიყვანდი — ან წესიერი ოჯახიდან უნდა ყოფილიყო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფეშენებელური ბარის მფლობელი.

— რა სიწყნარეა, — უთხრა ოდნავ დაბნეულმა მორიტამ. ეს ბარი

საოცრად განსხვავდებოდა ხმაურიანი ღამის კლუბისაგან, საიდანაც ახლახან მოვიდნენ.

ნემოტომ შეამჩნია, რომ მორიტა ძალიან დათვრა, მაგრამ იმის შიშით, მოულოდნელად წამოცდენილმა ფრაზამ ყურადღება არ გაუმახვილოსო, ჯერჯერობით არაფერს ეკითხებოდა. ვინაიდან საქმე ეხებოდა საიდუმლოებას, რომელიც რეპორტიორს დიდ ფულს უქადდა, ამიტომ მისი გამჟღავნება იოლი როდი იყო. მაგრამ ნემოტო მომთმენი გახლდათ, — ძველმა პროფესიამ გამოუმუშავა ეს თვისება.

მორიტასაც კარგად ესმოდა, რომ ტყუილუბრალოდ არ უმასპინძლდებოდა ასე გულმოდგინედ კომპანია „ორიენტის" მმართველი. მისთვის ნათელი იყო, რომ ნემოტოს სურდა გაეგო, რისი თქმა უნდოდა მორიტას კიამასათვის, როგორც ჩანს, ნემოტო საზრიანი კაცია და, ალბათ, იგრძნო, საქმე მის კომპანიას რომ ეხებოდა. თორემ რისთვის დაუწყებდა ფერებას იმ კაცს, რომელსაც პირველად ხედავდა. მაგრამ მორიტამ გადაწყვიტა: რაზან უმასპინძლდებიან, მოსარიდებელიც არაფერია. ეს შემთხვევა რომ არა, თავის სიცოცხლეში ვერასოდეს მოხვდებოდა ასეთ ფეშენებელურ ბარში, სადაც ნამდვილი შოტლანდიური ვისკით უმასპინძლდებოდნენ.

ნემოტო ჯერჯერობით არ ცდილობდა საუბარი მისთვის საინტერესო თემაზე ჩამოეგდო. ის მხოლოდ მეთოდურად ათრობდა რეპორტიორს და მშვიდად ელოდა, საბოლოოდ როდის მოაღუნებდა ალკოჰოლი მორიტას სიფხიზლეს. გამოცდილება უკარნახებდა: ადრე თუ გვიან მაინც წამოცდებოდა რაიმე.

მალე მორიტა ვეღარ ახერხებდა მაგიდასთან გაშართულ ჯდომას, მაგრამ გონება კვლავ ნათელი ჰქონდა. საუბარი ჩამოვარდა ბეისბოლის კულისებს მიღმა მომხდარ ამბებზე და ნემოტო ინტერესით ისმენდა მორიტას ყბედობას.

ბარში შემოვიდა კოხტად ჩაცმული ქალი, რომელსაც ტანმაღალი სუმოს[1] მოჭიდავე ახლდა. ისინი მოპირდაპირე მაგიდას მიუსხდნენ და ქალმა ოფიციანტს ვისკი შეუკვეთა. ამ მოჭიდაველს ხშირად უჩვენებდნენ ტელევიზიით და მორიტამ მაშინვე იცნო იგი. ისიც იცოდა, რომ ქალები მაინცდამაინც არ უყვარდა. ამ წყვილის დანახვისას მორიტას თავში სისხლი აუვარდა.

---

[1] ს უ მ ო — ჭიდაობის ეროვნული სახეობა იაპონიაში.

— შეხედეთ ამ წყვილს, — ღვარძლიანად წაისისინა მან.

ნემოტომ შეუმჩნეველად გაიხედა მათკენ. შესახედავად ქალი, ალბათ, ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, ხოლო მოჭიდავე ათი წლით უმცროსი. ეტყობოდა, ქალი სიმპათიას გრძნობდა მისდამი, თვითონ უკვეთავდა სასმელსა და საჭმელს, მოჭიდავე კი დიდი ბავშვივით იჯდა და მორჩილად ასრულებდა მის მითითებებს.

— როცა ქალს ფული გაუჩნდება, აი, ასეთი სპორტსმენებისაკენ მიიღტვის, — გულმოსულად უთხრა მორიტამ. ჩანს, იმითაც იყო გაბოროტებული, რომ ასეთი ქალი არასოდეს ჰყოლია.

— ოდითგან მომდინარეობს, რომ ტალანტებს ყიდულობენ, — კვერი დაუკრა ნემოტომ. მას ესმოდა, რომ ამ სიტუაციაში არ ღირდა რეპორტიორთან შეკამათება. სჯობდა ყველაფერში დათანხმებოდა.

— ალბათ, ამ გარყვნილ დედაკაცს ქმარი ჰყავს, — უთხრა მორიტამ და ღვარძლიანად გადახედა მათ. — შესაძლოა, რომელიმე კომპანიის პრეზიდენტიცაა და ეს გათხოვილი ქალი საყვარელს ახარჯებს ფულს, რომელსაც ქმარი ოფლის ღვრით შოულობს. თუმცა, ქალმა ოცდაათს კარგა ხანია გადააბიჯა, კანში მაინც არ ეტევა.

— მართლაც, ამგვარ ამბებში უმეტესად მდიდარი ოჯახებიდან გამოსული გათხოვილი ქალები არიან გარეულნი. რაც უნდა თქვა, ყველაზე პატიოსანი და ერთგული ცოლები მაინც ღარიბი ოჯახიდან გამოსული ქალები არიან, — კვერი დაუკრა ნემოტომ.

— ასეთ რამეს რომ ვხედავ, პირდაპირ გონებას ეკარგავ. აი, ჰონკონგშიც ვნახე ასეთი წყვილი.

ბოლოს და ბოლოს, მორიტას წამოცდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თავის თავზე კონტროლი დაჰკარგა. უბრალოდ სასმელმა გაათამამა და თანაც, მისი აზრით, ნემოტო ვერასოდეს მიხვდებოდა, ვის გულისხმობდა.

— ჰონკონგში? — თითქოს ნახტომისათვის ემზადებაო, ნემოტო შინაგანად დაიძაბა, — მართლაც, ეს ხშირი მოვლენაა. განსაკუთრებით საზღვარგარეთ. საკმარისია ქალი საზღვარგარეთ გაემგზავროს, რომ თავისუფლების უცნაური გრძნობა ეუფლება და ერთბაშად თამამი ხდება.

— სწორია. და როდესაც ვხედავ, რა უნამუსოდ იქცევა მდიდარი ქალი, უბრალოდ, თავში სისხლი მასხამს.

— არ ღირს ამისთვის ნერვულობა, სჯობს დალიოთ, — დაამშვიდა ნემოტომ და ოფიციანტს ანიშნა, მოეტანა ვისკი.

„ასე, ახლა გასგებია, — გაიფიქრა ნემოტომ, — ინტუიციამ არ მიღალატა: მორიტამ საზღვარგარეთ ნახა იდოხარას ცოლი — თანაც მარტო არა“. ნემოტო კარგა ხანია ეჭვობდა, რომ ხაცუკო არ მიეკუთვნებოდა ქმრის ერთგული ცოლების რიცხვს.

ნემოტომ გადაწყვიტა, არ დაეზუსტებინა, ვინ იყო ის წყვილი, რომელიც მორიტამ ჰონკონგში ნახა. ზედმეტი ცნობისმოყვარეობა მხოლოდ დააფრთხობდა რეპორტიორს. ნემოტოსათვის ისედაც ნათელი შეიქმნა ყოველივე და გადაწყვიტა, შემდგომში თვითონ ემოქმედა. მორიტასაგან აღარაფერი სჭირდებოდა და მხოლოდ ის გაიფიქრა, შესაძლოა, რეპორტიორი კიდევ გამომადგესო.

ალბათ, დროა წავიდეთ, — უთხრა მან და საათს დახედა.

მორიტას კიდევ უნდოდა მისთვის უჩვეულო გარემოში ყოფნა, მაგრამ, როცა დაინახა, რომ ნემოტო ადგა, ისიც უგუნებოდ, ძლივს წამოდგა თავისი საყარძლიდან.

— აბა, როგორ არის საქმე? — ნემოტომ შებარბაცებულ რეპორტიორს იდაყვში ხელი შეაშველა.

— გთხოვთ მაპატიოთ, — წაიბუტბუტა მორიტამ, ნემოტოს მიერ შეშველებულ ხელს დაეყრდნო და გასასვლელისაკენ წავიდა.

ქუჩაში რომ გავიდნენ, ნემოტომ პორტმონე ამოიღო, ათი ათასიენიანი ათი კუპიური ვადათვალა და მორიტას ჯიბეში ჩაუტენა.

— რა არის ეს? — შიშით წამოიძახა რეპორტიორმა.

— ისეთი არაფერი, ტაქსის ფული ჩაგიდეთ ჯიბეში. გთხოვთ სწორად გამიგოთ, ყოველთვის მომწონდა თქვენისთანა ყმაწვილები. თუ კვლავ მომინდა თქვენთან ერთად დალევა, დაგირეკავთ. უარს ნუ მეტყვით, გეთაყვა.

ნემოტომ ტაქსი გააჩერა, ძლივს შეტენა შიგ მორიტა და მძღოლი გააფრთხილა, მითითებულ მისამართზე მიეყვანა. მან თავი გააკოლა მანქანას და წარმოიდგინა, როგორ გაოცდებოდა რეპორტიორი, როცა ჯიბეში აღმოაჩენდა თანხას, რომელიც ბევრად აღემატებოდა ტაქსის საფასურს.

„ახლა, ალბათ, როგორც ვუბრძანებ, ისე მოიქცევა, — გაიფიქრა ნემოტომ. — რასაკვირველია, ის ვერ მიიღო, რის მიღებასაც კიამოსაგან ფიქრობდა, სამაგიეროდ კარგად დალია და ასი ათასი იენიც ცოტა ფული როდია. ამ ფულს, რასაკვირველია, დუმილისათვის გა-

სამრჯელოდ არ მიიღებს. მითუმეტეს, არც ნემოტოს და არც მის ხაცუკო არ უხსენებიათ. და მაინც, ამ საღამოდან მოყოლებული, მორიტას სამუდამოდ ჩაებეჭდება მეხსიერებაში ნემოტოს გვარი".

მეორე დღეს, როდესაც იდოხარა პრეზიდენტ კოიტისთან იმყოფებოდა, ნემოტომ მდივანი გააფრთხილა, მოლაპარაკებაზე მივდივარო და ხაცუკოსთან წავიდა. გზად მიმავალმა მანქანა მაღაზიასთან გააჩერა და ერთი კალათა ხილი იყიდა. მან წინასწარ გააფრთხილა ხაცუკო და ისიც ელოდებოდა.

ნემოტომ მანქანა ფართო ქუჩაზე გააჩერა, გადმოვიდა და იმ ჩიხში შეუხვია, რომლის ბოლოშიც იდოხარას სახლი იდგა. უკან მოჰყვებოდა მძღოლი, ხელში ხილიანი კალათი ეჭირა. კართან რომ მივიდა, ნემოტომ გაიფიქრა, ეს უშნო პატარა სახლი სრულებით არ შეეფერება იმ უზომო ფულს, იდოხარას რომ აქვსო, თუმცა იდოხარასთვის თავისებური პოზიორობა იყო დამახასიათებელი: აი, რა უბრალოდ ვცხოვრობო!

ნემოტომ ზარის ღილაკს თითი დააჭირა და კარში მაშინვე გამოჩნდა მოღიმარი ხაცუკო.

— გამარჯობათ, რაღაც ძალიან დაგვიგვიწყეთ, — მიესალმა ქალი ნემოტოს.

— მაპატიეთ, საქმეებმა საშუალება არ მომცა, აეროდრომზე დაგხვედროდით, — უთხრა ნემოტომ.

— რას ბრძანებთ, საგანგებოდ გავაფრთხილე მეუღლე, რომ მხოლოდ ნათესავები დამხვედროდნენ. მე ხომ კომპანიის საქმეებზე არ ვიყავი წასული. უბრალოდ, ქალბატონ კურატასთან ერთად გადაეწყვიტე გასეირნება.

„სპეციალურად ხაზს უსვამს იმას, რომ მარტო კი არ იმოგზაურა, არამედ კურატასთან ერთად",—თავისთვის აღნიშნა ნემოტომ.

— როგორ მოგეწონათ ჰონკონგი?

— საუკეთესო ადგილია. საოცარი სიიაფე და უამრავი გასართობია.

— ალბათ, იქ ახლა ბევრი იაპონელი მოგზაურობს?

— დიახ, საითაც წახვალ, აუცილებლად თანამემამულეს გადაეყრები. ჩვენი სასტუმროს ჰოლშიც ერთთავად იაპონელები დაბორიალებდნენ. ბევრი ტურისტული ჯგუფი ჩამოდის.

— ალბათ, ამიტომაც ახლო მეგობრებად მიიჩნევენ ხოლმე ერთ-

მანეთთან მოსაუბრე მამაკაცსა და ქალს, რომელნიც შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს.

— რა გაქვთ მხედველობაში? — ხაცუკომ გაკვირვებით შეხედა ნემოტოს.

უბრალოდ, მინდა გითხრათ, რომ ერთმა კაცმა ჰონკონგში გხვნათ, — მიუგო ნემოტომ და გაიღიმა.

წამით ხაცუკოს თვალებში შიშმა გაიელვა, მაგრამ მაშინვე დასძლია მღელვარება და მშვიდად უთხრა:

— ბევრი იაპონელი იყო ჩამოსული, და საესებით შესაძლებელია, ვიღაცამ მიცნო კიდეც.

— უდავოდ, — გაიცინა ნემოტომ. — განა შეიძლება თქვენისთანა ლამაზმანს ყურადღება არ მიაქციოს კაცმა.

— რას ბრძანებთ? იქ უფრო ახალგაზრდა და, რასაკვირველია, გაცილებით ლამაზი ქალები იყვნენ.

— ერთ ჩემ ნაცნობზე მოგახსენებთ. მას წამოცდა, რომ ვიღაც ახალგაზრდა ბატონთან ერთად გნახათ.

— ამგვარს ვერაფერს ვიხსენებ, — წამოიძახა ხაცუკომ, მაგრამ ნემოტომ შეამჩნია, როგორ დააცეცა თვალები.

— მე. რასაკვირველია, ვუთხარი, რომ თქვენ მუდამ ქალბატონ კურატასთან ერთად იყავით და, ალბათ, შემთხვევით თუ შეხვდით ვინმეს.

— ნაცნობს საერთოდ არ შევხვედრივარ, — დაჟინებით იმეორებდა ხაცუკო.

— მაშასადამე, უბრალოდ, სხვაში აერიეთ. ცნობისმოყვარენი ბლომად არიან და ერთ-ერთ მაცგანს მოეჩვენა, რომ სასიამოვნო საუბარი გქონდათ ერთ ახალგაზრდასთან. მითუმეტეს, რომ ჩემი ნაცნობი გაზეთში მუშაობს და მათთვის ცნობისმოყვარეობა პროფესიული ჩვევაა.

ნემოტოს ბოლო სიტყვებმა აშკარად იმოქმედა ხაცუკოზე. ქალი გაფითრდა და ისიც კი დაავიწყდა, მადლობა გადაეხადა ნემოტოსთვის, ხილი რომ მიართვა.

— ის ახალგაზრდა გავაფრთხილე, სისულელეების ყბედობას მოუკლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემთან ექნება საქმე. მგონი, მიხვდა. ამიტომ დიდ მნიშვნელობას ნუ აძლევთ მის ყბედობას.

— რა გაეწყობა, რახან ახალგაზრდა კაცთან მნახეს, მაშასადამე, ჯერ კიდევ კარგად არის ჩემი საქმე. — ხაცუკო ხუმრობით შეეცა-

და თავის დაღწევას, მაგრამ ნემოტოსაგან შეშფოთება ვერ დაფარა.

ნემოტო წავიდა თუ არა, ხაცუკო თავის ოთახში ჩაიკეტა და ჩაფიქრდა. მაშინვე მიხვდა, ვის შესახებ ლაპარაკობდა ნემოტო. რა საკვირველია, ეს სწორედ ის სპორტული რეპორტიორია, კურატას რომ დასდევდა.

ნახევარი საათის შემდეგ ხაცუკომ ბანკში დარეკა.

— სასწრაფოდ მჭირდება ორი მილიონი იენი... დიახ, დიახ, ათი ათასიანი კუპიურები...

განშორება ზედმეტი ხმაურის გარეშე

ხაცუკომ ბანკიდან მიღებული ორი მილიონი იენი გაზეთში გაახვია და იამანეს დაურეკა. შიშობდა, ვაითუ შეკრებაზეა წასულიო, მაგრამ, საბედნიეროდ, სახლში აღმოჩნდა. წინადღით სპორტულ გაზეთში წაიკითხა სტატია, სადაც წერდნენ, რომ გუნდთან ვარჯიშს იამანემ ჰონკონგში მოგზაურობა არჩია და, საერთოდ, ბოლო დროს მეტისმეტად თავს გაუვიდაო.

— კიდევ აქა ხარ? — გაუკვირდა ხაცუკოს.

— ხვალ საღამოს მატარებლით მივდივარ შეკრებაზე. სულ თქვენს ზარს ველოდი და ძალზე ვღელავდი.

— კარგია, რომ შინ შეგისწარი. უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

— შესანიშნავია, ძალიან მიხარია, ძალაც კი მომემატა. — სინამდვილეში იამანეს დიდად არ უხაროდა მომავალი შეხვედრა.

ხაცუკომ ცოტა ხნის წინ გაიგო, რომ მის გარდა, იამანეს ჰყავდა ქალი — და თან ერთი კი არა. საგანგებოდ დაიქირავა კერძო დეტექტივი, რომელმაც სრული ინფორმაცია მიაწოდა. ახლა დადგა ხელსაყრელი მომენტი და გადაწყვიტა მისი გამოყენება.

— ოტელ ტ-ს ჰოლში შევხვდეთ. იქ ნაკლებად არიან ცნობისმოყვარენი და არავინ შეგვიშლის ხელს საუბარში, — უთხრა ხაცუკომ და ყურმილი დაკიდა.

მოსამსახურეს მანქანის გამოძახება დააავალა და გაემართა ქალაქის ცენტრისაკენ, სადაც ოტელი ტ. მდებარეობდა. ფული ჩანთაში ჩაიდო.

მანქანა მისაღები დარბაზის შესასვლელთან გააჩერა. აქ მუდამ ხალხმრავლობა იყო და ჰოლში შეუმჩნეველად შესვლა შეძლო. ჰოლის შორეულ კუთხეში უკვე უცდიდა იამანე, სავარძელში იჯდა და

გაზეთს კითხულობდა. ხაცუკო უსიტყვოდ დაჯდა მოპირდაპირე მხარეს. იამანე მხიარული ღიმილით შეეგება მას.

მითხარით, რისთვის დაგჭირდათ ჩემთან შეხვედრა ასეთ უცნაურ ადგილას და არა იქ, სადაც ჩვეულებრივ ეხვდებით ხოლმე? — შეეკითხა იგი.

— აქ გასართობად კი არ მოვედი. მინდა შეგახსენო ჩვენი უწინდელი შეთანხმება.

— მოხდა რაიმე?

— დიახ. შეხედე. — ხაცუკომ ვიწრო კონვერტი გადასცა. იამანემ იქიდან ფურცელი ამოიღო, სწრაფად გადაავლო თვალი და სახე შეეცვალა. ფურცელზე ამოწერილი იყო სამი ქალის გვარი, მათი მისამართები და ტელეფონის ნომრებიც კი.

იამანე რამდენიმე წამი ტუჩებს აცმაცუნებდა და ძალა არ შესწევდა, რაიმე ეთქვა. შემდეგ თაეს მოერია და მიამიტად შეეკითხა:

— რა არის ეს?

ხაცუკომ გაიცინა:

— რადგან ჩიჩში მოგამწყვიტეს, ვაუკაცურად აღიარე.

— მაგრამ მე...

— გინდა თქვა, რომ ვერ იხსენებ ამ სახელებს? ცნობილი მიზეზია. სჯობდა შეგექე, ასე დაწვრილებით რომ დავადგინე ყველაფერი. ერთი მათგანი ოტელში მუშაობს, მეორე — ბარში. მესამე სტუდენტია. პროფესიონალი სპორტსმენისათვის ჩვეულებრივი ნაკრებია.

იამანე დუმდა.

— გაითვალისწინე, რომ ზუსტი ცნობებია. ვფიქრობ, უკვე თეთონაც დარწმუნდი.

— გარკვეული ვითარება შეიქმნა. მე ვფიქრობ, თქვენ ისე ვერ გაიგეთ, როგორც საჭიროა. — იამანემ უხეიროდ სცადა თავის მართლება.

— მისმინე, იამანე. სულაც არ ვაპირებ ამის გამო შენს გაკიცხვას, მაგრამ ხომ შევთანხმდით: თუკი რომელიმე ჩვენგანს სხვა ვინმე გაგვიჩნდება — ზედმეტი ხმაურის გარეშე დაშორდეთ ერთმანეთს. და აი, ჩვენი დაშორების ჟამიც დადგა. მერწმუნე, არც ისე სასიამოვნო იყო ჩემთვის იმის გაგება, სხვა ქალებთან ურთიერთობას რომ მიმალავდი. მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი დამთავრდა. შენ უცოლო, პოპულარული ახალგაზრდა კაცი ხარ და, ბუნებრივია, რომ ქალიშვილები გეხვევიან. მე კი მინდა, რომ გამოგეთხოვო —

ასეთი იყო ჩვენი პირობა. და, მოდი, ზედმეტი ხმაურის გარეშე, მეგობრულად დავცილდეთ ერთმანეთს — ახლა ხომ ასეა მიღებული. — ხაცუკომ ჩანთა მუხლებზე დაიდო, გახსნა და შეკვრა ამოიღო.

— აი, ეს აიღე. — მაგიდაზე გაზეთში გახვეული ფულის დასტა დააგდო.

იამანეს სუნთქვა შეეკრა. იგი ისე შეჰყურებდა შეკვრას, თითქოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ანგარიშობს კიდეც, რამდენია შიგ ფულიო.

— აქ ორი მილიონი იენია, — მშვიდად, მაგრამ ღირსეულად წარმოთქვა ხაცუკომ. — ჩქარა აიღე და მოარიდე ცნობისმოყვარეთა თვალს.

იამანემ ჩვეული ჟესტით — ის პირველად როდი იღებდა ხაცუკოსაგან საჩუქრებს — შეკვრა ჯიბეში ჩაიდო და წამით შეიგრძნო მისი სიმძიმე.

— ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს. — ხაცუკომ იღლიაში ამოიდო შემსუბუქებული ჩანთა და ადგა. — წარმატებებს გისურვებ სპორტულ სარბიელზე. და ეცადე, თავი აარიდო სკანდალს — შეიძლება საზიანო შეიქნეს შენი კარიერისათვის.

— გასაგებია. — იამანემ ცალყბად ჩაიცინა. — პირობა პირობაა. — ნუ წუხხართ, ისე მოვიქცევი, თითქოს ჩვენს შორის არაფერი ყოფილიყოს.

— სწორედ ასე — გმადლობთ ყველაფრისათვის. მშვიდობით. — იამანე თვალს არ აცილებდა გასასვლელისაკენ სწრაფად მიმავალ ხაცუკოს.

„მაშ ასე. ეს ამბავიც დამთავრდა, ამიერიდან აღარავითარი უსიამოვნება აღარ იქნება, იამანე კი ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენია, ქალიშვილები გარს ეხვევიან, ასე რომ, დამშვიდდება. მერე კი ცოლს ითხოვს. პროფესიონალ სპორტსმენებთან მიღებულია, რომ ქორწილიც კი წარმოდგენად გადააქციონ“, — ფიქრობდა ხაცუკო და ჰოლში მიაბიჯებდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მიკრული ტალახი ჩამოირეცხაო.

ხაცუკო ტაქსიში ჩაჯდა. თავისი მანქანა ზედმეტად თვალში რომ არავის მოხვედროდა, ოტელში მისვლისთანავე გაუშვა. დამშვიდდა და უცებ გულზე სევდა შემოაწვა. „დროა ბოლო მოვუღო ამგვარ დაუფიქრებელ საქციელს, — ფიქრობდა იგი, — ნემოტოსთან საუბრი-

სას ისედაც გვარიანი ‘ბიში ვჭამე. დაე, ქმარი კვლავ სხვაგან გაერთოს. ეს მისი საქმეა. ცოლის მდგომარეობა სხვაა“.

მანქანა ტელეფონის ჯიხურთან გააჩერა და კურატას სალონში დარეკა.

— შენ მხოლოდ მისმინე, რასაც გეტყვი და არაფერი მიპასუხო.

— დიახ, დიახ, — წაიბუტბუტა შეშინებულმა კურატამ.

— ეს-ესაა ურთიერთობა გავწყვიტე იამანესთან.

—

გაითვალისწინე ეს... იცი, მასთან შეხვედრა საშიში გახდა. ჰონკონგში ვიღაცამ ჩაგვაველო, ამიტომ საჭირო შეიქნა სასწრაფოდ ჩამომეშორებინა. ორი მილიონი იენი მივეცი, მგონი, დამთანხმდა დუმილზე. მაგრამ. თუ დაგირეკა, ლაპარაკი არ გაუბა. გაიგე?

— დიახ, დიახ...

— ეს მინდოდა მეთქვა. აბა, შეხვედრამდე. — ხაცუკომ ყურმილი დაკიდა და ტაქსიში დაბრუნდა. მხოლოდ ახლა, კურატასთან დარეკვის შემდეგ მიხვდა, რომ სამუდამოდ გაწყვიტა ურთიერთობა იამანესთან. მთელ სხეულში სიმძიმე იგრძნო, თუმცა, ჩვეულებრივ. როდესაც რაიმესაგან თავისუფლდები, საოცარ სიმსუბუქეს გრძნობ ხოლმე. საჭიროა გული გადავაყოლოო, — გაიფიქრა ხაცუკომ და ტაეკოსთან წასვლა გადაწყვიტა. აქამდე არასოდეს ყოფილა მასთან სახლში. ჩვეულებრივ. ის და მისი ქმარი რიოსაბურო ერთად მიდიოდნენ მათთან სტუმრად. მანქანა ტაეკოს სახლის წინ გააჩერა და გადმოვიდა. უშნო სახლი იყო, ამგვარ სახლებში დაბალი რანგის მოსამსახურეები ცხოვრობენ. ალბათ, იდოხარას საამებლად განგებ აირჩია ასეთი საცხოვრებელი.

ხაცუკომ ჩაუარა პატარა ჭიშკარს, რომელზეც პატრონის გვარის აღმნიშვნელი ფირფიტა იყო მიკრული და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

რიოსაბურო და ტაეკო მარტონი ცხოვრობდნენ და სხვისთვის რომ მოეჩვენებინათ, მოკრძალებულად ვცხოვრობთო, მოსამსახურე არ ჰყავდათ.

ხაცუკოს ვარაუდით ტაეკო შინ უნდა ყოფილიყო; მაგრამ სახლში სიჩუმე სუფევდა და კარიც არავინ გაუღო. განმეორებით დარეკა. ამჯერად თითქოს ნაბიჯების ხმა მოესმა. ვიღაც კართან მძიმედ მოვიდა. თუმცა, ტაეკოს გარდა. სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?

ჩუმად აჟღარუნდა კარის ჯაჭვი. ხაცუკომ გაიფიქრა, კარის ღრი-

ჭოლან ტაეკო გამოიხედავს და, ალბათ, როგორ გაოცდება, მე რომ დამინახავსო. ხაცუკო ორი-სამი ნაბიჯით მოსცილდა კარს და კომიკური პოზა მიიღო.

კარი გაიღო და უცნობი კაცის დანახვისას ხაცუკომ უნებურად შეჰყვირა.

ჯერ იფიქრა, ალბათ, სახლში ქურდიაო. მაგრამ მას რატომღაც პიჯამა ეცვა. შემდეგ კარი მიჯახუნდა, გაფითრებული ხაცუკო კი გაიქცა.

შეთანხმება

იდოხარა აკასაკის რაიონის ერთ-ერთ მყუდრო რესტორანში შესვლა ეაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის საპარლამენტო მოადგილეს. ქალები ჯერ არ მოსულიყვნენ და არც საკე მოეტანათ. ისინი საკურაიუს [1] წრუპავდნენ და დინჯად საუბრობდნენ.

სინამი სთავაზობდა იდოხარას, აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანია შეეძინა მისგან. შეხვედრას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები, ვიდრე სინამი ამ ნაბიჯის გადადგმას საბოლოოდ გადაწყვეტდა.

აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანია მუშაობდა დიდი დეფიციტით და ეს დეფიციტი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც სინამი პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერია. საქმიან წრეებში კარგა ხანია გავრცელდა ხმა, რომ ოდესმე ეს კომპანია სხვის ხელში გადავიდოდა. მაგრამ სინამი ბოლო დრომდე ჯიუტად უარს ამბობდა მის გაყიდვაზე. მას შემდეგ, რაც „იატიო“ ხელში ჩაიგდო, იდოხარას იდუმალი სურვილი გახლდათ აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანიის მიერთება. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მისი რეორგანიზაცია მოეხდინა. მას უფრო შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა: დახმარებოდა სინამის მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან თავის დაღწევაში და ამით უფრო მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინა მასთან.

სინამი ეკუთვნოდა დაჯგუფებას, რომელიც პარტიაში ახლანდელი მთავრობის მხარდამჭერი ფრაქციის წინააღმდეგ გამოდიოდა. დაჯგუ-

---

[1] საკურაიუ — ალუბლის ყვავილების დამარილებული ფოთლებისაგან მდელორე წყლით დაყენებული სასმელი.

ფების მეთაური ბატონი ეძიმა კარგ დამოკიდებულებაში გახლდათ პრემიერ-მინისტრსა და პარტიის თავმჯდომარესთან, მაგრამ ამავამად ოპოზიციაში იმყოფებოდა მასთან. ყინაიდან მთავრობის მხარდამჭერი ფრაქციის შემდეგ მის დაჯგუფებას ყველაზე მეტი დეპუტატი ჰყავდა პარლამენტში, ამიტომ მუდმივ შიშში ჰყავდა როგორც ხლინდელი მინისტრთა კაბინეტი, ასევე პარტიის ხელმძღვანელობაც.

ამ პარტიის ჩარჩოში მთავრობის დაჯგუფებასა და ოპოზიციურ ფრაქციას შორის ერთგვარი ბალანსის შესანარჩუნებლად სინამი ეაპრობისა და მრეწველობის მინისტრის საპარლამენტო მდივნის პოსტზე დანიშნეს.

სინამი თავის კარიერას არ უკავშირებდა კონსერვატიულ პარტიას, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო ჩინოვნიკური წრეებიდან გამოსული პირები შეადგენდნენ. საერთოდ, მას ვერ მიაკუთვნებდით იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების მიზნად მხოლოდ პოლიტიკა აირჩიეს. ჭაბუკობის წლებიდანვე ბევრს მუშაობდა, საათავეში ედგა სხვადასხვა წარმოებას, რომელთა შორის ერთ-ერთი აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანია გახლდათ. სინამი მთავრობის დაჯგუფებას არ განეკუთვნებოდა და ამიტომ პოლიტიკური მიზნებისათვის მუდამ სჭირდებოდა სუფსიდიები. იზროვნებდა ლაღად, ზოგჯერ თავისი ფრაქციის ინტერესების დაცვისას ჯიუტობდა და უხეშობდა კიდეც და. შესაძლოა, ამიტომაც დაიმსახურა ამომრჩევლების პატივისცემა ამავე ჯროს, მთავრობის დაჯგუფებასთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ ეძიმის დაჯგუფება ხელისუფლების სათავეში მოექცეოდა, ყველა ვარაუდობდა, რომ იგი უეჭველად მაღალ თანამდებობას დაიკავებდა მინისტრთა ახალ კაბინეტში

იდოსარამ დაადგინა, რომ სინამის ძმიმე ტვირთად აწვა აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანია, მაგრამ ჯერჯერობით ხელიდან არ უშვებდა, ვინაიდან ესმოდა: თუ ხელისუფლების სათავეში ეძიმის კაბინეტი მოექცეოდა, მაშინ თავისი კომპანიისათვის ყოველგვარ უპირატესობას ნიიღებდა. მაგრამ. შესაძლოა. ეს ორიოდმი წლის შემდეგ მომხდარიყო. იქნებ, ხუთი წლის შემდეგაც, მეორე მხრივ, სინამისთვის ნათელი იყო, რომ ამდენ ხანს ვერ გაძლებდა, გაუჭირდებოდა. მითუმეტეს, რომ საკატას დღევანდელ კაბინეტს მყარი მდგომარეობა ჰქონდა. სინამის კი ფული სჭირდებოდა, განა მარტო თავისთვის, არამედ თავისი მომხრეებისთვისაც, რომელთა შორის ახალ-

გაზრდებიც იყვნენ და პარლამენტის საკმაოდ ხანდაზმული წევრებიც. ისინი იმედოვნებდნენ, რომ კაბინეტის შეცელის შემთხვევაში სინამი სიკეთით გადაუხდიდა მათ. აი, ბოლოს და ბოლოს, რატომ გადაწყვიტა სინამიმ აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანიასთან განშორება და იმედი ჰქონდა, რომ კარგა გვარიან თანხას დაითრევდა.

იდოხარასთვის ნათელი იყო ყოველივე, მაგრამ გადაწყვიტა, აშკარად არ დაახლოვებოდა სინამის. ამავე დროს, არ უნდოდა მიემართა შუამავლისათვის, რომელსაც. შესაძლოა. დროზე ადრე შემთხვევით წამოსცდენოდა რაიმე — მაშინ ხომ წასული იყო საქმე! იდოხარა ვარაუდობდა, შესაძლებლობისდაგვარად, საიდუმლოდ განეხორციელებინა თავისი გეგმა და ამიტომ გადაწყვიტა, ქალების საშუალებით ემოქმედა. საგულდაგულოდ შეისწავლა სინამის გარშემო მყოფნი და სწორედ ამ დროს გადააწყდა ფუკუსიმას, ვისთანაც მეგობრობდა ახალგაზდა მსახიობი ქალი კინუკო. იდოხარამ გადაწყვიტა, ჩამოშორებოდა თავის ყოფილ საყვარელ მინაკოს, დაახლოებოდა კინუკოს და მისი საშუალებით დაემყარებინა ურთიერთობა ფუკუსიმასა და მის მფარველ სინამისთან. ერთი შეხედვით კაცი იფიქრებდა, რა შორიდან უელისო, მაგრამ ეს გზა ყველაზე ეფექტურ შედეგებს ჰპირდებოდა.

იდოხარას მიაჩნდა. რომ ახლანდელი კაბინეტი თავს ვერ გაართმევდა წარმოქმნილ ეკონომიკურ სიძნელეებს, ხოლო კონსერვატიულ პარტიაში ერთადერთი ძლიერი პიროვნება გახლდათ ეძიმა, ვისაც, უეჭველად, დაავალებდნენ მინისტრთა ახალი კაბინეტის შედგენას. აი, სწორედ მაშინ გახდებოდა სინამი ერთ-ერთი გავლენიანი მინისტრი ან პარტიის გენერალური მდივანი. ჰოდა, თავისთავად ცხადია, რომ უყურადღებოდ არ დატოვებდა სამშენებლო კომპანიას, ვინაიდან ეკონომიკური სიძნელეების დასაძლევად მთავრობა სწორედ სამშენებლო კომპანიებს უნდა დაყრდნობოდა. საქმე ისაა, რომ სამშენებლო ინდუსტრია უშუალოდ ცემენტის, მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიულ წარმოებასთანაა დაკავშირებული და მისი აქტივობის გაზრდამ უეჭველად უნდა იმოქმედოს მთელი მრეწველობის კონიუნქტურის გაუმჯობესებაზე. იდოხარამ საჭიროდ ჩათვალა აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანიაში ფულის დაბანდება, თუმცა ისიც კარგად ესმოდა, რომ ამისათვის დიდძალი ფული უნდა გადაეხადა სინამისათვის.

მართალია, ბევრი ჩათვლიდა, რომ იდოხარამ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო. ძნელი საკარაუდო იყო, როდის გადადგებოდა

საკატას კაბინეტი, ხოლო სამი, ან შესაძლოა, ხუთი წელი თავის გატანა დიდძალ თანხას მოითხოვდა აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანიის უზარმაზარი დეფიციტის დროს. მაგრამ იდოხარა ერთმმართველი დიქტატორი გახლდათ და კომპანიის გამგეობის თანხმობას არ საჭიროებდა.

— სიმართლე გითხრათ, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამომ'მორდაო, — უთხრა სინამიმ. როდესაც ისინი ზოგადად შეთანხმდნენ აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანიის გაყიდვის თაობაზე. — მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, ბატონო იდოხარა, ალბათ არასოდეს დაგითმობდით ამ კომპანიას პოლიტიკური მიზნებისათვის, ფული რომ არ მჭირდებოდეს. როგორც მოგეხსენებათ, უახლოეს მომავალში ამ კომპანიას ბრწყინვალე პერსპექტივები გადაეშლება.

იდოხარამ ბოლომდე დალია საკურაიუ და ჩაიცინა.

— მაგრამ, ბატონო სინამი, — შეეპასუხა იგი. — კაცმა არ იცის, რამდენ ხანს უნდა ველოდოთ ამ პერსპექტივების გამოჩენას. შესაძლოა, უკაპიკოდაც დავრჩე, ასე რომ, დიდ რისკს ვწევ, აღმოსავლეთის სამშენებლოს რომ ვყიდულობ.

— კარგად მესმის და მადლობელი ვარ თქვენი. დამიხსენით. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ხომ დიდი ვალი მაქვს და თქვენი დახმარების გარეშე როგორ გავისტუმრებდი მათ. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკეთესი დრო დაგვიდგება.

— დიდ იმედებს ვამყარებ თქვენზე.

— მე კი თქვენ სამსახურს არ დავივიწყებ. ახლა საქმე დამთავრებულია, და მოდით, დრო გავატაროთ. მე გპატიჟებთ, — წამოიძახა სინამიმ და უბრძანა, სასმელ-საჭმელი მოეტანათ და ქალები მოეპატიჟათ.

ათი საათი იყო დაწყებული, როდესაც სინამი და იდოხარა რესტორნიდან გამოვიდნენ. სინამი თავის პარტიულ კოლეგებს უნდა შეხვედროდა სხვა რესტორანში. იდოხარაც აპირებდა სადღაც საქმეზე წასვლას. ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და შეთანხმდნენ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ექნებოდათ საუბარი აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანიის იდოხარასთვის გადაცემის თაობაზე.

სინამიმ მანქანა შესთავაზა იდოხარას, ისიც ჩაჯდა და გინზაზე წაყვანა სთხოვა. კაცმა რომ თქვას, გინზაზე არაფერი განსაკუთრებული საქმე არ ჰქონდა, მაგრამ, ვინაიდან მანქანა სინამისა იყო, მძღოლი უეჭველად ეტყოდა, სად მიიყვანა იდოხარა. ამიტომ ჩამოვიდა გინ-

ზაზე, მძღოლის წასვლას დაელოდა, ტაქსიში ჩაჯდა და ისევ დაბრუნდა აკასაკაში. იმ ოტელში მივიდა, სადაც მინაკო ცხოვრობია.

გვიანი იყო. სინათლე ჩაექროთ. იდოხარა, პორტიეს რომ არ შეემჩნია, ჩუმად წავიდა ლიფტისაკენ და მეთერთმეტე სართულის ღილაკს თითი დააჭირა. კორიდორში ბნელოდა. მხოლოდ სართულის მორიგის მაგიდაზე ენთო ერთი ნათურა. იდოხარა მინაკოს ნომერთან მივიდა და დააკაკუნა. კარი გაიღო და ნომრიდან მინაკომ გამოიხედა. მას წითელი საძილე ხალათი ეცვა. იდოხარა მიესალმა და საკარძელში ჩაჯდა. მინაკო, ჩვეულებისამებრ, არ მიეგება, მოშორებით გაჩერდა და უხმოდ მიაჩერდა იდოხარას.

— ჩანს, სულ დამიივიწყეთ, — უთხრა მან და ჩაიცინა.

მონაკო, აღბათ, დასაძინებლად ემზადებოდა და სახეზე კრემი წაესვა.

— ბოლო დღეებში ძალიან ბევრი საქმე მქონდა. — იდოხარამ დაღლილი თვალებით გადახედა. — მაგრამ დამირეკე და მითხარი, რაღაც გადაუდებელი საქმე მაქვსო, ჰოდა, მეც მოვედი. მოხდა რამე?

— მესმის, რომ ძალიან დაკავებული ბრძანდებით, მაგრამ ცოლი არ უნდა დაივიწყოთ — საკუთარ თავზე კრინტსაც არ ვძრავ,—თორემ უცნაური ჭორები ვრცელდება. აი, ამიტომ გთხოვეთ მოსვლა: ტელეფონით ხომ ვერ გეტყოდით.

— ჩემმა ცოლმა ჩაიდინა რაიმე? — იდოხარამ დაჟინებით შეხედა მინაკოს კრემისაგან აპრიალებულ სახეს.

სპორტსმენი

იდოხარამ აუჩქარებლად ამოიღო ჯიბიდან სიგარეტი და გააბოლა.

„ალბათ, ჩემი აქ შემოტყუება სურდა და ამ მიზნით მოიგონა რაღაც სერიოზული საქმე. გრძნობს, რომ ვშორდები", — გაიფიქრა მან. მართლაც ეპირებდა უახლოეს ხანებში მინაკოსთან ურთიერთობის გაწყვეტას. მაგრამ ჯერ კიდევ სიბრალულს გრძნობდა მისდამი. სწორედ ამიტომ მოვიდა აქ. თუმცა ვარაუდობდა, რომ მინაკომ განგებ მოიმიზეზა საქმე. და მაინც, თუ მინაკოს სურდა რაიმე ეთქვა,

ალბათ, მისი ახალი საყვარელის შესახებ, მაგრამ იდეოხარა არ მოელოდა, რომ საუბარი მისი ცოლის გარშემო იქნებოდა.

— როგორც ჩანს, დამშვიდდით, როდესაც გაიგეთ, რომ საქმე თქვენს ცოლს ეხება, — დამცინავი ღიმილით უთხრა მინაკომ.

— კაცმა რომ თქვას, რა მაქვს ასაღელვებელი, თუკი ჯერ არაფერი გითქვამს.

— ალბათ, თქვენთვის არც ისე სასიამოვნო იქნება იმ ამბის გაგება, რასაც თქვენი ცოლის შესახებ ავრცელებენ. მინდა გაგაფრთხილოთ, და არ გეგონოთ, რომ ეჭვი მალაპარაკებს.

— ამისათვის მადლობელი ვარ. აბა, გისმენ. თქვი. რა მოხდა?

— ამას წინათ ოტელ ტ-ში შეეედი და, წარმოიდგინეთ, იქ, ჰოლში თქვენი ცოლი ხაცუკო ვნახე. იცით, რას აკეთებდა იქ?

„მაშასადამე, მხოლოდ დაინახა და არ უსაუბრია მასთან, გაიფიქრა იდოხარამ, — მაგრამ რა უნდოდა ხაცუკოს ოტელ ტ-ში?“ ჩვეულებრივ, ცოლი ყოველთვის აფრთხილებდა, თუ საყიდლებზე ან მეგობრებთან, ანდა რომელიმე გამოფენაზე მიდიოდა ხოლმე. თანაც, მარტო არასოდეს დადიოდა, კურატა ან რიოსაბუროს ცოლი, ტაეკო მიჰყავდა.

— ჰოდა, — განაგრძობდა მინაკო. —ნება მიბოძეთ, თანაგიგრძნოთ: თქვენს ცოლს საკმაოდ ხანგრძლივი და, როგორც ჩანს, ინტიმური საუბარი ჰქონდა ერთ ბეისბოლისტთან. ეჭვი ხომ არა გაქვთ ვინმეზე? თითქოსდა, თქვენი ცოლი სპორტით არ უნდ. იყოს დაინტერესებული?

— მე ვფიქრობ, არა.

— მაშ, საიდან იცნობს იამანეს?

— იამანე ვინღაა?

— ნუთუ არაფერი გსმენიათ მის შესახებ? ბეისბოლის ამომ.ეალი ვარსკვლავია. ყველას მისი სახელი აკერია ბირზე.

— აი, თურმე. ვინ გყავს მხედველობაში. ვიცნობ — ჩვენთან სახლში ნამყოფია და ერთხელ სადილზე დავპატიჟე.

— ცოლმა გაგაცნოთ?

— მგონი, კი.

— კიდევ იტყვით, არ ვიცი, ვინ არის იამანეო?

— მე ბეისბოლისტები არ მაინტერესებს და ამიტომ ერთბაშად ვერ მივხვდი, ვის შესახებ ლაპარაკობდი, თანაც მას შემდეგ ალარ შევხვედრივარ.

— როგორ მოიქცევით, თუ გეტყვით, რომ თქვენი ცოლი ხშირად ხვდებოდა მას?

— ჩემს შანტაჟირებას ნუ ფიქრობ — არაფერი გამოგივა.

— არც ვაპირებ. საკმარისია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ვნახო წყვილი და მათი საქციელის ან საუბრის მიხედვით მაშინვე ვიტყვი. რა დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არასოდეს შევმცდარვარ.

— ჩანს, დიდი გამოცდილება გაქვს.

— ცოტაოდენი. შეეხედე, როგორ საუბრობდნენ და მაშინვე მიხვდი, რომ პირველად არ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

— მხოლოდ ამის თქმა გინდოდა?

— თავს ნუ იმშვიდებთ იმით, რომ ასეთი რიგიანი ოტელის ჰოლში, ხალხმრავლობაში შეხვდნენ ერთმანეთს. დავინახე თუ არა ისინი, მაშინვე გამახსენდა იმ იამანეს შესახებ გაზეთში დაბეჭდილი სტატია. სწორედ იქ წერდნენ, გასართობად ჰონკონგში წასვლა არჩია და შეკრებაზე დაიგვიანაო.

ჰონკონგი... მინაკოს ბოლო სიტყვები მტკივნეულად მოხვდა გულში იდოხარას.

— მგონი, ცოტა ხნის წინ თქვენმა ცოლმაც იმოგზაურა ჰონკონგში, არა? — მინაკო დაინებით შეჰყურებდა იდოხარას.

— იმოგზაურა. — იდოხარამ ისეთნაირად უპასუხა, თითქოს უჩვეულო არაფერი გაუგონიაო.

— საკმარისია, მეტს აღარაფერს გეტყვით. მხოლოდ მინდოდა მანამ გამეფრთხილებინეთ, ვიდრე ყოველგვარი ხმები გავრცელდებოდა.

— სულ ესაა? მაშ, ღამე ნებისას გისურვებ, მეჩქარება. — იდოხარა ორივე ხელით სავარძლის სახელურს დაეყრდნო, მტკიცედ წამოდგა, გვერდით ჩაუარა დაბნეულ მინაკოს და კარისაკენ გაემართა.

— არ გაგიშვებ, — იყვირა გონს მოსულმა მინაკომ, კარისკენ გაიქცა, იდოხარას გაუსწრო და გზა გადაუღობა. — არაფრის გულისათვის არ გაგიშვებ. — ჰალსტუხის ნასკვში ჩააცალო ხელი და თაეისკენ მოქაჩა.

— გაიწი! — იდოხარამ მთელი ძალით ჰკრა ხელი მინაკოს. ქალი ლოგინზე დაეცა, ხალათის კალთები გადაეწია და შიშველი სხეული გამოუჩნდა — რა სულელურად იქცევი!

— არ გაგიშვებ! — ისევ მივარდა კარს მინაკო.

— იქნებ ამან მოგიყვანოს გრძნობაზე. — იდოხარამ ჯიბიდან საკმაოდ სქელი კონვერტი ამოიღო და ლოგინზე მოისროლა

— შენი ფული არ მჭირდება!—დაიყვირა მინაკომ.

— ერთხანს ვერ შევძლებ შენთან შეხვედრას, და შეეცადე თვითონ გაერთო ამ ფულით, — მშვიდად უთხრა იდოხარამ.

— ნუ მასწავლი, მე შენი ცოლი არა ვარ!

იდოხარამ კისერში წააელო ხელი, კარს მოაცილა და სწრაფად გავიდა დერეფანში. აქ სამშვიდობოზე გრძნობდა თავს. იცოდა: ამგვარ მდგომარეობაში უკან არ გამოუდგებოდა...

* * *

მეორე დილით კანტორაში მიმავალმა იდოხარამ რიოსაბუროსთან შეიარა. მას ტაეკო შეეგება. იდოხარას დანახვისას ტაეკო შეცბა და გაწითლდა. იდოხარა, ცოტა არ იყოს, გაოცდა, მაგრამ ტაეკოს უცნაური შეხვედრა თავის მოულოდნელ ვიზიტს დააბრალა. მხოლოდ მოგვიანებით გაიგო მისი შიშის ნამდვილი მიზეზი.

— თხოვნა მაქვს შენთან, — მიმართა ტაეკოს. — ბეისბოლისტ იამანეს იცნობ?

— არა. — ტაეკო დაბნეული შეჰყურებდა.

— მე პირად ნაცნობობას როდი ვგულისხმობ, მაგრამ გაზეთებში მაინც არ წაგიკითხავს მის შესახებ?

— მგონი წავიკითხე.

— ძალზე პოპულარული სპორტსმენია. ჰოდა, საქმე ისაა, რომ ერთ ნაცნობ მენეჯერს სურს თავის გუნდში გადაიბიროს. მაგრამ თავს იკავებს იმის გამო, რომ მითქმა-მოთქმას მოჰკრა ყური იამანეს ფუქსავატი ყოფაქცევის შესახებ. მისი აზრით, პროფესიონალი სპორტსმენისათვის ეს დიდი ნაკლია. მენეჯერმა მკითხა, ხომ არა გყავს ისეთი ნაცნობი, რომელიც იამანეს პირად ცხოვრებაში გამათვითცნობიერებდაო. ყური მოვკარი, თითქოს იგი, ხაცუკო და კურატა ერთდროულად მოგზაურობდა ჰონკონგში. ამგვარ სისულელესთან დაკავშირებით არ მინდოდა ჩემი ცოლისთვის მეკითხა რაიმე... ერთი შენ გაესაუბრე კურატას — ხომ არაფერი იცის ამ იამანეს შესახებ.

გულახდილი საუბარი

ორი საათი გავიდა იდოხარას წასვლის შემდეგ. ტაეკომ კურატას სალონში დარეკა.

— ვისი ხმა მესმის! — წამოიძახა კურატამ. — რით შემიძლია გემსახუროთ?

— დღის მეორე ნახევარში ერთი საათით ხომ ვერ მოიცლიდით ჩემთვის? — შეეკითხა ტაეკო.

— ვეცდები.

— სწორედ ცენტრში უნდა წამოვიდე საქმეზე, შემდეგ ერთად ვისადილოთ.

— ჩემს გამასპინძლებას აპირებთ?

— რასაკვირველია, რაც ჰონკონგიდან დაბრუნდით, ხომ არ გვინახავს ერთმანეთი.

— სიამოვნებით ვღებულობ თქვენს მიპატიჟებას.

ტაეკოს უნდოდა ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილიყო, შერე გადაიფიქრა და კიმონო ჩაიცვა. კურატა ხომ ქალთა აქსესუარების ევროპული სალონის მეპატრონე იყო და კრიტიკული თვალით შეხედავდა მის კაბას. შესაძლოა, წყენოდა კიდეც. ჩემს სალონში რატომ არ შეუკვეთია. ტაეკომ ობის სარტყელი რთულად გამონასკვა და შესასვენებლად ჩამოჯდა.

იდოხარას მისვლა მას უცნაურად ეჩვენა. კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა მისი თხოვნა, ბეისბოლისტ იამანეს შესახებ ზოგიერთი წვრილმანი ამბავი კურატასაგან გამიგეო. კაცმა რომ თქვას, რატომ მიმართა მას ნაცნობმა მენეჯერმა? გაცილებით მარტივი და საიმედო იქნებოდა იამანესთან დაკავშირებული ყველა წვრილმანის გაგება ნებისმიერ საცნობარო-დეტექტურ სააგენტოში ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, კერძო დეტექტივთან, ვისთვისაც დიდი სიძნელე არ იქნებოდა ცნობების შეკრება თვით ჰონკონგშიაც კი. და კიდევ: რატომ არ მოინდომა იდოხარამ თვითონ ეკითხა ხაცუკოსთვის? ის და კურატა ხომ ყველგან ერთად დადიოდნენ. და, ცოტა არ იყოს, უცნაურად ეღერდა იდოხარას თხოვნა, კურატასაგან გამიგე ყველა წვრილმანიო.

ტაეკომ სარკეში ჩაიხედა და გაიცინა: ხაცუკოს მოულოდნელი ვიზიტის ამბავი გაახსენდა. ზარის ხმა რომ გაისმა, ტაეკომ იფიქრა, მაღაზიის დამტარებელი მოვიდაო, მაგრამ ისეთი სანახავი გახლდათ,

უცხო ადამიანს ვერ ეჩვენებოდა. ამიტომაც ის გაგზავნა, რათა გაეგო, ვინ რეკავდა. ის კი იმდენად თავქარიანი აღმოჩნდა, რომ პიჟამაში ჩაცმული ჩავიდა დაბლა და თან არც უკითხავს, ისე გაიღო კარი. მართალია, მაშინვე მიაჯახუნა კარი. მაგრამ უკვე გვიან იყო. თავზარდაცემულმა ხაცუკომ თავქუდმოგლეჯით მოკურცხლა.

მისი აღწერით ტაეკომ ხაცუკო შეიცნო და ძალიან შეშინდა. მიხვდა, რომ ჩავარდა და არავითარი თვალთმაქცობა აღარ უშველიდა. ჩაცმული მაინც რომ ყოფილიყო, მაშინ როგორმე შეძლებდა აეხსნა მისი სახლში ყოფნა. მაინც, რა ეშმაკმა ჩაიყვანა ის პიჟამაში ჩაცმული. ხაცუკო, რასაკვირველია, ჭკვიანი ქალია და არც თავის ქმარს და, მითუმეტეს, არც რიოსაბუროს ამბავს არ მიუტანს, მაგრამ თვითონ მას ოდესმე აუცილებლად გაახსენებს. პირველ დღეებში ტაეკო, ხაცუკოსთან მოსალოდნელი ლაპარაკის გამო, ადგილს ვერ პოულობდა. მაგრამ ხმას არ იღებდა. მას შემდეგ ხაცუკოს ერთხელაც არ დაურეკავს, მანამდე კი სამ დღეში ერთხელ მაინც აუცილებლად მოიკითხავდა ტელეფონით მისი ჯანმრთელობის ამბავს, სადილზე ან საღამე დაპატიჟებდა. ჩანს, ხაცუკო გაოგნებული იყო და, უბრალოდ მასთან ტელეფონით ლაყბობა არ შეეძლო.

იმ დღეებში ტაეკოს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ყოველ წუთს ასაფეთქებლად გამზადებულ ბომბზე ზისო. მეტი ყურადღებით ეპყრობოდა რიოსაბუროს, ყოველნაირად ეფერებოდა, მაგრამ კვლავ შიშისფეთება ჰქონდა. ერთხელაც იდოხარამ შემოიარა. თავდაპირველად ტაეკო საშინლად შეშინდა: გაიფიქრა, ალბათ, ხაცუკომ ყველაფერი უამბო თავის ქმარს და ახლა ჩემს გასალანძღად მოვიდა. მაგრამ გამოირკვა, თურმე იდოხარა სულ სხვა მიზნით მოსულიყო. მაშინვე მიხვდა, რომ საქმე მის ცოლს ეხებოდა და ნიშნის მოგებით გაიფიქრა: ახლა მე და ხაცუკო ერთნაირ მდგომარეობაში ვართო.

ტაეკო ადრეც ეპვობდა ხაცუკოსა და იამანეს ახლო ურთიერთობის თაობაზე. თავიდან, როდესაც მათი ოჯახის წევრებმა იამანე ვაიცნეს, ხაცუკოს იამანეს სახელი ეკერა პირზე და ყოველნაირად აქებდა ამ ყმაწვილს. გავიდა სამი თვე და მის სახელსაც აღარ ახსენებდა. ეს გარემოება უყურადღებოდ არ დარჩენია ტაეკოს. მიხვდა, რომ ხაცუკოს გული კი არ აუყრია ახალგაზრდა სპორტსმენზე – უბრალოდ, მათი ურთიერთობა უფრო ინტიმური გახდა. მ-

გვარი შემთხვევა იამანეს გაცნობამდე ხაცუკოს ორჯერ ჰქონდა სჩვა მამაკაცებთან და ტაეკოსთვის ცნობილი გახლდათ ეს ამბავი. ამიტომ, როდესაც იდოხარამ სთხოვა, კურატასაგან იამანეს ამბავი გამიგეო, მიხვდა, ხაცუკოს გამოაშკარავების საშიშროება რომ ემუქრებოდა. ალბათ, იდოხარას ვინმემ თუ მოუტანა ამბავი ხაცუკოსა და იამანეს ურთიერთობის შესახებ. სხვა ვერანაირ ახსნას ვერ მოძებნიდა კაცი, რატომ არ ელაპარაკა ცოლს ამის თაობაზე.

• •

ტაეკო და კურატა რესტორანში შეხვდნენ ერთმანეთს. ჯერ საამურად მუსაიფობდნენ, მაგრამ სიტყვა არ უთქვამთ შესვედრის მიზნის შესახებ. კურატას ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რატომ გადაწყვიტა ტაეკომ მასთან შეხვედრა, მაგრამ ესმოდა, უზრდელობაში ჩამოართმევდნენ, თვითონ რომ შეკითხვოდა.

საუბარი ჩამოვარდა ჰონკონგში მოგზაურობაზე. კურატამ ყველაფერი ისე უამბო, როგორც ის და ხაცუკო შეთანხმდნენ. ლაღად ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, ერთი და იგივე ფრაზა მრავალჯერ ჰქონდა ნათქვამი თავის ნაცნობებთან. ტაეკო ისეთი სახით ისმენდა, თითქოს ძალიან აინტერესებსო.

— ქალბატონო კურატა, შემთხვევით იამანეს ხომ არ შესვედრიხართ ჰონკონგში? — ჰკითხა ბოლოს ტაეკომ, დესერტზე რომ გადავიდნენ.

კურატა მოულოდნელობისაგან ისე გაშეშდა, რომ კოვზი პირთან ველარ მიიტანა.

— არ შევხვედრივართ, — ნელა წარმოთქვა მან, მაგრამ ტაეკომ შეამჩნია, შიშისაგან როგორ აუთრთოლდა წამწამები.

— რატომ?

— განა აუცილებლად უნდა შევხვედროდით მას?

— სრულებითაც არა. უბრალოდ, ვიფიქრე: რახან ერთდროულად მოგზაურობდით, ხომ შეიძლებოდა შემთხვევით შეხვედროდით ერთმანეთს.

— არა, ჰონკონგში თვალიც კი არ მოგვიკრავს მისთვის. რატომ დაგაინტერესათ ასე იამანემ? — შეეკითხა კურატა.

— ერთმა კაცმა გვაცნობა, რას აკეთებდა იამანე ჰონკონგში.

ახლა კურატასათვის ნათელი შეიქნა, რომ საქმე, პირველ რიგში, ხაცუკოს ეხებოდა.

— მაინც ვისგან უნდა გაგეგოთ? — კურატამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ჩაფიქრდაო.

— ერთი იაპონელისაგან, რომელიც მაშინ ჰონკონგში იმყოფებოდა. — ტაეკოსთვის ნათელი იყო, რომ კურატა თვითონ არ აღიარებდა, იამანე ვნახეო. ამიტომაც არარსებული მოწმე მოიგონა. — იმ კაცმა ბევრი რამ მიამბო იამანეს შესახებ და ის ქალიც ახსენა, ვისთან ერთადაც ჰონკონგში მოგზაურობდა.

კურატამ დაეინებით შეხედა ტაეკოს და სხაპასხუპით წარმოთქვა:

— სპორტული გაზეთის რეპორტიორი მორიტა ხომ არ იყო? სწორედ ის იქნებოდა, მოსვენებას არ მაძლევდა ჰონკონგში.

— რატომ არ გაძლევდათ მოსვენებას? — შეეკითხა ტაეკო და პასუხს თავი აარიდა.

— ოტელში მოდიოდა და ერთთავად იმას ცდილობდა, რაიმე გაეგო ხაცუკოსა და იამანეს ურთიერთობის შესახებ.

კურატა ფრთხილობდა, თანაც არ უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ ხაცუკოს ყველაფერში ბრმად ემორჩილებოდა. სიმართლე თუ გინდათ, ჰონკონგში ხაცუკოსთან ერთად გატარებული დღეები უსიამოვნოდ აგონდებოდა. ხაცუკომ მოურიდებლად გამოიყენა იგი კამუფლაჟისთვის, თვითონ კი არხეინად ერთობოდა იამანესთან. ახლა კურატა თავის თავზე ბრაზობდა, რატომ შეუწყო ხელი ამ ქალბატონს ჰონკონგში? ჰოდა, როცა დარწმუნდა, ტაეკომ სხვა წყაროდან გაიგო ხაცუკოს დროსტარების შესახებო, გადაწყვიტა, დამალული სიმართლისათვის ოდნავ აეხადა ფარდა. საერთოდ, კურატა უმართებულოდ თვლიდა, ხაცუკომ პირზე ბოქლომის დადება რომ უბრძანა და ახლა სურვილიც კი გაუჩნდა, იდოხარას ცოლის რეპუტაცია ოდნავ შეელახა.

— იმ რეპორტიორმა არ იცოდა, რომ მარტო ხაცუკო კი არა, ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობდით იამანეს და, იამანესთან მოსაუბრე ხაცუკოს დანახვისას, დაასკვნა, ალბათ, ესენი შემთხვევით არ ჩამოსულან ჰონკონგში ერთდროულადო. ჰოდა, ამეკიდა, ეგონა, რაიმეს გამომცინცლავდა.

კურატამ მოახერხა ისე წარმოესახა ყოველივე, რომ კაცი ეჭვს ვერ შეიტანდა ხაცუკოს საქციელში, მხოლოდ რეპორტიორის ვარა-

უდიდა რჩებოდა. მაგრამ მას ესმოდა, რომ ტაეკო საკმაოდ გონიერი ქალი გახლდათ და შეძლებდა ამოეცნო ის, რაც ბოლომდე არ იყო ნათქვამი.

— აი, თურმე, რა ყოფილა! — ტაეკომ ისეთი გამომეტყველებით შესძახა, თითქოს კურატას ახსნა-განმარტებამ დაამშვიდაო. — გულახდილად რომ გითხრათ, რეპორტიორ მორიტას არ უთქვამს, ხაცუკო და იამანე ჰონკონგში ერთობოდნენო, მაგრამ ვშიშობ, ამგვარმა მითქმა-მოთქმამ სახელი არ გაუტეხოს ხაცუკოს. სიტყვამ მოიტანა და, რომელ გაზეთში მუშაობს მორიტა?

კურატამ დაუსახელა გაზეთი და მათი საუბარი ამით დამთავრდა. კურატმა ხელჩანთა აიღო და ტუალეტის ოთახისაკენ წავიდა. ტაეკოც მას გაჰყვა. დიდი სარკის წინ ერთმანეთის გვერდით დადგნენ და მოწესრიგდნენ.

— რა შესანიშნავი კულონი გაქვთ, — წამოიძახა ტაეკომ და შეათვალიერა ოქროს ძეწკვი ზედ დაკიდებული პატარა ოპალით. — ჰონკონგში შეიძინეთ?

— იაფფასიანია, სწორედ ჩემს შესაძლებლობებს შეეფერება, — მიუგო კურატამ და ტუჩები შეიღება.

— ხაცუკომ უამრავი შესანიშნავი ნივთი ჩამოიტანა. ზოგი რამ მეც მერგო, თქვენ კი, ალბათ, საჩუქრებით აგავსოთ — განა გამუდმებით მის გვერდით არ იყავით?

— განსაკუთრებული არაფერი უჩუქებია ჩემთვის. — უპასუხა გაგულისებულმა კურატამ. — მართალია, ექვსი სუფრა და ექვსი დუჟინი ცხვირსახოცი გადმომცა. ვიფიქრე, ეს ნამდვილად საჩუქარია-მეთქი და ჩემი შეხედულებისამებრ გამოვიყენე: ამდენი სუფრა არ მჭირდებოდა და ოთხი ჩემს სალონში გავყიდე. და წარმოგიდგენია? ხაცუკომ შეიტყო ეს და საფასური მომთხოვა. თანაც, იმდენი კი არა, რამდენადაც ჰონკონგში იყიდა, არამედ როგორც გავყიდე — ათი პროცენტით უფრო ძვირი...

ტაეკო და დაზღვევის აგენტი ტეცუო ტადოკორო

ტაეკო კურატას დაშორდა და ახლა იმას ფიქრობდა, როგორ შეესრულებინა იდოხარისათვის მიცემული პირობა. საუბრისას კურატამ სრულიად აშკარად გადაუკრა სიტყვა, ჰონკონგში

იამანე და ხაცუკო ერთმანეთს ხვდებოდნენო, და მაინც, ტაეკო თავს იმტკივნეულდა, რანაირად მოეთხრო ყოველივე იდოხარასათვის. იდოხარამ სთხოვა, კურატასგან გაიგე ჰონკონგში იამანე როგორ იქცეოდაო და ეჭვს გარეშეა, აინტერესებდა, ჰქონდათ თუ არა სპორტსმენსა და მის ცოლს რაიმე ურთიერთობა. ყველაზე იოლი გამოსავალი იქნებოდა, იდოხარასათვის ეთქვა: „კურატას ჰონკონგში იამანე არ უნახავს". მაგრამ, ამის თქმა, ალბათ, არ შეიძლებოდა, ვინაიდან ტაეკომ არ იცოდა, რა სახის ინფორმაცია ჰქონდა იდოხარას. შეეძლო სპორტულ რეპორტიორ მორიტასთვის გადაებრალებინა, თითქოსდა ყოველგვარ ჭორებს ავრცელებს იამანესა და ხაცუკოზე. მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა საშიშროება, რომ იდოხარა თვითონ მოისურვებდა მორიტასთან შეხვედრას და, ვინ იცის, რას მოჩმახავდა ეს მორიტა, თუ იდოხარა სოლიდურ თანხას შესთავაზებდა.

ერთი გზაც არსებობდა: თვითონ ტაეკო შეხვედროდა მორიტას, გამოეკითხა ჰონკონგში ხაცუკოს ყოფაქცევის ამბავი და, იმის მიხედვით, რას ეტყოდა მორიტა, ზუსტად გადაეცა იდოხარასათვის ყველაფერი, ანდა ცოტა შეელამაზებინა. კურატამ მორიტა ახსენა და ამით თითქოს გადაუკრა ტაეკოს: ჩემ თავზე ვერ ავიღებ გამბედაობას, შენ თვითონ ნახე და ყველაფერს მოგიყვებაო. მაგრამ ტაეკოს მაშინვე ეჭვი შეეპარა: განა მორიტა თანახმა იქნებოდა უცნობ ქალთან გადმოელაგებინა ფაქტები, არადა, ეუხერხულებოდა კურატასათვის ეფსო�ა შუამავლობა. საეჭვოა, დათანხმდეს და იმ კაცთან წაჰყვეს, გული რომ გაუწყალა ჰონკონგში. ტაეკო ახლა იმაზე ფიქრობდა, თავის მაგივრად ვინ გაეგზავნა მორიტასთან. მეტისმეტად სანდო კაცი სჭირდებოდა და ტაეკომ გადაწყვიტა მ ი ს თ ვ ი ს ეთხოვა.

მისი გვარი გახლდათ ტეცუო ტადოკორო. სადაზღვევო საზოგადოების აგენტად მუშაობდა. ტაეკომ ტეცუო გაიცნო სამი წლის წინ, როდესაც მათთან სახლში მივიდა და ქონების დაზღვევა შესთავაზა. ტაეკოს მოეწონა ეს მოკრძალებული უმაწვილი, თანდათან ისიც გაიტაცა ახალგაზრდა გათხოვილმა ქალმა. ისინი რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ტაეკოს სახლში შინამოსამსახურე არ ჰყავდა, აგრეთვე ისიც, რომ მისი ქმარი რიოსაბურო მთელი დღე სამსახურში იყო და ქალი შინ მარტო რჩებოდა. თავდაპირველად ტ-ეკო დამნაშავედ გრძნობდა თავს ქმრის

წინაშე, ეშინოდა გამოაშკარავებისა, მაგრამ გავიდა ერთი წელი, დანაშაულის გრძნობა გაუქრა და იმდენად გათამამდა, რომ ტეცუოს ნება დართო, თავისი ქმრის პიჟამა ეხმარა.

ტეცუოსთვის, ალბათ, ძალიანაც სელსაყრელი იყო ამგვარი ურთიერთობა: ორჯერ უთხრა უარი ცოლად შერთვაზე იმ ქალიშვილებს, რომლებსაც ურიგებდნენ. ამავე დროს, არც იმდენად უყვარდა ტაეკო, რომ დაეჟინებინა, ქმარს გაშორდიო. ტეცუო, მართალია, წუხდა, ჩვენი ურთიერთობის შესახებ სადაზღვევო კომპანიაში არ შეიტყონო, ამიტომ ტაეკოს ურჩია, სადაზღვევო ხელშეკრულება გააუქმეო. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ იმხანად რამდენიმე სადაზღვევო კომპანია გაკოტრდა და შეშინებულმა კლიენტებმა უარი განაცხადეს ამგვარ სამსახურზე, ასეთი საქციელი უჩვეულოდ არ მოეჩვენებოდათ.

როცა ხაცუკომ დანაშაულის ადგილზე შეისწრო, ტაეკოს კვლავ გარუახლდა შიში. ტეცუოს თავმოყვარეობა რომ არ შეელახა, გადაწყვიტა, თანდათან ჩამოშორებოდა და შთაეგონებინა, ცოლი შეირთეო. ტაეკო თავის სახლში აღარ ხვდებოდა ტეცუოს. მას შემდეგ, რაც ხაცუკომ ტეცუო მის სახლში ნახა, ტაეკო დარწმუნდა, განსაკუთრებული სიფრთხილე მმართებსო. მაგრამ განზრახული ჰქონდა ხაცუკოსათვის სიტყვა გადაეკრა, მეც ვიცი რაღაც-რაღაცები, ჰონკონგში დროს როგორ ატარებდიო, და მაშინ იდოხარას ცოლი ქედმაღლურად ვეღარ შეხედავდა.

ტაეკომ გადაწყვიტა, ტეცუოსათვის არ ეამბნა იმ ურთიერთობათა შესახებ, რომელიც იამანესა და ხაცუკოს შორის არსებობდა. დაე, თვითონ მორიტასაგან გაიგოს, თუკი, საერთოდ, რაიმეს ეტყვის. ქალმა ტეცუოს დაურეკა და საბუის რაიონში, პატარა კაფეში დაუნიშნა პაემანი.

— ნუთუ ამიერიდან მხოლოდ სახალხოდ შევხვდებით ერთმანეთს? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ტეცუომ.

— რა გაეწყობა, ერთხანს სიფრთხილე გვმართებს. ქმარმა რომ გაიგოს, არც ერთს კარგი დღე არ დაგვადგება.

— მაშ ასე, რის შესახებ გინდოდათ ჩემთან საუბარი?

— თხოვნა მაქვს თქვენთან. საქმე ეხება „კონდორსის“ გუნდის ბეისბოლისტ იამანეს. სპორტული გაზეთის კორესპონდენტი მორიტა, ჰონკონგში ყოფნის დროს, გამუდმებით თვალს ადევნებდა იქ ჩასულ იამანეს. ერთი ჩემი ნაცნობი კი ძალზე დაინტერესებულია, როგორ

იქცეოდა იქ იამანე. ბოდა, ჩემი თხოვნაა, შეხვდეთ იმ მორიტას და გამოჰკითხოთ ყველაფერი, რაც იამანეს შეეხება.

— ჩემი აზრით, თქვენ ნაცნობს კი არა, თავად გაინტერესებთ იამანე. — ტეცუომ ეპვით შეხედა ტაეკოს.

— რა სისულელეს ამბობთ! განა მაშინ თქვენ მოგმართავდით? ერთი სიტყვით, შეხვედით მორიტას და გამოჰკითხეთ ბეისბოლისტ იამანეს თაობაზე, გაიგეთ, ხომ არ შეხვედრია ჰონკონგში დაახლოებით ოცდაათი წლის სანღომიან მანდილოსანს?

გამოძიება

— სასწრაფოდ უნდა შეეხვდეთ ერთმანეთს, — უთხრა აღელვებულმა მორიტამ ნემოტოს ტელეფონით.

„ნუთუ უკვე მოასწრო ჩემი მიცემული ფულის დახარჯვა, ჩანს, კარგად ვერ შეეაფასე", — გაოცდა ნემოტო, ვინაიდან თავდაპირველად გაიფიქრა, სწორედ ამიტომ უნდა ჩემთან შეხვედრაო.

— ცოტა ხნის წინ ჩემთან შემოიარა ერთმა კაცმა. თქვენთვის ცნობილი ჰონკონგის ამბების გაგება აინტერესებდა, — დაუმატა მორიტამ.

— რახან ასეა, შემოიარეთ ჩემთან. ახლა დაკავებული ვარ და კანტორიდან ვერ გავალ. — ნემოტო მიხვდა, რომ საქმე ფულს არ ეხებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ მორიტა „ორიენტის" მისაღებში იჯდა.

ნემოტო შევიდა თუ არა, სასწრაფოდ წამოხტა და მიესალმა. ნემოტომ ბრძანა, ჩაი მოეტანათ და ჰკითხა:

— მაინც რა მოხდა?

— ერთი საათის წინ რედაქციაში დამირეკა ვინმე ტაღოკორომ და შეხვედრა მთხოვა, — ეუბნებოდა მორიტა და ერთგულად შესაციინებდა თვალებში. — შეეკითხე: რა საკითხი გაინტერესებთ-მეთქი. მიპასუხა: იამანეს შესახებ ვისაუბროთო. ჩვენთან ხშირად მოდიან ბეისბოლის გულშემატკივრები, ვიფიქრე, ალბათ, ისიც ერთ-ერთი მათგანია-მეთქი და რედაქციაში მოვიპატიჟე—შეხვედრაზე უარს არასოდეს ვეუბნებით მკითხველებს. თავიდან იგი მართლა დაინტერესებული იყო იამანეს სპორტული წარმატებებითა და „კონდორსის" გამარჯვების პერსპექტივებით. შემდეგ მითხრა, ყური მოვკარი, თით-

ქოს იამანესთან ერთად იყავით ჰონკონგში და მასზე მასალებს აგროვებდითო. ჰოდა, მთხოვა. დაწერილებით მომეთხრო, როგორ იქცეოდა ეს სპორტსმენი საზღვარგარეთ. როდესაც დავინტერესდი, რისთვის გჭირდებათ ეს ცნობები-მეთქი, მიპასუხა, არსებობს ზოგიერთი გარემოება, რომლის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვიო. მისმა თხოვნამ საგონებელში ჩამაგდო და ვუპასუხე: იამანეს შესახებ არაფერი ვიცი-მეთქი. მაშინ შემეკითხა: მაშასადამე, ხმები იმის თაობაზე, რომ თქვენ ჰონკონგში იამანეზე მასალებს აგროვებდით, ტყუილია? დადებითად რომ მეპასუხა, ბოდიშს მოიხდიდა და პირში ჩალაგამოვლებული წავიდოდა. მაგრამ ჩემთვის ხომ მნიშვნელოვანი იყო გამეგო, რისთვის სჭირდებოდა ცნობები, და ვუთხარი, მართლაც შენიხვევით გავიგე იამანეს ჩამოსვლის ამბავი და გადავწყვიტე, ზოგი ინფორმაცია შემეგროვებინა მისი ჰონკონგში ყოფნის თაობაზე-მეთქი.

— როგორ იმოქმედა თქვენმა ნათქვამმა თქვენს თანამოსაუბრეზე?

— საოცარი ინტერესი გამოიჩინა და მთხოვა, დაწერილებით მეამბო. შევეცადე ზოგადი ფრაზებით მომეცილებინა თავიდან, მაგრამ სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა და დამადანაშაულა, რაღაცას მიმალავო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს რაღაც იცოდა იამანესა და ქალბატონ იდოხარას ურთიერთობის შესახებ და ჩემთან ცნობების დასაზუსტებლად მოვიდა.

— გასაგებია, — წაიბუტბუტა ნემოტომ.

— გადავწყვიტე, ტადოკორო გამომეტეხა და ჩავილაპარაკე, იამანეზე ბევრი რამის მოყოლა შეიძლება, საზღვარგარეთ მოგზაურობისას კაცს რა არ შეემთხვევა, მაგრამ ყველასთან ხომ ვერ იტყვი-მეთქი. ეს რომ ვთქვი, ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ხელში ჩამჩარა.

— რადგან ფული შემოგთავაზათ, ჩანს, მართლაც, რაღაც შეიტყო იამანესა და ქალბატონ იდოხარას ურთიერთობის შესახებ და დეტალების გარკვევა უნდოდა, მაგრამ მაინც ვისგან შეიძლებოდა გაეგო ეს ამბავი?

— შევეცადე დამეზუსტებინა, მაგრამ პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა. და, მაინც, ვფიქრობ, რომ აქ გარეულია კურატა — ქალის ტანსაცმლის სალონის მეპატრონე.

— განა ის იცნობს კურატას?

— არ ვიცი. თვითონ კრინტიც არ დაუძრავს.

— მაგრამ ფული ხომ აიღეთ მისგან?

— უარზე ვიყავი, მაგრამ ძალით ჩამჩარა ჯიბეში. იცით, რამდენი იყო? მხოლოდ ერთი ცალი ხუთი ათასიანი ქაღალდი.

— საქმე ფულში როდია: გამოდის, ეს ტადოკორო უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო არაა დაინტერესებული. მაინც, რა პასუხით გაისტუმრეთ?

— ვუთხარი, რომ, თუმცა ბევრი ქალიშვილი ცდილობდა მასთან შეხვედრას, მუდმივად ერთი და იგივე ქალი იამანეს არ ჰყოლია. არც არაფერია უჩვეულო — ის ხომ პოპულარული სპორტსმენია. მაშინ იმ ტადოკორომ პირდაპირ მკითხა: სასიამოვნო შესახედაობის ოცდაათიოდე წლის მანდილოსანს ხომ არ ხვდებოდა იამანეო? ჩემთვის სათელი გახდა, რომ იმ ქალის სახელი იცოდა, მაგრამ თვითონ არ უნდოდა თქმა.

— აი, თურმე, რა ყოფილა, — უთხრა ნემოტომ. — იმ ტადოკოროს არ გითხრა, სად მუშაობს?

— ვკითხე და მიპასუხა, ადრე ერთ ადგილზე ვმუშაობდი, მაგრამ მერე სამუშაო აღარ მომეწონა და მივატოვე. ახლა კი მეგობრებთან ერთად საკუთარი საქმის გახსნას ვაპირებო.

— არ უთქვამს, კიდევ როდის მოვა?

— მითხრა, უახლოეს დღეებში შემოვიცლიო. მე კი გადავწყვიტე, მაშინვე მომეხსენებინა თქვენთვის და რჩევა-დარიგება მეკითხა, ღირს თუ არა იმის გარკვევა, ვისი მითითებით მოქმედებს.

— სწორად მოიქეცით. მითხარით, თავისი სავიზიტო ბარათი ხომ არ დაუტოვებია?

— აი ის, — მორიტამ ნემოტოს მიაწოდა პატარა კვადრატული ფორმის სქელი ქაღალდი, რომელზედაც ეწერა „ტეცუო ტადოკორო", სამსახურის ადგილი კი ტუშით ფაქიზად იყო წაშლილი.

ნემოტო ფანჯარასთან მივიდა და სინათლეზე ბარათი შეათვალიერა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. მდივანი გამოიძახა და უთხრა:

— შეეცადეთ, წყლით გადარეცხოთ ტუში.

ათი წუთის შემდეგ მდივანმა სავიზიტო ბარათი მოიტანა. ტუშის მთლიანად გადარეცხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ ზოგი რამის გარჩევა შეიძლებოდა. ნემოტომ სათვალე გაიკეთა და ძლივძლივობით წაიკითხა: სადაზღვევო საზოგადოება „ფუკუსეის" აგენტი.

— გამორიცხული არაა, რომ იცრუა, თითქოს ახლა არსად არ

მუშაობდეს. ყოველი შემთხვევისათვის, შეიძლება სადაზღვევო საზოგადოებაში დარეკოს კაცმა, — უთხრა მორიტამ.

— ოღონდ ჯერ არა, ცოტა დავიცადოთ.

— რაიმე იდეა გაქვთ?

— რაღაც იდეა მესახება... სიტყვამ მოიტანა და, იმ ტადოკოროომ არ გითხრათ, კიდევ როდის აპირებს მოსელას?

— არა. მაგრამ იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ არის დაინტერესებული, ალბათ, სამ-ოთხ დღეს არ გადააცილებს.

— სამ-ოთხ დღეს? ამასობაში შევძლებთ საკითხის გარკვევას. თქვენ კი გთხოვთ, ამის შესახებ ჯერჯერობით არავის არაფერი უთხრათ, არც კურატას.

— მესმის. და მაინც, ჩემი აზრით, სწორედ კურატასაგან გავიგებდით რაიმეს. მხოლოდ მას შეეძლო ტეცუო ტადოკოროსათვის იამანეს შესახებ ეამბნა და ჩემთან გამოეგზავნა.

— გასაგებია, მაგრამ ჯერჯერობით არ ღირს კურატას შეშფოთება. მოვა დრო და ამის თაობაზე შეგაწუხებთ... ან იქნებ რეგულარულად ხვდებით მას?

— რაც ჰონკონგიდან ჩამოვედი, ერთხელაც არ მინახავს. იმის შემდეგ, რაც იქ მოხდა, ალბათ, ჩემი ხელახლა ნახვის სურვილი არც აქვს.

— კარგი. დაელოდეთ ჩემს ზარს და თავად არაფერი მოიმოქმედოთ. სამი-ოთხი დღე საკმარისი იქნება, რათა ტადოკოროს შესახებ საჭირო ცნობები შეეკრიბოთ.

მორიტას, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ამდენი დრო რისთვის სჭირდებაო. მისი ვარაუდით, საკმარისი იქნებოდა ყურმილის აღება და სადაზღვევო საზოგადოებაში დარეკვა, მაგრამ თავისი აზრი ხმამაღლა არ გამოუთქვამს.

ნემოტომ საფულედან ოცი ათასი იენი ამოიღო და მორიტას მისცა.

— ეს ლუდისათვის, — უთხრა მან. — სიტყვამ მოიტანა და, რა მთაბეჭდილება დაგრჩათ ტადოკოროზე?

— ჩემი აზრით, ცუდი ბიჭი არ უნდა იყოს.

— რამდენი წლისაა?

— ალბათ, ოცდახუთის იქნება, შესაძლოა, ცოტა მეტის.

— ლამაზია?

— სიმპათიურს უფრო იტყოდა კაცი.

ნემოტო ცოტა ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უთხრა:

— შეგახსენებთ: ტადოკოროს თეითონ მივხედავ, თქვენ კი ჩემს ზარს დაელოდეთ და დამოუკიდებლად არაფერი მოიმოქმედოთ.

მორიტა რომ წავიდა, ნემოტო ჩაფიქრდა: გამორიცხული არაა, სიმპათიური ტადოკოროც ახლო ურთიერთობაში იყოს ხაცუკოსთან. მაინც, რატომ არ უნდა ჰყავდეს ერთბაშად ორი საყვარელი? და თუ ეს ასეა, მაშასადამე, იდოხარას ცოლის კეთილშობილი გარეგნობის მიღმა მართლაც ბილწი ენებანი ბობოქრობს. რასაკვირველია, მისი ქმარიც კარგი ვინმეა, მაგრამ, ეტყობა, არც ქალი უდებს ამ საქმეში ტოლს. მაგრამ თუ ტადოკორო ხაცუკოს საყვარელია, მაშინ გასაგებია, ასე დაჟინებით რატომ ცდილობს იმის გაგებას, რა მოხდა ჰონკონგში ხაცუკოსა და იამანეს შორის. თვით ხაცუკოს, იქნებ, აინტერესებს კიდეც მათი დაპირისპირება — ეს განსაკუთრებულ სიამოვნებას მიანიჭებდა მის დროსტარებას.

ტადოკორომ, როგორც ჩანს, იცის, ხაცუკო კურატასთან ერთად რომ მოგზაურობდა ჰონკონგში და, თავისთავად ცხადია, ჯერ კურატასთან მიირბინა. ქალმა არაფერი უთხრა, მაგრამ შეებრალა ეპვიანი ყმაწვილი და მორიტასთან შეხვედრა ურჩია: რეპორტიორიც ჰონკონგში იყო იმ დროს და, უეჭველია, რაღაც ეცოდინებაო. აი, რატომ მივიდა ტადოკორო მორიტასთან. ეს ვერსია სიმართლეს წააგავდა და, რაც მთავარია, ტოდოკოროს საქციელს ნათელს ჰფენდა.

ნემოტომ ტელეფონის ნომერი აკრიფა და თქვა:

— მე ვარ. თუ დრო გაქვს, ჩვეულებრივ ადგილზე შევხვდეთ.

ნახევარი საათის შემდეგ ნემოტო უკვე გინზაზე მდებარე პატარა კაფეში იჯდა. მალე მის მაგიდას გაცვეთილკოსტიუმიანი საშუალო ხნის კაცი მიუახლოვდა და ნემოტოს მიესალმა: აშკარად ჩანდა, რომ ამ კაცს მრავალი წელი ემსახურა არმიაში.

— მაპატიე, რომ შეგაწუხე, — ნემოტომ გულთბილად გაუღიმა და სკამი შესთავაზა.

ოციოდე წუთმა უშუალო საუბარში გაიარა. შემდეგ კაცმა ყავა დალია, ნემოტომ ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და ფანქრით სწრაფად დაწერა: „სადაზღვეეო საზოგადოება „ფუკუსეი". ტეცუო ტადოკორო".

— ყველაფერი გამოარკვიე ამ კაცის შესახებ. პირველ ყოვლისა, გაიგე, რამდენად ახლოსაა ხაცუკო იდოხარასთან — ჩვენი პრეზიდენტის ცოლთან. გაიგე, ხომ არ დაზღვეულა ხაცუკო ამ საზოგადო-

ებაში და დაზღვევის რომელი აგენტი იყო მასთან. შედეგები ტელეფონით მომახსენე ხვალ. შემდგომ მითითებებს მოგვიანებით მიიღებ.

კაცმა თავი დაუქნია და ჩუმად გავიდა კაფედან.

ექსკურსი წარსულში

გამოძიება, რომელიც ნემოტომ თავის ორგანიზაციას დააკალა, ორი დღის შემდეგ დამთავრდა. აი, რა აცნობეს მას:

ხაცუკო იდოხარას არავითარი კონტაქტი არ ჰქონია სადაზღვევო საზოგადოება „ფუკუსეისთან". იდოხარას ოჯახის ახლობელთაგან ტაეკო სასაკიმ სამი წლის წინ დაზღვევის აგენტ ტეცუო ტადოკოროს რჩევით დააზღვია ამ საზოგადოებაში თავისი ქონება.

მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როდესაც ხელშეკრულების ვადა ამოიწურა, აღარ განუახლებია.

მაშ ასე, ნემოტოს თავდაპირველი ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა. ტეცუო საერთოდ არ იცნობდა ხაცუკოს. მაშინ ნემოტო ტეცუოსა და ტაეკოს ურთიერთობაზე დაფიქრდა. ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ერთი წლის შემდეგ ტაეკომ რატომღაც უარი თქვა დაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელებაზე. გამორიცხული არაა, რომ ტეცუო განაგრძობდა მასთან სიარულს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ტაეკო ხელშეკრულების გაგრძელებაზე დაეყოლიებინა. მაშინ ეს ცნობილი იქნებოდა სადაზღვეკო საზოგადოებაში, იქ კი თქვეს, ასეთი დავალება ჩვენი აგენტისათვის არ მიგვიციაო.

მიღებული ცნობების მიხედვით, ტეცუო ოცდაშვიდი წლის გახლავთ, ოჯახში უფროსი შვილია, დაამთავრა კერძო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, უცოლოა, მსახურობს სადაზღვევო საზოგადოება „ფუკუსეიში", განსაკუთრებული ნიჭით არ გამოირჩევა, ალკოჰოლურ სასმელებს ბოროტად არ იყენებს. მამამისი ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსის თანაშემწეა.

ნემოტომ ტეცუოს ფოტოსურათს თვალი შეავლო. სურათი სადაზღვევო საზოგადოების შენობიდან გამოსვლისას გადაუღეს. ტეცუო მაღალი, გამხდარი, ლამაზი ყმაწვილი გახლდათ, სახეზე ოდნავ ნაღვლიანი გამომეტყველება შეყინვოდა. ამ ტიპის კაცი უნდა მოსწონებოდა დაბალ, მრგვალსახიან, ჩასუქებულ ტაეკოს. ქმარს საშსახურ-

ში, რომ გაისტუმრებდა, ტაეკო მთელი დღე მარტო იყო შინ. იდოხარას წაბაძვით ისინი მოკრძალებულად ცხოვრობდნენ და შინაგოსამსახურეც კი არ ჰყავდათ. და აი, მათ სახლში დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ტეცუო ტადოკორო, რომელიც დაზღვევის ყველაზე სასარგებლო საშუალებას სთავაზობდა ქალს. საესებით შესაძლებელია, რომ მთელი დღეების განმავლობაში უსაქმურობისაგან მოწყენილ ტაეკოს აღელვებდა კიდეც მისი ყოველი ვიზიტი.

ტადოკორო... ნემოტოს უცებ გაახსენდა ასეთივე გვარის კაცი. არა, არა! რა კავშირი შეიძლება იყოს ამ ახალგაზრდასა და იმას შორის. ტეცუო მუდმივად სუგამოში ცხოვრობს, მისი მოკეარე კი — სულ სხვა რაიონში. ნემოტომ უკუაგდო ეს შემთხვევითი აზრი და ტაეკოზე განაგრძო ფიქრი.

ტაეკო დაუფიქრებლად მოიქცა. სხვისთვის რომ ეთხოვა მორიტასთან მისვლა, მისი ტეცუოსთან კავშირის ამბავი ახლა არ გამოშეღავნდებოდა. უთუოდ უფრო იოლი მოეჩვენა მორიტასთან თავისი საყვარლის გაგზავნა. მაგრამ რისთვის დასჭირდა იმის გამორკვევა, როგორ იქცეოდა ჰონკონგში ხაცუკო? ნეტავ, თავისი ინიციატივით მოქმედებდა?

ნემოტო ეუბნებოდა, რომ ტაეკო და ტეცუო ინტიმურ დამოკიდებულებაში იყვნენ და ტაეკოს მეტისმეტად ეშინოდა, მის ქმარს, რიოსაბუროს არაფერი შეეტყო. მაშ რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხაცუკომ შემთხვევით გაიგო მათი ურთიერთობის ამბავი? იამანესთან მისმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ან ლოგიური სიტუაციების უფრო მწვავედ აღქმას და ხაცუკოს თავისუფლად შეეძლო ტაეკოს ქცევაში რაღაც საეჭვო შეემჩნია. ისინი ხომ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ხაცუკო, როგორც ჩანს, არ აპირებდა, თავისი აღმოჩენა იდოხარასა და რიოსაბუროსათვის გაეზიარებინა. როცა შეიტყო ტაეკოს საყვარელი გაუჩენიათ, ალბათ, თავის სატრფიალო საქმეებში მეტი დამოკიდებულობა იგრძნო. ტაეკოს საქმე სხვა იყო: როდესაც მიხვდა, ჩემი საიდუმლოება ცნობილია ხაცუკოსათვისო, ისიც ნათელი შეიქმნა მისთვის, რომ ამიერიდან იდოხარას ცოლი საერთოდ აღარ მოასვენებდა, მითუმეტეს, რომ ადრეც იბრიყვებდა ხოლმე.

ტაეკოსათვის ზოგი რამ ცნობილი იყო იამანესა და ხაცუკოს ურთიერთობაზე. ჰონკონგში მათი ერთდროულად მოგზაურობის ამბავიც რომ შეიტყო, მორიტასთან ტეცუო გაგზავნა ზოგიერთი საინტე-

რესო დეტალის გასარკვევად. ხაცუკოსთან დაპირისპირების შეტ საშუალებას ვერ ხედავდა.

მაგრამ ნემოტოს ვარაუდების მწყობრი ჯაჭვი წყდებოდა ერთი მიზეზით: კაცმა რომ თქვას, რატომ გაგზავნა ტაეკომ ტეცუო სპორტულ რეპორტიორთან? მისთვის ხომ ცნობილი არ იყო, რომ მორიტამ ჰონკონგში იმოგზაურა და ცნობები შეაგროვა იამანესა და ხაცუკოზე. იქნებ, ვინმესგან გაიგო ამის შესახებ? ეისგან? ნემოტოს ინტუიცია უკარნახებდა, რომ აქ კურატას გარეშე ვერაფერს გახდებოდნენ. ჩანს, ტაეკოსთან საუბარში კურატამ სიტყვა გადაუკრა ჰონკონგში იამანესა და ხაცუკოს შეხვედრების თაობაზე, მაგრამ დაწვრილებით ვერაფერი უამბო და მორიტასთან გაგზავნა. ამგვარად გასაგები ხდებოდა, რატომ გაგზავნა ტაეკომ თავისი სატრფო სპორტულ რეპორტიორთან.

* * *

ნემოტოს ფიქრები ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა. ყოფილი უნტერ-ოფიცერი ხორიკავა რეკავდა. ნემოტო ხორიკავას ერთ საღამოს აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობასთან შემთხვევით შეხვდა. ვერ იტყოდით, რომ ამ ზარმა სიამოვნება მიანიჭა.

— ბატონო კაპიტანო, მაპატიეთ, მყუდროება რომ დაგირღვიეთ, — აკანკალებული ხმით მიმართა ხორიკავამ.

— მისმინე, ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყე ძველი ჩვეულები და ნემოტო დამიძახე. — ნემოტო გაბრაზდა: ისლა აკლდა, კომუტატორზე მისი ძველი წოდება გაეგოთ.

— მესმის, ბატონო... ნემოტო! ხომ არ შეგიძლიათ რამდენიმე წუთი დამითმოთ? სასწრაფოდ მინდა თქვენთან შეხვედრა.

ნემოტოს მაშინვე წაუხდა გუნება. ალბათ, ფულზე დამიწყებს ლრიტინს, — გაიფიქრა მან. წინათ ხორიკავა ჟანდარმერიის სამაგალითო უნტერ-ოფიცერი იყო და, მიუხედავად წოდებათა სხვაობისა, ნემოტოც გულთბილად ეკიდებოდა. მაგრამ ახლა ცხოვრებისაგან საკმაოდ დაგლახავებული, ჩვეულებრივი ღამის დარაჯი იყო. ნემოტომ საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რა გაჭირვება გამოიარა ყოფილმა ჟანდარმმა ომში დამარცხების შემდეგ და არ სიამოვნებდა, ეს ოდესღაც სამაგალითო უნტერი საცოდავ მათხოვრად რომ იქცა,

— დღეს არ შემიძლია, — უპასუხა ნემოტომ.

— გთხოვთ, ბატონო კაპიტანო... მაპატიეთ... ისა... ბატონო ნემოტო! ათი წუთი მაინც დამითმეთ. თუ დაკავებული ბრძანდებით, მე შემოგივლით კანტორაში.

„ისღა მაკლია, კანტორაში დაინახონ, — გაიფიქრა ნემოტომ. — რა გაეწყობა, ამჯერად ცოტა ფულს მივცემ, მაგრამ გავაფრთხილებ, რომ მომავალში ასეთი თხოვნით აღარ მომმართოს".

— კარგი, რამდენიმე წუთს გამოვძებნი. გინზაზე რომ კაფეა, იქ შევხვდეთ. — ნემოტომ მისამართი უთხრა.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, — მიუგო ხორიკავამ, და ნემოტომ წარმოიდგინა, როგორ დაუკრა თავი აპარატს ტელეფონის ჯიხურში.

როდესაც ნემოტო კაფეში შეიდა, ხორიკავა უკვე ელოდა მოშორებით მდგარ მაგიდასთან. სუფთა, მაგრამ ძალზე გაცვეთილი კოსტიუმი და, როგორც ეტყობოდა, ბევრჯერ გარეცხილი თეთრი პერანგი ეცვა. ნემოტოს დანახვისას სკამიდან წამოხტა და სამხედრო სალამი მისცა. მაგიდაზე მის წინ ჩაის ფინჯანი იდგა. ბოლომდე ჯერ არ დაელია. ახლა კი დარწმუნდა ნემოტო, როგორ დაბერებულიყო ოდესღაც წელში გამართული ყანდარმთა უნტერ-ოფიცერი: ნახევრად გაჭაღარავებული თმა, ღრმა ნაოჭებით დაღარული შუბლი, მუქი, შეშუპებული თვალის ქუთუთოები... ომისშემდგომმა სიდუხჭირემ და სიღარიბემ უდროოდ დააბერა ეს კაცი.

ხორიკავა იმდენად მლიქვნელურად იქცეოდა, რომ ნემოტომ უხერხულადაც კი იგრძნო თავი და გაიფიქრა: „მაინც როგორ შეიცვალა ეს კაცი, ადრე ხომ გაბედულად გამოთქვამდა ხოლმე თავის აზრს მასზე მაღალი წოდების პირებთანაც კი".

— მადლობელი ვარ, ბატონო კაპიტანო, მაპატიეთ... ბატონო ნემოტო, იმისათვის, რომ შესაძლებლად ჩათვალეთ ჩემთან შეხვედრა. არ ვიცი, როგორ გითხრათ, მაგრამ დიდი თხოვნა მაქვს თქვენთან.

— თქვი რაღა. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. ჩვენს შორის ცერემონიები საჭირო არაა. — „მაშასადამე, ფულს მომთხოვს", — თავისთვის გადაწყვიტა ნემოტომ.

— ერთ კაცს უნდა დავეხმაროთ.

— ვინ არის? ვიცნობ?

— ალბათ გახსოვთ, ბატონო კაპიტანო. თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

— ჩემი ხელქვეითი იყო?

— არა, პოლკოვნიკ ტადოკოროზე მოგახსენებთ. მაშინ ის სამხედრო მომარგების სამინისტროში სამხედრო ქონების განყოფილების უფროსი გახლდათ.

— დიახ, დიახ, მახსენდება. — ნემოტოს თვალწინ დაუდგა კოხტად შეკრეჭილულვაშიანი მრგვალი სახე. იმწამსვე გაიფიქრა მის მოგვარე ტეცუოზე, ვის შესახებაც ცნობები ამ დილით მიიღო.

— ჰოდა, პოლკოვნიკი ტადოკორო უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი წლის წინ ინსულტი დაემართა და ფეხები დაუღამბლავდა. შვილები არ ჰყავს და ცოლი იძულებულია ფული შინახელოსნობით იშოვოს. მაგრამ თავი ძლივძლივობით გაიქვთ. სანამ პოლკოვნიკს ინსულტი დაემართებოდა, ძველმანებს აგროვებდა, მაგრამ ახლა აღარც ეს შეუძლია.

ნემოტო ხორიკავას უსმენდა და ახსენდებოდა ის გარემოება, რომელმაც მაშინ პოლკოვნიკ ტადოკოროს შეჰყარა. კვლავ გაიფიქრა იმის თაობაზე, ტაეკოს სატრფო ტეცუო პოლკოვნიკს ნათესავად ხომ არ ეკუთვნისო. თუ ეკუთვნის, მაშინ საკმაოდ უცნაური სიტუაცია იქმნება, ისეთი, როგორიც ომში დამარცხების წინ იყო, როცა ამ პოლკოვნიკს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იდოხარასთან...

გორტმოქმედებანი სამხედრო მომარაგების სამინისტროში

— როგორ გაიცანი პოლკოვნიკი? — შეეკითხა ნემოტო.

— ის ახლა ურავაში ცხოვრობს, ჩემს სახლთან ახლოს, და შემთხვევით გავიგე პოლკოვნიკის საშინელი გაჭირვების შესახებ. ეს იყო შარშან. მას შემდეგ დროდადრო მოვინახულებდი ხოლმე და, როგორც შემეძლო, ვანუგეშებდი. ჩემისთანა კაცის სალაყბოდ მისვლაც კი ახარებდა პოლკოვნიკს. ავადმყოფობამ ხომ სარეცელს მიაჯაჭვა.

„ძველ არმიაში ხორიკავა პოლკოვნიკის ხელქვეითი ოფიცერი იყო. ჟანდარმერიაში მსახურობდა. ეტყობა, მას გენსაკუთრებულ სიძმოვნებას ანიჭებს ის გარემოება, რომ დახმარებას გაუწევს ისეთ ადამიანს, ვისაც წარსულში, მისი წარმოდგენით, ესოდენ მიუწვდომელი პოსტი ეკავა, ახლა შეუძლია პოლკოვნიკის თანასწორად ჩათვალოს. თავი“. — ფიქრობდა ნემოტო.

მაშინ, იაპონიის დამარცხების წინა დღეს, ნემოტოს დაავალეს იმ განყოფილებაში მომხდარი ბოროტმოქმედების გამოძიება, რომელსაც პოლკოვნიკი ტადოკორო მეთაურობდა. ეჭვი ჰქონდათ, თითქოს მინდობილი სამხედრო ქონება დაიტაცა. ამ საქმეში გარეული აღმოჩნდა ოფიცერთა მთელი ჯგუფი. ისინი სატვირთო ავტომანქანების, ავტოსაბურავების, ბენზინისა და დაზგების ქურდობასა და გაყიდვას ეწეოდნენ. ნემოტოს მოკრძალებული ანგარიშ-თაც კი, მათ უდიდესი თანხის საქონელი დაიტაცეს.

ამ საქმის გამოძიება ნემოტომ, უპირველეს ყოვლისა, იდოხარა-დან დაიწყო. ის სატვირთო მანქანაზე მძღოლად მუშაობდა და სამხედრო ქონება საწყობებში გადაჰქონდა. ნემოტოს იმედი ჰქონდა, რომ იდოხარას ჩიხში მოიმწყვდევდა და უფროსობას თანდათან სააშკარაოზე გამოიყვანდა. ნემოტო პირადად დაკითხავდა იდოხარას და ფიქრობდა, რომ მას უფრო იოლად გატეხავდა. მაგრამ იდოხარამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და კერკეტი კაკალივით აღმოჩნდა. მან კატეგორიული უარი განაცხადა გაეცა უფროსობა. ნემოტოს დღემდე ახსოვს თავისი სიტყვიერი ორთაბრძოლა იდოხარასთან.

„იცი, ასეთი ვერაგობისათვის რომ სიკვდილით დასჯა გელის? ახლა, როცა ჯარისკაცები ფრონტზე სისხლს ღვრიან, არ ჰყოფნით იარაღი, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა და ყოველი შაშხანა, ყოველი წვეთი ბენზინი ამერიკაზე გამარჯვებისთვისაა საჭირო, შენ გაანიავე ეს ქონება. ნუთუ მართლა იაპონელი ხარ? შეგრჩენია იმპერიის სამსახურის სული და სამხედრო პატრიოტიზმის ნატამალი?!“—უყვიროდა მას ნემოტო. მაგრამ იდოხარა დუმდა, და მაშინ ნემოტო ტონს შეიცვლიდა ხოლმე: „ვიცი, შენი ნებით არ მოქმედებდი, უფროსების ბრძანებას ასრულებდი. მესმის ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდი. რასაკვირველია, შენთვის იოლი როდია იმის თქმა, რაც მოხდა, მაგრამ გთხოვ: სამშობლოს, იაპონიის გულისათვის ნურაფერს დამიმალავ, ამით იმპერატორისადმი შენს ერთგულებას დაამტკიცებ. მე კი მოსამართლეთა წინაშე შენი განაჩენის შემსუბუქებისათვის ვიშუამდგომლებ. იმასაც კი შევეცდები, შენი საქმე სამხედრო ტრიბუნალს არ გადასცენ. მოდი, დავივიწყოთ ჩვენი სამხედრო წოდებები და, როგორც მეუობრებს, მ მაკაცებს შეჰფერით, ისე ვისაუბროთ“.

მაგრამ იდოხარა გაუნძრევლად იჯდა მოუხერხებელ სკამზე, ნე-

მოტოს თვალებში მიშტერებოდა და იმეორებდა: „მეტი არაფერი ვიცი". მის თვალებში ნემოტომ ამოიკითხა გადაწყვეტილება, არავითარ შემთხვევაში არ გაეცა უფროსობა, თუგინდ სიკვდილით დასჯით დამუქრებოდნენ. ეს გახლდათ იმ ჯარისკაცის გადაწყვეტილება, რომელმაც მარტომ მიიღო მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და მეთაურს უვნებლად თავის დაღწევის საშუალება მისცა. მ შინ ნემოტომ ასე შეაფასა იდოხარას მოქმედება.

იდოხარას სიმტკიცის წყალობით პოლკოვნიკი ტადოკორო წყლიდან მშრალი ამოვიდა და ჟანდარმერიის დევნას თავი დაღწია. იდოხარა კი ერთ თვეზე მეტ ხანს იჯდა ჟანდარმერიის საპატიმროში, სადაც მკაცრ დაკითხვებს უტარებდნენ. და აი, როდესაც იდოხარა თითქმის დანებდა და ნემოტო უკვე აპირებდა ბოროტმოქმედებაში გარეული ოფიცრების დაპატიმრებას, იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. დადგა დრო, როცა ნემოტოსა და მის ხელქვეითებს თავიანთი თავებისთვის უნდა ეშველათ. მოაღწია ხმამ, ამერიკის არმია განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდება ყოფილ ჟანდარმებსო. ამ გარემოებამ ააფორიაქა ისინი, შეაგროვეს ყველა საბუთი და უკაცრიელ ადგილზე დაწვეს. ამ საბუთებს შორის იყო სამხედრო მომარაგების სამინისტროს სამხედრო ქონების განყოფილების თანამშრომელთა დაკითხვის ოქმებიც. ამის შემდეგ ჟანდარმებმა გაათავისუფლეს დაპატიმრებულნი და თვითონ გაიქცნენ. იდოხარას შემდგომი ამბავი — სანამ მას სხვაგვარ მდგომარეობაში შეხვდებოდა — ნემოტომ არ იცოდა.

— ბატონო კაპიტანო, — ხორიკავამ შეაწყვეტინა ნემოტოს მოგონებები და სინამდვილეს დაუბრუნა. — გთხოვთ დაეხმაროთ ტადოკოროს.

ნემოტომ ხორიკავას დანაოჭებულ სახეს შეხედა და გაახსენდა, რომ ისიც იღებდა მონაწილეობას იდოხარას დაკითხვაში.

— რადგან საჭიროა დახმარება, დავეხმარები, — უთხრა ნემოტომ, შემდეგ გაოცებით შეხედა ხორიკავას. — ხორიკავა, სიტყვამ მოიტანა და, პოლკოვნიკ ტადოკოროს, როგორც ჩანს, საკმაოდ უზრუნველყოფილი ცხოვრება უნდა ჰქონოდა. ომის შემდეგ რატომ აღმოჩნდა უეცრად გაჭირვებულ მდგომარეობაში? — ნემოტო არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ ტადოკორომ თავის მეგობრებთან ერთად დიდი თანხა დაითრია ნაქურდალი სამხედრო ქონების გაყიდვის დროს. მაშინდელ შავ ბაზარზე არსებულ ფასებს თუ გავი-

თვალისწინებთ, მარტო ავტოსაბურავებით შეეძლოთ უამრავი ფულის გაკეთება. ამ ფულის საქმეში დაბანდებით, ტადოკოროს შეეძლო დიდი წარმატების მქონე მეწარმე გამხდარიყო. ამის მაგალითია იდოხარა.

— იცით რა, — ხორიკავა შეეყოყმანდა და ნემოტო მიხვდა, რომ მან რაღაც იცოდა ტადოკოროს საქმიანობის შესახებ. — წვრილმანები არ ვიცი, მაგრამ პოლკოვნიკს ერთ დროს მართლაც არაფერი უშირდა და საქმეც კარგად მისდიოდა. საკუთარი კომპანიაც კი დააარსა, მისი პრეზიდენტი გახდა და მოსამსახურეთა დიდი შტატი დაიქირავა. მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, კომპანიონებმა მოატყუეს და უკაპიკოდ დარჩა. თვითონაც მიხვდებით, რომ ტადოკოროს არ ექნებოდა სურვილი ამ ამბის წვრილმანები ეამბო, მაგრამ მისი გადაკრული ლაპარაკიდან ასე გავიგე.

— აი თურმე რა ყოფილა? — ნემოტომ რეალურად წარმოიდგინა, ყოფილმა სამხედრომ როგორ დააარსა კომპანია, დაიწყო ვაჭრობა ნაძარცვი სამხედრო ქონებით და როგორ მოატყუეს სხვა თანამონაწილეებმა.

— ტადოკორო კეთილი, მიმნდობი ადამიანია და ამიტომ იოლად გააცურეს, — უთხრა ხორიკავამ.

„კეთილი ადამიანი... — ჩაიცინა გუნებაში ნემოტომ, — კეთილი ადამიანი, რომელიც სამხედრო ქონებას იპარავდა“.

— შენ ამბობ, ტადოკორო ძველმანებს აგროვებდაო?

— დიახ, როდესაც მოატყუეს და კომპანია გაკოტრდა, მეძველმანე გახდა, შემდეგ დაავადმყოფდა. ბავშვები არ ჰყავს, დახმარებას არავისგან ელის, მთლად გაღატაკდა და სულით დაეცა.

ხორიკავამ ნემოტოს შეხედა. მის მზერაში მოწიწება იგრძნობოდა. ხორიკავას, როგორც ჩანს, ბუნებრივად მიაჩნდა ის გარემოება, რომ ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა ჟანდარმთა ოფიცერმა წარმატებას მიაღწია. ახლაც გრძნობდა უწინ არსებულ თანამდებობრივ განსხვავებას და მის მიმართ არც წყენას განიცდიდა და არც შურს.

— მაპატიე, რომ მაინცდამაინც დიდი თანხა არაა. აჰა, აიღე. — ნემოტომ საფულედან ხუთი ათი ათასიენიანი კუპიური ამოიღო და ხორიკავას გადასცა.

— ბატონო კაპიტანო, — წამოიძახა თავზარდაცემულმა ხორიკავამ. — განა შეიძლება თქვენგან ამდენი ფულის აღება?

— სალაპარაკოდ არც ღირს. საჭირო არ არის იმის გახსენება,

რაც მაშინ ჩემსა და ტადოკოროს შორის მოხდა. ამჟამად ყველას, ვინც ძველ არმიაში ვმსახურობდით, ძმური მეგობრობის გრძნობა გვაერთიანებს, და გვერდზე ვერ გავდგები, როდესაც ჩვენი მეგობარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. და იცი, ხორიკავა, ჩემზე განსაკუთრებით იმოქმედა იმ მხურვალე თანაგრძნობამ, რომელსაც შენ ამ კაცის ბედისადმი იჩენ.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ. — ყოფილმა უნტერ-ოფიცერმ ორმოცდაათი ათასი იენი აიღო და თვალებზე ცრემლი ძოაღგა. ჩანს, არ მოელოდა, ნემოტო თუ ამდენ ფულს გაიღებდა. — დაუყოვნებლივ გადავცემ ფულს და მოგახსენებთ ამის შესახებ.

— სპეციალურად მოხსენება საჭირო არ არის. ისე, ჩემი მდგომარეობის მიხედვით, დახმარების საშუალება მაქვს. ესაა და ეს.

ნემოტოს თითქოსდა უცნაურად ეჩვენა. რომ ხორიკავა არ დაინტერესდა იდოხარასთან მისი ურთიერთდამოკიდებულებით. ხომ იცოდა, თავის დროზე რისთვის ჰყავდათ დაკითხვაზე ჟანდარმერიაში იდოხარა, მიუხედავად ამისა, არ გაოცებულა, ამჟამად ნემოტო მის კომპანიაში რომ მსახურობდა. იქნებ, თავისი გულუბრყვილობის გამო ხორიკავას სულაც არ მოეჩვენა უცნაურად ის გარემოება, რომ იდოხარა, რომელსაც სულ სხვა მხრიდან იცნობდა, დღეს კომპანია „ორიენტის" პრეზიდენტის პოსტზე აღმოჩნდა. ცოტა ხნის წინ ნემოტო ყოფილ უნტერ-ოფიცერს რომ შეხვდა, მან უთხრა, იდოხარა ქალთან ერთად ვნახეო. მაშინ, ეტყობა, ჯერ კიდევ არ იცოდა იდოხარას დღევანდელი მდგომარეობა. მაგრამ ახლა, ნემოტოსთან შეხვედრის შემდეგ, ალბათ, მოასწრო იმის გარკვევა, რომ იდოხარა „ორიენტის" პრეზიდენტია. მიუხედავად ამისა, საუბრის დროს არც კი ახსენებია მისი სახელი. ეტყობა, იაპონიის დამარცხების შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები ხორიკავას გონებისათვის მიუწვდომელი შეიქნა და იმის მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ მისთვის თავსმოხვეული საზოგადოება ისე მიეღო, როგორც იყო. განა ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ და არც სურთ აქტიურად აზროვნება?

— ხორიკავა, ტადოკოროსთან რომ შეიკრიბე, მისგან ერთი ამბავი გამიგე. — შეწყვიტა ნემოტომ ფიქრი.

— ბატონო კაპიტანო, რასაც მიბრძანებთ, ყველაფერს გავაკეთებ თქვენთვის.

— ოღონდ ნუ ეტყვი, რომ მე გთხოვე.

— მესმის.

— არის ერთი კაცი, გვარად ტეცუო ტადოკორო. საადაზღვევო საზოგადოებაში მუშაობს. გაიგე, პოლკოვნიკის ნ თესავი ხომ არ არის. თუ არის, დადის მოხუცთან თუ არა? რა კაცია და რა ცხოვრებას ეწევა?

— შესრულებული იქნება. — ხორიკავა მხედრულად გაიჭიმა, შემდეგ ბლოკნოტი ამოიღო და გვარი ჩაიწერა.

— როდის აპირებ პოლკოვნიკთან მისვლას?

— თანხა დიდია და არ მინდა დიდხანს გავიჩერო. სჯობს ახლავე მიეუტანო — მე ხომ საღამოს სამორიგეოდ უნდა წავიდე.

— მაშასადამე, პასუხი ამ საღამოს მეცოდინება?

— უფრო ადრეც. შემიძლია სამი საათის შემდეგ მოგახსენოთ... თქვენთან მოვიდე, თუ ტელეფონით დაგირეკოთ?

— უმჯობესია ტელეფონით დამირეკო.

იმავე დღეს ხორიკავამ აცნობა:

— ტადოკორო ძალიან გახარებულია და არ იცის, როგორ გადაგიხადოთ მადლობა. რაც შეეხება ბატონ ტეცუოს, ის პოლკოვნიკს ძმისწულად ეკუთვნის.

ტაეკო ალაგმვას უპირებს იდუხარას ცოლს

ტაეკო კაფეში შეხვდა ტეცუოს. როცა ტეცუომ უამბო რეპორტიორთან შეხვედრის თაობაზე, ტაეკომ უთხრა:

— მაშასადამე, მორიტამ გარკვევით არაფერი გითხრათ იამანესა და ხაცუკოს შესახებ?

— არა. მაგრამ ამავე დროს არც კატეგორიულად უარყო, რომ ისინი ჰონკონგში ხვდებოდნენ ერთმანეთს. — ტეცუო სევდიანად შეჰყურებდა ტაეკოს. ბოლო დროს ტაეკოს ეშინოდა და შინ აღარ ეპატიჟებოდა.

— მორიტა, ალბათ, ფრთხილობს: მან ხომ ახლახან გაგიცნოთ. — უთხრა ტაეკომ, მაგრამ მაინც ჩაებღაუჭა იმ გარემოებას, რომ რეპორტიორი არ უარყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ იამანესა და ხაცუკოს შორის რაღაც ურთიერთობა არსებობდა.

— ეს კარგ როგორ შევატყობინო ყოველივე ეს იდუხარას? — ფიქრობდა ტაეკო. — იქნებ დამშვიდდეს, რომ ვუთხრა, ხაცუკოს და

იამანეს შორის არაფერი არ არის-მეთქი, მაგრამ ეს არადამაჯერებლად მოეჩვენება". ამავე დროს ტაეკოს გამბედაობა არ ჰყოფნიდა იდოხარასათვის ეთქვა, ჩემი ვარაუდით, მათ შორის რაღაც არისო: სჯობს ყველაფერი ისე აუხსნას, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და ამავე დროს მიახვედროს, რომ იამანე და ხაცუკო ერთმანეთს ხვდებოდნენ.

იმის შიშით, შეხვედრისას ზედმეტი არაფერი წამომცდესო, ტაეკომ გადაწყვიტა, იდოხარასათვის ტელეფონით დაერეკა, უნდოდა ხაცუკოსათვის გადაეკრა სიტყვა, ყველაფერი ვიცი, მაგრამ იდოხარასათვის სიმართლე არ მითქვამსო.

ტაეკომ კანტორაში დაურეკა იდოხარას და უთხრა:

— როგორც გავარკვიე, იამანე ჰონკონგში უმწიკვლოდ იქცეოდა. — ქალი უკვე მიხვდა, რომ სინამდვილეში იდოხარას მარტო იამანე კი არ აინტერესებდა, არამედ მისი თავის ცოლთან კავშირი, ამიტომ ტაეკოს მტკიცება, თითქოს იამანე უმწიკვლოდ იქცეოდა, იდოხარას ფორმალურად გაუქარვებდა ეჭვს ხაცუკოსთან კავშირში. საქმე ის იყო, დაიჭერდა თუ არა იდოხარა სიტყვა „უმწიკვლოსა" და ოფიციალურ ტონში, როგორითაც ეს იქნებოდა ნათქვამი, რაიმე სხვა ნიუანსს, რასაც საწინააღმდეგო აზრი ექნებოდა.

— ვინ გაცნობა ეს ამბავი? — შეეკითხა იდოხარა.

— კურატასაგან გავიგე.

— თვითონ გითხრა?

— საერთოდ კი, მაგრამ მირჩია დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმემართა სპორტულ რეპორტიორ მორიტასათვის. ის და იამანე ხომ ერთდროულად იმყოფებოდნენ ჰონკონგში და მისგან ინტერვიუს აღებას ცდილობდა. მაშინ მე...

— ამ ამბის თაობაზე მორიტას შეეკითხე?

— დიახ, — დაბნეულად უპასუხა ტაეკომ, რადგან მიხვდა, რომ იდოხარას ატყუებდა. მისი მხრიდან გაცილებით პატიოსანი საქციელი იქნებოდა ეთქვა, ჩემ მაგიერად მორიტასთან ტეცუო გავგზავნეო, მაგრამ არ უნდოდა იდოხარას ტეცუოს არსებობა გაეგო და, გარდა ამისა, მას, ალბათ, ეჭვი შეეპარებოდა ინფორმაციის უტყუარობაში, თუ ტაეკო აღიარებდა, რომ ცნობები მესამე პირისაგან მიიღო. აი, რატომ ვერ გაბედა შეცდომის მაშინვე გასწორება და სიმართლის თქმა.

— გმადლობთ, — უპასუხა იდოხარამ და ყურმილი დადო.

ტაეკო სახტად დარჩა. გააოცა იმ გარემოებამ, რომ იდოხარამ მეტი აღარაფერი ჰკითხა. ეტყობა, თათბირი აქვს, ოთახში მარტო არაა და ხალხის თანდასწრებით ამაზე დაწერილებით ლაპარაკი ეუხერხულება. მაშასადამე, როგორც ამას წინათ, კანტორაში მიმავალი გზად მასთან შემოივლის და სთხოვს, ყველაფერი უამბოს. მაგრამ, მიუხედავად ტაეკოს ვარაუდისა, იდოხარა არც მეორე და არც მესამე დღეს არ გამოჩენილა, რამაც მისი უკმაყოფილება გამოიწვია. ამავე დროს ტაეკომ ჩათვალა, რომ ეს ცუდის მომასწავებელი როდი იყო. მთავარი ის გახლდათ, რომ შეძლო ხაცუკოსათვის აეცილებინა გამჟღავნების საშიშროება, რომელიც მას ემუქრებოდა, და ეს დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინა მისთვის.

მეორე დღეს დილიდანვე დაურეკა ხაცუკოს და ჰკითხა, მასთან მისვლა თუ შეიძლებოდა.

— მოდი, გამიხარდება. — როგორც ჩანს, ხაცუკო მოწყენილი იყო. ბოლო დროს ახალ სამშენებლო კომპანიასთან დაკავშირებული საქმეების გამო ქმარი ყოველ საღამოს გვიან მოდიოდა, ზოგჯერ კი საერთოდ ტოკიოდან რამდენიმე დღით მიდიოდა ხოლმე. ამ მგზავრობაში ხშირად რიოსაბუროც თან ახლდა. ქალებს ნაკლებად აინტერესებდათ იმ სამუშაოს არსი, რითაც მათი ქმრები იყვნენ დაკავებულნი, — ოღონდ პირადი ცხოვრება ჰქონოდათ მშვიდი. ერთადერთი, რაც შეითვისეს: ყოველთვის, როდესაც ქმრები ახალ საქმეს იწყებდნენ, მათი ქონება იზრდებოდა და სახლში მეტი ფული შემოდიოდა.

ხაცუკომ სტუმრად მისული ტაეკო თავის მდიდრულად გაწყობილ ოთახში გაიყვანა და საეარძელში ჩასვა.

— შენი ქმარი ბოლო დროს, ალბათ, გვიან მოდის სახლში, არა? — ჰკითხა მან.

— ყოველ საღამოს თორმეტი საათის შემდეგ. შენი?

ხაცუკომ არ უპასუხა, ტელევიზორის ეკრანს შეჰყურებდა. ახალ ამბებს გადმოსცემდნენ, მაგრამ ის ვერაფერს ხედავდა. გრძელი წამწამები უთრთოდა, მზერაში კი გამოსჭვიოდა რაღაც იდუმალი, რომელმაც მაშინვე მოაგონა ტაეკოს იდოხარას ცოლის მოულოდნელი სტუმრობა და ქმრის პიჟამაში გამოწყობილ ტეცუოსთან მისი შესვედრა.

„დამაცადე, — ფიქრობდა ტაეკო, — რა დღეს დაგაყრი!“

ტელევიზორით სპორტული ახალი ამბების გადმოცემა დაიწყეს და ტაეკო შეტევაზე გადავიდა.

— რა საწყენია! წვიმის გამო დღევანდელი მატჩი გადადეს. — ტაეკომ იცოდა, რომ საღამოს „კონდორსს“ უნდა ეთამაშა.

ამ ფრაზით ტაეკომ სიტყვა გადაუკრა, ჩემთვის ზოგი რამ ცნობილია შენსა და იამანეს ურთიერთობაზეო.

— ჰო, ისეთი ამინდია! — მშვიდად წარმოთქვა ხაცუკომ, ხმაც კი არ აკანკალებია. მაგრამ ტაეკოს მოეჩვენა, თითქოს მის თვალებში შიშმა გაიელვა. და, თითქოს ამის დასადასტურებლად, ხაცუკომ ტელევიზორი სხვა პროგრამაზე გადართო და მოდურ სიმღერას ისმენდა, თუმცა ტაეკომ დანამდვილებით იცოდა, რომ ესტრადას ვერ იტანდა და კლასიკური მუსიკა ერჩივნა.

— ტაეკო, მოდი ერთად რაიმე გემრიელი მოვამზადოთ,—შესთავაზა ხაცუკომ. წამიერი შიშის კვალიც აღარ ემჩნეოდა.

— იქნებ სადმე წავიდეთ?

— ასეთ წვიმაში?

— სახლში ჯდომა მოსაწყენია. გართობა მინდა. მოდი, რესტორანში წავიდეთ და იქ ვისადილოთ.

ორი საათის შემდეგ ისინი მანქანაში ჩასხდნენ და გინზაზე წავიდნენ. ხაცუკოს მორთვას კარგა ხანი დასჭირდა. ის მეტისმეტად ახირებულად ეკიდებოდა თავის ტუალეტს და, სახლიდან უბრალოდ რომ გადიოდა, მაშინაც კი დიდხანს და საგულდაგულოდ ემზადებოდა. სხვაგვარად თავს უხერხულად გრძნობდა. ახლაც. უპირველეს ყოვლისა, აბაზანა მიიღო, დიდხანს იჯდა სარკის წინ, სახეზე ისვამდა კოსმეტიკას და, სანამ შესაფერის ჩაცმულობას შეირჩევდა, არაერთი კაბა გაისინჯა.

ტაეკო მანქანაში იჯდა და ფიქრობდა. როდის წამოიწყო საუბარი, რისთვისაც იდოხარას ცოლს შეხვდა. მგონი, ყველაფერს ჯობდა, საუბარი დაეწყო პირდაპირ მანქანაში, სადაც ისეთი ატმოსფერო სუფევდა, რომ თავისუფლად შეიძლებოდა ნებისმიერ სერიოზულ თემაზე საუბარი. მართალია, მძღოლი მოისმენდა, მაგრამ შეიძლებოდა საუბარი ისე წარემართა, რომ მძღოლს ვერაფერი გაეგო.

— იცი, — წამოიწყო მან და ალმაცერად გახედა ხაცუკოს ლამაზ პროფილს, — როდესაც ტელევიზორით სპორტულ ახალ ამბებს

გადმოსცემდნენ, შენი ქმრის ერთი თხოვნა გაგახსენდა: მთხოვა, ზოგი რამ გამერკვია ბეისბოლისტ იამანეს შესახებ

მინის მილმა, ფარების შუქზე, წვიმის ირიბად [illegible] ... [illegible]ემა გაიელვა. ხაცუკოს სახეზე გამუდმებით ან ჩრდილები ან ფაციების ანარეკლი გადაურბენდა ხოლმე და ტაეკოსათვის ძნელი იყო იმის დაჭერა, შეეცვალა თუ არა გამომეტყველება.

— ჰო? მაინც, რა აინტერესებდა? — ეროხანს შეყოვნდა და მერე გულგრილად იკითხა ხაცუკომ.

— ყველაფერი. მის ნაცნობ მენეჯერს იამანეს გადაბირება გადაუწყვეტია თავის პროფესიულ გუნდში და იდოხარასათვის კითხოვია, ეგებო, როგორ იქცეოდა სპორტსმენი ჰონკონგში.

—

— უთქვამს, იამანეზე ბევრი მითქმა-მოთქმაა და, სანამ ჩემთან ავიყვანდე, დაწვრილებით უნდა შევისწავლო მისი პირადი ცხოვრება. იდოხარამ მე მომმართა თხოვნით. მეც მეტი ალარაფერი დამრჩენოდა და იამანეს ახლო ნაცნობის საშუალებით ვცადე გამეგო...— ტაეკო შეჩერდა იმის მოლოდინში, თუ რა რეაქციას გამოიწვევდა მისი სიტყვები.

ხაცუკო არც განძრეულა, თითქოს გაქვავდაო.

— როგორც გაირკვა, იამანე ჰონკონგში უმწეოდ იქცეოდა, ასეც გადავეცი იდოხარას...

— გასაგებია, — დაბნეულად წარმოთქვა ხაცუკომ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს თავის ფიქრებში იყო გართული და ყურს არ უგდებდა ტაეკოს სიტყვებს...

ისადილეს და უკვე ბნელდებოდა, როცა ხაცუკომ აკასაკაზე ღამის კლუბში წასვლა შესთავაზა ტაეკოს. იქ, ჩვეულებრივ, უცხოელები დადიოდნენ. ნახევრად ჩაბნელებულ ბარში მაგიდას მიუხსდნენ, ტაეკომ გულდასმით შეათვალიერა ხაცუკო და დარწმუნდა, რომ მისმა ნათქვამმა მაინც იმოქმედა იდოხარას ცოლზე.

ᲛᲔᲗᲝᲠᲔ

ღამის კლუბში კანტიკუნტად იყვნენ იაპონელები. იქნებ იმიტომ, რომ უცხოელებს უყვარდათ იქ მისვლა და იაპონელები უხერხულად გრძნობდნენ თავს მათი თანდასწრებით. ეს კი ქმნიდა უცხო-

ეთის ილუზიას, თითქოს ქალები ახლა ტოკიოში კი არა, არამედ, მაგალითად, ჰონკონგში იყვნენ.

— მომიტანეთ შოტლანდიური ვისკი სოდიანი წყლით, — უთხრა ხაცუკომ მათთან მისულ ოფიციანტს.

— მე კი, ალბათ, ცოტა ბრენდის დავლევ, — თუმცა დალევა სრულიად არ უნდოდა, მაინც შეუკვეთა ტაეკომ. — ხაცუკოს თავი გულგრილად უჭირავს, — ფიქრობდა ის, თუმცა „გამოძიება“, რომლის შესახებაც სიტყვა გადაუკრა, თევზის ძვალივით გაეჩხირა ყელში. ჭკვიანი ქალი გახლდათ და ინტუიციამ მაშინვე უკარნახა, რატომ განიზრახა იდოხარამ იამანეს ჰონკონგში ყოფნის გარემოებათა გამორკვევა.

ქალებმა ჭიქები მიუჭახუნეს და ერთმანეთს შეხედეს. წამიერად ხაცუკოს თვალებში გამოკრთა იდუმალი გამომეტყველება, რომლის გამოცნობაც ტაეკოსათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა. ხაცუკოს მზერა თითქოს ამბობდა: „შენი მადლობელი ვარ იმისათვის, რომ იდოხარას იამანეს უმწიკვლო ყოფაქცევის ამბავი უთხარი, ვიმედოვნებ, არც მომავალში მიღალატებ. მე კი არასოდეს არავის ვუამბობ პიჟამიან კაცზე, შენს სახლში რომ ვნახე“.

უსიტყვო გარიგება შედგა და ტაეკომ უდიდესი შვებით გაიფიქრა, რომ ტეცუოსთან მისი რომანის ამბავს ვერავინ გაიგებდა, რომ უკვე თავი დააღწია იმ ძალაუფლებას, რომელიც იდოხარას ცოლს გააჩნდა მასზე.

„ახლა კი, — გადაწყვიტა ტაეკომ, — დროა დავშორდე ტეცუოს და, საერთოდ, ცეცხლთან თამაშს შევეშვა. სულიერი სიმშვიდე უფრო მნიშვნელოვანია“. ადრეც არარერთხელ გამოღვიძებია ღამით, ცივი ოფლი ასხამდა იმის შიშით, რომ ტეცუოსთან ურთიერთობა დაანგრევდა მის აწყობილ ცხოვრებას. ახლა, როცა მასთან დაშორება გადაწყვიტა, ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და აღარაფრის შეეშინდება. საოცრად სულელურად ეჩვენებოდა ვიღაც ყმაწვილის გულისათვის თავისი მდგომარეობის საფრთხეში ჩაგდება.

გარეთ ისევ წვიმდა.

— მოდი ვიცეკვოთ, — შესთავაზა ტაეკომ. მიღებულმა გადაწყვეტილებამ სიხარულით აღავსო იგი.

— აქ ქალების ერთმანეთთან ცეკვა არაა მიღებული.—გაოცებით შეხედა მას ხაცუკომ.

— აბა რა ვქნათ, თუ მამაკაცების თანხლებით არ მოვსულვართ?

— გაიხედე იქით, ხედავ, რამდენი მსურველია? საკმარისია თვალის ჩაკვრა და — ყველა უცხოელი სიამოვნებით იცეკვებს შენთან.

ტაეკომ თვალი მოავლო დარბაზს და, წყვილების გარდა, დაინახა რამდენიმე მარტოხელა კაცი, ისინი ბოკლებიდან ვისკის წრუპავდნენ და წამდაუწუმ მათკენ იყურებოდნენ მრავლისმთქმელად.

ამ დროს ადმინისტრატორის თანხლებით შემოვიდა ორი იაპონელი, ისინი დარბაზის მოპირდაპირე მხარეს მდგარ მაგიდასთან მიაცილეს. მათ დანახვაზე ტაეკომ გაოცებისაგან კინაღამ შეჰყვირა. კაცი მაგიდას მიუჯდა, მის გვერდით ადგილი კი დაახლოებით ოცი-ოდე წლის, საშუალო ტანის, მიმზიდველმა ქალმა დაიკავა. ტაეკო იდოხარას ცოლს მუხლზე შეეხო, მისკენ გადაიხარა და წასჩურჩულა:

— შეხედეთ, — იმ მხარეს ანიშნა, სადაც იამანე იჯდა. ხაცუკომ მოცეკვავეებს თვალი მოსწყვიტა და იქით გაიხედა, საითაც ტაეკომ მიუთითა. მის თვალებში ისეთმა აშკარა სიძულვილმა იფეთქა. რომ ტაეკო წამით შეშინდა.

— ჰო, მას ხომ დღეს თავისუფალი საღამო აქვს: ამინდის გამო „კონდორსის" გუნდი არ თამაშობს. ჩანს, აქ პირველად არის. — ჩურჩულებდა ტაეკო და თან თვალს არ აშორებდა ხაცუკოს, ინტერესებდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა იდოხარას ცოლზე იამანეს გამოჩენამ.

— ალბათ, — უთხრა ხაცუკომ და გვერდზე გაიხედა. წამწამების ბოლოები ოდნავ ერხეოდა.

— ხეტავ ვინ არის ის ქალი? — ტაეკო უტიფრად შეჰყურებდა მათ. იამანე სავარძელში გაშხლართული იჯდა. ერთ ხელში ბოკალი ეჭირა, მეორე ხელი ქალისათვის მხარზე შემოეხვია. ლამაზი და გულმოვნებით ჩაცმული ქალი გახლდათ.

— არასასიამოვნო ადამიანია, — უთხრა ტაეკომ, რა თქმა უნდა, იამანეს გულისხმობდა.

— შენ ასე ფიქრობ? — გულგრილად წაიბუტბუტა ხაცუკომ. ერთი ყლუპი ვისკი მოსვა და კვლავ მოპირდაპირე მხარეს გაიხედა.

— საინტერესოა, რა საქმიანობას ეწევა? — ტაეკო ვერაფრით ვერ დამშვიდდა. — ბარიდან გამოსული ქალიშვილის პირობაზე ძალიან კარგადაა ჩაცმული. ალბათ, მსახიობია.

ბოლო სიტყვებმა ხაცუკო დააინტერესა და უცებ გაიხედა იქით, სადაც იამანე იჯდა. ხაცუკო თავის თავზე ბრაზობდა, მაგრამ ვერაფ-

რით ჩაეგდო გული საგულეში. მართალია, ისინი კეთილად დაშორდნენ ერთმანეთს და ბოროტი გრძნობა რ ჰქონდა მისდამი, მაგრამ ახლა არ სიამოვნებდა იმის ყურება, როგორ ეხვეოდა იამანე ახალგაზრდა ქალიშვილს. არც ისე დიდი დრო იყო გასული, რაც დაშორდნენ, ხაცუკოს ჯერაც ვერ ეპოვნა მისი შემცველელი და ამიტომ თავს მოტყუებულად და ეულად გრძნობდა.

იამანესთან ერთად მოსული ქალი ახალგაზრდა, ლამაზი იყო და ამან მტკივნეულად იმოქმედა ხაცუკოს თავმოყვარეობაზე. ალბათ, ტაეკო მართალია: მსახიობია. მის სახეზე მოხერხებულად წასმული კოსმეტიკაც ადასტურებდა ამ მოსაზრებას. უცხოელები კი თვალს ვერ აშორებენ, ბრაზობდა ხაცუკო.

— შენი აზრით, მართლა მსახიობია? — ხაცუკოს ხმაში ზიზღი გამოსჭვიოდა.

— შესაძლოა. იამანე პოპულარული სპორტმსმენია და, საეჭვოა, ქუჩიდან შემოეყვანა ვინმე. ალბათ, დამწყები მსახიობია. — ტაეკო უყურებდა მოცეკვავე წყვილებს, რომელთა შორის ნელა მოძრაობდნენ იამანე და მისი პარტნიორი ქალი.

— რა სულელი ყოფილა, ამ სტატისტ ქალზე უკეთესი ვერავინ ნახა?—ტუჩები დაბრიცა ხაცუკომ. — ნეტავ მისი სახელი თუ იცის ვინმემ? გაიგე, გეთაყვა.

„ოჰო, — გუნებაში შეიცხადა ტაეკომ, — ხაცუკოსთანა თავმოყვარე ქალიც თუ დაინტერესდა ამ მსახიობის სახელით, მაშასადამე, ნამდვილად შიგ გულში მოხვდა. საინტერესოა“.

— საეჭვოა, აქ ვინმე იცნობდეს.

— ადექი და ოფიციანტს შეეკითხე. — ხაცუკომ საფულედან სუფთა ათასიენიანი კუპიური ამოიღო და ტაეკოს გადასცა. ტაეკომ ირგვლივ მიმოიხედა. ყველა ოფიციანტი დაკავებული იყო: ზოგი ვისკის დაატარებდა, ზოგიც მაგიდაზე დახრილი შეკვეთას იღებდა. ქალი იძულებული შეიქნა, მაგიდიდან ამდგარიყო და მოშორებით მდგარ ჰალსტუხიან უფროს ოფიციანტთან მისულიყო.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, „კონდორსის“ გუნდის წევრს, ბატონ იამანეს რომ ქალი ახლავს, თქვენს კლუბში მუშაობს? — შეეკითხა ტაეკო.

— არა, ისინი ერთად მოვიდნენ.

— ბატონი იამანე ხშირად არის აქ?

— ზოგჯერ მოდის ხოლმე, — უპასუხა ოფიციანტმა და დაკვირ-

ვებით შეათვალიერა ტაეკო. სურდა მიმხვდარიყო, რა ურთიერთობა ჰქონდა მას იამანესთან.

— ის ქალი, ალბათ, მსახიობია, არა?

— დიახ, ტაკაკო მიძუხოა.

— რაღაც არაფერი მსმენია მის შესახებ.

— რას ბრძანებთ? ამჟამად ძალზე პოპულარულია და ბევრ ფილმშიც იღებენ.

ნუთუ? ხომ ვერ მიკარნახებთ, როგორი იეროგლიფებით იწერება მისი გვარი? ლამაზი გვარია, — უთხრა ტაეკომ და თან უფროსი ოფიციანტის მიერ დაწერილ იეროგლიფებს ათვალიერებდა. — ჩანს, ბატონი იამანე ახლოს იცნობს. დიდი ხანია, რაც თქვენს კლუბში ერთად დადიან?

— ძნელი სათქმელია.

— ვფიქრობ, მხოლოდ ბოლო დღეებში, არა?

— დიახ. — ოფიციანტმა ეჭვის თვალით გადახედა ტაეკოს. მეტისმეტად აბეზარი მოეჩვენა.

ტაეკო მაგიდასთან დაბრუნდა, მაგრამ გზად ხაცუკოს მიცემული ხუთი ათასი იენი შეუმჩნეველად ჩაიდო ჩანთაში. მისი აზრით, ასეთი ინფორმაციის მიღება ფეხის ქირის გარეშეც თავისუფლად შეიძლებოდა. ისე, გასაოცარი იყო ძუნწი ხაცუკოსგან ასეთი უეცარი გულუხვობა.

მან ხაცუკოს უამბო ყველაფერი, რაც გაიგო, ქალალდის ნაგლეჯიც მისცა, რომელზეც მსახიობი ქალის გვარი იყო დაჩხაპნილი. ქალი ნათურისკენ დაიხარა, გვარი წაიკითხა და ვიოლმც არაფერიაო, ჩანთაში ჩაიდო.

— წავიდეთ. — ხაცუკო მაგიდიდან წამოდგა და ისე წავიდა გასასვლელისაკენ, რომ არავისთვის არ შეუხედავს.

მანქანაში ხაცუკო დუმდა, ცდილობდა დაემალა თავისი ცუდი განწყობა. მაგრამ ტაეკოსთვის უკვე ყველაფერი ნათელი შეიქნა და, თუმცა სისულელეებზე ყბედობდა, გუნებაში ეცინებოდა.

ხაცუკო ყურს არ უგდებდა მის ყბედობას, მხოლოდ კვერს უკრავდა და მანქანის მინაზე ჩამოსულ წვიმის წვეთებს შეჰყურებდა. ტაეკოს სახლთან რომ მივიდნენ, ხაცუკო ორი სიტყვით გამოემშვიდობა და უწინდელივით სტუმრად აღარ დაუპატიჟებია. თავის მხრივ, არც ტაეკოს გადაუხდია მადლობა ერთად გატარებული საღამო-

სათვის, უსიტყვოდ დაუკრა თავი, შესასვლელისაკენ გაიქცა და მაშინვე კარს მიეფარა.

ხაცუკო სახლში რომ მივიდა, იდოხარა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. „ალბათ, კვლავ თავისი ახალი კომპანიის საქმეებითაა დაკავებული, ან იქნებ საყვარელთან წავიდა", — გაიფიქრა ხაცუკომ. `მაგრამ ამჯერად გული არ სტკენია ამის გაფიქრებაზე. კვლავ იამანესა და იმ ახალგაზრდა მსახიობ ქალზე ფიქრობდა.

მოულოდნელად ხაცუკო შინამოსამსახურე ქალს, აიაკოს მიუბრუნდა გადაცმაში რომ ეხმარებოდა და ჰკითხა:

— მსახიობი ტაკაკო მიძუხო თუ გაგიგონია?

— დიახ, ამჟამად ძალზე პოპულარული ახალგაზრდა მსახიობია, — უპასუხა აიაკომ და გაოცდა, მისი არისტოკრატი ქალბატონი უცებ ვიღაც მსახიობი ქალით რომ დაინტერესდა.

შინამოსამსახურის პასუხმა ხაცუკო დააღონა: ნუთუ ეს მსახიობი ქალი ისეთი ცნობილია, რომ შინამოსამსახურემაც კი იცის?

აიაკო კი იმდენად გაოცებული გახლდათ იმით, რომ მისი ქალბატონი ტაკაკო მიძუხოთი ასე მოულოდნელად დაინტერესდა, ეს ამბავი დაუყოვნებლივ უამბო თვით იდოხარას.

მოულოდნელი იდეა

იდოხარამ შინამოსამსახურის ნაამბობი მოისმინა და ჩაფიქრდა: რატომ დაინტერესდა უეცრად მისი ცოლი კინუკოთი, რომლის სასცენო სახელი ტაკაკო მიძუხო გახლდათ? მან უეჭველად რაღაც შეიტყო მსახიობთან მისი ურთიერთობის შესახებ. ეს რომ არა, რატომ გამოჰკითხავდა შინამოსამსახურეს, ვინ არის ეს მსახიობი. მაგრამ ვის უნდა შეეტყობინებინა მისთვის — ოჯახში ხომ ჯერჯერობით არავინ არაფერი იცოდა მისი ახალი გატაცების შესახებ. როგორც ჩანს, ყველაფერი ტაეკომ უთხრა. რიოსაბუროს ცოლს ბევრი მეგობარი ჰყავს. გამორიცხული არაა, რომ რომელიმე მათგანმა უამბო გავრცელებულ ხმებზე და იმანაც არ დააყოვნა და ხაცუკოს გაუზიარა.

ასე იყო თუ ისე, იდოხარა შეაშფოთა იმ გარემოებამ, რომ მისი ცოლი კინუკოთი დაინტერესდა. მაგრამ ის არ განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელნიც ჩვეულნი არიან დიდხანს გაუგებ-

რობაში ყოფნას, და უახლოეს საღამოსვე, სამსახურიდან დაბრუნებულმა ჯიქურ ჰკითხა ცოლს, რომელიც ტანისამოსის გამოცვლაში ეხმარებოდა:

— მართალია, რომ შინამოსამსახურისათვის გიკითხავს მსახიობ ტაკაკო მიძუხოს შესახებ?

— უკვე მოგახსენათ აიაკომ? — გაოცდა ხაცუკო.

— რასაკვირველია, სპეციალურად არა, ალბათ, უბრალოდ, უცნაურად მოეჩვენა მსახიობი ქალებით შენი მოულოდნელი დაინტერესება.

— რა აუტანელი გოგოა, — წამოიძახა ხაცუკომ, თან იდოხარას ტანსაცმელს ალაგებდა. — მე ხომ ისე, უბრალოდ, შეეკითხე. — ხაცუკო შეშფოთდა. მსახიობმა იმიტომ დაინტერესა, რომ იამანესთან ერთად ნახა. იდოხარამ რატომ ჰკითხა ასე უეცრად? იქნებ ვინმესგან გაიგო იამანესა და მსახიობი ქალის ურთიერთობის ამბავი და ახლა, ალბათ, ფიქრობს, რომ ხაცუკო მსახიობსა და იამანეზე ეჭვიანობს და სწორედ ამიტომ შეეკითხა მის შესახებ შინამოსამსახურეს. თუ იდოხარასთვის ცნობილია ჰონკონგში მისი იამანესთან შეხვედრის ამბები, მაშინ სავსებით შესაძლებელია, ასეც იყოს.

— ბოლო დროს ჟურნალებში ტაკაკო მიძუხოს ფოტოსურათები ვნახე. ჰოდა, აიაკოს ვკითხე, ეს რა, ახალი კინოვარსკვლავი გამოჩნდა-მეთქი? შინამოსამსახურენი ხომ მუდამ ამგვარი ამბების კურსში არიან.

— მსახიობმა ქალებმა დაგაინტერესა? ეს რაღაც ახალი ამბავია. — თქვა იდოხარამ. ხაცუკოს სახის გამომეტყველებამ დააფიქრა: არა, მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო როდი შეეკითხა მსახიობ ქალზე შინამოსამსახურეს, — გაიფიქრა მან. ყოველი შემთხვევისათვის, ცოლი უნდა გაგულისებულიყო, თუკი მისი ახალი საყვარლის ამბავი გაიგო. არადა, სახეზე ფარული შეშფოთება გამოეხატა, რასაც იდოხარა სრულებით არ მოელოდა. მისთვის ნათელი შეიქნა, რომ ხაცუკოს მსახიობი ქალი სულ სხვა მიზეზით აინტერესებდა. რა მიზეზით? ჯერჯერობით არ იცის, მაგრამ დადგება დრო და ამასაც გაიგებს.

ტაკაკო მიძუხოზე საუბარი ამით დამთავრდა, არც იდოხარასა და არც მის ცოლს ამ საკითხზე აღარ განუახლებიათ საუბარი.

ქმართან საუბრის შემდეგ ხაცუკოს ცუდად ეძინა ღამით. სულ იმას ფიქრობდა, იდოხარამ, ალბათ, ტყუილუბრალოდ არ წამოიწყო

მსახიობ ქალზე ლაპარაკი, შესაძლოა, ხვდება ჩემი და იამანეს ურთიერთობის ამბავს, თუმცა არ იცის, რომ უკვე შევწყვიტე მასთან მეგობრობაო.

მეორე დღეს ტაეკოს შეხვდა და ზოგადად უამბო ქმართან გუშინდელი საუბრის შესახებ. უცებ ტაეკოს თვალებში გაელვებული ღვარძლი დაიჭირა. ამან მაშინვე ყურადღება გაუმახვილა. არა, გადაწყვიტა მან, ტაეკოსთან არ შეიძლება ასეთი გულახდილობა, მითუმეტეს, თუ ჰონკონგში იამანესთან მისი შეხვედრების თაობაზე ეჭვი აქვს. მართალია, თავად ხაცუკოს მასთან სიტყვა არ დაუძრავს და, ამიტომ, არ უნდა ჰქონდეს ამის საფუძველი. ისეთი რამ უნდა მოიგონოს, რაც მაშინვე გააქარწყლებს ტაეკოს ეჭვებს. მაგრამ რა? მოულოდნელად საოცარმა იდეამ გაუელვა.

— მისმინე, ტაეკო, — უთხრა მან. — თუ იამანეს მართლა უყვარს ის მსახიობი ქალი, რატომ არ უნდა დავაქორწინოთ?!

ამ იდეამ ტაეკო იმდენად შეაცბუნა, რომ თვალები დააჭყიტა და ერთხანს ვერაფერი უპასუხა.

— მართლა, რატომაც არა? ჩემი აზრით, კარგი იდეაა, — თქვა ბოლოს.

მართლაც მშვენიერი აზრი გახლდათ. მისი განხორციელებით ხაცუკო ერთხელ და სამუდამოდ მოიშორებდა იდოხარას ეჭვს და ამასთან ერთად ტაეკოსაც გამოაცლიდა იმ უპირატესობას, რომელიც ხაცუკოს საიდუმლოს გაგებით მიიღო.

— აუცილებლად მოვკიდებ ხელს მათი დაქორწინების საქმეს. და თუკი იმ მსახიობსაც უყვარს იამანე, მაშინ მშვენიერი წყვილი იქნება: ორივენი ნიჭიერები არიან და დიდი პოპულარობითაც სარგებლობენ. ყველას შეშურდება მათი. იმედია, შენ დამეხმარები, ტაეკო. ჯერ იამანეს განზრახვას გავიგებ, შემდეგ ტაკაკო მიძუხოს შეეხვედები და, თუ ორივე თანახმა იქნება, იდოხარას ვთხოვ, მაჭანკლის როლი იკისროს... შესანიშნავი იდეაა, ხომ სწორია? — გაცხარებით წამოიძახა ხაცუკომ.

და კიდევ ერთი წვიმიანი დღე

იდოხარამ ხაცუკოს უთხრა, სინამიმ და მისმა მეუღლემ რესტორანში დაგვპატიჟესო. იდოხარას პირველად როდი მიჰყავდა მეუღლე ასეთ შეხვედრაზე. მას მოსწონდა, ოფიციალურ მიღებებზე

ხაცუკო რომ თან ახლდა. ასეთი მიღებებისა და ბანკეტების მონაწილეებმა იცოდნენ, ვინ იყვნენ ხაცუკოს მშობლები. უბრალო წარმოშობის ქალებისაგან განსხვავებით, სულ სხვა თვალით უყურებდნენ. ხაცუკომ სწრაფად შეითვისა ეს და შეგნებულად გამოჰქონდა ხოლმე საჩვენებლად როგორც თავისი ტუალეტი, ასევე არისტოკრატული მანერები.

რა თქმა უნდა, იდოხარა სრულ თავისუფლებას აძლევდა თავის ცოლს შესაფერი მორთულობებისა და სამკაულების შეძენის საქმეში. ადამიანები საოცარი არსებანი არიან. საკმარისია, ჩვეულებრივი ქალი მოირთოს, გაიკეთოს ძვირფასი სამკაულები, მაშინვე მეტიჩრობას დასწამებენ და ზიზღით დაუწყებენ ყურებას. ხოლო თუკი ზუსტად ასეთივე მორთულობას კეთილშობილი წარმოშობის ქალს დაუნახავენ, ჯეროვნად მიიჩნევენ და პატივისცემით ექცევიან. როგორი დემოკრატიულიც უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოება, ალბათ, ძნელი ამოსაგდები იქნება ადამიანთა შეგნებიდან კლასობრივი წარმოშობისადმი ამგვარი დამოკიდებულება.

ცოლ-ქმარი სინამები აკასაკაში, რესტორანში გვეპატიჟებიან,— უთხრა, როგორც ყოველთვის, სახლში გვიან დაბრუნებულმა იდოხარამ.

— აკასაკაში? მაშასადამე, გეიშებიც იქნებიან?

— დიახ, გირჩევ კიმონო ჩაიცვა და მაშინ ვერავინ შეგედრება. ბეჭედიც ყველაზე საუკეთესო შეარჩიე. იქნებ ის, ევროპიდან რომ ჩამოგიტანე?

— ეფიქრობ, ძალზე დიდი თვალი აქვს. ალბათ, კიმონოს მხოლოდ ორ-ნახევარ კარატიანი ბრილიანტი მოუხდება.

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მე ამ საქმეში ბევრი არაფერი გამეგება.

— ქალბატონი სინამიც კიმონოში იქნება?

— მეეჭვება. ვფიქრობ, ევროპულ კაბაში მოვა. დაბალი და მსუქანი ქალია, მაგრამ რატომღაც ევროპულ სტილს ამჯობინებს.

— ვიცე-მინისტრის ცოლი, ალბათ, მოდას აყოლილი ქალია. მე თავს უხერხულად ვიგრძნობ.

— არა მგონია. მალე მოაჯადოებს შენი დახვეწილი ქცევები.

„თუ ცოლ-ქმარი სინამები გვპატიჟებენ, მაშასადამე, იდოხარა

წარმატებით აწარმოებს მოლაპარაკებას. ჩანს, ეს შეხვედრა ახალი კომპანიის შექმნასთანაა დაკავშირებული“, — ფიქრობდა ხაცუკო. არასოდეს ჩაერეოდა ქმრის საქმეში, ოღონდ ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო და მათ ოჯახს არაფერი გაჭირვებოდა. რაც შეეხებოდა მათ ურთიერთდამოკიდებულებას, არასდროს ჰქონიათ საუკეთესო ურთიერთგანწყობა, თუმცა რაიმე კრიზისამდე საქმე არ მისულა. ხაცუკო ეჭვობდა, რომ ქმარს სხვა ქალებიც ჰყავდა, მაგრამ ამის გამო არასდროს უცდია მისი სააშკარაოზე გამოყვანა და არც განსაკუთრებულად კიცხავდა. მისთვის ხელსაყრელი გახლდათ, ქმარი რომ უზრუნველყოფდა მის დღევანდელ ყოფას — მეტს არც ითხოვდა.

სამწუხაროდ, ის საღამო, ცოლ-ქმარს სინამებთან რომ ჰქონდათ დანიშნული. წვიმიანი გამოდგა. იდოხარა და ხაცუკო აკასაკაში პირველი კლასის რესტორანთან მივიდნენ და მანქანა გაუშვეს. ვინც დაინახავდა, როგორ ზრდილობიანად გაატარა იდოხარამ მეუღლე, ყველა იტყოდა, ცოლ-ქმარს საუკეთესო დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთანო.

ცალკე კაბინეტში მათ სინამი და მისი ცოლი შეეგებნენ.

— სინამი, — წარუდგა ვიცე-მინისტრი. — მე დიდად დავალებული ვარ თქვენი ქმრისაგან. თქვენს შესახებ ხშირად მსმენია მისგან და სხვებისგანაც.

შემდეგ ცოლები წარუდგინეს ერთმანეთს. ხაცუკომ პირველივე წუთიდან ზიზღი იგრძნო სინამის ცოლისადმი. მას ძალზე ·ძვირფასი კაბა ეცვა, მაგრამ აშკარად არ უხდებოდა. ხაცუკო გაოცებული იყო, ამ დაბალ, ჩასუქებულ ქალს როგორ უნდა მოსწონებოდა ევროპული ტანსაცმელი, ყელზე სამრიგად შემოხვეული მარგალიტებიც მეტისმეტად მსხვილი ჩანდა, ხოლო უშველებელი, სულ ცოტა, სამკარატიანი ბრილიანტის ბეჭედი ამ ქალის სრულ უგემოვნებაზე მეტყველებდა. სინამის ცოლი აშკარად შეცბა, ხაცუკოს მზერას რომ წააწყდა. ხაცუკოს თამამად ეჭირა თავი. საგანგებოდ ჩაიცვა მშვიდი ფერების კიმონო, რომელიც განსაკუთრებით უხდებოდა. და ბოლო წუთებში ბეჭედიც სხვა გაიკეთა, უფრო სადა, რომელსაც ერთ-ნახევარკარატიანი ბრილიანტის თვალი ჰქონდა.

კაბინეტში გეიშები შევიდნენ და სუფრის გაწყობას შეუდგნენ, ერთი შეხედვით შეაფასეს ხაცუკოს ელეგანტურობა და სინამის ცო-

ლის უგემოვნო ფუფუნება. ხაცუკოს რომ უყურებდნენ, მათ მზერაში აღფრთოვანება იგრძნობოდა, სინამის ცოლს კი ფარული ირონიით გადახედეს. ხაცუკომ ეს შენიშნა და გუნებაში ნიშნის მოგებით ჩაიცინა. მიუხედავად ამისა, სინამის ცოლთან ერთთავად ძალდაუტანებლად ბაასობდა. მამაკაცებიც მეგობრულად საუბრობდნენ. და, საერთოდ, ეს შეხვედრა გამიზნული იყო იმისათვის, რომ იდოხარასა და სინამის ურთიერთობა განმტკიცებინათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ხაცუკომ ბოდიში მოიხადა და ტუალეტში გავიდა. დერეფანში მხიარული ყიჟინა მოისმოდა. ეტყობა, რომელიღაც კაბინეტში ბანკეტი იყო და მხოლოდ კაცების ხმა ისმოდა. ხაცუკომ გვერდზე ჩავლილ მოახლეს ჰკითხა, ვინ მხიარულობს იქ ასე ხმამაღლაო.

— „კონდორსის“ მწვრთნელი და ამ გუნდის სპორტმსმენები არიან.

„მაშასადამე, იამანეც იქ იქნება, — გაიფიქრა ხაცუკომ. — ალბათ, წვიმის გამო მატჩი გადადეს და მწვრთნელმა თავის გუნდთან ერთად გართობა გადაწყვიტა“. სხვა კაბინეტებში, როგორც ეს პირველი კლასის რესტორნებშია მიღებული, სტუმრები არ ხმაურობდნენ. სპორტსმენები კი, სტუდენტებისა არ იყოს, ფეშენებელური რესტორანი იქნებოდა, თუ სოფლის სასაუზმე, ყველგან ერთნაირად იქცეოდნენ.

ხაცუკოს იამანეს დაქორწინების იდეა გაახსენდა. უკან დაბრუნებისას დერეფანში გამოსულ კიმონოიან კაცს მიაქცია ყურადღება. ღვინისაგან აღაელაუებული ოთხკუთხა სახე ეცნო. „ჰო, რასაკვირველია, ეს „კონდორსის“ მწვრთნელი აკაიკეა — მას ხშირად უჩვენებენ ტელევიზიით“. — გაიხსენა მან.

ხაცუკომ გადაწყვიტა, სწორედ ახლა დადგა ჩემი იდეის განხორციელებისათვის ყველაზე შესაფერისი შემთხვევაო. აკაიკესთან მივიდა და თავი დაუკრა. მწვრთნელს იგი თავდაპირველად ერთ-ერთი გეიში ეგონა და გაღიმებული ხელის მოხვევას აპირებდა.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო მწვრთნელო, — უთხრა ხაცუკომ და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. — ბეისბოლის თაყვანისმცემელი და „კონდორსის“ გულშემატკივარი გახლავართ.

აკაიკე მიხვდა, რომ შეცდა, თავი დახარა და ზრდილობიანად უპასუხა:

— გმადლობთ.

— მაპატიეთ, რომ ჩემს ვინაობას ახლა ვერ გაგიმხელთ. უახლოეს დღეებში ერთ საქმეზე მინდოდა თქვენთან საუბარი, — უთხრა ხაცუკომ.

აკაიკე შეცბა. ჰქონია შემთხვევები, როდესაც ბეისბოლის თაყვანისმცემლები რესტორანში პატიჟებდნენ ხოლმე, მაგრამ ხაცუკო არ ჰგავდა ამგვარ ქალიშვილებს.

— საქმე თქვენი გუნდის ერთ-ერთი წევრის ცოლის შერთვას ეხება და მინდა, დახმარება გთხოვოთ.

— კონკრეტულად ვინ გყავთ მხედველობაში?

— ნება მიბოძეთ, ამის შესახებ ჩვენი შეხვედრის დროს გითხრათ. მგონი, ორშაბათსა და პარასკევს თქვენი გუნდი მატჩებში არ მონაწილეობს, არა?

— დიახ.

—მაშინ, თუ ნებას მომცემთ, იმ კვირაში დაგირეკავთ. — ხაცუკომ ზრდილობიანად დაუკრა თავი, საგონებელში ჩავარდნილი მწვრთნელი დერეფანში დატოვა და თავის კაბინეტში დაბრუნდა.

ქალი კმაყოფილი გახლდათ, რომ ერთბაშად დაიწყო თავისი გეგმის განხორციელება და განსაკუთრებული სიამოვნებით შეუდგა მაგიდაზე მდგარი კერძების გასინჯვას. ახლა საჭირო აკაიკესთან მოსერხებულად ჩამოაგდოს სიტყვა იამანეს ცოლის შერთვის თაობაზე. რასაკვირველია, თვითონ ვერ წამოიწყებს, უხერხულია, იამანეც არაფრის გულისათვის არ დათანხმდება ცოლის შეროვაზე. თუ მწვრთნელისაგან გაიგო, რომ ეს იდეა ხაცუკოს ეკუთვნის, ამ მიზნისათვის საჭირო კაცი უნდა მოძებნოს და შემდეგ იდოხარა აიძულოს, ოფიციალური მაჭანკლობა იკისროს. უნდა ვივარაუდოთ, რომ იდოხარა უარს არ იტყვის. პირიქით, ეამება კიდეც: იამანე ხომ პოპულარული სპორტსმენია, თავისებური „გმირია". და, საერთოდ, ბეისბოლისტების ქორწილებს მუდამ ესწრებიან ისეთი სახელოვანი სტუმრები, რომელთაც ასეთ ცერემონიებზე, თითქოსდა, ვერ შეიტყუებ. აი იდოხარაც. მიუხედავად თავისი პირქუში ხასიათისა, ზოგჯერ სიამოვნებით ესწრება ხოლმე ამგვარ დღესასწაულებს.

სადილმა ცოლ-ქმარ სინამებთან მხიარულ და უშუალო ვითარებაში ჩაიარა. შინ მანქანით დაბრუნებისას იდოხარამ კმაყოფილებით უთხრა:

— კარგია, რომ დამთანხმდი და კომპანია გამიწიე. მგონი, სინამდვილეში ძალიან მოეწონე. ამიერიდან ჩვენი ურთიერთობა კიდევ ეფერება და მტკიცდება. რაც გინდა თქვი და, ასეთი, როგორც იტყვიან, ოჯახური შეხვედრები ძალზე აახლოებს ადამიანებს.

ხაცუკო მიხვდა, რომ ქმარმა, უბრალოდ, საქმის ინტერესებისათვის გამოიყენა, მაგრამ ამის გამო უკმაყოფილება არ გამოუთქვამს.

— გეიშები კი თვალებდაჭყეტილი გიცქერდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ყურშიც კი წამჩურჩულა, ვერც კი წარმომედგინა, ასეთი ლამაზი თუ იყო თქვენი ცოლიო.

თუმც გუნებაში ეზიზღებოდა გეიშები, ამგვარი ქათინაური მაინც ესიამოვნა ხაცუკოს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ დილას, ხაცუკოსთან ტაეკომ მოირბინა. აშკარად აღელვებული ჩანდა.

— საშინელი ამბავია, საშინელი, — იმეორებდა აქოშინებული.

— რა მოხდა?

— უბრალოდ, თავზარი დამეცა.

— ბოლოს და ბოლოს, თქვი, რა მოხდა?

— როგორც თქვენ მიბრძანეთ, დავიწყე გამორკვევა, თუ რას წარმოადგენს მსახიობი ტაკაკო მიძუხო, ჰყავს თუ არ მფარველები.

— მერე?

— ვშიშობ, ელდა გეცემათ...

— აი, ეს კი მეტისმეტია!

— არა, ეს სიმართლეა! პირველად რომ ეს ამბავი გავიგე, ყურებს არ დავუჯერე, მაგრამ კაცმა, ვისაც გამორკვევა ვთხოვე, მითხრა, აქ საეჭვო არაფერიაო... მე მხოლოდ იმას გადმოგცემთ, რაც მან მითხრა... სიმართლე გითხრათ, ჯერაც არა ვარ დარწმუნებული, ღირს თუ არა თქვენთვის თქმა...

— გამბედაობა მოიკრიბე.

— გრძნობა არ დაკარგოთ იმის გაგონებაზე, რასაც ახლა გეტყვით.

— ჩემს გამო ნუ წუხხარ — როგორმე გავუძლებ. თქვი რაღა, ბოლოს და ბოლოს, გეყოფა მანჭვა-გრეხა.

— გეტყვი კიდეც: ტაკაკო მიძუხოს მფარველი... თქვენი ქმარია! წამით ხაცუკოს მოეჩვენა, რომ გრძნობას კარგავდა...

— როგორ გაიგე ეს ამბავი? — ხაცუკომ ტუჩები მოიკვნიტა.

— ოფიციალური მონაცემებისათვის საცნობარო-დეტექტიურ საგენტოს მივმართე და პასუხიც ძალიან მალე მივიღე. — ტაეკო ცდილობდა სევდიანი ხმით ელაპარაკა, მაგრამ სადღაც თვალების სიღრმეში ღვარძლი მიმალულიყო.

— ჰოდა, მერე რა გაარკვიეს?

— აი. — ტაეკომ კონვერტი გაუწოდა.

ხაცუკომ კონვერტიდან ამოიღო პაპირუსის ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც მანქანით იყო დაბეჭდილი:

„ტოკაკო მიძუხო ცხოვრობს აკასაკაში ერთოთახიან კოოპერატიულ ბინაში. ეს ბინა დაუქირავა იდოხარამ მას შემდეგ, რაც ახლო ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთთან. მეზობლების ცნობით, იდოხარა ტაკაკო მიძუხოსთან მიდის კვირაში ერთი-ორჯერ, საღამოობით. წინა დღით ჩვენმა ბიუროს დეტექტივმა დაინახა, როგორ გამოვიდნენ აღნიშნული სახლიდან და ჩასხდნენ მანქანაში“.

— ამას მე დავიტოვებ, — უთხრა ხაცუკომ.

— გინდათ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენოთ?

— არ ვიცი, გამოვიყენებ თუ არა ოდესმე, მაგრამ უმჯობესია ასეთი მტკიცება თან მქონდეს.

— მაოცებს თქვენი თავშეკავება. მეგონა, თავზარი დაგეცემოდათ, როდესაც ამ ინფორმაციას წაიკითხავდით.

— ნუთუ? — ხაცუკომ ცივად გაიღიმა, ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ეს მის გულს სრულიადაც არ მიჰკარებია.—საერთოდ კი, ტაეკო, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ადამიანები რაღაც უხილავი ძაფებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. აი ახლაც: ქალი, ვისზედაც იამანე უნდა დაგვექორწინებინა, თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი ქმრის საყვარელი ყოფილა. ჰოდა, აგრე იყოს — ახლა მითუმეტეს შევეცდები მათ დაქორწინებას.

— და თქვენ, ასეთ მდგომარეობაში, ქმარს სთხოვთ, მაჭანკლობა იკისროს?

— ვითომ რატომ არა? ეს საინტერესოცაა.

— წარმომიდგენია, როგორ მიიღებს თქვენს თხოვნას.

— ვფიქრობ, მშვიდად. ჯერაც ვერ მიემხვდარვარ, გულში რა აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, დათანხმდება. თავი დავანებოთ ამას.

უმჯობესია, მითხრა: ალბათ ბინა კოოპერატიულ სახლში ძვირია, არა?

— თქვენ ქმარს ბინა ხომ არ უყიდია, მხოლოდ დაიქირავა, თუმცა არც ეს ღირს იაფი: დაახლოებით ასი ათასი თვეში. და კიდევ, თუ ბესა და არენდის დამატებით საფასურსაც დავუმატებთ, საერთო თანხა, მგონი, მილიონ იენს შეადგენს.

— ნუთუ? ძვირი კი უჯდება ეს ქალი.

— ალბათ, თქვენს ქმარს დიდი ხარჯი აქვს — ტაკაკო მიძუხო ხომ ჯერჯერობით კინოვარსკვლავი არაა, ხოლო მსახიობს არც ისე დიდი შემოსავალი აქვს, რომ ყველა მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

— თავის ასაკთან შედარებით, მეტისმეტად ეშმაკია ეგ მსახიობი,—ღვარძლიანად წაიბუტბუტა ხაცუკომ.—ერთს ფულს სცინცლავს, მეორესთან კი ერთობა.

— გასაკვირი არაფერია! ახლა ბევრი მსახიობი და ბარის ქალიშვილი იქცევა ასე. ფულს მფარველისაგან იღებენ, საყვარელთან კი დროს ატარებენ.

— მით უფრო ვეცდები, ქორწილის თაობაზე მოლაპარაკება დავაჩქარო, — მტკიცედ თქვა ხაცუკომ.

— ჩემი აზრით, შშვენიერი იდეაა, — მხარი აუბა ტაეკომ. — საოცრად ჭკვიანი ქალი ბრძანდებით. თუ ქორწილის ამბავი გამოვა, იამანე და ის მსახიობი ქალი კმაყოფილები იქნებიან, თქვენი ქმარი კი ტაკაკო მიძუხოს ჩამოსცილდება.

„თქვენ კი ამით საბედამოდ ჩააწყვეტინებთ ხმას იამანეს და მისი შიში აღარ გექნებათ“, — გუნებაში დაუმატა მან.

ხაცუკოს გაახსენდა „კონდორსის“ მწვრთნელ აკაიკესთან ახლახან შეხვედრის ამბავი და გაიფიქრა, არც ეს შეხვედრა იყო შემთხვევითი. ისინი კვლავ რაღაც უხილავმა ძაფმა შეახვედრა ერთმანეთს. მაშინ არ გაუმხილა თავისი ვინაობა, რადგან ესმოდა, რომ ხელს არ აძლევდა შეხვედრა იმ მწვრთნელთან, რომელიც აუცილებლად ეტყოდა იამანეს მის სახელს, არადა, საეჭვოა, იამანე დათანხმებულიყო მისი ქორწინების საქმეში ხაცუკოს მონაწილეობაზე. მოგვიანებით, როდესაც საქმე გაიჩარხება და უკან დასახევი გზა მოჭრილი ექნება, იამანე ვერ გაბედავს უარი თქვას ამ საქმეში მის მონაწილეობაზე. მაგრამ ჯერ ტაკაკო მიძუხოს უნდა მივხედო, გადაწყვიტა ხაცუკომ. ტაეკომაც მხარი აუბა და აზრი მიაწოდა, მოლაპარაკება კურატასათვის დაეკალებინა.

— ქალბატონი კურატა იცნობს იამანეს... — ტაეკომ ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეთქვა: „არც თქვენი ურთიერთობა წარმოადგენს მისთვის საიდუმლოს“. — მისთვის უფრო იოლი იქნება იამანესა და ტაკაკოს განზრახვათა გარკვევა, რათა საქმე წარმატებით დაგვირგვინდეს.

იდოხარას ცოლმა კურატა გამოიძახა და ისიც ორი საათის შემდეგ უკვე მასთან იჯდა. ჩქარი სიარულისაგან აქოშინებული, დიასახლისს ეკითხებოდა, რისთვის დაგჭირდით ასე სასწრაფოდო.

— თქვენი რჩევა და დახმარება მჭირდება ერთი დელიკატური საკითხის გამო, — უთხრა ხაცუკომ, თან მაგიდაზე სასმელ-საჭმელს აწყობდა. მან იცოდა, რომ, მიუხედავად სიმსუქნისა, გემრიელ საჭმელზე კურატა არასდროს ამბობდა უარს.

— ისევ მოგზაურობა გველის? — კურატამ შიშით გადახედა ხაცუკოს, თან გაიფიქრა, ალბათ, კვლავ აპირებს კომპანიონის როლი მომახვიოს თავზე თავისი ალიბის უზრუნველსაყოფადო.

— ამჯერად არც მიფიქრია თქვენი კამუფლაჟად გამოყენება, მაგრამ საქმე ისევ იამანეს ეხება.

— განა საბოლოოდ არ გაწყვიტეთ მასთან ურთიერთობა? — კურატამ იფიქრა, ალბათ ხაცუკო ჩემი საშუალებით აპირებს იამანესთან ურთიერთობის მოწესრიგებასო.

— თქვენ მუდამ ჩქარობთ დასკვნების გამოტანას, — საყვედურით უთხრა ხაცუკომ და დაწვრილებით გაანდო თავისი გეგმა. კურატა გულისყურით უსმენდა, თუმცა არც ჭამას ივიწყებდა, და დროდადრო თავს უქნევდა.

— აბა, როგორ მოგეწონათ ჩემი იდეა? — შეეკითხა ბოლოს ხაცუკო.

— ჩემი აზრით, ბრწყინვალეა! — წამოიძახა კურატამ და საჭმლის ჩხირები გვერდზე გადადო. — შესანიშნავად მოგიფიქრებიათ დაქორწინების ამბავი. როდესაც ის განხორციელდება, ყველა პრობლემა ერთბაშად გადაწყდება... თუ, რასაკვირველია, თქვენ საკუთარი გულგრილი გახდებით იამანესადმი...

— ამჟამად სრულიად გულგრილი ვარ მის მიმართ. ამიტომაც მოვიფიქრე ასეთი გეგმა. ახლა უმცროს ძმასავით ვუყურებ და მსოლოდ მისი ბედნიერება მსურს.

— მაშასადამე, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ როგორ შეხედავს ყოველივე ამას თქვენი ქმარი?

— თუკი მისი მსახიობი სატრფო გათხოვებას გადაწყვეტს, საეჭვო, წინააღმდეგობის გაწევა გაბედოს. პირიქით, ვფიქრობ, საკადრისი ქორწილის მომზადებაში დაეხმარება.

— ეს, რა თქმა უნდა, ლოგიკურია.

— მაგრამ იმისათვის, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდეს, თქვენ იამანეს უნდა მოელაპარაკოთ და დაიყოლიოთ ტაკაკო მიძუხიზე დაქორწინდეს. ვფიქრობ, ეს ძნელი საქმე არ იქნება, ვინაიდან მას ქალი მოსწონს. — საერთოდაც, ახლა სპორტსმენები ხშირად ქორწინდებიან მსახიობებზე.

— კარგი. შეეცდები იამანეს შეეხვდე, — უთხრა კურატამ

— ოღონდ, გეთაყვა, ნუ ეტყვით, რომ ჩემი სახელით მოქმედებთ. დაე, იფიქროს, თითქოს თქვენ მოგივიდათ ასეთი იდეა.

— მაგრამ იამანეს უცნაურად მოეჩვენება, რატომ მაინცდამაინც მე დავინტერესდი მისი დაქორწინებით. ალბ თ. მაშინვე მიხვდება, რომ ჩემს უკან თქვენ დგახართ.

— ეს მისი საქმეა. ჩემთვის მნიშვნელოვანია ყველაფერი თქვენგან მოდიოდეს. მაგრამ რომც მიხვდეს, ალბათ, არც მაშინ გასწევს წინააღმდეგობას. ეამება კიდეც მის თავმოყვარეობას, თუ ეტყვი, მაჭანკლები ღირსეული ადამიანები იქნებიან-თქო.

— უდავოდ, იდოხარა ხომ ძალზე გაელენიანი მეწარმე გახდა.

— და კიდევ, გთხოვთ, ახალგაზრდა მსახიობსაც მოელაპარაკოთ. ვფიქრობ, ორივე დავალებას მშვენივრად გაართმევთ თავს.

— დიახ, რთული მისია დამაკისრეთ. გავართმევ კი თავს? — გაინგებ ამოიოხრა კურატამ... და დაასლოკინა.

მუამავლობა

კურატა ოტელის ვესტიბიულში შეხვდა იამანეს. მას ასალი კოსტიუმი ეცვა და მშვენივრად გამოიყურებოდა. ჰონკონგის შემდეგ ერთმანეთი არ ენახათ და ამიტომ საუბარი ჯერ მოგზაურობაზე ჩამოვარდა. ორივე საგანგებოდ ერიდებოდა ხაცუკო იდოხარას ხსენებას.

— ყური მოვკარი, თითქოს უკანასკნელი მატჩის დროს დაშავებულხართ, — უთხრა კურატამ.

— საშიში არაფერია. სამაგიეროდ, რამდენიმე დღით გამათავისუფლეს.

— ეს კარგია, მაგრამ საერთოდ საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღება უნდა მიაქციოთ.

— მართალი ბრძანდებით. ჯანმრთელობა ჩემი კაპიტალია.

— სხვა საქმისთვისაც აუცილებელია ჯანმრთელობა.

— რა გაქვთ მხედველობაში?—იამანე ჯერჯერობით ვერ ხვდებოდა, რა მიზნით სთხოვა შეხვედრა კურატამ. თავიდან იფიქრა, ხაცუკოს გამოგზავნილია, ძველი ურთიერთობის განახლება სურსო. ალბათ, ხაცუკოს ჯერ კიდევ ვუყვარვარ, — ფიქრობდა ის. და თუ ეს ასეა, რატომაც არ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ხელახლა: ის ხომ მუდამ აძლევდა ცოტაოდენ სახარჯო ფულს, ჩუქნიდა ტანსაცმელს. ამ მხრივ ხაცუკო განსხვავდებოდა სხვა ქალებისაგან, რომელთაც თვითონ ახარჯებდა ფულს.

— ბატონო იამანე, ცოლის შერთვა ხომ არ გიფიქრიათ? — კურატა შეუდგა მთავარი მიზნის განხორციელებას, რისი გულისთვისაც შეხვდა იამანეს.

— ცოლის შერთვა? მერედა, ვინ? — სპორტსმენი ჯერ კიდევ სცდებოდა: გადაწყვიტა, კურატას ხაცუკო ჰყავს მხედველობაში, ალბათ, ვერ შეძლო ჩემი დავიწყება და იდოხარასთან განქორწინება განუზრახავს, რათა მე გამომყვეს ცოლადო.

— განა თქვენ ურთიერთობა ტაკაკო მიძუხოსთან საკმაოდ შორს არ არის წასული?

— ვინ გითხრათ ეს ამბავი? — იამანე გაოცებით მიაშტერდა კურატას. „რადგან ხმამ კურატამდე მიაღწია, მაშასადამე, ეს ამბავი არა ერთმა და ორმა კაცმა იცის“, — გაიფიქრა მან.

— არავის არ უთქვამს, მაგრამ ზოგიერთმა იცის, რომ ტაკაკო გიყვართ.

— საოცარია, რა სწრაფად ერცელდება ხმა.

— ჯერჯერობით ვიწრო წრისთვისაა ცნობილი.

— მაგრამ თუკი თქვენამდე მოაღწია, მაშასადამე, ჩვენი ურთიერთობა ბევრისთვის გახდა ცნობილი.

— დამშვიდდით, საშიში არაფერია, მაგრამ თუ ასევე გააგრძელებთ, მაშინ ამას სკანდალური ქრონიკის რეპორტიორები გაიგებენ და უსიამოვნებებს ვერსად გაექცევით. თქვენ ხომ ორივენი პოპულარობით სარგებლობთ, თქვენს საქციელს ათასი ვინმე ადევნებს

თვალს. თუ მომავალ კარიერაზე ფიქრობთ, უფრო წინდახედული უნდა გახდეთ.

— გმადლობთ გაფრთხილებისათვის. — იამანემ ეკვით შეხედა კურატას. ამ ქალთან სიფრთხილეა საჭირო: მის უკან მუდამ ბუნდოვნად მოჩანს ხაცუკო იდოხარას ფიგურა, გამორიცხული არაა, რომ მან ყური მოკრა მითქმა-მოთქმას ტაკაკო მიძუხოსთან მისი ურთიერთობის შესახებ და დაზვერვაზე კურატა გამოგზავნა.

— ნება მიბოძეთ, მაინც გკითხოთ: განზრახული გაქვთ ტაკაკო მიძუხოზე დაქორწინება?

სანამ პასუხს გასცემდა, იამანემ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

— ვინმემ გთხოვათ ამის გაგება? — იამანემ პირიდან ბოლის გრძელი ჭავლი გამოუშვა.

— დიახ, მთხოვა, მაგრამ იმ ადამიანმა არა, ვისზეც ეკვობთ, ხაცუკოს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ საქმესთან, — უპასუხა კურატამ. — მე ნაცნობთა დიდი წრე მყავს. ბევრი გამოჩენილი ადამიანი შემოდის ჩემს სალონში. ერთ-ერთი მათგანი — გავლენიანი ფინანსისტი — დაინტერესდა თქვენი მომავლით. ნება მიბოძეთ, ჯერჯერობით ვინაობა არ გაგიმხილოთ. მხოლოდ გეტყვით, რომ თქვენი დიდი თაყვანისმცემელია.

— ნეტავ ვინ შეიძლება იყოს? — ჩაფიქრებულმა იამანემ ჭერს ახედა.

— ის ახლოს იცნობს თქვენი გუნდის მენეჯერს და სურვილი გამოთქვა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ქორწინებაში დაგეხმაროთ. მთხოვა, მანამ არ გითხრათ მისი სახელი, ვიდრე თქვენ და ტაკაკო მიძუხო ქორწინებაზე არ შეთანხმდებით. ხოლო როდესაც თანხმობას განაცხადებთ, სიამოვნებით იკისრებს მაჭანკლის როლს.

— ცოტა მოითმინეთ! — იამანე, ეტყობა, დაიბნა, მაგრამ მასზე აშკარად იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ მისი ბედ-იღბლით დაინტერესდა მსხვილი ფინანსისტი და თანაც მისი გუნდის მენეჯერის ნაცნობი.

— ალბათ, გაოცებული ხართ, რომ თქვენთან მოლაპარაკება მე დამავალეს. რასაკვირველია, ამგვარი პატივის ღირსი არა ვარ, მაგრამ ეს კაცი ჩემი სალონის ხშირი სტუმარია, დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და როგორღაც წამომცდა, რომ კარგად გიცნობთ. ჰოდა, მთხოვა, შეგხვედროდით და თქვენი განზრახვა გამეგო. ერთი სი-

ტყვით, მე მხოლოდ შუამავლის როლი მაკისრია და როგორც კი თანხმობას მივიღებ, ის ბატონი თვითონ მიხედავს თქვენი დაქორწინების საქმეს. ამასთან, მერწმუნეთ, რომ ხაცუკო ვერაფერს გაიგებს ამ საუბრის შესახებ.

იამანეს ჩაეცინა, მაგრამ კურატას ბოლო სიტყვებმა, ეტყობა, დაარწმუნა, რომ ხაცუკოს ამ საქმესთან კავშირი არ ჰქონდა.

— მისმინეთ, იამანე, თქვენ მართლა საბოლოოდ დაშორდით ხაცუკოს? — შეცვალა საუბრის თემა კურატამ.

— დიახ. ხომ არ შეიძლება მუდამ იმ მდგომარეობაში ყოფნა, როდესაც არ იცი, რა გელის ხვალ.

— იგივე მითხრა ხაცუკომაც.

— მაინც რა?

— იმიტომ დაგშორდათ, რომ თქვენი მომავალი არ გაეფუჭებინა. მეც ვეთანხმები მას. ჯერ ერთი, მას ქმარი ჰყავს, გარდა ამისა, თქვენზე გაცილებით უფროსია, ამიტომ უმჯობესად ჩათვალა, სანამ რაიმე მოხდებოდა, შეეწყვიტა შეხვედრები. დამიჯერეთ, სრულებით არ ეზიზღებით. უბრალოდ, თქვენი გულისათვის და საკუთრი კეთილდღეობისათვის მოიქცა ასე. მაგრამ კმარა ამაზე საუბარი. მაინც რა პასუხით გამისტუმრებთ? სიმართლე გითხრათ, დრო არ მყოფნის ფილმების სანახავად, რომლებშიც ტაკაკო მიძუხოა გადაღებული, მაგრამ ბევრი ჩემი მეგობარი აღფრთოვანებულია მისი ნიჭით.

— დიახ, კარგი მსახიობია, — გაუბედავად დაუდასტურა იამანემ.

— როგორ ფიქრობთ, თქვენ უყვარხართ?

— მგონი კი.

— მაშასადამე, დაგთანხმდებათ ცოლობაზე?

— ყველაფერი ასე იოლი როდია, — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა იამანემ.

— თქვენ მხედველობაში გაქვთ, რომ გაიხოვება ხელს შეუშლის სამსახიობო კარიერაში?

— არა, სწორედ ეს არ მაწუხებს. არის სხვა მიზეზი... მიჭირს თქვენთვის მისი ახსნა...

— საწინააღმდეგო თუ არაფერი გაქვთ, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ქორწინება შედგეს. შეგიძლიათ ამაში ნამდვილად მენდოთ. ასე რომ, ნურაფერს დამიმალავთ. — კურატას გულწრფელი გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე

— იქნებ მართლაც შეძლოთ ჩემი დახმარება... არა, ცოლის შერ-

თვაში კი არა, არამედ ერთ რთულ სიტუაციაში რომ გაეერკვეთ. გულახდილად გეტყვით: საქმე ისაა, რომ ტაკაკოს ჰყავს ერთი მფარველი — არა, სიტყვის ცუდი მნიშვნელობით არა! ის კაცი მართლა ეხმარება მას.

— მერე რა? განა გასაკვირია, რომ პოპულარულ მსახიობს მფარველი ჰყავს...

— ამაში გეთანხმებით. მაგრამ რატომღაც არ მეუბნება მის სახელს. აი, რა აფერხებს საქმეს. ის, უეჭველად, თანახმა იქნება ცოლად გამომყვეს, მაგრამ მაშინ კავშირი უნდა გაწყვიტოს თავის მფარველთან და ეს აშფოთებს. ტაკაკოს არაფრით არ სურს გულახდილი საუბარი. და აი, მინდოდა თქვენთვის მეთხოვა, ქალბატონო კურატა, იქნებ გასაუბრებოდით და გაგერკვიათ, რა განზრახვა აქვს...

„აი, კიდევ ერთი დავალება მომემატა — ამჯერად იამანესაგ ნ", — გუნებაში ამოიოხრა კურატამ.

სახლთმშენებელი კომპანიის შესყიდვა

კომპანია „მანიო" აშენებდა საცხოვრებელ სახლებს, ხოლო შემდეგ განაგრძობით ყიდდა. ბოლო წლებში სამშენებლო ინდუსტრია ერთ წერტილზე გაიყინა, ამას მოჰყვა სახლთმშენებელი კომპანიების გაკოტრება და უმრავლესობამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა. კომპანია „მანიო" მაინც განაგრძობდა მუშაობას, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბით, ორი ათასი მუშაკიდან, რომლის ორ მესამედს ფულის შემკრებნი და შეკვეთების მიმღები აგენტები შეადგენდნენ, ახლა კომპანიაში მხოლოდ სამასი კაცი დარჩა. მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ სინამიმ მოახერხა სარფიან ფასად ეყიდა ეს სულის ბღაფავი კომპანია და აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანიისათვის იდოხარასაგან მიღებული თანხის ნახევარზე ნაკლები გად იხადა.

გარიგებამდე სინამი დიდხანს ეთათბირებოდა იდოხარას. თავდაპირველად უნდოდა შეესყიდა ყველა ის აქცია, რომელზეც საერთოდ შეწყვიტეს დივიდენდების გადახდა, მაგრამ იდოხარამ არ ურჩია.

— როგორც კი აქციების შესყიდვას დაიწყებთ, მაშინვე აიწევა მათი ფასი. ბირჟაზე მიხვდებიან, რომ ვიღაც ყიდულობს ამ აქციებს. ჰოდა, უეჭველად ამოტივტივდება სინამის გვარი. დაინტერესებული

პირები იფიქრებენ, სინამის რაღაც განზრახვა აქვსო. ამან კი, შესაძლოა, ზიანი მოუტანოს მომავალ გეგმებს.

ამ შემთხვევაში იდოხარას ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ინტერესები უფრო აინტერესებდა, ვიდრე სინამის პოლიტიკური მომავალი — ის ხომ პარტიის გენერალური მდივნის პოსტის დაკავებას ვარაუდობდა.

როგორც იდოხარამ ურჩია, სინამიმ უარი თქვა აქციების შესყიდვაზე და მთლიანად შეისყიდა კომპანია „მანიო". ამ საქმეზე გაცილებით მეტი თანხა დახარჯა, ვიდრე ნავარაუდევი ჰქონდა. ბევრი ეპვობდა, რამდენად გონიერული იყო ამგვარი გარიგება. მათი აზრით, ყველაზე გენიალური მეწარმეც კი ვერ უზუნველყოფდა ფირმა „მანიოს" აყვავებას.

გაიგეს თუ არა მომხდარი გარიგების ამბავი, „მანიოს" სამასიანი თანამშრომელი აფორიაქდა. მათ მოითხოვეს ხელფასის ათი პროცენტით მომატება და თან იმის გარანტია, რომ არც ერთი თანამშრომელი არ იქნებოდა დათხოვილი. მათი უწინდელი ხელფასი სხვა ანალოგიურ საწარმოებში არსებულ საშუალო ხელფასზე ოცი პროცენტით ნაკლები იყო. მაგრამ სინამიმ გადაწყვიტა უარყო მათი მოთხოვნები და განაცხადა:

— ახალი კომპანია სრულიად სხვა საფუძველზე იმოქმედებს. ვინც უკმაყოფილოა დღევანდელი პირობებით, შეუძლია წავიდეს. სრულებითაც არ შეეწუხდები, თუნდაც ყველანი წახვიდეთ. სხვებს დავიქირავებ სამუშაოზე.

„მანიოს" თანამშრომლებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მაშინ სინამიმ განაცხადა, რომ უკან არ დაიხევს საერთო ლოკაუტის წინაშე. გაფიცვის ზოგიერთი მონაწილე შეშინდა. კომპანია „მანიო" წარმოება არ იყო, იქ არც ერთი ნამდვილი მუშა არ მუშაობდა. ძირითად შემოსავალს შემკვეთებისათვის იაფფასიანი საცხოვრებელი სახლების მიყიდვით ღებულობდა. ამიტომ მისი თანამშრომლების უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ რეკლამისა და შეკვეთების შემკრები აგენტები, რომელთა შორის არ იყო მტკიცე ერთობა, პირიქით, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ხელი შეეშალათ და უფრო ხელსაყრელი შეკვეთა ხელში ჩაეგდოთ. ამის შედეგად გაფიცვა ჩაიშალა. ორასამდე თანამშრომელმა სამსახურს თავი დაანება. სინამის არც დაუკავებია ისინი. ყველაზე გამოცდილი მუშაკების დაყოლიებაც კი არ უცდია.

— ჩვენი კომპანია მაშინაც იმოქმედებს, ორმოცი ან ორმოცდაათი

კაცი რომ დარჩეს, — ხმამაღლა განაცხადა მან. მაგრამ წარსული წლების გამოცდილება მოწმობდა: ამგვარ კომპანიებში სულ ცოტა ოთხასი-ხუთასი კაცი მაინც უნდა ყოფილიყო, თუნდაც სულ უმნიშვნელო მოცულობის სამუშაო ჰქონოდათ.

მართალია, თავდაპირველად ახალ კომპანიაში სამუშაოზე მოწყობის მსურველთა ნაკლებობა როდი იყო, მაგრამ სინამიმ ისეთი დაბალი ხელფასი და მაღალი ნორმები დაუწესა, რომ ვეღარ გაუძლეს ამგვარ პირობებს და სამსახურს თავი დაანებეს. ნათელი შეიქნა, რომ ამ კომპანიის შესყიდვისას სინამი არავითარ ენთუზიაზმს არ იჩენდა მისი არსებობის გასაუმჯობესებლად. სამუშაოს მოცულობამ თანდათან იკლო, თანამშრომელთა რიცხვი ასამდე შემცირდა.

ვერავინ ვერ ხვდებოდა, რატომ იქცეოდა სინამი ასე. მაგრამ არც ის იცოდნენ, რომ სინამი უკვე მოლაპარაკებული გახლდათ იდოხარასთან და მისთვის უნდა მიეყიდა კომპანია. ამის შესახებ არც იდოხარას მმართველებმა იცოდნენ და არც მისმა შვილობილებმა. ნემოტოსთვისაც არაფერი უთქვამს. ერთი სიტყვით, ერთმმართველი დიქტატორივით იქცეოდა.

სინამისთან მოლაპარაკება მკაცრ საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა. საიდუმლოების დაცვას ხელს ის უწყობდა, რომ აღმოსავლეთის სამშენებლო კომპანიის შესყიდვა ახლახან მოხდა და იდოხარას, მთელი რიგი დეტალების დაზუსტების საბაბით, თავისუფლად შეეძლო სინამისთან შეხვედრა და ვერც ვერავინ მიიტანდა ეჭვს. გარდა ამისა, იდოხარას კომპანიაში ხელმძღვანელ მუშაკებს ყურმოკრული ჰქონდათ მისი საყვარლების შესახებ და, თუ ზოგჯერ კანტორიდან გაქრებოდა, ყველას ეგონა, ალბათ ერთ-ერთ მათგანთან წავიდაო. ყოველივე ეს ხელს უწყობდა საიდუმლოების დაცვას და მოლაპარაკების პირველი ეტაპის წარმატებით დამთავრებას.

ორი თვე გავიდა, რაც კომპანია „მანიო" იდოხარას ხელში გადავიდა. ჰოდა, მანაც მოულოდნელად მოიწვია დირექტორთა საბჭო.

— საქმე ის გახლავთ, რომ ბატონ სინამისაგან შევიძინე სახლთმშენებელი კომპანია „მანიო", — განაცხადა მან. — მთელი რიგი მიზეზების გამო წინასწარ ვერ მოგეთათბირეთ, მაგრამ ეს წარმოება პერსპექტიულად მიმაჩნია. გარიგება უკვე მოხდა და მინდოდა, თქვენც მოგეცათ თანხმობა. თუმცა არც ისე მართებულია გასული რიცხვით თანხმობის თხოვნა. — იდოხარამ თვალი მოავლო დამსწრეთ.

ყველა იქ მყოფი იმდენად თაუზარდაცემული იყო, რომ პირველ წუთებში არც კი იცოდნენ, რა ეთქვათ. იდოხარას სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ყოველი მათგანისათვის ცხადი გახლდათ, რომ „მანიოს“ არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა და საცაა საბოლოოდ დაიშლებოდა. მათ გადაწყვიტეს, ალბათ, იდოხარას სინამისადმი კეთილი გრძნობა ამოძრავებს, სხვა მეტი რომ აღარაფერი ვთქვათ, და ამიტომ მოიქცა ასეო.

— გსურთ მისი მოქმედების სფერო გააფართოოთ და ამ მიზნით შეიძინეთ ეს კომპანია? — იდოხარას შეილობილმა სიოძიმ დაარღვია დუმილი.

— უდავოდ, თორემ რა აზრი ჰქონდა მის ყიდვას. ბატონ სინამისათვის ის მძიმე ტვირთი აღმოჩნდა, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ ჭკუით გაუძღვები, რაღაც გამოვა.

— მაგრამ განა სულ სამი თვე არ არის. რაც ბატონმა სინამიმ შეიძინა და თუკი ასეთი გავლენიანი კაცი უეცრად უარს ამბობს, მაშასადამე, ამ კომპანიის რწმენა საერთოდ არა აქვს, — დაიჭირა სიოძიმ.

— ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, — უპასუხა იდოხარამ. — ჩვენი კომპანია აღმოსავლეთის სამშენებლოს შემოიერთებს და, ეფიქრობ, საკადრის ადგილს დაიმკვიდრებს სამშენებლო ინდუსტრიაში. „მანიოსთან“ დაკავშირებით მეც მაქვს ჩემი გეგმები. სამშენებლო ტექნიკა, რომლითაც დღემდე სარგებლობდნენ, მოძველდა. ოანაც ნაკლებად გამოიყენება. მშენებლობაში ფართოდ არის დანერგილი ხელით შრომა. ასეთი მდგომარეობა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ჩემი აზრით, ახალი კომპანიისათვის საზღვარგარეთ უნდა შეიძინოთ სამშენებლო ტექნიკის მნიშვნელოვანი რაოდენობა. წარმოების ასათვისებლად ტექნიკის მომწოდებელ ქვეყნებში გავგზავნით ჩვენს მშენებლებს. მომავალში სამშენებლო ინდუსტრიის დიდი დაკვეთების შესრულება მოუწევს და უკვე არსებული მსხვილი სამშენებლო კომპანიების შესაფერებლად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება — საკუთარი საწარმოს სამშენებლო მანქანებით უზრუნველყოფა. მოგვიანებით შევძლებ უფრო დეტალურად გაგაცნოთ ჩემი გეგმა, ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ განზრახული მაქვს, ერთი მხრივ, ხელი მოვკიდო მსხვილ დაკვეთებს, და მეორე მხრივ — საცხოვრებელი სახლების მშენებლობა განვაგრძო.

ყველამ ინტერესით მოისმინა იდოხარას სიტყვა.

— რა ფასად დაგითმეს კომპანია „მანიო“? — შეეკითხა რიოსაბურო — სიოძის ბიძაშვილი.

— საკმაოდ ძვირი დაჯდა, — გაიღიმა იდოხარამ.

— მაინც რამდენი გადაიხადეთ?

— ვშიშობ, ფასი წარმოუდგენლად მაღალი მოგეჩვენებათ. მართალია, სინამისთან მეგობრული ურთიერთობაც გავითვალისწინე. — იდოხარას ვერ გადაეწყვიტა თანხის დასახელება.

— ყური მოვკარი, რომ სინამიმ „მანიოსათვის“ გადაიხადა დაახლოებით ოთხმოცდაათ მილიონ იენამდე. მაშასადამე, თქვენ, ალბათ, ას ოც — ას ოცდაათ მილიონად დაგითმოთ?

— არა, გაცილებით ძვირი დამიჯდა.

თათბირის მონაწილეებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. ისინი საგონებელში ჩავარდნენ: მაინც, რა თანხა გადაიხადა იდოხარამ? მხოლოდ ნემოტო იჯდა ნახევრად თვალდახუჭული და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს საუბარი მას არ ეხებოდა.

— სიმართლე რომ გითხრათ, მილიარდი იენი გადავიხადე.

ყველა გაოცებით მიაშტერდა იდოხარას. ნემოტომაც კი ოდნავ გაახილა თვალები და უმალ გაუქრა ნამძინარევი გამომეტყველება.

— ნემოტო, თქვენ როგორ მიგაჩნიათ? ზედმეტი ხომ არ გადავიხადე? — მიმართა მას იდოხარამ.

— არა მგონია. რადგან ასე გადაწყვიტეთ, მაშასადამე, იმედი გაქვთ, რომ კომპანია პერსპექტიულია. — ჩაიცინა ნემოტომ.

— გმადლობთ, — უთხრა იდოხარამ. — თუმცა, სულ ერთია, თუ რომელიმე თქვენგანი წინააღმდეგი იქნება, ამიერიდან აღარაფერი ეშველება — გარიგება უკვე შედგა. მიუხედავად ამისა, მოხარული ვარ, რომ ნემოტომ მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება, იმედია, თქვენც შეუერთდებით მას.

დამსწრეებმა დასტურის ნიშნად თავები დააქნიეს, მაგრამ არც ერთს კრინტი არ დაუძრავს.

— როგორც უკვე მოგახსენეთ, კომპანია „მანიო“ პერსპექტიულია, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ წაიყვან საქმეს. პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ და გთხოვთ, მერწმუნოთ, თუმცა მილიარდი დაჯდა, ჩვენს კომპანიას ზარალს არ მივაყენებ, — იდოხარა ისეთი ენთუზიაზმით ლაპარაკობდა, რომ ვერავინ ბედავდა შეპასუხებას. გარდა ამისა, წარსული წარმატებებიც მისი სიტყვების ჭეშმარიტებაზე მეტყველებდა.

— როდის შეუდგება კომპანია თავის საქმიანობას? — შეეკითხა რიოსაბურო.

— ჯერჯერობით ცოტა ხნით დაყოვნება ბოგვიწეს, მაგრამ, გარწმუნებთ, სამუშაო ბევრი გვექნება.

— „მანიოსათვის“, ალბათ, ახალი პერსონალი უნდა ავიყვანოთ. სამუშაო რომ წარმატებით წავიდეს, რამდენი კაცის დაქირავებას აპირებთ?

— ამჟამად წინასწარ გაანგარიშებებს ვაწარმოებთ, მაგრამ ეს მომავლის საქმეა და ჯერჯერობით არ ღირს აჩქარება.

ასეთი პასუხი არ გამომდინარეობდა არც იდოხარას სულსწრაფი ხასიათიდან და არც მისი წარსული მოღვაწეობიდან. რატომღაც სულ არ ჩქარობდა „მანიოს“ მუშაობა გაეშალა და გაეფართოებინა. მაგრამ მაშინ რა ეჩქარებოდა მილიარდი იენის დახარჯვა? ასეთი თანხით ხომ უყოყმანოდ შეიძლებოდა მთელი რიგი სასარგებლო ღონისძიებების განხორციელება? ეტყობა, აქ გარკვეული როლი ითამაშა სინამისთან მეგობრულმა ურთიერთობამ. იქნებ სინამიმ, უბრალოდ, აიძულა კიდეც იდოხარა, დათანხმებულიყო „მანიოს“ შეძენაზე?

დირექტორთა საბჭო დამთავრდა თუ არა, იდოხარამ ნემოტო შეაჩერა.

— ნემოტო, ვილაპარაკოთ გულახდილად: თქვენი აზრით, ამ საცოდავ კომპანიაში ზედმეტი იყო მილიარდის მიცემა? — შეეკითხა ის.

— ჩემი აზრით, თქვენ მასში მილიარდზე მეტი გადაიხადეთ, — გაიცინა ნემოტომ.

— მართალი ხარ, მაგრამ თათბირზე ვერ ვთქვი ეს ამბავი. შენი აზრით, მაინც რამდენს გადავიხდიდი?

— ალბათ, მილიარდ სამას მილიონს.

— მილიარდ-ნახევარი!

— ასე ბევრი?

— დიახ. და ის ხუთასი მილიონი, რომელიც თათბირზე ნათქვამი თანხის გარდა გადავიხადე, მინდოდა გამოუცხადებელი რეზერვის ხარჯზე დამეფარა. გამიგე?

იდოხარას ყაიდის კაცი ასე უბრალოდ არავის ჩაუთვლიდა ᲪᲘᲚᲘᲐᲠᲓᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲘᲔᲜᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲛᲐᲜᲘᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, რომელიც გაკოტრების პირას იყო მისული და ბოლო დროს დივიდენდების გადახდაც კი შეწყვიტა, — ფიქრობდა ნემოტო. თუ ყველაფერს გავითვალისწინებთ და ვიმსჯელებთ, იდოხარა სულაც არ ფიქრობდა ამ კომპანიის გამოცოცხლებას. „მანიოს“ მაქსიმალური ფასი — ხუთასი-ექვსასი მილიონი იენია. მართალია, მის მფლობელობაშია გასაშენებელი მიწის საკმაოდ დიდი ნაკვეთები, მაგრამ ისინი დაგირავებული და გადაგირავებულია ბანკში და ის ხუთასი მილიონი ძლივძლივობით დაფარავს სესხს.

ნემოტოს ბევრი რამ უცნაურად ეჩვენებოდა. რასაკვირველია, ესმოდა, რომ „მანიოს“ შესყიდვის გადაწყვეტილებაში გარკვეული როლი ითამაშა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის საპარლამენტო მოადგილის, სინამის თხოვნამ, ვისთანაც დიდი ხანი არაა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა იდოხარას. როგორც ჩანს, სინამი დარწმუნდა, რომ თავს ვერ გაართმევდა სულთმობრძავ „მანიოს“ და იდოხარას შესთავაზა მისი შესყიდვა. დიდი ჭკუა-გონება არ იყო საჭირო ამის მისახვედრად. ასე ფიქრობდა არა მარტო ნემოტო. და მაინც, იდოხარასნაირი ანგარიშიანი კაცი, რაგინდ მეგობრულ ურთიერთობაშიც უნდა ყოფილიყო სინამისთან, ასეთ დიდ ფასს არ გადაუხდიდა აბსოლუტურად არარენტაბელურ კომპანიაში.

მოულოდნელად ნემოტოს თავში გაუელვა აზრმა. რა თქმა უნდა, იდოხარა მოელაპარაკა სინამის, რომ გარიგების საბუთებში უჩვენებდნენ ოთხას-ხუთას მილიონს, ხოლო იმ ერთ მილიარდს, რომელსაც იდოხარა თავის კომპანიის სახსრებიდან აიღებს, ვინაიდან დირექტორების საბჭოზე სწორედ ეს ფასი დაასახელა, ერთმანეთში გაიყოფენ. მართალია, ამგვარი მოქმედებები კვალიფიცირდება როგორც აქციონერთა ნდობის ბოროტად გამოყენება და ამისათვის იდოხარა, შესაძლოა, პასუხისგებაშიც კი მისცენ, რადგან, რა ერთპიროვნულადაც უნდა მართოს იდოხარამ კომპანია, ფორმალურად ის სააქციო საზოგადოებად ითვლება და ამ საზოგადოების ფულადი სახსრები მისი პირადი საკუთრება არაა. ალბათ ეს გეგმა წარმოქმნა სინამის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით. მას ხომ ძალიან სჭირდებოდა ფული პოლიტიკური მიზნებისათვის: თუკი პარტიის გენერალური მდივ-

ნის პოსტზე პრეტენზიას განაცხადებდა, ყველა ღონე უნდა ეხმარა მომხრეების მოსაზიდად, ხოლო ამას ცოტა თანხა როდი სჭირდებოდა. ალბათ სინამიმ ნახევარი მილიარდი სესხად სთხოვა იდოხარას, ხოლო პოლიტიკოსისათვის ფულის სესხება მათი პოლიტიკური მიზნებისათვის უანგაროდ შეწირვას ნიშნავს. იდოხარა კი ამას ვერ ეტყოდა თავის დირექტორებს. ჰოდა, ამიტომაც მოიგონეს კომპანია „მანიოს" გაყიდვის ოინი. თანაც იდოხარამ გადაწყვიტა, თავის ჯიბეში დიდძალი თანხა — ხუთასი მილიონი იენი — ჩაედო, მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოეკლა. ნემოტოს ერთი სული ჰქონდა გაეგო, რამდენად სწორი იყო მისი ვარაუდი, მაგრამ ჯერჯერობით არ იცოდა, საიდან შემოეტანა საქმისთვის. ამ მხრივ ზოგი რამ, შესაძლოა, გარკვეულიყო „იატიოსა" და აღმოსავლეთის სამშენებლოს ბაზაზე შექმნილი ახალი გაერთიანებული სამშენებლო კომპანიის საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით. მაგრამ ჯერჯერობით იდოხარა დუმდა. ნემოტო უახლოეს დღეებში აპირებდა მასთან საუბარს და, თითქოს განზრახვას მიუხვდაო, იდოხარამ ხელახლა შეკრიბა დირექტორთა საბჭო და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— ალბათ ყველანი გაოცებული ხართ, აქამდე რატომ არ ამოქმედდა ჩვენი ახალი გაერთიანებული სამშენებლო კომპანია, და სწორედ იმიტომაც შეგკრიბეთ, რომ ჩემი თვალსაზრისი გაგიზიაროთ.

ჩემი აზრით, ამიერიდან სამშენებლო სამუშაოები მთლიანად მექანიზებული უნდა იქნეს. მართალია, ზოგი რამ უკვე გაკეთებულია, მაგრამ ამ სფეროში ჯერჯერობით ძალიან ჩამოვრჩებით ამერიკას, და სამუშაოს ბევრი სახეობა ხელით სრულდება. ამასთან დაკავშირებით, მჭიდრო კონტაქტის დამყარება გვიხდება სამუშაო ძალების მომწოდებლებთან, რომლებიც მოძველებული სქემებით მოქმედებენ. ამიტომ დიდი დანაკარგები იქმნება როგორც დროის, ასევე სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო. ახლა, როცა წლითიწლობით მატულობს მშენებლობის მასშტაბები და უამრავი სასწრაფო შეკვეთა გვაქვს, ამგვარი სისტემა უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. ყოველდღიურად სულ უფრო ავტომატიზებული ხდება მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები და მხოლოდ სამშენებლო საქმე ჩამორჩება. განზრახული მაქვს, ამერიკიდან შემოვზიდოთ უახლესი სამშენებლო ტექნიკა და პრაქტიკული ნაბიჯებიც კი გადავდგი. გთხოვთ, მაპატიოთ, ცოტა მოგვიანებით რომ გაწვდით ინფორმაციას. დაგეგმილი მაქვს უახლეს დროში რამდენიმე ინჟინერთან ერთად ვესტუმრო

ჩვენს ამერიკელ მომწოდებლებს და ადგილზე შევამოწმო ახალი ტექნიკის მუშაობა. ამჟამად მზად არა ვარ გაცნობოთ, რომელი კომპანიისაგან რა მანქანების ყიდვას ვაპირებთ — კონკრეტულად საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. მაგრამ უმოკლეს ვადაში დაიწყება შესყიდვა და ყველანი შეიტყობთ ამის შესახებ.

იდოხარას სიტყვას აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

ნემოტომ წარმოიდგინა, როგორ დაიბეჭდებოდა ეს სიტყვა მსხვილი სათაურებით ყველა ცენტრალურ გაზეთში და უეჭველად კარგ სარეკლამო სამსახურს გაუწევდა ახალ სამშენებლო კომპანიას. მაგრამ მაშინვე დაეჭვდა: ნუთუ იდოხარა აპირებს თავისი გეგმის განხორციელებას? მაშინ რატომ ყრის „მანიოში" მილიარდ-ნახევარ იენს და ამ ფულს არ იყენებს ამერიკაში უახლესი სამშენებლო ტექნიკის შესასყიდად? ჩანს იდოხარამ რაღაც სხვა მიზეზის გამო გადაწყვიტა მატერიალურ საფუძველს მოკლებული გეგმის გამოქვეყნება. იქნებ იფიქრა „მანიოს" შესყიდვით გამოწვეული ყურადღება სხვა საკითხზე გადაეტანა? არც ისაა გამორიცხული, რომ ახალი ტექნიკის შესყიდვის მომიზეზებით სულ სხვა მიზნით აპირებს ამერიკის მონახულებას. ნემოტოს თავგზა აებნა.

ორი დღის შემდეგ იდოხარამ ისევ შეკრიბა დირექტორთა საბჭო. ამჯერად საქმიანი საუბარი აღარ წამოუწყიათ. დაღლილი იდოხარა თავს ატრიალებდა.

— ეტყობა, გადავიღალე, — თქვა მან.

— როგორც ჩანს, ძალზე ბევრი იმუშავეთ ახალ გეგმაზე, კარგი იქნებოდა, ერთი-ორი დღე დაგესვენათ, — მხარი აუბა რიოსაბურომ.

— მეც ამას ვფიქრობ: მართლაც, ალბათ, საჭიროა შვებულების აღება და ცხელ წყლებზე წასვლა.

ყველამ, მით შორის ნემოტომაც, მხურვალედ დაუჭირეს მხარი იდოხარას, და მაინც, ნემოტოს უცნაურად ეჩვენა, იდოხარასნაირმა ჯანმრთელმა და ენერგიულმა კაცმა ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში მოულოდნელად წყაროებზე წასვლა რომ გადაწყვიტა.

იმავე საღამოს იდოხარამ სიოძი, რიოსაბურო და ნემოტო თავის კაბინეტში მიიწვია.

— მართლა გადავწყვიტე დასვენება. წყლებზე წავალ,—თქვა მან.

— ძალიან კარგი, — გაუხარდა რიოსაბუროს. — როდის აპირებთ გამგზავრებას?

— ალბათ, ზეგ. ჯერ კიდევ მოსაგვარებელი მაქვს სასწრაფო საქმეები.

— რომელ წყლებზე მიემგზავრებით?

— ატამი და ხაკონე რაღაც მომბეზრდა. სადმე უფრო შორს მინდა წასვლა.

— იქნებ, კიუსიუს კუნძულზე?

იდოხარამ გაიცინა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ამან ეჭვი გაუძლიერა ნემოტოს: ეტყობა, იდოხარას დასასვენებლად არ გადაუწყვეტია წყლებზე წასვლა. „საჭიროა დროზე შევამოწმოთ, როგორ მდგომარეობაშია მისი ოჯახური საქმეები", — გაიფიქრა მან.

მოულოდნელად ნემოტოს ერთმა აზრმა გაუელვა. მაინც რატომ ადრე არ მოუვიდა თავში? თუმცა არც ახლაა გვიან. მართალია, ამას დროს დასჭირდება...

* * *

ორი დღის შემდეგ იდოხარა ექსპრესით გაემგზავრა მაცუმოტოდან. ბოლო მომენტში აუწყა, რომ მიემგზავრებოდა ნაგანოს პრეფექტურაში სუვას ცხელ წყლებზე. იდოხარამ სპეციალურად გააფრთხილა თანამშრომლები, არავის გაეცილებინა. არც ნემოტო წასულა სადგურში, მაგრამ მისმა ერთ-ერთმა ყოფილმა ხელქვეითმა, რომელიც სადგურში გაგზავნა, მაშინვე აცნობა:

— ოთხნი ჩასხდნენ ვაგონში: იდოხარა ოცდაათი წლის ქალთან ერთად, ალბათ, მსახიობი თუა — ძალზე მოდურად ეცვა, და ოცდათორმეტი-ოცდაცამეტი წლის კაცი ახალგაზრდა ქალთან ერთად, რომელიც იდოხარას თანამგზავრს სახითაც და ჩაცმულობითაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა.

ნემოტომ არ იცოდა, ვინ იყო ის კაცი. ჯერ იფიქრა, იდოხარას მისი მდივანი ოკუნო ახლავსო, მაგრამ ის კანტორაში თავის ადგილზე აღმოჩნდა. ნემოტომ ინანა, იმავე მატარებლით რომელიმე ჩემი კაცი რატომ არ გავგზავნე — თვალს მიადევნებდა იდოხარას თითოეულ ნაბიჯსო. მაგრამ არც ახლა იყო გვიან: ოტელის ნომერი, სადაც იდოხარა აპირებდა გაჩერებას, ალბათ, კანტორაში იცოდნენ.

— სასწრაფო საქმისთვის რომ დაგვჭირდეს, როგორ უნდა დავუკავშირდეთ იდოხარას? — ჰკითხა მან ოკუნოს.

— გულახდილად რომ გითხრათ, ბატონმა იდოხარამ გამაფრთხილა, დასვენება მსურს და, გთხოვთ, ტოკიოდან ზარებით არ შემაწუხოთო. — უპასუხა ოკუნომ.

— ეს მას არ წააგავს, — ჩაიცინა ნემოტომ და გაიფიქრა, საჭიროების შემთხვევაში ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომელ ოტელში გაჩერდა — სუვაში არც ისე მრავლადაა ხეირიანი სასტუმროები, მაგრამ გადაწყვიტა დაეცადა: თუ იდოხარა გაიგებდა, რომ მისი ადგილსამყოფლით ეინმე დაინტერესდა, ეს მხოლოდ ყურადღებას გაუმახვილებდა.

მეორე დღეს ნემოტომ, თითქოსდა სხვათა შორის, სცადა რიოსაბუროსათვის გამოეკითხა ზოგი რამ, მაგრამ არც მან იცოდა, სად გაჩერდა იდოხარა და ვინ ახლდა თან.

ორი დღის შემდეგ იდოხარა ტოკიოში დაბრუნდა, ამის თაობაზე არავინ გაუფრთხილებია. ტაქსი გააჩერა და პირდაპირ კანტორაში მივიდა.

— მშვენიერი დრო გავატარე წყლებზე, — უთხრა კაბინეტში შესულ ნემოტოს. მართლაც, ჩინებულად გამოიყურებოდა.

ნემოტომ ერთ-ერთ თავის ყოფილ ხელქვეითს მაინც სთხოვა დაერეკა ოტელში, სადაც იდოხარა უნდა გაჩერებულიყო. იქიდან უპასუხეს, ასეთ კაცს ოტელში ოთახი არ აუღიაო. ნემოტომ იფიქრა, იდოხარას ნომრის აღება სხვა გვარით შეეძლოო. კიდევ ერთხელ სთხოვა, ოტელს დაკავშირებოდნენ და მისი გარეგნობა აეწერათ. იქიდან კვლავ უპასუხეს, ასეთი კაცი ჩვენთან არ გაჩერებულაო. გავიდა რამდენიმე დღე და ნემოტოს ხორიკავამ დაურეკა. ალბათ, ისევ ფულს მთხოვსო, გაიფიქრა ნემოტომ და შეხვედრა წინანდებურად იმავე კაფეში დაუნიშნა. მაგრამ ნემოტო შეცდა.

— ბატონო კაპიტანო, — კუთხეში მდგარ მაგიდასთან დასხდომისთანავე უთხრა ყოფილმა უნტერ-ოფიცერმა. — ჩემი ნათესავები ნაგანოს პრეფექტურის კისოს რაიონში ცხოვრობენ. წერილით მაცნობეს, რომ ცოტა ხნის წინ ტოკიოდან მათთან ჩავიდა ვიღაც კაცი და ყურადღებით ათვალიერებდა სახელმწიფო ტყის ნაკვეთებს. გუშინ კი ერთ-ერთი თანასოფლელი, რომელიც კარგა ხანია საბით ცნობს იდოხარას, ტოკიოში ჩამოვიდა და მითხრა, ის კაცი იდოხარაა და ხმები დადის, თითქოს იქ კაშხალის აგებას აპირებსო. მან თან ჩამოიტანა ადგილობრივ მცხოვრებთა წერილი თხოვნით — გაარკვიონ, მართალია თუ არა ეს. ბატონო კაპიტანო, თუ გსმენიათ რაიმე იდოხარას გეგმებზე?

— ბოლოს და ბოლოს, ნუღარ მიწოდებ კაპიტანს. — გაჯავრდა

ნემოტო. — სიტყვამ მოიტანა და, სად მდებარეობს ის სოფელი?

— სიგასიტამას მაზრაში, სადგურ ნარაის ახლოს არის მთის მდინარე, რომელიც სათავეს იღებს ტიაუსუიამას მთებში. მთა დიდია — მისი სიმაღლე ორ-ნახევარ კილომეტრზე მეტია. აი, სწორედ იმ მთის ძირში მდებარეობს ის სოფელი. კაშხალისათვის მეტად მოხერხებული ადგილია. სოფლის მცხოვრებნი ძალზე წუხან: რა ბედი ეწევათ მათ, თუ ხეობას, სადაც მთის მდინარე მიედინება, კაშხალით გადაკეტავენ?

— ამის თაობაზე არაფერი ვიცი, — უთხრა ნემოტომ.

იდოხარას კვალდაკვალ

მეორე დღეს ნემოტომ აიღო ნაგანოს პრეფექტურის ზუსტი რუკა და საგულდაგულოდ შეუდგა მის შესწავლას.

ხეობა, რომელზეც ლაპარაკი იყო, სადგურ ნარაიდან თანდათან ვიწროვდებოდა სამხრეთისაკენ და იქ V-ს ფორმას იღებდა. რაც ყველაზე მოსახერხებელი იყო კაშხალის ასაგებად. ჩანს, იდოხარამ გადწყვიტა მიეღწია იმისათვის, რომ მის ახალ კომპანიას მონაწილეობა მიეღო კაშხალის მშენებლობაში.

კაშხალის მშენებლობას, ჩვეულებრივ, ხელში ჩაიგდებდნენ ხოლმე მსხვილი კომპანიები, რომლებიც ურთიერთშეთანხმებით რიგრიგობით იღებდნენ იჯარას სამუშაოზე, ხოლო წვრილ ან საშუალო სიმძლავრის საშენებლო კომპანიებს პრაქტიკულად ვერ შეეღწიათ ამ სფეროში მათი ურთიერთთავდებობის წყალობით. სხიანაირად რომ ვთქვათ, მსხვილ კომპანიებს ხელში ჰქონდათ ჩაგდებული დამბებისა და კაშხლების მშენებლობის მონოპოლიური უფლება. ნუთუ იდოხარა ასეთ პირობებში ვარაუდობს თავისი პატარა კომპანიისათვის იჯარის მიღებას — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ კომპანიას ჯერ საქმიანობაც არ დაუწყია, — ფიქრობდა ნემოტო.

უნდა ითქვას, რომ იდოხარას მრავალრიცხოვანი ურთიერთობანი ჰქონდა დამყარებული არამარტო მინისტრის მოადგილე სინამისთან. ის ახლო იცნობდა კონსერვატიული პარტიის ბევრ მოღვაწესა და ფინანსური წრეების მსხვილ საქმოსნებს, მათ შორის ბანკების გამოჩენილ ხელმძღვანელებს კი კავშირები, უეჭველად, იდოხარას ფულებ-

ზე იყო დაფუძნებული. ფული რომ არ ჰქონოდა, ხელსაც არავინ ჩამოართმევდა. ნემოტომ კარგად იცოდა, რა მაქინაციებით იშოვა იდოხარამ წარსულში ეს ფული, რომელიც ახლა მძლავრი ბერკეტი აღმოჩნდა საჭირო ნაცნობობის დასამყარებლად.

ახლანდელი ნაცნობობის წყალობით იდოხარას, ეტყობა, შანსი ჰქონდა მსხვილი კომპანიების რიგებში შეეღწია და კაშხალის მშენებლობაში მონაწილეობაც მიეღო. ჩანს, ცოტა ხნის წინ სწორედ ამ მიზნით გააკეთა რეკლამა, რომ აუცილებელია „სამშენებლო ინდუსტრიის მექანიზაცია".

მაშ ასე, ფიქრობდა ნემოტო, იდოხარამ ფარულად გადაწყვიტა საიდუმლოდ დაეთვალიერებინა მომავალი მშენებლობის ადგილი. ალბათ, მასთან ერთად იმგზავრა იმ მსახიობმა ქალმა, ოტელში რომ დაბინავა. მაგრამ ვინ იყო მეორე კაცი? სინამის მკვიანი, თუ მისი ნდობით აღჭურვილი პირი? ამას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა: სინამის ნდობით აღჭურვილი პირის ყოფნა ხელს უწყობდა სამუშაოს შემკვეთ ელექტროკომპანიაზე ზემოქმედებას.

ნემოტომ ერთ-ერთ თავის ყოფილ ხელქვეითს დაურეკა და უბრძანა გაერკვიათ, კომპანია კ. ხომ არ გეგმავდა ნაგანოს პრეფექტურაში კაშხალის აგებას. კომპანია კ. კონტროლს უწევდა ელექტროენერგიის გაანწილებას იაპონიის ცენტრალურ რაიონში, რომელშიც ნაგანოს პრეფექტურაც შედიოდა.

იმავე დღეს მოვიდა პასუხი:

— კომპანია კ. კატეგორიულად უარყოფს ნ რაიზე კაშხალის აგების გეგმის არსებობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უკვე კარგა ხნის დაწყებული ექნებოდა გეოლოგიური კვლევა და სხვა მოსაამზადებელი სამუშაოები. გარდა ამისა, მშენებლობისათვის ბიუჯეტში არავითარი ხარჯები არ არის გამოყოფილი. ისიც მითხრეს, რომ ბოლო დროს საერთოდ არ აშენებენ ოც-ოცდაათ ათას კილოვატიან ელექტროსადგურებს, ხოლო აღნიშნულ ადგილზე შეიძლება აშენდეს არაუმეტეს ოცი ათასკილოვატიანი სიმძლავრის ელექტროსადგური. აგრეთვე ამიხსნეს, რომ ახლა ამჯობინებენ თბოელექტროსადგურის მშენებლობას, რომელიც გაცილებით იაფი ჯდება და კაშხალის აგებას არ საჭიროებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, კომპანია კ. არ აპირებს აღნიშნულ რაიონში კაშხალის აგებას?

არა. მასხრადაც კი ამიგდეს.

— პასუხისმგებელი პირისაგან მიიღე ეს ცნობები?

— ინჟინრისაგან, რომელსაც სოლიდური პოსტი უკავია კომპანიაში. ვფიქრობ, სავსებით შეიძლება ვენდოთ.

— გმადლობთ. — ნემოტომ ყურმილი დადო და ჩაფიქრდა: მგონი, ინფორმაცია სარწმუნო და სანდოა. ჩვეულებრივ, ელექტროკომპანიები საიდუმლოდ არასდროს ინახავენ კაშხალის აგების გეგმას. პირიქით, ყოველნაირად ცდილობენ რეკლამა გაუკეთონ.

თუკი ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის შიშით კომპანია კ. სპეციალურად ჩქმალავს პროექტის არსებობას, როგორც წესი, ამ სტადიაზე მომავალ მოიჯარეებს ადგილზე წინასწარი გამოკვლევის ჩატარების ნებას არ აძლევენ. მაინც რა მიზნით იმოგზაურა იდოხარამ? ერთი სიტყვით, გამოსაკვლევია მისი ყოველი ნაბიჯი მგზავრობის დროს.

ნემოტომ კვლავ გაშალა რუკა. მართალია, იდოხარამ კანტორაში თქვა, სუეაში მივემგზავრებიო, მაგრამ იქ არ ჩასულა. ხოლო რადგან ქალთან ერთად გაემგზავრა, მაშასადამე, ცხელ წყლებზე იყო. გარდა სუვისა, სადგურ ნარაიდან რამდენიმე საათის საავალზე, ქალაქ მაცუმოტოსთან, კოფუს ახლოს, აიტისა და იუმურას პრეფექტურაში არის ასამას წყლები. შეუძლებელია ტელეფონით დააზუსტოს კაცმა, სად გაჩერდა იდოხარა. თანაც სხვისი გვარით შეეძლო ოტელში ნომრის აღება. ნემოტომ გადაწყვიტა, დახმარებისათვის ხორიკავასათვის მიემართა. იმავე დღეს ისინი გინზაზე მდებარე კაფეში შეხვდნენ ერთმანეთს.

— ერთი თხოვნა მაქვს შენთან, — ნემოტო მაშინვე საქმეზე გადავიდა. შეგიძლია სამი დღით შეებულება აიღო სამსახურში? რასაკვირველია, ხელფასის დანაკარგს აგინაზღაურებ.

— თუ საჩქარო საქმეა, ახლავე უნდა გავაფრთხილო უფროსობა.

— ძალიან საჩქაროა. ორიოდე დღით მოგიწევს ცხელ წყლებზე წასვლა და იდოხარას შესახებ ზოგ-ზოგი რამის გარკვევა.

ხორიკავამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ლაპარაკია იმაზე, რაც შენმა ნათესავებმა მოიწერეს: იდოხარას ნარაიში მგზავრობაზე.

— მაშასადამე, ის მარტო იყო იქ?

— დიახ. ქალთან ერთად გაემგზავრა, მაგრამ მგზავრობის მიზანი ჩვენთვის არ უცნობებია.

— ალბათ იქ მართლა აშენებენ კაშხალს. — ხორიკავას სახეზე შეშფოთება გამოესახა.

— ზუსტად არ ვიცი. ჰო, მართლა, მასთან ერთად კიდევ ერთმა კაცმა იმგზავრა.

— ვინ არის? იქნებ ელექტროკომპანიის ინჟინერია?

— არ ვიცი. მაგრამ მე სხვა მიზეზის გამო მაინტერესებს იდოხარას მოგზაურობა. გთხოვ გაარკვიო შემდეგი: სად გაჩერდა იდოხარა? რას აკეთებდა? ვინაა იდოხარას თანმხლები ახალგაზრდა კაცი? შენთვის ცნობილია, რომელ დღეს ჩავიდა ის ნარაიში?

— დიახ, ნათესავების წერილიდან გავიგე.

— რახან ასეა, მოგიწევს ასამის, კოფუს, იუმურას, ონისა და სუვას ცხელ წყლებზე ოტელების ჩამოვლა და დაზუსტება, ხომ არ გაჩერებულა ის იმ დღეს რომელიმე მათგანში. როგორც ჩანს, ისინი ნომერს მხოლოდ პირველი კლასის ოტელში აიღებდნენ — ეს კი ამოცანას აიოლებს. სწორედ შენ იმიტომ მოგმართე თხოვნით, რომ იდოხარას სხვა გვარითაც შეეძლო ოტელში გაჩერება და, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებ მისი გარეგნობის აღწერას. აგრეთვე გაარკვიე, სად მიდიოდა ოტელიდან. ზოგ რამეს, ალბათ, ნარაიშიც გაიგებ; ჩემი აზრით, იქაური მანქანით იელიდა. ერთი სიტყვით, გაიხსენე ის, რასაც ძველ დროს გასწავლიდნენ, როცა ჟანდარმთა კორპუსში მსახურობდი.

— ბატონო კაპიტანო, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ძველი დრო მობრუნდა. — ხორიკავას დანაოქებული სახე მხიარულმა ღიმილმა გაანათა.

— გაითვალისწინე, ამით დაეხმარები შენს ნათესავებსაც, რომლებიც კაშხალის მშენებლობამ შეაშფოთა.

— ბატონო კაპიტანო, ყველაფერი შესრულებული იქნება... იდოხარა დიდი კაცი გახდა, მაგრამ, ჩანს, ძველ ჩვეულებს თავი ვერ დააღწია.

— შენც ასე მიგაჩნია?

— განა ძველებურად ბნელ საქმეებს არ მისდევს?

ნემოტომ უსიტყვოდ ამოიღო საფულედან ათი ათასიენიანი ოთხი კუპიური და ხორიკავას გადასცა.

— ბატონო კაპიტანო! ამდენი არ დამჭირდება. — ხორიკავამ გაოცებით შეხედა ნემოტოს.

—აიღე, აიღე! რაც დარჩება, შენთვის დაიტოვე.

— გძადლობთ, ხვალ დილითვე წავალ. — ხორიკავამ ქუსლი ქუსლს მიარტყა.

* * *

კიდევ იყო ერთი საქმე და ნემოტომ გადაწყვიტა, იმისათვის სერიოზულად მოეკიდა ხელი. ახლა ძალიან ნანობდა, რომ თავის დროზე მხედველობიდან გამორჩა. გასარკვევია, როგორ იქცევა სახლში იდოხარა. მაგრამ რანაირად? იდოხარას პირადი ცხოვრება ცნობისმოყვარეთა თვალთაგან შეუვალი კედლით იყო დაფარული და მასში გაღწევა ჯერჯერობით წარმოუდგენელი ჩანდა. საიდუმლო ტელეფონზორს თუ დადგამდა კაცი და მისი საშუალებით მიადევნებდა თვალყურს, რას ლაპარაკობდა და აკეთებდა იდოხარა ოჯახურ გარემოში.

ნემოტომ სპორტულ რეპორტიორ მორიტას დაუძახა და შეხვედრა იმავე კაფეში დაუნიშნა, სადაც ხორიკავას ხვდებოდა.

— ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, — უთხრა ნემოტომ, როდესაც მოშორებით მდგარ მაგიდას მიუსხდნენ.

— გისმენთ.

ნემოტომ ირგვლივ მიმოიხედა. მომსვლელი ცოტა იყო. ოფიციანტი ქალები სალაროსთან შეკრებილიყვნენ და ქაქანებდნენ. ნემოტომ მორიტასთან ახლოს მიიწია და უთხრა:

— საქმე ეხება თქვენს ნაცნობს, ქალბატონ ხაცუკო იდოხარას და მის ყოფაქცევას. ამჟამად რა ურთიერთობა აქვს ბეისბოლისტ იამანესთან?

— ოჰ, აი, თურმე რა გნებავთ! — მორიტამ გაიცინა. — მეც მაინტერესებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი შემდგომი ბედისა არაფერი ვიცი. რაღაც-რაღაცების გაგება, ალბათ, კურიტასაგან შეიძლება.

— როგორ იქცევა იამანე?

— ახლა სხვა გუნდზე მუშაობა დამავალეს და ამიტომ მას ვერ ვხვდები. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: ძველებურად ბრწყინვალედ თამაშობს.

— აბა, რას ფიქრობთ, ბატონო მორიტა: თანახმა ხართ დამეხმაროთ? სხვადასხვა მიზეზების გამო მაინტერესებს იდოხარას ოჯახური ცხოვრების წვრილმანები. რატომ? ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ

არის, მაგრამ მომავალში, ვიმედოვნებ, შესაძლებლობა მექნება დაწერილებითი ინფორმაცია მოგაწოდოთ. ერთ რამეს გეტყვით: ჩვენს კომპანიაში გარკვეული სირთულეები შეიქმნა.

— განა იდოხარა ერთმმართველი დიქტატორი არ.ა იქ?

— რასაკვირველია, ეს ასეა, მაგრამ, ალბათ თქვენთვისაც ცნობილია, რომ იდოხარას საკუთარი შვილები არა ჰყავს დ თავის კომპანიაში ნაშვილები და ძმისწული აიყვანა. ამასთან დაკავშირებით კომპანიაშიც სირთულეები შეიქმნა — ოდესმე ალბათ, გიამბობთ ამის შესახებ. ყოველივე ეს მაიძულებს, რამდენადაც შესაძლებელია, დაწერილებით გავიგო, როგორ იქცევა იდოხარა ოჯახში, რის შესახებ უბრობს ცოლთან, როგორი დამოკიდებულება აქვს ხაცუკოს ი:მანეს-თან და ასე შემდეგ.

— ეს ხომ ძალზე რთული საქმეა, სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის მეტად ძნელი ამოცანაა. — მორიტამ სინანულით გაშალა ხელები.

— და, მიუხედავად ამისა, მაინც არის საშუალება.

— ჰო?

— თქვენ ახალგაზრდა და ლამაზი ყმაწვილი ხ.ართ...

— საეჭვო კომპლიმენტია.

— არ ეხუმრობ, ეს მართლაც ასეა. — ნემოტო სულ ახლოს მიჩოჩდა მ.სთან და ყურში ჩასჩურჩულა: — იდოხარას ორი შინამოსამსახურე ჰყავს. ერთი მათგანი სამი წელია მასთან მუშაობს და მისი გამოყენება საშიშია. მეორე კი — აიაკო — წელიწად-ნახევარზე ცოტა მეტია მასთან არის. საკმაოდ სანდომიანი გარეგნობის ოცდ:ორი წლის ქალიშვილია.

— რა გინდათ ამით თქვათ? — ჩაიხითხითა მორიტამ.

— როდი მოგიწოდებთ, შინამოსამსახურე შეაცდინეთ-მეთქი. ეგზრალოდ, შეეცადეთ დაუახლოვდეთ და ცოტა გაეარშიყოთ. ასაკიც შესაფერისი აქვს და თანაც მოდის დიდი მიმდევარია. სოფლ :ია ჩამოსული და მეორე შინამოსამსახურის, ოსიმასაგან განსხვავებით, თავი მზეთუნახავი ჰგონია. ხშირად გზავნიან ქალაქში საყიდლებზე. მომენტი შეურჩიეთ და ქუჩაში გაიცანით. ვფიქრობ, სწრაფად მოათვინიერებთ.

— მაინცდამაინც არ მსიამოვნებს ასეთი დავალება.

— თქვენც ადექით და ათიათასად ღირებული გულქანდა აჩუქეთ,

სიხარულისაგან მეშვიდე ცაზე იქნება, — უთხრა ნემოტომ და თან საფულე ამოიღო.

— მაშ ასე, იმ შინამოსამსახურის დახმარებით იდოხარას პირადი ცხოვრება დავზვერო?

— სწორედაც. მესმის, ეს ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა უმოქმედობას მაინც სჯობს. ვიცი, მსახურობთ, მაგრამ შეეცადეთ, ოთხიდან ხუთ საათამდე იდოხარას სახლთან სადმე ახლოს იყოთ. აიაკო, ჩვეულებრივ, ამ საათებში გადის საყიდლებზე. ეს კი თქვენ სახარჯოდ, — ნემოტომ მორიტას ორმოცდაათი ათასი იენი მისცა.

საიდუმლოებით მოცული შეხვედრა

სამი დღის შემდეგ ხორიკაეა ნაგანოს პრეფექტურიდან დაბრუნდა და ნემოტოს მოახსენა:

— კურორტ სუვადან მინდოდა დამეწყო იმ ოტელის ძებნა, სადაც იდოხარა გაჩერდა. შემდეგ მაინც თქვენს რჩევას მივყევი და მატარებლიდან ნარაიში ჩავედი. ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრებლის გამოკითხვით დავადგინე, რომ იმ დღეს, დაახლოებით თორმეტ საათზე, ნარაიში ორი წყვილი ჩავიდა ორი მანქანით. მათ სადგურის ახლოს მდებარე ბუფეტში შეისვენეს და ლუდი დალიეს. შედარებით უფროსს, ესე იგი იდოხარას, ახლდა ოცდაათიოდე წლის ლამაზი, ელეგანტურად ჩაცმული ქალი, რომელიც მსახიობს ჰგავდა. მეორე მამაკაცი გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა. ოცდახუთიოდე წლის ვულგარული გარეგნობის ქალთან ერთად ჩამოვიდა, ის ქალი იდოხარას თანმხლებ ქალს ვერც შეედრებოდა, და, შესაძლოა, ამიტომაც პირქუში და გულჩათხრობილი გამოიყურებოდა. ახალგაზრდა კაცს სახელად მომოსე ჰქვია. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ მიმართავდა მას იდოხარა, მისი ხელქვეითი არ უნდა ყოფილიყო. ისინი მდინარის სათავესთან აპირებდნენ ასვლას და მებუფეტეს დაწვრილებით გამოჰკითხეს, როგორი გზა იყო და სადამდე შეიძლებოდა მანქანით სიარული. მათი შეკითხვებით მებუფეტე მიხვდა, რომ ადრე აქ არასდროს ყოფილან. მანქანებზე ნაგანოს პრეფექტურის ნომრები იყო და ერთ-ერთ მძღოლს უთქვამს, ქვედა სუვიდან ჩამოვედითო. რასაკვირველია, ორი მანქანით სიარული ზედმეტი ფუფუნება გახლავთ,

მაგრამ პატარა მანქანები იყო და, თანაც ორიეე წყვილს, ეტყობა, მარტო სურდა დარჩენა.

მებუფეტემ მითხრა, ნაშუადღევის პირველ საათზე წყვილები მანქანებში ჩასხდნენ და ხეობას გაუყვნენო. ერთი საათის შემდეგ მანქანები სადგურ ნარაისთან დაბრუნდნენ, შემდეგ დასავლეთის უღელტეხილისაკენ გაქანდნენ. ალბათ, ოტელის მოსაძებნად თუ წავიდნენ. შემდეგ მათი კვალი დაიკარგა. მე გადავწყვიტე, იმ მანქანის მძღოლი მომეძებნა, რომლითაც იდოხარამ იმგზავრა, და ქვედა სუვაში გავემგზავრე. ჩემდა ბედად, იქ დასაქირავებელი მანქანების სულ ორი კანტორა აღმოჩნდა, ერთ-ერთ კანტორაში იმ მძღოლს შევხვდი. გამოძახებას ელოდა. მეორე მძღოლი, რომელსაც მომოსე და მისი ქალი მიჰყავდა, იმ დღეს ისვენებდა. გავიფიქრე. აუცილებელი არაა მისი მოძებნა და ჩემთვის საკმარისია იდოხარას მძღოლთან საუბარი-მეთქი. იქვე, გვერდით მდებარე კაფეში დავპატიჟე. მძღოლმა მიამბო, ისინი ხეობის სიღრმეში მდებარე დაბა ნოდამდე მივიყვანე. შემდეგ გზა გაუვალი აღმოჩნდა და მანქანიდან გადმოვიდნენო. მძღოლის გადმოცემით, ქალი სულ საყვედურობდა იდოხარას, ბოლო დროს გული აიცრუე ჩემზე, იშვიათად მნახულობ — ალბათ, უფრო ახალგაზრდა საყვარელი გაიჩინე, ჰოდა, რატომ წამომიყვანე ამ მოგზაურობაში, უმჯობესი იქნებოდა სხვასთან ერთად წამოსულიყავიო. იდოხარა იუმუხნებოდა: ჩანს, არ სიამოვნებდა ყოველიეე ამის მოსმენა, თანაც მძღოლის თანდასწრებით. მე დავინტერესდი, რაიმე ხომ არ უთქვამთ იმ ახალგაზრდა კაცის, მომოსეს შესახებ, ვინ არის ან სად მუშაობს-მეთქი. მაგრამ მძღოლმა მითხრა. ასეთი საუბარი მათ შორის არ ყოფილაო.

კაცები მანქანებიდან გადმოვიდნენ, ერთ-ერთი მძღოლი, რომელმაც გზა იცოდა, თან გაიყოლეს და ზემოთ შეუყვნენ. მეორე ქალებთან ერთად, მანქანებთან დარჩა. ისინი მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ხეობა ძალზე ვიწროვდება და შეჩერდნენ. იდოხარა და მომოსე ათი წუთი ტკბებოდნენ ხეობისა და ირგვლივ მდებარე მთების ცქერით, შემდეგ მანქანებთან დაბრუნდნენ.

— მხოლოდ ათი წუთი ათვალიერეს ადგილმდებარეობა? — შეაწყვეტინა თხრობა ნემოტომ.

— დიახ, ასე მითხრა მძღოლმა, — თავი დაუქნია ხორიკავამ.

— მათ ხომ მომავალი კაშხალის ადგილი უნდა დაეთვალიერებინათ. ხუთი, ათი წუთი განა საკმარისია ამისათვის?

— არ ვიცი. მე მხოლოდ მძღოლის ნათქვამს ვამბობ.

— განაგრძე, — უთხრა ნემოტომ.

— როდესაც მძღოლმა უკან ნარაიში წაიყვანა, იდოხარამ ჰკითხრა, ქალაქ მაცუმოტოში, ასამის მინერალურ წყლებთან ხომ არ მიგვიყვანო. მძღოლი მოელაპარაკა მეწყვილეს, რომელსაც მომოსე მიჰყავდა და დათანხმდა.

ასამას წყლები ქალაქ მაცუმოტოდან აღმოსავლეთით, მთებში მდებარეობს. იქიდან იშლება შესანიშნავი ხედი მთაგრეხილისა, რომელსაც იაპონურ ალპებს უწოდებენ. მაგრამ ისინი იქ ჩავიდნენ გვიან საღამოს, როდესაც მზე ჩასული იყო და ქალაქს მხოლოდ ფარნების შუქი ანათებდა. იდოხარამ სასტუმრო „იოროძუ-ნო-იუსთან" სთხოვა მანქანის გაჩერება. ეტყობა, ნომრები წინასწარ იყო შეკვეთილი, რადგან მისვლისთანავე გამოეგებნენ და ბარგი შეიტანეს. იდოხარამ მძღოლს ფეხის ქირად ათასი იენი აჩუქა.

— „იოროძუ-ნო-იუ" კარგ სასტუმროდ ითვლება? — ისევ შეაწყვეტინა ნემოტომ.

— არც ისე. ჩვეულებრივი მეორეხარისხოვანი სასტუმროა, როგორიც მრავლადაა ცხელ წყლებზე.

— ისე დამაჯერებლად ლაპარაკობ, თითქოს თვითონ ყოფილიყავი იქ.

— ნამდვილად ვიყავი. მოვისმინე თუ არა მძღოლის ნაამბობი, ასამაში წავედი და სასტუმრო „იოროძუ-ნო-იუში" შევიარე. ასამაში გზის ორივე მხარეს. ერთი მეორის მიყოლებით, ათობით ოტელია ჩამწკრივებული. იდოხარამ, რატომღაც, არც თუ ყველაზე საუკეთესო სასტუმრო შეარჩია. ალბათ, არ უნდოდა უცაბედად ვინმე ნაცნობს გადაჰყროდა.

— მოგონილი გვარით დაიქირავა ნომერი?

— დიახ, კიდოს გვარით.

— მომოსემ?

— მომოდას გვარით.

— ალბათ, ერთ-ერთ მოახლეს თუ გამოჰკითხე სასტუმროში მათი ყოფნის შესახებ.

— დიახ. ღამის გასათევად „იოროძუ-ნოიუ-ში" გავჩერდი და თანდათან გამოვკითხე მოახლესა და შვეიცარს. მათ მითხრეს, ნომრები სამი დღით ადრე ტელეფონით შეუკვეთეს ტოკიოდანო. მათი ნაამბო-

ბით, მამაკაცები ერთმანეთს ცალკე არც შეხვედრიან და არც უსაუბრიათ. თითოეულმა წყვილმა თავის ნომერში ივახშმა და დაიძინა.

— როგორც ჩანს, მთებში მგზავრობით დაიღალნენ. და მაინც უცნაურია, მამაკაცებს ერთმანეთში რომ არ უსაუბრიათ.

— ეს მეც უცნაურად მეჩვენება. ბატონო კაპიტანო, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ისინი ხომ სპეციალურად კაშხალის ასაგები სავარაუდო ადგილის დასათვალიერებლად წავიდნენ, მაგრამ მხოლოდ შემოგარენის ათწუთიანი დათვალიერებით დაკმაყოფილდნენ და სამშენებლო სამუშაოების თაობაზე კრიტიკა არ დაუძრავთ. მაგრამ ამის თაობაზე მათ სხვაგან შეეძლოთ ლაპარაკი. იქ, სადაც ქალები და მძღოლები არ იქნებოდნენ მათ გვერდით.

— მაინც სად? საქმის თაობაზე სასტუმროში მაინც ხომ უნდა გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის აზრი, მაგრამ ამის მაგივრად თავთავიანთ ოთახებში წავიდნენ. მეორე დღეს რაღას აკეთებდნენ?

— დილით იდოხარამ და მომოსემ ქალები სასტუმროში დატოვეს და მანქანით ქალაქ ნაგანოში წავიდნენ.

— ნაგანოში? რადგან ქალები სასტუმროში დატოვეს, რა თქმა უნდა, იმიტომ არ წასულან, რომ პეიზაჟების მზერით დამტკბარიყვნენ.

— ჰოდა, ვიპოვე ის მძღოლი, ვინც ისინი ნაგანოში წაიყვანა. ის ამბობს, ძენკოძის ტაძართან მთხოვეს მანქანის გაჩერება: ლოცვა გვინდა. და, მართლაც, ძენკოძის ტაძართან ჩამოსულნ.

— რა ლოცვა მოუნდათ უცებ? მანქანას რაღა უყვეს?

— უკან გაუშვეს ასამაში. ამიტომაც ვერ მოვახერხე შემდგომი ამბების გარკვევა.

ხორიკავა თურმე დიდხანს დახეტიალებდა ქალაქ ნაგანოში, მაგრამ მაინც ვერ მიაგნო ერთი კვირით ადრე იქ ნამყოფ იდოხარას და მომოსეს კვალს.

მაინც, რატომ წავიდნენ ნაგანოში? — ფიქრობდა ნემოტო და თან ხორიკავას ნაამბობს უგდებდა ყურს. იქნებ საპრეზიდენტო სამმართველოში შეიარეს? თუ კომპანია კ. სახელმწიფო სატყეო მამულებით გარშემორტყმულ ხეობაში აპირებდა კაშხალის აგებას, მშენებლობაზე, პრეფექტურის საკუთრებაში მყოფ გზებზე, მიწის ნაკვეთებსა და ამგვარ საკითხებზე იდოხარას ადგილობრივი ხელისუფლებისაგან უნდა აეღო ნებართვა. მაგრამ ამას, ჩვეულებრივ, იჯა-

რის მიღების შემდეგ აკეთებენ ხოლმე და ამჟამად საპრეფექტურო სამმართველოში მისელას არავითარი აზრი არ ჰქონდა. გარდა ამისა, რა არის სალაპარაკო, როდესაც კომპანია კ. საერთოდ უარს ამბობს ამ რაიონში კაშხალის აგების რაიმე გეგმის არსებობაზე.

მაგრამ ნემოტო არც იმას ივიწყებდა, რომ, თუკი საქმეში იდოხარაა ჩარეული, შესაძლოა, ყველაფერი უჩვეულო გზით წავიდეს. გამორიცხული არაა, კომპანია კ. რაიმე მოსაზრებით მალავდეს კიდეც თავის გეგმებს და იდოხარამ, ჰქონდა რა მასთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, გადაწყვიტა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან წინასწარ მოესინჯა ნიადაგი.

ხორიკავა განაგრძობდა თხრობას:

— დავადგინე, რომ იდოხარა და მომოსე სასტუმრო „იოროძუნო-იუში" მხოლოდ საღამოს ათ საათზე დაბრუნდნენ. მაშასადამე, სხვაგან ივახშმეს: ან ქალაქ ნაგანოში, ან ასამის ცხელ წყლებზე, ოღონდ კარგ ოტელში. ჩემი აზრით, ამ მიზნისათვის ყველაზე შესაფერისი გახლდათ ოტელი „ციური სინათლე", რომელიც ასამის ყველაზე მაღალ წერტილზე მდებარეობს. იქიდან იაპონიის ალპების მთავრეხილის განუმეორებელი ხედი იშლება.

თავისი ვარაუდის შესამოწმებლად, ხორიკავა ღამის გასათევ ოტელ „ციურ სინათლეში" გაჩერდა. ვახშმობისას მოახლეს გამოელაპარაკა და ისიც სიამოვნებით პასუხობდა შეკითხვებზე.

— თქვენს შესანიშნავ ოტელში, ალბათ, ცნობილი ადამიანები ჩერდებიან, არა? — ჰკითხა ხორიკავამ.

— მართალი ბრძანდებით, აქ ბევრი სახელგანთქმული ადამიანი ყოფილა.

— ამ ბოლო დროსაც იყვნენ წარჩინებული პირები?

— დიახ, რამდენიმე დღის წინ პატივი დაგვდეს და გვესტუმრნენ ვიცე-მინისტრი სინამი ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროდან, და სამრეწველო ბანკ „ეიკო გინკოს" პრეზიდენტი, ბატონი ...ახო.

— როგორ? იმ საღამოს სინამი სპეციალურად ჩავიდა იქ? შეაწყვეტინა ნემოტომ.

— შეცდომა გამორიცხულია. მოახლემ ბანკის პრეზიდენტსა და სინამის წარჩინებულ პირთათვის განკუთვნილი წიგნი მიუტანა და იქ ხელი მოაწერინა.

— დაწვრილებით მიამბე ყოველიეე.

— ეტყობა, სინამი ტოკიოდან დილის მატარებლით გამოვიდა, რადგან სამ საათზე უკვე ოტელში იყო. მხოლოდ პირადი მდივანი ახლდა თან. ბანკის პრეზიდენტი კი წინა საღამოს ჩამოსულიყო ნაგანოში მათი ბანკის ფილიალის გახსნის ცერემონიალზე. სინამი ოტელში დაბინავდა თუ არა, ბანკის პრეზიდენტი სახო მასთან ნომერში მივიდა და დიდხანს ისაუბრეს პირისპირ.

ამის შემდეგ პრეზიდენტი ნაგანოში, ბანკის განყოფილებაში წავიდა და ექვსი საათისათვის ორ მგზავრთან ერთად დაბრუნდა. ესენი გახლდნენ იდოხარა და მომოსე. იმავე საღამოს ვახშმობისას საიდუმლო საუბარი ჰქონდათ.

ბანკი „ეიკო გინკო“ დასავლეთ იაპონიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბანკი გახლდათ, მაგრამ ბოლო დროს ცდილობდა, თავისი გავლენა ტოკიოს რაიონზეც გაევრცელებინა. ნემოტოს ადრეც მოუკრავს ყური, თითქოსდა ამ ბანკის პრეზიდენტს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული იაპონიის პოლიტიკური წრეების გამოჩენილ წარმომადგენლებთან.

— ახლა გასაგებია! — წამოიძახა აღელვებულმა ნემოტომ. — იდოხარას მგზავრობის მიზანი ასამაში შემდგარი მოლაპარაკებები იყო.

მაგრამ რატომ მონაწილეობდა „ეიკო გინკოს“ პრეზიდენტი მოლაპარაკებაში? — ფიქრობდა ნემოტო. ალბათ იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია კ.-დან კაშხალის მშენებლობის იჯარას აიღებდა, იდოხარა ფინანსური დახმარების იმედს ამ ბანკზე ამყარებდა. ამიტომ სინამის სთხოვა პრეზიდენტთან ეშუამავლა. ტოკიოში ასეთი შეხვედრა შეუმჩნევლად არ ჩაივლიდა, ჰოდა, გადაწყვიტეს, ესარგებლათ იმით, რომ ნაგანოში ბანკის ახალი განყოფილების გახსნის ცერემონიალზე სახო ჩავიდოდა და ასამაში მოლაპარაკება ჩაეტარებინათ.

მაგრამ რატომ მონაწილეობდა მოლაპარაკებაში „ეიკო გინკოს“ პრეზიდენტი, რომელთანაც იდოხარას ადრე არასდროს ჰქონია ურთიერთობა? განა არ შეეძლო ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიეღო საჭირო თანხა სხვა მსხვილ ბანკებში, რომლებთანაც მრავალწლიანი ტრადიციული ურთიერთობა აკავშირებდა. ამჟამად რამ შეუშალა ხელი და აიძულა დასავლეთ იაპონიის ბანკთან კონტაქტი დაემყარებინა? ნემოტო საგონებელში ჩავარდნილიყო.

ნემოტომ დაადგინა, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელმაც იდოხარასთან ერთად იმგზავრა ნარაიში და კაშხალის მშენებლობის მომავალი ადგილი დაათვალიერა, მართლაც სინამის პირადი მდივანი იყო, მისი თანმხლები ქალი კი — ქალიშვილი გინზაზე მდებარე ბარიდან. ახლა უნდა გაერკვია, რა იმალებოდა იდოხარას, სინამისა და ბანკის პრეზიდენტ სახოს შეხვედრის მიღმა ოტელ „ციურ სინათლეში"

თუ კაშხალის აგება გადაწყვეტილია ნარაისთან ახლოს მდებარე ხეობაში, მაშინ ამ საქმეს უთუოდ ხელი უნდა მოჰკიდოს კომპანია კ.-მ. ხოლო რადგან ის კონტროლს უწევს დასავლეთ იაპონიას, მას უეჭველად უნდა ჰქონდეს კონტაქტი „ეიკო გინკოსთან" — ამ რაიონის უდიდეს სამრეწველო ბანკთან. თუკი იდოხარამ ჩაიფიქრა იჯარა აეღო კაშხალის აგებაზე, რატომღა სთხოვა სინამის შუამავლობა?

საქმე ისაა, რომ ქვეყნის ენერგორესურსები ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს გამგებლობაში იყო. მართალია, სინამის მხოლოდ მინისტრის საპარლამენტო მოადგილის პოსტი ეჭირა და ისეთი ძალაუფლება არ გააჩნდა, როგორიც მინისტრს, მაგრამ სამრეწველო წრეების წარმომადგენლები ითვალისწინებდნენ, რომ კაბინეტის შეცვლის შემთხვევაში ძალაუფლებას ხელში იღებდა დაჯგუფების მთავარი ბოსი, რომელიც სინამის მფარველობდა. მაშინ სინამი გახდებოდა პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე ყველაზე მოსალოდნელი კანდიდატი და, თავისთავად ცხადია, მინისტრის სავარძელსაც დაუმიზნებდა. აი, რატომ უგდებდნენ ახლა ყურს სინამის თითოეულ სიტყვას.

ნემოტოს ის მიზეზებიც აინტერესებდა, რომლებმაც გარიგებაში მონაწილეობაზე წააქეზეს ისეთი დიდი პოლიტიკური ურთიერთობების მქონე გამოცდილი საქმოსანი, როგორიც გახლდათ ბანკ „ეიკო გინკოს" პრეზიდენტი. მის ზურგს უკან ადრეც ჰქონდა ადგილი ზოგიერთ მაქინაციას, ამიტომ იდოხარასთან მოლაპარაკებაში მისი მონაწილეობა საყურადღებო იყო.

ბოლო დროს ნემოტო სულ უფრო ხშირად უსვამდა თავის თავს კითხვას, რამდენად სტაბილური იყო საკუთრივ მისი მდგომარეობა. სწორედ ეს აიძულებდა ყურადღებით ედევნებინა თვალი იდოხარას მოქმედებებისათვის. ნემოტოს მყარი მდგომარეობა იდოხარას კომპანიაში იმით ჰქონდა უზრუნველყოფილი, რომ მისი წარსული იცოდა. მის გარდა, არავინ იცოდა, რა გზით შეაკოწიწა იდოხარამ თავისი ქონე-

ბა. ყუთხალ-გახეთებში დრო და დრო გამოჩსდებოდა ბოლმე სტატიები, სადაც იტყობინებოდნენ, იდოხარა ომის დამთავრებისთანავე გამდიდრდა ბირჟაზე თამაშითო. მაგრამ ეს ინფორმაცია თვით იდოხარასაგან ჰქონდათ. სიმართლე კი არავინ იცოდა. ჭეშმარიტება მხოლოდ ნემოტომ იცოდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა იდოხარამ, მისთვის მმართველის პოსტი მიეცა და თავისთან ახლოს ჰყოლოდა. მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა უცვლელად მათი ურთიერთდამოკიდებულება? ახლა იდოხარა ისეთი გაქანების მოღვაწე შეიქნა, რომ, წარსული ცოდვები თუნდაც გამეღავნებულიყო, ძნელად მოახდენდა გაკლენას მის ახლანდელ მდგომარეობაზე. მას შემდეგ, რაც ომში დამარცხების წინა დღეებში ნემოტოს იდოხარა დაკითხვაზე ჰყავდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჰოდა, იდოხარას გამოეერა გაცილებით ძნელი საქმე გახდა. აქედან გამომდინარე, ნემოტოს მდგომარეობა იდოხარას კომპანიაში სულ უფრო მერყეევი შეიქნა.

ერთხანს ნემოტოს ეჩვენებოდა, რომ ხელს უშლიდა იდოხარას და ისიც ხელსაყრელ მიზეზს ეძებდა, რათა თავიდან მოეცილებინა. თვითონ ნემოტო ახლა ეეჭვობდა, შეძლებდა თუ არა, იდოხარა ძველებურად გამოეერილი ჰყოლოდა, თუ წარსულის გამომეღავნებით დაეშუქრებოდა? დრო გავიდა, და საეჭვოა, ახლა ვინმეს გაკვირვებოდა ან გაეკიცხა იდოხარა ოდესღაც ჩადენილი დანაშაულისათვის. ნემოტო მიხვდა: თუ თავისი მდგომარეობის შენარჩუნება სურს, ზედმიწევნით უნდა მიადევნოს თვალი იდოხარას ყოველგვარ მოქმედებას. მხოლოდ ახლანდელი დანაშაულებრივი გარიგებების გამეღავნებით შეძლებს ნემოტო იდოხარას მდგომარეობის შერყევას.

ბოლო დროს იდოხარა ნემოტოსაგან საიდუმლოდ ინახავს თავის გეგმებს, ძველებურად აღარ ეთათბირება. მაგრამ ნემოტოს მარტო თავისი პოზიციების შენარჩუნების სურვილი როდი ამოძრავებს. მას შორს გამიზნული გეგმები გაუჩნდა: თუკი იდოხარას ყველა მიმდინარე მაქინაცია ეცოდინება, საშუალება მიეცემა ისეთი პოსტი დაიკავოს, რომელიც ყოველგვარი სიკეთით უზრუნველყოფს სიცოცხლის ბოლომდე. ჭეშმარიტად, თავდასხმა თავდაცვის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა, თავისთვის იმეორებდა ნემოტო ვიღაცის ნათქვამ სიტყვებს.

ჯერჯერობით მისთვის ცნობილი იყო, რომ იდოხარამ სინამისაგან უდიდეს ფასად შეისყიდა წამგებიანი აღმოსავლეთის საამშენებლო კომპანია და გაკოტრების პირას მყოფი კომპანია „მანიო". ამ გარი-

გებების წყალობით სინამი საგრძნობლად გამდიდრდა. მეორე მხრივ, იდოხარა საქმიანი კაცი გახლდათ და თავისდა საზარალოდ არაფერს შეიძენდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალში იდოხარა, სინამისთან შეთანხმებით, ამ კომპანიებისაგან დიდ მოგებას ელოდა.

უპირველეს ყოვლისა, ნემოტომ გადაწყვიტა, გაეგო, სხვა სამშენებლო კომპანიებისთვის თუ იყო ცნობილი რაიმე კომპანია კ.-ს გეგმების შესახებ ნარაის რაიონში კაშხალის აგების თაობაზე. მას ესმოდა: როგორც არ უნდა შეეცადოს კომპანია კ. თავისი გეგმების საიდუმლოდ შენახვას, მსხვილ სამშენებლო კომპანიებს მათი გაგების ასობით საშუალება გააჩნიათ. ამის შემდეგ შეძლებს გაიგოს, რა საიდუმლო ბიძალება ასამაში იდოხარასა და ბანკ „ეიკო გინკოს" პრეზიდენტის შეხვედრის მიღმა.

ტოკიოში დაბრუნების შემდეგ იდოხარა ძველებურად საშინლად დაკავებული იყო. დროდადრო სადღაც გაქრებოდა ხოლმე. ნემოტო ცდილობდა, მდივან ოკუნოსთვის გამოეკითხა, მაგრამ ის მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა. როგორც ჩანს, იდოხარა ყოველთვის არც იმას ეუბნებოდა, სად მიდიოდა და ვისთან ჰქონდა მორიგი შეხვედრა დანიშნული.

ორი დღის შემდეგ მორიტამ დარეკა.

— სალაპარაკო მაქვს თქვენთან, — უთხრა ხმადაბლა.

ნემოტომ გინზაზე მდებარე კაფეში დაუნიშნა შეხვედრა.

— ბატონო ნემოტო, მგონი, ზოგი რამ გავარკვიე. — უთხრა მორიტამ, როდესაც მაგიდას მიუსხდნენ და გაიცინა. — თქვენი თხოვნით იდოხარას ახალგაზრდა შინამოსამსახურე გავიცანი.

— ასე მალე? სამ-ოთხ დღეზე მეტი ხომ არ გასულა, — გაოცდა ნემოტო. — მოკლედ, გულგრილი ვერავინ დარჩება შენს მიმართ.

— უბრალოდ, ბედი მეწია. სწორედ იმ დღეს, ჩვენ რომ დავშორდით, საღამოს ვაჭრობა იყო გაჩაღებული და ბაზარში გამოცოცხლება სუფევდა. ბოსტნეულის დუქანთან მივედი და მეპატრონეს შეეკითხე, დღეს იდოხარას შინამოსამსახურე ხომ არ გინახავს-მეთქი. მან მაშინვე მიმითითა აიაკოზე — მეზობელ დუქანთან იდგა. მივედი და შინაურულად გამოველაპარაკე.

— მაინც როგორ მოახერხე?

— არ მინდა, დაწვრილებით გიამბოთ. თქვენი ფანტაზიისთვის მომინდვია. — მორიტა შეცბა. ალბათ, იძულებული თუ შეიქნა რამდენიმე უღიმღამო კომპლიმენტი ეთქვა.

— ნამდვილი მუსუსი ხართ!—წამოიძახა ნემოტომ.—გასაგებია, არ გსურთ თქვენი მეთოდები გამიზიაროთ, რა გაეწყობა — მე მაინც არ გამომადგება. ძალზე მოხუცი ვარ. მაშ, რა გაარკვიეთ?

— ორიოდე დღე, ვითომდა შემთხვევით, ეხვდებოდი აიაკოს ბაზარში, გუშინ გამოსასვლელი დღე ჰქონდა და რესტორანში დავპატიჟე. იქ რაღაც-რაღაცები მიამბო. სიმართლე გითხრათ, გავოცდი. თურმე, იდოხარას ცოლი, სწორედ ის ბაცუკო, რომელიც ჰონკონგში ვნახე, ცდილობს იამანე ერთ ახალგაზრდა მსახიობზე დააქორწინოს.

— მართლა? — გაოცდა ნემოტო.

— აიაკო ამტკიცებს, მართლა ასეაო. თანაც ამ საქმეში ხაცუკომ თავისი მეუღლეც ჩააბა.

— მაშასადამე, სურთ, იამანე მსახიობ ქალზე დააქორწინონ? — ნემოტომ რატომღაც მაშინვე გაიფიქრა იუკიკოზე (იგივე მინაკოზე), ვისთვისაც იდოხარა აკასაკაზე ოტელში ნომერს ქირაობდა. სწორედ მასთან ერთად იმოგზაურა იდოხარამ ნაგანოში. თან ხორიკავამაც თქვა, თითქოს მძღოლმა, ვისაც ისინი მიჰყავდა, უთხრა, ქალი ერთთავად ცუდ გუნებაზე იყოო.

— მსახიობი ქალი, იამანეს ცოლად რომ უნდა შერთონ, ოცდაათი წლისა იქნება? — შეეკითხა ნემოტო. მან გადაწყვიტა, აქ, ალბათ, სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მდიდარი მფარველი ათხოვებს თავის მობეზრებულ საყვარელს. თანაც ზოგიერთი არც იმას ერიდება, საყვარლის საქმროს მაჭანკლობა იკისროს. ხაცუკომ კი, თავის მხრივ, განიზრახა, ყოფილ სატრფოს იდოხარას საყვარელი შერთოს ცოლად და, ამგვარად, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლას. დიახ, როგორც ჩანს, ცოლი სწორედაც რომ თავისი ქმრის შესაფერისია, — ღვარძლიანად გაიფიქრა ნემოტომ.

— ცდებით, — უპასუხა მორიტამ. — მსახიობი ქალი, ვისაც იამანეს ურიგებენ, გაცილებით ახალგაზრდაა და ამჟამად ძალზე პოპულარულია.

— რა ჰქვია?

— ტაკაკო მიძუხო. ასე, ოცი წლისა იქნება. კინოკომპანია დიდ იმედებს ამყარებს მასზე და ყოველნაირად ცდილობს, რეკლამა გაუწიოს. ჩვენს სპორტულ გაზეთშიც კი არაერთხელ წამიკითხავს მის შესახებ.

— მაგრამ მაინც რატომ შეჩერდა მასზე არჩევანი? — შეეკითხა ნემოტო.

— აქ ერთი საინტერესო წვრილმანია.

— რა?

— ერთხელ, მგონი, მანამ, ვიდრე იამანესა და მსახიობი ქალის დაქორწინების იდეა გაუჩნდებოდა, ხაცუკომ შინამოსამსახურეს ჰკითხა, ტაკაკო მიძუხოს ხომ არ იცნობო. შინამოსამსახურე მეტისმეტად გააოცა ამ შეკითხვამ — ხაცუკოს ხომ საერთოდ არ აინტერესებდა მსახიობები და თან ეს ამბავი იდოხარასთან წამოსცდა. ის კი რატომღაც შეშინდა...

— მოიცა, ეს უკვე ძალზე საინტერესოა. — შეწყვეტინა ნემოტომ და შუბლი მოისრისა.

გამოცანები

მაშასადამე, მორიტას ცნობების მიხედვით, ცოლ-ქმარმა იდოხარებმა გადაწყვიტეს, ბეისბოლისტი იამანე და პოპულარული მსახიობი ქალი დაექორწინებინათ და მაჭანკლობაც ეკისრათ. მაგრამ არტისტულ წრეებში ამის თაობაზე ჯერ არაფერი იცოდნენ. ქორწილის სამზადისის შესახებ არც ქალთა ჟურნალებში იყო ცნობილი რაიმე, არც სპორტულ გაზეთებში, სადაც ხშირად აქვეყნებდნენ სტატიებს ბოჰემის ცხოვრებაზე.

— ბატონო ნემოტო, ნება მომეცით, ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნო ინფორმაცია იამანესა და ტაკაკო მიძუხოზე, — სთხოვა მორიტამ.

— ჯერ არ ღირს, გირჩევ, ცოტა მოიცადო.

— საწყენია. არადა, შეიძლებოდა, ყოველივე ძალზე საინტერესოდ მიმეწოდებინა მკითხველისათვის. გული მწყდება, ასეთ გემრიელ ლუკმას ხელიდან რომ ვუშვებ. მომეცით ნება, იამანეს შევხვდე და მისგან ინტერვიუ ავიღო, ოღონდ ჯერჯერობით არ გამოვაქვეყნებ.

— ეს შენი საქმეაა და მე, რასაკვირველია, უფლება არა მაქვს, აგიკრძალო, ჩემი აზრით, შინამოსამსახურის სიტყვებს დიდად არ უნდა ენდოს კაცი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია იდოხარების ოჯახის ზოგიერთი სპეციფიური გარემოებაც.

მორიტა მიხვდა — ნემოტოს მხედველობაში ჰქონდა ხაცუკოსა და იამანეს ურთიერთობა.

— დიახ, როგორც ჩანს, აქ ცოლ-ქმარ იდოხარებს შორის რაღაც ფსიქოლოგიური ბრძოლისმაგვარი მიმდინარეობს, — უთხრა მორიტამ.

— ცუდი არ იქნება, იამანეს გასაუბრებოდით და გაგერკვიათ, რა რეაქცია ექნება, ცოლის შერთვას რომ უხსენებთ. ოღონდ, უპირველეს ყოვლისა, ამის შესახებ მე მაცნობეთ.

— კარგი. დრო კიდევ არის. სხვა გაზეთები ჯერჯერობით აზრზე არ არიან, რა ამბები მწიფდება.

— თანაც, ბარემ იმ მსახიობ ქალზეც გაიკითხეთ, — უთხრა ნემოტომ.

მეორე დღეს მორიტა კვლავ შეხვდა ნემოტოს და მოახსენა ყველაფერი, რაც ტაკაკო მიძუხოზე გაიგო.

— ტაკაკო მიძუხო ახალგაზრდა მსახიობი ქალია, დიდი პოპულარობით სარგებლობს, დაიბადა კანაძავაში, ოცი წლისაა. გულღია, დამყოლი ხასიათი აქვს. ცოტა ხნის წინ ტოკიოში გადმოიყვანა დედა და უმცროსი ძმა. თვითონ მარტო ცხოვრობს აოიამაში, კოოპერატიულ ბინაში. თუ ვიმსჯელებთ იმ ფუფუნების მიხედვით, რის ნებასაც ის თავის თავს აძლევს, ტაკაკო, როგორც ჩანს, მდიდარი კაცის მფარველობით სარგებლობს.

— საყვარელი თუ ჰყავს?

— ვფიქრობ, მუდმივი არა. მას, როგორც პერსპექტიულ მსახიობს, ბევრი მეგობარი ჰყავს, მაგრამ მათგან თავი შორს უჭირავს.

— თქვენ თქვით, ტაკაკო მიძუხო ფუფუნების ნებას აძლევს თავსო. მაშასადამე, საკუთარი სახსრებით არ ცხოვრობს. ამიტომაც დაირხა ხმა ვიღაც საიდუმლო მფარველზე.

— შესაძლოა, მაგრამ არავინ იცის მისი სახელი, ხოლო თვით ტაკაკო გადაჭრით უარყოფს, თითქოს ვინმე ჰყავდეს.

— და მაინც, საეჭვოა, მარტო ცხოვრობდეს.

— ხშირად შინ არ არის. თვითონ ამბობს, დედასთან დავდივარო. მაგრამ ეჭვობენ, რომ, უბრალოდ, სურს ალიბი გაინაღდოს. ეტყობა, დედამისი მის ინტერესებს იცავს და არასოდეს აღიარებს, მისმა ქალიშვილმა ღამე თავის მფარველთან რომ გაატარა და არა მასთან.

— ეს გასაგებიცაა, ქალიშვილმა ხომ ტოკიოში ჩამოიყვანა, აცხოვრებს და უმცროსი ძმის უნივერსიტეტში სწავლის ფულსაც იხდის. ეს კი იაფი როდი ჯდება. სიტყვამ მოიტანა და, რაში გამოიხატება ტაკაკოს ფუფუნება?

— უმეტესად — ჩაცმაში. მას ხომ ერთი ნაბიჯი აკლია კინოვარსკვლავამდე... თანაც ეს ახალგაზრდა მსახიობი პატივმოყვარე გახლავთ და ცდილობს, მდიდრულად ჩაიცვას, წამდაუწუმ იცვლის მორთულობებს.

— სად უკვეთავს მათ?

— სალონ „ალილუიაში“. ადრე ეს სალონი აოიამას რაიონში მდებარეობდა და დიდი ხანი არ არის, რაც აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობის პირველი სართული აიღო არენდით.

— რას ბრძანებთ? — ნემოტომ გაოცებით შეხედა მორიტას. — ეს შენობა ხომ ახლახან ჩაიგდო ხელში პრეზიდენტმა იდოხარამ.

დიახ, ეს სწორედ ის შენობა გახლდათ. იდოხარამ მთელი მეორე სართული მისცა მის მიერ შექმნილ გაერთიანებულ სამშენებლო კომპანიას და ამასთანავე სინამისაგან ახლახან შეძენილ კომპანია „მანიოსაც“ გამოუყო ადგილი. შენობის დანარჩენ ნაწილებს ძველებურად არენდით აქირავებდა. ნემოტომ გაიფიქრა, ახლა კი მივხვდი, რატომ მისცა იდოხარამ სალონ „ალილუიას“ პირველ სართულზე ყველაზე საუკეთესო ნაწილი.

— სალონ „ალილუიას“ მეპატრონე მანდილოსანი ხომ არ არის? — იკითხა მან.

— არ ვიცი, მაგრამ შემიძლია გავიგო.

— გთხოვთ, რაც შეიძლება, მალე გაიგოთ.

ორი დღის შემდეგ მორიტამ აცნობა:

— „ალილუიას“ მეპატრონეა ქალბატონი ფუკუსიმა. რამდენიმე წლის წინ ქმარს გასცილდა და ახლა მარტოდმარტო ცხოვრობს. ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის სანდომიანი შესახედაობის ქალია, თუმცა, ლამაზიაო, ვერ იტყვით. აოიამაში პატარა სალონი ჰქონდა, მაგრამ ამჟამად, ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ, საგრძნობლად გაიფართოვა თავისი საქმიანობა. უმაღლესი ხარისხის საქონელს მაღალ ფასებში ყიდის. ჩანს, პატივმოყვარე მყიდველებს ეს იზიდავს და გახურებული ვაჭრობაა. ეტყობა, სალონის მეპატრონეს დიდი გასაქანი აქვს.

— საიდან უნდა ჰქონდეს მარტოხელა ქალს ამდენი ფული?

— მისი კონკურენტებიც ტვინს იჭყლეტენ. მართალია, ვაჭრობის საქმე კარგად მიდის, მაგრამ მხოლოდ მისი შემოსავალი არაფრით არ ეყოფოდა პირველხარისხოვან რაიონში შენობის არენდით

ასაღებად. ოიიამაში სალონის გახსნამდე ფუკუსიმას შესახებ. საერთოდ არავინ არაფერი იცოდა. ახლა კი საუკეთესო საზღვარგარეთულ საქონელს ყიდის. თანაც მუდამ დროულად, ანგარიშების მიხედვით უხდის მებითუმეებს.

— ალბათ ვიღაც დგას მის უკან.

— ეს ხმაც დაირხა. მაგრამ, თუკი ასეთი კაცი არსებობს. ეტყობა. ის გამოჩენილი პიროვნებაა და არა რომელიმე პატარა კომპანიის პატრონი. როგორც თვითონ ფუკუსიმა ამბობს, აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის შენობაში გადმოსვლისას საარენდო საფასურის გარდა, გირაოს სახით, დიდი თანხა გადაიხადა. რასაკვირველია, მისი კონკურენტები გაოცებულნი არიან, საიდან აქვს ფუკუსიმას ამდენი ფული.

ალბათ, იდოხარას ჯერ კიდევ აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის შენობის შესყიდვისას ჰქონდა განზრახული სალონი „ალილუია" იქ გადაეყვანა, ფიქრობდა ნემოტო. და როგორც კი ეს შენობა მის საკუთრებაში გადავიდა, ელექტროსაქონლის მაღაზიას უარი უთხრა არენდაზე და სადგომი ფუკუსიმას გადასცა. ნემოტოს გაახსენდა ხორიკავას ნაამბობი, თუ როგორ დასეირნობდა იდოხარა ქალთან ერთად აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი შენობის წინ. ალბათ, ფუკუსიმას თუ აჩვენებდა ადგილს, სადაც მისი სალონის გადმოტანას შეძლებდა. ნემოტომ გადაწყვიტა, ფუკუსიმას თაობაზე ჩემთვის ყოველივე ნათელია. ეჭვი არ არის, მხოლოდ იდოხარას წყალობით შეძლო თავის დროზე ოიიამაში სალონის გახსნა. და ამჟამად გინზაზე მშვენიერ ადგილას — აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის შენობაში გადმოსვლა. იდოხარას წყალობით ფულის ნაკლებობას არ განიცდის. არც ის იყო გამორიცხული, რომ თვით შენობის შესყიდვის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ იქ თავისი საყვარლის, ფუკუსიმას სალონის მოთავსება სურდა. ახლა ნემოტოს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ქალს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იდოხარასთან

მაგრამ სწორედ ამ ვარაუდში ცდებოდა ნემოტო. თავის მსჯელობებში მან სწორედ ის ჯაჭვები არ შეაერთა, რომლის შეერთებაც საჭირო იყო. ამ შეცდომამ კი მეორე გამოიწვია: მან გადაწყვიტა მინაკო იდოხარას წინააღმდეგ წაექეზებინა და ამ მიზნის მისაღწევად ფუკუსიმას გამოყენება გადაწყვიტა. ერთი სიტყვით, ნემოტომ განიზრახა მინაკოსათვის მისი მოცილეს სახელი გაემჟღავნებინა და

საქმეს მაშინვე შეუდგა. ოტელ მ.-ში წავიდა და ჰოლიდან მინაკოს დაურეკა.

— ამ ოტელში ერთი ჩემი ნაცნობი ცხოვრობს და მასთან შემოვიარე, საქმეები რომ მოვათავე, უცებ თქვენ გამახსენდით. თუ შეგიძლიათ, ერთი წუთით დაბლა ჩამობრძანდით, გეთაყვა. ჰოლში გელოდებით, — უთხრა ნემოტომ.

ნემოტოს მისვლა მინაკოსათვის მოულოდნელი იყო. ისინი ადრეც იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ იდოხარას გარეშე პირველად უნდა შეხვედროდა მას.

ოციოდე წუთის შემდეგ მინაკო ჰოლში გამოჩნდა. ლამაზად წასმული კოსმეტიკა აახალგაზრდაებდა მას, და მხოლოდ თვალებთან ემჩნეოდა პატარა ნაოჭები.

— მაპატიეთ, ასე უცაბედად რომ გთხოვეთ შეხვედრა.

— არა უშავს. სწორედ ახლა ვაპირებდი სასეირნოდ გასვლას. რაიმე განსაკუთრებული საქმე არა მაქვს. თქვენ, ალბათ, იცით, რომ კარგა ხანია შესაფერ სამუშაოს არ მთავაზობენ. ჰოდა, მეც ვუსაქმურობ.

— თუკი ასეა, გული უნდა გადააყოლოთ, აი, მაგალითად, სადმე იმოგზაუროთ.

— ახლახან გახლდით მოგზაურობაში.

— შორს იყავით?

— არც ისე, — როგორც ჩანს, მინაკოს არ სურდა ესაუბრა იდოხარასთან ერთად ნაგანოში მოგზაურობის შესახებ.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ნემოტომ გადაწყვიტა, დროა საქმეს შევუდგეთ და საუბარი წამოიწყო.

— როგორ გითხრათ და, ეს ბოლო ხანია თქვენი და იდოხარას ურთიერთდამოკიდებულების ამბავი მაწუხებს.

გაოცებულმა მინაკომ ნემოტოს შეხედა და დაელოდა, სანამ საუბარს გააგრძელებდა.

— დღეს რაღაც შეწუხებული მეჩვენებით და ეს გარემოება გამბედაობას მმატებს გულახდილად გელაპარაკოთ.

რაღაც წინათგრძნობამ მინაკო აიძულა, თვალები დაეხარა და ნემოტოსაც ლაპარაკი გაუადვილდა.

— ეჭვი მაქვს, რომ იდოხარა თქვენს მიმართ გულგრილი გახდა და ისე ხშირად აღარ მოდის თქვენთან.

— რაიმე ვარაუდი თუ გაქვთ? — მინაკომ წარბები ასწია.

— ეფიქრობ, ამას თვითონაც გრძნობთ.

— პირდაპირ მითხარით: სხვა ქალი გაიჩინა?

— მგონი, კი.

— მეც ასე მომეჩვენა. — მინაკომ შორს გაიხედა. მოულოდნელად მის თვალებში სიძულვილმა იფეთქა, სახე წითელმა ლაქებმა დაუფარა. — ბატონო ნემოტო, იცნობთ იმ ქალს?

— არ ვიცნობ, მაგრამ სახელი ვიცი. ესაა ქალბატონი ფუკუსიმა — სალონ „ალილუიას" მფლობელი.

ა ლ ი

მინაკომ იმავე დღეს დაურეკა იდოხარას კანტორაში.

— ახლავე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. მოდით ჩემთან, — უთხრა აღელვებულმა.

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. დღევანდელი დღე წუთობით მაქვს განაწილებული. — იდოხარას ხმაში უკმეხოფილება გაისმა.

— და, მიუხედავად ამისა, მაინც გთხოვთ, მოხვიდეთ — სასწრაფო საქმეა.

— ამიხსენი, რა მოხდა?

— უსათუოდ უნდა გკითხოთ რაღაც.

— ნუთუ ტელეფონით არ შეიძლება ამის გაკეთება?

— ტელეფონით სალაპარაკო თემა არ არის. არ მინდა, უსიამოვნება მოგაყენოთ და ამიტომ გთხოვთ, მოხვიდეთ, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული ბრძანდებით.

— და მაინც, ზოგადად მითხარი, რაზეა ლაპარაკი? — ყოველივე ეს იდოხარას უცნაურად მოეჩვენა. ჩვეულებრივ, მინაკო არასდროს ურეკავდა სამსახურში და არც მას, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, არ აინტერესებდა, რას აკეთებდა ქალი.

— ტელეფონით ვერ გეტყვით. შესაძლოა, ამან უსიამოვნება მოგაყენოთ. შეეცადეთ, მოხვიდეთ, თან რაც შეიძლება ჩქარა! — მინაკოს ხმა გამომწვევად ყღერდა.

— არაფრით არ შემიძლია.

— რახან ასეა, მე თვითონ მოვალ.

— კანტორაში?

— თქვენთან შეხვედრა მინდა, ჩავიცვამ და ახლავე მოვალ.

— ჩვენ ხომ თავიდანვე შევთანხმდით, რომ შენ ჩემთან სამსახურში არ მოხვიდოდი.

— არსებობს საგანგებო შემთხვევები. თუ დაკინებით მოითხოვთ, არ მოვალ. მაშინ თქვენ თვითონ მოდით.

— ულტიმატუმს წააგავს. — იდოხარამ გადაწყვიტა, ალბათ, მინაკომ რაღაც შეიტყო ტაკაკო მიძუხოს შესახებო. მართალია, ჯერ-ჯერობით ამის შესახებ არავის არაფერი არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ ორივე მსახიობი გახლდათ. ერთსა და იმავე ხალხში ტრიალებდნენ და, თუმცა ერთმანეთს არ იცნობენ, შესაძლოა, რაღაც მითქმა-მოთქმამ მინაკოს ყურამდეც მიაღწია.

იდოხარამ საათს დახედა. მგონი, შევძლებ ოცდაათი წუთი დავუთმოო, გადაწყვიტა მან და უთხრა ახლავე მოვალო. ოცი წუთის შემდეგ უკვე შედიოდა იმ ოტელის ვესტიბიულში, სადაც მინაკო ცხოვრობდა. ლიფტისაკენ მიმავალს ნაცნობი შეხვდა ერთ-ერთი კომპანიიდან. ერთმანეთს მიესალმნენ და იდოხარამ საჩქაროდ ზევით გასწია. ალბათ იმ ნაცნობმა იფიქრა, იდოხარა ოტელში საქმეების გამო მოვიდაო.

ოთახში რომ შევიდა, მინაკო უკმაყოფილო სახით სავარძელში იჯდა და მის შესახვედრადაც კი არ წამოდგა.

— რა მოხდა? — ჰკითხა იდოხარამ და მის პირდაპირ მდგარ სავარძელში ჩაჯდა.

მინაკო დუმდა. იდოხარამ საათს დახედა და აგრძნობინა, დრო ცოტა მაქვსო.

— ბოლოს და ბოლოს, მითხარი, რატომ მთხოვდი მოსვლას?

მინაკომ პასუხი არ გასცა.

იდოხარა სავარძლიდან წამოდგა და კარისკენ წავიდა. გამოცდილებით იცოდა, რომ ქალი ასე არ გაუშვებდა. და მართლაც, მინაკო სავარძლიდან წამოხტა, ჯიქურ შეხედა და წამოიძახა:

— რა მიზნით წამიყვანეთ თქვენთან ერთად ნაგანოში ს:მოგზაუროდ?

— რა მიზნით?! რას გულისხმობ?

— გამომშვიდობებისას ჩემი მოთაფლვა გადაწყვიტეთ?

— სისულელეებს ნუ ლაპარაკობ.

— მაშ რატომ?

— უბრალოდ, მინდოდა ჰაერზე გამეყვანე. ვიფიქრე, გაგიხარდებოდა. არადა, პირიქით აღმოჩნდა.

— თავს ნუ იძვრენთ! გადაწყვიტეთ საბოლოოდ გესიამოვნებინათ და მერე მიგეტოვებინეთ, რადგან სხვა ქალი გაიჩინეთ.

— ვინ დამწამა ცილი?

— ეს არ არის ცილისწამება. დიდი ხანია ვეჭვობდი, მაგრამ არ გეუბნებოდით.

— მე კი ვერ გამეგო, მოგზაურობისას რატომ იყავით ერთთავად ასე მოღუშული.

— როგორც მამაკაცს შეჰფერის, ისე მოიქეცით და თავს ნუ იკატუნებთ.

იდოხარა მიხვდა, რომ ქალი არ ხუმრობდა. მაშასადამე, მართლაც იცის ტაკაკო მიძუხოს შესახებ, მაგრამ ვის უნდა ეთქვა, — ფიქრობდა იდოხარა. რას იზამ. თვითონვე აძლევს საბაბს ისაუბრონ განშორებაზე.

— მხოლოდ ამიტომ მთხოვე მოსვლა? — მშვიდად შეეკითხა იდოხარა.

— სხვა რაღა დამრჩენოდა? არც კანტორაში და არც თქვენთან სახლში მოსვლა არ შემეძლო, ხოლო რომ დავლოდებოდი, როდის გამოჩნდებოდით, ამას დიდი დრო დასჭირდებოდა. თუმცა, არც ის ვიცოდი, გამოჩნდებოდით თუ არა. რას აპირებთ მომავალში?

— რას გულისხმობთ?

— განა ნათელი არ არის? დროებითი გატაცებაა თუ გადაწყვეტილი გაქვთ მე მიმატოვოთ და მხოლოდ მასთან იყოთ?

— არ ვიცი, ვინ გითხრა ეს, მაგრამ სულაც არ მსიამოვნებს შენგან ამის მოსმენა.

— ჰო, რასაკვირველია, რადგან არ გსიამოვნებთ, ამიტომ ჩემთან განშორების საბაბი გაქვთ.

— არ არის საჭირო ამგვარი სასწრაფო დასკვნების გამოტანა.

— დიახ, თქვენ, უბრალოდ, მშიშარა ხართ! ბოლოს და ბოლოს, უფლება გაქვთ, ვინც გინდათ, ის იყოლიოთ, არა ვარ წინააღმდეგი! მაგრამ, რაკი კაპიტალი მიეცით, ჩანს. უბრალო გატაცება არაა.

— კაპიტალი?

— ნუ გიკვირთ, ყველაფერი ვიცი!

ესეც ახალი ამბავი! — გუნებაში გაიფიქრა იდოხარამ. რას გულისხმობს სიტყვა „კაპიტალში“? მართლაც დაეუქირავე ტაკაკო მიძუხოს ბინა და გარკვეულ თანხას სახარჯოდ ვაძლევ. მაგრამ კაპიტა-

ლის წოდება — ეს უკვე მეტისმეტია! ალბათ, სხვა რამ თუ ქნ.ს მხედველობაში.

— ვერ გამიხსენებია, რომელიმე ქალისათვის რომ კაპიტალი მ-. მეცეს.

— ცრუობთ! საკმარისია ის სალონი ნახოს კაცმა და მაშინვე ნ.. თელი შეიქნება, რა დიდძალი ფული დაჯდა. გგონიათ, არაფერი ვიცი?

— სალონი?! — იდოხარა დაიბნა. ვერ მიხვდა, რაზე გადაუკრა სიტყვა მინაკომ.

— საკუთარი თვალით ვნახე: იმ სალონში მხოლოდ საზღვარგა-რეთული საქონელია გამოფენილი. წარმომიდგენია, რა ფული გაანა-ვეთ მასზე... ის შენობაც იმიტომ იყიდეთ, რომ მას იქ თავისი მა-ღაზია გაეხსნა!

ბოლოს იდოხარა მიხვდა, რას გულისხმობდა მინაკო და გაოცებუ-ლი დარჩა მის მიერ დაშვებული შეცდომით. ამავე დროს შეებაც იგრძნო: მაშასადამე, ქალმა არაფერი იცის ტაკაკო მიძუხოზე. ჩანს, მინაკო დარწმუნებულია, რომ სწორედ ფუკუსიმაა იდოხარას ახალი საყვარელი. ის იყო, იდოხარა ამ წარმოუდგენელი ეჭვის სასაცილოდ აგდებას აპირებდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. მოიცა, უთხრა თა-ვის თავს, მისი ვარაუდის უარყოფა ძნელი არ არის, მაგრამ ღირს განა? რატომ არ უნდა გამოიყენოს განშორების მიზეზად? მართა-ლია, მინაკოს შეცდომის შედეგად. მაგრამ საფუძველი მაინც არის. მით უკეთესი. მთელი პასუხისმგებლობა მას დააწვება, ხოლო როდესაც თავის შეცდომას გაიგებს. უკვე გვიან იქნება. სწორედ ამ ვარაუ-დით წარმართა იდოხარამ შემდგომი საუბარი.

— ყველაფერი, რაც ახლა დამწამე, სისულელეა, —უთხრა მან.

— ასე მიგაჩნიათ? — მინაკომ უნდობლად გააქნია თავი.

— შენ, ალბათ, მხედველობაში გყავს ახლახან ჩემს მფლობე-ლობაში გადმოსულ აღმოსავლეთის ფულადასახმელის შენობაში არსებული სალონის მეპატრონე ქალი. მას არავითარი დამოკიდებუ-ლება არა აქვს ჩემთან. — იდოხარამ განგებ არადამაჯერებელი ტო-ნით თქვა ეს.

— რახან ასეა, ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ. — მინაკომ ყურა-დღებით შეხედა იდოხარას. — განა ყველა ღონე არ იხმარეთ, რა-თა ელექტროსაქონლის მაღაზიისათვის არენდის უფლება ჩამო-

გერთმიათ და სადგომი სალონ „ალილუიასათვის“ გადაგეცათ? იმედია, ამის უარყოფას არ დაიწყებთ.

— არ დავიწყებ.

— მაშ რისთვის გასწიეთ ასეთი ჯაფა, „ალილუიასათვის“ რომ სადგომი მიგეცათ?

— იყო ზოგიერთი გარემოება.

— ვხვდები, რა გარემოებაც იყო.

— ერთმა ადამიანმა, ვისგანაც დიდად დავალებული ვარ, მთხოვა ამის გაკეთება.

— თქვენ, მაშასადამე, იმ ქალისგან დიდად დავალებული ხართ?

— არა, კაცმა მთხოვა.

— ვინ არის ის?

— ვერ გეტყვით, სიტყვა მივეცი, რომ მის სახელს საიდუმლოდ შევინახავდი.

— არ მჯერა თქვენი. ჩემთვის საკვლევია: თქვენ ინტიმურ დამოკიდებულებაში იმყოფებით სალონის მეპატრონესთან და ამიტომ მიეცით სადგომი.

— შენს წინაშე თავის მართლებას აღარ ვაპირებ. უფლება გაქვს, რაც მოგეპრიანება, ის ივარაუდო, — იდოხარა წამოდგა. — მეპატიე, კიდევ ბევრი საქმე მაქვს და უნდა წავიდე. მხოლოდ ერთ რამეს გეტყვი: თუ ადამიანმა რაიმე ირწმუნა, რამდენიც უნდა ეცადო, ელარ გადაარწმუნებ... ოდესმე მოვალ შენთან და ყველაფერს მშვიდად განვსჯით, ახლა კი მშვიდობით.

— მისი სახელი ფუკუსიმაა? — მინაკოს მწარედ გაეღიმა.

— როგორც ვხედავ, ყველაფერი გცოდნია. ვინ გიამბო?

— მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ ეს არ გეხებათ. — მინაკო ფანჯრისაკენ მიბრუნდა და წაიჩურჩულა: — ჩემთვის გასაგებია, რისთვისაც მოხვალთ ოდესმე ჩემთან. მანამ მეც მაქვს ზოგი რამ გადასაწყვეტი. მაგრამ გაფრთხილებთ: ასე იოლად ვერ მომიშორებთ.

* *

მეორე დღეს მინაკო სალონ „ალილუიაში“ შეიდა. სალონი მშვენიერად იყო მოწყობილი. ორივე მხარეს, მძიმე ფარდებივით, მთელი სიგანით ჩაშოეკიდებინათ სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილი, რაც მდიდრულ ატმოსფეროს ქმნიდა. მაღაზიის ცენტრში იდგა მინის ვიტრინები,

ქალთა ტუალეტის ყოველგვარი სამკაულით რომ ბრწყინავდა. რამდენიმე ახალგაზრდა გამყიდველი გოგონა მყიდველებს ემსახურებოდა— ტანისამოსის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, საკმაოდ შეძლებულ მყიდველებს.

მთელი სალონი თანამედროვე სტილში იყო გაფორმებული. ძვირფასი საზღვარგარეთული ქსოვილების ნიმუშების ირგვლივ საკმაო სივრცე რჩებოდა, რათა მყიდველებს ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ და თავისუფლად დაეთვალიერებინათ. გამყიდველი გოგონები კარგად იყვნენ გაწვრთნილნი, თავი მოკრძალებულად ეჭირათ და არ ცდილობდნენ თავიანთი საქონელი თავზე მოეხვიათ. როცა მინაკო შიგ შეეიდა, ისინი უსიტყვოდ მიესალმნენ და მაშინვე თავიანთ საქმეს მოჰკიდეს ხელი, რათა მშვიდად დათვალიერების საშუალება მიეცათ. ეს ძალდაუტანებლობის თავისებურ ატმოსფეროს ქმნიდა. მინაკომ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ქსოვილებს ათვალიერებდა და ნელა შემოუარა სალონს. ლამაზად მოპირკეთებული სარკიანი კარის მოპირდაპირე მხარეს შეჩერდა. ალბათ, ამ კარს იქით ტანსაცმლის მოსაზომებელი ოთახი და სალონის მეპატრონის კანტორაა, გადაწყვიტა მან. მინაკო ფუკუსიმას გამოჩენის მოლოდინში განაგრძობდა ნიმუშების თვალიერებას.

ნემოტომ მართალი მითხრა, — ფიქრობდა ქალი, წინადღეს იდოხარასთან შეხვედრისას მიხვდა, რომ ის არც თუ გადაჭრით უარყოფდა იმ ქალთან კავშირს. მართალია, თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არ იცოდა რის შესახებ იყო ლაპარაკი, მაგრამ მას ვერ მოატყუებს. და ნუ იფიქრებს, რომ მინაკო უსიტყვოდ გადაიტანს ღალატს.

მინაკო უკვე კარგავდა მოთმინებას, როდესაც ერთ-ერთმა მყიდველმა ქალმა სალონის მეპატრონის მოწვევა ითხოვა, სურდა რჩევადარიგება ეკითხა ფასონის შერჩევის თაობაზე. გამყიდველი ქალი მინის კარს მიეფარა და მალე იქიდან გამოვიდა და ხლოებით ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის ქალი. მინაკომ ერთი შეხედა თუ არა, მაშინვე იმედი გაუცრუვდა. ელეგანტურად კი იყო ჩაცმული, მაგრამ უბრალო და არც თუ ძალიან ლამაზი სახე ჰქონდა. მინაკომ უნებურად თავი მას შეადარა და თავის უპირატესობას მიხვდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მიმართა მან ყველა მყიდველს, მათ შორის მინაკოსაც და საჩქაროდ იმ მანდილოსნისკენ გაემართა, რომელმაც გამოიძახა.

მინაკო სალონის მეპატრონეს ალმაცერად უმზერდა და თან ნაჭერს

სინჯავდა. ფუკუსიმას მოკრძალებულად ეცვა — ალბათ იმიტომ, რომ მეტისმეტად არ გამორჩეულიყო მყიდველ ქალთა შორის. მისი ერთადერთი სამკაული გახლდათ ბეჭედი, დიდი, ალბათ, ორ კარატზე უფრო მეტი ბრილიანტის თვალით. ფუკუსიმა ჩვეულებრივზე უფრო აღგზნებულად ლაპარაკობდა: ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა სალონის ახალ სადგომს.

რაც მეტს უყურებდა მას მინაკო, მით მეტ მტრობას გრძნობდა სალონის ამ თვითკმაყოფილი მფლობელისადმი. როგორც კი მყიდველი თავისი კაბის ფასონზე შეუთანხმდა, მინაკომ ყურადღებით შეხედა ფუკუსიმას. ქალმა იგრძნო მისი მზერა და მაშინვე მასთან მივიდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — გაიმეორა მან. — თუ შეარჩიეთ რაიმე თქვენი გემოვნების მიხედვით?

— გმადლობთ. მშვენიერი სალონი და საუცხოო ქსოვილები გაქვთ.

— მხოლოდ პირველხარისხოვანი საქონლის გამოფენას ვცდილობთ.

— მაპატიეთ მოურიდებელი კითხვა: ამ საქმეში, ალბათ, საკმაოდ დიდი კაპიტალი დააბანდეთ, არა? — მინაკომ ფართოდ გაშლილი ხელი მოავლო სალონს.

— მართალი ბრძანდებით.

— და ყოველივეს თქვენ თვითონ მიაღწიეთ?

— დიახ.

— თქვენ, უბრალოდ, გამოჩენილი პიროვნება ბრძანდებით. — მინაკოს ხმაში თითქოს დაცინვა მოისმოდა. — მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე ვერ შეეძლებდი ასეთი შესანიშნავი სალონის გახსნას. თქვენ იღბლიანი ქალი ხართ.

ფუკუსიმამ რაღაც უჩვეულო შეიგრძნო იმ ტონში, რომლითაც ეს სიტყვები იყო ნათქვამი. მეტად თავაზიანი ღიმილი გაუქრა სახიდან და გაფართოებული თვალები მინაკოს მიაშტერა.

— და მაინც, მსხვილი საქმოსნის დახმარების გარეშე, ალბათ, არაფერი გამოგივიდოდათ. მხოლოდ ასეთი მფარველის წყალობით შეიძლება ივაჭრო გინზის საუკეთესო ადგილას. ხომ მართალია?

ფუკუსიმა ოდნავ დაიბნა.

— მისმინეთ, ეს შენობა, თუ არ ვცდები, ამჟამად ბატონ იდოხარას ეკუთვნის, არა?

— არ ცდებით.

— და, მაშასადამე, თქვენი სალონიც? მხედველობაში მაქვს, რომ ის საზიარო მფლობელობაშია.

— არავითარ შემთხვევაში! — მოუჭრა ფუკუსიმამ. მისი ხმა თავშეკავებულად ეღერდა, მაგრამ თვალებში გულისწყრომ მ გაუელვა.

— მაშ ყველაფერი საკუთარი შრომით მოიპოვეთ?

საბედნიეროდ, ფუკუსიმა ახლად მოსულ მყიდველთან იხმეს, მანაც გაგულისებულმა მხრები აიჩეჩა და მოუბოდიშებლად ჩაუარა მინაკოს. ერთ ხანს მინაკოს ირგვლივ თითქოს ვაკუუმი შეიქმნაო — სხვა მყიდველი ქალები სალონის მეპატრონეს შემოეხვივნენ.

თუმცა სიგარეტი არ ჰქონდა, მინაკომ ჩანთიდან ლამაზი სანთებელა ამოიღო, გაატკაცუნა და ქსოვილის ჩამოკიდებულ ნიმუშთან ნელა მიიტანა. მაშინვე ზემოთ აიჭრა კვამლის ჭაღი და შეტრუსული შალის სუნი დადგა.

ფუკუსიმასთან ლაპარაკით გართულ არც გამყიდველ და არც მყიდველ ქალებს ყურადღება არ მიუქცევიათ ცეცხლის ყვითელი დაკლაკნილი ალისათვის, რომელიც ქსოვილზე ზემოთ მიცოცავდა.

ქალი, რომელმაც ხანძარი გააჩინა

იდოხარას კანტორაში ცუკიძის პოლიციის განყოფილებიდან დარეკეს. სამძებრო განყოფილების უფროსი რეკავდა.

— კომპანიის პრეზიდენტთან მინდა ლაპარაკი, — უთხრა მან მდივანს.

— ბატონი იდოხარა საქმეებზეა წასული. რა საკითხთან დაკავშირებით გჭირდებათ? — ოკუნო გაოცებული იყო: ცუკიძის პოლიციის განყოფილებიდან მათ კანტორაში პირველად რეკავდნენ.

— ამის თაობაზე პირადად მისთვის მინდოდა მეცნობებინა.

— ასეთ შემთხვევაში ვერაფრით დაგეხმარებით.

— თქვენ პრეზიდენტის მდივანი ბრძანდებით?

— დიახ.

— ალბათ, პრეზიდენტის ზოგიერთი პირადი საქმის კურსში იქნებით.

— დიახ... — ოკუნო მიხვდა, რომ მოხდა ისეთი რამ, რაც იდოხა-

რას ეხებოდა. იქნებ იდოხარას არყოფნისას მისი მძღოლი მოხდა ავარიაში?

— მაშინ გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ დაკავებულია ქალი, რომელიც თქვენი პრეზიდენტის ნაცნობობას აცხადებს. მისი დასტური გვინდოდა.

— რა ჰქვია? — ოკუნომ გაფითრებული თითები ფანქარს მოუჭირა. ჯერ იფიქრა, ალბათ, საქმე ეხება ავარიაში მოყოლილ იდოხარას ერთ-ერთ ნაცნობს, რომელსაც მისი გვარის დასახელებით თავისი დანაშაულის შემსუბუქების იმედი აქვსო.

— მისი გვარია მინაკო ტაკემურა. ამბობს, კინომსახიობი ვარო.

— დიახ, ის ნამდვილად ბატონ იდოხარას ნაცნობია. რა დანაშაული ჩაიდინა?

— მართლაცდა, ამას შეიძლება სერიოზული დანაშაული ეწოდოს.

— დანაშაული?!

— დიახ, მან ხანძარი გააჩინა სალონ „ალილუიაში", რომელიც მდებარეობს გინზაზე აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობაში. დაიწვა ორმოცი ათას იენზე მეტი ღირებულების საზღვარგარეთული ქსოვილის ნიმუში. სხვა ნიმუშების დაწვასაც შეეცადა, მაგრამ სალონის თანამშრომლებმა და მყიდველებმა შეუშალეს ხელი.

— ყოვლად შეუძლებელია! — წამოიყვირა ოკუნომ. მას ვერ წარმოედგინა, რომ მინაკომ ასეთი დანაშაული ჩაიდინა. მაგრამ სამძებრო განყოფილების უფროსმა თქვა მისი ნამდვილი გვარი, რომელიც ძალზე ცოტამ იცოდა, და არა სამსახიობო ფსევდონიმი. როგორც ჩანს, ცეცხლი მართლაც მინაკომ გააჩინა.

— ეს ქალი ახლაც თქვენს განყოფილებაშია?

— დიახ, გარემოებათა გარკვევამდე დავაკავეთ. ძალზე აღგზნებულია. ეტყობა, რაღაც მიზეზის გამო სალონის მეპატრონესთან ანგარიშის გასწორება სურდა.

— სალონის მეპატრონის გვარს ხომ ვერ მეტყვით?

— ფუკუსიმა. სხვათა შორის, ვერაფრით ვერ მიხვდა, რატომ ჩაიდინა მსახიობმა დანაშაული. გვითხრა. მინაკოს პირველად ეხედავ, ადრე არასდროს შემხვედრიაო.

— ქალბატონი ფუკუსიმაც თქვენთანაა?

— არა. მისი განყოფილებაში გამოსაძახებელი მიზეზები არ გექონ-

და. ამიტომ დავკმაყოფილდით თავის სალონში მოცემული ჩვენებებით.

— გასაგებია.

— გთხოვთ, მომხდარი ამბის შესახებ თქვენს პრეზიდენტს მოახსენოთ. ჩვენ მხოლოდ იმის დაზუსტება გვინდოდა, მართლა თუ იცნობდა ამ ქალს.

— გმადლობთ. — ოკუნომ ყურმილი დადო და ჩაფიქრდა. რა მიზნით ჩაიდინა მინაკომ ეს? ცეცხლის წაკიდება ხომ მძიმე დანაშაულია და სერიოზული შედეგებიც მოჰყვება. ანდა, რატომ სძულს მინაკოს „ალილუიას“ პატრონი?

ოკუნოს საკმაოდ ხშირად უხდებოდა მინაკოსთან ყოფნა: იდოხარას დავალებით მასთან მიჰქონდა ხოლმე ფული, წერილები და უკვეთავდა ბილეთებს, როდესაც იდოხარა მასთან ერთად მიემგზავრებოდა. აი, ამას წინათაც, იდოხარა მინაკოსთან ერთად ნაგანოს პრეფექტურაში ცხელ წყლებზე რომ გაემგზავრა, სასტუმროში ნომრები დაუჯავშნა. მთელი რიგი ნიშნებისდა მიხედვით ოკუნო ხვდებოდა, რომ ბოლო ღროს იდოხარამ გული აიცრუა მინაკოზე და მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. როდესაც ოკუნო იდოხარას გაგზავნილ ფულს გადასცემდა ხოლმე, მინაკო ხშირად უჩიოდა თავის მფარველს, გესლიანად დასცინოდა და ერთთავად აინტერესებდა, სხვა ქალი ხომ არ ჰყავს იდოხარასო. ოკუნო ამშვიდებდა, ეუბნებოდა. არ მჯერა. რომ იდოხარამ ახალი საყვარელი გაიჩინაო. სიმართლე რომ ვთქვათ, არც კი იცოდა ამის შესახებ, თუმცა იდოხარას პირადი მდივანი იყო.

ოკუნომ ივარაუდა, ალბათ „ალილუიას“ პატრონია იდოხარას ახალი საყვარელიო. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ უნდა გაეჩინა მინაკოს მის სალონში ხანძარი? ამის თაობაზე უნდოდა ნემოტოსთვის ეკითხა, მაგრამ ის კანტორაში არ აღმოჩნდა...

უპირველეს ყოვლისა, მომხდარი ამბავი იდოხარასათვის უნდა შეეტყობინებინა. ოკუნომ კალენდარზე მის ჩანაწერებს დახედა. ამჟამად იდოხარას მმართველი პარტიის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარესთან ჰქონდა დანიშნული შეხვედრა. მაშინვე იქ დარეკა. უპასუხეს, ოციოდე წუთია, რაც იდოხარა წავიდაო. შემდეგ კალენდარზე აღნიშნული იყო შეხვედრა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსთან. იქიდან

უპასუხეს, იდოხარა ჯერ არ გამოჩენილაო. ალბათ ისევ გზაშია, — გაიფიქრა ოკუნომ და უთხრა:

— როგორც კი ბატონი იდოხარა მოვა, სთხოვეთ, კანტორაში დარეკოს.

ოკუნო მართლა აღელდა. მინაკომ ქსოვილის მხოლოდ ერთ ნიმუშსაც თუ წაუკიდა ცეცხლი, სულ ერთია, შეუძლიათ სასამართლოს გადასცენ. ამას კი, შესაძლოა, მეტისმეტად სერიოზული შედეგი მოჰყვეს. რადგან საქმე კინომსახიობს ეხება, პრესა და რადიო ხმაურს ატეხს. მან წარმოიდგინა გაზეთებში, რადიოსა და ტელეგადაცემებში ერთმანეთის გვერდით როგორ იქნებიან მოხსენიებული მინაკოსა და იდოხარას სახელები. მარტო ამის გაფიქრებაზეც კი შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

ტელეფონის ზარი აწკარუნდა. გახარებულმა ოკუნომ ყურმილს სტაცა ხელი, ეგონა, იდოხარა რეკავდა.

— სინამი ვარ, — მოისმა ყურმილში ოდნავ ჩახლეჩილი ხმა.

— გისმენთ, — ოკუნო უნებურად წელში მოიხარა.

— ბატონი იდოხარა ადგილზეა?

— არა, დიდი ხანი არაა, რაც საქმეზე წავიდა.

— სად? — სინამის ხმაში მოუთმენლობა იგრძნობოდა.

— მმართველი პარტიის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარესთან აქვს დანიშნული შეხვედრა.

— მაშასადამე, ახლა იქაა?

— იქიდან მაცნობეს, რამდენიმე წუთის წინ წამოვიდაო. შემდეგ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში უნდა მისულიყო...

— დარწმუნებული ხართ, რომ სამინისტროში წავიდა?

— ასეა აღნიშნული მის კალენდარზე.

სიმართლე რომ ითქვას, ოკუნო სრულებითაც არ იყო დარწმუნებული, ვინაიდან იდოხარა ხშირად ცვლიდა თავის გეგმებს შეუტყობინებლად.

— რა უიღბლობაა, — ამოიხვნეშა სინამიმ.

— სასწრაფო საქმე გაქვთ მასთან?

— მეტისმეტად! გთხოვთ, პირველი შესაძლებლობისთანავე დაუყოვნებლივ დამაკავშიროთ მასთან. — სინამის ხმა უკანკალებდა და ჩვეულებრივი სიმტკიცე არ იგრძნობოდა მასში.

— ყველაფერს ვიღონებ.

— ძალიან გთხოვთ, ვინაიდან მართლაც სასწრაფო საქმეა.

რაღაც მოხდა, გაიფიქრა ოკუნომ და ყურმილი დადო. რადგან სინამი რეკავს, მაშასადამე, ეს კომპანიის საქმეებთანაა დაკავშირებული. მაგრამ იდოხარას ჯერ მინაკოს ამბავი უნდა აცნობოს. ოკუნომ კვლავ დარეკა სამინისტროში, მაგრამ იქიდ-ნ უპასუხეს, ჯერ არ მოსულაო.

— მგონი, საერთოდ არ აპირებს ჩვენთან მოსვლას, — უპასუხა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მდივანმა.

ოკუნო დაიბნა. ყოველი შემთხვევისათვის მან სიოძისა და რიოსაბუროს დაურეკა, მაგრამ იმათაც არაფერი იცოდნენ.

კვლავ დარეკა სინამიმ.

— იდოხარა სამინისტროში არ არის, — უთხრა მან. — შეძელით მასთან დაკავშირება?

— სამწუხაროდ, ვერა. აქაც გამოჩნდა სასწრაფო საქმე და ყველანი ბატონ იდოხარას დაეძებთ.

— სასწრაფო საქმე? იქნებ, იცოდეთ... — სინამიმ აღარ დაამთავრა წინადადება. მან ისევ სთხოვა, სასწრაფოდ მოენახა იდოხარა და ყურმილი დაკიდა.

იდოხარას მონახვა არ მოხერხდა, მაგრამ აღარც სინამის დაურეკავს. ოკუნო დაბნეული დადიოდა კაბინეტში და ვერ მოეფიქრებინა, კიდეე რა ეღონა. არ იცოდა, რომ სინამი და იდოხარა უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ოტელ ტ.-ს ჰოლში და ხმადაბლა საუბრობდნენ.

— კარგია, რომ დამიკავშირდით. თქვენი მდივანი, როგორც ჩანს, ყველგან დაგეძებთ და ძალიან ღელავს, — უთხრა სინამიმ.

— ყოველთვის როდი ვეუბნები, სად მივდივარ. ასე უფრო იოლია საიდუმლოს შენახვა. — ნახევრად ჩაბნელებულ ჰოლში იდოხარას სახის გამომეტყველება განსაკუთრებით პირქუშ'ი ჩ.ნდა. — იქ, სადაც ახლა ვიყავი, „ალილუიაში“ მომხდარი ინციდენტის შესახებ მიამბეს და მაშინვე თქვენ დაგირეკეთ.

— ვიმედოვნებ, მეგაზეთეებისაგან არ გაგიგიათ ეს ამბავი?

— არა. — ცეცხლის წაკიდების შესახებ იდოხარას ტაკაკო მიძუხომ უთხრა. როდესაც ფუკუსიმამ ტაკაკოს დაურეკა და მომხდარი ინცინდენტის შესახებ უამბო, იდოხარა სწორედ მასთან იმყოფებოდა. ფუკუსიმას აზრადაც არ მოსვლია, რომ მინაკო იდოხარას საყვარელი იყო. ეს არც ტაკაკო მიძუხომ იცოდა. ამიტომ იდოხარას ისე, სხვათა შორის უთხრა, წარსულში ცნობილმა კინომსახიობმა ქალმა სალონ „ალილუიაში“ ძვირფას ქსოვილს ცეცხლი წა-

უკიდაო. იდოხარა მაშინვე დაუკავშირდა სინამის და ოტელ ტ.-ში დაუნიშნა შეხვედრა.

ერთხელ იდოხარას სინამისთან წამოსცდა, მინაკო ჩემი საყვარელიაო. აი, რატომ აფორიაქდა სინამი, როდესაც „ალილუიაში“ მომხდარი ამბავი გაიგო.

— მაინც რა მოხდა? — სინამის სახე გაოცებას გამოხატავდა. ვერ მიმხვდარიყო, იდოხარას საყვარელმა რატომ გააჩინა ხანძარი მისი საყვარლის სალონში.—იცით, მინაკო ფუკუსიმას მივარდა და დაებრალა, თითქოს თქვენ მისი საყვარელი ხართ.

— წარმოუდგენელი შეცდომა მოხდა, — ნაღვლიანად მიუგო იდოხარამ.

— მაშასადამე. მან გადაწყვიტა, რომ ფუკუსიმა თქვენი ახალი საყვარელია.

— როგორც ჩანს, ასეა. ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, გული ამიცრუვდა მინაკოზე. მან ეს იგრძნო და ნერვულობა დაეტყო. რატომღაც მინაკომ ირწმუნა, რომ ფუკუსიმა ჩემი საყვარელია და სკანდალი მოაწყო „ალილუიაში“.

— წარმოგიდგენიათ! გაფიქრებაც კი მზარავს, რა შეიძლება ჩაიდინოს შეურაცხყოფილმა ქალმა.

მინაკოს შემთხვევა განსაკუთრებულია. ადრე სულ სხვანაირი იყო. მაგრამ ბოლო დროს სამუშაოს აღარ სთავაზობენ და ეს მეტისმეტად აღიზიანებს. ამავე დროს ისიც იგრძნო, რომ მასზე გული ამიცრუვდა...

— ჩემთვის ახლა მეტ-ნაკლებად ყველაფერი ნათელია. ხომ ვერ მეტყვით, რომელი საათია?

— პირველი სრულდება.

— მაშ ასე, საღამოს გაზეთების ბეჭდვა ჯერ არ დაუწყიათ.

— ბატონო სინამი, სწორედ ამის შესახებ მინდოდა მეთხოვა: ყველაფერი იღონეთ, ეს ამბავი გაზეთში არ მოხვდეს. წარმოგიდგენიათ, ამას რა მოჰყვება, ჩემი და თქვენი სახელი „ალილუიაში“ მომხდარ აურზაურთან დაკავშირებით რომ ახსენონ?

— ეგღა გვაკლია! ზოგი რამ უკვე ვიღონე. ვფიქრობ, კიდევ უნდა შევახსენო.

— გთხოვთ! მინაკო პოლიციაში დააკავეს და ახლა დაკითხვას აწარმოებენ. რეპორტიორები სიხარულით ჩაეჭიდნენ ამ მასალას: მინაკო ხომ პოპულარული კინომსახიობი იყო ერთ დროს.

— კეთილი. აქ დამელოდეთ. ახლავე დავუკავშირდები ტელეფონით რედაქციებს. — სინამი საჩქაროდ წამოდგა. სინამის მოლოდინში იდოხარა ჩაფიქრდა: როგორ წარმოიშვა ასეთი გაუგებრობა? საეჭვოა, მინაკოს თვითონ ეფიქრა, თითქოს ფუკუსიმა მისი საყვარელია. ალბათ, ვიღაცამ მიაწოდა ეს აზრი და საღერღელი აუშალა. მაგრამ ხეტავ ვინ?

ხანძრის ნაპერწკლები

ნემოტომ „ალილუიაში" მომხდარი ინციდენტის შესახებ დღის მეორე ნახევარში გაიგო. სადილის შემდეგ სამდივნოში შეიხედა. ოკუნომ მაშინვე მიმართა:

— შემთხვევით, ხომ არ იცით, სად არის ბატონი იდოხარა?

— არ ვიცი. რა წერია კალენდარზე?

— ვნახე, მაგრამ ბატონი იდოხარა აღნიშნულ ადგილზე არ აღმოჩნდა.

ნემოტომ ყურადღება მიაქცია, რომ მდივანი საოცრად აღელვებული იყო.

— ხომ არაფერი მოხდა? — შეეკითხა ის.

— დიახ. ცუკიძის პოლიციის განყოფილებიდან დარეკეს, პირადად უნდოდათ ბატონ იდოხარასთან ლაპარაკი.

— ცუკიძის განყოფილებიდან? რა საქმეზე? — შეეკითხა გაოცებული ნემოტო.

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

არ ყოფილა შემთხვევა, — ფიქრობდა ნემოტო, პოლიციის განყოფილებიდან უშუალოდ „ორიენტის" პრეზიდენტთან დაკავშირება რომ მოესურვებინოთ. რასაკვირველია, იდოხარას ახლაც აქვს რაღაც საქმეები, მაგრამ ისეთი შავბნელი არა, უბნის პოლიციის ჩარევას რომ მოითხოვდეს. ალბათ, რაიმე თუ შეიტყვეს საპოლიციო ქრონიკაზე მომუშავე კორესპონდენტებმა, მაგრამ მათ შორის ნემოტოს ნაცნობი არ ჰყავდა. შეიძლებოდა უშუალოდ ერთ-ერთი გაზეთის რედაქციისთვის მიემართა, მაგრამ ინტუიცია უკარნახებდა ეს არ გაეკეთებინა. ერთი რამ ნათელია: პოლიციას სურდა იდოხარას საშუალებით გაერკვია რაღაც მნიშვნელოვანი, შესაძლოა, მისთვის არც თუ სასიამოვნო საკითხი.

ნემოტო დიდხანს ფიქრობდა, ვისთვის მიემართა და ბოლოს მორიტას დაურეკა. რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა, რომ სპორტული გაზეთის კორესპონდენტი პოლიციური ამბების კურსში იქნებოდა, მაგრამ მორიტას, შესაძლოა, მეგობრები ჰყავდა სხვა გაზეთების რეპორტიორებს შორის და მათგან მიიღებდა ზოგ-ზოგ ცნობას.

მორიტამ დიდხანს არ ალოდინა. ნემოტომ კანტორის მყუდრო კუთხეში გაიყვანა და ყოველგვარი შესავლის გარეშე უთხრა:

— ერთი უცნაური საქმეა და როგორც კორესპონდენტი, ხომ ვერ შეძლებდით ცუკიძის პოლიციის განყოფილებაში გაგერკვეთ? მესმის, რომ სპორტული გაზეთი არ არის დაკავშირებული პოლიციურ ქრონიკასთან, მაგრამ მაინც შეეცადეთ.

— არაფერი არ გამოვა, — უმალ უპასუხა მორიტამ. — იქ სპორტულ რეპორტიორს ყურსაც არ ათხოვებენ.

— პოლიციასთან დაკავშირებულ კორესპონდენტებს შორის ხომ არ გყავთ ნაცნობები?

— მყავს ზოგი ვინმე.

— მაშინ მათი საშუალებით გაიგეთ. საქმე ეხება იდოხარას. მის სახელს ნუ ახსენებთ. ზოგადად გაიგეთ, რა მოხდა ცუკიძის განყოფილებაში — დანარჩენს თვითონ მიეხვდებით.

ერთი საათის შემდეგ მორიტა ნემოტოს ურეკავდა:

— აქვე ახლოს ვიმყოფები. უნდა მოგელაპარაკოთ.

— წარმატებაა?

— დიახ.

— მაშ გინზაზე მდებარე კაფეში შეეხვდეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნემოტო კაფეში შეეიდა. მორიტა უკვე იქ ელოდა.

— აქ დაბრძანდით, გეთაყვა. — კმაყოფილი მორიტა იღიმებოდა.

ნემოტო მოპირდაპირე მხარეს დაუჯდა, მორიტამ მიმოიხედა და ჩურჩულით დაიწყო:

— გინზაზე არის აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობა. ამბობენ, მისი მეპატრონე იდოხარაა. ამ შენობის პირველ სართულზე მოთავსებულია სალონი „ალილუია", რომელსაც ქალბატონი ფუკუსიმა განაგებს. ჰოდა, სალონში შეეიდა ერთი ქალი და სანთებელათი ქსოვილის ნიმუშს ცეცხლი წაუკიდა.

— ალბათ ის ქალი შეშლილია, არა?

— სრულებითაც არა. იცით, ვინ არის? კინომსახიობი მინაკო.

— მინაკო? შეუძლებელია!—თავზარდაცემულმა ნემოტომ რეპორტიორს შეხედა.

— მაშასადამე, თქვენ იცნობთ? ამბობენ, იდოხარასთან ახლო ურთიერთობაშიაო.

ნემოტო გაჩუმდა. ვერც კი წარმოედგინა, რომ ამ ცოტა ხნის წინ მინაკოსთან შეხვედრისას მის მიერ ნათქვამი სიტყვები ასე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქალზე და ამას მოჰყვებოდა ხანძარი „ალილუიაში". განა თვითონ არ უთხრა მინაკოს, ფუკუსიმა იდოხარას ახალი საყვარელიაო? მაშინაც შეატყო, რომ მისმა ნათქვამმა გააოცა მსახიობი, სახეც კი შეეცვალა, მაგრამ სწრაფად შეიკავა თავი. ამიტომ არაფერი არ წინასწარმეტყველებდა ასეთ მოულოდნელ შედეგს. ნემოტომ ამოიოხრა. ეტყობა, „წამალი" ძალზე ძლიერი აღმოჩნდა და მინაკოს უაზრო საქციელისაკენ უბიძგა. ახლა გამოაშკარავდება, რომ მინაკო და ფუკუსიმა იდოხარას საყვარლები არიან. ეეჭველია, პოლიცია უკვე შეუდგა ამ საქმეს და მინაკოს დაკითხვისას მისგან შეიტყო იდოხარას თაობაზე. ტყუილად როდი დარეკეს კანტორაში, ჰოდა, ოკუნოც აქეთ-იქით აწყდება თავისი უფროსის ძებნაში.

სულელი ქალი, — გაიფიქრა ნემოტომ, როცა კვლავ მინაკოზე დაიწყო ფიქრი. თუ დასცდა, რომ ჩემგან გაიგო, თითქოს ფუკუსიმა იდოხარას საყვარელია, ჩემი საქმე გათავებულია: „ორიენტიდან" წასვლა მომიწევს. ყველაფერი ასე გულდასმით იყო მოფიქრებული და მინაკოს სულელური ეჭვიანობის გამო წყალში ჩაიყარა. ნემოტო გაოგნებული იყო.

— მაშასადამე, მინაკო პოლიციაშია დაკავებული? — ხელახლა შეეკითხა მორიტას.

ქსოვილის მარტო ერთი ნიმუშიც რომ დაეწვა, სულ ერთია, ცეცხლის წაკიდების ბრალდება ძალაში რჩება და, საეჭვოა, გაათავისუფლონ, ფიქრობდა ნემოტო. დღეევანდელ საღამოს საპატიმროში გაატარებინებენ, ხვალიდან კი, დაკითხვას დაიწყებენ, როგორც წესი და რიგია, მაშინ ყოფილი მსახიობი იფიქრებს, დასაკარგავი აღარაფერი მაქვსო და ყველაფერს დაფქვავს. ნემოტოს უსიამოვნო ერუანტელმა დაუარა.

— ალბათ, მეგაზეთეებისათვის უკვე ცნობილია, რომ მინაკო იდოხარას საყვარელია, — თქვა მან.

— დიახ, ეს ამბავი მათ იციან, — ხმადაბლა დაუდასტურა მორიტამ. — მაგრამ, აი, რა არის საინტერესო: ცუკიძის პოლიციის განყო-

ფილებას თვით ფუკუსიმამ მიმართა თხოვნით გაეთავისუფლებინათ მინაკო. დაზარალებული დათანხმდა. თავდებად დადგომოდა მას. ამან პოლიციაში დაბნეულობა გამოიწვია. კიდევ ერთი გარემოება: სალონ „ალილუიაში“ მომხდარი ინციდენტის თაობაზე არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია გაზეთების საღამოს გამოშვებებში.

— ჩანს, უკვე მოახდინეს გავლენა რედაქციებზე.—ნემოტომ გაიფიქრა, იდოხარამ კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი სისწრაფე და საზრიანობაო.

— დიახ, რედაქციები აიძულეს გაჩუმებულიყვნენ. ოღონდ მეეჭვება, ამ საქმეში იდოხარას ხელი ერიოს. ჯერ კიდევ არ არის ისეთი გავლენიანი კაცი, გაზეთების ბოსებმა რომ ანგარიში გაუწიონ. თანაც არც იმდენ რეკლამას ათავსებს ჯერჯერობით გაზეთებში, ასე რომ, მეგაზეთეები მატერიალურადაც არ არიან მაინცდამაინც დაინტერესებულნი მისი შეხედულებით.

— მაშინ რა მიზეზია?

— ამბობენ, რომელიღაც პოლიტიკურმა მოღვაწემ სთხოვა გაზეთების ბოსებს, მომხდარ ინციდენტზე ინფორმაცია შეეჩერებინათ.

— ნუთუ? — ნემოტომ მაშინვე გადაწყვიტა, რომ ეს საქმე მინისტრის მოადგილის, სინამის გარეშე არ მოხერხდებოდა. მაშასადამე, როგორც ჩანს, იდოხარამ სინამის მიმართა თხოვნით მიეფუჩეჩებინათ „ალილუიაში“ მომხდარი ინციდენტი,—გაიფიქრა მან. იმ წუთში სხვას ვერაფერს ვერ ხვდებოდა ნემოტო.

მოგოდიშება

— ალბათ, სინამიმ იქონია გავლენა გაზეთების რედაქციებზე,— თქვა ნემოტომ.

— შესაძლოა. სინამი საკმაოდ გავლენიანი კაცია ამისთვის. ყოველ შემთხვევაში, საღამოს გამოშვებებში „ალილუიაში“ მომხდარ ამბავზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

— იდოხარას ბედმა გაუღიმა. სინამისთანა მეგობარი რომ არ ჰყოლოდა, თავი მოეჭრებოდა.

— შერცხვენისა მარტო იდოხარას კი არა, თვით სინამისაც შეეშინდა. სწორედ ამიტომ შემოირბინა რედაქციები.

— მერედა, რა შუაშია აქ სინამი?

— ბატონო ნემოტო, — მორიტამ ეშმაკურად შეხედა მას. — ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ინტუიციამ გიღალატათ.

— რას გულისხმობთ?

— „ალილუიას“ მფლობელი ფუკუსიმა სინამის საყვარელია. ამიტომაც ცდილობდა სალონში მომხდარი ინციდენტის გამოსწორებას.

— შეუძლებელია! — წამოიძახა ნემოტომ. მას ხომ ბოლო წუთამდე ფუკუსიმა იდოხარას ახალ საყვარელად მიაჩნდა, სწორედ ეს აზრი შთააგონა მინაკოსაც. ჰოდა, ამის შედეგი გახლდათ „ალილუიაში“ მომხდარი ინციდენტი.

— პოლიციაში დაკითხვისას მინაკომ აღიარა, მე წავუკიდე ქსოვილს ცეცხლი, ვინაიდან მჯეროდა, თითქოს ფუკუსიმა იყო იდოხარას ახალი საყვარელი. მაგრამ ფუკუსიმამ პირწმინდად უარყო ეს ფაქტი და, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მისი მფარველი სინამი იყო და არა იდოხარა. ამან პოლიცია დააბნია: სინამისთან დაეა არავის უნდოდა. თავიდან, მართალია, არავინ დაუჯერა და სინამის დაუკავშირდნენ. ის მაშინვე მივარდა ცუკიძის პოლიციის განყოფილების უფროსთან და სთხოვა, საქმე მიეფუჩეჩებინათ. მერე სინამი იდოხარას შეხვდა და მძაფრი საქმიანობა გააჩაღეს გაზეთების ბოსებს შორის. ცდილობდნენ, დაეყოლიებინათ, რათა „ალილუიაში“ მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაცია არ გამოექვეყნებინათ.

— როგორ დაუშვა მინაკომ ასეთი შეცდომა? — იკითხა მორიტამ და თან ნემოტოს შესცქეროდა.

— ჩანს, მან გაიგო, რომ ფუკუსიმა იდოხარას დაუხმარებლად ვერ გადაიტანდა თავის სალონს აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობაში. ამან გამოიწვია მისი ეჭვიანობა, ხოლო, როგორც მოგეხსენებათ, ეჭვი არც თუ კარგი მრჩეველია. — ნემოტო დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

— და მაინც, ჩემი აზრით, ეჭვს აყოლილ ქალს, სათუოა, თვითონ მოეაზრებინა ასეთი რამ. ეტყობა, ვიღაცამ განაწყო სათანადოდ. — მორიტამ უცნაურად შეხედა ნემოტოს.

ნემოტომ ოტელში დარეკა. ალბათ მინაკო პოლიციიდან უკვე შინ გაუშვეს. შესაძლოა, მასთან იდოხარა მისულიყო, რათა უგუნური საქციელისათვის გამოელანძღა. საეჭვოა, რომ დაამშვიდოს. ამ შემთხვევას მასთან სამუდამოდ დაშორებისათვის უფრო გამოიყენებს. ასე თუ ისე, ძალზე უხერხული იქნება, თუ დარეკავს და იმ დროს იდოხარა იქ აღმოჩნდება. ნემოტოს სურდა თავისი ბოსისთვის დაეწერო და მინაკო უფრო ადრე ენახა. არ უნდა დაუშვას, რომ მინაკო იდოხარას გამოუტყდეს, თითქოს მან, ნემოტომ, ჩააგონა აზრი, იდოხარას ახალი საყვარელი ჰყავსო. თუ იგრძნო, რომ მინაკოს ოთახში ვინმეა, მაშინვე დააგდებს ყურმილს, გადაწყვიტა ნემოტომ.

ტელეფონთან მინაკო მივიდა.

— ძე ვარ, ნემოტო. მარტო ხართ?

— მარტო ვარ.

მინაკოს ხმა უცნაურად მოეჩვენა.

— თქვენთან შეხვედრა მინდა.

— იცით, რა ხათაბალაში გავები თქვენი შეცდომის გამო, ცეცხლის წაკიდებისათვის კინალამ სამართალში მიმცეს.

— ბოდიში მინდა მოგიხადოთ. რამდენიმე წუთი დამითმეთ. ბატონი იდოხარა თუ გესაუბრათ?

— მოვიდა კიდეც ჩემთან და სულ ახლახან წავიდა.

— შემთხვევით ხომ არ დაგცდენიათ მასთან, რომ მომხდარი ამბის მიზეზი მე ვარ? — ეს იყო ძირითადი საკითხი, რის გულისთვისაც ნემოტომ შეხვედრა სთხოვა მინაკოს, და, თუკი მან მართლაც ყველაფერი უამბო იდოხარას, მაშინ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები.

— არც ისეთი სულელი ვარ, თქვენ რომ გგონიათ,—უპასუხა გაღიზიანებულმა მინაკომ.

— მაშასადამე, ჩემი სახელი არ გიხსენებიათ? — დაინებით ჩაეკითხა ნემოტო.

— რასაკვირველია, არა! განა ვგავარ ენატარტარა ქალს?

— ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სწორედ ასე მოიქცეოდით. დიდად მადლობელი ვარ. — ნემოტომ თავი დაუკრა კიდეც. — ოც წუთში ოტელში ვიქნები.

ტაქსიში ნემოტო იმას ფიქრობდა, როგორ აეხსნა მინაკოსათვის

ყოველივე. მაინც როგორ ვერ მიხვდა თავიდანვე, რომ იდოხარას ახალი საყვარელი ფუკუსიმას მეგობარი, ტაკაკო მიძუხო იყო. ალბათ, სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იდოხარასა და სინამის დაახლოებას.

მინაკო ჰოლის შორეულ კუთხეში იჯდა და თამბაქოს ეწეოდა. ნემოტო მასთან მივიდა და უსმოდ მდაბლად დაუკრა თავი. მინაკოს პირიდან სიგარეტი არც გამოუღია. გაჯავრებულმა ახედა ქვემოდან.

— აქ დაბრძანდით, — უთხრა მან.

— გთხოვთ, მაპატიოთ, ბოდიშს გიხდით მოყენებული უსიამოვნებებისათვის. — ნემოტომ კიდევ ერთხელ დაუკრა თავი.

მინაკო არც შეშფოთებულა მისკენ, გვერდულად იჯდა. მისი ნატიფი პროფილი ჯერ კიდევ ძალზე მიმზიდველად გამოიყურებოდა.

— რატომ მითხარით ამდენი სისულელე? — მინაკომ სიგარეტის ნამწვავი საფერფლეში მაგრად ჩასრისა და ნემოტოსაკენ მიბრუნდა.

— მერწმუნეთ, ბოროტი განზრახვით არ გამიკეთებია.

— ბოროტი განზრახვით არ გაგიკეთებიათ?! იცით კი თქვენ, რა დამცირების გადატანა მომიხდა პოლიციაში? ისინი ისე მიყურებდნენ, როგორც გამოუსწორებელ დამნაშავეს.

— ერთმა კაცმა არასწორი ცნობები მომაწოდა და აი, რა შედეგი მოჰყვა ამას. დანაშაულს მთლიანად ჩემს თავზე ვიღებ და მზად ვარ, გამოვისყიდო.

მინაკო ნიკაპით დაყრდნობოდა ხელებს და გვერდზე იყურებოდა. ნემოტოს მოეჩვენა, რომ მინაკო ისე აღარ ბრაზობდა. დიახ, მართლაც რომ გაგულისებული ყოფილიყო, საერთოდ უარს ეტყოდა შეხვედრაზე. ალბათ, იდოხარას წაეჩხუბა და ჩემს მხარდაჭერას ეძებს, — გაიფიქრა ნემოტომ.

— იდოხარა ძალიან გაბრაზებული იყო თქვენზე?

— ნებისმიერი კაცი გაბრაზდებოდა.

— რა გითხრათ?

— მითხრა. ალბათ, ჭკუიდან შეიშალეო, ამგვარი საქციელისთვის შეეძლოთ შენი დაპატიმრებაო... ახლა, უბრალოდ, არ მჯერა, რომ ასეთი სისულელე ჩავიდინე.

— თქვენ, უბრალოდ, გრძნობებს აჰყეოთ. იდოხარას, ალბათ, ძალიან გაუკვირდა თქვენი საქციელი, არა?

— აბა რა! მითხრა, პირდაპირ თავზარი დამეცა.

— გასაგებია. მისთვის ეს სერიოზული დარტყმა იყო.

— თქვენ უცხოსავით ლაპარაკობთ. ერთი ჩემს ადგილზე ყოფილიყავით.

— კიდევ ერთხელ გთხოვთ, მაპატიოთ... იდოხარას სთხოვეთ პატიება?

— ვუთხარი, რომ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ მსურდა, მის წინაშე ბოდიში მომეხადა.

— ნუთუ? რატომ?

— იმიტომ, რომ ყველაფერი მისი თავქარიანი საქციელის ბრალია. დამნაშავე ისაა და არა მე.

აი, როგორი მიმართულება მისცა ყოველივეს, — გაიფიქრა ნემოტომ და უნებურად გაეღიმა.

— „ალილუიას“ მფლობელი, ალბათ, ვერ მიხვდა, რატომ წაუკიდეთ ცეცხლი, არა?

— ფუკუსიმას წინაშე ძალიან დამნაშავე ვარ. მისი მფარველი — ბატონი სინამი — მეტისმეტად შეშინდა. რედაქციებში ბევრი ირბინა, ინციდენტის შესახებ გაზეთებში რომ არაფერი დაებეჭდათ. მისი წყალობით სწრაფად გამომიშვეს პოლიციიდან.

— თავისთავად ცხადია! ბატონი სინამი ძალიან წუხდა იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, გამოაშკარავებულიყო მისი ურთიერთობა „ალილუიას“ მფლობელთან.

ნეტავი მენახა, იდოხარა და სინამი დაფეთებულნი რომ დარბოდნენ და არ იცოდნენ, სად წასულიყვნენ.

— მომავალში როგორი იქნება თქვენი ურთიერთობა იდოხარასთან? თქვენ თქვით, ვიჩხუბეთო. მაგრამ, ალბათ, ეს დროებითი ამბავია, არა?

— არ ვიცი. ძალზე გაბრაზებული წავიდა. შესაძლოა, მერე ვიმე გამომიგზავნოს, რათა განშორების თაობაზე ოფიციალურად მომელაპარაკოს.

— ვფიქრობ, აქამდე არ მიეა საქმე, — უთხრა ნემოტომ, თუმცა გულის სიღრმეში არ გამორიცხავდა ასეთ შესაძლებლობას. ასეა თუ ისე, „ალილუიაში“ მომხდარი ინციდენტი იდოხარასათვის ხელსაყრელი მიზეზი გახლდათ მინაკოსთან ურთიერთობის გასაწყვეტად.

— იქნებ სწორედ თქვენ გამოგგზავნოთ ჩემთან პირობების შესათანხმებლად.

— არაფრის გულისათვის არ დავთანხმდები. რაც გინდათ, მთხო-

ვეთ. ოღონდ ეს არა. არც ისეთი სქელკანიანი ვარ, რომ ამგვარი მისია ვიკისრო.—ხელები გაასავსავა ნემოტომ.

— მართლა? — მინაკომ პირველად გაიღიმა.

— უდავოდ! დაე, ვინმე სხვას მიმართოს.

— მაშასადამე, თქვენი აზრით, იდოხარამ საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემთან განშორება?

— არა, ეს როდი მქონია მხედველობაში.

— ბატონო ნემოტო, დამრთავთ ნებას, ზოგჯერ მოგეთათბიროთ ხოლმე? — მინაკომ მასთან ახლოს მიიწია.

მომზადება

ნემოტომ იგრძნო, რომ ეს ერთი ხანია, იდოხარამ შეცვალა მისდამი დამოკიდებულება. ადრე ხშირად ეთათბირებოდა კომპანიის საქმეებზე, ანდობდა ისეთ საკითხებს, რასაც თავის შვილობილ სიოძისაც კი არ ეუბნებოდა ხოლმე. ხშირად მხოლოდ ნემოტო და იდოხარა იღებდნენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს გამგეობის სხვა წევრების ინფორმირების გარეშე, გარდა ამისა, იდოხარა ზოგჯერ რესტორანშიც პატიჟებდა ხოლმე ნემოტოს.

და, ერთბაშად ყველაფერი შეიცვალა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა „ალილუიაში“ მომხდარი ამბების შემდეგ. ახლა, კანტორაში შეხვედრისას, იდოხარა მხოლოდ ოდნავ უკრავდა თავს და ცდილობდა, სწრაფად გასცლოდა. თან თითქმის აღარ ეძახდა საქმეების გამო. სააქციო კომპანიის წესდების მიხედვით, ნემოტოს ძველებურად იწვევდნენ თათბირებზე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი საკითხები ახლა მისი მონაწილეობის გარეშე წყდებოდა.

რაღაც მოხდება, — შიშით ფიქრობდა ნემოტო. მინაკოსთან საუბარს იგონებდა და, თანდათან რწმუნდებოდა, რომ ქალს, ალბათ, რაღაც წამოსცდა იდოხარასთან. წინაალმდეგ შემთხვევაში, რით უნდა აეხსნა ასეთი მკვეთრი ცვლილება მის და იდოხარას ურთიერთობაში? შესაძლოა, მინაკომ მაშინ არაფერი უთხრა, მაგრამ თუ იდოხარა შემდგომ კიდევ იყო მასთან, ვის შეუძლია თავდებობა, რომ რაღაც წუთებში ქალმა არ უამბო. როგორ შეიყვანა შეცდომაში ნემოტომ. ბოლო შეხვედრისას მინაკო თვითონვე შეეგებრა ნემოტოს. დახმარებოდა და ერჩია რაიმე. ეს გასაგებიცაა: იდოხარას მასზე გული

აუცრუვდა და ქალი ისწრაფოდა ეპოვნა ისეთი პიროვნება, ვისაც დაეყრდნობოდა. და მაინც, ნემოტო ფიქრობდა, რომ ქალი არ იყო გულწრფელი. თუ საღად იმსჯელებდა კაცი, მინაკოსათვის ერთადერთი საყრდენი იდოხარა იყო. და, რა ერთგულებაც უნდა შეეფიცა ნემოტოს მისთვის, სულ ფუჭი სიტყვები იქნებოდა, თუ იდოხარა მასთან ურთიერთობას არ გაწყვეტდა. მინაკო საკმაოდ კარგად იცნობდა მამაკაცებს და მშვენივრად ჰქონდა შეთვისებული ერთი მარტივი ფილოსოფია: მხოლოდ იმ მამაკაცის იმედი უნდა იქონიო, ვინც შენი მფარველია. თუ ამას გავითვალისწინებთ, შეიძლება სრულიად გარკვეით ვიეარაუდოთ, რომ ერთ-ერთი შეხვედრისას მინაკომ იდოხარასთან აღიარა: ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ნემოტომ მითხრა, ფუკუსიმა იდოხარას საყვარელიაო. სხვაგვარად იდოხარა ვერ მიხვდებოდა, მინაკოს უკან რომ ნემოტო იდგა. მაშასადამე. იდოხარას მტრული განწყობილების მიზეზი მინაკოს აღიარება გახდა.

დროა საბრძოლო აბჯარი ავისხა, — ფიქრობდა ნემოტო. აქამდე თავს მშვიდად, იმედიანად გრძნობდა, ვინაიდან იდოხარას წარსული იცოდა. ახლა იდოხარა იაპონიის ფინანსური სამყაროს ერთ-ერთი გამოჩენილი საქმოსანია და, უდავოა, მას არ სურს ცნობილი გახდეს იაპონიის კაპიტულაციის წინ მის მიერ სამხედრო ქონების მითვისების ფაქტები. სწორედ ამიტომ დაიახლოვა ყოფილი ჟანდარმთა ოფიცერი და მისი დუმილის იმედი ჰქონდა. იდოხარას ყველაზე მეტად ფინანსური წრეების მხრიდან ნდობის დაკარგვისა ეშინოდა.

ამგვარად, გარკვეული წონასწორობა იყო უზრუნველყოფილი ნემოტოს მხრიდან გამოაშკარავების უსიტყვო მუქარასა და იდოხარას შიშს შორის. ნემოტოს კრინტიც კი არასოდეს დაუძრავს იდოხარას წარსულზე. ერთგულად ემსახურებოდა კომპანიას და, თუ იდოხარა მიმართავდა ხოლმე, საქმიან რჩევებსაც აძლევდა. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, როგორ აწვა გულზე იდოხარას მისი არსებობაც კი. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდა თვით ნემოტოს.

იდოხარას ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა. ამა თუ იმ წარმოებაში აბანდებდა უდიდეს თანხას, რომელიც ათობით აღემატებოდა მის პირად სახსრებს. ამ ფულს სხვადასხვა მანიპულაციების საშუალებით შოულობდა. მაგრამ თუ ნდობას დაკარგავდა. მაშინ ერთ გროშსაც არავინ ასესხებდა. რა გონებამახვილური ხრიკებიც უნდა მო-

ეფიქრებინა, ყველაფერი ფუჭად ჩაივლიდა, მის გარიგებებს საფუძვლად ნდობა რომ არ ჰქონოდა. მაგრამ ეს ნდობა კვამლივით გაქრებოდა, თუ გამოაშკარავდებოდა წარსულში მისი დანაშაულებრივი მოქმედებანი, — ფიქრობდა ნემოტო. იდოხარას ამიტომ ეშინოდა გამოაშკარავებისა.

სწორედ ამ დღეებში ნემოტომ ხორიკავასგან გაიგო მნიშვნელოვანი ახალი ამბავი. ისინი გინზაზე მდებარე კაფეში შეხვდნენ ერთმანეთს. ხორიკავამ უთხრა:

— ნაგანოს პრეფექტურიდან ნათესავებისაგან წერილი მივიღე. ისინი მწერენ, რომ იქ კაშხალის აგებას სულაც არ აპირებენ.

— განა ადგილი შეუფერებელი აღმოჩნდა?

— საქმე განა ესაა. თურმე, სახლთმშენებელ კომპანია „მანიოსათვის“ თითქმის ოცი ათასი ჰექტარი სახელმწიფო სატყეო ნაკვეთის შესყიდვის უფლება მიუციათ.

—„მანიოსთვის“? კომპანიისათვის, რომელიც ახლა იდოხარას ეკუთვნის?

— ჰო. და ისინი ტყის ხარისხის შესასწავლად ჩასულან და არა კაშხალის ასაგები ადგილის დასათვალიერებლად.

— ის ტყე ხომ სახელმწიფოს ეკუთვნის და ასე იოლად ვერავინ მიიღებს მისი შესყიდვის უფლებას.

— ალბათ უკვე მიიღეს კიდეც: ერთი კვირის უკან სახელმწიფო ნაკვეთების დეპარტამენტის მითითებით იქ გაუქმებულია მეტყევის სადარაჯო ჯიხური.

— ნუთუ? — წამოიყვირა ნემოტომ. ახლა გასაგები შეიქნა, რატომ იყო იდოხარა ასე დაკავებული ბოლო დღეებში. ალბათ, სინამის დახმარებით ცდილობდა ნებართვა აეღო მთავრობის ჩინოვნიკებისაგან.

— მაინც რა დაუჯდათ ეს ტყე?

— ამბობენ, დაახლოებით ორმოცდაათი მილიონი იენიო.

— ორმოცდაათი მილიონი? — ნემოტოს ასეთი ფასი წარმოუდგენლად მცირე ეჩვენა. მხოლოდ იქ არსებული ხეები, ნაკვეთს თუ არ ჩავთვლით, ოცდაათი მილიონი მაინც ღირს. სონეს რაიონში საქვეყნოდ ცნობილი კეიპაროსები და კრიპტომერიებია, რომელთაც, ათობით წელია, ტყისმჭრელის ცული არ შეხებია. შესასყიდი ფული, როგორც ჩანს, დასავლეთ იაპონიის ბანკებმა ასესხეს. სინამის მონაწილეობის გარეშე ვერც აქ გავიდოდა იოლად.

— დარწმუნებული ხარ, რომ მხოლოდ ორმოცდაათი მილიონი გადიხადეს?

— ასე ამბობენ, მაგრამ ზუსტი თანხა არავინ იცის.

ახლა კი მიხვდა ნემოტო, რატომ გადაუხადა იდოხარამ სინამის ზღაპრული თანხა გაკოტრების პირას მყოფ სახლთმშენებელ კომპანია „მანიოში". მიუხედავად მთელი თავისი მოხერხებულობისა, იდოხარა ვერ შეძლებდა თავისი კომპანიისათვის ტყის შესყიდვის უფლება მიეღო. სახლთმშენებელი კომპანია „მანიო" კი სწორედ ამ მიზნისათვის გახლდათ გამოსადეგი.

იდოხარა დიდი კაცი გახდა და ნემოტო მიხვდა: შორს არ არის ის დღე, როდესაც იდოხარას აღარ შეეშინდება მისი და ნემოტოს მშვიდ ცხოვრებას ბოლო მოეღება. ამიტომ გადაწყვიტა, არ დალოდებოდა, ვიდრე ეს მოხდებოდა და ბრძოლა გაემართა იდოხარასათვის.

მან შინ მიიპატიჟა თავისი ყველაზე ერთგული მეგობრები და შესთავაზა, ყოველმხრივ გამოეძიათ იდოხარას მოღვაწეობა. ეს ხალხი — თავის დროზე ნემოტოს ხელქვეითი ჟანდარმები — ერთმანეთს „თანამოაზრეებს" უწოდებდნენ. ნემოტოს მემარჯვენე ელემენტებთანაც ჰქონდა კონტაქტები. თავიდან მისი ჯგუფი ყოფილ სამხედროთა ჩვეულებრივ ამხანაგობას წარმოადგენდა, მაგრამ თანდათან მტკიცდებოდა ორგანიზაციული პრინციპები და მას ახლა უკვე „ნემოტოს ორგანიზაციას" უწოდებდნენ.

მოკლე ხანში ნემოტო კაფეში შეხვდა თავის ერთ-ერთ „თანამოაზრეს", რომელიც ნაგანოს პრეფექტურაში გაგზავნა სახელმწიფო ტყეების გაყიდვის პირობების გამოსარკვევად. ყოფილმა ჟანდარმმა უთხრა:

— ამბობენ, თითქოს იდოხარა სამონადირეო პარკის შექმნას აპირებს იქ.

— რას ნიშნავს ეს?

— საზღვარგარეთ კარგა ხანია შექმნილია ასეთი რაიონები. მათ „ჰანტინგ პარკს"[1] უწოდებენ. იაპონიაში პირველად განიზრახეს ამგვარი რამ. კისოს ტყეებში ბევრი ნადირია. დღემდე იქ სახელმწიფო ნაკრძალი იყო და ნადირი მომრავლდა. ახლა ნადირობის

[1] სანადირო ნაკეთი (ინგლ.).

უფლებასაც მისცემენ. იდოხარამ განაცხადა, მონადირეთა სახლებისა და გასართობი დაწესებულებების გახსნას ვაპირებო.

— გასაგებია, — წაიბუტბუტა ჩაფიქრებულმა ნემოტომ.

ასეთი გეგმის შესახებ იდოხარასაგან ერთხელაც არაფერი სმენია. ისიც კი არ იცოდა, რომ იდოხარას ნადირობა აინტერესებდა. პირიქით, იგი, საერთოდ, სპორტის არც ერთი სახით არ იყო გატაცებული — იშვიათად თუ ითამაშებდა ხოლმე ერთ პარტია გოლფს. ნემოტოს უცნაურად მოეჩვენა იდოხარას განზრახვა — შეექმნა სამონადირეო პარკი.

და მაინც, ამ გეგმის ჩანაფიქრი არც ისეთი სულელურია, — ფიქრობდა ნემოტო. ბოლო დროს ფულიან ახალგაზრდობასა და საზოგადოების მაღალი ფენების ხანშიშესულ ადამიანებსაც კი სულ უფრო ნაკლებად იტაცებთ გოლფი, უფრო იშვიათად დადიან ბეისბოლისტებისა და სუმოს მოჭიდაველთა მატჩებზე. ახლა მათ მეთევზეობა და ნადირობა უფრო იზიდავთ. თანაც კისოს ტყეები საკმაოდ ლაღი ნადირით და ამ მხრივ იქ მონადირეთათვის ნამდვილი სამოთხეა.

— მაგრამ ყოველივე არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს,—განაგრძობდა ყოფილი ჟანდარმი და ნემოტოს შეჰყურებდა, რომელსაც სახეზე იდოხარას ამ ახალი გეგმით გამოწვეული აღფრთოვანება ასახვოდა. — ჯერ ერთი, იმ მთებში ბევრი არავინ წავა სანადიროდ, თანაც ნადირი იქ განა მართლა იმდენია, როგორც ეჩვენება. თუკი ოტელი ანდა სამონადირეო სახლები აშენდება, მრავალი წლის მანძილზე ვერ აანაზღაურებს გაწეულ ხარჯებს. მიმოსვლის საშუალებებიც უაღრესად მოუხერხებელია. ხოლო რაც შეეხება იდოხარას ლამაზ სიტყვებს უბრალო ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟების თაობაზე, მხოლოდ იმისათვის დასჭირდა, რომ სახელმწიფო სატყეო ნაკვეთის შესყიდვის უფლება მიეღო.

— მაშინ საერთოდ რისთვის დასჭირდა ტყით დაფარული მთების ყიდვა?

— როგორც ჩანს, მთელი ოპერაციის მიზანი ერთია: ამ მთებისა და ტყეების დაგირავება და „ეიკო გინკოს“ ბანკისაგან სესხის აღება.

— აი, თურმე, რა ყოფილა! ახლა გასაგებია, რატომ მიიღო ჰონაწილეობა სინამიმ ამ ოპერაციაში.

აქამდე ნემოტო თვლიდა, რომ სინამი, უბრალოდ, დაეხმარა იდო-

ხარას, მიეღო სახელმწიფო სატყეო ნაკვეთის შესყიდვის უფლება. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ორთავემ ერთად ჩაიფიქრა მთელი ეს საქმე „ეიკო გინკოს“ ბანკისაგან ფულის დაცინცვლის მიზნით.

— ხომ არ დაგიზუსტებია, რამდენი ასესხა ბანკმა იდოხარას და რამდენადაა შეფასებული თვით ტყის ნაკვეთი?

— სამწუხაროდ, ეს ჩემთვის არ არის ცნობილი, — უპასუხა ყოფილმა ჟანდარმმა. — როგორც წესი, ბანკებს არ უყვართ თავიანთი ფინანსური ოპერაციების აფიშირება. თანაც თითქმის არავინ იცის, იდოხარამ მისთვის მიყიდული სახელმწიფო ტყე რომ დააგირავა.

— მაგრამ ალბათ უკვე მიმართეს ნაგანოს პრეფექტურის ადმინისტრაციას სამონადირეო პარკის ორგანიზაციის ნებართვის თაობაზე.

— ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცი. ცნობები, რომლებიც გაუწყეთ, მიღებული მაქვს სანდო კაცისაგან სინამის წრიდან.

— ნუთუ? მაშასადამე, სწორედ სინამის ინიციატივით გათამაშდა ეს წარმოდგენა. — ნემოტოს გაახსენდა ასამას ცხელ წყლებზე გამართული საიდუმლო მოლაპარაკება, რომელსაც ესწრებოდნენ იდოხარა, სინამი და „ეიკო გინკოს“ ბანკის პრეზიდენტი.

მაინც რისთვის სჭირდება სინამის ამდენი ფული?

სინამი კაბინეტის შეცვლას ვარაუდობს და, თქმა არ უნდა, თავისი მომხრე ჯგუფების გასამაგრებლად უდიდესი თანხა სჭირდება. მაშასადამე, მან გადაწყვიტა, რაც შეიძლება, ბევრი ფული გამოსძალოს „ეიკო გინკოს“.

სამართლიანობის გრძნობა

მაშ ასე, სალონ „ალილუიაში“ მომხდარი ამბის შემდეგ იდოხარამ საბოლოოდ ჩამოიშორა ნემოტო.

ჩანს, მან რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. რას იზამ, მზად ვარ ბრძოლისთვის. იდოხარას აღარ ეშინია ჩემი და სჯერა, რომ ვეღარაფერს ვაკნებ. ვნახოთ, — ფიქრობდა ნემოტო.

იდოხარა კარგი მომავლის მქონე მეწარმედ ითვლებოდა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ წამყვანმა ფინანსისტებმა

ის თავიანთ წრეში მიიღეს. ფინანსურ წრეებში მთავარ ძალას ძველებურად ის კომპანიები შეადგენდნენ, რომლებიც ომამდელ ფინანსურ ოლიგარქიასთან — ძაიბაცუსთან — იყვნენ დაკავშირებულნი: ეს კომპანიები ბატონობდნენ სამრეწველო წარმოების ძირითად დარგებში. მათი ხელმძღვანელები ზიზღით უყურებდნენ იდოხარასთანა მეტიჩრებს. ამ მხრივ ფინანსური წრეების ბირთვი, უწინდებურად, კონსერვატორული იყო. კვლავაც პატივს სცემდნენ დიდგვაროვან ფინანსურ მაგნატებს და ამაყობდნენ მათი არისტოკრატული წარმოშობით, ჰოდა, რაც უნდა ექოთ და ედიდებინათ გაზეთებს იდოხარა, ისინი, ვინც იაპონიის ეკონომიკის წამყვანი დარგების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ, მაინც უარს ამბობდნენ თავიანთ წრეში მიეღოთ იგი.

ალბათ, იდოხარას უკვე აღარ აწუხებდა თავისი წარსული, ხოლო სამხედრო ქონების მითვისების ამ საძრახისმა საქმემ თავისი სიმწვავე დაკარგა ხანდაზმულობის გამო. მართალია, არავინ იცის, რა გზით შეიძინეს თავიანთი ქონება ამჟამად მრეწველობაში გაბატონებულმა საქმოსნებმა, ახალი ძაიბაცუების ხელმძღვანელებმა. გარიერიცხული არაა, რომ იმათაც ჰქონდათ ბნელი წარსული. რა თქმა უნდა, ამის დამტკიცება იოლი როდი იყო, ვინაიდან დაუდასტურებელი მითქმა-მოთქმის გარდა, სხვა მამხილებელი ფაქტები არ არსებობდა.

მაგრამ იდოხარას საქმე სულ სხვაა, — ფიქრობდა ნემოტო. ვარსებობ მე — საღსალამათი ყოფილი ჟანდარმთა ოფიცერი, რომელსაც პირადად ჰყავდა დაკითხვაზე იდოხარა. განა ეს არ არის მისი დანაშაულებრივი მოქმედების უდავო დამადასტურებელი? მხოლოდ იაპონიის ომში დამარცხებამ გადაარჩინა იდოხარა სასამართლოსა და ციხეს. იდოხარა გადარჩა, მაგრამ მის დანაშაულებათა დამამტკიცებელი საბუთები არ გამქრალა.

ნემოტოს შემონახული ჰქონდა იდოხარას დაკითხვის ოქმები. როდესაც იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, ტოკიოს ჟანდარმერიამ დაწვა უმნიშვნელოვანესი საბუთები, რათა საოკუპაციო არმიის ხელში არ ჩავარდნილიყო. ალბათ ბოლო მომენტში ნემოტოს რაღაც წინათგრძნობამ უკარნახა, შეენახა იდოხარას დაკითხვის ოქმები. შესაძლოა, არ უნდოდა დაკარგულიყო მის მიერ შედგენილი ქაღალდები. ახლა ეჩვენებოდა, რომ ზეშთაგონებით მოიქცა ასე. სხვა უაღრესად საიდუმლო საბუთებთან ერთად ოქმები თავის

სახლში, იატაკის ქვეშ დამალა. და აი, დადგა დრო საბოლოოზე გამოეტანა ისინი. იდობარა ვერც კი იფიქრებდა, რომ მისი დაკითხვის ოქმები შემონახული იქნებოდა. მართალია, თავის დროზე შეეფუცხუნა ჟანდარმთა ყოფილ კაპიტანთან, ნემოტოსთან შეხვედრამ, მაგრამ დაუყოვნებლივ თავისთან აიყვანა სამსახურში და ამგვარად გადაწყვიტა მისი ნეიტრალიზაციის საკითხი. ოქმების შენახვის შესახებ რომ სცოდნოდა, საეჭვოა, „აღილეუიას“ სალონში ცეცხლის წაკიდების შემდეგაც კი ნემოტოსთან ურთიერთობის გაწყვეტაზე ეფიქრა. ახლა კი დარწმუნდა ნემოტო, რა წინდახედულად მოიქცა, იდობარას მამხილებელი საბუთები რომ შემოინახა.

ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენლები ზემოდან უყურებდნენ იდობარასნაირ მეტიჩრებს და ეზიზღებოდათ ისინი. ძველთაგან, ჯერ კიდევ ომამდელი დროიდან თავიანთ წრეში არ იღებდნენ ძველ კომპანიებსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ახლებზე, რომლებიც ძაიბაცუსთან არ იყვნენ დაკავშირებულნი. ნემოტოს იმედი ჰქონდა, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა ამ გარემოებას, ვინაიდან თვლიდა, რომ ვიდრე იდობარას მიმართ ასეთი დამოკიდებულება არსებობდა, არც ისე ძნელი იყო მისი წაქცევა.

* * *

ნემოტომ ბევრი იფიქრა, როგორ გაენადგურებინა იდობარა და მამხილებელ სტატიაზე შეჩერდა. დღემდე მიზნად ისახავდა, გამოეყენებინა იდობარას დამოკიდებულება და მის კომპანიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ ახლა ამ განზრახვაზეც აიღო ხელი. უკვე აღარ დაეძებდა სარგებელს და ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა: ანგარიში გაესწორებინა იდობარასათვის.

ნემოტოს აზრით, მამხილებელ სტატიას, შესაძლოა, სკანდალური ქრონიკის ხასიათი მიეღო, მაგრამ ეს არ აბრკოლებდა. განა სკანდალურ ქრონიკებში არ არის ხოლმე ნამდვილი ფაქტები? თუმცა ისიც ესმოდა, რომ ცილისწამებისათვის იქნებ სამართალშიც მიეცათ, მაგრამ მზად იყო რისკი გაეწია. რა დასამალია და, გულის სიღრმეში დარწმუნებული გახლდათ, რომ იდობარა შეშინდებოდა და უკან დაიხევდა. ანონიმური სტატიის გამოქვეყნება ღრმა ფსიქოლოგიურ ეფექტს მოახდენდა, ვინაიდან მოწინააღმდეგე დაიბნეოდა

და ვერ მიხვდებოდა, რომელი მხრიდან ემუქრებოდა ახალ მხილებათა საშიშროება.

ნემოტო დიდხანს ფიქრობდა, ვისთვის დაევალებინა მაძხილებელი სტატიის დაწერა. სტატია უნდა ყოფილიყო დამაჯერებელი და, ამავე დროს, ბრწყინვალედ დაწერილი, თორემ საჭირო შედეგს ვერ მიაღწევდა. მეგობრებს შორის შესაფერისი ადამიანი არ ეგულებოდა. არც ერთი მისი „თანამოაზრე" — ყოფილი სამხედრო — ლიტერატურული ნიჭით არ იყო დაჯილდოებული. გარდა ამისა, ასაკოვანიც გახლდნენ და არა გაეგებოდათ რა თანამედროვე სტილისა. რჩებოდა მორიტა. ნემოტოს სულაც არ უნდოდა ამ მიზნისათვის სპორტული რეპორტიორი გამოეყენებინა: ის ხომ არ მიეკუთვნებოდა „თანამოაზრეთა" რიცხვს და ნაირ-ნაირ დავალებებს მხოლოდ იმიტომ ასრულებდა, რომ ნემოტო ფულს უხდიდა. თუ შემთხვევით მოწინააღმდეგე მხარე მეტს გადაუხდიდა, მორიტა ნებისმიერ მომენტში გაყიდდა ნემოტოს. და მაინც, ჟურნალისტური გამოცდილების მქონე მორიტას შეეძლო ყველაფერი ბრწყინვალე ლიტერატურული ენით დაეწერა. ნემოტომ თავისი არჩევანი მორიტაზე შეაჩერა, თანაც ჩააგონა, რომ, თუკი უღალატებდა, როგორც თანამონაწილეს, მასაც პასუხისგებაში მისცემდნენ.

იმავე საღამოს ნემოტომ მორიტა რესტორანში დაპატიჟა.

— ყური მიგდეთ, მორიტა, — უთხრა მან. — აი, თქვენ ჩემი სახელით ბევრი რამ გაიგეთ იდოხარას შესახებ. მითხარით, რას ფიქრობთ მასზე? — ნემოტომ გადაწყვიტა, ჯერ რეპორტიორის რეაქცია გაერკვია და შემდგომ დაეწყო მოლაპარაკება.

მორიტამ თვალი შეავლო ნემოტოს და მისი სახის გამომეტყველებით შეეცადა გაერკვია, რას გულისხმობდა იგი. ამ დროისათვის უკვე საკმაოდ დანაყრებული და ნასვამი გახლდათ.

— ჩემი აზრით, იდოხარა მეტისმეტად საშიში კაცია, — ბოლოს და ბოლოს, მიუგო მან.

— ასე მიგაჩნიათ?

— დიახ. როდესაც ვხედავ, რა გზით მდიდრდება, გულახდილად გითხრათ, ყოველგვარი სურვილი მეკარგება თავის სარჩენი ფული პატიოსანი შრომით მოვიპოვო. უბრალოდ, სისულელეა იმუშაო თავდაუზოგავად და საფასურად გროშები მიიღო. ალბათ დაუფიქრებლობა გამოვიჩინე, როცა დაგთანხმდით, იდოხარას ცხოვრება შემესწავლა. უმჯობესი იქნებოდა, ასე არ მოქცეულიყავი. მსგავს

შემთხვევაში, უფრო სწორია, არაფერი იცოდე და უჩუმრად ეწეოდე შენს ჭაპანს.

— საკვლევით გეთანხმებით. სწორედ ამიტომ არ უნდა დავუშვათ, რომ იდოხარასთანა კაცი მომავალშიც გაიფურჩქნოს. ამას მიკარნახებს ჩემი სამართლიანობის გრძნობა. და იცით, რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი იდოხარას, მით უფრო აუცილებელი მეჩვენებოდა მისი სააშკარაოზე გამოყვანა. აი, რატომ გადავწყვიტე ბოლო მოვუღო მის პარპაშს. რაიმე პირადი ინტერესები არ მამოძრავებს. უბრალოდ, მგონია: თუ იდოხარას სააშკარაოზე გამოვიყვან, ამით კარგ სამსახურს გავუწევ იაპონიას. არ შეიძლება მისი დატოვება დაუსჯელად, თორემ სულ უფრო დიდი მასშტაბის ბოროტებებს ჩაიდენს.

— თქვენ მხედველობაში გაქვთ მისი სამეწარმო საქმიანობა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ მარტო ეს არა. იდოხარამ პოლიტიკურ მოღვაწეებთანაც დაამყარა კონტაქტი. იდოხარასთ ნა ადამიანები ხელს უწყობენ კორუფციას პოლიტიკურ სფეროში. თანაც, ერთ-ერთი მისი მეგობარი-პოლიტიკოსი პარტიასა და მთავრობაში ხელმძღვანელი პოსტის დაკავებას ვარაუდობს უახლოეს დროში. იცოდა რა ეს, იდოხარა ყოველნაირად შეეცადა მასთან დაახლოებას. ერთად წამოიწყეს რაღაც მაქინაციები და მე ხელთ მაქვს საკმაოდ სახელგამტეხი მასალა. ყური მიგდეთ, მორიტა, დამეხმარეთ ამ სამართლიან ბრძოლაში.

— რით შეიძლება გაგიწიოთ დახმარება?

— დაწერეთ იდოხარას მამხილებელი სტატია. ყველა საჭირო ფაქტსა და მასალას მე მოგაწვდით. იაპონიის გულისათვის, გააკეთეთ ეს!

მორიტამ თავი ჩაღუნა და ჩაფიქრდა: ახლა მისთვის ნათელი შეიქნა ნემოტოს გეგმა.

— გთხოვთ, მორიტა! — გაუმეორა ნემოტომ.

მორიტა ხმას არ იღებდა, ეს დუმილი ნემოტომ თანხმობის ნიშნად ჩათვალა. ყოველ შემთხვევაში, მას ასე მოეჩვენა.

შავად ნაწერი მოწმეობა

სამი დღის შემდეგ მორიტამ ნემოტოს დაურეკა და ისინი გინზაზე მდებარე კაფეში შეხვდნენ ერთმანეთს.

— ნუთუ უკვე დაწერეთ?

— დიახ. გუშინწინ მასალა მოვიყვანე წესრიგში, გუშინ კი რედაქციაში შეებულება ავიღე და წერას შევუდექი. არც ისე იოლი საქმე აღმოჩნდა ყოველივე ამის თავმოყრა, რამდენჯერმე ხელახლა გადავწერე სტატია. წუხელ სულ ოთხი საათი მეძინა, — უთხრა მორიტამ და თვალები მოიწმინდა.

— დიახ, მართლაც დიდი ჯაფა დაგადგათ. როგორაა საქმე, გამოვიდა რამე?

— არ ვიცი. დარწმუნებული არა ვარ, რომ მოგეწონებათ. — მორიტამ შიშით მიმოიხედა ირგვლივ.

— ნება მომეცით, ვნახო.

— ინებეთ. — მორიტამ ნემოტოს წინ დაუდო პატარა ფურცლების საკმაოდ სქელი დასტა. ასეთი ფურცლებით, ჩვეულებრივ, რედაქციის თანამშრომლები სარგებლობენ ხოლმე. ნემოტომ კითხვა დაიწყო.

„იაპონიის ფინანსური ცის ტატნობზე უცნობი კომეტასავით გამოჩნდა იდოხარას ჭეშმარიტი სახე, რომელიც იდუმალი გარემოებებითაა მოცული. ალბათ არ არსებობს მეორე ადამიანი, რომლის ირგვლივაც ამდენი ვარაუდი და გამოცანა ტრიალებდეს. მაგრამ მისი ჭეშმარიტი სახე არავინ იცის. თვითონ არასდროს არაფერი უთქვამს საკუთარ თავზე, ხოლო ის, რაც მის შესახებ გამოჩენილი ადამიანების ცნობარში წერია, ნდობას არ იმსახურებს. არავინ იცის, როგორ გახდა იდოხარა უდიდესი ქონების პატრონი. თითქოსდა გლეხის შვილისათვის დამახასიათებელი მოკრძალების გამო განაცხადა უარი, რაიმე ეთქვა თავის თავზე. სინამდვილეში კი მიზეზი სხვა გახლავთ: მის წარსულში იმალება რაღაც ისეთი, რის განდობასაც ვერ ბედავს.

ღღევანდელი სიმდიდრის წყაროებზე რომ ეკითხებიან, ამას ბირჟაზე იღბლიანი თამაშით, სანაოსნო კომპანიების აქციების დროული შესყიდვითა და ზოგჯერ არც მთლად კანონიერი საეჭვო ოპერაციებით ხსნის. სინამდვილეში თავისი ქონება მოიხვეჭა შავ ბირჟაზე ჩატარებული მაქინაციებით, რომელთაც მოკრძალებულად „ზოგჯერ არც მთლად კანონიერ ოპერაციებს“ უწოდებს. და აი, ახლა, გახდა რა უდიდესი სიმდიდრის მფლობელი, იდოხარა ყველა ღონეს ხმარობს, რათა ფინანსური ოლიგარქიის საქმოსანთა წრეში შეაღწიოს.

იდოხარას სახელი მხოლოდ ამა წლის გაზაფხულის დასაწყისი-

დან გახდა ცნობილი. მანამდე აწ განსვენებული სუგინუმას — აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის მფლობელის — ზურგს ამოფარებული მოქმედებდა.

ამბობენ, მსხვილი საქმოსანი სუგინუმას წყალობით გახდაო. გარეგნულად, იქნებ, ყველაფერი ასეც გამოიყურებოდა, მაგრამ იცის კი ვინმემ, რომ ჯერ კიდევ სუგინუმას სიცოცხლეში დაეწყო იგი განსვენებულის მთელი კონცერნის არსებობას? დღეს უკვე აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ სულის განტევებამდე სუგინუმამ უხმო თავის ვაჟს, კოიტის — ამჟამად აღმოსავლეთის ფოლადსახმელი კომპანიის პრეზიდენტს — და უთხრა: ყველაზე მეტად იდოხარას ერიდეო!

იდოხარა მართლაც ძალზე ნიჭიერი კაცია: ჭკვიანი, გაბედული, მეტისმეტად რთულ სიტუაციაში გამჭრიახი, მაგრამ მარტო ამ ღირსებებით ვერაფერს მიაღწევდა, ფული რომ არ ჰქონოდა. მხოლოდ ფული დაეხმარა თავისი განსაკუთრებული ნიჭის გამომჟღავნებაში. და აი, ჩვენ მივადექით ძირითად საკითხს: რა გზით იშოვა იდოხარამ ეს ფული? იქნებ, მართლაც „ბირჟაზე თამაშითა და სანაოსნო კომპანიების აქციების შესყიდვით" დააგროვა თავისი ქონება?

არა და არა! ახლა გვინდა ყველას გავუმჟღავნოთ იდოხარას ბნელი წარსული და ახლანდელი ზრახვები. აქვე შევნიშნავთ, რომ ამას არ ვაკეთებთ პირადად იდოხარაზე თავდასხმის მიზნით. ეს არის გაფრთხილება ყველასათვის, ვინაიდან იდოხარას ახლანდელი უსინდისო მოქმედება სახელმწიფოს საზიანოდაა მიმართული.

იდოხარას ბავშვობა და სიყმაწვილე, როგორც თვითონ აღიარებს, უხეიროდ აეწყო. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში და ძლიეძლიეობით დაამთავრა დაწყებითი საშუალო სკოლა. თხუთმეტი წლისა სოფლიდან ტოკიოში წავიდა. მუშაობდა მაღაზიაში დამტარებლად, ფოსტალიონად და ქარხანაში მუშად. ასეთი ბიოგრაფია, თითქოსდა, ისეთი ადამიანების რიცხვში აყენებს, ვინც, ასე ვთქვათ, საკუთარი ხელებით გამოჭედა თავისი ბედი და უზრუნველჰყო თავისი ბრწყინვალე კარიერა. მაგრამ იდოხარას საქმე სხვაგვარად წარიმართა: იაპონიისათვის უბედურმა ომმა მოუტანა მას ბედნიერება. ის მობილიზებულ იქნა შრომის ფრონტზე და სამხედრო მომარაგების სამინისტრომ ტოკიოს ერთ-ერთ ქარხანაში მძღოლად გაგზავნა. თავისი არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით უფროსობის

ნდობა დაიმსახურა და მეკავშირე გახდა სამინისტროს უფროს ოფიცრებსა და სამხედრო ჭარხნის ხელმძღვანელობას შორის.

1945 წლის 15 აგვისტოს იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, იაპონელ ხალხს, რომელიც ღონემიხდილი იბრძოდა საბოლოო გამარჯვებისათვის, სავალალო ბედი ეწია. ომში დამარცხების შემდეგ ხალხი პირველი საჭიროების საქონლისა და სურსათის საშინელ ნაკლებობას განიცდიდა.

მთელ იაპონელ ხალხს თავს დაატყდა უბედურება, მათ შორის მხოლოდ იდოხარა იღიმებოდა კმაყოფილი".

— შესანიშნავია! დიდი გრძნობითაა დაწერილი, — წამოიძახა ნემოტომ და წუთით ტექსტს თვალი მოაცილა.

— სამწუხაროდ, არც ისე დამაჯერებელია, მაგრამ რაც შემეძლო, ვეცადე, — უპასუხა მორიტამ.

— არა, არა! ძალზე საინტერესოა. — ნემოტომ განაგრძო სტატიის კითხვა.

„რატომ უხაროდა იდოხარას ომში დამარცხება? იმიტომ, რომ ამით ზღაპრულად გამდიდრების საშუალება მიეცა. უსიტყვო კაპიტულაციის გადაწყვეტილება სამხედრო მომარაგების სამინისტროში ცნობილი გახდა ოფიციალურად გამოცხადებამდე ათი დღით ადრე. იმ დროს უბრალო ხალხმა არაფერი იცოდა კაპიტულაციის გადაწყვეტილების თაობაზე და ძველებურად მიჰყვებოდნენ სამხედრო პირებს, რომლებიც მტერზე გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ მოუწოდებდნენ. ყველა დროში ასეა — უბრალო ადამიანები, ხალხის ფართო მასები, ყოველთვის გაბრიყვებულნი რჩებოდნენ. იდოხარაც მათ შორის იქნებოდა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, სამხედრო მომარაგების სამინისტროში მსახურობდა და ახლოს იყო ხელმძღვანელ სამხედრო წრეებთან. ამიტომ ადრევე შეიტყო მოახლოებული კაპიტულაციის შესახებ.

სამინისტროში ალიაქოთი ატყდა. საქმე ის გახლავთ, რომ სურსათისა და ქონების კოლოსალური მარაგი არსებობდა, ამ მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენება განზრახული იყო საკუთრივ იაპონიის ტერიტორიაზე ბრძოლების დროს. იაპონელმა ხალხმა ამ მარაგის არსებობაზე არაფერი იცოდა. გარდა ამისა, ტოკიოს ირგვლივ მდებარე მრავალრიცხოვან საწყობებში დაგროვილი იყო სამხედრო საჭურველის უდიდესი რაოდენობა, რომელიც ფრონტზე ვერ გაგზავ-

ნეს იმის გამო, რომ სამხედრო სატრანსპორტო გზები ბოწინააღმდეგის მიერ იყო გადაჭრილი.

სამხედრო მომარაგების სამინისტროში მომუშავე ოფიცრებს ესმოდათ: როგორც კი კაპიტულაცია გამოცხადდებოდა, ამერიკის საოკუპაციო ჯარები იაპონიაში გადმოსხდებოდნენ და ქონებას ხელში ჩაიგდებდნენ. მათ გადაწყვიტეს, რომ ჯობდა თვითონ წაეღოთ, ვიდრე მტრისთვის მიეცათ. ზოგ სამხედროს ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ოკუპირებულ ქვეყნებში თავის დროზე რეკვიზირებული ქონების სხვისთვის მიცემა შეურაცხმყოფელად მიაჩნდა. უ-ზრობად ჩათვალეს სხვა დოკუმენტებივით მათი დაწვა და გადაწყვიტეს, ერთმანეთში გაენაწილებინათ. კვამლივით გაიფანტა დისციპლინა, რითაც იაპონიის არმია ამაყობდა. დაიწყო ნამკვლილი ძარცვა. სამარცხვინო მოვლენა გახლდათ: ისეთივე, როგორიც ხანძრის დროს ქურდობაა. თითოეულმა იმდენი დიტაცა, რამდენიც შეძლო. ამჟამად საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სამხედრო პირებმა კაპიტულაციისთანავე გადამალეს ოქროს ზოდები და ალმასები და შიმდგომში, როგორც ამბობენ, პოლიტიკური მიზნებისათვის გ მოიყენეს.

მერედა, რას აკეთებდა იმ დროს იდოხარა? ჯერ კიდევ მანამ, სანამ ოფიციალურად გამოაცხადებდნენ კაპიტულაციას, მან პირი შეკრა სამხედრო მომარაგების სამინისტროს უმაღლესი რანგის ოფიცრებთან და საწყობებიდან გაზიდა ავტომანქანის საბურავებისა და სამხედრო ტანსაცმლის უდიდესი რაოდენობა, მათ შორის: ბეწვის ჯუბები, საბნები, ყელიანი ფეხსაცმელები, საფრენოსნო კომბინეზონები, საპარაშუტო აბრეშუმი და მრავალი სხვა.

მის ხელშივე ჩავარდა სამრეწველო ალმასების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ეს ალმასები იაპონიის არმიამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ოკუპირებული რაიონებიდან გამოიტანა. დაუმუშავებელი ალმასები გახლდათ. იაპონიის საოკუპაციო ჯარები ხელმიყოფით ძარცვავდნენ ყველაფერს და ასეთი ალმასებიც წამოიღეს, ოღონდ არ იცოდნენ, რომელი ალმასი გამოიყენებოდა სამრეწველო საჭიროებისათვის და რომელი საიუველირო ნაწარმის გასაკეთებლად. მთელი სიმდიდრე გადამალული იყო სამხედრო მომარაგების სამინისტროს სპეციალურ სეიფებში და, იაპონიის ბანკის სეიფებში შენახული, ეგრეთ წოდებული „რეკვიზირებული ალმასებისაგან“ განსხვავებით, ცოტამ თუ იცოდა მათი არსებობის შესახებ.

და. მიუხედავად ყოველგვარი სიფრთხილისა, კაპიტულაციამდე ხუთი დღით ადრე, იდოხარა მაინც ჩავარდა ჟანდარმერიის ხელში. ასეთი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის სამხედრო ტრიბუნალს უნდა გაესამართლებინა. დღესდღეისობითაც მისი მოქმედება შეიძლება სამშობლოს ღალატად იქნეს კვალიფიცირებული. ჟანდარმერიამ დაუყოვნებლივ დააპატიმრა იდოხარა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ქონების დიდი ნაწილი გაეტანათ და მყუდრო ადგილზე გადაემალათ.

იდოხარას დაპატიმრებით ჟანდარმერიის სამმართველოს იმედი ჰქონდა, რომ ძარცვაში ვარეულ უმაღლეს ოფიცრებს გ მოააშკარავებდა. მაგრამ, მიუხედავად მრავალრიცხოვანი დაკითხვისა, იდოხარამ არც ერთი მათგანი არ გასცა. მისი თანამონაწილენი აშკარად დარწმუნდნენ, რომ ტყუილად არ ენდნენ იდოხარას. მან კი, უბრალოდ, იცოდა, რომ კაპიტულაციამდე ორიოდე დღე იყო დარჩენილი და მას, სულ ერთია, გათავისუფლებდნენ.

ყველაფერი ზემოთ თქმული სრული სიმართლეა და დაფუძნებულია დაკითხვების ოქმებზე. რომელთაც ჟანდარმერიის სამმართველოს თანამშრომელი წარმოებდა. საჭიროების შემთხვევაში ეს საბუთებიც გამოქვეყნებული იქნება".

ეს ადგილი რომ წაიკითხა, ნემოტოს ჩაეცინა.

— ამგვარი მუქარა იდოხარაზე იმოქმედებს, — თქვა მან.

— ეს საკმარისად მიგაჩნიათ? — ჰკითხა მორიტამ.

— სავსებით, ყველაფრის ერთბაშად გადმოლაგება არაა საჭირო. ამას რომ წაიკითხავს, იდოხარას თავზარი დაეცემა. ის ხომ სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენდა, დაკითხვის ოქმები რომ შენახული იქნებოდა.

— ცილისწამებისათვის სასამართლოს არ მიმართავს?

— საეჭვოა. თუ მიმართავს კიდეც, სასამართლო მის საწინააღმდეგოდ შებრუნდება. უკიდურეს შემთხვევაში. კვლავ დავაშინებთ.

— გასაგებია.

— ერთი სიტყვით, ყოჩაღ. მშვენივრადაა დაწერილი. რომ კითხულობ, გული გიხალისდება, მაგრამ ვნახოთ, შემდეგ რა არის. — ნემოტომ მოუთმენლად გადაფურცლა გვერდი.

* * *

„ვიდრე ჟანდარმერიაში იდოხარას დაჰკითხავდნენ, 15 აგვისტო დადგა. იაპონიამ ოფიციალურად მიიღო პოტსდამის დეკლარაცია და ამ წუთიდან იაპონიის არმიამ, სამხედრო ტრიბუნალმა და ჟანდარმერიამ თავისი არსებობა შეწყვიტეს.

იდოხარა გარეთ აღმოჩნდა და, ვინაიდან თანამონაწილენი არ გასცა, თავისთავად ცხადია, უპირატესობა მისცეს ნადავლის განაწილებისას. იდოხარას მოქმედების ფართო ასპარეზი გადაეშალა. მან გადამალული სამხედრო ქონების გაყიდვის დროს უდიდესი მოხერხებულობა და ალღო გამოამჟღავნა. იმ დროს, როდესაც იაპონელი ხალხი საჭმლისა და ტანსაცმლის ნაკლებობით სასტიკად იტანჯებოდა, იდოხარა მდიდრდებოდა მოსახლეობისათვის ასეთი საჭირო საქონლის ზღაპრულ ფასებში მიყიდვით. თანდათანობით საქმიდ ნ ჩამოიცილა თანამონაწილეები: ზოგისგან სასყიდლით დაიხსნა თ ვი, ზოგს გამჟღავნებით დაემუქრა. მისთვის ძნელი არ იყო მის განხორციელება, რადგან ყოფილი სამხედროები ვერაფრით ვერ ერკვეოდნენ სავჭრო ოპერაციებში. თავდაპირველად, როდესაც სახელმწიფოს არაფერი გაა ჩნდა და ავტომანქანის საბურავები და ტანსაცმელი ოქროდ ფასობდა, ის სწორედ ამ საქონელს ყიდდა, აგროვებდა ფულს, რომელიც შემდგომ წარმატებით დააბანდა საქმეში. მერე სახელმწიფომ ცოტა სული მოითქვა, დახლებზე პირველი საჭიროების საგნები გამოჩნდა. ჰოდა, იდოხარამ გზას გაუყენა სამხედრო მომარაგების სამინისტროს სეიფებიდან გამოტანილი ალმასები, რომელთა შორის შესანიშნავი ქვებიც აღმოჩნდა. ისინი დასამუშავებლად ოქრომჭედლებს მისცა და შემდეგ ერთი ფირმის მეშვეობით ძალზე მაღალ ფასებში გაყიდა.

იდოხარას ესმოდა, რომ ქაოსი ეკონომიკაში სამუდამოდ არ ვაგრძელდებოდა; დადგებოდა დრო, როდესაც შავ ბაზარზე საეჭვო გარიგებები უნდა შეეწყვიტა და წესიერი სამეწარმო საქმიანობისათვის ხელი მოეკიდა. და ამისათვის კვლავ მიეცა ხელსაყრელი შემთხვევა: ის ფულით დაეხმარა სუგინუმას და სამაგიეროდ მისი მფარველობა დაიმსახურა. სუგინუმა იმ დროს თავის წარმოებას აფართოებდა და ძალიან სჭირდებოდა ფული. იდოხარამ შეატყო ეს, წინ ოთხმოცი მილიონი იენი დაუდო და საფასურად სუგინუმას კონცერნის აქციების მხოლოდ გარკვეული რაოდენობა ითხოვა. ასე მოიპოვა სუგინუმას ნდობა.

იდოხარამ ფრთები გაშალა მხოლოდ სუგინუმას სიკვდილის შემდეგ. შეუმჩნევლად ყიდულობდა კონცერნის აქციებს და სუგინუმას სიკვდილის დროისათვის უკვე მსხვილი აქციონერი გახლდათ და მხოლოდ პრეზიდენტ კოიტის ჩამოუვარდებოდა. მან მორჩილების ნიღაბი ჩამოიშორა და შეტევაზე გადავიდა. ამჟამად შორს გამიზნული გეგმები აქვს. ცოტა ხნის წინ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის საპარლამენტო მოადგილე სინამისაგან სამმაგ ფასად შეისყიდა გაკოტრების პირას მყოფი სახლთმშენებელი კომპანია „მანიო“. უვიც კაცს გააოცებს ასეთი უცნაური გარიგება. მაგრამ ეს გახლდათ ეშმაკური სვლა. იდოხარამ იცის, რომ კაბინეტის შეცვლის შემთხვევაში სინამის ბრწყინვალე მომავალი ესახება. მისთვის ისიც ცნობილი იყო, რომ სინამის პოლიტიკური სუბსიდიები სჭირდება. ამიტომ არ დაინანა ზედმეტი ფული, სამაგიეროდ პოლიტიკურ წრეებში ავტორიტეტული მფარველი შეიძინა. და მაინც, იდოხარას არც ამ გარიგებით განუცდია მატერიალური ზარალი. სინამის მფარველობის წყალობით მიიღო ნაგანოს პრეფექტურაში სახელმწიფო ტყის შესყიდვის უფლება. თანაც ადგილობრივმა ხელისუფლებმა ღირებულების მესამედ ფასად გაყიდეს ტყის ნაკვეთი. აქ კი გამოადგა სახლთმშენებელი კომპანია „მანიო“, რადგან ის, „ორიენტისაგან“ განსხვავებით, ფლობს სტატუსს, რომელიც ხელსაყრელია სატყეო ნაკვეთების შესასყიდად

ზემოთ ვახსენეთ ბატონი სინამი. უნდა ითქვას, რომ მისი დამოკიდებულება იდოხარასთან ურთიერთობით როლი განისაზღვრება, ახლა ისინი პირადი ცხოვრებითაც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. პირადი კონტაქტები სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სინამი და იდოხარა უანგარო მეგობრობამ ანდა ოჯახებით ნაცნობობამ დააახლოვა. სრულებითაც არა. მაგრამ თუ მათ პირად ცხოვრებას შევეხებით, ეს აღიქმება როგორც პიროვნებაზე თავდასხმა. ამიტომ საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი მოღვაწეობის გამოაშკარავებით შემოვიფარგლებით. მაგრამ ყოველთვის როდი შეიძლება გარკვეული საზღვრის გავლება პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის: ხშირად ერთი მათგანი მეორეში იკრება. და, თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას და სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით სინამისა და იდოხარას გავაკრიტიკებთ, ძალაუნებურად მათი პირადი ცხოვრების ზოგიერთ დეტალსაც შეეხებით. თუმცა, შევეცდებით მაქსიმალურად შევიკავოთ თავი.

საქმე ისაა, რომ სინამისა და იდოხარას მეგობრობა მესამე პირის საშუალებით დაიწყო. „მესამე პირი“ რამდენადმე აბსტრაქტულად ეღერს, მაგრამ ჩვენ არ დავიწყებთ მის გაშიფვრას. მართლაც, მკითხველისათვის ნათელი გახდება, ეის შესახებაა ლაპარაკი, თუ გინზაზე მდებარე აღმოსავლეთის ფოლადსასხმელის შენობაში მოთავსებულ სალონ „ალილუიაში“ ორი კვირის წინ მომხდარ უცნაურ ინციდენტს გავიხსენებთ. თუმცა, ამის თაობაზე გაზეთები არაფერს იტყობინებოდნენ. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ვიღაც ქალბატონი შევიდა სალონში და სანთებელათი შეუმჩნევლად წაუკიდა ცეცხლი ძვირად ღირებულ საზღვარგარეთულ ნაჭერს.

აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობა წლევანდელ გაზაფხულზე გადავიდა იდოხარას ხელში. როგორც კი შენობა იდოხარას საკუთრება გახდა, სალონი „ალილუია“ გადაბარგდა იმ სადგომში, რომელიც არენდით ჰქონდა აღებული ელექტროსაქონლის მაღაზიას.

სალონის მფლობელი — სანდომიანი გარეგნობის ოცდაშვიდოცდარვა წლის ახალგაზრდა ქალბატონი — საკმაოდ ახლოს იცნობს ერთ-ერთ ზემოთ ხსენებულ პიროვნებას. ვინაიდან არ გვსურს მაღალი თანამდებობის პირის პირად ცხოვრებაში შევიჭრათ, მეტის თქმის უფლება არა გვაქვს. მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალს, ვინც ხანძარი გააჩინა, პოლიციის განყოფილებაში მოკლე დაკითხვა მოუწყვეს და შინ გაუშვეს, თუმცა ცეცხლის წაკიდება ძალზე მძიმე დანაშაულად ითვლება. როგორც გაირკვა, ის აღმოჩნდა სხვა, აგრეთვე უკვე ზემოთ ხსენებული პიროვნების მეგობარი. თანაც, მხოლოდ სინამისა და იდოხარას მეცადინეობის წყალობით არ მოხვდა გაზეთებში ინფორმაცია ცეცხლის წაკიდების შესახებ. ქალი კი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არ მისცეს სასამართლო პასუხისგებაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზრიანი მკითხველი შეავსებს იმას, რაც აქ ბოლომდე არაა ნათქვამი, ვინაიდან მოხსენიებულ პირთა პირად ცხოვრებაში მეტისმეტად შეჭრა არ გვსურს“.

ნემოტომ ამ ადგილამდე წაიკითხა და თავი გააქნია. უეჭველია, სინამისა და იდოხარას შიშით გული გაუსკდებათ. ახლა საქმე ისაა, როგორ მიიღებს მინაკო სალონ „ალილუიაში“ ხანძრის გაჩენის ხსენების ამბავს? უეჭველია, გაბრაზდება და, რაც მთავარია, მიხვდება, რომ ამ სტატიის გამოქვეყნება დაკავშირებულია ნემოტოსთან.

ნემოტოს აზრით, ზოგიერთ საკითხში კიდევ შეიძლებოდა მინაკოს გამოყენება. მან იდოხარასა და ახალგაზრდა მ.ახიობ ქალზე უნდა იეჭვიანოს და სიძულვილი იგრძნოს იდოხარას მიმართ. აი, სწორედ ამ გრძნობით უნდა გადაუხადოს სამაგიერო. მაგრამ ყოველივე საგრძნობლად გართულდება, თუ მინაკომ სტატიაში თავის შესახებ წაიკითხა.

— ის ნაწილი, რომელიც მინაკოს ეხება, უფრო ბუნდოვანი უნდა გავხადოთ, — ცოტა ხანს დაფიქრდა და თქვა მან.

სტატიის დარჩენილი ნაწილი მთლიანად იდოხარასა და სინამის ცხოვრების ინტიმურ მხარეებს ეხებოდა.

— მშვენივრადაა დაწერილი, — დაასკვნა მან. — მაგრამ აჯობებდა დაბოლოება შეგვერბილებინა. ყველა საქმის ერთბ ბ ად გამჟღავნება არ ღირს — მომავალი დარტყმისათვის გამოგვადგება.

— გინდათ, გადავწერ.

— მე ვფიქრობ, საჭიროა სტატიიდან ამოვიღოთ ყველაფერი, რაც ქალებთან ურთიერთობას ეხება და ეს გარემოება მხოლოდ რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიოთ.

მორიტა იქვე შეუდგა სტატიის შესწორებას. ამასობაში ნემოტო ფიქრობდა, როგორ მიეყენებინა მეორე დარტყმა სინ მისა და იდოხარასათვის. მისთვის ჯერჯერობით ცნობილი არ იყო სახელმწიფო სატყეო ნაკვეთებთან დაკავშირებული მათი შემდგომი გეგმები და ამიტომ მეორე დარტყმის განხორციელება იდოხარასა და სინამის სასიყვარულო თავგადასავლების მეშვეობით გადაწყვიტა. თუმცა მათი ქალებთან ურთიერთობა არ სცილდებოდა სხვა პოლიტიკური მოღვაწეებისა და ფინანსური ტუზების ანალოგიურ ურთიერთობათა ჩარჩოებს. ამ მნიშვნელობით, მის ხელში არსებული ინფორმაცია მიზანს ვერ ხვდებოდა. საჭირო იყო ი.ეთი ფაქტის დამატება, რომელიც მკითხველს განაცვიფრებდა. უცებ ნემოტოს გაახსენდა ტეცუო ტადოკორო — ტაეკოს საყვარელი, რომელიც ტაეკომ მორიტასთან გაგზავნა იმის გასაგებად, როგორ იქცეოდნენ ჰონკონგში ბეისბოლისტი იამანე და იდოხარას ცოლი ხაცუკო.

— მისმინეთ, მორიტა, — შეეკითხა ის. — დაზღვევის აგენტი ტეცუო ტადოკორო შენთან ხომ აღარ გამოჩენილა?

— არა. — მორიტამ გაოცებით შეხედა ნემოტოს, ვერ გაეგო, რასთან დაკავშირებით გაახსენდა მას დაზღვევის აგენტი.

— ნუთუ? ხომ ვერ გაიგებდით, როგორ აქვს მას საქმე ტაეკოსთან?

— რისთვის გჭირდებათ ეს?

— ინტუიცია მიკარნახებს, რომ მისი და ტაეკოს ურთიერთობა უნდა გაუარესდეს, თუკი ჯერ არ მომხდარა ეს. ჯერ ერთი, კარგა ხანია, რაც ეს გრძელდება. თანაც, ტაეკო ისეთი ქალი არ არის, სულ ერთ კაცზე იფიქროს. გარდა ამისა, ეშინია, ქმარმა არ გაუგოს. ყოველივე ეს აიძულებს ტეცუოს დაშორდეს. ამასთან დაკავშირებით ერთი იდეა გამიჩნდა. მათი ახლანდელი ურთიერთდამოკიდებულების გამო შეიძლება ტეცუო მეორე დარტყმისათვის გამოიყენოთ.

— როგორ?

— ამას მაშინ გეტყვით, როცა ჩემს თხოვნას შეასრულებთ.

ნემოტომ მორიტას გასწორებული სტატია გამოართვა და ორმოცდაათი ათასი იენი მისცა.

— ეს მხოლოდ ავანსია, დანარჩენს სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მიიღებთ, — უთხრა მან.

მორიტას უკმაყოფილო გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე. მაგრამ ფული გამოართვა.

ნემოტომ გადაწერილი ფურცლები სქელ ქაღალდში გახვია და კანტორაში დაბრუნდა. დაელოდა საღამოს, ვიდრე ხორიკავა აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობის მეზობლად მდებარე სახლთან სამორიგეოდ გამოვიდოდა, დაურეკა და სთხოვა, ერთი საათით გამოსულიყო. ისინი ჩვეულ ადგილას. გინზაზე მდებარე კაფეში შეხვედნენ ერთმანეთს.

— საჭიროა ამ ტექსტის სასწრაფოდ დაბეჭდვა, — უთხრა ყოველგვარი შესავლის გარეშე. — ახლავე ოხასის მიუტანე. — ოხასიც ნემოტოს ხელქვეითი იყო ადრე, ახლა კი პატარა სტამბის მეპატრონე გახდა. — მე თვითონ ვერ მივალ მასთან: არ შეიძლება მისმა თანამშრომლებმა იქ მნახონ. შეუმჩნეველად გადაეცი ეს ტექსტი და სთხოვე, შემდგომი მითითებებისათვის აქ მოვიდეს.

— შესრულებული იქნება, — უპასუხა ხორიკავამ და მაშინვე ოხასისთან წავიდა.

ნემოტო ოხასის შეხვდა და უთხრა:

— ორასი ეგზემპლარი უნდა დაიბეჭდოს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ შენ თვითონ გააკეთე. ყველაფერი საიდუმლოდ იქო-

ნიეთ, ოჯახის წევრებსაც ნუ გაანდობთ. დაბეჭდვის შემდეგ ხელნაწერი გაანადგურეთ. შემდგომში, თუ პოლიცია გამოჩნდება, ყველაფერზე უარი განაცხადეთ, რაც ხელნაწერს შეეხება. სტატიის დაბეჭდვის შემდეგ ყველა გაზეთისა და ჟურნალის რედაქციასა და გავლენიან პოლიტიკურ და ფინანსურ მოღვაწეს დაუგზავნეთ. გამორიცხული არაა, რომ იდოხარამ და სინამიმ პოლიციას მიმართონ საჩივრით და თავიანთი „უხილავი მტრის" პოვნა სთხოვონ. მართალია, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და, საეჭვოა, ეს ნაბიჯი გადადგან, მაგრამ ასეთი შესაძლებლობაც უნდა გავითვალისწინოთ. ამიტომ მისამართები კონვერტებზე სხვადასხვა ხელით უნდა დაიწეროს. დაე, ეს ჩვენმა „თანამოაზრეებმ" გააკეთონ. შეარჩიეთ ყველაზე ერთგული ხალხი, რომლებიც არ გატყდებიან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ პოლიცია მიაკელეს.

ოხასი „ნემოტოს ორგანიზაციის" ხელმძღვანელ შემადგენლობაში შედიოდა და ამიტომ სწრაფად შეეძლო საჭირო ხალხის შეკრება. „თანამოაზრეების" დაუწერელი კანონით, ოხასის ნემოტოსათვის არ უკითხავს. რისთვის დასჭირდა ასეთი აქცია.

მეორე დღეს მორიტამ ნემოტოსთან მიიყვანა ტეცუო. დაზღვევის აგენტს რომ არ გაეგონა, რეპორტიორმა ნემოტო გვერდზე გაიყვანა და უთხრა:

— ბატონო ნემოტო. თქვენი ვარაუდი მართალი გამოდგა. თურმე ტეცუო საბოლოოდ წაეჩხუბა ტაეკოს და ახლა უშვერად ლანძღავს მას. ამბობს, ასეთი ვერაგი ქალი ჯერ არ შემხვედრიაო. ჩემი აზრით, ის ყველაფერს გააკეთებს, რასაც სთხოვთ. თანაც თუ კარგად გადაუხდით.

დაკითხვის ოქმი

კითხვა: გვითხარით თქვენი სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, აგრეთვე ახლანდელი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

პასუხი: იასუო ნემოტო, ვარ სამოცდაორი წლის, დავიბადე მიაგის პრეფექტურაში, ქალაქ სენდაიში. ამჟამად ვცხოვრობ ტოკიოში, სეტაგაის რაიონში. ვარ კომპანიის თანამშრომელი.

კითხვა: თქვენ ახლა თქვით, რომ ხართ კომპანიის თანამშრომე-

ლი. მხედველობაში გაქვთ, რომ სააქციო საზოგადოება „ორიენტში“ გიკავიათ დირექტორ-მმართველის პოსტი?

პასუხი: დიახ.

კითხვა: მაგრამ თქვენთვის ხომ ცნობილია, რომ ერთი დღით ადრე, ვიდრე აღნიშნული კომპანიის პრეზიდენტი ბატონი იდოხარა ცილისწამებისათვის სასამართლოში გიჩივლებდათ, აქციონერთა რიგგარეშე კრებაზე ამ პოსტიდან გაგანთავისუფლეს? მაშასადამე, ახლა თქვენ ხართ კომპანიის ყოფილი თანამშრომელი, ესე იგი გა-ურკვეველი საქმიანობის პირი.

პასუხი: შესაძლებელია. მე ხომ არა ვარ ამ კომპანიის აქციების მფლობელი. როგორც ამირჩიეს ამ პოსტზე აქციონერებმა, ალბათ, როგორც ჩანს, ისევე გამათავისუფლეს კიდეც.

კითხვა: გვიამბეთ თქვენს შესახებ.

პასუხი: საშუალო სკოლა დავამთავრე ქალაქ სენდაიში, შემდეგ შევედი სამხედრო სასწავლებელში და გავხდი კადრის სამხედრო პირი. ომის დამთავრებისას, ათას ცხრაასა ორმოცდახუთი წლის აგ-ვისტოში, მქონდა ჟანდარმერიის კაპიტნის წოდება და ემსახურობდი ქალაქ ტოკიოში მეორე რაიონის ჟანდარმერიის ჯარების რაზმის უფ-როსის თანამდებობაზე.

კითხვა: მაშასადამე, თქვენ ჟანდარმერიის ოფიცერი იყავით?

პასუხი: დიახ.

კითხვა: რას აკეთებდით ომის დამთავრების შემდეგ?

პასუხი: როგორც ჟანდარმთა ყოფილ ოფიცერზე, ჩემზე ვრცელ-დებოდა ბრძანება წმენდის შესახებ და ოფიციალური თანამდებო-ბის დაკავების უფლება არ მქონდა. უფრო მეტიც, ჩვეულებრივ კომპანიებში მუშაობის უფლებაც კი არ მქონდა და, რომ მეარსება, დროებით სამუშაოებზეც თანახმა ვიყავი. 1950 წელს შემთხვევით შევხვედი იდოხარას, რომელმაც ის-ის იყო სატრანსპორტო კომპანია „ორიენტი“ დააარსა. შემომთავაზა მასთან დამეწყო სამსახური და დირექტორ-მმართველის თანამდებობაზე დამნიშნეს.

კითხვა: როგორ გაიცანით იდოხარა?

პასუხი: ომის დამთავრების წინა ხანებში ის სამხედრო მომა-რაგების სამინისტროში მუშაობდა და ჩემთან ვოხვედა დაკითხვაზე ერთი დანაშაულის გამო, რომელიც მაშინ ჩაიდინა. აი, რა გარემოე-ბაში გავიცანით ერთმანეთი.

კითხვა: რაში გამოიხატებოდა იდოხარას დანაშაული?

პასუხი: ამის შესახებ ნათქვამია სტატიაში, რომელიც ფარდას ხდის მის წარსულს. იდოხარა რატომღაც ეჭვობს, რომ სწორედ მე დავწერე ეს სტატია და ცილისწამებისათვის სასამართლოში მიჩივლა. მისი დანაშაულის არსი ის გახლდათ, რომ, წინასწარ გაიგო რა იაპონიის მომავალი უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ, დანაშაულებრივი კავშირი დაამყარა სამხედრო მომარაგების სამინისტროს ზემდგომ უფროსობასთან, გაიტანა სამხედრო ქონება და შემდეგ შავი ბაზრის ფასებში გაყიდა.

კითხვა: ამის თაობაზე მოგვიანებით უფრო დაწვრილებით დაგკითხავთ, ახლა კი მითხარით: რატომ მიგიღოთ თავისთან სამსახურში იდოხარამ, ვის დანაშაულებრივ საქმესაც თქვენ აწარმოებდით?

პასუხი: ვფიქრობ, მას არ სურდა წარსულში ჩადენილი ბნელი საქმეები გამოაშკარავებულიყო და გადაწყვიტა, კარგი დამოკიდებულებით ხმა ჩაეწყვეტინებინა ჩემთვის.

კითხვა: არასოდეს გითქვამთ მისთვის, რომ, თუ სამსახურში არ მიგიღებდათ, საშკარაოზე გამოიტანდით მის წარსულ საქმეებს?

პასუხი: ამგვარი არაფერი მითქვამს. თავად შემომთავაზა სამსახური თავის კომპანიაში.

კითხვა: და თქვენ თხუთმეტი წელი მსახურობდით იდოხარასთან?

პასუხი: დიახ. აქციონერთა საერთო კრება ყოველთვის ხელახლა მირჩევდა ამ პოსტზე. მართალია, იდოხარა ერთმმართველი უფროსი იყო კომპანიაში და აქციონერები მხოლოდ მორჩილად ასრულებდნენ მის ნება-სურვილს.

კითხვა: თქვენ თხუთმეტი წელი მუშაობდით კომპანიაში, ალბათ ინიტომ, რომ კარგ დამოკიდებულებაში იყავით იდოხარასთან?

პასუხი: ვფიქრობ, რომ ასეა. ჩემთვის უხერხულიცაა ამის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ცოტა რამ როდი გავაკეთე „ორიენტის“ საკეთილდღეოდ, თან იდოხარასაც ვეხმარებოდი რჩევა-დარიგებებით. იდოხარა მენდობოდა და კომპანიის გონებრივ ცენტრად მივაჩნდი. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის ფიქრი, თითქოს კომპანიაში იმიტომ ვიყავი, რომ იდოხარას გაბეზრებით ვემუქრებოდი.

კითხვა: თუ იცნობთ კაცს, გვარად ხორიკავას?

პასუხი: დიახ. ხორიკავა ეანდარმერიის ყოფილი უნტერ-ოფიცერი და ჩემი ხელქვეითი იყო.

კითხვა: ომის შემდეგ თუ ხვდებოდით?

პასუხი: მგონი, გასული წლის მარტში შემთხვევით შეეხვდი გინზაზე მდებარე აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობასთან. მაშინ ხორიკავამ მითხრა, მეზობელ შენობაში ღამის დარაჯად ვმუშაობო. მას შემდეგ არ მინახავს.

კითხვა: ყოფილ ხელქვეითებთან თუ შემოგრჩათ კავშირები? იქნებ, დროდადრო ხვდებით ერთმანეთს?

პასუხი: არა, არ ვხვდებით. ომის დამთავრების შემდეგ ჩემი ხელქვეითები სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ და მათი ადგილსამყოფელი ჩემთვის უცნობია.

კითხვა: გაზეთ „სპორტული ტოკიოს" რეპორტიორს, მორიტას თუ იცნობთ?

პასუხი: მახსოვს, საქმის გამო სადღაც შევხვდი და მგონი, თავისი სავიზიტო ბარათი მომცა, მაგრამ მასთან ურთიერთობა მეტად აღარ მქონია.

კითხვა: ამ დაბეჭდილ მასალებს თუ იცნობთ? (პროკურორი ბრალდებულს ბროშურის ეგზემპლარს აწვდის).

პასუხი: მინახავს.

კითხვა: სად?

პასუხი: იდოხარამ მაჩვენა და ბრალი დამდო, თითქოს მე გამოვაქვეყნე იგი.

კითხვა: მერე თქვენ რა უპასუხეთ?

პასუხი: ეუთხარი, მსგავსი არაფერი არ მინახავს-მეთქი.

კითხვა: როგორ იმოქმედა იდოხარაზე თქვენმა ნათქვამმა?

პასუხი: დაიჟინა, რომ ეს სკანდალური სტატია ჩემს მიერაა შეთითხნილი და დაგზავნილია სხვადასხვა მისამართზე ჩემივე მითითებით.

კითხვა: გინახავთ ასეთი კონვერტები? (პროკურორი ბრალდებულს აჩვენებს რამდენიმე კონვერტს, რომლებიც გაზეთების რედაქციებისა და მთელ რიგ პოლიტიკურ და ფინანსურ მოღვაწეთა მისამართითაა დაგზავნილი).

პასუხი: პირველად ვხედავ.

კითხვა: ექსპერტიზამ დაადასტურა. რომ ზოგიერთ კონვერტზე მისამართები დაწერილია მორიტას ხელით. (პროკურორი ბრალდებულს კონვერტებს აჩვენებს).

პასუხი: მორიტას ხელს არ ვიცნობ და ამიტომ ვერ ვიტყვი, მისი დაწერილია თუ ვინმე სხვისი.

კითხვა: მაგრამ მორიტამ გვითხრა, რომ თქვენი თხოვნით დაწერა.

პასუხი: არ მახსოვს, ასეთი მითითება მიმეცეს მორიტასათვის.

კითხვა: მორიტამ ისიც აჩვენა, რომ დაბეჭდილი სტატიის ტექსტიც თქვენი თხოვნით დაწერა.

პასუხი: როგორც უკვე გითხარით, მორიტას მხოლოდ ერთხელ შევხვდი სამსახურის საქმეზე. მისი სახეც კი არ მახსოვს კარგად და, თავისთავად ცხადია, არ შემეძლო ამგვარი თხოვნით მიმემართა. (პროკურორი ბრალდებულს უკითხავს მორიტას წერილობით ჩვენებას, სადაც დეტალურადაა გადმოცემული მათი შეხვედრები და საუბრები).

კითხვა: რა შეგიძლიათ თქვათ მორიტას ჩვენებების თაობაზე?

პასუხი: დაწერილი ძალიან ბევრია, მაგრამ სინამდვილეში ამგვარი არაფერი ყოფილა.

კითხვა: ჩვენ ვიყავით გიხზაზე მდებარე კაფეში. რომელსაც მორიტა თავის ჩვენებებში ახსენებს. იქ დაგვიდასტურეს, რომ კაცი, რომელიც თქვენ გგავთ, არაერთხელ შეხვედრია მორიტას იმ კაფეში და ხანგრძლივად უსაუბრია მასთან.

პასუხი: კაცი, რომელიც მგავს, შესაძლოა, მე არ ვიყო. რით დაამტკიცებთ, რომ სწორედ მე ვიყავი?

კითხვა: რა მიზეზით გაგიფუჭდათ ურთიერთობა იდოხარასთან?

პასუხი: ჩემი მხრივ იდოხარას საწინააღმდეგო არაფერი გამიკეთებია. მაგრამ, ბოლო დროს, რატომღაც არაკეთილგანწყობას ავლენდა ჩემს მიმართ. მისი დამოკიდებულება ჩემდამი თანდათან უარესდებოდა. ამის მიზეზი ჩემთვის უცნობია.

კითხვა: ნუთუ სრულებით ვერ ხვდებოდით, რატომ შეიცვალა თქვენს მიმართ იდოხარა?

პასუხი: ვერა.

კითხვა: ეს სტატია რომელიმე თქვენმა ყოფილმა ხელქვეითმა დაბეჭდა?

პასუხი: ამ სტატიასთან საქმე არ მქონია და ამიტომ ჩემთვის უცნობია, სად დაიბეჭდა.

კითხვა: მორიტა ამტკიცებს, რომ ამ სტატიისათვის ასოცდასამი ათასი იენი გადაუხადეთ. თანაც, როდესაც სტატია გადმოგცეთ,

თითქოს თქვენ უთხარით, რომ თქვენი ყოფილი ხელქვეითის სტამბაში დაბეჭდავდით.

პასუხი: ეს მორიტას მოგონილია. ვიმეორებ, ამ სტატიასთან არავითარი კავშირი არა მაქვს და. თავისთავად ცხადია, არ ვიცი, ვინ დაბეჭდა.

კითხვა: პოლიციისა და პროკურატურის დავალებით შემოწმებული იქნა ყველა სტამბა და მათი მეპატრონეები. შემდეგ ვიპოვეთ პატარა სტამბის მეპატრონე ოხასი — ყოფილი ქანდარმი. თქვენ მას სთხოვეთ სტატიის დაბეჭდვა?

პასუხი: არა. მაგონდება, ვინმე ოხასი მსახურობდა ჩემს რაზმში, მაგრამ მას შემდეგ არ შეხვედრივარ. მერე რა, ის ოხასი ამტკიცებს, რომ სტატიის დაბეჭდვა ვთხოვე?

კითხვა: არა, ის უარყოფს ამას. და მაინც, ვფიქრობ, სტატია თქვენი თხოვნით მის სტამბაში დაბეჭდეს.

პასუხი: ბატონო პროკურორო. არავის არა აქვს უფლება წარმოსახვაში ხელი შეგიშალოთ, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რაც გითხარით.

კითხვა: სტატიაში გაკვრითაა ნათქვამი იდოხარასა და კინომსახიობ კინუკოს (ტაკაკო მიძუხოს სასცენო სახელია) შორის არსებულ ინტიმურ ურთიერთობაზე. რა შეგიძლიათ თქვათ ამის თაობაზე?

პასუხი: ჩემამდე აღწევდა ხმები, რომლებიც კომპანიის პრეზიდენტის, იდოხარას პირად ცხოვრებას ეხებოდა, მაგრამ ზემოხსენებული მსახიობის შესახებ არაფერი ვიცი.

კითხვა: რა ხმები გაქვთ მხედველობაში?

პასუხი: იდოხარას ჰყავდა საყვარელი — კინომსახიობი მინაკო (სასცენო სახელია იუკიკო), რომელიც დააბინავა ოტელ მ.-ში, 1129 ნომერში. ეს არა მარტო ჩემთვისაა ცნობილი, არამედ კომპანია „ორიენტის" ყველა თანამშრომლისათვის.

კითხვა: შეხვედრიხართ იმ მინაკოს?

პასუხი: ის თვით იდოხარამ გამაცნო. მისი დავალებით რამდენჯერმე შევხვდი.

კითხვა: იდოხარამ სალონ „ალილუიას" არენდით გადასცა მისი კუთვნილი აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობის პირველ სართულზე მდებარე სადგომი. ამ სალონის პატრონ ფუკუსიმას თუ იცნობთ?

პასუხი: არა, არ ვიცნობ. არც ის ვიცი, აღმოსავლეთის ფოლადსასხმელი კომპანიის შენობაში ასეთი სალონი თუ არის.

კითხვა: დაბეჭდილ სტატიაში მოხსენიებულია შემთხვევა, კინომსახიობმა მინაკომ სალონ „ალილუიაში" სანთებელათი ქსოვილის ნიმუშს ცეცხლი რომ წაუკიდა. სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ინციდენტი არ გახმაურებულა და გაზეთებშიც არ გამოქვეყნებულა მის შესახებ ინფორმაცია. სტატიაში აღნიშნულია, რომ ინციდენტი მიაფუჩეჩეს იდოხარასა და მინისტრის მოადგილე სინამის ზემოქმედებით. ამის თაობაზე თუ იცით რაიმე?

პასუხი: აბსოლუტურად არაფერი არ ვიცი.

კითხვა: მაგრამ დაკითხვაზე მინაკომ აღიარა, რომ ცეცხლი წაუკიდა თქვენი წაქეზებით. მან თქვა, რომ ეს გააკეთა ოტელ მ.-ს ჰოლში თქვენთან საუბრის შემდეგ.

პასუხი: არ მახსოვს, მასთან ასეთი საუბარი მქონოდეს. მინაკო კინომსახიობია და უნარი შესწევს ნებისმიერ ტყუილში დაგარწმუნოთ.

კითხვა: ის ამტკიცებს, თითქოს თქვენ უთხარით, რომ ფუკუსიმა იდოხარას საყვარელია.

პასუხი: არ მახსოვს და არც შემეძლო ასეთი რამის თქმა, რადგან ვიცოდი, ფუკუსიმა სინამის საყვარელი იყო.

კითხვა: მაგრამ, შესაძლოა, პირველად არ გცოდნოდათ და მინაკოსთვის შეცდომით გეთქვათ, ფუკუსიმა იდოხარას საყვარელიაო.

პასუხი: ეს შეუძლებელია.

კითხვა: მინაკოს ჩვენებებისდა მიხედვით, თქვენი შეცდომის შედეგად, ეპვით შეპყრობილი სალონ „ალილუიაში" წავიდა და იქ ქსოვილს ცეცხლი წაუკიდა. ახლა ნანობს თავის საქციელს. ამბობს, რომ მოგვიანებით მიხვედით მასთან, რათა თქვენი შეცდომის გამო ბოდიში მოგეხადათ.

პასუხი: ასეთი რამ არ ყოფილა.

კითხვა: თქვენ ყველაფერს კატეგორიულად უარყოფთ. მაგრამ კაფეს მოსამსახურეებმა, სადაც მინაკოს ხვდებოდით, ერთსულოვნად შეგიცვნეს, როცა მათ თქვენი ფოტოსურათი წარვუდგინეთ.

პასუხი: ქვეყანაზე ბევრი ერთმანეთის მსგავსი ადამიანია. ამიტომ, არ უნდა დაუჯეროთ მათ მტკიცებებს.

კითხვა: თქვენთვის ნაცნობია სახელი და გვარი — ხაცუკო იდოხარა?

პასუხი: ის კომპანია „ორიენტის“ პრეზიდენტის, იდოხარას ცოლია.

კითხვა: თქვენთვის ცნობილია ის ამბავი, რომ გასული წლის თებერვალში ხაცუკო იდოხარამ ჰონკონგში იმოგზაურა?

პასუხი: ცნობილია. იმ დროს იდოხარა საზღვარგარეთ იმყოფებოდა, და მის მაგივრად ხანედას აეროპორტში მე გავაცილე. ჩემს გარდა, იქ იყვნენ იდოხარას ნაშვილები სიოძი, ნაშვილების ბიძაშვილი რიოსაბურო და მათი ცოლები.

კითხვა: თუ იცნობთ ქალს, რომლის გვარია ესიკო კურატა?

პასუხი: კურატა ხაცუკო იდოხარას მეგობარია და ჰონკონგში თან ახლდა.

კითხვა: თუ იცნობთ კაცს, გვარად იამანეს?

პასუხი: იამანე ბეისბოლისტია, „კონდორსის“ გუნდში თამაშობს. მაგრამ მას არასდროს შევხვედრივარ.

კითხვა: როდესაც ხაცუკო ჰონკონგში იყო, იქ იამანე ჩავიდა. ამბობენ, თქვენ კურატასთან მორიტა მიაგზავნეთ, რათა გაგერკვიათ, როგორ იქცეოდნენ ჰონკონგში ხაცუკო და იამანე. მართალია ეს?

პასუხი: მსგავსი არაფერი გამიკეთებია.

კითხვა: მორიტას ჩვენებისდა მიხედვით, თქვენ ვარაუდობდით, რომ ჰონკონგში იამანე და ხაცუკო ინტიმურ ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან და დაბეჯითებით სთხოვდით მორიტას ამ ფაქტის გარკვევას.

პასუხი: ყველაფერი ეს მორიტას მონაჩმახია.

კითხვა: მორიტამ აჩვენა, რომ თქვენი მიზანი იყო იდოხარას შანტაჟირება იამანესა და მისი ცოლის ინტიმური ურთიერთობის გამჟღავნების მუქარით. ასეა ეს?

პასუხი: კატეგორიულად უარვყოფ ამ სიცრუეს.

კითხვა: აღნიშნულ სტატიაში სიტყვაა გადაკრული იდოხარასა და სინამის ურთიერთობაზე ზოგიერთ ქალთან. სტატიის ეს ნაწილი ტექსტობრივად ემთხვევა მორიტას ჩვენებებს. როგორ ახსნით ამგვარ დამთხვევას?

პასუხი: ეს ჩემთვის უცნობია.

კითხვა: ვფიქრობ, სტატიაში არსებული გადაკრული სიტყვებით, გარეშე კაცი მიხვდება იდოხარასა და სინამის ურთიერთობას ზოგიერთ ქალთან. როგორია თქვენი აზრი?

პასუხი: არა მგონია, უცხო კაცი მიხვდეს.

კითხვა: იდოხარა და სინამი რომ წაიკითხაენ, მიხვდებიან, რაზეა ლაპარაკი?

პასუხი: იდოხარასა და სინამის მაგივრად ვერაფერს ვიტყვი.

კითხვა: თუკი სტატიის წაკითხვის შემდეგ იდოხარა და სინამი აღმოაჩენენ, რომ მასში ხელყოფილია მათი პირადი ცხოვრება, მაშინ აღნიშნული სტატია, ჩემი აზრით, პიროვნებისადმი მუქარად უნდა მიეიჩნიოთ. როგორია თქვენი აზრი?

პასუხი: ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით.

კითხვა: იცნობთ თუ არა კაცს, რომლის გვარია ტეცუო ტადოკორო?

პასუხი: ასეთ ადამიანს არ ვიცნობ.

კითხვა: ტეცუო ტადოკორო სადაზღვევო საზოგადოება „ფუკუსეის" აგენტია. მან აჩვენა, რომ მორიტას საშუალებით თქვენ მას შეხვდით და დაავალეთ, სკანდალი მოეწყო იამანესა და კინომსახიობ ტაკაკო მიძუხოს საქორწილო ბანკეტზე. 27 ოქტომბერს თექვსმეტ საათსა და ოც წუთზე ტეცუო ტადოკორო ოტელ ს.-ს მისაღებ დარბაზში შეიპარა და ხმამაღლა გამოაცხადა, რომ ტაკაკო მისი ყოფილი საყვარელია. უფრო მეტიც — მან პირში უთხრა ტაეკოს — იდოხარას ნათესავს, რიოსაბუროს მეუღლეს, ჩემთან ინტიმურ კავშირში ხარო, რის გამოც ქალმა გრძნობა დაკარგა. ადასტურებთ ტეცუო ტადოკოროს ჩვენებას?

პასუხი: რაც უნდა ილაპარაკოს ტადოკორომ, ეს მე სრულებით არ მეხება.

კითხვა: საერთოდ, თქვენ არაფერი იცით ოტელ ს.-ში ბანკეტის დროს მომხდარ სკანდალზე?

პასუხი: მგონი, ამის თაობაზე გაზეთებში წავიკითხე. მაგრამ, ვინაიდან ასეთი ამბები ნაკლებად მაინტერესებს, წვრილმანები აღარ დამიზუსტებია.

კითხვა: მერედა, რას წერდნენ ამაზე გაზეთები?

პასუხი: არაფერი ამდაგვარი, რაც ახლა მიამბეთ, იქ არ ყოფილა, ბატონო პროკურორო. გაზეთში გამოქვეყნებული იყო მხოლოდ მოკლე ინფორმაცია, რომ ბანკეტის დროს მსახიობ ტაკაკო მიძუხოს ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ცოტა ხნით დაარღვია ცერემონიის წესი.

კითხვა: ჩანს, გაზეთების რედაქციებმა, ცერემონიის მონაწილეებისათვის უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოდ

ჩათვალეს სიმართლე დაეძალათ. სინამდვილეში კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გითხარით: ყველაზე წარჩინებული სტუმრების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოების შემდეგ ახლად დაქორწინებულები შესასვენებლად გავიდნენ და ნახევარი საათის შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ საქორწილო სუფრას. კვლავ დაიწყო მილოცვები. ერთ-ერთი მისალოცი სიტყვის დროს, მიუხედავად მოსამსახურე პერსონალის წინააღმდეგობისა, საბანკეტო დარბაზში ტეცუო ტადოკორო შემოიჭრა. ის მივიდა მაგიდასთან, სადაც რიოსაბურო და მისი ცოლი ტაეკო ისხდნენ და, ხმამაღლა მიმართა: „მოგილოცავ, ტაეკო! მოხარული ვარ, რომ დღეს იდოხარამ შეძლო თავისი საყვარელი ბეისბოლისტისათვის შეესაღებინა. ოდესმე ჩვენც ვთხოვოთ იდოხარას ერთმანეთი გაგვირიგოს. განა შენ არ მეუბნებოდი, ნეტავ მეუღლეს გავშორდე და შენ წამოგყვე ცოლადო?“ ტაეკოს ისე შეეშინდა, რომ გრძნობა დაკარგა. ერთი ამბავი ატყდა და ბანკეტი ჩაიშალა.

პასუხი: ასეთი რამ პირველად თქვენგან მესმის.

კითხვა: ტეცუო ტადოკორომ აჩვენა, რომ სწორედ თქვენ უბიძგეთ მას ასეთი მოქმედებისაკენ.

პასუხი: ეს წმინდა წყლის სიცრუეა.

კითხვა: დავუბრუნდეთ სტატიას, რომელიც დაიბეჭდა და სხვადასხვა მისამართით დაიგზავნა. მასში ნათქვამია, რომ მომავალში დაწვრილებით გააშუქებდნენ იდოხარას პირად ცხოვრებას. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს იყო ერთგვარი მაუწყებელი ტაეკოსა და ტეცუოს ინტიმური კავშირის გამჟღავნებისა?

პასუხი: ამის თაობაზე არაფერი ვიცი.

კითხვა: თუმცა უკვე გვაქვს მორიტასა და ტადოკოროს ჩვენებები ამის თაობაზე, თქვენ მაინც გადაჭრით უარყოფთ ყველაფერს, აგრეთვე კინომსახიობმა მინაკომაც მოგვცა ჩვენება იმის შესახებ, რომ ის თქვენ გეთათბირებოდათ სხვადასხვა საკითხზე და თქვენი წაქეზებით გააჩინა ხანძარი. თქვენ ხომ ყოფილი სამხედრო ხართ. მაშ ვაკაცურად აღიარეთ ყველაფერი, ნუ შეირცხვენთ მხედრულ სულს, რომელიც, ვიმედოვნებ, კიდევ შეგრჩათ.

პასუხი: რაც უნდა თქვათ ჩემზე, არაფერი ამდაგვარი არ მახსოვს და არ ვიცი.

კითხვა: იდოხარას ჩვენებისდა მიხედვით, თქვენ მისი სატრანსპორტო კომპანია „ორიენტისა“ და ზოგიერთ მისდამი დაქვემდე-

ბარებული ფირმის ხელში ჩაგდებას აპირებდით. როცა იდოხარამ ეს გაიგო, გაგაფრთხილათ ამგვარი ნაბიჯის თაობაზე. და მაშინ თქვენ მიიღეთ მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო იდოხარას გასანადგურებლად. ის ადასტურებს, რომ საქმიანი და საბანკო წრეების ავტორიტეტულ წარმომადგენლებთან და აგრეთვე გაზეთების რედაქციებში გაგზავნილი ზემოხსენებული სტატიაც იდოხარას რეპუტაციის შესალახავად, ნდობის დასაკარგავად და გასაკოტრებლად იყო გაანგარიშებული. რა შეგიძლიათ თქვათ ამის თაობაზე?

პასუხი: ეს წმინდა წყლის მონაქორია. იდოხარამ ყოველივე ეს მოიგონა, რათა მე კომპანიიდან გავეგდე.

კითხვა: განა თქვენ თვითონ არ ამტკიცებთ, თავიდან მშვენივრად შეეწყვე მუშაობაში იდოხარას და მისი სრული ნდობით ვსარგებლობდიო. იმიტომ ხომ არ გაფუჭდა თქვენს შორის ურთიერთობა, როგორც იდოხარა აჩვენებს, რომ მისი კომპანიის ხელში ჩაგდება განიზრახეთ?

პასუხი: მსგავსი არაფერი ყოფილა. ყოველივე იდოხარას მონაქორია.

კითხვა: რისთვის დასჭირდა ასეთი ქორები?

პასუხი: ეს ჩემი ვარაუდია მხოლოდ, მაგრამ გარკვეული დროიდან იდოხარა ჩემთან ურთიერთობას ერიდებოდა. მაშინ, როდესაც კომპანია ჯერ კიდევ ახალი შექმნილი იყო, მას არ ჰყავდა სანდო კაცი, ვისაც მთლიანად დაეყრდნობოდა, არც კომპანიაში იყვნენ გამოცდილი მუშაკები. ამიტომაც დიდი იმედი ჰქონდა ჩემი. რაც დრო გადიოდა, იდოხარას მით უფრო ემატებოდა გამოცდილება და მეტად და მეტად აფართოებდა თავის საქმიანობას. თავდაპირველად ის დაუახლოვდა აწ განსვენებულ სუგინუმას, მოიპოვა მისი კეთილგანწყობა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მის კონცერნში. და მაინც, იმხანად იდოხარა მხოლოდ მორჩილი ლეკვი გახლდათ სუგინუმასი, მაგრამ ამავე დროს მომავლისათვის იკრებდა ძალას. სწორედ მაშინ მიმიღეს სამუშაოდ იდოხარას კომპანიაში და ყოველნაირად ვთანამშრომლობდი მასთან. შესაძლოა, ეს თვითდაჯერებულად ეღერდეს, მაგრამ თავს ნებას მივცემ ვთქვა, ძალიან დავეხმარე იდოხარას მიეღწია იმ მდგომარეობისათვის, რომელიც დღეს უკავია. მართლაც, მაშინ იდოხარა თავისი შვილობილის აზრზე უფრო ჩემსას აფასებდა და ჩემს რჩევებსაც უფრო ყურად იღებდა.

სუგინუმას სიკვდილის შემდეგ იდოხარამ ერთბაშად წამოიწია წინა პლანზე, სწრაფი ტემპებით დაიწყო გამდიდრება და თავისი მოღვაწეობის გაფართოება. მოკლედ რომ ვთქვათ, თავისი მფარველის სიკვდილის შემდეგ, რომელიც თვალში ეკალივით ესობოდა, იდოხარამ მართლაც რომ ფრთები გაშალა და თავისუფლად დაიწყო თავისი გეგმების განხორციელება.

კითხვა: შემდეგ რა იყო?

პასუხი: ჩემი სამსახურებრივი მოვალეობებისდა მიხედვით, იმხანად ყველა საქმის კურსში ვიყავი, რასაც იდოხარა წამოიწყებდა. ჩემი აზრით, იდოხარა გამოჩენილი მეწარმეა. მას ბევრი ორიგინალური იდეა და კარგი საქმიანი ალღოც აქვს, კომპანიის თანამშრომლებში აბსოლუტური ავტორიტეტითა და შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს. ჩემი სურვილი იყო, იდოხარა საქმიანი სამყაროს უდიდეს მოღვაწეთა რიგებში გასულიყო. იდოხარას ეს ესმოდა და დახმარებისათვის არაერთხელ უთქვამს მადლობა. იდოხარას მოქმედების სფეროს გაფართოებასთან ერთად, სულ უფრო მეტად იგრძნობოდა რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწესთან კონტაქტის აუცილებლობა. იდოხარამ აირჩია სინამი — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის საპარლამენტო მოადგილე, კისაც მომავალში მთავრობის პარტიის გენერალური მდივნის პოსტს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ იდოხარას არ უამბნია, როგორ დაამყარა კონტაქტი სინამისთან. თავისი მოღვაწეობის ამ მხარეს მეც კი მიმალავდა. მივხვდი: როგორც მეწარმე, იდოხარა ისე მყარად იდგა ფეხზე, რომ ჩემს რჩევებს ალარ საჭიროებდა. გულის სიღრმეში ეს მიხაროდა კიდეც და არც შეურაცხყოფას ვგრძნობდი აქტიურ სამუშაოს ჩამოცილების გამო.

კითხვა: მას შემდეგ, რაც იდოხარა რჩევისათვის ალარ მოგმართავედათ, განა არ შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება იდოხარასადმი?

პასუხი: იდოხარას მიმართ არავითარი წყენა გულში არ გამიელია. უკვე მოვხუცდი და არც საკუთარი საქმის წამოწყებისა და არც სხვისი კომპანიის ხელში ჩაგდების განზრახვა არა მაქვს. ამიტომ ჩემთვის გაუგებარი იყო, რატომ წამოიწყო რაღაც საქმე ჩემგან საიდუმლოდ სინამისთან ერთად. გულახდილად რომ გამნდობოდა, მეც ძველებურად თავდაუზოგავად დავეხმარებოდი. სამწუხაროდ, იდოხარამ უნდობლობა გამომიცხადა.

კითხვა: თქვენი აზრით, რატომ მოიქცა ასე?

პასუხი: ალბათ, იმიტომ, რომ იდოხარას და სინამის შორის ისეთი გარიგებები ხდებოდა, რომელთაც ჩემგანაც კი საიდუმლოდ ინახავდნენ.

კითხვა: ყოველივე, რაც ახლა თქვით, სტატიის შინაარსს ემთხვევა. ამეკვიატა აზრი, რომ სწორედ თქვენ მიეცით მორიტას ყველა საჭირო მასალა, რათა სტატია დაეწერა. ასე არ არის?

პასუხი: თუ იქ სიმართლეა გადმოცემული, მაშინ ჩემ გარდა, შესაძლოა, კიდევ ბევრმა იცოდეს. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ჩემი აზრი შემთხვევით სტატიის ტექსტს ემთხვევა, ბატონო პროკურორო, ეს გარემოება ჩემში ეჭვის შეტანის უფლებას არ უნდა გაძლევდეთ.

კითხვა: სტატიაში ნათქვამია, რომ იდოხარამ წარსულში ჩაიდინა დანაშაული, სახელდობრ, ომის დროს უფროსობასთან შეთანხმებით სამხედრო მომარაგების სამინისტროს საწყობებიდან გაიტანა სამხედრო საქონელი და მისი გაყიდვით ზღაპრული სიმდიდრე მოიხვეჭა. სწორედ ეს ფული გახდა საფუძველი იდოხარას დღევანდელი აღზევებისა. როდესაც იდოხარას დანაშაულზე წაასწრეს და დააპატიმრეს, თქვენ აწარმოებდით მის დაკითხვას?

პასუხი: არა, მე არა. უშუალოდ ერთ-ერთი ჩემი ხელქვეითი დაჰკითხავდა.

კითხვა: დაასახელეთ მისი გვარი.

პასუხი: ახლა უკვე აღარ მახსოვს.

კითხვა: იცოდით რა იდოხარას წარსული, ხომ არ ცდილობდით ზემოქმედება გქონოდათ მის ფსიქიკაზე?

პასუხი: ბატონო პროკურორო, მე არ ვიცი, რა ჩაიდინა იდოხარამ. დაკითხვას აწარმოებდა ჩემი ხელქვეითი და მხოლოდ ის ვიცი, რასაც მომახსენებდნენ. როგორც უკვე გითხარით, გამოძიება შეჩერებულ იქნა ომის დამთავრებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ იმ სტადიაში, როდესაც იდოხარას დანაშაული არ იყო დამტკიცებული და შეუძლებელი შეიქნა საფუძვლიანი დადასტურება იმისა, რომ იდოხარამ დანაშაული ჩაიდინა. განა შემეძლო ასეთ ვითარებაში იდოხარაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მომეხდინა?

კითხვა: დანაშაულის ამ ფაქტმა ხელი შეუწყო თქვენსა და იდოხარას შორის კარგი ურთიერთობის დამყარებას, ასე არ არის? გა-

მოამკარავების შიშმა აიძულა იდოხარა, თავის კომპანიაში მიეღებინ სამსახურში.

პასუხი: მე ასე არ ვფიქრობ. განა ახლა იდოხარამ თავი შეიკავა, რომ ცილისწამებისათვის სასამართლოში არ ეჩივლა ჩემთვის? იდოხარას რომ ჩემი ეშინოდეს, ასე არ მოიქცეოდა.

კითხვა: როგორც ჩანს, თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ იდოხარა ცილისწამებისათვის სასამართლოში არ გიჩივლებდათ.

პასუხი:

კითხვა: სწორედ ეს გახლდათ თქვენი შეცდომა. იმედი გქონდათ, რომ იდოხარას შეეშინდებოდა გამოამკარავებისა და არამცთუ არ იჩივლებდა სასამართლოში, არამედ მომავალშიც არაფერს დაგიშავებდათ.

* * *

„დიახ, პროკურორი მართალია. — ფიქრობდა თავისთვის ნემოტო, — არ მეგონა, რომ იდოხარა სასამართლოში მიჩივლებდა. — ვფიქრობდი, უკიდურეს შემთხვევაში, გამლანძღავს და შერიგებას შეეცდება-მეთქი“.

როცა გაიგო, იდოხარამ ჩემ წინააღმდეგ საქმე მაინც აღძრაო, ნემოტო მიხვდა, რომ არასწორი ტაქტიკა აირჩია და მტრის ალყაში აღმოჩნდა.

მას არ ეგონა, რომ რეპორტიორი მორიტა, იდოხარას ხასა მინაკო და ტაეკოს საყვარელი ტეცუო ასე მალე გატყდებოდნენ და ასე იოლად დაუწყებდნენ ლანძღვა-გინებას. თითქოსდა, საკმაოდ კარგად შთააგონა მათ, რომ არავითარი ნივთმტკიცებანი არ არსებობდა და მშვიდად შეეძლოთ ყველაფრის უარყოფა. ანგარიშში მოტყუვდა!

მტკიცედ იდგნენ მხოლოდ ნემოტოს ყოფილი ხელქვეითები არც ხორიკავას, არც ოხასის, რომელმაც სტატია დაბეჭდა, არც სხვა „თანამოაზრეებს“ სიტყვაც არ წამოსცდენიათ. რომ შესძლებოდა მხოლოდ მათზე დაყრდნობა, ყველაფერი კარგად იქნებოდა. სამწუხაროდ, მარტო ისინი ვერ შეძლებდნენ ასეთი ოპერაციის ჩატარებას. და აი, იდოხარას განადგურების ცდა წარუმატებლად დამთავრდა, ხოლო მალე ერთი თვე იქნება, რაც ნემოტო წინასწარ პატიმრობაშია.

ნემოტო პროკურორის კითხვებს პასუხობდა და იმაზე ფიქრობდა, რატომ იქცეოდა ასე გაბედულად იდოხარა და, მიუხედავად ყველაფრისა, რატომ უჩივლა სასამართლოში. განა მისი წარსული დანაშაულებების გამჟღავნებასა და ოჯახურ უთანხმოებებს არ უნდა მოესპო საზოგადოების ნდობა და ხელი არ უნდა შეეშალა მისი საბეწარმეო საქმიანობისათვის?

— თქვენ შეცდომა დაუშვით, — მოესმა პროკურორის ხმა, თითქოს ნემოტოს აზრები წაიკითხაო. — დღევანდელ იდოხარას ხუთი წლის წინანდელი საზომით მიუდექით. არადა, უკვე დიდი ხანია, რაც იმ საზომს გადაამეტა და უდიდესი მეწარმე გახდა. მშობლები თავის შვილს მაშინაც კი ბავშვად თვლიან, როდესაც ზრდასრული ადამიანი შეიქნება ხოლმე. ეს იმიტომ, რომ მუდამ ერთმანეთის გვერდით არიან. თქვენც ძალიან დიდხანს იყავით იდოხარას გვერდით და თქვენს შეგნებაში ისევე აფასებდით, როგორც ამ ხუთი, ათი წლის წინ. ეს გახლავთ თქვენი გაანგარიშების ძირითადი შეცდომა.

— დღევანდელ იდოხარას კი ვეღარ მოერევით. მისი წარსული დანაშაულების გამოაშკარავებით, ქვეყანაც რომ შეძრათ, თმაც არ შეერხევა თავზე. არავითარ გავლენას არ მოახდენს არც მის რწმუნებულობაზე, და არც მის სამეწარმეო მოღვაწეობაზე. პირიქით, ახლა ყოველივე ეს მხოლოდ სარგებლობას მოუტანს და იდოხარას ირგვლივ იდუმალების შარავანდედს შექმნის.

—

— სტატიაში მოხსენიებულია იდოხარას მიერ ნაგანოს პრეფექტურაში სახელმწიფო სატყეო ნაკვეთის შესყიდვის ამბავი. მაგრამ, ისეთი გამოცდილი კაციც კი, როგორიც თქვენ ხართ, ჩანს, ვერ მიხვდა, რა მიზანი ჰქონდა ამ გარიგებას. იდოხარა შეუთანხმდა მმართველი პარტიის ერთ მეტისმეტად გავლენიან ბოსს. ამის შედეგად ეს სახელმწიფო ტყე შეფასდა მის ახლანდელ ღირებულებაზე ასჯერ უფრო მეტად. შემდეგ დასავლეთ იაპონიის ერთ-ერთ ბანკთან წინასწარი შეთანხმებით, ტყე დააგირავეს, გაბერილი შეფასებიდან გამომდინარე, და ამ გირაოთი იდოხარამ და სხვა დაინტერესებულმა პირებმა ბანკიდან კოლოსალური თანხა მიიღეს. ყველას კი ეგონა, თითქოს იდოხარამ შედარებით იაფ ფასში შეიძინა სახელმწიფო ტყე, რათა ცოტა მოგვიანებით უფრო ძვირად გაეყიდა. თუ

თქვენც ასე ფიქრობდით, მაშასადამე, კვლავ ჩვეული საზომით უდგებოდით იდოხარას.

აი, თურმე რა ყოფილა, ამოიოხრა გულში ნემოტომ. დიახ, ამდენი მან ვერ მოისაზრა. ახლა გასაგებია, რა მიზნით შეხვდნენ ერთმანეთს ასამის ცხელ წყლებზე სინამი, იდოხარა და დასავლეთ იაპონიის უდიდესი ბანკის პრეზიდენტი.

— ბატონო პროკურორო! — წამოიძახა ნემოტომ. — თუ ყოველივე ეს ცნობილია თქვენთვის, მაშინ რატომ არ ამხელთ მათ?

— ჯერ არ დამდგარა შესაფერი მომენტი. ისინი მხოლოდ ახლა შეუდგნენ თავიანთი გეგმის განხორციელებას. თვალი უნდა მივადევნოთ. რას მოიმოქმედებენ შემდგომში... მაგრამ, ვფიქრობ, რომ ვერ გამოვიჭერთ.

— რატომ?

— ისინი ძალზე მოხერხებულად და ეშმაკურად მოქმედებენ და არავითარ შემთხვევაში არ მოგვცემენ გამოაშკარავების საშუალებას. მათი დაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ის გაელვნიანი ბოსი თავის შესაძლებლობებთან შედარებით ხელგაშლილ ცხოვრებას დაიწყებს. მაგრამ მაშინაც კი გამოშკარავება ოპოზიციური პარტიების მხრიდან კი არ მოხდება, არამედ იმავე მმართველი პარტიის მტრულად განწყობილი ფრაქციისაგან მიღებული საიდუმლო ინფორმაციის წყალობით. ამ ფრაქციებში არიან დეპუტატები, რომელთაც ფული და მინისტრის პოსტები აწყურიათ. მმართველი პარტიის ყოველი ფრაქცია შემოკრებილია ბოსის ირგვლივ, რომელსაც ერთის უზრუნველყოფაც შეუძლია და მეორისაც. მაგრამ ფრაქციების შიგნით დეპუტატებს შორის ურთიერთობა აგებულია გამორჩენის ინტერესზე, რომლის გულისთვისაც მზად არიან ერთმანეთს ყელი გამოღადრონ და გუშინდელი ამხანაგი ციხეში ჩასვან. ამგვარი დაბეზღებები ბევრი გვაქვს, მაგრამ საქმე ძალზე იშვიათად მიდის სასამართლომდე.

— ბატონო პროკურორო! თქვენ ხომ გაქვთ სამართლიანობის გრძნობა? ალბათ სწორედ ამ გრძნობის გამო აირჩიეთ პროკურორის მაღალი პროფესია? მაშ რატომ-არ უნდა მოიკრიბოთ სიმამაცე და საჯაროზე გამოიყვანოთ ასეთი ადამიანები?

— სამართლიანობის გრძნობა, ისევე როგორც ყოველ პროკურორს ცალ-ცალკე. მეც მაქვს. მაგრამ ცალკეული პიროვნება და ორგანიზაცია ერთი და იგივე არ არის.

— რას ნიშნავს ეს?

— ყოველი პროკურორი — ეს კიდევ არ არის პროკურატურა.

— მაგრამ...

— პროკურატურა — ესაა გენერალური პროკურორიც და მთავარი პროკურორებიც სხვადასხვა სასამართლოებში, თვით რაიონების პროკურორების ჩათვლით. ისინი ყველანი ერთად ავლენენ პროკურატურის საერთო ნებას სასამართლო საქმეების მიმართ. ასეთია პროკურატურის პრინციპი. პოლიტიკური მოღვაწეების კორუფციის საქმეთა განხილვისას საქმის გარჩევაში დამატებით ჩართავენ ხოლმე რაიონულ პროკურატურათა სპეციალური საგამოძიებლო განყოფილებების უფროსებს. მთელი ამ სისტემის წარმოდგენა შეიძლება ადამიანის სხეულის სახით, რომლის კიდურები, ესე იგი დაბალი ინსტანციების პროკურორები, თავისი სურვილისამებრ ვერ მოქმედებენ.

— მაშასადამე, პროკურატურის საქმიანობის პრინციპი არ ითვალისწინებს სამართლიანობის გრძნობის არსებობას?

— მთლიანად პროკურატურა — ესაა ორგანიზაცია, და თუკი ამა თუ იმ პროკურორს სამართლიანობის გრძნობა აქვს, თვით ორგანიზაციაში სულ სხვაგვარად ხდება ამის ტრანსფორმაცია. მთლიანად პროკურატურის ხასიათი ანიველირებს და ნთქავს თითოეული პროკურორის ინდივიდუალურ თავისებურებას.

— გამოდის, რომ ისეთი ორგანიზაცია, როგორც პროკურატურაა, ადვილად ემორჩილება პოლიტიკურ მოღვაწეთა გავლენას და ცოტა რამ აქვს საერთო სამართლიანობის გრძნობასთან. მაშასადამე, პროკურატურა მხოლოდ ჩვენისთანა სუსტსა და უმნიშვნელო არსებებს გაიღებს ხოლმე მსხვერპლად. რას იზამ, ახლა ჩემთვის გასაგებია: პრინციპი, რის საფუძველზეც პროკურატურა მოქმედებს, ხელს უწყობს კორუფციისა და სხვა მისთანა ბოროტებათა გაფურჩქვნას.

— თანამედროვე მსოფლიოში ძნელია სამართლიანობის დამყარება. ბევრი გამოუცდელი პროკურორი უკვე დაზარალდა, როდესაც ცდილობდა სამართლიანობისთვის მიეღწია. — პროკურორმა ცალყბად ჩაიცინა და დაუმატა: — სიტყვამ მოიტანა და, იდოხარამ და რიოსაბურომ თავიანთ ცოლებთან განჭორწინების საქმე აღძრეს. თქვენი სტატიის წყალობით მათ ამის მყარი საფუძველი აქვთ და, ალბათ, მადლობელნი არიან იმისათვის, რომ ახალი ცოლების მოყვანის შესაძლებლობა მიეცათ...

ՀԳԵԱՅԵՌԱՍՏՂ ԾՍՂՍԱԿԵՌՉԵՌ

սեպտեմբերյան ցնցումներ



1

— შემოიყვანეთ საზღვრის დამრღვევი.

— არის, ამხანაგო კაპიტანო, — გარკვევით უპასუხა ლეიტენანტმა და მაშინვე გავიდა.

პატიმარმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ოთახის შუაგულისაკენ და მძიმედ დაეშვა იქ დადგმულ ტაბურეტზე. თავი დაბლა დახარა. ეტყობოდა, ძალზე დასუსტებულიყო. წარბშეკრული, უძილობისაგან ჩაწითლებული თვალებით ნელა ათვალიერებდა ოთახს, მაგრამ, პურევჟავის გამოხედვას რომ წააწყდა, თვალი აარიდა. ღონიერი, თხელწყერიანი, საკმაოდ ახალგაზრდა კაცი გახლდათ.

კაპიტანმა სკამი მასთან ახლოს მისწია და დაკითხვა დაიწყო:

— ვინა ხართ? წარმოშობით საიდან ხართ?

— ბალდანი მქვია. ადრე ბარგუტის კუმირნის[1] მიდამოებში ვცხოვრობდი, მაგრამ აი, უკვე ათი წელია, რაც მშობლიური კერა დავტოვე.

— სად იმყოფებოდით ამ ხნის განმავლობაში? რა მიზნით ჩამოხვედით მონღოლეთში?

— ყველაფერს გეტყვით, — აჩქარდა პატიმარი. — თქვენგან დასამალი არაფერი მაქვს და ვერც ვერაფერს მოვიგებ ამით.

დაპატიმრების დროს დაზიანებულ ხელს შეეხო და ტკივილისაგან სახე დაემანჭა. მაშინ, საზღვარზე, წინააღმდეგობა არ გაუწევია, ისე გააჩხრეკინა თავი, მაგრამ მომენტი შეარჩია და მოულოდნელად თავს დაესხა მესაზღვრეს. მესაზღვრემ მაინც მოახერხა ისეთი ძალით გადაეგრიხა ხელი, რომ საზღვრის დამრღვევი ერთბაშად მოტყდა და მხარში მწვავე ტკივილისაგან წამოიყვირა. ახლა მხარი შესიებოდა, ტეხდა და მოსვენებას არ აძლევდა.

პატიმარი ტკივილის დაყუჩებას დაელოდა და თამბაქო მოითხოვა. პურევჟავმა კოლოფი გაუწოდა და ასანთი აანთო იმან მოუკიდა და ხარბად მოქაჩა. შუბლი ოფლით დაეცვარა.

[1] შიდა მონღოლეთის (ჩინეთი) ტერიტორიაზე. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრის ახლოს.

— მაშასადამე, გინდათ იცოდეთ, რა მიზნით მოვედი მონღოლეთში? — გაიმეორა კითხვა და გამომწვევად უთხრა: — ამბოხების მოსამზადებლად — აი, რა მიზნით! ხოლო სიმართლე თუ გინდათ, სარბინში იაპონიის დაზვერვისაგან დავალება მაქვს. მაგრამ, ვიდრე ლაპარაკს განვაგრძობდე, გარანტია მჭირდება. თუ შეეთანხმდებით, ზუსტად ვარ ყველაფერი გიამბოთ.

— რა გარანტიაზე ლაპარაკობთ? — გაოცდა გამომძიებელი.

ერთხანს დუმდა, მერე ერთი ჭიქა წყალი მოითხოვა. დალია და ტუჩები ხელით მოიწმინდა.

— გთხოვთ სიცოცხლე შემინარჩუნოთ, — შეცელილი ხმით წარმოთქვა მან. — მე ვარ მხოლოდ დაქირავებული მაწანწალა, რომელსაც სამშობლო არ გააჩნია, — და ხმა აუკანკალდა.

— თქვენს ჩვენებებზე იქნება დამოკიდებული, შეგინარჩუნებთ სიცოცხლეს თუ არა. რასაკვირველია, გავითვალისწინებთ, თუ არაფერს დამალავთ და სიმართლეს გვიამბობთ. მაშ ასე, რა მიზნით ჩამოხვედით? კარგად მოგეხსენებათ, რომ ახლა ყოველი საათი ძვირფასია ჩვენთვის. მიპასუხეთ! — დაჟინებით მოითხოვა პურეევამ.

ბალდანი დიდხანს ახველებდა, ყელს იწმენდდა, როგორც ჩანს, თავისთვის წონიდა, რა ეთქვა და რა არა. ბოლოს დაიწყო:

— საზღვრის გადალახვის შემდეგ უნდა დავსახლებულიყავი წმინდა ლუზანის მონასტერში, რომელიც მონღოლეთის აღმოსავლეთ საზღვრის ახლოს მდებარეობს და დახმარება გამეწია ლამებისათვის[1] კონტრრევოლუციურ მოღვაწეობაში. მაგრამ ჯერ საიდუმლო წერილი და განსაკუთრებული ნიშანი უნდა მიმეღო დოვჩინისაგან — ხუბილგან-ლამასაგან[2], რომელიც ცხოვრობს ხაშანში[3], განდანის[4] ოდნავ ჩრდილოეთით.

---

[1] ლ ა მ ა — ბუდას ბერი.

[2] ხ უ ბ ი ლ გ ა ნ — ბუდას ერთ-ერთი უმაღლესი სასულიერო პირი, გარდასახული (ბუდას მოძღვრების მიხედვით ადამიანი არ კვდება, არამედ გარდაიქმნება, გარდაისახება. სხვა არსებად. რაც მეტი სიკეთე გაუკეთებია ადამიანს სიცოცხლეში, მით უფრო ბედნიერი იქნება მისი გარდასახვა). ამ შემთხვევაში გარდასახული უმაღლესი ლამაა. ლამაიზმი, როგორც ბუდიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა, ბუდას წმინდანებთან ერთად თავის პანთეონში აერთიანებს უმაღლეს ლამებს — ხუბილგანებს, რომლებშიც თითქოს ხორცი შეისხეს ნირვანას მიახლოებულმა არსებებმა—ბუდებმა, ანდა ნირვანას მიღწეულებმა — ბ ო დ ი ს ა ტ ვ ე ბ მ ა.

[3] ხ ა შ ა ნ ი — ჩვეულებრივი მაღალი მესრით შემოვლებული ეზო.

[4] ვ ა ნ დ ა ნ ი — ტაძარი ულან-ბატორში.

— გასაგებია. ხუბილგან დოვჩინთან შესახვედრი პაროლი? — ჰკითხა გამომძიებელმა.

მისთვის უნდა მეთქვა: „ხომ არ გაქვთ ოქროსგვირგვინიანი ნეფრიტის სათამბაქოე ბურნუთისათვის?“ პასუხი: „ვიშოვით. ახლა ასეთი სათამბაქოეები დიდი იშვიათობაა. მაგრამ წმინდა ლუზანის მონასტრის წინამძღვარს, სოდოვს აქვს ერთი ცალი“. ამის შემდეგ ხუბილგანს უნდა მოეცა ფული, რამდენიმე დღე დაეესვენებინე და წერილით გავეგზავნე წმინდა ლუზანის მონასტრის წინამძღვრის განკარგულებაში.

...პატიმარი გაიყვანეს. პურეევაი დიდხანს ფიქრობდა, აანალიზებდა ბალდანის ჩვენებებს, წონიდა მის ნათქვამ ყოველ სიტყვას. ყველა ამ პროვოკაციის მიღმა ახალი შეთქმულება ხომ არ მზადდებოდა სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ?

— როგორ ფიქრობთ, რატომ გამოტყდა ასე მალე? — შეეკითხა ის თანაშემწეს, რომელიც დაკითხვას ესწრებოდა.

— ჩემი აზრით, ის არც ისე სულელია და სწრაფად აუღო ალღო, როგორ მოქცეულიყო. სიცოცხლის შესანარჩუნებლად ერთი შანსი აქვს — გაგვიმხილოს მთელი სიმართლე, — უპასუხა ლეიტენანტმა და მაგიდასთან შეივიდა.

— უნდა გამოგიტყდე, მეც ასე ვფიქრობ, — უთხრა პურეევამ და კოლოფიდან ახალი პაპიროსი ამოიღო. — მაგრამ ვნახოთ. ეს ვარაუდი ჩვენი მუშაობის პროცესში ან დადასტურდება ან უარყოფილ იქნება. უპირველეს ყოვლისა, ხვალ კიდევ ერთხელ უნდა დავკითხოთ სამდანი, რევსომოლის უჯრედის მდივანი. ხუბილგან დოვჩინის მორჩილის ჩოინხორის მკვლელობა, რომელიც, სიტყვამ მოიტანა და. ჯერ კიდევ გაუხსნელია, ძალზე ბნელით მოცული საქმეა.

პურეევამ მორჩილ ჩოინხორის მკვლელობის საქმე კარადიდან გამოიღო და ისევ თანაშემწეს მიმართა:

— არ მჯერა, რომ მორჩილის მკვლელობა რევსომოლის უჯრედის მდივნის ჩადენილი იყოს. ისინი ხომ საუკეთესო მეგობრები იყვნენ. მაგრამ თუ მკვლელი ვიღაც მესამეა, მაშინ ნახეთ, რა გამოდის. ძიება რომ არასწორი გზით წაიყვანოს, უცნობი. რომელმაც ღამით უკაცურ ქუჩაში ჩოინხორი მოკლა, დანაშაულის ადგილზე სპეციალურად ტოვებს დანას, რომლის ტარზეც ამოტვიფრულია სამდანის გვარი. წინასწარ ძიებაზე სამდანმა აჩვენა, რომ დანა მართლაც

მისია. ძალზე უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ ყოველივე ეს? — ჰკითხა ბოლოს პურევეაემა.

— რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ მკვლელი, რომელმაც მორჩილი საიქიოს გაისტუმრა, თვით ხუბილგანი აღმოჩნდეს, — დაუმატა ლეიტენანტმა. — როგორც ჩანს, ჩოინხორმა რაღაცით ვერ ასიამოვნა მას. მაგრამ, რასაკვირველია, აუცილებელია კიდევ ერთხელ საფუძვლიანად გავესაუბროთ სამდანს.

სამდანმა გაუბედავად გადააბიჯა გამომძიებლის კიბინეტის ზღურბლს და კართან შეჩერდა. მისი გაფითრებული, გამხდარი სახე უაღრეს დაბნეულობასა და უგუნებობას გამოხატავდა. შესამჩნევად ნერვიულობდა. პურევეაემა უსიტყვოდ ანიშნა სკამზე და. სამდანისათვის დამშვიდების საშუალება რომ მიეცა, დინჯად დაუწყო საუბარი. ეკითხებოდა არტელის საქმეებზე, იმ ლამებზე, რომლებმაც მონასტრის ცხოვრებასთან კავშირი გაწყვიტეს და არტელში შევიდნენ. შემდეგ გადავიდა მთავარზე:

— დიდი ხანია, რაც ხუბილგანის ყოფილ მორჩილს, ჩოინხორს იცნობთ? მიამბეთ ყველაფერი, რასაც კავშირი აქვს ამ საქმესთან.

— ჩოინხორს ბავშვობიდან ვიცნობ, — მღელვარებისაგან ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გაუბედავად დაიწყო ლაპარაკი სამდანმა და გამშრალი ტუჩები მოილოკა. — ჩვენ ხომ მომთაბარეთა ერთსა და იმავე ადგილიდან ვართ. ვერც კი მომიაზრებია, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი საშინელი რამ... იმ საღამოს ერთად ვუყურებდით წარმოდგენას ბაზრობაზე, — განაგრძობდა სამდანი. არეულად ლაპარაკობდა, სიტყვებს აკვიანურებდა.

„ეს ახალგაზრდა მკვლელს არ ჰგავს. მძიმედ განიცდის მეგობრის დაკარგვას. გახდა, თვალის უპეები ჩაულურჯდა. ალბათ, ცუდად სძინავს ღამით, — ფიქრობდა პურევეაეი და ყურადღებით ათვალიერებდა სამდანს.

— ბოლო ხანს ჩოინხორისთვის მძიმე ტვირთი იყო მონასტრული ცხოვრება, კარგა ხანია მოსწყინდა ხუბილგანის ზნეობრივი მოძღვრებანი. ერთხელ, მარტონი რომ ვიყავით, ვუთხარი: „ნუთუ ამ სოროს უნდა შეალიო შენი საუკეთესო წლები? ნუთუ მთელი სიცოცხლე განდგომის კედლებში უნდა გაატარო და ბებერი ლამების მონა-მორჩილი იყო? შენ ხომ ასე ახალგაზრდა ხარ. სწორედ დროა ისეთი საქმეშაო დაიწყო, რომელიც მოგწონს, შეიყვარო რომელიმე მზეთუნახავი და ცოლად შეირთო, თუ ასევე განაგრძობ ცხოვრებას, ვფიქრობ, ნა-

შინ საერთოდ არ ღირს სიცოცხლე". მახსოვს, პასუხად რამდენჯერმე როგორ ამოიოხრა ჩოინხორმა. „ისე კი, მე არ მინდოდა ლამა ვყოფილიყავი, მაგრამ მშობლებს მშვიდი სიბერე რომ ჰქონოდათ, მათი სურვილი აღვასრულე. ის კი, რაც ახლა მითხარი, მე თვითონაც არაერთხელ მიფიქრია". — მიპასუხა ჩოინხორმა. სხვა დროს. როცა კელავ შეეხვდით ერთმანეთს, საიდუმლოდ გაბმანდო:

— მისმინე, შენსავით ერისკაცი მინდა გავხდე. მაგრამ არ ვიცი, როგორ დავაღწიო თავი ხუბილგანს. დამეხმარე, — მთხოვა მან.

— მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი? — დავინტერესდი. — რატომ მიიღე ასეთი გადაწყვეტილება?

— იცი, უბრალოდ, ვეღარ ვიტან ხუბილგან-ლამას. მაგრამ არ ვიცი, როგორ დავაღწიო თავი, — ჩოინხორი თითქმის ყვიროდა.

საერთოდ, ჩოინხორის მოძღვარი — პატივცემული ხუბილგან-ლამა — კეთილი მოხუცია. ლაპარაკობს დინჯად, მოძრაობს ნარნარად, შემპარავად. ვინც კი ალაყოჩში შევა, ყველას აუცილებლად მაგიდასთან მიიპატიჟებს, დააპურებს და ერთ-ორ თბილ სიტყვას ეტყვის. ერთი შეხედვით — კეთილზე კეთილი ჩანს. მაგრამ ჯობდა ჩოინხორი შორს ყოფილიყო მისგან. როდესაც შევფიცე, შენი გულისათვის, რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ-მეთქი, ძალზე გაუხარდა და გაიცინა კიდეც. დავთქვით, რომ მასთან დღეგამოშვებით ან რამდენიმე დღეში ერთხელ მივიდოდი. ამგვარად, ხშირად ეხვდებოდით ერთმანეთს და, თუ ხუბილგან-ლამა ნებას დაგვრთავდა, ქალაქში მივდიოდით კინოფილმის ან რაიმე წარმოდგენის სანახავად. თუმცა, ამის საშუალება ძალზე იშვიათად გვქონდა. იმ საღამოს სწორედ ბაზრობაზე წავედით. წარმოდგენა გვიან დამთავრდა... და აი, ჩოინხორი მოკლეს... მინდოდა გამეცილებინა, მაგრამ უარი მითხრა იმ მიზეზით, რომ ხუბილგან-ლამის დავალებით აუცილებლად უნდა შეეევლო ერთ ალაყოჩში და იქ უცხო პირის, ე. ი. ჩემი, მიყვანა არ შეიძლებოდა. ერთმანეთს დავშორდით და ორი დღის შემდეგ დავთქვით შეხვედრა. გავიდა ერთი დღე და წავედი ხუბილგან დოეჩინის ხაშანში, სადაც ჩოინხორი ცხოვრობდა და ხუბილგანს ემსახურებოდა. ხუბილგან-ლამა დავინახე, როგორც ყოველთვის, მოყვითალო-ჭრელ ლეიბზე ფეხშერთხმული იჯდა. როდესაც მივუახლოვდი, მრისხანედ მომაშტერდა, თვალები ისე გადმოკარკლა, რომ თეთრი გარსიღა უჩანდა და კბილებში გამოსცრა:

— არამზადა. შენ შეიტყუე ჩემი საბრალო მორჩილი და მოუსწრაფე სიცოცხლე. იქნებ გინდა მეც ასევე მომექცე?

ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა მოხდა. შეშეშინდა მისი რისხვის და ბიწიწებით, ვედრებით შევეკითხე:

— პატივცემულო ლამა, თუ შეიძლება ამიხსენით, რას ამბობთ? ვერაფერი გამიგია.

— ჩოინხორი ხომ არ გგონიავარ, ვერ გამაცურებ. ადამიანს სიცოცხლე მოუსწრაფე და უცოდველ კრავად მოგაქვს თავი, — გესლიანად მიპასუხა ხუბილგანმა.

კიდევ დიდხანს მლანძღავდა და უშვერი სიტყვებით მომმართავდა. პირველად მისგან გავიგე. რომ ჩოინხორი აღარ იყო ცოცხალი და ეპეი ჰქონდათ, რომ მე მოვკალი, — დაამთავრა თხრობა სამდანმა.

— მეტი არაფერი უთქვამს ჩოინხორს? შეეცადეთ მოიგონოთ, საერთოდ რაზე საუბრობდით ხოლმე?.. — მისცა შეკითხვა პურეევამ.

სამდანს დიდი შავი თვალები თითქოს კიდევ უფრო ჩაუშავედა. დიდხანს იჯდა თავზე ხელებშემოდებული და ერთ წერტილს მიშტერებოდა. უცებ, როგორც ჩანს, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი გაახსენდა, თავი ასწია და ალაპარაკდა:

— გამახსენდა. ერთხელ ჩოინხორმა მითხრა, მასწავლებელ-ლამას მშვიდი, თვინიერი ხასიათი მხოლოდ მოჩვენებაა, ხოლო მისი ღვთისმოსაობა კი — სიცრუე, ნიღაბი, რომლის ქვეშაც რაღაც გაუგებარი, საშინელი რამ იმალებაო. მასწავლებელი-ლამა ღამ-ღამობით ხაშანიდან სადღაც მიდიოდა და მხოლოდ გამთენიას ბრუნდებოდა, შემდეგ კი თავის ალაყოჩში შუადღემდე ეძინა.

— დამიჯერე, მეგობარო, სჯობს, რაც შეიძლება სწრაფად წამოხვიდე იქიდან და ჩვენთან, არტელში დაიწყო მუშაობა. ვისაც საქმიროა, მოველაპარაკები, რათა სამუშაოზე მიგიღონ, — ვარწმუნებდი მას, მაგრამ ჩოინხორმა ძველებურად ვეღარ გამოიჩინა სულის სიმტკიცე და მიპასუხა: „თანახმა ვარ. ოღონდ ახლა არა. შემოდგომაზე, კარგი?“

— რატომ უნდა გადავდოთ შემოდგომამდე? — შევაწყვეტინე.

— ზაფხულში მინდა ხუდონში[1] წავიდე მშობლების მოსანახულებლად. შემდეგ კი, იქიდან რომ დავბრუნდები, მონასტერში აღარ წავალ და მაშინვე დაიწყებ მუშაობას. — დამარწმუნა ჩოინხორმა.

— კეთილი. რას იტყვით დანის თაობაზე, რომლითაც ჩოინხორი მოკლეს? — სწრაფად შეეკითხა სამდანს პურეევავი.

— ნამდვილად ჩემი დანაა, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს, როდის

---

[1] ხუდონი — სოფელი.

და როგორ დავკარგე. მას ხომ მუდამ თან ვატარებდი. ჩოინხორთან შეხვედრის მეორე დღესვე მოვიძიე, მაგრამ ვერსად ვიპოვე.

სამდანი წავიდა თუ არა, პურევჟავის თანაშემწემ, ახალგაზრდა კაცისათვის დამახასიათებელი სიფიცხით, გამოთქვა თავისი ვარაუდი მორჩილის მკვლელობის თაობაზე და შეეცადა ეს შემთხვევა საზღვრის დამრღვევის დაპატიმრებასთან დაეკავშირებინა.

— ჩემი აზრით, ყველა ძაფი ხუბილგან დოვჩინთან მიდის, ის არის აქ მთავარი დირიჟორი! იმ გველს დაუყოვნებლივ უნდა ვწვდეთ ყელში.

პურევჟავმა თავი გადიაქნია.

— აჩქარება დიდი ვერაფერი თანაშემწეა, — თქვა მან. — არც სიფიცხეა საჭირო. ხუბილგანის ხელის ხლება ახლა არ შეიძლება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიხვდეს, რომ მასზე ვეჭვობთ, თორემ დავაშინებთ. როგორც იტყვიან, მხედრით სვლა უნდა გავაკეთოთ და ჩვენ მოვიგებთ.

ცოტა ხანს დუმდა, მერე განაგრძო:

— გარკვეული მოსაზრება მაქვს, ხომ არ გვეცადა, წმინდა ლუზანის მონასტერში ვინმე ჩვენიანს შეეღწია იაპონიის დაზვერვის აგენტის, ბალდანის სახელით. იქ მას არავინ იცნობს... მაგრამ ეს საშიში საქმეა და მზვერავისაგან ძალის უდიდეს დაძაბვას მოითხოვს. მზვერავმა თავისი როლი ძალზე ფაქიზად უნდა გაითამაშოს და ახსოვდეს, რომ მხოლოდ ერთხელ ცდება.

ლეიტენანტი დასტურის ნიშნად თავს უქნევდა და აღფრთოვანებით შეჰყურებდა პურევჟავს. ხოლო როდესაც მან სიტყვა დაასრულა, შესთავაზა:

— მოდით, ცოტა დავისვენოთ, ამხანაგო კაპიტანო, შუაღამე გადავიდა. ცოტა ხომ მაინც უნდა წავიძინოთ დილამდე.

— დიახ, დიახ, რასაკვირველია, — უცებ გონს მოეგო პურევჟავი და მაგიდას მოსცილდა.

პურევჟავი ნელა მიდიოდა ორ მაღალ ხაშანს შორის მოქცეულ ვიწრო ქუჩაზე, რომელიც ეშვებოდა დაბლა ქალაქის გარეუბნისაკენ. იქ იდგა მისი ალაყოჩი, რომელიც სხვა ალაყოჩებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. პურევჟავი დაბლა იცქირებოდა, მაგრამ ოღროჩოღროებში დაგუბებულ წყალს ვერ ამჩნევდა. მისი ფიქრები წმინდა ლუზანის მონასტერს დასტრიალებდა. „ნეტავ თუ მოიწონებს პოლკოვნიკი ჩემს გადაწყვეტილებას? თუ მოიწონა, ვთხოვ, მონას-

ტერში მე გამგზავნონ ბალდანის მაგიერად. ოღონდ საჭირო არ არის აჩქარება, კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს ეს საქმე, რათა პოლკოვნიკი დარწმუნდეს, რომ აუცილებელია ამ მგლების ბუნაგში შეღწევა.

ამ ფიქრებში გართული პურევეკავი შეუმჩნეველად მივიდა თავის ალაყოჩთან. კარგა ხანია, ყველას ეძინა. გაუხდელად მიწვა რბილ ლეიბზე და მაშინვე ჩაეძინა.

დილით, როდესაც ცოლმა მძინარე ქმარი დაინახა, იფიქრა, ალბათ ისევ მძიმე საქმე ჰქონდაო. ცდილობდა ჭურჭლით არ ეხმაურა, და ფრთხილად დაიწყო რძიანი ჩაისა და ხორციანი ატრიის მომზადება. მაგრამ, ის იყო ჩაი დააყენა, რომ ქმარსაც გამოეღვიძა.

— ნუ მიბრაზდები, — ალერსიანად მიმართა ცოლს და ხელზე ხელი მოკიდა. — რამდენიმე დღეა, სრულებით ვერ გხედავ. აი, დღესაც მნიშვნელოვანი საქმე მაქვს...

— განა არის ისეთი დღე, მნიშვნელოვანი საქმე რომ არ გქონდეს?—შეაწყვეტინა ცოლმა და განაწყენებული სახით შეხედა.—რაღაც არ მაგონდება ასეთი დღე მას შემდეგ, რაც მანდ დაიწყე სამსახური,—ღიმილით დასძინა.

2

ბალდანის აღწერით პურევეკავმა იოლად იპოვა ხუბილგან-ლამას ხაშანი — სწორკუთხა ფორმის ფართო ეზო. რომელსაც შემოვლებული ჰქონდა მაღალი, მჭიდრო მესერი, საიდანაც შეუძლებელი იყო იმის დანახვა, რა ხდებოდა შიგნით. აი, უცნაური ორნამენტით შემკული საოცნებო კარი. პურევეკავმა ნელა მოქაჩა ზონარი, რომლის ბოლოც გარეთ იყო ჩამოშვებული. გაისმა ჩამოვარდნილი ხის ურდულის ხმა, კარი გაიღო და უმალ მელოდიურად აწკრიალდა პატარა ზარი, რომელიც სტუმრის მოსვლას იუწყებოდა. აგურით მოკირწყლული ვიწრო ბილიკი მიემართებოდა ხუბილგანის დიდი, ქათქათა ალაყოჩისაკენ, საიდანაც უფაქიზესი სურნელი იფრქვეოდა. ალაყოჩში შესულმა პურევეკავმა, ჩვეულებისამებრ, თავი დაბლა დახარა და ხუბილგანს ბარგუტულად [1] მიესალმა. დოვჩინი, ისევე როგორც ალაყოჩში შესულ ყოველ ადამიანს, მასაც საკმაოდ გულთბილად შეეგება.

---

[1] ბარგუტები — შიდა მონღოლეთის ერთ-ერთი მონღოლური ტომი.

ალაყოჩის მთელი წინა კუთხე ეჭირა საკურთხეველს, რომელზეც აღმართული იყო გაპრიალებული ბურხანი[1]. ხუბილგანი ფეხმორთხმული იჯდა სქელ ლეიბებზე ალაყოჩის მამაკაცთა ნახევარში ძვირფას ნოხგადაფარებულ ხის დაბალ საწოლის გვერდით. წინაპართა ჩვეულებისამებრ, დოვჩინმა ძალზე გულთბილად მიიღო დაუპატიჟებელი სტუმარი, შესთავაზა სხვადასხვა აღმოსავლური ტკბილეული და ეროვნული წესით — რძითა და ქონის პატარა ნაჭრებით — შეზავებული ცხელი არომატული ჩაი. სახიდან ღიმილი არ მოშორებია.

— ხომ არ გაქვთ ოქროსგვირგვინიანი ნეფრიტის სათამბაქოე ბურნუთისათვის? — წყნარად შეეკითხა ხუბულგანს პურევჟავ-ბალდანი და ყურადღებით შეხედა. ის შეკრთა და მაშინვე ღიმილმა გაუბადრა სახე. ოჰ, რამდენი ხანია ამ სიტყვებს ელის!

— ვიშოვით. ახლა ასეთი სათამბაქოეები დიდი იშვიათობაა. მაგრამ წმინდა ლუზანის მონასტრის წინამძღვარს, სოდოვს აქვს ერთი, — შემპარავად, თითქმის ჩურჩულით უპასუხა დოვჩინმა და კვლავ პირფერულად გაიღიმა. — როგორც დაგინახეთ, მაშინვე მიეხვდი, პატივსაცემი ადამიანი რომ ბრძანდებოდით. აბა, რა ამბავი ჩამოგვიტანეთ? — იკითხა მან.

— ხარბინში იაპონიის სადაზვერვო სამმართველომ თქვენი წერილი მიიღო, რომელშიც ამომავალი მზის ქვეყანას დახმარებას სთხოვდით და მაშინვე თქვენთან გამომგზავნა. ჩემი სახელია ბალდანი. დავალებული მაქვს, თქვენს საქმეში ყოველგვარი დახმარება გაგიწიოთ და ამ მიზნით წმინდა ლუზანის მონასტერში დაესახლდე როგორც მღვდელთმსახური.

— დიახ, დიახ. მესმის, — თავს უქნევდა დოვჩინი — შვილო ჩემო, დღეს დაისვენე,—მან საუბრის კილო შეცვალა — ძნელი გზა გამოგივლია, საქმეზე ხვალაც შეიძლება ლაპარაკი, — და პურევჟავს გამომცდელი მზერა შეავლო. — როგორ მოგაწყო რაც შეიძლება უკეთ? — თავის თავს უფრო შეეკითხა, ვიდრე მას.

— დასვენება ცუდი არ იქნებოდა. ბოლო რამდენიმე დღე-ღამე თითქმის არ მიძინია, — თვალმოუშორებლად უპასუხა პურევჟავმა.

ხუბილგანი, მისი წოდებისდა შესაფერისად, ალაყოჩიდან დინჯად გავიდა, კარი ნახევრად ღია დატოვა და ვიღაცას ხმადაბლა დაუძახა.

ბურხანი—აქ. ბუდას ქანდაკება, ღვთაება. ხშირად ისინი ბრინჯაოს ანდა ვერცხლისგანაა ჩამოსხმული.

მასთან მივიდა ოცდათსუთმეტიოდე წლის ტანდაბალი, კაფანდარა, მოკლედ თმაშეკრეპილი და სახეგარუჯული ბერი. მან შეერთებული ხელისგულები შუბლთან მიიტანა, თავი მდაბლად დაუკრა და მლიქვნელურად შეეკითხა:

— რას მიბრძანებთ, მამაო-მასწავლებელო?

— შვილო ჩემო. ეს ღვთის კაცი შუშმასთან მიაცილე, უბრძანე, კარგად დააპუროს და რბილი ლოგინი მოუმზადოს, — უბრძანა ხუბილგან-ლამამ—და, რაც შეიძლება, სწრაფად დაბრუნდი, შვილო ჩემო, სამუშაო გელოდება.

შუშმა აღმოჩნდა მსუქანი, ტანდაბალი, მელოტი ჩინელი. ფერმკრთალი სახე ჰქონდა, ეტყობოდა, იშვიათად გამოდიოდა სუფთა ჰაერზე. ისეთი ნაძალადევი თავაზიანობით შეეგება პურეეჟავს, როგორიც მხოლოდ ჩინელებს ახასიათებთ — დათაფლულად იღიმებოდა და გამუდმებით წელში იხრებოდა. მან მიუთითა თიხატკეპნილ, მეტისმეტად უშნო პატარა სახლზე, რომლის სახურავი დაფარული იყო ძველი, გაშავებული და დრო-ჟამისაგან დამსკდარი კრამიტით, რომელზეც ბალახი ამოსულიყო. კედლებიდან კირი ჩამოცვენილიყო, მთელი სახლი მუნიანი აქლემივით უშნოდ, უსუფთაოდ გამოიყურებოდა. მაგრამ გაქუცული სახლის შიდა მორთულობამ პურეეჟავი გააოცა. ბინა მყუდროდ იყო მოწყობილი, თანაც მოფიცრულ იატაკში ჰატარა კაბინის ოდნავ შესამჩნევი ოთხკუთხა ჭრილი მოჩანდა. აქედან არც თუ ღრმა გვირაბის გავლით, სახლიდან გასვლა შეიძლებოდა. ყველაფერი გადავალისწინებული იყო აღმოსავლეთიდან მოსული დიდი ხნის ნანატრი სტუმრისათვის.

შუშმამ პატარა, დაბალ მაგიდაზე მკვირცხლად დადგა ერთი ბოთლი შავი ჩინური არაყი, გახსნა და შემდეგ მწნილითა და ბოსტნეულით შეზავებული ცხარე ჩინური საუზმე მოიტანა.

— გთხოვთ, პატივცემულო, ერთი სირჩა შესვათ, მე კი ამასობაში ვახშამს მოვიტან, — თავის დაკვრით ლაპარაკობდა ის.

პურეეჟავმა უბრძანა კიდევ ერთი სირჩის მოტანა. ორივეში არაყი დაასხა, მეორე სირჩაზე ჩინელს თვალით ანიშნა და უთხრა:

— სასიამოვნო ნაცნობობის და წარმატების სადღეგრძელო შევსვათ. — სირჩა პირთან მიიტანა და დაუმატა: — ჩ ვ ე ნ ს საქმეში წარმატებისა — სიტყვა ჩ ვ ე ნ ს ხაზგასმით წარმოთქვა.

— დღეს ნამდვილად საოცარი დღეა: დიდი ბედნიერება გვხვდა წილად, შორიდან მოსულ ასეთ საპატიო სტუმარს ვუმასპინძლოთ.

ყველანი დიდ პატივად ჩავთვლით ძვირფასი სტუმრის სამსახურს. — მლიქვნელურად წარმოთქვა შუშამ, თავი დახარა და გაღიმებისას მსხვილი კბილები გამოაჩინა.

ამ დროს ზღურბლზე გამოჩნდა მოხუცი ჩინელი, რომელსაც ხელში ეჭირა ჩინური სამზარეულოს ყოველნაირი კერძით გაწყობილი დიდი ლანგარი. მან ლანგარი პატარა მაგიდაზე დადო და, ვიდრე კარს არ მიეფარა, თავის დაკვრით უკან-უკან მიდიოდა.

— უგანათლებულესო სტუმარო, იგემეთ ჩვენი კერძები, ნუ გერიდებათ, ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში, — ეუბნებოდა შუშმა, თან ლანგრიდან კერძს იღებდა და პურევეავს აწოდებდა.—დაე, დაისვენოს თქვენმა სულმა და სხეულმა, ძვირფასო სტუმარო. აქ არავინ შეგიშლით ხელს. მიირთვით, მე კი თქვენს გამყოლს გავაცილებ, შემდეგ კი, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თქვენს ტრაპეზს შეეუერთდები.

შუშმა ეზოში გავიდა და შავგვრემანი ბერი მოიხმო:

— აბა, როგორაა საქმე? რაიმე მითითება ხომ არ არის ხუბილგანლამასაგან? — ჩურჩულით შეეკითხა ის.

— მოძღვარმა ბრძანა, კარგად შევამოწმოთ მოსული, ჩვენი კაცია თუ არა, — ასევე ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა ბერმა.

— გასაგებია, წადი.

პურევეავთან ოთახში შემობრუნებული შუშმა, მართალია, ძლიერ დაღლილი იყო, მაგრამ მისთვის რომ ესიამოვნებინა, ხან იშვიათ ჩინურ კერძს სთავაზობდა, ხანაც ჩინურ არაყს უსხამდა.

— მე ხომ წარმოშობით ხარბინელი ვარ, — თითქოსდა სხვათაშორის თქვა შუშმამ, ამით სურდა პურევეავისაგან გაეგო, ნამდვილად იქიდან მოვიდა თუ არა. — ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იქნებოდა თქვენგან რამდენიმე სიტყვა მომესმინა ამ შესანიშნავ ქალაქზე.

პურევეავი მზად იყო ამგვარი შეკითხვებისათვის და მშვიდად უპასუხა:

— ხარბინი მეც მომეწონა. მხოლოდ საწყენია, რომ სულ სამი დღე დავყავი იქ და ისიც ბატონ ინოკუზის კაბინეტში, სადაც იმდენხანს ვსწავლობდი საიდუმლო ქაღალდებს, სანამ თვალები არ ამიჭრელდა. მართალია ორივე საღამო შესანიშნავად გავატარე. — პურევეავი რბილ ბალიშებზე გადაწვა, დინჯად გააბოლა ძვირფასი იაპონური სიგარა და მეოცნებე სახით დაიწყო კვამლის პატარა რგოლებად გამოშვება. დაუსახელა რამდენიმე ქუჩა, აღწერა ორი-სამი ყველაზე

ლირსშესანიშნავი შენობა, რესტორანი, შემდეგ კი დაწვრილებით უამბო ზოგიერთ სამხიარულო დაწესებულებაში სტუმრობის შესახებ და მათი მეპატრონეების სახელებიც კი დაასახელა.

შუშმას თვალები გაუბრწყინდა.

— ოჰ, თქვენ მართლაც კარგად დაგითვალიერებიათ ყველაფერი. მაშინვე იგრძნობა მზვერავის მახვილი თვალი, — შეაქო მან.

— ასეთია ჩვენი ბედი: დღეს — აქ ვართ, ხვალ კი — ვინ იცის, სად ვიქნებით. საერთოდ, ბოლო წლები ძირითადად ბარგუტებსა და სუნედებთან[1] ვმუშაობდი. ისინი საშინლად ლაპარაკობენ ჩინურად, ხოლო იაპონური ძლივძლივობით ესმით...

— ნუ წუხხართ, უგანათლებულესო სტუმარო,—შეაწყვეტინა შუშმამ, — ჩვენ კი ნამდვილად არაფერს დავიშურებთ ჩვენი საქმისათვის. ახლა დასვენებას ხომ არ ინებებდით? — შეეკითხა და ამგვარად შეეცადა გაჭიანურებული საუბარი დაესრულებინა. თან. ალბათ, თავის დღევანდელ მისიას დამთავრებულად თვლიდა.

— აბანოში მინდოდა წასვლა. ჭუჭყს ჩამოვიბანდი. რომელიმე მივარდნილ პატარა აბანოში, სადაც ნაკლები ხალხი იქნება. მომიყარხებთ? — შეეკითხა პურევჟავი და ხელები მოიფშვნიტა.

— ჰო, შეიძლება, შეიძლება! თავიდანვე როგორ ვერ მოვიფიქრე ამის შემოთავაზება, — აწრიალდა შუშმა. — ჩინეთის ფართო ქუჩაზე არის ერთი კარგი აბანო. იქ, ქალაქის განაპირას, დღისითაც კი მუდამ ცოტა ხალხია. აბანო კი საუკეთესოა! — თვალები ეშმაკურად მოჭუტა და გაუღიმა. — ცოტა მოითმინეთ, ვუბრძანებ გამყოლი იპოვონ.

შუშმა ძალიან მალე დაბრუნდა.

— მარტო ინებებთ წასვლას, თუ ვინმე გაგაყოლოთ?

— გმადლობთ, იცით, არავინ არ მჭირდება, — უარი თქვა პურევჟავმა, — სჯობს, მარტო წავალ. ამბობენ, ფეხით სიარული ქალაქის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა. თანაც არსად მეჩქარება და ასეთი მრავალფეროვანი სადილის შემდეგ ურიგო არ იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება. — პურევჟავმაც სქელ, ქონისაგან ალაპლაპებულ ჩინელს გაუღიმა.

— ვიმედოვნებ, ჩვენს ძვირფას სტუმარს გზა არ დაებნევა ულანბატორში? — ელაქუცებოდა შუშმა. მან დაწვრილებით აუხსნა, რო-

---

[1] სუნედები — შიდა მონღოლეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ერთ-ერთი მონღოლური ტომი.

გორ უნდა ეპოვა აბანო, სახლის გასაღები მისცა, საამო ბანაობა უსურ-ვა და მოწიწებით გამოემშვიდობა: — მე წავალ. როცა პატრონი შინ არაა, უხამსობაა სხვის სახლში ჯდომა. — დათაფლულად გაიღიმა და ჩაყვითლებული ცხენის კბილები დაკრიჭა.

მაღალ ხაშანებს შორის მომწყვდეული ფართო ჩინეთის ქუჩა მართლაც წყნარი და უკაცური აღმოჩნდა. აი აბანოც — დაბალი ერთ-სართულიანი კართანიანი სახლი. არც რიგი იდგა: კართანზე მაღალი, გამხდარი ჩოფურა ჩინელი გადმომდგარიყო. ძალზე ვიწრო ამღვრეული ყვითელი თვალები ჰქონდა: „ისევ ჩინელი. ალბათ, მეაბანოეა. გასაგებია, მითვალთვალებენ. ყველაფერი წინასწარაა ჩაწყობილი. ვნახოთ, რა იქნება შემდგომში", — ფიქრობდა პურევჟავი, და კართანს უახლოვდებოდა.

მეაბანოე ისე შეეგება მოსულს, თითქოს მხოლოდ ახლა შენიშნა და ძველი ნაცნობივით მხიარულად მიესალმა პურევჟავს

— მოხარული ვარ, დღეს რომ გიხილეთ. როგორ გრძნობთ თავს? ვიმედოვნებ, ყველა თქვენიანი ჯანმრთელად ბრძანდება?

— გამარჯობათ. მაგრამ რაღაც არ მახსოვხართ. ვიღაცაში გეშლებით, ჯარისკაცო, — აუღელვებლად უპასუხა კიბეზე ამომავალმა პურევჟავმა და აგრძნობინა, რომ აქ სალაყბოდ არ იყო მოსული.

— ეს როგორ, — გაშალა ხელები ჩინელმა, — ჩვენ ხომ თითქმის ყოველდღე ვხედებით ამ ქუჩაზე, და აბანოშიც ხშირად დაბრძანდებით?!

— იაფფასიანი ხრიკია,—ამოიხვნეშა პურევჟავმა და ჩინელს მიუბრუნდა:—აბა, ერთი, კარგად გაახილეთ თვალები და შემომხედეთ. სად ვხვდებოდით ერთმანეთს? — თუმცა, რახან ასე გსურთ შეიძლება გავიცნოთ კიდეც ერთმანეთი. ამბობენ, ვისაც ბევრი მეგობარი ჰყავს, ის კაცი მდიდარიაო. მაშ ასე, საით წავიდე. მეგობარო? რაც შეიძლება სწრაფად მინდა მოვითავო ეს საქმე, — უკვე მთლად მეგობრულად უთხრა მან.

ჩინელმა თვალები დაახამხამა და, თითქოს შეცბუნებულმა, დაუძახა:

— აქეთ, აქეთ გამომყევით. თქვენი ნომერი კორიდორის ბოლოშია. თქვენ რომ ბგავთ, ის კაცი მუდამ იმ ნომერში ბანაობს. ნუთუ მართლა სხვაში ამერიეთ? საოცრად ჰგავხართ ჩვენს ერთ-ერთ კლიენტს, ასე რომ, მაპატიეთ შეწუხებისათვის. აქ ბევრი ხალხი დადის, ბევრ ჩემ კლიენტს კარგად ვიცნობ. ახლა კი სხვაში ამერიეთ.

მეაბანოემ ხალათის ზედა ღილები შეიხსნა, ჩაეარდხილი შავხალეგიანი მკერდი მოიფხანა, მშრალად ჩაახველა და კვლავ მოიბოდიშა:

— მაპატიეთ, პატივცემულო. ხომ ხედავთ, შეიძლება მოხუცი კაცი არა მარტო თვითონ შეცდეს, არამედ სხვაც შეცდომაში შეიყვანოს.

— თქვენ ხომ არაფერი საწყენი არ გითქვამთ ჩემთვის, რატომ წუხხართ ასე? შეცდომა ვის არ მოსვლია! დაივიწყეთ ეს ამბავი, — დაამშვიდა პურეევაემ. — ამიერიდან მხოლოდ თქვენს აბანოში ვიელი.

სანამ პურეევაეი მისთვის განკუთვნილ ნომერში ბანაობდა, მეაბანოემ მოხერხებულად შეამოწმა ყველა მისი ნივთი, ჩექმების ლანჩებზეც დააკაკუნა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახა და მიუჯდა პატარა მაგიდას, რომელსაც ჩინური სუფთა სუფრა ეფარა. გაზეთის ქაღალდში აუჩქარებლად გაახვია პაპიროსი, კათხაში ქაფქაფა წყალი ჩაასხა და მაგარი ჩაი დააყენა. თამბაქოს ქაჩავდა, კათხიდან პატარა ყლუპებით ჩაის სვამდა და თან ფიქრობდა: „ამ კაცის სააშკარაოზე გამოყვანა არც ისე იოლია. მაგრამ ასეც ხომ ხდება, უდიდეს გამოცდას გადალებენ და უმნიშვნელოზე წაიტეხენ ხოლმე კისერს. ურიგო არ იქნებოდა, ერთხელაც ისეთნაირად შეგვემოწმებინა, თვითონ რომ არ ეკნებოდა მოლოდინი. მაგრამ თუ აუტკივარ თავს აიტკივებ და რომელიმე მართლაც წარჩინებულ პირს დაამცირებ, მაშინ, შესაძლოა, თავიც წააგო. მე კი, მადლობა, ღმერთს, აქ კარგად მოვეწყვე".

საღამოს მეაბანოე ხუბილგან-ლამასთან წავიდა. ხუბილგანის ხაშანთან უკვე ელოდა შუშმა. როდესაც შუშმას მოახსენა, განსაკუთრებული ვერაფერი წამოვაცდენინეო, ის გაფითრდა, მეაბანოეს მივარდა და ლანძღვა-გინება დაუწყო:

— ბებერო მამაძაღლო, დამპალო, ვერაფერი წამოაცდენინე, არა? ჭროღა თხავ! წაეთრიე აქედან, — სისინებდა ის. მაგრამ, როდესაც ხუბილგანის დარბაზის ზღურბლს გადააბიჯა, შუშმას გაბრაზებულ სახეზე მლიქვნელური იერი დაედო:

— უპატივცემულესო ლამა, მოსული მართლაც ამომავალი მზის ქვეყნის წარმოგზავნილია. მისი არყოფნისას მთელი მისი ნივთები გამოვბერტყე. სამგზავრო ჩანთაში აღმოვაჩინე იაპონური წარმოების რადიოგადამცემი, ნაგანი, უახლესი მარკის ფოტოაპარატი. ისიც იაპონური, იაპონური ფული და სიგარეტები.

დოვჩინი იჯდა, კრინტს არ ძრავდა, დაჟინებით შეჰყურებდა შუშ-

მას, მაგრამ, ჩინელის ბოლო სიტყვები რომ მოისმინა, გაიხარა და ჩაი და საჭმელები შესთავაზა შუშმას.

— გმადლობთ, ბატონო. მეჩქარება. მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ ეს სასიამოვნო ამბავი მომეხსენებინა, — გაიღიმა შუშმამ. ელოდა, რას იტყოდა ხუბილგანი და მოუთმენლად ცმუტავდა სკამზე.

— გველი გარედანაა ჭრელი, ადამიანი კი — შიგნიდან. ამ საქმეში, შვილო ჩემო, შენ დიდი გამოცდილება გაქვს და კარგად უწყი, ბრმად არავის მინდობა რომ არ შეიძლება. რაც შეეხება ბალდანს, შვილო ჩემო, მეც მგონია, რომ ჩვენი კაცია. მაგრამ ერთი წუთითაც არ შეიძლება სიფხიზლის მოდუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველანი თავებს დავკარგავთ. მიუჩინე კაცი, ყოველი მისი ნაბიჯი რომ ვიცოდეთ. ხვალ კი, დაე, აქ მოვიდეს. თავად გავესაუბრები.

ხუბილგან-ლამამ უბიდან აბრეშუმის ქისა ამოიღო, იქიდან კი — წითელი მარჯნის სახურავიანი საბურნუთე, საიდანაც პატარა ნიჩბით თითზე დაიყარა შესასუნთქი ბურნუთი და ორივე ნესტო გამოიტენა.

— აბა, მე წავალ. — შუშმა სწრაფად წამოდგა სკამიდან, დოვჩინს არ შეუჩერებია.

შუშმამ კვლავ შეიარა სტუმართან, ჰკითხა, ხომ არაფერს შეუკვეთავდა ვახშმისათვის. პურევეავმა ცოტა შემწვარი ხორცი და კომბოსტო სთხოვა. სწრაფად ივახშმა, დაღლილობა და თავის ტკივილი მოიმიზეზა და დასაძინებლად წავიდა.

შუშმას წასვლისთანავე ბალდანი-პურევეავი, რომელიც თითქმის შეეჩვია თავის ახალ სახელს,—ლოგინიდან წამოხტა, კარი ჩაკეტა, ლამპა ჩააქრო, დაბალი სარკმლის გვერდით დაჯდა და ხაშანის ჭიშკარს დაუწყო თვალთვალი. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. ოდნავ გასაგონად გაიჭრიალა ხაშანის დიდ ჭიშკარში დატანებულმა პატარა კარმა და გამოჩნდა მაღალი, გამხდარი კაცი. პურევეავმა სწორედ ის ჩოფურა მეაბანოე შეიცნო. იგი მალულად შეძვრა ეზოს მეორე ბოლოში მდგარ შუშმას სახლში. თხუთმეტი წუთის შემდეგ ასევე მალულად გამოვიდა. იღლიის ქვეშ რაღაც შეკვრა ჰქონდა ამოჩრილი. პურევეავი კიდევ დიდხანს უთვალთვალებდა ეზოს, მაგრამ მეტი არც არავინ შესულა და არც არავინ გამოსულა ხაშანიდან. „მაშ ასე. — მსჯელობდა პურევეავი, — პირველი დღე ნორმალურად დამთავრდა. მგონი, წამოეგნენ ანკესზე. აი, სად გამომადგა ჩინური ენის ცოდნა. მადლობა პოლკოვნიკს რჩევისათვის. თანაშემწეს ხუბილ-

განთან საუბრის შემდეგ შევხვდები, ხოლო ცენტრში გადასაცემი ჯერჯერობით განსაკუთრებული არაფერია"

ძეორე დღეს, წინასწარ დათქმულ ქუჩასა და განსაზღვრულ საათზე, ხუბილგან-ლამასთან მიღებაზე რომ მიდიოდა, გვერდი აუარა გაქონილ დელიში[1] გამოწყობილ ახალგაზრდა მონღოლს, რომელმაც ჩამჭრალი ჩიბუხის მოსაკიდებლად პურევეაეს ცეცხლი სთხოვა. პურცვეავი არც შეჩერებულა ისე უპასუხა, არ ვეწევი და არც ცეცხლი მაქვსო. ეს გახლდათ დათქმული პაროლი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი წესრიგშია და თანაშემწესთან შეხვედრა შედგება ორი დღის შემდეგ ქალაქის განაპირას, შავი ალაყოჩების იქით.

3

ხუბილგან-ლამამ სტუმარი დიდი პატივით მიიღო. ხუთკედლიანი ალაყოჩის წითელ კუთხეში, რომელიც ამჯერად კიდევ უფრო მდიდრულად მოერთო ძვირფასი ნოხებით, საკურთხევლის წიხ იდგა ფირუზით, მარჯნითა და სადაფით ინკრუსტირებული, მოკლე და გაღუნულფეხებიანი ფართო მაგიდა, რომელიც მდიდრულად იყო გაწყობილი. ვერცხლითა და ოქროთი მოვარაყებულ თასებში იმ დროისათვის იშვიათი აღმოსავლური ტკბილეული დაეხვავებინათ. უნატიფესი ნაკეთობის ფართო ვერცხლის ლანგარზე ოხშივარი ასდიოდა ლამაზად დაწყობილ მსუქანი ცხვრის ხორცის დიდ ნაჭრებს.

ხუბილგან დოვჩინმა საკუთარი ხელით მიაწოდა სტუმარს ცხელი რძიანი ჩაით სავსე ვერცხლის ფიალა, რომელშიც ჯერ კიდევ გაუმდნარი ერბოს[2] პატარა ნაჭრები დაცურავდა, ეს ტრაპეზის დაწყების მაუწყებელი იყო.

ხუბილგანის ნაოჭებით დაღარული, ლოყებჩამოკიდებული ბებერი სახე უკიდურეს თვითკმაყოფილებას გამოხატავდა. ცხელი კერძისა და შინაგანი დაძაბულობისაგან სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი და ფიალაში წვეთავდა. მოლურჯო, ბინდგადაკრული ბრუტიანი თვალებით მოწიწებით უმზერდა სტუმარს.

---

[1] დელი—მონღოლური ეროვნული სამოსი, ხალათის ტიპის სარჩულიანი ტანსაცმელი.

[2] რძიანი ჩაი — მონღოლური ეროვნული სასმელი. ხშირად შიგ უმატებენ მარილს, კარაქს, ხორცს. ჭამის წინ მიართმევენ ხოლმე.

„მდიდრული ალაყოჩი აქვს ხუბილგანს. აი. რამდენი ოქრო და ვერცხლია. და ყველაფერი ეს მორწმუნეთა შემოწირულია. მას კი თავის სიცოცხლეში ერთი დღეც არ უმუშავია, მხოლოდ ხარკს კრეფდა მორწმუნეთაგან და ატყუებდა. მალე მოეღება ბოლო ლამაზმს. ყველა მათგანს გამოვიყვანთ სააშკარაოზე“, — ფიქრობდა ამ დროს პურევეავი.

— ჩვენ, ბურხანის მრავალრიცხოვანი მორჩილნი, უსაზღვროდ გახარებულნი გახლავართ ამომავალი მზის ქვეყნიდან თქვენი ჩამობრძანების გამო. რა ახალი ამბები ჩამოგვიტანეთ? — შეეკითხა ხუბილგანი და პურევეავს ფიქრები გააწყვეტინა.

— თუ პატივცემულ ხუბილგანს სურს, მოვახსენებ ჩამოსვლის მიზანს. ჯერ ერთი, ხარბინში იაპონიის კონტრდაზვერვის უფროსის, ბატონ ინოკუზის დავალებით პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ სამხედრო დახმარების თაობაზე გაგზავნილი თქვენი თხოვნის წერილი მიღებული და გადაცემულია ზედა ინსტანციებში, დახმარება გაგეწევათ ხელსაყრელი მომენტისთანავე, რადგან თქვენი მოქმედებანი შეფასებულია, როგორც ყველაზე გონიერული და მიმართულია მონოოღლეთში მცხოვრები ყველა მორწმუნის ბედის გადასაწყვეტად. მეორე, სანამ ამომავალი მზის ქვეყნიდან სამხედრო დახმარებას ველოდებით, მოხარული ვიქნები ვიმსახურო აქ, თქვენი პირადი მფარველობის ქვეშ. მესამე. ნაბრძანები მაქვს პირადად გადმოგცეთ, რომ დროა, ხმებისა და ვერსიების გავრცელებიდან პირდაპირ მოქმედებაზე გადავიდეთ. დღე და ღამე უნდა ვიმუშაოთ. მოქმედებათა ორგანიზაცია და კოორდინირება მე მაქვს დავალებული, — პურევეავმა ხუბილგანს აჩვენა ბრინჯის სიფრიფანა ქაღალდზე იაპონურად დაწერილი წერილი, რათა მის ნათქვამს მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა.

— ბატონ ინოკუზის ბრძანების თანახმად, — განაგრძობდა სტუმარი.—დავსახლდები წმინდა ლუზანის მონასტერში და, ეპვი რომ არავის აღეძრას, რაიმე ჩემთვის შესაძლებელ სამუშაოს შევასრულებ, ამ ნიღაბს ამოფარებული, უგანათლებულესო ხუბილგანო, ყველაფერს ვიღონებ, რათა თქვენს მიერ დაწყებულმა საქმემ რაც შეიძლება მალე გამოიღოს ნაყოფი. ასევე რეგულარულად უნდა მოვახსენო ბატონ ინოკუზის თქვენი მუშაობის შედეგები, თქვენი სურვილები და თხოვნები, აგრეთვე საჭიროებისდა მიხედვით

გადაეცე ზოგიერთი ცხობა. რუკები და ჩამოგიტანოთ შეშდგომი განკარგულებები და მითითებები. ჯერჯერობით სულ ესაა.

— კარგი ამბებია, — შეაქო ხუბილგანმა. — ახლა ძალიან გვჭირდება თქვენისთანა განათლებული, გაბედული და საქმიანი კაცი. ჩვენ-ს საქმემ რომ უეჭველად გაიმარჯვოს, ძირითადად გარედან აღმოჩენილ სამხედრო დახმარებას უნდა დაველოდნოთ. სხვანაირად ყველაფერი ფუჭ წამოწყებად დარჩება. მთელ ქვეყანაში გაბნეულ ბოხასტრებში ბევრი ლამაა, მაგრამ მარტო ჩვენ არ ძალგვიძს ასეთი ამოცანის გადაჭრა. თუ ლამებმა ჭკვიანად. წინდახედულად არ იმოქმედეს, ჩვენი საქმე საპნის ბუშტივით გასკდება.

სტუმრის მოსვლისთანავე ხუბილგანის მოსამსახურე უმცროსი ლამები ალაყოჩიდან გავიდნენ და ახლა ხელს არავინ უშლიდათ გულახდილად ესაუბრათ საქმის გარშემო.

ორივენი — სტუმარიცა და მასპინძელიც — საუბრითა და ღვინით იყვნენ აღგზნებულნი.

— ულან-ბატორში ბევრი გყავთ საიმედო ხალხი? — დაინტერესდა ბალდანი.

შუშმასა და ჩოფურა მეაბანოეს მიერ მოტანილმა ამბავმა, უფრო კი — პირადმა შთაბეჭდილებამ, რაც ბალდანმა საუბრის დროს ხუბილგანზე მოახდინა, ხუბილგანის უკანასკნელი ეჭვები გააქარწყლა.

— ხალხი არის. მაგრამ ბევრი არა, უფრო სწორად, არ დაგიმალავთ, ჯერჯერობით არც იმდენი, რამდენიც სასურველია. ჩვენ ხომ დიდი ხანი არ არის, რაც მოქმედება დავიწყეთ. სამაგიეროდ ყველა მათგანი საიმედოა. ერთ-ერთი თქვენი ნაცნობი შუშმაა — ძალზე ერთგული კაცი, წარსულში — დიდი კომერსანტი, მდიდარი სავაჭრო ფირმის მფლობელი. სახალხო ხელისუფლებამ ფირმის ნაციონალიზება მოახდინა, მისი მრავალრიცხოვანი კლიენტურის ვალები გაიუქმა, და ახლა შუშმა კბილებს ილესავს ამ ხელისუფლებაზე. აი ა'ე, შვილო ჩემო. მეორე თქვენი ნაცნობი — ჩოფურა მეაბანოე — ფეოდალისათვის ყველაფერს იკისრებს. აქ, ქალაქში, კიდევ ორი კაცია, რომელთა ნდობაც შეიძლება. საქმეში ნაცადი ხალხია. როცა საჭირო იქნება, გეტყვი, სად იპოვო. — საიდუმლოდ გაანდო დოვჩინმა.

ბალდანს სურდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო რესპუბლიკის წინააღმდეგ ამხედრებული სამღვდელოების თაობაზე. ეს შეთქმულება ხომ სწორედ იმიტომ მზადდებოდა, რომ მტრისთვის გზა გაეხსნათ.

— ჰო, რასაკვირველია, — აჰყვა ბალდანი, — კარგი იქნებოდა წმინდა ლუზანის მოსასტერში წასვლამდე შეეხვედროდი ამ ორს. დაე, იყვნენ ჩემი მეკავშირეები, მით უმეტეს, რომ მეკავშირეები უკიდურესად საჭირონი არიან ჩემთვის.

— თანახმა ვარ, — პასუხად თავი დაუქნია ხუბილგანმა. — სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანია, ლამა დორლიგო, სწორედ იმან შეგახვედრათ 'მუშმას, ჩემს ხაშანში ცხოვრობს. მეორეა პუნცაგი — ეს კაცი, ჩემი რჩევით ლამების არტელში' მოეწყო სამუშაოდ. წარსულში მაღაზიის გამყიდველი იყო და გაფლანგვისათვის დაიჭირეს. დიდხანს იჯდა ციხეში. ხელისუფლებასთან თავისი ანგარიში აქვს, თანაც დიდი. მაგრამ, ერთხელ, ხაშანში მცხოვრებ ჩემს ყოფილ მორჩილ ჩოინხორთან წამოცდა ამის თაობაზე. ჩოინხორი უჭკუო ბიჭი არ იყო და, როგორც ჩანს, რაღაც-რაღაცეებს ხვდებოდა. იმის შიშით, არ გავვცეს და ჩვენი საქმე არ ჩაშალოსო, პუნცაგმა თავიდან მოიცილა ჩოინხორი. ახლა ჩვენთვის მეტისმეტად საშიშია სამდანი — მათი არტელის რევსომოლის უჯრედის მდივანი. ბოლო დროს ძალზე ხშირად მოდიოდა ჩვენთან ხაშანში, ვითომდა ჩოინხორთან, სინამდვილეში კი ყველაფერს ყნოსავდა და ათვალიერებდა. მერედა ჩოინხორს რომ მოესწრო და რაიმე წამოეყრანტალებინა?! — შეწუხდა უცებ ხუბილგანი.

ბალდანმა წარბი შეკრა და მკაცრად შეხედა მას.

— რასაკვირველია, მკვლელობამ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც საქმე კარგად მიდის და დახმარებას გეპირდებიან, შეიძლება ყველა ჩვენი გეგმა ჩაშალოს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. და იძულებული შევიქენი ამ საქმეზე პუნცაგისათვის გზა დამეღოცა, — მოჰყვა თავის მართლებას დოვჩინი. — საბედნიეროდ, როგორც სანდო ხალხმა გვაცნობა, პასუხისგებაში მიცემულია თვით სამდანი და არა სხვა ვინმე. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. პუნცაგმა სუფთად იმუშავა.

იმის შიშით, ბალდანის თვალში ავტორიტეტი არ დაკარგოო, ხუბილგანმა მორჩილი სახით ხელისგულები ერთმანეთს მიადო, შუბლთან მიიტანა, ტიბეტურად ლოცვა წარმოთქვა, თვალები ცისაკენ აღაპყრო და ყრუდ ჩაილაპარაკა:

' არტელი ყოფილი ლამებისა, რომლებმაც ნებაყოფლობით მოიხსნეს სასელიერო წოდება. შემდგომში ბევრი მათგანი რევსომოლში შეეიდა და ახალი ცხოვრების ჭეშმარიტი მშენებელი გახდა.

— მხოლოდ ბურხანმა იცის, ვინ დასაჯოს და ვინ შეიწყალოს.

— კი მაგრამ, რითაა საშიში ეს სამდანი? — შეეკითხა ბალდანი.

— იცით რა, ჩოინხორი მშვიდი, ბეჯითი, გულმოდგინე, ძალზე ღვთისმოსავი მორჩილი იყო. ვფიქრობდი, დროთა განმავლობაში მისგან აღმეზარდა კარგი ლამა, რომელსაც ადამიანის ფსიქოლოგიასა და საბალხო მედიცინის სფეროში დიდი ცოდნა ექნებოდა. კუდში დამდევდა. ჩვენთვისაც სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ეს სამდანი გამოჩნდა — ისინი კი წარმოშობით ერთი კუთხიდან არიან — ჩოინხორი თითქოს შეიცვალა. თაყვანისცემის მაგივრად სასულიერო პირებს დასცინოდა. ეს არაერთხელ მოვისმინე საკუთარი ყურით. სამდანი უპირველესი შფოთისთავია. საერთოდ, ხუდონიდან დედაქალაქში ჩამოსული ადამიანები ძალიან სწრაფად იცვლებიან. ხშირად მათი მორჩილების კვალიც კი არ რჩება. ერთი წელი იქნება, რაც წმინდა ლუზანის მონასტრიდან განდანში გადმოვსახლდი და ამ მცირე ხნის მანძილზე აქაურ ცხოვრებაში ძალზე ბევრი რამ შეიცვალა, რასაც წმინდა ლუზანის მონასტრის სქელი კედლების მიღმა ვერ დაინახავ. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ლამები იხსნიან სასულიერო წოდებას და ბერების სამოსს ცეცხლში ყრიან. დიახ, ინგრევა, ინგრევა ძველი წესწყობილება. მაგრამ გავუძლებთ. ვიდრე დახმარება მოგვისწრებს. ჩვენი დროც დადგება, დავიბრუნებთ დაკარგულს! — პათოსით წარმოთქვა დოეჩინმა.

ხუბილგანი ახლა მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ მისმა წერილმა ბურხანის წყალობით მშვიდობით მიაღწია იაპონელ მმართველებამდე. იმათაც მადლიერებით მიიღეს და დახმარება აღუთქვეს. „ყველაფერი კარგად აეწყო“, — კვლავ გაიფიქრა ხუბილგანმა და თასში ცოტა ღვინო დაისხა.

ეს ახალგაზრდა კაცი — ამომავალი მზის ქვეყნის მოციქული — თავისი ჭკვიანური საუბრით, კარგი საქციელითა და ნათელი გამოხედვით ნამდვილად მოსწონდა. „აი, გამოცდილი ეშმაკი მელა შუშაც — მას კი ადვილად ვერ მოატყუებ — ასევე დადებითად ახასიათებს მას. მაშასადამე, ჩვენი ერთგული კაცია. მოციქული!“ ხუბილგანი თვალს არ აშორებდა ბალდანს და კვლავ მასზე ფიქრობდა. უცებ, თითქოს აღსარებაზეაო, თავისი გეგმები გადმოალაგა.

— სწორი არ იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მხოლოდ ელაყბობთ და ხმებს ვავრცელებთ ახალ ხელისუფლებაზე. არა, ჩვენ გაძლიერებით ვმუშაობთ სამი მიმართულებით: ვაღვიძებთ უკმაყოფილებას სახალ-

ხო ხელისუფლების წინააღმდეგ, ვცდილობთ ხალხს რწმენა დავკარგოთ წითელი რუსეთის მიმართ და ყოველნაირად გავაძლიეროთ რელიგია. ერთი სიტყვით, გულხელდაკრეფილები არ ვსხედვართ. ეს არის შეუპოვარი ბრძოლა ხალხის გულებისა და აზრებისათვის და ჩვენ არანაირ საშუალებას არ ვერიდებით: დივერსიებს წარმოებებში, პარტიული ხელმძღვანელობის ფიზიკურ განადგურებას, ცალკეულ მოქალაქეთა დაშინებასა და შანტაჟს. მართალია, გითხარით, ხალხი ცოტა გვყავს-მეთქი, მაგრამ ზოგი რამ მაინც გავაკეთეთ.

ბალდანი ვერც იფიქრებდა, რომ ბერის ანაფორის ქვეშ ასეთი გაქნილი, სასტიკი და მოხერხებული პოლიტიკოსი იმალებოდა.

— დარწმუნებული ვარ, თქვენს მუშაობას საკადრისად შეაფასებენ ბატონები იაპონიის სადაზვერვო სამმართველოდან. ისინი თქვენგან არა მარტო კარგ ორგანიზაციას, არამედ კარგ კონსპირაციასაც მოითხოვენ. მხოლოდ დროის მოგებით შევძლებთ ამ ამოცანის გადაწყვეტას. რაღა დასამალია და. უკვე აღარავისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ახალი ხელისუფლება დღითი დღე ძლიერდება. ამიტომ, ვიმეორებ, დროის მოგება ჩვენთვის ყოფნა-არყოფის საკითხია. არც ერთი წუთი არ უნდა დავკარგოთ. ვფიქრობ, ერთი წლის განმავლობაში, მაქსიმუმი — ორ-სამ წელიწადში უნდა შევქმნათ ხელსაყრელი პირობები ამომავალი მზის ქვეყნიდან სამხედრო დახმარების შესახვედრად.

— ბურხანი იყოს შენი მფარველი ამ ბრძნული სიტყვისათვის! დაე, ბურხანმა ინებოს თქვენი სურვილების აღსრულება! — წამოიძახა ხუბილგანმა. იგი გულში ზეიმობდა. იაპონელთა სამხედრო დახმარების, საძულველი ახალი ხელისუფლების დაცემის და დაკარგული სიძლიერის დაბრუნების იმედი აკიაფდა მის გულში. კიდევ დიდხანს ადიდებდა ყოვლისშემძლე ბურხანს, რომელმაც შეისმინა მისი ლოცვანი და ასეთი წარმატება მიანიჭა.

ბალდანმა ცეცხლზე ნავთი დაასხა, ხუბილგანს ყურში აღგზნებულმა წასჩურჩულა:

— ეს კიდევ ყველაფერი როდია, დიდად პატივცემულო ხუბილგანო. საიდუმლოდ გეტყვით, რომ იაპონიის იმპერატორს გაცილებით გრანდიოზული გეგმები აქვს. იაპონიას ღმერთისაგან მინიჭებული მისია აქვს: სათავეში უნდა ჩაუდგეს აზიის დიდ ერთობას, რომლის შემადგენლობაშიც შევა ჩინეთი, მანჯურია და მონღოლეთი, მოხლო-

ლეთი კი ხიდი უნდა გახდეს რუსეთის ციხბირის დასაცავობად. ოღონდ ჩემი სიტყვები უაღრესად საიდუმლოდ უნდა შეინახოთ.

მისდამი ესოდენ უსაზღვრო ნდობისაგან დოეჩინს სუნთქვა შეეკრა, თავბრუ დაესხა. როგორც იქნა, ბედმა გაუღიმა!

— უბრძნესო მოციქულო! — ბალდანს ხელში წააევლო ხელი. — თქვენი სიტყვები ფასდაუდებელია! ჩვენი გეგმები ერთმანეთს ემთხვევა! იაპონია ჩვენ დაგვეხმარება, ჩვენ კი მას თავის გეგმების განხორციელებაში დავეხმარებით. შეგეწიოს ყოვლის მძლეველი და მარად გამარჯვებული ბუდა! არაფერს დავიშურებთ ჩვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. — დროდადრო ხმა უწყდებოდა.

— პატივცემულო ხუბილგანო, ნაადრევია თქვენი სიხარული. „იჩქარებ — გაიყინები“ — ქადაგებს მონღოლური სიბრძნე. ნუ დაიიწყებთ ამას. ათი დღის შემდეგ ბატონ ინოკუზის დაშიფრული დეპეშა უნდა გავუგზავნო წმინდა ლუზანის მონასტრიდან. სიტყვამ როიტანა და, როდის ფიქრობთ ჩემს იქ გაგზავნას? — ბალდანი ცდილობდა საუბარი მისთვის სასურველი მიმართულებით წარემართა.

— თავად როდის ფიქრობთ წასვლას?

— არა უგვიანეს ხვალინდელი დღისა. წავალ როგორც მომთაბარე-მესაქონლე. მომიმზადეთ კარგი ცხენი, ტანსაცმელი და არ დაგავიწყდეთ იქაურ მოძღვართან წერილის დაწერა.

— ნუ წუხხართ. ყველაფერი რიგზე იქნება. მონასტრის მოძღვარს ხამბა-ლამას [1], თქვენი ხელით გავუგზავნი განსაკუთრებულ დავალებას. თქვენვე გნიშნავთ იქ პასუხისმგებელ პირად, რის შესახებაც მოძღვარს შევატყობინებ. ამიერიდან არც ერთი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს უთქვენოდ. მოძღვრისგან მიიღებთ ბერის ანაფორას და გესგუი [2] გახდებით. არა, არა, მგონი, აჯობებს ძველი ხაზინადრის მაგივრად დაგნიშნოთ. შეწირულების შეკრება—ის კი საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდის — საპასუხისმგებლო საქმეა და უმჯობესია თქვენ დაგავალოთ.

— გიბრძანებთ, განუწყვეტლივ იქონიოთ ჩემთან კავშირი და მაშინვე მომახსენოთ იაპონელ ხელისუფალთა ყოველი მითითება, — მოულოდნელად მბრძანებლური კილოთი დაუმატა მან.

---

[1] ხამბა-ლამა — მოძღვარი

[2] გესგუი — ლამების სხდომის განმგებლის საეკლესიო თანამდებობა, ასევე მათი საშუშაოსა და ყოფაქცევის ზედამხედველი.

„ოჰო! ესეც შენი ბებერი ხუბილგანი! ცბიერი ტურა“, — გაიფიქრა ბალდანმა. მაგრამ ხუბილგანმა, თითქოს „იაპონელი მოციქულის“ აზრები ამოიკითხაო, კრიალოსანი ამოიღო, კოტიტა თითებით მარჯვედ შეუდგა დამარცელას, ჩვეულებისამებრ, თვალები ზეცისაკენ აღაპყრო და ჩურჩულით დაიწყო ლოცვა.

გულში თითოეულ მათგანს თავისებურად უხაროდა წარმატება.

„შუშმას უნდა ვუთხრა, თავის ხალხს უბრძანოს შეწყვიტონ ბალდანის თვალთვალი, ვინაიდან იგი საეკვო პიროვნება არ არის. წინათგრძნობას არასდროს უღალატია ჩემთვის. იქნებ, თავის შეტყობინებაში ბალდანმა ხოტბაც შეასხას ხუბილგანის ბრძნულ გონებას, დიდი ნდობა რომ გამოუცხადა ამომავალი მზის ქვეყნის მოციქულს“, — პატივმოყვრულ ფიქრებს მისცემოდა დოვჩინი და თავი უკვე ხანის ტასტზე წარმოედგინა.

უჯრიდან ტუშსა და პატარა ფუნჯს[1] რომ იღებდა, ხუბილგანი იმას ფიქრობდა, ისე როგორ შევადგინო ხამბა-ლამა სოდოვისათვის გასაგზავნი წერილი, რომ არც მწვადი დავწვა, არც შამფურიო.

მეორე დღეს ბალდანი დილიდანვე ემზადებოდა მონასტერში წასასვლელად. ორმაგად ფრთხილად უნდა ემოქმედა: ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, რა აზრები უტრიალებდა თავში ხუბილგანს და იმ ბებერ ეშმაკ მელას — შუშმას. ტყუილად როდი იმეორებდნენ წამდაუწუმ: გველი გარედან არის ჭრელი, კაცი კი შიგნიდანო.

ნაშუადღევს შუშმასთან ვიღაც ჩინელები მოვიდნენ, ხელში ფუთები ეკავათ. მასპინძელთან იჩურჩულეს, ნივრისა და ლაყე კვერცხის მძაფრი სუნი დატოვეს და წავიდნენ. ბალდანს ისინი ადრე არასოდეს ენახა.

შემდეგ გამოჩნდა შავგვრემანი ბერი, რომელმაც წმინდა ლუზანის მონასტრის მოძღვართან წასაღები ხუბილგანის წერილი მოუტანა.

საღამოვდებოდა. შუშმა კი ისევ პატარა ფარდულთან ტრიალებდა და ხურჯინებში ბალდანის საჭმელსა და ხამბა-ლამას საჩუქრებს ალაგებდა.

— ყური მიგდეთ, ძვირფასო, შეეშვით ყოველივე ამას, — მივიდა

---

[1] 1946 წლამდე ახალ ალფავიტზე — კირილიცაზე გადასვლამდე მონღოლები ხვეულით ზემოდან ქვემოთ წერდნენ და სპეციალურ პატარა ფუნჯებს იყენებდნენ.

მასთან ბალდანი. — სჯობს კინოში წავიდეთ. მომწყინდა უსაქმოდ ჯდომა და ხეალინდელი დილის ლოდინი. იქ, მივარდნილ ადგილას, კინო კი არა, ალბათ, აბანოც არ არის.

როგორც ბალდანი ვარაუდობდა, შუშამ უარი თქვა კინოში წასვლაზე და თავი იმით გაიმართლა, რომ არ უყვარდა გართობა და ეს დროის უქმად დაკარგვად და ზედმეტ ფუფუსებად მიაჩნდა. მაგრამ ნამდვილი მიზეზი, რასაკვირველია, სხვა რამ იყო: შუშმა ყოველნაირად გაურბოდა ხალხმრავალ ადგილებს, არ უნდოდა, ზედმეტად ვინმეს მოხვედროდა თვალში.

— მარტო წადით. კიდევ ბევრი სამუშაო მაქვს ხაშანში. ქალაქში კი ნურაფრის გეშინიათ, აქ სიმშვიდეა და არც არავინ გიცნობთ — ირწმუნებოდა შუშმა.

მაგრამ ბალდანმა სასტიკი უარი უთხრა ქალაქში მარტო წასვლაზე და აქაური ზნე-ჩვეულებების უცოდინარობა მოიმიზეზა. მოწყენილობისაგან ამთქნარებდა. ხაშანში უსაქმოდ დაეხეტებოდა და ჩუმ-ჩუმად ჩინელს უთვალთვალებდა. ის კი, იმის შიშით, რომ სტუმარს ვერ ვასიამოვნე და ხუბილგანის რისხვა დამატყდება თავსო, ბალდანს არწმუნებდა, საღამო უჩემოდ გაატარეთო.

— მაშ კარგი, — ამოიოხრა ბალდანმა, — წავალ, ცოტა ხანს ქალაქში ვიხეტიალებ და თუ მოვახერხე, მუნჯურ ფილმს ვნახავ. — კიდევ ერთხელ დაამთქნარა, აუჩქარებლად გადაიცვა ჩინური აბრეშუმის ახალი დელი და ხაშანიდან ზლაზვნით გავიდა. ნელა მიჩანჩალებდა მტვრიან ქუჩაზე ქალაქში არსებული ერთადერთი კინოთეატრისაკენ. მგონი დღეს აღარ დასდევდა უცხო აჩრდილი. მაგრამ მაინც ფხიზლად იყო. სეანსამდე ცოტა დრო რჩებოდა. ბალდანმა სალაროსთან რიგში იჯაჯგურა, ბილეთი აიღო და კინოთეატრის შესასვლელისაკენ მიმავალმა უეცრად შენიშნა ჩოფურა მეაბანოე, რომელიც თვალებით ვიღაცას დაეძებდა. ბალდანს გული აუძგერდა. „ნუთუ ჩამეშლება თანაშემწესთან შეხვედრა?! ეს მეაბანოე, რასაკვირველ გასართობად არ მოსულა“, — გაიფიქრა ბალდანმა. მაყურებლები წინ გაატარა და დარბაზში თითქმის სულ ბოლოს შეავიდა. გულდასმით შეათვალიერა ყოველი რიგი, მაგრამ ჩინელი დარბაზში არ იყო „შესასვლელთან დარჩა სადარაჯოდ, თუ სხვა ვინმეს გადასცა „ესტაფეტა“?“ — თავის თავს ეკითხებოდა ბალდანი და კვლავ რიგებს ათვალიერებდა. ჩოფურა ჩინელი მაყურებელთა შორის არ ჩანდა.

როგორც კი სინათლე ჩაქრა და სურათი დაიწყო, ბალდანი უკანა

გასავლელიდან მოხრილი უჩუმრად გავიდა ქუჩაში დ სწრაფად შეუხვია უახლოეს ხაშანთან. მესრის გასწვრივ ცოტა გაირბინა, კვლავ შეუხვია ვიწრო ქუჩაზე, აჩქარებული ნაბიჯით ბოლომდე გაიარა ის ქუჩა და შავ ალაყოჩებთან გავიდა.

ცხენის მისაბმელ ბოძს აკრულმა ბალდანმა სმენა და მხედველობა დაძაბა, მაგრამ ირგვლივ სიჩუმესა და სიბნელეს დაესადგურებინა. მაშინ ფარნები არ იყო და ამ დროს ქალაქის ქუჩებში იშვიათად თუ შეხვდებოდი ვინმეს. ხალხი დაბინდებისთანავე თავიანთ ხაშანებში იკეტებოდა. ღამის ქალაქის სიჩუმეს მარტო ძაღლების ყეფა არღვევდა.

მოულოდნელად ბალდანის წინ, ნაცნობი ფიგურა აღიმართა. ისინი უსიტყვოდ გადაეხვივნენ ერთმანეთს და ასე გავიდნენ ცხენის საბმურის შვერილის ქვეშ.

— აქ მისამართები და გვარებია. ერთთავად ლამები, ჩინელები და სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან. — ბალდანმა ასანთის კოლოფი გაუწოდა.—იაპონელებს ელოდებიან. გთხოვ, ძალზე ფრთხილად იმოქმედოთ, კისერი არავინ წაიტეხოს.

— არის. ამხანაგო კაპიტანო. როდის მიემგზავრებით მონასტერში?

— ხვალ, გარიჟრაჟზე.

— წარმატებას გისურვებთ.

— ნადომის[1] მეორე ღამეს ბერებს განზრახული აქვთ იარალის საწყობს ცეცხლი წაუკიდონ და აიფეთქონ. ჯგუფს მეთაურობს პუნცაგი — ლამების არტელის მუშა.

— გასაგებია.

— როდესაც პუნცაგს დანაშაულზე დაიჭერთ, თითქოსდა მისი დასმენით დააპატიმრეთ შუშმა და ჩოფურა მეაბანოე, მათ ბევრი რამ იციან. ხუბილგანს, მის შავტუხა მოსამსახურესა და ხამბა-ლამას ჯერჯერობით ხელი არ ასლოთ — შესაძლოა, დააფრთხოთ. ჯერჯერობით სულ ესაა. მომიკითხე ჩვენები.

— ბედნიერ დაბრუნებას გისურვებთ.

და ბალდანი პატარა, ვიწრო ქუჩის სიბნელეში გაუჩინარდა.

---

[1] ნადომი — მონღოლური ეროვნული სპორტული დღესასწაული. მონღოლთა ერთგვარი ოლიმპიური თამაშობანი. ნადომში შედის ღოღი, ეროვნული ჭიდაობა, მშვილდ-ისრის სროლა. ნადომის დღესასწაული ემთხვეოდა მონღოლეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვების დღესასწაულს — 11 იელისს.

კინოთეატრის შესასვლელთან ჩამოკიდებული ერთადერთი ფარანი მკრთალად ანათებდა მტვრიან მოედანს. ჩოფურა არსად ჩანდა. ბალდანი ფრთხილად მივიდა უკანა გამოსასვლელ კართან, სეანსის დამთავრებას დაელოდა, მაყურებლებთან ერთად, გაცხოველებით რომ უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს, მოედანზე გავიდა და სიამოვნებით გააბოლა. ზედ ფარნის ქვეშ, თითქოს არსად წასულიყოს, შეაბანოე იდგა. „ჩინელი სეანსის დაწყებისას მოვიდა, შემდეგ წავიდა. დარბაზში არ ყოფილა. დამთავრებისას კვლავ გამოჩნდა... ძალიან კარგი. უფრო ფხიზლად უნდა გედარაჯა, მოქალაქე ჩინელო!“ — მხიარულად გაიფიქრა ბალდანმა და შინისაკენ გასწია.

4

მონასტერში მისვლისთანავე ბალდანი ხამბა-ლამა სოდოვს წარუდგა. დარბაზში შესულმა, მოძღვარი რბილი ბალიშების გროვაზე მედიდურად წამოწიმული იხილა. კოტიტა თითებით თანაბრად, დაზეპირებული მოძრაობით სათითაოდ მარცელავდა საოცრად წითელი ფერის ნატიფ მარჯნისთავიან შავი სანდალოზის კრიალოსანს. ხამბა-ლამას არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა. ოდნავ მოაბრუნა თავი შემოსულისაკენ და, ასევე თავის ოდნავი დაკვრით, ღირსეულად მიესალმა ბალდანს.

— უკვე მივიღე შეტყობინება პატივცემული ხუბილგანისაგან, რითაც თქვენი ჩამოსვლის ამბავს მაუწყებს. გთხოვთ, ახლოს მობრძანდეთ და უფრო მოხერხებულად დაჯდეთ. დიდად მოხარული გახლავართ თქვენი მშვიდობით ჩამობრძანების გამო. ნამგზავრი ხართ, დაისვენეთ, მოსულიერდით და მერე შეუდექით დასახული წმინდა მიზნის განხორციელებას. ჩვენ დიდი პატივით შევასრულებთ აღმომავალი მზის დიდი ქვეყნის დიდად პატივცემული მოციქულის ბრძანებებსა და დავალებებს. — ხამბა-ლამა ლაპარაკობდა ყრუ ხმით, ღირსეულად ეჭირა თავი და თანამოსაუბრეს პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა. სხეებივით როდი მლიქვნელობდა და პირფერობდა ბალდანის წინაშე.

მოძღვარს კრიალოსანი ხელიდან არ გაუშვია, ისე დადგა მეორე ხელით საგანგებო ნოხზე. ბალდანის წინ ორი პატარა, უბრალო თასი და ჩინური ღვინით სავსე მომცრო დოქი. თასები ნახევრამდე შეავსო

ღვინით, ცოტა მოსვა, თავის დაქნევით ბალდანსაც იგივე შესთავაზა და საქმიანი გამომეტყველებით განაგრძო დაწყებული საუბარი:

— ნუ გერიდებათ, ძვირფასო ბალდან. თავისუფლად იგრძენით თავი... გულახდილად გეტყვით, ახლა მძიმე დროა. არა თუ სხვას, საკუთარ თავსაც ვერ ენდობი კაცი. მეტისმეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გმართებთ. კარგად გახსოვდეთ, აქ, მონასტერში ჯაშუშებიც არიან და ენის მიმტანებიც. მაგრამ ყველაზე მეტად პარტიულებს უნდა ვერიდოთ. ისინი ეშმაკზე უარესი და ჩვენთვის, ჩვენი საქმისათვის ძალზე საშიშნი არიან.

— მიუხედავად ამისა, საგრძნობლად უნდა გავააქტიუროთ მუშაობა. ალბათ მიხვდით, ამქვეყნიური ამაოებისაგან დასასვენებლად და თქვენი ლამების ´კუჭის გასასინჯად როდი გამომგზავნეს აქ. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, დაუყოვნებლივ შევუდგე საქმეს. საღამოდანვე დავიწყებ... ოღონდ მინდა გაეცნო ყველაფერს, რის გაკეთებაც უკვე მოასწარით,—მტკიცედ წარმოთქვა ბალდანმა, თან დაქინებით შეჰყურებდა მოძღვარს თვალებში.

ხამბა-ლამამ თანხმობის ნიშნად ღირსეულად დახარა დიდი, პირწმინდად გადაპარსული თავი და თვალები დახუჭა.

— მართალს ბრძანებთ. მეც ასე მიმაჩნია, რომ არც ისე აქტიურად ვმოქმედებთ, მაგრამ ზოგიერთ წარმატებას უეჭველად მივაღწიეთ. ამის შესახებ, ალბათ, უკვე მოგახსენათ ხუბილგანმა. ამიტომ წაგიკითხავთ ერთ საბუთს, რომლის შინაარსსაც გამალებით ვავრცელებთ ყველა აიმაკში[1] და ხალხს, განსაკუთრებით, მორწმუნე მოხუცებს, სჯერათ ჩვენი. საერთოდ, ბევრი გადმოვიბირეთ ჩვენს მხარეს. აი. მისმინეთ, — და მოძღვარმა ბალიშის ქვეშიდან ოთხად დაკეცილი სქელი ფურცელი ამოიღო, კოტიტა ხელებით აუჩქარებლად გაშალა და კითხვა დაიწყო: — პირველი, — წარმოთქვა და შეჩერდა, ბალდანს შეხედა, რომელიც თითქმის თვალდაუხამხამებლად მიშტერებოდა ხამბა-ლამას. გულში აღფრთოვანებული იყო მისი უნარით, თავი ესოდენ ღირსეულად დაეჭირა „მაღალ სტუმართან“ და მის სასიამოვნო მანერებსაც ჯეროვნად აფასებდა. დინჯი ლაპარაკით, ჩუმი, მოგუდული ხმით, მოხდენილი მიხრა-მოხრით, თანამოსაუბრის

---

[1] აიმაკი — ადმინისტრაციული ერთეული მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, ღითანასწორდება ოლქს.

მოსმენის უნარითა და მიმნდობი, გულწრფელი საუბრით ხამბა-ლამა უეჭველად იმსახურებდა ადამიანების კეთილგანწყობას.

— პირველი, — კიდევ ერთხელ წარმოთქვა ხამბამ და ტექსტის კითხვა დაიწყო: — სახალხო-რევოლუციური ხელისუფლება არაჩვეულებრივი ხელისუფლებაა, ის ვერასდროს განმტკიცდება ჩვენს ძველ ძიწაზე, რადგან ეწინააღმდეგება ბუდას ყოვლისმძლეველ მოძღვრებას, ამიტომ ყველა, ვინც ახალ ხელისუფლებას აღიარებს და აგრეთვე მათი ნათესავები, მესამე თაობამდე, უზენაესის წინაშე უმძიმეს ცოდვას ჩაიდენენ და, იქნებიან რა უძლურნი, გარდასახვისას გამოისყიდონ იგი, უფალი საშინელი ტანჯვისათვის გასწირავს მათ.

მეორე. ბურხანის მორჩილნო! მალე იმ მხრიდან, საიდანაც მზე ამოდის, მოვა უავგუსტოესი ბანჩინ-ერდენე[1], რომელიც მიწასთან გაასწორებს და ქარს გაატანს ახალ ხელისუფლებას. იმათ, ვინც ცთუნებებსა და შეგონებებს გაუძლებს და ყოვლისშემძლე ბურხანის რწმენას შეინარჩუნებს, ზეგარდმოვლენათ ბანჩინ-ბოგდის[2] ლოცვა-კურთხევა და ცოდვების ყოვლისშემწყალებლობა მესამე თაობამდე. ისინი კი, ვინც რწმენა დაივიწყა და ქეშმარიტი გზიდან გადაუხვია, ვერ იხილავენ ბანჩინ-ერდენეს წმინდა სახეს, გაითვალებიან, მთელი სხეული ჩირქოვანი წყლულებითა და ფუფხებით დაეფარებათ და მათი მოდგმა გადაშენდება. ბურხანის ათასცოდვილო მორჩილნო! წმინდა ლუხანის მონასტრის მღვდელმსახურები აგებენ წმინდა სუბერღანს და გზას გიჩვენებენ თავი დააღწიოთ გარდუვალ საფრთხეს.

მესამე. დიდ ცოდვას იდებენ ის ცდომილნიც, რომელნიც თავიანთ პირუტყვს წითელ რუსებს აბარებენ, არღვევენ ბედის საღვთო წერილს და აჩანაგებენ ჩვენს მიწას. მათ ელით ყველაზე საშინელი სასჯელი — შიმშილით სიკვდილი.

ხამბა-ლამამ კითხვა დაამთავრა, გულდასმით დაკეცა ფურცელი, თან დროდადრო ალმაცერად გადახედავდა ხოლმე ბალდანს. მოთმინება არ ჰყოფნიდა გაეგო, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვებმა. მაგრამ ბალდანი დუმდა.

— რა თქმა უნდა, ფურცლებს საიდუმლოდ და დიდი სიფრთხილით ვავრცელებთ. თვითონაც ვსაუბრობთ მორწმუნეებთან და ამგვარად ვავლენთ ჩვენს თანამოაზრეებს. რამდენიმე აიმაკის მოსახლე-

---

[1] ბანჩინ-ერდენე — რელიგიის წმინდა მამა.

[2] ბოგდ, ბოგდ-ხანი—მონღოლი ხანების ტიტული.

ობაც რომ მოვიმსროთ, მაშინ შეეძლებთ ათასობით შეიარაღებული მეომრის გამოყვანას. ისინი შეუერთდებიან იაპონიის მძლავრ არმიას, რომელიც ჩვენს დასახმარებლად წამოვა და, ჩემი აზრით, ეს ცოტა არ იქნება.

— მცირე ძალებით, — ჩაიცინა ბალდანმა, — ახალ ხელისუფლებას ვერ ჩამოაგდებთ, ღირსეულო ხამბა-ლამა, ეპვი არ მეპარება თქვენს მოქმედებათა გაქანებასა და შორსმჭვრეტელობაში. მთავარია, მიღწეულს არ დავკარგოთ.

ხამბა-ლამას თავის მხარეში ცოცხალ ბურსანად მიიჩნევდნენ. ხალხი ენდობოდა და ყველაზე სანუკვარ აზრებსა და სურვილებს უზიარებდა. მისი ლოცვა-კურთხევის მისაღებად ხშირად უკანასკნელ სარჩო-საბადებელსაც კი აძლევდნენ.

მოძღვარმა თვალები დახუჭა, წინასწარმეტყველივით დაძაბული გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე. ტიბეტურ ენაზე მოკლე ლოცვა წაიჩურჩულა და მშვიდად განაგრძო:

— რამდენიმე დღის წინ ერთი ჩვენი კაცი კორდონს იქით, იაპონელებთან წავიდა. ჩემი ვარაუდით, ის უკვე შეხვდა მათ.

— ვინ არის? — დაინტერესდა ბალდანი.

— შემოწმებული და საიმედო კაცია. თავის დროზე ქალაქშიც ცხოვრობდა და აიმაკებშიც მოგზაურობდა. საერთოდ, განათლებული და, მე ვიტყოდი, მოხერხებული კაცია. ადრე პარტიის წევრი იყო, მაგრამ დანაშაულისათვის გარიცხეს და ციხეში ჩასვეს. ამჯერად თუ გაუმართლა, მდიდარი ნადავლით დაბრუნდება.

— აქ, თქვენს მხარეში არის ჩვენი ერთგული ხალხი?

— რასაკვირველია, არის. ამ დღეებში მათგან ორ ყველაზე გავლენიან ადამიანს გაგაცნობთ. დამირანს, რომლის ზედმეტი სახელია კუდა ტაიჯი[1] და ხალხინ-გოლის მაზრის ყოფილ ბატონ-პატრონს, მდიდარ ლუესანს. უერთგულესი ხალხია, შეგიძლიათ ისე ენდოთ, როგორც საკუთარ თავს.

* * *

ბალდანს საცხოვრებლად გამოუყვეს პატარა ფიცრული მინაშენი, რომლის ფანჯარაზე მინის მაგიერ ბრინჯის თხელი ქაღალდი იყო აკ-

[1] ტაიჯი — აზნაური.

რული და ძლივს ატარებდა ქუჩიდან შემოსულ მკრთალ შუქს. ის დანიშნეს უფროს ხაზინადრად, რითაც ძალზე გახარებული იყო, კინაიდან ეს სამუშაო მოქმედების ფართო გასაქანს აძლევდა და. რაც მთავარია, საშუალება ჰქონდა დაბალ საფეხურზე მყოფ ლამებთან და მდაბიო მესაქონლეებთან მუდმივ ურთიერთობაში ყოფილიყო. ამგვარად, მას შეეძლო მათი სულიერი განწყობა და ინტერესები გაეგო და შესაწირთა შეკრების მიზეზით მონასტრიდან თავისუფლად გასულიყო.

ბალდანი, როგორც თვით ხუბილგანის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი, ლამების მხრიდან არა მარტო სრულ ნდობით, არამედ თავისი პიროვნებისადმი დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. ხამბა-ლამა და მასთან დაახლოებული პირნი პატივისცემად მიიჩნევდნენ მისთვის რაიმე რჩევა ეთხოვათ ან უბრალოდ გასაუბრებოდნენ მას. რამდენიმე დღეში ასე გაიცნო თითქმის ყველა იქაური ლამა.

ერთ საღამოს ბალდანი შეუმჩნევლად გამოვიდა თავისი ფიცრულიდან, ბორცვზე დაეშვა და იქით გაეშურა, სადაც მდაბიო მეცხოველეები ცხოვრობდნენ. ჩუმად მიიპარა განმარტოებით მდგარ პატარა. შავ ალაყოჩთან, რომელშიც მონასტრის ბოგანო, წყლის მზიდავი გომპილი ცხოვრობდა, კარის მაგიერ ჩამოკიდებული ქეჩა გადასწია და ალაყოჩში შევიდა. გომპილი თხელ, გაქონილ ლეიბზე იჯდა რკინის პატარა ღუმელთან, ქონის ლამპის მოციმციმე მკრთალ შუქზე და ცხელი ღუმელიდან ახლად გამოღებულ ატრიას ხმაურით სანსლავდა. ასე გვიან, მოულოდნელად გამოჩენილი უცნობის დანახვაზე, გომპილი შეკრთა, ატრია გადმოეპნა და დაბნეულმა სტუმარს მორიდებით შესთავაზა ღუმელის ახლოს დაჯდომა. მონღოლური სტუმარმასპინძლობის ადათის მიხედვით, გომპილმა ფიალაში რძიანი ჩაი დასხა და სტუმარს მიართვა. როგორც ზრდილობიან კაცს შეეფერის, ბალდანმა ფიალა ორივე ხელით გამოართვა და პაროლი უთხრა. დიდი ხნის ნანატრი სიტყვის გაგონებისას გომპილმა შვებით ამოისუნთქა და ღიმილით უთხრა პასუხი.

— აბა, გომპილ, რას მეტყვი ახალს? ოღონდ მოკლედ და სწრაფად.

წყლის მზიდავი ბალდანს ახლო მიუჯდა და დაიწყო:

— სიმართლე გითხრათ, ასე მალე არ ვფიქრობდი თქვენთან შეხვედრას. იცით, ყველაფრიდან ჩანს. რომ აქაური ლამები რაღაც არასასიკეთო საქმის წამოწყებას აპირებენ. ბოლო დროს ბობოლა ლა-

მები, ე. ი. უმაღლესი სამღვდელოება, ხალხის თვალთაგან მოშორებით მოფარებულ ადგილას თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებიან და რაღაცაზე ბჭობენ, კამათობენ, ხოლო დღისით, თითქოს არაფერიაო, ბატკნებივით თვინიერად გამოიყურებიან. მაგრამ მარტო ისინი როდი მოქმედებენ ასე. ადგილობრივ მოსახლეობაშიც გახშირდა სახალხო-რევოლუციური ხელისუფლების პოლიტიკის სახელგამტეხი მითქმა-მოთქმა, ავრცელებენ ცილისმწამებლურ ჭორებს საბჭოთა რუსეთზე. საერთოდ, ხუდონელი არატები[1] გვარიანად დააშინეს. თუ ჰკითხე რაიმე, — დუმან, ანდა ირწმუნებიან, არაფერი ვიცითო, მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ბაგის[2] გარეუბნის მცხოვრებთა კრებაზე თავმჯდომარე სედმა სწორედ ამით დაიწყო თავისი გამოსვლა. ცნობილია, ჭორები ქარს არ მოაქვს, მის უკან სახალხო ხელისუფლების საშიში მტერი იმალება და, ადრე თუ გვიან, გავანადგურებთო. ამ დროს ატყდა ერთი ყაყანი! ფიცარნაგთან მდიდარი ლუვსანი და მისი ხრინწიანი დამქაში დონოი მიცვივდნენ და სედის მოსთხოვეს, დაასახელეთ, ვინ არის ეს მტერიო. ერთი სიტყვით, ხალხში სასტიკი რეაქცია გამოიწვიეს. კრების ბოლოს სედმა არატებს მიწოდებით მიმართა, ნუ შეიტანთ თქვენი შრომით მოპოვებულ დანაზოგს და ქონებას სუბურღანის ასაგებადო. განუმარტა, თქვენი შრომით მოპოვებული ფული ლამების ზანდუკებში მიდის და ლამები ხალხს ატყუებენო. ლუვსანი და დონოი პირზე დუქმორეულნი გაჰყვიროდნენ. მორწმუნეთა შენაწირები უაღრესად ნებაყოფლობითი საქმეა და არავინ არავის არ აიძულებს თავისი წვლილის შეტანასო, თან სახელმწიფო რელიგიის აღიარების ნებას იძლევა, და ეს საკითხი წამოსაჭრელი არაა. მაგრამ გარწმუნებთ, ეს კამათი უბრალო არ იყო, როცა ადამიანები საკუთარ აზრებს გამოხატავენ. ამას ლამების ინტერესების წინასწარგანზრახული დაცვის ძლიერი სუნი უდის. ლამები კი, სამწუხაროდ, ჯერაც ბლომად არიან. კიდევ მაქვს ჩვენთვის ძვირფასი სხვა ცნობები, მაგრამ ამაზე შემდგომ ვილაპარაკოთ. ახლა კი, აი რა: აქ მრავალი წელია დაეხეტება დოლნურიდან მოსული ერთი ჩინელი. დურგლად მუშაობს მონასტერში, დიდი ხაშანი აქვს ხის სახლითა და მიწის ვრცელი ნაკვეთით. და აი, უცებ წასვლას აპირებს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი გაშვება.

---

[1] არატები — მეცხოველეები.

[2] ბაგი—სასოფლო ადგილის დაბალი ადმინისტრაციული ერთეული, ამჟამად გაუქმებულია.

— რატომ?

— არის საფუძვლიანი სამხილები, რომლებიც ამტკიცებენ. რომ ის იაპონიის ჯაშუშია. დაუყოვნებლივ უნდა დავაპატიმროთ. დაუყოვნებლივ! ძალზე ყურადსაღები ვინმეა და თანაც ეშმაკი. ეს ადგილები საკუთარი ხუთი თითივით შეისწავლა.

— დაპატიმრება არ არის ძნელი საქმე. მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი?

— მოკლედ გეტყვით. ჩინელს სახელად ბუიანტი ჰქვია, აქვს იარაღი. როგორც ეტყობა, ჩინებული სამხედრო მომზადება გაიარა, თითქმის დაუმიზნებლად ახვედრებს მიზანში. აქვს ადგილებისა და ყველა ობიექტის ზუსტი რუკები. ფიზიკურად ძლიერია. თანაც ძალზე ფრთხილი. რა ვქნათ?

— ასე მოვიქცეთ: შენ გააძლიერებ ჩინელზე თვალყურის დევნებას და თუ მოხდა რამე, მაცნობებ, მე კი შევეცდები ხამბა-ლამასაგან გავიგო რაღაც მასზე. მთელი რიგი გვარების დასახელებისას მაინც რატომ არ ახსენა ხამბა-ლამამ ჩინელი? უბრალო გულმავიწყობით ეს არ აიხსნება, აქ რაღაც ამბავია. კეთილი. აბა შენ იცი, ხელიდან არ გაუშვა ჩინელი. ნახვამდის.

ზაფხულის ბნელი ღამის წყალობით ბალდანი ასევე მშვიდობით დაბრუნდა თავის ფიცრულში, გაიხადა და ლოგინში შეძვრა. „ყოჩაღ, გომპილ. კარგად მუშაობს. მაგრამ ხამბა-ლამამ ერთხელ მაინც რატომ არ ახსენა ჩემთან ბუიანტის სახელი? დაველოდო, სანამ თავად იტყვის, თუ მე ჩამოვაგდო სიტყვა ჩინელზე? კეთილი. აღდგომა და ხვალეო, ბაგის თავმჯდომარეს ამხანაგ სედს კი უსათუოდ უნდა გავესაუბრო", — ფიქრობდა მთვლემარე ბალდანი.

დილაადრიან ბალდანი მოძღვართან წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო, ხამბა კარგა ხნის ამდგარი გახლდათ და დილის წირვა-ლოცვას ასრულებდა. მწუხრისას დაწოლას და ალიონზე ადგომას იყო ჩვეული. ურთიერთმისალმების შემდეგ მოძღვარმა გულთბილად შესთავაზა ბალდანს, დილის ტრაპეზზე დამეწვიეო.

— ძალზე მოხარული ვარ, ზუსტად ჩაის დროს რომ მობრძანდით. ეს კარგის მომასწავებელია. კმაყოფილი თუ ბრძანდებით საცხოვრებლით? კარგად თუ გკვებავენ? თუ რამე გაკლიათ, გთხოვთ, გულახდილად მითხრათ. ჩვენი ვალია, ყოველმხრივ უზრუნველგყოთ და ხელი შეგიწყოთ.

— უძვირფასესო და ღრმად პატივცემულო ხამბა-ლამა, თქვენი

დაუღალავი ზრუნვის შედეგად ყველაფრით უზრუნველყოფილი გახლავართ, საუზმეზე მიპატიჟებას ბურხანის კურთხევად ჩავთვლი; რაგრამ ამისათვის არ მოვსულვარ. ძალზე მაწუხებს ერთი საკითხი. ღამითაც კი არ მასვენებს.

— მაინც რა საკითხია ასეთი? თუ არა თქვენ, ვინც ცოდვილი ბრბოსათვის იღვწის, ვის უნდა ეძინოს მშვიდი და ღრმა ძილით? გისმენთ, ძვირფასო ბალდან! თუ ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, მზად ვარ მსარში ამოგიდგეთ.

— მოძღვარო! დიდად ვაფასებ თქვენს სიბრძნეს. მაგრამ როგორ უნდა მეძინოს მშვიდად, როცა ჩვენი საქმე მდინარეზე მცურავ ტივზე ნელა მიდის. ვისხდეთ ასე გულხელდაკრეფილხი და ამინდს ველოდოთ?

— თქვენი მოუთმენლობა ქების ღირსია. მაგრამ დიდი საქმეები სწრაფად არ კეთდება. ხომ იცით, რომ უსაქმოდ არ ვსხედვართ და ვმოქმედებთ. სხვათა შორის, ამ საღამოს ვახშმად მეწვევა ერთი მეტად საინტერესო კაცი. თქვენც გეპატიჟებით. ვიმედოვნებ, სულ სხვა წარმოდგენა შეგექმნებათ ჩვენს მუშაობაზე.

საღამოს ბალდანი დანიშნულ დროზე ოდნავ ადრე მივიდა მოძღვართან. უცნობი სტუმარი ჯერ არ მოსულიყო. ხამბას ალაყოჩი ჩვეულებრივ იყო მილაგებული და, თუ გემოვნებით გაშლილ სუფრასა და მასზე დადგმულ კარგ ღვინოს არ ჩავთვლით, არაფერი მიანიშნებდა იმას, რომ სტუმრებს ელოდა. მოძღვარმა ხელები გაშალა და ბალდანი ალაყოჩის მარცხენა, საპატიო ნახევარზე მიიპატიჟა.

— იმ კაცმა, ვისაც მე ველი, ჩვენს მხარეში რამდენიმე წელი დაჰყო. ის აქ ქვეშის ყოველ ნამცეცსა და ადამიანს ცნობს სახეზე. ამჯერად მე და თქვენ მხოლოდ მსმენელები ვიქნებით, მთხრობელი კი ის იქნება.

ბალდანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— არ შეაწყვეტინოთ, მოთმინება მოიკრიბეთ გრძელი ამბის მოსასმენად.

— ნუ წუხხართ, პატივცემულო ხამბა-ლამა. ჩვეულებად არა მაქვს მოსაუბრეს სიტყვა შევაწყვეტინო. ეს უზრდელობაა.

— უეჭველად. მჯერა, რომ ამომავალი მზის ქვეყნის მოციქულები კარგი აღზრდილები არიან. სიტყვამ მოიტანა და, იმ კაცის სახელია ბუიანტი. უჭკვიანესი და ძალზე გამოცდილი კოლეგაა. ვიმე-

დოვნებ, ჩვენ მიერ აქ მოსმენილი სიტყვები ყოველგვარ ეჭვებას გადააჭარბებს.

— მაპატიეთ, მოძღვარო, — გაეღიმა ბალდანი, — ალბათ, ერთოდ უცნაური ქმნილებაა. ხშირად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი მიუტევებელ შეცდომას უშვებს და ამის შედეგად თითქოსდა სულ უმნიშვნელო წვრილმანი დიდი საქმის ჩაფუშვის მიზეზი ხდება.

— გეთანხმებით, ასეც ხდება. აი, შგონი, ბუიანტიც მოვიდა.—მართლაც, ოდხავ გაწკარუნდა შემოსასვლელ კარს ზენოთ ჩამოკიდებული ვერცხლის პატარა ზარი და ალაყოჩში შემოვიდა მაღალი, ათლეტური აღნაგობის ჩინელი. მზით გარუჯულ მსუქან სახეზე შავი წაბები გამოირჩეოდა. ცერემონიული მისალმების შემდეგ მოძღვარმა ჩინელს ბალდანზე თვალით ანიშნა და უთხრა:

— ახლა თქვენს სამუშაოს მონასტერში ინოკუზის მოციქული გააგრძელებს. ის აქ ხუბილგან-ლამამ გამოგზავნა. — ხმადაბლა გახუმარტა ხამბამ.

ვასშაბზე საუბარი არ აეწყო. ბალდანი გრძნობდა, რომ ჩინელი ფრთხილობდა და მისი თანდასწრებით ლაპარაკისა ეშინოდა. მან რისკი გასწია და პირველმა წამოიწყო საჭირო საუბარი.

— ბატონო ბუიანტ, იმედია მაპატიებთ შეწუხებისათვის. მაგრამ ბატონ ინოკუზისაგან დავალებული მაქვს თავიდან ბოლომდე შევამოწმო თქვენი მუშაობა და შემდეგ ჩემი შეხედულებისაებრ გადავწყვიტო თქვენი შემდგომი ბედი. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ათი წელი თითქმის ყოველგვარი ცნობის გარეშე, — ბალდანი ყოველ სიტყვას ხაზს უსვამდა, — სულელსაც კი ძალზე დააეჭვებდა. რითი იმართლებთ თავს?

დარტყმა მიზანში მოხვდა. ჩინელის უნდობლობა დაბნეულობამ შეცვალა, შემდეგ კი — აშკარა შიშმა.

— მოხარული ვარ მოგესალმოთ, ბატონო. მე რომ თქვენი აქ მოსვლა გამეგო, გეფიცებით, დაუყოვნებლივ შეგხვდებოდით, — ბუიანტი, ყველა ჩინელზე უფრო სუფთად და გამართულად ლაპარაკობდა მონღოლურ ენაზე. — ხუბილგანსა და ხამბა-ლამას შეუძლიათ ძითავდებონ და დაადასტურონ ჩემი მუშაობის შედეგები. ხომ ხედავთ, საზღვრის გადალახვა ძალზე საშიში გახდა. თანაც, არ მყავდა საიმედო კაცი, ვისაც ასე ძნელად მოპოვებულ და ძვირფას

ცნობებს ვახდობდი. ამიტომ ლამა დამდინ-ოჩირის გარდა ხარბინში აოაკინ გამიგზავნია.

— მაინც რას აკეთებდით ამდენი წლის განმავლობაში აქ?

ბუიანტი აფეთქდა, თვალებში ბოროტმა ნაპერწკლებმა გაუელვა, მაგრამ იმწამსვე გაუქრა. ჩინებულად შეეძლო თავის დაჭერა.

— სომონის[1] მაღაზიებისა და სკოლებისათვის ცეცხლის წაკიდება, რევოლუციური აგიტატორებისა და პარტიული ხელმძღვანელობის, მათ შორის გოტოვის მოსპობა, ჩემი ნახელავია. ყველაფერი სუფთად ჩავატარე. ჩემს მიერვეა შედგენილი ქვეყნის თითქმის მთელი აღმოსავლეთ ნაწილის ზუსტი რუკები, მნიშვნელოვანი ობიექტების მითითებით, შეკრებილი მაქვს სხვა საიდუმლო ცნობებიც. ჩემი ძუშაობის მთელი შედეგები პირადად უნდა ჩავიტანო ხარბინში.

ბალდანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, „მაღალი შეფასება" მისცა ბუიანტის მთელ მუშაობას და შეპირდა, რომ მისი გამგზავრების წინ დაშიფრულ დეპეშას გაუგზავნიდა ბატონ ინოკუზის ხარბინში.

ნ

ხმაგაუმტარ, მასიურ მუხის კარს იქით, რბილი ავეჯით გაწყობილ დიდ კაბინეტში, დაბალ, მოხერხებულ სავარძელში დიდკაცურად იჯდა ბატონი ინოკუზი — ვიწრო, ბოროტთვალებიანი გამხდარი იაპონელი. მას ძალზე წინ წამოწეული ქვედა ყბა ჰქონდა და ცხვირზე ოქროსჩარჩოიანი პენსნე უელავდა, რომელზეც ოქროს თხელი ძეწკვი ეკიდა.

მისი გონება ხალხა-მონღოლეთიდან[2] ახლახან ჩამოსული ლამა დამდინ-ოჩირით იყო დაკავებული. „რევოლუციის გამოქცეული ბურიატი ლამა დონდოგი გაიძვერა კია, მაგრამ ჩვენთვის დიდი ვერაფერი შესაძენია და, რაც მთავარია, არც არაფერი აბადია. არ შეეცდები, თუ იმედს ხალხა-მონღოლ დამდინ-ოჩირზე დავამყარებ. დროთა განმავლობაში ჩვენი წყალობით მისი გავლენა მონღოლეთის მრავალრიცხოვან ლამებზე შეიძლება თითქმის შეუზღუდავი გახდეს. ხო-

[1] სომონი — რაიონს გათანაბრებული ადმინისტრაციული ერთეული.

[2] ჩრდილოეთ მონღოლეთი, ეს იგი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა (ყველაზე მრავალრიცხოვანი ძირითადი ტომის სახელის მიხედვით).

ლო თუ რაიმე ისეთი... ისეთი მოხდა, — ინოკუზამ თითები გაატკაცუნა, — ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია დავიმოწმოთ დამდინ-ოჩირის წერილი დახმარების თაობაზე. უსათუოდ უნდა შევხვდე მას. ნეტავ რა კაცია? თუ მომეწონება, შეიძლება მისი ხანის ტახტზე ასვლის სპექტაკლიც მოვაწყო. რასაკვირველია, ჯერ მთელი ხალხასიის ტახტზე ოცნების დრო არ არის. ჯერჯერობით მისთვის ხანის ტიტულის ბოძებაც საკმარისი იქნება და სამემკვიდრეო მამულად გამოვუყოთ აღმოსავლეთის მხარე, რომლის სადგომიც ბარგუტის კუმირნში იქნება. ახლად გამომცხვარი, ასე ვთქვათ, ჩვენი ნათლული ბოგდ-ხანის საშუალებით დიდ საქმეებს დავატრიალებთ მონღოლეთში. საინტერესოა, რას მომართმევს ეს ლამა? ამის მიხედვით გადავწყვეტ საკითხს, მას ვუბოძო ხანის ტიტული, თუ სხვა ვინმეს. მაგრამ ბოგდ-ხანის ტიტულის ბოძება მხოლოდ წმინდა ბანჩინ-ბოგდს შეუძლია, სხვანაირად დამდინ-ოჩირი არ დაგვთანხმდება". — ხმამაღლა ფიქრობდა ინოკუზი, თან სიგარას აბოლებდა და მარჯვენა ხელზე გაკეთებული ძვირფასი ბეჭდის ცქერით ტკბებოდა.

ინოკუზი მივიდა დიდ ფანჯარასთან, მძიმე ფარდა გადასწია და შორს გაიხედა. „რა ბრძენი და როგორი შორსმჭვრეტელი ვარ!" — ხოტბას ასხხამდა საკუთარ თავს, აღფრთოვანებული იყო თავისი ჩანაფიქრით და თვითკმაყოფილი ისრესდა ხელებს. ცოტა კიდევ გაიარ-გამოიარა კაბინეტში, უზარმაზარ საწერ მაგიდასთან მდგარ ტყავის სავარძელში ჩაჯდა და დაელოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ზუსტად დანიშნულ საათზე ბატონ ინოკუზის კაბინეტში ბურიატ დონდოგის თანხლებით შევიდა ფართოსახიანი, გამოწეულყვრიმალებიანი ხალხა-მონღოლი, რომლის დიდებული ტანსაცმლის მიხედვით მიხვდებოდა კაცი, რომ ძალზე მაღალ სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა.

— ხუბილგან დოვჩინის პირადი ელჩი — დამდინ-ოჩირი, — წარუდგინა ბურიატმა და უმდაბლესი სალმით ბატონ ინოკუზის ორივე ხელით გაუწოდა ხუბილგანის წერილის იაპონური თარგმანი.

— ძალიან კარგი. გულწრფელად მოხარული ვარ ხალხასეთის ლამების დესპანის ჩემთან ხილვისა. ამ შეხვედრას დიდ პატივად ვთვლი. ვიმედოვნებ, ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ახალ საოცარ ფურცელს გადაშლის იაპონია-მონღოლეთის ურთიერთობათა ისტორიაში, — ქედმაღლური ტონით წარმოთქვა ეს სიტყვები ინოკუზიმ და, მათთვის კიდევ უფრო მეტი წონა რომ მიეცა, წამოდგა. მაგრამ უცბად და-

ინახა, რომ დამდინ-ოჩირმა უბიდან ამოიღო ღია ცისფერი სიფრიფანა აბრეშუმის ხადაგი[1], რომელზეც კაშკაშა მზისფერი სუფთა ოქროს ემბუ[2] იდო. ოქროს ზოდს მიშტერებული ინოკუზი უცბად გაჩუმდა, აღგზნებულმა გადაყლაპა ნერწყვი და აკანკალებული ხელით რატომღაც ჰალსტუხი გაისწორა. ბატონ ინოკუზის დაბნეულობა რომ შენიშნა, დამდინ-ოჩირი ადგილიდან წამოდგა, ხადაგი ფართოდ გაშალა, ზედ ოქროს ემბუ დადო და ღირსებით ალსავსემ იაპონელს ორივე ხელით მიართვა საჩუქარი.

— ამომავალი მზის ქვეყნიდან მოვლენილო დიდო მფარველო, ჩვენი რელიგიის დამცველო და მრავალი ჭირ-ვარამისა და შეურაცხოფის ნაგემი ხალხა-მონღოლეთის ლამების მხსნელო! უმორჩილესად გთხოვთ, ნიშნად ჩვენი ურთიერთკეთილგანწყობისა და სიმბოლოდ ჩვენს წმინდა საქმეში წარმატებისა, მიიღოთ ეს მოკრძალებული საჩუქარი!

ინოკუზის ღიმილით გაებადრა სახე, მან გაცილებით სწრაფად აიღო „მოკრძალებული" საჩუქარი, ვიდრე ამას ზრდილობა მოითხოვდა. საუბრის სტენოგრაფირებისათვის მოწვეულ ახალგაზრდა მდივანს სახე ოფლით დაეცვარა და თვალებში აშკარა შური გამოესახა. ბატონ ინოკუზის ქედმაღლური გამომეტყველებიდან კვალიც არ დარჩენილა. წამდაუწუმ იღიმებოდა, ძალდაუტანებელი საუბრის დაწყებას ცდილობდა, ხმაც კი შეეცვალა. უფრო რბილი და მშვიდი გაუხდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია დამდინ-ოჩირს. „ამ კაცს ძალიან უყვარს ძვირფასი საჩუქრები. ეს ხელს გვაძლევს. ჩვენთან, ხალხა-მონღოლეთში რაღაც-რაღაცები მოგვეძევება, მაშასადამე, დონდოგს ტყუილი არ უთქვამს. იაპონელები ფულს არიან დახარბებულნი. თუ მათ ხშირ-ხშირად ვაჩვენებთ ოქროს, არატებს კი ბურხანის მოძღვრებით დავამშვიდებთ, მაშინ აუცილებლად მივაღწევთ საწადელს", — ფიქრობდა დამდინ-ოჩირი და ბატონ ინოკუზის თვალს არ აშორებდა.

იაპონელმა რამდენიმე შეკითხვა მისცა მონღოლეთის შიდა პო-

---

[1] ხადაგი — შარფისნაირი აბრეშუმის ქსოვილი, რომელსაც მონღოლური ადათწესის მიხედვით, მეგობრობის, მილოცვისა და პატივისცემის ნიშნად მიართმევენ. ხშირად ხადაგზე მისართმევ საჩუქარს დებენ ხოლმე.

[2] ემბუ—სპეციალურ ყალიბში ჩამოსხმული სუფთა ოქროს ზოდი. აქვს სხვადასხვა წონა 5—10-დან რამდენიმე ათეულ ლანამდე (1 ლანი=37,3 გრამს).

ლიტერატურ ვითარებასთან დაკავშირებით. პასუხს ყურადღებით ის-მენდა, თან ნერვიულობისაგან იკვნეტდა თხელ ტუჩებს.

— თქვენს საშშობლოში ჩვენი ხალხიდან ვისთან იყავით დაკავში-რებული?

ბუიანტთან. იგი გავლენიანი კაცია და ძალიან გვეხმარებოდა. უახლოეს ხანში თვითონ გეახლებათ. უნდოდა რაღაც გამოეტანებინა, მაგრამ გადაიფიქრა და გადაწყვიტა, თვითონ წამოიღოს.

ინოკუზიმ სეიფიდან დიდი ფოტოსურათი გამოიღო და დამდინ-ოჩირს დაუდო წინ.

— დიახ, სწორედ ის გახლავთ, ოღონდ აქ ძალზე ახალგაზრდაა. ამჟამად ცოტა შეცვლილია: ჩვენებურმა ცხიმიანმა ცხვრის ხორცმა გაასუქა, ხოლო მონღოლურმა მზემ ერთიანად გააშავა.

დონდოგმა იაპონური ენა ცუდად იცოდა, ამიტომ ძირითადად იმას თარგმნიდა, რაც შეეძლო, დამდინ-ოჩირს ახსოვდა დონდოგის გაფრთხილება და ცდილობდა მხოლოდ საქმეზე ესაუბრა.

— ბუიანტი გამოცდილი მზვერავია. ყოველდღე ველით. მაგრამ ახლა სულ სხვა რამ გვაწუხებს.

— მაინც რა?

— დიდი ცვლილებები მოხდა თქვენი არატების შეგნებაში. ჩვენი დაზვერვა ზუსტად მუშაობს, და ამ ფაქტზე თვალს არ ვხუჭავთ.

— მართალი ბრძანდებით. ბუიანტს არაერთხელ შეუხსენებია ჩემთვის. რომ ადამიანების სულისა და გონებისათვის ბრძოლა ყველაზე რთული საქმეა. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ძირითადი მოსახ-ლეობის უმრავლესობა მორწმუნეა და სწორედ მათ რელიგიურ ფა-ნატიზმზე ვაგებთ ჩვენს მუშაობას. უკვე ბევრი თანამოაზრე გვყავს.

— ეს მისასალმებელია.

დონდოგი ერთნაირად ცდილობდა როგორც მონღოლის, ისე იაპონელის გულის მოგებას.

— ბატონო ინოკუზი, გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რომ დამდინ-ოჩირი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ბრძენი დიდებულია თავის სამშობლოში. — სასწრაფოდ ჩაურთო სიტყვა ბუია-ტმა და მონღოლ ღამას შეხედა. ის მშვიდად იჯდა, ხელები მაგიდაზე დაეწყო და ძვირფასი ქვისაგან გაკეთებულ პატარა საბურნუ-თეს ათამაშებდა.

— დიდად პატივცემულო ბატონო, მინდოდა ჩემ მიერ ჩამოტა-ნილი წერილი დაუყოვნებლივ გადაეცათ იაპონიის მთავრობისათვის,

მისი შინაარსი კი ბანჩინ-ბოგდისთვის მოეხსენებინათ. დათქმულ დროს უნდა დაებრუნდე პასუხით.

თქვენი სურვილი საკადრისად შესრულდება. შეგიძლიათ მენდოთ. ხალხასიის კურთხეულო ლამავ, მალე თავად წარსდგებით ბანჩინ-ბოგდის უწმინდეს თვალთა წინაშე და პირადად განიხილავთ მონღოლ მორწმუნეთა ბედთან დაკავშირებულ საკითხებს.

— მადლობას ვუძღვნი ბურხანს თქვენი სიტყვისათვის, — წარმოთქვა აღელვებულმა დამდინ-ოჩირმა. ის ხომ ამის გაფიქრებასაც ვერ გაბედავდა.

და მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ინოკუზიმ თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა დამდინ-ოჩირს და ბანჩინ-ბოგდთან მიღებაზე მიწვევა გადასცა. დამდინ-ოჩირმა ჩაიცვა ოქროსაგან ნაქსოვი ტანსაცმელი, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებით საზეიმო შემთხვევებში იცვამდა, უბეში ჩაიდო გრძელი ცისფერი ხადაგი და მასში გახვეული ფასდაუდებელი საჩუქარი. მდიდრული ლიმუზინით მიიყვანეს სადაზვერვო სამმართველოს შენობასთან, სადაც თავის კაბინეტში პატონი ინოკუზი ელოდებოდა.

— კეთილშობილო ლამავ, ჩვენს ცხოვრებაში დღეს უბედნიერესი დღეა. და არა მარტო ჩვენს ცხოვრებაში, არამედ ბურხანის ყველა მორჩილის ცხოვრებაში. წმინდა ბანჩინ-ბოგდმა ინება ჩვენი მიღება და ამისათვის ძვირფასი დრო გამოგვიყო. განა ეს არ არის უაღრესი პატივისცემის ნიშანი, რომელსაც წმიდა ბოგდი ხალხასელი ლამებისადმი იჩენს? მაგრამ ვიდრე დიდი წმიდანის ნათელ თვალთა წინაშე წარდგებოდეთ, ყურად იღეთ ჩემი რჩევა. ვიცი, ხელცარიელი არ ესტუმრებით, მაგრამ კარგად იფიქრეთ საჩუქარზე, რომელიც რელიგიის მამას უნდა მიართვათ. იგი მისი სიწმინდის ღირსი უნდა იყოს.

— ბატონო, ნება მიბოძეთ, ძმა გიწოდოთ და, ძალიან გთხოვთ, თქვენც ასევე ჩამთვალოთ უფროს ძმად, რომელიც მზადაა თქვენი ყოველი სურვილის შესასრულებლად. თქვენი რჩევა მართებულია და დაუყოვნებლივ ვისარგებლებ კიდეც. სიკვდილამდე არ დავივიწყებ თქვენს სიკეთეს, დღე და ღამე ლოცვებით შევავედრებ ბურხანს თქვენს ჯანმრთელობას, სიმდიდრესა და ყოველგვარ კეთილდღეობას. თქვენ მომანიჭეთ უბედნიერესი შესაძლებლობა თაყვანი ვცე რელიგიის ცოცხალ მამას. ღმერთო ჩემო, აბა როგორ შეიძლება ხელცარიელი სათხოვნელად ვეახლო?! მეათე თაობაც კი ვერ

მოინანიებს ამ მძიმე ცოდვას. ფერხთით დაეცემა ამ ციხეფერ ხადაგს — ჩემი სულის სიწმინდის სიმბოლოსა და სუფთა ოქროსგან ჩამოსხმულ აი ამ ემბუს, შემდეგ კი, თუ მისი ღვთიური დალოცვის ღირსი გავხდები, მის ნაკვალევს, ანდა მისი ნაკვალევის აჩრდილს მაინც ვეამბორები.—დიდი ოქროს ზოდის დანახვაზე ინოკუზის თვალები აუკრელდა და სიხარულისაგან გული აუძგერდა.

— მართალია, ბანჩინ-ბოგდი არ საჭიროებს საჩუქრებს, მას აურაცხელი სიმდიდრე აბადია, მაგრამ ცოცხალი ბურხანის ლოცვა-კურთხევისთვის ასეთ საჩუქარსაც კი არ დაიშურებს კაცი. — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მეტისმეტად აღელვებულმა იაპონელმა.

„მაინც რა ტიტულით დავაჯილდოვოთ ეს გულუხვი დიდებული? აბა, კეთილი, როგორც გადავწყვიტეთ, ისე იყოს. ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება. საერთოდ კი, ჩვენთვის ზედგამოჭრილია: ფანატიკურად რელიგიური, გულუხვი და დამყოლია, ჩამორჩენილი შეხედულებები აქვს და ამავე დროს ძალაუფლებაც სწყურია — ეს კი ყველაფერია, რაც კარგ მარიონეტს ესაჭიროება. ბურიატი დონდოგი? არა, ის არ გამოგვადგება", — ფიქრობდა ინოკუზი იმ დროს, როდესაც დამდინ-ოჩირი, აქ, ხარბინში, წინასწარ ტკბებოდა ცოცხალ ბოგდთან დიდი ხნის ნანატრი შეხვედრის მოლოდინში.

პოლოს და ბოლოს დადგა საზეიმო საათი. ინოკუზიმ ბრძანა მანქანა მოერთმიათ. თვითონ გამოაღო წინა კარი და დამდინ-ოჩირი რბილ სავარძელში ჩასვა.

— ბანჩინ-ბოგდის სასახლეში, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიაძახა იაპონელმა მძღოლს და მანქანა სწრაფად დაიძრა.

*

ბანჩინ-ბოგდმა მოხღოლი ლამა ღირსეულად მიიღო და ყოველგვარი პატივი სცა. ცოცხალი წმინდანი მედიდურად იჯდა მოყვითალო-მეწამულისფერ მიჩიგდანის გუმბათქვეშ მდგარ მაღალ ტახტზე.

— ხალხა-მონღოლეთიდან მოსულო კეთილო ლამაო! ალბათ, მძიმე განსაცდელი გადაიტანეთ და გადაიღალეთ ამ შორეულ გზაზე? — წამოიწყო ენაწყლიანი საუბარი ბანჩინ-ბოგდმა.

ცოცხალი ბურხანის ხმის გაგონებაზე დამდინ-ოჩირი მუხლებზე დაეცა ბოგდის წინ და ლოყით შეეხო ტახტის კუთხეს. ბანჩინ-ბოგდმა მას ხელი თავზე დაადო და დალოცა.

— ყოველისშემძლე მამაო! თქვენი ლოცვა-კურთხევის წყალობით მო[illegible]ვიე აქამდე ცოცხალმა და ჯანმრთელმა. თქვენი წმინდა მარ[illegible]ვენით მიღებული ლოცვა-კურთხევის წყალობით თავს ყოველგვ[illegible]ი მიწიერი ცოდვებისაგან განწმენდილად ვგრძნობ. მხოლოდ ახლა ვიგრძენი ნამდვილი ბედნიერება ბურხანის ნებით გარდასახული და ქვეყანაზე ხელახლად მოვლენილი ადამიანისა, — წარმოთქვა მან.

ინოკუზი მდუმარედ იდგა მოშორებით, ყოველ სიტყვას ისმენდა და ფიქრობდა: „უცნაურადაა მოწყობილი ეს რელიგია. ნამდვილად სწამთ, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი კვლავ ახალშობილად და ცხოველად გარდაიქმნება!“

დამდინ-ოჩირის საუბარი ბოგდთან დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. ბანჩინ-ბოგდი ტახტიდან წამოდგა, საჭმელ-სასმელით გაწყობილ პატარა მრგვალ მაგიდამდე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და, ლამების ადათ-წესების მიხედვით, მონღოლ ლამას საჭმელი და სასმელი მიაწოდა. ვიდრე დამდინ-ოჩირი ჭამდა და თასიდან სასმელს აყოლებდა, ბანჩინ-ბოგდი ყოველნაირად აქებდა ბატონ ინოკუზის, ცოტაც და, ალბათ, იტყოდა, ერთადერთი კაცია, ვისაც მონღოლეთში ლამების ბუდისტური რელიგიის გადარჩენა და იქ ძველი წესწყობილების აღდგენა შეუძლიაო. ბანჩინ-ერდენემ წაიკითხა დამდინ-ოჩირის მიერ ჩამოტანილი მონღოლი ლამების გამოგზავნილი წერილი, რომელშიც ისინი ახალი ხელისუფლების დამხობასა და ტახტზე ბოგდის აყვანას სთხოვდნენ, ჯადო სიტყვები წაიჩურჩულა და დამდინ-ოჩირს აუწყა, ბურხანის მონღოლ მორჩილთა წმინდა საქმე წარმატებით დაგვირგვინდება, რადგან ბურხანმა ასე ინებაო.

— განიქებთ ხალხასიის ბოგდ-ხანის ტიტულს და კანონიკის წოდებას. გიბრძანებთ ბარგუტის კუმირნში დამკვიდრებას და გავალებთ ხალხა-მონღოლეთის ლამების წინამძღოლობას. სახალხო ხელისუფლების არსებობის ვადა თქვენს კეთილ საქმეებზე იქნება დამოკიდებული, — წარმოთქვა ბანჩინ-ბოგდმა — ყვითელი რელიგიის[1] მამამ.

როცა გაიგო, ცოცხალი ბურხანის უმაღლესი ბრძანებით, რა დიდი მისია ხვდა წილად, აუწერელი სიხარულისაგან დამდინ-ოჩირმა წამით გონება დაკარგა. გონს მოეგო თუ არა, შეჰფიცა, რომ შეასრულებდა ბანჩინ-ბოგდის ბრძანებას და ყოველ ღონეს იხმარდა,

---

[1] ყვითელი რელიგია — იგივე ლამაიზმი.

რათა უმოკლეს დროში დაეძხოთ სახალხო ხელისუფლება. ამის შემდეგ ხელისგულები ერთმანეთს მიადო და წმინდა ბანჩინის წინ გულმხურვალედ იწყო ლოცვა.

• • •

დამდინ-ოჩირს ჯერ კიდევ დაბადებამდე უწინასწარმეტყველეს, რომ ლამა იქნებოდა და მთელ თავის ცხოვრებას მონასტერში ეკატარებდა. იქ ტიბეტურ ენაზე სწავლობდა ბუდის კანონებს. ლოცვებსა და ჯადო სიტყვებს, მკაცრად იცავდა წესჩვეულებებს, დიდ პატივს სცემდა ბუდის რელიგიის მრავალრიცხოვან ღმერთებს, ჭეშმარიტად სწამდა ხუბილგან-გარდასახულები, წმინდა-ბოგდები, ღმერთი-ბურხანები და სიკვდილის შემდეგ კვლავ ადამიანად გარდასახვაზე ოცნებობდა.

ფანატიზმამდე ღვთისმოშიშ დამდინ-ოჩირს აზრადაც არ მოსვლია, რომ ბატონმა ინოკუზიმ მშვენივრად გაითამაშა სპექტაკლი და ტახტზე ცრუ „ცოცხალი ბოგდი" დასვა, რომ მთელი სპექტაკლი თავიდან ბოლომდე ჩაიფიქრა და დაამუშავა ერთადერთი მიზნით: ხელში ჩაეგდო ზღაპრული ღირებულების მქონე მეორე ოქროს ზოდი, ხოლო ცოცხალი ბურხანის როლის გასათამაშებლად ფულით იყიდა მონღოლეთიდან სახალხო ხელისუფლებას გამოქცეული, ხარბინში დასახლებული და იაპონელების მიერ დაქირავებული ვიგინდარა ლამა. სპექტაკლი ძალზე კარგად გათამაშდა უმაღლესი ტიტულის ბოძებით გახარებული და ფრთაშესხმული დამდინ-ოჩირი არც კი დაფიქრებულა იმის თაობაზე, თუ როგორ და რატომ აღმოჩნდა წმინდანი ხარბინში და არა წმიდათაწმიდა ადგილას — ლხასში.

II

გვიან საღამოს, როდესაც ალაყოჩებში უკანასკნელი სინათლეები ჩაქრა, ჩუმად გაიჭრიალა ფიცრულის ხის კარმა და ბალდანი ეზოში გავიდა. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მონასტრის სილუეტი სიბნელეში გაუჩინარდა. ბალდანი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას და ძლივს მიაღწია ბუიანტის

ხაშანამდე. დაბალ ბორცვზე ავიდა და შემოესმა სუსტი სტვენა. რომელიც რამდენიმე წამის შემდეგ გამეორდა. ბალდანმა ასეთივე, ოდნავ გასაგონი სტვენით უპასუხა და გომპილი მაშინვე მასთან გაჩნდა.

— ეს-ესაა ბუიანტის ფანჯარაში სინათლე ენთო. ნამდვილად ბარგი-ბარხანას კრავს, არამზადა.

— არა უშავს, ყველაფერი რიგზე იქნება. დროზე მოვედით.

— რა გვაქვს შესაწუხებელი? დილამდე ადგილიდან არ დაიძვრება. შესაძლოა, სულაც დღისით წავიდეს. კარგა ხანია ყველა მიეჩვია, რომ ეს ჩინელი სომონებში მიდი-მოდის და ამიტომ არც დამალავს თავისი გამგზავრების ამბავს.

— არა, გომპილ, ცდები, მეგობარო. — სომონებში ხეტიალი ერთია და ძვირფასი ტვირთით კორდონზე გადასვლა, სულ სხვა საქმეა. ამჯერად ჩუმად წავა. ახლავე უნდა ავიყვანოთ.

— მაშინ სჯობს სარდაფიდან შევიპაროთ, მე ვიცი სად არის საძრომი. წყალს ვეზიდებოდი და მაშინ შევნიშნე. აქვეა გვერდით, წავიდეთ.

ფრთხილად მიდიოდნენ, ცდილობდნენ ქვისთვის ფეხი არ წამოეკრათ და ზედმეტად არ ეხმაურათ. სულ ახლოს მივიდნენ ხაშანთან მეორე მხრიდან.

— მესერთან ლატნების გროვას ხედავთ? აქაა.

ბალდანმა ნაგანი დამცველიდან მოხსნა და ტყვიები გადათვალა.

— გომპილ, ხაშანის კართან დადექი. თუ ერთი საათის შემდეგ არ დავბრუნდი, კარგად იცი, რაც უნდა გააკეთო, ხოლო თუ ყველაფერი რიგზე იქნა, სინათლით მოგცემ ნიშანს. იცოდე, გომპილ, ამ არამზადის გაშვება არ შეიძლება, ძალზე საშიში მტერია.

— მოდი ერთად შევძვრეთ. ბევრჯერ ვყოფილვარ ამ სახლში და კარგად ვიცი, სად რა დევს. ორს უფრო გაგვიადვილდება ამ ქვეწარმავალთან გამკლავება, ჰა?

— არა, გომპილ, შეიძლება ხელიდან დაგვისხლტეს. შენ კი კარგად იცნობ არემარესა და სტეპს, გაიგე?

— გავიგე.

— აბა, დავიწყოთ!

უხმაუროდ აალაგეს გროვად დაყრილი მშრალი ლატნები და მის ქვეშ აღმოაჩინეს ცხენის ძველი, უხეშად გამოქნილი და გახევებული ტყავი, რომელიც ზედ მიწაზე იდო. გომპილმა ხელებით გადა-

ქექა ქვიშა და საძრომის ხის სახურავის დაჟანგულ სახელურს ჩასწვდა ხელი.

— ჩადით, აქ კიბე უნდა იყოს. თუ პირდაპირ ივლით, დაახლოებით ათი ნაბიჯის შემდეგ დაბალი კარი იქნება, კლიტე არ ადევს. ყოველი შემთხვევისათვის, აი, ეს ფარანი წაიღეთ, კარი სარდაფში გაგიყვანთ. სარდაფი ფართოა, ადამიანი თავისუფლად გაიმართება. მარცხნივ ჭერშიაც საძრომია, რომელიც დერეფანში გადის. ფრთხილად იყავით, — ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა გომპილი.

ბალდანმა ნაგანი მარჯვენა ხელში გადაიტანა და დაჟანგული სახელური თავისაკენ მოქაჩა. სახურავი ძლივს დამორჩილდა.

— ცოტა ხანს დამიჭირე. გომპილ, თორემ გაჯახუნდება. აბა, წადექი.

ბალდანი ფარნით ინათებდა და თვალებით კიბეს ეძებდა. სწრაფად ჩავიდა და მიმოიხედა. სქელი ლატნებით მოფენილი მიწისქვეშა სადგომი, ეტყობა, ოდესღაც საწყობად ან საცავად გამოიყენებოდა. წინ შავად მოჩანდა ის დაბალი კარი, გომპილმა რომ ახსენა. ყური მიუგდო. კარს იქით აშკარად ვიღაც ხვრინავდა. ბალდანმა მაგრად ჩაბღუჯა ნაგანი და კარი ერთბაშად თავისკენ მოქაჩა. ფარნის შუქზე სიბნელიდან გამოიკვეთა საბანგადაფარებულ რკინის საწოლი და ჩინელი, რომელსაც ძველი დაბამბული ჯუბით ეძინა. ბუიანტი უცებ წამოხტა და ერთი ნახტომით მოპირდაპირე კუთხეში აღმოჩნდა. მარჯვენა ხელი ჯიბეზე გაიკრა.

— ხელები! გაუფრთხილებლად გესვრი, — იყვირა ბალდანმა. — დააგდე იარაღი. ხელები მაღლა!

ბუიანტი გაფითრდა და აკანკალებული ხელები ნელ-ნელა ასწია ზევით. მხოლოდ ახლა დაინახა, რომ ბალდანი იყო და თვალთმაქცური ღრეჭით წაიდუდღუნა:

— ოჰ, ეს შენა ხარ! გასაგებია, რატომაც ჩამისაფრდი, პირდაპირ მითხარი, რა გინდა ჩემგან? გინდა ზოგი რამ მიითვისო?

— ახლავე გადმოალაგე ყველანაირი მასალა. რაც კი იაპონელებისათვის გადასაცემად გაქვს გამზადებული! სწრაფად! ჯერ ლამპა აანთე. იცოდე, არაფერი მიჰქარო!

ბუიანტმა ასანთი გაჰკრა და სარდაფის ჭერზე ჩამოკიდებულ ნავთის ლამპას რომ უკიდებდა, მთელი კორპუსით ნელა შემოტრიალდა, ერთი ნახტომით ბალდანს მიეარდა და მთელი ძალით ჩაარტყა ფეხი იმ ხელში, რომელშიც ნაგანი ეჭირა. ნაგანი გვერდზე გადავარდა,

წონასწორობადაკარგული ბალდანი კი დაეცა და მის ყელს ჩაფრენილი ჩინელიც თან წაიყოლა. ბალდანს სუნთქვა ეკროდა, უკანასკნელ ძალას იკრებდა, გაფაციცებით მიწის იატაკზე აფათურებდა ხელებს. ძალა არ შესწევდა მძიმე, დონდროხი ჩინელი რომ მოეშორებინა. პატარა რიყის ქვა მოჰყვა ხელში. გრძნობას კარგავდა, მაგრამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და თავში ჩაარტყა ჩინელს, მაშინვე იგრძნო, როგორ შესუსტდა მის ყელს შემოჭდობილი რკინის სალტე. ჩინელი მოეშვა, ბალდანი დაჯდა, კედელს მიეყრდნო და ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი. „როგორ მომივიდა ასეთი წინდაუხედაობა? შემთხვევით ქვა რომ არ მეპოვა, უეჭველად დაეიღუპებოდი. ვერც კი ვიფიქრებდი, თუ ასეთი ღონიერი იყო ეს მხეცი... ხელები კი არა, მარწუხები აქვს“... — ფიქრობდა ბალდანი. მერე ნაგანი ხელში აიღო. რამდენიმე წუთს კიდევ იჯდა, შემდეგ ბუიანტისკენ დაიხარა. სისხლი არ ჩანდა. „მაშასადამე, ცოცხალია“, — გულზე მოეშვა. ბალდანმა ლამპა გაასწორა, სინათლე მოუმატა, და მოშორებით სკამზე ისე ჩამოჯდა, რომ ნაგანისათვის ხელი არ გაუშვია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩინელი შეინძრა და წამოჯდა. ხელებზე დაყრდნობილი ზიზღით მიშტერებოდა ბალდანს. „იდიოტი, კიდევ აქვს იმის იმედი, რომ ასე იოლად ჩაიგდებს ხელში ჩემს მასალას, რომელსაც ათი წელი ისე ვაგროვებდი იაპონელებისათვის, რომ ძილი და მოსვენება არ მქონია. იაპონელი მეპატრონეები სოლიდურ თანხას მომცემენ მასში. არა, მამაძაღლო, ვერ მიიღებ, ძაღლივით მოგკლავ...“ — ამბობდა გულში ბუიანტი და თან ფიქრობდა, როგორ გასწორებოდა ბალდანს.

— მარტო არა ვარ, ბუიანტ. თუ ჩემს მოკვლას შეეცდებით ანდა მომკლავთ კიდეც. ჩემს ამხანაგს, რომელიც ზემოთ დარაჯობს, ვერსად გაექცევით. ამის გარანტიას გაძლევთ. ასე რომ, გირჩევთ თავი დაანებოთ უმედეგო ბრძოლას.

— არამზადავ, არ მსურს შენთან ლაპარაკი. თავზედო მძარცველო! თუ გსურს ცოცხალი დარჩე, ახლავე წაეთრიე აქედან. ბურხანის წინაშე გაძლევ სიტყვას, რომ ამის შესახებ არავის არაფერს მოვახსენებ.

— სისულელეს ნუ რომავ. შენისთანა ჯაშუში კი არა ვარ, ფულის გულისათვის რომ ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს. მე პატრიოტი ვარ. ჩემს ქვეყანას შენისთანა პარაზიტებისაგან ვიცავ. გირჩევ, დამნებდე. — მკაცრად უთხრა ბალდანმა.

პასუხად ზედ ყურთან ცულმა გაიზუზუნა და ბუიანტი წინ გადმოსტა. ამჯერად ბალდანმა დაასწრო ჩინელს თავდასხმა და ყბაში და ღაწვში ღონივრად სთხლიშა. ჩინელი გულიმა დაეცა და უძრავად ეგდო. ბალდანმა სწრაფად შეუკრა ხელ-ფეხი და გაჩხრიკა. მერე ჩინელის სახლში კიბით ავიდა და გომპილს ფანჯრიდან ფარნით ბრისცა ნიშანი.

— უკვე ძალიან ვწუხდი. რაღაც დიდხანს...

— ეს ჩინელი ღონიერი მხეცია. საშინელი ძალის ჰატრონია. ხელები კი არა, მარწუხები აქვს. კინაღამ დამახრჩო.

— იცოდეთ, მალე გათენდება. ზეფხულში მოკლე ღამე იცის. როგორ მოვიქცეთ?

— მომყევით.

— ის ტიპი სადღაა?

— სად უნდა იყოს? აქაა.

ბალდანი და გომპილი სარდაფში ჩავიდნენ.

— დახეთ, როგორი სარდაფია! მართლაც საცხოვრებელი ოთახია! გამოცდილი მგელია. ხედავ, სად მოუწყვია ბუნაგი, ყველაფერი აქ ჩამოუზიდავს. ეტყობა, საშიშროების დროს აქ აფარებდა თავს. — გაოცებული იყო გომპალი. — ჩვენი ხორცით გასუქდა, ჯიბეები ფულით გაიტენა, უ-უ-უ, უწმინდურო, რამდენი წელი ქელავდი ჩვენს მიწას...

ბუიანტი კუთხეში მიწის იატაკზე ჯახირობდა და თავის გამოხსნას ცდილობდა.

— ყური მიგდეთ, გამათავისუფლეთ, გამიშვით, რასაც ისურვებთ, ყველაფერს გავაკეთებ. ოქროში ჩაგსვამთ! — ეეედრებოდა ჩინელი, რაკი ბადლანის ზურგს უკან წყლის მზიდავი დაინახა და მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ ბალდანი ბალდანი არ იყო.

— გეყოფა, სისულელე, — შეაწყვეტინა ბალდანმა, — გადმოალაგე ყველა ჯაშუშური ცნობა, რაც კი შეგიგროვებია. აბა, ჩქარა!

— ჯერ თოკები შემხსენით.

ბუიანტმა თაროზე დადო გამეღავნებული ფოტოფირებიანი ყუთი, რამდენიმე ფოტოაპარატი. ამოიღო საკუთარი ხელით შედგენილი იმ მიდამოს ზუსტი რუკა ობიექტების, ჭების, წყაროების, გზებისა და საძოვრების მინიშნებით.

— ყური მიგდეთ, მაპატიეთ. უნდა გამიგოთ, რომ მონღოლეთისათვის ცუდი არ მინდა. ჯილდოს შემპირდნენ, მინდოდა სიბერემდე

უზრუნველად მეცხოვრა და ლუკმა-პურის შოენაზე არ მეფიქრა. თუ გინდათ, საკუთარი ხელით გავანადგურებ ყოველივეს, — სცადა თავის მოქონვა ჩინელმა.

— გვითხარით, როგორ და სად აპირებდით საზღვარზე გადასვლას? ტყუილის თქმა არ გაბედოთ!

— სიმართლეს გეტყვით. ხამბა-ლამა სოდოვის ბრძანებით საზღვარზე უნდა გადავეყვანე მდიდარ ლუვსანის უფროს ცოლისძმას ლამა ლოდონს. ლოდონმა მას ბურხანის წინაშე შეპფიცა. ხვალ, შუაღამისას ლოდონი ამ ხაშანში უნდა მოვიდეს შეკაზმული ცხენით და ავქანდების წკარუნით მომცეს დათქმული ნიშანი.

ბალდანმა კიდევ ერთხელ დაათვალიერა ჩინელის მიერ თაროზე დაწყობილი ნივთები.

— სულ ესაა? — მკაცრად ჰკითხა.

— არა, — არა ზოგი რამ დამავიწყდა. ახლავე მოგიტანთ, — და ბუიანტი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა კუთხისაკენ.

— შეჩერდი! ადგილიდან არ დაიძრა! თქვენ დაპატიმრებული ხართ. წინააღმდეგობის გაწევას არ გირჩევთ. არადა, გესვრით.

ბალდანს ჩინელი მიზანში ჰყავდა აღოღებული. — გომპილ, ზურგს უკან შეუკარით ხელები და კარგად გაჩხრიკეთ ის კუთხე.

გომპილმა სწრაფად შეასრულა ბალდანის ბრძანება, ორი ფიცარი ააძრო და ბრეზენტის მძიმე ტომარა ამოათრია. ფრთხილად გახსნა და იქიდან ამოიღო რამდენიმე ხელყუმბარა, ორი ნაგანი, ტყვიები, ფირების გასამღლავნებელი, სურათების საბეჭდი მოწყობილობა და ტყავის გარეკანიანი სქელი რვეული.

გაჩხრიკეს სახლიც. ლეიბში, რომელზეც ჩინელს ეძინა, ბლომად იპოვეს იაპონური და ჩინური ფული. ამის მეტი ვერაფერი ნახეს.

ბალდანმა ფოტოფირები ლამპის შუქზე გასინჯა. თითქმის მთელი აღმოსავლეთი რაიონი იყო გადაღებული და ყოველ ნაწილს ნომერი და ინდექსი ჰქონდა დასმული. განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩეოდა ქვეყნის სიღრმეში მიმავალი გზები. ბალდანმა რვეული გადაფურცლა. როგორც ჩანს, ჯაშუშის დღიური იყო. მასში გაკრული ხელით ჩინურად ჩაეწერა ხამბა-ლამასა და ხუბილგან დოვჩინის დავალებები, მათი შესრულების ვადები და მათთან გამართული საუბრების მოკლე შინაარსები. ერთ-ერთ ასეთ ჩანაწერში აღნიშნული იყო: „ხუბ. დ. დადგა დრო იაპ. შეიარ. ძალების შემოსვლისა. ჩვენ უკვე შეგვ. მთელი ძალებითა და საშუალებებით დავეხმაროთ იაპ. ჯარებს.

სურსათი, ჭაპან-ტრანსპორტი მზადყოფნაშია. იაპ. ჯარების შემოყვანა კერეულენის მიმარ. — დედაქალაქისაკენ...“

ბალდანმა დაწერილი მონღოლურ ენაზე გადათარგმნა.

— აჰა! — წამოიძახა გომპილმა. — ნახე, რა მოინდომეს! ნეტავ ვინ დაუმზადა იაპონელებს სურსათი და ცხენები? აი, ეს არ გიფიქრავთ? — მუშტი ურტყა. — რამდენი არატის სიცოცხლე შეეწირა სახალხო ხელისუფლებას! რა გამყიდველები არიან ეს ჩინელები!

— ნუ ცხარობთ, გომპილ. მათ ხალხი გაასამართლებს. თქვენ კი რას იტყვით, ბატონო იაპონიის დამქაშო? ნუთუ იმედოვნებდით, რომ ასე მალე დაამხობდით სახალხო-რევოლუციურ ხელისუფლებას.

— პირდაპირ შეტევა, რასაკვირველია, ძნელი იქნება. თანდათან კი შეიძლება სცადოს კაცმა. რა აბადიათ არატებს? მათრახის მეტი არაფერი. და განა მათრახი გაუმკლავდება ტყვიამფრქვევებს? საჭაილოა და მეტი არაფერი. წმინდა ლუზანის მონასტრის ლაბები სუბურღანს აგებენ. ამ დღეებში სახალხოდ გამოაცხადებენ. მთელი ოლქი მორწმუნეებითაა სავსე. და ყველაფერს — რაც კი რამ ძვირფასი გააჩნიათ — ოქროს, ფულს, ცხენების აღკაზმულობას, ტანსაცმელსა და ზოგიერთი ერთადერთ პატარა ალაყოჩსაც კი სუბურღანის ასაგებად გაიღებენ, რათა სამი თაობა ღვთისაგან დალოცვილი ჰყავდეთ, ეს ხომ თეითონაც კარგად მოგეხსენებათ. აბა რაღა დარჩებათ მათ? ჰა-ჰა-ჰა. რიგიანი დანაც კი არ დარჩებათ. ასეა ეს ამბავი.

— გომპილ, საღამომდე აქ დარჩები. დღისით ამ ტიპს ვერასგზით ვერ მივიყვანთ ცენტრში შეუმჩნეველად. მოგაკითხავ და საქმელს მოგიტან.

— კარგი. წყლის საქმე როგორღა იქნება? ჩემს მაგივრად ვინ მოიტანს?

— ამ საქმეს მე მოვაგვარებ.

ბალდანმა ხაშანის კარი დაკეტა, შეამოწმა, კარგად თუ იყო საძრომი დაფარული ლატნებით, სახლში გაიქცა, სწრაფად მოიწესრიგა თავი, მაღალსაყელოიანი დელი ჩაიცვა, რომელმაც ჩინელის მიერ დალილავებული ადგილები დაუფარა და ხამბასთან წავიდა. „ამ

დროს ლოცულობს. თან დილის ჩაის სვამს და კარგ გუნებაზეა ხოლ-მე". — ფიქრობდა ის.

მოძღვრის ალაყოჩის კარის ღიობში თავი შეაყო, ყოველივე სიკეთე უსურვა და უთხრა, წყლის მზიდავი სხვაგან გავგზავნე და-ვალებით და დღეს წყალს სხვა მოიტანსო. ხამბამ თავი დაუქნია და ლოცვების ჩურჩული და კრიალოსნის მარცვლა განაგრძო.

7

წმინდა ლუზანის მონასტრიდან რამდენიმე კილომეტრზე. მეჩხერ-ტყით დაფარულ მთის ფერდობებს შორის მდებარე ხევში, ორი ცხენოსანი წყაროსთან ცხენებს წყალს ასმევდა. ერთ-ერთში ძნელი არ იყო ბალდანის ცნობა. მას ეცვა იაფფასიანი ქსოვილის დალემ-ბის ფართო, გრძელკალთიანი დელი, გრძელი სახელოებითა და ფარ-თო ყოშით, ხელის მტევანს რომ უფარავდა. ასეთი დელი, ჩვეულებ-რივ, ხუდონელ მესაქონლეებს აცვიათ ხოლმე. მეორე გახლდათ ჩაფ-სკვნილი, ჯანღონიანი ყმაწვილი, სახელად ,ვანჩინდორჟი.

— გავიგე თუ არა, რომ გეპირდებოდით, უნაგირს მოვახტი, ცხე-ნი დავაოთხე და სულმოუთქმელად მოვედი წყაროსთან. ვიცი, ტყუ-ილუბრალოდ არ დამიძახებდით.

— მადლობელი ვარ. კარგია, რომ დროზე გაცნობეს. მხოლოდ ისაა საწყენი, მარქაფა ცხენის წამოყვანა რომ ვერ მოიფიქრეთ. მაგ-რამ ამის გამოსწორება შეიძლება, ცხენს ვიშოვით. საქმე ისაა, რო-გორ წავიყვანოთ ჩინელი შეუმჩნეველად.

— მხოლოდ ღამით. დღისით-მზისით შეუმჩნეველად მიყვანა შე-უძლებელია.

— რა გაეწყობა, ღამით იყოს! მარტო შეძლებთ? ის ჩინელი ვე-რაგი მხეცია. კარგი იქნებოდა, გომპილი გამოგყოლოდათ. მაგრამ შეიძლება ჩვენ ჩავვარდეთ. ხამბა საკმაოდ ცბიერია და არც თუ სუ-ლელი, შეიძლება შენიშნოს. და მაინც, სჯობს, ცოტაზე მაინც გაგა-ცილოთ გომპილმა. ახლა კი მშვიდობით.

ბალდანი კვლავ მონასტრისაკენ მიიჩქაროდა. რადაც უნდა დაჯ-დომოდა, საჩქაროდ უნდა ეშოვა ცხენი და რაც შეიძლება სწრა-ფად გაეგზავნა ბუიანტი ცენტრში. თანაც დღევანდელი დღე ლო-რედ ის მეათე დღე იყო, როდესაც ბალდანი იაპონიის სადაზვერვო

სამმართველოს უნდა დაკავშირებოდა და თავის საქმიანობაზე მოახსენებინა. ბალდანმა გადაწყვიტა კიდევ ერთი სული გაეკეთებინა მეიდრით: იაპონელებისთვის ეცნობებინა, რომ იმათმა ყოფილმა ერთგულმა ქვეშევრდომმა ბუიანტმა ყველაფერს მიაფურხა და საბოლოოდ მიემხრო სახალხო-რევოლუციურ არატებსა და წითელ რუსებს. თანაც იაპონელებს შეეკითხებოდა, როგორ მოქცეოდა მას შემდგომში. ამგვარად გადაწყვიტა მან ბუიანტის თამაშიდან გამოყვანა.

მონასტერთან ცხენს დეზი ჰკრა და თითქმის შეფრინდა ჭიშკარში. ბალდანმა უცბად შეაყენა ცხენი მოძღვრის ალაყოჩთან, ხამბა-ლამასთან შეეარდა, გაოფლილი სახე დელით მოიწმინდა და ხმაჩახრინწულმა სწრაფად უთხრა:

— პატივცემულო მამაო ჩემო! ეს-ესაა ბატონ ინოკუზის დაეუკავშირდი. დამავალა პირადად გადავიყვანო ბუიანტი საზღვაოზე. უბრძანეთ, ლოდონი ჩემთან გამოგზავნონ და ბუიანტს კარგი ცხენი მოუყვანონ. დრო ძვირად ფასობს. იჩქარეთ, ღირსეულო მამაო.

— კეთილი, შვილო ჩემო. ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც საჭიროა. განა ბატონ ინოკუზის ჩვენთვის გადმოსაცემად არაფერი უთქვამს? ჩვენს შესახებ თუ იკითხა რაიმე? რა აცნობეთ ჩვენზე?

— ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ნუ ღელავთ, მამაო, მაღალი შეფასება მივეცი თქვენს მუშაობას და ბატონ ინოკუზისაც არ დაუფარავს თავისი კმაყოფილება.

— კეთილი, კეთილი. როგორაა სამხედრო დახმარებისა და იარაღის საქმე? რას ამბობენ ისინი?

— მოძღვარო, სულგრძელად მომიტევეთ, მაგრამ ახლა საუბრის დრო არ არის. ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ შემდეგ. თქვენს შესახებ იციან და გაფასებენ.

ხამბა-ლამა დიდად ნასიამოვნები გახლდათ ბალდანის პასუხით.

— კეთილი,—უთხრა მან, — ბურხანმა შეისმინა ჩვენი ლოცვები. ლოდონს ახლავე გამოგიგზავნით, ცხენი კი საღამოსათვის იქნება. წადით, დაისვენეთ, საზღვარი არც ისე ახლოა. ორი დღის სავალია. მგზავრობის წინ კარგად გამოიძინეთ. სურსათს მოგიმზადებენ.

— მადლობელი ვარ, მამაო ჩემო.

ბალდანი თავის ფიცრულში დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, ორიოდე საათის შემდეგ კარს იქით ვიღაცის ფეხის ხმა და განზრახ ხველა შემოესმა. ბალდანმა ნაგანი ბალიშის ქვეშ ამოიდო, გულალმა დაწ-

ვა და თვალები დახუჭა. ფეხის ხმა ისევ გამეორდა, ჭრიალა კარი ოდხავ გაიღო და ხანშიშესულმა ლამამ ფრთხილად, შიშნეულად გადმოაბიჯა ოთახის ზღურბლს. მან ისევ ჩაახველა მუჭში და მძინარე ბალდანს ჩააშტერდა.

ბალდანმა ოდსავ ასწია ქუთუთოები, თვალები მოიფშვნიტა, ლოგინზე წამოჯდა, შიშველი ფეხები დაბლა იაბოუშვა. „ეს ლოდონია. ყველა ნიშნით ემთხვევა: წითელი, თითქოსდა აგურით გასვრილი სახე, ბოროტი, ღრმად ჩაცვივნული თვალები, ძალზე ჩაშუალეტილი ცხვირი. ლოდონია", — მიხვდა ის. ბალდანის მისალმების პასუხად ლოდონმა მეტისმეტად თავდაშერილად დაუკრა თავი.

— ჯანმრთელობას გისურვებთ. ხამბა-ლაშამ გამომგზავნა თქვენთან. გავბედავ და შეგეკითხებით, რას ინებებთ?

— თქვენ მდიდარი ლუვსანის ცოლისძმა ხართ? გულწრფელად მიხარია თქვენი ნახვა და თქვენთან საუბარი. — ბალდანმა გაუღიმა და ორი მწკრივი თეთრი კბილები გაიელვა.

— დიახ, დიახ, ლოდონი ვარ.

— აქეთ მობრძანდით, დაბრძანდით. ჩაით გაგიმასპინძლდებით. საშინლად ცხელა დღეს. რა არის ახალი ხუდონში?

— ყოველი მხრიდან გვავიწროებენ. ვინმე სედის შესახებ გსმენიათ რამე? ერთი აქაური ბეგის თავმჯდომარეა. ის აქეზებს ხალხს ჩვენს წინააღმდეგ. რელიგიისა და ბურხანის წინააღმდეგ ქადაგებს. აქაურ ლამებს კი ჩვენსავით ბანჩინ-ბოგდის იმედი აქვთ და მოუთმენლად ელიან, როდის მოელენ და გაგვაიავისუფლებენ ამომავალი მზის ქვეყნის ჯარები.

— მხოლოდ ბურხანის იმედი არ უნდა გვქონდეს. მარტოოდენ ჭვრეტა არასაიმედო თანაშემწეა სახელმწიფო საქმეებში. — უკმაყოფილო სახით შენიშნა ბალდანმა.

ლოდონი მიხვდა, რომ ის არ თქვა, რისი თქმაც საჭირო იყო და ამომავალი მზის ქვეყნის მოციქული რომ არ გაერისხებინა, თავისი შეცდომის გასწორება იჩქარა:

— ჩვენ განა მარტო ვლოცულობთ, ვმოქმედებთ კიდეც და ჩვენს საქმიანობაში ლოცვები გვეხმარება. მაგალითად, როდესაც თავმჯდომარე სედი გაბოდის და სახალხო ხელისუფლებას იცავს, ჩვენ არატებს თვალებს ვუხელთ მის ზუსტ ადგილებზე და ვცდილობთ საქმე ჩვენს სასარგებლოდ შემოვაბრუნოთ. ბურხანი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის. სედისთანა თავმჯდომარეს ბურხანი ხანგრძლივ

სიცოცხლეს როდი უბოძებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ზუსტად ასეა. ხოლო კიდევ რამდენი ხნის სიცოცხლე დარჩა ჩვენს საწუთროში თავმჯდომარე სედს, ყველაზე კარგად ჩვენმა სიძემ, ლუვსანმა იცის. ბურხანი დიდ ცოდვად არ. ჩათვლის, თუ სედი ცოტა ადრე გადავა ნირვანაში. უბრძნესი ხამბა-ლამასა და ყოვლისშემძლე ხუბილგანის მფარველობის ქვეშ ჩვენ...

— ამის თაობაზე კარგად ვარ გათვითცნობიერებული თვით მოძღვრის მიერ! — შეაწყვეტინა ლოდონს ბალდანმა. — ძვირფასო ლოდონ, ახლა არა მაქვს დრო საგულდაგულოდ გესაუბროთ. მოდი იმ საქმეს მივუბრუნდეთ, რისთვისაც ხამბა-ლამას ვთხოვე ჩემთან გამოეგზავნეთ

— თქვენს ყოველგვარ დავალებას შევასრულებ, — სიტყვა აიტაცა ლოდონმა. — ჩემი იმედი გქონდეთ. საკურთხევლის წინ დავიფიცე, რომ ვიბრძოლებ ახალი სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ ფიციდან ოდნავადაც არ გადავუხვევ. სიკვდილამდე მისი შეურიგებელი მტერი დავრჩები. თავიდან ხამბას უნდოდა იმ გონებაუმწიფარი კუდა დამირან-ტაიჯისათვის დაევალებინა ბუიანტის საზღვარზე გადაყვანა, მაგრამ მოძღვარს ვთხოვე, ეს მნიშვნელოვანი საქმე მე დამავალეთ-მეთქი.

— ყოჩაღ, ლოდონ, თქვენ შორს წახვალთ.

— ვინც ჩვენს საწუთროში გარდაისახა და ადამიანი გახდა, თავი კეთილშობილური ზრახვების განხორციელებას უნდა შესწიროს, თუ მომავალში გარდასახვისას ჯოჯოხეთში მოხვედრა არ სურს.

— საესებით გეთანხმებით. — ამ არაკაცის ენაწყლიანობას ბალდანი თანდათან მდგომარეობიდან გამოჰყავდა. — ამჯერად გთხოვთ, სახლიდან ნურსად გახვალთ. სხვა მნიშვნელოვან დავალებას მიიღებთ. პირველი: შეეცადეთ წყლის მზიდავი გომპილი გადმოიბიროთ. ყველა საშუალება იხმარეთ, არაფერს მოერიდოთ. მარჯვე კაცია და დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. ბევრ აილს[1] უზიდავს წყალს, ყველა იცნობს, მისი სჯერათ, მის აზრს ანგარიშს უწევენ. გაიგეთ? ბუიანტის საზღვარზე უვნებლად მიყვანა კი ბატონმა ინოკუზიმ პირადად მე დამავალა. მერე კი სახდო კაცი პირდაპირ ხარბინში წაიყვანს. ლოდონ, თქვენსა და ხამბა-ლამას გარდა ეს არავინ იცის და არც უნდა იცოდეს, გაიგეთ? ველზე მცხოვრებ ხალხს მძაფრი ყნოსვა

---

[1] აილი — ოჯახი, ალაყოჩი; სახლი, რომელშიც ოჯახი ცხოვრობს.

აქვს. ისინი ცხრა მთას იქით ყნოსავენ, საიდან მოდის შეძწვარი ხორცის სუნი. ახლა მოძღვართან წადით, ნაშუადღევს კი ცხენი და სურსათ-სანოვაგე მოიტანეთ. წადით... ჰო, სედს უფრო ფხიზლად ადევნეთ თვალი. გასაგებია?

— ყველაფერი შესრულებული იქნება. — წასვლისას ლოდონმა ორჯერ მდაბლად დაუკრა თავი და ყოველი თავის დაკვრისას რამდენიმე წუთით თავდახრილი იდგა. ლამების ხაზგასმული, მეტისმეტი თავდაჭერილობა მუდამ აღიზიანებდა ბალდანს. და ახლა, ლოდონის გასელის შემდეგ, როგორც იქნა, უდიდესი შეებით ამოისუნთქა. ძეორე მხრივ, გარე სამყაროდან მონღოლი ლამების მოწყვეტა, მათი ჩამორჩენილობა და უმეცრება, როგორც არასდროს, ისე ხელსაყრელი იყო ახლა ბალდანისათვის. ბალდანმა მაგრად დაკეტა კარი, ფანჯრის ფარდა ჩამოუშვა, ყუთიდან გადამცემი ამოიღო, მაგიდაზე დადგა და მტვერი გადაწმინდა. უცებ საშინელი მღველვარება დაეუფლა: ადრე არასდროს გადაუცია დაშიფრული დეპეშები საზღვარგარეთ. „უეცრად რომ ჩამეშალოს? ვაითუ იაპონელები მიხვდნენ, რომ ეს ის ბალდანი არაა? არა, უსათუოდ უნდა მივიყვანო საქმე ბოლომდე. სამშობლოსათვის". და ბალდანმა დაიწყო კაკუნი... რაც გასწრახული ჰქონდა, ყველაფრის გადაცემა შეძლო. შეკითხვაზე, როგორ მოქცეოდა „ფიცის გამტეხ" ბუიანტს, სასწრაფოდ უპასუხეს: „დაუყოვნებლივ მოაშორეთ". ბალდანმა მიიღო ახალი დავალება: დათქმულ დროს, კვირაში ერთხელ მოეხსენებინა მონღოლეთის საშინაო მდგომარეობაზე, იმ სიძნელეებზე. რომლებსაც ახალი ხელისუფლება აწყდება, შეთქმულთა საქმიანობაზე. გადაცემის დამთავრების შემდეგ ბალდანი ზეიმობდა: „წამოეგნენ, ქვეწარმავლები! ახლა მთელი ხლართი უკანასკნელ კვანძამდე გაიხსნება".

8

ყოფილი კომერსანტის, შუშმას ფართო ხაშანში ერთმ ნ[illegible]ის გვერდით გაწყვეტილებულ თიხატკეპნილ პატარა შენობებს შორის, ერთ-ერთ დაბალ, პატარა სახლში ათიოდე ჩინელი და მონღოლი მაგიდას შემოსხდომოდა. შუშმას მზარეული და მისი მსახური — ორი ხანში შესული ჩინელი — წამდაუწუმ გამოჩნდებოდნენ ხოლმე საუზმითა და ღვინით სავსე ლახგრებით. მაგიდასთან საპატიო ადგილზე იჯდა

ხუბილგან დოვჩინი და თითქმის მხოლოდ ის ლაპარაკობდა. სხვები მლიქვნელურად უღიმოდნენ და პატარა ჩინური სათამაშო ღმერთებივით დაუღალავად უქნევდნენ თავს.

— ბურხანის მორჩილნო! დადგა ჩვენი დრო. ამომავალი მზის ქვეყნის მოციქულის მოსვლის შემდეგ სულიერად გავმხნევდით და ამაყად ავწიეთ თავები. თითოეული ჩვენგანი მოვალეა დაგვანახოს, რის მაქნისია. ყველას გვაერთიანებს თითოეული ჩვენგანის მიერ საკურთხეველთან დადებული ფიცი. დადგა ჩვენი ჟამი! პუნცაგთან ერთად იარაღის საწყობისაკენ წავა ჯგუფი. ახალ ხელისუფლებას ზუსტად ნადომის დროს მივუძღვნით ჩვენს საჩუქარს. პუნცაგ, შვილო ჩემო, ბურხანი მოგიზლავს სამაგიეროს ჩადენილი გმირობისათვის. თუ საწყობს დავწვავთ, ეს იქნება ჩვენი პატარა წელილი იაპონიის ჯარების დახმარების საქმეში, ისინი ხომ სულ მალე ჩვენს საშველად მოვლენ. ბურხანის მორჩილნო! ნუ შეუშინდებით გაწსაცდელს. თქვენი საქმე და საქციელი ბურხანის დიდ ჯილდოს იმსახურებს. გამარჯვებული და ყოველისმძლეველი, დიდი და ყოველისშემძლე ბუდა ბედნიერებას მიანიჭებს ჩვენს მოდგმას მესამე თაობამდე.

მაგიდასთან დოვჩინის ხელმარცხნივ მსხდომმა ჩოფურა შეაბანოომ და შავტუხა ბერმაც გამოთქვეს სურვილი პუნცაგის ჯგუფს წინ ... თებოდნენ. ჩანს, მათ ერთი სული ჰქონდათ, ბურხანის ხელიდან მიეღოთ ბედნიერების ვარსკვლავი მესამე თაობამდე.

პუნცაგს ესმოდა, რა მოელოდა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ჩავარდებოდა. ის გაუნძრევლად იჯდა და ღვინიანი თასისათვის პირიც არ დაუკარებია. მის გასამხნევებლად ხუბილგანმა მაღალფარდოვანი სიტყვით მიმართა მაგიდასთან მსხდომთ:

— პუნცაგი ჩვენს შორის ერთადერთი კაცია, რომელიც მზადაა თავი შესწიროს ბურხანს. ეს მან საქმით დაამტკიცა. როდესაც ჩემი მორჩილი ჩოინჩორი საიქიოს გაისტუმრა. ბურხანის ნება-სურვილით სწორედ მას ეავალებ სათავეში ჩაუდგეს ყველაზე საშიშ, მაგრამ კეთილშობილ და წმინდა საქმეს. რომელიც გზას გვიხსნის თავისუფლებისაკენ. — დოვჩინმა ჯადო სიტყვები წაიჩურჩულა, შემდეგ თასიდან ღვინო მოსვა, იქ მსხდომთ მკაცრად მოავლო თვალი და განაგრძო: — თუ ახლა გულმოწყალებას გამოვიჩენთ სამდანისთანების მიმართ, რომელიც ლამების არტელის რევსომოლის უჯრედის მდივანი იყო, შემდგომში საკუთარი ხელებით დავიგლეჯთ თმებს

თავზე. თითოეულ თქვენგანს გიბრძანებთ. ნადომის დღესასწაულის დაწყებამდე გააქროთ ერთი-ორი ყველაზე პირწავარდნილი პარტიული მეტიჩარა. იცოდეთ, ყველაფერი წესრიგში იყოს! ვინც ამას არ შეასრულებს, აღთქმისდა მიხედვით, თვითონ, სხვის დაუხმარებლად გასუტევებს სულს. შემდეგ, უკლებლივ ამოიქლიტოს ყველა, ვინც კი შენჩნეულია ჩვენი რელიგიისა და ლამების შერცხვენასა და ლანძღა-გინებაში. ეს ოპერაცია ჩატარდეს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური ხელისუფლების სახელით. კიდევ, სახალხო-რევოლუციური და მთავრობის სახელით შევარდით აილებში, არატების ბინებში, საკურთხეველებიდან გადმოყარეთ, პატრონთა თვალწინ გათელეთ და ცეცხლში ჩაყარეთ ბურხანთა ქანდაკებები. ამით არატების რისხვასა და სიძულვილს გამოიწვევთ ახალი ხელისუფლებისადმი... რას ბრძმტერებიხართ? ნუ გეშინიათ. ამ ცოდვას მერე მოინანიებთ ბურხანის წინაშე. ბურხანი დიადი მიზნის განსახორციელებლად ჩადენილ ყველა ცოდვას მოგიტევებთ. — დოვჩინმა ლაპარაკი დაამთავრა, ხელისგულები ერთმანეთს მიადო. თვალები გადაატრიალა და რხევა-რხევით ჯადო სიტყვების ჩურჩული დაიწყო.

შუშმამ ხუბილგანის ნალაპარაკევიდან ნახევარიც ვერ გაიგო, პუნცაგისაკენ მიბრუნდა ისე, რომ ხუბილგანს მისი სიტყვები მოესმინა, და ხუბილგანის ქება-დიდებას მოჰყვა.

— ოი, ხუბილგან, ოი, ლამებს შორის უბრძნესო! შენს ჯადოსნურ ჭკუას შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს შემდგომი წლების მდგომარეობა!

პუნცაგმა არაფერი უპასუხა შუშმას ხმამაღალ ჩურჩულზე. ფიქრებში ჩაძირული, მდუმარედ იჯდა და დოვჩინს თვალებით ჭამდა. დაბეჩავებულ და გასაცოდავებულ შავტუხა ბერს მთელი საღამოს შანძილზე სიტყვა არ დასცდენია მაგიდასთან. გულში აღმერთებდა ხუბილგანს, ყველაზე დიდ ადამიანად თვლიდა და, ამავე დროს, ბრალი გამოხედვისაც კი საოცრად ეშინოდა.

ისევ შესვეს ცოტაოდენი ღვინო და ცხელი საჭმელი მიაყოლეს. დოვჩინმა ხელით მოიხმო შუშმა და გვერდით მოისვა.

— თქვენ გავალებთ უახლოეს დღეებში ცეცხლი წაუკიდოთ ლაბენის არტელს. ის ყოველგვარი სიბინძურის ბუდეა. თქვენი ხალხი დაიხმარეთ. თვითონ იცით, ვინ. პუნცაგს ხელი არ ახლოთ. მას საგანგებო დავალება აქვს. თანაც თვითონაც ამ არტელში მუშაობს. პუნცაგ, თქვენ კი ისე მოაჩვენეთ თავი, თითქოს არტელის ქონების გა-

დარჩენას ცდილობთ. ვიმედოვნებ, ყველაფერი გასაგებია. შე-ვუ-შაველ მოქმედების გეგმა და მომახსენეთ

ჩამობნელდა თუ არა, შეთქმულები სათითაოდ გამოვიდნენ ბუმ-მას ხაშანიდან.

• •

ზუსტად შუაღამისას ბუიანტის ეზოს ორი ცხენოსანი მიადგა. ერთი გარეთ დარჩა და ცხენებს აღვირში ჩაავლო ხელი, ხოლო მე-ორემ მძიმე კლიტე გააღო და ხაშანში შევიდა. ნახევარი დღე გა-ვიდა, რაც გომპილი მარტო დარჩა ბუიანტის სადარაჯოდ. სახლში ნავთის ლამპა ენთო, კარს იქიდან ჩინური კერძის მწკლარტე სუნი მოდიოდა. ბალდანმა კარი გამოაღო და დაინახა გომპილი, რომელ-საც ერთ ხელში ნაგანი ეჭირა, მეორეში გამომშრალი მანტუ[1] იქვე ტაბურეტზე ნახევრად დაცარიელებული კერძიანი ჯამი იდგა. უცნა-ურია, მაგრამ ბუიანტმა არა თუ წინააღმდეგობა გაუწია გომპილს, არამედ, თითქოს ცდილობდა „მორიგეობა" შეემსუბუქებინა, ძაბრი-ვე საწოლზე მიეგდო და მთელი დღე ხვრინავდა.

— თქვენს ლოდინში მთლად გადამელია გული!

ბალდანმა ხელით მიიხმო გომპილი, კუთხეში მიიყვანა და წას-ჩურჩულა:

— ქუჩაში, ჭიშკართან, სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივი ინსპექტორი გველოდება ცხენებით. ჩინელს ის წაიყვანს. ვანჩინ-დორეი მას აიმაკის ცენტრში მიიყვანს, იქიდან კი — ულან-ბატორში. დაბრუნდი სახლში, ხვალ კი ჩვეულებრივ შეუდექი მუშაობას. თუ შეკითხებიან, სად იყავიო, ეტყვი, ბალდანს ვეხმარებოდი სუბურ-ღანის ასაგები შესაწირის შეგროვებაში-თქო. ფიცრულში მართლაც მაქვს ოქროს და ვერცხლის ზოდები, ცხენების აღკაზმულობა და ბარალი, რომელიც ჯერ არ აღმირიცხავს, გაიგე? და კიდევ, ხამბას უთხარი, ვითომცდა მეცხოველეები მხურვალედ მიესალმებიან სუ-ბურღანის აგებას. ვანჩინდორეს მე თვითონ გავაცილებ.

ბალდანი ბუიანტთან მივიდა. ქუთუთოების ცახცახსა და სახის დაძაბულობაზე ეტყობოდა, რომ თავს იმძინარებდა. რასაკვირველია, მისთვის საძულველი ადამიანების ყოველ მოძრაობას უთვალთვალებ-

[1] მანტუ — ორთქლზე გამომცხვარი უმარილო ყველი.

და. და სმენას ძაბავდა, რათა მათი საუბრიდან ერთი სიტყვა მაინც გაეგონა.

ნება მიბოძეთ, შეგაწუხოთ. სწრაფად ადექით — უბრძანა ბალდაჩმა.

— ნება თქვენია, — მორჩილად უპასუხა ბუიანტმა და უგულოდ წამოდგა. — საით მიგყავართ?

ბალდანმა უსიტყვოდ მიუთითა კარისაკენ. მარჯვენა ხელს არ უშვებდა ნაგანს, რომელიც ჯიბეში ედო.

გომპილ, შეუხსენით ხელები, უფრო თბილად რომ ჩაიცვას, ცივი ღამეა.

ბუიანტმა დაბუჟებული ხელის მტევნები დაიზილა. დაბამბული ჯუბა გაიცრო და მოკლეკალთებიანი კრაველის დელი ჩაიცვა. სწრაფი ნაბიჯით გავიდა ხაშანიდან და ერთ-ერთ ცხენზე შეჯდა. მისი შესახედაობა, თითქოსდა, ბედის მორჩილებაზე მეტყველებდა. „კარგია, რომ ღამით მივყავარ. ეს რომ დღისით ყოფილიყო, არატები. ალბათ ჩამქოლავდნენ: ცოტა რამ როდი გავაკეთე მათი სიძულვილი რომ დამემსახურებინა. ნუთუ ეს დასასრულია? არა, ბატონებო, ჯერ ნაადრევია ჩემთვის წერტილის დასმა. გამცილებელი გამოუცდელია, მისი მოტყუება ძნელი არ იქნება. საერთოდ, კარგია, რომ ღამეა“. ბუიანტმა თვალები დახუჭა და კრიჭაშეკრულმა რაღაც სევდიანი წაიღიღინა.

— ყური მიგდეთ. ჩემი საქმე გათავებულია. გამიხსენით ხელები. სიტყვას გაძლევთ, არ გავიქცევი. თუ გაქცევა ვცადო, მაშინვე მესროლეთ.

ვანჩინდორჟი ბალდანთან მივიდა.

— ჩინელი, ალბათ, მთლად გაითოშა. მოდი, შეეუხსნათ ხელები. ორნი ვართ, ვერ გაგვექცევა.

— შეუხსენი.

ბუიანტს ხელები შეუხსნეს, ისიც შესამჩნევად გამხიარულდა. ლაპარაკს უმატა და ხუმრობაც კი დაიწყო.

— იცით, აქ თითქმის ათი წელი დავყავი. ის რომ გიამბოთ, იაპონიის დაზვერვის დავალებით რამდენი რამ გავაკეთე, ერთი დღე და ღამე არ მეყოფა. აქ არც დროა და არც ადგილი ამგვარი ამბების მოსაყოლად. მაგრამ თავად განსაჯეთ, განა ეს ბედის დაცინვა არაა? მთელი ამ დროის მანძილზე ჩემი უფროსებისათვის ერთი განსაკუთ-

რებით ღირებული მასალაც კი არ გადაძიცია. თავად მინდოდა მიმეტანა, ამისათვის დიდძალ ფულს შემპირდნენ. და აი დასასრული...

— თქვენ, ჩინელმა, რატომ დაიწყეთ მუშაობა იაპონელებთან სადაზვერვო სამმართველოში? — დაინტერესდა ბალდანი.

— რა შემიძლია გითხრათ? ღარიბი ვიყავი. ხოლო ყველა ღარიბი, უპირველეს ყოვლისა, თავის მუცელზე ფიქრობს. მე, ბევრ ჩინელთანაშემამულესავით, საკუთარი მუცლის მონა ვარ. რაზე არ უბიძგებს ხოლმე ადამიანებს შიმშილი.

ამგვარი ლაპარაკით ბალდანს თავს ვერ შეაცოდებდა...

დილამდე უსიტყვოდ მიდიოდნენ ნელი ჩორთით. ცხენები დაიღალნენ, დაიღალნენ ცხენოსნებიც. საშინლად ეძინებოდათ, დამძიმებული ქუთუთოები თავისთავად ეშვებოდა თვალებზე. ბუიანტი მთელი ღამე ირწეოდა უნაგირზე და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ეძინა. „ეშმაკი. თითქმის მთელი დღე ხვრინავდა თავის სახლში საწოლზე. ახლა კი ხელსაყრელ მომენტს უცდის. ჰოდა, ელოდე". — ბალდანი ყველანაირად ცდილობდა გამოფხიზლებულიყო, ხან უზანგებზე დგებოდა, ხანაც რაიმე მელოდიას უსტვენდა.

— შეგობარო, საშინლად მეძინება. თვალი არ მოაცილო ამ ტიპს, — წასჩურჩულა მან ვანჩინდორჟს.

ცხენები ჩორთით მიდიოდნენ. ბუიანტი წინ მიდიოდა და ისევ ისე თანაბრად ირხეოდა უნაგირზე. უკან ვანჩინდორჟი მისდევდა. ბალდანი კი სულ ბოლოს მიჰყვებოდა.

გარიჟრაჟის სიჩუმეში უცებ ქუხილივით გაისმა სროლის ხმა, ამას მოჰყვა მზისაგან გამომშრალ გზაზე ცხენის ფლოქვების თქარუნი. ბალდანს გამოეღვიძა. ტყით დაფარული ხევისაკენ დაოთხილი მიქროდა ბუიანტი, ხოლო მიწაზე უძრავად ეგდო ვანჩინდორჟი. ყველაფერი წამებში მოხდა. ბალდანმა ცხენს დეზი ჰკრა და გაქანდა. ბუიანტისთვის გზა რომ გადაეკრა. მისი ცხენი საუკეთესო იყო ხამბა-ლამას ჯოგიდან. მანძილი ჩინელსა და ბალდანს შორის სწრაფად მცირდებოდა. ბუიანტი ვანჩინდორჟის ნაგანს იქნევდა და რაღაცას გაჰყვიროდა. ტყემდე დიდი მანძილი აღარ იყო და ჩინელი იქ დამალვას ვარაუდობდა. თითქოსდა, ფორტუნამ კვლავ გაუღიმა. მაგრამ ცოტაც და ბალდანი მტერს დაეწეოდა. ბუიანტმა გაისროლა და პირველსავე გასროლით, დაუმიზნებლად. ბალდანს ქუდი გადაუგდო. კიდევ რამდენჯერმე ისროლა, მაგრამ ააცდინა. ბალდანს მკერდიდან მძიმე კვნესა ამოხდა. დაუმიზნა და ესროლა. ბუიანტის ცხენი საშინე-

ლი ჭიხვინით ამოყირავდა და მხედარი რამდენიმე მეტრზე მოისროლა. ბალდანი ჩინელთან მიიჭრა, ზურგზე გადააბრუნა. პირის კუთხიდან გადმომსკდარი სისხლი მიწაზე იღვრებოდა.

— ამ საძაგელი ჩინელის გულისათვის როგორი ცხენი მოვკალი! ადექი! სწრაფად, გეყოფა თვალთმაქცობა.

ჩინელი კვლავ გაუნძრევლად იწვა.

— თუ ახლავე არ წამოდგები, იცოდე, ჩავაძაღლებ.

ბუიანტი შემობრუნდა, ოთხზე დადგა, ხელებით პირი მოიწმინდა, თან ბალდანს ქვეშქვეშ გაჰყურებდა. უცებ მუხლებზე დამდგარმა მკერდზე დელი დაიგლიჯა და ხმამაღლა აღრიალდა:

— მომკალით. მე არა ვარ ადამიანი, მომკალით!

— გეყოფა მსახიობობა. უკვე ნანახი გვაქვს!

ამჯერად ბალდანმა მაგრად შეუკრა ხელები ზურგს უკან და თოკის გრძელი ბოლო ქამარზე გამოიბა. ჩინელი ცხენზე შესვა და გზემართა იქითკენ. სადაც ამხანაგი დატოვა. ვანჩინდორჟი გონს მოსულიყო, გულაღმა იწვა და თავზე მიყენებულ ჭრილობაზე ხელისგული მიეჭირა.

— ცოცხალი ხარ. მეგობარო? — გაეხარდა ბალდანს.

— წინდაუხედავად მოვიქეცი, წყეულმა ძილმა წამძლია, — თავის თავს ადანაშაულებდა ვანჩინდორჟი და სირცხვილი წვავდა.

— არა უშავს, მეგობარო. კარგია, რომ გადარჩი. უმნიშვნელო ჭრილობა. როგორც იტყვიან, ქორწილამდე მოგიშუშდება. თხელი პერანგი მაცვია, ახლავე შეგიხვევ და გზა განვაგრძოთ.

ვანჩინდორჟი უკან მოისვა, იმ ცხენის აღვირი, რომელზეც ჩინელი იჯდა. უნაგირს გამოაბა და გზას გაუდგნენ.

გზა მიუყვებოდა ველს, რომელსაც ფოთლოვანი ტყით დაფარული მაღალი ბორცვების მწკრივი კვეთდა. ზედ ჰორიზონტზე ლურჯად მოჩანდა დანისლული მთის ფერდობები. ნიავი ბავშვის კულულებივით არხევდა მაღალ ბალახს. ირგვლივ არავინ იყო. ღია-ცისფერ, უღრუბლო ცაზე კაშკაშა მზის თვალისმომჭრელი სხივების ქვეშ სიჩუმე, სიმყუდროვე და თავისუფალი სივრცე იყო.

ორიოდე საათის შემდეგ გზის გასაყართან მივიდნენ.

— აქედან ხუთიოდე კილომეტრზე, მარჯვნივ, ბორცვს იქით, პატარა დაბლობზე, წყაროსთან, რამდენიმე ალაყოჩი დგას. იქ ნაცნობები მყავს და შემიძლია ცოტა საჭმელი და ცხენი ვთხოვო. ნება მომეცით, ერთი საათით წავიდე, — სთხოვა ვანჩინდორჟმა.

— თავი როგორ გაქვს? არ გტკივა?

— ყველაფერი რიგზეა.

— მაშინ წადი. დიდხანს არ დაყოვნდე. აი, იმ ბორცვის ძირში, ჩრდილში დაგელოდები. — ბალდანმა ხელით წინ მიუთითა.

9

წითურსახიანი მდიდარი ლუვსანის დიდ, ხუთკედლიან ქათქათა ალაყოჩთან მხედარმა გაქაფული ცხენი მიაგდო. იმისდა მიხედვით, თუ როგორ მძიმედ აუდ-ჩაუდიოდა ცხენს გაოფლილი ფერდები და როგორი ოხვრა-ხვნეშით მოიჩქაროდა მხედარი, თან ძლივს ადგამდა ღონეგამოცლილ ფეხებს, ადვილი მისახვედრი იყო, რომ ცხენმა და კაცმა საკმაო გზა განვლეს, ვიდრე ამ აილამდე მოაღწევდნენ. ცხენის ფლოქვების თქარათქურზე ლუვსანის ცოლი გამოვარდა.

— ოი, ნამდვილად დამირან-გუაია[1]. თავდაპირველად ვერც კი გიცანით. გიყურებთ და ვფიქრობ: ვიღაც მთვრალი კაცი მობარბაცდა-მეთქი.

ალაყოჩიდან ახალგამოხდილი რძის არყის სუნი მოდიოდა. ნაცნობმა სუნმა, ასე რომ ეფონებოდა გულზე. უცბად გამოაცოცხლა კუდა ტაიჯი დამირანი და ოხუნჯობა დაიწყო, თან ლუვსანის ჩასუქებულ ცოლს თვალებით ეარშიყებოდა.

— თქვენი სახლიდან ისეთი სურნელი გამოდის, ჩემო კარგო. რომ შეიძლება გამოშტერდეს კაცი... ახალი რა არის? მასპინძელი შინ არის? — უკვე სერიოზულად იკითხა დამირანმა და შეეცადა ქალისაგან დაღლილობა დაემალა.

— აბა ახალი რა უნდა იყოს ჩვენთან? იქნებ თქვენ მოიტანეთ ახალი ამბავი შორიდან, — ახითხითდა ქალი. — ჰო, შემოდით, შემოდით. ლუვსანი სახლშია. უკვე იჯერა არყის სმით გული. თქვენ მარტო ცხელი არაყი ჩაცეცხლეთ და მეტი არაფერი გინდათ. უსაქმურებო.

ლუვსანი ფუმფულა ლეიბზე იწვა. დამირანის დანახვისთანავე წამოხტა და ისედაც წითელი სახე კიდევ უფრო წამოუპარხლდა.

---

[1] გუაი — ზრდილობიანი, პატივსაცემი მიმართვა, რომელსაც სახელს უმატებენ.

ძველებური წეს-ჩვეულების მიხედვით, ორივე ხელი გაუწოდა მისასალმებლად და დამირანი ალაყოჩის საპატიო წითელ კუთხეში დასვა.

— მადლობელი ვარ ბედისა, თქვენ რომ ჩემს სახლში მოგავლინათ, — ენის ბორძიკით წაიდუდღუნა ლუვსანმა. — გულწრფელად მიხარია თქვენი მოსვლა. ახლა დავლიოთ და წავიხემსოთ, მერე კი გული ვიჯეროთ ახალ ხელისუფლებაზე სიცილით. ხა-ხა-ხა-ხა...

— დალოცვილი ლუვსანი! მდიდარი და ბედნიერი კაცი სწორს ამბობს. უნდა შეგეძლოს სიკეთის ნაყოფი იგემო. ხა-ხა. ჯერ დავლიოთ და ვჭამოთ. ხა-ხა!

— ვიდრე ამ რევოლუციურ მათხოვრებს ჩემთვის უკანასკნელი ჯოგი არ ჩამოურთმევიათ, გავახაროთ მუცლები, ვჭამოთ ქონიანი ხორცი და დავაყოლოთ რძის ცხელი არაყი. ამქვეყნად ჯერ არსად ყოფილა ისეთი ადგილი, სადაც ყველანი თანასწორნი იქნებოდნენ. ბ... და თქვენ ღვთისაგან წინასწარ მონიშნული გვაქვს გემრიელი სხ... და ჭამა... ხა-ხა.

— ადრე თუ გვიან ეს მათხოვრები პასუხს აგებენ თავიანთი ცოდვებისათვის. წყეულმა ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი ჩამომართვა. გუშინდელი ჩემი მსახურნი, ჩემი ნასუფრალისათვის ნაკვალევს რომ მიკოცნიდნენ, დღეს ისე ჩამივლიან, არც კი მესალმებიან, თითქოს ჩემი ბატონ-პატრონნი იყვნენ. ზოგი მათგანი ანგარიშის გასწორებითაც კი მემუქრება, მამაძაღლები... მაგრამ ამ ხელისუფლებას დიდი ხნის არსებობა არ უწერია!

მასპინძელი ყურადღებით ადევნებდა თვალს სწრაფად დაცლილ ფიალებს და სტუმარს ერთთავად უსხამდა რძის ცხელ არაყს.

— ღირსეულო ტაიჯი, რას მიირთმევთ? იმედია, ღამეს ჩვენთან გაათევთ და დაბრუნებას არ მოისურვებთ?

არომატული რძის ნაღების მოზრდილი ულუფა დამირანმა პირში ჩაიდო, გაქონილი თითები დელიზე შეიწმიხდა და გამოტენილი პირით უპასუხა:

— რასაც მოამზადებთ, იმას შევჭამ. ცხენი რომ არ დაღლილიყო, წავიდოდი.

— არა, პატივცემულო, ღამით ვერ გაგიშვებთ. დილით ჩემს ჯოგში შეარჩიეთ ფეხმარდი. დასვენებული ბედაური. ცოლი კი გემრიელ ცხვრის ხორცს მოგვიხარშავს.

სანამ ქალი ღუმელთან ფუსფუსებდა და წყლიან ქვაბში ხორცის დიდ ნაჭრებს დებდა, კაცები წყნარად საუბრობდნენ.

— ლუესან-გუაი, დიდი ხანია შენი ნახვა მინდოდა. ვერავისთვის გამიზიარებია იდუმალი აზრები. არავის ნდობა აღარ შეიძლება.

— დიახ, დიახ. საშინელებაა, რაც ჩვენს მიწა-წყალზე ხდება. ჩვენს პირუტყვსა და ქონებას მარჯვნივ და მარცხნივ ურიგებენ ამ ლატაკებს. მუდამ მშივრები და გაღლეტილები, დღეს ჩვენს ხარჯზე გამდიდრდნენ და გაძღესენ. არა უშავს, მალე გაუსკდებათ მუცლები.

— ჩვენ რა, გულხელდაკრეფილნი უნდა ვისხდეთ და მორჩილად ვუყუროთ ამ უმსგავსობას? არა, ლუესან. მე და შენ, ბურხანის ერთგულმა მორჩილებმა, ჩვენი რწმენა უნდა დავიცვათ ყველა ურწმუნოსაგან.

— ნეტავ ვიცოდე, როგორ დავიცვა, და ჩემს მუცელსაც არ დაეზოგავდი. ახლა კი ჭიანჭველებისაგან დაჭმულ და დაუძლურებულ მთის ჯიქს ვგავარ.

— მაგას ნუ იტყვი. ბურხანი არ მიგვატოვებს. დადგება დრო და თავის გულუხვ ხელს გამოგვიწვდის. ჩვენ კი, მადლობის გადასახდელად, არც ოქროს დავიშურებთ და არც სისხლს.

— ოჰ, მართალს ამბობთ, დამირან-გუაი. მეც ხშირად მიფიქრია ეგ.

— თუ ასეა, დაგვეხმარე სუბურღანის აგებაში. შემოწირე, რაც შეგიძლია. ბურხანი კი დაგლოცავს, ცოდვებისაგან გაგწმენდს, და ერთს ასად მოგიზღავს.

— წმინდა სუბურღანის ასაგებად არაფერს დავიშურებ. სანამ ჩემში ჯოგი მე მეკუთვნის, თავად ვიქნები მისი განმკარგულებელი. თორემ მოხედვასაც ვერ მოვასწრებ, რომ სედის ხელში აღმოჩნდება.

— მწამდა შენი და იმიტომაც მოვედი, ლუესან-გუაი. მაგრამ ამის თაობაზე საჭირო არაა ხმამაღლა ლაპარაკი. — დამირანმა ხმას დაუწია. — საერთოდ, რაღაცას გეტყვი საიდუმლოდ. — მან დელის ფართო სახელოები აიკეცა, ლანგარზე ყველაზე დიდი ცხიმიანი ცხვრის ნაჭერი აირჩია და სიამოვნებისაგან ხმამაღალი წკლაპუნით დაიწყო ჭამა. ზედ ტუჩებთან ჭრიდა ფართო დანით ხორცის ნაჭრებს და კერასთან მჯდომ ლუესანის ცოლს ავხორცად მიშტერებოდა. დროდადრო თვალს უკრავდა და მრავალმნიშვნელოვნად უღიმოდა ტაიჯი ახალგაზრდობაში დიდი თავქარიანი ვინმე იყო. ვერავინ მოთვლიდა, რამდენი ქალიშვილი შეაცდინა და მიატოვა. ხანდაზ-

მულობაშიც იგივე ხასიათი შემორჩა, ამიტომ ლუვსანის ცოლი სწრაფად მიუხვდა ტაიჯის განზრახვას და პასუხად ოდნავ შესამჩნევად უკრავდა თავს და ხმადაბლა ხითხითებდა.

მასპინძელმა ბალიშებიდან წამოუდგომლად ამოიღო ზანდუკიდან განსაკუთრებული შემთხვევისათვის შემონახული სანუკვარი არყიანი პატარა დოქი.

— აბა ერთი სწრაფად შეათბე არაყი. ცოტას კიდევ შევსვამთ, — დაუყვირა ცოლს.

უკანასკნელი მოსამსახურე ქალის წასვლის შემდეგ მთელი საოჯახო საქმეები ლუვსანის ცოლს დააწვა მხრებზე. უზომოდ ბრაზიანი ქმრის გაავებული ყვირილი რომ არ მოესმინა, მორჩილად ასრულებდა მის ყოველ ახირებას. ახლაც უსიტყვოდ მიაწოდა გამთბარი არყიანი დოქი, თვითონ კი მიჩიგდანი გადაიფარა და დასასვენებლად მიწვა.

— ძვირფასო დამირან, ახლა არავინ შეგვიშლის ხელს გულახდილად ვისაუბროთ. მეც ხომ მძულს ეს ხელისუფლება. ბედისაგან სულ სხვა, განსაკუთრებული ცხოვრება გვქონდა განსაზღვრული. იმ მათხოვრებზე მაღლა ვიდექით, ლუკმაპურისათვის ჩვენსკენ რომ ჰქონდათ თავიანთი ბინძური ხელები გამოწვდილი. ახლა კი აბა ნახე, რა ხდება? გამოდის, რომ მათთან ერთად ერთი ქვაბიდან უნდა ვჭამოთ, — ოხრავდა ლუვსანი.

— სახალხო ხელისუფლება დიდხანს ვერ გაძლებს. ოღონდ მარტო ოხვრით ვერაფერს გახდები. ყური მიგდე, — დამირანმა ხმის დაუწია და ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი, — ეცადე ყველაფერი გააკეთო იმისათვის, რომ ახლომახლო მცხოვრებმა არატებმა უკლებლივ მიიღონ მონაწილეობა სუბურღანის აგებაში და შემოწირონ თოფები, ხანჯლები — ერთი სიტყვით, ყოველგვარი იარაღი. ოქრო ოქროდ იყოს, ახლა მთავარი იარაღია, გასაგებია? მესაქონლეები როგორც საკუთარ ოჯახს, ცოფმორეული დაიცავენ თავიანთ ხელისუფლებას. ჰოდა, ხელში მხოლოდ მათრახები უნდა დავუტოვოთ. გესმის? უნდა შევაიარაღოთ ლამები, დღე და ღამე რომ ლოცულობენ ჩვენი ცოდვებისათვის. ჩვენი რელიგიის მამა, წმინდა და ყოვლისშემძლე ბანჩინ-ბოგდი თავისი მარჯვენით ლოცავს ჩვენს საქმეებს, რომლებიც ბიმართულია ურწმუნოთა ბრბეებიდან ბურხანის მორჩილთა გასათავისუფლებლად.

დამირანმა ლუვსანს პერანგის საყელოზე წაავლო ხელი, მისი აჭარალებული სახე თავის ტუჩებთან მოიზიდა და ჩასჩურჩულა:

— იმ მხრიდან, საიდანაც მზე ამოდის, მოვა ჯარი, ჩვენი მიწიდან აღგვის ყოველგვარ სიბინძურეს და ყველაფერი ძველებურად შემობრუნდება. ლამები — ჩვენი რწმენის ნამდვილი დამცველები — იარაღით ხელში აღსდგებიან რწმენისათვის საომრად. და მათთან ერთად ჩვენც. ახლა გასაგებია, რატომ მოვედი შენთან?

— თვით ყოვლისშემძლე ბერხანმა გამოგგზავნათ, პატივცემულო ტაიჯი, ჩემს სახლში. თქვენი ბაგეებით თვით წმინდა ბოგდი ღაღადებს ბრძნულ სიტყვებს. ოი, რა კარგი იქნება, იაპონიის ჯარი რომ მოვიდეს აქ და ჩემი ჯოგები დამიბრუნოს...

— აუცილებლად მოვა, ნამდვილად ვიცი. ოღონდ ზედმეტი არ იყბედო იცოდე. რაც შეიძლება ფრთხილად იყავი. თუ არადა, ეს რევოლუციური მათხოვრები სწრაფად მოგაყუჩებენ საპატიმროში.

— თქვენ ხომ მიცნობთ. არც თქვენნაირი ნასწავლი ვარ და არც ჭკუა მაქვს თქვენისთანა. ბაგრამ მაინც თქვენი თანამოაზრე ვარ და ეს ძალიან მიხარია... ტაიჯი, უკვე შუაღამეს გადასცილდა. არაყიც გაგვითავდა... დაწექით და დაიძინეთ..

— ნუთუ ფიქრობ, რომ შენთან ამისათვის მოვედი? — დამირანმა დაცარიელებულ დოქებზე მიუთითა. — ეს სიკეთე, დიდება ბურხანს, მუდამ მოკარბებულად მაქვს. უმჯობესია ყურები გამოიფხიკო და ძისძინო, კიდევ რას გეტყვი. გამოძინებას მოვასწრებთ. თქვენს მხარეში გამოჩნდა ერთი რევოლუციონერი. მისი გვარია სედი. თუ გსმენია მის შესახებ?

— სმენით კი მსმენია, მაგრამ მერე რა?

— გზიდან უნდა ჩამოვიცილოთ — აი, რა!

— როგორ, ჩამოვიცილოთ?

— სულ უბრალოდ: გავაქროთ, უბრალოდ რომ ვთქვათ — მოვკლათ. გადავწყვიტეთ, ეს პასუხსაგები საქმე შენ დაგავალოთ. მეტი არავის იმედი არა გვაქვს ამიერიდან. აწი ნულარ შეეკამათები სედს. პირიქით, ეცადე ყველაფერში დაეთანხმო და მისი ნდობა მოიპოვო. გფიქრობ, როდესაც ამგვარად დაუახლოვდები, მაშინ ადვილად, ყველისაგან ეკვმიუტანლად მოახერხებ მოკვლას. შეასრულებ? შენ უნდა გააკეთო ეს!

ასეთი დავალებისაგან ლუვსანი საბოლოოდ გამოუხიზლდა. მთელი ზიგნეული გაუცივდა, პირდაღებული იჯდა და არც „ჰოს“ ამბობდა და არც „არას“.

— ძვირფასო ლუ. შენ ხომ ბავშვი არა ხარ, გაიმაგრე გული, თავი ხელში აიყვანე, — არიგებდა კუდა ტაიჯი. — ბურხანი არ დაგივიწყებს. ყველა, ვინც კი ბურხანს მოეწონება, მისი დიდი წყალობის ღირსი ხდება. ვიცი, ასეა ყოველთვის.

„როგორ უნდა შევასრულო ამგვარი რამ? ახლა ის დრო აღარ არის, როცა ასეთი საქმისათვის ნებისმიერ დამშეულ არატს ორი ძროხის ფასად იყიდდი. არა, ახლა ვერავის ენდობი. რატომ დამაკისრა ბურხანმა ასეთი მძიმე ტვირთი? — ლუვსანმა მტრულად გადახედა ღელბზე გაშხლართულ დამირანს — ამას რა ენაღვლება? დახე, რა ტკბილად ძინავს. საკუთარი მხრებიდან მოიცილა მძიმე ტვირთი და ნე ამყიდა. მაგრამ თუ ბურხანს ამგვარი რამ სურს, დაე, აღსრულდეს ...“

10

როგორც კი ბორცვის მეორე მხრიდან გამოვარდა ცხენოსანი, რომელსაც ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, ყველა ფეხშიშველა ბავშვი ერთბაშად აყაყანდა:

— ბაგის თავმჯდომარე მოვიდა! თავმჯდომარე სედი მოვიდა!

ბავშვები ხოტონში[1] დარბოდნენ ალაყოჩიდან ალაყოჩამდე და სასიხარულო ახალ ამბავს იუწყებოდნენ:

— თავმჯდომარე მოვიდა! სიტყვას იტყვის!

პატარა ბავშვების ჯგროთი გარშემორტმყული სედი, ენერგიული ახალგაზრდა კაცი, მოხუცი მესაქონლის ჟამბას ხუთკედლიან ალაყოჩში შევიდა.

— აბა, ბავშვებო, ყველას აქ მოუხმეთ. მნიშვნელოვანი ცნობა უნდა გაუწყოთ.

მალე ალაყოჩი ხალხით გაიჭედა. სედმა შეკრებილთ თვალი მოავლო ფუთა გახსნა, პატარა რვეული ამოიღო და დალაგებით დაიწყო ლაპარაკი:

— ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენს მხარეში გამალებით ავრცელებენ

---

[1] ხოტონი — ალაყოჩთა ჯგუფი, მომთაბარეთა სადგომი.

ჯორს, რომელიც ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების წინააღმდეგ არის ნიმართული. ამიტომ სომონის ხელმძღვანელობისაგან დავალებული მაქვს, დაწვრილებით გაგაცნოთ ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა.

მაშინვე შეწყდა ყოველგვარი ჩურჩული და ლაპარაკი. ხალხმა სული განაბა. მოხუცებმაც კი გამოიღეს პირებიდან ჩიბუხები, უკბილო პირები დააღეს და ელოდნენ, რას იტყოდა სედი.

— პრივილეგიებჩამორთმეული საერო და სასულიერო ფეოდალები, მათი დამქაშები ყოველგვარ ჯორს თხზავენ, რათა ჩირქი მოსცხონ სახალხო პარტიასა და მთავრობას. ხოტონებსა და აილებში მტერი შემდეგი შინაარსის ფურცლებს ავრცელებს: „რევოლუციური არატები მორწმუნეებს ართმევენ და კოცონზე წვავენ რელიგიური კულტის ნივთებს, მორწმუნე არატებს კი აიძულებენ შეასრულონ მეტად მძიმე სამუშაო, ხოლო შემდეგ ზღვის იქით ასახლებენ“. ზოგიერთმა თქვენგანმა, შესაძლოა, წაიკითხა კიდეც ეს სიცრუე. ზოგმა, ჯერ კიდევ ჩამორჩენილმა არატმა, ამგვარ სიყალბეს რომ ყური მოჰკრა, წმინდა წყლის სიმართლედ მიიჩნია და სულით დაეცა. ეს კი ხელსაყრელია ჩვენი მტრისათვის, რომელიც ოცნებობს წაგართვათ თქვენი მონაპოვარი — თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება და დაიბრუნოს თავისი პრივილეგიები — თეითონ უქმად ისხდნენ და კვლავ ჩვენი შრომით იცხოვრონ. ამხანაგებო, იყავით ფხიზლად და არ წამოეგოთ ასეთ პროვოკაციაზე!

თქვენ იცით, რომ ჩვენი კონსტიტუციის მიერ ნებადართულია სარწმუნოების თავისუფლება. ეს, ჩემი აზრით, ერთგვარი პატივისცემაა, რომელსაც ჩვენი სახალხო ხელისუფლება იჩენს მორწმუნეთა მიმართ და კანონით იცავს მათ ინტერესებს.

წითურსახიან ლუვსანს დამირანის დარიგება ახსოვდა და მაშინვე ჩაურთო სიტყვა:

— მართალს ამბობს თავმჯდომარე. მხოლოდ სულელები, ვისაც ბურხანმა ტყუილად გაუკეთა ცხვირის ქვემოთ პირი, ავრცელებენ ასეთ ჭორებს. როდესაც სახელმწიფოს მიერ კანონიერ საფუძველზე ნებადართულია სარწმუნოების თავისუფლება, რატომ უნდა ვილაპარაკოთ სისულელეები? არა? — მხარის დასაჭერად მიმართა მან სედს. — ასეთი სისულელის ლაპარაკი მხოლოდ ბრიყვ, გაუნათლებელ, ჩამორჩენილ მომთაბარეებს შეუძლიათ...

— საიდან აიღე. რომ ჭორებს სახალხო ხელისუფლების წინა-

აღმდეგ ჩამორჩენილი არატები ავრცელებენ? ჩამორჩენილებსა და გაუნათლებლებს ნუ აბრალებ! ხომ არ მიგაჩნია, რომ რევოლუციონერებზე შეთხზული ჭორები ზოგიერთი „ჭკვიანის“ საქმეა? — ადგილიდან აღშფოთებით წამოიძახა მდიდარი ფეოდალის ყოფილმა ყმამ, წელში მოხრილმა მოხუცმა.

სედმა ყურადღებით მოისმინა მოხუცის სიტყვები და სოლიდარობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ამხანაგებო! ახლა არ ღირს იმის დადგენა-გამორკვევა, ვინ ავრცელებს მავნე ჭორებს. მთავარია, არ წამოეგოთ პროვოკაციაზე და პანიკას არ მიეცეთ. ფხიზლად იყავით ჩვენი სახალხო ხელისუფლების მტრების ხრიკებისადმი. მართალია, სახელმწიფო რელიგიის თავისუფლების გარანტიას იძლევა, მაგრამ სახელმწიფოს საზიანოდ მისი გამოყენება კანონით აკრძალულია. გთხოვთ ყველამ მხედველობაში მიიღოთ ეს.

სიტყვა ითხოვა ქარისა და მზისაგან სახეგაუხეშებულმა, ჩოფურა, ხანში შესულმა ჩალვადარმა და ალაყოჩის შუაში გამოვიდა.

— სახალხო ხელისუფლება — ეს ჩვენი ხელისუფლებაა, მან მოგვცა თავისუფლება. მაშ რატომღა უნდა გავავრცელოთ ჭორები ჩვენსავე ხელისუფლებაზე? მართალი თქვა თავმჯდომარემ: ჩვენი ხელისუფლების ცილისწამება და ამბოხების მომზადების ცდა ყოფილი დიდებულების საქმეა.

— სწორია, ბაბუა ჟამბა, — ერთხმად აუბეს მხარი ჩალვადარს შეკრებილებმა.

— რასაკვირველია, ჟამბა-გუაი სწორია,—სასწრაფოდ გამოასწორა შეცდომა ლუვსანმა, — მე ხომ არ მინდოდა რაიმე ცუდი მეთქვა. მინდოდა მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჩამერთო სახალხო ხელისუფლების მხარდასაჭერად.

— კიდევ ვის უნდა გამოსვლა? ამხანაგებო, თქვით, ვინ რას ფიქრობს. ნუ გეშინიათ. იქნებ, შეკითხვები გაქვთ?

ადგილიდან წამოდგა მთელს მხარეში ცნობილი მომჩივანი ქალი, ენაკვიმატი მოხუცი ულძია.

— ამბობენ, აქაურ მონასტერში დიდი სუბურღანი უნდა ააგონო, მართალია? და თუ შეიძლება სუბურღანის ასაგებად ფულის შეწირვა?

ეს კითხვა, როგორც ჩანს, ხოტონის ყველა მცხოვრებს აწუხებდა და იმის მოლოდინში, რას იტყოდა სედი, ერთბაშად დადუმდნენ.

— ჯერჯერობით არავითარი ოფიციალური განცხადება არ შემოსულა სუბურღანის აგების თაობაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, მოთქმა-მოთქმა ახალ სუბურღანზე საფუძველს მოკლებული არ არის. რასაკვირველია, წელილის შეტანა არავის ეკრძალება. მაგრამ გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ სუბურღანის აგებით ყველაფერი ერთბაშად მშვენიერი გახდება და ყველა სურვილი მაშინვე აგიხდებათ. ყველაზე დიდი სუბურღანიც კი აბსოლუტურად არავითარ სიკეთეს არ მოუტანს არატებს. ჩემი აზრით, ლამებისათვის ფულისა და ფასეულობის მიცემას სჯობს მაღაზიაში იყიდოთ ნივთები, რომლებიც შემდეგ თქვენ და თქვენს მეურნეობას გამოადგება.

— რამდენი საუკუნის მანძილზე უდრტვინველად ვცემდით თაყვანს და ელოცულობდით ბურხანზე, მაგრამ ამით ჩვენი მამებისა და პაპების ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. ღარიბები უფრო ღარიბდებოდნენ, ხოლო მდიდრები კიდევ უფრო სუქდებოდნენ. თუ ბურხანი შესაწირებისათვის მართლა უგზავნის ლოცვა-კურთხევას თავის მორწმუნეებს, მაშინ მხოლოდ მდიდრებს რატომ ლოცავს? სახალხო ხელისუფლებას კი, ჯერ ათი წელიც არ შესრულებია და უკვე ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. ჩვენ, ღარიბებს, ძღომამდე რომ არასდროს გვიჭამია და მხოლოდ ფეოდალების ურიცხვ ჯოგებს ვაძოვებდით, ახლა საკუთარი პირუტყვიცა გვყავს და საცხოვრებელი ალაყოჩებიც კარგი გვაქვს. მაშ რატომ უნდა გავიღოთ სუბურღანისათვის სახალხო ხელისუფლების მიერ მოცემული ქონება და პირუტყვი? ჩვენ თავად უნდა ვისარგებლოთ ჩვენს მიერ შექმნილი დოვლათით.

ამ სიტყვებით გამოვიდა სახალხო-რევოლუციური პარტიის წევრი ცულტემი. მამამისი წითურსახიან ლუვსანთან მუშაობდა მეჯოგედ, მაგრამ გაუხედნავი ცხენიდან გადმოვარდა, მძიმედ დაშავდა. დიდხანს ავადმყოფობდა და ლოგინიდან ვეღარ წამოდგა. მისი ადგილი პატარაობიდანვე დაიკავა ცულტემმა, რომელსაც ხარბი ბატონი მუდამ სცემდა და პანღურ-მუჯლუგუნებს სთავაზობდა. რამდენი დამცირება, შეურაცხყოფა და დაცინვა გადაიტანა ბავშვობაში! მაგრამ, აი, მათ მხარეში დამყარდა ახალი ხელისუფლება, ყველა მოქალაქის ცხოვრება თანასწორი და თავისუფალი გახდა. ცხოვრების გზა ცულტემს გრძელი და ფართო მოეჩვენა. შეკრებილთა შორის თავისი ყოფილი ბატონის, ლუვსანის მედიდური სახის დანახვისას ცულტემს გაახსენდა, ლუვსანის ჩასუქებული ცოლი რო-

გორ დასცინოდა მის მშიერ პატარა ბიჭს. ქალმა ჩაის საკაზმი ფქვილი დაახარისხებინა ბავშვს და შიმშილის მოსაკლავად ერთი მწიკვიც კი არ მისცა; ცულტემს ისიც გაახსენდა, ის დედაკაცი მის შვილს უჯიშოს და უდღეურს რომ უწოდებდა და თან საზარლად ხარხარებდა. იმ საღამოს ცულტემმა ჯოგი მორეკა. ძლივს დაამშვიდა ატირებული შვილი, შემდეგ თავისი ბარგი-ბარხანა შეკრა, ურემზე დაყარა და გადაბარგდა სხვა ხოტონში, სადაც არატები უკვე არტელში გაერთიანებულიყვნენ. არტელის წევრებმა გაითვალისწინეს ცულტემის მდგომარეობა და ფეოდალებისაგან კონფისკებული საქონლიდან ორი მეწველი ძროხა და ცხენი გამოუყვეს უფასოდ. ცულტემმა ამ დღიდან გაიგო, რას ნიშნავდა სახალხო ხელისუფლება, და მისი ერთგული დამცველი გახდა. არტელის წევრთა ცხოვრება ყოველწლიურად უფრო შეძლებული ხდებოდა და კარგა ხანია ღარიბებს სხვებზე აღარ რჩებოდათ თვალი.

— ჯერ კიდევ არ დამვიწყებია, როგორ ძწყევლიდნენ ზოგიერთები, გასულ ზაფხულს პარტიაში რომ შევდიოდი, — განაგრძობდა ცულტემი, — ისინი იმით მაშინებდნენ, რომ, თუ პარტიაში შევიდოდი, ჩემი მშობლები გაითვალებოდნენ და დაიხოცებოდნენ, ხოლო მე და ჩემს შვილებს ბურხანი დაგვსჯიდა. ზოგიერთები ნათესავებისა და ახლობლების საშუალებითაც ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ ჩემზე. მაგრამ მე, რასაკვირველია, ჩემებურად მოვიქეცი. მთელი სულითა და გულით ვგრძნობ, რომ ხელი არ უნდა შევუწყოთ მონასტრების გაძლიერებას. საერთოდ, პირადად მე ამ სუბურღანის აგება უცნაურად მეჩვენება. განა არ ჰყოფნით ჩვენს მორწმუნეებს უკვე არსებული სუბურღანები? ჩვეულებრივ, სუბურღანის ასაგებად უხვ შესაწირავს ითვალისწინებენ. ვფიქრობ, ამ საკითხს ყოველი მორწმუნე საღად უნდა მიუდგეს. უმჯობესია, ჩვენი წილი შესაწირი ბავშვებისათვის სკოლების ასაგებად მოვიხმაროთ. — ცულტემმა ლაპარაკი დაამთავრა და ლუვსანის პირდაპირ დაჯდა.

„მოიცა, მოიცა, შენი დროც დადგება. დახე, როგორ აქიკჭიკდა. აჯობებდა ველში ცხენით გამესრისე“. — ამბობდნენ მისი ყოფილი ბატონის თვალები.

ადგილებიდან ერთხმად აყაყანდნენ:

— ავაგებთ თუ არა სუბურღანს?

— რამდენი და რა შევწიროთ?

თავმჯდომარემ შეიცადა, ვიდრე ხალხი დაწყნარდებოდა და თქვა:

— ამხანაგებო, აქ სუბურღანის აგების საკითხის გასარჩევად კი არ მოგიწვიეთ, არამედ იმისათვის, რომ გამოფხიზლდეთ, არ დაუჯეროთ მალული მტრის ჭორებს და საკადრისი მიუზღოთ იმათ, ვინც სელყოფს სახალხო ხელისუფლებას.

კრება ამით დამთავრდა. ხალხი პატარ-პატარა ჯგუფებად ხმაურით იშლებოდა და გაცხარებით მსჯელობდნენ მტკივნეულ საკითხებზე. ცხენის მისაბმელთან სედმა ცულტემი შენიშნა.

— კარგად და გასაგებად ლაპარაკობდი. როგორც პარტიის წევრს, გთხოვ ყურადღება მიაქციო, საიდან მოდის ჭორი. ჩვენს ახალგაზრდა ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი მტერი ჰყავს. არაფრის წინაშე ეკან არ დაიხევენ, რათა ხალხი ახალ ხელისუფლებას განუდგეს. ეს სენი ძირფესვიანად უნდა ამოვძირკვოთ.

— გასაგებია, ამხანაგო თავმჯდომარე, იგივე ლუვსანია ჩვენდამი მტრულად განწყობილი. ჩვენთან კრავივით უწყინარია, ზურგს უკან კი ტურასავით იქცევა. ერთიანად დავხვრეტდი მათ.

— ყველას ერთი საზომით გაზომვა არ შეიძლება, — სედმა მხარზე დაადო ხელი ცულტემს. — შეძლებულებს შორისაც არსებობენ კარგი ადამიანები, გასაგებია? რატომ მიგაჩნია ლუვსანი უპირველეს მტრად? მის საწინააღმდეგოდ გაქვს რამე სამხილი?

— არა, მაგრამ მას ყოველთვის სძულდა ღარიბები და, თუ ძველი წესწყობილება დაბრუნდება, ძალიან გაუხარდება.

— სწორად მსჯელობ, ძმობილო. ოღონდ ნუ ცხარობ, თორემ ყველაფერს გააფუჭებ.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. სედი ცხენზე შეხტა და სწრაფად მოეფარა კუთხეს.

11

ბალდანი ძალზე გაახარა ცენტრიდან მიღებულმა ცნობამ. ჯერ ერთი, სახალხო მონღოლეთის საშიში მტრის, იაპონიის დაზვერვის დამქაშის, ბუიანტის დაჭერისათვის მადლობა გამოუცხადეს, მეორე, აცნობეს, რომ ულან-ბატორში დარჩენილი მისი ცოლ-შვილი კარგად გრძნობდა თავს და მოუთმენლად ელოდა მივლინებიდან მის დაბრუნებას. თავადაც საშინლად უნდოდა თუნდაც ერთი საათით მაინც ამოეყო თავი დედაქალაქში და თვალი მოეელო თავისი ახლობლები-

სათვის. მაგრამ მისი პროფესია გახლდათ სამშობლოს დაცვა და წინ დაძაბული მუშაობა ელოდა.

მეორე დღეს ბალდანმა კიდევ ერთი ცნობა მიიღო ცენტრიდან: იარაღის საწყობისათვის ცეცხლის წაკიდების მცდელობისას დააპატიმრეს პუნცაგი, მასთან ერთად ორი მონღოლი და სამი ჩინელი; მათ დანაშაულზე წაასწრეს. დაპატიმრებულია შუშმაც. დაკავებულია დანაშაულის ადგილზე, ლამების არტელის პროდუქციის საცავისათვის ცეცხლის წაკიდების დროს. „კარგია. ხუბილგანს გაუჭირდება შუშმას გარეშე. ახლა ხამბა-ლამას უნდა შეეხვდე და საბოლოოდ მოვიპოვო მისი ნდობა. ხვალ დილით მესამე სვლას გავაკეთებ მხედრით".

მან გადაწყვეტილება მიიღო და შესრულებული მოვალეობის გრძნობით გამსჭვალულს ჩაეძინა.

დილაადრიან, არც დაუკაკუნებია, არც არაფერი უცნობებია, ბალდანი განრისხებული სახითა და წყევლა-კრულვით მოძღვართან შეეარდა. ხამბას, ჩანდა, ღამე უძილოდ გაეტარებინა. თვალები გაწითლებოდა, ქუთუთოები შესიებოდა და შეცბუნებული გამოიყურებოდა. ბალდანს ჯერ არ ენახა ასეთი ხამბა. მაგრამ მოძღვარი, თითქოს არაფერი მომხდარაო, ჩვეულებისამებრ მიესალმა სტუმარს და ახალი ამბები გამოჰკითხა. ბალდანმა ხამბას მისალმებაზე არ უპასუხა, რაც გაუგონარ მკრეხელობად ითვლებოდა, დაუპატიჟებლად წავიდა წითელი კუთხისაკენ, მოურიდებლად დაჯდა თვით მოძღვრის ბალიშზე და ქედმაღლური ტონით მოსთხოვა ახსნა-განმარტება:

— დიდად პატივცემულო მამაო, კეთილ ინებეთ და ამიხსენით, ჩვენი ხალხი რატომ ჩავარდა ერთი მეორის მიყოლებით პირველსავე საქმეზე? ზოგიერთები უკვე ციხეში ყურყუტებენ ულან-ბატორში. ჩვენ ვკარგავთ ძვირფას დროს, არ ვასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობებს, ბოლოს და ბოლოს, ვერ ვამართლებთ იაპონელ ბატონთა ნდობას. — ბალდანი ყვირილზე გადავიდა. — პასუხს მოვითხოვ, მოძღვარო!

ხამბა-ლამას გარეგნულად მშვიდად და ღირსეულად ეჭირა თავი, ბალდანისაგან ასეთი საყვედურების მოსმენისას, უაღრესად გაკვირვებული სახე მიიღო და სთხოვა, დაწვრილებით ეამბნა ულან-ბატორის ამბებზე.

„ოხ, რა ეშმაკი ძაღლია! თავს იკატუნებს! ისე კი ყველაფერი იცის“. — მიუხვდა ბალდანი.

— თავადაც გაოცებული ვარ, ჩვენი ხალხი ასე უცბად რატომ ჩაუვარდა წითლებს ხელში. ისინი ხომ ყველაზე ერთგული ხალხია, რომლებმაც საკურთხეველზე შემოგვფიცეს. თქვენ რა აზრისა ბრძანდებით? — მოძღვარი წარბშეკვრით მიაშტერდა ბალდანს. ბალდანმა გაუძლო ხამბის მზერას, და მტკიცედ წარმოთქვა:

— გეყოფათ ლაზღანდარობა და არაფრისმთქმელი ფრაზებით ჩემი დამშვიდება! დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ხუბილგანს და მოაწესრიგეთ მუშაობა. ერთი კვირის შემდეგ პირადად მოვახსენებ ბატონ ინოკუზის!

მოძღვარი უკვე ლმობიერად გამოიყურებოდა.

— ყველა ჩვენგანისათვის სათაყვანებელი ხუბილგანი ბურხანის წყალობით ჯანმრთელადაა და კარგად გრძნობს თავს: ნუ განრისხდებით, ძვირფასო ბალდან. ყველაფერი ეს საწყენია. მაგრამ ჩვენ ხომ თითქმის არა გვაქვს იატაკქვეშა მუშაობის გამოცდილება. ხუბილგანი აუცილებლად იღონებს რამეს, ჩვენი დაუდეგრობა რომ გამოასწოროს და იაპონელთა თვალში წონა მოგვმატოს.

— ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. საქმე? სადაა საქმე? — დაიღრიალა ბალდანმა და ჩექმის ყელზე მუშტი დაირტყა.

„ცეცხლივით ბობოქრობს. ჟეშმარიტად ჩვენი კაცია. დახე. როგორ გააცოფა ულან-ბატორის ჩავარდნებმა!“

— მდიდარმა ლუვსანმა, დამირან-ტაიჯიმ და ლოდონმა ენერგია არ დაზოგეს, რათა არატების ფართო მასები სუბურღანის აგების საქმეში ჩაეთრიათ. მათ რომ თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელება შეძლონ, ჩვენი საქმის წარმატების ნახევარი უზრუნველყოფილი იქნება.

— მაგრამ ხარბინში ჩემგან კონკრეტული მოქმედებების ანგარიშს მოითხოვენ, გასაგებია? ბატონი ინოკუზი და ცოტა ხნის წინ წმინდა ბანჩინ-ბოგდის მიერ ხანის ტახტზე ნაკურთხი ხალხასეთის ხანი და კანონიკი დამდინ-ოჩირი გვიბრძანებენ ყურადღება გავამახვილოთ აღმოსავლეთ საზღვრის მდგომარეობაზე.

— ამ საქმეში სწორედ რომ ყველაფერი წესრიგში გვაქვს. შეგიძლიათ ხარბინში აცნობოთ, რომ ვიცით სასაზღვრო საგუშაგოების განლაგება, სასაზღვრო ჯარების რიცხვი, მათი შეიარაღება, ნაწილების მეთაურები. მასალების დედნები ბუიანტთანაა, ასლები კი —

დამირან-ტაიჯთან. თვით დამირან-გუაი დღე-დღეზე უნდა მობრძანდეს ჩვენთან და პატივი გექნებათ თავად გაესაუბროთ.

— კეთილი, მამაო, — ლმობიერად უპასუხა ბალდანმა. — მოქმედებათა კოორდინაციისათვის ახლა აუცილებელია, რაც შეიძლება მალე შევხვდეთ ხუბილგანს. საჭიროა ულან-ბატორში წასვლა. ვინ წავა: მე თუ თქვენ?

— გეთანხმები, ხუბილგანთან შეხვედრა საჭიროა. ალბათ, მე წავალ. საჭიროა ამ დროს ხომ არაფერი გაქვთ, ძვირფასო ბალდან? — ეშმაკურად მოკუტა თვალები ხამბა-ლამამ.

— სრულებით არაფერი, მაღალშობილო ხამბა-ლამავ. მაგრამ გულწრფელად მეცოდებით, თქვენს ასაკში ორი დღე და ღამე უნაგირზე ჯაყჯაყი რომ მოგიწევთ. იქნებ სჯობდეს, აქ დარჩეთ და ჩანაფიქრისდა მიხედვით, სედისა და ცულტემის საქმეს მიხედოთ?

— მაშ კარგი, მე მივხედავ მათ. ისინი ჩვენი დაუძინებელი მტრები არიან და იმ შავ ცოდვილებს თავიანთ წინაპრებთან გავისტუმრებთ. სხვათა შორის, არსებობს ქველმოქმედი, რომელიც სიცოცხლეს მოუსწრაფებს მათ.

ხამბას მიერ მშვიდად წარმოთქმულმა სიტყვებმა, თითქოს საქმე ძალზე ჩვეულებრივ ამბავს ეხებოდა და არა ადამიანთა მკვლელობას, ბალდანს მთელი შიგნეულობა გაუყინა. ძლივს შეიკავა თავი, ყელში რომ არ სწვდომოდა.

— მაინც ვინ არის ის ქველმოქმედი, რომელსაც ორი ცოდვილის ბედი მიანდეთ? დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ის ქველმოქმედი გაამართლებს ჩვენს წმინდა ნდობას?

— დარწმუნებული ვარ. არჩევანში არ შევმცდარვარ, — უპასუხა მოძღვარმა, მაგრამ, როგორც ჩანს, სიფრთხილის გამო, გვარი არ დაასახელა.

კარზე დააკაკუნეს. ხამბა და ბალდანი გაჩუმდნენ და ერთბაშად შებრუნდნენ კარისკენ. დამირან-ტაიჯი შემოვიდა. დაბლა დახარა თავი, ხამბა-ლამას პირფერულად მიესალმა, შემდეგ ბალდანს მიესალმა. მონღოლური ჩვეულებისამებრ, ვიდრე რამეს შეეკითხებოდა, ანდა საქმეზე საუბარს დაიწყებდა, მოძღვარმა ტაიჯის ცხელი რძიანი ჩაით სავსე ფიალა შესთავაზა და, როდესაც დასცალა, ჰკითხა:

— ტაიჯი, როგორ ბრძანდები? ვხედავ, ახალი ამბებით მოსულხარ, აბა, მალე, თქვი!

დამირანმა პატარა ავი თვალები მიაპყრო ხამბას, თითქოს ეკითხებოდა, ვთქვა თუ არაო.

— თქვი, ნუ გეშინია. უცხო აქ არავინაა. ბალდანი ჩვენი კაცია.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ეშმაკმა მოძღვარმა დამირანს უბრძანა, მაინცდამაინც ნუ ენდობი ბალდანს და კარგად დააკვირდიო. „ძვირფასი ნივთის დაკარგვასა და შემდეგ თმების გლეჯას, ჯობს საერთოდ არ გქონდეს იგი", — ჭკუას არიგებდა დამირანს — თავის მარჯვენა ხელს.

— თავმჯდომარე სედი ცხენიდან გადმოვარდა, ფეხი უზანგში გაეჩხირა, გაფიცხებულმა ცხენმა შორს გაათრია და სედი დაიღუპა. სწორედ ამ სამწუხარო ამბის შესატყობინებლად მოვედი თქვენთან.

ხამბა-ლამას მაშინვე შეეფაკლა სახე და ღიმილი მოეფინა. მაგრამ როგორც იმ რელიგიის მიმდევარმა მაღალმა სასულიერო პირმა, რომელიც ყოველგვარი ნაძალადევი სიკვდილის წინააღმდეგია, დაიწყო ჯადო სიტყვების ჩურჩული: „საბრალო, დაე. შემდგომი მისი გადასახვა იყოს ბედნიერი". ბალდანს მიუბრუნდა:

— რას იტყვი ამის თაობაზე?

— ყველაფერი გასაგებია. უბრძანეთ, დაწვრილებით გვიამბოს: ვინ შეასრულა, როდის და როგორ მოსპეს კვალი? ყოველი ჩვენი მოქმედება შესაფერ რეზონანს გამოიწვევს დაზვერვის სამმართველოში, ხარბინში და მის ფილიალში — ხაილარში. აბა, დაიწყეთ!

— მოყევი, ტაიჯი, — გაამხნევა დამირანი ხამბა-ლამამ.

დამირანი შესამჩნევად ღელავდა. მან დელის ზედა ღილები შეიხსნა, ნერწყვი გადაყლაპა, გამშრალი ტუჩები მოილოკა და დაიწყო:

— ჩვენი მოძღვრის დავალებით სედი უნდა მომეკლა. ის ედიდეს ზეგავლენას ახდენდა არატებზე. მაგრამ ბებერი ვარ და, ცხადია, ჩემთვის ძნელი იქნებოდა ამ მძიმე დავალების შესრულება. ამიტომ ვიპოვე შესაფერი კაცი, ჩვენი ერთგული თანამოაზრე, რომელიც ჩვენსავით დაზარალდა ახალი ხელისუფლებისაგან.

— მაინც ვინ იპოვეთ, პატივცემულო დამირან? — ბალდანი მოუთმენლად ირტყამდა ხელისგულს ჩექმის ყელზე.

— წითურსახიანი ლუვსანი. სახალხო ხელისუფლებამდე ის ყველაზე მდიდარი კაცი იყო ჩვენს ხოშუნში[1]. ახალმა ხელისუფლებამ

[1] ხოშუნი — მაზრა.

ლატაკებს დაურიგა მისი ურიცხვი ნახირი და ჯოგი, მას მცირეოდენი რამ დაუტოვა. ერთი სიტყვით, ჩემი ბედი ეწია...

— არ მომწონს თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი, — გაბრაზდა ბალდანი. — ყოველი სულელი ხომ მაშინვე ლუესანზე მიუთითებს! შესაძლოა, ვიდრე ჩვენ აქ ენას ვატარტარებთ, ის უკვე დაიჭირეს. იდიოტები! არც ერთი დავალების შესრულება არ შეუძლიათ პროფესიულად!

ტაიჯის დანაოჭებული სახე წითელი ლაქებით დაეფარა, ხელები აუკანკალდა, ჩაწყვეტილი ხმით სცადა თავის მართლება ყოვლისშემძლე იაპონიის მოციქულის წინაშე.

— ნუ გეშინიათ, არავინ შეიტანს ჩვენში ეჭვს. ჩვენს მხარეში ამგვარ შემთხვევას ბევრჯერ ჰქონდა ადგილი. ზოგჯერ გამოცდილი მხედრებიც ასე იღუპებოდნენ ველზე. და არ მახსოვს, ვინმეზე ეჭვი მიეტანოთ... თანაც ლუესანი დაქირავებული მკვლელი არაა. ის ერთგული კაცია და თვითონაც დაინტერესებულია ჩვენი წმინდა საქმით.

ბალდანს სურდა საკუთარი ხელით დაეხვრიტა ეს ნაძირალები, ლოცვებს ამოფარებულნი მიწაზე ბოროტებას რომ თესდნენ და ადამიანის მკვლელობაზე ისე გულდამშვიდებით მსჯელობდნენ, თითქოს შემწვარი ხორცის ნაჭერზე ლაპარაკობენო. მას ძალიან ეცოდებოდა პატიოსანი, პრინციპული და ჭკვიანი თავმჯდომარე სედი, მეტისმეტად კეთილი, სხვისი მწუხარებისადმი გულისხმიერი კაცი, ვისი ფიქრებიც მუდამ ხალხს დასტრიალებდა თავს. ხალხის ბედნიერებისათვის მგზნებარე მებრძოლი საზიზღარი მკვლელობისაგან რომ ვერ დაიცვა, ბალდანი თავს დამნაშავედ გრძნობდა და გულზე სევდა აწვებოდა.

* * *

ამ დროს ცულტემი სომონის ცენტრისაკენ მიაჭენებდა ცხენს, სომონის სამმართველოს შენობასთან რომ მივიდა, ზედ კართან ჩამოხტა ცხენიდან და სომონის თავმჯდომარის კაბინეტში შევარდა.

— ამხანაგი სედი მოკლეს. საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდა, ცხენიდან გადმოაგდეს, ფეხი ავეანდში ჩაუდეს, ცხენს კი ისე მაგრად გადაუჭირეს მათრახი, რომ გავაზე მუქი ზოლი დააჩნდა და ისიც დაოთხილი გავარდა. ვიცი, ვისი ნამოქმედარიც არის მაგრამ ჯერჯერობით მტკიცებები არა მაქვს.

სომონის თავმჯდომარე ადრე მაზრის მწერლად მუშაობდა და ბუნებით დინჯი კაცი იყო. მაგრამ ეს ამბავი რომ გაიგონა, მაშინვე ფეხზე წამოხტა.

— რას როშავ? რა მკვლელობა შეიძლება მოხდეს იმ მხარეში, სადაც ყველას სწამს ბურხანი, რომელიც კრძალავს ადამიანზე ძალადატანებას?! თავის დღეში არ გამიგონია მკვლელობის შესახებ!

— არ ვროშავ, თავმჯდომარევ! ზოგიერთ ყოფილ ფეოდალს სძულდა სედი! კარგა ხანია მასზე კბილებს ილესავდნენ და ემუქრებოდნენ. თქვენ ჩემზე უკეთ იცნობდით სედს; მთელი სულითა და გულით ხალხისკენ იყო, იბრძოდა ჩვენი ხელისუფლებისათვის, გასაქანს არ აძლევდა მის მოწინააღმდეგეებს.

— ამ საქმეს გავარკვევთ, ცულტემ.

— თავმჯდომარევ, კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ. ახლა ჩვენთან ახალი სუბურღანისა და მისი ასაგები შესაწირების გარღა არაფერზე ლაპარაკობენ. ნეტა სულ აგეკრძალათ ეს სუბურღანი! ჩემი აზრით, ხალხმა ჭამასაც კი დაანება თავი ამ მითქმა-მოთქმის გამო.

— არ შეიძლება. აბა იფიქრე, რამდენი საუკუნე ცხოვრობდა ხალხი სიბნელსა და უმეცრებაში. მათთვის ხანიც კი ცოცხალი ღმერთი იყო! ხალხს კიდევ სჯერა გარდასახვისა და სიკვდილის შემდეგ უკეთესი ცხოვრებისა. მარტო ბრძანებით აქ ვერას გახდები. კონკრეტული მაგალითებით უნდა ავუხსნათ ყოველგვარი სუბურღანის მავნეობა და ნათლად ვაჩვენოთ, რაოდენი სიკეთე და ბედნიერება მოუტანა ხალხს რევოლუციურმა ხელისუფლებამ, რომელმაც სიბნელიდან სინათლისაკენ გაუხსნა გზა. გაიგე, შვილო?

12

როგორც დამირანი ირწმუნებოდა, სოფელში არავინ ეძებდა თავმჯდომარე სედის მკვლელ ბოროტმოქმედს. ყველას მიაჩნდა, რომ ეს კეთილი კაცი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა და გულწრფელად უსურვებდნენ ბედნიერ გარდასახვას. მხოლოდ ცულტემს არ სჯეროდა, რომ ხშირ შორეულ გზებზე მისვლა-მოსვლაში გასავათებულ ცხენს, რომელიც მიჩვეული იყო პატრონის ყოველი სურვილის შესრულებას, ყოველგვარი მიზეზის გარეშე ჩამოეგდო ისეთი მომაკვდავი მხედარი, როგორიც სედი იყო. ის დარწმუნებული იყო, რომ თავ-

მჯდომარის სიკვდილი გახლდათ მისი მტრების, ყოფილი ფეოდალებისა და მდიდრების მიერ დანთხეული ბოღმა, რომლებმაც უბირი არატების სისხლით მოპოვებული სიმდიდრე დაკარგეს. ცულტემმა დაიფიცა, რომ მოძებნიდა თავმჯდომარის მკვლელებს და კანონის მიხედვით მიუზღავდა.

* *

ბალდანმა ცენტრს აცნობა გასული ღამის სამწუხარო ამბები და გადაწყვიტა ჯერჯერობით ხელი არ ეხლო ლუვსანისათვის.

ხოტონებსა და აილებში ბალდანი გომპილის ფურგონით დადიოდა, რომელშიც ორი ხარი იყო შებმული და მორწმუნეებისაგან შესაწირს აგროვებდა, თან ზუსტად აღრიცხავდა, ეინ რამდენი მისცა. ხშირად გომპილიც თან დაჰყავდა. მაშინ ბალდანი ცხენზე ჯდებოდა, გომპილს კი ფურგონი მიჰყავდა. ერთხელ, ველსა და ხეობებში ერთმანეთისაგან კარგა გვარიან მანძილზე დაშორებული რამდენიმე აილი რომ შემოიარეს, ისინი გაემართნენ ხოტონისაკენ, სადაც ლუვსანი ცხოვრობდა. ბალდანმა ცხენს დეზები ჰკრა და გაეარდა. ლუვსანის ალაყოჩში რომ შეეიდა, მასპინძელმა ტრადიციული, ნაღებით შეზავებული, ერთი ფიალა ჩაი მიართვა. მხოლოდ ამის შემდეგ აუხსნა ბალდანმა თავისი მოსვლის მიზეზი და ლუვსანს ჭარხლისფერ სახეზე მაშინვე გაუქრა დაძაბული გამომეტყველება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — დაიწყო თავის ქნევა, — ღირსეულო ბალდან, ასეთ წმინდა საქმეში როგორ არ შევიტან საკუთარ წვლილს. შესაწირებისათვის ბურხანი განსაკუთრებული წყალობით გვაჯილდოვებს თავის მორჩილთ. თითოეული იმდენს გაიღებს, რამდენიც შეუძლია. — ლუვსანი გასწორდა, მკერდი წინ წამოსწია და მეზობლების გასაგონად თქვა: წმინდა სუბურღანის ასაგებად ვიძლევი ორ დიდ კამეჩს, ხუთ ცხენს, ას ტუგრაკსა და კრაველის ოცდაათ გამოყვანილ ტყავს. დაე, განიწმინდოს ჩემი ცოდვები, დაე, დამლოცოს ყოვლისშემძლე ბურხანმა!

ბალდანმა დიდის ამბით გადაუხადა მადლობა ასეთი წვლილისათვის და მასპინძლის შემდეგ ტრადიციისამებრ გაიმეორა: „დაე, აღსრულდეს! დაე, აღსრულდეს!“

ფურგონის მოლოდინში, რომელსაც ზანტად მოათრევდა ორი

ხარი, ბალდანი მეზობელ ალაყოჩში შევიდა. იქ ყველაფერი სილატაკეზე მეტყველებდა: ორი უმიჩიგდანო თვითნაკეთი დაბალი საწოლი, პატარა, შეუღებავი ვიწრო მაგიდა, რამდენიმე უკიდურესად დაქექილი, გაზითხული ლეიბი, სარკის ნატეხი, რომელიც საკურთხეველზე იდო და განჯინის მაგიერი ორი-სამი ხის ჩემოდანი — ეს გახლდათ მთელი მოწყობილობა. მარცხნივ, მამაკაცის ნახევარზე, ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი და ჩიბუხს ექაჩებოდა. რკინის პატარა ღუმელთან ფუსფუსებდა ქალი, რომელსაც იაფფასიანი დალემბის დელი ეცვა. ორივენი განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე ისმენდნენ მოსულის სიტყვებს ახალ სუბურღანზე.

— შესაწირის გაღება, ალბათ ნებაყოფლობითი საქმეა, არა? — მოულოდნელად უხეშად ჰკითხა ახალგაზრდა მასპინძელმა.

— რასაკვირველია, ნებაყოფლობითია.

— მაგრამ რომ არაფერი მოგცეთ, მაშინ რა მოხდება?

— შეგიძლიათ არ მოგვცეთ. ძალით ვერავინ გაიძულებთ. უფლება არა აქვთ.

— არც არაფერი გვაბადია. ასეთ შემთხვევაში კი ბურხანი არ გვიბოძებს თავის წყალობას. ჰოდა, არცაა საჭირო. ისედაც ვიცხოვრებთ.

— სანდაგ, სანდაგ! — ბოისმა გარედან.

— შემოდით, — დაუძახა მასპინძელმა და დედაბერმა ყოყმანით გადმოაბიჯა ალაყოჩის ზღურბლს.

— დამეხმარე, შვილო, სანამ ცოცხალი ვიქნები, არასოდეს დავივიწყებ შენს სიკეთეს. შენს გარდა ვის მივმართო, შვილო, დასახმარებლად.

— რა მოხდა, ბებო! ნუ ღელავთ, აი, აქ დაჯექით, — მიიპატიჟა ახალგაზრდა ქალმა.

— სუბურღანს აგებენ, შვილო. მე კი ღვთის შესაწირი სრულებით არაფერი მაბადია. შერცხვება ჩემი ჭაღარა თავი, ისედაც უბედური ცოდვილი ვარ. მომეცი რაიმე, შვილო, არასდროს დაგივიწყებ.

დედი, ხომ არავინ გვაიძულებს სუბურღანისათვის შესაწირის მიცემას, თქვენ კი კარს ატალახებთ და მოწყალებას ითხოვთ. დაე, ვისაც სურს, იმან მისცეს, ჩვენ კი ეს არ გვეხება. ეს-ესაა წელში ვიმართებით და თავადაც არაფერი გაგვაჩნია.

— რომ მცოდნოდა, უარს მეტყოდი, არ მოვიდოდი შენთან, — იწყინა მოხუცმა.

— ..ნუ გწყინს, დედი, უმჯობესია აი, ამ კაცს ჰკითხო, — მან ბალდანზე მიუთითა, — ის ამბობს, სუბურღანისათვის შესაწირის გაღება ნებაყოფლობითი საქმეაო, ხოლო რადგან თავად აგროვებს შესაწირებს, ამიტომ მან ყველაზე უკეთ იცის. იგი მონასტრიდანაა.

— სრული სიმართლეა, ბებიკო, — დაეთანხმა ბალდანი.—თქვენი საცოდავი, უმნიშვნელო შესაწირისთვის რატომ უნდა ჩაიგდოთ თავი ვალებში? თქვენისთანების მაგიერ ლუვსანმა სრულად გაიღო შესაწირი.

— შვილო, საინტერესოა. რა მოგცათ ჩვენმა მდიდარმა? — წაიჩიფჩიფა დედაბერმა. ხოლო როდესაც ბალდანმა დაწვრილებით ჩამოთვალა ლუვსანის გულუხვი შესაწირი, ტაში შემოჰკრა.

— ღმერთო ჩემო! მთელი სიცოცხლე წელში ვწყდებოდით ამ ძუნწი და უჯიათი კაცისათვის. და მრავალი წლის მძიმე შრომისათვის რაც მისგან მიმიღია, ერთად რომ შევკრიბოთ, იმის ნახევარიც არ იქნება, რაც სუბურღანის ასაგებად გაიღო. რა უცნაურადაა მოწყობილი ქვეყანა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ამ წყეულმა მდიდარმა არ იცის, რა არის ხელებგაშვერილი სიარული და ეს იმიტომ, რომ თვითონაც იშვიათად დაუდეია რაიმე სხვის ხელისგულზე. გასულ წელს, მისი თეფშიდან მხოლოდ გამხმარი არულის[1] პატარა ნაჭრის აღებისათვის, ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა ჩემი პატარა შვილიშვილი. წარმოგიდგენიათ, ასეთი ძუნწი, და უცებ ასეთი გულუხვობა. ხელგაშლილობა. ალბათ, მიხვდა, რომ ყველა მისი ცოდვისათვის უბედური გარდასახვა და ცუდი ბედი ელის. ჰოდა, ბურხანის გულის მოგება უნდა. მე თუ მკითხავთ, დაე, სიკვდილის შემდეგ ძაღლად გარდაისახოს!

დედაბერი კიდევ დიდხანს ლანძღავდა და არცხვენდა წითურსახიან ლუვსანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბალდანს რომ მოეთხოვა სუბურღანის ასაგები შესაწირი, მაინც წავიდოდა ლუვსანთან და ფეხებს აულოკავდა ცისფერი ხადაგის ნაჭრისათვის. დაუოკებელი იყო მისი სურვილი, შესაწირით გამოეხატა თავისი ღრმა რწმენა ბურხანისადმი.

— ბებო, თუკი თქვენი ოჯახი მრავალი წლის მანძილზე ემსახუ-

---

[1] კერი, გამშრალი ხაჭოს ნაჭერი.

რებოდა ლუვსანს, მაშინ, გულწრფელად შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ მის გულუხვ შესაწირში თქვენი წილიც არის, — ცდილობდა ბალდახი საწყალი მოხუცის დამშვიდებას.

— ძალიანაც კარგი, დიდება ბურხანს. აბა, წაეედი.

დედაბერმა ათი ნაბიჯის გავლაც ვერ მოასწრო, რომ ლუვსანმა დაუძახა. ქალი ყოყმანით მიეიდა მასთან და იაფფასიანი ჩინური ოდეკოლონისა და ღვინის საზიზღარი სუნი ეცა.

— უკნიდან რომ შეგხედოს კაცმა, ოცდახუთი წლის პატარძალს გავხარ! — ლუვსანმა გადაიხარხარა. — ამდენ ხანს რას აკეთებს იქ ის კაცი? — მან იმ ალაყოჩისკენ მიუთითა, საიდანაც ეს-ეს იყო მოხუცი გამოვიდა. — რას ლაპარაკობს, ჰა?

— რა უნდა თქვას? სუბურღანისათვის შესაწირს აგროვებს აილებიდან. ჩვენგან კი რა უნდა აიღოს, — მან ამოიხვნეშა და წასვლა დააპირა.

— მოიცა. შენ რა, არაფერი შეგიწირავს წმინდა და ყოვლისშემძლე სუბურღანისათვის? განა შეიძლება? ეს დიდი ცოდვაა და შენი შვილიშვილებიც კი ვერ გამოისყიდიან. — ლუვსანმა უბე მოიქექა, გაძეძგილი საფულიდან ერთი ტუგრიკი ამოიღო და მოხუცს გაუწოდა.

— აჰა, ერთი ტუგრიკი მაინც დადე. ჭეშმარიტ სიკეთეს ანგარიში არ უყვარს. აიღე! მაინც საით მიდიხარ?

— ცხვრებთან.

— მაშინ ჩვენთან შედი, იქ ორი ბატკნის ტყავი დევს და წაიღე. საძოვარზე მეტი საქმე მაინც არ გექნება. უსაქმოდ ჯდომას, ერთი კარგად მოქენი, რომ არ გაუხეშდეს.

მოხუცი მიჩვეული იყო, მდიდრებისაგან მიღებული ნასუფრალისათვის მძიმე და მომაბეზრებელი სამუშაო რომ უნდა შეესრულებინა. ამიტომ ახლაც, ტუგრიკი რომ გამოართვა, წითურსახიანს ხოტბა შეასხა; დიდი ხნის სიცოცხლე და ბედნიერება უსურვა, და იმ ალაყოჩში შევიდა, სადაც ბალდანი იჯდა. მაგრამ ბალდანმა გადაჭრით უთხრა უარი ტუგრიკის აღებაზე.

— თქვენთვის იყიდეთ რამე. ჩვენ ხომ შევთანხმდით. ოღონდ ლუვსანისათვის არ უნდა გეთქვათ.

დედაბერმა ბატკნის ტყავები აიღო და ბოროცვების ფერდობებზე შეფენილი ცხვრის ფარისაკენ წაჩანჩალდა.

— ეს ქალი მარტოხელაა? — ჰკითხა ბალდანმა ახალგაზრდა მასპინძელს, როდესაც მოხუცი გავიდა და კარი მიიხურა.

— მარტოხელაა. აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც მისი ბერიკაცი გარდაიცვალა. ისიც მდიდარი ლუესანის მსახური იყო. ჯოგს აძოვებდა. ზამთარში მთებში ქარბუქმა მოუსწრო და გაიყინა. მისი სიკვდილის შემდეგ დედაბერს ლუკმის მიმტანი აღარავინ ჰყავდა და იძულებული შეიქნა ლუესანს ხლებოდა სათხოვნელად. ახლა მის ცხვარს აძოვებს.

— ნუთუ არა რცხვენია, თავის ცხვრებს ასეთ მოხუცს რომ ამწყემსვინებს? ის ხომ ძლივს მიათრევს ფეხებს.

— ჰო, ეს სულ დრომოჭმული სამყაროს...

— ეს გასაგებია. მაინც რატომ ამბობთ უარს სუბურღანის შესაწირზე?

— რატომ არ შემოგვაქვს შესაწირი? თუ მოვისურვებდით, აუცილებლად შემოვიტანდით. იმ დედაბერივით ღარიბები როდი ვართ. მაგრამ ჩვენ, შეიძლება ითქვას, თითქმის არა ვართ მორწმუნენი. მერე რა?

— ისე, არაფერი. უბრალოდ, მაინტერესებს. მაშ, თქვენ არა ხართ მორწმუნენი? უცნაურად მეჩვენება თქვენგან ასეთი სიტყვების მოსმენა. ამ მხარეში არამორწმუნე კაცი დიდი იშვიათობაა.

— ჰო, როდესაც დრო მაქვს, მეც ვლოცულობ. არ დაგიმალავთ. დრო თუ მაქვს, რატომ არ უნდა ვილოცო ბურხანზე? მაგრამ არა მჯერა, რომ სუბურღანის აგებამ სარგებლობა მოუტანოს ხალხს. ჩვენი ცხოვრება ერთ ადგილზე როდი დგას, წინ მიდის. და ძველის დაცვრუნებას აღარ ვაპირებთ.

მოისმა ხოტონის ძაღლების შეწყობილი ყეფა და ურმის ჭრიალი.

— აბა, დროა წავიდე. — ბალდანი წამოდგა პატარა სკამიდან. დაუპატიჟებელი სტუმარი არავის დაუკავებია. მასპინძელი დროდადრო მდუმარედ ეწეოდა ჩიბუხს და ბალდანის გასაცილებლად არც კი წამომდგარა.

მთელი დღის გატანჯული ხარები ძლივს მოჩანჩალებდნენ. გვერდით მოყვებოდა გომპილი. დელის კალთები ქამარში ჰქონდა ჩატანებული, სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი. ძაღლების ყეფაზე კარვიღან ლუესანიც გამოვიდა. გომპილთან ის და ბალდანი თითქმის ერთდროულად მიეიდნენ და ხარების გამოხსნაში დაეხმარნენ.

— ჩემს სახლში შემობრძანდით, — მოუბოდიშა ბალდანს, — ნახეთ, როგორ დაქანცულა თაკარა მზის გულზე თქვენი თანამოღვაწე. ცოტა დაისვენეთ, წმინდანნო. სად გეჩქარებათ? თუ გსურთ — ჩემთან გაათიეთ ღამე და ხვალ დილაადრიან წაბრძანდით ბარის მეზობელ ხოტონებში, იქ შეძლებული ხალხი ცხოვრობს, ოქრო აქვთ.

ბალდანმა და გომპილმა კამეჩები ფარდულის ქვეშ, ჩრდილში დაბეს და ლუვსანთან შეეიდნენ. მან ისინი საპატიო ადგილზე დასვა და ცოლს გასძახა:

— ეი, გასაგრილებელი გაქვს რამე? ყველაფერი მოიტანე. ვერ ხედავ, როგორი დაქანცულები არიან ჩვენთვის, ცოდვილთათვის გაჭირვილი ადამიანები? რაც კარგი გაქვს, ყველაფერი მოგვიტანე!

— მომაქვს, მომაქვს, — გამოეხმაურა ცოლი. — პირველად რას დალევთ: ცხელ ჩაის, თუ ცივ ხიარამს[1]?

— ნაღებიანი ჩაი მოგვართვი.

როგორც კი სტუმრებმა ჩაი მოსვეს, ცოლმა მაშინვე დაუდგა წინ გამთბარი რძის არყით სავსე დოქი, სამი ფიალა ჰედურობის ფიალა და ცოტა საუზმე. ლუვსანი არასოდეს უშვებდა ხელიდან ერთი-ორი პატარა ფიალა არყის გადახუხვის შესაძლებლობას. ენა მაშინვე ამოიდგა, როგორც კი შენიშნა, ბალდანი ინტერესით ათვალიერებდა ვერცხლის მოხატულობას ფიალაზე, ლუვსანმა დაუყოვნებლივ წაიტრაბახა:

— ეს ყველაფერი აწ განსვენებული დედისა და მამის მემკვიდრეობიდანაა. მე ხომ ამ დამთხვეული მათხოვრებისთანა არა ვარ. საკონელიც ბევრი მყავს და, ფული და ოქროც მაქვს. ბურხანის გულისათვის, წმინდა სუბურლანის ასაგებად მზად ვარ კიდევ დავამატო იმას, რაც უკვე მოგეცით. ოღონდ განვიწმინდო ჩემი ცოდვებისაგან. დაე, ჩემი შემდგომი გარდასახვა ახლანდელივით ბედნიერი იყოს... ახალ ხელისუფლებას არაფერს მივცემ.

— მართლაც და ბურხანის წმინდა მარჯვენით მინიშნებულ ვარსკვლავზე ხართ დაბადებული, რათა ჩვენი სარწმუნოება დაიცვათ. თქვენისთანა კაცს ბურხანი ყველაფერს შეუნდობს და დიდ წყალობას მოანიჭებს.

— საერთოდ კი, მონასტრის ლამებისათვის ძალზე საჭირო კაცი ვარ, ისინიც მაძლევენ პასუხსაგებ დავალებებს...

---

[1] ხიარამი — რძიანი ადუღებული წყალი, რომელსაც ზაფხულში წყურვილის მოსაკლავად სვამენ.

— მოგვიტევეთ, პატივცემულო მასპინძელო, ჩვენი წასვლის დროა. პატივსაცემმა ხამბა-ლამამ გვიბრძანა, შეუსვენებლივ ვიმუშაოთ, რათა შესაწირის შეგროვება რაც შეიძლება მალე დავამთავროთ. ურჩობას ვერ გავუბედავთ.

— ჩემთან გაათიეთ ღამე! თუ დაგაგვიანდათ, ახლო-მახლო ვერც ერთ წესიერ აილს ვერ იპოვით ღამის გასათევად. თორემ, ბურხანმა ნუ ქნას, ღამემ იმ ხოტონში მოგისწროთ, სადაც ერთი გადარეული, პარტიული ცულტემი ცხოვრობს. ის ჩვენს ძმას პატივს არა სცემს, რბილად რომ ვთქვათ, ცულტემი და აწ განსვენებული სედი მცდარ გზაზე აყენებდნენ აქაურ არატებს. მაგრამ სედი ცოტა ხნის წინ ბურხანმა გაათავისუფლა ამ მოუსვენარი სამუშაოსაგან. თუ ცულტემი არ შეეშვება ხალხის აფორიაქებას, ბურხანი არც მას შეინდობს და სწრაფად გამოასალმებს წუთისოფელს, თორემ ბოლო დროს რაღაც ძალზე აქტიური გახდა. საერთოდ, ჩვენ არასდროს ვყოფილვართ მეგობრები. ანდა რა უნდა გვქონდეს საერთო: მე ბურხანის მორჩილი ვარ, ის კი პარტიის წევრია. ხა-ხა-ხა! ასე რომ, უმჯობესია ჩემთან გაათიოთ ღამე, ჰა?

— მადლობელი ვართ კეთილი სურვილებისათვის. მაგრამ ჩვენი სამუშაო უნდა შევასრულოთ. გმადლობთ ჩაისა და სადილისათვის, ჩვენი ლამების დიდი მხარდაჭერისათვის.

ბალდანი და გომპილი აუჩქარებელი ნაბიჯით გაუდგნენ გზას. ხოტონიდან მნიშვნელოვანი მანძილი რომ გაიარეს, ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

— ჰო, ლუვსანი მართლაც ჩვენი შეურიგებელი, ცბიერი და საშიში მტერია. მას საოცრად სძულს სახალხო ხელისუფლება. ხალხს სულ გლახებს, მათხოვრებსა და ჩამოკონკილებს უწოდებს. აი, ასეა საქმეები, გომპილ.

— ასეთი ხალხი გაშმაგებულ გველზე უარესია. ისინი უნდა ამოვძირკვოთ ჩვენი ცხოვრებიდან.

13

სახელმწიფო უშიშროების კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი ოპერატიულ მასალას გაეცნო და ორი თანამშრომელი გამოიძახა:

— ეს რა ხდება, ამხანაგებო? — აშკარად უკმაყოფილო იყო თავისი თანამშრომლების მუშაობით. — რახან ხუბილგან დოვჩინი არ დააპატიმრეთ, უპირველეს ყოვლისა, ვალდებული ხართ თვალი არ მოაშოროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზოგიერთ ელემენტს პასუხისმგებლობიდან თავის დაღწევისა და მიმალვის საშუალებას მივცემთ. ერთ ღამეში დაიწვა უხუცესი რევოლუციონერის აილი, მაღაზია და ახალი სკოლის შენობა. რას უყურებდით? როგორ დაუშვით ასეთი რამ?

ორი ახალგაზრდა თანამშრომელი თავჩაქინდრული იდგა და არ იცოდნენ, რა ეთქვათ თავის გასამართლებლად.

— აი, ამხანაგი პურევჟავი მშვენივრად მუშაობს. სახელმწიფო დამნაშავეთა მთელი ბანდა სააშკარაოზე გამოიყვანა და წარმატებით მიჰყვება მათ თანამონაწილეთა კვალს. თქვენ კი როგორ ეხმარებით მას? — ტუქსავდა ის ახალგაზრდებს.

— დამნაშავე ვართ, ამხანაგო მაიორო. თვალი რომ არ მივადევნეთ. ამიერიდან შეეეცდებით, უფრო ოპერატიულად ვიმუშაოთ.

— ხუდონიდან ცნობა მივიღე იმის თაობაზე, რომ დაუსჯელმა ანტირევოლუციონერებმა ყველგან თავი წამოყვეს და, იყენებენ რა არატების ჩამორჩენილობასა და მათ დიდ რწმენას რელიგიისადმი, არაფრის წინაშე უკან არ იხევენ, რათა სახალხო ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება გამოიწვიონ. უკვე არიან ამ ბინძური კომპანიის პირველი მსხვერპლნი. დამნაშავეებმა შეთქმულებაში ჩაითრიეს ბევრი მდაბიო, ყველაზე ჩამორჩენილი არატები, რომელიაც ბანდიტები ბრმა იარაღად იყენებენ. თქვენი ამოცანაა — გადაარჩინოთ გზააბნეულნი. მეორე: ხუბილგანს ულან-ბატორში ბევრი თანამონაწილე ჰყავს. გააძლიერეთ მეთვალყურეობა და ყოველდღიურად პირადად მომახსენეთ. მესამე: ხალხს აუხსენით ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მოსახლეობის საცხოვრებელი და კულტურული დონის განუხრელი ზრდისაკენ. ამ საქმეში დაეყრდენით აქტივისტებს.

— სად ვიპოვოთ ეს აქტივისტები? — უნდობლად ჰკითხა ერთ-ერთმა იქ მყოფმა.

— როგორ თუ, სად ვიპოვოთ? — მაიორი გაბრაზდა. — უფრო კარგად გაახილეთ თვალები, ისინი ყველგან არიან. არა მარტო არატებს შორის, არამედ, თუ გნებავთ, მონასტრის ლამებს შორისაც ვპოვით. — მან თითები მაგიდაზე აათამაშა და შემდეგ, უკვე უფრო

მშვიდად განაგრძო: — სედის მკვლელი ნაპოვნია, ეს არის ყოფილი მდიდარი და ცხენებით მოვაჭრე ლუვსანი. ყველა სამხილი სანეზეა. ავიყვანოთ.

ამხანაგმა პურევეკავმა გვთხოვა ჯერჯერობით თავი დავანებოთ ლუვსანსა და ტაიჯი დამირანს.

— ჩვენი ამხანაგი პურევეკაი კარგი მზვერავია, შეიძლება ითქვას, განყოფილების სიამაყეა, — და მაიორმა სიცილით დაუმატა,— იაპონელი ბატონებიც აქებენ და დიდად აფასებენ მის დამსახურებას.

მაიორის ამ ხუმრობით ნათქვამმა სიტყვებმა საერთო გამოცოცხლება და სიცილი გამოიწვია.

— ამხანაგო მაიორო, გამგზავნეთ მასთან თანაშემწედ. — სთხოვა ერთ-ერთმა ახალგაზრდა თანამშრომელმა.

— თანაშემწეები მას საკმარისად ჰყავს, ამაზე წინასწარ ვიზრუნეთ. საქმე კი აი, რა არის: იაპონელები მოითხოვენ სუბურლანის საფუძვლის ჩაყრის ადგილის კურთხევა მომავალი წლის შემოდგომაზე გადაიდოს. რას ფიქრობთ, რატომ შეცვალეს ასე უეცრად თავიანთი გადაწყვეტილება?

— ჩანს, დრო სხვა საქმისთვის სჭირდებათ, — თავისი აზრი წარმოთქვა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

— შესაძლოა, სუბურლანის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალზე ახლად გამომცხვარ ხალხასეთის ხანსა და კონონიკს, ლამა დამდინოჩირს ელოდებიან, — ივარაუდა მეორემ.

— იქნებ, ასეცაა. ვნახოთ. მანამდე კი ჯეროვნად მიხედეთ ხუბილგან დოვჩინს, გამოავლინეთ ყველა, ვინც კი მასთან არის დაკავშირებული და მაშინვე მომახსენეთ. ამით ვამთავრებ. თავისუფალი ხართ. მე კი პურევეკავს დავუკავშირდები.

* * *

ბალდანმა თითქმის ერთდროულად მიიღო სახელმწიფო უშიშროების მაიორის შეტყობინება და ბატონ ინოკუზის დაკალება. იაპონელი აჩქარებდა ბალდანს, უბრძანებდა, დაუყოვნებლივ დაეწყო დივერსიულ-ტერორისტული აქტები აღმოსავლეთ საზღვართან განლაგებულ ჯარების ნაწილებში. ბრძანებდა ჰებისა და სასმელი წყაროების მოწამვლას, იარაღისა და სურსათის საწყობების აფეთქება-

სა და ცეცხლის წაკიდებას, მხედართმთავრების მოსპობას; ხან დამდინ-ოჩირის რჩევით ამ სამუშაოში უნდა ჩაებათ ტაიჯი დამირანი, როგორც განსაკუთრებით სანდო და გათვითცნობიერებული პირი.

ლამების არათანმიმდევრულ საქციელს შეჩვეული ბალდანისათვისაც კი სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი ბრძანება. ვიდრე ხამბა-ლამას ინოკუზის ბრძანებას გადასცემდა, მან გადაწყვიტა გომპილს მოთათბირებოდა, მით უმეტეს, შორეულ აილებში მგზავროობისას არავინ უშლიდათ ხელს მტკიცნეული საკითხები გულდასმით განეხილათ.

ქვიან გზაზე ნელ-ნელა მირახრახებდა ურემი. ასევე დინჯად საუბრობდა შესაწირის ორი შემგროვებელი.

— ეს ცულტემი ძალიან ყოჩაღია, ცეცხლივით ბიჭია! მისი ხოტონიდან არავის არაფერი მოუცია, აშკარად ჩანს, რომ ეს ცულტემის მუშაობის შედეგია. ძალიან კარგად შეგვხვდა, — გაეცინა გომპილს.

— ჰო, პირდაპირ გვითხრა, ნუ ძარცვავთ ხალხს, ვიდრე ცოცხლები ხართ, აქედან წაეთრიეთო. ოჰ, ყოჩაღ! აი, ყოველ ხოტონში რომ იყვნენ ცულტემისთანა აქტივისტები, მაშინ ლამები ვერაფერს გახდებოდნენ. სწორედ მაგისთანებს უნდა დავეყრდნოთ. მაგრამ ასე უცბად არ დაგვიჯერებს, რადგან მეტისმეტად სძულს მონასტრის ლამები.

— ყური მიგდე, გომპილ, შევეცდები მოძღვარი დავარწმუნო, რომ აუცილებელია შენი გადაყვანა სხვა სამუშაოზე.

— რა სამუშაოზე?

— მინდა, შენც ჩემსავით ხაზინადრად დაგნიშნონ. სუბურღანისათვის შემოწირულ ფასეულობებს შეკრებ და აღრიცხავ.

— გავართმევ კი თავს?

— უეჭველად. ჩვენ შორეული გზები გველის, ხოლო წყლის მზიდავს თუ ძალზე ხშირად წავიყვან, შესაძლოა, ვინმეს თვალში მოხვდეს

— რა გაეწყობა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

• • •

საღამოს გავარვარებული მზე მთებს მიეფარა და დედამიწა ღამის სიგრილემ მოიცვა. ბალდანი თავისი ფიცრულიდან ეზოში გავიდა, რათა სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა. ზოგჯერ საშინელი ნაღველი შემოაწვებოდა ხოლმე ოჯახსა და ცოლ-შვილზე. ახლაც სევდამ მოიცვა მისი გული. დიდ, ცივ ქვაზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე შემოიჭდო და თვალები დახუჭა. და მაშინვე, თითქოს ცხადად, დაინახა საკუთარი სახლი. „საყვარელო, კეთილო, ძვირფასო, — ფიქრებში მიმართავდა ცოლს, — მარტო როგორ ართმევ თავს პატარების მოვლას? ნუთუ მომავალი წლის შემოდგომამდე ვერ განახავ? გამომგზავრების წინ წესიერად ვერც კი დავემშვიდობეთ ერომანეთს. ნუ გამიჯავრდები, ძვირფასო. ვიცი, გიჭირს, მაგრამ მწამს, რომ სამშობლო, რომელმაც აქ გამომგზავნა, არ მიგატოვებს და ეს რწმენა ძალას მმატებს. — ბალდანმა თვალები გაახილა და მოეჩვენა, რომ ცას ვარაკვლავი მოსწყდა, — ეს ბედნიერების მომასწავებელია“, წამოდგა, ცოტა კიდევ გაიარ-გამოიარა ეზოში და ფიცრულში დაბრუნდა. ის სარგებლობდა მონასტრის ლამების ჩამორჩენილობითა და უვიცობით, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ გადამცემზე და შედარებით ცოტა ხნის წინ გაიგეს რადიოს შესახებ, ამიტომ ცენტრსა და იაპონელებს პირდაპირ თავისი პატარა ოთახიდან გადასცემდა ცნობებს.

აი ახლაც, დათქმულ დროს ბალდანმა გადამცემი მაგიდაზე დადგა და კოდი აკრიფა. მიწოდების ნიშანი გაიგონა თუ არა, დაშიფრული დეპეშა გადასცა: „დავალება მივიღე. ვიწყებ ოპერაციას. ბატონ ინოკუზის ვთხოვ ეს ამბავი მიაწვდინოს ხალხასეთის ხანს დამდინ-ოჩირს. გადავდივარ მიღებაზე“. პასუხად მოესმა: „გავიგეთ. პასუხს დაელოდეთ ხვალ ამ დროისათვის“. გადამცემი შეინახა, ლოგინში ჩაწვა და დაიწყო ფიქრი იმაზე, რა გზით დაეცდენინებინა ხამბასთვის საიდუმლო ზრახვები, რომელთაც ეს ცბიერი საგულდაგულოდ მალავდა ყველასაგან. ორაჩვეულებრივი ნიჭისა და სიმშვიდის წყალობით, ხამბა-ლამას ამპარტავნობის მიღმა შესანიშნავად შეეძლო თავისი ზრახვების დამალვა და ამავე დროს აბსოლუტურად ყველაფერი იცოდა თავის მორჩილთა შესახებ, თითქოს თვალებში კითხულობს მათ ზრახვებსო. ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ბურხანის ფანატიკურად მორწმუნე უმეცარი არატები ესოდენ მოკრძალებულნი იყვნენ ხამბა-ლამას წინაშე.

* *

შუადღეს მიტანებული იქნებოდა, როცა ბალდანმა თავისი საქმეები დაამთავრა და მოიღვაწეს ეახლა, რათა ახალი ამბები მოეხსენებინა. ხამბა ალაყოჩის ახლოს, პატარა ნოხზე ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა და მზეზე თბებოდა. თვალები მოეხუჭა, გაზეპირებული მოძრაობით ხდიდა სახურავს საბურნუთეს, პატარა ნიჩბით ბურნუთს საჩვენებელ თითზე იყრიდა და ცხვირში იტენიდა. ეს მოძრაობა რამდენიმე ხნის შემდეგ ისევე მეორდებოდა. „ხუბილგანის ყველა საბურნუთე ნეფრიტისაა და ზედ ოქროს გვირგვინი აქვს, ეს კი შავი აქატისაა და ნიჩაბიც კი ოქროსი აქვს. ნეტავ, საიდანა აქვს?“ ბალდანმა ჩაახველა, ხამბას ყურადღება რომ მიეპყრო. იმან მაშინვე გაახილა თვალი და, როგორც ყოველთვის, გაიღიმა.

— ა-ა, თქვენა ხართ ძვირფასო ბალდან? კარგა ხანია, რაც სასიამოვნო ახალი ამბებით არ გაგინებივრებივართ.

— მოგესალმებით, ჩვენო ღირსეულო მამაო, — უპასუხა ბალდანმა და თავი დახარა. ხამბას ახლოს ჩაცუცქდა და მოკლედ გადასცა იაპონელების ბრძანება.

— თქვენი აზრით, იაპონელი ბატონები მეტისმეტად მომთხოვნი ხომ არ არიან? იმ ინოკუზის, ალბათ, წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, თუ რა ფასად გვიჯდება მისი ბრძანებების შესრულება. აი, აიღეთ, თუ გნებავთ, ხუბილგან დოვჩინი. ციხეში ჩაყარა ხალხი და ახლა კანკალი აქვს ატეხილი, ვაითუ მეც ზედ მიმაყოლონო. თუკი ხუბილგანს, ჩვენს გზის მანათობელ ვარსკვლავს, აქამდე ვერ დაუმყარებია კავშირი სხვა მონასტრებთან, სადაც, დარწმუნებული ვარ, ბევრი ჩვენი თანამოაზრე ცხოვრობს, მაშინ რაღა უნდა გავაკეთოთ, ჩვენ, ქვეყნის განაპირას მცხოვრებმა? იაპონელების მოთხოვნა, ერთი წლით გადავდოთ სუბურღანის საფუძვლის ჩაყრის ადგილის კურთხევა, ჩვენში დარჩეს და, ძალზე არასასიამოვნოა. მართლა, რა არგუმენტები მოჰყავთ ვადის გადასაწევად?

— ვერაფერს გეტყვით, ღირსეულო მამაო.

— თუ სამხედრო დახმარების საკითხი დადგება, გადაეცით, რომ სურსათის, ფურაჟის, საზიდრებისა და ცხენების საკითხი ისევე დარჩება, როგორც შეთანხმებული ვიყავით. საქმის ამ მხარეს ჩვენ ეკისრულობთ. გადაეცით, რომ ვეცდებით ყველა ხელმისაწვდომი სა-

შუალება გამოვიყენოთ სასაზღვრო ნაწილების დასასუსტებლად. მაგრამ ჯერ უნდა ვიფიქრო, ვინ ჩავაბა ამ საქმეში. ყველაზე საიმედოდ დამირანი მიმაჩნია, მაგრამ უკვე დაბერდა. ლუვსანი მთლად გალოთდა, ხელები ქვა-ღორღზე მორახრახე ორთვალასავით უკანკალებს. დონოი კი მხოლოდ იმისთვის ვარგა, რომ მაღაზიებს ცეცხლი წაუკიდოს. ვიფიქრებ. ერთი-ორი კაცი მეგულება, მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ...

— მამაო, გირჩევთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ წყლის მზიდავ გომპილს. შეიძლება ის გამოგვადგეს. რწმენისათვის მზადაა ცეცხლში დაიწვას. თანაც გონიერია და აქაურ ადგილებსა და ხალხსაც კარგად იცნობს.

— მეც მიჭირავს მასზე თვალი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გამიგია, რა კაცია. რაიმე არ გამოგვეპაროს.

— პატივცემულო ხამბა-ლამა, პრინციპული, მტკიცე ახალგაზრდობა გვაკლია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საქმე, სულ სხვანაირად დატრიალდებოდა, ახალგაზრდობა რომ იყოს საქმეში ჩაბმული.

— სცადეთ. მაგრამ სულ მცირეთი დაიწყეთ.

— მამაო, საწყენად ნუ მიიღებთ და, თქვენ მე ვერ მასწავლით. დიდად პატივცემულო მოძღვარო, უმჯობესია ბრძანება გასცეთ წყლის მზიდავის თანამდებობიდან უმცროს ხაზინადრად გადაიყვანონ. ერთად შევაგროვებთ შესაწირს და მეტი საშუალება მექნება გამოვცადო.

— ვიფიქრებ... კარგი, თანახმა ვარ. ოღონდ ნუ აჩქარდები. ის გომპილი რაღაც არ მომწონს... მაშასადამე, ხარბინსა და ხაილარში გადაეცით, რომ უახლოეს ხანებში ხუბილგან დოვჩინთან ერთად მოვახდენთ ჩვენი ძალების კოორდინირებას ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის და გავაფართოვებთ ჩვენი მოქმედების მასშტაბებს ხუდონში. უმოკლეს ვადაში შევარჩევთ საიმედო ხალხს და გავაძლიერებთ მეთვალყურეობას სასაზღვრო ზონაზე, რის შესახებაც რეგულარულად მოვახსენებთ დაშიფრული დეპეშებით. გარდა ამისა, ძირგამომთხრელ მუშაობას ჩავატარებთ ჯარის ნაწილებში დეზერტირთა რიცხვის გასადიდებლად. იმათ კი ვინც გზაზე გადაგვეღობება, თავიდან მოვიცილებთ, — მედიდურად განაცხადა ხამბა სოდოვმა...

... ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბალდანი ლუზანის მონასტერში დასახლდა, როგორც მთავარი ხაზინადარი. ამ ხნის მანძილზე მისი ავტორიტეტი და ზეგავლენა ლამებზე შესამჩნევად გაიზარდა და ახალი თანამოღვაწეებიც გაუჩნდა. მაგრამ მოძღვრის მხრიდან მუდამ გრძნობდა ოდნავ შესამჩნევ სიფხიზლესა და გულში ღრმად მიმალულ მტრობას.

რამდენიმე თვის წინ სახალხო მილიციის ორგანოებმა თავმჯდომარე სედის მოკვლისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ადგილობრივი მდიდარი ლუვსანი. მაგრამ საქმე ჩიხში მოექცა, ნაწილობრივ გამოუცდელი გამომძიებლისა, ნაწილობრივ ბრალდებულის თავხედური სიჯიუტისა და მკვლელობაში მონაწილეობის სრული უარყოფის გამო. ამ საშინელი დანაშაულის ერთადერთი ცოცხალი მოწმე — მოხუცი დონოი — გარდაიცვალა. მაგრამ გამოძიებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა იმედი გადაწურული. გამოინახა ხალხი, რომელთაც ერთხელ, დონოის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ნახეს, მთვრალივით მობარბაცე მოხუცი დონოი როგორ გამოვიდა უქუდოდ მოძღვრის ალაყოჩიდან, მივიდა სახლში და სალამოს ლოგინში ჩაწვა. მან სრულებით დაკარგა მადა და მძიმე სულიერ დეპრესიაში ჩავარდა. არც თვითონ გამოდიოდა გარეთ და არც არავის უშვებდა თავისთან. დონოის მომვლელებს, შინაურებს, ვერ გაეგოთ, ასე მოულოდნელად რა უცნაურმა სენმა დააგდო ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე მოხუცი, რომელიც თვალდათვალ დნებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ტემპერატურამ აუწია. გონება დაკარგა და ბოდავდა. გამომძიებელმა, რომელსაც საქმე მიჰყავდა, ძლივს მოახერხა დონოის ახლობელთა გულის მონადირება და გულახდილ საუბარზე გამოწვევა. მოგვიანებით მათ უამბეს, რომ ერთხელ მოხუცი ბოდავდა, ხმამაღლა ყვიროდა და ვიღაცას ემუქრებოდა: „არა, არა, ოღონდ მე არა. მე ვერ მოვკლავ. განა მკვლელობებისათვის გაგვაჩინეს ჩვენმა დედებმა. ვნანობ, ოჰ, ვნანობ ჩემს ცოდვებს, ღმერთო! — ბოდვისას მკერდზე ხელებს ირტყამდა, — ბალიშზე ბორგავდა და ერთთავად ყვიროდა, — წყეულებო, სხვისი ხელებით გიყვართ გველის დაჭერა! თანამემამულეებს აიძულებთ, ერთმანეთი ხოცონ. ხამბა, თუ შენ ეს ასე მოგწონს. წადი და თავად მოკალი. ა-ა-ა-ა... ვნახავ... წყეულო მკვლელო... მატყუარა...“ რიდესაც გონს მო-

დიოდა, მწარედ ტიროდა, ჩიოდა, ცუდ სიზმრებს ვხედავო, და ხამბალამას ლანძღავდა. „სათნო ხამბა, განმწმინდე ცოდვებისაგან“,—იმეორებდა მისუსტებული ხმით და ცრემლად იღვრებოდა. დონოი არაფერს უჩიოდა. მისმა ახლობლებმა არ იცოდნენ, რით დახმარებოდნენ. ერთი ლამა, რომელიც ცდილობდა ბალახებითა და მალამოებით ემკურნალა მისთვის, ირწმუნებოდა, დონოის შულმასი[1] დაეუფლა და მოხუცი „გათვალაო“. მას სურდა არატები დაერწმუნებინა, რომ მოხუცი დონოის პირით სწორედ შულმასი უგზავნიდა წყეულაკრულვას მოძღვარ ლამებსა და ბურხანს. „ბურხანის მორჩილნო! მოსცილდით ამ გათვალულს, თუ არა და, უბედურება გეწვევათ. ვინც მის ბოდვას მოისმენს, თვალნაკრავის მთელი ცოდვები მას დაატყდება თავს. ის, ვინც მიახლოებას გაბედავს გათვალულთან, რომელშიც შულმასი ჩასახლდა, ათ შავ ცოდვას აიკიდებს და ჯოჯოხეთში მოხვდება“, — იმეორებდა თავგადაპარსული ლამა.

მაგრამ თანახოტონელებს შორის მამაცი ადამიანებიც აღმოჩნდნენ. ვიღაც ახალგაზრდა კაცი ლამას მუშტებით მივარდა და ყვიროდა:

— თქვენმა რელიგიამ მოუწამლა ხალხს გონება! თქვენი გულისათვის კვდება დონოი! როგორც ჩანს, სიკვდილის წინ გაიგო სიმართლე და ამიტომაც გწყევლით. მოიცათ, ყვითელხალათიანებო[2], მალე გამოგიცხადებთ ომს და მაშინ ნახავთ!

ამ სიტყვებმა მოძღვარ სოდოვის ყურამდეც მიაღწია. თავიდან გულთან ახლოს არ მიუტანია, მაგრამ დრო რომ გავიდა, ღრმად ჩარჩა გულში, ხშირად შემოაწვებოდა ხოლმე სევდა, განსაკუთრებით ღამ-ღამობით, როცა მარტო რჩებოდა. უცებ უჩნდებოდა უბედურების წინათგრძნობა და რამდენს არ ცდილობდა, თავიდან ვერ იშორებდა საზარელ ფიქრებს. ლოცვებიც ვერ შველოდა, ჩვეული რწმენა და სიმშვიდე რომ დაებრუნებინა. „ყველაფერი დონოის ბრალია. დაუყოვნებლივ უნდა მოვიცილოთ თავიდან ეს ენატარტარა, — გულზე სკდებოდა სიბრაზისაგან სოდოვი, — მას ყველაფრის წამოყრანტალება შეუძლია!“.

ერთხელ ბალდანმა თანაგრძნობით აღნიშნა, ხამბა ცუდად გამოიყურება და ალბათ, მთლად ჯანმრთელად არ ბრძანდებაო.

---

[1] შულმასი — დემონი, ბოროტი სული.

[2] ყვითელი ფერი — ლამების დელის ფერია.

— შეუძლოდა ვარ, ვფიქრობ ისიც იცით, რატომ? ყველაფერი იმ ბებერი ჩიტირეკია დონოის ბრალია. ჩმახავს რაღაცეებს. ალბათ გაიგებდით, რას აღარ ლაპარაკობენ ჩვენზე ის წითელი მათხოვრები? იმ გამოსულელებულ ბებერს ადამიანური სიკვდილიც კი არ შეუძლია. მისი ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია... გესმით ბალდან? — ხამბამ ხმას აუწია. — უნდა დავახრჩოთ ის ბებერი!

— დამშვიდდით, საყვარელო ხამბა-ლამა! განა ასე უნდა დაისაჯოთ თავი იმ ვიღაც გამოტვინებულის უაზრო ბოდვისათვის? ნუ აჩქარდებით. დონოი დღეს თუ ხვალ წავა იმ ქვეყნად. განა ღირს ხელების დასვრა? აი, მე რას გთავაზობთ: მოდით, დონოისთან მივაგზავნოთ ჩვენი კაცი, იქნებ არატები ცრუობენ, თითქოს ის თქვენზე ცუდს ლაპარაკობს. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ, ვაიძულებთ და ცოტა ადრე გავაცხებინებთ სულს.

— მაინც ვინ გავგზავნოთ, ძვირფასო ბალდან?

— გომპილი და სხვა არავინ, მონასტრიდან ვინც არიან, ყველას იცნობენ, ხოლო ახლა ზოგიერთი არატი ცდილობს, ფრთხილად იყოს თქვენს ძმებთან, ლამებთან. გომპილი ყბედი და ენატარტარა არაა. საერთოდ, ამჟამად ყველაზე მეტად გომპილს ვენდობი. და შემთხვევა არ მქონია, მასში დავეჭვებულიყავი ანდა შევმცდარიყავი.

— როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, — გულგრილად უპასუხა სოდოვმა. — თქვენი გომპილი დონდლოა.

— ნუ წუხხართ, ღირსეულო მამაო. მხოლოდ შესახედავადაა დონდლო, ისე კი მაგარი ვინმეა. სწორედ ამიტომ ვაფასებ.

— რა გაეწყობა, რადგან იაპონიის დალოცვილ მოციქულს აუცილებლად გომპილის გაგზავნა სურს, ჩვენც ის გავგზავნოთ.

ასეც გადაწყვიტეს.

როდესაც გომპილი დონოისთან მივიდა, უცბად ვერც კი იცნო, ამ დღეებში მოხუცი ისე შეცვლილიყო: ლოყები ჩავარდნოდა, ცხვირი წაწვეტებოდა, თვალების უპეები ჩალურჯებოდა. ნეტავ როგორღა ედგა სული?

გომპილი ავადმყოფის გვერდით მდგარ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— ვისი ხარ, შვილო? — ძლივს გასაგონად წაილუღლუღა დონოიმ. — სადღაც მინახიხარ, მაგრამ ვერ გამიხსენებია, სად.

— რასაკვირველია, გინახივარ, ბაბუა. მონასტრიდან ვარ. ბალდანმა გამომგზავნა. აინტერესებს, როგორ ბრძანდებით.

— გმადლობთ, შვილო. მე კი მეგონა, ყველამ მიმატოვა, — მო-

ხუცს თვალებზე ცრემლები მოადგა. — კარგი კაცია ის ბალდახი, ოღონდ სწორ გზას არ ადგას... ოჰ, საბრალო, მერე რა მოელის?

მან საბნიდან გაძვალტყავებული, თითქმის გამჭვირვალე ხელი გამოიღო და გომპილის ხელს ოდნავ შეეხო.

— მაგრამ ბალდანს მაინც არ დაუკარგავს ადამიანური გრძნობა. არ დაევიწყებივარ. — დონოიმ გამშრალი ტუჩებით გაღიმება სცადა.

გომპილი დაიხარა მოხუცისაკენ და მის დაძარღვულ, დასუსტებულ ხელს შვილური მოკრძალებით გადაუსვა ხელი.

— ბაბუა, ბალდანი წუხს თქვენზე. სიცხის საწინააღმდეგო წამალი გამოგიგზავნათ, — უთხრა და უბიდან ცხვირსახოცში გამოკრული ფხვნილები ამოიღო.

დონოიმ მისი თანდასწრებით ერთი ფხვნილი დალია, დანარჩენი ბალიშის ქვეშ დამალა.

— ჩვენთან გაათიეთ ღამე, შვილო, სიბერის ჟამს მე და დონოი მარტონი დავრჩით, — სთხოვდა თვალცრემლიანი დედაბერი, ავადმყოფის ცოლი, რომელიც მის სასთუმალს არ შორდებოდა და აქლემის ცივ რძეში დასველებულ ჩვარს ადებდა შუბლზე.

გომპილმა ალაყოჩის გვერდით დაბმული ცხენი მინდორში გაუშვა და თავის ადგილზე დაბრუნდა. მოხუცი თვალდახუჭული იწვა და თანაბარი სუნთქვა იმაზე მეტყველებდა, რომ წამლის მიღების შემდეგ შვება იგრძნო.

— დიდება ბურხანს! საბრალო, რამდენი დღეა სიცხისაგან ბორგავს და ბავშვივით ბოდავს. მადლობელი ვარ შენი, შვილო, წამლისათვის. თავად იცი, აქაური ხალხი დახმარებისათვის ლამებთან გარბის. მათ კი ყველა ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ მუდამ ერთი და იგივე ბალახი აქვთ, რომელსაც არავითარი ძალა არ გააჩნია. ჩვენთან ექიმის ხსენებაც კი არ არის. რომ გამოჩნდეს კიდეც ვინმე ექიმი, მას ისევ ის ლამები თვალის დახამხამებაში მოუსწრაფებენ სიცოცხლეს. დედაბერი ღუმელთან ჯახირობდა. ზანდუკიდან და პატარა განჯინიდან რაღაც ამოიღო და გომპილი სავახშმოდ მიიხმო.

— ჭამე, ჭამე, შვილო, ნუ გერიდება. კეთილი ადამიანის მუდამ მოხარული ვართ. ნახე, როგორ სძინავს მოხუცს. საბრალო... ჩანს, ძალზე კარგი წამალია, თორემ რამდენი ღამეა, არ უძინია... — ამბობდა დედაბერი და თან გომპილს ყვავილაზე ქონიან ნაპრებს უდებდა და ცხელ რძიან ჩაის უსხამდა.

დონოიმ თითქმის დილამდე იძინა. მთელი ღამის ძლიერი ოფლიანობის შემდეგ მნიშვნელოვანი შვება იგრძნო და ჩაი და პატარა ფიალით ბულიონი მოითხოვა. შესამჩნევად გამხიარულებულმა გომპილი მოიხმო:

— შკილო, ჯერ არა გძინავს? ბაბუას კი არა უშავს, ჰა?

— აუცილებლად გამოჯანმრთელდებით, ბაბუა. ახლა კიდევ ერთი ფხვნილი დალიეთ, საღილის შემდეგ — მეორე, და ყველაფერი კარგად იქნება.

— შენი ბედნიერი ხელით, შვილო, იქნებ ბურხანმა ინებოს ჩემი გამოჯანსაღება. თავი ისე იგრძენი ჩვენთან როგორც საკუთარ სახლში. ბალდანი ჯერ ხომ არ აპირებს წასვლას?

— არა, ჯერ არ აპირებს, Раграм, თუ გსურთ გადავცე რამე, მითხარით, ბაბუა, და ყველაფერს ზუსტად გადავცემ.

— ძალიან მინდოდა თავად შევხვედროდი. მეცოდება, ძალზე მეცოდება. კეთილია, ხალხის შეშბრალე გული აქვს. ჰოდა, რატომ დაუკავშირდა ამ...

— ნუ გეშინიათ, მენდეთ. მე მისი ერთგული მეგობარი ვარ.

— აბა, დედაკაცო, კიდევ დამისხი ერთი პატარა ფიალა ცხვრის ბულიონი, ვინ იცის, იქნებ გამოვჯობინდე, — თავს იმხნევებდა დონოი.

მოხუცმა ბევრი საინტერესო რამ უამბო მონასტრის ცხოვრებაზე, ლამებსა და ბევრ სხვა წვრილმანზე, რის შესახებ გომპილს არასდროს არაფერი სმენოდა.

— ამქვეყნად ყველაფერს თავისი ვადა აქვს. ხოლო თუ ვადა გავიდა. მაშინ მორჩა და გათავდა. მთელი სიცოცხლე. რაც თავი მახსოვს, ბურხანისა და ლამების დიდი რწმენა მქონდა. სიბნელეში კი, შვილო, ოწმენა შემერყა, ძლიერ შემერყა. ჩანს, აღსასრული მოვიდა...— დონოიმ მძიმედ ამოისუნთქა და თვალები დახუჭა. მინდოდა ბალდანი მენახა და დამერწმუნებინა, რომ თავი დაენებებინა იმ უწმინდური იაპონელებისათვის და ის ხამბაც დაევიწყებინა. აბა, ერთი უფრო მაღლა ამწიე, შვილო, — სთხოვა მან და გახაგრძო. — ასეთი დიდებული ბიჭი რატომ უსდა აკეთებდეს ბინძურ საქმეებს? თავად მონღოლია და იაპონელებს კი ემსახურება. კარგად ვიცნობ იმათ, რაც სჭირდებათ. ყველაფერს გამოსწოვენ, მერე კი, როცა საჭირო აღარ იქნება, თავადვე მოკლავენ. არც ჩვენი ლამები არიან უკეთესები... შენც კარგად იფიქრე, შვილო, რა მოგელის ხვალ? ყური

დამიგდე მოხუცს, სიკეთე მინდა თქვენთვის. ჩემზე რა უნდა ვთქვა? მე დავამთავრე ცხოვრება. და მხოლოდ ახლა მივხვდი ჩემს შეცდომას. ღმერთო ჩემო, შემინდე მძიმე ცოდვები. გულს რომ მიღრღნის.

მოხუცს გომპილისათვის ხელი არ გაუშვია, კვლავ ბალიშზე მიწვა და ცოტა ხანს თვალდახუჭული იყო. დედაბერმა გაოფლიანებული სახე პირსახოცით მოუწმინდა და აქაფებული აირაგიანი[1] ფიალა მიაწოდა. მოხუცმა შესვა, გომპილს ანიშნა, მისკენ დახრილიყო და ახურჩულდა:

— შვილო, ადამიანის ცდუნების საოცარი უნარი შესწევთ დღე და ღამე ბურხანზე მლოცველ ლამებს, რომელნიც კრიალოსნებს ძილშიაც კი არ უშვებენ ხელს და ამქვეყნიური ამაოება ცოდვად მიაჩნიათ. ბურხანის წინაშე მათი მონური ქედმოხრა და ჩვენი საწუთროსაგან განდგომა მხოლოდ მოჩვენებითია! სინამდვილეში, თითოეული მათგანი, ყველაზე უმაღლესი ლამაც კი, რომელთა ხელზე კოცნას ბედნიერებად ვთვლით. ბოროტმოქმედია და შავბნელ საქმეებს სჩადის. დიახ, დიახ, შვილო. ხამბა სოდოვი ერთ-ერთი იმათგანია. ის ყველაზე საშინელი ვინმეა. მისი ბრძანებით, ვერ გავიგე რა ურჩობა, ჩავიდინე გამოუსყიდველი ცოდვა, რომელიც გარდასახვის შემდეგაც არ მომასვენებს. მაგრამ ვიდრე ცოცხალი ვარ მინდა ოდნავ შევიმსუბუქო იგი. თქვენისთანები, როგორიც შენ და ბალდანი ხართ, ჩემო შვილებო, მინდა ღვთის სასჯელისაგან ვიხსნა, თვალები აგიხილოთ და ხამბა სოდოვის ბრჭყალებს გამოგტაცოთ. ჭკუა ისწავლეთ ჩემს შეცდომებზე. კარგად დაფიქრდი, შვილო, და უთხარი ამის შესახებ ბალდანს... ახლა კი ცოტას წავთვლემ, — მოხუცმა საბანი გადაიფარა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

* * *

ყველას გასაოცრად, ამ დღიდან დონოიმ გამოკეთება დაიწყო. ორიოდე კვირის შემდეგ ის უკვე დგებოდა და ეზოში, მზეზე გამოდიოდა. მისი გამოჯანმთელებისა და ლამების ცბიერების თაობაზე დარხეულმა ხმამ ხამბამდეც მიაღწია და ძალზე შეაშფოთა გულცივი მოძღვარი. ბალდანისაგან მალულად ტაიჯი დამირანს დაუძახა, მას-

[1] აირაგი — კუმისი.

თან ერთად თავის ალაყოჩში ჩაიკეტა და დიდხანს ესაუბრებოდა იმ დიდ საშიშროებაზე, რომელსაც ახლა დონოი წარმოადგენდა. დამირანს სიხარბისაგან თვალები გაუბრწყინდა:

— მბრძანებელო, ჯილდოსათვის მზად ვარ საკუთარი ხელით ვაიძულო ის ბებერი ცხვარი, დროზე ადრე გარდაისახოს, დამლოცეთ, მოძღვარო, — ტაიჯი მლიქვნელურად მოიხარა წელში.

ხამბამ გაბრაზებით გადახედა და ასისინდა:

— სულელო! განა მოძღვარს დალოცვას სთხოვენ ასეთ საქმეზე? გაეთრიე აქედან!

მეორე დღეს მთელ ხოტონს მოედო სამწუხარო ამბავი: უეცრად გარდაიცვალა მოხუცი დონოი. მკურნალმა ლამამ სიკვდილის მიზეზი დაადგინა: მოხუცს გული გაუსკდა და მოკვდაო. ამიტომ არატებს შორის განსაკუთრებულ მითქმა-მოთქმას ადგილი არ ჰქონია.

რამდენიმე ხნის შემდეგ დამირანი კვლავ მივიდა ხამბასთან. მისმა კარგმა განწყობილებამ მიახვედრა, რომ ხამბამ უკვე იცოდა დონოის სიკვდილის ამბავი და მხარს უჭერდა მის მოქმედებას. მოძღვარმა ერთი ბოთლი შავი ჩინური არაყი ამოიღო, ზემოდან თხუთმეტი ტუგრიკი დაადო და ორივე ხელით დამირანს გაუწოდა.

— შენი საქციელი, ტაიჯი, ბურხანს ესიამოვნა. ღვთის ბრძანებით მიიღე ეს ჯილდო. შემდგომი გმირობებისათვის, შვილო ჩემო, ამაზე ორჯერ-სამჯერ მეტად დაჯილდოვდები.

— თქვენს ფეხებს ვეამბორები, კურთხეულო მოძღვარო, — წაელაქუცა ტაიჯი და საჩუქარი გამოართვა.

ბალდანი გომპილს შეხვდა საწყობის შენობის ახლოს, სადაც ყველაზე ძვირფასი შესაწირები ინახებოდა და თავის ფიცრულში შესვლა უბრძანა.

— დღესვე დავუკავშირდები ცენტრს. ჩემი აზრით, ყველა უნდა ავიყვანოთ. დონოი მოწამლეს. ოღონდ არ ვიცი, ვინ: თვით ხამბამ თავისი წმინდა ხელებით თუ მისმა აჩრდილმა — დამირანმა. ყური მოვკარი, რომ კანონიკმა დამდინ-ოჩირმა თეთრი ფხვნილის სახით ძლიერმოქმედი საწამლავი გამოუგზავნა. ამ საწამლავით აპირებენ გარშემომდებარე ჭების, წყაროებისა და პირუტყვის დასარ-

წყულებელი ადგილების მოწამვლას. სერიოზული საქმეა. როგორც ჩანს, ბაბუა დონოიც ამავე საყამლავით მოწამლეს. მისმა ცოლმა, რომელიც ძროხის მოსაწველი ბაკიდან ბრუნდებოდა, დაინახა, როგორ გამოდიოდა მათი ალაყოჩიდან კუდა ტაიჯი. რამდენიმე საათის შემდეგ კი დონოი გარდაიცვალა. დამთხვევაა? ფაქტია!

— ცოდოა, კარგი მოხუცი იყო.

— იცი, რატომ გახდა ავად? მისმა ცოლმა მიამბო. თურმე ხამბამ უბრძანა, ერთ-ერთ ღამეს მაღაზიისათვის ცეცხლი წაეკიდებინა. რაც ამისათვის საჭირო იყო, ყველაფერი მიიღო და შორეული ბორცვებისაკენ გასწია. ბაბუას ძალიან ეშინოდა ავი სულის და ცხენიც მფრთხალი ჰყავდა. ის იყო ღარტაფში შევიდა, რომ გვერდით რაღაცამ დაიგრუხუნა, ცხენმა დაიჭიხვინა და თავაწყვეტილი გავარდა. დონოის ეს ცუდად ენიშნა და შინ ისე დაბრუნდა, რომ მორიგი ცოდვა აღარ ჩაუდენია. სიმხდალისათვის ხამბა არა მარტო წყევლიდა, არამედ მორალურადაც ამცირებდა. შემდეგ წაუკითხა ტარნი[1] და, იმავე საღამოს თავის მოკვლა უბრძანა, როგორც ამას საკურთხეველზე მიცემული ფიცი მოითხოვდა. სახლში დედაბერმა ყველაფერში გამოტეხა და მოთქმით ატირდა. დონოის კი, როგორც ჩანს, ზედმეტი ნერვული დაძაბულობისაგან ციებ-ცხელება აუტყდა. აი, ასეა საქმე, გომპილ.

— კარგა ხანია, დადგა დრო ყველა დავაპატიმროთ და დავხვრიტოთ!

— არა, მეგობარო, დრო ჯერ არ დამდგარა. აქ უნდა შემოვიტყუოთ ახლად გამომცხვარი ხალხასეთის ხანი დამდინ-ოჩირი, რათა ყველა ერთად შეიყაროს!

— სანამ დამდინ-ოჩირს შემოვიტყუებთ, ხალხი დაწამლონ, არა?

— არა, ამას არ დავუშვებთ. ხვალ საღამოს მონასტერში დიდი წირვა იქნება, რომელსაც აუცილებლად დაესწრება ხამბა სოდოვიც. წირვის დაწყებამდე ორი საათით ადრე ხამბას ალაყოჩის ახლოს მიათრიე ურემი, ხარები გამოხსენი, თავად კი ისე მოიქეცი, თითქოს თვლებს ან ღერძს აკეთებდე. საერთოდ, ისეთი რამ მოიგონე, სიმართლეს რომ შეეფერებოდეს. ხამბა მონასტერში რომ წავა, მის ალაყოჩს საგულდაგულოდ გავჩხრიკავ და, თუ ბედმა გამიღიმა, სა-

---

[1] ტარნი — ჯადო სიტყვა.

წამლავ ფხენილს რაიმე უვნებლით შევცვლი. თუ რაიმე მოხდა, ძველებურ გაბმულ სიმღერას წამოიწყებ. გასაგებია?

— დიახ. ამბ... — გომპილს ხმა ჩაუწყდა. — ბატონო დიდო იაპონიის დესპანო.

— ჰოდა, ასე!

საწამლავის ოპერაცია ძალზე კარგად ჩატარდა. ჭები კელავინდებურად სუფთა იყო, ხალხი და საქონელი კი უვნებელი. მაგრამ ამის შემდეგ ხამბასა და ლაბირანს შორის შავმა კატამ გაირბინა. ერთმანეთს გაუდგნენ და გული აიყარეს...

... რამდენიმე დღის შემდეგ ღამით დაიწვა ცულტემის მთელი ხაშანი, ალაყოჩი თავისი შიგთავსით და პირუტყვის გამოსაზამთრებელი. ცულტემმა ძლივს მოასწრო ცეცხლიდან ცოლ-შვილის გამოყვანა. სახალხო ხელისუფლებამ მეორედ გაუწია უსასყიდლო დახმარება. არტელმა, სადაც ცულტემი და მისი ცოლი მუშაობდნენ, საკუთარი სახსრებით ორ დღეში დაუდგა ახალი ხუთკედლიანი ალაყოჩი, პირუტყვის მესარეკი და საჭირო ნივთების შესაძენად გრძელვადიანი სესხი გამოუყო.

ხანძრის ამბავი შეიტყო თუ არა, ბალდანი ხამბა-ლამასთან მივარდა. ამჯერად მისი სიბრაზე არ იყო თვალთმაქცური, მაგრამ ამჟამად სულ სხვა მიმართულება მისცა თავის გულისწყრომას.

— რა ჯანდაბად გინდოდათ ცულტემის ალაყოჩის დაწვა? თქვენ და დამირანი მთლად შეიშალეთ? — ყვიროდა ბალდანი და თან ფეხებს აბაკუნებდა. — ცულტემს დამწვარ ალაყოჩზე ორჯერ უფრო დიდი ახალი ალაყოჩი დაუდგეს და ფულიც მისცეს. ახლა უწინდელზე უკეთ იცხოვრებს. ვერაფერს იტყვი. კარგი ვინმეა ეს უბრძნესი მოძღვარი! ეს ხომ სახალხო ხელისუფლების პირდაპირი აგიტაციაა. ხიტონელები ტაშს უკრავენ და აღფრთოვანებულნი არიან არტელის წევრების საქციელით, უბედურებაში რომ არ მიატოვეს თავიანთი თვისტომი! — ბალდანმა უბიდან ნაგანი ამოიღო და ხელში შეათამაშა, თან ხამბას უტევდა. — იქნებ, თქვენ და კუდა ტაიჯი ჩემს ზურგს უკან შეხმატკბილდით და ამას განგებ აკეთებთ? ბატონმა ინოკუზიმ, — ბალდანი ნელა უმიზნებდა მოძღვარს შუბლში ნაგანს, — მიბრძანა, ღირსეულო მამაო, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ტყვიით გაგიმასპინძლდეთ.

ერისკაცის გაუგონარი უხეშობით დამცირებული და საშინლად შეშინებული ხამბა-ლამა ცოცხალ-მკვდარი იჯდა.

— კეთილი, აწყერად დიდსულოვნად გაპატიებთ, — ბალდანმა ნაგანი შეინახა. — მაგრამ გახსოვდეთ, ჩემთან ხუმრობას არ გირჩევთ.

— ნუ განრისხდებით, ბალდან, ამ შეცდომაში ვერავის დავადანაშაულეთ. უბრალოდ, დამირანმა ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინა.

— მაშინ თქვენც ბოძიტეევეთ ჩემი გაბრისხება. — ბალდანმა მოძღვრის დალოცვის მოლოდინში თავი დახარა.

— გლოცავთ, შვილო ჩემო და მომავალში ვეცდები, ყოველთვის მოგეთათბიროთ ჩვენი საქმიანობის თაობაზე.

ალაყოჩიდან რომ გაბოდიოდა, ბალდანმა ხამბას შეხედა. მოძღვარს სახეზე აღარც შიში ეტყობოდა და აღარც მტრობა. საკურთხევლის წინ, მაღალ ფიცარნაგზე, დიდებული იერით ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა, თხელი, ნატიფი თითებით კრიალოსანს მარცვლავდა და თვალგაშტერებული სადღაც შორს იყურებოდა. ტონოდან[1] შემოსული ჩამავალი მზის სხივების ათინათი ტანსაცმლის ყვითელ აბრეშუმზე ეცემოდა. ხამბა-ლამა მის საკურთხეველზე ლამპრის გვერდით მდგარ ბრინჯაოს ბურხანს ჰგავდა.

15

იაპონიის სადასვლეთო სამმართველოსაკენ მიმავალი ხალხასეთის ახალი ხანი დამდინ-ოჩირი ბაზართან შეჩერდა და გაოცებული ათვალიერებდა სპეკულანტების, გადამყიდველების, ნარკოტიკებით მოვაჭრეებისა და მაწანწალების უზარმაზარ ჭრელ ბრბოს, ლუკმაპურისათვის რომ წრიალებდნენ. და უცებ ამ უფერული მასის შუაგულში დაინახა ღია კარეტა, რომლის უკანა საჯდომზე საოცარი სილამაზის ახალგაზრდა ქალი იჯდა და ყველას მზერა მისკენ იყო მიპყრობილი. როდესაც კარეტა მას გაუსწორდა, მოეჩვენა, რომ ქალმა გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. დამდინ-ოჩირი წამით დაიბნა, მაგრამ მაინც გულწრფელი აღფრთოვანებით გააყოლა თვალი კარეტას. იაპონიის დასავლეთის მიერ დამდინ-ოჩირისადმი მიჩენილმა პირადმა მცველმა თვალი გაადევნა მონღოლი ლამის მზერას და გაიღიმა.

---

[1] ტონო — ალაყოჩის ზემოთა მრგვალი ხვრელი, რომელიც ჩვეულებრივ, შემანულია და ლაქით დიდი ქვეჩით იხურება.

— ასეთ ლამაზმანთან არ მოგწყინდება. მაგრამ უფრო ლამაზებიც არიან. ბატონ ინოკუზის მოლოდინში ცოტას ხომ არ გაერთობით? სულ ერთია, შუადღემდე მაინც ვერ მიგიღებთ.

— როგორ თუ, გაერთობი? — გაოცებით ჰკითხა დამდინ-ოჩირმა.

— აქ, ახლოს, ერთ-ერთ ფეშენებელურ საროსკიპოში ხომ არ ისურვებდით შესვლას? ნებისმიერი გემოვნების ძალზე ლამაზი გოგონები არიან, ამორჩევა შეიძლება, ალბომიც არის... ოჰ, იმ ალბომის თვალიერება საათობით შეიძლება... თუ მოისურვებთ, უკეთეს რამესაც ნახავთ. — იაპონელმა გადაიხარხარა.

დამამცირებელი წინადადებისა და ახალგაზრდა იაპონელის უპატივცემლო მიმართვის გამო დამდინ-ოჩირმა სირცხვილი იგრძნო.

— განა ამისათვის ჩამოველი აქ?

— დიდსულოვნად მაპატიეთ. თქვენი წყენინება არ მინდოდა. ნაბრძანები მაქვს გაგართოთ და გასამხიარულებელი ადგილები გაჩვენოთ. რაც არ უნდა იყოს, მე და თქვენ დაზვერვასთან ვართ დაკავშირებულნი, და ზედმეტი არ იქნებოდა, თუ რაიმე ახალს გავიგებდით. — იაპონელმა კვლავ ჩაიხითხითა.

— მე ვამჯობინებდი საქმესთან დაკავშირებული რაიმე ამბავი გამეგო. — ბრაზიანად მოუჭრა ლამამ.

— მზვერავს ყველაფერი უნდა აინტერესებდეს, — ასე მიაჩნიათ ჩვენთან.

— საროსკიპოებიც?

— რასაკვირველია.

დამდინ-ოჩირისათვის ასეთი საუბარი ძალზე არასასიამოვნო და არასასურველი იყო. პირად მცველად მიჩენილი იაპონელი მშვენივრად ემსახურებოდა, ყველა სურვილს უსრულებდა და მისი ყოველი მოძრაობის წინასწარ გამოცნობას ცდილობდა. მაგრამ მისი მოურიდებელი საქციელი, თავხედური ტონი, მზაკვრულად მოჭუტული თვალები და ყალბი ღიმილი საშინლად მოქმედებდა დამდინ-ოჩირის თავმოყვარეობაზე.

„წმინდა ბანჩინ-ბოგდმა ხალხასეთის ტახტზე დამსვა და ამით ამამაღლა; ეს არამზადა კი ჩემთან თავხედურ ლაპარაკს ბედავს და საროსკიპოში ჩინელ და იაპონელ გოგონებთან დროსტარებასაც კი მთავაზობს. ვაი, სირცხვილო! ჩემს ქვეყანაში არც ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და უვიცი არატიც კი არასდროს დაამცირებს უცხოელს, ვინც უნდა იყოს ის“. დამდინ-ოჩირმა იაპონელს ზურგი შე-

აქცია, ხელები უკან დაიწყო და მოპირდაპირე მხარეს წავიდა. იაპონელი დაეწია, მკლავში ხელი გაუყარა და უთხრა:

— გთხოვთ, ნუ გაჯავრდებით. მართლაც რომ ბავშვივით იქცევით. თანაც ძალზე ქედმაღალი ბრძანდებით.

— ეგ სიტყვები თქვენი ბატონისათვის შეინახეთ, ვინც ფულს გიხდით.

ნუ ბრაზობთ, თქვენო უდიდებულესობავ. თქვენ ბევრი რამ არ იცით აქაური ცხოვრების წესის შესახებ. ეე სულითა და გულით მინდოდა თქვენთვის მეჩვენებინა, რაც უცხო თვალისათვის მიუწვდომელია. საროსკიპოები, ოპიუმის მოსაწევი ადგილები და აზარტულ თამაშობათა სალონები აქ სრულებით ჩვეულებრივი ამბავია. ისინი ყოველ ქუჩაზეა და ერთ-ერთი ასეთი დაწესებულების დათვალიერება რომ შემოგთავაზეთ, ამაში საწყენი არაფერია. ღირსეულო კანონიკო, ჩვენთან, ამომავალი მზის ქვეყანაში, მამაკაცი, ვინც უნდა იყოს ის, ყოველთვის ზეცამდეა ამაღლებული, ხოლო ქალი, როგორი ლამაზიც უნდა იყოს, მუდამ დამდაბლებული. როგორ გვიანაც უნდა მოვიდეს ქმარი სახლში, მის მოსვლამდე ცოლი ვერ დაწვება, ვიდრე გამტვერილ ფეხსაცმელებს არ გახდის და ჭუჭყიან ფეხებს არ დაბანს. იცით თქვენ ეს?

— არა და არც მინდა ვიცოდე. ჩემს ქვეყანაში სხვა ადათწესებია.

— კიდევ გვაქვს დრო. მოდით ერთი პატარა მყუდრო ჩინურ რესტორანში შევიაროთ. აქვეა, გზის მეორე მხარეს, — იაპონელმა ხელით აჩვენა.

ისინი ჩინური სტილით გაწყობილ, ფართო, სუფთა დარბაზში შევიდნენ და ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მიუსხდნენ.

— იმ ფარდებს იქით რა არის? — დაინტერესდა ლამა.

— იქ ცალკე კაბინეტებია, სადაც ჰაშიშს ეწევიან და ლამაზ ქალებთან ერთად სადილობენ. თქვენთან, ხალხასეთში, ალბათ, დროსაც ვერსად გაატარებ, ხომ ასეა?

— დაე, იცოდეთ, ახალგაზრდავ, რომ ჩვენთან, ხალხა-მონღოლეთში სიბერეს პატივს სცემენ და მოწიწებით ეპყრობიან სასულიერო პირებს, რომლებიც წმინდად იცავენ აღთქმას და რომელთა მთელი ფიქრები სიკეთესა და მოძმეთა დაცვას დასტრიალებს.

დამდინ-ოჩირმა სარკეში დაინახა, როგორ შეირხა მის ზურგს უკან ფარდა, წამით გამოჩნდა და მაშინვე მიიმალა ჩინელის თავი,

ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ გაჩოვიცა და მათი მაგიდისაკენ გამოემართა სხვა სათვალიანი ჩინელი, მდაბლად დაუკრა თავი, მერე, მაღალფარდოვანი და თავსატეხი გამოთქმებით ჰკითხა მონღოლეთიდან მობრძანებულ კანონიკს, როგორ გრძნობდა თავს და დიდი ხნის ჯანმრთელობა უსურვა. გაოცებულმა დამდინ-ოჩირმა ბურხანისათვის მადლობის თქმაც კი ვერ მოასწრო აქ მოსმენილი კეთილი სურვილებისათვის, რომ ჩინელმა კიდევ უფრო გააოცა.

— დიდგვაროვანო ბატონო, ბგონი, ადრე სადღაც მინახიხართ, მაგრამ ზუსტად ვერ გამიხსენებია, სად. შემთხვევით ოდესმე წმინდა ლუზანის მონასტერში ხომ არ ყოფილხართ?

— წმინდა ლუზანის მონასტერში?! მე ხომ იმ მხარეში დავიბადე!

ჩინელი დამდინ-ოჩირის მოპირდაპირე მხარეს მიუჯდა მაგიდას.

— როგორაა სუბურღანის აგების საქმე? — მაგიდაზე გადაიხარა და ხდობით აღსავსე კილოთი შეეკითხა. — როდის დასრულდება?

საზღვარი არ ჰქონდა მონღოლი კანონიკის გაოცებას, რომელიც უცხობი ჩინელის ასეთმა გათვითცნობიერებამ გამოიწვია

— გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობს. ვფიქრობ, შემოდგომაზე, ხალხის თავშეყრისას ჩავატარებთ იმ ადგილის კურთხევის ცერემონიალს, სადაც ბურხანის წყალობით აგებული იქნება ყოვლისშემძლე სუბურღანი... თქვენ კი ვინ ბრძანდებით? რაღაც ვერ გამიხსენებიხართ!

— რამდენიმე წლის წინ იმ მხარეში ვმუშაობდი და წამოსვლისას ყოველი შემთხვევისათვის, ხამბა სოდოვს ჩემი ფოტოსურათი დავუტოვე. შესაძლოა, კიდევ დავბრუნდე იქ... ნეტავ, მიცნობს ხამბალამა, თუ უკვე დავავიწყდი? მას შემდეგ საკმაო დრომ განელო!

— არ მგონია, ხამბა-ლამას დავიწყებოდით... მას საუცხოო მეხსიერება აქვს. თქვენი ფოტოსურათი კი, შესაძლოა, ჩემთან ინახებოდეს. ხამბამ ვიღაცის ფოტოსურათი მომცა, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო.

ჩინელი მაგიდიდან წამოდგა, თავი დახარა და დამდინ-ოჩირს მიმართა:

— ბურხანის მორჩილთა დიდგვაროვანო და გულმოწყალე მფარველო, გთხოვთ ჩემს ღარიბულ თავშესაფარში მეწვიოთ და ჩემთან ერთად ისადილოთ. მთელი სულითა და გულით გთხოვთ, მობრძანდეთ...

დამდინ-ოჩირმა გვერდით მჯდომ იაპონელს გადახედა.

— თავად გადაწყვიტეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვს.

ჩინელმა სტუმრები თავის სახლში მიიყვანა და მდიდრულად გაწყობილ სუფრასთან დასვა. მრავალფეროვანი სადილის შემდეგ მან წამოწყებული საუბარი განაგრძო.

— სად არის ახლა ბუიანტი — ჩემი საუკეთესო მეგობარი? ჯერ კიდევ არ გაგიგზავნიათ სამოთხეში მამაზეციერთან?

— თქვენი ბუიანტი, მტრის გულის გასახეთქად, მონღოლეთში ჩვენი რწმენის გადასარჩენად იღვწის, გამდიდრდა და გასუქდა ჩვენი ქონიანი ცხვრის ხორცის ჭამით. მაგრამ მთავარი ეს როდია. ის ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული თანამოღვაწე და ხამბა სოდოვის მარჯვენა ხელია.

— თუ ყველაფერი ისეა, როგორც თქვენ ბრძანეთ, მაშინ კარგი...

— გმადლობთ გამასპინძლებისათვის, — კანონიკი მაგიდიდან წამოდგა, იაპონელიც მას მიჰყვა. — უნდა ვიჩქაროთ, წარჩინებული ბატონი გველოდება.

— უღირსეულესო დამდინ-ოჩირ, გთხოვთ, საჩუქრად რაიმე წაიღოთ. აიღეთ, რაც მოგეწონებათ. მე ისეთი ნივთები მაქვს, სხვებს რომ არა აქვთ...

მონღოლმა ლამამ მადლობა გადაუხადა, მაგრამ არაფერი არ აიღო.

ბატონ ინოკუზის რეზიდენციაში მათ უთხრეს, რეზიდენტი დღეს ვერ მიიღებს ხალხასეთის ხანს და სხვა ბატონი გველოდებათო. იაპონელის თანხლებით დამდინ-ოჩირი მეორე სართულზე ავიდა, ათობით კარს ჩაუარა და გრძელი დერეფნის ბოლოში იმ კაბინეტთან მივიდა, რომელზეც მიუთითეს, კაბინეტთან დამდინ-ოჩირი გაუბედავად შეჩერდა: მასიურ კარს მიღმა მოისმა გულისგამგმირავი ყვირილი, რისგანაც ლამას ძარღვებში სისხლი გაეყინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ყვირილი შეწყდა, კარი გაიღო და იქიდან ორმა მკლავებდაკაპიწებულმა ბრგე იაპონელმა გამოიტანა დასახიჩრებული სხეული, რომელსაც სახის ნაცვლად სისხლიანი ლაფი ჰქონდა. ზარმა გაიწკრიალა და კაბინეტის გვერდით კარიდან მარდად გამოვარდა მოხუცი კაცი ჩაიდნითა და ჩვრით ხელში, რათა სისხლის ლაქები გადაერეცხა. დამდინ-ოჩირმა ნებისყოფა დაკარგა და აიძულა თავი, კაბინეტში შესულიყო. მაგიდას უჯდა წარჩინებული ბატონი, რომელსაც სახეზე ცივი ღიმილი შეჰყინვოდა. როგორც ჩანდა, გამომძიებე-

ლი იყო. როდესაც მიხვდა, რომ მოხღოლი ლამა არაადამიანური წამების უნებური მოწმე გახდა, გამომძიებელმა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მშვიდად უთხრა:

— ვინც იმპერატორს წინ აღუდგა, იმათი დაზოგვა არ შეიძლება. ღონივრად უნდა სწვდე ყელში და დააღრჩო... ბურხანისათვის.

ხალხასეთის ხანს ფეხები ეკვეთებოდა. „უდიდესი პატივი მცეს, ხანის ტახტზე ამიყვანეს, ცდილობენ ყველანაირად მასიამოვნონ და უცებ... მაჩვენებენ წამებას. ნეტავ რატომ?“ — ვერაფერი გაეგო დამდინ-ოჩირს.

— მომიტევეთ, სხვა დროს შეგოვიელი, — და ლამა კაბინეტიდან გამოვიდა.

კიბეზე რომ ჩადიოდა, პირისპირ შეეჩეხა იმ წუთში საიდანღაც მანქანით მოსულ ბატონ ინოკუზის.

— დიდგვაროვანო ხანო, პირქვე ვეცემი თქვენი უწმინდესობის წინაშე და გთხოვთ მაპატიოთ დღევანდელი მოუცლელობა. ერთი წუთით შემოდით ჩემთან.

ისინი რეზიდენტის კაბინეტში შევიდნენ და ერთმანეთის პირისპირ მიუსხდნენ მაგიდას.

— ხალხასეთის დიდო ხანო, ორიოდე სიტყვით შემიძლია გაცნობოთ, რომ სამხედრო დახმარების საკითხი განხილვის სტადიაშია. აგრეთვე ანალიზს ვუკეთებთ უკანასკნელ ხანს შემოსულ მასალებს. პასუხი ხუბილგანისა და ხამბას წერილზე მზად იქნება უახლოეს დროში.

ინოკუზიმ დამდინ-ოჩირს სიტყვის თქმის საშუალებაც არ მისცა, რომ ზონარი მოსწია და მდიენი ისმო.

— ყველაზე საუკეთესო მანქანა მოართვით ხალხასეთის ხანს! მიიყვანეთ აპარტამენტში და ჰკითხეთ, რა სურს. შეასრულეთ!

მოხღოლი კანონიკი გამოვიდა, თავს ძალზე დამცირებულად გრძნობდა, თითქოს ის, ხალხასეთის ხანი, კაბინეტიდან გამოაგდეს.

ლამამ თავის ნომერში კარი შიგნიდან ჩაკეტა, გაუხდელად პირქვე დაეცა ფართო ლოგინზე და აკვნესდა. ამჯერად შორეული მონღოლეთი გაცილებით მშვენიერი და ბედნიერი მოეჩვენა.

„ნეტავ, მალე მოვხვდე ჩემს სახლში და ბებერი ძვლები მშობლიურ მიწას მივაბარო“, — ჩურჩულებდა და ყელში უნებურად აწვებოდა ბურთი...

„შემინდე, გულმოწყალე ბურხანო, გამიმაგრე გული, ღმერთო,

ცრემლები რომ დამინახონ, სასაცილოდ ამიგდებენ. თუ სახელმწიფო გადატრიალება წარმატებით დაგვირგვინდა და ჩემი ხელისუფლება განმტკიცდა, ანგარიშს გავუსწორებ ხამბა სოდოვს, ბედის ანაბარად რომ მიმატოვა. გაიგებს, როგორია უცხო მხარეში ხეტიალი, სადაც, ყველაზე უკანასკნელი იაპონელიც კი ისე გიყურებს, როგორც ქეციან ძაღლს“.

დამდინ-ოჩირი ლოგინიდან წამოდგა, რამდენიმე ყლუპი ცივი ჩაი მოსვა და ოდნავ დამშვიდებული, უკან გასამგზავრებლად მზადებას შეუდგა.

ხალხასეთის ხანი რომ სამშობლოში დაბრუნდა, მის ფართო ალაყოჩში ბარგუტის უმაღლესი ლამები და ყოფილი დიდებულები შეიკრიბნენ. მათ ძალიან აინტერესებდათ ახალი ამბები.

დამდინ-ოჩირი არ სიტყვაძუნწობდა და უამბო, რა პატივითა და ღირსებით მიიღეს და როგორ ეფერებოდნენ იაპონელი ბატონები, ყველაზე მეტად კი თვით რეზიდენტი. შეთქმულთათვის ახალი იყო იაპონელების წინადადება ლამების კავშირთან ერთად ჩამოეყალიბებინათ ერისკაცთა კავშირიც, რომელშიც გაერთიანდებოდნენ ის ერისკაცები, რომლებმაც დიდი უფლებები და პრივილეგიები დაკარგეს. ისინი ლამებზე ნაკლებად როდი იბრძოლებდნენ სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული ბარგუტის ლამებისა და ყოფილი ბატონების მიერ.

— მომიტევოს ჩემი ცნობისმოყვარეობა დიდმა ხანმა, მაგრამ გვითხარით, რა მიართვით საჩუქრად იაპონელ ხელისუფალს? — შეეკითხა ერთ-ერთი მათგანი.

— ამჯერად არაფერი მიჩუქებია. სად უნდა მოაგროვო იმდენი ძღვენი, ყოველ მისვლაზე რომ მიართვა?

კანონიკის გვერდით მჯდარმა მოხუცმა თავადმა ამ პასუხის გაგონებაზე თვალები დააჭყიტა და გაოცებისაგან პირი დააღო.

— ძვირფასი საჩუქრების გარეშე იაპონელები ჩვენკენ არც კი გამოიხედავენ. მე ხომ კარგად ვიცი მათი ხარბი ბუნება. ჩვენთან. მონღოლეთში მხოლოდ ოქროსა და სიმდიდრისათვის მოდიან. გაივსებენ ჯიბეებს და მაშინვე გარბიან. მოწყალეო ხანო, მაინც როგორ გცეს ასეთი პატივი საჩუქრების გარეშე?! ეს მათთვის უჩვეულოა...

დამდირ-ოჩირი მხოლოდ ახლა მიხვდა თავის შეცდომას. ის აჩქარდა და დროზე ადრე მიართვა აბრეშუმის ხადაგზე დადებული ოქროს ზოდები. ფასდაუდებელი საჩუქრის მიღებისას იაპონელებ-

მა ხუბილგანის წერილში აღნიშნული ყოველი პუნქტის შესრულება აღუთქვეს, ხოლო როდესაც საჩუქრები გამოილია, მეტისმეტად ცივად გამოისტუმრეს. აი, რა აფერხებს საქმეს.

ალაყოჩში მარტოდ დარჩენილმა ხალხასეთის ხანმა დიდ ფიალაში ცხელი ჩაი დაისხა და ბალიშებზე უფრო მოხერხებულად მოეწყო. პატარ-პატარა ყლუპებით ჩაის სვამდა, და, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ხოლმე მარტოობას შეჩვეული ადამიანები, თავისთვის ხმამაღლა მსჯელობდა:

„სავსებით ცხადია, რომ იაპონელების მუშაობა საჩუქრებზეა დამოკიდებული და ხან წარმატებით სრულდება, ხან პირიქით... ჯანდაბას საჩუქრები. იაპონელებთან კავშირს ვერ დავკარგავთ. ხოლო ინოკუზის წინაშე დიდად დავალებული ვარ: მან განმადიდა მე. თუ შესაძლებლობა მექნა, შეხვედრისას ხელებს ოქროთი ავავსებ. მაგრამ რატომ მოაწყეს ისე, რომ ეს წამება მენახა? დასაშინებლად, თუ დამანახეს, ვინც ხელში ჩაგვივარდება, ყველას ისევე მოვექცევით, როგორც იმ საცოდავსო? მაგრამ ჩვენს შორის უდიდესი სხვაობაა: ის იაპონელების მოწინააღმდეგეა, როგორც თქვენ, ვიდაც კორეელია, რომელმაც თანამონაწილენი არ გასცა. ჩვენ კი მათი მომხრენი ვართ. არა, როგორც ჩანს, სულ სხვა მიზანი ჰქონდათ. ალბათ, ჩვენც ასევე სასტიკად უნდა მოვექცეთ ჩვენს ცოდვილებს, სხვაგვარად ვერც მიზანს მივაღწევთ და ვერც დაკარგულს დავიბრუნებთ. ამ შემთხვევაში ჩვენი ცოდვები სასიკეთოდ დაგვიბრუნდება...“

დამდინ-ოჩირმა ყუთიდან ამოიღო წითელხაზიანი ბრინჯის თხელი ქაღალდი, ფუნჯი ტუშით და მღელვარებით შეუდგა წმინდა ლუზანის მონასტერში ხუბილგან დოვჩინისა და ხამბა-ლამა სოდოვისათვის გასაგზავნი წერილის წერას.

„ჩემს მოწყალე თანამებრძოლებს ვუძღვნი გულწრფელ სალამს და ვაუწყებ სამშობლოში ჩემს ჯანმრთელად და მშვიდობით დაბრუნებას. სულითა და გულით დღე და ღამე დაუღალავად ვიღვწი ჩვენი რწმენის განსადიდებლად. ამომავალი მზის ქვეყნის დიდმა და ბრძენმა ბატონმა რჩევა მოგვცა, ბურხანის ძორჩილთა კავშირთან ერთად ჩამოვაყალიბოთ ერისკაცთა კავშირიც, რაც გააორკეცებს ჩვენს ძალებს ახალ წესწყობილებასთან ბრძოლაში. იაპონია გვარწმუნებს, რომ მხარს დაგვიჭერს სამხედრო ძალებით და ემზადება ამ ნაბიჯისათვის...“ ამგვარი სულისკვეთებით კიდევ რამდენიმე სტრიქონი და-

წერა და წერილი ასეთი სიტყვებით დაამთავრა: „იმედია, შემოდგომისათვის ჯანმრთელად განახავთ და თქვენ, რელიგიის პატივცემულო მამებო, ამ დროისათვის დიდი რაოდენობით შეთხზავთ წერილებს, რომლებშიც მდაბიო არატები გამოთქვამენ მზადყოფნას დაამხონ ახალი ხელისუფლება, და ნებაყოფლობით დანებდნენ იაპონელებს“.

ერთი კვირის შემდეგ ბალდანი დამდინ-ოჩირის წერილს კითხულობდა და ძლივს იოკებდა გულისწყრომას.

16

შუადღის მზის მცხუნვარე სხივები ცეცხლის ენებივით სწვავდა უკიდეგანო ველს, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა და უკაცრიელი ჩანდა. ირგვლივ მრავალ მილზე მწვანე ველი გადაჭიმულიყო, რომელსაც აქა-იქ საქარავნო ბილიკები კვეთდა. მონღოლეთის თვალუწვდენელ ველმინდვრებში შეიძლება საათობით იარო და ვერანაირი საცხოვრებელი ვერ ნახო. ზოგჯერ ველზე დგას განმარტოებული აილები ანდა მომთაბარეთა პატარა ხოტონები, რომლებიც ერთმანეთისგან მრავალი ათეული მილითაა დაშორებული. ზედ ჰორიზონტზე კერპებივით აღმართული ლურჯი მთები, მარად ლურჯი, კრიალა ცა, ბაჯაღლო ოქროსფერი მცხუნვარე მზე. ბალახების სურნელით გაჟღენთილი, მაცოცხლებელი სუფთა ჰაერი აღელვებს მონღოლის გულს. მშვენიერი აღთქმული მიწაა!

აქა-იქ დაბალი ბალახ-ბულახით დაფარულ გზაზე, წაბლა ცხენზე ამხედრებული ხუბილგანი მიჩაქჩაქებდა. თავზე წაეკრა დაჭმუჭვნილი მოსახვევი, რომლის ბოლოები მარცხენა მხართან უფრიალებდა. ყავისფერი დალემბის ტერლეგი[1] ზურგზე ძალზე გახუნებულიყო, ცხენოსანს კი სახე შავად გარუჯვოდა და ქარისაგან აქერცლოდა. ხუბილგანი ულან-ბატორიდან წმინდა ლუზანის მონასტრისაკენ მიემართებოდა. ერთი კვირა იქნებოდა, რაც ცხენიდან არ ჩამოსულიყო. მხოლოდ მგზავრობის მერვე დღეს, ზედ ჰორიზონტზე, დაბალი ბორცვების ძირში გამოიკვეთა ბავშვობიდან ნაცნობი მონასტრისა და მის ირგვლივ მიმოფანტული მომთაბარე არატთა სადგომების ბუნდოვანი კონტურები. დოჩინმა ცხენი შეაყენა, შორს გაიხე-

[1] ტერლეგი—მსუბუქი საზაფხულო დელი.

და და გული სიამით ავევსო, რაც კარგა ხანია არ განეცადა. გაზაფხულიდან მოყოლებული ბევრი სომოსი შემოიარა, სადაც შესანიშნავი ბუნება თვალს ახარებდა, მაგრამ გულს არ უჩქროლებდა.

ბოლო წელს დოვჩინი ულან-ბატორის განდანის ახლოს ფებმოუცველად ცხოვრობდა და პირველ ხანებში ცხენზე ჯდომამ სწრაფად დაღალა. მაგრამ, როგორც კი შეეჩვია, მრავალდღიანი მოგზაურობა დაიწყო აიმაკებსა და სომონებში. ხშირად, როდესაც ღამე ველზე მოუსწრებდა ხოლმე და ახლომახლო არ იყო ერთი აილიც კი, სადაც ღამის გათევასა და რძიანი ცხელი ჩაის დალევას შეძლებდა, ცეცხლის დაუნთებლად ატარებდა ღამეს ღია ცის ქვეშ.

იყო შემთხვევები, როდესაც ხუბილგანი დაღლილობისაგან უნაგირზე თავს ვერ იკავებდა. მაშინ ცდილობდა საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ წინ დიდი წარმატებები და ბედნიერება ელოდა, რისთვისაც ღირდა, სიცხე, დაღლილობა, შიმშილი და წყურვილი აეტანა.

გზად ხუბილგანს შემოხვდა არც თუ ღრმა ჭა, რომლიდანაც ცხენს წყალი დაალევინა და გამტვერიანებული სახე დაიბანა. დოვჩინმა ცოტა ხანს დაისვენა და მერე მონასტრისაკენ კი არ წავიდა, არამედ ჭიდან ერთი საათის სავალზე განცალკევებით მდგარი ორი ალაყოჩისაკენ გაემართა. ველზე გაზრდილი ადამიანები შორსმსედველები არიან. ხუბილგანი არ შემცდარა: ზუსტად ერთი საათის შემდეგ ის უკვე მიირთვნევდა გემრიელ ნალებს. პირში რომ დნებოდა, აყოლებდა სურნელოვან ცხელ ჩაის და დინჯად საუბრობდა სტუმართმოყვარე მასპინძლებთან სხვადასხვა საკითხზე. იშვიათი სტუმარი რომ არავის შეეშჩხია, დოვჩინმა გადაწყვიტა, მონასტერში, ხამბა სოდო

შეხვედრაა. რაღას ვდგავართ, აქეთ მობრძანდით და მაღლა დაბრძანდით[1].

ხამბას კარავში ხუბილგანი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში, ღვინო შესვა, გემრიელად მიირთვა და ვიდრე ხამბასთან საფუძვლიან საუბარს დაიწყებდა, გააფრთხილა:

— ჩემი მოსვლის ამბავი თქვენსა და ბალდანის გარდა არავინ არ უნდა იცოდეს. ეს ახლა ჩვენთვის სახიფათოა. გესმით? ორიოდე დღის შემდეგ წავალ.

მოძღვარი და ხუბილგანი ერთმანეთთან გულახდილები იყვნენ. მათ დეტალურად განიხილეს ხუდონისა და ულან-ბატორის ახალი ამბები, ილაპარაკეს ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე, რევოლუციური არატების სიფხიზლის გაძლიერებასა და ახალი ხელისუფლების მტრებისადმი მათ შეურიგებლობაზე. ხუბილგანმა ხამბას მოახსენა ხუდონში თავის მგზავრობის შესახებ, რის შედეგადაც შეძლო მთელ რიგ მონასტრებთან მჭიდრო კავშირის დამყარება და იქაური მოძღვრებისა და ლამების თავის მხარეზე გადმობირება.

— როგორ იქცევა ბალდანი?

— არა უშავს. ვერაფერს იტყვი, ჭკვიანი და გაბედული კაცია. აი, რას ნიშნავს ახალგაზრდობა! ახალგაზრდობა ყველაფერია, ძვირფასო ხუბილგანო! იაპონიის დაზვერვასაც ქებით ცამდე აჰყავს იგი...

— საერთოდ რას აკეთებს? რისი გაკეთება მოასწრო ჩვენი საქმისათვის?

— სრულიად მოულოდნელად, სუბურღანის ასაგები შესაწირების შეკრების საუკეთესო ორგანიზატორი გამოდგა. ამ კაცის კარგი წაბოწყება მუდამ კარგად გვირგვინდება.

— აბა, ვინმე უქნარას ხომ არ გამოგიგზავნიდით, პატივცემულო მოძღვარო. — წაიტრაბახა ხუბილგანმა. — აბა. კიდევ რისი გაკეთება მოასწრო?

— რა მოასწრო? ჯერ ერთი, ამოწმებს, როგორ სრულდება დავალებები და ამის შესახებ რეგულარულად გადასცემს იაპონიის დაზვერვის რეზიდენტს, ხოლო იქიდან დაშიფრული ტექსტის საშუალებით ღებულობს ახალ მითითებებს, როგორ იმოქმედოს და ჩვენ გვა-

---

[1] მაღლა დასაჯდომად მიპატიჟება — წითელი კუთხეში, საპატიო ადგილზე დასაჯდომად მიპატიჟებას ნიშნავდა.

ტყობინებს. მეორე, განათლებული კაცია და ადვილად პოულობს ხალხთან საერთო ენას. ამ ადგილებში არატთა შორის ავტორიტეტი-თ: და გავლენით სარგებლობს. ხალხის შერჩევის ნიჭისა და უნარის წყალობით ჩვენს კავშირს შეემატა კიდევ რამდენიმე კაცი, რომელთა შორის განსაკუთრებით მომწონს ყოფილი წყლის მზიდავი გომპილი. თავდაპირველად მაინცდამაინც არ ვენდობოდი იაპონელთა დესპანს და ყოველნაირად ვცდილობდი გამომეცადა, განა ცოტა რამ ხდება... ერთხელ ისეთი გამოცდა მოვუწყე ბალდანს, რომ მისი რისხვისაგან ძლივს მოვედი გონს. სხვა დროს როგორმე გიამბობთ ამის შესახებ.

— ჰო, იაპონიის დაზვერვამ საქმეში ჩახედული კაცი გამოგზავნა... მაგრამ, როგორც ამბობენ, „გველი გარედან არის ჭრელი, კაცი კი — შიგნიდან". როგორ გავიგოთ, რა აქვს გულში იმ ბალდანს? ფრთხილად იყავით. ამით არაფერი დაშავდება.

— ჩემო ძვირფასო ხუბილგანო, ვხედავ, დაღლილი ბრძანდებით და ქუთუთოები დაგიძძიმდათ. დაწექით, დაიძინეთ. ჯერ გათენდეს და მერე ვნახოთ! ხვალ ვილაპარაკოთ.

ხამბა სოდოვმა ხუბილგანს ლოგინი გაუშალა, შემდეგ თაკის მორჩილს უბრძანა, ხუბილგანის ჩამოსვლის თაობაზე სიტყვა არავისთან დასცდენოდა და ორი-სამი დღის განმავლობაში მასთან ალაყოჩში არავინ შეეშვა.

მეორე დღეს, დილის ლოცვისა და საუზმის შემდეგ ბალდანს დაუძახეს. დოეჩინმა ის ძალზე გულთბილად მიიღო. უამბო ქალაქში მუშაობის სიძნელეებსა და შეთქმულების თანამონაწილეთა დაპატიმრების შესახებ, რომელთა ბედი ჯერჯერობით არავინ იცოდა.

— ქალაქში კიდევ რამდენიმე კაცი შემოგვიერთდა, მაგრამ ვერ ვმოქმედებთ და ხელფეხშეკრულები ვზივართ: ყველგან წითელი მილიციის შემოწმებები და მეთვალყურეობაა. ქალაქი ხუდონი როდია. აქ ხალვათობაა, იქ კი ყველაფერი წითლების თვალწინაა. ხუდონში ხალხიც სხვაა. ქალაქში კი მარტო ენატარტარა ყბედები ცხოვრობენ, რომლებიც მზად არიან ერთმანეთს ყელი გამოლადრონ.

ხუბილგანმა ხელში მარჯნის სახურავიანი ნეფრიტის საბურნუთე შეათამაშა, ხელისგულზე ცოტა ბურნუთი დაიყარა და მთელი ძალით ცხვირში შეისუნთქა. ბალდანი თითით მიიხმო. მასთან ახლოს რომ დამჯდარიყო.

— იცოდეთ, სიტყვა არავისთან დაგცდეთ მონასტერში ჩემი სტუმ-

რობის თაობაზე. ვფიქრობ, შემოდგომის ბოლო თვეს დავიწყო გადატრიალება. იმ დროისათვის საკმაო ხალხიც გვეყოლება და იარაღიც ბლომად გვექნება. სხვა მონასტრებიც მხარს გვიჭერენ და ამას კიდევ დაემატება იაპონიის სამხედრო დახმარება. როგორ ფიქრობთ, — გაუმეორა კითხვა ბალდანს, — დაგვეხმარებიან ამომავალი მზის ქვეყნიდან?

— იმედია, დაგვეხმარებიან. იაპონელებმა მოითხოვეს გზების ზუსტი რუკები იმ ტერიტორიის მითითებით, რომელიც ყველაზე მოსახერხებელი იქნება ჯარების შემოსაყვანად. რუკები უკვე გავგზავნე.

— ყოჩაღ, შვილო. — ხუბილგანმა მხარზე დააღო ხელი ბალდანს. — ჩვენი რუკები გაგზავნე თუ სხვა?

— ჩვენი რუკების ასლები თავად გავგზავნე. გარდა ამისა, ბუიანტმაც წაიღო თავისი რუკები.

— დიდება ბურხანს. ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. ეს ხომ უდიდესი საქმეა!.. გადატრიალებამდე დარჩენილ რამდენიმე თვეში უნდა მოვასწროთ, ირგვლივ მდებარე ყველა მონასტრის ლამები დავრაზმოთ და ჩვენი ძალები გავაერთიანოთ ახალი ხელისუფლების დასამხობად. ერთიანი მოქმედების პროგრამის შესამუშავებლად მონასტრების მოძღვართა ფარული ყრილობა უნდა ჩავატაროთ.

— ღირსეულო ხუბილგანო, ერთი იდეა მაქვს, — ბალდანი ოდნავ დაიხარა ხუბილგანისაკენ.

— გისმენ, შვილო. თქვი.

— სასურველი იქნება, ამ ყრილობაზე მოვიწვიოთ ხალხასეთის ხანი, კანონიკი დამდინ-ოჩირი, რომლის ტახტიც ამჟამად ბარგუტის კუმირნშია. მას შეუძლია ისევ წავიდეს იაპონიის დაზვერვის რეზიდენციაში და ბურხანის ყველა მორჩილის სახელით დააჩქაროს იაპონელები, სამხედრო დახმარება გაგვიწიონ.

— უეჭველად, ყრილობაზე ხალხასეთის ხანის დასწრება ძალზე სასურველი იქნებოდა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, — ამოიხვნეშა ხუბილგანმა, — რომ საზღვრის გადმოლახვა ბარგუტის კუმირნიდან და წმინდა ლუზანის მონასტრამდე მოსვლა ძალზე ძნელია.

— მესმის თქვენი, ბრძენო ხუბილგანო. მაგრამ მე ვკისრულობ დამდინ-ოჩირის აქ მოყვანას. ჯერ სუბურღანის ადგილის საკურთხეველად მოვიწვევ.

— კეთილი, ეს საკითხი გადაწყვეტილია. — ხუბილგანმა ჩაახველა

და ფიალიდან გაციებული ჩაი მოსვა. — საჭიროა ლამები მორალურად შევამზადოთ რელიგიისათვის საღმრთო ომში მონაწილეობის მისაღებად, რომელშიც ან უნდა გავიმარჯვოთ, ან ყველანი ერთად გაეწყდეთ. მაგრამ საჭიროა, რწმენისათვის საღმრთო ომში იარაღით ხელში აღსდგნენ და არა კრიალოსნებითა და ლოცვებით. თქვენ, ბატონო იაპონიის დესპანო, — უფრო დიდი მნიშვნელობა რომ მიეცა, ხუბილგანი ოფიციალურ ტონზე გადავიდა, — გთხოვთ შეუდგეთ აქაური ლამების სამხედრო მომზადებას, რომლებიც უკლებლივ გაჰყვებიან ხამბას, და შეიმუშაოთ სამხედრო ნაწილებიდან ცეცხლსასროლი იარაღისა და ბმლების გატაცების გეგმა. როგორც კი იაპონელები ჩვენს საზღვარს გადმოლახავენ, მაშინვე იარაღით ხელში უნდა აღვდგეთ ჩვენი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

დოვჩინმა კიდევ რამდენიმე ყლუპი ჩაი მოსვა ფიალიდან და მოძღვარს მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით მიმართა:

— ჩემო ძვირფასო ხამბა-ლამა, მოძღვართაგან ყველაზე უბრძნესო და ღირსეულო, რომელთაც ოდესმე ვიცნობდი, ისარგებლეთ ჩემი რჩევით და აბ აბალგაზრდისაგან ისწავლეთ, — მან თავით ანიშნა ბალდანზე, — იმ ნაგანიდან სროლა, რომელიც ახლა უნდა გაჩუქოთ. — და აბგიდან ამოიღო ნაგანი, რომელსაც მოსევადებული ვერცხლის სახელური ჰქონდა.—ამიერიდან ამის პატრონი თქვენ ბრძანდებით. ნუ უგულებელყოფთ ჩემს რჩევას, ისწავლეთ სროლა.

ხამბას კრიალოსნის მეტი ხელში არასდროს არაფერი სჭერია, ამიტომ შეშინდა და გაეხარდა კიდეც. მოძღვარმა საჩუქარი დიდის ამბით მიიღო და ხუბილგანს უსურვა, არ მოკლებოდა ბურხანის წყალობა.

— დაე, წმინდა ლუზანის მონასტერი ყოფილიყოს ჩვენი მთავარი შტაბი და ჩვენი ორგანიზაციის წმინდა კერა!

ბალდანს იაპონიის დაზვერვასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა დაუსვა და სასიამოვნო და დამაიმედებელი პასუხები რომ მიიღო, დოვჩინმა გაიცინა და მისი საქმიანობა შეაქო.

— ჰო, სულ დამავიწყდა. როგორ არის ტაიჯი დამირანი? ალბათ, მთლად გალოთდა? თვალი გეჭიროთ მასზე. მთვრალი ზომაზე მეტად უბედია.

— მისგან ხეირს ვერ ნახავს კაცი. ცოტა ხნის წინ ზამთრის სადგომი დაუწვა აქაურ ყბედს. კინაღამ ჩავარდა და თან სულ ტყუილ-

უბრალოდ. იმ ყბედს არტელის წევრებმა ახალი კარავი დაუდგეს. მაგრამ ზოგჯერ დამირანიც იმსახურებს ქებას.

მოძღვარმა ბაბუა დონოის ამბავი უამბო ხუბილგანს და გულიანად აცინა.

მეორე დღეს, გომპილთან მოთათბირების შემდეგ, ბალდანმა გადაწყვიტა, ამჯერადაც გაეოცებინა ხუბილგანი და იძულებული გაეხადა მთლიანად მინდობოდა მას.

— ყოველისშემძლე ხუბილგანო, ბურხანის მორჩილთა დამცველო, მისი წმინდა ნება-სურვილის ლოცვით გადმომცემო, წარმატება გვისურვეთ და დაგვლოცეთ რწმენის გადასარჩენ საშიშ საქმეში. გადავწყვიტეთ, იარაღი ვიშოვოთ.

— მაგრამ იარაღის საწყობში შეღწევა საშიში და რთული საქმეა.

— ვიცით, ყოვლად ძლიერო მოძღვარო. ბედს ვცდით და იქნებ წარმატებას მივაღწიოთ. მოწყალეო დოვჩინო, ილოცეთ ჩვენთვის, მფარველი ანგელოზი რომ შეგვეწიოს.

— ფრთხილად იყავით, შვილნო ჩემნო!

• • •

ჯარების ნ. ნაწილის განსაკუთრებული განყოფილების უფროსის ნებართვით, ბალდანმა და გომპილმა ხელწერილით მიიღეს რამდენიმე ხმალი და ათი უვაზნებო შაშხანა სამ დღეში უკან დაბრუნების მითითებით.

ბალდანმა და გომპილმა იარაღი ღამით მოიტანეს და მონასტრის საწყობის შენობაში თვალსაჩინო ადგილას დააწყვეს. ღამის დარჩენილი დრო ბალდანის ფიცრულში გაატარეს შემდგომი მოქმედებების გეგმის განხილვაში.

მეორე დღეს, დილით, შეწირულებისა და მათი მუშაობის შესაფასებლად ორივე დიდებული საწყობში მიიპატიჟეს. საბრძოლო შაშხანებისა და ხმლების დანახვისას ხუბილგანსა და ხამბას ოხვრა აღმოხდათ. მათ ბურხანს ლოცვა-კურთხევა აღუვლინეს, ბალდანს სიმარჯვე შეუქეს და ხუბილგანის გამგზავრებასთან დაკავშირებით გამართულ ვახშამზე მიიპატიჟეს.

ვახშამზე ხუბილგანმა, დიდი ნდობისდა ნიშნად, ბალდანი თავის

მარცხენა მხარეს მოისვა და ორივე ლამა ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ვინ უფრო კარგ ნაჭრებს შესთავაზებდა.

იმავე ღამეს დოვჩინმა ყველასთვის შეუმჩნეველად დატოვა მონასტერი.

17

კუდა ტაიჯი ისე შეეყარდა ხამბა-ლამას ალაყოჩში, რომ ძლივს იკავებდა წონასწორობას. უაზრო თვალებით მიაშტერდა ხამბას, ენის ბორძიკით მიესალმა, მაგრამ მოძღვარმა პასუხის ღირსიც კი არ გახადა. ტაიჯიმ ერთი ნაბიჯი გადადგა და კინაღამ დაეცა. ის იდგა, ბარბაცებდა და გაშლილი ხელებით ჰაერს ეჭიდებოდა.

— მოძღვარს არ სურს ჩემი ნახვა, წავალ

— დამირან, სადაც დგაბარ, იქვე დაჯექი, — ხამბა-ლამას სახეზე ზიზღი გამოეხატა. — ასე სად გაილეშე, არამზადავ? იმდენი საქმე გვაქვს, მთელი ღამეები არ გვძინავს და ეს კი ღვინით ტყვილია.

დამირანი კართან დაჯდა, ზურგით კარის ამყოლს მიეყრდნო და ქშენა დაიწყო.

— ეი, დამირან, რატომ მოხვედი? ტყუილად დაეთრევი, თუ რაიმე საქმე გაქვს?

ტაიჯიმ თვალები გაახილა, გამოლენჩებული, დამნაშავე მზერა მოავლო ალაყოჩს. სლოკინი შეიკავა და წუწუნს მოჰყვა:

— აღარავის ვჭირდები. საქმის გულს ვერ ვუდებ და ღმერთმაც მიმატოვა.

— მორჩი ტირილს, მამაკაცი სულით არ უნდა დაეცეს. ეს ცუდის მომასწავებელი ნიშანია. თქვი რა მოხდა? რატომ მობრძანდი?

— გასული წლის შემდეგ ბედმა მიმუხთლა, ახლა ამქვეყნად ყველა ჩემი წინააღმდეგია. რომ შემეძლოს, ახლავე წავიდოდი საიქიოში!

მთვრალი ტაიჯი დანაოჭებულ სახეზე ჭუჭყიანი ხელებით იშმენდდა ცრემლებს და განაწყენებული ბავშვივით თავის ბედზე ჩიოდა. უცებ ხამბას წინ მუხლებზე დაეარდა, მისი დელის კალთებს ხელებით ჩაებღაუჭა და შემზარავად აკივლდა:

— მოძღვარო! ჩვენო გულმოწყალე მასწავლებელო! შეავედრე ჩემი თავი ბურხანს, მფარველ ანგელოზებს შესთხოვე, არ მიმატოვონ.

განმწმინდე ცოდვებისაგან! მიკმიე გუნდრუკი! სიცოცხლეს არ დავზოგავ...

— ხმა ჩაიწყვიტე!—დამირანის ღრიალისათვის ვინმეს ყური რომ არ მოეკრა, შეშინებულმა ხამბამ უხეშად შეაწყვეტინა. — რა დამთხეულივით ღრიალებ? შფოთიანი დროა, ბურხანმა ნუ ქნას, ვინმემ გაიგონოს. წესიერად თქვი, რისთვის მოხვედი? რა გინდა?

ხამბას მიერ წარმოთქმულმა, აქამდე გაუგონარმა, უკმეხმა სიტყვებმა დამირანი გამოაფხიზლა.

— ორი წლის წინ, როდესაც თქვენი თხოვნით იაპონელებთან გასაგზავნ წერილს ვწერდი, მგონი მთლად ასე არ მექცეოდით. ძალღონეს არ ვიშურებდი ძველი წესწყობილებისა და ადათ-წესების აღდგენისათვის და ვიმედოვნებდი, მეც შევიტან ჩემს წვლილს ჩვენი რელიგიის გადარჩენის საქმეში-მეთქი. არ ვდაობ, რა თქმა უნდა. მქონდა შეცდომები. მაგრამ, მოძღვარო, ბოლომდე თქვენი ერთგული ვიყავი. ახლა კი ის ბალდანი დაიახლოვეთ და მხოლოდ მის წარმატებაზე ზრუნავთ. დღედაღამ მისთვის ლოცულობთ და ყოველისშემძლე მფარველანგელოზებს მის შეძწეობას სთხოვთ. განა ეს სიმართლე არ არის? მიპასუხეთ, მოძღვარო! — ხამბასაგან უარყოფილი, ბებერი დამირანის გულში ეჭვმა და შურმა გაიღვიძა, რაც გამოწვეული იყო ბალდანის წარმატებებითა და გარკვეული დროიდან ხამბაზე მისი ზეგავლენით.

— დამშვიდდი, ტაიჯი! თუ გულში საკუთარი არარაობის გრძნობა შეგეპარა, მაშინ წარმატების იმედი ნულარ გექსება. დაგლოცავ, გუნდრუკს გიკმევ და ყველა ცოდვისაგან გაგწმენდ. შენ ძლიერი კაცი ხარ და ეს სისუსტე უნდა დაძლიო.

— მაკურთხე! მაკურთხე ჩქარა! კიდევ დავამტკიცებ, რა შემიძლია!

მოძღვარმა დამირანი ლეიბზე დასვა, ჩაი და ცოტა ოდენი საკმელი მისცა, თავად საკურთხეველს მიუჯდა და თვალდახუჭული ხმადაბლა მოკვა ტარნის ბუტბუტს, რისგანაც ტაიჯის არც ერთი სიტყვა არ გაუგია.

„ო! გულკეთილი ხამბა! ბოროტ სულებს ებრძვის და ჩემთან ციურ მაცხოვარს მოუხმობს. დამიბრუნებს წარმატებას“. მოხუცი დამირანი კვლავ მოუხერხებელ პოზაში იჯდა. მოძღვრისათვის ღმერთებთან საუბარში ხელი რომ არ შეეშალა, განძრევასა და ღრმად ამოსუნთქვასაც ვერ ბედავდა.

ხამბა სოდოვმა ტარნი ჩაიკითხა და დამირანს გუნდრუკი უკმია.

— კურთხეულ იყავ! ახლა გიმარჩიელებ და გაიგებ, რა არის შენი უიღბლობის მიზეზი.

— ჩვენო ყოვლისშემძლე მოძღვარო, შენი ლოცვების ძალით დიდად გაიხარა ჩემმა გულმა. მოწყალეო, შენს სათნოებას არ აქვს საზღვარი. სიკეთეს ასმაგად გადაგიხდი. მოძღვარს გულს გადაიუშლი, არაფერს დავუმალავ. ვინანიებ ცოდვებს, შემშურდა ბალდანის, მის მოკვლას ვფიქრობდი.

— ეს არ სურს ბურხანს, რადგან ბალდანი მისი მოციქულია, და ჩვენი გადარჩენისათვის იღვწის. საჭიროა გავუფრთხილდეთ და გვიყვარდეს ის. აი, ამისათვის დაგსაჯა ბურხანმა და წარმატებამ ზურგი შეგაქცია.

ხამბა-ლამამ სანდალოზის ხის პატარა კუბები ხელისგულზე დაიწყო, მეორე ხელისგული დააფარა და რამდენჯერმე შეანჯღრია, თან ჯადო სიტყვებს ბუტბუტებდა. მერე ხელით ნაწერი ნაკრის გარიკანიანი დახეული წიგნი გადაშალა. რამდენიმე გვერდი გადაფურცლა, კუბებს დახედა და ხელისგული სახეზე მოისვა.

— შეხედე, ტაიჯი. ბედი არ გწყალობს და უახლოეს ხანში წარმატებას ნუ ელი. ყველაფერი ეს იმის გამო მოხდა, რომ პირუტყვის ჩამორთმევით ხალხს აწყენინე. და ეს შენი საქციელი უბედურებად მოგიბრუნდა. თუ გსურს, კვლავ ბედი გწყალობდეს, ის პირუტყვი სწრაფად უნდა მოიშორო თავიდან. თანაც შენს ალაყოჩში უბედურების ჟამს შეძენილი ერთი ოქროს ნაკეთობაა. თუ მას არ მოიშორებ, შეიძლება გაითვალო და ჯანმრთელობა ძალზე შეგერყეს. ამის გარდა, გულში შური და სხვა ბნელი ზრახვები გაგიჩნდა. აი. ხედავ?

ასეთი წინასწარმეტყველების გაგონებაზე დამირანი შეკრთა.

— ნათელმჭვრეტელო მოძღვარო, მართლაც, დიდი ხნის მოვალეს შავი თოხარიკი ცხენი წავართვი, ხოლო ერთ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კამათელში მოვუგე და ოქროს საყურეები წავართვი... მოძღვარო! მოგიტანთ საყურეებს, მოვიყვან თოხარიკს და ჩემი ჯოგიდან დაეუმატებ ორ ლაფშას, ოღონდ, გაფიცებთ. კიდევ ილოცეთ და კვლავ მომანიჭეთ ბედნიერება! ხომ გჭირდებით, დამიფარეთ უბედურებისაგან, — ცრემლმორეული ევედრებოდა კუდა ტაიჯი.

სოდოვი, თითქოს ლოცულობსო, კრიალოსანს მარცვლავდა და უხმოდ აცმაცუნებდა ტუჩებს. ფიქრობდა, უფრო მოხერხებულად როგორ ჩაეგდო ხელში მშვენიერი თოხარიკი და ბაჯაღლო ოქროს მძიმე საყურეები, რომლის შესახებ მთვრალ ტაიჯის როგორღაც წამოსცდა.

ერთბაშად რომ დათანხმებოდა ძვირფასი ნივთების მიღებაზე, უხამსობა იქნებოდა და ამიტომ ისიც თავს იფასებდა.

— ძვირფასო დამირან, დალიე ჩაი, მიირთვი ბურბუშელა. პატიცემულო ტაიჯი, ბედის ანაბარა არ მიგატოვებ, შენს გულს დავიცავ ჯადოსაგან, დაგლოცავ და გიხსნი გათვალისაგან. ღირსეულო ტაიჯი, როგორც ხედავ, ბურხანის ნებით გწმენდ ცოდვებისაგან და გლოცავ. ხოლო შენი საჩუქარი სასურველი იქნება ჩვენი მფარველისა და მხსნელი ბურხანისათვის და ამისათვის შენს ნაშიერს ბედნიერებას მიანიჭებს მესამე თაობამდე.

— დიდად მადლობელი ვარ, მოძღვარო. როგორ მოვიქცე, რათა სწრაფად მოვიცილო თავიდან ის ნივთები, რის გამოც ბედმა ზურგი მაქცია?

— ძვირფასო დამირან, ნუ იჩქარებ. მე მოგცემ ხადაგს, თოხარიკს ფაფარზე ან კუდზე შეაბი და უბედურებას აღარ მოგიტანს. საყურეები კი, რაც შეიძლება, სწრაფად მომიტანე. ზეგ მოდი, სურნელოვან ბალახებს მოვამზადებ, ბურხანის წინ საბსსეერპლოზე ვაკურთხებ და თავზე გაპკურებ.

დიდი ტვირთი მოიშორა დამირანმა მხრებიდან. ახლა უცოდველია და მისი მონაგარი მესამე თაობამდე ბედნიერი იქნება. მეტი რაღა უნდა? თავს მსნედ გრძნობდა, ცხენზე შეჯდა და გაქუსლა.

ამასობაში დოვჩინმა კარი ურდულზე დაკეტა, ზანდუკიდან ოქრო და ვერცხლი ამოიღო, ძვირფასეულობა ლეიბზე გაშალა და თვალით აწონა. „ოქრო ყოვლისშემძლეა. თუ მოვისურვებ, ხარბინში წავალ და დამდინ-ოჩირს რომ სპილენძის ბეჭედი უბოძეს, მეც ისეთივეს მომართმევენ. მაგრამ ბარგუტის კუმირნში ბეჭედით ჯდომას, წმინდა ლუზანის მონასტერში ოქროთი ცხოვრება სჯობს. ოღონდ ხელისუფლება შეიცვალოს... თუ საჭირო იქნება, თოხარიკსაც ოქროზე გადავცვლი...“

* *

ცოდვებისაგან განწმენდილი, ბედნიერი დამირანი შინ დაბრუნდა. ცოლმა საყვედურებით ააესო, სიბრაზისაგან მზად იყო თვალები გამოეკორტნა.

— ამ სიბერეში სასლი სულ გადაგავიწყდა! ყოველდღე დილიდან საღამომდე დაეთრევი... სად ეშმაკებთან იყავი მთელი დღე? წყალიც

არ მოგაქვს! უსახლკარო მაწანწალაზე უარესი ხარ... — არ ცხრებოდა ცოლი.

— ბებერო ცოდვილო, ენა დაიმოკლე! ახლაც გაჩვენებ, სად დავეთრევი! — ტაიჯიმ ჩექმის ყელიდან მათრახი ამოიღო, ცოლზე აღმართა და დაიღრიალა: — მონასტერში ვიყავი, წმინდა ხელთაგან კურთხევა მივიღე, გუნდრუკი მიკბიეს... არამზადავ! დავეთრეი?! — დამირანს სიბრაზე აღრჩობდა.

— აბა. დადე მათრახი! ვინ მოგცა ჩემი ცემის უფლება? სულაც არ მეშინია შენი...

— აჰ, უფლებებზეც ბედავ ლაპარაკს, შე ბებრუბანავ! ეს რაღა უფლებებია? ყბედ ცულტემს უგდებ ყურს? ენას ამოვგლეჯ!

დამირანმა იატაკიდან ჩაიდანი აიღო — ცარიელი იყო! მეორეც ცარიელი აღმოჩნდა. მან ბოროტად შეხედა ცოლს.

— რითი უნდა წავსულიყავი წყალზე? მთელი დღე ამლაკით დასეირნობდი, ჯოგიდან კი სხვას მე ვერ დავიჭერდი. დიღმიდან ცხვარს ვაძოვებდი, მთელი დღე პირში ლუკმა არ ჩამსვლია, შენ კი არაფერში მეხმარები. ნეტავ, როდის მოეღება ამას ბოლო? — ცოლის თვალებში ცრემლები აკიაფდა.

„მართლაც, მთლად მივატოვე ოჯახი. მარტო ეს კი რას მოერევა ამოდენა მეურნეობას. ახალი ხელისუფლების დროს ფულითაც ვერ იშოვი მოსამსახურეს. ისე კი აღარ არის, წინათ რომ იყო...“

— კარგი, ნუ ილანძღები. ცოტაც მოითმინე. არც მე ვზივარ უსაქმოდ. მალე ყველაფერი უკეთესობისაკენ წავა და არც შენ მოგიწევს ქვაბების ხეხვა და წყალზე სიარული. კიდევ რამდენიმე თვეც... ოღონდ იცოდე, კრინტი არავისთან დაგცდეს იმაზე, რასაც გეუბნები. ისეთი დროა, შეიძლება საკუთარმა ენამაც დაღუპოს კაცი.

გავიდა ორი დღე და დამირანმა, ხამბა სოდოვთან შეთანხმებისამებრ, ცოლისაგან მალულად, მას საწინდარი გადასცა: შავი თოხარიკი და ეროვნულ სტილში გაკეთებული მასიური ოქროს საყურეები. უკან დაბრუნებისას ბალდანი შემოხვდა.

— ხამბა-ლამამ ყოველგვარი ცოდვები მომიტევა. თავზე გუნდრუკი მაკმია და ცოდვებისაგან განმწმინდა. ბურხანი კვლავ მომანიჭებს სასურველ ბედს. თქვენც მომიტევეთ ჩემი წარსული შეცდომები. ამიერიდან სუბურღანის აგებას შევწირავ თავს...

„საინტერესოა... გამოცდილი და ეშმაკი ტაიჯი, ერთ-ერთი ყველაზე საშიში შეთქმული, პატიებას მთხოვს. ნეტავ რატომ?"

— გულწრფელად მომწონხართ და თქვენს დამსახურებებს სხვაზე ნაკლებად როდი ვაფასებ. ძვირფასო დამირან, თქვენ ხშირად დადიხართ ხუდონებში, ახალს რას ყბედობენ?

— მიზეზი არის, საშუალება კი მოინახება, — იყო უცნაური პასუხი, რომელმაც ბალდანი საგონებელში ჩააგდო.

მხედრები ერთმანეთს დაეშშვიდობნენ და სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ.

„ჩვენი შეხედულებები ბევრ რამეში ემთხვევა. ის ნამდვილად ძალზე ჭკვიანია, მაგრამ მე უფრო ჭკვიანი ვარ". ტაიჯიმ ცხენი შეაყენა და სწრაფად მიმავალ ბალდანს თვალი გააყოლა.

18

კუდა ტაიჯის ერთადერთი საზრუნავი გახდა სუბურღანის აგება და ამ საქმეში რაც შეიძლება მეტი შემოსწირველის მოზიდვა. დილიდან დაღამებამდე დადიოდა ახლო და შორეულ სოფლებში, ველზე ეფებდა განმარტოებულ აილებს. ყოველ შემხვედრს აღფრთოვანებით უყვებოდა სუბურღანის მომავალ დღესასწაულზე.

— შემოდგომის პირველი თვის ახალი მთვარის რვა რიცხვში[1], — რიხიანად წარმოთქვამდა დამირანი, — წმინდა ლუბანის მონასტრის ცენტრალურ კარმიდამოში შედგება ღვთიური და განუმეორებელი სანახაობა—სუბურღანის დღესასწაული. მისი წმინდა ნაწილები ყველა მომსვლელს ბედნიერებას მიანიჭებს მესამე თაობამდე, თუ მოსული, ჰოროსკოპებისა და ბრძენი ლამების წინასწარმეტყველების თანახმად, თავისი თოფით, ხმლითა და სანადირო ხანჯლით მაინც შეამკობს სუბურღანს, ამ კაცს ელის უცოდველი ცხოვრება ამქვეყნად და ბედნიერი გარდასახვა სიკვდილის შემდეგ. მობრძანდით, მოოწმუნენო! ახალი სუბურღანი თავისი სიდიადით ყველა ძველს დაჩრდილავს! მარტო მისი განჟირის[2] მოსავარაყებლად სამი ათას ტუგრიკზე მეტია გამოყოფილი. მობრძანდით, ბურხანის მორჩილნო! კურთხე-

---

[1] ბუდისტების მთვარის კალენდრით მზის საშემოდგომო პირისპირ დგომის დღე.

[2] განჟირი — განმასხვავებელი რელიგიური ნიშანი მონასტრების და მეჩეთების გუმბათებზე.

ვის დღეს მორწმუნეებს მონასტრის საწყობებიდან უფასოდ დაურიგებენ ნივთებს. ვისაც ფეხები აქვს, დაე, მოვიდეს, ვისაც ფეხები არა აქვს, დაე, მოფოფხდეს, რათა განიწმინდოს ცოდვებისაგან და გაიხანგრძლიეოს სიცოცხლე ამქვეყნად.

დამირანის სიტყვა აღელვებდა არატებს. ხალხი იმას ფიქრობდა, სად ეშოვა რაიმე იარაღი, უარეს შემთხვევაში — სუბურღანი შეემკო ოქროს ან ვერცხლის ნივთით და ამით თავისი მოდგმა ეხსნა უბედურებისა და გაჭირვებისაგან, საქონელი ავადმყოფობისა და გაწყდომისაგან, თავად კი განწმენდილიყო ცოდვებისაგან და მოეპოვებინა სულიერი სიმშვიდე.

კუდა ტაიჯის მოწოდებებმა მიაღწია ხოტონამდე, სადაც ცულტემი ოჯახითურთ ცხოვრობდა.

— არ დაუჯეროთ, ხალხნო! — არწმუნებდა ის თანახოტონელებს. — ლამებს მოტყუებით სურთ თქვენი უფულოდ და უიარაღოდ დატოვება. სუბურღანს რომ ძველი თოფებითა და უკანასკნელი ხანჯლებით შეამკობთ, რით მოიგერიებთ მგლებსა და ტურებს, თქვენს ცხვარს რომ ემუქრება? რით გაატყავებთ და გამოშიგნაეთ დაკლულ ცხვარს, თუკი უდანებოდ დარჩებით? დაე, მოხუცებმა გაიხსენონ ძველი დრო, როდესაც იყო შემთხვევები, მორწმუნენი თავიანთი ნებით რომ დგებოდნენ ლამების სამსახურში, და იმავე ბურბანის სახელით ლამები მუშა პირუტყვად რომ აქცევდნენ მათ. სახალხო ხელისუფლებამ ადამიანი თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახადა... არ დაუჯეროთ ლამებს!

მაგრამ ცულტემის მგზნებარე სიტყვები ნაკლებად ეკარებოდა თანასოფლელთა გულებს, რომელთათვის ბურხანის რწმენა თაობიდან თაობაში გადადიოდა და ჯერ კიდევ სიცოცხლის განუყოფელი ნაწილი იყო.

— უსაფუძვლო აგიტაცია არ გამოგვადგება, — უთხრა ცულტემს სომონის პარტუჯრედის მდივანმა. — ნათელი მაგალითია საჭირო, მეგობარო.

— ამხანაგო მდივანო, რა მოხდება, სუბურღანის რელიგიური დღესასწაული ჩვენი ხუდონელი ტალანტების დათვალიერებად რომ გადავაქციოთ? მოვაწყობთ თვითმოქმედებას, გავითამაშებთ სხვადასხვა სცენებს, მაგრად გავაკრიტიკებთ ლამებს, რას იტყვით?

— ცუდი იდეა როდია! მაგრამ რა რთულია აქ მუშაობა!

მოისურვებს კი, უფრო სწორად, გაბედავს კი ხალხი საზოგადო-

ების წინაშე გამოსვლას? ასეთი რამ ამ მიყრუებულ მხარეში ჯერ არ უნახავთ. მითუმეტეს, მონასტერში მათ სადილსა და საჩუქრებს ჰპირდებიან.

— არა უშავს, გავართმევთ თავს! უნდა გავართვათ თავი!

— მაშინ თქვენს განკარგულებაში იყოლიეთ რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირის უჯრედის მდივანი.

— რას იზამ, გავეჯიბრებით დამირანს. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს! და, საერთოდ, ამხანაგო მდივანო, ჩემი აზრით, ამ სუბურღანის დღესასწაულს ტყუილად როდი მართავენ ლამები. მათ სედიც მოკლეს. ხალხს კი მაინც სჯერა, რომ ეს არამზადები მათ სამოთხეში გაისტუმრებენ.

— დიახ, ჯერ კიდევ ძლიერია ხალხში ბურხანის რწმენა, ამქვეყნიური ცხოვრება მძიმე და მშფოთვარე ეჩვენებათ, ხოლო სიკვდილი წარმოუდგენიათ, როგორც ბედნიერი გარდასახვა — სასურველი და სათნო. ვერაფერს იტყვი, უცნაური ფსიქოლოგიაა! ფრთხილად იყავი. ვიმედოვნებ, არ ფიქრობ, ლამებმა შენი ხაშანი მხოლოდ იმიტომ დაწვეს, რომ უკეთესი აეგოთ?! ასეა!

— ერთ კაცზე მაქვს ეჭვი...

— შესაძლოა, შენი ეჭვები მართალი იყოს, მაგრამ იცოდე, შენს მიერ ეჭვმიტანილი კაცის უკან აუცილებლად მისი პატრონიც დგას!

პარტუჯრედის მდივანთან შეხვედრამ აღაფრთოვანა ცულტემი. რევოლუციური ახალგაზრდობის მგზნებარე, მხიარულ ხელმძღვანელთან ერთად მათ განიხილეს მოქმედების გეგმა და გადაწყვიტეს, რომ რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირის მდივანი რევოლუციური ახალგაზრდობის ძალებით მოამზადებდა თვითმოქმედების ძირითად ნაწილს, ცულტემი კი შეეცდებოდა დათვალიერებაში კავშირის გარეშე მყოფი ახალგაზრდობა მოეზიდა.

ბაგის მცხოვრებთა შორის, რომელშიც ცულტემის ხოტონი შედიოდა, მშვენიერი ხმით გამოირჩეოდა ახალგაზრდა გოგონა, სახელად დოლუინი. და, აი, ცულტემმა გადაწყვიტა დაეთანხმებინა იგი, რათა კონცერტში მონაწილეობა მიეღო. მაგრამ დედამისის ანჩხლი და ჭირვეული ხასიათის გამო ცულტემმა ვერ გაბედა იმ კარავში შესვლა, სადაც დოლუინი ცხოვრობდა. დედა ქალიშვილის სიახლოვეს არც ერთ მამაკაცს არ აუჭანებდა. ცულტემი დაელოდა იმ დღეს, როდესაც დოლუინმა ცხვარი მარტომ წაიყვანა, ცხენს მოახტა და ფერდობისაკენ გააქანა.

— დოლჟინ, ერთ მხიშვნელოვან საქმეზე უნდა მოგელაპარაკო.

— რა საქმეა ასეთი? — გაიოცა ქალიშვილმა.

— მინდა გთხოვო, კონცერტში მიიღო მონაწილეობა, რაც იცი, ის სიმღერები შეასრულო.

— ოი, რას ამბობთ! მე ხომ რიგიჯნი სიმღერაც არ შემიძლია, — შეცბუნდა ის. — არა, არა ნუ მთხოვთ.

— მისმინე, დოლჟინ. მე არ გეხუმრები. სერიოზული ამბავია. საქმე ჩვენი რევოლუციური ინტერესების დაცვას ეხება...

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! განა სიმღერებით უნდა დავიცვათ?

— სიმღერებითაც.

ცულტემმა დაწვრილებით უამბო, რატომ აწყობდნენ კონცერტს, და კიდევ ერთხელ სთხოვა მიეღო მონაწილეობა.

— თუ ასეთი საქმეა, რას იზამ, თანახმა ვარ. ოღონდ არ ვიცი, რა აზრისა იქნებიან ჩემი მშობლები. ნებას არ დამრთავენ. დედა საუვედურებით ამავსებს, იტყვის, სულაც არ არის საჭირო იმღერო და ცოდვა ჩაიდინო ბურხანის წინაშე, სუბერღანისაგან ლოცვა-კურთხევა უნდა მიიღო და შენს მომავალ გარდასახვაზე უნდა იფიქროო.

— ყველაფერი წარმოდგენილი მაქვს, დოლჟინ. მაგრამ ჩვენში ხომ არც ისე ბევრნი არიან მართლაც ტალანტები. შენი სიმღერების მოსასმენად კი დიდი და პატარა მოვა. ასე შევთანხმდეთ: შენი მშობლების ამბავს ჩემს თავზე ვიღებ, შენ კი ჯერჯერობით იმღერე, ივარჯიშე. აქ არვინ ხელს არ შეგიშლის, შეთანხმდით?

— შეთანხმდით.

დამირანი ცხენიდან ჩამოხტა დოლჟინის კარავის ახლოს და მის მშობლებთან სუბურღანის ჯადოსნური ძალის თაობაზე ენაწყლიანი საუბარი გააბა.

— ჩვენ აუცილებლად წავალთ წმინდა წეს-ჩვეულების სანახავად და ქალიშვილის გულისათვის სუბურღანს ზოგ რამესაც შევწირავთ, ბურხანმა რომ ბედნიერება მიანიჭოს, — დოლჟინის დედას ცრემლები მოერია და თვალები დელის კალთით მოიწმინდა.

— დედა ბავშვზე ფიქრობს — ბავშვი კი მთაზე. ასეა, ჩემო კარგო. გაგიგონია ანდაზა? — დამირანმა ენა გააწკლაპუნა.

— როგორ არა, გამიგონია.

— ქალიშვილზე იმდენს ფიქრობთ, რომ, ალბათ, საკუთარი თავიც გავიწყდებათ!

— რომელი დედა არ ზრუნავს თავის შვილზე?

— თქვენი ქალიშვილი კი, ალბათ, უკვე მომავლის გეგმებს აწყობს. ყური მიგდე, დედაკაცო, — ტაიჯი ქალის ყურთან დაიხარა, — ცულტემს იცნობ?

— ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ.

— მაშ, აი, რა, — აჩურჩულდა დამირანი, — ეს ურცხვი ცულტემი ახლა ყოველნაირად ლანძღავს ჩვენს სარწმუნოებას, მაგრამ ასეთი ადამიანები დიდხანს არ ცოცხლობენ, მათი სიცოცხლე ხანმოკლეა. გახსოვს სედი? ერთთავად გაჰყვიროდა, თავისუფლება მოვიპოვეთო. ჰოდა, მანამ იყვირა, სანამ ცხვირი არ წაიმტვრია. მალე ცულტემსაც ასე მოუვა...

— რატომ მეუბნებით ყოველივე ამას?

— იმიტომ, რომ შენი ურცხვი ქალიშვილი იმ შფოთისთავთან ჩახუტებული ზის ბორცვზე. რას მომაშტერდი? წადი, ნახე, ახლაც იქ სხედან. სულ ახლახან ვნახე.

— რას როშავ, ბებერო ძაღლო! — ქალი მუშტებით მივარდა ტაიჯის.

— ნუ ბრაზობ, დედაკაცო. მე ხომ კარგი მინდა შენი ქალიშვილისათვის.

მაგრამ დოლუინის დედა არ დაწყნარებულა. იქვე მიბმულ ჭაკ ცხენს მოაჯდა და, ცულტემის წყევლითა და თავისი ქალიშვილისათვის თმების დაგლეჯის მუქარით ბორცვისაკენ გაქუსლა. ახლოს მისულმა დაინახა კაცი, რომელსაც ცხენი აღვირით ეჭირა და მის ქალიშვილს დინჯად ესაუბრებოდა.

„დახე, ბებერ თხას, ნეტავ, რას ყბედობს ამდენ ხანს მასთან? ახლავე გაჩვენებ, როგორ უნდა გოგონებთან თამაში“ — გაიფიქრა ქალმა და ცხენს მათრახი გადაუჭირა.

ცულტემმა ქალი შენიშნა თუ არა, ცხენს მოახტა და მის შესახვედრად გაეშურა.

— მართალია, ღარიბული, მაგრამ ქოხი მაინც გვაქვს, — დაუყვირა ქალმა. — თუ ასეთი მოსაუბრე ხარ, ჩვენთან სახლში მოსულიყავი. ხალხის მაინც მოგერიდოს, ურცხვო. ყველას თვალწინ თავგზას უბნევ გოგოს. რას იტყვის ხალხი?

— რაც უნდათ, ის თქვან. ყველას პირს ვერ აუკრავ. ტყუილად ბრაზობთ, დედი. განა თქვენს ქალიშვილს კაცთან ლაპარაკის უფლება არა აქვს? თავის თავზე თვითონ აგებს პასუხს.

— ჯერჯერობით ჩვენ, მე და მამამისი ვაგებთ მასზე პასუხს!

— დამშვიდდით. მალე ჩვენს ბაგაში დღესასწაული იქნება. კონცერტის მოწყობა გვინდა. დაე, თითოეულმა თავისი ნიჭი გამოავლინოს. დოლჟინმაც იმღეროს კარგი სიმღერები. ყველამ იცის, მას რომ კარგი ხმა აქვს. მისმა უარმა შეიძლება თანასოფლელები გაანაწყენოს. გასაგებია?

— რა არის აქ გასაგები, — ამოიხვნეშა დედამ. — შენ ხომ კარგად გვიცნობ. მთელი ცხოვრება პირუტყვს ვაძოვებდით. წელებზე ფეხს ვიდგამდით, რა გვინახავს? რა გვესმის? არ გეწყინოს, ცულტემ, უმიზეზოდ რომ დაგიყვირე. კეთილი, იმღეროს. მაგრამ სისულელეების გარეშე! — თითით დაემუქრა დედა.

ქალი სახლში ბრუნდებოდა და კბილებს ილესავდა ბებერ მაჭანკალ დამირანზე, რომელიც ხამბას უკანალს ულოკავდა, სხვა აილებში დაეთრეოდა და საკუთარი მეუღლეობა კი მიტოვებული ჰქონდა.

* *

ხუჩირი[1], ორი მორინ-ხური[2], ერთი ლიმბე[3], რამდენიმე მომღერალი და მოცეკვაე თავისი ნომრების რეპეტიციას გადიოდნენ ცულტემის ალაყოჩში. მუსიკის ხმები რომ გაისმა, მეზობლებმა ერთმანეთის ჯიკავ-ჯიკავით კარში შემოჰყვეს თავები. ისინი ენის წკლაპუნით ამხნევებდნენ შემსრულებლებს. ზოგიერთი წინ მოძვრებოდა და ცულტემს კონცერტში მონაწილეობის ნებართვას სთხოვდა. ცნობილმა მთქმელმა, ხუბარა დამბამაც კი გადაწყვიტა თავისი ხელოვნება ეჩვენებინა და ლამებზე პაროდიები წარმოესახა.

19

ხამბა-ლამას ალაყოჩში მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად ყველაზე ახლო და სანდო ხალხი შეკრებილიყო: ვინ გაეგზავნათ საზღვარზე ხალხასეთის ხანის, დამდინ-ოჩირის შესახვედრად, რომელმაც თანხმობა განაცხადა სუბურღანის კურთხევის ცერემონიალს დასწრებოდა. დათქმულ დღესა და საათზე, როგორც ხანი

---

[1] ხუჩირი — მუსიკალური ინსტრუმენტი, ვიოლინოს სახეობა

[2] მორინ-ხური — ხემიანი საკრავი.

[3] ლიმბე — ფლეიტის სახეობა.

ახლახან გამოგზავნილ წერილში იტყობინებოდა, ის თანმხლებ პირებთან ერთად საზღვრის მეორე მხრიდან, სამხრეთ მონღოლეთის ტერიტორიაზე მდებარე ბარგუტის კუმირნიდან უნდა გამომგზავრებულიყო. ვინ შეხვდება დიდ ხანს მონღოლეთის აღმოსავლეთ საზღვარზე და ვინ მოაცილებს უვნებლად აქ, წმინდა ლუზანის მონასტერში? ვინ წავა? საშიშროების შემთხვევაში მკერდით ვინ დაიცავს დიდ ხანს?

— დიდად პატივცემულო მოძღვარო, თუ ინებებთ, მე გამგზავნეთ, — შეელვარებისაგან ბალდანს ხმა აუკანკალდა, — აქ მარტო ტაიჯი დამირანიც გაართმევს თავს.

— როგორც ჩანს, ეს არც ისე ადვილია, — საუბარში ჩაერია კუდა ტაიჯი. — უთუოდ ისეთი კაცი უნდა წავიდეს, ვინც კარგად იცის გზა. ვრცელი ველია და ერთნაირი ბორცვებიც ბევრია. სულ იოლად შიძლება გზას ასცდეს კაცი. განა ბალდანს როდესმე უმგზავრია იმ მხარეში?

— აქედან, წმინდა ლუზანის მონასტრიდან, იმ ადგილამდე არ მიმგზავრია, მაგრამ წინათ მრავალი წლის მანძილზე ვმუშაობდი მონღოლეთის საზღვრის იქით ბარგუტებსა და სუნედებს შორის, იქაურობა კარგად ვიცი. არ გეგონოთ, ძალიან მინდოდეს ხალხასეთის ხანთან შეხვედრა...

ხამბა უძრავად იჯდა ფეხებმორთხმული ყვითელი კერპივით და უპირატესობას არავის ანიჭებდა. ბოლოს წარმოთქვა:

— ბალდანი წავიდეს. დაე, ამომავალი მზის ქვეყნის დესპანი შეხვდეს დიდ ხანს და მოაცილოს აქამდე. დამირანი აქ დარჩება. უნდა ვიფიქროთ, რომ სუბერღანის დღესასწაული იქნება ჩვენი ძალებისა და შესაძლებლობების თავისებური დათვალიერება და გაცოცდა... აგრეთვე გამოცდა იმისა, რაც ამ დღესასწაულის მიღმა იმალება, გესმით, ტაიჯი? ბალდანს გომპილი გაჰყვეს.

დამსწრეებმა „უხაი, უხაი" შესძახეს და თავის ქნევას მოჰყვნენ, ამით თავიანთი ბრძენი მოძღვრის არჩევანს იწონებდნენ.

* * *

ბალდანსა და გომპილს, ორივეს მცხუნვარე მზისფერი დელი ეცვა. ასეთი დელი, ჩვეულებრივ, ლამებს აცვიათ ხოლმე. ისინი გაშლილ ველზე გავიდნენ.

— მეგობარო, ახლოვდება დასასრული. ვეცადოთ, ჩვენი საქმე ისევე ჯარმატებით დავამთავროთ. როგორც დავიწყეთ. ხოლო თუკი რომელიმე ჩვენგანი დაიღუპება, დაე მეორემ მიიყვანოს საქმე ბოლომდე. რადაც უხდა დაუჯდეს. — ბალდანი უზანგებზე წამოიწია. — რა სილამაზეა! რა თვალუწვდენი გაშლილი სივრცეა! მერედა, როგორ სუნთქავ, როგორ სუნთქავ!—ცოტა ხანს გაჩუმდნენ და ყური მიუგდეს შემოდგომის დილის სიჩუმეს.

— გამპილ, ბთავარია სიმშვიდე შევინარჩუნოთ. შეიძლება ერთმა ზედმეტმა მზერამაც კი მიიპყროს იმათი ყურადღება, ვისაც ვხვდებით. ბევრის მნახველი და გამოცდილი მტერია, რომელსაც არაერთხელ გადმოულახავს საზღვარი. თანაც, უთუოდ კარგად იქნებიან შეიარაღებულნი.

— ყველაფერი გასაგებია, არ გიღალატებთ, ოღონდ რაღაც კარგად ვერ ვგრძნობ თავს, ალბათ, მღელვარებისაგან?

— არა უშავს, მეგობარო, ყველაფერი კარგად იქნება. მე კი ვოცნებობ რაც შეიძლება მალე დავბრუნდე შინ. თითქმის სამი წელია ცოლ-შვილი არ მინახავს. გესერიევით[1] ვარ, თავისი სახლი რომ დაავიწყდა...—ბალდანმა ხალელიანად გაიღიმა.

ირგვლივ, საითაც უნდა გაგეხედათ, ბორცვების მწკრივითა და მთებით დასერილი ვრცელი, უკაცრიელი, დაუსახლებელი ველი მოჩანდა. ბორცვებს იქით ისევ ბორცვები, ბორცვები და კვლავ ველი...

— იმ ბორცვების უკან. მარჯვნივ, — ხელით აჩვენა ბალდანმა, — ერთი საიდუმლო მღვიმე ვიცი. წინათ, რევოლუციამდე, მასში ხელისუფლების მიერ კანონგარეშე გამოცხადებული ეგრეთწოდებული კეთილშობილი ყაჩაღები იმალებოდნენ.

— იმ ბორცვამდე, ალბათ, კიდევ მთელი ურტონი[2] იქნება.

მზის ჩასვლისას მივიდნენ გრანიტის კლდის მწვერვალის ვიწრო ნაპრალთან, რომელიც სარეველა ბალახით დაფარული ქვებით იყო ჩახერგილი.

— აქ არის, — ბალდანმა ქვები გადმოაგორა და გამოჩნდა პა-

---

[1] გესერი — მონღოლური ხალხური ეპოსის გმირი.

[2] ურტონი — 30 კილომეტრი გადასარბენი.

ტარა ხვრელი, რომელშიც ძლივს შეძვრებოდა ადამიანი. ხვრელს იქით მოჩანდა დაახლოებით ხუთკედლიანი კარვისოდენა ფართო, მშრალი მღვიმე მაგრად დატკეპნილი იატაკით. არაფერი მეტყველებდა ადამიანის არსებობაზე. როგორც ჩანს, ბოლო წლებში იქ აღარავინ ყოფილა. მხოლოდ კუთხეში, არც თუ ღრმა თხრილში, ეყარა რომელიღაც წვრილფეხა ცხოველის სუფთად გამოხრული ძვლები და ჭუჭყიანი-მოყვითალო ფერის ბატყლის მცირე ბღუჯები — გასულ შემოდგომას ლეკვები დაეყარა მგელს.

— კარგი მღვიმეა. ხალხასეთის ხანის სასახლედაც კი ივარგებს. როგორ გგონია, გომპილ? სწორედ აქ მოვიპატიჟოთ ხვალ მისი უდიდებულესობა მზისგან შესაფარებლად და დასასვენებლად. ახლა კი ჩაი ავადუღოთ და წავიხემსოთ.

— აი, ეს მესმის! — მხიარულად გამოეხმაურა გომპილი.

რამდენიმე საათის შემდეგ მეორე დღის განთიადზე ამ კლდის ძირთან, თავის პირად მცველებთან ერთად დამდინ-ოჩირი მოვა, აქედან კი უკვე ბალდანისა და გომპილის თანხლებით გაემგზავრება წმინდა ლუზანის მონასტერში ხამბა სოდოვთან დიდი ხნის ნანატრ შეხვედრაზე.

— როგორ ფიქრობთ, საზღვრამდე რამდენ პირად მცველს წამოიყვანს დამდინ-ოჩირი?

— ვფიქრობ, არა ნაკლებ ორისა, მაგრამ შეიძლება მეტიც წამოიყვანოს. ახლად გამომცხვარი ხალხასეთის ხანი სუბურღანის დღესასწაულზე როდი მოდის. ის მაღალ სასულიერო პირთა ყრილობაზე მობრძანდება. განიხილავენ მონღოლეთის საშინაო მდგომარეობას, დანიშნავენ ხელისუფლების გადატრიალების კონკრეტულ ვადებს, რომელიც იაპონელების დახმარებით უნდა მოხდეს, და შინ დაბრუნდება. უფრო სწორად, უნდა დაბრუნდეს, მაგრამ არ დაბრუნდება!

იაპონიის დაზვერვამ მორიგი დაშიფრული დეპეშით ბალდანი დამდინ-ოჩირის ერთ-ერთ ძირითად თანაშემწედ დანიშნა.

ის იმ დღესვე დაუკავშირდა ცენტრს, მიიღო სახელმძღვანელო მითითებები, თანაც შეატყობინეს, რომ იქ, სადაც საზღვრის გადალახვა იყო განსაზღვრული, სასაზღვრო საგუშაგო იქნებოდა გაფრთხილებული და იარაღით მომარაგებული.

* * *

ველის ტოროლას მორაკრაკე. წკრიალა ხმამ მზის ამოსვლა ამცნო და ბალდანი და გომპილი აიძულა მღვიმიდან გარეთ გამოსულიყვნენ.

— მალე ხალხასეთის ხანი მოვა. ახლა, გომპილ, ფრთხილად იყავი!

ისინი დაჟინებით მიშტერებოდნენ შორეთს და ცდილობდნენ ჰორიზონტზე ცხენოსნები დაენახათ.

— მგონი, მოდიან. აბა. მომეცი ბინოკლი, — მიმართა ბალდანმა გომპილს, რომელიც მშვიდად იჯდა ქვაზე და ნაგანს წმენდდა.

— რამდენნი არიან? რას ხედავთ?

— სამი ცხენოსანი ერთი სამარქაფო ცხენით. ხომ ვთქვი, ორ კაცზე ნაკლები არ ახლდება-მეთქი. ერთი, ალბათ, გამყოლია, მეორე კი, უეჭველად, პირადი მცველია. — ბალდანი თვალმოუშორებლივ გაჰყურებდა მხედრებს. — ვერაფერს იტყვი, ყოჩაღად მოდიან. ახლა უკვე მალე...

მხედრები კი სულ უფრო ახლოვდებოდნენ და ერთი საათიც არ გასულიყო, რომ თითქმის მიაღწიეს ბორცვის ძირს, რომელსაც ზემოთ ნაპრალი ჰქონდა. დათქმულ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, საგრძნობლად უკლეს სვლას და გაფაციცდნენ. შუაში ნელი თოხარი[1] მომავალ შესანიშნავ შავ ცხენზე, მიუხედავად დაღლილობისა, დიდებულად იჯდა მდიდრულ მოყვითალო-ნარინჯისფერ ხურეში[1] გამოწყობილი დამდინ-ოჩირი. მარჯვნივ მოჰყვებოდა ახალგაზრდა ლამა, რომელსაც უნაგირის კოტაზე საწკვერტებით პატარა ხურჯინი მიება. ოდნავ წინ განაწამებ და გაქაფულ ცხენს მათი გამყოლი ბარგუტი მიაჩაქჩაქებდა.

— ახლა კი გასწი! ღირსეული შეხვედრა მოეუწყოთ ხალხასეთის ხანს! — ბალდანი სწრაფად მოახტა ცხენს და ცხენოსანთათვის გზის გადასაჭრელად გაქანდა. ველის ფიცხი ცხენით მის გვერდით მიქროდა ერთგული გომპილი. როდესაც მათ შორის ოციოდე მეტრი იყო დარჩენილი, ბალდანმა გახურებული ცხენი შეაყენა და პაროლი შესძახა. პასუხი რომ მიიღო, ცხენიდან ჩამოხტა, ხალხასეთის ხანს

---

[1] ხურეში — დელის ზემოთ ჩასაცმელი ეროვნული სტილის კურტაკი.

ცერემონიულად მიესალმა, სახელით მიმართა. შემდეგ კი რიგრიგობით მიესალმა მის ყველა თანმხლებს.

როდესაც ბორცვის მწვერვალზე ავიდნენ და გრანიტის კლდის ნაპრალთან ჩამოქვეითდნენ, ბალდანმა გომპილს ანიშნა და მან რამდენიმე წუთში მღვიმიდან ნაკვერცხლებზე დატოვებული სპილენძის ცხელი ჩაიდანი გამოიტანა.

— დიდო და შეუდარებელო ლამა! მიირთვით ბოლისსურნელიანი ველის ცხელი ჩაი. დაღლილობა ერთბაშად გაგიელით. გთხოვთ, დიდო, ინებეთ...—ბალდანმა დადმინ-ოჩირს ქაფქაფა შავი ჩაით[1] სავსე ფიალა გაუწოდა, მაგრამ პირადმა მცველმა ფიალა ხელიდან გამოსტაცა, ბალდანს ტუჩებთან მიუტანა და აიძულა რამდენიმე ყლუპი მოესვა. შემდეგ, რაც დარჩა, მიწაზე დაღვარა, აუჩქარებლად მოხსნა თოკზე ჩამოკიდებული და ქამარზე მიბმული ვერცხლის ფიალა, მასში საკუთარი ხელით დაასხა ჩაი და თავის მბრძანებლს მიართვა.

ბარგუტმაც ითხოვა ჩაი. ერთი მეორის მიყოლებით დიდი ყლუპებით ორი ფიალა გამოცალა, ცხენიდან ოფლით გაჟღენთილი საძაგრავი მოხსნა, მღვიმის კუთხეში გაშალა და მასზე გაიშხლართა.

— რა ძშვენიერია ველის ჩაი. — შეაქო ხანმა. — ასლა კარგი იქნებოდა, ერთი საათით წაგვეთვლიმა და ქარისაგან აგზნებული თვალები მოგვესვენებინა.—დადმინ-ოჩირი მღვიმეში შეძვრა, ეით ხანს იდგა. სიამოვნებით ისუნთქავდა გრილ ჰაერს და შემდეგ ბარგუტის გვერდით მიწვა.

— თქვენც დაისვენეთ, ჩვენ კი შესასვლელთან ვიდარაჯებთ. — შესთავაზა გომპილმა ხალხსეთის ხანის გვერდით ფეხმორთხმულ ახალგაზრდა ლამას, რომელიც ქვეშქვეშად უთვალთვალებდა მათ ყოველ მოძრაობას.

— მადლობელი ვარ, მაგრამ არ დავღლილვარ. მეც გამოვალ ნიავზე და თქვენთან ერთად დავჯდები შესასვლელთან. აქ არც თუ სიმყუდროვეა...

ისინი მზით გამთბარ ცხელ ქვებზე დასხდნენ და ორი-სამი არაფრისმთქმელი სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. მერე თანდათან ალაპარაკდნენ და ახალგაზრდა ლამამ ბევრი რამ საინტერესო უამბო თავის თავზე. მას შაგდარი ერქვა. აღმოჩნდა, რომ ისიც ხალხასეთის მკვიდრი იყო, ვინმე იოდოვას შვილი. ოდესღაც მამამი-

[1] შავი ჩაი—რძით გაუზავებელი ფილა ჩაი.

სი წმინდა ლუზანის მონასტრის მიდამოებში ცხოვრობდა. რეფო-ლუციის გამარჯვებისა და ხალხა-მონღოლეთში სახალხო ხელისუფ-ლების დამყარების შემდეგ ის როგორღაც იქაურ ხამბა-ლამასთან მისულა, ძვირფასი საჩუქარი მიურთმევია და კამათლებით მარჩი-ელობა უთხოვია. უნდოდა გაეგო, რა ბედი ეწეოდა, თუ სამხრეთ მონღოლეთში გადავიდოდა. ლამას კამათლები გაუგორებია, საღეთო წერილში ჩაუხედავს და უთქვამს:

— იქ ნამდვილად შესაშური ბედი გელის. მომავალში კი შენ ან შენს შვილს ხალხასეთში დიდი მისიით დაბრუნება გესახებათ. ოღონდ ბურხანის ლოცვა და წმინდა ბანჩინ-ბოგდის პატივისცემა არ დაგავიწყდეს.

ასეთი სასიამოვნო წინასწარმეტყველება რომ მოისმინა, მან თურმე ირწმუნა ეშმაკი მოძღვრის სიტყვები და მალე ოჯახთან ერთად საზღვარზე გადავიდა. ხამბა-ლამამ სთხოვა პატარა სამსახუ-რი გაეწია: წერილი გადაეცა ერთი პატივსაცემი ბატონისათვის. ვი-ნაიდან ეს წერილი გაგზავნილი იყო იაპონიის სადაზვერვო სამმარ-თველოს მისამართით, საბედისწერო როლი ითამაშა ოიდოვას შემდგომ ცხოვრებაში. გავიდა ხანი, იაპონიის დაზვერვა ხშირ-ხშირად იძახებ-და მას და აიძულებდა იაპონიის ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა-ში მონაწილეობისათვის შეპყრობილი მონღოლები დაეკითხა. მო-ნასტრის მოძღვრის ნაწინასწარმეტყველები ბედნიერება გამოუსწო-რებელ უბედურებად შემოუტრიალდა ოიდოვას. მან ვერ გაუძღო ამ საშინელ წამებას და თავი მოიწამლა. მისმა ცოლმა და ოჯახის დანარჩენმა წევრებმა დღესაც არ იცი:ნ მისი სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. ოიდოვას სიკვდილის შემდეგ იაპონელებმა თვალი დაადგეს მის მოწიფულ შვილს. ისინი ხშირად იძახებდნენ შაგდარს სადაზ-ვერვო სამმართველოში და მისგან მოითხოვდნენ იგივე სამსახური გაეწია, რამაც მამამისი სიკვდილამდე მიიყვანა. მერე აიძულებდნენ, სამსხვერპლოზე ხატის წინ დაეფიცა, რომ საიდუმლოს არ გაამჟღავ-ნებდა. მოგვიანებით, როდესაც სათანადოდ შეაფასეს შაგდარის ენა-ზე კბილის დაჭერის უნარი, იაპონელებმა ის პირად მცველად მი-ამაგრეს დამდინ-ოჩირს და უბრძანეს დიდი ლამას ყოველი ნათქვამი მათთვის მოეხსენებინა.

ბარგუტ გურსედის შესახებ შაგდარმა თქვა, ძალზე მოხერხებუ-ლი კაცია, რომელსაც კარგი გასამრჯელოს ფასად არაერთხელ გადა-ულახავს საზღვარი წინ და უკან და დანიშნულებისამებრ მიუტანია

საიდუმლო წერილებიო. კარგად იცნობს ამ მხარეს, ხუბილგან დოვ-ჩინისა და ხამბა სოდოვის განსაკუთრებით ნდობით აღჭურვილი პირიაო.

— საერთოდ, როგორი ცხოვრებაა საზღვარგარეთ?

— როგორი ცხოვრებაა? — გაუმეორა კითხვა შაგდარმა და თან ფიქრობდა, რა პასუხის გაცემა ჰქონდა ნაბრძანები ასეთ შემთხვევებში. — ძალიან კარგი. განსაკუთრებით კარგად ცხოვრობენ სასულიერო პირები. მათ ყველგან დიდ პატივს სცემენ.

— ჰო, ეს კარგა ხანია ცნობილია ჩემთვის. სანამ ხალხა-მონღოლეთში გამომგზავნიდნენ, თავად ბატონმა ინოკუზიმ გამიწია ინსტრუქტაჟი...

— როგორ, თქვენც იქიდან ხართ? — გაოცდა ახალგაზრდა ლამა.

— რასაკვირველია, — ჩაიცინა ბალდანმა. — დიდი ხანია, რაც იქიდან წამოვედი... ახლა, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, პირდაპირ ფეხები გეწყდება სუბურღანის დღესასწაულის სამზადისში. ყველაფერი მზადაა. მხოლოდ თქვენ გვაკლიხართ. ბურხანის წყალობით ზუსტად დროზე ჩამოხვედით. სამწუხაროდ, ხანს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ აბსოლუტურად ყველაფერი ვიცი მისი მოღვაწეობის შესახებ...

— მაშ ეს თქვენ ბრძანდებით იაპონიის დაზვერვის წარმომადგენელი? — შაგდარს სახე წამოუწითლდა. — მაპატიეთ, არ ვიცოდი. მე სწორედ თქვენს განკარგულებაში გამომგზავნეს, მაგრამ ვფიქრობდი, რომ თქვენ იქ... მონასტერში...

— მე კი კარგა ხანია ყველაფერი ვიცი თქვენს შესახებ.

შაგდარი მაშინვე შეიცვალა. მისი ეჭვიანობის კვალიც კი აღარ დარჩა. პირიქით, ბალდანთან ზრდილობიანი და თავაზიანი გახდა.

ორი საათის შემდეგ მხედრებმა გზა განაგრძეს წმინდა ლუზანის მონასტრისაკენ.

მონღოლეთის საზღვარზე გზის ყველაზე საშიში ნაწილი დაბალ მეჩხერ ტყეს მიუყვებოდა. შემდეგ ნეიტრალური ზოლი იყო, მერე კი გაშლილ ველზე საზღვარი გადიოდა. მწკრივად მიდიოდნენ. წინ ჩორთით მიდიოდა ბარგუტი, რომელიც საზღვრის საიდუმლო გადასასვლელი საკუთარი ხუთი თითივით იცოდა. უკან გომპილი მიჰყვებოდა, შუაში — დამდინ-ოჩირი და ახალგაზრდა ლამა, ბოლოში ბალდანი მისდევდათ. ცხენმა ბარგუტი გაიყვანა ბორცვზე, საიდანაც ფრიალო მიწაზე საუცხოო სანახაობა იშლებოდა, შეჩერდა და ყურე-

ბი დაცქვიტა. გამყოლი უზანგებზე წამოიწია და ადგილიდან დაუძრავად ირგვლივ მიმოიხედა.

— რა მოხდა?—ჩურჩულით იკითხა მასთან მისულმა ბალდანმა.

— ჩვენ წინ ნეიტრალური ზოლია. იქით კი ხალხასეთია. ვუყურებ, პატრულები ხომ არ ჩანან, ისინი მუდამ დადიან აქ.

მაგრამ ძველებურად სიმშვიდე იყო და კაცი არსად ჭაჭანებდა. ბარგუტი კი არ ჩქარობდა, თითქოს რაღაც იგრძნოო, აქეთ-იქით იხედებოდა. ბალდანს გული აუძგერდა. ოღონდ ნეიტრალური ზოლი გადალახონ, მონღოლეთის ტერიტორიაზე ფეხი დადგან. იქ კი მან და გომპილმა იციან, როგორ მოიქცნენ. მაგრამ აი, გამყოლმა ნიშანი მისცა და ცხენები გავარდნენ. საზღვრიდან მონღოლეთის ტერიტორიის სიღრმეში მნიშვნელოვანი მანძილი რომ გაიარეს, ცხენოსნებმა ნაბიჯს უკლეს. ბალდანმა დიდი ხნის მგზავრობით დაქანცულ დამდინოჩირზე თვალით ანიშნა და შესთავაზა, ცოტა შევისვენოთო. ეს წინადადება მოეწონა ხალხასეთის ხანს და ჩამოქვეითება ბრძანა.

— საზღვარი უკვე შორსაა და საშიშროება აღარ გვემუქრება.

— საზღვარი კი შორსაა, მაგრამ საშიშროება კვლავ ახლოსაა, — უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა ბარგუტმა.

— სწორია, — მხარი აუბა ბარგუტს ბალდანმა. — ამიტომ უმჯობესი იქნება ჩხრეკის შემთხვევაში იარაღი თუ არ აღმოგვაჩნდება. ვეტყვით, სუბურღანის დღესასწაულზე მივდივართ-თქო და მაშინვე გაგვიშვებენ. ასეთი შემთხვევები ხშირია. ხოლო, თუ იარაღი აღმოგვაჩნდა, მაშინ გადარჩენის ყოველგვარ შანსს დავკარგავთ. მოდით, ჩვენი იარაღი ჯერჯერობით თვალსაჩინო ადგილას ჩავმარხოთ. — ბალდანის რჩევა ჭკუაში დაუჯდათ და ყველამ მაშინვე მას მიბაძა.

20

სუბურღანის კურთხევის დღეს, ალიონზე, ახლომახლო ხოტონებიდან და შორეული სოფლებიდან მონასტრისაკენ ხალხის ნაკადი დაიძრა. ამომავალი მზის პირველმა სხივებმა გაანათა ველზე აქა-იქ ჩადგმული კარვები და ალაყოჩები, ცხენები, ცხენის საბმურები, დახლები, რომლებზეც უხვად ეწყო ხუშურები[1] ყველანაირი ბოვი[2]

---

[1] ხუშური — ჩებურეკის სახეობა.

[2] ბოვი — კარაქსე ან ცხიმსე გამომცხვარი.

და მოხარშული ცხვრის ხორცის გემრიელი ნაჭრები. სადღესასწაულო ტანსაცმლის ხასხასა აბრეშუმის ცისარტყელასავით ბზინავდა და რაღაც უჩვეულოს მოლოდინში ხალხს იმედით გაბრწყინებოდა სახე. დიდი კარვის გვერდით ბლომად მოეყარა თავი ხალხს. ისინი მუსიკის ჰანგებსა და სიმღერას მიეზიდა. თვითმოქმედი კონცერტის მონაწილეები ინსტრუმენტებს აწყობდნენ. აი, ცულტემმა პირველი ნომერი გამოაცხადა და საერთო სიცილ-ხარხარში ფიცარნაგზე გამოჩნდა ალმოსავლეთისაკენ ხელებგაწვდილი სქელი ლამა, მსუქანი ჩინელი ვაჭარი და გამხდარი იაპონელი ჯაშუში. ხუდონელმა მსახიობებმა მშვენივრად გაითამაშეს სცენა „ბრძენი მოძღვრის აღსასრულიდან", და მასხრად აიგდეს სახალხო მონღოლეთის მტრების ამაო ცდები ახალი ხელისუფლების დასამხობად. ატყდა ხარხარი. მაყურებლები გულიანად იცინოდნენ და ცრემლებს იწმენდნენ. საყოველთაო მხიარულება და აპლოდისმენტები სულ ახალ-ახალ მაყურებელს იზიდავდა.

სუდურღანის ახლოს კი ლამები ლოცულობდნენ. რამდენიმე მიხრწნილი დედაბერი და ბერიკაცი დამხობილიყო და ბურხანს სიკვდილის შემდეგ იმქვეყნად ბედნიერ გარდასახვას შესთხოვდნენ. ოდნავ მოშორებით მდგარი გაფითრებული ხამბა სოდოვი კისერწაგრძელებული გაჰყურებდა გზას.

— უცნაურია, ნეტავ, სად არიან აქამდე? კარგა ხანია, აქ უნდა ყოფილიყვნენ. ეი, დამირან, მორწმუნეებს გამოუცხადე, ბურხანის ბრძანებით კურთხევის დღესასწაული სამი დღით გადაიდოთქო.

* * *

სწორედ იმ დღეს, როდესაც გარდუვალი უბედურების საშინელი წინათგრძნობა ხამბას გულს უკლავდა, დამდინ-ოჩირი და მისი ორი თანმხლები მესაზღვრეებმა დააკავეს და ცენტრისაკენ მიმავალი ავტომანქანით წაიყვანეს. შეტაკებისას ბარგუტმა ხანჯლით განგმირა ბალდანის ერთგული ამხანაგი გომპილი. მომაკვდავი მისუსტებული ხმით სთხოვდა ბალდანს:

— შეუნარჩუნე ბარგუტს სიცოცხლე. ვკვდები... დაე, ბარგუტმა ნახოს ჩვენი გამარჯვება. დაე, მოინანიოს ჩადენილი ბოროტება...

ეს დამდინ-ოჩირმა გააკეთა თავისი ხელებით... მიხედე ჩემს ოჯახს... ბ'ბვიდობით, მეგობარო... — და თავი უმწეოდ ჩამოუვარდა.

... მონასტრის ახლოს ბალდანს სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები ელოდნენ. გარეგნულად ისინი არაფრით გამოირჩეოდნენ სუბურღანის დღესასწაულზე შორიდან მოსულ ბურჩანის მორჩილთაგან.

— ხვალ ავიყვანთ ხამბა სოდოვსა და შეთქმულების მონაწილე ყველა მის თანამზრახველს. ოპერაციის გეგმა დამტკიცებულია ცენტრის მიერ.

— ხამბა-ლამას მე ავიყვან. — სიბოაზისაგან ბალდანს სახეზე ალმური მოედო. — მისმა ქვეშევრდომმა ლეკვმა, ვისაც ფულს უხდის, მოკლა ჩემი ამხანაგი, კარგი ბიჭი. მინდა ვიცოდე, რა პასუხს გასცემს ეგ ღვთისმოსავი ბურჩანს, რომელიც სასთუმალთან საკურთხეველზე უდევს. — ბალდანმა მუშტები მოკუმა და კბილები გაახრჭიალა.

— გვისმინეთ, ამხანაგო. ამოდენა მუშტრიოა ჩაატარეთ და უცებ ბავშვივით მსჯელობთ. მაინც რისთვის გჭირდებათ, რა პასუხს გასცემს ხამბა-ლამა ხატს? სჯობს, თვითმოქმედ მსახიობებს ესტუმროთ, ხაბიას კი ულან-ბატორში შეხვდებით.

ლამების პატარა ჯგუფის ირგვლივ ოცამდე არატს მოეყარა თავი. მათ ზანდუკებიდან წინაპართა ნაქონი თოფები, ძველებური ხმლები ამოეღოთ და აქ მოეტანათ. მათ სურდათ ამ იარაღებით სუბურღანი შეემკოთ, ამით ბურჩანიანდმი თავიანთი ურყევი რწმენა დაემტკიცებინათ და მისგან თავიანთთვის და თავიანთი ახლობლებისათვის ბედნიერი გარდასახვა გამოეთხოვათ.

— პატივცემულო ლამა, — გაისმა ბრბოდან მოხუცის ხმა, — ჩვენ გვითხრეს, რომ დღეს უფასო მაღაზია იქნებოდა და ბურსაის მორჩილთ საჩუქრებს დაგვირიგებდნენ. მაინც როდის გაიღება ის? უკვე ბნელი ხანი გავიდა... თვით ტაიჯი დამირანი აყო ჩვენთან და გვითხრა...

ყოველივე ეს სიცრუეა, ლამების მონაგონია, — გაისმა ახალგაზრდა მგზნებარე ხმა და ბრბო აყაყანდა. — როდის ყოფილა. ლამებს საქონელი უფასოდ დაერიგებინოთ? მათ თვალნი თოფები სჭირდებათ, — დაცინვით განაგრძობდა იგივე ხმა.

ხალხი ერთბაშად აყაყანდა.

— ... მაშინ ჩემი თოფი ეკაბ მიბაქვს. ჯერ კიდევ არავინ

იცის, კარგს მოასწავებს თუ არა ამ დღეს სუბურღანის თოფებით შემკობა. იქნებ ცუდსაც მოასწავებდეს?

— დიახ, შეიძლება ეს ცუდის მომასწავებელი ნიშანიც იყოს...

— მე კი, ბებერმა სულელმა, კარგი ლაფშა გავცვალე თოფში, — კიცხავდა თავის თავს წვრილნაწნავიანი[1], ჭაღარაწვერიანი არატი.

მონასტრის კარმიდამოს ცენტრში განმარტოებით იდგა ორ ღამეში სასწრაფოდ აგებული სუბურღანის კარგა მოზრდილი პირამიდა, რომლის წვერზეც ერთადერთი მოოქროვილი განჯირი ელავდა. სუბურღანის ახლოს განმარტოებით იდგა ხამბა სოდოვი. ის დაბნეულად შეჰყურებდა ღარიბულ შესაწირებს, რომელთა შორის თითქმის არ იყო იარაღი. თანდათან გაცეცხლდა, მიწაზე დააფურთხა, ფეხით გასრისა და სწრაფი ნაბიჯით გასწია კარვისაკენ. კარის მიხურვაც ვერ მოასწრო, რომ მასთან დამირანი მიიჭრა.

— შენი აზრით, რა არის ეს? — ასისინდა ხამბა. ის ცოფებს ჰყრიდა და ტაიჯის ავისმომასწავებლად მიშტერებოდა.

გაოგნებული დამირანი ხამბას ფეხებში ჩაუვარდა.

— დიდო მოძღვარო! შემიწყალე! ადამიანებში შულმასი ჩასახლდა, ცოდვილებმა ბურხანი დაივიწყეს.

— უზნეო მამაძაღლო! კუდმოკლე იდიოტო! მხოლოდ თავის ქება შეგიძლია, ბებერო ნაძირალავ. ესაა შენი ნამუშევარი? — საზარელი ხმით ღრიალებდა მოძღვარი და სუბურღანზე მიუთითებდა. ხამბას დანაოჭებული ლოყები გასწითლებოდა და თვალები გააფთრებული ხარივით ჩასისხლიანებოდა.

— ყველაფერი ცულტემის ბრალია, — თავს იმართლებდა დამირანი და თავის ზემოთ აწევას ვერ ბედავდა. — მასაც იქით გავისტუმრებ. საითაც სედი წავიდა...

— ადრე უნდა გეფიქრა, ყბედო!

— შემიწყალე, დიდო ლამავ! შემიწყალე! — ტაიჯი მოძღვრის ირგვლივ მუხლებზე დახოხაედა, მაგრამ ხამბამ მაგრად დაარტყა ხელებზე, დელის კალთები გამოსტაცა და საკურთხევლისაკენ წავიდა, იქვე, ხის საწოლზე დადებული ბალიშის ქვემოდან პატარა შეკვრა გამოიღო, ლეიბზე ჩამოჯდა და თვალებზე ხელები აიფარა. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ კეთილსახიერი და განდგომილი გა-

---

[1] სახალხო რევოლუციის გამარჯვებამდე მონღოლეთში მამაკაცები ნაწნავს ატარებდნენ.

მომეტყველება აღებეჭდა სახეზე. შეკვრა გახსნა და ხელისგულზე კამათლები დაიდო. მოძღვარმა სამჯერ ააჩხარუნა ისინი, თან მეორე ხელით კრიალოსანს მარცვლავდა და დაკვირვებით დაშტერებოდა მათ. სუნთქვაშეკრული დამირანი მოთმინებით ელოდა, რას იტყოდა ხამბა-ლამა, მაგრამ მოძღვარს კრინტი არ დაუძრავს.

— დიდო მასწავლებელო, რას აჩვენებს კამათლები? — მოუთმენლად შეეკითხა ტაიჯი. — როგორ არიან იქ ჩვენები? ცოცხლები არიან? რატომ დაიგვიანეს?

ხამბა-ლამამ ზიზღით შეხედა დამირანს, ბრუტიანი თვალები ტონოს მიაპყრო და ფირუზისფერი ცის შემყურემ მძიმედ ამოიოხრა.

— საერთოდ, კარგად დაჯდა. ოღონდ ფეხებთან თითქოს დაბრკოლება აქვთ. რაღაც უცნაურად დაჯდა კამათლები. — მოძღვარმა დაბნეულობისაგან დიდ, მელოტ თავზე გადაისვა ხელი, მერე კისერზე მოისვა. — თუმცა, გაშლილ ველზე ადამიანს შეიძლება ყველაფერი შეემთხვას. შესაძლოა, გაქენებული ცხენიდან გადმოვარდეს, ცხენი გაექცეს... განა ცოტა რამ ხდება. მაგრამ. თითქოს არ უნდა მოხდეს დიდი უბედურება. დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად მოვლენ. სხვანაირად რომ იყოს, შეგვატყობინებდნენ. — ხამბა ყოყმანით ლაპარაკობდა, თითქოს თავს იმშვიდებსო. — ისე, რა უთხარი ხალხს დღესასწაულის გადატანის თაობაზე? ან ისინი რას ამბობენ?

— ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მიბრძანეთ. ხალხს ავუხსენი, რადგან საღვთო წიგნში წერია, რომ დღევანდელი დღე არასასურველია ბურხანისათვის, ამიტომ დღესასწაული სამი დღით გადაიდება. სამი დღის შემდეგ კი ბურხანი მორწმუნეებს თავის წყალობას არ მოაკლებს-მეთქი.

— ჰო-ო, ცულტემისნაირი შფოთისთავები რომ არ იყვნენ, დღესასწაული დიდებულად ჩაივლიდა. დღევანდელ წარუმატებლობაში საკუთარი თავი უნდა დავადანაშაულოთ. რაც უნდა მოხდეს, სამი დღის შემდეგ ჩავატარებთ დღესასწაულს...

— ღირსეულო მასწავლებელო, გეფიცებით, ჩვენს წმინდა დღესასწაულს ცულტემის გარეშე ჩავატარებთ...

— ბურხანისათვის ჩადენილი ცოდვა სიკეთით დაუბრუნდება ჩამდენს...

— გასაგებია, დიდო მასწავლებელო, — დამირანმა ხელისგულები ერთმანეთს მიადო და ლოცვას შეუდგა.

... განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის კაბინეტში დაკითხვა მიმდინარეობდა. გამომძიებლის წინ იჯდა ხანში შესული, ლოყებჩაცვივნული, სახედანაოჭებული და მთლად გაჭაღარავებული ლამა.

— მაინც როგორ ფიქრობთ: რატომ ზიხართ ახლა ამ კაბინეტში? — მკაცრად შეეკითხა გამომძიებელი.

— წარმოდგენა არა მაქვს. ჩემი ქვეყნისა და ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ არა თუ გამიკეთებია ცუდი, ისეთ ხალხსაც კი არ ვიცნობ, ვისაც შეეძლო ბოროტება ჩაედინა ისეთ საამურ დროში, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, — მშვიდად, ყოველგვარი მღელვარების გარეშე უპასუხა გამოძიებაში მყოფმა.

— ხუბილგანო, თქვენ შეგნებულად იბრძოდით სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ და მოსახლეობაში ავრცელებდით ცილისმწამებლურ ხმებს!

— რატომ დავწამებ ცილს ასეთ მშვენიერ ხელისუფლებას? — იღიმებოდა ხუბილგანი. — ღარიბი მესაქონლის ოჯახში დავიბადე, ცხოვრებაში დიდი გაჭირვება გადავიტანე, მდაბიო არატების ინტერესებს ვიცავდი. პირიქით, მე ძალიან მიყვარს ახალი ხელისუფლება. იცით, ყურიც კი არ მომიკრავს ამგვარი რამისათვის... ე-ე, ესე იგი ხმებისათვის. ნუთუ ვინმე ჩადის ასეთ სისაძაგლეს? — ხუბილგანის გაოცება თითქმის დასაჯერებელიც კი იყო.

— კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ: ვალდებული ხართ ილაპარაკოთ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. რატომ გადმოხვედით წმინდა ლუზანის მონასტრიდან ულან-ბატორში? გვიპასუხეთ!

— ეფიქრობთ, ჩემი პირადი საქმეა, სად ვიცხოვრებ, — ქედმაღლურად უპასუხა ხუბილგანმა, — სახალხო ხელისუფლებამ უფლება მოგვცა, ვიცხოვროთ იქ, სადაც მოგვწონს, ამიტომაც გადმოვედი ცენტრში. მითუმეტეს, მონასტრის ახლომახლო არც ნათესავები მყავს და არც ახლობლები. ისეთი ადამიანიც კი არა მყავს, გაჭირვების ჟამს რომ გამომადგეს, — ხუბილგანმა გამომძიებლის მზერას ვერ გაუძლო და მიბრუნდა.

„რას იზამ, პასუხი შეიძლება ასე თუ ისე დამაჯერებლად მოეჩვენოს კაცს. მაგრამ ვნახოთ, როგორ მოიქცევა ეს ცბიერი შემდგომში“.

— მაშასადამე, არც წმინდა ლუზანის მონასტერთან გაკავშირებთ რამე და არც იქაურ მცხოვრებლებთან გაქვთ რამე ურთიერთობა?

— რასაკვირველია, სწორედ ასეა. თუმცა, ბევრ მათგანს სახეზე ვცნობ. მე ხომ დიდხანს ვცხოვრობდი მონასტერში. — ხუბილგანი უცოდველი კაცივით პირდაპირ თვალებში შეპყურებდა გამომძიებელს.

— რახან ასეა, თქვენ ახლა ერთ კაცთან შეხვედრის შესაძლებლობა გექნებათ. ხომ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო? — ხუბილგანს ერთი კუნთიც არ შეტოკებია სახეზე. — შესაძლოა, კარგად იცნობდეთ მას. გაიხსენეთ ყველა გარემოება, რომელშიც მას ხვდებოდით. შემოიყვანეთ პატიმარი, — მიმართა გამომძიებელმა თანამშრომელს, რომელიც დაკითხვის ოქმს წერდა.

ხანშიშესულმა კაცმა, რომელსაც ფართო, ტომარასავით დელი ეცვა, რამდენიმე მტკიცე ნაბიჯი გადმოდგა, გამომძიებლის წინ, მაგიდასთან მჯდომი ხუბილგან დოეჩინის დანახვაზე უცებ შედგა და ფართოდ გაღებული პირით ორჯერ ჩაყლაპა ჰაერი. მძიმედ დაეშვა სკამზე, აკანკალებული ხელი დიდ, მელოტ თავზე გადაისვა და გამომძიებელს მიაშტერდა.

— მაშ ასე, როდიდან და, სახელდობრ, რა კავშირი გაქვთ ერთმანეთთან?

— რაც შემეხება მე, მხოლოდ მისი სახელი ვიცი, ვინაიდან ერთ მონასტერში რამდენიმე წელი ერთად ვცხოვრობდით. მაგრამ, გარწმუნებთ, არასოდეს გექონია და არც ამჟამად გვაქვს ურთიერთობა, — უპასუხა დიდთავამ.

— არც მე ვიცნობ ხამბა-ლამას მაინცდამაინც ახლოს, მხოლოდ სახეზე ვცნობ და მეტი არაფერი. — ხუბილგანმა მარჯვენა ხელისგული დაიდო შესამჩნევად მოცახცახე მარცხენა ხელის მტევანზე.

დოეჩინი და ხამბა სოდოვი უცხოებივით ისხდნენ და ერთმანეთისათვის ზურგი შეექციათ.

— ხამბა, გესმით, რამდენად სერიოზულია თქვენი მდგომარეობა?

— წარმოდგენა არა მაქვს, რას ამბობთ. საერთოდ, რატომ დამაპატიმრეს? შეილო, გამიშვი ბერიკაცი. სრულიად უდანაშაულო ვარ. აქ რაღაც შეცდომაა.

— შეცდომა გამორიცხულია. აგვიხსენით მიზეზი, რამაც აღგიძ-

რათ სუბურღანის აგების სურვილი თქვენ, როგორც მონასტრის მოძღვარს?

— რაიმე განსაკუთრებული მიზეზი აქ არ არის. სუბურღანი აღვმართეთ ბურხანის ყველა მორჩილის ხსნისა და ცოდვათა განწმენდისათვის. ჩვენი სამყაროს შექმნის ექვსი საწყისისათვის. ჩვენ, ლამები და ხუვარაკები[1] დღედაღამ ვლოცულობთ, თაყვანს ვცემთ ბურხანის სამ საგანძურს და ყოვლისმძლე და ყოვლისშემძლე ბუდას ვეევედრებით შეიწყალოს და ხვედრი შეუმსუბუქოს მორწმუნეებს. მორწმუნეთა სურვილის გამო, მათი ცოდვებისაგან განსაწმენდად და ბურხანისათვის მადლობის შესაწირად, გადავწყვიტეთ სუბურღანის აგება.

— გვითხარით იმ მაღალი სასულიერო პირის გვარი, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება და რომელთანაც კავშირი გაქვთ.

— ასეთ კაცს ჩვენ არ ვიცნობთ, — თითქმის ერთხმად უპასუხეს ხუბილგანმა და ხამბამ.

— ჩანს. ორთავეს მეტისმეტად ცუდი მეხსიერება გაქვთ. — გამომძიებელმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა. — შემოიყვანეთ შემდეგი.

ხუბილგანი და ხამბა შიშით შეჰყურებდნენ კარს, მაგრამ როდესაც დამდინ-ოჩირი შემოიყვანეს, თითქოს უბრძანესო, ერთბაშად შეტრიალდნენ და გულგრილი გამომეტყველება მიიღეს, რითაც უხდოდათ ეჩვენებინათ, თითქოს ადრე არასდროს ენახათ ეს კაცი.

— იცნობთ ამ ხალხს?

დამდინ-ოჩირმა, თითქოს კითხვა ვერ გაიგონაო, არ უპასუხა.

— ვიმეორებ: იცნობთ ამ ხალხს?

— ადრე ვიცნობდი, — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა პატიმარმა.

ხუბილგანი და მოძღვარი პირში ეცნენ მას.

— უფრო კარგად გაახილე თვალები. ჩვენ პირველად გხედავთ!

— შეწყვიტეთ კინკლაობა. პატიმარი თავად უპასუხებს.

— არა, მგონი, მართლა შევცდი. არა, არა, არასდროს მინახავს ეს ლამები, — დამდინ-ოჩირმა ნებისყოფა დაძაბა და გაიღიმა.

— მაშ ასე. პირველად როგორ აღმოჩნდით საზღვარგარეთ?

— თევზი ეძებს ღრმა წყალსაო და ადამიანი კარგსაო. მეც ასე

---

[1] ხუვარაკი — ლამას მოწაფე.

ვარ. მაგრამ, როგორც ამბობენ, კარგია იქ, სადაც ჩვენ არ ვართ. უცხო მხარეში ვერ გავიხარე და სამშობლოსკენ გამომიწია გულმა, სიბერეში დედის მკერდივით მომინდა მშობლიურ მიწას ჩაკონება.

— ნუთუ ასე ცუდად ცხოვრობდით საზღვარგარეთ?

— ჩემი ცხოვრება იქ არ იყო შესაშური.

— ნუთუ? ჩვენ ხელთ გვაქვს მასალა, რომელიც სულ საწინააღმდეგოს ამტკიცებს. როდიდან და რა ურთიერთობა გაქვთ ხამბა-ლამასთან?

— სრულებით არ ვიცნობთ ერთმანეთს და არავითარი ურთიერთობა ჩვენს შორის არ არის. — წამოვარდა ადგილიდან ხამბა სოდოკი.

— შემოიყვანეთ შემდეგი!

კაბინეტში გაუბედავად შემოვიდა ბარგუტი — ხალხასეთის ხანის ყოფილი გამყოლი. დაპატიმრებიდან სულ რამდენიმე დღე იყო გასული. ამ მოკლე ხანში ის საოცრად გამხდარიყო, დაბერებულიყო და როგორღაც მთლად მოკუნტულიყო. მან ზიზღით შეხედა ხამბასა და დამდინ-ოჩირს.

— რა მიზნით გადადიოდით საზღვარზე?

— რა მიზნით? ამის შესახებ სჯობს მას ჰკითხოთ, — ბარგუტმა დამდონ-ოჩირზე მიუთითა. — მე მისი ნდობით აღჭურვილი პირი და გამყოლი ვიყავი და მწამდა, რომ კეთილ საქმეს ვაკეთებდი ბურხანისათვის. თან კარგადაც მიხდიდნენ.

— რამდენჯერ გადახვედით საზღვარზე უკანონოდ?

— გახსოვთ, ორიოდე წლის წინ, წერილი მოგიტანეთ, — ბარგუტმა ხამბასკენ მიაბრუნა თავი.

— თქვენგან არავითარი წერილი არ მიმიღია, — მოუჭრა მოძღვარმა.

— აბა, ვინ მომცა ამისათვის ხადაგზე დადებული ოცი ტუგრიკი? ცოტა ფული როდია! — ბარგუტი კვლავ გამომძიებლისაკენ მიბრუნდა და განაგრძო: — მერე ხამბას მივუტანე იაპონიის სადაზვერვო სამმართველოს საპასუხო წერილი, ხამბა რომ იაპონელებს სთხოვდა გაეწიათ სამხედრო დახმარება. ხამბა-ლამას ეს კარგად უნდა ახსოვდეს. ამ კაცს სამჯერ ჩამოვუტანე იაპონელების წერილი, მისი საპასუხო წერილებიც მიმქონდა სათანადო პირებთან. დამდინ-ოჩირი დაადასტურებს ამას.

— ვინ გიბოძათ ხალხასეთის ხანის ტიტული? — გამომძიებელმა ღიმილი ვერ შეიკავა.

— წმინდა ბანჩინ-ბოგდმა მიბოძა ხანობა...

— მერედა, რას აკეთებდით როგორც ხანი?

— განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია...

— მაშ, კარგი. შემოიყვანეთ შემდეგი!

ლოყებჩაცვივნული და წვერმოშვებული ჩინელი ბუიანტი პატ ჭრებმა უცებ ვერ იცნეს. ჩინელი არ დაჯდა შეთავაზებულ სკამზე. ფეხზე იდგა.

— აქ მყოფთაგანს ვის იცნობთ?

— ხაი, ყველას ვიცნობ! ესენი ხომ ძირითადი მოთაველები არიან: ხუბილგან-ლამა დოეჩინი წმინდა ლუზანის მონასტრიდან, მის გვერდით ხამბა-ლამა სოდოვი, ეს კი — ხალხასეთის ხანი დამდინ-ოჩირია, ბარგუტის კუმირნის ტახტზე რომ დასვეს. მრავალი წლის მანძილზე ისინი არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ ახალი ხელისუფლების დასამხობად და ძველი წესწყობილების აღსადგენად. მზად იყვნენ თავისი ქვეყანა იაპონელებისათვის დაემორჩილებინათ... ჩემი საქმე წასულია და სიმართლის თქმის არ მეშინია.

ლამები მდუმარედ ისხდნენ და სკამებზე ცმუტავდნენ.

— ამ კეთილსახიერმა წმინდანებმა ჩემისთანა დოყლაპიებს ჭკუა აურიეს და მძიმე ცოდვები ჩაადენინეს, — ყვიროდა გაბოროტებული ბარგუტი.

— ბიხძურო მკვლელო! ხმა ჩაიკმინდე. — აწივლდა ხალხასეთის ხანი.

— არა, ეს შენა ხარ მკვლელი. შენი ბრძანებით გავისვარე ხელები უდანაშულო ადამიანის სისხლით, მაგრამ ამისათვის უფალი დამსჯის...

— შეწყვიტეთ კინკლაობა! ჩემი აზრით, აქ კიდევ გვაკლია ვიღაც-ვიღაცები.

შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით კაბინეტში შეიყვანეს შუშა, პუნცაგი, შავტუხა ბერი, დამდინ-ოჩირის პირადი მცველი და კუდა დამირანი.

— მგონი ახლა ყველამ მოიყარა თავი, მაინც რატომ დასხდნენ სხვადასხვა კუთხეში ყოფილი მეგობრები? ჩემი აზრით, ახლა სასურველია თქვენი უარზე დგომა. ჰო, კიდევ ერთი კაცი გაკლიათ! — გამომ-

ძიებელმა კიტელი გაიხსნა, ღილაკს თითი დააჭირა და მაგიდას მოსცილდა.

ზღურბლზე გაჩნდა ყველას მიერ პატივცემული, ამომავალი მზის ქვეყნის დიდი დესპანი. პატიმრები წამოდგნენ და პირები დაიღეს. ზოგს მუხლები აუკანკალდა, ზოგს შიშისაგან ცივმა ოფლმა დაასხა. ზოგი თავგამოდებით ლოცულობდა. ბალდანმა, უფრო სწორად — კაპიტანმა პურევეკავმა, წარჩინების ყველა ნიშნით შემკულმა, პატიმართა შორის ჩაიარა და გამომძიებლის გვერდით დაჯდა.

— პატივცემულო ხუბილგანო, — პურევეკავმა წარბები შეკრა. — არ არის დრო, ეს თამაში დავამთავროთ?

წყეულიმც იყოს ბოროტის მქნელი!

გაფითრებული ხუბილგანი შეკრთა ნაცნობი, ახლა კი ასეთი საშინელი ხმის გაგონებაზე და კაპიტნის მომღიმარ სახეში შეხედვისაც კი შეეშინდა. მან ორივე ხელი სახეზე აიფარა და თავი მუხლებზე დახარა, თან ჩურჩულით იწყევლებოდა



ეკო ვაცე

31-ე გაბეჭდილების დაღვა

I

განგაში დაიწყო ცამეტ საათსა და ნოლ წუთზე. პოლიციის უფროსმ. პირადად დარეკა მეთექვსმეტე უბანში. ხოლო ერთი წუთისა და ოცდაათი წამის შემდეგ პირველი სართულის სამორიგეოსა და სხვა ოთახებში ზარის ხმა გაისმა.

როდესაც იენსენი — მეთექვსმეტე უბნის კომისარი — თავისი კაბინეტიდან გამოვიდა, ზარის ხმა კვლავ ისმოდა. იენსენი ჩვეულებრივი აღნაგობის, საშუალო ხნის მამაკაცი გახლდათ. ბრტყელი და არაფრისმეტყველი სახე ჰქონდა. ხვეული კიბის ბოლო საფეხურზე შეჩერდა და თვალი მოავლო სამორიგეო ოთახს. შემდეგ ჰალსტუხი გაისწორა და მანქანისაკენ წავიდა.

დღის ამ საათებში მანქანები უწყვეტ, მოელვარე ხაკადად მოედინებოდა, ხოლო ამ დინების შუაში, თითქოს ბეტონისა და მინის კოლონებიაო, შენობები აღმართულიყო. აქ, მკვეთრ წახნაგთა საპყაროში, ტროტუარზე მოსიარულე ადამიანები უბედურად და მიუსაფრად გამოიყურებოდნენ. მათ კარგად ეცვათ, მაგრამ როგორღაც საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს და ყველა ჩქარობდა. არეულად დადიოდნენ და წითელი შუქნიშნის ან ლითონივით მოელვარე კაფე-ავტომატების დანახვისას აქეთ-იქით აწყდებოდნენ. გამუდმებით გვერდზე იყურებოდნენ და პორტფელებსა და ჩანთებს ხელებით აწვალებდნენ.

პოლიციის მანქანები ჩართული სირენებით მიიკვლევდნენ გზას ამ ჯგლეთაში.

კომისარი იენსენი პირველ მანქანაში იჯდა. ჩვეულებრივი მუქი ლურჯი პოლიციის მანქანა იყო, გვერდზე ზოლი გასდევდა. უკან მიჰყვებოდა ნაცრისფერი ავტობუსი, რომელსაც უკანა კარის მინაზე გისოსები ჰქონდა, სახურავზე კი მბრუნავი პროჟექტორი.

პოლიციის უფროსმა რადიოტელეფონით იენსენი გამოიძახა.

— იენსენ!

— გისმენთ.

— სად იმყოფებით?
— პროფკავშირების მოედნის ცენტრში.
— სირენები ჩართულია?
— დიახ.
— მოედანს რომ გაივლით, გამოთიშეთ.
— ძალიან დიდი მოძრაობაა.
— რას იზამ, ყურადღება არ უნდა მიიპყროთ.
— სულ ერთია. რეპორტიორები მაინც გვისმენენ.
— აი, ეს თქვენი საქმე არაა. მე მოსახლეობაზე ვფიქრობ, ქუჩებში მოსიარულე ადამიანებზე.
გასაგებია.
— თქვენ ფორმაში ხართ?
— არა.
— კეთილი. ვინ ბონაწილეობს ოპერაციაში?
— მე და ოთხი პატრული. აგრეთვე ცხრა პოლიციელისაგან შემდგარი პიკეტი. ისინი ფორმით არიან.
— ხასლის წინ დგომის ან შიგ შესვლის ნება მხოლოდ პატრულს ეძლევა. პიკეტმა კი გუნდის ნახევარი სწრაფად ჩამოსვას სახლიდან სამასი მეტრის მოშორებით, გვერდით ჩაუაროს და კარგა შორ მანძილზე გაჩერდეს.
— შესრულებულ იქნება.
— მთავარი ქუჩა და შესახვევები გადაკეტეთ.
— შესრულებულ იქნება.
— თუ მიზეზი იკითხონ, უპასუხეთ, რომ ამას მოითხოვს სასწრაფო საგზაო სამუშაოები. მაგალითად...
უფროსი დადუმდა.
— მაგალითად, გასკდა თბოსადგურის მილი?
— სწორედაც.
გაისმა ტა

— გასაგებია.

— ვფიქრობ, საჭირო არ არის... მიგითითოთ, რომ დავალება ერთობ დელიკატურია.

— არა.

მილში გაისმა მექანიკური ხმაური, მერე ღრმა ხვნეშა.

— ახლა სადა ხართ?

— მოედნის მარჯვენა მხარეს, მუშის მონუმენტის წინ.

— გამოთი"ეთ სირენები.

— არის.

— გაზარდეთ დისტანცია ავტომანქანებს შორის.

— არის.

— რადიოთი ვიხმობ დამატებით პატრულს. ისინი სადგომზე დაგელოდებიან. რეზერვად იგულეთ!

— გაკეთდ.

— სად იმყოფებით?

— მოედნის ჩრდილოეთი მხარის სავალი ნაწილის გასწვრივ. ვხედავ სახლს.

სწორი, ფართო ქუჩა იყო. მანქანები ექვს რიგად მოძრაობდა, შუაში ვიწრო სარეზერვო ზონა მიუყვებოდა. მარცხნა მხარეს, ფოლადის მაღალი ღობის იქით, ფერდობი იწყებოდა, ხოლო შორს. დაბლა, შორეული ნაოსნობის გემების ნავსადგური გაჭიმულიყო. ჩანდა სატვირთო ნავმისადგომი, მრავალი საწყობი და საბარგო ნავსაბმელების გასწვრივ ჩამწკრივებული თეთრი და წითელი ურიკები. იქ, დაბლა, ხალხი ირეოდა — უმეტესად თეთრკომბინეზონიანი და წითელქუდიანი მტვირთავები და მძღოლები.

გზა ბორცვს უვლიდა და მაღლა ადიოდა. აღმოსავლეთიდან ქვის კედელი ერტყა. კედელი ნაგები იყო ცემენტით გამაგრებული ცისფერი რიყის ქვით, რომელზეც არმატურის რკინის ჟანგმოდებული ნაჟონი ეშვებოდა. კედლის იქითა მხარეს შიშველი ხეების იშვიათი კენწეროები მოჩანდა. ქვემოდან, გზაში, ხეებში მიმალული შენობა არ ჩანდა, მაგრამ იენსენმა იცოდა, რომ იქ შენობა იყო და ისიც იცოდა, როგორ გამოიყურებოდა. ეს ფსიქიატრიული საავადმყოფო გახლდათ.

ბორცვის მწვერვალთან გზა ოდნავ მარჯვნივ უხვევდა. იქ იდგა სახლი. ეს შენობა ისედაც ყველაზე მაღალი სახლების რიცხვს განეკუთვნებოდა, ხოლო თავისი მდებარეობის წყალობით ქალაქის ნებისმიერი

ადგილიდან მოჩანდა. მუდამ თვალწინ გედგათ და, საიდანაც უნდა ემგზავრა კაცს, სახლი მისი გზის ბოლოში ჩანდა.

სახლი ოცდაათსართულიანი იყო და კვადრატულ ფუნდამენტზე იდგა. ყოველ კედელზე ოთხას ორმოცდაათი ფანჯარა და წითელისრეტიანი თეთრი საათი იყო. მოსაპირკეთებლად გამოეყენებინათ მოჭიქული ფილა, რომელიც სახლის საძირკველთან მუქი ლურჯი იყო, ხოლო ზევით თანდათან ღია ფერისა ხდებოდა.

იენსენმა საქარე მინიდან გაიხედა და ერთი შეხედვით მოეჩვენა, თითქოს შენობა უზარმაზარი სვეტივით ამოზიდულა მიწიდან და გაზაფხულის ულრუბლო, ცივ ცაში შეჭრილაო.

იენსენს ყურთან ისევ რადიოტელეფონის ყურმილი ეჭირა და უსმენდა. სახლი თანდათან იზრდებოდა და ჰორიზონტს ფარავდა.

— იენსენ!

— გისმენთ.

— თქვენი იმედი მაქვს. პირადად უნდა გაერკვეთ ვითარებაში.

გაისმა ტკაცანი. ამას მოჰყვა ხანმოკლე პაუზა. შემდეგ უფროსმა ყოყმანით წარმოთქვა:

— დავამთავრე.

2

მეთვრამეტე სართულზე იატაკი ლურჯი ნოხებით იყო მოფენილი. იენსენმა შემინულ ვიტრინებში გემის ორ დიდ მოდელს მოჰკრა თვალი. ჰოლში სავარძლები და დაბალი, პატარა მაგიდა დაინახა. ვინის კედლებიან ოთახში სამი ახალგაზრდა ქალი უსაქმოდ იჯდა. ერთ-ერთმა მათგანმა შემოსულს სწრაფად შეავლო თვალი და შეეკითხა:

— ვინ გნებავთ?

— ჩემი გვარია იენსენი. საჩქარო საქმე მაქვს.

— ოჰ, საჩქარო...

ქალი უხალისოდ წამოდგა და კარგად ნასწავლი ნარნარი სიარულით ნოხზე გაიარა. კარი ფართოდ გამოაღო და დაიყვირა:

— ვიღაც იენსენი გკითხულობთ!

ქალს ლამაზი ფეხები და წვრილი წელი ჰქონდა, ოღონდ უგემოვნოდ ეცვა.

კარიდან სხვა, შედარებით ხნიერმა ქალმა გამოიხედა. მას ქერა თმა და სახის სწორი ნაკვთები ჰქონდა. თავისი თანაშემწისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე უთხრა მოსულს:

— გთხოვთ. გელოდებიან.

კუთხის ოთახს ექვსი ფანჯარა ჰქონდა, ქვემოთ კი, როგორც რელიეფურ რუკაზე, არანატურალური და უსიცოცხლო ქალაქი მოჩანდა. ნათელი და ცივი დღე იდგა. თვალისმომჭრელი მზის სინათლე ოთახის სივცეში შეჭრილიყო. ოთახში სადა და ცივი ფერები სჭარბობდა: კედლები, იატაკის პლასტიკი და ლითონის მილებისაგან ნაკეთი ავეჯი — ყველაფერი ძალიან ღია ფერისა იყო.

ერთ-ერთ იალქთაღში მინის ვიტრინა იდგა, შიგ ჩაემწკრივებინათ ქრომირებული თასები. თითოეული ხის შავ სადგამზე იდგა და სადგამს ჰქონდა გრავიურა — მუხის ფოთლების გვირგვინი. ზემოდან უმეტესობას ამშვენებდა ფიგურები: ზოგს — შიშველი მშვილდოსნები, ზოგს კი — ფრთებგაშლილი არწივები.

საწერ მაგიდაზე იდგა შიდა ტელეფონი, უჟანგავი ლითონის დიდი საფერფლე და ძვლის გველი.

ვიტრინაზე იდო ლითონის ღეროზე დამაგრებული მაგიდის თეთრწითელი პატარა ალამი, მაგიდის ქვეშ კი ერთი წყვილი ღია ყვითელი სანდალი და ალუმინის ცარიელი კალათა ქაღალდებისათვის.

მაგიდის შუაში წერილი მოჩანდა.

ოთახში ორი მამაკაცი იყო.

ერთ-ერთი მათგანი მაგიდის მოკლე მხარეს იდგა და თითის წვერებით გაპრიალებულ მაგიდას დაყრდნობოდა. დაუთოებული შავი კოსტიუმი, შეკვეთით შეკერილი შავი ფეხსაცმელი და თეთრი პერანგი ეცვა. მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი ჰალსტუხი ეკეთა. გადატკეცილი და პირფერული სახე ჰქონდა, თმა უკან გადაევარცხნა. რქის ჩარჩოიანი მასიური სათვალიდან ძაღლური ერთგულებით იმზირებოდა. იენსენს ხშირად უნახავს ასეთი სახეები, განსაკუთრებით ტელევიზორის ეკრანზე.

მეორე შედარებით ახალგაზრდა ჩანდა. ყვითელზოლიანი წინდები, ტერილენის ღია ყავისფერი შარვალი და ზემოდან გადმოშვებული თეთრი პერანგი ეცვა. მას ფანჯარასთან სკამი მიეტანა, ზედ მუხლებით შემდგარიყო. ნიკაპი ხელისგულებზე დაეყრდნო, იდაყვები კი — თეთრი მარმარილოს რაფაზე. ქერა თმა და ლურჯი თვალები ჰქონდა.

იენსენმა თავისი სამსახურებრივი ნიშანი აჩვენა და მაგიდისაკენ ნაბიჯი გადადგა.

— გამომცემლობის შეფი ბრძანდებით?

ჰალსტუხიანმა კაცმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და მაგიდიდან უკან დაიხია. ამავე დროს ოდნავი თავის დაბრუნთა და ენერგიული ჟესტით ფანჯრისაკენ მიუთითა. მისი ღიმილი როგორღაც არ ესადაგებოდა პირველ შთაბეჭდილებას.

ქერათმიანი სკამიდან ჩამოცოცდა და ჩუმად მიუახლოვდა იენსენს. სწრაფად და ენერგიულად ჩამოართვა ხელი და საწერ მაგიდაზე მიუთითა:

— აი ის.

კონვერტი თეთრი და ჩვეულებრივი იყო. ზედ დაწებებული ჰქონდა სამი მარკა, ხოლო მარცხენა ქვედა კუთხეში — იარლიყი „სასწრაფო". კონვერტში იდო ოთხად დაკეცილი ქაღალდის ფურცელი. როგორც მისამართი, ასევე წერილის ტექსტიც რომელიღაც გაზეთიდან ამოჭრილი ცალკეული ასოებისაგან იყო შედგენილი. ქაღალდი ძალზე მაღალი ხარისხისა გახლდათ და არც მისი ფორმატი ჩანდა სულ მთლად ჩვეულებრივი.

იენსენმა წერილი თითის წვერებით აიღო და წაიკითხა: „თქვენ მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის შურის საძიებლად შენობაში ჩადებულია საათის მექანიზმიანი მძლავრი ბომბი. ოცდასამ მარტს ზუსტად თოთხმეტ საათზე მოხდება აფეთქება. უდანაშაულონი არ უნდა დაზარალდნენ"

— ის ქალი, რასაკვირველია, შეშლილია, — უთხრა ქერათმიანმა. — უბრალოდ სულით აავადმყოფია და მეტი არაფერი.

— დიახ, ახლა დასკვნამდე მივედით ჩვენ, — თქვა ჰალსტუხიანმა კაცმა.

— ანდა, უბრალოდ, მეტ-ნაკლებად სულელური ხუმრობაა, — უთხრა ქერათმიანმა. — და თანაც უხამსი.

— იქნებ ასეცაა, სავსებით შესაძლებელია, — მხარი დაუჭირა ჰალსტუხიანმა კაცმა.

ქერათმიანმა გულგრილად გადახედა მას და თქვა:

— ეს ჩვენი დირექტორია. გამომცემლობის პირველი დირექტორი.—და ხანმოკლე პაუზის შემდეგ დაუმატა,—ჩემი მარჯვენა ხელია.

დირექტორს სახე გაებადრა და თავი ოდნავ დახარა. ამით, ალბათ, მადლიერებას გამოხატავდა, ან იქნებ, რაიმე სხვა მოსაზრებით მოი-

სურვა სახის დამალვა. აი, მაგალითად, მოკრძალების, პატივისცემის ან თავმოყვარეობის გამო.

— ჩვენ კიდევ ოთხმოცდათვრამეტი დირექტორი გვყავს, — დაამზუსტა ქერათმიანმა.

კომისარმა იენსენმა თავის საათს დახედა: 13.19.

— როგორც გავიგე, ბატონო შეფო, „ის ქალიო" ბრძანეთ. გაქვთ თუ არა რაიმე საფუძველი იფიქროთ, რომ გამომგზავნი ქალია?

— მე ყველანი „გამომცემელს" მიწოდებენ, — უთხრა ქერათმიანმა. მან მაგიდას შემოუარა, სავარძელში ჩაჯდა და მარჯვენა ფეხი სახელურზე გადადო. — საფუძველი თითქოს არა გვაქვს. უბრალოდ, ასე წამომცდა, ვიღაცამ ხომ შეადგინა ეს წერილი.

— მართლაც, — უთხრა დირექტორმა.

— გასარკვევი მხოლოდ ისაა, ვინ შეადგინა? — უთხრა ქერათმიანმა.

— სავსებით სწორია, — დაასკვნა დირექტორმა. სახეზე ღიმილი გაუქრა და ახლა წარბებშუა ღრმააზროვანი ნაოჭები გამოესახა.

გამომცემელმა სახელურზე მარცხენა ფეხიც გადადო.

იენსენმა კვლავ დახედა საათს: 13.21.

— შენობის ევაკუაცია უნდა მოხდეს, — უთხრა მან.

— ევაკუაცია? გამორიცხულია. მაშინ ჩვენ ყველა სამუშაოს შეჩერება მოგვიწევს, შესაძლოა ორი საათითაც კი. თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს? სულ მცირე წარმოდგენა მაინც გაქვთ იმაზე, რა დაგვიჯდება ეს? — სავარძლიანად შემობრუნებულმა ქერათმიანმა გამომწვევად შეხედა იმას, ვინც მისი მარჯვენა ხელი იყო. გამომცემლობის დირექტორმა ელვისებური სისწრაფით შუბლიდან ნაოჭები გადაიყარა და ცხვირში ბუტბუტით თითებზე რაღაცის თვლას შეუდგა. კაცმა, რომელსაც სურდა მისთვის გამომცემელი ეწოდებინათ, დირექტორს ცივი მზერა მოაცილო და სავარძელი საწყის მდგომარეობაში დააბრუნა.

— მინიმუმ შვიდას ორმოცდაათი ათასი. გესმით? მილიონის სამი მეოთხედი, როგორც მინიმუმი. შესაძლოა ორჯერ მეტიც.

იენსენმა კიდევ ერთხელ წაიკითხა წერილი. დახედა საათს: 13.23.

გამომცემელი განაგრძობდა:

— ჩვენ ვცემთ ას ოთხ ჟურნალს და ყველა მათგანი ამ შენობაში იბეჭდება. მათი საერთო ტირაჟი კვირაში ოცდაერთი მილიონ ეგზემპლარს სჭარბობს და ჩვენთვის ყველაზე მთავარია მათი შეუფერხებლად დაბეჭდვა და დაგზავნა.

უცებ მას სახე შეეცვალა. გასხივოსნებული ლურჯი თვალები იენსენს მიაპყრო.

— ჩვენი ქვეყნის ყოველ სახლში თითოეული ოჯახი ელის თავის ჟურნალს. ჩვენი ჟურნალები ერთნაირად საინტერესოა ყველასათვის — პრინცესასა და ტყისმჭრელის ცოლისათვის, უდიდესი საზოგადო მოღვაწე მამაკაცისა ან მანდილოსნისათვის და ყველაზე დამცირებული და გარიყული ხალხისათვისაც, თუკი ასეთი მოიძებნება ჩვენში, ერთი სიტყვით ყველასათვის.—და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — ახლა ბავშვებს ალარ იკითხავთ, ამ საყვარელ პაწაწებს...

— პაწაწებს?

— დიახ, ჩვენი ჟურნალებიდან ოთხმოცდათვრამეტი დასახელება ბავშვებისათვისაა განკუთვნილი.

— სერიული გამოშვებები, — დააზუსტა დირექტორმა.

ქერათმიანმა დირექტორს არაკეთილგანწყობილი მზერა ესროლა და სახე კვლავ შეეცვალა. განაწყენებული შებრუნდა სავარძელში და იენსენს შეხედა:

— ჰოდა, როგორ მოვიქცეთ?

— მიუხედავად მთელი ჩემი პატივისცემისა ამ მოსაზრებების მიმართ, მაინც დაჟინებით მოვითხოვ ევაკუაციას.

— მეტი არაფრის თქმა არ შეგიძლიათ? მაშინ, ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, რაღას აკეთებს თქვენი ხალხი?

— ეძებენ.

— და თუკი ბომბი არის, იპოვიან?

— გამოცდილი ხალხია, მაგრამ ძალზე ცოტა დრო აქვთ. ასაფეთქებელი ჭურვის პოვნა ძნელი საქმეა. პრაქტიკულად ის ყველგან შეიძლება იყოს. როგორც კი რაიმეს იპოვიან, მაშინვე მომახსენებენ.

— საათის სამი მეოთხედი კიდევ გაქვთ.

იენსენმა თავის საათს დახედა:

— ოცდათხუთმეტი წუთი. მაგრამ კიდეც რომ იპოვონ ჭურვი, მის გასაუვნებლად დამატებითი დრო იქნება საჭირო.

— თუკი საერთოდ არავითარი ბომბი არ არის?

— მაინც გირჩევდით შენობის დაცლას.

— მაშინაც კი, დიდი საფრთხე რომც არ გვემუქრებოდეს?

— დიახ. მე იმას ვუშვებ, რომ შესაძლოა, მუქარა არ შეასრულონ, არაფერი არ მოხდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის საწინააღმდეგო შემთხვევებიცაა ცნობილი.

— საიდან?

— კრიმინალისტიკის ისტორიიდან.

იენსენმა ხელები ზურგს უკან შემოიწყო და ფეხის წვერებზე შეირხა.

— ასეთია ჩემი აზრი, როგორც პროფესიონალისა. — უთხრა მან.

გამომცემელმა დაჟინებით შეხედა მას.

— რა თანხის ფასად შეიცვლიდით თქვენს აზრს? — შეეკითხა ის.

იენსენმა გაოცებით გადახედა.

გამომცემელი, როგორც ჩანს, ბედს დამორჩილდა.

— რა თქმა უნდა, ვიხუმრე, — პირქუშად აუხსნა მან, შემდეგ ფეხები სავარძლის სახელურიდან ჩამოიღო, სავარძელი კელაე საწყის მდგომარეობაში დააბრუნა, ხელები მაგიდაზე დააწყო და თავი მარცხენა მუშტზე დადო. შემდეგ ერთბაშად გასწორდა:

— ჩემს ბიძაშვილს უნდა მოვეთათბიროთ, — და შიდა ტელეფონის ღილაკს დააჭირა თითი.

იენსენმა დრო აღნიშნა: 13.27.

ჰალსტუხიანმა კაცმა უხმაუროდ გადაინაცვლა სივრცეში, იენსენის გვერდით აღმოჩნდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— შეფს, მთავარ შეფს, მთელი ტრესტის შეფს, კონცერნის უფროსს უნდა მოვეთათბიროთ.

გამომცემელმა რაღაც წაიკრუტუნა მიკროფონში. შემდეგ ყურმილი ყურთან მიიდო და მოჩურჩულეებს წყრომით გადახედა. თითი სხვა ღილაკს დააჭირა, მიკროფონზე დაიხარა და გარკვევით და საქმიანად დაიწყო ლაპარაკი:

— შენობის კომენდანტია? იანგარიშეთ, რა დრო დასჭირდება სასწავლო სახანძრო განგაშს სასწრაფო ევაკუაციით. პასუხი მზად უნდა იყოს სამ წუთში. მომახსენეთ პირადად მე.

ოთახში შემოვიდა შეფი. თავისი ბიძაშვილივით ქერათმიანი, მაგრამ დაახლოებით ათი წლით მასზე უფროსი. მშვიდი, სერიოზული და ლამაზი სახე ჰქონდა, მხრები ფართო, წელში გამართული იდგა. უბრალო, სადა ყავისფერი კოსტიუმი ეცვა. შეფმა ერთბაშად მოგუდული ხმით დაიწყო ლაპარაკი.

— რამდენი წლისაა ის ახალი გოგონა? — დაბნეულად იკითხა და თავის გაქნევით კარზე მიუთითა.

— თექვსმეტის, — მოახსენა ბიძაშვილმა.

— ჰო-ო-ო.

გამომცემლობის დირექტორი ვიტრინის გვერდით აღმოჩნდა და ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს თითების წვერებზე დგასო.

— ეს კაცი პოლიციიდანაა, — უთხრა გამომცემელმა. — მას ქყავს ხალხი, ისინი ეძებენ, მაგრამ ვერაფერს იპოვნიან. ასე ამბობს, შენობის ევაკუაცია უნდა მოვახდინოთო.

შეფი ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა, ხმა არ ამოუღია.

— აი, გაზაფხულიც მოვიდა, — თქვა მან. — ოჰ, რა სილამაზეა!

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. იენსენმა საათს დახედა: 13.29. შეფმა ძლივს გამოსცრა:

— აქაურობას გაარიდეთ ჩვენი მანქანები.

დირექტორი კისრისტეხით გაიქცა კარისაკენ.

— ისინი ზედ კედელთან დგანან, — მშვიდად დაუმატა შეფმა. — ოჰ, რა სილამაზეა!

დუმილი ოცდაათ წამს გაგრძელდა. შემდეგ რაღაც აზუზუნდა და შიდა ტელეფონზე ნათურა აციმციმდა.

— გისმენთ, — უთხრა გამომცემელმა.

— კიბეების და ავტომატური ჩქაროსნული ლიფტების მოუცდენელი გამოყენებით თვრამეტი ან ოცი წუთია საკმარო.

— ყველაფერი გათვალისწინებულია?

— ოცდამეთერთმეტის გარდა.

— განსაკუთრებული განყოფილებაც რომ მივათვალოთ?

— გაცილებით მეტი დრო დასჭირდება.

ბოლო ფრაზა მიკროფონში შედარებით უღიმღამოდ გაისმა.

— ხვეული კიბეები ძალიან ვიწროა, — უთხრა მან.

— ვიცი.

კვლავ ჩხაკუნი გაისმა, მერე დუმილი ჩამოვარდა. 13 საათი და 31 წუთი იყო.

იენსენი ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა. ქვევით, შორს მან ექვს რიგად გაყოფილი ქუჩა და მანქანის სადგომი დაინახა. ახლა ის დაცარიელებული იყო. ისიც დაინახა, რომ შენობიდან დაახლოებით ოთხასი მეტრის მანძილზე მის ხალხს ყვითელი კონუსებით სავალი ნაწილი გადაეკეტა და ერთ-ერთი მათგანი მოძრაობას გვერდით ქუჩისაკენ აძლევდა მიმართულებას. მიუხედავად სიშორისა, იენსენი გარკვევით ხედავდა პოლიციელების მწვანე ფორმასა და მარეგულირებლების თეთრ სამკლავურებს. სადგომიდან ორი დიდი შავი მანქანა დაიძრა

და მესამე თეთრი მანქანის თანხლებით, რომელიც ალბათ, დირექტორს ეკუთვნოდა, სამხრეთისაკენ გაემართა.

დირექტორი ისევ ოთახში აღმოჩნდა და ახლა კედელთან იდგა. სახეზე მღელვარება ეტყობოდა და მძიმე ფიქრებშემოჯარულს თავი ჩაქინდრა.

— სულ რამდენი სართულია შენობაში? — იკითხა იენსენმა.

— მიწის ზემოთ ოცდაათი, — უპასუხა გამომცემელმა, — ოთხიც მიწის ქვემოთ. ჩვეულებრივ ჩვენ ოცდაათს ვითვალისწინებთ.

— მომეჩვენა, თითქოს ოცდათერთმეტი ახსენეთ?

— ნუთუ? ეს ალბათ დაბნეულობის ბრალია.

— რამდენი თანამშრომელი გყავთ?

— აქ? შენობაში?

— დიახ.

— ოთხი ათას ასი მთავარ კორპუსში. ორი ათასი გვერდითა ფრთებში.

— სულ ექვსი ათასზე მეტი?

— დიახ.

— დაჟინებით მოვითხოვ მათ ევაკუაციას.

კვლავ დუმილი. გამომცემელი თავის საეარძლიანად შემოტრიალდა. შეფს ჯიბეებში ჩაეწყო ხელები და ფანჯარაში იყურებოდა. შემდეგ მზერა ნელ-ნელა იენსენზე გადაიტანა. მისი სახე ძალზე სერიოზული ჩანდა.

— თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ შენობაში ბომბია ჩადებული?

— ყოველ შემთხვევაში, გვაფრთხილებენ და ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ გარემოებას.

— თქვენ პოლიციის კომისარი ბრძანდებით?

— დიახ.

— თქვენს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები გქონიათ?

იენსენი მცირე ხნით ჩაფიქრდა.

— ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, მაგრამ გამოცდილება გვასწავლის, რომ მუქარა ანონიმურ წერილებში ასიდან ოთხმოცზე მეტ შემთხვევაში მართალი გამოდგება ხოლმე... ანდა, ყოველ შემთხვევაში, ფაქტზე მაინც არის დაფუძნებული.

— ეს დამტკიცებულია სტატისტიკით?

— დიახ.

— იცით რამდენი დაგვიჯდება ევაკუაცია?

— დიახ.

— ჩვენი საწარმო ოცდაათ წელზე მეტია ეკონომიურ სიძნელეებს ებრძვის. ზარალი ყოველწლიურად მატულობს. საძწუხაროდ ეს დამტკიცებულია სტატისტიკით. მხოლოდ პირადად გაღებული მსხვერპლის წყალობით ვაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას.

მისი ხმა სხვაგვარად აღერდა: მწუხარე და ნაღვლიანი გახდა. იენსენი არაფერს ამბობდა. 13 საათი და 34 წუთი იყო.

— ჩვენს მოღვაწეობას წმინდა იდეალისტური ხასიათი აქვს. ჩვენ არა ვართ ბიზნესმენები. ჩვენ გამომცემლები ვართ, მწიგნობრები.

— მწიგნობრები?

— ჩვენს ჟურნალებს წიგნებს ვუთანაბრებთ, ვინაიდან ისინი იმ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, რომელსაც ვერასოდეს ვერ დააკმაყოფილებდნენ წარსულში გამოცემული წიგნები.

მან ფანჯარაში გაიხედა და წაიბუტბუტა:

— ოჰ, რა სილამაზეა! დღეს პარკში გამოვიარე და დავინახე, რომ უკვე გაშლილან პირველი ყვავილები, იები და ენძელები. გიყვართ ბუნება?

— აბა, როგორ გითხრათ...

— ყველა ადამიანს უნდა უყვარდეს ბუნება. ეს ცხოვრებას ამდიდრებს, გაცილებით ამდიდრებს.

და კვლავ იენსენს მიუბრუნდა:

— გესმით, რას თხოულობთ ჩვენგან? უდიდესი ხარჯია. პირად ცხოვრებაშიც კი მძიმე მდგომარეობა გვაქვს. აი, შინაც, ბოლო საბუხჰალტრო შეჯამების შემდეგ, მხოლოდ ასანთის დიდ კოლოფებს ვბმარობთ. ამას მაგალითისათვის ვამბობ.

— დიდ კოლოფებს?

— დიახ, მომჭირნეობის გამო. თითქმის ყველაფერზე გვიხდება მომჭირნეობა. დიდი კოლოფები გაცილებით იაფია. ეს დიდი დანაზოგია.

გამომცემელი უკვე მაგიდაზე იჯდა და ფეხები სავარძლის სახელურზე შემოეწყო. ის თავის ბიძაშვილს შეჰყურებდა.

-- თუ ბომბი მართლაც შემოგვიგდეს, მაშინაც კარგი ეკონომია გამოვა. შენობა თანდათან ვიწრო ხდება ჩვენთვის.

შეფმა მას მწარედ გადახედა.

— ჰო, დაზღვევა ხომ დაფარავს ზარალს, — უთხრა გამომცემელმა.

— მაგრამ სადაზღვევო საზოგადოების ზარალს ვინ დაფარავს?

— ბანკები.

— ბანკების ზარალს?

გამომცემელმა დუმილი ამჯობინა და შეფმა ხელმეორედ გადაიტანა ყურადღება იენსენზე.

— ვფიქრობ, სამსახურებრივი მოვალეობის გამო ვალდებული ხართ დუმდეთ.

— რასაკვირველია.

— პოლიციის უფროსმა თქვენ გაგიწიათ რეკომენდაცია. იმედია, იცოდა, რას აკეთებდა.

იენსენმა ვერ მოისაზრა, რა პასუხი გაეცა.

— სიტყვამ მოიტანა და, შენობაში ფორმიანი პოლიციელები არიან?

— არა.

გამომცემელმა ფეხები საბარძლიდან ჩამოიღო და როგორც მკერავებს სჩვევიათ ხოლმე, ფეხი ფეხზე გადაიდო.

იენსენმა ალმაცერად დახედა საათს. 13.36.

— მაგრამ თუკი ბომბი მართლაც არის, — უთხრა გამომცემელმა. — ექვსი ათასი კაცი... ერთი წითხარით, ბატონო იენსენ, რამდენი პროცენტი იქნება დანაკარგი?

— დანაკარგი?

— ჰო, ხალხის დანაკარგი?

— ამას წინასწარ ვერავინ იტყვის.

გამომცემელმა თავისთვის წაიბუტბუტა:

— ისეთებიც მოინახებიან, რომლებიც იტყვიან, თითქოს ჩვენ განგებ მოვაწყვეთ აფეთქება. ეს პრესტიჟის საკითხია. — და ბიძაშვილს მიმართა: — ჩვენს პრესტიჟზე აღარ იფიქრე?

შეფმა დაბინდული ლურჯი თვალები თეთრ, სუფთა ქაღალდზე გადაიტანა. გაზაფხულის მოწმენდილ ცაზე თვითმფრინავი გეომეტრიულ ფიგურებს ხაზავდა.

— მოაბდინეთ ევაკუირება, — გამოსცრა მან.

იენსენმა დრო აღნიშნა: 13.38.

გამომცემლის ხელი შიდა ტელეფონს შეეხო. პირი მიკროფონს მიუახლოვა. მკაფიო და მტკიცე ხმა გაისმა:

— გამოცხადებულია სასწავლო-სახანძრო განგაში. ჩატარდეს სასწრაფო ევაკუაცია. თვრამეტი წუთის შემდეგ, გარდა განსაკუთრებული განყოფილებისა, შენობაში არც ერთი კაცი არ უნდა იყოს. დაიწყეთ ზუსტად ოთხმოცდაათი წამის შემდეგ.

წითელი ნათურა ჩაქრა. გამომცემელი ადგა და განმარტა:

— ოცდამეთერთმეტე განყოფილების თანამშრომლებს კიბეებზე სირბილს უჯობთ თავიანთ განყოფილებაში მშვიდად იჯდნენ. უკანასკნელი ლიფტის დაბლა ჩამოსვლისთანავე დენი გამოითიშება:

— საიდან უნდა გვყავდეს ასეთი მტრები? — მწუხარედ წარმოთქვა შეფმა და გავიდა.

გამომცემელმა ფეხზე ჩაიცვა.

იენსენი დირექტორთან ერთად გავიდა ოთახიდან.

მათ უკან კარი დაკეტა თუ არა, დირექტორს მაშინვე ჩამოეშვა პირის კუთხეები, სახე უძრავი და ქედმაღლური გაუხდა, ხოლო გაძოხედვა — გამგმირავი და გამომცდელი. როდესაც მათ სამდივნო ოთახი გაიარეს, ახალგაზრდა ქალებმა ერთდროულად, თითქოს ვიღაცამ ბრძანება გასცაო, თავიანთ მაგიდებზე დახარეს თავები.

ზუსტად ცამეტ საათსა და ორმოც წუთზე კომისარი იენსენი ლიფტიდან გამოვიდა და ვესტიბიული გადაკვეთა. თავის ხალხს ანიშნა, უკან მომყევითო და მბრუნავ კარს ხელი ჰკრა. პოლიციამ შენობა დატოვა.

უკან, ბეტონის კედლებს შორის, მიკროფონით ხმამაღლა ბრძანების სიტყვები ქუხდა.

II

მანქანა იდგა ზღუდესთან, პოლიციის კორდონსა და სადგომს შორის დაახლოებით შუა გზაზე. კომისარი იენსენი წინა საჯდომზე მძღოლის გვერდით იჯდა. მარცხენა ხელში წამმზომი ეჭირა, მარჯვენაში კი — მიკროფონი. დროდადრო ენერგიულ ბრძანებებს აძლევდა რადიოფიცირებულ მანქანებში მყოფ თანამშრომლებსა და იმათ, ვისაც გზა გადაეკეტათ. იენსენი წელში გამართული იჯდა: ხშირი ჭაღარა თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი კეფაზე.

უკან იჯდა დირექტორი — აბრეშუმის ჰალსტუხი ეკეთა და სახეზე ცბიერი ღიმილი დასთამაშებდა. შუბლი ოფლისაგან დასცვაროდა და საჯდომზე მოუსვენრად ცქმუტავდა. ახლა, როდესაც ახლომახლო არც მისი ხელქვეითი ჩანდა და არც მისი ზემდგომი. ბოლოს და ბოლოს, შეეძლო სახე დაესვენებინა. მისი სახის ნაკვთები როგორღაც ერთბაშად მოეშვა და გაიდღაბნა, ხოლო ტუჩებს შორის წამდაუწუმ მოუჩანდა შესივებული ენის წვერი. ეტყობა ვერ გაითვალისწინა, რომ

იენსენს შეეძლო მისთვის თვალყური ედევნებინა უკანა ხედვის სარკით.

— თუ არ გსიამოვნებთ, სრულებითაც არ არის აუცილებელი თქვენი აქ ყოფნა, — უთხრა იენსენმა.

— ვალდებული ვარ აქ ვიყო. შეფიც წავიდა და გამომცემელიც. ამგვარად მე ვრჩები პასუხისმგებელი პირი, ასე ვთქვათ, შეფი.

— გასაგებია.

— ეს რა, საშიშია?

— არა მგონია.

— მთელი შენობა რომ დაინგრეს?

— საეჭვოა.

იენსენმა წამმზომს დახედა. 13.51.

მან მზერა სახლზე გადაიტანა. აქედანაც კი, დაახლოებით სამასი მეტრის მანძილიდან, მონოლითური ლოდი შიშისმომგვრელი იყო თავისი გრანდიოზული ზომით. ოთხას ორმოცდაათ ლითონის ერთნაირ ჩარჩოში ჩასმული ოთხას ორმოცდაათი მინის ნაჭერი ირეკლავდა მზის კაშკაშა სინათლეს, ცისფერი ფილებით მოპირკეთებული კედლები სიცივის, ელვარებისა და შეუვალობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. იენსენს უცებ მოეჩვენა, რომ სახლი ბომბის გარეშეც შეიძლებოდა დანგრეულიყო, უბრალოდ მიწა ჩაიზნიქებოდა ამ უზარმაზარ ტვირთის ქვეშ. შიგნიდან მოწოლილი წნევა გახეთქავდა ამ კედლებს.

მთავარი სადარბაზოდან განუწყვეტლივ მოედინებოდა ხალხის ნაკადი. ადამიანები აუჩქარებლად მიიკვლევდნენ გზას სადგომზე მდგარ მანქანათა რიგებს შორის, ფოლადის მაღალი ზღუდის გასასვლელებში გადიოდნენ, შემდეგ კი ბორცეზე დაბლა ეშვებოდნენ და პორტის ნაცრისფერ ფილებზე მიაბიჯებდნენ. სატვირთო ნავსაბელისა და პაკჰაუზის დაბალი შენობის უკან ხალხის დინება იშლებოდა და ბუნდოვან, ერთგვაროვან მასად იქცეოდა. მიუხედავად შორი მანძილისა, იენსენმა მაინც მოასწრო შეემჩნია, რომ პერსონალის სულ ცოტა ორ მესამედს ქალები შეადგენდნენ და უმრავლესობას მწვანე ფერის ტანსაცმელი ეცვა. ალბათ იმიტომ, რომ მწვანე გაზაფხულის ფერია.

ბრანდსპოიტიანი და გასაშლელ კიბეებიანი ორი დიდი წითელი მანქანა სადგომიდან დაიძრა და შესასვლელს მიადგა. მეხანძრეები ბორტების გასწვრივ ისხდნენ და მათი ფოლადის მუზარადები მზეზე ბზინავდა. მაგრამ არც სირენებისა და არც ზარების ხმა არ ისმოდა.

ცამეტ საათსა და ორმოცდაჩვიდმეტ წუთზე დინება შეთხელდა

და ერთი წუთის შემდეგ მინის კარებიდან მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანი გამოდიოდა.

კიდევ ერთი წუთის შემდეგ კარებში მხოლოდ ერთადერთი კაცილა იდგა. იენსენმა მხედველობა დაძაბა და შეიცნო იგი. ეს გახლდათ საქალაქო პატრულის უფროსი.

იენსენმა წამმზომს დახედა. 13.59.

ესმოდა, მის ზურგს უკან რა ნერვულად წრიალებდა გამომცემლობის დირექტორი.

მეხანძრეები თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ. პატრულის უფროსი კი გაქრა. შენობა ცარიელი იყო.

იენსენმა უკანასკნელად დახედა საათს, მერე შენობას შეხედა და თვლა დაიწყო.

თხუთმეტ წამს რომ გადასცდა, წამები თითქოს უფრო დაგრძელდა.

თოთხმეტი... ცამეტი... თორმეტი... თეთრთმეტი... ათი... ცხრა... რვა... შვიდი... ექვსი... ხუთი... ოთხი... სამი... ორი... ერთი...

— ნოლი, — თქვა კომისარმა იენსენმა.

4

— ეს გაუგონარი დანაშაულია, — თქვა პოლიციის უფროსმა.

— მაგრამ ბომბი ვერ აღმოვაჩინეთ. და საერთოდ, არაფერიც არ მომხდარა. ზუსტად ერთი საათის შემდეგ სახანძრო განგაში შეწყდა და ხალხი ისევ შეუდგა მუშაობას. ოთხ საათამდე კარგა ხნით ადრე უკვე ყველაფერი რიგზე იყო.

— და, მიუხედავად ამისა, ეს გაუგონარი დანაშაულია, — გაიმეორა პოლიციის უფროსმა.

თითქოს არა მარტო თავისი თანამოსაუბრის, არამედ საკუთარი თავის დარწმუნებასაც ცდილობსო, პოლიციის უფროსის ხმა დამაჯერებლად ეღერდა, მაგრამ სიმტკიცე აკლდა.

— დამნაშავე უნდა დავიჭიროთ.

— ძიება გრძელდება.

— მაგრამ ჩვეულებრივი მეთოდებით არ გირჩევთ გამოძიებას. დამნაშავე უნდა ვიპოვოთ, რადაც არ უნდა დაჯდეს.

— გასაგებია.

— ყურადღებით მომისმინეთ. სულაც არ ვაპირებ თქვენი მეთოდების გაკრიტიკებას...

— მე ავირჩიე ერთადერთი შესაძლო გზა. რისკი ძალზე დიდი იყო. საფრთხე ემუქრებოდა ასობით ადამიანის სიცოცხლეს, თუ მეტი არა. სახლს რომ ცეცხლი წაჰკიდებოდა, საეჭვოა, რაიმე გვეღონა. სახანძრო კიბე მეშვიდე, დიდი-დიდი მერვე სართულამდე სწვდება. ერთი სიტყვით, სახანძრო რაზმი დაბლა ფუსფუსებს, ხოლო ცეცხლი ზევით-ზევით მიდის. ესეც არ იყოს, სახლის სიმაღლე ას ოცი მეტრია, ხოლო ბრანდსპოიტი ოცდაათ მეტრს ზემოთ ვერ სწვდება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, მე მესმის თქვენი და როგორც უკვე გითხარით, არცა გძრახავთ. მაგრამ ისინი ძალზე აღშფოთებულები არიან. წარმოების შეჩერება თითქმის ორი მილიონი დაუჯდათ. შეფი პირადად დაუკავშირდა შინაგან საქმეთა მინისტრს. ვერ ვიტყოდი, საჩივარი შეიტანა-მეთქი.

პაუზა.

— მადლობა ღმერთს, სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით ამას საჩივარს ვერ უწოდებ...

იენსენმა დუმილი ამჯობინა.

— მაგრამ ის აღშფოთებულია, მას აღშფოთებს როგორც ზარალი, ასევე საზიზღარი ხრიკები, რომელთა მსხვერპლიც ის გახდა. დიახ, დიახ, სიტყვა-სიტყვით გადმოგცემთ მის ნათქვამს: ხრიკები.

— მესმის.

— ისინი დამნაშავის დაუყოვნებლივ დაჭერას მოითხოვენ.

— დროა საჭირო. ჩვენ მხოლოდ წერილი გაგვაჩნია.

— ვიცი. მაგრამ დანაშაული უნდა გაიხსნას.

— მესმის.

— საქმე საკმაოდ საჩოთიროა და, როგორც უკვე გითხარით, სასწრაფო. ყველა სხვა საქმე შეიძლება გადადოთ, შეგიძლიათ მეორეხარისხოვნად ჩათვალოთ ყველა საქმე, რასაც აქამდე აკეთებდით.

— გასაგებია.

— დღეს ორშაბათია. ჩვენს განკარგულებაშია ერთი კვირა — და არც ერთი წამით მეტი. შვიდი დღე, გესმით!

— მესმის.

— პირადად მოჰკიდეთ ხელი ამ საქმეს. შეგიძლიათ ისარგებლოთ ყველა ჩვენი ლაბორატორიით, მაგრამ საქმის არსს ნურვის გააცნობთ.

ხოლო თუკი ვინმესთან მოთათბირება დაგჭირდებათ, უშუალოდ მე მომმართეთ.

— უნდა გაცნობოთ, რომ სამოქალაქო პატრულმა უკვე იცის ზოგი რამ ამ საქმეზე.

— ძალზე სამწუხაროა. უბრძანეთ, კრინტი არ დაძრან.

— შეეცდები.

— ყველა მნიშვნელოვანი დაკითხვა თვითონ ჩაატარეთ.

— გასაგებია.

— და კიდევ ერთი: ძიებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუშალოს მათ ხელი. ძალიან ძვირად ღირთ დრო. თუ ძალიან დაგჭირდებათ მათგან რაიმე ცნობის მიღება, ამჯობინებენ მეფე-შემსრულებელს, გამომცემლობის პირველ დირექტორს მიმართოთ.

— გავიგე.

— თქვენ უკვე იცნობთ მას?

— დიახ!

— იენსენ!

— გისმენთ!

— წარმატებას გისურვებთ. ამით, უპირველეს ყოვლისა, თავადვე უნდა იყოთ დაინტერესებული.

კომისარმა იენსენმა ყურმილი დაღო. იდაყვები მაგიდის მწვანე მაუდზე დააწყო და თავი ხელისგულებზე შემოიდო. მოკლედ შეკრეჭილი თმა მტკივნეულად ჩხვლეტდა თითებს. იენსენის სამუშაო დღე თხუთმეტი საათის წინ დაიწყო. ახლა ათი სრულდებოდა და იენსენი ძალიან დაღლილი გახლდათ.

იენსენი მაგიდიდან წამოდგა, მხრებში გაიმართა და ხვეული კიბით დაბლა, სამორიგეო ნაწილში ჩავიდა. ოთახი ძალიან ძველმოდურად გამოიყურებოდა. აქ ყველაფერი მწვანედ იყო შეღებილი, ისევე როგორც ოცდახუთი წლის წინათ, როდესაც იენსენი ჯერ კიდევ გუშაგი პოლიციელი გახლდათ. ოთახის მთელ სიგრძეზე ხის ბარიერი მიუყვებოდა, უკან კი მოჩანდა კედელზე დამაგრებული სკამები და მინის პატარა ფანჯრიანი დასაკითხი ჯიხურები, რომლებსაც პრიალა სახელურიანი კარები ჰქონდათ. დღეს სამორიგეო ოთახში დიდი მოზღვავება არ იყო: რამდენიმე ლოთი და დამშეული მეძავი, ყველანი საშუალო ან შედარებით უფროსი ასაკისა. ისხდნენ და დაკითხვაზე გამოძახებას ელოდნენ, ხოლო ბარიერს იქით პოლიციელის უქუდო თავი მოჩანდა. პოლიციელს ხაკისფერი ტილოს კიტელი ეცვა. ის ტელეფონთან მორი-

გეობდა. დროდადრო ეზოში ხმაურით შემოსული მანქანების გუგუნი ისმოდა.

იენსენმა კედელში ჩასმული ფოლადის კარი გამოაღო და სარდაფში ჩავიდა. მეთექვსმეტე უბნის შენობა ძველი იყო, ალბათ ქალაქის ამ ნაწილში ეს გახლდათ ერთადერთი ძველი შენობა და თანაც არცთუ დიდად მოვლილი ჩანდა. სამაგიეროდ საკნები ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით იყო მოწყობილი. ჭერი თეთრი ჰქონდათ, იატაკი და კედლებიც თეთრი, გისოსებიანი კარები ნათურების მკვეთრ, ულმობელ სინათლეზე ბზინავდა.

ჭიშკართან პოლიციის ნაცრისფერი ავტობუსი იდგა. მისი უკანა კარი გაეღოთ და რამდენიმე ფორმიან კაცს იქიდან ლოთები გადმოჰყავდა. უნდა ითქვას, დაკავებულებს არ ებოდიშებოდნენ, მაგრამ იენსენმა იცოდა, რომ ამის მიზეზი იმდენად გულქვაობა არ იყო, რამდენადაც უზომო დაღლილობა.

იენსენმა ლოთების სარეგისტრაციო სადგომი გაირა და გზად მიმავალმა მათი უაზრო ნაღვლიანი სახეები შეათვალიერა.

მართალია ლოთობა ქუჩებში უსასტიკესად იკრძალებოდა და ყოველწლიურად სულ. უფრო მკაცრად ისჯებოდა, თუმცა მთავრობამ სულ ახლახან ახალი კანონი მიიღო, რომელიც შინაც კი კრძალავდა ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას, პოლიცია ვეღარ აუდიოდა ამ უზომოდ დიდ დატვირთვას: ყოველ საღამოს აკავებდნენ ორ-სამ ათას ღვინით გამტყვრალ-გალეშილ კაცს. მათგან დაასლოებით ნახევარს ქალები შეადგენდნენ. იენსენს საგუშაგო სამსახურიდან ახსოვდა, რომ მაშინ შაბათ საღამოს სამასამდე დაკავებული ლოთი საგანგებო შემთხვევად ითვლებოდა.

ავტობუსის გვერდით იდგა სანიტარული მანქანა, ხოლო მის ახლოს კი — თეთრ ხალათსა და სპორტულ ქუდში გამოწყობილი პოლიციის ექიმი.

— ხუთი საავადმყოფოში უნდა გავაგზავნოთ კუპის ამოსარეცხად, — თქვა მან. — მათ აქ დატოვებას ვერ გავბედავ. ასეთ პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებ.

იენსენმა თავი დაუქნია.

— ეშმაკმა იცის, რა ხდება, — განაგრძობდა ექიმი. — ჯერ არის და, სპირტიან სასმელებს უზარმაზარ გადასახადს ადებენ — ხუთი ათას პროცენტს. მერე ცხოვრების ისეთ პირობებს ქმნიან, რომელიც კაცს ლოთობისაკენ უბიძგებს, და ყოველივე ამის შემდეგ მხოლოდ ჩვენს

ქალაქში მთავრობას ყოველდღიურად ლოთების დაკარიმებით სამასი ათასი შემოსდის.

— გირჩევთ, ენას კბილი დააჭიროთ, — უპასუხა იენსენმა.

6

ახლანდელი დროის კვალობაზე კომისარი იენსენი ცენტრიდან შედარებით ახლოს, განაშენიანების სამხრეთ რაიონში ცხოვრობდა და მანქანით თავის სახლში ერთ საათზე ნაკლებ დროში მივიდა.

ცენტრის ქუჩებში ისევ ხმაური იყო: ჯერ კიდევ ღია იყო კაფე-ავტომატები და კინოთეატრები, ხალხი გაჩახჩახებული ვიტრინების წინ ტროტუარებზე მიდი-მოდიოდა. თითქოს ფარნებისა და რეკლამების ცივმა, მკვეთრმა სინათლემ გასტანჯა, იეთრი და დაძაბული სახეები ჰქონდათ. აქა-იქ უსაქმოდ მოხეტიალე ახალგაზრდები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ისინი თავს იყრიდნენ ფურგონების ირგელივ, სადაც შეაწვარ სიმინდს ყიდდნენ. ანდა ვიტრინების წინ ჩარიგდებოდნენ. ჩუმად იდგნენ და ერთმანეთს თითქმის არც ელაპარაკებოდნენ, ხანდახან რომელიმე მათგანი გულგრილად თუ გააყოლებდა თვალს პოლიციის მანქანას.

ახალგაზრდობას შორის დანაშაულობა, რომელიც წინათ ძალზე მნიშვნელოვან პრობლემად ითვლებოდა, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე თითქმის გაქრა. და საერთოდ, ახლა გაცილებით ნაკლები დანაშაული ხდებოდა, ოღონდ ალკოჰოლიზმი იზრდებოდა. ცენტრზე გავლისას იენსენს არაერთხელ უნახავს პოლიციელები თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ნეონის შუქზე თეთრად ბზინავდა რეზინის ხელკეტები, როდესაც პოლიციელები ავტობუსებში ლოთებს ტენიდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ იენსენის მანქანამ რვაკილომეტრიან გვირაბში ჩაყვინთა და უკაცურ საქარხნო რაიონში ამოყვინთა. შემდეგ ხიდზე გადაიარა და სამხრეთისაკენ გზატკეცილზე გაუყვა გზას.

იენსენი დაიღალა და მარჯვენა ფერდქვეშ გულის წამლები ტკივილი შეიგრძნო.

ვარეუბანში, სადაც ის ცხოვრობდა, ოთხ პარალელურ რიგად აშენებული ოცდათექვსმეტი რვასართულიანი სახლი იდგა. ამ რიგებს

შორის მოთავსებული იყო ავტომანქანების სადგომი, ყვავილების გაზონები, ბავშვებისათვის — გამჭვირვალე პლასტმასისაგან გაკეთებული სათამაშო პავილიონები.

იენსენმა მანქანა მესამე რიგში, მეშვიდე სახლის წინ გააჩერა, ძრავა გამორთო და გადმოვიდა. ზემოდან ვარსკვლავებით მოჭედილი ცივი ცა დაჰყურებდა. თუმცა საათი თერთმეტის ხუთ წუთს უჩვენებდა, სახლი უკვე ჩაბნელებული იყო. იენსენმა სადგომის ავტომატში მონეტა ჩადო. საათის წითელისრიანი პატარა ბერკეტი გადაატრიალა და სახლისაკენ წავიდა.

სინათლე აანთო, გაიხადა ლაბადა, ფეხსაცმელები, პიჯაკი, მოიხსნა ჰალსტუხი, გაიხსნა პერანგი, გაიარ-გამოიარა ოთახში, თვალი მოავლო ერთფეროვან მორთულობას, დიდ ტელევიზორსა და კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს, რომლებიც ჯერ კიდევ პოლიციის სკოლაში ყოფნისას გადაეღო.

შემდეგ ფანჯრების ჟალუზები ჩამოუშვა, გაიხადა შარვალი და სინათლე ჩააქრო. სიბნელეში სამზარეულოში გავიდა და მაცივრიდან ბოთლი გამოიღო, თან სირჩა გამოაყოლა, საბანი და ზეწარი გადაკეცა და ლოგინზე ჩამოჯდა.

ასე, სიბნელეში იჯდა და სვამდა.

როდესაც ტკივილი ცოტათი გაუყუჩდა, იენსენმა სირჩა პატარა ტუმბოზე დადგა და დაწვა.

თითქმის იმწამსვე ჩაეძინა.

6

კომისარ იენსენს შვიდის ნახევარზე გაეღვიძა. ლოგინიდან გადმოვიდა, საბაზანო ოთახში გავიდა, სახე, ხელები და კისერი ცივი წყლით დაიბანა, გაიპარსა და კბილები გაიხეხა.

პირში წყალი გამოივლო და მერე დიდხანს ახველებდა.

შემდეგ თაფლიანი წყალი აადუღა და შეეცადა გაცივებამდე დაეღია. თან გაზეთები გადაათვალიერა. არც ერთ მათგანში სიტყვაც არ იყო ნახსენები იმ ამბებზე, გუშინდელს აქეთ მოსვენება რომ დაუკარგა

გზატკეცილზე გაცხოველებული მოძრაობა იყო, იენსენმა სირენაც კი ჩართო, მაგრამ მხოლოდ ცხრის ოცდათხუთმეტ წუთზე შეძლო უბნამდე მიღწევა.

ამის წესის შემდეგ პოლიციის უფროსმა დარეკა.

— ძიება დაიწყეთ?

— დიახ.

— რა მიმართულებებით?

— ნივთიერი საბუთი — ქაღალდი — ანალიზზეა გაგზავნილი. ფსიქოლოგები ტექსტს სწავლობენ. ფოსტაში კაცი მივავლინე.

— შედეგები არის?

— ჯერჯერობით არ...

— თქვენ გაქვთ რაიმე ეჭვი?

— არ.

დუმილი.

მე საკმარისი ცნობები არ გამაჩნია გამომძიებლობაზე. ეთხრა იენსენმა:

— სასურველი იქნებოდა კიდევ რაიმე გაგეგოთ.

— დიახ.

— კიდევ უფრო სასურველი იქნება, თუ ინფორმაციის წყაროებს კონცერნის გარეთ იპოვით.

— გასაგებია.

— მე გირჩევდით საინისტროში მიგემართათ, მაგალითად, ბექდვითი სიტყვის საქმეში სახელმწიფო მდივნისათვის.

— გასაგებია.

— კითხულობთ მათ ჟურნალებს?

— არა, მაგრამ ვაპირებ.

— კეთილი, ოლონდ, ღვთის გულისათვის, ეცადეთ შეფისა და მისი ბიძაშვილის საყვედური არ დაიმსახურეთ

თუკი მე პატრულიდან პირად დაცვაში ვინმეს დავნიშნავ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

— ვის დასაცავად? შეფისა და მისი ბიძაშვილის?

— დიახ.

— მათ დაუკითხავად?

— დიახ.

— ასეთი ნაბიჯი დასაბუთებულად მიგაჩნიათ?

— დიახ.

— ფიქრობთ, თქვენი ხალხი ასეთ საჩოთირო დავალებას თავს გაართმევს?

— დიახ.

ამას ისეთი ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა, რომ იენსენმა უნებურად საათს დახედა. მას ესმოდა, როგორ სუნთქავდა უფროსი, ესმოდა, როგორ აკაკუნებდა მაგიდაზე ალბათ ავტოკალმისტრით.

— იენსენ!

— გისმენთ.

— ამ წუთიდან ძიება მთლად თქვენთვის მომინდვია. არ მსურს რამე ვიცოდე არც თქვენი მეთოდებისა და არც თქვენი მოქმედებების შესახებ.

— გასაგებია.

— ყველაფერზე თქვენ აგებთ პასუხს. მე კი თქვენი იმედი მაქვს.

— გასაგებია.

— საერთო მიზანი ნათელია?

— დიახ.

— წარმატებას გისურვებთ.

კომისარი იენსენი ტუალეტში გავიდა. ქაღალდის ჭიქით წყალი აიღო და თავის მაგიდასთან დაბრუნდა. გამოსწია მაგიდის უჯრა, იქიდან სასმელი სოდის პატარა პაკეტი ამოიღო, თვალით მოზომა დაახლოებით სამი კოვზი, ჭიქაში ჩაყარა და მოურია.

პოლიციაში ოცდახუთი წლის სამსახურის მანძილზე იენსენმა ერთხელ ნახა უფროსი, ხოლო გუშინდლამდე ერთხელაც არ ულაპარაკია მასთან. სამაგიეროდ გუშინდელს აქეთ უკვე ხუთჯერ მოასწრეს ტელეფონით საუბარი.

სოდიანი წყალი სულმოუთქმელად დალია, ჭიქა დაჭმუჭნა და ქაღალდების კალათაში ისროლა. შემდეგ ლაბორატორიაში დარეკა. ლაბორანტმა მშრალად, ოფიციალური ტონით უპასუხა:

— თითების ანაბეჭდები არ აღმოჩნდა.

— დარწმუნებული ხართ?

— რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი არ არის გარკვეული. ახლა სხვა მეთოდებს მივმართავთ.

— კონვერტზე რას იტყვით?

— სრულიად ჩვეულებრივი კონვერტია, არაფერი საინტერესო არ აღმოჩნდა.

— ქაღალდი?

— აი, ქაღალდი კი განსაკუთრებულია. გარდა ამისა, გვერდი ჩამოხეული აქვს.

— შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მიეაგენით რაიმე ძაფს?

— შეიძლება.

— კიდევ რა?

— არაფერი. განვაგრძობთ მუშაობას.

იენსენმა ყურმილი დადო. ფანჯარასთან მივიდა და უბნის დაცემენტებულ ეზოს გადახედა. სარდაფის შესასვლელთან რეზინის ჩექმებსა და წყალგაუმტარ კომბინეზონებში გამოწყობილი ორი პოლიციელი იდგა. ისინი დახვეულ შლანგს ხსნიდნენ—საკნების გამორეცხვას აპირებდნენ. იენსენმა ქამარი მოიბოჭა, უფრო თავისუფლად რომ ესუნთქა და კუჭში დაგროვილ შემაწუხებელ აირებს საყლაპავი მილიდან იოლად გამოეღწიათ.

აწკრიალდა ტელეფონი. ფოსტაში მივლინებული პოლიციელი რეკავდა.

— ვშიშობ, რომ მალე ვერ გავართმევ თავს ამ საქმეს.

— თქვენს განკარგულებაშია იმდენი დრო, რამდენიც საჭირო იქნება, მაგრამ არც ერთი წამით მეტი.

— შედეგები როდის მოგახსენოთ ხოლმე?

— ყოველ დილით, რვა საათსა და ნოლ-ნოლ წუთზე, წერილობით.

იენსენმა ყურმილი დადო, ქუდი დაიხურა და ოთახიდან გავიდა.

ინფორმაციის საშუალებათა სამინისტრო შიგ ქალაქის ცენტრში, მეფის სასახლესა და ქვეყნის გაერთიანებულ პარტიათა მთავარ კანცელარიას შორის მდებარეობდა. ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო მდივნის კაბინეტი მესამე სართულზე იყო და სასახლეს გაჰყურებდა.

— კონცერნი იდეალური ხელმძღვანელობის მაგალითია ჩვენთვის, — უთხრა მან. — კონცერნი — ეს თავისუფალი მეწარმოების სილამაზე და სიამაყეა.

— გასაგებია.

— ერთადერთი, რითაც შემიძლია დაგეხმაროთ — ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობას მოგაწვდით.

მან მაგიდიდან რომელიღაც საქაღალდე აიღო და დაბნეულად დაუწყო ფურცვლა.

— კონცერნი ას ორმოცდაოთხ სხვადასხვა გამოცემას უშვებს. გასულ წელს საერთო ტირაჟი ერთ კვირაში ოცდაერთ მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ოთხას ორმოცდაცამეტი ეგზემპლარი გახლდათ.

იენსენმა ბარათზე ჩაიწერა: „21 326 453"

— ეს ძალზე დიდი ციფრია და იმის დამადასტურებელია, რომ ჩვე-

ნი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მაღალი მკითხველობითი აქტივობით გამოირჩევა.

— კიდევ სადმე თუ გამოდის ერთკვირეული გამოცემები?

— ძალიან ცოტა. სულ რამდენიმე ათას ეგზემპლარს ბეჭდავენ ძალზე შეზღუდულ მკითხველთა წრისათვის.

იენსენმა თავი დაუქნია.

— მაგრამ, რა თქმა უნდა, გამომცემლობა კონცერნის მხოლოდ ერთ-ერთი ტოტია.

— კიდევ რა შედის მასში?

— ჩემი უწყების ხაზით აქ თავმოყრილია მთელი რიგი ტიპოგრაფიებისა, რომლებიც უმეტესად გაზეთებს ბეჭდავენ.

— მაინც რამდენი?

— რა, ტიპოგრაფიები? ოცდათექვსმეტი.

— რამდენ გაზეთს უშვებენ ისინი?

— დაახლოებით ასს... ერთი წუთით... — მდივანმა ქაღალდები გადაქექა. — დღეისათვის ას ორს. ვინაიდან საგაზეთო საქმე ძალზე მერყეევია. — ზოგი გაზეთი უქმდება და მის მაგივრად სხვა გამოჩნდება.

— რატომ?

— რათა უკეთ უპასუხებდეს ახალი დროების სულისკვეთებასა და მოთხოვნებს.

იენსენმა კვლავ თავი დაუქნია.

— გასული წლის საერთო ტირაჟი...

— მაინც რამდენია?

— მე მხოლოდ საერთო მონაცემები მაქვს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს გახლავთ ცხრა მილიონ ორას სამოცდახუთი ათას სამას თორმეტი ეგზემპლარი ყოველდღიურად: მაგრამ სწორედ ეს არის ის ციფრი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ. მართალია, გამოდის რამდენიმე გაზეთი, რომელიც კონცერნზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ამ გაზეთებს არა ჰყავთ ბევრი ხელისმომწერი და მათი ტირაჟიც უმნიშვნელოა. თუ ჩემ მიერ მოყვანილ ციფრს დაახლოებით ხუთი ათასით შევამცირებთ, მაშინ საძიებელიც ხელთ გექნებათ.

იენსენმა იმავე ბარათზე ჩაიწერა ციფრი: „9 260 000“ და შეეკითხა:

— ვინ განაგებს ხელისმოწერის საკითხს?

— გამომცემელთა დემოკრატიული გაერთიანება.

— იქ ყველა გაზეთია წარმოდგენილი?

— დიახ, იმათ გარდა, როძელთა ტირაჟი ხუთი ათას ეგზემპლარს არ აღემატება.

— რატომ?

— უფრო დაბალი ტირაჟი პრარენტაბელურია. კონცერნი დაუყოვნებლივ აუქმებს იმ გაზეთს, რომლის ტირაჟი აქ მოყვანილ ციფრზე დაბლა დაეცემა.

იენსენმა ბარათი ჯიბეში ჩაიდო.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონცერნი ქვეყანაში გამოსულ ყველა გაზეთს უწევს კონტროლს?

თუ გნებავთ, ასეა, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ეს ძალზე სხვადასხვაგვარი გამოცემებია და ყოველგვარ ქებას იმსახურებენ. უპირველეს ყოვლისა, ქებას იმსახურებს ჩვენი ყოველკვირეულები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ზედმეტი ხმაურისა და აურზაურის გარეშე დააკმაყოფილონ ჩვენი მკითხველების გემოვნება და მოთხოვნილება. უწინ პრესა ხშირად აღიზიანებდა და აფორიაქებდა მკითხველ წრეებს. ახლა სულ სხვა საქმეა. ამჟამად შინაარსი და გაფორმება ერთ მიზანს ემსახურება — მკითხველს მოუტანოს სარგებლობა და... და... — მდიევანმა საქაღალდეს დახედა და ფურცელი გადაშალა...—და სიხარული. ეს ჟურნალები ანგარიშს უწევენ ოჯახს, მათ სურთ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყვნენ და ამასთანავე არ წარმოშვან აგრესიულობა. უკმაყოფილება ანდა მღელვარება. თანაც აკმაყოფილებენ თანამედროვე ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას: თავი დააღწიოს სინამდვილეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთიანი საზოგადოების შექმნის საქმეს ემსახურებიან.

— გასაგებია.

— სანამ ერთიანი საზოგადოების პრობლემა გადაწყდებოდა, გაზეთების გამომცემელნი დაქსაქსული იყვნენ. პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები თავიანთ გაზეთებს სცემდნენ. მაგრამ იმისდა მიხედვით, რა ეკონომიურ სიძნელეებთან უხდებოდათ შეჯახება ამ გაზეთებს, კონცერნი ან აუქმებდა, ანდა იერთებდა მათ და ბევრმა სწორედ იმის წყალობით შეძლო გადარჩენა...

— მაინც რის წყალობით?

— სწორედ იმ პრინციპების წყალობით, წელან რომ ჩამოგითვალეთ. მათ აქვთ უნარი თავიანთ მკითხველებს სულიერი სიმშვიდე და საკუთარი თავისადმი რწმენა მიანიჭონ. ამავე დროს უნარი აქვთ უბრალო

და ყველასათვის ხელმისაწვდომი იყვნენ და ჩასწვდნენ თანამედროვე ადამიანის გემოვნებასა და მის გონებრივ მოთხოვნილებებს.

იენსენმა თავი დაუქნია.

— სულაც არ მეჩვენება გაზვიადებულად იმის მტკიცება, რომ ერთიანმა პრესამ სხვა რომელიმე საშუალებებზე მეტად შეუწყო ხელი საზოგადოების კონსოლიდაციას, იმ უფსკრულის მოსპობას, რომელიც ერთ პოლიტიკურ პარტიას მეორისაგან, მონარქიას რესპუბლიკისაგან მიჯნავდა და ეგრეთწოდებულ მმართველ კლასს...

ის გაჩუმდა, ფანჯარაში გაიხედა და განაგრძო:

— და სულაც არ მეჩვენება გაზვიადებულად იმის მტკიცება, რომ უმთავრესად ეს კონცერნის ხელმძღვანელების დამსახურებაა. იშვიათი... განსაკუთრებული ხალხია, მაღალი... მაღალი მორალური თვისებების ადამიანები არიან. ერთი ბეწო პატივმოყვარეობაც არა სჩვევიათ. არც ძალაუფლების და არც განდიდების სურვილი არ ამოძრავებთ... არც...

— სიმდიდრის?

მდივანმა სწრაფად და უნდობლად გადახედა მომსველელთა საეარძელში მჯდომ კაცს.

— მართალი ბრძანებაა.

— კიდევ რა სფეროს უწევს კონტროლს კონცერნი?

— წარმოდგენა არა მაქვს, — დაბნეულად მიუგო მდივანმა, — ხელმოწერას და შინ მიტანას, ტარის წარმოებას, ნაოსნობას, ავეჯის მრეწველობას, თავისთავად ცხადია, ქაღალდის მრეწველობას...

მან მზერა იენსენს მიაპყრო:

— არა მგონია, ამომწურავი ცნობების მოცემა შემეძლოს. სიტყვამ მოიტანა, და რისთვის დაგჭირდათ ყოველივე ეს?

— ნაბრძანები მაქვს, — უთხრა კომისარმა იენსენმა.

— საუბრის თემა შევცვალოთ: როგორ იმოქმედა სტატისტიკაზე პოლიციის უფლებების გაფართოებამ?

— თქვენ თვითმკვლელობების სტატისტიკა გაქვთ მხედველობაში?

— დიახ.

— დადებითად.

— ძალიან სასიხარულოა ამის მოსმენა.

კომისარმა იენსენმა კიდევ ოთხი შეკითხვა მისცა.

— კონცერნის მოღვაწეობა ხომ არ ეწინააღმდეგება ანტიტრესტულ კანონს?

— არ ვიცი, მე იურისტი არა ვარ.

— როგორია გამომცემლობის კაპიტალის ბრუნვა?

— ეს საგადასახადო სამმართველოს საქმეა.

— რამდენს შეადგენს მეპატრონეთა პირადი ქონება?

— აი, ამის დათვლა კი ძნელია.

— თქვენ თვითონ კონცერნში გიმსახურიათ?

— მიმსახურია.

უკან დაბრუნებისას იენსენი კაფე-ავტომატში შევიდა, ერთი ფინჯანი ჩაი დალია და ჭვავის ორი პატარა ორცხობილა მიაყოლა.

ჭამდა და იმას ფიქრობდა, რომ თვითმკვლელობამ გაცილებით აკლო მას შემდეგ, რაც ლოთობისათვის სასჯელი გააძლიერეს, რადგან გამოსაფხიზლებელში სტატისტიკურ აღრიცხვას არ აწარმოებდნენ, ხოლო პოლიციის საკნებში მოხვდარი თვითმკვლელობები უკანონო სიკვდილის რუბრიკაში შეჰქონდათ. თუმცა მეთვალყურეობის საქმე იქ კარგად იყო დაყენებული, თვითმკვლელობა არც ისე იშვიათად ხდებოდა.

როდესაც მეთექვსმეტე უბანში მივიდა, ორი საათი სრულდებოდა და ლოთები ჯგუფ-ჯგუფად მოჰყავდათ. დილიდან არც ისეთი დიდი მოზღვავებაა, რადგან პოლიციელები ერიდებიან მათ შუადღემდე დაკავებას. ეს წმინდად ჰიგიენური მოსაზრებებითაა ნაკარნახევი — აუცილებელია !აკსების წინასწარი დეზინფიცირება.

ექიმი სამორიგეო ოთახში იდგა, ერთი ხელით ბარიერს იდაყვით დაყრდნობოდა და თამბაქოს ეწეოდა. სისხლის ლაქებით დასვრილი, დაჭმუჭნილი ხალათი ეცვა. იენსენმა გადახედა. მის მზერაში აშკარა გაკიცხვა გამოსჭვიოდა. მაგრამ ექიმმა არასწორად გაიგო ეს გამოხედვა და უთხრა:

— საშინელი არაფერი მოხდარა. ისე, ერთი ბედოვლათი... უკვე გარდაიცვალა. დავაგვიანე.

იენსენმა თავი დაუქნია.

ექიმს ქუთუთოები შესიებოდა და დაწითლებოდა, წამწამებზე ჩირქი შეხმობოდა.

ჩაფიქრებულმა შეხედა იენსენს და ჰკითხა:

— მართალია, რომ ამბობენ, თითქოს დღემდე არც ერთი გამოძიება არ დაგრჩენიათ გაუხსნელი?

— დიახ, — უპასუხა იენსენმა. — მართალია.

მის კაბინეტში მაგიდაზე ეწყო ჟურნალები, რომელთა მოტანაც მან ბრძანა. ეს ორმოცდაოთხი ჟურნალი ოთხ დასტად იდო. ყოველი დასტა ოცდათექვსმეტი ჟურნალისაგან შედგებოდა.

კომისარმა იენსენმა სოდა დალია და ქამარი კიდევ ერთ ნახვრეტზე მოიბოშა. მერე დაჯდა და კითხვას შეუდგა.

ჟურნალები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ფორმატით, ილუსტრაციებით და გვერდების რაოდენობით. ზოგი პრიალა ქაღალდზე იყო დაბეჭდილი, ზოგი კი — უბრალოზე. შედარებისას გამოირკვა, რომ სწორედ ეს განაპირობებდა ფასების სხვაობას.

ყველას ფერადი გარეკანი ჰქონდა. ზედ გამოსახული იყო კოვბოები, სუპერმენები, მეფის ოჯახის წევრები, მომღერლები, ტელევარსკვლავები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, ბავშვები და ცხოველები. ზოგიერთ გარეკანზე ბავშვებიც იყვნენ გამოსახული და ცხოველებიც. მაგალითად: გოგონები და კნუტები, ქერათმიანი ბიჭუნები ლეკვებთან ერთად, ბიჭუნები უზარმაზარი ქოფაკებითურთ, ყმაწვილქალები კატებთან ერთად. გარეკანზე გამოსახული ყველა ადამიანი ლამაზი ჩანდა. ყველა მათგანს ლურჯი თვალები და სანდომიანი სახე ჰქონდა — ყველას, ბავშვებისა და შინაური ცხოველების ჩათვლით. როდესაც იენსენმა ლუპა აიღო და უფრო დაკვირვებით დახედა ზოგიერთ ილუსტრაციას, შენიშნა, რომ ყველა სახეს უსიცოცხლობის დაღი ესვა, თითქოს ვიღაცას ხალები, ფორები და ლურჯი ძარღვები ამოუკვეთია ამ სახეებიდანო.

კომისარი იენსენი ჟურნალების კითხვას შეუდგა. კითხულობდა ჩვეულებრივ, როგორც პატაკებს, მაგრამ ყურადღებით, და თუ წინასწარ არ იყო დარწმუნებული, რომ ტექსტი მისთვის ნაცნობი იყო, სიტყვას არ ტოვებდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შენიშნა, რომ ნაცნობი ადგილები სულ უფრო ხშირად ხვდებოდა.

თორმეტის ნახევრისათვის დამუშავებული ჰქონდა სამოცდათორმეტი ჟურნალი — ზუსტად ორმოცდაათი პროცენტი. ის დაბლა ჩავიდა. რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა თანამშრომელს, ტელეფონთან რომ მორიგეობდა და ბუფეტში ერთი ფინჯანი ჩაი დალია. თუმცა სარდაფს ფოლადის კარი ჰქონდა და აგურით კაპიტალურად იყო გადახურული, ქვემოდან მაინც ისმოდა ლანძღვა-გინება და საცოდავი ტირილი. თავის კაბინეტისაკენ მიმავალმა იენსენმა თვალი მოჰკრა, რომ

მწვანე ტილოს კიტელში გამოწყობილი პოლიციელი ერთ-ერთ იმ ჟურნალს კითხულობდა, რომელიც თვითონ ეს-ესაა შეისწავლა. ხოლო ბარიერს იქით თაროზე კიდევ სამი ჟურნალი ელოდა თავის რიგს.

ჟურნალების მეორე ნახევრის შესასწავლად იენსენს სამჯერ ნაკლები დრო დასჭირდა. სამს ოცი წუთი რომ აკლდა, მან ბოლო პრიალა გარეკანი გადაფურცლა და ლუპით ბოლო მომღიმარ სახეს დააცქერდა:

თითისწვერები ლოყებზე მოისვა და იგრძნო რა დონდლო და მომჭეხარი კანი ჰქონდა. ძაინცდამაინც არც ეძინებოდა. ხოლო ბუფეტში დალეული ერთი ფინჯანი ჩაი ჯერ კიდევ აწუხებდა და ჭამა არ უნდოდა.

იენსენი წამით მოიხარა მხრებში, მარცხენა ხელი საავარძლის სახელურზე დადო და თავით ხელისგულზე დაეყრდნო. ასეთ პოზაში კიდევ ცოტა ხანს იჯდა და ჟურნალებს დაჰყურებდა.

საინტერესო ვერაფერი ამოიკითხა, სამაგიეროდ ვერც ისეთი რამ წაიკითხა, რაც არასასიამოვნოდ, საგანგაშოდ და აუტანლად მოეჩვენებოდა. ისეთიც არაფერი იყო, რაც გაახარებდა, გულს ატკენდა ანდა გააოცებდა. შეიტყო ზოგიერთი ცნობა, უმეტესად ავტომანქანებსა და წარჩინებული პიროვნებების შესახებ. მაგრამ ვერც ერთი ცნობა ზემოქმედებას ვერ მოახდენდა ვინმეს საქციელსა ანდა აზრთა მსვლელობაზე. აქა-იქ კრიტიკის ელემენტებიც შეხვდა, მაგრამ ისინი მუდამ მიმართული იყო ისტორიაში ცნობილი ფსიქოპატების წინააღმდეგ, ანდა — იშვიათ შემთხვევებში — რომელიღაც შორეულ ქვეყანაში რაიმე კერძო გარემოებათა წინააღმდეგ, და ისიც თავშეკავებული გამოთქმებით.

განსასჯელად იყო გამოტანილი რიგი მორალური პრობლემებისა, რომლებიც უმეტესად ტელეგადაცემებიდან იყო ამოკრებილი. მაგალითად, ვიღაცამ სადღაც შეიგინა, ხოლო ვიღაც სხვა კი, ვთქვათ, გაუპარსავი ან დაუვარცხნელი მოვიდა. ამ პრობლემებს ჟურნალთა უმეტესობაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა და მათი განხილვისას სრული თანხმობა სუფევდა. საიდანაც ცხადად ჩანდა, რომ ყველა ერთნაირად მართალი იყო. ზოგჯერ ასეთი დასკვნა თავისთავად გამომდინარეობდა.

ჟურნალში წარმოდგენილი მასალის ნაწილი ფანტასტიკა გახლდათ და როგორც ფანტასტიკას შეეფერება, თითქოსდა ნატურიდან გადმოღებული ფერადი ილუსტრაციებით იყო გაფორმებული. ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობილი სტატიების მსგავსად, ფანტასტიკაში მოუთხრობდნენ ადამიანებზე, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს პირად

ცხოვრებაში ანდა ეკონომიკის სფეროში. მასალას სხვადასხვაგვარად აწვდიდნენ მკითხველს, მაგრამ იენსენისათვის რომ გეკითხათ, პრიალა ქაღალდზე დაბეჭდილ ჟურნალებში სულაც არ იყო უფრო რთული გასაგები, ვიდრე მასობრივ გამოშვებებში.

მან ისიც შეამჩნია, რომ ჟურნალები საზოგადოების სხვადასხვა კლასებისთვის იყო გამიზნული, მაგრამ მათი შინაარსი უცვლელი რჩებოდა. ისინი აქებდნენ ერთსა და იმავე ხალხს, ყვებოდნენ იგივე ზღაპრებს და თუმცა სტილი ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ერთმანეთის მიყოლებით კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ერთმა ავტორმა დაწერაო. მაგრამ ეს, რასაკვირველია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული აზრი გახლდათ.

ასევე უსაფუძვლო ჩანდა აზრი, რომ ამ ჟურნალებში დაბეჭდილმა სტატიებმა შეიძლება ვინმე შეურაცხყოს ან აღაშფოთოს. მართალია, ავტორები ხშირად „ჰკენწლავდნენ პიროვნებებს“, მაგრამ ეს პიროვნებები ყოველთვის მაღალი მორალური პრინციპებითა და სხვა სათნო თვისებებით დაჯილდოებული ცნობილი ადამიანები იყვნენ. შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ ზოგიერთი პატივსაცემი პიროვნება სულაც არ იყო მოხსენიებული, ანდა შედარებით იშვიათად იხსენიებდნენ, მაგრამ ეს ბნელი საქმე გახლდათ და ამავე დროს ნაკლებ სარწმუნოც.

კომისარმა იენსენმა გულის ჯიბიდან პატარა თეთრი ბარათი ამოიღო და მკაფიო წვრილი ხელით დაწერა: „144 ჟურნალი. არავითარი სამხილი“.

შინ მიმავალმა იენსენმა უცებ შეიგრძნო, რომ ძალიან შიოდა. ავტომატთან მანქანა შეაჩერა, მონეტა ჩაუშვა, ცელოფანში გახვეული ორი ბუტერბროდი მიიღო და საჭესთან მჯდომმა შეჭამა.

სანამ შინ მივიდოდა, მარჯვენა ფერდქვეშ ისევ ძლიერი ტკივილი დაეწყო.

სიბნელეში გაიხადა, ბოთლი და ჭიქა მოიტანა, საბანი გადასწია და საწოლზე ჩამოჯდა.

8

— პატაკი ყოველდღე ცხრა საათამდე ჩემთან უნდა იყოს, წერილობით. ყველაფერი მომახსენეთ, რასაც კი მნიშვნელოვნად ჩათვლით.

პატრულის უფროსმა თავი დახარა და უსიტყვოდ გავიდა.

ოთხშაბათი იყო, ათის ორი წუთი.

კომისარი იენსენი ფანჯარასთან მივიდა და დაინახა. წყალგაუმტარ კომბინეზონებში ჩაცმული პოლიციელები როგორ ხსნიდნენ შლანგების ხლართს და საკნებში სადეზინფექციო ხსნარს ასხამდნენ.

შემდეგ იენსენი ისევ მიუჯდა მაგიდას და ერთხელ კიდევ გადახედა პატაკებს. მათგან ორი ძალზე მოკლე იყო.

ის, ვინც ფოსტაში იყო მივლინებული, წერდა: „წერილი გამოგზავნილია ქალაქის დასავლეთი რაიონიდან კვირას, არა უადრეს ოცდაერთი საათისა და არა უგვიანეს ორშაბათის დილის ათი საათისა.

ლაბორანტისაგან: „ჩატარდა ქაღალდის ანალიზი. ქაღალდი თეთრია, შენარევების გარეშე, მაღალი ხარისხის. დამზადების ადგილი ჯერ-ჯერობით არაა დადგენილი. დაწებების ხერხი: ჩვეულებრივი საკანტორო წებო, აცეტონით გახსნილი ფოტოფირი. წარმოების დადგენა შეუძლებელია“.

ფსიქოლოგისაგან: „გამორიცხული არაა, რომ გამოიგზავნს ფსიქიკის აშკარად გამოხატული სიბლანტე ანდა დათრგუნული ფსიქიკა აქვს. შესაძლოა, აკვიატებული წარმოდგენებიც ჰქონდეს. სავსებით გამორიცხულია არამყარი ფსიქიკის შესაძლებლობა. ყოველ შემთხვევაში. შეიძლება დადგინდეს, რომ ბრალდებული პუნქტუალური კაცია. თანაც მისი პუნქტუალობა პედანტიზმის ან ზედმიწევნილობის ზღვარზეა. გარდა ამისა. ბრალდებულს აღენიშნება ზეპირი ან ბეჭდური გამოსვლის, უფრო კი მეორის, ჩვევა. და ეს ჩვევა საკმაოდ დიდი ხნის ჩამოყალიბებულია. თვითონ წერილის შედგენა. როგორც ტექნიკურად, ასევე ტექსტობრივად დიდ გულდასმით მომზადებაზე მეტყველებს. მაგალითად, შრიფტების შერჩევა (ყველა ასო ერთი სიდიდისაა) და პწკარების თითქმის აბსოლუტური სისწორე. როგორც ჩვენ უკვე არაერთხელ დავრწმუნდით, აზროვნების შებოჭილობასა და ფსიქიკის სიბლანტეზე მიუთითებს. ლექსიკის ზოგიერთი თავისებურება იმაზე მეტყველებს, რომ არც ისე ახალგაზრდა და ცოტა არ იყოს, ახირებული კაცია. არც ერთ ამ დებულებას არ გააჩნია საკმაოდ საფუძვლიანი მტკიცებანი, რომ უდავოდ ჩათვალოთ, მაგრამ, სამაგიეროდ, თითოეული მათგანი შეიძლება შემდგომ ძიებაში წაგადგეთ“.

ეს პატაკი აჩქარებით, დაუდევრად, მრავალი შეცდომებითა და შესწორებებით იყო ჩამობეჭდილი მანქანაზე.

კომისარმა იენსენმა სამივე პატაკი მწვანე საქაღალდეში ჩადო და

საქალალდე მარცხნივ გადადო. შემდეგ წამოდგა, ქუდი დაიხურა, კიტელი ჩაიცვა და ოთახიდან გავიდა.

ამ ხნის მანძილზე ამინდი არ შეცვლილა. კვლავ თვალს ეჩინდა კაშკაშა მზე, მაგრამ ჯერჯერობით არ ცხელოდა. ცა ლურჯად ციაგებდა და მიუხედავად ბენზინის ანაორთქლისა, ჰაერი სუფთა და გრილი იყო. გეგონებოდათ, ტროტუარებზე ფეხით მოსიარულენი ცოტა ხნით მოაცილდნენ თავიანთ მანქანებსო. როგორც ყოველთვის, ისინი კარგად იყვნენ ჩაცმულნი და როგორც ყოველთვის, ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. თითქოს ისევ მანქანაში შეძრომის სურვილი ჰქონდეთო, ნერვიულად და აჩქარებით მიაბიჯებდნენ.

მანქანები იყო მათი საიმედო თავშესაფარი და მხოლოდ შიგ შეეძლოთ უშიშრად ეგრძნოთ თავი. ავტომობილები ფერით, ზომით, ფორმით, სიმძლავრით მაინც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და თავიანთ პატრონებსაც გარკვეულ პირად თვისებებს ანიჭებდნენ. უფრო მეტი, თავისებურ სოლიდარობის გრძნობასაც ეღვიძებდნენ: ერთნაირი მანქანების მფლობელთ ისეთი გრძნობა ეუფლებოდათ, თითქოს ყველანი რომელიღაც გარკვეულ სოციალურ თანასწორუფლებიანთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ და ეს გრძნობა უფრო რეალური ეჩვენებოდათ, ვიდრე ერთიანი საზოგადოება.

ყველა ეს აზრი იენსენმა ამოიკითხა საზოგადოებრივი პრობლემების სამინისტროს ცირკულიარში. ცირკულიარი შეადგინეს ცნობილმა ფსიქოლოგებმა და პოლიციის ხელმძღვანელ ჩინებს ღაუგზავნეს წარწერით: „სრულიად საიდუმლოდ“.

მოედნის სამხრეთი მხარის გავლისას, მუშის მონუმენტის წინ, უკანა ხედვის სარკეში ზუსტად თავისი მანქანის მსგავსი მანქანა დაინახა. შიგ, ალბათ, მეზობელი, მეთხუთმეტე ან მეჩვიდმეტე უბნის უფროსი იჯდა.

გზაში იენსენი დაბნეულად ცალი ყურით უსმენდა თავის რადიომიმღების წრიპინს — დროის თანაბარ შუალედებში რადიოცენტრიდან პიკეტებისა და საპატრულო მანქანებისათვის გადასცემდნენ მოკლე დაშიფრულ ბრძანებებს. იენსენმა იცოდა, რომ რეპორტიორებს თავისუფლად შეეძლოთ ამ რადიოკავშირის მოსმენა. მაგრამ საგზაო შემთხვევების გარდა რაიმე საინტერესო ან სენსაციური თითქმის არაფერი მომხდარა.

იენსენმა მანქანა სადგომზე მიიყვანა და შეფების შავ მანქანებსა და დირექტორის თეთრ მანქანას შორის დააყენა.

მასთან მაშინვე ვიირბინა წითელქუდიანმა და თეთრ ფერჩაში გამოწყობილმა მცველმა. იენსენმა თავისი ნიშანი აჩვენა და შენობაში შეეიდა.

ჩქაროსნულმა ლიფტმა ავტომატურად აიყვანა მეთვრამეტე სართულზე, მაგრამ, სანამ მისი ბრწყინვალების წინაშე წარდგომის უფლებას მისცემდნენ, სულ ცოტა, ოცი წუთი მაინც გავიდა. დროის მოსაკლავად იენსენი ათვალიერებდა სამგზავრო გემების მოდელებს, რომელთაგან ერთი პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად მის სახელს ატარებდა, მეორე კი — მისი უდიდებულესობისას.

ჭწვანეკაბიანმა მდივანმა თვალები გააშტერა და კაბინეტში შეიპატიჟა. ოთახი წვეთი წყალივით ჰგავდა იმას, გუშინწინ რომ ნახა, მხოლოდ ხედი იყო ფანჯრიდან სხვაგვარი და ვიტრინებში გამოდებული თასებიც ოდნავ პატარა მოჩანდა.

პირველმა დირექტორმა წამით შეწყვიტა ფრჩხილების პრიალი და იენსენს შესთავაზა, დაბრძანდითო.

— როგორ არის საქმე, უკვე დამთავრდა?

— სამწუხაროდ, არა.

— თუკი დახმარება, ან უფრო რთული ინფორმაცია გჭირდებათ, დავალებული მაქვს, ყოველნაირად შეგიწყოთ ხელი. მაშ ასე. მზად ვარ გემსახუროთ.

იენსენმა თავი დაუქნია.

— თუმცა უნდა გაგაფრთხილოთ, რომ წამით არა მაქვს მოცლა.

იენსენმა თასებს შეხედა და შეეკითხა:

— სპორტით ხართ გატაცებული?

— ბუნების მოყვარულთა საზოგადოების წევრი ვარ. დღემდე აქტიურ მონაწილეობას ვიღებ. იალქანჯომარდობა, თევზის ჭერა, მშვილდოსნობა, გოლფი... ცხადია, ვერ დავიჩემებ...

დირექტორმა მორცხვად გაიღიმა და გაურკვეველი ეესტით კარზე მიუთითა. რამდენიმე წამის შემდეგ პირის კუთხეები ისევ ჩამოეშვა. თავის საათს, დიდ, ოქროს ფართო სამაჯურიან ელეგანტურ საათს დახედა.

— მაშ ასე, რით შემიძლია გემსახუროთ?

კომისარ იენსენს გონებაში უკვე კარგა ხანია მომზადებული ჰქონდა ის კითხვები, რომლის მიცემასაც აპირებდა.

— მოხდა თუ არა თქვენთან რაიმე ისეთი, რაც ნათელს მოჰფენდა გამოთქმას „თქვენ მიერ ჩადენილი მკვლელობა?“

— რასაკვირველია, არა.

— მაშასადამე, ამ გამოთქმას ვერ უკავშირებთ რაიმე კონკრეტულ შემთხვევას?

— არა, აკი გითხარით, რომ არა. იდიოტის მონაჩმახია და იდიოტის მიერაა დაწერილი — აი, ერთადერთი გონიერი ახსნა.

— და სიკვდილის არც ერთი შემთხვევა არ გახსენდებათ?

— ყოველ შემთხვევაში, ბოლო ხანებში — არც ერთი. თუმცა, ამ საკითხის გამო სჯობს მიმართოთ დირექტორს, რომელიც კადრებს განაგებს. მე ხომ, არსებითად, ჟურნალისტი ვარ, პასუხს ვაგებ ჟურნალების შინაარსსა და გაფორმებაზე. თანაც...

— თანაც რა?

— თანაც თქვენ არასწორი გზით მიდიხართ. ნუთუ ვერა ხედავთ, რა აბსურდულია აზრთა ასეთი მსვლელობა?

— როგორი?

დირექტორმა დაბნეულად შეხედა.

— და კიდევ ერთი შეკითხვა, — უთხრა იენსენმა. — თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ წერილის ავტორს უნდოდა გამომცემლობის ხელმძღვანელებისათვის ანდა ერთ-ერთი მათგანისათვის უბრალოდ უსიამოვნება მიეყენებინა, მაშინ რომელ წრეში უნდა ვეძებოთ დამნაშავე?

— აი, ეს კი პოლიციამ გადაწყვიტოს. მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი: გიჟების წრეში.

— თუ არსებობენ ცალკეული ინდივიდუმები, ან ისეთი ჯგუფები, რომელთაც გულზე არ ეხატებათ გამომცემლობა, ანდა მისი ხელმძღვანელობა?

— თქვენ იცნობთ ჩვენს ჟურნალებს?

— წამიკითხავს.

— მაშინ თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ მთელი ჩვენი პოლიტიკა შემდეგს გულისხმობს: არ გამოვიწვიოთ აგრესიულობა, უკმაყოფილება და უთანხმოებანი. ჩვენ ვცემთ ჯანსაღ და გასართობ ჟურნალებს. მათ სულაც არ შესწევთ უნარი მკითხველს ცხოვრება გაურთულონ და გრძნობები აუფორიაქონ. — დირექტორმა ცოტა შეისვენა და შემდეგ შეაჯამა — ჩვენს გამომცემლობას არა ჰყავს მტრები, არც მის ხელმძღვანელებს. ამის გაფიქრებაც კი სისულელედ მიმაჩნია.

კომისარი იენსენი ისევ ისე წელში გამართული, გაუნძრევლად იჯ-

და მომსვლელთა სავარძელში. როგორც ჩვეულებრივ, არაფრისმეტყველი სახე ჰქონდა.

გამორიცხული არ არის, რომ შენობაში ჩხრეკის ჩატარება მომიხდება.

— არ დაგავიწყდეთ, რომ აუცილებელია სასტიკად დავიცვათ საიდუმლოება, — იმწამსვე მიუგო დირექტორმა, — მხოლოდ შეფმა, გამომცემელმა და მე ვიცით, რა მოღვაწეობას ეწევით აქ. ჩვენ, რასაკვირველია შეძლებისდაგვარად, შევეცდებით დახმარება გაგიწიოთ, მაგრამ ვიმეორებ: არავინ არ უნდა იცოდეს, რომ პოლიცია ჩვენი გამომცემლობითაა დაინტერესებული და უპირველეს ყოვლისა, ეს არ უნდა იცოდნენ ჩვენმა თანამშრომლებმა.

— ძიება წარმოუდგენელია თავისუფალი მიმოსვლის გარეშე.

დირექტორი ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

— შემიძლია მოგცეთ უნივერსალური გასაღები და გამოგიწეროთ მოწმობა, რომელიც ნებას დაგრთავთ დაათვალიეროთ ყველა განყოფილება.

— კარგით.

— ეს... ეს, ასე ვთქვათ, გაამართლებს თქვენს აქ ყოფნაა.

დირექტორმა მაგიდის კიდეზე თითებით დაიწყო კაკუნი. შემდეგ საიდუმლოდ გაუღიმა და შეთქმულივით უთხრა:

— მგონი, ასე აჯობებს, მე თვითონ გამოვწერ თქვენს მოწმობას.— და თითქოს სხვათა შორის. თითი დააჭირა ტელეფონის ახლოს მდებარე ღილაკს. მაშინვე გადმოიწია რომელიღაც ფარი და მაგიდის გამოსაწევ ფიცარზე საბეჭდმა მანქანამ ზღართანი მოადინა. მომრგვალებული ფორმის საბეჭდი მანქანა ქრომითა და ლაქით ბზინავდა და გეგონებოდათ ჯერ არავის უხმარიაო.

დირექტორმა რომელიღაც უჯრა გამოსწია და იქედან ლურჯი ბარათი ამოიღო. ტაბურეტზე გადაჯდა და მსუბუქი მოძრაობით მანქანაში ჩადო. ერთხანს ინტერვალების ბერკეტს უკირკიტა, სალოკი თითით ცხვირი მოიფხანა, მერე თითი კლავიატურაზე გადაატარა, სათვალე შუბლზე აიწია და დახედა, რა გამოუვიდა. შემდეგ მანქანიდან ბარათი გამოგლიჯა, დაჭმუჭნა, ქაღალდების კალათში ჩააგდო და უჯრიდან ახალი ამოიღო.

ამჯერად ნელა და გულმოდგინედ ბეჭდავდა. კლავიშზე ყოველი დარტყმის შემდეგ სათვალეს ზემოთ სწევდა და უყურებდა, კარგად გამომდის თუ არაო.

როდესაც მეორე ბლანკიც დაჭმუჭნა და კალათაში მოისროლა, ისე სანდომიანად აღარ იღიმებოდა.

ამოიღო კიდევ ერთი ბლანკი. მერე — ერთბაშად ხუთი.

კომისარი იენსენი გამართული იჯდა, არ ინძრეოდა, ერთი შეხედვით იფიქრებდით, გვერდზე თასებსა და პატარა ალამს უყურებსო.

მეშვიდე ბლანკის გაფუჭების შემდეგ დირექტორი სულაც არ იღიმებოდა. გაიხსნა საყელო, შეიხსნა ჰალსტუხი, გულის ჯიბიდან ვერცხლის მონოგრამიანი შავი ავტოკალამი ამოიღო და ფირმის თეთრ საფოსტო ფურცელზე შავად დაიწყო ტექსტის შედგენა.

კომისარი იენსენი ჩუმად იჯდა და ძველებურად გვერდზე იყურებოდა. დირექტორს ოფლის წვეთი ცხვირზე ჩამოუგორდა და ქაღალდზე დაეცა.

დირექტორი შეკრთა, თითქოს შეაჯრჯოლაო, და წერა განაგრძო. შემდეგ ქაღალდი დაჭმუჭნა და მაგიდის ქვეშ ისროლა. ქაღალდი კალათაში არ ჩავარდა და ზედ იენსენის ფეხებთან დაეცა.

დირექტორი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და ცოტა ხანს სტუმარს ზურგი შეაქცია.

კომისარმა იენსენმა სწრაფად დახედა დაჭმუჭნილ შავად ნაწერ ქაღალდს, აიღო და ჯიბეში ჩაიდო.

დირექტორმა ფანჯარა მიხურა და ღიმილით მიუჯდა მაგიდას. საყელო შეიკრა, ჰალსტუხი გაისწორა, ღილაკზე თითი დააჭირა და საბეჭდი მანქანა შეინახა. შემდეგ რომელიღაც სხვა ღილაკს დააჭირა თითი და მიკროფონში წარმოთქვა:

— ბატონ იენსენს გამოუწერეთ საშვი, რომელიც უფლებას მისცემს თავისუფლად შემოვიდეს გამომცემლობაში. ის სამშენებლო ზედამხედველობიდანაა. საშვს ვადა ექნება კვირის ჩათვლით. საშვთან ერთად უნივერსალური გასაღებიც მიეცით.

ხმა მკაცრად, ცივად და მბრძანებლურად ჟღერდა, მაგრამ სახეზე უცვლელი ღიმილი დასთამაშებდა.

ზუსტად ცხრამეტი წამის შემდეგ მწვანეკაბიანი ქალი შემოვიდა და გასაღები და საშვი მოიტანა. დირექტორმა წარბები უკმაყოფილოდ შეჭყარა. საშვს კრიტიკულად გადააავლო თვალი და მხრების აჩეჩვით უთხრა:

— კარგი, ასეც არა უშავს რა.

მდივანი ქალის მზერაში რაღაცამ გაიელვა.

— აკი გითხარით, ასეც არა უშავს-მეთქი, — მკვახედ გაიმეორა დირექტორმა. — აღარ გაკავებთ.

მან გაკრულად მოაწერა ხელი და გასაღები და საშვი იენსენს გაუწოდა.

— გასაღები ერგება ყველა კარს, რომელიც კი თქვენ დაგინტერესებთ. რასაკვირველია, შეფის კაბინეტსა და ამ კარს არ გააღებს.

— გმადლობთ.

— კიდევ გაქვთ შეკითხვები? წინააღმდეგ შემთხვევაში...

დირექტორმა მშმუნვარედ დახედა თავის საათს.

— კიდევ ერთი უმნიშვნელო დეტალი, — უთხრა იენსენმა. — რას წარმოადგენს განსაკუთრებული განყოფილება?

— ეს გახლავთ საპროექტო ჯგუფი, ახალი ჟურნალების პროექტებს ქმნის.

იენსენმა უსიტყვოდ დაუკრა თავი, გასაღები და ლურჯი ბარათი სამკერდე ჯიბეში ჩაიდო და კაბინეტიდან გავიდა.

ძრავის ამუშავებამდე იენსენმა დაჭმუჭნილი ფურცელი ამოიღო და ზედ თითის წვერები გაუსვა. ქაღალდი ძალიან მაღალი ხარისხისა იყო და მისი ფორმატიც უჩვეულო ჩანდა.

დირექტორს ბავშვივით დაუდევარი და მოუხეშავი, მაგრამ საკვლევით გარკვეული ხელი ჰქონდა.

იენსენმა წაიკითხა:

„მშენებლობის ზედამხედველობის ინსპექტორს ამით...

ბატონი ნ. იენსენი მშენებლობის ზედამხედველობის წარმომადგენელია და ყველა განყოფილებაში თავისუფალი შესვლის უფლებით სარგებლობს, გარდა... ნ. იენსენი მშენებლობის ზედამხედველობის თანამშრომელია და შეუძლია ინახულოს...

ამის წარმომდგენელ ბატონ იენსენს ნება ეძლევა შევიდეს... მშენებლობის ზედამხედველობის წარმომადგენელს, ბატონ იენსენს, მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლებები... კომისარი, კომისარი, კომისარი... ბატონი იენსენი... ოჰ, ჯანიც გაგვარდეს...“

იენსენმა ფურცელი დაკეცა და სამალავში შეტენა, სადაც რევოლვერი ედო. გვერდითა მინისაკენ დაიხარა და სახლს შეხედა. მშვიდად და ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე უმზერდა.

კვლავ აუბუყბუყდა კუჭი, იენსენს მოშივდა, მაგრამ იცოდა, სულ ცოტაც რომ შეეჭამა, მაშინვე ტკივილი დაეწყებოდა.

იენსენმა მანქანის გასაღები გადაატრიალა და დრო დანიშნა.
პირველის ნახევარია — უკვე ოთხშაბათია.

0

— არა, — უთხრა ლაბორანტმა. — სხვა ქაღალდია. ფორმატი მთლად ის არ არის, მაგრამ...

— რა „მაგრამ"?

— ხარისხში დიდი განსხვავება არაა. ერთნაირი სტრუქტურაა. ძალიან, ძალიან ბევრია საერთო.

— რა?

— სრულებით შესაძლებელია, ორივე ფურცელი ერთ ფაბრიკაში იყოს დამზადებული.

— ჰოო.

— ახლა ანალიზს ვაკეთებთ. ყოველ შემთხვევაში, ეს გამორიცხული არაა. — ლაბორანტი თითქოს ჩაფიქრდა და წამის შემდეგ დაუმატა: — მითხარით, მეორე გვერდის ჩანაწერებს რამე კავშირი აქვს საქმესთან?

— რატომ მეკითხებით?

— ფსიქიატრიული სამკურნალოდან ჩვენთან შემოიარა ერთმა ექიმმა და შემთხვევით ეს ფურცელი დაინახა. მან მაშინვე დაასკვნა, რომ ის, ვინც ამ ფურცელზე წერდა, დაავადებულია ეგრეთ წოდებული ალექსიით, ესე იგი, არ შეუძლია კითხვა და წაკითხულის გაგება. ექიმი აბსოლუტურად დარწმუნებულია ამაში.

— ვინ დაუშვა თქვენი ფსიქიატრი ძიების მასალებთან?

— მე. მან შემთხვევით შემოიარა ჩვენთან, და აღმოჩნდა, რომ ერთმანეთს ვიცნობდით.

— თქვენზე პატაკს დავწერ. — თქვა იენსენმა და ყურმილი დადო.

— „აბსოლუტურად დარწმუნებულია". „ძალიან, ძალიან ბევრია საერთო", — თავისთვის გაიმეორა იენსენმა.

შემდეგ ტუალეტში გავიდა, ჭიქაში წყალი ჩაასხა, შიგ სამი კოვზი სოდა ჩაყარა, ავტოკალმით მოურია და დალია.

ჯიბიდან ამოიღო უნივერსალური გასაღები. გასაღები იყო გრძელი, ბრტყელი და რაღაც უცნაური ენა ჰქონდა. იენსენს ცოტა ხანს ფეღსგულზე ედო იგი, შემდეგ საათს შეავლო თვალი.

ოთხის ოცი წუთი იყო, ოთხშაბათი ჯერ კიდეე არ დამთავრებულიყო.

10

იენსენმა ვესტიბიულიდან მარცხნივ გაუხვია, პატერნოსტერში ჩაჯდა და ქვემოთ წავიდა. კაბინების უწყვეტი ჯაჭვი ნელა, ღრჭიალით მოძრაობდა, ამასობაში იენსენი ცდილობდა გზადაგზა ყველაფერი დაენახა, რისი დანახვაც კი კაბინიდან შეიძლებოდა. ჯერ გაცურდა უზარმაზარი დარბაზი, სადაც ვიწრო გასასვლელებში წინ და უკან დასრიალებდნენ ახალი ჟურნალების დასტებით დატვირთული ელექტროკარები. ქვემოთ — კომბინეზონებში გამოწყობილი ადამიანები ურიკებით დაატარებდნენ ჩამოსხმულ ფორმებს. გამაყრუებლად გრუხუნებდნენ საროტაციო მანქანები. უფრო ქვემოთ კი მოჩანდა საშხაპეები, ტუალეტები და ლითონის მწვანე განჯინების გრძელი რიგი სკამებიანად. სკამებზე ხალხი იჯდა: ისვენებდნენ, ანდა შესაძლოა. ცვლა დაუმთავრდათ. ბევრი მათგანი ზანტად ფურცლავდა სწრაფმბეჭდავი მანქანის პრესიდან სულ ახლახან გამოღებულ ახალ ჟურნალებს. მაგრამ აქ მოგზაურობა დამთავრდა და იენსენი ქაღალდის საწყობში აღმოჩნდა. საწყობში სიჩუმე სუფევდა, მაგრამ, რასაკვირველია, აქაც აღწევდა შენობაში გამეფებული ხმაური, საწარმოს მძლავრი მაჯისცემის ხმა.

სიბნელეში იენსენი ცოტა ხანს დაბოდიალობდა ბარდანებსა და ჩამოყუდებულ ქაღალდის რულონებს შორის. ერთადერთი კაცი, რომელიც მას შეხვდა, თეთრხალათიანი გაჩხიკული ბიჭი იყო. ბიჭი შეშინებული მიაშტერდა იენსენს და ანთებული სიგარეტი მუჭში დამალა.

იენსენმა საწყობიდან გააღწია და ზევით ავიდა. პირველ სართულზე თანამგზავრი გაუჩნდა — ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი შუახნის მამაკაცი. კაცი იმავე კაბინაში შევიდა და მასთან ერთად ავიდა მეათე სართულამდე, სადაც სხვა ლიფტზე უნდა გადამჯდარიყვნენ. მთელი გზა მამაკაცს ხმა არ ამოუღია, იენსენისაკენ არც კი გამოუხედავს. მეათე სართულზე რომ გადაჯდა, იენსენმა თვალი მოჰკრა, როგორ შეხტა ნაცრისფერი კოსტიუმი პატერნოსტერის შემდეგ კაბინაში.

მეოცე სართულზე იენსენი მესამე ლიფტში გადაჯდა და ოთხი წუთის შემდეგ ლიფტმა სულ ზემოთ აიყვანა.

იენსენი უფანჯრო, ვიწრო დაბეტონებულ დერეფანში აღმოჩნდა.

იატაკზე ნოხი არ ეგო. ლიფტების მექანიზმებისა და კიბეების ირგვლივ დერეფანი ქმნიდა სწორ ოთხკუთხედს, ხოლო მის ყოველ მხარეს ჩამწკრივებული იყო თეთრი კარები. ყოველი კარის მარცხნივ ლითონის ფირფიტა მიემაგრებინათ. ზედ ერთი, ორი, სამი ან ოთხი გვარი იყო აღნიშნული. დერეფანს მოლურჯო-მკვდრისფრად ანათებდა ჭერზე მიმაგრებული ლუმინესცენციური ნათურები.

ფირნიშებიდან ცხადად ჩანდა, რომ იენსენი მასიურ გამოცემათა განყოფილებაში მოხვდა. ხუთი სართულით დაბლა ჩავიდა და ისევ მასიურ გამოცემათა განყოფილებაში აღმოჩნდა. დერეფნები თითქმის უკაცრიელი იყო, მაგრამ კარებს მიღმა ხმები და საბეჭდი მანქანების კაკუნი ისმოდა. ყოველ სართულზე ეკიდა განცხადებათა დაფები, რომლებზეც ძირითადად გამომცემლობების ბრძანებები და განცხადებები გაეკრათ. იქვე იყო აგრეთვე საკონტროლო საათი ღამის დარაჯებისათვის და ჭერზე მიმაგრებული საგანგებო მოწყობილობა სინათლის ავტომატურად გამოსათიშად.

ოცდამეოთხე სართულზე ოთხი სხვადასხვა რედაქცია მდებარეობდა.

იენსენს ეცნო ჟურნალების სახელწოდებები და გაახსენდა, რომ ისინი ძალზე სადად იყვნენ გაფორმებულები და უმთავრესად ფერად ილუსტრაციებიან მოთხრობებს შეიცავდნენ.

იენსენი აუჩქარებლად ეშვებოდა ქვემოთ. ყოველ სართულზე ოთხ დერეფანს ჩაივლიდა: ორს — უფრო გრძელს, ორს — უფრო მოკლეს, ერთი სიტყვით, სწორკუთხედის ოთხ მხარეს. აქაც ისეთივე თეთრი კარები და ისეთივე ცარიელი კედლები იყო ირგვლივ. ფირფიტებზე წარწერილ სხვადასხვა გვარს თუ არ ჩავთვლით, ზემოთა შვიდი სართული თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ყველაფერი გაწკრიალებული, ენით გალოკილი იყო, უწესრიგობის არავითარი კვალი არ შეინიშნებოდა. სისუფთავეს ვერსად წუნს ვერ დასდებდით. კარებს მიღმა ისმოდა საუბარი, ტელეფონის ზარის ხმა და ხანდახან საბეჭდი მანქანების კაკუნი.

იენსენი გაჩერდა განცხადებების დაფასთან და წაიკითხა:

„ნებას ნუ მისცემ შენს თავს, აგდებულად მოიხსენიო თვით გამომცემლობა ანდა მისი ჟურნალები.

კარების გარეთა მხარეს აკრძალულია სურათების ან სხვა ამდაგვარი საგნების მიკვრა.

ყოველთვის და ყველგან იყავი შენი გამომცემლობის წარმომადგე-

ნელი. არასამუშაო დროსაც კი. გახსოვდეს, რომ შენ, როგორც გამომ-ცემლობის წარმომადგენელს, შეგფერის სიდინჯე, ღირსებისა და პა-სუხისმგებლობის გრძნობა.

ერიდე უსაფუძვლო კრიტიკას. გახსოვდეს, რომ „სინამდვილიდან გაქცევა" და „სიცრუე", „პოეზიისა" და „წარმოსახვის" სინონიმებია.

ნაშითაც ნუ დაივიწყებ, რომ შენი გამომცემლობისა და შენი ჟურ-ნალის წარმომადგენელი ხარ, არასამუშაო დროსაც კი!

ყველაზე „მართალი" რეპორტაჟები მუდამ ყველაზე კარგი როდია. სიმართლე — ეს ისეთი საქონელია, რომელიც თანამედროვე ჟურნ-ალისტიკისაგან უკიდურესად ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს. ნუ ფიქ-რობ, რომ ის შენსავით ყველას უყვარს.

შენი ამოცანაა გაართო ჩვენი მკითხველი და გაუღვიძო ოცნე-ბათა აღმაფრენა. შენი მიზანი სულაც არ არის მკითხველის შეცბუ-ნება, აფორიაქება და შეწუხება. არც „მისი თვალების ახელა" და აღზრდა „ეეალება".

დაფაზე დაახლოებით ასეთივე სახისა და შინაარსის სხვა ინსტრუქ-ციებიც ეკიდა. მათი უმეტესობა ხელმოწერილი იყო გამომცემლობის ხელმძღვანელობისა და კონცერნის დირექციის მიერ და მხოლოდ ზო-გიერთს აწერდა ხელს პირადად გამომცემელი. კომისარმა ყველა მათ-განი წაიკითხა და შემდეგ დაბლა დაეშვა.

როგორც იენსენმა შენიშნა, რაც უფრო ქვემოთ ჩადიოდა, მით უფრო სჭარბობდა მსხვილი და ელეგანტური ჟურნალების რედაქცი-ები. გარემოც იცვლებოდა: აქ მთელი დერეფნის სიგრძეზე ნოხები დაეგოთ, ლითონის მილებისაგან გაკეთებული საკარძლები და ქრომი-რებული საფერფლეები დაედგათ.

რაც უფრო უახლოვდებოდა მეთვრამეტე სართულს, მით უფრო შესამჩნევი ხდებოდა ეს ცივი ელეგანტურობა, რომელიც მეთვრამეტე სართულიდან თანდათან იკლებდა. დირექციას ეკავა ოთხი სართული, უფრო ქვემოთ მოთავსებული იყო ადმინისტრაციული განყოფილება, ხელმოწერის განყოფილება, შინ მიტანისა და სხვა ამგვარი განყოფი-ლებები. აქ ისევ გამოჩნდა შიშველი დერეფნები, უფრო ჰმამაღლა ის-მოდა საბეჭდი მანქანების კაკუნი და ისევ ის ცივი, თეთრი, თვალის-მომჭრელი სინათლე ენთო.

კომისარმა იენსენმა სართული სართულის მიყოლებით ჩამოიარა. როდესაც ვესტიბიულამდე მივიდა, ხუთ საათს რამდენიმე წუთიღა აკლ-

და. მთელი გზა ფეხით ჩამოიარა და ამიტომ მუხლებსა და წვივებში ცოტა არ იყოს დაღლილობას გრძნობდა.

ორიოდე წუთის შემდეგ კიბეზე ჩამოვიდა ნაცრისფერკოსტიუმიანი კაცი. ერთი საათის წინ, მეათე სართულზე ლიფტთან რომ დაშორდა, მას მერე იენსენს ერთხელაც აღარ დაუნახავს იგი. კაცი მთავარი შესასვლელის წინ მდებარე მცველის ჯიხურში შევიდა. მინის კედლის იქით ჩანდა როგორ გადაულაპარაკა მან რაღაც ფორმიან მცველს. მერე კაცმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ვესტიბიულს სწრაფი, გულგრილი მზერა მოავლო.

საათმა ხუთჯერ დარეკა და ზუსტად ერთი წუთის შემდეგ დაბლა პირველად ჩამოსული გადატვირთული ავტომატური ლიფტის კარი გაიღო.

ხალხის ნაკადი დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე არ შეთხელებულა, მერე თანდათან იკლო. კომისარი იენსენი ზურგზე ხელეკადაწყობილი იდგა, ფეხის წვერებზე ჩაფიქრებული ირხეოდა და კარებისაკენ აჩქარებით მიმავალ ხალხს გაჰყურებდა. კარის მიღმა ადამიანები სხვადასხვა მხარეს, თავიანთი მანქანებისაკენ მიისწრაფოდნენ და გაუბედავნი, თითქოსდა წელში მოხრილნი შიგ უჩინარდებოდნენ.

ექვს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ვესტიბიული მთლად დაცარიელდა. გაჩერდა ლიფტები. თეთრ ფორმაში ჩაცმულმა ადამიანებმა შესასვლელი კარები დაკეტეს და წავიდნენ. მხოლოდ ნაცრისფერკოსტიუმიანი კაცი დარჩა, თითქოს მინის ტიხარს მიეკროო. ეზოში თითქმის ჩამობნელდა.

კომისარი იენსენი ერთ-ერთი ლიფტის კაბინაში შევიდა და გამანაწილებელ ფარზე ზემო ღილაკს თითი დააჭირა. თითქოს გრიგალმა აიტაცაო, ლიფტი ელვისებურად აფრინდა მეთვრამეტე სართულამდე, იქ კარების საგდულები ერთმანეთს დაშორდა, შემდეგ შეიკრა და ლიფტი კვლავ ზემოთ გაქანდა.

მასიურ გამოცემათა რედაქციების დერეფნები ისევე იყო განათებული, როგორც დღისით, ოღონდ კარებს მიღმა ხმები აღარ ისმოდა. იენსენი სულგანაბული შედგა, ყური მიუგდო. ოცდაათიოდე წამს შემდეგ სადღაც ახლოს, დაახლოებით ერთი სართულით ქვემოთ, სხვა ლიფტი გაჩერდა. იენსენი დაელოდა, რა მოხდებოდა, მაგრამ ფეხის ხმა არ შემოსმია. და საერთოდ არაფერი გაუგონია, თუმცა რატომღაც მოეჩვენა, რომ სიჩუმეს რაღაც არღვევდა. ბეტონის კედელზე ყური მიადო და მხოლოდ მაშინ გაიგონა შორეული მანქანების გუგუნი. რამდენიმე

ხნის შემდეგ ეს გუგუნი უფრო გარკვეული, აუტანელი და მომაბეზრებელი შეიქნა, ისევე, როგორც ტკივილის ბუნდოვანი შეკრნება

იენსენი წელში გაიმართა და დერეფანს გაუყვა. მთელ გზაზე თან სდევდა ეს გუგუნი. იქ, სადაც კიბე მთავრდებოდა, თეთრი ლაქით დაფარული ფოლადის ორი კარი დაინახა. ერთი — უფრო დიდი, მეორე — შედარებით პატარა, და ორივე უსახელოერო. ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ჯერ უფრო პატარა კარის გაღება სცადა, მაგრამ გასაღები არ მოერგო. სამაგიეროდ, მეორე კარი მაშინვე გაიღო და იენსენმა დაინახა ვიწრო ციცაბო კიბე, რომელიც აგრეთვე ბეტონისა იყო. კიბეს ოდნაე ანათებდა ორი პატარა მჭრქალი პლაფონი. იენსენი ავიდა ამ კიბით. რომელიღაც კარი გააღო და სახურავზე აღმოჩნდა.

უკვე მთლად დაბნელებულიყო, ცივი ქარი ქროდა. ბრტყელი სახურავის კიდეს დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის აგურის მოაჯირი მიუყვებოდა. ქვემოთ მილიონობით ცივი, თეთრი სინათლით დაწინწკლული ქალაქი გაწოლილიყო. სახურავის ცენტრში ათამდე დაბალი საკვამური მილი ამოშვერილიყო. ორიდან კვამლი ამოდიოდა და თუმცა ქარი ქროდა, მძიმე და სულისშემხუთველი ჰაერი იდგა.

როდესაც იენსენმა ზემოთა, სხვენის კარი გააღო, მოეჩვენა, თითქოს იმწამსვე ვიღაცამ ქვედა კარი დაკეტა, მაგრამ, ოცდამეათე სართულზე რომ დაბრუნდა, იქ არავინ იყო. კიდევ ერთხელ სცადა იმ პატარა კარის გაღება, მაგრამ კარი ჯიუტად არ ემორჩილებოდა. როგორც ჩანს, რომელიმე სამანქანო განყოფილების, ლიფტების სადისპეტჩეროს ან ელექტროგანმანაწილებლის კარი იყო.

მან კიდევ ერთხელ შემოიარა დერეფნების შეკრული ოთხკუთხედი, პროფესიული ჩვეულებისამებრ უხმაუროდ და ფრთხილად ადგამდა თავის რეზინისლანჩიან ფეხსაცმელებს. შორეულ მოკლე დერეფანში შეჩერდა, სმენა დაძაბა და სადღაც ახლოს ნაბიჯების ხმა შემოესმა. თუმცა ნაბიჯების ხმა მაშინვე შეწყდა და შეიძლებოდა სულაც ექო ყოფილიყო.

იენსენმა ისევ ამოიღო გასაღები, უახლოესი კარი გააღო და რომელიღაც რედაქციაში აღმოჩნდა. ოთახი სულ ცოტათი თუ იქნებოდა მეთექვსმეტე უბნის საპატიმრო საკანზე დიდი. კედლები და ჭერი ერთიანად შეეთეთრებინათ, ხოლო იატაკი ღია ნაცრისფერი იყო. ავეჯი შედგებოდა სამი ასევე თეთრი საწერი მაგიდისაგან, რომელთაც თითქმის მთელი ოთახი დაეკავებინათ. გარდა ამისა, ფანჯრის ნიშში მოეთავსებიათ შიდა ტელეფონის ჭრომირებული აპარატი. მაგიდებზე სა-

გულდაგულოდ დაელაგებინათ ქალალდები, ნახატები, სახასავები და ოკეანოგრაფიები.

კომისარი ენსენი ერთ-ერთ ბაგიდასთან შეჩერდა და ფერადი ჩანართი ფურცელი შეათვალიერა, რომელიც ოთხ ნაწილად იყო გაყოფილი და აშკარად რომელიღაც სერიას ეკუთვნოდა. იქვე იდო მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი წარწერით: „ორიგინალური ხელნაწერი საავტორო განყოფილებიდან“.

პირველ ნახატზე გამოსახული იყო რესტორნის სცენა. მაგიდასთან იჯდა ქერათმიანი და ძალზე მკერდსაესე ქალბატონი. მას ღრმად ამოჭრილი ბრწყინვალე კაბა ეცვა. შოპირდაპირე მსარეს იჯდა მამაკაცი, რომელსაც თვალებზე ლურჯი ნიღაბი აეფარებინა, ტანზე შემოტმასხილი ტრიკო ეცვა და ფართო ტყავის ქამარი ეკეთა. მკერდზე ამოქარგული ჰქონდა თავის ქალა. უკანა პლანზე მოჩანდა საესტრადო ორკესტრი, სმოკინგებსა და სამეჯლისო კაბებში გამოწყობილი ხალხი, მაგიდაზე იდგა ერთი ბოთლი შამპანური და ორი ღვინის ჭიქა. მეორე ნახატზე გამოსახული იყო იგივე მამაკაცი უჩვეულო კოსტიუმში. თავზე შოთავანდედი ადგა. მარჯვენა ხელი პრიმუსის მაგვარ, რაღაც უცნაურ მოწყობილობაში ჩაეყო. მესამე სურათზე ისევ ის რესტორანი მოჩანდა, მაგრამ ახლა ტრიკოში გამოწყობილი მამაკაცი თითქოსდა მაგიდის ზეგოთ იყო ჩამოკიდებული და ქერათმიანი ქალბატონი გულგოლად შეესცქეროდა. დაბოლოს, უკანასკნელი ილუსტრაცია ისევ იმ კაცს წარმოსახავდა: ის კვლავ ჰაერში დასრიალებდა, უკანა პლანზე კი ვარსკვლავები კიაფობდნენ. მარჯვენა ხელის სალოკ თითს ბეჭედი უმშვენებდა, ბეჭდიდან ვეებერთელა ხელისგული ამოზიდულიყო და ზედ ფორთოხალი იდო.

ილუსტრაციებს ზოგან თეთრი საღებავი ჰქონდა გადასმული, და ზედ ტუშით ეწერა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, მოკლე, ადვილად გასაგები ტექსტები:

„იმავე საღამოს ლურჯი ლეოპარდი და მდიდარი ბეატრისა ერთმანეთს შეხვდნენ ნიუ-იორკის ყველაზე საუცხოო რესტორანში.

— ისეთი უცნაური გრძნობა მაქვს... მგონი, მე... მე... მიყვარიარ.

— რა? მომეჩვენა, თითქოს მთვარე შეირხა.

ლურჯი ლეოპარდი მალულად გავიდა დარბაზიდან და თავისი ჯადოსნური ბეჭედი გაიკეთა.

— მაპატიე, ერთი წუთით უნდა დაგტოვო. ჩემი აზრით, მიკვარეზე კარგად ვერ არის საქმე.

იმ საღამოს ლურჯმა ლეოპარდმა კიდევ ერთხელ დატოვა საყვარელი ქალი, დატოვა, რათა სამყარო აშკარა დაღუპვისაგან გადაერჩინა: წყეულმა კრისმოპომპებმა წამოიწყეს...“

იენსენმა იცნო ეს ფიგურები. ზუსტად ასეთი ნახა ერთ-ერთ ჟურნალში, გუშინ რომ გადაათვალიერა.

ზედ მაგიდის წინ კედელზე ჭიკარტებით ძიმაგრებინათ ტრაფარეტით დაწერილი განცხადება:

იენსენმა წაიკითხა:

„გასულ კვარტალში ჩვენი ტირაჟები გაიზარდა ოცდაექვსი პროცენტით. ჟურნალი აკმაყოფილებს საზღვაო მოთხოვნილებებს. ჩვენ წინ დიდი ამოცანები დგას. ხიდისწინა სიმაგრე დაძლეულია. ახლა საბოლოო გამარჯვებისათვის ვიბრძვით“.

კომისარმა იენსენმა უკანასკნელად შეავლო თვალი ილუსტრაციებს, სინათლე ჩააქრო და კარი გაიხურა.

რვა საათულით დაბლა ჩასული იენსენი ერთ-ერთი დიდი ჟურნალის ადგილსამყოფელში აღმოჩნდა. ახლა სრულიად გარკვევით და დროის თანაბარ მონაკვეთებში ესმოდა იმისი ნაბიჯების ბმა, ვინც კვალდაკვალ მოჰყვებოდა. მაშასადამე, მისი ექვი გამართლდა და იენსენს შეეძლო აღარ ეფიქრა ამაზე.

ზედიზედ გააღო რამდენიმე კარი და ყოველ ჯერზე ისეთივე დაბეტონებულ საკნებში აღმოჩნდა, როგორიც უკვე ნახა ოცდამეათე სართულზე. აქ მაგიდებზე ეწყო სამეფო ოჯახის წევრების, საზოგადოების კერპების, ბავშვების, ძაღლების და კატების ფოტოსურათები და, გარდა ამისა, ბოლომდე გადაუთარგმნელი, ანდა ბოლომდე დაუწერელი სტატიები. ზოგიერთი წინადადება ვიღაცას წითელი ფანქრით გადაეხაზა.

რამდენიმე სტატია გადაათვალიერა და დაადგინა, რომ ყოველ მათგანში გადაშლილი იყო ზოგიერთი კრიტიკული ხასიათის შენიშვნა და საერთოდ, ორიგინალური მსჯელობანი. ისინი საზღვარგარეთის პოპულარულ მსახიობებისადმი იყო მიძღვნილი.

მთავარი რედაქტორის კაბინეტი ოდნავ უფრო ფართო მოეჩვენა. იატაკზე გაფენილი იყო ჩალისფერი ნოხი და ფოლადის მილებისაგან გაკეთებულ სავარძლებსაც რაღაცნაირი თეთრი პლასტიკი ჰქონდა გადაკრული. მაგიდაზე რუპორი და ორი თეთრი ტელეფონი იყო, აგრეთვე ღია ნაცრისფერი ფირფიტა, რათა მოხერხებული ყოფილიყო წერა. იქვე მოჩანდა ფოლადის ჩარჩოში ჩასმული სურათი. სურათზე გამოსა-

ხული იყო შუახნის მამაკაცი, რომელსაც საგანგებოდ მოვლილი ულვაშები და ძალლივით ერთგული მზერა ჰქონდა. მთავარი რედაქტორი თუ იყო.

იენსენი მიუჯდა საწერ მაგიდას. ჩაახველა და ექომ მთელი ოთახი მოიარა. ოთახი ცივი და უყმური ჩანდა და უფრო დიდი გეგონებოდათ, ვიდრე სინამდვილეში იყო. არსად არ ეწყო არც წიგნები, არც ჟურნალები, მხოლოდ თეთრ კედელზე ეკიდა ჩარჩოში ჩასმული დიდი ფოტოსურათი — ღამით განათებული სახლის ფასადი.

იენსენმა ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმე უჯრა გამოსწია. მაგრამ საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა. ერთ-ერთ უჯრაში ნახა ხელმეორედ დაწებებული ყავისფერი კონვერტი წარწერით „პირადად". კონვერტში ფერადი ფოტოსურათები და ნაბეჭდი ტექსტი იდო.

„გამომცემლობის საერთაშორისო ფოტოსამსახურის საგანგებო გამოშვება ხელმძღვანელი მუშაკებისათვის შეღავათიან ფასებში".

ფოტოსურათებზე ერთთავად მკერდსავსე შიშველი ქალები იყო გამოსახული. იენსენმა გულდაგულ დააწება კონვერტი და თავის ადგილზე დადო. არ არსებობდა ოფიციალური კანონი, რომელიც ამგვარი ფოტოსურათების გავრცელებას კრძალავდა ქვეყანაში. რამდენიმე წლის წინ ერთბაშად გაიფურჩქნა პორნოგრაფია, მერე კი შინაგანი ბაზრიდან თითქმის გაქრა პორნოგრაფიული სურათები. ზოგიერთები ამგვარ სურათებზე მოთხოვნილების კლებას შობადობის დაცემას უკავშირებდნენ.

იენსენმა ღია ნაცრისფერი ფირფიტა ასწია და იქ დირექტორის დახურული ცირკულიარი ნახა.

ცირკულიარი იუწყებოდა:

„მეფის სასახლეში შედგა პრინცესისა და გაერთიანებული ცენტრალური პროფკავშირების ხელმძღვანელის ქორწინება. ამ ქორწინების რეპორტაჟი არაფრად არ ვარგა. გამომცემლობისათვის ბევრი ძალზე მნიშვნელოვანი და საჭირო პირი გაკვრითაა მოხსენიებული. აღნიშნა იმისა, რომ პატარძლის ძმა ახალგაზრდობაში თავგამოდებული რესპუბლიკელი იყო, საზიზღარ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთივეა „იუმორისტული" გადახვევა იმის თაობაზე, რომ გაერთიანებული ცენტრალური პროფკავშირების ხელმძღვანელს შეუძლია მეფე გახდეს. გარდა ამისა, როგორც პროფესიონალი, მე წინააღმდეგი ვარ მასალა სტილისტურად მშრალად იყოს გადმოცემული. სრულებით არ იყო საჭირო მერვე ნომერში გაეშვათ კორესპონდენცია. იმის მტკიცებამ

რომ თვითმკვლელობამ ჩვენს ქვეყანაში იკლო. შეიძლება მიგვიყვანოს საგანგაშო დასკვნამდე, თითქოს მკვლელობათა რიცხვი ადრე ერთიან საზოგადოებაში მაღალი იყო. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არის კი აუცილებელი შეგახსენოთ, რომ ჟურნალის ტირაჟი აქამდე არ იზრდება ხელმძღვანელობის მითითებათა შესაბამისად?"

კიდეებზე მიწერილი აღნიშვნების მიხედვით შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ ცირკულიარის ასლები დაეგზავნა რამდენიმე ჩელმძღვანელ მუშაკს.

როდესაც იენსენი კვლავ დერეფანში გავიდა, ერთ-ერთი დაკეტილი კარის მიღმა ხმადაბალი ხიხინი მოესმა.

ამოიღო გასაღები, გააღო კარი და შევიდა. ოთახში ბნელოდა, მაგრამ ფასადის სინათლეთა ანარეკლი ოდნავ ანათებდა საწერ მაგიდასთან სავარძელში მჯდარი თავდახრილი კაცის ფიგურას. იენსენმა კარი მიიკეტა და სიხათლე აანთო. თვალწინ წარმოუდგა ჩვეულებრივი ოთახი ქრომირებული ფანჯრითა და დაბეტონებული კედლებით. ოთახში სპირტის, თამბაქოსა და ნარწყევის სულისშემხუთველი მძიმე სუნი იდგა.

მაგიდასთან მჯდარი კაცი, ალბათ, ორმოცდაათ წელს გადაცილებული იქნებოდა. საკმაოდ მაღალი ტანისა გახლდათ, მაგრამ უკვე შესამჩნევად გასუქებულიყო. მისი ტანსაცმელი პიჯაკის, თეთრი პერანგის, ჰალსტუხის, ფეხსაცმელისა და წინდებისაგან შედგებოდა. შარვალი მაგიდაზე იდო. კაცი უთუოდ ცდილობდა რაღაც ლაქები მოეცილებინა შარვლისათვის, ხოლო ქვედა საცვალი ბატარეაზე შრებოდა მამაკაცს თავი მკერდზე ჩამოეგდო და სახეზე ალმური ასდიოდა. მაგიდაზე პლასტმასის ჭიქა და თითქმის ცარიელი ბოთლი იდგა, ხოლო იატაკზე მოჩანდა ალუმინის ჯალათა ქაღალდებისათვის.

როდესაც მოულოდნელად სინათლე აინთო, კაცმა სახეზე ხელი აიფარა და ჩასისხლიანებული ლურჯი თვალებით მომსვლელს ხელისგულის ქვემოდან გახედა.

— ჟურნალისტიკა მოკვდა, — უთხრა მან, — მე მოვკვდი. ყველაფერი მოკვდა, — მაგიდაზე ხელი მოაფათურა. ბოთლი მოძებნა. აი, ვზივარ... ამ ეშმაკის სამზარეულოში. უწიგნური ადამიანები მეუფროსებიან და დამცინიან კიდეც. წლიდან წლამდე!..

ბოთლს ხელი წაავლო და რაც დარჩენილი იყო, ჭიქაში დაასხა.

— მსოფლიოს უდიდესი სამზარეულო. კვირაში სამას ორმოცდაათი

ათასი ულუფა. წვნიანი „ტყუილი“, უგემოვნობა გარანტირებულია. წლიდან წლამდე...

მთელი ტანით ცახცახებდა. ჭიქა რომ ტუჩებთან მიეტანა, ორივე ხელი წაავლო.

— მაგრამ ახლა მორჩა! — უჯრიდან წერილი ამოიღო და ჰაერში ააფრიალა. — შეგიძლიათ წაიკითხოთ, ნახოთ ფინალი.

კომისარმა იენსენმა წერილი გამოართვა. მთავარი რედაქტორი წერდა.

„შენი რეპორტაჟი სასახლეში ქორწინების თაობაზე შედგენილია არაკომპეტენტურად, დაწერილია ცუდად და სავსეა შეცდომებით. ხოლო თვითმკვლელობის შესახებ კორესპონდენციის მოთავსება მერვე ნომერში — მეტისმეტია. იძულებული ვარ, შენზე მოხსენებითი ბარათი დაგწერო“.

— რასაკვირველია, სანამ ასაწყობად ჩაუშვებდა და ხელს მოაწერდა, თვითონ წაიკითხა ყველაფერი. კორესპონდენციაც. რა თქმა უნდა არ ეკიცხავ. საბრალო თავის ტყავს უფრთხილდება.

ეს თქვა და მოულოდნელი ცნობისმოყვარეობით შეხედა იენსენს.

— ვინ ბრძანდებით? ახალი დირექტორი, არა? ჰო, არა უშავს, შეეწყობით მუშაობაში. აქ ჩვენთან პირდაპირ მთავარ რედაქტორებად ჯდებიან ყოფილი მოჯამაგირეები და რა თქმა უნდა, ასაკს გადაცილებული მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, რომელთა თავიდან მოცილება მოუნდა ვილაცას და ჩვენთან მოაწყო სამუშაოდ.

იენსენმა თავისი ლურჯი მოწმობა ამოიღო. მამაკაცმა არც კი დახედა მას და უთხრა:

— ოცდაათი წელია ჟურნალისტი ვარ. პირადად ვადევნებდი თვალს ამ სულიერ რღვევას. ეს გახლდათ ინტელიგენციის მოგუდვა, ყველაზე ხანგრძლივი სიკვდილით დასჯა, რომელიც კი სამყაროს იცის. წინათ რაღაც მსურდა. ეს შეცდომა იყო. მე ახლაც მინდა, მაგრამ ძალზე ცოტა რამ. ესეც შეცდომაა. მე შემიძლია წერა. ეს შეცდომაა. ამიტომაც ვძულვარ მათ. მაგრამ გარკვეულ დრომდე ჩემისთანები სჭირდებათ, სანამ ნეხვის შემთხზველ მანქანას არ გამოიგონებენ. მათ იმიტომ ვძულვარ, რომ არა ვარ ღილაკებიანი, ბერკეტებიანი მანქანა, რომელიც შეძლებს საათში ექვსგვერდიანი ბინძური ტყუილი შეთითხნოს უშეცდომოდ. ყოველგვარი გადაშლა-გადმოშლისა და საკუთარი აზრის გარეშე. მე კი მთვრალი ვარ. ჰოპ-ჰოპ, ვაშა!

თვალები გადმოკარკლა და გუგები სულ დაუპატარავდა.

ის დადუმდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და არათანაბრად სუნთქავდა. შემდეგ მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა და წამოიძახა:

ესეც ასე, ჯამაათო ღირსეულო,
გძარი ბოლოს მაინე უნდა დაისაჯოს,
ასეთია ეს ქვეყანა. ბრიყვია ის,
ვინც მუქთაობს და არ უნდა გაისარჯოს.

— იცით, ვინ დაწერა ეს?

— არა, — უპასუხა კომისარმა იენსენმა.

მან სინათლე გამორთო და ოთახიდან გავიდა. მეათე სართულზე პატერნოსტერზე გადაჯდა და ქალალდის საწყობამდე ჩავიდა.

აქ უკვე ჩაერთოთ ღამის განათება — ლურჯი პლაფონები სუსტად და არათანაბრად ანათებდა იქაურობას.

იენსენი ერთი წუთით სრულიად უძრავად იდგა. გრძნობდა როგორ ამძიმებდა მის სულს ეს უზარმაზარი შენობა. უკვე დიდი ხანია დადუმებულიყვნენ ლინოტიპები და საროტაციო მანქანები და გამეფებულ სიჩუმეში თითქოს უფრო დამძიმებულიყო ისედაც ვეებერთელა სახლი. ახლა იენსენს მის უკან უჩუმრად მომავალის ნაბიჯების ხმაც კი არ ესმოდა.

იენსენი ვესტიბიულში ავიდა. იქ არავინ იყო და ერთხანს შეჩერდა. ზუსტად სამი წუთის შემდეგ გვერდითა კარიდან ნაცრისფერკოსტიუმიანი კაცი გამოძვრა და დარაჯის ჯიხურისაკენ წავიდა.

— იქ. თქვენთან, ორი ათას ორმოცდამესამე ოთახში ერთი მთვრალი ზის, — უთხრა კომისარმა იენსენმა.

— იმ კაცს უკვე მიხედეს,—უთხრა ნაცრისფერკოსტიუმიანმა კაცმა.

იენსენმა თავისი გასაღებით გააღო კარი და ღამის ცივი ჰაერი შეისუნთქა.

11

როდესაც იენსენი მეთექვსმეტე უბანში დაბრუნდა, ათს უკვე ხუთი წუთი აკლდა. სამორიგეო ოთახში საინტერესო არაფერი ხდებოდა. დაბლა ჩავიდა, იქ ის-ის იყო ორი ახალგაზრდა ქალი მოეყვანათ. დაელოდა, სანამ ისინი პირადობის მოწმობებს, ფეხსაცმელებს, მოსასხამებს და ჩანთებს ჩააბარებდნენ საკონტროლო მაგიდაზე. ერთ-ერთი მათგანი ილანძღებოდა და რეგისტრატორს სახეშიც კი შეაფურთხა.

პოლიციელმა, რომელმაც ისინი მოიყვანა, დაამთქნარა. ხელები ზურგს უკან გადაუგრიხა და თავის საათს დაღლილმა დახედა. მეორე წუნარად იდგა, თავი დაეხარა და ხელები უღონოდ ძირს დაეშვა. ერთთავად ტიროდა და ცრემლნარევი ბუტბუტებდა ყველასათვის კარგად ნაცნობ სიტყვებს: „არა, არა, არა“ და „არ მინდა!“

მერე დაკავებულები რეზინის ჩექმებსა და ღია მწვანე ლაბადებში ჩაცმულმა ორმა პოლისმენმა წაიყვანა და იმ ოთახიდან, სადაც სამედიცინო შემოწმებას ატარებდნენ, მაშინვე ტირილი და კვნესა მოისმა. როგორც ყოველთვის, ქალთა პერსონალი უფრო ამტანი და საერთოდ უფრო შრომისუნარიანი იყო, ვიდრე მამაკაცები.

იენსენი საკონტროლო მაგიდასთან დაბრუნდა და უკანასკნელ საათებში მოყვანილი ლოთების სია წაიკითხა. გამომცემლობაში არავინ დაუკავებიათ, და არც მოხსენება ყოფილა ამის თაობაზე იქიდან.

სახლში მიმავალ იენსენს გზაში არაფერი უჭამია. შიმშილს მაინცდამაინც არ გრძნობდა და არც კუჭი უწრიალებდა. თუმცა მანქანაში სითბო და სიმყუდროვე იყო, შემციენულივით ერთთავად ცახცახებდა და საჭე ძლივს ეჭირა ხელში.

სწრაფად გაიხადა და დაწვა. ერთი საათის განმავლობაში ვერ დაიძინა, შემდეგ სიბნელეში წამოდგა და ბოთლი მოიტანა. აღარ ცახცახებდა, მაგრამ ძილშიაც კი სციოდა.

დამთავრდა მესამე დღე. დარჩა კიდევ ოთხი.

12

ცივი და ნათელი დილა გათენდა. ღამის განმავლობაში სახლებს შორის გაზონები თოვლს ოდნავ დაეფიფქა და გზატკეცილზე გაყინული წყალი პრიალებდა.

იენსენს ადრე გაეღვიძა და მოლიპული გზებისა და გაცხოველებული მოძრაობის მიუხედავად, თავის უბანში დროზე მივიდა. პირი გაუშრა, და, თუმცა წამოსვლის წინ ყელში წყალი გამოივლო და კბილები გაიხეხა, მაინც არასასიამოვნო. შმორის გემოს გრძნობდა. ბუფეტიდან ერთი ბოთლი მინერალური წყალი მოატანინა და მაგიდაზე დაწყობილი ქაღალდების შესწავლას შეუდგა. კრიმინალისტური ლაბორატორიიდან მოხსენება ჯერ არ მოეტანათ, ხოლო სხვა არაფერი საინტერესო არ იყო.

ფოსტამტში მივლინებული პოლიციელი აშკარად ჩიხში მოექცა. იენსენმა დაწვრილებით შეისწავლა მისი მოკლე პატაკი, საფეთქელი თითებით ზოგსრია და მთავარი ფოსტამტის ნომერი აკრიფა. ყურმილი მაშინვე არ აუღიათ.

— იენსენი გელაპარაკებათ.

— გისმენთ, კომისარო.

— რას აკეთებთ ახლა?

— დამხარისხებლების დაკითხვას შევუდექი. ამას დიდი დრო დასჭირდება.

— უფრო ზუსტად?

— კიდევ ორიოდე დღე, იქნებ სამიც.

— თქვენი აზრით, ეს რაიმეს მოგვცემს?

— საეჭვოა. ცოტა როდია ისეთი წერილები, რომლებზეც მისამართები გაზეთებიდან ამოჭრილი ასოებითაა შედგენილი. ჩემს ხელში უკვე დაახლოებით ასმა ასეთმა წერილმა გაიარა, და უმეტესობა ანონიმურიც კი არაა. უბრალოდ, ხალხი ასე აკეთებს.

— რატომ?

— ვფიქრობ, ხუმრობენ. ერთადერთი, ვისაც ის წერილი ახსენდება, შიკრიკია, რომელსაც წერილები დააქვს.

— წერილის ასლი გაქვთ?

— არა, კომისარო. სამაგიეროდ, ჩემს ხელთაა კონვერტისა და მისამართის ასლი.

— ვიცი. არ არის საჭირო ზედმეტი წვრილმანების შეხსენება.

— გისმენთ.

— შეწყვიტეთ დაკითხვა, წადით კრიმინალისტურ ლაბორატორიაში, შეუკვეთეთ ტექსტის ფოტოასლი და დააზუსტეთ, რომელი გაზეთიდან ან გაზეთებიდანაა ამოჭრილი ასოები. გასაგებია?

— გასაგებია.

იენსენმა ყურმილი დადო. ფანჯრის ქვემოთ სანიტრები მიმოდიოდნენ ვედროებითა და ნიჩბებით.

იენსენმა სახსრები გაატკაცუნა და მოთმინებით დაიწყო ცდა.

სამი საათი და ოცი წუთი გავიდა, ვიდრე ტელეფონი დარეკავდა.

— ჩვენ ქაღალდის ხარისხი დავადგინეთ, — უთხრა ლაბორანტმა. — ეს საბუთებისთვის განკუთვნილი ქაღალდია და წარმოებაში მიდის აღნიშვნით ცბ-3. მზადდება უშუალოდ კონცერნის კუთვნილი ქაღალდის ფაბრიკაში. — ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ ლაბორანტმა

დასძინა: — ეს კი სულაც არ არის გასაოცარი. არ! ებითად, მათ ხელში ჩაიგდეს ქალაქის მთელი მრეწველობა.

— ილაპარაკეთ საქმის გარშემო, — შეახსენა იენსენმა.

— ფაბრიკა ქალაქის ჩრდილოეთით, ორმოციოდე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. იქ კაცი მივავლინეთ. ხუთი წუთის წინ მას ველაპარაკე.

— მერე?

— ამ ხარისხის ქალაქს დაახლოებით ერთი წლის მანძილზე უშვებდნენ. უმთავრესად, საექსპორტოდ, მაგრამ მცირე პარტიები ეგზავნებოდა ეგრეთ წოდებულ შიდა ტიპოგრაფიასაც, რომელიც აგრეთვე კონცერნს ეკუთვნის. ამ ხარისხის ქალალდი ორი ფორმატისა მზადდებოდა. მაგრამ რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, ამ შემთხვევაში საქმე დიდ ფორმატთან გვაქვს. მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი. დანარჩენი თქვენს ხელთაა. შიკრიკს ყველა გვარი და სახელი გამოვატანე. სულ რაღაც ათ წუთში თქვენთან იქნება.

იენსენი დუმდა.

— მე მგონი ყველაფერი გითხარით, — ლაბორანტი შეყოყმანდა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ გაუბედავად შეეკითხა:—კომისარო. მითხარით, გეთაყვა...

— რა?

— ი გუშინ... პატაკი სამსახურებრივი დაუდეგრობის თაობაზე... არ გაუქმებულა?

— საიდან მოიტანეთ? — უთხრა კომისარმა.

ზუსტად ათი წუთის შემდეგ წერილობითი პატაკი მოუტანეს.

იენსენმა ბოლომდე ჩაიკითხა, ადგა, მივიდა კედელთან, შეხედა დიდ რუკას, შემდეგ ლაბადა ჩაიცვა და ქვევით ჩავიდა მანქანასთან.

18

კანტორას მინის კედლები ჰქონდა და ტიპოგრაფიის დირექტორის მოლოდინში იენსენს შეეძლო დაენახა რა ხდებოდა კანტორის მეორე მხარეს, სადაც თეთრ და ნაცრისფერ ხალათებში გამოწყობილი ადამიანები გრძელი მაგიდების გასწვრივ მიდი-მოდიოდნენ. საიდანღაც საბეჭდი მანქანების კაკუნი მოისმოდა.

ერთ-ერთი კედლის გასწვრივ, ფოლადის კაუჭებზე ჯერ კიდევ

სველი ანაწყობები ეკიდა. მათში მსხვილი შრიფტით რეკლამას უკეთებდნენ გამომცემლობის მიერ დასტამბულ ჟურნალებს. კერძოდ, იტყობინებოდნენ, რომ ამ კვირაში ერთ-ერთი ჟურნალი გამოვიდოდა პანორამული ჩანართით, რომელზეც ნატურალური სიდიდით იქნებოდა გამოსახული ტელევიზიის თექვსმეტი წლის მსახიობი ქალიშვილი. თანაც ჩანართი იქნებოდა ფერადი და ამასთანავე იშვიათი სილამაზისა. რეკლამა მოსახლეობას ურჩევდა, არ გამოპარვოდათ ეს ნომერი.

— გამომცემლობისათვის ჩვენ ვაკეთებთ რეკლამის ნაწილს, — უთხრა გამგემ. — აი, ეს გაზეთების ანონსებია. ლამაზია, მაგრამ ძალზე ძვირია. ასეთ რეკლამაზე ხუთჯერ მეტს ხარჯავენ, ვიდრე მე და თქვენ ერთ წელიწადში ვიღებთ.

იენ ენმ. არაფერი უპასუხა.

— თუმცა იმათთვის, ვისაც ყველაფერი ეკუთვნის — ჟურნალები, გაზეთები, ტიპოგრაფია და ქაღალდი — ხარჯი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს. მაგრამ ვერაფერს იტყვი, ლამაზია, — დაუმატა მან, შეაბრუნდა და პირში პიტნის კვერი ჩაიდო. — საკვებად მართალი ბრძანდებით. ამგვარ ქაღალდზე ჩვენ ორი ტექსტი დავბეჭდეთ. დაახლოებით ერთი წლის წინ. თანაც ძალზე მდიდრულად გავაფორმეთ. ტირაჟი მეტისმეტად მცირე იყო; ერთიცა და მეორეც დაახლოებით რამდენიმე ათასი ეგზემპლარი იქნებოდა. პირველი გახლდათ საფოსტო ქაღალდი პირადად შეფისათვის, მეორე. რომელიღაც დიპლომი.

— გამომცემლობის საჭიროებისათვის?

— აბა, როგორ! საცდელი ანაბეჭდებიც კი შემომრჩა. — მან ქაღალდებში დაიწყო ქექვა. — აი, ინებეთ.

შეფის საფოსტო ქაღალდი ძალზე მცირე ფორმატისა იყო და ერთობ ელეგანტური შესახედაობა ჰქონდა. ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახული ნაცრისფერი მონოგრამა პატრონის დახვეწილი და უპრეტენზიო გემოვნების აშკარა დამადასტურებლად იყო მოწოდებული. კომისარი ერთი შეხედვით მიხვდა, რომ ეს ქაღალდი გაცილებით პატარა ფორმატისა იყო, ვიდრე ანონიმური წერილის ქაღალდი. მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის გაზომა და კრიმინალური ლაბორატორიის მონაცემებს შეადარა. ციფრები ერთმანეთს არ დაემთხვა.

მეორე ეზგემპლარი გახლდათ თითქმის კვადრატული ფორმის, ორად გაკეცილი ქაღალდი. პირველი ფურცელი სუფთა იყო, მეორეზე

დიდი გოთური ასოებით ოქროთი მოვარაყებული ტექსტი იყო დაბეჭდილი.

ტექსტი იუწყებოდა:

„კულტურის დარგში მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისათვის გიცხადებთ უღრმეს მადლობას".

— ხომ ლამაზია?

— რა მიზნისათვის დაიბეჭდა ეს?

— წარმოდგენა არა მაქვს. რომელიღაც დიპლომისათვის. ალბათ, ვინმე მოაწერს ხელს. და შემდეგ ვინმეს მისცემენ. დიახ, ალბათ, ასეა.

კომისარმა იენსენმა სახაზავი ამოიღო და პირველი ფურცელი გაზომა. შემდეგ ჯიბიდან პატაკი ამოიღო და ციფრები შეადარა. ისინი ერთმანეთს დაემთხვა.

— საწყობში ასეთი ქაღალდი დაგრჩათ?

— არა, ეს განსაკუთრებული ხარისხისაა, ძალზე ძვირფასია და თუკი დარჩა კიდეც რაიმე, უკვე დიდი ხნის ჩამოწერილი იქნება.

— თან წავიღებ ამ ეგზემპლარს.

— მაგრამ ის ერთადერთია. არქივისათვის გვინდა.

— გასაგებია, — უთხრა კომისარმა.

გამგე დაახლოებით სამოცი წლისა იქნებოდა. დანაოჭებული სახე და უხალისო გამოხედვა ჰქონდა. სპირტის, ტიპოგრაფიული საღებავისა და ყინულკარამელის სუნი ასდიოდა. მეტი მას არაფერი უთქვამს და არც კი დამშვიდობებია იენსენს.

კომისარმა დიპლომი დაკეცა და წამოვიდა.

14

კადრების დარგში დირექტორის კაბინეტი მეცხრამეტე სართულზე იყო. საწერ მაგიდას უჯდა ზონზროხი, ჩასკვნილი კაცი, რომელსაც გომბეშოს მიუგავდა სახე. მას არ ჰქონდა გამომცემლობის დირექტორივით დამუშავებული ღიმილი. რაღაცნაირად ცალყბად იღიმებოდა, გაცილებით საზიზღარ შთაბეჭდილებას ტოვებდა. კადრების უფროსმა უთხრა:

— სიკვდილის შემთხვევები? ნახტომები, რასაკვირველია, იყო ხოლმე.

ნახტომები?

— პო, თვითმკვლელობები. სად არ ხდება ამგვარი რამ?

კამათი ძნელი იყო: ბოლო წელს ქალაქის ცენტრში ორი ფეხით მოსიარულე იმსხვერპლა ზემოდან გადმოვარდნილმა სხეულებმა. რამდენიმე სერიოზულად დაშავდა. ასე გამოიყურებოდა მაღლივი შენებლობის ჩრდილოეთი მხარე.

— თვითმკვლელობების გარდა?

— უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენიმე კაცი მოკვდა, ზოგი — თავისი დღით, ზოგი — უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. საბდიენოდან გამოვითხოვ ამონაწერს.

— გმადლობთ.

— კადრების დარგში დირექტორმა თავს ძალა დაატანა და სახეზე მომხიბლავი ღიმილი გაუკრთა. მერე იენსენს ჰკითხა:

— კიდევ გჭირდებათ ჩემი სამსახური?

— დიახ, — უპასუხა იენსენმა და დიპლომი გაშალა. — რა არის ეს?

დირექტორი ოდნავ შეცბა.

— მისასალმებელი ადრესია, ანდა, უფრო სწორად, მადლობა, მაგ იმათ აძლევდნენ, ვინც დაასრულა თავისი მოღვაწეობა ჩვენს გამომცემლობაში. იაფი როდი ჯდება, მაგრამ ჩვენ გვინდა, ძველ, ერთგულ თანამშრომლებს სასიამოვნო მოგონებები დარჩეთ. ამ დროს კი ხარჯებს ანგარიშს არ უწევენ. ასე ფიქრობს გამომცემლობის ხელმძღვანელობა, და არა მარტო ამ შემთხვევაში, არამედ სხვა ბევრ შემთხვევაშიაც.

— ასეთ ფურცელს ყველას აძლევენ, ვინც კი თქვენგან მიდის?

კადრების მუშაკმა თავი გააქნია.

— რას ბრძანებთ! რასაკვირველია, არა. ეს მეტისმეტად დიდი ზარალი იქნებოდა. ასეთ პატივს ვდებთ მხოლოდ ხელმძღვანელ მოღვაწეებს ან განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ პირებს. ისინი, ვინც ამგვარი წარჩინებული ნიშნით ჯილდოვდებიან, ყოველთვის აკეთებდნენ თავიანთ საქმეებს და ჩვენი გამომცემლობის ღირსეულ წარმომადგენლებად ითვლებოდნენ.

სულ რამდენი ასეთი დიპლომი დაარიგეთ?

— ძალზე ცოტა. ეს ერთ-ერთი ბოლო ნიმუშია. ნახევარი წელი იქნება, რაც დავიწყეთ მისი გამოყენება.

— სად ინახება დიპლომები?

— ჩემს მდივანთან.

— თავისუფლად შეიძლება მათი ნახვა?

კადრების დარგში დირექტორმა შიდა ტელეფონის რომელიღაც ღილაკს თითი დააჭირა.

ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა.

— მიუწვდებათ თუ არა ხელი უცხო პირებს ფორმულიარ პრ-8-ზე?

ქალს შეეშინდა კიდევაც.

— რასაკვირველია, არა. ისინი დიდ სეიფში ინახება და როდესაც ოთახიდან გავდივარ, ყოველთვის ვკეტავ მას.

დირექტორმა ხელის მოძრაობით გაანთავისუფლა მდივანი ქალი და კომისარს უთხრა:

— ამ ქალიშვილის ნდობა შეიძლება. ძალზე პუნქტუალურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გავაჩერებდით.

— იმ პირების სია მჭირდება, ვინც ასეთი ნიშუშის დიპლომი მიიღო.

— ინებეთ, ეს ძნელი არ გახლავთ.

სანამ სიას ადგენდნენ, ორივე მდუმარედ იჯდა. ბოლოს იენსენი შეეკითხა:

— როგორია თქვენი ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობა?

— მე მევალება სარედაქციო და ადმინისტრაციული პერსონალის დაქირავება. ყურადღება უნდა მივაქციო იმას, რომ პერსონალის კეთილდღეობისათვის ყველაფერი შესაძლებელი გაკეთდეს. შემდეგ...

ცოტა ხნით შეჩერდა და თავისი გომბეშოსდარი პირით გაიღიმა. ღიმილი ცივი და ბოროტი ჰქონდა. ერთი სიტყვით, ზედმიწევნით გამოხატავდა მის გრძნობებს.

— შემდეგ, გამომცემლობას უნდა ჩამოვაცილო ისინი, ვინც ბოროტად იყენებს ჩვენს ნდობას და ზომები მივიღო იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის თავს არ უფრთხილდება.

რამდენიმე წამის შემდეგ დაუმატა:

— რასაკვირველია, ასეთ ზომებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მივმართავთ და არც ჰუმანურობას ვღალატობთ. თუმცა, ეს დამახასიათებელია მთელი ჩვენი მუშაობის სტილისათვის.

ოთახში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. იენსენი გაუნძრევლად იჯდა და შენობის ყრუ ხმაურს უგდებდა ყურს.

შემოვიდა მდივანი ქალი და სიის ორი ეგზემპლარი მოიტანა. სიაში თორმეტი გვარი იყო მოხსენიებული. დირექტორმა სწრაფად გადააველო თვალი სიას.

ჩამოთვლილი პირებიდან ორი პენსიაზე გასვლის შემდეგ გარ-

დაიცვალა. ერთი კი საზღვარგარეთ წავიდა. ეს დანამდვილებით ვიცი.

გულის ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო და სამივე გვარის წინ ფაქიზი, მკაფიო ნიშნები დასვა. ამის შემდეგ სია კომისარს გადასცა.

იენსენმა მხოლოდ თვალი გადააგლო. თითოეული გვარის წინ დასმული იყო დაბადების წელი და კიდევ ზოგიერთი სხვა მონაცემი. მაგალითად, „პენსიაზე გაეიდა ვადამდე“ ანდა „წავიდა საკუთარი სურვილით“. იენსენმა ფრთხილად დაკეცა სია და ჯიბეში ჩაიდო.

სანამ იენსენი კაბინეტიდან გამოვიდოდა, მათ კიდევ რამდენიმე ფრაზა უთხრეს ერთმანეთს.

— შეიძლება გკითხოთ, რამ გამოიწვია ასეთი მომეტებული ინტერესი სწორედ ამ საკითხისადმი?

— სამსახურებრივმა დავალებამ, და მე უფლებამოსილი არ გახლავართ, ვიმსჯელო მასზე.

— იქნებ რომელიმე ჩვენი დიპლომი უღირსის ხელში მოსვდა?

— არა მგონია.

ლიფტის კაბინით იენსენთან ერთად კიდევ ორი კაცი ჩამოდიოდა. ორთავე ძალზე ახალგაზრდა იყო, ორთავე სიგარეტს ეწეოდა და ამინდზე საუბრობდა. რაღაცნაირი ნაწვალები და სიტყვაძუნწი ეარგონით მეტყველებდნენ. რომელიც შიფრს უფრო მოჰგავდა, ვიდრე აღამიანის ლაპარაკს.

გაუწაფავი კაცისათვის ძნელი იყო მათი საუბრის გაგება.

მეთვრამეტე სართულზე ლიფტი გაჩერდა და კაბინაში შეფი შემოვიდა. მან დაბნეულად დაუკრა თავი დანარჩენებს და სახით კედლისაკენ მიბრუნდა. ახალგაზრდა ჟურნალისტებმა სასწრაფოდ ჩააქრეს სიგარეტები და ქუდები მოიხადეს.

— წარმოგიდგენია, გაზაფხულია და თოვლი მოვიდა, — ჩურჩულით თქვა ერთმა.

— ძალიან მეცოდება საბრალო ყვავილები, — ლამაზი, დაბალი ხმით წარმოთქვა შეფმა.

მაგრამ ამას რომ ამბობდა, თვალი არ აუწევია და არც მოლაპარაკისათვის შეუხედავს. ისევ იმ პოზაში იდგა, კაბინის ალუმინის კედლისაკენ პირმიქცეული. გზაში ხმა მეტად აღარავის ამოუღია.

იენსენმა პირდაპირ ვესტიბიულიდან დარეკა ლაბორატორიაში.

— როგორაა საქმე?

— მართალი ბრძანდებოდით. ქაღალდზე ვარაყის კვალი აღმოვაჩი-

ნით, ასოებს ქვემოთ, წებოში. საოცარია, თავიდანვე როგორ ვერ შეენიშნეთ.

— სულაც არაფერია გასაოცარი.

15

— სასწრაფოდ დაადგინეთ ამ კაცის მისამართი, — უთხრა კომისარმა იენსენმა.

პატრულის უფროსმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და გავიდა. იენსენი კი მის წინ მაგიდაზე დადებულ სიას დააცქერდა. მაგიდის უჯრა გამოსწია, სახაზავი ამოიღო და ფაქიზად წაშალა სამი გვარი. დანარჩენები ხელახლა გადანომრა პირველიდან მეცხრემდე, სწრაფად დახედა საათს და ზემოდან გარკვევით დააწერა: „ხუთშაბათი. 16 საათი და 25 წუთი". მერე უჯრიდან ახალი ბლოკნოტი ამოიღო და პირველ გვერდზე ჩაწერა: № 1. ხელის მოწერის განყოფილების ყოფილი გამგე. 48 წლისა, ცოლიანი. ავადმყოფობის გამო ვადამდე გავიდა პენსიაზე".

ზუსტად ორი წუთის შემდეგ გამოცხადდა პატრულის უფროსი და მოიტანა მისამართი. იენსენმა გადაიწერა მისამართი, ბლოკნოტი დახურა, გულის ჯიბეში ჩაიდო და წამოდგა.

— დანარჩენებზეც შეკრიბეთ ცნობები. რომ დავბრუნდები, ყველაფერი მზად უნდა იყოს.

უკან მოიტოვა მაღაზიებითა და დაწესებულებებით გადატვირთული ქალაქის ცენტრი, მანქანების უწყვეტ დინებას შეერია, გაიარა პროფკავშირების მოედანი და გზა განაგრძო. ავტომობილები მიქროდნენ ფართო გზატკეცილზე, რომელიც სამრეწველო რაიონებს აკავშირებდა საცხოვრებელ მასივებთან, სადაც ერთფეროვან კოლონებად აღმართულიყო ათასობით მრავალსართულიანი სახლი.

ჩამავალ მზის სინათლეზე მკაფიოდ ისახებოდა გამონაბოლქვი აირების ფენა. სისქით დაახლოებით თხუთმეტი მეტრი იქნებოდა და ქალაქზე შხამიანი ნისლივით ჩამოწოლილიყო. რამდენიმე საათის წინ იენსენმა ორი ფინჯანი ჩაი შესვა და ოთხი ორცხობილა მიაყოლა. ახლა მარჯვენა ნეკნებქვეშ ტკივილი იგრძნო. სტკიოდა მძიმედ, თავის მომაბეზრებლად, თითქოს ბურღი დაბალი სიხშირით ბრუნავს და რბილ ქსოვილში ერჭობაო. მაგრამ ტკივილი შიმშილს არ ავიწყებდა, ჭამა ძველებურად უნდოდა.

კიდევ რამდენიმე მილი რომ გაირა, ძველი, ჩამოფხავებული სახ-

ლების წყება გამოჩნდა. მოუელელ ნარგავებში გზისპირა ბოძებიანით წამოყუდებულიყვნენ. ბათქაში ადგილ-ადგილ ჩამოცვენილიყო და გაეშიშვლებია ბეტონის უსწორმასწორო პანელები. ბეჭერ ფანჯარაში არ იყო მინა.

მას შემდეგ, რაც ათიოდე წლის წინ მთავრობამ ერთნაირი, სტანდარტულბინებიანი მრავალსართულიანი სახლების სერიული მშენებლობა დაიწყო და ამის წყალობით საბინაო კრიზისის გაფაქრა შეძლო, ძველი რაიონები ერთბაშად გაუკაცრიელდა. ამჟამად გარეუბნებში მთელი საცხოვრებელი ფართის მესამედი თუ იყო დასახლებული. დანარჩენი ბინები ცარიელი გახლდათ და ისევე, როგორც თვითონ სახლები, ბინებიც უვარგისი ხდებოდა საცხოვრებლად. ახლა, როდესაც ეს სახლები არარენტაბელური გახდა, მათ რემონტსა და შენარჩუნებაზე არავინ ზრუნავდა. თანაც, მეტისმეტად უხარისხოდ იყო აშენებული და უფრო სწრაფად ინგრეოდა, ვიდრე ამას მოელოდნენ. მრავალი ფირმა გაკოტრდა და გაუქმდა, სხვები საერთოდ მიატოვეს მფლობელებმა, ხოლო მას შემდეგ, რაც სტატისტიკამ დაადგინა, ყოველ ადამიანს საკუთარი მანქანა უნდა ჰყავდესო, არავითარი ტრანსპორტი არ აკავშირებდა ამ რაიონს ცენტრთან. სახლების ირგვლივ, გაუვალ ბუჩქნარში მანქანების ნაწილები და ცელოფანის პაკეტები ეყარა.

კომუნალურ საქმეთა სამინისტრომ კარგა ხანია გადაწყვიტა, რომ მიტოვებული სახლები, ბოლოს და ბოლოს, თავისთავად დაინგრეოდა და ქალაქის განაპირა უბნები განსაკუთრებული ხარჯის გარეშე ავტომატურად გადაიქცეოდა სანაგვედ.

იენსენმა გზატკეცილიდან გადაუხვია, ხიდი გადაიარა და აღმოჩნდა წაგრძელებულ და ძალზე გამწვანებულ კუნძულზე, სადაც ღია საცურაო აუზები, ჩოგბურთის მოედნები, საცხენოსნო ბილიკები და ნაპირებს გასწვრივ თეთრი ვილები იყო ჩამწკრივებული. რამდენიმე წუთის შემდეგ სიჩქარეს უკლო, მარცხნივ გადაუხვია, თუჯის მაღალ ჭიშკარს ჩაუარა და სადარბაზოსთან შეჩერდა.

დიდი და მდიდრული ვილა გახლდათ. თვალისმომჭრელად კრიალა მინის ფასადი გამომწვევი ფუფუნების შთაბეჭდილებას აძლიერებდა. შესასვლელთან სამი მანქანა იდგა. ერთ-ერთი მათგანი, დიდი, მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი, რომელიღაც საზღვარგარეთული მარკისა, წლის უკანასკნელი მოდელი იყო.

იენსენი პარმაღზე ავიდა, ფოტოელემენტს რომ ჩაუარა, სახლიდან მელოდიური წკრიალი მოისმა. შავ კაბასა და გახამებულ მაქმანე-

ბიან წინსაფარში გამოწყობილმა ახალგაზრდა ქალმა მის წინ კარი გააღო. სთხოვა, მოითმინეთო და სახლში მიიმალა. რამდენადაც ერთი თვალის გადავლებით შეეძლო ემსჯელა — ვესტიბიულისა და მთელი სახლის მორთულობა ულტრათანამედროვე და უსახო იყო. აქაც ისეთივე ცივი ელეგანტურობა სუფევდა, როგორიც გამომცემლობის დირექტორების კაბინეტებში.

ვესტიბიულში, იენსენის გარდა, ცხრამეტიოდე წლის ბიჭიც იყო. ფეხებგაჭიმული იჯდა ლითონის მილებისაგან გაკეთებულ სავარძელში და უაზროდ იყურებოდა წინ.

ის, ვისი გულისთვისაც იენსენი აქ მოვიდა, მზეზე გაშავებული, ლურჯთვალა, გვარიანად ჩასუქებული მამაკაცი აღმოჩნდა, სახეზე ქედმაღლური გამომეტყველება აღბეჭდოდა. სპორტული შარვალი, სანდლები და მსუბუქი ქსოვილისაგან შეკერილი ელეგანტური კურტაკი ეცვა.

— რა მოხდა? — იკითხა მან და მოიღუშა. — სრულებით არა მცალია

იენსენმა მისკენ ნაბიჯი გადადგა და თავისი ნიშანი აჩვენა.

— ჩემი გვარია იენსენი. მეთექვსმეტე უბნის კომისარი გალხავართ. ვაწარმოებ ძიებას, რომელიც თქვენს ყოფილ თანამდებობასა და სამუშაო ადგილს ეხება.

მასპინძელს სახის გამომეტყველება და პოზა წამში შეეცვალა. მან დაბნეულად შეინაცვლა ფეხი და ერთბაშად დაიძაბა. თვალები მოუსვენრად აუთამაშდა.

— ღვთის გულისათვის, — წაიბუტბუტა მან, — ოღონდ, აქ არა... არა... წამობრძანდით ჩემს... ანდა, ყველაფერს ჯობია, ბიბლიოთეკაში წავიდეთ. თითქოს უნდა იენსენის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოსო, რაღაც გაურკვეველი ჟესტი გააკეთა და წარმოთქვა: — ეს ჩემი ვაჟიშვილია.

სავარძელში მჯდარმა ახალგაზრდამ უკმაყოფილოდ გადმოხედა.

— არ გინდა შენი ახალი მანქანით გაისეირნო, გამოსცადო? — შეეკითხა კურტაკიანი კაცი.

— ეს ვითომ რატომ?

— ისე, ქალიშვილები გაასეირნე და საერთოდ...

— სართი, — უთხრა ბიჭმა და სივრცეს მიაშტერდა.

— ვერაფერი გამიგია ახლანდელი ახალგაზრდობისა, — ნაძალადევად გაიღიმა კურტაკიანმა კაცმა.

იენსენმა ხმა არ გასცა და მასპინძელსაც ღიმილი მაშინვე გაუქრა.

ბიბლიოთეკაში — დიდ ნათელ ოთახში — რამდენიმე კარადა და ბალი სავარძელი იდგა, წიგნები საერთოდ არ ჩანდა. მაგიდაზე ჟურნალები ეწყო.

ოჯახის უფროსმა კარი მჭიდროდ მიხურა და მომსვლელს მაევდრებელი მზერა მიაპყრო. იენსენი არ აღელვებულა, ისევ ისე სერიოზული გახლდათ. მერე ოჯახის უფროსმა ნერვული კანკალი დაძლია, ერთ-ერთ კარადასთან მივიდა, სელტერის წყლის დასალევი ჭიქა გამოიღო, თითქმის ბოლომდე არყით გააესო და სულმოუთქმელად გადაკრა. კიდევ ერთხელ დაისხა, იენსენს შეხედა და წაილულღლუღა:

— ახლა უკვე ყველაფერი სულ ერთია... შემთხვევით თქვენც ხომ არ ინებებთ... თუმცა, რას გეკითხებით... მაპატიეთ... გამიგეთ, ნერვებმა მიმტყუნა. — ეს თქვა და ერთ-ერთ სავარძელში ჩაენარცხა.

იენსენი კვლავ ფეხზე იდგა. ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო. ოჯახის უფროსს ოფლისაგან სახე უპრიალებდა და ოთხად დაკეცილი ცხვირსახოცით წამდაუწუმ იწმენდდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — დაიკვნესა მან. — ეს ეს განვეკვრიტე, თავიდანვე განვეკვრიტე. ვიცოდი, არჩევნების დამთავრებისთანავე ის ქვეწარმავლები ზურგში დანას ჩაჭიმენ. მაგრამ მე წინააღმდეგობას გავუწევ, — უეცრად ის ავარდა. — რასაკვირველია, ისინი ყველაფერს ჩამომართმევენ, მაგრამ მე ზოგი რამ ვიცი. ბევრი რამ, რის შესახებ მათ წარმოდგენაც კი...

იენსენი თვალს არ აცილებდა.

— რა ალარ არის, — ვანაგრძობდა მასპინძელი, — ისეთი ციფრებიც არის, რომელთა ახსნაც გაუჭირდებათ. იცით, რა გადასახადს იხდიან ან რა ხელფასს უხდიან კონსულტანტებს, იცით? სინამდვილეში სად მსახურობენ ის იურისტები. იცით? — აღელვებულმა თითები შეიყო შეთხელებულ თმაში და ნაღვლიანად დაუმატა: — თქვენ, რასაკვირველია, მაპატიებთ.. .არ მინდოდა... ეს მხოლოდ გააუარესებს ჩემს მდგომარეობას... — უცებ მის ხმაში მბრძანებლური ტონი გაისმა: — ბაინც, რატომ დამკითხავთ ჩემს საკუთარ სახლში? ალბათ, ისედაც ყველაფერი იცით. რატომ დგახართ ფეხზე? რატომ არ დაჯდებით?

იენსენი ისევ იდგა და ძველებურად ხმას არ იღებდა.

ოჯახის უფროსმა მეორე ჭიქა დაცალა და წკრიალით დადო. მაგიდაზე. ხელები უკანკალებდა.

— აბა, იმოქმედეთ, იმოქმედეთ, — უთხრა ბედსდაძორჩილებულ-

მა. — მაშასადამე, ვერაფერს გავაწყობ, მაშასადამე, მომიწევს ყოველივე ამის მიტოვება.

ის კიდევ ერთხელ მივიდა კარადასთან, ჭიქა აიღო და ისევ გადაჭკრა.

იენსენმა ბლოკნოტი გაშალა და ავტოკალმისტარი ამოიღო.

— როდის წამოხვედით იქიდან? — შეეკითხა მასპინძელს.

— შემოდგომაზე. ათ სექტემბერს. იმ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ. ვერც იმ დროს, ამ ამბავს რომ წინ უძღოდა. საშინელი დრო იყო. დღევანდელს არაფრით ჯობდა.

— პენსიაზე ვადამდე ადრე გახვედით?

— აბა, ერთი გეცადა და ნუ გახვიდოდი. მაიძულეს. კარგი დამოკიდებულებით და მეტი სხვა არაფრის გამო. სამედიცინო დასკვნაც კი მაქვს. ყველაფერი გაითვალისწინეს. მითხრეს, გულის მანკი გაქვსო. „გულის მანკი" — ეს მესმის. თუმცა, სინამდვილეში ხარივით ჯანმრთელი ვიყავი.

— რამდენი გაქვთ პენსია?

— ერთი თვის ხელფასი. დღემდე ასე ვღებულობ. ღმერთო ჩემო, ეს ხომ გროშებია იმ თანხასთან შედარებით, საგადასახადო ინსპექტორებს რომ უხდიან. სიტყვამ მოიტანა და, რა დროსაც უნდათ, იმ დროს შემიწყვეტენ პენსიას. მე ხომ ხელი მოვაწერე ქაღალდს.

— რა ქაღალდს?

— ისინი ამას ახსნა-განმარტებით ბარათს უწოდებენ. ეს არის თავისებური აღიარება. ალბათ წაკითხული გექნებათ. უარს ვამბობ მთელ ფულად შემოსავალსა და ამ სახლზე, სადაც ვიმყოფებით. დამარწმუნეს, ეს სუფთა წყლის ფორმალობაა, ძალზე უკიდურესი აუცილებლობა თუ არ იქნა, არასდროს გამოვიყენებთ ამ ბარათსო. მე, რასაკვირველია, ჩემს დღეში არ მქონია ილუზიები. ოღონდ ვფიქრობდი, რომ უკიდურესი აუცილებლობა ასე მალე არ დადგებოდა. დიდხანს ვარწმუნებდი თავს, ჩემს პასუხისმგებლობაში მიცემას ვერ გაბედავენ-მეთქი. არ დაიწყებდნენ ღია სასამართლო გამოძიებას, არ მოაწყობდნენ სკანდალს. მე მათ ანკესზე ვარ წამოცმული, ხოლო ეს ქონება, — ხელი ირგელივ შემოავლო, — ერთი შეხედვით რა დიდიც უნდა გეჩვენოთ თანხა, ყველა ხარჯს დაფარავს.

— უფრო ზუსტად?

— დაახლოებით მილიონია. მითხარით, აუცილებლად უნდა გავიხსენო? ზეპირად... და აქ... ჩემს სახლში?

— მთლად ნაღდი ფულით?

— არა, დაახლოებით ნახევარი. და ისიც მრავალი წლის განვადებით. მეორე ნახევარი კი...

— დიახ, დიახ.

— მეორე ნახევარი გადაიხადეს სამშენებლო მასალით, ტრანსპორტით, მუშახელით, ქაღალდით, კონვერტებით... იმ პარაზიტმა ყველაფერი მიათვალა, სანაძლეოს ვდებ, წებო, სამაგრები და საქაღალდეების ზონარებიც არ დავიწყებია.

— ვინ?

— ვინ და, იმ არამზადამ, ვინც ეს ამბავი გააფორმა. მათთვის გამორჩევით საყვარელი ადამიანი, მათი ერთგული ნაგაზი, ბატონი გამომცემლობის დირექტორი. თვითონ ისინი თვალით არ მინახავს. დირექტორმა მითხრა, მათ არ სურთ ხელების დასვრაო და არავის არაფერი შეუტყვია. დირექტორმა მითხრა, ეს კონცერნს აუნაზღაურებელ ზარალს მიაყენებდაო. სწორედ არჩევნების წინა პერიოდი გახლდათ. ეხვდებოდი, რომ მათთვის მთავარი იყო მოთმინებით დაეცადათ, ვიდრე არჩევნები ჩატარდებოდა.

მასპინძელი ლაპარაკობდა, თან სახეს გამუდმებით ცხვირსახოცით იწმენდდა. ცხვირსახოცი უკვე მთლად დასველდა და განაცრისფრდა.

— მე რას მიპირებთ?

— სამსახურს თავი რომ დაანებეთ, გადმოგცეს დიპლომი, ერთგვარი მისასალმებელი ადრესი?

ოჯახის უფროსი შეკრთა.

— მართლაც, — უხალისოდ თქვა მან.

— მაჩვენეთ, გეთაყვა.

— ახლავე?

— დიახ, ახლავე.

ოჯახის უფროსი ბარბაცით წამოდგა. სახე დაიწყნარა და ოთახიდან გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა, ხელში დიპლომი ეჭირა. დიპლომი ოქროს ჩარჩოში, მინის ქვეშ იყო ჩასმული. მას ხელს აწერდა შეფი და გამომცემელი.

— კიდევ ერთი ფურცელი უნდა იყოს, სადაც არაფერი არ წერია. სად წაიღეთ?

ოჯახის უფროსი დაბნეული მიაშტერდა იენსენს.

— წარმოდგენა არა მაქვს. ალბათ, გადავაგდე. მახსოვს, როდესაც ჩარჩო შევუკვეთე, ჩამოვჭერი.

— უფრო ზუსტად ვერ მეტყვით?

— არ ვიცი, მაგრამ ალბათ მართლა გადავაგდე. დიახ, დიახ, ახლა მახსენდება. ჩამოვჭერი და გადავაგდე.

— მაკრატლით?

— აბა სხვა რით. რასაკვირველია, მაკრატლით.

მან დიპლომს დახედა და ხელი აიქნია.

— როგორ მომატყუილეს! — ამოიკვნესა მან. — რა საზიზღარი პირფერობაა, რა უნამუსოდ მომატყუეს!

— დიახ, — დაეთანხმა იენსენი.

მან ბლოკნოტი დახურა, ჯიბეში ჩაიდო და წამოდგა.

— ნახვამდის.

ოჯახის უფროსმა თვალები გადმოკარკლა.

— როდის... დაბრუნდებით?

— არ ვიცი, — უთხრა იენსენმა.

ამ ხნის განმავლობაში ბიჭს პოზა არ შეუცვლია, მაგრამ ახლა ჟურნალში ჰოროსკოპებს დასცქეროდა და ცოტა არ იყოს დაინტერესებულიც ჩანდა.

იენსენი უკან რომ ბრუნდებოდა, გარეთ უკვე ბნელოდა და მიტოვებულ დასახლებებში სახლები უღრანი ტყის შავი აჩრდილებივით გამოიყურებოდნენ.

იენსენმა არც კი შეიარა სამსახურში, პირდაპირ სახლში წავიდა. გზად მხოლოდ კაფეში შეუხვია და თუმცა იცოდა, რა დღეც დაადგებოდა, სამი ბუტერბროდი შეჭამა და ერთი ფინჯანი შავი ყავა დააყოლა.

დამთავრდა მეოთხე დღე.

16

ტელეფონმა მანამ დარეკა, სანამ იენსენი ჩაცმას მოასწრებდა. მაღვიძარა შვიდის ხუთ წუთს უჩვენებდა, იენსენი საბაზანოში სარკის წინ იდგა და წვერს იპარსავდა. ღამით საშინლად მოაბეზრა თავი ტკივილმა. ახლა ცოტა დაუყუჩდა, მაგრამ გული მაინც ერეოდა.

მაშინვე მიხვდა, რომ სამსახურიდან ურეკავდნენ. კერძო საუბრი-

სათვის არც თვითონ იყენებდა ტელეფონს და არც სხვებს აძლევდა ამის უფლებას.

— იენსენ! — წამოიყვირა პოლიციის უფროსმა. — სად ჯანდაბაში დადიხართ?

— ჩვენს განკარგულებაში კიდევ სამი დღეა.

— მთლად ზუსტად ვერ გამოვთქვი ჩემი აზრი.

— ეს-ესაა დაკითხვები დავიწყე.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თქვენი ტემპები არ მაქვს მხედველობაში.

ეს ერთ-ერთი იმ ფრაზათაგანი იყო, რომელზედაც არ იცი რა უპასუხო.

უფროსმა ხრინწიანად ჩაახველა.

— ჩვენდა საბედნიეროდ, საკითხი უჩვენოდ მოგვარდა.

— მოგვარდა?

— დიახ, მათ თვითონვე მოძებნეს დამნაშავე.

— ვინ არის?

— კონცერნის ერთ-ერთი თანამშრომელი. როგორც თავიდანვე ვვარაუდობდით, ყველაფრის მიზეზი სულელური ხუმრობა იყო. იხუმრა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ჟურნალისტმა. თუ ყველაფერს გავითვალისწინებთ, ძალზე უწესრიგო, ყოველგვარი სულელური იდეებით შეპყრობილი ახალგაზრდა გახლავთ. საერთოდ კი სანდომიანი ჭაბუკია. თავიდანვე მასზე ჰქონდათ ეჭვი, თუმცა არც კი იზრუნეს, რომ ჩვენთვის შეეტყობინებინათ.

— გასაგებია.

— ალბათ არ უნდოდათ შეუმოწმებელი ეჭვების გამოთქმა.

— გასაგებია.

— ასეა თუ ისე, ინციდენტი ამოწურულია. გადაწყვიტეს, მის წინააღმდეგ საქმე არ აღძრან, ზარალს შეურიგდნენ და დიდსულოვნება გამოიჩინეს. თქვენგან ერთი რამეა საჭირო: ჩვენება უნდა ჩამოართვათ დამნაშავეს და შეგიძლიათ წერტილი დაუსვათ ამ საქმეს.

— გასაგებია.

— მე მაქვს მისი გვარი და მისამართი. ჩაიწერეთ.

იენსენმა პატარა თეორი ბარათის მეორე მხარეს დაწერა გვარი და მისამართი.

— ვფიქრობ, თქვენთვის უკეთესი იქნება, თუ ამ საქმეს რაც შეიძლება სწრაფად მოიცილებთ თავიდან.

— დიახ.

— მერე ყველაფერს ჩვეულებრივი წესით გააფორმებთ. გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში ისინი მოისურვებენ ძიების მასალებს გაეცნონ.

— გასაგებია.

— იენსენ!

— გისმენთ.

— საწყენად ნურაფერი დაგრჩებათ. ძალიანაც კარგია, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა. რასაკვირველია, კონცერნის თანამშრომლებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ საქმის გასახსნელად. პერსონალს ზედმიწევნით იცნობენ, შინაური საქმეები უკეთ მოეხსენებათ და ეს მათ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა.

იენსენი დუმდა. უფროსი ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა.

— და კიდევ ერთი, — უთხრა მან.

— გისმენთ.

— თავიდანვე გითხარით, რომ თქვენი ამოცანაა — ანონიმური წერილის ამბავი გაარკვიოთ, ხომ ასეა?

— მითხარით.

— სხვანაირად რომ ვთქვათ, არ უნდა მიაქციოთ ყურადღება ძიების დროს ამოტივტივებულ ყოველგვარ მეორეხარისხოვან დეტალებს. იმ ხუმარას ჩამოართმევთ თუ არა ჩვენებებს, შეგიძლიათ საქმე დახურულად ჩათვალოთ და დაივიწყოთ ყველაფერი, რაც კი მასთანაა დაკავშირებული. გასაგებია?

— გასაგებია.

— ჩემი აზრით, ეს ამბავი ყველასათვის სასიამოვნოდ დასრულდა, როგორც უკვე გითხარით, არც მე და თქვენა ვართ გამონაკლისი.

— გასაგებია.

— ჰოდა, კარგი. ნახვამდის.

იენსენმა ყურწილი დაჰკიდა, საბაზანოში დაბრუნდა. მეორე ლოყაც გაიპარსა, ერთი ფინჯანი თაფლიანი ცხელი წყალი დალია და დილის გაზეთი წაიკითხა. ყველაფერი აუჩქარებლად გააკეთა.

თუმცა მოძრაობა ჩვეულებრივზე ინტენსიური არ იყო, იენსენი დაბალი სიჩქარით მიდიოდა, როცა თავის უბანთან მიაღწია და მანქანა სადგომზე მიიყვანა, საათი უკვე ათის ნახევარს უჩვენებდა.

მთელი საათი ისე უჯდა მაგიდას, რომ არც პატაკებში ჩაუხედავს და არც მისამართების მომზადებულ სიაში. შემდეგ გამოიძახა პატრულის უფროსი, თეთრი ბარათი გადასცა და უთხრა:

— ამ პირის შესახებ შეაგროვეთ ცნობები. ყველაფერი, რაც კი შეიძლება. და თანაც სწრაფად.

ის დიდხანს იდგა ფანჯარასთან და უყურებდა როგორ უკეთებდნენ პოლიციელები დეზინფექციას საკნებს. სანამ ისინი მუშაობას დაამთავრებდნენ, მწვანე ფორმაში ჩაცმულმა ორმა პოლიციელმა პირველი ლოთი მოიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ დარეკა იმ პოლიციელმა, რომელიც ფოსტაში მიაელინეს.

— სადა ხართ?

— პერიოდული გამოცემების ცენტრალურ არქივში.

— არის რაიმე შედეგი?

— არავითარი. გავაგრძელო?

— განაგრძეთ.

ერთი საათის შემდეგ სამოქალაქო პატრულის უფროსი დაბრუნდა.

— მომახსენეთ.

— ოცდაექვსი წლისაა. ცნობილი კომერსანტის შვილია. ოჯახი ითვლება ძალზე შეძლებულად. დროდადრო თანამშრომლობს ყოველკვირეულ ჟურნალებში. მიღებული აქვს კარგი განათლება. უცოლოა. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით თვით შეფები უწევენ პროტექციას, როგორც ჩანს საგვარეულო ნაცნობობის გამო. ხასიათი... — მან შუბლი შეიჭმუხნა და თითქოს საკუთარ ნაწერს ვერ არჩევსო, ყურადღებით დააცქერდა ჩანაწერს. მერე განაგრძო: — მერყეები, ფიცხი, მომხიბლავი, აქვს იუმორის გრძნობა, ხშირად საკმაოდ გაბედული ხუმრობაც სჩვევია. ცუდი ნერვების პატრონია, არასაიმედოა, სწრაფად იღლება. შვიდჯერ ჰქონდა გადაბმული ლოთობის შემთხვევა, ორჯერ იძულებით მკურნალობდნენ ლოთობისაგან... ერთი სიტყვით, უიღბლო კაცის პორტრეტია, — დაამთავრა თავისი მოხსენება პატრულის უფროსმა.

— საკმარისია, — უთხრა იენსენმა.

პირველის ნახევარზე უბრძანა, მისთვის ბუფეტიდან მოეტანათ ორი თოხლო კვერცხი, ერთი ფინჯანი ჩაი და სამი თეთრი ორცხობილა. ისაუზმა, ჩაიცვა კიტელი, დაიხურა ქუდი, ჩავიდა დაბლა, ჩაჯდა მანქანაში და სამხრეთისაკენ წავიდა.

ბინას, რომელიც მიასწავლეს, ჩვეულებრივი შემოსავლიანი სახლის მესამე სართულზე მიაგნო. ზარზე არავინ არ გამოვიდა. ყური დაუგდო და მოეჩვენა, რომ კარს მიღმა გიტარის ოდნავ გასაგონი ხმა მოისმოდა. წუთით შეიცადა, მერე კარის სახელური გადაატრიალა. კარი ღია იყო

და იენსენი ბინაში შეეიდა. ბინა სტანდარტული აღმოჩნდა: ორი ოთახი, წინა ოთახი და სამზარეულო ჰქონდა. პირველი ოთახის კედლები შიშველი იყო, ფანჯრებზე ფარდები არ ეკიდა. ოთახის შუაში იდგა სკამი, სკამის გვერდით, იატაკზე — კონიაკის ცარიელი ბოთლი. სკამზე შიშველი მამაკაცი იჯდა და გიტარაზე უკრავდა.

მამაკაცმა თავი ოდნავ დახარა და მომსელელს შეხედა, მაგრამ დაკვრა არ შეუწყვეტია და არც არაფერი უკითხავს.

იენსენი მეორე ოთახში გავიდა. იქაც ასევე — არც ავეჯი, არც ნოხები, არც ფარდები არ ჩანდა. მაგრამ სამაგიეროდ იატაკზე რამდენიმე ბოთლი და ტანისამოსის გროვა ეყარა. კუთხეში, ლეიბზე ქალს ეძინა. ზემოდან ზეწარი და საბანი ეფარა. ცხვირი ბალიშში ჩაერგო. ერთი ხელი იატაკზე ჩამოეგდო და სწორედ გაწვდილი ხელის მანძილზე სიგარეტები, ყავისფერი ჩანთა და საფერფლე ეწყო. ოთახში მძიმე ჰაერი იყო, შმორის, სპირტის, თამბაქოსა და აღაჩიანის სხეულის სუნი იდგა.

იენსენმა ფანჯარა გააღო.

ქალმა თავი ასწია და უაზროდ შეხედა მას.

— ვინა ხართ? — შეეკითხა ის. — რა ჯანდაბა გინდათ აქ?

— ჩიტუნავ, ეს პოლიციის აგენტია, რომელსაც მთელი დღე ვეღოდით! — მეორე ოთახიდან გამოსძახა გიტარისტმა. — პოლიციის ცნობილი აგენტი, რომელიც ჩვენს გამოსააშკარავებლად მოვიდა.

— წავიდეს ერთი... — თქვა ქალმა და ისევ ბალიშსე დადო თავი.

იენსენი ლეიბს მიუახლოვდა.

— წარმომიდგინეთ თქვენი პირადობის მოწმობა, — უთხრა მან.

— ჯანდაბამდე გზა გქონია... — თქვა ნახევრადმძინარე ქალმა ისე, რომ ბალიშიდან თავი არ აუწევია.

იენსენი დაიხარა, ჩანთა აიღო, ცოტა ხანი ეძება და პირადობის მოწმობა იპოვა. დახედა ანკეტურ მონაცემებს: ცხრამეტი წლისაა. მარჯვენა ზედა კუთხეში დაინახა ორი წითელი ჩანანიშნი. თუმცა კი აშკარად უცდიათ მისი წაშლა, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანდა. ორი ჩანანიშნი ლოთობისათვის ორ მიყვანას ნიშნავდა. მესამის შემდეგ იძულებით მკურნალობაზე აგზავნიდნენ.

იენსენი ბინიდან გამოვიდა და კარიდან გიტარისტს გასძახა:

— ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ დავბრუნდები. კეთილი ინებეთ, და ამ დროისათვის ჩაცმული დამხვდით.

მანქანასთან ჩავიდა და რადიოტელეფონით პოლიციის მანქანა გამო-

იძახა. ავტობუსი სამი წუთის შემდეგ მოვიდა და იენსენი ორ პოლიციელთან ერთად ბინაში შევიდა. ამ დროის განმავლობაში გიტარისტს შარვლისა და პერანგის ჩაცმა მოესწრო. ფანჯრის რაფაზე იჯდა და თამბაქოს ეწეოდა. ქალს ისევ ეძინა.

ერთ-ერთმა პოლიციელმა ალკოჰოლის ტესტერი ამოიღო, ბალიშიდან ქალს თავი აუწია და პირში ხელსაწყოს მილაბრა ჩასჩარა.

— ჩასუნთქეთ. — უბრძანა მან.

რეზინის ბუშტში პატარა კრისტალი მაშინვე გამწვანდა.

— ჩაიცვით, — უთხრა პოლიციელმა.

ქალს მაშინვე გაეღვიძა, წამოჯდა და აკანკალებული ხელებით ზეწარი მკერდზე აიფარა.

— არა, — უთხრა მან, — თქვენ ვერ გაბედავთ. არაფერი ჩამიდენია. მე აქ ვცხოვრობ. არა, ვერ გაბედავთ, ნუ, ღვთის გულისათვის, ნუ იზამთ ამას.

— ჩაიცვით, — გაიმეორა ხელსაწყოიანმა პოლიციელმა და ფეხსაცმლის წვერით ტანსაცმელი მის ლოგინთან მისწია.

— არ მინდა! — დაიყვირა ქალმა და ტანსაცმელი თითქმის კარამდე მიყარა.

— საბანში გაახვიეთ, — ბრძანა კომისარმა იენსენმა, — და რაც შეიძლება, მარდად!

ქალი სწრაფად, უსიტყვოდ, შეშინებული შემოტრიალდა მისკენ. მარჯვენა ლოყა ბალიშზე წოლისაგან გასწითლებოდა, შავი, მოკლედ შეკრეჭილი თმა ასჩეჩოდა.

იენსენი მეორე ოთახში გავიდა. მეგიტარე ისევ რაფაზე იჯდა. ქალი გულისწამღებად ტიროდა და ალბათ ეურჩებოდა პოლიციელებს. მაგრამ ყოველივე ამას ძალზე ცოტა დრო დასჭირდა. ორიოდე წუთის შემდეგ პოლიციელებმა გაიმარჯვეს და წაიყვანეს ქალი. იენსენმა დრო საათზე დანიშნა.

— ნუთუ ეს ასე აუცილებელი იყო? — რაფიდან არ წამომდგარა, ისე იკითხა კაცმა.

— მაშ, თქვენ დაწერეთ წერილი? — შეეკითხა იენსენი.

— ჰო, ხომ ვაღიარე. ეშმაკმა დალახვროს, კარგა ხანია ვაღიარე.

— როდის გააგზავნეთ?

— კვირას.

— დღის რომელ მონაკვეთში?

— საღამოს. ზუსტად არ მახსოვს.

— ცხრა საათამდე, თუ შემდეგ?

— მგონი ცხრის შემდეგ. აკი გითხარით, ზუსტად არ მახსოვს-მეთქი.

— სად დაწერეთ წერილი?

— სახლში.

— აქ?

— არა, მშობლებთან.

— როგორ ქაღალდზე?

— ჩვეულებრივ თეთრ ქაღალდზე.

მის ხმას სიმტკიცე მოემატა და იენსენს თითქოს აგდებულადაც კი გახედა.

— მანქანის ქაღალდზე?

— არა, უფრო უკეთესზე. რომელიღაც დიპლომის ნახევზე.

— სად აიღეთ?

— ცხადია სად, რა თქმა უნდა, გამომცემლობაში, იქ ბლომად ყრია ისინი. ვინც საკუთარი სურვილით მიდის, ანდა გააპანღურებენ, წასვლისას ასეთ დიპლომებს ურიგებენ ხოლმე. აგიწეროთ, როგორია?

— არ ღირს. სად იპოვეთ?

— ხომ გითხარით, გამომცემლობაში-მეთქი.

— უფრო ზუსტად?

— ეგდო, გასაგებია? ეგდო. ალბათ, ნიმუშისათვის, ანდა კიდეე სხვა საქმისთვის დასჭირდათ.

— მაგიდაზე?

— შეიძლება, მაგიდაზეც, — ერთხანს ჩაფიქრდა. — იქნებ, თაროზე, არ მახსოვს.

— რიდის მოხდა ეს?

— რამდენიმე თვის წინ. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ თითქმის არაფერი არ მახსოვს. ღმერთმანი. შემიძლია ერთი რამ გითხრათ: წელს არა.

— და თან წაიღეთ?

— ჰო.

— გასართობად?

— არა, მინდოდა ერთი კარგი ბენცი მომეწყო.

— რა მოგეწყოთ?

— რა და, ბენცი. ესეც ერთგვარი ხუმრობაა. ძველებური გამოთქმაა.

— მაინც, სახელდობ. როგორი ხუმრობაა?

— მრავალნაირი შეიძლება იყოს! მოგონილი გვარით ხელის მოწერა, პირველ გვერდზე შ/შველი გოგოს მიწებება და რომელიმე იდიოტისათვის გაგზავნა.

— როდის მოგივიდათ წერილის დაწერის იდეა?

— კვირას. საქმე არაფერი მქონდა. ჰო, გადავწყვიტე პატარა ალიაქოთი მომეწყო. მხოლოდ გართობის მიზნით. არც კი მეგონა, რომ სერიოზულად მიიღებდნენ ამას.

თანდათან მისი ხმა მტკიცე და დამაჯერებელი ხდებოდა. მაგრამ უცებ ვედრებით დაამატა:

— აბა, საიდან ვიცოდი, რომ ასეთი მიქარვა გამოვიდოდა? აზრადაც არ მქონია.

— რომელი წებო იხმარეთ?

— ჩემი, საკუთარი. ჩვეულებრივი წებო.

იენსენმა თავი დაუქნია.

— მაჩვენეთ თქვენი პირადობის მოწმობა.

მამაკაცმა მაშინვე ამოიღო მოწმობა. პირადობის მოწმობაზე ექვსი წითელი ნიშანი ჩაერტყათ და ყველა ლურჯით გადაეშალათ.

— ჩემს დაკავებას აზრი არა აქვს. ისედაც სამჯერ უკვე მიმკურნალეს იძულებითი წესით.

იენსენმა საბუთი დაუბრუნა.

— ის კი ჯერ არ ყოფილა სამკურნალოდ, — დაუმატა მეგიტარემ და თავით მეორე ოთახის კარისაკენ მიუთითა. — თუ გამოვიძიებთ, თვითონ ხართ ყველაფერში დამნაშავე. ჩვენ წუხანდლიდან გელოდებოდით, აბა, რა უნდა გვეკეთებია? უსაქმოდ ჯდომას ვერ ვიტან. საბრალო გოგონა.

— თქვენი საცოლეა?

— მგონი, ასეა.

— აქ ცხოვრობს?

— ჰო, წესიერი, გულითადი გოგოა, ოღონდ ბევრს ვცოდვილობ მასთან. ცოტათი მოძველებული შეხედულებები აქვს. ტემპერამენტს კი ნუ იკითხავთ — ნამდვილი გრიგალია, ოღონდ თუ გესმით, რა მაქვს მხედველობაში.

იენსენმა თავი დაუქნია.

— მითხარით, ბიძაჩემი რომ არა... ისინი ასეთი შემწყნარებლები

რომ არ ყოფილიყვნენ და სარჩელი არ მოეხსნათ, რა სასჯელი მომელოდა?

— ამგვარ საკითხებს სასამართლო წყვეტს, — უპასუხა იენსენმა და ბლოკნოტი დახურა.

მისმა თანამოსაუბრემ სიგარეტი ამოიღო, გააბოლა, რაფიდან ჩამოხტა და ახლა კედელს მიყრდნობილი უღონოდ იდგა.

— ზოგჯერ, ეშმაკმა იცის, რას ოინბაზობ, — წაიბუტბუტა მან. — ჩემი ბედი, რომ ცხოვრებაში მიმართლებს.

იენსენმა ბლოკნოტი ჯიბეში ჩაიდო და კარს გახედა.

— სანამ ასოებს დააწებებდით, გაზეთი დახიეთ?

— რასაკვირველია.

— და გაზეთიდან ასოებს გლეჯდით?

— დიახ.

— არ ამოგიჭრიათ მაკრატლით?

მეგიტარემ სწრაფი მოძრაობით ცხვირის ფუძე მოისრისა, მერე წარბებზე თითები გადაისვა, შუბლი შეჭმუხნა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

— ზუსტად არ შემიძლია გითხრათ...

— შეეცადეთ...

პაუზა.

— ვერ ვიხსენებ.

— საიდან გააგზავნეთ წერილი?

— აქედან. ქალაქიდან.

— უფრო ზუსტად?

— რომელიღაც ყუთში ჩავაგდე.

— უფრო ზუსტად. სად არის ის ყუთი?

— საიდან უნდა ვიცოდე?

— მაშასადამე, არ იცით, სად ჩაუშვით წერილი?

— ხომ ვთქვი, ქალაქში-მეთქი, ხოლო ზუსტად სად, არ მახსოვს.

— მაშასადამე, არ გახსოვთ?

— სასაცილო იქნებოდა ასეთი სისულელეების დამახსოვრება. ქალაქში ბლომადაა საფოსტო ყუთები. ხომ სწორია?

იენსენმა არ უპასუხა.

— ხომ სწორია? — ხმას აუწია მეგიტარემ.

— სწორია, სწორი.

— ხომ ხედავთ.

— მაგრამ, სამაგიეროდ, თქვენ ალბათ გახსოეთ, ეს ამბავი ქალაქის რომელ ნაწილში მოხდა.

იენსენმა დაბნეულად გაიხედა ფანჯარაში. მეგიტარე შეეცადა მისი მზერა დაეჭირა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამიტომ თავი ოდნავ დახარა და უპასუხა:

— წარმოიდგინეთ, არ მახსოვს. განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

— სად ცხოვრობენ თქვენი მშობლები?

— ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში.

— იქნებ, წერილიც მათ სახლთან ახლოს ჩაუშვით?

— არ ვიცი, ვესმით! განა სულერთი არაა, სად ჩაეუშვი?

— იქნებ, სამხრეთ ნაწილში.

— დიახ, ეშმაკმა დალახვროს. ესე იგი, არა, არ ვიცი.

— სად ჩაუშვით წერილი?

— არ ვიცი, ეშმაკმა დალახვროს, არ ვიცი! — ისტერიულად წამოიყვირა მეგიტარემ. ყვირილი მოულოდნელად შეწყვიტა და ამოიხვნეშა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ უთხრა: — იმ საღამოს მთელ ქალაქში დავქროდი.

— მარტო?

— დიახ.

— და არ გახსოეთ, სად ჩაუშვით წერილი?

— არ მახსოვს. რამდენჯერ უნდა გავიმეორო, რომ არ მახსოვს.

ის წამოდგა და მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით დაიწყო ოთახში სიარული.

— მაშასადამე, არ გახსოეთ?

— არა.

— მაშ ასე, თქვენ არ იცით, რომელ ყუთში ჩაუშვით წერილი.

— არა-ა! — დაიყვირა მან და ეტყობოდა, რომ თავს ვეღარ ერეოდა.

— ჩაიცვით და გამომყევით, — უბრძანა იენსენმა.

— სად უნდა გამოგყვეთ?

— პოლიციაში. მეთექვსმეტე უბანში.

— თქვენთვის არ იქნება ხესაყრელი, ყოველივე ეს რომ უბრალოდ დაგიწეროთ ქაღალდზე ხვალ დილით? მე... მე სხვა გეგმები მქონდა ამ საღამოსათვის.

— არა.

— რომ არ გამოგყვეთ?

— უფლება არა გაქვთ. დაპატიმრებული ხართ.

— დაპატიმრებული? ეშმაკმა წაგიღოთ, როგორ ბედავთ! მათ უკან წაიღეს სარჩელი. გასაგებია თქვენთვის? საკითხავია, რატომ მაპატიმრებთ?

— ცრუ ჩვენებების მიცემისათვის.

გზაში არც ერთსა და არც მეორეს კრინტი არ დაუძრავს. დაპატიმრებული უკანა საჯდომზე იჯდა და იენსენს თავის მოუბრუნებლად შეეძლო სარკეში მისთვის თვალყური ედევნებინა. პატიმარი შესამჩნევად ნერვიულობდა. თვალებს წკურავდა და ახამხამებდა სათვალის ქვემოთ, და როდესაც ეგონა, არ მითვალთვალებენო, ფრჩხილებს იკვნეტდა.

იენსენი ეზოში შევიდა და მანქანა სარდაფის კართან მიაყენა. შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა და დაპატიმრებული ჩაატარა სარეგისტრაციო მაგიდებისა და საკნების წინ, სადაც პრიალა გისოსებიანი კარების მიღმა ლოთები ისხდნენ — ზოგი ტიროდა, ზოგს კი უაზროდ ჩაექინდრა თავი. იენსენმა ბოლო კარი გააღო და თავის ხელქვეითთან ერთად გაკაშკაშებულ ოთახში აღმოჩნდა. ჭერი, კედლები და იატაკი თეთრი იყო, ხოლო შუა ოთახში თეთრი ბაკელიტის სკამი იდგა.

პატიმარმა გამომწვევად და ამავე დროს დაბნეულად მიმოიხედა და სკამზე დაეშვა. იენსენი გავიდა და კარები გაიკეტა. თავის კაბინეტში ყურმილი აიღო. სამი ციფრი აკრიფა და თქვა:

— სასწრაფოდ გაგზავნეთ გამომძიებელი განმარტოებულ საკანში. საქმე ეხება ცრუ ჩვენებებს. ბრალდებულმა უნდა აღიაროს ეს.

იენსენმა ყურმილი დაჰკიდა. გულის ჯიბიდან თეთრი ბარათი ამოიღო, მაგიდაზე დადო და ზედა მარცხენა კუთხეში გულდასმით დახატა პატარა ხუთქიმიანი ვარსკვლავი. შემდეგ არანაკლები გულმოდგინებით ასეთი პატარა ვარსკვლავებით მთელი პწკარი შეავსო. ქვედა პწკარზე ერთნაირი ზომის პატარა, ექვსქიმიანი ვარსკვლავები ჩაამწკრივა, როცა ამ საქმეს მორჩა, შედეგი შეაჯამა: საერთო ანგარიშით მან დახატა ათას ორას ორმოცდაორი ვარსკვლავი, აქედან ექვსას ოცდაცამეტი ხუთქიმიანი და ექვსას ცხრა — ექვსქიმიანი. გულძმარვამ თავი მოაბეზრა, ამას კუჭის სპაზმებიც დაემატა. ერთი მწიკვი სოდა წყალში გახსნა და სულმოუთქმელად გადაკრა. ეზოდან კივილი და ხმაური ისმოდა. იქ აშკარად ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ იენსენს არც კი უფიქრია, ფანჯარაში გაეხედა.

ტელეფონმა ოთხი საათისა და ოცდახუთი წუთის შემდეგ დარეკა.

— ყველაფერი ნათელია, — უთხრა გამომძიებელმა. — რასაკვირველია, ის არაფერ შუაშია, მაგრამ სანამ ვათქმევინე, ცხრაპირი ოფლი გადამსკდა...

— დაკითხვის ოქმი?

— უკვე ხელმოწერილია.

— მოტივი რა ჰქონდა?

— როგორც ჩანს, ფული შეაძლიეს. მაგრამ ეს ჯერ არ ულიარებია.

— გაათავისუფლეთ.

— საქმე სასამართლოს გადავცეთ?

— არა.

— გამოვწუროთ მისგან, ვინ მისცა ფული?

— არა.

— ახლა ამის გკეთება იოლი იქნება.

— არა, — გაუმეორა იენსენმა, — არ არის საჭირო.

იენსენმა ყურმილი დადო, ვარსკვლავებით აჭრელებული ბარათი დახია და ნაგლეჯები საქაღალდე კალათაში ჩაყარა. შემდეგ ამოიღო სია, სადაც ცხრა გვარი იყო ჩამოწერილი, ბლოკნოტის გვერდი გადაფურცლა და ჩაწერა:

„№ 2. 42 წლისა. რეპორტიორი. ცოლგაშვებული. წავიდა საკუთარი სურვილით“.

მერე იენსენი სახლში დაბრუნდა და არც კი უვახშმია, მაშინვე დაწვა.

საშინლად დაიღალა და თუმცა აღარ აძმარებდა, დაძინებამდე მაინც კარგა ხანს ტრიალებდა.

მაშ ასე, გავიდა მეხუთე დღე; სულ ფუჭად ჩაიარა, არავითარი სარგებლობა არ მოუტანია.

17

— ის არ ყოფილა დამნაშავე, — უთხრა კომისარმა იენსენმა პოლიციის უფროსს.

— როგორ თუ ის არ ყოფილა? რა მოხდა? აკი თვითონ გვითხრა...

— ყველაფერი მოიგონა.

— და აღიარა?

— დიახ, ოღონდ ერთბაშად არა.

— მაშ ასე, თქვენ ამტკიცებთ, რომ იმ კაცმა თავის თავზე აიღო დახაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია? დარწმუნებული ხართ, რომ არ სცდებით?

— დიახ.

— თქვენთვის ცნობილია, რატომ მოიქცა ასე?

— არა.

— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელია მიზეზის დადგენა?

— არ არის საჭირო.

— იქნებ, უკეთესიც იყოს... — პოლიციის უფროსი თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. — იენსენ!

— გისმენთ.

— თქვენი მდგომარეობა არასახარბიელოა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კვლავ გმართებთ დამნაშავის პოვნა. სულ ორი დღეღა დარჩა. მოასწრებთ?

— არ ვიცი.

— თუკი თქვენ ამ ამოცანას ორშაბათამდე ვერ გადაწყვეტთ, მედეგებზე პასუხს არ ვაგებ. ჩემთვის ძნელიც კია მათი წარმოდგენა, საჭიროა კი თქვენთვის ამის შეხსენება?

— არა.

— თქვეხი წარუმატებლობა შეიძლება ჩემი წარუმატებლობის მიზეზიც გახდეს.

— მესმის.

— რაკი საქმე ასე მოულოდნელად შეტრიალდა, შემდგომი ძიება უწინდელზე მეტი საიდუმლოებით უნდა იყოს მოცული.

— მესმის.

— თქვენი იმედი მაქვს. წარმატებას გისურვებთ.

უფროსმა თითქმის იმავე დროს დარეკა, როგორც გუშინ, მაკრამ ამჯერად იენსენი უკვე მზად იყო სახლიდან გასასვლელად. მთელი ღამის განმავლობაში დიდი-დიდი ორი საათი ეძინა, თუმცა თავს მხნედ და დასვენებულადაც კი გრძნობდა. ოღონდ თაფლიანმა წყალმაც ვერ დაანაყრა, შიმშილისაგან გული ელეოდა, და რაც დრო მიდიოდა, მით უფრო მეტად აწუხებდა შიმშილი.

— დროა, რაიმე ხეირიანი საჭმელი შევჭამო. ხვალ ან ზეგ მაინც.

იენსენმა ეს უთხრა თავის თავს, როდესაც კიბეზე ჩადიოდა. საერთოდ კი როდი სჩვეოდა თავის თავთან საუბარი.

ღამის წვიმამ თოვლი დაადნო. ვერცხლისწყლის სვეტი ნულს ზემოთ ავიდა, ღრუბლები გაიფანტა და მზე ძველებურად ცივად ანათებდა.

მეთექვსმეტე უბანში ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ დილის პროგრამა. სარდაფის შესასვლელთან იდგა ნაცრისფერი ავტობუსი, რომელიც ლოთებს სამკურნალო დაწესებულებებში და იძულებით სამუშაოებზე დაატარებდა, ხოლო თვით სარდაფში პოლიციელებს ნამძინარევი პატიმრები საკნებიდან გამოპყავდათ. ღამის მორიგეობის შემდეგ პოლიციელები ფერმკრთალები და დაღლილები ჩანდნენ.

პატიმრობიდან განთავისუფლებულნი კარის წინ მდუმარედ ჩამწკრივებულიყვნენ და იცდიდნენ. მათ სარეგისტრაციო მაგიდა უნდა გაევლოთ და გამოსამშვიდობებელი ნემსი გაეკეთებინათ.

იენსენი ექიმთან მივიდა.

— როგორ ჩაიარა ღამემ? — იკითხა მან.

— ნორმალურად. ზუსტად რომ ვთქვათ, ცოტა უარესად, ვიდრე წინა ღამემ.

იენსენმა თავი დააქნია.

— ღამით ისევ გვქონდა შემთხვევა, რომელიც სიკვდილით დამთავრდა. ერთმა ქალმა თავი მოიკლა.

— ასე, ასე...

— მან საკნიდან დაიყვირა, თუ ვსვამდი, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი მომეკლაო, მაგრამ პოლიციელებმა ხელი შემიშალესო. მე ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი.

— მერე?

— თავით საკნის კედელს მიეხეთქა და თავის ქალა გაიპეპყა. ეს არც ისე იოლია, მაგრამ მან მოახერხა.

ექიმმა იენსენს ახედა, ქუთუთოები შესიებოდა და შეწითლებოდა. ჰაერში სპირტის სუნი იდგა. საეჭვოა, ეს სუნი ჰქონოდა მის წინ მდგარ პატიმარს, რომელსაც ის იყო ნემსი გაუკეთეს.

— აქისათვის საჭიროა ფიზიკური ძალა — ეს ერთი, დიდი ნებისყოფა — ორი, — განაგრძობდა ექიმი, — და კედლიდან გადასაკრავის ჩამოგლეჯა — სამი.

თითქმის ყველა განთავისუფლებულ პატიმარს ხელები ჯიბეებში

ჩაეწყო და აპათიურად თავჩაქინდრული იდგა. არც შიში, არც სასოწარკვეთილება აღარ ეტყობოდათ და მხოლოდ უსაზღვრო სიცარიელე აღბეჭდვოდათ სახეზე.

იენსენი თავის კაბინეტში დაბრუნდა, კიდევ ერთი ბარათი ამოიღო და ორი ჩანაწერი გააკეთა: „გაუმჯობესდეს კედელზე ასაკრავის ხარისხი. საჭიროა ახალი ექიმი“.

კაბინეტში მეტი საქმე აღარ ჰქონდა და მაშინვე წავიდა.

საათი ცხრის ოც წუთს უჩვენებდა.

18

გარეუბანი ქალაქის სამხრეთით, რამდენიმე მილის დაშორებით მდებარეობდა და მიეკუთვნებოდა იმ კატეგორიას, რომელიც კომუნალური საშინისტროს ექსპერტებთან „თვითდანგრევის რაიონების“ გრაფაში ირიცხებოდა.

ის ააგეს დიდი საცხოვრებელი კრიზისის ხანაში. ეგრეთ წოდებული სავაჭრო ცენტრისა და ავტობუსის გაჩერების ირგვლივ სიმეტრიულად განალაგეს ოცდაათი მრავალსართულიანი სახლი. ახლა ავტობუსის მარშრუტი გააუქმეს, წარმოებები თითქმის თავისთავად დაიშალა, დიდი მოკირწყლული მოედანი საავტომობილო სასაფლაოდ გადაიქცა, ხოლო ბინების სულ ცოტა, ოთხმოცი პროცენტი ცარიელი იყო.

იენსენმა არც ისე ადვილად მოძებნა საჭირო მისამართი, სადგომზე ბივიდა და მანქანიდან გადმოვიდა. სახლი თოთხმეტსართულიანი იყო, ზოგან ბათქაში ჩამოცლოდა და ადგილ-ადგილ უამინდობისაგან გაშავებულიყო. სახლის წინ ქვის ბილიკზე მინის ნამსხვრევები ეყარა, ხოლო ხეები და ბუჩქები თითქმის ზედ ბეტონის ფუნდამენტზე ამოსულიყო. აშკარა იყო, რომ მოკლე დროში მათი ფესვები ქვაფენილს დაამტვრევდა.

ლიფტი არ მუშაობდა, მეცხრე სართულზე ფეხით მოუხდა ასვლა. კიბის ბაქანი ცივი, უყურადღებოდ მიტოვებული და ბნელი იყო. კართა უმრავლესობა ფართოდ იყო გაღებული და ოთახები ისევე ბოჩანდა, როგორც პატრონებს მიეტოვებინათ: სულ ერთიანად ხარახურით ჩახერგილი. დამსკდარ ჭერსა და კედლებში ქარი თავისუფლად ატანდა.

ისეთი ბინებიც შეხვდა, რომლებშიც ხალხი ცხოვრობდა — ამას ხრაკის სუნითა და ტელევიზორების ღრიალით მისვდებოდით. მიდიოდა დილის გადაცემა. როგორც ჩანს, კედლები და სართულებს შორის გადასახურავი ბგერათსაიზოლაციო შუასადებების გარეშე შენდებოდა.

იენსენმა ხუთი სართული აათავა და ქოშინი აუვარდა, ხოლო მეცხრეზე გულზე შემოუჭირა და ჰვალი იგრძნო. გავიდა რამდენიმე წუთი და ქოშინი დაუცხრა. მაშინ სამსახურებრივი ნიშანი ამოიღო და კარზე დააკაკუნა. მასპინძელმა მაშინვე გააღო და გაოცდა.

— პოლიცია? აი, უკვე რამდენიმე წელია, აბსოლუტურად ფხიზელი ვარ.

— ჩემი გვარია იენსენი, მეთექვსმეტე უბნის კომისარი გახლავართ. ვაწარმოებ ძიებას, რომელიც თქვენს ყოფილ თანამდებობასა და ყოფილ სამსახურს ეხება.

— მერედა რა?

— რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

მასპინძელმა მხრები აიჩეჩა. მას კარგად ეცვა, გამხდარი იყო. მოღლილი მზერა ჰქონდა.

— მაშ შემობრძანდით.

ბინა სტანდარტული გახლდათ და ავეჯიც შესაფერისი ეღვა. კედელზე ეკიდა თარო, რომელშიც ათამდე წიგნი იდო. მაგიდაზე პური, კარაქი, ყველი, გაზეთი და ერთი ფინჯანი ყავა მოჩანდა.

— დაბრძანდით, გეთაყვა.

იენსენმა მიმოიხედა. ეს ბინა ძალიან წააგავდა ბის საკუთარ საცხოვრებელს. დაჯდა, კალამი ამოიღო და ბლოკნოტი გადაშალა.

— როდის წამოხვედით გამომცემლობიდან?

— გასული წლის დეკემბერში, სწორედ შობის წინ.

— საკუთარი სურვილით?

— დიახ.

— დიდხანს მუშაობდით?

— დიახ.

— რატომ წამოხვედით?

მასპინძელმა ყავა მოსვა და ჭერს ახედა.

— ეს გრძელი ამბავია. საეჭვოა, რომ დაგაინტერესოთ.

— რატომ წამოხვედით?

— როგორც გენებოთ. მე საიდუმლო არა მაქვს. უბრალოდ,

ოლი არ იქნება ყოველივე ცოტად თუ ბევრად თანმიმდევრულად გიამბოთ.

— სცადეთ.

— მაშ ასე, იმის მტკიცება, რომ მე საკუთარი სურვილით წამოვედი, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტებად, თუ ერთ შენიშვნას გავაკეთებთ.

— დააზუსტეთ.

— ამ საკითხს რამდენიმე დღეც რომ მიეუძღვნათ, სულ ერთია, ვერაფერს გაიგებთ. მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია — გიამბოთ როგორ განვითარდა მოვლენები.

ის ერთხანს შეყოვნდა.

— მაგრამ ჯერ მინდა გავიგო, რისთვის გჭირდებათ ეს. რაიმე ეჭვი გაქვთ ჩემზე?

— დიახ.

— და თქვენ, რასაკვირველია, არ მეტყვით, რა?

— არა?

მასპინძელი ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

— აქ მაშინ გადმოვედი, როდესაც ამ რაიონის ჩასახლება დაიწყეს. ეს არც ისე დიდი ხნის წინ იყო. მალე კონცერნში დავიწყე მუშაობა: იქ უბედურმა შემთხვევამ მიმიყვანა.

— უბედურმა შემთხვევამ?

— მანამდე სხვა ჟურნალში ვმუშაობდი. თქვენ, ალბათ, არც გახსოვთ ის ჟურნალი. მას სოციალ-დემოკრატიული პარტია და გაერთიანებული პროფკავშირები სცემდნენ. ეს გახლდათ ქვეყანაში კონცერნისაგან დამოუკიდებელი ბოლო მსხვილი ჟურნალი. თუმცა ამ ფრონტზე მდგომარეობა შესამჩნევად უარესდებოდა, მას ჰქონდა თავისი ამბიციები და უპირატესად, კულტურის დარგში.

— კულტურული ამბიციები?

— დიახ, ის იბრძოდა ნამდვილი ხელოვნებისა და პოეზიისათვის, აქვეყნებდა სერიოზულ მოთხრობებსა და ამგვარ რამეებს. ამ საკითხებში ძლიერი არ გახლავართ, მე რეპორტიორი ვარ და პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს ვსწავლობ.

— თქვენ სოციალ-დემოკრატი იყავით?

— რადიკალი ვიყავი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სოციალ-დემოკრატების უკიდურეს მარცხენა ფრთას მივეკუთვნებოდი. ოღონდ ამას თვითონაც ვერ ვხვდებოდი.

— გახაგრძეთ.

— საქმე მთლად ბრწყინვალედ როდი მიდიოდა. ჟურნალი ოითქმის არ იძლეოდა შემოსავალს, თუმცა არც წაძგებიანი იყო. მას ჰყავდა მკითხველთა საკმაოდ დიდი წრე. რომელიც ნდობით ეკიდებოდა. და საერთოდ, ეს იყო ერთადერთი ჟურნალი, რომელიც უპირისპირდებოდა კონცერნის ყველა ჟურნალს. ის ებრძოდა კონცერნსა და გამომცემლობას. აკრიტიკებდა კიდეც. ნაწილობრივ პირდაპირ. ნაწილობრივ არაპირდაპირ. თვით თავისი არსებობის ფაქტით.

— როგორ?

— პოლემიკური სტატიებით, მოწინააღმეებით. კრიტიკული გამოსვლებით. აღძრული საკითხებისადმი სერიოზული და პატიოსანი მიდგომით. გამომცემლობის მოღვაწეებს. რასაკვირველია. უსაზღვროდ სძულდათ ეს ჟურნალი და არც თვითონ რჩებოდნენ ვალში, დარტყმას დარტყმაზე აყენებდნენ. მაგრამ უკვე თავისებურად.

— როგორ?

— ადიდებდნენ მასიური სერიებისა და გასართობი ჟურნალების ტირაჟს. გარდა ამისა, მარჯვედ იყენებდნენ თანამედროვე ადამიანებისათვის დამახასიათებელ სენს.

— რომელ სენს?

— ტექსტის კითხვის მაგივრად ადამიანებს ურჩევნიათ სურათები ათვალიერონ. თუ მაინცდამაინც უნდა წაიკითხონ, ამჯობინებენ არაფრისმთქმელ სისულელეს და არა ისეთ სტატიებს, რომლებიც დაგაფიქრებენ, აგაღელვებენ და გაიძულებენ გარკვეული პოზიცია დაიკავო. საბედნიეროდ, სწორედ ასე იყო უკვე ჩემს დროში.

მთხრობელი ისევ ფანჯარასთან იდგა და იენსენისაკენ ზურგი ჰქონდა მოქცეული.

— ამ ფენომენს ტვინის სიზარმაცე ჰქვია და როგორც ამბობენ, სატელევიზიო საუკუნის თავისებურ ასაკობრივ ავადმყოფობას წარმოადგენს.

სახლს ხმაურით გადაუფრინა თვითმფრინავმა. დასახლების სამხრეთით, მისგან რამდენიმე მილზე მდებარეობდა მცირე ღასაფრენი მოედანი, საიდანაც საზღვარგარეთ შეებულების გასატარებლად ხელსაყრელი პირობებით „საგანგებოდ ამ მიზნისათვის გამოყოფილ ადგილებში" ყოველდღიურად დიდძალი ხალხი მიფრინავდა. ასეთი მგზავრობა ყოველმხრივ ხელმისაწვდომი იყო. იენსენს ერთხელ თვი-

თონაც წასძლია სულმა და საზღვარგარეთ იმოგზაურა, მაგრამ ამ ექსპერიმენტის გამეორება აღარ სურდა.

ერთი სიტყვით, ეს ის დრო იყო, როდესაც ბევრი ჯერ კიდევ ფიქრობდა, სქესობრივი აქტივობის დაცემა რადიაქტიული ნალექებითაა გამოწვეულიო. გახსენდებათ?

— დიახ.

— აი, ჩვენს მკითხველებთან კონცერნი ვერაფერს გახდა. ეს არც ისე დიდი წრე გახლდათ, სამაგიეროდ მჭიდროდ იყო შეკავშირებული, და ჩვენი ჟურნალი ძალიან სჭირდებოდათ. ეს მათი უკანასკნელი ნუგეში იყო. მე თუ მკითხავთ, გამომცემლობას ყველაზე უფრო სწორედ ამიტომ ვძულდით. მაგრამ ჩვენ მაინც გვეგონა, რომ ვერ მოგვერეოდნენ.

ის შემობრუნდა და იენსენს შეხედა.

— ახლა დაიწყება ყოველგვარი სირთულეები. ხომ გითხარით, ასე იოლი ასახსნელი არ არის-მეთქი.

— განაგრძეთ. რა მოხდა შემდეგ?

მთხრობელმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა და დივანზე ჩაწოლდა.

— რა მოხდა შემდეგ? ყველაზე მოულოდნელი რამ. იმათ, უბრალოდ, მთელი ჩვენი შიგნეულიანად გვიყიდეს და მეტი არაფერი. ჩინებიანად, პერსონალიანად, იდეოლოგიანად და სხვა ამგვარი ხარახურიახად. ნაღდ ფულზე. ანდა, ყველაფერი რომ სხვანაირად ვთქვათ, პარტიამ და გაერთიანებულმა პროფკავშირებმა მტერს მიგვყიდეს.

— რატომ?

— აი, ამის ახსნა უფრო ძნელია. ჩვენ ვიდექით გზაჯვარედინზე. ერთიანი საზოგადოების სახე აშკარად იკვეთებოდა. ეს ძველი ამბავია. იცით, რას ვფიქრობ?

— არა.

— სწორედ ამ დროს სოციალიზმმა სხვა ქვეყნებში დასძლია ყველა სიძნელე, შეძლო ადამიანების შეკავშირება, დაეხმარა მათ, რომ მართლაც ადამიანებად ეგრძნოთ თავი. უფრო თავისუფალი, უფრო დარწმუნებული, სულიერად უფრო ძლიერი გახადა ისინი. და დაანახა, როგორი შეიძლება გახდეს და როგორი უნდა იყოს შრომა ადამიანისათვის. პიროვნებას აქტიური ქმედებისაკენ მოუწოდებდა და მასში აღზარდა პასუხისმგებლობის გრძნობა... ჩვენ, ჩვენი მხრივ, ისევ ვჯიდით მათ მატერიალური წარმოების დოხით და ახლოვდებოდა

დრო, როდესაც პრაქტიკულად უნდა გამოგვეყენებინა ჩვენი საერთო გამოცდილება. სულ სხვანაირად კი გამოვიდა. განვითარება სხვა გზით წავიდა. ხომ არ გიძნელდებათ ჩემი მსჯელობისათვის გონების მიდევნება?

— სრულებითაც არა.

— ჩვენში თითოეული ისე დააბრმავა საკუთარი უპირატესობის შეგნებამ, ყველას ისე სწამდა ეგრეთ წოდებული პრაქტიკული პოლიტიკის წარმატება (უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენთან მიაჩნდათ, რომ ბედმა გაგვიღიმა და შევარიგეთ და ლამის გავაერთიანეთ კიდეც მარქსიზმი და პლუტოკრატია), რომ ჩვენმა სოციალისტებმა თვითონვე ალიარეს სოციალიზმი ზედმეტად. თუმცა, რეაქციულმა თეორეტიკოსებმა ეს მრავალი წლის წინ იწინასწარმეტყველეს. მერე ამას მოჰყვა გარკვეული ცვლილებები პარტიის პროგრამაში. იქიდან უპრალოდ ამოიღეს ის კარი, სადაც ნათქვამი იყო, თუ რა საშიშროება შეიძლება მოჰყვეს ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას. პარტიამ თანმიმდევრობით უარი თქვა თვისი პროგრამის ყველა ძირითად დებულებაზე. და საყოველთაო გამოსულელებას სულიერი რეაქცია მოჰყვა. გესმით, რისი თქმა მინდა?

— მთლად არა.

— სწორედ მაშინ იყო პირველი ცდები დაეახლოებინათ სხვადასხვა საკითხებში უკიდურესად საწინააღმდეგო შეხედულებანი. თავისთავად ეს აზრი, შესაძლებელია, არც ისე ცუდია. მაგრამ მის განსახორციელებლად გამოყენებული ყველა მეთოდი ბოლოს და ბოლოს დუმილამდე მიდიოდა, უფრო სწორად კი — მიჩქმალვამდე: ჩქმალავდნენ სიძნელეებს, ჩქმალავდნენ წინააღმდეგობებს. ყოველ პრობლემას სიცრუეში ხლართავდნენ, მატერიალური დონის განუხრელი ზრდით წყვეტდნენ, გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის უაზრო ყბედობის საბურველში ხვევდნენ. ლენინის ფოთლის მაგიერ ამ ყბედობას „შემაქცევარი საუბრები“ შეარქვეს და იმედოვნებდნენ, რომ ძიჩქმალული სატკივარი დროთა განმავლობაში თავისთავად გაქრებოდა. მაგრამ გამოვიდა სხვანაირად. პიროვნებამ იგრძნო, რომ ფიზიკურად ის სავსებით დაკმაყოფილებულია, სამაგიეროდ მორალურად მასზე მეურვეობა დააწესეს; მიუღწეველი და ბუნდოვანი მცნება შეიქნა პოლიტიკა, საზოგადოება, ყველაფერი სავსებით ასატანი და ნაკლებად მიმზიდველი იყო. საზოგადოება მოიცვა დაბნეულობამ, ზოგიერთს კი გულგრილობა დაეუფლა. სადღაც გულის სიღრმეში კი უმიზეზო შიში

მიყურებულიყო. დიახ, შიში,—გაიმეორა მან,—რის წინაშე—არ ვიცი. შემთხვევით, თქვენ ხომ არ იცით?

იენსენი ისევ ისე უაზროდ შეჰყურებდა.

— იქნებ, შიში ცხოვრების წინაშე, როგორც ეს არცთუ იშვიათად ხდება. თანაც ყველაზე დიდი აბსურდი ის გახლდათ, რომ გარეგნულად ცხოვრება თანდათან უკეთესი ხდებოდა. მთელ ოქმზე სულ რაღაც სამი ლაქაა: ალკოჰოლიზმი, შობადობის დაცემა, თვითმკვლელობათა რიცხვის გაზრდა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი უხამსობად ითვლება — ასე იყო, ასე არის.

ის გაჩუმდა. არც იენსენს დაურღვევია დუმილი.

— მთელ საზოგადოებაში ზემოდან ქვემოთაკენ გავრცელებული ერთი დებულება, — თუმც კი დღემდე ვერავის გაუბედავს ხმამაღლა მისი წარმოთქმა, — შემდეგში მდგომარეობს: ყველაფერმა სარგებლობა უნდა მოიტანოს. ყველაზე საშინელი ისაა, რომ სწორედ ამ დოქტრინამ წააქეზა პროფკავშირები და პარტია წინასწარ მორიგებოდნენ იმათ, ვისაც იმხანად დაუძინებელ მტრებად ვთვლიდით. ჩვენ გაგვყიდეს ფულის გულისათვის, და არა იმიტომ, რომ ჩვენი გულახდილობისა და რადიკალიზმისაგან თავი დაეხსნათ. მხოლოდ შემდეგ შეიგნეს მათ ასეთი გარიგების ორმაგი სარგებლობა.

— და ამის გამო გაბოროტდით?

მთხრობელმა თითქოს ვერ გაიგო კითხვა.

— მაგრამ ამასაც კი არ მოუყენებია ჩვენთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფა და არ დაუმცირებივართ. ყველაზე მეტად იმან შეურაცხგვყო და დაგვამცირა, რომ ყველაფერი ჩვენს დაუკითხავად, უმაღლეს დონეზე და ჩვენს თავსზემოთ კეთდებოდა. ჩვენ კი წარმოგვედგინა, თითქოს გარკვეულ როლს ვთამაშობდით, თითქოს ყველაფერს, რასაც ვამბობდით, რასაც წარმოვადგენდით, და ჩვენთან ერთად იმათაც, ვისაც ჩვენ წარმოვადგენდით, საკმარისი წონა ჰქონდა, რათა ჩვენთვის შეეტყობინებინათ რას გვიპირებდნენ. მაგრამ ჩვენ ტყუილად გვქონდა იმედი. ყველაფერი ორმა ბიზნესმენმა მოაგვარა სამუშაო წესისდამისედვით. ერთ-ერთი მათგანი გამომცემლობის შეფი გახლდათ, მეორე — გაერთიანებული. პროფკავშირების მეთაური. მერე ბოგიერთი პრაქტიკული დეტალების მოსაგვარებლად გარიგების ამბავი პრემიერ-მინისტრსა და პარტიასაც აცნობეს. ვინც ცოტად თუ ბევრად ცნობილი პიროვნება იყო და ის, ვისაც ჩვენთან ხელმძღვანელი პოსტი ეკავა, კონცერნის გამგეობაში სხვადასხვა თბილ ადგილებზე

დასვეს, დახარჩენებიც თან მიაყოლეს. ხოლო ვიხც დიდი არაფერს წარმოადგენდა, სულაც გააგდეს. მე შუალედურ კატეგორიას განვეკუთვნებოდი. აი, როგორ იყო ეს ამბავი. ამგვარი რამ ასეთივე წარმატებით შუა საუკუნეებშიც შეიძლებოდა მომხდარიყო. ასე იყო მუდამ. ამ შემთხვევამ ჩვენ, ყურხალის თანამშრომლებს, დაგვიმტკიცა, რომ არაფერს არ წარმოვადგენდით და არაფერი არ შეგვეძლო. ეს იყო ყველაზე საშინელი რამ. ეს იყო მკვლელობა. ამან იდეა მოკლა.

— და ამის გამო გაბოროტდით?

— უფრო სწორად, გაშოეტეანდი.

— ახალი საძსახური, კონცერნი. მისი შეეი თუ გძულთ?

— სრულებითაც არა. თუ ასე ფიქრობთ. მაშინ ვერ გაგიგიათ ჩემი, ისინი ხომ საესებით ლოგიკურად მოქმედებდნენ, როგორც თვითონ ფიქრობდნენ. მაშ რატომ იტყოდნენ უარს ასეთ ხელმისაწვდომ ტრიუმფზე? წარმოიდგინეთ, რომ გენერალმა მიახამ მადრიდთან ბრძოლის დროს გენერალ ფრანკოს დაურეკა და ჰკითხა: „ხელსაყრელ ფასებში ხომ არ შეისყიდით ჩემს ავიაციას? ძალზე ბევრ ბენზინს წვავს“. ეს შედარება თუ გიხსნით რაიმეს?

— არაფერს.

— თუმცა, მთლად მარჯვე შედარება ვერ მოძებნილა. რას იზამ, მაშინ თქვენს კითხვაზე საესებით ერთნაირნა პასუხს გაგცემთ: არა, არც მაშინ და არც შემდეგ სიძულვილს არ შევუპყრივარ ვფიქრობ, კარგადაც კი მექცეოდნენ.

— და მაინც დაგითხოვეს სამსახურიდან?

— ძალზე ჰუმანური პირობებით. თანაც მხედველობაში მიიღეთ, რომ მე თეითონ ვაიძულე. ეს ნაბიჯი გადაედგათ.

— რანაირად?

— მე შეგნებულად ბოროტად გამოვიყენე მათი ნდობა. ალეგორიულად ასე ეწოდება ამას.

— როგორ?

— შემოდგომაზე საზღვარგარეთ გამაგზავნეს, რათა სტატიებისთვის მასალა შემეკრიბა. სტატიებში უნდა ასახულიყო ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი გზა პატივისა და სიმდიდრისაკენ. ეს ადამიანი გახლდათ მსოფლიოში ცნობილი ტელევიზიის მსახიობი, ერთი იმათგანი, რომლებითაც გაუთავებლად ჭყიპავენ ხალხს ყოველ გადაცემაში. გასულ წლებში მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რომ გამართულ, ლა-

მაზ ბიოგრ:ფიებს ვწერდი ცნობილ ადამიანებზე. მაგრამ ამ მიზნით პირველად გამაგზავნეს მიელინებით უცხო ქვეყანაში.

მან ისევ ისე ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა და მაგიდის კიდეზე თითები აათამაშა.

— ჩემი სახელგანთქმული პიროვნება, ჩემი გმირი დაიბადა ერთ-ერთ იმ სოციალისტურ ქვეყანაში, რომლის არსებობა გულდაგულ იჩქმალება. მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავრობა დღემდე არ სცნობს იმ ქვეყნის ხელისუფლებას.

მან გამომცდელად და ნაღვლიანად შეხედა იენსენს.

— და იცით, რა გავაკეთე? დავწერე სტატიების მთელი სერია, სადაც დაწვრილებით და კეთილმოსურნედ გავაანალიზე ამ ქვეყნის პოლიტიკა და კუტურული დონე, თანაც ჩვენს მდგომარეობას შევადარე. რასაკვირველია, ჩემს სტატიებს დღის სინათლე არ უნახავთ და მე არც ველოდი ამას.

ცოტა ხანს დადუმდა, შემდეგ წარბები შეკმუხნა და განაგრძო:

— ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ დღემდე არ ვიცი, რატომ გავაკეთე ეს.

— ჯინაზე?

— შესაძლებელია. მაგრამ აქამდე, აგერ უკვე რამდენი წელია, ამ თემაზე არავისთან მისაუბრია. და არ ვიცი, უცებ რატომ წამოვიწყე ლაპარაკი ამის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი არაფერი ძიფიქრია. მას შემდეგ, რაც გამომცემლობაში ნახევარი თვე ვიმუშავე, ქვეყანაზე ყველაფრის ინტერესი დავკარგე და მერე ერთიმეორის ძიყოლებით დავიწყე იმის წერა, რაც მათ სურდათ. ჯერ მეტისმეტად სერიოზულად მეკიდებოდნენ, ვიდრე ამას ვიმსახურებდი. შემდეგ კი დარწმუნდნენ. რომ სრულებით არ ვიყავი საშიში და მათ დიდ ძახქანაში "შემეძლო პატარა კარგი ხრახნი ვყოფილიყავი. მაშინ — და მხოლოდ მაშინ — აპირებდნენ ჩემს გადაყვანას განსაკუთრებულ განყოფილებაში. თქვენ, ალბათ, არაფერი გსმენიათ ამ განყოფილების შესახებ?

— როგორ არა, მსმენია.

— ძას სხვაგვარადაც შეიძლება ვუწოდოთ — ოცდამეთერთმეტე განყოფილება. ის მათთან ერთ-ერთ მთავარ განყოფილებად ითვლება. რატომ — არ ვიცი. მასზე იშვიათად ლაპარაკობენ, მისი საქმიანობა სასტიკად გასაიდუმლოებულია. იქ რაღაცას გეგმავენ. ჩვენს პროფესიულ ჟარგონზე მათ „სამაკეტო ჯგუფს" უწოდებენ. და აი, უკვე სა-

ბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩემი გადაყვანა ოცდამეთერთმეტეში. მაგრამ, ალბათ, შემდეგ გონს მოვიდნენ, რომ მე ცნობილი ადამიანების ლამაზი ბიოგრაფიების შეთხზვის გარდა აღარაფერი გამომივიდოდა ხელიდან. სიტყვამ მოიტანა და ისინი მართლები იყვნენ.

მან დაბნეულად მოუსვა თითები ფინჯნის კიდეს.

— აი, ამ დროს, უცებ ის ოინი ვუყავი. ჰოდა, წარმოიდგინეთ მათი გაოცება.

იენსენმა თავი დაუქნია.

— იცით, მესმოდა, რომ მეტს ვეღარაფერს დავწერდი, და ჩემთვის აუტანელი შეიქნა აზრი, რომ ჩემ მიერ დაწერილი ბოლო სტრიქონები გულისამრევი ცრუ მონაჩმახი იქნებოდა ვიღაც არამზადას შესახებ, ეს იქნებოდა ქება-დიდება არამზადისა, რომელიც მილიონებს ხვეტავს თავისი სიმახინჯისა და უნიჭო სიმღერის წყალობით. მას მსოფლიო შემოვლილი აქვს და პედერასტების ბუნაგებში დეპეშებს აწყობს.

— ბოლო სტრიქონებიო, ბრძანეთ?

— ჰო. მე გამოვიფიტე. ადრეც მესმოდა, რომ საბოლოოდ გამოვიფიტე და მეტი აღარაფრის დაწერა შემეძლო. ამის შეგნება ერთბაშად დამეუფლა. დროთა განმავლობაში რაიმე სხვა სამუშაოს ვიშოვნი, სულ ერთია, რაც იქნება. ჟურნალისტისათვის სხვა სამუშაოს პოვნა არც ისე იოლია: ჩვენ, არსებითად, არაფერი შეგვიძლია. მაგრამ ესეც მოგვარდება, დღევანდელ დღეს სრულებითაც არ არის აუცილებელი რაიმე შეგეძლოს.

— რითი ცხოვრობთ?

— გამომცემლობა ძალიან მოწყალედ მომექცა. მითხრეს, თითქოს, დიდი ხანია შემამჩნიეს, რომ გამოვიფიტე და წერა აღარ შემეძლო. გადამიხადეს ოთხი თვის ხელფასი და გამომისტუმრეს.

— და დიპლომიც გადმოგცეს?

მთხრობელმა გაოცებით შეხედა იენსენს.

— გადმომცეს. სასაცილოა, არა? თქვენ საიდან იცით ეს?

— სად არის თქვენი დიპლომი?

— არსად. რასაკვირველია, შემეძლო თქვენთვის მეთქვა, რომ ნაკუწებად დავგლიჯე და ოცდამეათე სართულიდან გადავაგდე. მაგრამ თუ სიმართლე გნებავთ, სანამ გამომცემლობას დავტოვებდი, ძალზე პროზაულად გადავაგდე.

— დაშმუშნეთ მაინც?

— მაშ, როგორ? სხვანაირად საქაღალდე კალათაში არ ჩაეტეოდა. რამდენადაც მახსოვს, საკმაოდ დიდი ფორმატისა იყო. მაინც რატომ მეკითხებით?

იენსენმა კიდევ ოთხი კითხვა მისცა.

— ეს თქვენი მუდმივი ბინაა?

— როგორც უკვე გითხარით აქ ვცხოვრობ სახლის ექსპლოატაციაში გაშვების დღიდან და მანამ ვაპირებ ცხოვრებას, სანამ წყალსა და სინათლეს არ გამოთიშავენ. ახლა უფრო კარგი გახდა აქ ცხოვრება, ვიდრე ადრე იყო. მეზობლები აღარ არიან და ამიტომ აუტანელი ხმაურისაგან აღარ ვიტანჯები.

— განსაკუთრებული განყოფილება რატომ იწოდება ოცდამეთერთმეტედ?

— იგი ოცდამეთერთმეტე სართულზეა მოთავსებული.

— განა იქ არის ოცდამეთერთმეტე სართული?

— დიახ, სხვენზე, ზედ სახურავის ქვემოთ, მასიურ გამოცემათა რედაქციების თავზე. ლიფტი იქ არ ადის.

ყოფილხართ თქვენ იქ?

— არც ერთხელ. თანამშრომლების უმრავლესობამ საერთოდ არ იცის მისი არსებობის ამბავი.

გამომშვიდობებისას მასპინძელმა უთხრა:

— ეწუხვარ, ამდენი რამ ვილაპარაკე. როდესაც ჩქარობ და ერთიდან ძეორე საკითხზე ხტები, ყველაფერი არეულ-დარეულად და გულუბრყვილოდ გამოიყურება. მაგრამ თქვენ დაიეინეთ... და კიდევ, საბოლოო შეკითხვა: ისევ ეპეი გაქვთ ჩემზე?

იენსენი უკვე კიბის ბაქანზე იყო გასული და პასუხი აღარ გაუცია.

მასპინძელი კარებში იდგა. სახეზე მღელვარებას ვერ შეამჩნევდით, მხოლოდ გულგრილობა და უზომო დაღლილობა ეტყობოდა.

10

იენსენი რამდენიმე წუთი გაუნძრეველად იჯდა ბანქანაში და თავის შეხედულებს ათვალიერებდა. შემდეგ გადაფურცლა და ჩაწერა: „№ 3. ყოფილი მთავარი რედაქტორი. 48 წლისა. გაუთხოვარი. დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებულია საკუთარი სურვილითა- და მთლიანი პენსიით“.

ნომერი მესამე ქალი გახლდათ.

თეთრი მზე უმოწყალოდ კაშკაშებდა. შაბათი დღე იყო. თორმეტს ერთი წუთი აკლდა. ზუსტად ოცდათექვსმეტი საათი რჩებოდა. მან ძრავა ჩართო და მანქანა დაიძრა.

რადიომიმღებს ყური არ დაუგდო. და თუმცა გზა ცენტრზე გადიოდა, არც უფიქრია თავის უბანში შეევლო.

სამაგიეროდ კაფე-ავტომატის წინ გაჩერდა და დიდხანს შესცქეროდა სადღეისოდ შემოთავაზებულ საუზმეთა სიას.

მენიუ შემუშავებული იყო სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საგანგებო განყოფილებაში. საშმლის მომზადება ცენტრალიზებული გახლდათ და სასურსათო საქონლის გიგანტური სინდიკატის ხელში იყო თავმოყრილი. ერთსა და იმავე კერძებს იძლეოდნენ საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმოში. იენსენი იმდენ ხანს უკირკიტებდა მენიუს, რომ მის უკან მდგომ ხალხს შეშფოთება დაეტყო. შემდეგ მან ერთ-ერთ ღილაკს თითი დააჭირა, თეფშებით ავსებული ლანგარი მიიღო და უახლოეს მაგიდას მიუჯდა.

ყურადღებით დაათვალიერა თავისი ნადავლი: რძე, სტაფილოს წვენი, რამდენიმე კატლეტი, რამდენიმე ფურცელი კომბოსტო. და ორი ცალი ჩახარშული კარტოფილი.

იენსენს ძალიან შიოდა, მაგრამ თავისი კუჭის იმედი არ ჰქონდა. ამიტომ კარგა ხანს იფიქრა და მერე კატლეტი მოიცილა. დიდხანს ღეჭა, სტაფილოს წვენი დააყოლა და მაგიდიდან წამოდგა.

ქუჩა, რომელსაც ეძებდა, კაფეს აღმოსავლეთით, ცენტრიდან ლიან ახლოს, ისეთ რაიონში მდებარეობდა, სადაც ძველთაგანვე სუფთა შემთხვევითობის წყალობით შემორჩენილი პრივილეგირებული კლასების წარმომადგენლები სახლდებოდნენ. სახლი სიახლით ბრწყინავდა და აშკარად ტიპური პროექტით არ იყო ნაგები. ის კონცერნს ეკუთვნოდა. საცხოვრებელი ბინების გარდა აქ იყო სხდომათა დარბაზები და მინის სახურავიანი და აივნიანი დიდი სტუდია.

კარი დაბალ-დაბალმა, ჩასუქებულმა ქალმა გააღო. ქერა თმა უცნაურად დაეკარცხნა, ხოლო გადატკეცილ მოვარდისფრო სახეზე ისე სქლად წაეცხო ტონი, რომ ფერად ილუსტრაციას მოგაგონებდათ.

თხელი გამქვირვალე ქსოვილის, ცისფრად და ვარდისფრად მოჩითული პენუარი ეცვა. მისი წითელი მაღალქუსლანი ჭოშები ოქრომკერდით ნაქარგითა და უცნაური ჭრელი პომპონებით იყო მორთული.

იენსენს მაშინვე მოეჩვენა, რომ ერთხელ ზუსტად ასეთივე მორ-

თულობა ას ორმოცდაოთხი ჟურნალიდან ერთ-ერთის ფერად ჩანართზე ნახა.

— ჩვენთან მამაკაცი მობრძანდა, — პრანუვა-ვრეხით ჩაიხითხითა ქალმა.

— იენსენი გახლავართ, მეთექვსმეტე უბნის კომისარი. ვაწარმოებ ძიებას იმ საქმის თაობაზე, რომელიც თქვენს ყოფილ თანამდებობასა და ყოფილ სამსახურს ეხება. — მოახსენა იენსენმა და თავისი ნიშანი უჩვენა.

ამ ხნის მანძილზე ის ქალის მხარს იქით იყურებოდა და ოთახის მოწყობილობის შესწავლა მოასწრო.

ოთახი დიდი, ფართო და მდიდრულად გაწყობილი იყო. ხვიარა მცენარეებისა და ფარდების ფონზე, რომლებიც უმეტესად პასტელის ტონებისა გახლდათ, რომელიღაც ღია ფერის ხის დაბალი ავეჯი იდგა. ერთიანობაში ავეჯი ძალიან წააგავდა ამერიკელი მილიონერის ქალიშვილის ბუდუარს, თითქოსდა აქ პირდაპირ სამრეწველო გამოფენიდან მოიტანეს და უმსგავსობამდე გაადიდესო.

კუთხეში დივანზე იჯდა კიდევ ერთი ქალი — შავგვრემანი, და პირველზე გაცილებით ახალგაზრდა. ერთ-ერთ პატარა მაგიდაზე იენსენმა ერთი ბოთლი ხერესი, სირჩა და რომელიღაც უცხო ჯიშის კატა დაინახა.

მოვარდისფრო-მოცისფრო პენუარის მფლობელი ოთახში შემოფრიალდა.

— ოჰ, რა საინტერესოა! ჩვენთან მაძებარი მოვიდა.

იენსენი მას მიჰყვა.

— დიახ, ჩემო კარგო, წარმოიდგინე, ნამდვილი მაძებარი, რომელიღაც საგანგებო პოლიციის კანტორიდან თუ უბნიდან, როგორც თავად უწოდებენ... არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი საკუთარი მოთხრობაა სურათებში.

ქალი იენსენს მიუბრუნდა და ატიკტიკდა:

— დაბრძანდით, ჩემო ძვირფასო, დაბრძანდით. და საერთოდ, ჩემს პატარა ბუდეში ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში. ერთ სირჩა ხერესს ხომ არ ინებებდით?

იენსენმა თავი გააქნია და დაჯდა.

— ოჰ, სულ დამავიწყდა ჩემი სტუმარი გამეცნო. ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი თანამშრომელია. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც შტურვალთან დადგა მას შემდეგ. რაც მე ნაპირზე ჩამოვედი.

შავგვრემანმა სწრაფად, გულგრილად შეხედა იენსენს, მერე კი ზრდილობიანად, პირფერულად გაუღიმა დიასახლისს. დიასახლისი დივანზე დაჯდა, თავი გვერდზე დახარა და პატარა გოგონასავით თვალები აახამხამა. შემდეგ უეცრად საქმიანად და მშრალად ჰკითხა მოსულს:

— მაშ ასე, რით შემიძლია გემსახუროთ?

იენსენმა ბლოკნოტი და კალამი ამოიღო.

— როდის წამოხვედით სამუშაოდან?

— ახალი წლის წინ. ოღონდ გეუბნებით, ნუ ამბობთ „სამუშაო". ჟურნალისტიკა — ეს ისეთივე მოწოდებაა, როგორც ექიმისა და მღვდლის პროფესია. არც ერთი წუთით მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეს, რომ ყველა მკითხველი — შენი თანამოძმე, თითქმის შენი სულიერი პაციენტია. შენ ეგუები შენი ჟურნალის რიტმს. ფიქრობ მხოლოდ შენს მკითხველებზე, და მთლიანად მათ ეკუთვნი.

სტუმარ ქალს ტუჩები მოეკვნიტა და თავის ფეხსაცმელებს ათვალიერებდა. პირის კუთხეები უთამაშებდა, თითქოს ყვირილს ან სიცილს იკავებსო.

— რატომ წამოხვედით?

— გამომცელობიდან იმიტომ წამოვედი, რომ, ჩემი აზრით, ჩემმა კარიერამ უკვე მიაღწია აპოგეას: მე გავნახორციელე ყველაფერი, რასაც კი ვესწრაფოდი — ოცი წელი ჩემი ჟურნალი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიმყავდა. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვი. რომ ეს ჟურნალი ჩემი ხელებითაა შექმნილი. როდესაც იქ მივედი. მას არავითარი. სრულიად არავითარი წონა არ ჰქონდა. სულ მოკლე ხანში ჩემი ხელმძღვანელობით ქალების ერთ-ერთი მსხვილი ჟურნალი გახდა ჩვენს ქვეყანაში. ხოლო კიდევ უფრო მოკლე ხანში საერთოდ ყველაზე მსხვილი ჟურნალი და დღემდე ასეთად რჩება.

მან შავგვრემან ქალს სწრაფად გადახედა და გესლიანად განაგრძო:

— შემეკითხებით, როგორ მივაღწიე ამას? გიპასუხებთ: შრომით, შრომითა და სრული თავგანწირვით. უნდა იცხოვრო შენ წინ მდგარი ამოცანებით, უნდა იფიქრო ილუსტრაციებითა და სვეტებით. გულისხმიერად მიუგდო ყური მკითხველებს, იმისათვის... იმისათვის, რომ დააკმაყოფილო მათი კანონიერი სწრაფვა — უფერული დღეები ლამაზი ოცნებებით, იდეალებითა და პოეზიით შეაფერადონ.

მან სირჩიდან ხერესი მოსვა და ცივად განაგრძო:

— ყოველივე ეს რომ შეასრულო, უნდა გქონდეს ის, რასაც ალლოს ვუწოდებთ. საკუთარ თანამშრომლებთან ურთიერთობაშიც ივიგე ალლო უნდა გამოიჩინო. ვაი, რომ მხოლოდ ცოტანი არიან დაჯილდოებულნი ასეთი ნიჭით. ხანდახან თავსაც კი არ იზოგავ, ოღონდ სხვებს რაც შეიძლება მეტი მისცე.

თვალები დახუჭა და ხმა აურაკრაკდა.

— და ყოველივე მსოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: ჟურნალსა და მის მკითხველებს.

— ორ მიზანს, — შეუსწორა იენსენმა.

შავგვრემანმა ქალმა სწრაფად და შიშით შეხედა მას. დიასახლისს წარბიც არ შეუხრია.

— იცით, როგორ გავხდი მთავარი რედაქტორი?

— არა.

კიდევ ერთხელ შეეცვალა ინტონაცია. ახლა მეოცხებე ხმა გაუხდა.

— ეს ზღაპარს წააგავს, თვალწინ მიდგას, როგორც სინამდვილიდან აღებული ნოველა ილუსტრაციებით. მისმინეთ, როგორ მოხდა ყველაფერი...

სახე და ხმა კვლავ შეეცვალა.

— მე უბრალო ოჯახში დავიბადე და ამის არ მრცხვენია. — ახლა ხმა აგრესიული გაუხდა, პირის კუთხეები დაბლა ჩამოეწია, ცხვირი კი, პირიქით, აებზიკა.

— გისმენთ.

სწრაფი, გამომცდელი მზერა შეავლო სტუმარს და საქმიანად განაგრძო:

— კონცერნის შეფი გენიოსია. სულაც არ არის ნაკლები. დიდი ადამიანია, დემოკრატზე გაცილებით დიდი.

— დემოკრატზე?

მან ჩაიხითხითა და თავი გააქნია.

— ოჰ, მუდამ მეშლება სახელები. რასაკვირველია, სხვა მყავდა მხედველობაში. ყველას ხომ ვერ დაიმახსოვრებ.

იენსენმა თავი დაუქნია.

— შეჯმა მაშინვე მიმიღო და თუმცა მანამდე ძალზე მოკრძალებული პოსტი მეკავა, ჟურნალი გადმომცა. ეს გაუგონარი გამბედაობა იყო. წარმოიდგინეთ: ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალიშვილი — და უცებ დიდი ჟურნალის რედაქტორი. მაგრამ ჩემში აღმოჩნდა სწორედ ის ახალი ძალები, რომელსაც რედაქცია საჭიროებდა. სამი თვის განმ-

მავლობაში შევძელი რედაქციისთვის სახე შემეცვალა. გაეყარე უსაჭმურები. სულ რაღაც ნახევარი წლის მანძილზე ჟურნალი ქალების საყვარელი საკითხავი გახდა. და დღემდე ასეა.

კიდევ ერთხელ შეიცვალა ხმა და შავგრემან ქალს მიმართა:

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჰოროსკოპების რვა სვეტი, ილუსტრაციებში გამოსახული კინონოველებიცა და დიდ ადამიანთა დედების მონათხრობებიც — ყველაფერი მე შემოვიტანე. სწორედ ამ ახალწამოწყებათა წყალობით დაგიდგათ აყვავების ხანა. ჰო, შინაური ცხოველების ოთხფერიანი სურათებიც ჩემი მოგონილია.

მან ოდნავ გააქნია ხელი, სტუმარს თავისი ბეჭდების ელვარებით თვალთ დაუბნელა და მორიდებულად განაგრძო:

— ამას იმიტომ არ გიამბობთ, რომ ქათინაური მითხრათ, ანდა შემაქოთ. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ მადლიერმა მკითხველმა ასეულ ათასობით გულთბილი წერილი გამომიგზავნა. — ცოტა ხნით გაჩუმდა, თითქოს ნისლიან შორეთს გაჰყურებსო, ხელები კვლავ წინ ჰქონდა გაშვერილი და თავი ბსარზე დაეხარა.

— ხუ შეძეკითხებით, როგორ მივაღწიე ამას, — სირცხვილისაგან თავდახრილმა კვლავ წამოიწყო ლაპარაკი. — ამას უბრალოდ გრძნობ, მაგრამ გრძნობ და გჯერა, როგორც, მაგალითად, გჯერა, რომ ყოველი ქალი ოცნებობს ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაიჭიროს ვისიმე მგზნებარე სურვილით აღსავსე მზერა...

შავგრემან ქალს რაღაც მოგუდული ხმა ამოხდა.

დიალაბლისმა მას აშკარა სიძულვილით შეხედა.

— რასაკვირველია, ეს მხოლოდ ჩვენს დროს იყო, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ხიზღით თქვა მან, — როდესაც ჩვენ, ქალებს, გრძნობის ნაპერწკალი გვქონდა შერჩენილი.

უცებ სახე მოეშვა, პირისა და თვალების ირგვლივ ნაოჭების მთელი ქსელი დაემჩნა. სიბრაზისაგან ლაქგადასმული, გრძელი, მახვილი ფრჩხილის კუნტაც კი დაიწყო.

— წასვლისას დიპლომი გადმოგცეს?

— დიახ, რასაკვირველია. საოცრად ლამაზი დიპლომი. — საბეზე კვლავ ცელქი მოზარდის ღიმილი დაეტყო და თვალები აუციმციმდა. — გინდათ ნახოთ?

— დიახ.

გრაციოზულად წაბოდგა და თეძოების რხევით ოთახიდან გავიდა.

შაეგრემანმა ქალმა შეძრწუნებით შეხედა იენსენს. დიასახლისი დაბრუნდა. საბუთი გულზე მიეკრა.

— წარმოგიდგენიათ, აქ ხელი აქვს მოწერილი ყველა ასე თუ ისე ლირსეულ პიროვნებას, ერთმა პრინცესამაც კი მოაწერა ხელი.

მან დიპლომი გაშალა. მარცხენა მხარე ერთიანად აკრელებული იყო ხელმოწერებით.

— ჩემი აზრით, ეს გახლდათ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ქვეყნის ყოველი მხრიდან ასობით მიღებულ საჩუქრებს შორის. ნახავთ?

— მადლობთ, არაა საჭირო, — უთხრა იენსენმა.

ქალმა დაბნეულად გაუღიმა.

— მაშინ მითხარით, თქვენ, პოლიციის კომისარი, რატომ მოხვედით ჩემთან და რატომ დამკითხეთ?

— არ ვარ უფლებამოსილი, ეს საკითხი გამცნოთ, — უპასუხა იენსენმა.

ერთ წამში სახეზე სულ სხვადასხვაგვარმა გამომეტყველებამ გადაურბინა. მერე უმწეოდ, მთლად დედაკაცურად შემოჰკრა ტაში და მორჩილად უთხრა:

— რას იზამ, მაშინ გემორჩილებით...

შავგვრემანი ქალი და იენსენი ერთად გამოვიდნენ. როგორც კი ლიფტი დაიძრა, იენსენის თანამგზავრმა ამოისლუკუნა და თქვა:

— მისი ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ დაიჯეროთ. ის სულ ცრუობს, აუტანელი ქალია, საზარელი პიროვნებაა. მასზე ბევრ საშინელებას ყვებიან.

— ჰო?

— ხორცშესხმული სისაძაგლე და ცნობისმოყვარეობაა. თუმცა, გამომცემლობიდან კი მოახერხეს მისი გამოგდება, მაგრამ დღემდე ხელში უჭირავს ყველა ძაფი. ახლა კი მაიძულებს, ვიჯაშუშო. ყოველ ოთხშაბათსა და შაბათს მასთან უნდა მოვიდე და დეწვრილებით მოვახსენო ყოველივე. სურს გამომცემლობის ამბები იცოდეს.

— მერედა რატომ დათანხმდით?

— ნუთუ არ გესმით? ერთი მოისურვოს და, წუთში მატლივით გამსრესს. აბუჩად მიგდებს. ოჰ, ღმერთო ჩემო...

იენსენმა არაფერი უპასუხა. დაბლა რომ ჩამოვიდნენ, ქუდი მოიხადა და ქალს ლიფტის კარი გამოუღო. ახალგაზრდა ქალმა შიშნეულად შეხედა მას და ქუჩაში გავარდა.

ამ ხნის განმავლობაში მოძრაობა შესამჩნევად შემცირებულიყო. შაბათი იყო. ხუთს ხუთი წუთი აკლდა. მარჯვენა ფერდქვეშ კვლავ ტკივილი შეიგრძნო...

20

იენსენმა ძრავა გამორთო, მაგრამ მანქანიდან არ გამოსულა. გადაშლილი ბლოკნოტი ისევ საქეზე ედო. ის-ის იყო ახალი ჩანაწერი გააკეთა: „№ 4. მხატვრული დირექტორი. 20 წლისა. გაუთხოვარი. წავიდა თავისი სურვილით".

ნომერი ოთხიც ქალი იყო.

სახლი, სადაც ის ქალი ცხოვრობდა, ქუჩის მეორე მხარეს მდებარეობდა. არც ისე ახალი, მაგრამ საკმაოდ მოვლილი შენობა ჩანდა. მისი ბინა ქვედა სართულზე აღმოჩნდა და ზევით ასვლა აღარ დასჭირეებია.

იენსენმა დარეკა. არავინ გამოპასუხებია. კიდევ რამდენჯერმე დარეკა, მერე ერთი ხანგრძლივი ზარი მისცა და სახელურიც კი მოსწია. კარი დაკეტილი იყო. კარს მიღმა ხმა არ ისმოდა. ცოტა ხანს მდუმარედ იდგა. ამასობაში კარს იქით ტელეფონმა დარეკა. მაშინ მანქანაში დაბრუნდა, ბლოკნოტი გახსნა. შიგნით ხუთი სუფთა გვერდი გამოტოვა და მეექვსეზე დაწერა: „№ 5. ჟურნალისტი. უცოლო. 52 წლისა. კონტრაქტის შესაბამისად სამსახურის ვადა გაუვიდა".

ამჟამად ბედი ეწია: საჭირო ქუჩა ამავე რაიონში, სულ რაღაც ხუთი კვარტლის შემდეგ იყო.

სახლი ძალიან წააგავდა იმას, რომელსაც იენსენი ათი წუთის წინ ესტუმრა: გრძელი, ყვითელი, ხუთსართულიანი შენობა ქუჩას კუთხით ებჯინებოდა. მთელი რაიონი ზუსტად ასეთივე პანელებიანი სახლებით იყო განაშენიანებული.

კარზე ეკიდა ფირფიტა, რომელზეც მფლობელის სახელი ეწერა. სახელი შედგენილი იყო გაზეთებიდან ამოჭრილი ასოებით. ასოების ნაწილი წაშლილიყო, ზოგიერთი ამძვრალიყო და სახელის წაკითხვა ადვილი როდი იყო. ზარი რეკავდა, დაკეტილ კარს იქით ბინაში ვიღაც ფუსფუსებდა, მაგრამ კარი მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გააღეს.

კარი გააღო მამაკაცმა, რომელიც თავის წლოვანებაზე ხნიერი ჩან-

და და როგორც ეტყობოდა, სრულებით არ უვლიდა თავს: გრძელი, აწეწილი თმა ჰქონდა, სახეზე ხშირი, ჭაღარა ჯაგარი მოსდებოდა, ტანზე კრემისფერი ჭუჭყიანი პერანგი და ჩაშავებული შარვალი ეცვა, ფეხები შავ ქუსლმოცვეთილ ფეხსაცმელებში წაეყო. იენსენი მოიღუშა. ახლანდელ დროში ცუდად ჩაცმული ადამიანი სამუზეუმო იშვიათობად იქცა.

— იენსენი გახლავართ, მეთექვსმეტე უბნის კომისარი, ვაწარმოებ საქმის ძიებას, რომელიც თქვენს ყოფილ თანამდებობასა და სამსახურს ეხება.

ნიშანი არ უჩვენებია.

— წარმომიდგინეთ საბუთი, — მაშინვე გამოეხმაურა მასპინძელი. იენსენმა თავისი პატარა, მომინანქრებული ჟეტონი აჩვენა.

— შემობრძანდით, — უთხრა მასპინძელმა. ძალზე თავდაჯერებულად, ის კი არა, გულზვიადადაც იქცეოდა.

ბინაში გამეფებული უწესრიგობა მართლაცდა სავალალო შთაბეჭდილებას ახდენდა. იატაკზე ეყარა ქაღალდები, გაზეთები, წიგნები, დამპალი ფორთოხლები, გადავსებული ნაგვის პაკეტები, ჭუჭყიანი თეთრეული დ გაურეცხავი ჭურჭელი. ავეჯი შედგებოდა რამდენიმე ხის სკამის, ორი ნახევრად დამტვრეული სავარძლის, ერთი კოჭლი მაგიდისა და დივანისაგან, რომელზეც აულაგებელი ლოგინი მოჩანდა. მაგიდაზე ყველაფერი ერთ კუთხეში მიეწიათ. ალბათ, საბუქდი მანქანისა და დიდი მოცულობის ხელნაწერის ადგილი თუ გაენთავისუფლებინათ. ყველაფერი მტვრის სქელ ფენას დაეფარა. ოთახში შქორის სუხი იდგა, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა სპირტის სუნიც. მასპინძელმა დაგრაგნილი გაზეთი მოიშველია და მაგიდის მეორე ხელრეც გაათავისუფლა. ქაღალდის ნაგლეჯებმა, საოჯახო ნივთებმა და ხაფცქვენებმა იატაკზე მოადინეს ტყაპანი.

— დაბრძანდით! — მან იენსენს სკამი მიუწია.

— მთვრალი ხართ, — უთხრა იენსენმა.

— არა, მთვრალი კი არა, შექეიფიანებული ვარ. ცხოვრებაში არასდროს ვყოფილვარ მთვრალი, ხოლო შექეიფიანებულს კი ხშირად მიახავთ. მაგრამ პირველსა და მეორეს შორის არსებითი სხვაობაა.

იენსენი დაჯდა. გაუპარსავი მასპინძელი მისკენ გადმოიხარა.

— დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით, თორემ ვერაფრით ვერ შემამჩნევდით. უმეტესობა ვერ მამჩნევს ხოლმე.

— როდის წამოხვედით იქიდან?

— ორი თვის წინ. რატომ ბეკითხებით?

იენსენმა ბლოკნოტი მაგიდაზე დადო და ფურცვლა დაიწყო. როდესაც იმ გვერდამდე მივიდა, სადაც მესამე ნომერი ეწერა, მასპინძელმა მის მხარის ზემოდან ჩაიხედა:

— ოჰო, რაღაცულ საზოგადოებაში მოვხვდი, — უთხრა მან.

იენსენი უსიტყვოდ ფურცლავდა ბლოკნოტს.

— მაოცებს, რომ იმ კუდიან ქალთან ყოფილხართ და გინება შეგიხარჩუნებიათ, — თქვა მასპინძელმა და მაგიდას შეშოლარა. — მის სახლში იყავით? აი, ამას კი ვერაფრის გულისათვის ვერ გაებედავდი.

— იცნობთ მას?

— დიახაც, ვიცნობ. მე უკვე ვმუშაობდი ჟურნალში, როცა ის მოვიდა. მთავარ რედაქტორად დანიშნეს და მე ერთი წელი გავძელი იმ ადგილზე

— გაძელით?

— ჰო, მაშინ უფრო ახალგაზრდა და ღონიერი ვიყავი.

იგი დივანზე ჩამოჯდა. მარჯვენა ხელი ჭუჭყიანი საბნების, ზიწრებისა და ბალიშების ქვეშ შეყო და ბოთლი გამოაძრო

— რადგან თქვენ უკვე მიხვდით, არავითარი აზრი აღარა აქვს, აწი რაღდენს დავლევ. გარდა ამისა, როგორც უკვე მიგიხსენეთ, მე არ ვოვრები, მხოლოდ გაბედულება მეშალება.

იენსენი თვალს არ აშორებდა.

მასპინძელმა ბოთლიდან მოსვა, გადადგა და შეეკითხა:

— კაცმა რომ თქვას, მაინც რა გინდათ?

— ზოგიერთი ცნობა მჭირდება.

— რის შესახებ?

იენსენმა არაფერი უპასუხა.

— თუ გსურთ ზოგიერთი რამ გაიგოთ იმ ბებერ უნამუსოზე, ბედი გეწიათ. ცოტა ვინმე თუ იცნობს მას ჩემზე უკეთ. მე მისი ბიოგრაფიის დაწერასაც შევძლებდი.

მასპინძელი დადუმდა, მაგრამ, როგორც ჩანს, პასუხს არ ელოდა. მან თვალები მოჭუტა, სტუმარს შეხედა. მერე მზერა ჭუჭყისაგან დაბიხდულ ფანჯარას მიაპყრო. მიუხედავად სიმთვრალისა, უურადღებიანი და ჯიუტი მზერა ჰქონდა.

— თქვენ თუ იცით, როგორ გახდა ის ქალი ქვეყნის ყველაზე დიდი ჟურნალის მთავარი რედაქტორი?

იენსენმა დუმილი არჩია.

— საწყენია, — ჩაფიქრებით წაიბუტბუტა მასპინძელმა, — ძალზე საწყენია, რომ ამაზე თითქმის არავინ არაფერი იცის. მაგრამ მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე ხომ გარდამტეხი მომენტი შეიქნა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში.

სიჩუმე ჩამოვარდა. იენსენს ცნობისმოყვარეობის ნატამალიც არ ემჩნეოდა, მასპინძელს შეჰყურებდა და თითებს შორის ავტოკალამს ატრიალებდა.

— იცით, რა ადგილზე მუშაობდა ის ქალი, სანამ მთავარი რედაქტორი გახდებოდა?

მასპინძელი ბილწად ახითხითდა.

— დამლაგებლად. და იცით, სად ალაგებდა?

იენსენმა ბლოკნოტის სუფთა გვერდზე პატარა ხუთქიმიანი ვარსკვლავი დახატა.

— წმიდათაწმიდაში. იმ სართულზე, სადაც კონცერნის დირექციაა მოთავსებული. როგორ შეაღწია იქ, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ, რასაკვირველია, შემთხვევის წყალობით არ მომხდარა.

ის დაიხარა და ბოთლი აიღო.

— ეს რა არის, მას უფრო მეტიც შეეძლო. გესმით, ის ქალი მაცდური იყო, ძალზე მაცდური. ასე ფიქრობდა ყველა, სანამ გაიცნობდნენ.

ერთი ყლუპი მოსვა.

— იმხანად სამსახურის დამთავრების შემდეგ ალაგებდნენ. დამლაგებლები ექვსი საათისათვის მოდიოდნენ. ყველა, მის გარდა. ის მოდიოდა ერთი საათით ადრე, როდესაც შეფი მუდამ თავის კაბინეტში იჯდა. შეფი თავის მდივანს ჩვეულებრივ ხუთ საათზე უშვებდა, რათა დარჩენილ დროში ხელი არავის შეეშალა და რაღაც სხვა საქმე გაეკეთებინა. სახელდობრ რა, არ ვიცი. მაგრამ შემიძლია მივხვდე, — დაუმატა მან და ფანჯარაში გაიხედა.

უკვე ბინდდებოდა. იენსენმა საათს დახედა. შვიდის თხუთმეტი წუთი იყო.

— ზუსტად ექვსის თხუთმეტ წუთზე ის ქალი შეფის კაბინეტის კარს გააღებდა, შეიხედავდა და ამბობდა: „ოჰ, მაპატიეთ“. მერე ისევ კეტავდა კარს. როდესაც შეფი სახლში, ტუალეტში ან სადმე სხვაგან მიდიოდა, თვალს მოჰკრავდა-ხოლმე, როგორ მიიმალებოდა ქალი დერეფანში კუთხის იქით.

იენსენმა ის იყო პირი გააღო, რაღაც უნდა ეთქვა. მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა.

— განსაკუთრებით მაცდური ჩანდა უკნიდან. კარგად მახსოვს, როგორ გამოიყურებოდა. ლურჯი ქვედატანი ეცვა, თავზე თეთრი თავსაფარი ჰქონდა წაკრული, ხისლანჩიან ფეხსაცმელებს მხოლოდ შიშველ ფეხზე იცვამდა. როგორც ჩანს, რაღაცას მოკრა ყური. მახსოვს, შეფზე ხმები დადიოდა. გულგრილად ვერ უყურებს ვერც ერთი ქალის მუხლებსო.

მასპინძელი ლასლასით მივიდა გამომრთველთან და სინათლე აანთო.

— მას შემდეგ, რაც შეფი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეჩეხებოდა იმ ქალს, საქმე ზღაპრული სისწრაფით წავიდა წინ. შეფი განთქმული იყო ამ საქმეში. იმასაც ამბობდნენ, წესის და რიგის მიხედვით უყვარს გაცნობაო. აი, პიეონი, ხომ მართალია? და იცით, რა მოხდა შემდეგ?

ჭერზე ჩამოკიდებული ნათურა მტვრის სქელი ფენით იყო დაფარული და ამიტომ სუსტად ანათებდა.

— ქალი მას აზრიან პასუხს არ აძლევდა. რაღაც უწყინარსა და გაუგებარს წაიბუტბუტებდა და შველივით თვალებს მიაპყრობდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს.

იენსენმა პირველ ვარსკვლავს მეორე ექვსქიმიანი ვარსკვლავი მიუხატა.

— ეს იყო და ეს, ის ქალი ვეღარ ამოიგდო თავიდან. გამწარებული ცდილობდა მისი მისამართი გაეგო. არაფერი გამოუვიდა. ეშმაკმა უწყის, სად ცხოვრობდა ის ქალი იმხანად, იმასაც ამბობდნენ, შეფმა ხალხი გააგზავნა მისი კვალის მისაგნებად, მაგრამ ხელიდან დაუძერათო. შემდეგ ქალმა თხუთმეტი წუთით გვიან იწყო მოსვლა ის კი იჯდა. ქალი დღითი დღე სულ უფრო გვიან მოდიოდა, ხოლო შეფი ძველებურად თავის კაბინეტში იჯდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს საქმით იყო გართული. და აი, ერთხელაც...

ის დადუმდა. იენსენი მოთმინებით ელოდა ნახევარი წუთი შემდეგ ზევით აიხედა და მთხრობელს გულგრილად შეაცქერდა.

— წარმოიდგინეთ, რომ შეფი სულ გაგიჟდა. ერთხელ ქალი ცხრის ნახევარზე გამოცხადდა, როდესაც სხვა დამლაგებლები დიდი ხნის წასულები იყვნენ. შეფის კაბინეტში ბნელოდა, მაგრამ საკიდზე მისი პალტო ეკიდა, და ქალმა კარგად იცოდა, რომ ის კიდევ იქ იყო. და აი, მან წინ და უკან სიარული დაიწყო დერეფანში, თან ხის ლანჩებს

აბრახუნებდა. მერე უცებ თავისი ვედრო აიღო, შეეიდა მასთან და კარი მიიკეტა.

მასპინძელმა ხმამაღლა და ყიპყიპით გაიცინა.

— რა ამბავი დატრიალდა! — თქვა მან. — შეფი კარს უკან პერანგის ამარა იდგა. ღმუილით მივარდა, ჩამოაგლიჯა კაბა, გადააბრუნა ვედრო და ქალი იატაკზე წააქცია. ის, რასაკვირველია, იგერიებდა და კიოდა, ჰოდა...

მთხრობელმა სიტყვა გაწყვიტა და მსმენელს აშკარა კმაყოფილებით შეხედა.

— ...მერედა, თქვენი აზრით, რით დამთავრდა ყოველივე ეს?

იენსენი ჯიუტად უმზერდა რაღაც საგანს იატაკზე და ძნელი იყო იმის გასაგებად, უსმენდა თუ არა.

— იმავ წამს ღამის დარაჯმა, რასაკვირველია, ფორმაში გამოწყობილმა, მუცელზე გასაღებების ასხმულა რომ ეკიდა, კარი გაიღო და ფარანი მიაშუქა. ასეთი სურათის დანახვაზე თავეზა აეტნა, სასწრაფოდ მიაჯახუნა კარი და მოქუსლა. შეფი უკან გაბოლკილა. დარაჯი ლიფტში შევარდა, შეფმა მოასწრო კარის დაკეტვამდე შიგ შეხტომა. ძას ეგოხა, დარაჯი ხალხს შემიყრისო, ხოლო ის საბრალო საოცრად დაფრთხა და იფიქრა, სამსახურიდან გამაგდებენო. ქალმა რასაკვირველია, ყველაფერი წინასწარ გაიანგარიშა და წამის სიზუსტით იცოდა, როდის უწევდა დარაჯს შემოვლა, როდის ინიშნავდა დროს საკონტროლო საათით.

მასპინძელი ცდილობდა სიცილი შეეკავებინა, მაგრამ მაინც ხითხითებდა და წამდაუწუმ ხელს ყოფდა დაჭმუჭნილ ზეწრებში.

— მაშ ასე, წარმოიდგინეთ: კონცერნის შეფი ქვედა საცელის ამარა შედის ლიფტში, და მასთან ერთად ლიფტში შეყუჟულა შიშისაგან გაქვავებული დარაჯი სრულ სამსახურებრივ ფორმაში გამოწყობილი: ქუდით, ფარნით, ხელკეტითა და გასაღებების დიდი ასხმულათი. ეი, ისინი ოთოქის ქალალდის საწყობამდე მივიდნენ, ამ დროს ერთ-ერთი მათგანი გონს მოვიდა. გააჩერა ლიფტი, თითი დააჭირა სხვა ღილაკს და ისევ ზევით წავიდნენ. მაგრამ სანამ ზემოთ ავიდოდნენ, დარაჯი დარაჯობიდან შენობის კომენდანტი გახდა. თუმცა მთელი ამ ხნის მანძილზე კრინტიც არ დაუძრავს.

მთხრობელი დადუმდა. თვალებში ცეცხლი ჩაუქრა და თაშიხეე თავი ჩაქინდრა.

— წინანდელი კომენდანტი სამსახურიდან გადააყენეს, რაკი კადრების შერჩევა არ იცოდა.

შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება, და აი, აქ ქალმა ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით გაითამაშა. რადგან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ რედაქციისადმი დაწერილი ბრძანებიდან გავიგეთ, რომ ჩვენი მთავარი რედაქტორი გადაყენებულია, ხოლო კიდევ თხუთმეტი წუთის შემდეგ რედაქციაში თვითონ ეს ქალი გამოცხადდა და დაიწყო ერთი ორომტრიალი...

მთხრობელს უცებ გაახსენდა, რომ ბოთლი ჰქონდა და ცოტა მოსვა.

— იცით, ჩვენ საკმაოდ კარგი ჟურნალი გვქონდა, მაგრამ ცუდად საღდებოდა. თუმცა მხოლოდ პრინცესებზე ვწერდით და კიდევ იმაზე, როგორ გამოვაცხოთ უკეთ თაფლკვერი, მკითხველთა ფარული წრისათვის ის მაინც ძალზე რთული იყო, და იმასაც კი ამბობდნენ, ხომ არ გავაუქმოთო. მაგრამ ამ დროს...

აუდიტორიასთან უკეთესი კონტაქტი რომ დაემყარებინა, მთხრობელმა გამომცდელი თვალით შეხედა იენსენს, მაგრამ მისი მზერის დაჭერა მაინც ვერ შეძლო

— ამ ქალმა ერთიანად დაგვარბია. თითქმის ყველა თანამშრომელი გააგდო და მათ ადგილზე ნამდვილი არნასული იდიოტები აიყვანა. რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად დანიშნა ერთი პარიკმახერი, რომელიც აზრზეც არ იყო, რომ წერტილ-მძიმე არსებობდა. როცა მან პირველად მოჰკრა თვალი საბეჭდ მანქანას, ჩემთან შემოვიდა ივის საკითხავად, რა არის ესო, მე კი ისე დავკანკალებდი ჩემს ადგილს, შელრუნაც ვერ გავბედე. მახსოვს, ვუპასუხე, ალბათ, ვილაც ინტელიგენტის მორიგი გამოგონება თუ არის-მეთქი.

თქვა ესა და უკბილო ყბების ქნევას მოჰყვა.

— იმ უნამუსოს ყველაფერი სძულდა, რასაც კი ინტელიგენტობასთან კავშირი ჰქონდა, ხოლო მისი აზრით, ინტელიგენტობად ითვლებოდა ყველაფერი, დაწყებული იმით, რომ საკუთარი აზრის გამართულად დაწერა შეგეძლო. მე მხოლოდ იმიტომ გავძელი, რომ „სხვებივით არ ვიქცეოდი, — ჭკუას ძალას არ ვატანდი". და კიდევ იმიტომ, რომ ყოველ სიტყვას ვწონიდი. მახსოვს, ერთმა ახალბედა რეპორტიორმა, ხდობა რომ დაემსახურებინა, სისულელე ჩაიდინა და სხვა მთავარი რედაქტორის ამბავი უამბო. ამბავი ნამდვილი და ძალზე სასაცილო იყო. აი, ყური მიგდეთ: იდეოლოგიური განყოფილების

რომელიღაც თანამშრომელი ერთ-ერთი უდიდესი ჟურნალის კულტურის განყოფილების რედაქტორთან მივიდა და უთხრა. რომ ავგუსტ სტრინდბერგი — მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია და, რომ შეიძლება ილუსტრაციებით დაიბეჭდოს სურათი „ფრეკენ იულია", თუ წინასწარ ოდნავ გადაამუშავებენ მას, — გვერდს აუვლიან კლასობრივ განსხვავებებსა და სხვა გაუგებარ ადგილებს. რედაქტორი ღრმა-აზროვნად მოიღუშა და შემდეგ განმეორებით ჰკითხა: „რა თქვი, რა გვარია?" იდეოლოგმა კი უპასუხა: „თითქოს არ იცოდე, ავგუსტ სტრინდბერგი". მაშინ რედაქტორმა უთხრა: „საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. უთხარი, ხვალ დაახლოებით თორმეტი საათისათვის „გრანდ-ოტელში" შემოირბინოს. ერთად წავისაუზმებთ და თანაც ჰონორარის თაობაზე მოვილაპარაკებთ". ჰოდა, რეპორტიორმა ყველაფერი უამბო ქალს. იმან ცივად ახედ-დახედა და უთხრა: „სასაცილოს ვერაფერს ვხედავ". ორი საათის შემდეგ რეპორტიორი უკვე გულდანაბადს იკრავდა.

მთხრობელი ისევ ახითხითდა. იეხიელი ისევ გულგრილად შესცქეროდა.

— ყველაზე პიკანტური ამბავი ახლა დაიწყება. იმ კუდიანმა ქალმა თავისი უნიკალური სიბრიყვის წყალობით ნახევარი წლის მანძილზე შეძლო ორჯერ გაეზარდა ტირაჟი. ჟურნალი აივსო ძაღლების, კატების, ყვავილების სურათებით. კიდევ: ჰოროსკოპებით, ფრენოლოგიით, რჩევა-დარიგებებით, როგორ უნდა იმკითხაო ყავის ნალექზე და როგორ უნდა მორწყო ნემსიწვერა. არც ერთი მძიმე თავის ადგილზე არ იყო დასმული, მაგრამ ხალხი მაინც ყიდულობდა ჟურნალს. ის მცირე, რასაც ტექსტი ეწოდებოდა, ძალზე უმნიშვნელო და მიამიტური იყო. თავისუფლად შეეძლო კონკურენცია გაეწია იმისათვის, რაც დღეს იწერება. ეშმაკმა დალახვროს და, მე სიტყვა „ლოკომოტივი" დაწერის ნება არ დამრთეს, სანამ არ განვმარტე, რომ ეს არის ბორბლებზე შემდგარი აპარატი, დადის რელსებზე და თან ვაგონებს ეწევა. ჩვენი შეფისათვის ეს დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. ყველანი ერთხმად ადიდებდნენ მის უმაგალითო სითამამესა და განჭვრეტის უნარს. ამტკიცებდნენ, რომ ამ მანევრმა რევოლუცია მოახდინა საჟურნალო საქმეში და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ჟურნალისტიკას.

მან კიდევ ერთხელ მოიყუდა ბოთლი.

— ყველაფერი ბრწყინვალედ აეწყო. მხოლოდ ერთი კოვზი კუპ-

რი აფუძებდა თაფლიან კასრს — ეს გახლდათ ჩვენი დარაჯი. მას ისე აუვარდა თავში თავისი ახალი თანამდებობა, რომ ვეღარ დამალა. როგორ მიაღწია ამას. მაგრამ მალე ეს ამბავი დამთავრდა. ნახევარი წლის შემდეგ იგი დაიღუპა ლიფტის კაბინიდან გამოსვლის დროს. კაბინა სართულებს შორის გაიჩხირა და როდესაც მან გამოძრომა სცადა, ისევ დაიძრა. ჰოდა, ლიფტმა, უბრალოდ, შუაზე გაჭრა. რაკი ყველამ იცოდა, რამდენად ბრიყვი იყო, ყველაზე იოლი სავარაუდო ის იყო, რომ ეს ამბავი საკუთარი სისულელით დაემართა.

მთხრობელმა ხელისგული ტუჩებზე მიიდო და დიდხანს, ნაძალადევად ახველებდა. როდესაც ხველა ჩაუწყნარდა, განაგრძო:

— ქალი კელავ მძვინვარებდა. იგი დაიხვეწა და მისი პრეტენზიები ყოველწლიურად სულ უფრო თავშეუკავებელი ხდებოდა. ჟურნალი გავსებული იყო რაღაც წარმოუდგენელი ფასონის კაბებით. ხმა ღაირხა, ფაბრიკანტებისაგან ქრთამს ღებულობსო. ბოლოს და ბოლოს, დიდი ფულის წყალობით შესაძლებელი შეიქნა მისი გასტუმრება. შეფს ორას ორმოცდაათი ათასი ნაღდი ფულის გაღება მოუხდა. რათა ის დაეთანხმებინათ და ვადაზე ადრე გაესტუმრებინათ დასასვენებლად სრული პენსიით.

— თქვენ რატომღა წამოხვედით?

— ამას რა კავშირი აქვს საქმესთან?

— თქვენ რატომ წამოხვედით?

ბოთლი ცარიელი იყო. მასპინძელს შეაჟრჟოლა და აღგზნებულმა აუხსნა:

— მე ულაპარაკოდ მომიცილეს. და მთელი ამ წლებია ღვაწლისათვის ერთი ერეც კი არ გადამიხადეს.

— რატომ?

— უბრალოდ, ჩემი მოცილება უნდოდათ. ალბათ, გარეგნული წარმოსადეგობა მაკლდა. გამომცემლობის ღირსეული წარმომადგენელი არ გახლდით. და გარდა ამისა, გამოვიფიტე, აღარაფრის დაწერა არ შეიძლო, ერთ, ყველაზე სულელურ სტრიქონსაც კი ვეღარ ვწერდი. ასეთი ბოლო აქვს ყველას.

— ეს იყო ოფიციალური მიზეზი?

— არა.

— მაინც, რა იყო ოფიციალური მიზეზი?

რედაქციაში ვსვამდი.

— და მაშინვე წამოხვედით?

— დიახ. ესე იგი, ფორმალურად მე არ დამითხოვეს სამსახურიდან. ჩემი კონტრაქტი ისე იყო შედგენილი, რომ ყოველთვის შეეძლოთ ჩემი გამოგდება.

— პროტესტი განაცხადეთ?

— არა.

— რატომ?

— აზრი არ ჰქონდა. მათ ბედმა გაუღიმა და კადრების დარგში ისეთი დირექტორი აიყვანეს, რომელიც ადრე ეურნალისტთა პროფკავშირს ედგა სათავეში და დღემდე ის მოთავეობს იქ ყველაფერს. მან ყველა ხვრელი იცის. ვერც ერთი უბრალო მოკვდავი ვერ ვაეტოლება მას. ჩივილს მოისურვებ, და ისევ მასთან მოხვდები. როგორც გადაწყვეტს, ისე იქნება. ეშმაკურადაა მოფიქრებული, მაგრამ ყველგან ასეა. მათი გადასახადების იურისკონსულტები ერთდროულად ფინანსთა სამინისტროშიც იღებენ ხელფასს და თუკი ხუთ წელიწადში ერთხელ რაიმე კრიტიკა გაისმის ყოველკვირეულების მიმართ, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს მათივე შეთხზულია თავიანთი ყოველდღიური გამოშვებებისათვის. მაგრამ ასეა ყველა.

— და ამის გამო გაბოროტდით?

— არა მგონია. რაღა დროს ეგ არის, ვის შეუძლია ჩვენს დროში გაბოროტება?

— წამოსვლისას დიპლომი მიიღეთ?

— არაა გამორიცხული. გარეგნულად ვერავის ვერაფერში შეედავები. კადრების დარგის დირექტორს ასეთი საქმეებისა გაეგება. ის გაგიღიმებთ, ერთი ხელით სიგარას მოგაწვდით, მეორეთი კი ყელში გწვდებათ. და საერთოდ, გომბეშოსა ჰგავს.

მასპინძელი აშკარად ვეღარ ახერხებდა გონების მოკრებას.

— მიიღეთ თუ არა დიპლომი?

— რა კავშირი აქვს ამას საქმესთან?

— მიიღეთ თუ არა დიპლომი?

— შესაძლოა, მივიღე კიდეც.

— შენახული გაქვთ?

— არ ვიცი.

— ეაჩვენეთ.

— არ შემიძლია და არ მინდა.

— აქა გაქვთ?

— არ ვიცი. აქაც რომ იყოს, ვერ ვიპოვნი. თქვენ რა. შეძლებდით აქ რაიმეს პოვნას?

იენსენმა ძიმოიხედა, შემდეგ ბლოკნოტი დახურა და წამოდგა.

— ნახვამდის.

— მაგრამ მაინც არ მითხარით, რატომ მოხვედით.

იენსენმა არაფერი უპასუხა. ქუდი დაიხურა და ოთახიდან გავიდა. მასპინძელი ისევ ისე იჯდა ჭუჭყიან ზეწრებში. მას ულიმლამო, გაქუცული და უკიდურესად ნამძინარევი სახე ჰქონდა.

იენსენმა ... ტელეფონი ჩართო, პოლიციის ავტობუსი გამოიძახა და მისამართი მიუთითა.

— ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენება სახლში. მიიყვანეთ მეთექვსმეტე უბანში, რაც შეიძლება ცოცხლად.

ჭუჭის მეორე მხარეს იენსენმა ტელეფონ-ავტომატი დაინახა, ჯიხურში შევიდა და პატრულის უფროსს დაურეკა.

— გაჩხრიკეთ ბინა სასწრაფოდ. თქვენთვის ცნობილია, რა უნდა ეძებოთ.

— დიახ, კომისარო.

— შემდეგ წადით უბანში და დამელოდეთ. შემდგომი განკარგულების მიღებამდე არ გაუშვათ.

— რა მიზეზით?

— რაც გინდათ, მოიფიქრეთ.

— გასაგებია.

იენსენი მანქანასთან დაბრუნდა. ორმოცდაათიოდე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ პოლიციის ავტობუსი შემოხვედა.

21

საფოსტო უუთის ღრიჭოში სუსტი სინათლე გამოსჭვიოდა. იენსენმა ბლოკნოტი ამოიღო და კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი თავის შენიშვნებს: „№ 4. სამხატვრო დირექტორი. 20 წლისა. გაუთხოვარი. წავიდა საკუთარი სურვილით". შემდეგ ბლოკნოტი ჯიბეში ჩაიდო, ნიშანი ამოიღო და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

— ვინ არის?

— პოლიცია.

— ნუ ცრუობთ! ხომ გითხარით ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს არ გიშველით. არ მინდა.

— გააღეთ!

— გაეთრიეთ აქედან! ღვთის გულისათვის, თავი დამანებეთ, მომეშვით. იმას კი გადაეცით, რომ არ მინდა.

იენსენმა ორჯერ დაარტყა მუშტი კარს.

— პოლიციაა! გააღეთ!

კარი ფართოდ გაიღო. ქალმა უნდობლად ახედ-დახედა.

— არა, — უთხრა მან. — არა, ეს უკვე მეტისმეტია.

იენსენმა ზღურბლს გადააბიჯა და თავისი ნიშანი აჩვენა.

— მეთექვსმეტე უბნის კომისარი იენსენი ვარ. ვაწარმოებ ძიებას, რომელიც თქვენს ყოფილ თანამდებობასა და ყოფილ სამსახურს ეხება.

ქალი ნიშანს დააშტერდა და უკან დაიხია.

იგი სულ ახალგაზრდა იყო. შავი თმა, ნაცრისფერი, ოდნავ გადმოკარკლული თვალები და ჯიუტი ნიკაპი ჰქონდა. უჯრულა პერანგი, ხაკისფერი შარვალი და რეზინის ჩექმები ეცვა. და კიდევ გრძელი ფეხები, ძალზე წვრილი წელი და მკვრივი თეძოები ჰქონდა. ნაბიჯი გადადგა თუ არა, ნათელი შეიქნა, რომ პერანგის ქვემოთ არაფერი არ ეცვა. მოკლედ შეკრეჭილი თმა დაუვარცხნელი ჰქონდა და კოსმეტიკას აშკარად არ ხმარობდა.

რაღაცით ძველებურ სურათებზე გამოსახულ ქალებს მოგაგონებდათ.

ძნელი იყო მისი თვალების გამომეტყველების გამოცნობა. მათში ერთნაირად იკითხებოდა სიბრაზეც და შიშიც, სასოწარკვეთილებაცა და გამბედაობაც.

შარვალი საღებავით ჰქონდა დასვრილი, ხელში კი ფუნჯი ეჭირა. შუა ოთახში იატაკზე გაზეთები იყო გაფენილი და გაზეთებზე სარწეველა სავარძელი იდგა. უთუოდ ამ სავარძლის შეღებვას აპირებდა.

იენსენმა ოთახს თვალი მოავლო. დანარჩენი ავეჯიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს სანაგვიდან მოათრიესო, რომ მერე მხიარულ ფერებში შეეღებათ.

— თურმე მართალს ამბობდით, — უთხრა ქალმა. — მისგან ყველაფერი მოსალოდნელია, ისღა აკლდა, პოლიცია მოესია. მაგრამ წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ: ვერ შემაშინებთ. თუ შესაფერის მიზეზს იპოვით, შეგიძლიათ ჩამსვათ. სამზარეულოში ერთი ბოთლი ღვინო მაქვს შენახული. თუ სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ ჩაებღაუქოთ. ჩემთვის სულ ერთია. ახლანდელ ყოფას ყველაფერი მიჯობს.

იენსენმა ბლოკნოტი ამოიღო.

— როდის წამოხვედით იქიდან?

— ორი კვირის წინ. სამსახურში არ გამოცხადდი და მორჩა. თქვენთან ეს დანაშაულად ითვლება?

— რამდენი ხანი იმუშავეთ იქ?

— ორი კვირა. ჩემს საწვალებლად უფრო სულელური კითხვები ვერ მოიფიქრეთ? ხომ გითხარით, ამით ვერაფერს მიაღწევთ-მეთქი.

— რატომ წამოხვედით?

— თქვენ როგორ ფიქრობთ? იმიტომ, რომ მეტი ვეღარ ავიტანე, ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ და საშველს აღარ მაძლევდნენ.

— თქვენ მხატვრული დირექტორი იყავით?

— არავითარი დირექტორი არ ვყოფილვარ. გაფორმების განყოფილებაში ვმუშაობდი. მათთან ამას წებვის ქალიშვილი ეწოდება. მაგრამ როდესაც ეს კომედია დაიწყო, წებვა ჯერ კიდევ არ მქონდა კარგად შესწავლილი.

— რაში გამოიხატება მხატვრული დირექტორის მოვალეობა?

— არ ვიცი. ჩემი აზრით, ზის და უცხოური ჟურნალებიდან ასოებს ამოჭრის. მთელ გვერდებსაც კი იხატავს.

— მაინც, რატომ წამოხვედით სამუშაოდან?

— ღმერთო ჩემო. ნუთუ ისინი პოლიციასაც ხელფასს უხდიან? ნუთუ სიბრალულის გრძნობა სრულიად არ გაგაჩნიათ? მოკითხვა გადაეცით იმას, ვინც გამოგაგზავნათ. და უთხარით, რომ მას საგიჟეში ჯდომა უფრო შეეფერება, ვიდრე ჩემს ლოგინში ოტრიალი.

— რატომ წამოხვედით?

— იმიტომ რომ, ვეღარ გავუძელი. ნუთუ ასე ძნელია ამის გაგება? რამდენიმე დღის მისული ვიყავი, რომ თვალი დამადგა. ერთმა ნაცნობმა ფოტოგრაფმა რომელიღაც სამედიცინო ტექსტისათვის, თუ არ მახსოვს რისთვის, სურათის გადაღება მთხოვა. ჰოდა, მან ნახა ეს სურათი. მე სრულიად მოურიდებლად წავყევი რომელიღაც საეჭვო რესტორანში. მერე სისულელე ჩავიდინე და შინ მოვიპატიჟე. მეორე ღამეს კი დამირეკა, მაშასადამე, თვითონ დამირეკა და მკითხა, ერთი ბოთლი ღვინო ხომ არ მომეძებნებოდა სახლში. მე კი ჯანდაბაში გავაგზავნე. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი.

ქალს ფეხები ფართოდ გაედგა და თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა იენსენს.

რა გსურთ მოისმინოთ ჩემგან? აბა, რა? აქ, ჩემთან, იატაკზე რომ იჯდა სამი საათი, ჩემი ფეხი ეჭირა და საცოდავად ღმუოდა? და

კინალამ დამბლა რომ დაეცა, როდესაც ბოლოს ფეხი გამოეტაცა და დასაძინებლად წავედი?

— თავი შეიკავეთ ზედმეტი წვრილმანებისაგან.

ქალმა ფუნჯი სარწეველა სავარძლისაკენ გადააგდო. წითელი შხეფები რეზინის ჩექმებზე დაეცა.

— დიახ, დიახ, — წარმოთქვა აღგზნებულმა. — თუ საქმე საქმეზე წავიდა, ღამის გათევაც კი შემეძლო მასთან. ბოლოს და ბოლოს, რატომაც არა? ხომ უნდა ჰქონდეს ადამიანს რაიმე ინტერესი ცხოვრებაში. მართალია, თვალები მებლიტებოდა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ მთლად გაცოფდებოდა, როცა ტანთგახდილს დამინახავდა. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ჯოჯოხეთში გავატარე ეს ორი კვირა. მას მე ვჭირდებოდი. ჩემი თავისუფალი, ბუნებრივი ინსტინქტები უნდოდა. დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ აპირებდა ჩემს გაგზავნას. რაღაც ზარალის ანაზღაურებში უნდა დავხმარებოდი. რაღაცის მთავარ რედაქტორად უნდოდა ჩემი დანიშვნა. მე — მთავარ რედაქტორად! „არა, დარლინგ, იქ არაფრის ცოდნა არაა საჭირო! არ გაინტერესებს? ოჰ, დარლინგ, ღირს კი ამაზე ლაპარაკი?“

— ვიმეორებ: თავი შეიკავეთ ზედმეტი წვრილმანებისაგან.

ქალს სიტყვა გაუწყდა და მოღუშულმა შეხედა:

— თქვენ მისგან არ... ეს მან არ გამოგგზავნათ?

— არა. თქვენ დიპლომი გადმოგცეს?

— დიახ, მაგრამ...

— მაჩვენეთ.

იგი გაოცებული იყურებოდა. მივიდა კედელთან მდგარ ცისფერ სეკრეტერთან, უჯრა გამოსწია და იქიდან დიპლომი ამოიღო.

— ოღონდ მთლად რიგიანად არ გამოიყურება, — უთხრა შეცბუნებულმა.

იენსენმა დიპლომი გაშალა. ვიღაცას ოქროთი მოვარაყებული ტექსტი წითელი კითხვის ნიშნებით აეკრელებინა. პირველი გვერდი წითლად დაწერილი რამდენიმე გინებით იყო შემკული.

— მესმის, რომ ურიგოდ მოვიქეცი, მაგრამ ისე გავცოფდი... სასაცილოა და მეტი არაფერი. მხოლოდ თოთხმეტი დღე წავიმუშავე და ამ თოთხმეტ დღეში მხოლოდ ის მოვასწარი, რომ ნება დავრთე სამი საათის განმავლობაში ჩემი ფეხი სპეროდა ხელში. ერთხელ მთლიანად გავშიშვლდი, მერე კი პიჟამა ჩავიცვი.

იენსენმა ბლოკნოტი ჯიბეში ჩაიდო.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — უთხრა მან.

კიბის ბაქანზე რომ გავიდა, მარჯვენა ფერდქვეშ ტკივილი მოეძალა. ტკივილმა მოულოდნელად და მეტისმეტად ძალუმად შემოუტია. თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა და კარის წირთხლს მხრით მიეყრდნო.

ქალი მაშინვე გაძოვარდა.

— რა დაგემართათ? ავად ხართ? ჩემთან შემოდით, ჩამოჯექით. დაგეხმარებით.

იენსენმა იგრძნო მისი შეხება. ქალი მხარში შეუდგა. კომისარმა ისიც შენიშნა, როგორი თბილი და რბილი იყო ქალი.

— მოითმინეთ, — თქვა მან. — წყალს მოგიტანთ.

სამზარეულოში გაიქცა და მაშინვე დაბრუნდა.

— დალიეთ, იქნებ კიდევ რაიმე გჭირდებათ? ხომ არ წამოწვებით? მაპატიეთ, ასე სულელურად რომ ვიქცეოდი. უბრალოდ, ვერ მოვიფიქრე, რა მოხდა. ერთ-ერთი მოთავეთაგანი. გვარს არ დავასახელებ, გასაქანს არ მაძლევდა...

იენსენი გასწორდა. ტკივილი არ დაუცხრა. მაგრამ თანდათან შეეჩვია.

— მაპატიეთ, — გაიმეორა ქალმა, — უბრალოდ, ვერ ვავიგე თქვენი მოსვლის მიზანი, ჯერაც ვერ გამიგია. უუდამ ვცდები. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ისეთი არა ვარ, როგორც სხვები და რაღაც ნაკლი მაქვს. მაგრამ მინდა, რომ მაინტერესებდეს, მინდა, რაღაც გავაკეთო და მინდა თვითონ გადავწყვიტო, სახელდობრ რა გავაკეთო. არც სკოლაში ვყოფილვარ ისეთი, როგორიც სხვები იყვნენ, მუდამ ისეთ კითხვებს ვიძლეოდი, რომლებსაც ვერავინ იგებდა. მე კი სწორედ ისინი მაინტერესებდა. ახლაც სხვანაირი ვარ, არ ვგავარ სხვა ქალებს. თვითონაც ვგრძნობ ამას. არც იმათნაირად გამოვიყურები, და სუნიც კი სხვანაირი მაქვს. ალბათ, უბრალოდ გიჟი ვარ, ანდა სამყარო გიჟებითაა სავსე. არ ვიცი, რა უფრო ცუდია.

ტკივილმა თანდათან იკლო.

— გირჩევთ, ენა დაიმოკლოთ, — უთხრა იენსენმა. ქუდი დაიხურა და მანქანისაკენ წავიდა.

ქალაქისაკენ ძიძავალი იენსენი რადიოტელეფონით მეთექვსმეტე უბნის მორიგეს დაუკავშირდა. ჩხრეკაზე გაგზავნილი ხალხი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. დღის განმავლობაში რამდენჯერმე დარეკა პოლიციის უფროსმა.

როდესაც ცენტრს მიაღწია, უკვე მეთორმეტე საათი იყო დაწყებული. შეთხელდა მანქანების გაუთავებელი ნაკადი და დაცარიელდა ტროტუარები. ტკივილმა ახლა ოდნავ უფრო დაბლა დაიბუდა და ყრუდღა წიწკნიდა. პირი გაუშრა, და როგორც ყოველთვის შეტევის შემდეგ, ძალზე სწყუროდა. შეჩერდა პატარა კაფესთან, რომელიც ღვთის მადლით ჯერ კიდევ არ დაეკეტათ და მინის დახლს მიუჯდა. კაფეში მინა და ლითონი ელვარებდა. ექვსი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭის გარდა იქ არავინ იყო. ბიჭები ერთ მაგიდას უსხდნენ, ძილმორეული თვალებით მიშტერებოდნენ ერთმანეთს და ხმას არ იღებდნენ. მებუფეტე ას ორმოცდაოთხი ჟურნალიდან ერთ-ერთს კითხულობდა და ამთქნარებდა. სამი ტელევიზორი მსუბუქ გასართობ პროგრამას გადმოსცემდა.

იენსენმა პატარ-პატარა ყლუპებით მინერალური წყალი დალია და იგრძხო, როგორ აუბუყბუყდა ცარიელი კუჭი. ცოტა ხანი იჯდა, მერე წამოდგა და ტუალეტში გავიდა. იქ იატაკზე იწვა კარგად ჩაცმული შუახნის მამაკაცი, რომელსაც ხელი პირდაპირ ქვის ღარში ჩაეყო. მამაკაცი სპირტის სუნად ყარდა და პერანგსა დ პიჯაკზე ნარწყევის კვალი ემჩნეოდა. თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ მათი გამომეტყველება უაზრო და არაფრისმეტყველი იყო.

იენსენი დაბრუნდა და დახლთან მივიდა.

— თქვენს ტუალეტში მთვრალი გდია.

მებუფეტემ მხრები აიჩეჩა და ფერადი ილუსტრაციების ოვალიერება განაგრძო.

იენსენმა ნიშანი აჩვენა. მებუფეტემ მაშინვე გადადო ჟურნალი და პოლიციის გამოსაძახებლად ტელეფონის აპარატთან მიეიდა. საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმოს პირდაპირი კავშირი ჰქონდა უახლოესი უბნის რადიოფიცირებულ პატრულთან.

მთვრალის წასაყვანად ნამძინარევი და დაღლილი პოლიციელები მოვიდნენ. როდესაც ისინი დაპატიმრებულს მიათრევდნენ, რამდენჯერმე მიახეთქეს თავით მარმარილოსებურად შეღებილ იატაკს.

ისინი სხვა უბნიდან იყვნენ, როგორც ჩანს, მეთერთმეტედან და ამიტომ ვერ იცნეს იენსენი.

როდესაც საათმა თერთმეტი საათი და ორმოცდათხუთმეტი წუთი უჩვენა, მებუფეტემ შიშნეულად შეხედა მომსვლელს და კაფე დაკეტა. იენსენი გავიდა, მანქანაში ჩაჯდა და მორიგე გამოიძახა. ჯგუფი სულ ახალი დაბრუნებული იყო ჩხრეკიდან.

— ყველაფერი რიგზეა, — მოახსენა პატრულის უფროსმა. — ვიპოვეთ.

— მთელია?

— დიახ, იმ გაგებით, რომ ორივე ფურცელი მთელია. ოღონდ მათ შორის გასრესილი ძესვი იდო.

იენსენი დუმდა

— ამ ამბავმა ბევრი დრო წაგვართვა, — განაგრძობდა პატრულის უფროსი, — ამოცანა ხომ არც ისე იოლი იყო. ამ სანაგვეში მარტო ქაღალდი იქნებოდა ათეულ ათასობით.

— თვალი მიადევნეთ. ბინის პატრონი ხვალ დილით, ჩვეულებრივი წესით გაათავისუფლონ.

— გავიგე.

— კიდევ ერთი რამ.

— გისმენთ, კომისარო.

— რამდენი წლის წინ დაიღუპა ლიფტში შენობის კომენდანტი?

— გასაგებია.

— დაადგინეთ წვრილმანები. აგრეთვე ცნობები შეკრიბეთ დაღუპულზე. განსაკუთრებით მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ და, რაც შეიძლება, სწრაფად.

— გავიგე. ნებას მომცემთ მოგახსენოთ?

— დიახ.

— პოლიციის უფროსი გეძებდათ.

— გთხოვათ რაიმე გადმოგეცათ ჩემთვის?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არა.

— ღამე მშვიდობისა. — იენსენმა ყურმილი დაჰკიდა. სადღაც შორიახლოს საათმა შუაღამის დარეკა — გაისმა თორმეტი მძიმე, ყრუ დარტყმა.

დამთავრდა მეექვსე დღეც. ვადის დამთავრებამდე ზუსტად ოცდაოთხი საათი რჩებოდა.

იენსენი სახლში აუჩქარებლად მიდიოდა. ფიზიკურად უკიდურესად დაიღალა, მაგრამ იცოდა, მაინც ვერ დაიძინებდა მალე. ძილისათვის კი ცოტა დრო რჩებოდა.

თეთრ კედლებიან, გაკაშკაშებულ გვირაბში არც ერთი მანქანა არ შეხვედრია. გვირაბის სამხრეთით სამრეწველო რაიონი იწყებოდა. ახლა ის ყველას მიეტოვებია და იქ სიწყნარე სუფევდა. მთვარის შუქზე ალუმინის აირსაცავები და ფაბრიკების კორპუსების პლასტიკის სახურავები ვერცხლივით ბზინავდა.

ხიდზე პოლიციის ავტობუსმა გაუსწრო; წამიც და „სასწრაფო დახმარების“ კარეტამ ჩაუქროლა. ორივეს სირენები ჩაერთო და დიდი სისწრაფით მიქრიალებდა.

შუა გზაზე იენსენი პოლიციის კორდონმა შეაჩერა. პოლიციელს ხელში ფარანი ეჭირა. მან, როგორც ჩანს, შეიცნო იენსენი. როდესაც იენსენმა გვერდითა მინა ჩაწიეშვა, ქუდთან ხელი მიიდო, მიესალმა და მოახსენა:

— საგზაო შემთხვევაა. დაიღუპა ერთი. დამტვრეულმა მანქანამ გზის სავალი ნაწილი გადაღობა. რამდენიმე წუთში გზას გავწმენდთ.

იენსენმა თავი დაუქნია. ღამის ცივი ჰაერი დაუბრკოლებლად რომ შემოსულიყო მანქანაში, მინა არ აუწევია, ისე იჯდა. ამასობაში იმას ფიქრობდა, რომ ყოველწლიურად საგზაო შემთხვევები სულ მცირდებოდა, ხოლო ავარიათა შედეგად დაღუპულთა რიცხვი კი, პირიქით, ზატულობდა. სატრანსპორტო სამინისტროს ექსპერტებმა ეს სტატისტიკური ამოცანა უკვე დიდი ხანია გადაჭრეს. საგზაო შემთხვევათა რიცხვისა და მატერიალური ზარალის ოდენობის შემცირება შეიძლება აიხსნას გზის ხარისხის გაუმჯობესებითა და მარეგულირებელთა სიფხიზლით. მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანია სუფთა ფსიქოლოგიური ფაქტორი: ადამიანები ასლა ბევრად უფრო დამოკიდებულები არიან თავიანთ ავტომანქანებზე, ამიტომ უფრო ფრთხილად ეპყრობიან მათ და — შეგნებულად თუ შეუგნებლად — ეშინიათ მხოლოდ ერთის — მანქანის დაკარგვის. ავარიაში დაღუპულთა რიცხვის უმეტესი ნაწილი სამართლიანად შეიძლება თვითმკვლელობად მიეჩნიათ. მაგრამ აქაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ფსიქოლოგიური ფაქტორი: ადამიანები თავიანთ მანქანებთან ერთად და მათი გულისათვის ცხოვრობენ, ამიტომ უნდათ მათთან ერთად სიკვდილი. ყოველივე ეს

იენსენმა შეიტყო ერთი გამოკვლევიდან, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩატარდა. რასაკვირველია, ეს გამოკვლევა სასტიკად გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ პოლიციის უმაღლეს ჩინებს შეეძლოთ გაცნობოდნენ მის შედეგებს.

გზა რვა წუთში გაასუფთავეს. იენსენმა მანა ასწია და ძრავა ჩართო. ბეტონის გზატკეცილზე ოდნავ შესამჩნევი ჭირხლი იდო, ხოლო კატასტროფის ადგილზე პროექტორების შუქზე მკვეთრად ვამოირჩეოდა საბურავების კვალი. მაგრამ ეს არ იყო არც იუზის და არც მკვეთრი დამუხრუჭების ბრალი. ეს გახლდათ გზის ნაპირას, ბეტონის ბოძზე მანქანის დარტყმის კვალი. საეჭვო იყო ასეთ ვითარებაში მომხდარი ავარიის გამო საფაზღვევო პრემიის მიღების იმედი ჰქონოდათ. თუმცა, როგორც ყოველთვის, გამორიცხული არ იყო ყველაზე ბუნებრივი მიზეზი: მძღოლი დაიღალა და საჭესთან ჩაეძინა.

იენსენი რაღაც მოუსვენრად და დაუკმაყოფილებლად გრძნობდა თავს, თითქოს ხელიდან რაღაც გაუშვა ანდა ისე ვერ გააკეთა, როგორც საჭირო იყო. როდესაც ამ გრძნობების გაანალიზება სცადა, შიმშილისაგან უცებ გული გაელია. მანქანა მეშვიდე სახლის წინ მდებარე სადგომის მესამე რიგში მიიყვანა. სასურსათო ავტომატთან მიირბინა, ღილაკზე თითი დააჭირა და იქიდან დიეტური კვების რძის წვნიანის სინთეტური პაკეტი ამოიღო.

სახლში, უპირველეს ყოვლისა, პალტო და პიჯაკი გაიხადა და კოხტად ჩამოჰკიდა, შემდეგ სინათლე აანთო, ჩამოუშვა ჟალუზები, გავიდა სამზარეულოში, გადაზომა ნოლი მთელი და სამი მეათედი ლიტრა წყალი, ქვაბში ჩაასხა და შიგ ფხვნილი ჩაყარა. როდესაც ნარევი გაცხელდა, დიდ ფინჯანში გადაასხა და ოთახში დაბრუნდა. ფინჯანი ტუმბოზე დადო, საწოლზე ჩამოჯდა და ფეხსაცმელების ყაითხები შეიხსნა. საათი სამის თხუთმეტ წუთს უჩვენებდა. ირგვლივ ჩქამი არ ისმოდა. მას ისევ ეჩვენებოდა, თითქოს ხელიდან რაღაც გაუშვა ანდა ისე არ გააკეთა, როგორც საჭირო იყო.

პიჯაკიდან ბლოკნოტი ამოიღო. საწოლს ზემოთ ბრა ჩართო, ზედა სინათლე ჩააქრო. წვნიანს ხვრეპავდა და თან თავის შენიშვნებს გულდასმით ჩაჰკირკიტებდა. წვნიანი სქელი, ბლანტი. თანაც უგემური იყო და რაღაც შმორის სუნი დაჰკრავდა.

შენიშვნების კითხვა რომ ჩაამთავრა, იენსენმა ზემოთ აიხედა და ყარგა ხანს ათვალიერა პოლიციის სკოლაში გადაღებული ფოტოსურათები. თავისი თავიც იპოვა ფოტოსურათზე: უკანა რიგში, სულ მარ-

ჯვნივ, გულხელდაკრებილი და ოდნავ მომღიმარი იდგა. როგორც ჩანს იმ წუთას, როდესაც ფოტოგრაფმა გადაიღო, თავის მეზობელს რაღაცას ეუბნებოდა.

მერე იენსენი წამოდგა და წინა ოთახში გავიდა. გარდერობი გააღო და ფორმის ქუდების ქვემოთ კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული ბოთლებიდან ერთ-ერთი აიღო.

სამზარეულოდან ჭიქა მოიტანა, თითქმის პირთამდე გაავსო სპირტით და წვნიანი ფინჯნის გვერდით ტუმბოზე დადო.

ფურცელი, რომელზეც ცხრა გვარი ეწერა, გაშალა და ისიც ტუმბოზე დადო. დადო და თვალიერება დაუწყო.

ელექტროსაათმა სამზარეულოში სამჯერ ჩამოჰკრა.

იენსენმა ბლოკნოტში სუფთა გვერდი გადაშალა და ჩაიწერა: „№ 6. 38 წლისა. ცოლგაშვებული. საზოგადოებრივ ურთიერთობათა განყოფილება. წავიდა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით“.

მისამართის გადაწერისას იენსენმა ოდნავ შესამჩნევად გააქნია თავი. მერე მაღვიძარა საჭირო დროზე დააყენა, სინათლე ჩააქრო, სულ მთლად გაშიშვლდა, პიჟამა ჩაიცვა, საბანი გადაიხურა და ლოგინზე ჩაწოლილა. წვნიანი საფუარივით სივდებოდა მუცელში და თითქოს ვილაც აწვებოდა გულზე.

ჭიქა ორი მოსმით შესვა. სამოცგრადუსიანმა სპირტმა ენა დასწვა და ცეცხლოვანი ისარივით ჩაერჭო საყლაპავ მილში.

იენსენს თვალები ფართოდ გაეხილა, ზურგზე იწვა და ძილს ელოდა.

24

იენსენმა მაინც ვერ შეძლო დაძინება. სამი საათიდან ექვსის ოც წუთამდე რაღაც ბურანში იწვა. არც ფიქრის თავი ჰქონდა და არც ფიქრებისაგან თავის დახსნა შეეძლო. ოფლში გაწუწული და დაქანცული წამოდგა მაღვიძარას ზარზე და ორმოცი წუთის შემდეგ უკვე მანქანაში იჯდა.

გზა ჩრდილოეთისაკენ ჰქონდა, აქედან ორას კილომეტრზე. და ვინაიდან კვირა დღე იყო, სამ საათში ვარაუდობდა ჩასვლას.

ქალაქი წყნარი და უკაცრიელი ჩანდა; ცარიელი გარაჟები, ცარიელი სადგომები, მაგრამ რეგულირების სისტემა, როგორც ყოველ-

თვის, თავის საქმეს აკეთებდა და ცენტრზე გავლით მიმავალი იენსენი ათჯერ მაინც გაჩერდა წითელი შუქნიშნის წინ.

სწორი გზა იყო. დროდადრო შორეული გარეუბნები გამოჩნდებოდა ხოლმე. ჰორიზონტის ხაზსა და გზატკეცილს შორის რაღაც გამხმარი და უღიმღამო ნარგავები აშვერილიყო — დაგრეხილი ხეები იყო თუ დაბალი ეკლიანი ბუჩქები.

რვა საათზე იენსენმა ბენზინის წერტილაკენ გადაუხვია მანქანის გასამართად. ერთი ჭიქა გაციებული ჩაი დალია და ავტომატიდან ორ ადგილას დარეკა.

პატრულის უფროსი ჩახრინწული, დაღლილი ხმით ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, იენსენის ზარმა იგი ლოგინიდან წამოაგდო.

— ეს მოხდა ცხრამეტი წლის წინ. — მოახსენა მან. — კომენდანტი ლიფტში გაეჩხირა და ლიფტმა შუაზე გაჭრა.

— გამოიძიეს საქმე?

— არა, მხოლოდ სტანდარტული ჩანაწერია ჟურნალში. ძალზე მარტივი საქმეა: კლასიფიცირებულია როგორც უბედური შემთხვევა — უბრალოდ, ხაზი გაწყდა, რის გამოც ლიფტი რამდენიმე წუთით გაჩერდა და მერე ყოველგვარი ჩარევის გარეშე თვითონვე ამოძრავდა. ისე რომ, იგი საკუთარმა წინდაუხედაობამ დაღუპა.

— მერედა, ნათესავები?

— ოჯახი არ ჰყოლია. მარტოხელათა სასტუმროში ცხოვრობდა.

— რაიმე დარჩა?

— დიახ, საკმაოდ დიდი თანხა.

— ვინ არის მემკვიდრე?

— დადგენილ დროში არც ერთი ნათესავი არ გამოცხადდა და ფული სახელმწიფოს დარჩა.

— კიდევ რა?

— ზოგიერთი წვრილმანი, რომელიც სალაპარაკოდაც არ ღირს. იგი ცალკე ნომერში მარტო ცხოვრობდა და მეგობრები არ ჰყოლია.

— ნახვამდის.

იენსენმა პერიოდულ გამოცემათა არქივში მივლინებული პოლიციელიც სახლში შეისწრო.

— იენსენი, გელაპარაკებით.

— გისმენთ, კომისარო.

— როგორი შედეგებია?

— ჩემი მოხსენება არ მიგიღიათ?

— არა.

— გუშინ დილით შემოგიტანეთ.

— ზეპირად მომახსენეთ.

— ერთი წუთით, შევეცდები, მეხსიერებაში აღვიდგინო.

— გელოდებით.

— წერილის ყველა ასო სხვადასხვა დღის ერთი და იმავე გაზეთებიდანაა აღებული. ისინი ამოჭრილია ორი ნომრიდან — გასული კვირის პარასკევისა და შაბათის. ამ შრიფტს „ბოდონი" ეწოდება.

იენსენმა ბლოკნოტი ამოიღო და მიღებული ცნობები გარეკანის შიდა მხარეს ჩაწერა.

— კიდევ რა?

პოლიციელმა პასუხი დააყოვნა.

— კიდეს, აი, რა, გაზეთის ყოველ ეგზემპლარში როდი გვხვდება ტექსტისა და ასოების ამგვარი განლაგება მეორე გვერდზე. ამგვარი განლაგება მხოლოდ ეგრეთწოდებულ ა ტირაჟშია ხოლმე.

— რა ტირაჟია ეს?

— სხვანაირად რომ ვთქვათ, ასოების ასეთი შერჩევა გვხვდება მხოლოდ ბოლოს დაბეჭდილ ეგზემპლარებში, რომლებიც ქალაქის კიოსკებისა და ქალაქში მცხოვრებ ხელმომწერთათვის არის განკუთვნილი.

— გამოძიება შეგიძლიათ დამთავრებულად ჩათვალოთ და ჩვეულებრივ სამუშაოს დაუბრუნდეთ, — უთხრა იენსენმა. — ნახვამდის.

ყურმილი დადო, მანქანაში ჩაჯდა და გზა გაგრძელ.

ზუსტად ათ საათზე უკან მოიტოვა მუშათა რაიონი, რომელიც კვირაობით, ჩვეულებრივ, უკაცრიელი იყო: ათასობით სრულებით ერთნაირი სახლი ფაბრიკას სწორ ოთხკუთხედად შემოხვეოდა. ფაბრიკის ბილებიდან კვამლის სქელი, ყვითელი ბოლქვები ამოდიოდა. კვამლი რამდენიმე ასეულ მეტრზე ავარდებოდა, მერე გამომუშავებული აირების ერთიან ღრუბლად გადაიქცეოდა და დაბლა, სახლებზე, ნელ-ნელა ეშვებოდა.

თხუთმეტი წუთიც და უკვე მიზანთან იყო.

მაშ ასე, მან სწორად იანგარიშა დრო, რაკი ზედმეტი თხუთმეტი წუთი მანქანის გამართვასა და ტელეფონით საუბარს მოანდომა.

მის წინ იდგა სავსებით თანამედროვე პატარა სპორტული სახლი მინის კედლებითა და ღარული პლასტიკის სახურავით. ავტოსტრადიდან სამი კილომეტრის მოშორებით იდგა და ყოველი მხრიდან ხეებით

იყო გარშემორტყმული. დაბლა, ხრამს ქვემოთ, ტბა ხმაურობდა. წყალი ამღვრეული და რუხი მოჩანდა, ხოლო ჰაერი ფაბრიკების პილების კვამლს გაეჟღინთა.

სახლის წინ, დაბეტონებულ მოედანზე იდგა ჩასუქებული კაცი, რომელსაც საშინაო კურტაკი და ჩუსტები ეცვა. მას ნამძინარევი და უხალისო გამომეტყველება ჰქონდა და მომსველელს განსაკუთრებული აღფრთოვანების გარეშე შეხედა. იენსენმა თავისი ნიშანი აჩვენა.

— მეთექვსმეტე უბნის ინსპექტორი იენსენი ვარ. ვაწარმოებ ძიებას საქმეზე, რომელიც თქვენს ყოფილ თანამდებობასა და ყოფილ სამსახურს ეხება.

— რა გნებავთ?

— რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

— მაშინ შემობრძანდით.

ორივე ოთახი ფოლადის მილებისაგან გაკეთებული აეჯით. საფერფლეებითა და ნოხებით იყო გაწყობილი, გეგონებოდათ გამომცემლობიდან დაიქირავესო.

იენსენმა ბლოკნოტი და კალამი ამოიღო.

— როდის წამოხვედით იქიდან?

მასპინძელმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამთქნარებსო და ორგვლივ მიიხედ-მოიხედა, გეგონება სურს რაღაცას თავი აარიდოსო.

— სამი თვის წინ. — თქვა ბოლოს.

— რატომ წამოხვედით?

მასპინძელმა მზერა იენსენზე გადაიტანა და მის ნაცრისფერ თვალებში ფიქრის ნაპერწკალმა გაიელვა. თითქოს, ფიქრობდა: ღირს თუ არა პასუხი გავცეო. ბოლოს და ბოლოს, გაურკვეველად აიჩეჩა მხრები და უთხრა:

— თუ თქვენ ჩემი დიპლომის ნახვა გსურთ, გაფრთხილებთ: ის აქ არა მაქვს.

იენსენმა დუმილი არჩია.

— დიპლომი ქალაქშია... ჩემს ცოლთან დარჩა.

— რატომ წამოხვედით?

მასპინძელმა შუბლი შეკმუხნა, თითქოს აზრის მოკრებას ცდილობსო და კვლავ დააყოვნა პასუხი:

— გაიგეთ, ყველაფერი, რასაც ყური მოჰკარით, და რაც აიკვიატეთ, სინამდვილეს არ შეეფერება. მეტი ვერაფრით დაგეხმარებით.

— რატომ წამოხვედით?

დუმილი რამდენიმე წამს გრძელდებოდა. მასპინძელმა რამდენჯერმე უხალისოდ მოისვა ხელი ცხვირის წვერზე.

— კაცმა რომ თქვას, არც კი წამოვსულვარ. მართალია, კონტრაქტის ვადა უკვე გამივიდა, მაგრამ დღემდე კონცერნთან ვარ დაკავშირებული.

— რა სამუშაოს ასრულებთ კონცერნში?

იენსენმა ცივ ოთახში მიიხედ-მოიხედა. მასპინძელი თვალს აღევნებდა მის მზერას.

ამჯერად უფრო ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა, მერე მასპინძელმა უთხრა:

— მისმინეთ, რატომ წამოიწყეთ ეს ამბავი? ვერაფრით ვერ გაგახარებთ. დიპლომი კი, ვფიცავ, ქალაქში დამრჩა.

— რატომ გგონიათ, რომ თქვენი დიპლომი მჭირდება?

— არ ვიცი. და საერთოდ, უაზრობაა ასეთი სისულელის გულისათვის ორასი კილომეტრი გამოიაროს კაცმა. — და მასპინძელმა თავი გააქნია. — რამდენი ხანი მოუნდით აქ ჩამოსვლას? — ეტყობა ცნობისწადილი კლავდა, მაგრამ იენსენმა არაფერი უპასუხა და მაშინ მან ბეელებურად განაგრძო, — ჩემი ყველაზე საუკეთესო შედეგია — ერთი საათი და ორმოცდათვრამეტი წუთი, — წარმოთქვა პირქუშად.

— ტელეფონი გაქვთ?

— არა.

— სახლი თქვენია?

— არა.

— მაშ ვისია?

— კონცერნისა. სანამ ახალი ამოცანების შესრულებას შევუდგებოდე, დასასვენებლად დავიქირავე.

— რა ამოცანების შესრულებას?

შუალედი კითხვებსა და პასუხებს შორის სულ უფრო ხანგრძლივი ხდებოდა. ამჯერად კი გეგონებოდათ, თითქოს არასდროს დამთავრდებაო.

— აქ კარგად ხართ?

მასპინძელმა ისე შეხედა იენსენს, თითქოს რაღაცას ანგარიშობსო.

— მისმინეთ, უკვე გითხარით, რომ ცდებით. ნამდვილად ვერაფრით გაგახარებთ. მთელი ეს ამბები ჩირადაც არა ღირს.

— რა ამბებია?

— აბა რა ვიცი, რომელი ერთი გაიგეთ.

იენსენი თვალს არ აშორებდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ფაბრიკის კვამლი ოთახში ნაკლებად როდი იგრძნობოდა, ვიდრე ქუჩაში.

— რას აკეთებდით კონცერნში?

— ჯობს შემეკითხოთ, რას არ ვაკეთებდი. ჯერ სპორტული მიმხილველი ვიყავი. შემდეგ მთავარ რედაქტორად ვმუშაობდი სხვადასხვა ჟურნალში. მერე რეკლამაზე გადავედი. ბევრს ვმოგზაურობდი, ვწერდი, უმეტესად სპორტულ რეპორტაჟებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. შემდეგ საზღვარგარეთ, კონცერნის ფილიალში ვმსახურობდი; ჰოდა, ვმოგზაურობდი ყველგან და... ვსწავლობდი.

— რას სწავლობდით?

— ცოტა-ცოტა ყველაფერს. ვსწავლობდი საზოგადოებრივ ურთიერთობებს და სხვა რამეებს.

— რა არის „საზოგადოებრივი ურთიერთობები"?

— ეს ძნელი ასახსნელია.

— მაშასადამე, ბევრს მოგზაურობდით?

— დიახ, თითქმის ყველგან ვარ ნამყოფი.

— ენები იცით?

— ნიჭი არა მაქვს.

ახლა იენსენი დადუმდა. დუმდა და კურტაკიან კაცს თვალს არ აშორებდა. ბოლოს ჰკითხა:

— ჟურნალები ხშირად აქვეყნებენ სპორტულ რეპორტაჟებს?

— არა.

მასპინძელი მთლად დაბეჩავებული გამოიყურებოდა.

— ახლა სპორტი არავის აინტერესებს და მხოლოდ ტელევიზორით თუ უყურებენ სპორტულ გადაცემებს.

— და, მიუხედავად ამისა, თქვენ მოგზაურობდით და სპორტულ რეპორტაჟებს წერდით?

— სხვა არაფერზე არ შემეძლო წერა. ვცადე და არ გამომივიდა.

— რატომ წამოხვედით?

— ალბათ იმიტომ, რომ ყოველივე ეს ძალზე ძვირი ჯდებოდა.

მასპინძელი რამდენიმე წამით ჩაფიქრდა.

— საერთოდ კი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ძუნწები არიან,— ყრუდ წარმოთქვა მან და ფოლადის მილაკებიან ავეჯს აღშაცერად გაღახედა.

— რომელია თქვენი საფოსტო განყოფილება?

მასპინძელი დაიბნა, გაიხედა და თითი ფანჯარას მიარტყა. ტბის მეორე მხარეს, ტყის უკან, ფაბრიკის თავზე ყვითელი კვამლის ღრუბელი მოჩანდა.

— როგორიც იმათია... ყოველ შემთხვევაში, ფოსტალიონი იქიდან მოდის.

— ფოსტა ყოველდღე დააქვთ?

— გარდა კვირისა.

და კვლავ არათანაბარი სუნთქვისა და შორეული გზატკეცილიდან მოღწეული ავტომანქანების საყვირის ხმა ისმოდა, მეტი არაფერი.

— ძალიან გსურთ ჩემი წამება? სულ ერთია, ეს არაფერს მოგცემთ.

— იცით, რატომ მოვედი?

— არავითარი წარმოდგენა არა მაქვს.

მასპინძელი მოუსვენრად აწრიალდა. დუმილი თითქოს გულს უმძიმებდა.

— მე გამორჩეული პიროვნება არა ვარ და, უბრალოდ, დავმარცხდი, — უთხრა მან.

— დამარცხდით?

— დიახ, დავმარცხდი, ისე კი ყველა აძტკიცებს, რომ მეტისმეტად იღბლიანი ვარ. მაგრამ თვითონვე ხედავთ, რომ თუ კაცი აქ მარტოდმარტო ზის და ობდება, რა იღბალზე შეიძლება ლაპარაკი?

— მაინც რა გსურთ?

— არაფერი. უბრალოდ არ მსურს ვინმეს კისერზე ვაწვე.

ხანგრძლივი, გულისგამაწვრილებელი დუმილი ჩამოვარდა. მასპინძელმა ერთი-ორჯერ ალმაცერად გადახედა იენსენს, მაგრამ მაშინვე სწრაფად აარიდა თვალი.

— ახლა კი გთხოვთ, დამტოვოთ,—ყრუდ უთხრა მან. — ვფიცავ, დიპლომი ქალაქშია, ცოლთან.

— ალბათ, გიმძიმთ აქ ყოფნა?

— ეს მე არ მითქვამს.

— მუშაობა კი არ გიმძიმდათ?

— არა, არა, რასაკვირველია, არა. სამძიმო რა მქონდა, ყველაფერს მაძლევდნენ რაც მინდოდა.

მასპინძელი უნაყოფო ფიქრებს მიეცა. მერე წარმოთქვა:

— თქვენ ვერაფერი ვერ გაიგეთ. ბევრნაირი ამბავი შეიტყვეთ და ღმერთმა უწყის, რა გეჩვენებათ. არ შეიძლება ყველაფრის დაჯერება,

რასაც ხალხი ამბობს. მათ ტყუილის თქმაც შეუძლიათ, უფრო ზუსტად, ისინი ყოველთვის სიმართლეს არ ლაპარაკობენ.

— მაშ ასე, ყველაფერი, რასაც თქვენზე ამბობენ, ტყუილია?

— ჰო, კარგი, ნუ ვიკამათებთ, შეფი, რასაკვირველია, შეშინდა და წყალში მოადინა ტყაპანი; მაგრამ ჩემი ბრალი არ არის.

— როდის მოხდა ეს?

— წინა რეგატაზე. თქვენ ეს ჩეიზე უკეთ იცით. ერთი სიტყვით, ნახეს, რაღა, სენსაცია. მე მხოლოდ იმიტომ წამიყვანეს, რომ ეგონა, აფრებით ცურვა ვიცოდი. მას, რასაკვირველია, პრიზის აღება სურდა. ხოლო როდესაც გრიგალი ამოვარდა და წყლის ამოსახაპავად პლიანშირზე შევსტი, იფიქრა, ახლა გადავბრუნდებითო, ერთი შეპყვირა და ტბაში გადაეშვა. მე კი რაღა დამრჩენოდა? გზა განვაგრძე.

მან პირქუშად შეხედა იენსენს.

— ენაზე კბილის დაჭერა რომ შემეძლოს, არაფერი არ მოხდებოდა. მაგრამ ჩემი სიბრიყვით ვიფიქრე, ეს ძალზე სასაცილო თავსავალია-მეთქი. თანაც, გულზე სევდა მომაწვა, როდესაც მივხედი, თურმე სხვადასხვა საინტერესო დავალებებს იმიტომ მაძლევენ, რომ რაც შეიძლება, ზორს ვყოფილიყავი სახლიდან. ჰოდა, კერ შეეძელი გაჩუმება, თუმცა...

ის შეკრთა და ცხვირი მოიწმინდა.

— შეეშვით ასეთ საქმეებს. ჩვეულებრივი ყბედობაა. ეს ჩემი ცოლის წყალობაა — ის მუდამ ისე იქცევა, როგორც მოესურვება. ესეც არ იყოს, ამის შემდეგ ჩვენ გავშორდით ერთმანეთს. მაგრამ არ ვწუწუნებ. — ერთხანს დუმდა და მერე გაიმეორა: — არა, — არ ვწუწუნებ.

— მაჩვენეთ დეპეშა.

თავზარდაცემულმა მასპინძელმა იენსენს შეხედა.

— რა დეპეშა? არავითარი დეპეშა არა მაქვს.

— ნუ ცრუობთ.

მასპინძელი ადგილიდან მოსწყდა, მივარდა ფანჯარას. ხელები მომუშტა და ერთი მუშტი მეორეს დასცხო.

— არა, — უთხრა მან. — ნუ ცდილობთ ჩემს გამოჭერას. მეტს აღარაფერს გეტყვით.

— მაჩვენეთ დეპეშა.

მასპინძელი შემობრუნდა. ხელები ისევ დამუშტული ჰქონდა.

— არ გამოვა, — უთხრა მან. — არა მაქვს დეპეშა.

— დაბიეთ?
— არ მახსოვს.
— რა ეწერა შიგ?
— არ მახსოვს.
— ვინ აწერდა ხელს?
— არ მახსოვს.
— რატომ წამოხვედით იქიდან?
— არ მახსოვს.
— სად ცხოვრობს თქვენი ყოფილი ცოლი?
— არ მახსოვს.
— ერთი კვირის წინ, ამ დროს სად იყავით?
— არ მახსოვს.
— აქ არა ყოფილხართ?
— არ მახსოვს.

მასპინძელი კვლავ ფანჯრისაკენ ზურგშექცევით იდგა და ხელები ისევ დამუშტული ჰქონდა. სახე ოფლით დასცვაროდა, თვალებში კი ბავშვური სიჯიუტე და შიში ჩასდგომოდა. იენსენი გულგრილად შეჰყურებდა. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ ბლოკნოტი ჯიბეში ჩაიდო, ქუდი აიღო და კარისაკენ წავიდა. ზღურბლიდან მასპინძელს უკანასკნელი შეკითხვა მისცა:

— რა არის ოცდამეთერთმეტე განყოფილება?
— არ მახსოვს.

ფაბრიკასთან რომ მივიდა, საათი თორმეტის თხუთმეტ წუთს უჩვენებდა. იგი პოლიციის უბანში შევიდა და იქიდან პატრულის უფროსს დაურეკა.

— დიახ, ისინი გაცილებულები არიან. გაიგეთ ქალის მისამართი, წადით მასთან და დიპლომი მოძებნეთ. თუ დიპლომი გახეულია, თან წამოიღეთ.
— გასაგებია.
— იჩქარეთ. აქ დაგელოდებით.
— გასაგებია.
— კიდევ ერთი რამ.
— გისმენთ.
— გუშინ თუ დღეს დილით ამ კაცმა დეპეშა მიიღო. გააგზავნეთ ვინმე ფოსტაში ასლის ასაღებად.
— გასაგებია.

შენობა ბნელი და უღიმღამო იყო და აგურის ყვითელი კედლები ჰქონდა. ფანჯრებზე სინთეტიკური ფარდები ეკიდა. სახლის უკანა ნაწილში განლაგებული იყო საპატიმრო საკნები, რომელთა კარებიც პრიალა გისოსებით იყო აჭედილი.

ზოგიერთი საკანი უკვე დაეკავებინათ.

ბარიერს იქით მწვანე ფორმაში გამოწყობილი პოლიციელი იჯდა და მოხსენებებიან საქაღალდეს ფურცლავდა.

იენსენი ფანჯარასთან დაჯდა და წუნარ, უკაცურ მოედანს გახედა. ყვითელი ღრუბელი თითქოს მზის სხივების სითბოს აჩერებს და მხოლოდ რაღაცნაირ უსიცოცხლო სინათლეს ატარებსო. ფაბრიკიდან მახრჩობელა, მყრალი სუნი მოდიოდა.

— მუდამ ასეთი სუნია აქ?

— სამუშაო დღეებში უფრო უარესი, — უპასუხა მორიგემ.

იენსენმა თავი დააქნია.

— შეჩვევა შეიძლება. აირი სრულებით უვნებელია, მაგრამ, ჩემი თეორიის მიხედვით, ადამიანებს თრგუნავს, ბევრი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

— გასაგებია.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ტელეფონმა დარეკა.

— მეტისმეტად თავაზიანი მანდილოსანი აღმოჩნდა, — მოახსენა პატრულის უფროსმა. — მაშინვე გვაჩვენა დიპლომი.

— მერე?

— მთელია და უვნებელი. ორივე ფურცელი ადგილზეა.

— ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ შეცვლილი და განახლებულია?

— ხელმოწერები ახალი არ არის. მელანიც ძველია.

— ბინაშიც იყავით?

— არა. დიპლომი გარეთ გამოგვიტანა. და, როგორც უკვე გითხარით, ძალზე თავაზიანად შეგვხვდა. თითქოს გველოდაო. საერთოდ, საკმაოდ ელეგანტური ახალგაზრდა ქალია.

— დეპეშა?

— ტელეგრაფში კაცი გავაგზავნე.

— დააბრუნეთ უკან.

— ასლი საჭირო აღარ არის?

— არა.

იენსენი დადუმდა, მერე დაუმატა:

— მას, ალბათ, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საქმესთან.

— კომისარო!

— დიახ?

— უცნაურად მომეჩვენა ასეთი დეტალი: ერთ-ერთი ჩემი ბიჭი ზუსტად მისი სახლის წინ იდგა პოსტზე.

— კარგი, მეტი რა?

— პოლიციის უფროსი გეძებდათ.

— გთხოვათ, რაიმე გადმოგეცათ?

— არა.

მოძრაობა შესამჩნევად გამოცოცხლდა. აქა-იქ გზის პირას მანქანები იდგა. ძირითადად მათი პატრონები აპრიალებდნენ ყველაფერს, რისი გაპრიალებაც კი შეიძლებოდა, მაგრამ ისეთებიც ხვდებოდა, რომლებიც მანქანების ახლოს პატარა გადმოსაშლელ მაგიდებს უსხდნენ. მაგიდებზე პორტატული ტელევიზორები და ცელოფანის პაკეტებში ჩაწყობილი პროდუქტი იდო. რაც უფრო ახლო იყო ქალაქი, მით უფრო მატულობდა მანქანების ნაკადი და ცენტრამდე იენსენმა მაშინ მიაღწია, როდესაც ხუთს ათი წუთი აკლდა.

ცენტრში კვლავ სიცარიელე სუფევდა. სწორედ ფეხბურთის მატჩების დრო იყო, და ყველა, ვინც კი თავის მანქანასთან არ ფუსფუსებდა, სახლში იჯდა. ახლა ფეხბურთის მატჩები მხოლოდ ტრანსლიაციისათვის იყო განკუთვნილი. და ხალხის გარეშე, ტელეკომპანიების დიდ, გამთბარ დარბაზებში ტარდებოდა. ფეხბურთის გუნდი ჯამაგირს ღებულობდა და მათ შორის ბევრი უცხოელი იყო. მაგრამ, როგორც ამბობდნენ, მიუხედავად მაღალი ოსტატობისა, ინტერესი ფეხბურთის მატჩებისადმი დღითი დღე ეცემოდა. იენსენს სახლში ყოფნისას ტელევიზორი მუდამ ჩართული ჰქონდა, მაგრამ მატჩებს მაინც იშვიათად უყურებდა. ხვდებოდა, რომ მარტო თვითონ არ იქცეოდა ასე.

იენსენს ყოველ წუთას სულ უფრო ეძალებოდა დაღლილობა, რამდენჯერმე თვალთ დაუბნელდა. როგორც გულის წასვლისას ხდება ხოლმე; მიხვდა, რომ ეს შიმშილისაგან იყო გამოწვეული და კაფე-ავტომატთან მივიდა.

იქ ერთი ფინჯანი ცხელი წყალი, ბულიონის ფხვნილიანი პაკეტი და ერთი ულუფა ყველი მიიღო. სანამ ფხვნილს ცხელ წყალში ჩაყრიდა, ბლოკნოტი ამოიღო და ჩაიწერა: „№ 7. ჟურნალისტი. უცოლო. 58 წლისა. წავიდა საკუთარი სურვილით“.

მართალია იენსენმა, დრო რომ არ დაეკარგა, ბულიონი გაუგრილებლად დალია, მაგრამ როდესაც მანქანაში ჩაჯდა, საათი უკვე ექვ-

სის ნახევარს უჩვენებდა. დასავლეთი რაიონისაკენ მიმავალს ბინდი გზაში წამოეწია.

ვადის დამთავრებამდე ექვსი საათი რჩებოდა.

26

ვიწრო, სუსტად განათებულ ქუჩაზე ორივე მხარეს ხეები იყო ჩარგული. ხეებს უკან ერთი და ორსართულიანი სახლები ჩაშენებულიყო. ეს ქუჩა ცენტრთან ახლოს მდებარეობდა. ქალაქის ამ ნაწილის განაშენიანება ორმოცი წლის წინ დაიწყო და იგი უმეტესად მოხელეებით იყო დასახლებული. სწორედ ამ მიზეზით გადაურჩა ივი სტანდარტულ მასიურ განაშენიანებას, საბინაო კრიზისს ლიკვიდაციის დაწყებასთან დაკავშირებით რომ გამრავლდა.

იენსენმა მანქანა ტროტუართან დააყენა, ქუჩა გადაკვეთა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მაგრამ ფანჯრებში სინათლე არ მოჩანდა და ზარზე არავინ არ გამოსულა.

მაშინ იენსენი მანქანაში დაბრუნდა, თავის ადგილზე დაჯდა და სიისა და ბლოკნოტის შესწავლას შეუდგა. ბერე ქალაქდები შეინახა, საათს დახედა, მანქანაში სინათლე გაანთო და მოთმინებით დაიწყო ლოდინი.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ჰოპირდაპირე ტროტუარზე ხავერდის ქუდსა და ნაცრისფერ პალტოში გამოწყობილი ტანდაბალი მამაკაცი დაინახა. კაცმა სადარბაზო კარი გააღო და შევიდა. იენსენმა მანანლე დაიცადა, სანამ ჟალუზებს იქით სინათლე არ აინთო. მაშინ ხელმეორედ გადაკვეთა ქუჩა და ზარი დარეკა. მასპინძელმა მაშინვე გაუღო. მას სადად ეცვა და ვერაფრით იტყოდით, რომ ორმოცდათვრამეტი წლისა იყო. გამხდარი სახე ჰქონდა და სათვალის მინების მიღმა ალერსიანი და გაკვირვებული თვალებით იყურებოდა.

იენსენმა ნიშანი აჩვენა.

— მეთექვსმეტე უბნის კომისარი იენსენი ვარ. ვაწარმოებ ძიებას, რომელიც თქვენს ყოფილ სამსახურსა და თანამდებობას ეხება.

— მობრძანდით, გეთაყვა, — უთხრა მასპინძელმა და გზა დაუთმო.

იენსენმა დაინახა ფართო ოთახი. ორი კედელი მთლიანად თაროებს ეჭირა და ზედ წიგნები, გაზეთები და ჟურნალები ეწყო. ფანჯარასთან იდგა საწერი მაგიდა, ზედ ტელეფონი და საბეჭდი მანქანა

იდო. შუა ოთახში თამბაქოს მოსაწევი დაბალი მაგიდა და მის ირგვლივ სამი სავარძელი იდგა. ოთახს ანათებდა საწერ მაგიდასთან ჩამოკიდებული მოძრავი ნათურა და ჭერის შუაში მიმაგრებული პლაფონი.

იმ წამს, როგორც კი იენსენმა ოთახის ზღურბლს გადააბიჯა, მასპინძელს რაღაც ცვლილება დაეტყო. შეიცვალა მისი მიხრა-მოხრა, გამოხედვა. თითქოსდა არაერთხელ შესრულებულ, რომელიღაც ჩვეულ პროცედურას ასრულებსო.

— დაბრძანდით, გეთაყვა.

იენსენი დაჯდა, ქაღალდი და ბლოკნოტი ამოიღო.

— რით შემიძლია გემსახუროთ?

— ზოგიერთი ცნობა მჭირდება.

— შეგიძლიათ მიმსახუროთ, რასაკვირველია, თუ შეეძლებ თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემას.

— როდის წამოხვედით იქიდან?

— შარშან, დაახლოებით, ოქტომბრის მიწურულს.

— დიდხანს მუშაობდით იქ?

— გვარიანად. უფრო ზუსტად, თხუთმეტი წელი და ოთხი თვე.

— რატომ წამოხვედით?

— მოდით, სხვანაირად ვთქვათ: მე გამოვთქვი სურვილი სამსახური დამეტოვებინა. გამომცემლობიდან საკუთარი სურვილით წავედი და წასვლის თაობაზე დირექცია ჩვეულებრივი წესით გავაფრთხილე.

მას მომლოდინედ ეჭირა თავი და დაბალი და სასიამოვნო ტემბრის ხმა ჰქონდა.

— რაიმე ხომ არ გნებავთ? მაგალითად, ჩაი.

უარის ნიშნად იენსენმა თავი გააქნია.

— ახლა სად მუშაობთ?

— მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ, მაშასადამე, საარსებო სახსრებისათვის მუშაობა არ მჭირდება.

— მაინც რას აკეთებთ?

— თითქმის სულ ვკითხულობ.

იენსენმა ოთახი შეათვალიერა. საოცარი წესრიგი სუფევდა. მიუხედავად წიგნების, გაზეთების და ქაღალდების უდიდესი რაოდენობისა, ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული.

— როდესაც სამსახურიდან წამოხვედით, რამე დიპლომი, ანდა უფრო ზუსტად, გამოსამშვიდობებელი ადრესი ხომ არ გადმოუციათ?

— გადმომცეს.

— აქ გაქვთ?

— ალბათ, გინდათ ნახოთ?

იენსენმა არაფერი უპასუხა. წუთი თუ უფრო მეტი ის გაუნძრეველად, თავდასრესილი იჯდა და შემდეგ უცებ შეეკითხა:

— ალიარებთ. რომ კონცერნის ხელმძღვანელებს მუქარის წერილი გაუგზავნეთ?

— მაინც როდის?

— ერთი კვირის წინ, დაახლოებით ამ დროს.

მასპინძელმა შარვალი მუხლებზე ასწია და ფეხი ფეხზე გადაიდო. მარცხენა ხელით სავარძლის სახელურს დაეყრდნო და სალოკი თითი ქვედა ტუჩზე ნელა მოისვა.

— არა, — მშვიდად მიუგო მან, — არ ვალიარებ.

იენსენმა პირი გააღო, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა. მან თავის საათს დახედა. ცხრამეტი საათი და თერთმეტი წუთი იყო.

— უნდა ვიფიქროთ, რომ მე არა ვარ პირველი, ვისაც თქვენ ამ თემაზე ესაუბრებით. უკვე რამდენი კაცი... დაკითხეთ?—მასპინძელი უცებ გამოცოცხლდა.

— დაახლოებით ათი. — უპასუხა იენსენმა.

— ყველანი გამომცემლობის თანამშრომლები არიან?

— დიახ.

— წარმომიდგენია, რამდენი ანეკდოტი და პიკანტური ამბავი მოისმინეთ. მეც გამიზიარეთ ის ნახევრადალიარებები, ძველი ანგარიშსწორებანი, გადაკრული სიტყვები, ისტორიის ფალსიფიცირება.

იენსენი დუმდა.

— როგორც ვიცი, იქ მუდამ ხდებოდა რაიმე ამგვარი. თუმცა, ასეთივე ამბავი, ალბათ, ყველგან ხდება, — დაუმატა ჩაფიქრებულმა.

— რა მოვალეობა გეკისრებოდათ კონცერნში მეშაობისას? — შეეკითხა იენსენი.

— მე განვაგებდი კულტურის საკითხებს. თქვენი სიტყვებით რომ ვთქვა, სულ ერთსა და იმავე მოვალეობას ვასრულებდი.

— გქონდათ შესაძლებლობა, გასცნობოდით გამომცემლობის საქმიანობასა და საერთო სტრუქტურას?

— დიახ, ზოგადად გავეცანი: ან იქნებ რაიმე კონკრეტულს გულისხმობთ?

— ეგრეთ წოდებულ ოცდამეთერთმეტე განყოფილებაზე თუ გსმენიათ რაიმე?

— დიახ.

— იცით, რა კეთდებოდა იქ?

— ეგლა მაკლია, არ მცოდნოდა. მე იქ თხუთმეტი წელი და ოთხი თვე ვიმუშავე.

წუთით დუმილი ჩამოვარდა, მერე იენსენმა თითქოსდა სხვათა შორის ჰკითხა:

— აღიარებთ, რომ კონცერნის ხელმძღვანელებს ანონიმური წერილი გაუგზავნეთ და დაემუქრეთ?

მასპინძელმა ამ კითხვას წაუყრუა.

— ოცდამეთერთმეტე, ანდა, როგორც მას უწოდებენ, განსაკუთრებული განყოფილება, კონცერნის ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილებაა.

— უკვე მრავალჯერ მსმენია ეს. რას აკეთებს ოცდამეთერთმეტე განყოფილება?

— არაფერს, — უპასუხა მასპინძელმა. — არაფერს არ აკეთებს.

— ამიხსენით.

მასპინძელი ადგილიდან წამოდგა და თვალის დახამხამებაში მაგიდიდან ფურცელი და ბურთულიანი კალამი აიღო. ამავე დროს არ დაურღვევია წუნდაუდებელი წესრიგი. მერე ისევ დაჯდა, ფურცელი მაგიდაზე ისე დადო, რომ მისი კიდე სუფრის მოხატულობის ზედა ხაზს დამთხვეოდა. კალამი კი ფურცლის ზედა კიდის პარალელურად დადო. მერე იენსენს დაჟინებით შეხედა.

— კარგი, — თქვა მან. — შევეცდები აგიხსნათ.

იენსენმა საათს დახედა: ცხრამეტი საათი და ოცდაცხრა წუთია. ძის განკარგულებაში ოთხ-ნახევარი საათი რჩებოდა.

— ბატონო კომისარო, გეჩქარებათ?

— დიახ, ძალიან.

— შეძლებისდაგვარად შევეცდები მოკლედ გიამბოთ. მაშ ასე, თუ სწორად გაგიგეთ, მეკითხებით, რას აკეთებს ოცდამეთერთმეტე განყოფილება?

— დიახ.

— მე უკვე გაგეცით სავსებით ამომწურავი პასუხი: არაფერს. და რა საწყენიც უნდა იყოს, იმისდა მიხედვით, რაც უფრო განვავითა-

რებ ჩემს პასუხს, იგი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ამომწურავი გახდება. გაიგეთ?

— არა.

— არ არის გასაკვირი. იმედია, ადრე თუ გვიან მაინც გაიგებთ. ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

მასპინძელი ოცდაათიოდე წამით დადუმდა და ამ დროის მანძილზე თითქოს რაღაც ცვლილება დაეტყო. როდესაც კვლავ წამოიწყო ლაპარაკი, იენსენს ადრინდელზე უფრო გამოცოცხლებული, მაგრამ სუსტი და გაუბედავი მოეჩვენა.

— უფრო იოლი იქნება, თუ ჩემს თავზე ვილაპარაკებ. მე გავიარდე იხტელიგენტურ ოჯახში, აღზრდილი ვარ ჰუმანურ ტრადიციებზე. მამაჩემი უნივერსიტეტის მასწავლებელი იყო, მე თვითონ ხუთი წელი ვისწავლე აკადემიაში. ახლანდელში კი არა, მაშინდელში, სადაც ჰუმანიტარულ ფაკულტეტებს მხოლოდ სახელწოდება როდი ჰქონდათ „ჰუმანიტარული". კარგად წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ეს?

— არა.

— იცით, ყველაფრის ახსნა არ შეშიძლია. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. დავუშვათ, თქვენ დაგაეიწყდათ მნიშვნელობა იმ ტერმინებისა, რომლებსაც მე ვხმარობ, მაგრამ შეუძლებელია საერთოდ არ გესმენოდეთ ისინი. მაშასადამე, ჩემი თხრობის მსვლელობისა მიხედვით, ადრე თუ გვიან, გაიხსენებთ მათ მნიშვნელობას და მიხვდებით ურთიერთკავშირს.

იენსენმა კალმისტარი გადადო და ყური დაუგდო.

— როგორც უკვე გითხარით, ჩემს სპეციალობად კულტურის საკითხები ნაწილობრივ იმიტომ ავირჩიე, რომ იმედი არ მქონდა, ოდესმე ნამდვილი მწერალი გავხდებოდი. უბრალოდ ვერ შევძლებდი. თუმცა წერა ჩემი ცხოვრებისეული მოთხოვნილება და თითქმის ერთადერთი გატაცება იყო

დუმილი ჩამოვარდა. წვიმის წვეთები ფანჯრის მინებს ეცემოდა.

— ერთ კერძო გაზეთში დიდხანს ვიდექი სათაურში კულტურის გახყოფილებას. მის ფურცლებზე ხელოვნების, მუსიკის და სხვა ამგვარი საკითხების გარშემო არა მარტო სტატიები იბეჭდებოდა, არამედ დისკუსიებიც კი იმართებოდა. ჩემთვის, ისევე როგორც ბევრი სხვისთვისაც, სწორედ ასეთი დისკუსიები იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს დისკუსიები მოიცავდა საკითხების საკმაო ფართო წრეს.

პრაქტიკულად, საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს ეხებოდა და თანაც ყველა გამოთქმული შეხედულება ბოლომდე გააზრებული და უცდომელი როდი იყო.

იენსენმა ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა გააკეთა.

— დამაცადეთ, — უთხრა მასპინძელმა და მარჯვენა ხელი ასწია. — მკონი, ეხვდები, რისი თქმაც გინდათ. დიახ. რასაკვირველია, ამ სტატიებს შეეძლო ადამიანის შეშფოთება, ზოგჯერ გულისტკენა ან განაწყენება, შეშინება ან გაჯავრება. რაზედაც არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი — იდეებზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე თუ ცალკეულ პიროვნებებზე, თავზე ხელს არავის უსვამდა. ჩვენ, ესე იგი, მე და კიდევ ზოგ-ზოგებს, მიგვაჩნდა, რომ ეს სწორი იყო.

იენსენმა დრო დანიშნა: 19. 45.

— მართალია, ამბობდნენ, — განაგრძო ჩაფიქრებულმა მასპინძელმა, — თითქოს კრიტიკა და თავდასხმები ზოგჯერ ისეთი მწვავე ხდებოდა, რომ კრიტიკის ზოგიერთი ობიექტი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდა.

დუმილი რამდენიმე წამი გაგრძელდა. წვიმა ისევ ხმაურობდა ფანჯარაზე.

— ზოგიერთ ჩვენგანს კულტურის რადიკალებს უწოდებდნენ, მაგრამ ჩვენ უკლებლივ ყველანი რადიკალები ვიყავით, იმისდა მიუხედავად, სად ვმუშაობდით — კერძო თუ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში. მე, ჩემდათავად, ამას მაშინვე ვერ მივხვდი. სიტყვამ მოიტანა და, პოლიტიკა არცთუ მაინცდამაინც მაინტერესებდა. და საერთოდ, პოლიტიკური მოღვაწეები ჩემს ნდობას არ იწვევდნენ. ისინი არასრულფასოვან ადამიანებად მეჩვენებოდნენ, როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე საგანმანათლებლო თვალსაზრისით.

იენსენმა მაგიდის კიდეზე თითები აათამაშა.

— გასაგებია, გასაგებია, გსურთ მალე გადავიდე საქმეზე. — ნაღვლიანად მიუგო მასპინძელმა. — ზუსტად ასევე, ჩემში ნდობას არ იწვევდა ყოველკვირეული გამოცემები და ამ საკითხში მე უფრო თანმიმდევრული და ჩემს თავში დარწმუნებული ვიყავი. ჩემი აზრით, ამ გამოცემებს კარგა ხანია ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდათ. ესე იგი, ისინი, რასაკვირველია, რაღაც ამოცანას ასრულებდნენ, და, მაშასადამე, არსებობის უფლებაც ჰქონდათ, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა იმას, რომ მათ მშვიდობიანი არსებობის უფლება ჰქონდათ. მე საკმაო დრო დავხარჯე, რათა კარგა გვარიანად დამერტყა

იმისთვის, რასაც ისინი თავის იდეოლოგიას უწოდებენ და გამენადგურებია მისი არსი. მრავალი სტატია და ერთი სადისკუსიო ხასიათის წიგნიც მივუძღვენი ამ საკითხს.

მან ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

— ამ წიგნმა სრულებით არ მოიგო იმათი გული, ვინც ყოველკვირეულ ბეჭდვით სიტყვას მფარველობდა. მახსოვს, ყოველკვირეული ჟურნალები ნომერ პირველ მტერსაც კი მიწოდებდნენ. მაგრამ მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა.

მასპინძელი გაჩუმდა და გააელო რამდენიმე ხაზი, რომლებიც ერთიანობაში დიაგრამას წაგავდა. წვრილი და კოხტა ხაზები იყო. როგორც ჩანს, გაწაფული ხელი ჰქონდა.

— ახლა ჩვენი დროის მოთხოვნებიც გავითვალისწინოთ და შეეცადოთ მოკლედ და უბრალოდ გადმოვცეთ გრძელი და დახლართული ამბავი. საზოგადოების სტრუქტურამ თავდაპირველად ნელა და შეუმჩნეველად, მერე კი თავბრუდამხვევი სისწრაფით იწყო შეცვლა. სიტყვებს „კეთილდღეობა" და „ერთიანი საზოგადოება" სულ უფრო ხშირად წარმოთქვამდნენ, ვიდრე ორივე ეს მოვლენა რაღაც ერთ მთლიან ცნებად არ გადაიქცა და არ აღიარეს, რომ ისინი ერთიმეორისაგან განუყოფელნი არიან. თავიდან შემაშფოთებელი სიმპტომები არ იყო თვალში მოსახვედრი — საბინაო კრიზისი გაქრა, დამნაშავეობამ იკლო, ახალგაზრდობის პრობლემებიც უთუოდ მალე გადაიჭრებოდა. და ისე, როგორც ყინულოვანი ხანა, ერთბაშად და გარდუვალად დგებოდა სულიერი რეაქცია. ვიმეორებ: შემაშფოთებელი სიმპტომები თავიდან თვალში მოსახვედრი არ იყო. მხოლოდ რამდენიმე ჩვენგანი თუ იყო გაფაციცებით. ვფიქრობ, თქვენ ჩვენზე ნაკლებად როდი იცით, რა მოხდა შემდეგ.

ეენსენმა არაფერი უპასუხა. რაღაც ახალმა, უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო. იზოლაციის, მარტოობის გრძნობამ, თითქოს ისიცა და ეს სათვალიანი პატარა კაცუნაც მასთან ერთად აღმოჩნდა რომელიღაც მუზეუმის სტენდზე ანდა მინის — უფრო ზუსტად პლასტმასის ხუფის ქვეშ.

— ჩვენთვის, რასაკვირველია, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ის გარემოება, რომ მთელმა პუბლიცისტიკამ გაერთიანება იწყო, რომ მფლობელები გამომცემლობას გამომცემლობაზე, გაზეთს გაზეთზე ყიდდნენ, ყველაფერი ეს კონცერნში ერთიანდებოდა და ამას მუდამ ეკონომიური სარგებლობით ასაბუთებდნენ. ყველაფერი შესა-

ნიშნავად მიდიოდა, იმდენად შესანიშნავად, რომ ის, ვინც ამიერიდან კრიტიკით გამოსვლას ცდილობდა, თავს გრძნობდა ყბადაღებულ ძაღლად, მთვარეს რომ უყეფს. და ის ხალხი, ვინც წინდახედულად ითვლებოდა, უკვე იმას გაიძახოდა, სისულელეა დისკუსიის გამართვა იმ საკითხების ირგვლივ, რომლებზედაც, არსებითად, ორი აზრი არ არსებობსო. პირადად მე სიჯიუტის ან ფანატიზმის გამო სხვაგვარად ვფიქრობდი. კულტურის მოღვაწეთა მცირე რიცხვიც — ეს ტერმინი მაშინ იხმარებოდა — ჩემსავით ფიქრობდა.

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. წვიმის ხმაური აღარ არღვევდა მას.

— კონცერნმა ის გაზეთიც გადასანსლა, სადაც მე ვმუშაობდი. ზუსტად არ მახსოვს, როდის მოხდა. ყოველ შემთხვევაში ეს გახლდათ დამაგვირგვინებელი ეტაპი ყოველგვარი შერწყმისა და გადაყიდვებისა, რომელიც რწმუნებით აღჭურვილი პირების საშუალებით ხორციელდებოდა და განსაკუთრებული გამოძახილი არ გამოუწვევია. ჩემი განყოფილება უამისოდაც მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო, ბოლოს და ბოლოს, სულაც გააუქმეს, რადგან საჭირო აღარ იყო. არსებითად ეს იმას ნიშნავდა, რომ საარსებო წყარო დავკარგე. ასეთივე ბედი ეწიათ ჩემს კოლეგებს სხვა გაზეთებიდან, და ზოგიერთ ჩვენს ავტორსაც. გარემოებათა გაუგებარი დამთხვევის გამო სამსახური მხოლოდ ყველაზე უფრო ჯიუტებისა და გულფიცხიანებისათვის არ გამოიძებნა. თანაც, მიზეზს მხოლოდ ძალიან გვიან მივხვდი. მაპატიეთ, დასალევს მოვიტან. შემთხვევით ხომ არ გნებავთ?

იენსენმა თავი გააქნია. მასპინძელი წამოდგა და მოეფარა კარს, რომელიც ალბათ სამზარეულოში გადიოდა. როცა დაბრუნდა, ხელში მინერალური წყლით სავსე ჭიქა ეჭირა. რამდენიმე ყლუპი მოსვა და ჭიქა თავის წინ მაგიდაზე დადო.

— თუმცა, ისინი მაინც ვერ მოახერხებდნენ ჩემგან სპორტული შიმშილველი ან ტელეხედვის რეფერენტი გამოეყვანათ, — ხმადაბლა თქვა მან. შემდეგ ოდნავ ასწია ჭიქა, აშკარად სურდა შეემოწმებია, ჭიქამ მაგიდა ხომ არ დაასველაო. — გავიდა რამდენიმე თვე, — განაგრძობდა იგი. — ჩემი ცხოვრების მატერიალური მხარე სავალალო შეიქნა. და უცებ, ჩემდა გასაოცრად, გამომცემლობაში მიმიწვიეს, რომ ყოველმხრივ აგვეწონ-დაგვეწონა, შევძლებდით თუ არა ურთიერთთანამშრომლობას.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. იესსენმა დრო დაინიშნა: 20. 05. წამიერი ყოყმანის შემდეგ იგი შეეკითხა:

— აღიარებთ, რომ კონცერნის ხელმძღვანელობას ანონიმური წერილი გაუგზავნეთ და დაემუქრეთ?

— არა, არა, დამაცადეთ, — მიუგო გულმოსულმა მასპინძელმა და ჭიქიდან მოსვა. — ძალზე სკეპტიკური განწყობილებით წავედი მათთან და კონცერნის მაშინდელ ხელმძღვანელობას შევხვდი. დღემდე ყველანი თავიანთ ადგილებზე არიან. ძალზე თავაზიანად შემხვდნენ და ისეთი წინადადება მომცეს, რომელმაც აუწერლად გამაოცა. ცალკეული გამოთქმები დღემდე სიტყვა-სიტყვით მახსოვს. იმიტომ კი არა, რომ კარგი მეხსიერება მაქვს, არამედ იმიტომ, რომ ჩავიწერე. მითხრეს, რომ თავისუფალი დისკუსიების სული არ უნდა მოკვდეს, რომ ასეთი სულის პატრონები უმოქმედოდ არ უნდა გაიყინონ. მაშინაც კი, როცა საზოგადოება თითქმის მიაღწევს სრულყოფილებას, ყოველთვის გამოიძებნება დისკუსიის ღირსი მოვლენები. რომ თავისუფალი დისკუსია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის საჭირო აღარ არის, იდეალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ქვაკუთხედია. კულტურის მთელი მონაპოვარი, მიუხედავად მათი გამოხატვის ფორმებისა, სათუთად უნდა ვატაროთ გულში, რათა შთამომავლობას შეეუნახოთ. ბოლოს კი მითხრეს, რომ, ვინაიდან კონცერნმა უკვე თავის თავზე აიღო ჩვენს ქვეყანაში სიცოცხლისუნარიანი საჯაროობის უმეტესი ნაწილის პასუხისმგებლობა, ის მზადაა თავის თავზე აიღოს კულტურის საკითხების დისკუსიის პასუხისმგებლობაც. რომ მათ განზრახული აქვთ გამოსცენ ქვეყანაში პირველი მრავალმხრივი და აბსოლუტურად დამოუკიდებელი ჟურნალი კულტურის საკითხებზე და მასში სათანამშრომლოდ მოიზიდონ ყველაზე საუკეთესო და ყველაზე, ასე ეთქვათ, შფოთისთავი ჟურნალისტები.

ყოველი სიტყვის შემდეგ მთხრობელს აღმაფრენა ემატებოდა, იმასაც კი შეეცადა, იესსენის მზერა დაეჭირა.

— ვიმეორებ, მე ძალზე კორექტულად მომექცნენ. საკმაოდ მოწიწებით შეხედნენ ჩემ მიერ ასე ხშირად გამოთქმულ შეხედულებებს ყოველკვირეულების შესახებ. შემდეგ, როგორც მაგიდის ჩოგბურთის პარტიის შემდეგ იციან ხოლმე, ხელი ჩამომართვეს და ბოლოს განმიცხადეს, რომ სულითა და გულით მოხარული არიან, რომ შესაძლებ-

ლობა მიეცათ აზრი შემიცვალონ. ამის შემდეგ კონკრეტული წინადადება შემომთავაზეს.

ერთხანს ფიქრებს მიეცა და გაჩუმდა. მერე განაგრძო.

— ცენზურა, — თქვა მან. — თუ არ ვცდები, ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ცენზურა არ არსებობს.

დასტურის ნიშნად იენსენმა თავი დაუქნია.

— და, მიუხედავად ამისა, ჩვენში უფრო სასტიკი და შარიანი ცენზურაა, ვიდრე რომელიმე პოლიციურ სახელმწიფოში. შემეკითხებით, რატომ? იმიტომ, რომ ის კერძო ხასიათისაა, არაა კანონით დადგენილი და ხორციელდება ისეთი მეთოდებით, რომელთაც იურიდიული თვალსაზრისით ვერაფერს გამოუჩხრეკ. იმიტომ, რომ თვით ცენზურის განხორციელების უფლება კი არა, არამედ პრაქტიკული შესაძლებლობაა დამოკიდებული ადამიანებზე, ჩინოვნიკები იქნებიან ისინი თუ გამომცემლები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათი გადაწყვეტილებები ჭკვიანურია და საყოველთაო სიკეთეს ემსახურება. და იმიტომ, რომ ადამიანების უმეტესობაც აგრეთვე იზიარებს მათ სულელურ რწმენას, და, მაშასადამე, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში თვითონ გამოდის ცენზორის როლში.

მან შეხედა იენსენს, თითქოს სურს დარწმუნდეს, რომ აუდიტორია მის აზრთა მსვლელობას მიჰყვებაო.

— ცენზურას უკლებლივ ყველაფერი ექვემდებარება: საჭმელი, რომლითაც ვიკვებებით, გაზეთი, რომელსაც ვკითხულობთ, ტელევიზიის პროგრამა, რომელსაც ვუყურებთ, რადიოგადაცემა, რომელსაც ვისმენთ. ფეხბურთმაც კი უნდა გაიაროს ცენზურა, მატჩიდან ყოველთვის ამოღებულია ის მომენტი, როცა მოთამაშე ტრავმას ღებულობს ანდა უხეშად არღვევს წესებს. და ყოველივე ეს — ადამიანის საკეთილდღეოდ კეთდება. ჩვენი საზოგადოების განვითარების ამგვარი მიმართულება ძალზე ადრეულ სტადიაში შეინიშნებოდა.

მან თავის ფურცელზე კიდევ რამდენიმე გეომეტრიული ფიგურა დახაზა.

— ჩვენ, ესე იგი, ყველანი, ვინაც კულტურის საკითხების დისკუსიით ვიყავით გართულნი, უკვე კარგა ხნის წინ ვამჩნევდით ამ ტენდენციას, თუმცა თავიდან ის მეღავნდებოდა ისეთ სფეროში, რომელსაც ჩვენთან გარეგნულად არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა. ყველაზე ნათლად ეს მიმართულება ჩვენს სამართლწარმოებაში ვლინდებოდა. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მოითხოვდნენ სასტიკად და-

ცელიყო საიდუმლოება — რაც დრო მიდიოდა, მით უფრო ხშირად და მით უფრო მკაცრად მოითხოვდნენ. სამხედრო პირებმა შეძლეს დაერწმუნებინათ იურისტები და პოლიტიკოსები, ამგვარი წვრილმანები მეტისმეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო უშიშროებისათვისო. შემდეგ ჩვენ შევნიშნეთ, რომ სხვა პროცესებიც სულ უფრო ხშირად ტარდებოდა დახურულ კარებში, ამგვარი მეთოდი მუდამ საეჭვოდ და სულელურად მეჩვენებოდა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ზნეობის წინააღმდეგ ჩადენილ რიგით დანაშაულს ეხებოდა. დამთავრდა იმით, რომ თითქმის ყველა უმნიშვნელო პროცესიც კი მთლიანად ან ნაწილობრივ მიუდგომელი შეიქნა ფართო საზოგადოებისათვის. ახსნა ყოველთვის ერთი და იგივე იყო: პიროვნება უნდა დავიცვათ არასასიამოვნო, ამაღელვებელი ანდა შემაშინებელი ფაქტებისაგან, რომელთაც, ასე თუ ისე, მისი სულიერი სიმშვიდის დარღვევა შეუძლია. ამავე დროს გამომჟღავნდა, — მახსენდება, პირველად რა გაოცებულმა დავადგინე ეს ფაქტი, — რომ სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოღვაწეებსა და ჩინოვნიკებს საშუალება ეძლეოდათ „სრულიად საიდუმლოს“ გრიფი დაედოთ იმ სასამართლო პროცესებსა და გამოძიებებზე, რომლებიც მათ საკუთარ დაწესებულებებს ეხებოდა. ყველაზე უაზრო, უბრალო რამ, როგორიცაა საკითხი, ვალდებულნი არიან თუ არა ჩვენი მუნიციპალიტეტები თვითონ იზრუნონ ნარჩენების გატანაზე და სხვა ამგვარი პრობლემები უსასტიკესი საიდუმლოებით იბურებოდა და ყურსაც კი არავინ იბერტყავდა. ხოლო იმ დარგებში, რომლებიც კერძო კაპიტალის ხელში იმყოფებოდა და უპირველეს ყოვლისა კი საგაზეთო საქმეში, ცენზურა კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა. ზოგჯერ სიბოროტისა და ქიშპობის გამო კი არა, არამედ იმის გამო, რასაც ისინი მორალურ პასუხისმგებლობას უწოდებენ.

მან დარჩენილი წყალი მოსვა.

— ხოლო, რაც შეეხება ამგვარი ძალაუფლების მქონე ხალხის მორალურ კრიტერიუმს, რისაკვირველია, ამაზე ჩურჩულით უნდა ვილაპარაკოთ.

იენსენმა საათს დახედა: 20. 17.

— იმ დროს, როდესაც პროფკავშირულმა მოძრაობამ და კერძო სამუშაოს დამკვეთებმა სრულ თანხმობას მიაღწიეს, შეიქმნა ძალთა ისეთი კონცენტრაცია, რომელსაც თავისი ტოლფარდი არ გააჩნდა, ჰოდა, ორგანიზებული ოპოზიცია თავისთავად გაქრა.

იენსენმა თავი დააქნია.

— აბა, რა უნდა მოიმოქმედოს ოპოზიციამ? ყველა პრობლემა გადაწყვეტილი და ლიკვიდირებულია — საბინაო და მანქანების სადგომების სიმცირის საკითხიც კი. ცხოვრების დონე დღითი დღე იზრდება, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რიცხვი კლებულობს, დანაშაულებრიობა ეცემა. მხოლოდ რამდენიმე კაცს, ეკვით შეპყრობილს და მოწოდებით მოპაექრეს, ერთი სიტყვით, ჩემისთანებს შეეძლოთ ოპოზიციის განხორციელება, შეეძლოთ გაეკრიტიკებინათ პოლიტიკური ფიკუსი, რომლის საფუძველზეც ეს მორალური და ეკონომიური სასწაული მოხდა. მხოლოდ რამდენიმე კაცს შეეძლო ყველას გასაგონად დაესვა მთელი რიგი ისეთი კითხვებისა, რომლებიც საქმეს არ ეხებოდა: რის სანაცვლოდ მივაღწიეთ მატერიალურ აყვავებას? რატომ იბადებიან ქორწინების გარეშე სულ უფრო ცოტა ბავშვები? რატომ შემცირდა დანაშაულებრიობა? და ასე შემდეგ.

— საქმესთან უფრო ახლოს, — შეახსენა იენსენმა.

— ჰო, რასაკვირველია, საქმესთან. — მშრალად გაეპასუხა ძასპინძელი. — კონკრეტული და ძალზე მაცთუნებელი წინადადება მომცეს. კონცერნი სხვათა რიცხვში ამ წყეული ჟურნალის გამოცემასაც აპირებდა. მისთვის დაწერენ და მას გამოუშვებენ „ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები კულტურის ყველა მოღვაწეთაგან ყველაზე ძლიერნი, ყველაზე ფიცხნი და ყველაზე დინამიურნი“. სიტყვასიტყვით მახსოვს მთელი ფრაზა. მე აშკარად მიმაკუთვნებდნენ იმ კატეგორიას და არ დავმალავ — ფრიად ნასიამოვნები გახლდით. რედაქციის თანამშრომელთა სავარაუდო სია მაჩვენეს. სიამ გამაოცა, რადგან მასში ვნახე ადამიანები, — დაახლოებით ოცდახუთი კაცი, — ვინც, ჩემი შეხედულებით, ქვეყნის კულტურულ და ინტელექტუალურ ელიტას წარმოადგენდა. დიდძალი თანხა მოგვეცემოდა ჩვენს განკარგულებაში. როგორ ფიქრობთ, ამის გაგონებაზე გავოცდებოდი?

იენსენმა გულგრილად შეხედა.

— ჰო, რასაკვირველია, მათ თავიანთი პირობები წამოაყენეს. ჟურნალი რენტაბელური უნდა ყოფილიყო, ან სულ მცირე, გაჭირვებით მაინც უნდა გაეტანა თავი. ეს ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი გახლდათ. და კიდევ — პიროვნება დაცული უნდა იყოს ბოროტებისაგან. რენტაბელობის მისაღწევად აუცილებელია ჟურნალის რაც შეიძლება უფრო ზუსტი დაგეგმვა, მან, ასე ვთქვათ, თავისი ფორმა უნდა იპოვოს. ხოლო სანამ თავის ფორმას იპოვიდეს, გულდასმით

უნდა იქნეს შესწავლილი საბაზრო კონიუნქტურა. ამასთან დაკავშირებით ნება დაგვრთეს ჟურნალის იმდენი საცდელი ნომერი გამოგვეშვა, რამდენიც საჭირო იქნებოდა, რათა შემთხვევაზე არ ვყოფილიყავით დამოკიდებულნი. რაც შეეხება ჟურნალის შინაარსსა და თემატიკას, აქ ჩვენ მოქმედების სრული თავისუფლება გვეძლეოდა, როგორც საცდელი ნომრების გამოშვებისას, ისე შემდეგაც, როდესაც ჟურნალი გასაყიდად გავიდოდა.

მან მწარედ გაიღიმა.

— გარდა ამისა, მითხრეს, რომ ამათთან არსებობს ერთი პროფესიული წესი, რომლის მიხედვითაც ახალ ჟურნალზე მუშაობა, მისი დაპროექტებისა და ჩამოყალიბების პერიოდში, სრული საიდუმლოებით უნდა იყოს მოცული. წინააღმდეგ შემთხვევაში ვინმეს, — ოღონდ ღმერთმა იცის, ვინ ჰყავდათ მხედველობაში, — შეუძლია მთელი იდეა მოიპაროსო. შემდეგ მაგალითად მომიყვანეს სხვადასხვა პერიოდული გარყვნილებანი, რომლებმაც ძიების მრავალი წელი გაიარეს, სანამ ვამომცემლობის გეგმურ პროდუქციაში თავის ადგილს დაიკავებდნენ. ყოველივე ეს დასაბუთებული გახლდათ გაცვეთილი ბუმაგრიტებით: „აჩქარებითა სოფელი ვრავის მოუქმნია". ვინაიდან ღრმა საიდუმლოებასთან შერწყმული სიდიდეჯ საუკეთესო შედეგებს იძლევა. ბოლოს უკვე შედგენილი კონტრაქტის ხელის მოწერა შემოგთავაზეს. კონტრაქტი საოცრად მაცთური გახლდათ. მე თვითონვე უნდა დამეწერა ჩემთვის ხელფასი, ოღონდ ეს კია. მეტისმეტი არ უნდა მომეთხოვა. თანხას, რომელზეც ჩვენ შევჩერდით, დაერიცხებოდა ყოველგვარი ჰონორარი, ჩემ მიერ დაწერილი ყოველი ბეჭარი გათვალისწინებული იქნებოდა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰონორარი არ იკმარებდა დათქმული თანხის დასაფარავად, მაინც მთლიანად გადამიხდიდნენ. რასაკვირველია, ჰონორარებისა და გადახდილი ხელფასის ჯამი ყოველთვის არ დაემთხვეოდა და მაშინ მე აღმოვჩნდებოდი გამომცემლობის ვალში ანდა პირიქით. ასეთ შემთხვევებში წონასწორობის აღდგენა ჩემზე და მხოლოდ ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული. თუ ზედმეტს ვგადამიხდიდნენ. ერთხანს ჩვეულებრივზე მეტი უნდა მეწერა, ხოლო თუ ნაკლებს გადამიხდიდნენ, შემეძლო შემთხვევით მესარგებლა და დამესვენა. დანარჩენ პუნქტებში კონტრაქტი სტანდარტული პირობებისაგან და შენიშვნებისაგან შედგებოდა. ჩემი გაწთავისუფლება შეეძლოთ მაშინ, თუ აშკარად შემატყობდნენ პროფესიულ უვარგისობას ანდა ზიანის მიყენებას თუ ჩავიდებდი გულში.

არ მქონდა კონტრაქტის გაუქმების უფლება, თუ გამომცემლობას ყალს არ გადავუხდიდი და ბევრი სხვა ამგვარი რამეები.

იგი კალამს შეეხო, მაგრამ ადგილიდან არ დაუძრავს.

— ჰოდა, მოვაწერე კიდეც ხელი. კონტრაქტი გაცილებით მეტ შემოსავალს მპირდებოდა, ვიდრე ოდესმე მქონია. შემდგომში აღმოჩნდა, რომ დანარჩენებსაც ზუსტად ასეთივე კონტრაქტზე მოეწერათ ხელი. რამდენიმე დღის შემდეგ კი განსაკუთრებულ განყოფილებაში დავიწყე მუშაობა.

იენსენს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ იფიქრა და თავი შეიკავა.

— დიახ, ოფიციალურად მას განსაკუთრებული განყოფილება ეწოდებოდა. მეტსახელი „ოცდამეთერთმეტე" უფრო გვიან შეერქვა. საქმე ისაა, რომ ჩვენ ყველაზე მაღლა, ოცდამეთერთმეტე სართულზე მოვთავსდით. თავიდან განყოფილების ადგილზე რაიმე საწყობის ან სხვენის სათავსის განლაგებას ვარაუდობდნენ. ასე რომ, ბევრმა ეჭვიოაც კი არ იცოდა მისი არსებობის ამბავი. ოცდამეთერთმეტემდე ლიფტი არ ადის. იქ მოხვედრა მხოლოდ რკინის ვიწრო ხვეული კიბით შეიძლება. იქ არც ფანჯრებია, განათებისათვის ჭერში მხოლოდ ორი სანათურია. როგორც გვითხრეს, იქ ორგვარი მიზნით მოგვათავსეს. ჯერ ერთი, ჩვენი მუშაობისათვის საჭირო სიმშვიდე რომ უზრუნველეყოთ. თანაც უფრო იოლად დაეცვათ სასტიკი საიდუმლოებრივობა მთელი საორგანიზაციო პერიოდის მანძილზე. სამუშაო საათებიც კი სხვა გვქონდა და, სხვათა შორის, ჩვენი სამუშაო დღეც გაცილებით მოკლე იყო. ვიდრე კონცერნის სხვა თანამშრომლებისა. მაშინ ყოველივე ეს სავსებით ბუნებრივად გვეჩვენებოდა. გაოცებული ხართ?

იენსენმა პასუხი არ გასცა.

— ჰოდა, შევუდექით მუშაობას. თავიდან კარგა გვარიანად ვკინკლაობდით. წარმოიდგინეთ ორი დუჟინი პირწავარდნილი ინდივიდუალისტი, ორი დუჟინი ურჩი ჭკუა-გონების პატრონი. რომელთა შეხმატკბილებაზეც წინასწარ არავის უზრუნია. ჩვენი მთავარი რედაქტორი იყო ერთი უწიგნური ტიპი, რომელმაც შემდგომში საკმაოდ დიდი თანამდებობა დაიკავა კონცერნში. შემიძლია შეგიკვლოთ ანეკდოტების მარაგი და გიამბოთ: მან ჟურნალისტიკაში კარიერა იმით შეიქმნა, რომ, ისევე როგორც შეფსა და გამომცემელს, მასაც ალექსია სჭირს, ესე იგი, სიტყვიერი სიბრმავე. თუმცა, მაშინ ცხვირს მაღლა არ სწევდა. პირველ ნომერს ასაწყობად ხელი მოეწერა მხოლოდ რვა თვის

შემდეგ. ნაწილობრივ აძის მიზეზი ის გახლდათ, რომ ბეტისმეტად გვაბრკოლებდა საწარმოო განყოფილება. იოცხლე, კარგი ნომერი გამოვიდა, გაბედული და დაუნდობელი. მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, კონცერნის ხელმძღვანელობა კეთილგანწყობილად შეხვდა. თუმცა სტატიების უმრავლესობა მძაფრი, კრიტიკული ხასიათისა იყო და თვით კონცერნის ყოველკვირეული ჟურნალების ჩათვლით, უკლებლივ ყველას აკრიტიკებდა. შინაარსის შესახებ ერთი სალანძღავი სიტყვაც კი არ მოგვისმენია. უბრალოდ, ტექნიკურ შეცდომებზე მიგვითითეს, და, უპირველეს ყოვლისა, გვირჩიეს ტემპი გაგვეზარდა. ვიდრე თვეში ორი ნომრის გამოშვებას არ შეეძლებდით, ფიქრიც კი ზედმეტი იყო ფართო პუბლიკაციაზე. ესეც სავსებით ბუნებრივი გვეჩვენებოდა.

მასპინძელმა გულღიად შეხედა იენსენს.

— გავიდა არანაკლებ ორი წლისა, სანამ ჩვენი შესაძლებლობებით, უხეირო ასოთამწყობებითა და არასრულყოფილი ბეჭდვით თვეში ორი ნომრის გამოშვება შევძელით. ჟურნალი რეგულარულად გამოდიოდა. ყოველი ნომრის ათ საცდელ ანაბეჭდს ვაკეთებდით და არქივისათვის ასაკინძად ვაძლევდით. რაკი სასტიკად იყო გასაიდუმლოებული, ერთი ნომრის წაღებაც კი არ შეგვეძლო. აი, როდესაც ასეთ პერიოდულობას მივაღწიეთ, კონცერნის ხელმძღვანელობამ ცხოველი კმაყოფილება გამოთქვა, მე ვიტყოდი ნასიამოვნებიც კი დარჩა და განგვიცხადა, რომ ახლა ერთი რამეღა გვაკლდა: — ჟურნალის ახალი მაკეტი უნდა დაგვემუშავებინა და მისთვის მიგვეცა თანამედროვე ფორმა, რომელიც დაეხმარებოდა ფართო ბაზარზე სასტიკ კონკურენციას გამკლავებოდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექსპერტთა რომელიღაც საიდუმლო ჯგუფმა რეა თვის მანძილზე უნაყოფოდ ეძება თანამედროვე ფორმა, ჩვენ ჩავწვდით...

— რას ჩაწვდით? — შეეკითხა კომისარი იენსენი.

— ...ბოლოს და ბოლოს, მათი აზრების მთელ სიღრმეს ჩავწვდით. ხოლო როდესაც შევეკამათეთ, სასწრაფოდ ჩაგვაჩუმეს იმით, რომ დაგვპირდნენ, საცდელი გამოშვებების ტირაჟს ხუთას ეგზემპლარამდე გავზრდით და ამ ეგზემპლარებს ყოველდღიური გაზეთების რედაქციებსა და ყველა მაღალ ინსტანციაში გავგზავნითო. გვიანღა მივხვდით, რომ მოგვატყუილეს, მაგრამ რაღას ვიზამდით. მაგალითად, როდესაც ზუსტად დავადგინეთ, რომ ჩვენი ჟურნალის საბელწოდება ყველასათვის უცნობი იყო, რომ მის შინაარსს არავინ არ უკეთებდა

კომენტარს, ამ ნიშნების მიხედვით მივხვდით, რომ არსადაც არ აგზავნიდნენ. რომ მას იყენებდნენ კორელატად, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ცნობარად, თუ როგორ და რის შესახებ არ უნდა დაიწეროს სტატიები. ჩვენ ძველებურად გვაძლევდნენ ჩვენს კუთვნილ ათ ეგზემპლარს. აი, მერე კი...

— მერე რა?

— მერე რა და, საზარელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით — საითაც გავიქეცით, იქით წავიქეცით. დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე ქვეყნის კულტურული ელიტა, უკანასკნელი მოჰიკანები, ისხდნენ ამ პირქუშ კატაკომბებში და უფრო და უფრო ნაკლები ენთუზიაზმით ქმნიდნენ მორიგ ნომერს, რომელიც ყველაფრისდა მიუხედავად ქვეყანაში ერთადერთი ჟურნალი გახლდათ, ღირსეულად რომ ატარებდა თავის წოდებას. ერთადერთი ჟურნალი, რომელსაც არასდროს დღის სინათლე არ უნახავს... ამ დროის განმავლობაში ჩვენ ათასობით ახსნა-განმარტება მოვისმინეთ თემაზე, რატომ უნდა იყოს ყველაფერი სწორედ ასე და არა სხვანაირად. საბოლოო ფორმა არც მთლად დამაკმაყოფილებელი ჩანდა. გამოშვების ტემპი არც ისე მაღალი იყო, არ გვყოფნიდა ტიპოგრაფიული სიმძლავრეები და სხვ. მხოლოდ შინაარსი არასდროს არ იმსახურებდა საყვედურს.

საღოკი თითით მაგიდის კიდეზე დააკაკუნა.

— შინაარს კი ბევრი რამის შეცვლა შეეძლო. მას ხალხის შეგნების გაღვიძება შეეძლო, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ იყო. ზოგიერთებს კი, სულაც, გადაარჩენდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა.

თითქის იენსენის რეპლიკის აცილება სურსო, ხელი ასწია.

— ვიცი, ახლა შემეკითხებით: რატომ არ წამოვედით იქიდან? არაფერი არაა ამაზე იოლი: არ შეგვეძლო.

— ამიხსენით.

— სიამოვნებით. ჩვენი კონტრაქტი ისე იყო შედგენილი, რომ ყველახი გადაუხდელ ვალში აღმოვჩნდით კონცერნის წინაშე. მარტო ერთი წლის მუშაობის შემდეგ იმის ნახევარი მქონდა ვალი, რამდენიც მივიღე. ხუთი წლის შემდეგ ვალის ოდენობა ხუთჯერ გაიზარდა, თხუთმეტი წლის შემდეგ მან ასტრონომიულ ციფრს მიაღწია — ყოველ შემთხვევაში იმათთვის, ვისაც ჩვეულებრივი შემოსავალი ჰქონდა ეს იყო ეგრეთ წოდებული „ტექნიკური ვალი“. ჩვენ რეგულარულად გვატყობინებდნენ რა თანხას მიაღწია ამ ვალმა. მაგრამ არავინ

გვოხოვდა ვალის გადახდას. და არც აპირებდნენ მოთხოვნას იმ წუთამდე, სანამ რომელიმე ჩვენგანს ოცდამეთერთმეტე გახყოფილებიდან წასვლა არ მოუვიდოდა ჭკუაში.

— მაგრამ თქვენ ხომ წამოხვედით?

— დიახ, ბედნიერი შემთხვევის წყალობით. სრულიად მოულოდნელად მემკვიდრეობა მივიღე. თუმცა მემკვიდრეობა საკმაოდ დიდი იყო, თითქმის ნახევარი კონცერნის ვალის გადახდას მოუნდა. ვალისა, რომელიც სხვადასხვა მაჭინაციების წყალობით იზრდებოდა იმ წუთამდე, სანამ ჩეკზე თანხა არ დავწერე. მაგრამ მე თავი დავაღწიე. მაშინაც დავაღწევდი თავს, მთელი ჩემი ქონება რომ დასჭირვებოდა. ოღონდ კი საჭირო თანხა მეშოვნა და ალბათ, ვიქურდებდი ან ვინმეს გავძარცვავდი, რომ მცოდნოდა, როგორ უნდა გამეკეთებინა ეს.

მან ჩაიცინა.

— ქურდობა, ძარცვა — ეს ისეთი საქმიანობაა, საეჭვოა, დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობდეს.

— აღიარებთ თუ არა...

მასპინძელმა სიტყვის დამთავრება არ აცალა.

— ჩაწვდით ყოველივე იმის აზრს, რაც მე გიამბეთ? ეს გახლდათ მკვლელობა, სულიერი მკვლელობა, ფიზიკურ მკვლელობაზე გაცილებით უფრო საშინელი და უნაზესი. უთვალავ იდეათა მკვლელობა, აზროვნების უნარის მკვლელობა, სიტყვის თავისუფლების მკვლელობა. ემაღლესი რანგის წინასწარგანზრახული მკვლელობა — ჩვენი კულტურის მთელი ერთი დარგის მკვლელობა. მკვლელობის მიზეზი კი ყველა არსებული მიზეზებიდან ყველაზე საზიზღარი იყო: ხალხს გარანტირებული ჰქონდა სულიერი სიმშვიდე, რათა მორჩილად გადაეყლაპა ყველაფერი, რითაც ძალით გაუყიპავდნენ. თქვენ გესმით — დაუბრკოლებლად დათესო გულგრილობა, ორგანიზმში შეიყვანო საწამლავი, თან წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ აღარ დარჩა არც ექიმი და არც შხამსაწინააღმდეგო შრატი.

ყოველივე ეს აღელვებულმა, ჩქარ-ჩქარა ჩაილაპარაკა და მერე სულისმოუთქმელად განაგრძო:

— რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ შემეპასუხოთ, რომ თუ არ ჩავთვლით იმ ცხრა ადამიანს, ვინც ჭკუაზე შეიშალა, გარდაიცვალა ან თავი მოიკლა, ჩვენ ძირითადად ცუდად არ ვცხოვრობდით და კონცერნს საკმაოდ ძვირი დაუჯდა რეგულარულად ფულის დაბანდება იმ ჟურნალში. რომელმაც დღის სინათლეც კი ვერ ნახა. მაგრამ ფული

მათთვის არაფერს ნიშნავს. ფინანსურ დეკლარაციებს მათთან ისეთი გამოქექილები ადგენენ და საგადასამხდელო სამმართველოშიც ისინი მსახურობენ... — მან აღარ დაამთავრა სათქმელი და უცებ, მოულოდნელად, დამშვიდებულმა წარმოთქვა: — მაპატიეთ, უღირს არგუმენტაციას რომ მივმართე. ჰო, რასაკვირველია, მე ყველაფერს ვაღიარებ. თქვენ ხომ თავიდანვე იცოდით, რომ ასე იქნებოდა. მაგრამ ჯერ ერთი, გადავწყვიტე წინასწარ გული მომეოხებია, და მეორეც, ადგილობრივი მნიშვნელობის ექსპერიმენტი ჩავატარე. მინდოდა მენახა, რამდენ ხანს შეიძლებოდა დროის გაჭიანურება, აღიარების გარეშე.

კვლავ გაიცინა და სხვათა შორის წარმოთქვა:

— მოტყუების ნიჭი არა მაქვს.

— ამიხსენით, რატომ ჩაიდინეთ ეს.

— როდესაც იქიდან ცოცხალმა გამოვაღწიე, გადავწყვიტე ამ საქმისადმი რამენაირად მიმეპყრო საზოგადოების ყურადღება. მაგრამ თითქმის მაშინვე მივხვდი, რომ იმედიც კი არ უნდა მქონოდა, რომ სადმე თუნდაც ერთ სტრიქონს მაინც გამომიქვეყნებენ. და მაშინ გავიფიქრე, ხალხს, ალბათ, იმის უნარი მაინც შემორჩა, რომ რეაგირება მოახდინოს სენსაციურ შემთხვევებსა და სისასტიკის გამოვლინებაზე. და ის იყო რომ წერილი გავაგზავნე. რასაკვირველია, არასწორად მოვიქეცი. სწორედ იმ დღეს ნება დამრთეს მენახა ჩემი ერთ-ერთი ყოფილი კოლეგა, რომელიც კონცერნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე საგიჟეში ზის. და აი, ვიჯექი და ეუყურებდი, როგორ გადაკეტა ქუჩები პოლიციამ, როგორ მოვიდა სახანძრო მანქანები და როგორ დატოვა შენობა მომსახურე პერსონალმა. მაგრამ გამოხმაურებას ვინ ჩივის, მომხდარ ამბავზე კრინტი არავის დაუძრავს, ერთი სიტყვაც კი არ დაუბეჭდავთ.

— უარს ხომ არ იტყვით, მოწმეთა თანდასწრებით თქვენი აღიარება რომ გაიმეოროთ?

— რასაკვირველია, არა, — დაბნეულად მიუგო მასპინძელმა. — სიტყვამ მოიტანა და, თუ თქვენ ნივთიერი მტკიცებები გჭირდებათ, ამაზე იოლი არაფერია. ყველაფერი აქ არის.

იენსენმა თავი დაუქნია. მასპინძელი ადგა და ერთ-ერთ თაროსთან მივიდა.

— ახლა პირველ ნივთიერ მტკიცებას გადმოვიღებ. მაშ ასე, თქვენ წინაა არარსებული ჟურნალის ნომერი. ჩემი მუშაობის პერიოდში გამოშვებული ბოლო ნომერი.

ჟურნალი საუცხოოდ იყო გაფორმებული. იენსენმა გადაფურცლა იგი.

— თუმცა, ყოველივე ამან გაგვტეხა, მაგრამ ისე კი არ იყო ხელიდან წასული ჩვენი საქმე, რომ გაერისკათ და ჟურნალი სახალხო გაეხადათ. ჩვენ ყველანაირ საკითხს ვიხილავდით. ჩვენთვის ტაბუ არ არსებობდა.

ჟურნალის შინაარსმა თავზარი დასცა იენსენს, თუმცა სახეზე ძველებურად არაფერი ეტყობოდა. ის ყურადღებით ათვალიერებდა გადაშლილ ჟურნალს, რომელიც ეძღვნებოდა ფიზიოლოგიურ მხარეს საკითხისა: რატომ ეცემა შობადობა და რატომ იზრდება იმპოტენტობა? ტექსტის ორივე მხარეს შიშველი ქალების ორი დიდი ფოტოსურათი იყო მოთავსებული. ქალები აშკარად ორ სხვადასხვა ტიპს განასახიერებდნენ. ერთმა იენსენს მოაგონა მთავარი რედაქტორის მაგიდაზე დაწებებულ კონვერტში ნანახი სურათი. მას მოხდენილი ტანი და ვიწრო თეძოები ჰქონდა, მაგრამ გამხდარი არ იყო. მეორე სურათზე კი იენსენმა იცნო ქალი, რომლის ოთახშიც ზუსტად ერთი დღე-ღამის წინ კარს მიყრდნობილი იდგა. ქალს ოდნავ განზე გაედგა ფეხები და ხელები ჩამოეშვა. დიდი, შავი ძუძუსთავები, განიერი თეძოები და მომრგვალებული მუცელი ჰქონდა.

— ეს სულ ახლახან გადაღებული სურათია, — აუხსნა მასპინძელმა. სწორედ ასეთი გვჭირდებოდა და სანამ მივაგენით, საკმაო ოფლი დაკღვარეთ. ასეთი ტიპი ახლა, ალბათ, უფრო იშვიათია, ვიდრე უწინ.

იენსენმა ჟურნალის ფურცვლა განაგრძო, მერე დახურა და საათს დახედა: 21. 06.

— აიღეთ ყველაფერი, რაც საჭიროა და გამომყევით.

სათვალიანმა კაცმა თავი დაუქნია.

მანქანაში საუბარს განაგრძობდნენ.

— კიდევ ერთი რამ უნდა ვაღიარო.

— გისმენთ.

— ხვალ, იმავე დროს, ზუსტად ისეთივე წერილს მიიღებენ. სწორედ თქვენს მოსვლამდე ვიყავი მის ჩასაგდებად.

— რატომ?

— ასე უბრალოდ არ დავნებდები. ოღონდ ვშიშობ, ამჯერად ჩემს წერილს ყურადღებას არ მიაქცევენ.

— რა იცით აფეთქების საქმეში?

— იმაზე ნაკლები, რაც გამომცემლობის პირველმა დირექტორმა ჰეგელის შესახებ.

— სხვანაირად რომ ვთქვათ?

— სხვანაირად რომ ვთქვათ — არაფერი. სამხედრო სამსახურშიც კი არ ვყოფილვარ. ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი პაციფისტი. ხელში საბრძოლო მასალის მთელი საწყობი რომ ჩამივარდეს, საეჭვოა მისგან რაიმე ფეთქებადის გაკეთება შევძლო. გჯერათ ჩემი?

— მჯერა.

მეთექვსმეტე უბნამდე ნახევარი გზა რომ ჰქონდათ დარჩენილი, იენსენმა ჰკითხა:

— შემთხვევით, მართლა ხომ არ მოგსვლიათ თავში აზრი, შენობა აგეფეთქებიათ?

დაკავებულმა მხოლოდ მაშინ უპასუხა, როდესაც მანქანა უბნის ეზოში შევიდა.

— დიახ, მომივიდა. მე რომ ბომბის გაკეთება შემძლებოდა და ხანდვილად მცოდნოდა, არც ერთი კაცი არ დაშავდებოდა, მაშინ, შესაძლებელია, ამეფეთქებინა სახლი. ახლა კი ბომბს წმინდად სიმბოლური ხასიათი აქვს.

მანქანა, რომ გაჩერდა, თითქოს თავის თავს ეუბნებაო, დაამატა:

— ასეა თუ ისე, ყველაფერი გულახდილად ვუთხარი. და ვის? პოლიციელს!

მერე თავის თანამგზავრს მიუბრუნდა და შეეკითხა:

— პროცესი, რასაკვირველია, დახურული იქნება, არა?

— არ ვიცი, — უპასუხა იენსენმა.

მან ღილაკს თითი დააჭირა — მაგნიტოფონი გამოთიშა, მანქანიდან გადმოვიდა, ირგვლივ შემოუარა და მეორე კარი გააღო. შემდეგ დაკავებული რეგისტრაციაში გასატარებლად წაიყვანა, თვითონ კი თავის კაბინეტში ავიდა და პატრულის უფროსს დაურეკა.

— მისამართი ჩაიწერეთ?

— დიახ.

— კიდევ ორი კაცი წაიყვანეთ და დანაშაულის ადგილზე წადით. შეაგროვეთ ყველა ნივთიერი მტკიცება, რასაც კი იპოვით, და რაც შეიძლება, იჩქარეთ.

— გასაგებია.

— კიდევ ერთი.

— გისმენთ.

— გაბარტყიებული საკანში გამოძიებელი გააგზავნეთ. ჩვენება ჩაბარდეს.

— გასაგებია.

იენსენმა საათს დახედა. საათი ათის ოცდათხუთმეტ წუთს უჩვენებდა. შუალამემდე ორი საათი და ოცდახუთი წუთი რჩებოდა.

26

— იენსენი ხართ? სად დაიკარგეთ?

— ძიებას ვამთავრებდი.

— მესამე დღეა გეძებთ. საქმე მოულოდნელად სხვაგვარად შეტრიალდა.

იენსენმა დუმილი ამჯობინა.

— სხვათა შორის, რა გქონდათ მხედველობაში, როდესაც ძითხარით: „ძიებას ვამთავრებდიო“?

— ის, რომ დამნაშავე დავაკავე.

ყურმილში მძიმე სუნთქვა მოისმა.

— და მან აღიარა?

— დიახ.

— მხილებულია?

— დიახ.

— მაშასადამე ის არის?

— დიახ.

პოლიციის უფროსი აშკარად ჩაფიქრდა.

იენსენ, ახალავე შეფს უნდა შევატყობინოთ.

— დიახ.

— ჰოდა, მიხედეთ ამ საქმეს. ვფიქრობ, პირადად თქვენ უნდა აცნობოთ ეს ამბავი.

— გასაგებია.

— ალბათ, უკეთესიცაა, რომ გუშინ ვერ დაგიჭირეთ.

— ვერ გავიგე.

— გუშინ კონცერნის ხელმძღვანელები დამიკავშირდნენ მინისტრის საშუალებით. მაცნობეს, ამ ეტაპზე ყველაზე უფრო გონივრულია, ძიება შეწყვიტოთო. მზადა ვართ უკანაც წავიღოთ სარჩელიო.

— რატომ?

— ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ფიქრობენ, ძიება ჩიხში მოექცაო. და იმიტომ, რომ თქვენი მეთოდები შემაწუხებლად მიაჩნდათ. ვითომცდა სრულებით ბრმად მოქმედებთ და ტყუილად აწუხებთ უდანაშაულო ადამიანებს, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში.

— გასაგებია.

— ერთი სიტყვით, საუბარი არცთუ სასიამოვნო გამოდგა. მაგრამ, მართალი გითხრათ, რაკი არ მეგონა, დადგენილ დროში ჩაეტეოდით, ვეღარაფერი ვუპასუხე. მინისტრი ჯიქურ მომეკითხა, მჯეროდა თუ არა, რომ თქვენ რაიმე გამოგივიდოდათ. მე იძულებული ვიყავი მეპასუხა: „არა“. სამაგიეროდ, ახლა...

— გისმენთ.

— ახლა, როგორც მესმის, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა.

— დიახ. და კიდევ ერთი რამ.

— აბა, კიდევ რა?

— დამნაშავემ, როგორც ჩანს, ანალოგიური შინაარსის მეორე წერილი გააგზავნა. წერილი ხვალ უნდა მივიდეს.

— ეს რეალური საშიშროებაა?

— ვფიქრობ, არა.

— პირიქით რომ იყოს, სიტუაცია, ალბათ, ჭეშმარიტად იშვიათი იქნებოდა: დამნაშავე დაკავებულია დანაშაულის ჩადენამდე თექვსმეტი საათით ადრე.

იენსენი დუმდა.

— დიახ, ახლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, შეფს შეატყობინოთ. დღესვე მოძებნეთ. ეს თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარეობს.

— გასაგებია.

— იენსენ!

— გისმენთ.

— თქვენ დიდებულად იშრომეთ. ნახვამდის.

კომისარმა იენსენმა ყურმილი დადო და დაახლოებით ათიოდე წამის შემდეგ კვლავ ყურთან მიიტანა. ნომერს რომ კრეფდა, ეზოდან ისტერიული კივილი შემოესმა.

შეფის ადგილსამყოფელის დადგენას ხუთი წუთი დასჭირდა. ქა-

ლაქგარე ვილაში დარეკვას, სადაც შეფი იმყოფებოდა, კიდევ ხუთი წუთი. ტელეფონთან ერთ-ერთი მოსამსახურე მოვიდა.

— ძალზე მნიშვნელოვანი საქმე მაქვს.

— ოჯახის უფროსმა მიბრძანა, არ შევაწუხო.

— და სასწრაფოც.

— ვერაფრით დაგეხმარებით. ოჯახის უფროსს უბედურება შეემთხვა და ახლა წევს.

— საძილე ოთახში ტელეფონი არის?

— რასაკვირველია, არის.

— შემაერთეთ მასთან.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს შეუძლებელია. ოჯახის უფროსს უბედურება შეემთხვა...

— ეგ უკვე მითხარით, ოჯახის რომელიმე წევრს სთხოვეთ ტელეფონთან.

— ქალბატონი წავიდა.

— როდის დაბრუნდება?

— არ ვიცი.

იენსენმა ყურმილი დადო და საათს შეხედა. თერთმეტის თხუთმეტი წუთი იყო.

ყველი და ბულიონი ჯერაც აძმარებდა. ამიტომ, პალტო გაიხადა თუ არა, იენსენი ტუალეტში გავიდა და ერთი მწიკვი სოდა დალია.

ქალაქგარეთ ვილა ქალაქის აღმოსავლეთით, ოცდაათ კილომეტრზე, თითქმის ხელუხლებელ ტყეში, ტბის ნაპირზე მდებარეობდა. იენსენს სირენა ჩაერთო და ჩქარა მიდიოდა. გზას ოცდახუთი წუთი მოანდომა.

მანქანა სახლის წინ დააყენა და ცოტა დაელოდა. როდესაც სიბნელიდან პატრული გამოძვრა, იენსენმა მინა დაუშვა.

— ამბობენ, აქ უბედურება მოხდაო?

— ეგეც უბედურებაა რაღა. მართალია ლოგინში ჩაწვა, მაგრამ ექიმი არ დამინახავს. არადა, რამდენიმე საათი გავიდა.

— უფრო ზუსტად.

— ეს მოხდა... არ მახსოვს რომელ საათზე, მაგრამ უკვე ბინდდებოდა.

— გაიგეთ, რა მოხდა იქ?

— დიახ, თითქმის ყვილაფერი. ძალიან ჰოხერხებულ ადგილას ვიდექი. მე არ ვჩანდი, აქედან კი ვხედავდი ვთელ ტერასას. ქვედა

სართულის ოთახს და მის საძილე ოთახისაკენ ჰიშავალ კიბეს, საძილე ოთახის კარსაც.

— მაინც, რა მოხდა?

— სტუმრები ჰყავდათ. ბავშვებიანად მოსულიყვნენ, ალბათ იმიტომ, რომ კვირადღე იყო.

იგი დადუმდა.

— მერე?

— აკი გეუბნებით, ბავშვები იყვნენ-მეთქი. — ჩაფიქრებით განაგრძობდა მთხრობელი.—ისინი ტერასზე თამაშობდნენ, ხოლო თეითონ პირველ სართულზე დიდ ოთახში იჯდა სტუმრებთან ერთად და რაღაცას სვამდა. ალბათ არაყს, მაგრამ არც ისე ბევრს.

— უფრო ახლოს საქმესთან.

— უცებ ტერასზე მაჩვი აძვრა.

— მერე?..

— როგორც ჩანს, გაბრიყვდა და ავიდა. ბავშვები ყვირიან, მაჩვი ვერ გარბის — ტერასას ირგვლივ მოაჯირი აქვს შემოვლებული. მაჩვი აქეთ-იქით ეხეთქება. ბავშვები ღრიალებენ.

— მერე?

— მოსამსახურეები ახლომახლო არ არიან. არც ერთი მამაკაცი არ არის მის გარდა. თუ მე არ მიმათვლით. აი ადგა, გავიდა ტერასზე, დაინახა როგორ დარბის მაჩვი: ბავშვები შიშისაგან კივიან. ის ჯერ დაფიქრდა. მერე მაჩვთან მივიდა და შესაშინებლად ფეხსაცმლის წვერი წაკრა. მაჩვმა თავი დახარა და ფეხში ჩაეფრინდა. მერე კი გასასვლელი იპოვა და გაიქცა.

— შეფმა რაღა ქნა?

— შეფი ოთახში დაბრუნდა, მაგრამ არ დამჯდარა, კიბეებს აუყვა. დავინახე, როგორ გააღო თავისი ოთახის კარი და ზედ ზღურბლზე დაეცა. დაიკვნესა და ცოლს დაუძახა. ცოლმა მოირბინა და ლოგინში ჩააწვინა. მერე კარი დაკეტეს. როგორც ჩანს ცოლი ტანსაცმლის გახდაში დაეხმარა. ქალი რამდენჯერმე გამოვიდა ოთახიდან და ჩან რა შემოიტანა და ხან რა: მოიტანა ფინჯანი და ალბათ, თერმომეტრი — ამ სიშორიდან განა გაარჩევ?

— უკბინა თუ არა მაჩვმა?

— კბენით არ უკბენია. უბრალოდ შეაშინა. უცნაური კია...

— რა არის უცნაური?

— აი, ამ მაჩვის ჯუბავი. ამ დროს მათ ხომ სძინავთ. მე თვითონ ვნახე ტელევიზორში გადაცემა მაჩვების ზამთრის ძილის შესახებ.

— თავი შეიკავეთ ზედმეტი წვრილმანებისაგან.

— გასაგებია.

— დღეიდან შეგიძლიათ დაუბრუნდეთ ჩვეულებრივი საქმიანურებრივი მოვალეობების შესრულებას.

— გასაგებია. — მან თავისი ბისოკლი შეათამაშა ხელში. — თავს ნებას მიეცემ შევნიშნო, რომ საინტერესო დავალება იყო

— თავი შეიკავეთ ზედმეტი წვრილმანებისაგან. ჰო. კიდევ ერთი.

— გისმენთ.

— თქვენი მოხსენების მანერა მაინცდამაინც არ მომწონს.

— გასაგებია.

იენსენი სახლთან მივიდა, მოახლე ქალმა შეუშვა. სადღაც საათმა თერთმეტჯერ დარეკა. იენსენს ქუდი ხელში ეჭირა. იდგა და ელოდა. ხუთი წუთის შემდეგ შეფის ცოლი გაჩნდა.

— ასეთ დროს მოხვედით? — ქედმაღლურად იკითხა ქან. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩემი მეუღლე უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა და ლოგინში წევს.

— მეტისმეტად მნიშვნელოვანი და საჩქარო აქვე მაქვს.

ქალი ზემოთ ავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა.

— აი, აქ არის ტელეფონი. შეგიძლიათ ელაპარაკოთ. მაგრამ ცოტა ხანს.

იენსენმა ყურმილი აიღო.

შეფი აშკარად დაღლილი იყო. მაგრამ მკაფიო და მელოდიური ხმა ჰქონდა.

— ასე, ასე... მაშასადამე. თქვენ ის დააპატიმრეთ?

— დაკავებულია.

— ახლა სად იმყოფება?

— უახლოეს სამ დღეს მეთექვსმეტე უბანში გაატარებს.

— უცნაურია. საბრალო. ეჭვი არ არის, რომ სულით ავადმყოფია.

იენსენი დუმდა.

— ძიების დროს კიდევ რაიმე საინტერესო ხომ არ გამოირკვა?

— არა.

— უცნაურია. კარგად ბრძანდებოდეთ.

— კიდევ ერთი საკითხი.

— რაც შეიძლება მოკლედ, გეთაყვა. თქვენ გვიან მოხვედით. მე კი მძიმე დღე მქონდა.

— დაკავებამდე მან მეორე ანონიმური წერილის გაგზავნა მოასწრო.

— ოჰ, გასაგებია. შინაარსი თქვენთვის ცნობილია?

— თუ მის სიტყვებს დავუჯერებთ, იგი არაფრით არ განსხვავდება პირველისაგან.

დუმილი იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ იენსენმა საუბარი დამთავრებულადაც კი ჩათვალა. როდესაც შეფი ისევ ალაპარაკდა, უკვე სულ სხვა ხმა ჰქონდა.

— მაშასადამე, უწინდელივით ახლაც შენობის აფეთქებით იმუქრება?

— როგორც ჩანს.

— ჰქონდა კი შესაძლებლობა შენობაში ასაფეთქებელი მასალა შეეტანა?

— საეჭვოა.

— შეგიძლიათ თქვენს თავზე აიღოთ, რომ სრულებით გამორიცხულია?

— რასაკვირველია, არ შემიძლია. და მაინც აბსოლუტურად წარმოუდგენლად მიმაჩნია.

ეტყობა შეფი ფიქრებმა შეიპყრო, მღელვარება მის ხმაშიც გამოსჭვიოდა. დუმილი ოცდაათ წამს გაგრძელდა. მერე საუბარი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

— ეჭვი არ მეპარება, რომ სულით ავადმყოფია. საერთოდ, ყოველივე ძეტად არასასიამოვნოა. თუმცა თუკი რაიმე ზომები უნდა იქნეს მიღებული, ხვალინდელ დღეზე ადრე ხომ ვერ მივიღებთ. მაშ ასე, ღამე ნებისა.

იენსენი ნელ-ნელა ბრუნდებოდა სახლში. საათმა შუაღამისა დარეკა, არადა, ქალაქამდე ჯერ კიდევ თხუთმეტი კილომეტრი იყო დარჩენილი. გზაში დიდმა შავმა მანქანამ გაუსწრო.

თუმცა იენსენს დარწმუნებით არ შეეძლო ეთქვა, მაგრამ ეს მანქანა საოცრად წააგავდა შეფის მანქანას. ორს წუთები აკლდა, როდესაც ის თავის სახლთან მივიდა.

დაიღალა, მოშივდა და რატომღაც სრულებით არ განიცდიდა იმ სასიამოვნო გრძნობას, რომელიც დამთავრებული საქმის შემდეგ ძუდამ ეუფლებოდა.

სიბნელეში გაიხადა, სამზარეულოში გავიდა. ას ორმოცდაათი გრამი დაისხა ჭიქაში და სულმოუთქმელად გადაკრა. მერე პირდაპირ შიშველი მივიდა ონკანთან, ჭიქას წყალი გამოავლო, ოთახში დაბრუნდა და დაწვა.

თითქმის მაშინვე ჩაეძინა. ერთადერთი, რამაც ჩაძინებისას თავში გაუელვა, მარტოობისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა იყო.

27

იენსენმა თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე გამოფხიზლდა. რაღაცამ გააღვიძა, ოღონდ არ იცოდა, რამ. საეჭვოა, რაიმე გარეშე ხმა, ტელეფონის ზარი ან ყვირილი ყოფილიყო. როგორც ჩანს, მშვიდი ძილი დაუფრთხო ფიქრმა, მაგნიუმის გაელვებასავით მწვავემა და თვალისმომჭრელმა. მაგრამ როგორც კი თვალი გაახილა, ფიქრი გაქრა.

ცოტა ხანს იწვა და ჭერს აჰყურებდა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ადგა და სამზარეულოში გავიდა. ელექტროსაათი აჩვენებდა, რომ შვიდს ხუთი წუთი აკლდა და ორშაბათი იყო.

იენსენმა მაცივრიდან ერთი ბოთლი მინერალური წყალი გამოიღო, ჭიქა გაავსო და ჭიქიანად ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრის ზღვარ ულიმღამო და უსიცოცხლო ადგილი მოჩანდა. იენსენმა წყალი დალია და დასაბანად წავიდა. პიჟამა გაიხადა და აბაზანაში ჩავიდა. წყლის გაგრილებამდე თბილ წყალში იწვა, მერე ადგა, შხაპი გადაიღო, კანი ოდნავ დაიზილა და ჩაიცვა.

დილის გაზეთების კითხვა არ დაუწყია, მაგრამ თაფლიანი წყალი დალია და სამი ორცხობილა შეჭამა. ორცხობილამ არ უშველა — უფრო მწვავედ შეიგრძნო აუტანელი შიმშილი.

მანქანა ნელა მიჰყავდა და მაინც ხიდთან კინალამ წითელ შუქზე გაიარა. მკვეთრად დაამუხრუჭა. უკან ერთბაშად აყვირდნენ მანქანები.

ზუსტად ცხრის ნახევარზე იენსენმა თავისი კაბინეტის კარი გაიღო, ორი წუთის შემდეგ კი ტელეფონიც აწკრიალდა.

— ესაუბრეთ შეფს?

— მხოლოდ ტელეფონით. მასთან არ უშვებენ. ლოგინში წევს.

— ვითომ რატომ? ავადაა?

— მაჩვმა შეაშინა.

უფროსმა პასუხი დააყოვნა და იენსენს, როგორც ყოველთვის, მისი წყვეტილი სუნთქვა ესმოდა.

— ვფიქრობ, დიდი არაფერი მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, დღეს დილით შეფი გამომცემელთან ერთად რომელიღაც საზღვარგარეთულ კონგრესზე გაფრინდა.

— მერედა რა?

— ამიტომ არ დამირეკია. იმისთვის უფრო დავრეკე, რომ შეგატყობინოთ: თქვენს მღელვარებას ბოლო მოეღო. ძიების მასალები გაფორმებული გაქვთ?

იენსენმა ოქმები გადაფურცლა.

— დიახ.

ამ საქმეს პროკურორმა სასწრაფოდ მოჰკიდა ხელი. მისი გამოგზავნილი ხალხი დაახლოებით ათ წუთში მოვა, რათა დაპატიმრებული წინასწარი პატიმრობის სახლში გადაიყვანონ. დაკითხვის ოქმებსა და მოხსენებით ბარათებს მას გამოატანთ.

— გასაგებია.

— ჰოდა, კარგი. აბა, ნახვამდის, იენსენ.

პროკურატურიდან ზუსტად დანიშნულ დროს მოვიდნენ. იენსენი ფანჯარასთან იდგა და ხედავდა, როგორ გამოიყვანეს პატიმარი. მას ისევ ის ხავერდის ქუდი ეხურა და ნაცრისფერი პალტო ეცვა. ძალზე თავისუფლად ეჭირა თავი. მანქანისაკენ მიმავალი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა დაცემენტებულ ეზოს. მაგრამ ეზოში არაფერი არ იყო საინტერესო: მხოლოდ შლანგი, ორი ვედრო და ყვითელ კოტბინეზონში გამოწყობილი ორი პოლიციელი მოჩანდა.

ორივე მებადრაგე დიდი გულისყურით ეკიდებოდა საქმეს. მათ პატიმრისათვის ხელბორკილები არ დაუდვიათ და არც ხელები გაუკავებიათ. ეს იყო, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ მხარში და საძრაობას არ აძლევდნენ. იენსენმა ისიც შენიშნა, რომ ერთ-ერთ მათგანს ხელი ერთთავად ჯიბეში ედო. ახალბედა თუ იყო.

მანქანა რახანია წავიდა, იენსენი კი კვლავ ფანჯარასთან იდგა. მერე მაგიდას მიუჯდა, ბლოკნოტი ამოიღო და თავისი შენიშვნები გადაიკითხა. ზოგ ადგილს კარგა ხანს უკირკიტა, ზოგან წაკითხულს ხელახლა დაუბრუნდა.

როდესაც კედლის საათმა თერთმეტი მოკლე დარტყმით დრო შეახსენა, ბლოკნოტი გვერდზე გადადო და დაახლოებით ათი წუთი დაჰყურებდა. მერე ბლოკნოტი ყავისფერ კონვერტში ჩადო, დააწება,

მეორე მბარეს ნომერი დააწერა და მაგიდის ქვედა უჯრაში შეინახა.

ამის შემდეგ ბუფეტში წავიდა. გზად მიმავალი ხელქვეითებს ათგარიშმიუცემლად ესალმებოდა. სტანდარტული საუზმე შეუკვეთა, საესე ლანგარი მიიღო და წავიდა კუთხეში მდგარი მაგიდისაკენ, რომელიც მუდამ მის განკარგულებაში იყო. საუზმე შედგებოდა ქეხვის ფარშის სამი პატარა ნაჭრის, ხახვის ორი შემწვარი ბოლქვის, ხუთი ჩამქლეული კარტოფილისა და ხუკუჭა სალათის ფოთლისაგან. ზემოდან კერძს გადასხმული ჰქონდა რძის სქელი საწებელი. გარდა ამისა, საუზმეში შედიოდა ერთი ბოთლი პასტერიზებული მოუხდელი რძე, ოთხი ნაჭერი გამხმარი პური, ერთი ჭიქა შავი ყავა და სრიალა თაფლაკვერი, რომელსაც შაქრიან ქერქზე ჯემი ჰქონდა წასმული.

ნელ-ნელა ჭამდა, გულდაგულ ღეჭავდა და ისე უაზროდ იმზირებოდა, თითქოს ჭამის პროცესს მასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა.

საუზმეს რომ მორჩა, დიდხანს და გულდაგულ იჩიჩქნიდა კბილებს. შემდეგ ერთხანს წელში გამართული გაუნძრეველად იჯდა, ხელები მაგიდის კიდეზე ჩამოედო, თითქოს არსაით იყურებოდა. და გვერდში ვინც ჩაუვლიდა, მისი მზერის დაჭერას ვერ ახერხებდა.

ნახევარი საათის შემდეგ თავის კაბინეტში დაბრუნდა და მაგიდას მიუჯდა. გადაათვალიერა ჩვეულებრივი ცნობები — თვითმკელელობებზე, ლოთებზე; პატაკების გროვიდან ალალბედზე ერთი ამოიღო, შეეცადა ყურადღებით წაეკითხა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, გონება ეფანტებოდა და კონტროლს არ ემორჩილებოდა, არადა, ასეთი რამ იშვიათად ემართებოდა.

საუზმე ვეტად მძიმედ დააწვა კუჭზე.

იენსენმა გადადო პატაკი, დერეფანი გაიარა და საპირფარეშოს კარი გამოაღო.

კარი მიკეტა. გული აერია. კარისაკენ ზურგით იდგა და ფიქრობდა, რომ აქ ყოველ წუთს შეიძლებოდა ვინმე შემოსულიყო და მასთან ერთად კეფაში ტყვია დაეხალა. თუ შემოსულს კარგი რეფლექსი ექნება, თავს გამიხერეტს, სახით უნიტაზში ჩაეემხობი და სწორედ ასე დაგდებულს მიპოვნიანო.

როდესაც კუჭში სპაზმები შეუწყდა, ძველებურად გაუნათდა გონება.

იენსენმა დაიბანა, კეფა და ხელები ცივი წყლით დაისველა, დაივარცხნა, პიჯაკი გაიწმინდა და თავის კაბინეტში დაბრუნდა.

ის იყო, იენსენი მაგიდას მიუჯდა, და ტელეფონმაც დარეკა. ყურმილი აიღო და ძველი ჩვეულებისამებრ საათს დახედა: 13. 08.

— იენსენ!

— გისმენთ.

— როგორც თქვენ იწინასწარმეტყველეთ, იმათ ეს-ესაა წერილი მიიღეს.

— ჰო?

— პირველმა დირექტორმა დამირეკა. ის შეწუხებულია და ექვები სტანჯავს.

— რატომ?

— როგორც უკვე გაცნობეთ დილით, კონცერნის ორივე მეთაური — შეფიცა და გამომცემელიც — საზღვარგარეთ არიან. მაშასადამე, მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება, ხოლო, რამდენადაც ვიცი, ამის თაობაზე არავითარი მითითება არ მიუღია.

— რის თაობაზე?

— იმის თაობაზე, რა ზომები უნდა მიიღოს. როგორც ჩანს, წერილის შესახებ მისთვის არაფერი შეუტყობინებიათ. ეს ამბავი ბომბის აფეთქებას უდრიდა. ჩემი აზრით მან არც დამნაშავის დაპატიმრების ამბავი იცოდა.

— გასაგებია.

— რამდენჯერმე ჩამეკითხა, შეგიძლიათ თუ არა ასი პროცენტით მომცეთ გარანტია, რომ ბომბი არ არისო. ვუპასუხე, რომ რისკი, ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელოა-მეთქი. მაგრამ რაიმეს გარანტირება და ისიც ასი პროცენტით... აი, თქვენ შეგიძლიათ?

— არა.

— ასეა თუ ისე, გვთხოვს, ყოველი შემთხვევისათვის რამდენიმე კაცი გამოვუყოთ. ჩვენ უარს ვერ ვეტყვით ასეთ კანონიერ თხოვნაზე.

— გასაგებია.

პოლიციის უფროსმა ჩაახველა.

— იენსენ!

— გისმენთ.

— ნუ აიღებთ ამას თქვენს თავზე. ისედაც დატვირთული იყავით ამ კვირაში და თანაც დიდი მნიშვნელობის საქმე არცაა. ესეც არ იყოს...

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა.

— ესეც არ იყოს, დირექტორს მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანება არ გამოუთქვამს, რომ თქვენთან მეორედ შეხვედრის შესაძლებლობა ექნება. ნუ დავაზუსტებთ, რატომ.

— გისმენთ.

— იგივე ხალხი გააგზავნეთ. თქვენმა უშუალო თანაშემწემ ყველაფერი იცის. დაე, მან უხელმძღვანელოს საქმეს.

— გასაგებია.

— თუ თქვენ გსურთ, რასაკვირველია, შეგიძლიათ, ოპერაციას რადიოთი უხელმძღვანელოთ. ერთი სიტყვით, თქვენი შეხედულებისამებრ მოიქეცით.

— გასაგებია.

— ჩემს სიტყვებს ისე ნუ ამიღებთ, თითქოს თქვენს დეზავუირებას ვცდილობდე. ვფიქრობ, არ გჭირდებათ ამის ახსნა. მაგრამ, მეორე მხრივ, არა გვაქვს საფუძველი ხელი არ შევუწყოთ ადამიანს, თუკი ეს შესაძლებელია.

— გასაგებია.

იენსენმა პატრულის უფროსს ბრიანება მისცა და ადგილობრივი განგაშის სიგნალი ჩართო.

— ნუ გამოჩნდებით. ყურადღებას ნუ მიიპყრობთ.

— არის, კომისარო.

იენსენმა ყურმილი დადო და ქვედა სართულში ზარის ხმას დაუგდო ყური.

წუთისა და ოცდაათი წამის შემდეგ მანქანები ეზოდან გავიდნენ. საათი 13 საათსა და 12 წუთს უჩვენებდა.

იენსენი კიდევ ერთი წუთი იჯდა და ცდილობდა ყურადღება მიეკრიბა. მერე ადგა და სააპარატოში ჩავიდა. პულტთან მჯდომი პოლიციელი წამოხტა და მიესალმა. იენსენი მის ადგილზე დაჯდა.

— სად იმყოფებით?

— პროფკავშირების მოედნიდან ორი კვარტლის მოშორებით.

— როდესაც მოედანს გაივლით, სირენები გამოთიშეთ.

— გასაგებია.

იენსენის ხმა, როგორც ყოველთვის, ახლაც მშვიდად ეღერდა. საათს არ უყურებდა. დროის გაანგარიშება ბოლო წამამდე ისედაც სათელი იყო.

პატრულის უფროსი 13 საათსა და 26 წუთზე უნდა მივიდეს შენობასთან.

— გავიარეთ მოედანი. ვხედავ სახლს.

— არც ერთი ფორმიანი კაცი არ იყოს შენობაში და მის წინ.

— გასაგებია.

— პიკეტი ორად გაყავით და სახლიდან სამას მეტრზე დააყენეთ. გადაკეტეთ მისასვლელი გზა ორივე მხრიდან.

— გასაგებია.

— გაზარდეთ დისტანცია ავტომანქანებს შორის.

— გაკეთებულია.

— მიჰყევით გასული კვირის სქემას.

— გასაგებია.

— როგორც კი მდგომარეობას შეაფასებთ, მაშინვე მომახსენეთ.

ცოტა ხხით საუბარი შეწყდა. იენსენი პულტს ათვალიერებდა. შეხობა ქვეყანაში ყველაზე მაღალი სახლების რიცხვს განეკუთვნებოდა და თავისი მდგომარეობის წყალობით ქალაქის ნებისმიერი ადგილიდან ჩანდა. მუდამ თვალწინ ედგა ყველას, და საიდანაც არ უნდა ემგზავრა კაცს, სახლი მუდამ მისი გზის ბოლოში ჩანდა. სახლი ოცდათერთმეტსართულიანი იყო და კვადრატულ ფუნდამენტზე იდგა. ყოველ კედელზე ოთხას ორმოცდაათი ფანჯარა და წითელისრებიანი თეთრი საათი იყო, მოსაპირკეთებლად მოჭიქული ფილა გამოეყენებინათ, რომელიც საძირკველთან მუქი ლურჯი იყო, ხოლო ზემოთ თანდათან ღია ფერისა ხდებოდა. პატრულის უფროსმა საქარე მინიდან გაიხედა და ერთი შეხედვით მოეჩვენა, თითქოს სახლი უზარმაზარი სვეტივით მიწიდან ამოზიდულა და გაზაფხულის უღრუბლო, ცივ ცაში შეპრილაო. სახლი თანდათანობით იზრდებოდა და ჰორიზონტს ფარავდა.

— მიზანთან მივედით. დავამთავრე.

— მეც.

კომისარმა იენსენმა საათს დახედა: 13. 27.

რადისტმა პატარა ბერკეტი გადაატრიალა.

იენსენი არ განძრეულა და საათისათვის თვალი არ მოუცილებია.

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. იენსენს დაძაბული და ჩაფიქრებული სახე გაუხდა, გუგები დაუპატარავდა, და თვალების ირგვლივ ხაოები აუთამაშდა. რადისტმა გამომცდელად შეხედა უფროსს.

13.34... 13.35... 13.36... 13.37...

ხმის გამაძლიერებელში რაღაც ატკაცუნდა.

— კომისარო!

— დიახ.

— მე ვნახე წერილი. ნათელია. რომ ის იმავე ადამიანის მიერაა დაწერილი. ასოები ისეთივეა, ყველაფერი ისეთივეა. მხოლოდ ქალალდია სხვა.

— განაგრძეთ.

— ის, ვისაც ველაპარაკე, აი, გამომცემლობის დირექტორი. ხალიან ღელავს. როგორც ჩანს, შიშისაგან კანკალებს, შეფის არყოფნისას რაიმე არ მოხდეს.

— მერე?

— ზუსტად ისევე ხდება შენობის ევაკუაცია. როგორც მაწინ. ოთხი ათასი კაცი უნდა გამოვიდეს. ევაკუაცია უკვე დაიწყო.

— ახლა სად იმყოფებით?

— მთავარი შესასვლელის წინ. აი, ხალხიც გამოჩნდა.

— მეხანძრეები სად არიან?

— გამოვიძახეთ. ერთი მანქანა, ვფიქრობ, საკმარისია. გთხოვთ მაპატიოთ... ქუჩა უნდა გადავკეტო. შემდეგ მოგახსენებთ.

იენსენს ესმოდა, როგორ აძლევდა ბრძანებას პატრულის უფროსი. მერე ყველაფერი მიჩუმდა.

13.46. იენსენი იმავე პოზაში იჯდა. არც სახის გამომეტყველება შეცვლია.

რადისტმა მხრები აიჩეჩა, დამთქნარება უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა.

13.52. ხმის გამაძლიერებელში ისევ ტკაცანი გაისმა.

— კომისარო?

— დიახ.

— ხალხი შემცირდა. ამჯერად უფრო სწრაფად გაართვეს! თავი. როგორც ჩანს. უკანასკნელები გამოდიან.

— ძომახსენეთ მდგომარეობა!

— ყველაფერი რიგზეა. გზები მთლიანად გადაკეტილია. ვამბობ. რომ თბოცენტრალი გასკდა. სახანძრო მანქანა უკვე აღგილზეა. ყველაფერი კარგადაა.

თავის თავში დარწმუნებული და აუღელვებელი ჩანდა. თავისუფლად ლაპარაკობდა და მისი ხმა დამამშვიდებლად მოქმედებდა.

— ღმერთო ჩემო, რამდენი ხალხია! ყველა გამოვიდა.

იენსენი წამმზომს აკვირდებოდა. ერთი, მეორე, მესამე წრე. 13 55.

რადისტმა დაამთქნარა.

— კარგია, წვიმა რომ მაინც არაა, — თქვა პატრულის უფროსმა.
— თავი შეიკავეთ...
უეცრად იენსენი შეკრთა და თავის ადგილიდან წამოიწია.
— ყველა გამოვიდა შენობიდან? ახლავე მიპასუხეთ!
— რასაკვირველია, ყველა, გარდა პატარა, განსაკუთრებული განყოფილების თანამშრომლებისა. ისინი ისედაც სამშვიდობოში არიან, თანაც ასე მცირე დროში ვერც მოხერხდებოდა მათი ევაკუირება...
კადრები გამალებული სისწრაფით სცვლიდა ერთიმეორეს, თითქოს მაგნიუმი აბრიალდაო, ყველაფერი დაწვრილებით დაინახა. და ბოლომდე აღარ მოუსმენია, სკამზე დაეშვა.
— ახლა სად იმყოფებით?
— მთავარ შესასვლელთან...
— დაუყოვნებლივ შედით ვესტიბიულში. დაუყოვნებლივ!
თვალწინ კვლავ იგივე კადრები აუციმციმდა. ახლა იენსენმა იცოდა, რა აზრმა გაუელვა დღეს დილით, როდესაც თვალი გაახილა.
— შესრულებულია.
— სასწრაფოდ მიდით ტელეფონთან დარაჯის ჯიხურში. აკრიფეთ ოცდამეთერთმეტე განყოფილების ნომერი. იქ არის ყველა ტელეფონის სია.
დუმილი გამეფდა. 13.56.
— ტელეფონი... ტელეფონი არ მუშაობს. ნომერი კი — აი ვიპოვე...
— ლიფტები?
— დენი ნთელ სახლში გამორთულია. ტელეფონიც და ყველაფერი...
— კიბით რომ ჩამოვიდნენ, რამდენი ხანი დასჭირდებათ?
— არ ვიცი. ათი წუთი... არ ვიცი...
— თქვენი ხალხი თუ არის შენობაში?
— ორნი, მგრამ მეხუთე სართულს ზემოთ არ იქნებიან.
— გამოიძახეთ. ხურაფერს მიპასუხებთ. დრო არა მაქვს.
13.57...
— ისინი ჩამოდიან.
— სად დგას სახანძრო მანქანა?
— შესასვლელის წინ. ჩემი ხალხი უკვე ჩამოვიდა.
— სახანძრო მანქანა შენობის გვერდითა ფრთის უკან გავიდეს.
— შესრულებულია.

13.58.

— იხრუნეთ საკუთარი თავის გადასარჩენად. დაუყოვნებლივ ფრთის უკან. სირბილით!

მოისმა მძიმე ნაბიჯების ხმა, ქოშინი.

— შენობაში არავინაა?

— დიახ... იმათ გარდა... ოცდამეთერთმეტედან...

— ვიცი. კუთხეში კედელს გაეკარით, თავი უნდა დაიფაროთ ჩამოვარდნილი საგნებისაგან. გააღეთ პირი. მოადუნეთ კუნთები. ყურადღებით იყავით, რომ ენა არ წაიკვნიტოთ. მე დავამთავრე.

13 59

იენსენმა ისევ გადაატრიალა პატარა ბერკეტი.

— ბიეცით საერთო განგაშის სიგნალი, — უთხრა მან რადისტს. — არ დაგვიწყდეთ ვერტმფრენის სამსახური. რაც შეიძლება სწრაფად.

იენსენი ადგა და თავის კაბინეტში დაბრუნდა. მაგიდას მიუჯდა და დაიწყო ლოდინი. ელოდა მშვიდად, გულში კი ფიქრობდა, აფეთქების ხმა ვის კაბინეტში თუ შეაღწევდა.

36. საზღვარგარეული ოიტიჭტიეი

პროლოგი

— იჩქარე, — მომაძახა არტემისამ.

რა ძნელია უბრალო მონადირის დანით გაქვავებული მარილის ჩამოტეხვა! თითქოს ფრჩხილებქვეშ გახურებულ შანთებს გიყრიანო. და, თუმცა ცივი ღამეა, ოფლი წურწურით ჩამოგდის სახეზე. არტემისას ტომარა უკვე თითქმის სავსეა, მე კი ნახევარზე მეტი დამრჩენია.

საბედნიეროდ, მთვარე ჯერ არ ამოსულა. ზღვა ოდნავ ლაპლაპებს სიბნელეში. მართალია, მესმის მისი ხმა, მესმის ნელი, მძიმე სუნთქვა; ტალღა ნაპირს ეხეთქება, მერე თითქოს უსასრულო დუმილი ჩამოწვება და ამ დუმილში მხოლოდ ჩემი ხრინწიანი სუნთქვა ისმის. მიგორავს მომდევნო ტალღა და კვლავ სრული სიჩუმეა — მიგორავს ქვეკვით პლაჟზე, რათა კვლავ თავს დაატყდეს ნაპირს.

— კიდევ ბევრი დაგრჩა?

— დაახლოებით ნახევარი, — ვუპასუხებ მე.

სიბნელეში ძლივს მოჩანს არტემისას სილუეტი, ამხელა გზაზე ოფლში გახვითქულა და ვგრძნობ მის ოფლის სუნს, რეზინის ლანჩების, ჩექმების სველი ტყავისა და ქამრის მძაფრ სუნს. ქამარზე ჩამოკიდებული აქვს ნახევარავტომატი. მე არავითარი სუნი არ ამდის. შესაძლოა ქალაქის, ახალბედის სუნი დამკრავს, ანდა, იქნებ, იატაკქვეშელის, რომელიც მხოლოდ ახლახან შეუერთდა რაზმს. თუმცა, კმარა, მოვა დრო და მეც ამივა არტემისასთანა სუნი. რასაკვირველია, თუ ცოცხალი დავრჩი.

— მოდი, დაგეხმარები.

ზვირთცემათა შორის პაუზებისას ერთმანეთს ვეჩურჩულებით.

მისი ხიშტი ერთიმეორის მიყოლებით იწყებს გამქვირვალე ნატეხების ჩამოჩეხვას, და ვგრძნობ, როგორ იყრება მარილი ჩემს ტომარაში. შუბლიდან ჩამონადენმა ოფლის წვეთებმა თვალები რომ არ დამიბრმაოს, თავს ვაქნევ.

დიახ, არც ისე ადვილია ამ მწარე ალბასების ჩამომტვრევა; ბუნებრივი შხეფსაცივარი არც ისე იოლად თმობს ომას, რაც მზემ ზღვისგან აიღო; წერაქვით უნდა ჩამოგვეჩეხა ეს ნატეხები. მაგრამ არა გვაქვს წერაქვები. მხოლოდ ჩემი მონადირის დანა და არტემისას ხიშტი გვაქვს.

— ცოტაც და წავალთ, — მეუბნება იგი.

შვებით ამოვისუნთქე. უკვე ნახევარი საათია, რაც ამ პლაჟის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ვიმყოფებით, ბორცვიდან დაახლოებით სამასი მეტრის მანძილზე და, შესაძლოა, უფრო მოშორებითაც. რა ადვილი სამიზნე ვიქნებით, აქ რომ პატრულმა შეგვისწროს! სიბნელე კიდევ შეგვეშველებოდა ცოტას, მაგრამ მათ ხომ შეუძლიათ, უბრალოდ, ესროლონ რაღაც ბუნდოვან ჩრდილებს და დაგვცხრილონ.

— თავი მოუკარი ტომარას.

პატრონტაშში მაქვს თოკის ნაწყვეტი, რომელსაც ხელის ფათურით ვპოულობ თოფის ზუმბის ჯაგრისის გვერდით. ჩემი ჯუთის ტომრის ყელში ფართო ნახვრეტებია. ხელის ცეცებით ვუყრი თოკს და ზურგზე ტომრის მოგდებისას მოპოვებული ნატეხები რომ არ გადმოცვივდეს. მაგრად ვუჭერ ბოლოებს.

ბანაკიდან მლაშობამდე ორი საათის სავალია, მაგრამ ეს უტვირთოდ. ახლა კი ორი ტომრით — თითოეულში ასამდე ლიბრა ქვამარილია—ბორცვზე ასასვლელად და ბანაკში დასაბრუნებლად, სულ ცოტა, სამ საათ-ნახევარი მაინც დაგვჭირდება.

— მორჩი? — მეკითხება არტემისა.

— მოვრჩი.

იგი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე წამოდგა თავის ტომრიანად. ახლა იგი ჰგავს მწყემსის ქანდაკებას, რომელსაც მხრებზე მოგდებული ცხვარი მიჰყავს, — სადღაც მინახავს ასეთი. ვძაბავ კუნთებს, ვხვნეში, დაბოლოს, ძლივძლივობით ვიგდებ ზურგზე ტომარას.

— წავედით.

ღრმად ვიჭრებით ბორცვებში და მეჩვენება, რომ ტომარა თანდათანობით მძიმდება. შიშმა გამიარა. მთლიანად კი არა, მხოლოდ ნაწილობრივ. იქნებ დამეუფლა რაღაც უცნაური თვითდაჯერებულობა, რომელსაც პარტიზანი ხშირ ტყეში გრძნობს ხოლმე. ძველ ვეტერანებს არაერთხელ უამბიათ ამის თაობაზე. არტემისას არ უამბია. საერთოდ, სიტყვაძუნწია. უკვე ერთი წელია, რაც არტემისა აჯანყე-

ბულთა არმიაშია, დიახ, თითქმის წელია. მე ერთი თვეც არ შემსრულებია.

ვიწყებთ ბორცვზე აბობღებას — ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაზე ციცაბო და მაღალი, უბრალოდ, პირველია და „ლაშაზი სიკვდილი" შეარქვეს. მისი ფერდობი ქვებითაა მოფენილი, ამ ქვებს „საფეხურებს" ეძახიან.

არტემისა მიდის წინ, თავისი ტანით თითქოს გზას კვალავსო მთებს შორის, სიბნელეში. ვცდილობ, არ ჩამოვრჩე, უკან მიეჩანჩალებ.

— ვინ წავა? — კითხულობს პური მენდოსა.

— რიკარდო და არტემისა, — უპასუხებს კაპიტანი კიკე სანჩესი.

სიბნელეში ვიღაცის ხელები ცარიელ ჯუთის ტომარას მაწვდის.

ბანაკიდან ნახევარი საათის სავალზე, ბორცვებს შორის მდებარე ხევში ათი კაცი ვართ განლაგებული.

— ვიანგარიშოთ, — ამბობს კაპიტანი სანჩესი. — პლაჟამდე ორი საათის გზაა. ერთი საათი დასჭირდება მარილის შეგროვებას, ორიც — დაბრუნებას. სულ ხუთი საათი. ახლა ათი საათია; დილის ოთხი საათისათვის, ალბათ, დაბრუნდებით.

— საგუშაგოები არის? — ვეკითხები მას.

— აი, ამას სწორედ იქ გაიგებთ, — მიპასუხებს კაპიტანი: — ხოლო, როცა დაბრუნდებით, ჩვენც მოგვიყვებით.

არტემისა დგება; მე ვერ ვხედავ მას, ის უნდა იყოს, სილუეტი რომ მიახლოვდება. მხარზე ხელს მარტყამს და მეუბნება: „აბა, წავიდეთ, მეგობარო!"

ღამის პირველი საათი ან დაახლოებით ეს დროა. ლა-პლატაში ჩავედი და სამი დღის შემდეგ საათი გამიტყდა. სასაცილოცაა და სავალალოც — ორმოცდაათი წყვილი მიმაქვს და ჩემი ტყდება. აპრილის გაფიცვების შემდეგ გზებზე ხალხს ჩხრეკდნენ და ორიენტირებდე სხვაგვარად მიღწევა შეუძლებელი იყო. ამ პროვინციაში ჩვენ მოხუცლავასტიდოს პატარა საბარგო მანქანით ჩავედით: ქსოვილები, საკვები მიგვქონდა. მართლაც, არავის გავუჩერებივართ.

ტომარა ახლა უკვე ას ლიბრას იწონის; არა, უფრო მეტს, იმიტომ რომ ზურგი მტკივა და არტემისასავით სწრაფი სიარული არ შემიძ-

ლია. ოფლი წურწურით ჩამოსდის ტახტზე და საშინლად მწყურია. მაგრამ წყურვილი — ეს შიში როდია.

— მოდი, აქ შევისვენოთ. მეგობარო, — მეუბნება არტემისი.

ის აზრი მამშვიდებს, რომ ისიც დაიღალა. ტომარას ძირს აგდებს. მიწაზე ჯდება და ზურგით ხეს ეყრდნობა. მეც დავაგდე ჩემი ტომარა და ოთხით მასთან მივბობღდი.

— სომ არ მოგვეწია.

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, — ბიპასუხებს ის. — ოგრე იყოს, მოვწიოთ...

იმდენი კისოფილები მინახავს, სადაც სნაიპერები, ღამის წყვდიადში სიგარის სინათლეზე დამიზნებით ჯარისკაცებს შიგ გულში არტყამენ ტყვიას, რომ უნებურად შეეყოყმანდი.

— ფიქრობ, შეიძლება?

— აქ მარტო ხუტიებია,[1] — დამცინის ის. — გვარდიელები ლატისერას უღელტეხილს ზემოთ არ ადიან, ჩვენ კი უკვე ოცი წუთი იქნება, რაც ის უკან მოვიტოვეთ.

იგი უკიდებს სიგარეტს: სინათლეზე გამოჩნდა წვეტიანი ცხვირი, გამოწეული ღაწვები, ხუპუპა ყოლი წვერი. ორ-სამ ღრმა ნაფაზს არტყამს და სიგარეტს მაწვდის. ბოლი ყელს მწვავს — ესაა „პექტორალი". ამიტყდა სველება, ის არ დამცინის, სიგარეტს ვუბრუნებ. დიახ, უნდა მივეჩვიო შაგრენს, „ქემელი" ანდა „ლაკი სტრაიკი" აქ, მთებში, დაუშვებელი ფუფუნებაა.

— ჰავანიდან ხარ? — მეკითხება უცებ.

— ჰო. შენ კი პინარ-დელ-რიოდან?

— რასაკვირველია. ოლონდ არა არტემისიდან. მე დაბა ხუთი პესოდან ვარ, ის რუკაზეც კი არ არის აღნიშნული. შენ რა, გამოგიჭირეს?

— მერე როგორ! ამ გაფიცვის ხელმძღვანელობა მე დამავალეს.

— ჰო, ბატისტას მარტო გაფიცვით დამხობა ძნელია,—მეუბნება ის.

— მაგრამ, აკი მაჩადო ერთხელ უკვე გადმოაყირავეს, — შევეპასუხე.

— მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო.

— ეს რატომ?

— ახლა სხვა დროა.

---

[1] ხუტია — ბატარა მღრღნელი,–რომელიც კუბაში ბინადრობს.

— არა, დრო იგივეა.

— მაგას ნუ ფიქრობ, მეგობარო.

ჩამოსვლა ასვლაზე იოლია. მართალია, ყოველთვის არა: ციცაბო კლდე დაბლა გაგორებს, გექაჩება, ქვემოთ გიბიძგებს. ხეების ტანსა და ტოტებს ჩაბღაუჭებულმა უნდა იფორთხო, მაგრად უნდა ჩაარჭო მიწაში ჩექმის ქუსლი.

ზღვა ჯერ არ ჩანს. არტემისა დაახლოებით ხუთი-ექვსი მეტრით წინ მიდის. როგორც ჩანს, მისთვის იოლია კლდის ფერდობზე ჩაცოცება, მოკლე ნახტომებით მიიწევს წინ, მას კი არა, მხოლოდ მის აჩრდილს ვხედავ, რომელიც დაბლა ჩუმად მისრიალებს.

ნეტა მლაშობთან თუ დააყენეს გუშაგი?

არტემისა მიწაზე აქრობს ნამწვავს, ირგვლივ სიჩუმე სუფევს, მხოლოდ მთების ბუნდოვანი ჩქამი ჰკვეთს უკუნეთს.

— როგორაა საქმე იქ, ჰავანაში? — უცებ მეკითხება.

— სამხედრო მდგომარეობაა, — ვუპასუხებ მე.

— ეს კი გასაგებია, მაგრამ სხვა რამეზე გეკითხები... რას ლაპარაკობენ იქ ჩვენზე?

ჩემი აზრით, ამ „ჩვენში" მე არ მგულისხმობს: მე ვიყავი — და თითქმის აქამდე ვრჩები ქალაქში მებრძოლ კაცად. მას კი მხოლოდ სიერა-მაესტრას ვეტერანები ჰყავს მხედველობაში.

— იმათზე ამბობ, ვინც სიერაშია? — თუმცა წინასწარ ვიცი პასუხი, მაინც ვეკითხები.

— ჰო.

— ამბობენ, მთელ იმედებს მათზე ვამყარებთო.

მესმის, როგორ იფხანს წვერს, თითქოს ვიღაც ფრჩხილებით ფხოჭნის შამბნარს.

— მეც სწორედ ასე ვფიქრობ, — ამბობს ბოლოს.

არ ვიცი, რას წამოვდე ფეხი, ალბათ, რომელიღაც ფესვს, მაგრამ დაბლა მივგორავ და სწორედ არტემისა ჩნდება ჩემსა და ხრამს შორის. შემდეგ მეხმარება წამოდგომაში.

— მეგობარო, უფრო მაგრად ჩაეჭიდე.

— ვცდილობ.

აი, უკვე ჩავეჭიდე, მხარზე ავტომატი შევისწორე და კელავ დავუყევი ფერდობს.

— ოჯახი თუ გყავს? — მეკითხება ის.
— ცოლი, ბავშვები?
— ჰო.
— არა, — ვუპასუხებ მე. — შენა?
— მე მყავს. ორი ლეკვი. გუანაჰაში არიან ბაბუებთან.
— რა საქმიანობას ეწეოდი?
დიდხანს არ მპასუხობს.
— სამუშაოს ვეძებდი. შენა?
ვდუმვარ.
— ერთი საათიც და ბანაკში ვიქნებით.
— ჰოდა, მადლობა ღმერთს, — ვუთხარი, — ეშმაკმა უწყის, რამდენს იწონის ეს ტომარა.
— აი, პლაჟიც, — ჩურჩულებს არტემისა.
ნელა მივიწევ მისკენ და ბალახებს შორის ვყოფ თავს. უკანასკნელი მეტრები ქვიშიან ზოლამდე ფორთხვით გავიარეთ.
— არაფერი არ ჩანს, — ვეუბნები.
— იმიტომ, რომ არაფერი არ არის.
— არც საგუშაგოა?
— თუ ჩვენი წასვლისას სროლა ატეხეს, მაშასადამე ყოფილა. აბა, წავედით, მეგობარო.

ფეხზე წამოდგა და გაჭირვებით მოიგდო მხარზე ტომარა. მეც ასევე ვიქცევი. ტომარა თითქოს უკვე ას ლიბრას კი არა, ხუთასს იწონის.

— ყველაფერი ეს მალე დამთავრდება, მეგობარო, — მეუბნება უცებ.
— რა?
— ყოველივე ეს. ომი. ბატისტა დიდხანს ვერ გაძლებს.
— შეიძლება.
— თქმა არ უნდა.
ახლა ჩვენ, სიმძიმისაგან სულშეგუბებულებმა, შეღმართი უნდა ავიაროთ.
მაშინ არც მე და არც იმან ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდით, მაგრამ ერთ რამეში არტემისა მართალი გამოდგა—ექვსი თვის შემდეგ ბატის-

ტა თვითმფრინავით გაიქცა კუნძულიდან, რომლის უზარმაზარ სასაფლაოდ გადაქცევაც სურდა.

მაგრამ მეორეში არტემისა შეცდა — ომი ბოლოდ ახლა იწყებოდა.

ნაწილი I

დღეები

...ჩადენილი გმირობისათვის...

სამშაბათი

მან დახედა თავის „სეიკო-5"-ს. საღამოს 20 საათი და 28 წუთია. 1968 წლის 6 ოქტომბერი, სამშაბათი. რასაკვირველია, ზუსტად 22 საათსა და 30 წუთზე ის ეთერში გავა პირობითი საძახებლით „ბ რ ო", 37 მეტრ ტალღაზე — ეს ტალღა შეეფარდება ამ დღის გადაცემის გრაფიკს. მისი გადამცემი — ტრანზისტორი რტ-48 ა უკვე გახსნილია. ღამის მაგიდაზე წინ უდევს პასუხი ვალტერისათვის.

უკიდებს სიგარეტს. კიდევ წუთი და მისი გადამცემი ათას სამას მეცხრეჯერ ამუშავდება. ფეხებს ჭიმავს და უცებ ახსენდება, რომ შუადღის შემდეგ პირში ხემსი არ ჩაუდევს.

20 საათი და 29 წუთი — კლავიშზე თითს დებს.

ოცდაათი წამი... ოცი... ათი...

20 საათი და 30 წუთია.

და, აი, ის უკვე მაღალსიხშირიანი სიგნალების რიგად აქცევს ციფრებს: 4756... 9786... 2534...

დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ უკელაფერი დამთავრდა. ცოტა შეიცადა. შემდეგ გამოთიშა გადამცემი და ღამის მაგიდაზე დადებულ ტყავის ჩემოდანში ჩადო. აიღო სიგარეტები და სანთებელა, გადასწია მაგნიტური ურდული, რომლითაც, ძირითადის გარდა, ყოველი შემთხვევისათვის, კარს კეტდა და ოთახიდან გავიდა.

როგორც ყოველთვის, ბინის ქირა წინასწარ ჰქონდა გადახდილი. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ცნობებს ვალტერს უგზავნიდა მაიამბიჩის ოომელიმე ოტელიდან ან მოტელიდან და კარგადაც გაიწფა.

ამისი „ფორდ-ტორინო“ იდგა მოხიბლული პარკინგის ბოლოში, რომელიც მოტელს ეკუთვნოდა. ძრავა ჩართო და მანქანა მსუბუქად გაიყვანა გზატკეცილზე. იგი ცხოვრობდა სამხრეთ-დასავლეთით, 27 ავენიუსა და ნომერ 8 ქუჩის კუთხეში მდებარე დიდ სახლში.

ნახევარი საათის შემდეგ მანქანას ბინიდან ორი კვარტლის მოცილებით, მეთორმეტე ქუჩის გარაჟში აყენებდა.

საინტერესო არაფერია. სტიუარტ დიუკმა თვალი გადაავლო თუ არა ქაღალდს, რომელიც ჰარი ტერცმა გადასცა, მაშინვე მიხვდა ამას.

შავი დღე ადგა. საქმე მოხუცის პროფესიული სიამაყე როდი გახლდათ. მოჩვენებითი ყურადღებით კითხულობდა პატაკის ბოლო აბზაცს, თან შეთხელებულ თმაზე ხელს ისვამდა. კაბინეტში იდგა საამარისებური სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ჰაერის საკონდიციო აპარატის ოდნავი ხმაური არღვევდა.

ბოლოს თავი ასწია და მზერა მიაპყრო ჰარის ხშირწვერიან სახეს, რომელსაც ნახევარმთვარის ფორმის მოზრდილი ნაიარევი აჩნდა, ხოლო დაღლილ, ბებრულ თვალებში კი გაუბედაობა გამოსჭვიოდა.

— კარგი, — უთხრა დიუკმა. — ძალიან კარგი.

— მართლა? — მტანჯველი შეშფოთებით შეეკითხა ჰარი.

— მართლა, — წაიბუტბუტა დიუკმა და თან საქაღალდე დახურა. ძალზე სასარგებლოა.

ავტოკალამს თავი მოხსნა და ბლოკნოტში ჩაიხიშნა გვარი და მისამართი: რონალდ ჰეიეარდი, 1345, ნიკოლას-ავენიუ, ეესტ საიდი, მანჰეტენი. ფურცელი ამოხია და ალუმინო-მინის მაგიდის ზემოდან ჰარის გაუწოდა.

— გიმუშავნია ოდესმე ჰეიეარდისათვის?

— ორჯერ, — უპასუხა ჰარიმ და თან ფურცელს დასცქეროდა. — დიდი ხანია მას შემდეგ.

— წადი მასთან. იქნებ რაიმე გამოგინახოს.

— გმადლობთ, დიუკ. დიდად გმადლობთ.

ნაფერები ძალლივით მადლიერმა ჰარიმ რამდენჯერმე დაუკრა თავი და წამოდგა. სხვამ თუ არა, მან ხომ იცოდა, რომ სტიუარტ დიუკისთანა ხალხისათვის დრო ოქროა.

— არაფერს, — არც შეუხედავს, ისე მიუგდო სიტყვა. — თუ რაიმე გამოჩნდა, მაშინვე დაგირეკავ.

— გმადლობთ, დიუკ. — კვლავ გაუმეორა მოხუცმა.

— კარგი რა, — ნაღვლიანი ღიმილით უპასუხა სტიუარტმა. — აღარ დაგაყოვნებ. ისე, თვითონ იცი, სად მიიღო, შენ ხომ ვეტერანი ხარ.

— დეტც ბილდინგი ლეგსინგტონ-ავენიუზე, მეოთხე სართული?— დააზუსტა ჰარიმ. უნდოდა, ხმაში ჭკვიანური ცბიერება დატყობოდა, მაგრამ მხოლოდ საცოდავი პაროდია გამოუვიდა.

— სწორედ იქ. — დაუდასტურა დიუკმა. — დღესვე გავაფრთხილებ, ჩეკი მოგიმზადონ. როგორც ყოველთვის ასეთი სამუშაოსათვის — ოთხი ორმოცდაათ-ორმოცდაათიანი.

— ოთხი, — თავის მხრივ გაიღიმა ჰარიმ.

მან ნელა დაიხია კარისაკენ. იქიდან კვლავ დაუკრა თავი დიუკს, მაგრამ ის ჭერში რომელიღაც წერტილს მიშტერებოდა და მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ჰარი უჩუმრად გავიდა კაბინეტიდან.

მარტოდ დარჩენილმა დიუკმა ნაღვლიანად ამოიოხრა: ადამიანის დაცემა —ნაკლებ ჭკუის სასწავლებელი სანახაობაა.

ჯერ კიდევ თხუთმეტი-ოცი წლის წინ ჰარი ტერცს ვერავინ შეცვლიდა. დიუკმა კარგად იცოდა მისი ნამსახურობის ნუსხა, აკი ორმოციანი წლების ბოლოს ერთად მუშაობდნენ ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელ კომიტეტში: ის გამომძიებელი იყო მაკარტისთან, ჰარი კი — დაქირავებული მოწმე. ვისაც „ცივი ომის“ მღელვარე წლები არ გადაუტანია, უცნაურად ეჩვენება ვისიმე მოწმედ „მუშაობა“. მაგრამ ის პერიოდი ხომ წინაალმდეგობებით იყო სავსე. 1950 წელს ჰარიმ თანამშრომლობა დაიწყო ახლად შექმნილ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, რომლის მთავარ შტაბშიც ერთი წლის შემდეგ დიუკი შევიდა. იმხანად ის ნიუ-იორკში იმყოფებოდა. მაგრამ ჰარი, „ტექნიკურად“ რომ ვთქვათ, არასდროს მიეკუთვნებოდა იმ 16500 წევრს, რომლებიც ოფიციალურად იყვნენ რეგისტრირებულნი ცსს-ს თანამშრომლებად, ის გამუდმებით იმყოფებოდა იმ პატარა რაზმში, რომელიც არსად არ იყო რეგისტრირებული და რომლითაც სამმართველო სარგებლობდა იმ შემთხვევაში, როცა სურდა გამოეჩხრიკა არასასურველთა პირადი ცხოვრება. ბედმა შავბნელი ხვედრი არგუნა წილად: გამხდარიყო ქვეყნად კაცობრიობის ყველაზე საძულველი ჯგუფის — დამსმენთა კასტის წევრი. მაგრამ დიუკს ეჩვენებოდა. რომ ჰარის უფერულ, საზიზღარ სულს სწორედ ეს სამუშაო შეეფერებოდა; შესაძლოა სამმართველოს ლურჯ პირადობის მოწმობას მეტისმეტად დაემძიმებია მისი ჯიბე.

დიუკი ზევით მიიწევდა ცსს-ს ადმინისტრაციულ შკალაზე, ხოლო ჰარი კელავ მიჯაჭვული რჩებოდა უმადურ, მოსაწყენ სამუშაოზე. თავიდან ნიუ-იორკის მთავარმა შტაბმა დიუკი გაგზავნა საიდუმლო კოოპერაციების ადგილობრივ განყოფილებაში. მოგვიანებით, იმავე განყოფილების ჩარჩოებში, გადავიდა იმ ჯგუფში, რომელიც დასაქმებული იყო ზანგთა პრობლემებით (1957 წელს, როდესაც ლიტლ-როკისა და სხვა ამდაგვარი ამბები მოხდა). 1961 წელს პლაია ხირონის შემდეგ ის გადაიყვანეს განყოფილებაში, რომელიც კონტროლს უწევდა ანტიკასტროული ჯგუფების მოქმედებას ნიუ-იორკში. მაგრამ სადაც უნდა ყოფილიყო, დიუკი მუდამ უწვდიდა ხელს ჰარის. ასე იყო მაშინაც, როდესაც „ცივი ომის" შემთხვევითობათა გამო, „დამხშარე პერსონალის" ეს სახე უსაქმოდ აღმოჩნდა. მაგრამ ჰარი ხომ ვეტერანი და დიუკის თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია.

დიახ. სამმართველო შეიცვალა, თვით დიუკი კი სანტიმენტალური გახდა. ალბათ, ასეთივე სანტიმენტალური მოხუცი გახდა ჰარი ტერიც — წარსული დროის ლომი, რომელსაც ცხოვრებამ გაუცვითა კბილები და ქვანგები. მან ნაღვლიანად გაიფიქრა იმაზე, თუ რამდენად ცოტა მოწმენი დარჩნენ იმ მშვენიერი და ბარბაროსული ეპოქისა, როდესაც ცსს-ს დალესი ედგა სათავეში. ხოლო ჰუვერი კი განუყოფლად ბატონობდა გამოძიების ფედერალურ ბიუროში; და მათგან დარჩნენ ებრაელი ჰარი და სტიუარტ დიუკად წოდებული, სამოცდაბუთი წლის იდიოტი, რომელსაც ადრე თუ გვიან თავიდან მოიცილებენ. მათ შეცვლიან ახალი თაობები, რომლებიც მაკკოუნთან (და მის მაგნიტურ ვიდეოჩამწერთან) ერთად მოვიდნენ. პოლიტიკური ჯაშუშობის ახალი „ჰიპების" წინაშე ბებერ მელას—დალესსა და „ველურ ბილს" — დონოვანს გადადგომის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ.

დიახ, ცხოვრებაში არ გაუმართლდა ჰარის. მაგრამ ცხოვრება. საერთოდ, მძიმე და სასტიკია. დიუკმა გაიფიქრა, რომ მისი პირველი მოადგილე მაიკ ნორმანი მართალი იყო, როდესაც ერთხელ ჰარიზე უთხრა: „წყალწაღებული კაცია. მხოლოდ თქვენ მიუგდებთ ხოლმე ზოგჯერ პატარა სამუშაოს. ისმის კითხვა — რატომ?" რასაკვირველია, ნორმანი პატივმოყვარეა, როგორც ყველა ახალგაზრდა, შეუბრალებელია, და გარდა ამისა, საკუთარი წარმოდგენა აქვს მთლიანად „ტრანზისტორიზებულ" სამუშაოზე. მან ცსს-ს მემკვიდრეობის უფლება სწორედ მაშინ მიიღო, როდესაც ყურსაცვამები სამუზეუმო ექსპონატი

ხლებოდა. ჩვეულებრივ დამსმენებს ცელიდა საანგარიშო-გამომთვლელი მოწყობილობები, მიკროგადამღები კამერები, ქვეცნობიერების აღმგზნები „ეშმარიტების შრატები“. სიცრუის დეტექტორები. მაგრამ დალესის თაობის ვეტერანებს მიაჩნდათ. რომ ლაბორატორიული ჯაშუშობა — ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია და განაგრძობდნენ — მართალია, მხოლოდ დროდადრო — ახლა თითქმის გადაშენების გზაზე დამდგარ საბრალო ჰარის მსგავს „ფორტუნის ჯარისკაცების“ გაწყვეტებას.

თუმცა, რაც შეეხება ახლანდელ ჰარი ტერცს... რას იზამ, ნორმალურმა მოიგო პარტია: მოსუცი მართლაც აღარაფრად ვარგოდა...

მან კვლავ ვადაფურცლა ჰარის მოხსენება. მართლაცდა კაპიკად ღირდა. დიუკს სჭირდებოდა ახალი მონაცემები რობერტო სან ჰილის მოქმედებაზე, რომელიც ანტიკასტროულთა ჯგუფ „16 აპრილის სარდლობა“-ს უდგა სათავეში. და აი, ტერცს თითქმის ორი კვირა დასჭირდა იმაზე, რასაც თვით დიუკი გაარკვევდა, სან ჰილის საქალაქლდე რომ აეღო ცსს-ს საერთაშორისო დოსიეში. სიტყვამ მოიტანა და, სწორედ ის ედო ახლა დიუკს საწერ მაგიდაზე; გარეკანზე ეწერა „კონფიდენციალურად“ და ქვემოთ „სან ჰილი, რობერტ, კუბ-9562-3879, კოდექსი 01000110101000001“. ბოლო რიცხვი, ბუნებრივია, შეესაბამებოდა საანგარიშო-გამომთვლელი მოწყობილობის კოდს. ბოლოდან მეორე—თვით პიროვნებას; ესე იგი, რობერტო სან ჰილი ჩამოვიდა კუბიდან აშშ-ი 1962 წლის 9 მაისს, დამკვიდრდა ნიუ-იორკში (ციფრი 79), შეტანილია ცსს-ს ფილიალის სიაში მაიამში (ციფრი 38). სიტყვა „კონფიდენციალურად“ მიუთითებდა საბუთის, და მაშასადამე, პერსონის მნიშვნელობაზე. არსებობდა სხვა გრადაციებიც, თუ შკალას დაბლა ჩავყვებოდით, მაშინ — „სამსახურებრივი სარგებლობისათვის“; ზემოთ ავუყვებოდით და—„საიდუმლოდ“ და „განსაკუთრებულად საიდუმლოდ“. მაგალითად, მეშვიდე ფლოტის მთავარსარდლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის, ჩრდილოეთ ამერიკის ზანგთა ლიდერების დოსიეზე — ერთი სიტყვით. ეროვნულ და საერთაშორისო დონის პიროვნებებზე იყო გრიფი „განსაკუთრებულად საიდუმლოდ“... მაგრამ ჰარიმ გაიცინებით იმაზე ნაკლები მოიტანა, რაც საერთაშორისო დოსიეს განახლებულ და შევსებულ მწვანე საქალალდეში იყო: სან ჰილის მისამართი, მისი პირადი კავშირები, ადგილები, სადაც ის ჩვეულებრივ დადის,

მატერიალური მდგომარეობა, მიმოსვლა შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, პოლიტიკური მოღვაწეობა... დიუკს კი, (უფრო სწორად, კაპლანს) სჭირდებოდა რაიმე ხელმოსაწერი, რათა გაერკვია, მონაწილეობდა თუ არა სან ჰილი კუბის სახაპიროზე — ბოკა დე პახაროზე თავდასხმაში. ვიღაც (განა თვით სან ჰილმა არ განაცხადა ორი თვის წინ პრესაში, რომ „ამზადებს რაღაც სერიოზულს ამერიკის მთავრობის გამოსაღვიძებლად"?) არ დაერიდა ხიფათს და სხვის დაუხმარებლად გადაწყვიტა მოქმედება.

ეს ცსს-თვის მოულოდნელი იყო.

ბინძური საქმეა. 1968 წლის 17 სექტემბრის პარასკევ ღამემდე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხელმძღვანელობდა ყველას და ყოველ ოპერაციას, რომლებსაც აქტიური მოქმედების ჯგუფები აწარმოებდნენ კასტროს მთავრობის წინააღმდეგ შეერთებული შტატების ტერიტორიიდან. ახლა, ყოველ შემთხვევაში, წინასწარი ცნობები მაინც ჰქონდა ბათზე. ცსს ყოველგვარი სიძნელის გარეშე განაგებდა კუბას, როგორც თავის კოლონიას: აკონტროლებდა გუშინდელი პოლიტიკური ლიდერების, პროფესიულ კოლეგიათა დეკანების, მუნიციპალიტეტთა ემიგრირებული წარმომადგენლების, პრესაში და რადიოში მოსუშავე მჯდაბნელების, მსხვილი კაერთიანებების მეთაურების (მაგალითად, „კოჩიხოსის ყურის ასოციაციის") და მრავალრიცხოვანი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების საქმიანობას. მაგრამ სამმართველო ამავე დროს კიდეც ავარჯიშებდა, საომარი აღჭურვილობით ამარაგებდა, ასისტენტობას უწევდა და ხელმძღვანელობდა ტერორისტულ რაზმებს. აქამდე არც ერთი აქცია არ დაუგეგმავთ და არ გაუტარებიათ ცხოვრებაში ცსს-ს პირდაპირი ან თუნდაც არაპირდაპირი მონაწილეობის გარეშე. და, აი, ახლა, იხილეთ, — 17 სექტემბერს ბოკა დე პახაროსათვის ტყვიის დაშენამ ცხადყო, რომ ვიღაცამ გადაწყვიტა დაუკითხავად ემოქმედა. ეს კი ცუდია, ძალზე ცუდი. ცსს-ს გარეშე წარმოუდგენელია ყოველგვარი „თავისუფალი ინიციატივა", ვინაიდან შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ სამმართველომ (არსებითად შეერთებული შტატების მთავრობამაც კი) დაკარგა კონტროლი იმ ხალხზე, რომლებსაც თვითონ ასწავლა მკვლელობა. ამიტომ, როდესაც შერატონ ბილდინგის მეხუთე სართულზე მდებარე ტელექსიდან მოიტანეს იუპი-ს ცნობა, მოეჩვენათ, რომ ყუმბარები შორეულ ბოკა დე პახაროში კი არა, არამედ ჯ. ჯ.-ს კანტორაში გასკდა. ახალგაზრდა ტექნოკრატი გააფთრებით წამოვარდა. 1966 წლიდან მო-

ყოლებული აკი მას ევალებოდა ყველა იმ ოპერაციის ხელმძღვანელობა, რომელიც ხორციელდებოდა „შავი ჯვრის“ საერთო სახელწოდებითა და მიმართული იყო კუბის წინააღმდეგ? ყველაფერს, რაც აღნიშნული იყო პატარა შავი ჯვრით (სიცოცხლის ხელყოფა, საბოტაჟი, ჯაშუშების შეგზავნა, მკვლელობები), როგორც ოპერატიული დირექტორი, ის განაგებდა.

მაგრამ ყუმბარები გასკდა, და ჯ. ჯ.-მ დაუყოვნებლივ დაურეკა კაპლანს (დიუკის შეფს, მაგრამ ჯ. ჯ.-ს ქვეშევრდომს), რომელიც იძულებული შეიქნა წყენა ჩაეყლაპა და დაჰპირდა, რომ ზუსტად ოთხი კვირის შემდეგ გაარკვევდა ვინ, როგორ და რა ჩაიდინა. კაპლანმა კი, თავის მხრივ, საქმე ქვეეით გადაგზავნა და დიუკს დაავალა. ჯ. ჯ.-მ. თავის მხრივ, „სადაზვერვო ოჯახში“ ძალზე დიდი თანამდებობის კაცსა და ცსს საქმეებში პრეზიდენტის პირად მრჩეველს, რალფ აარონს, ღიმილითა და მობოდიშებით სასწრაფოდ აცნობა, საქმე ოთხ კვირაში გაირკვევაო.

თავიდან დიუკს ეგონა, რომ ეს დრო ეყოფოდა. კუბელები ყბედები არიან და ადვილად მიიწერენ ხოლმე საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობის მიღებაც კი არ უფიქრიათ. და უეჭველია, ახლა ნიუ-იორკის რომელიმე ბარში ვიღაც უკვე ტრაბახობს, რომ კუბის სანაპიროზე ჰაერში ატყორცნა ნახევარი სოფელი. სავსებით შესაძლოა, ეს ბარი მაიამშიც კი იყოს; ამიტომ ჯ. ჯ.-მ იქაც დარეკა, რათა მის ფლორიდელ აგენტებს თვალი სჭეროდათ იქაურ ემიგრანტებზე. მართლაც, შესაძლოა, ეს ბარი და იქ მყოფი მკვეხარა ცრუპენტელა სწორედ მაიამშია, რადგან ასეთი მოქმედებების ბუნებრივ ბაზად ფლორიდის საიახტო ნავსაბელებს იყენებდნენ.

მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სამმართველო მთლიანად უწევდა კონტროლს მაიამს, ხოლო იქ ტონის მიმცემი იყო ვინმე ხაიმე ტორესის ორგანიზაცია (ტორესი 1954 წელს ცსს-მ ჩაითრია სათახამშრომლოდ მისი ვაშინგტონში კუბის ელჩად დანიშვნის დროს, რის შესახებ ცოტამ თუ იცოდა ლენგლსა და შერატონ ბილდინგში), მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს საქმე მოაწყო ნიუ-იორკის რომელიმე უკმაყოფილო ჯგუფმა (სან ჰილის ჯგუფმა?), ხოლო ოპერაციის ბაზა მდებარეობდა ჰაიტიზე ან იქნებ ნიკარაგუაშიც კი.

მაგრამ დიუკი შეცდა. ეს საქმე არცთუ დიდად მნიშვნელოვანი მოეჩვენა და ჰარის დაავალა. და, აი, ახლა, ოთხი კვირიდან, რომე-

ლიც კაპლანმა მისცა, ორი უკვე გავიდა, მან კი ჯერაც არაფერი იცოდა დაბეჯითებით.

საათი ღამის 22 საათსა და 20 წუთს უჩვენებდა. მაგრად მოქაჩა სიგარა, ფილოსოფიურად შენდობა უთხრა საბრალო ჰარი ტერცის გამოუსადეგარ, ცოდვილ სულს და არა ნაკლებ ფილოსოფიურად შეეკითხა თავის თავს: „მაშ ასე, სტიუარტ დიუკ, ბებერო კრეტინო, რას იზამ ახლა?“ და უკმაყოფილოდ თვითონვე უპასუხა: „მხოლოდ ერთი რამ დაგრჩენია — მაიკლ ნორმანი“.

აინთო სელექტორის მწვანე ნათურა.

— დიახ? — შეეხმიანა ლეიტენანტი როდოლფო სარდუი.

— შემოდი ჩემთან. შენი ნახვა მინდა, — უპასუხეს აპარატიდან.

— არის!

ტუჩებთან ჩიბუხი მიიტანა და შენიშნა, რომ ისევ ჩამქრალიყო. ვერა და ვერ შეეჩვია ამ დაწყეველილ საგანს, რომელიც საოხუნჯო თემად იქცა მესამე ქვედანაყოფში, მის ამხანაგებს შორის. მაგრამ კარდიოლოგმა სასტიკად აუკრძალა სიგარეტი. მას შემდეგ, რაც ინფარქტი გადაიტანა, მთელი ხუთი თვე სიგარეტის გემო არ უნახავს, სანუგეშოდ ეს საეჭვო სიამოვნებაღა დაუტოვეს—ნება დართეს ნასადილევსა და ნავახშმევს ამ უხეირო მოწყობილობაში დაეწვა ერთი ბეწო წვრილად დაფხვნილი თამბაქო.

მან გადაიფიქრა ჩიბუხის გაღვივება. ფრთხილად დაბერტყა საფერფლის კიდეზე და ზეთისხილისფერ-მომწვანო გიმნასტურის ჯიბეში შეინახა. შემდეგ დერეფანში გავიდა და ლიფტისაკენ გაემართა. ღამის 22 საათი და 30 წუთი იყო. ახლახან ივახშმა და კვლავ საშინლად უნდოდა მოწევა.

კაპიტახი რიკენესი, აი, უკვე ოცი წუთია, რაც მოუსვენრად დადიოდა კაბინეტში: ფანჯრიდან კარისაკენ, კარიდან საწერი მაგიდისაკენ, იქიდან ისევ ფანჯრისაკენ, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, გაეხედა ჭუჩაში, დამჯდარიყო მბრუნავ სკამზე, თუ გასულიყო დერეფანში; სინამდვილეში ისიც კი დაავიწყდა, რომ დღეს არ ეეახშმა: ტვინში მხოლოდ ერთი თარიღი უტრიალებდა — 17 სექტემბერი.

ლეიტენანტი როდოლფო სარდუი იძულებული შეიქნა ორჯერ დაეკაკუნებინა ძლიერად, რათა კაპიტანს ფიქრისათვის თავი დაეღწია და გაეგონა. იმის მაგივრად, რომ დაეძახა „შემობრძანდითო“, თვითონ გაუღო კარი.

სარდუის დანასვაზე სასე გაუხეთდა.

— შემოდი.

ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ლეიტენანტი კინალამ შეეკითხა, როგორ გრძნობ თავსო, მაგრამ ისინი ძალიან დიდხანს მუშაობდნენ ერთად, და მიხვდა, რომ ახლა საამისო დრო არ იყო.

რიკენესმა უსმოდ მიუთითა საწერი მაგიდის წინ მდგარ ვინილის ორი სავარძლიდან ერთ-ერთზე, თვითონ კი მბრუნავ სკამზე დაჯდა. ლეიტენანტი მოხერხებულად ჩაჯდა სავარძელში, ხელები მუხლებზე დაიწყო და დაელოდა, როდის დაიწყებდა საუბარს კაპიტანი.

რიკენესმა წამით დახუჭა თვალები და ლეიტენანტს მოეჩვენა, რომ სწრაფმა ჩრდილმა — სევდის, დარდის, დაღლილობის? — გაიელვა მის სახეზე. კაპიტანმა ისევ გაახილა თვალები. შავი, ცოცხალი, აღგზნებული, ძოელვარე თვალები, რომლებიც თითქოს პატარავდებოდნენ განსაკუთრებით საყურადღებო საქმეზე ლაპარაკისას.

რიკენესმა უჯრიდან ამოიღო მუყაოში ჩაწყობილი ქაღალდების დასტა და ლეიტენანტს გადასცა.

— ეს ბოკა დე პახაროს თაობაზეა, — უთხრა მან.

— ყველაფერია?

— დიახ, — წაიბუტბუტა კაპიტანმა. რა დრო დაგჭირდება ყოველივე ამის შესასწავლად, ოღონდ 10 საათს რომ არ გადააჭარბო?

— ცხრა საათი, — სწრაფად მიუგო სარდუიმ.

რიკენესმა ოდნავ გაიღიმა.

ლეიტენანტმა თვალები დახარა, რამდენიმე წუთი ფურცლავდა ქაღალდებს. მანქანაზე მშიდროდ ნაბეჭდი ორმოცი გვერდი და ორმოცდაათამდე ფოტოსურათი იყო.

— რაიმე უნდა შევისწავლო აქედან?

— არა. უბრალოდ, ანალიზი გაუკეთე ყველაფერს ერთად.

— კარგი, — თქვა სარდუიმ და საქაღალდე დახურა. — ვფიქრობ, სამი საათი მეყოფა.

— კეთილი, გაძლევ მთელ იმ ცხრა საათს, რაც თავიდან მთხოვე,— უპასუხა რიკენესმა.— ვთქვათ, დილის ექვს საათამდე. ზუსტად ექვს საათზე აქ გელოდები.

— კეთილი.

რიკენესი წამოდგა, ლეიტენანტიც ადგა.

— დროს აღარ წაგართმევ. აბა, დაჯექი და ახლავე დაიწყე კითხვა.

— ამონაწერების გაკეთება შეიძლება? — შეეკითხა სარდუი.

— შეიძლება, ოღონდ არ დაგეკარგება.

— კარგი, — კვლავ ხვნეშით გაიმეორა ლეიტენანტმა. — მაშ. წავედი.

შებრუნდა და კარისაკენ გაემართა.

— სდექ. — მიადევნა რიკენესმა.

სარდუი შემობრუნდა.

— დიახ, კაპიტანო.

რიკენესმა მკერდის მარცხენა მხარეს მიუთითა.

— იქ როგორაა საქმე?

ლეიტენანტმა ჯერ ვერ გაიგო, შემდეგ გაიღიმა.

— ტუმბოზე მეკითხები?

რიკენესმა დასტურის ნიშნად თავი დაუკრა.

— ნუ წუხხართ. მუშაობს.

— მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა?

— რიგზეა. აი, მხოლოდ...

თითქოს ცოცხალი მორიელიაო, ორი თითის წვერით ჯიბიდან საჭულველი ჩიბუხი ამოიღო.

რიკენესს არაფერი უთქვამს.

— სიგარეტები ამიკრძალეს. დღის განმაელობაში ორ ჩიბუხს ვეწევარობ, როგორც ინდიელი მშვიდობის დღეებში.

რიკენესმა გაიღიმა, სურდა რაღაც ეთქვა სარდუისათვის, მაგრამ იმან არ დააცალა:

— თუ შერლოკ ჰოლმსი გაგახსენდათ, ნურაფერს მეტყვით, მთელი ქვედანაყოფი ისედაც მასხრად მიგდებს.

ოთხშაბათი

ღამის სამი საათისათვის ლეიტენანტ სარდუის მთელი მასალა უკვე რამდენჯერმე ჰქონდა გადაკითხული. ახლა თავის პატარა კაბინეტში საწერ მაგიდას უჯდა, ჩიბუხს კბილებში ატრიალებდა და ხელახლა ათვალიერებდა წაკითხულს.

შემდეგ ისევ დაუბრუნდა ბოლო გვერდს, სადაც ჩაკერებული იყო გასულ კვირას კონტრდაზვერვის მიერ ბრუნოსათვის გაგზავნილი დაშიფრული დეპეშა და ჰავანაში რამდენიმე საათის წინ მიღებული ბრუნოს დაშიფრული პასუხი.

გვჭირდება ინფორმაცია ორიენტეს პროვინციის ბოკა დე პახარო-ზე თავდასხმის შესახებ. ასევე კუბის სხვა სანაპირო პუნქტებზე ამ-გვარი მოქმედებების შესახებ. გვაცნობეთ რომელი ორგანიზაციაა ხელმძღვანელობდა და ვინ იყვნენ უშუალო შემსრულებლები. მოერი-დეთ ზედმეტ რისკს.

ვალტერს ბროსაგან. ტალღა 37. ცენტრი. ოთხშაბათს 7-ში მივემ-გზავრები ნიუ-იორკიდან ლოს ანჟელესის გავლით წრტ მაიამის ჯგუ-ფებს იერიშში მონაწილეობა არ მიუღიათ წრტ ცსს-მ დაარწმუნა ტორესი, რომ არ გარეულა შეტევაში წრტ ეჭვი მაქვს ნიუ-იორკის ჯგუფებზე წრტ შემდეგი გადაცემა შაბათს 10-ში დათქმული ტალღაზე წრტ მოკითხვა...

ლეიტენანტმა საქაღალდე დახურა და საათს დახედა: ღამის 3 საა-თი და 05 წუთი იყო.

არც ისე მოსახერხებელი, მაგრამ პრაქტიკულია კაბინეტში გამო-ძინება. მაჯის მაღვიძარა საათის ისარი 5 საათსა და 30 წუთზე დააყე-ნა. ჩააქრო ღამის ნათურა, რომელიც მკრთალად ანათებდა მაგიდას და თვალები დახუჭა. ერთმანეთში აერია რაღაც სინათლეები, ბუნდო-ვანი ხმები, სიგარეტის მოწევის უზომო სურვილი. ხუთი წუთის შემ-დეგ უკვე ღრმად ეძინა.

საწერ მაგიდაზე დაფარებულ მინაზე ფრჩხილი მოუხვდა და იმავე წუთს მკვეთრმა ხრჭიალმა კაბინეტის სიჩუმე დაარღვია. არა, კაპლანს არ დაურეკავს. ბოლოს და ბოლოს, კაპლანიც ისეთივე ბებერი იდი-ოტია. თუ თამაშობ, უმჯობესია მაღალ წრეებში ითამაშო: როგორც კი ამ ხლართს გახსნის, პირდაპირ დაურეკავს ჯ. ჯ.-ს, რატომ უნდა უცადოს გულხელდაკრეფილმა, როდის გავა ეს უსუსური, სულელი სტიუარტ დიუკი პენსიაში, რომ სამსახურებრივ კიბეზე კიდევ ერთი საფეხურით ზემოთ ასვლის საშუალება მისცეს. ტყუილად როდი მოს-წონდა ჭადრაკი: სასტიკი თამაში, სადაც პოზიციის გულისათვის ფი-გურებს სწირავენ. ახალგაზრდაა, ჭკვიანი და მის სულს, დიუკისაგან განსხვავებით, სანტიმენტალიზმის ჭია არ შეჩენია. დრომოჭმულია აუ-

როლებული სიგარები, რომლებსაც ის ეწევა, დალესის ფოტოსურათი, უჯრაში რომ აქვს შენახული, ძველმოდური, ცუდად შეკერილი კოსტიუმებიც, საერთოდ, მეცხრამეტე საუკუნის სკოტლანდ-იარდის სტილი, მისი ქერტლი და მისი...

აინთო სელექტორის სიგნალი და წამოახტუნა:

— სერ? —ჩამრთველ ღილაკს თითი დააჭირა.

— ნორმან, შემოდით ჩემთან, გელოდებით.

ი ს იყო.

— კარგით, სერ.

კარგით, სერ. არა, სერ. მაგრამ საბოლოო ჯამში ხომ ის, მაიკლ ნორმანი, ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, 35 წლის წარმოსადეგი მამაკაცი, განეკუთვნებოდა ადამიანთა იმ ტიპს, რომელიც ასე სჭირდებოდა ცსს. დალესის ეპოქის დრომოჭმული ხალხი დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. მსოფლიო შეიცვალა, შეიცვალა დაზვერვის საშუალებებიც. საზღვაო ქვეით ჯარში სამსახურმა გამოაწრთო, მაგრამ კიდევ უფრო გამოაწრთო იუტას შტატში, დაგვეამი, ქიმიური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური იარაღის გამოცდის საიდუმლო ცენტრში მუშაობამ. იქ, უკვე როგორც ცსს-ს კაცმა, დაინახა თანამედროვე მოდერნიზებული ომის სახე, იმ ომისა, რომლისთვისაც დიუკისთანა ხალხი (თვით კაპლანიც კი) ერთობ მოძველდა; ეს გახლდათ ჰალუცინაციებისა და სიკვდილის გამომწვევი აეროზოლები, ჭკუაზე შემშლელი ზეძლიერი სიხშირის ბგერები, მიკრობები, რომელთაც გენეტიკური მუტაცია მკვლელებად აქცევდა. უპილავი ტოტალური ომი. ხოლო დეფექტური იდიოტი დიუკი ამ მშვენიერი საძყაროს კარიბჭესთან იდგა და პიკერტოხის აგენტების ყაიდაზე ცდილობდა ჯაშუშობას.

მაგრამ ეს დეფექტური იდიოტი მისი შეფი იყო და ეძახდა.

უხალისოდ წამოდგა. მის ფერმკრთალ, თხელნაკვთებიან სახეზე გაქრა შურისა და სიძულვილის გამომეტყველება, შეუღწეველმა ნიღაბმა დაფარა ყველა გრძნობა. გაიღიმა კიდეც. ახლა ის მზად იყო მოხუც სტიუარტ დიუკთან შესახვედრად.

ეროვნული ავიოკომპანიის „დუგლას დს-8“-ის პილოტმა საკომანდო კოშკს ინსტრუქცია სთხოვა. დისპეტჩერმა, რომელიც დაჯდო-

მას რადარის ეკრანით ადევნებდა თვალს, მას №2 ბ ზოლზე მიეცა-თა. დ ს-8 ღრუბლების სქელი ფენიდან გამოსრიალდა და დასაჯდომად დაეშვა. პილოტმა სიჩქარეს უკლო და ფრთაუკანები დაუშვა. ორმოცდაათი მეტრი... ორმოცი მეტრი... ოცდაათი მეტრი... მან ძრავა გამოთიშა, თვითმფრინავის ცხვირი გასწორდა და ბოლოს გიგანტური საბურავები ასფალტს შეეხო.

დილის 10 საათი და 30 წუთი იყო. რიკარდო ვილიამ (მაღალი, გამხდარი, სახით ლათინური რასის წარმომადგენელს არ წააგავდა) ჩემოდანში შეინახა გაზეთი „ტაიმსი", რომელიც მონოტონური ფრენისას დროის მოკვლაში დაეხმარა, მისაბმელი ღვედი შეიხსნა და როდესაც ჩაქრა წარწერა: „შ ე ი კ ა რ ი თ მ ი ს ა ბ მ ე ლ ი ღ ვ ე დ ე ბ ი, ა რ მ ო წ ი ო თ", წამოდგა და შეუერთდა მგზავრთა ნაკადს, რომელიც ნოხით მოფენილი გასასვლელით კარისკენ მიემართებოდა.

ლოს-ანჟელესში ცუდი ამინდი იდგა. ცრიდა და აეროპორტის პერსონალმა ტრაპს ქოლგებიანი პატარა ავტოკარი მიაყენა. მომსახურე — ნარინჯისფერლაბადიანი ზანგი — ერთიმეორის მიყოლებით აძლევდა მგზავრებს ქოლგებს. რიკარდომ ქოლგა აიღო და ბარგის მისაღებად მთავარი შენობისაკენ წავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ ტაქსის ჩემოდნით ხელში აეროვაგზლის შენობიდან გამოვიდა და ტაქსის დაუწყო ძებნა. ქოლგა ჯერ კიდევ შენობაში დააბრუნა უკან და ახლა წვიმაში ნელა მიაბიჯებდა მოედანზე, ვიდრე გაჩერებაზე მდგარი ყვითელი მანქანა არ შენიშნა.

— ოტელი „კოლუმბია".

— წავედით, — უპასუხა მძღოლმა და მანქანა ბორცვებზე განლაგებული ქალაქისაკენ გასრიალდა.

ლოს-ანჟელესში რომ ჩამოდიოდა, რიკარდო ჩვეულებრივ „კოლუმბიაში" ან „სამეფოში" ჩერდებოდა ხოლმე. ესენი გახლდათ ქალაქის ცენტრში მდებარე უბრალო, მაგრამ კომფორტაბელური სასტუმროები. ამჯერად იქ მხოლოდ ორმოცდარვა საათს დაჰყოფს: მისი ერთადერთი ამოცანაა ინახულოს წარსულში ბატისტას მთავრობის ერთ-ერთი უმაღლესი წოდების პირი ლეონ ორტისი, რომელიც ქალაქის განაპირას, ბეიკერსფილდში ცხოვრობს. ორტისს, ტორესის ახლო მეგობარს გაცხოველებული კავშირი ჰქონდა ატლანტიკის სანაპიროზე დასახლებულ კუბელ ემიგრანტებთან, სწორედ ის გაუღებს

ნიუ-იორკის კარს. ჩამოსვლის შესახებ არ უცხობებია, მაგრამ კიდევ ერთხელ ეტყვის, რომ ტორესმა გამოგზავნა.

ტაქსი 66-ე ქუჩაზე, სასტუმროს სადარბაზოსთან შეჩერდა. რიკარდომ მრიცხველის მიხედვით გადაიხადა, მძღოლს ერთი დოლარი აჩუქა და გადმოვიდა.

ადმინისტრატორმა სარეგისტრაციო ბარათი გაუწოდა, რიკარდომ სწრაფად შეავსო. შენობის აღმოსავლეთის ფრთის მერვე სართულზე 806-ე ოთახში დააბინავეს. თავის სართულზე ლიფტით ავიდა, ჩამოდახი დატოვა და ბარში ჩავიდა. 11 საათი და 05 წუთი იყო, ჯერ არ შიოდა.

პატარა ბარი თითქმის ცარიელი იყო. რიკარდო მაგიდას მიუჯდა, კოქტეილი „მანჰეტენი" მოითხოვა და დახლზე მდგარ ტელეფონთან მივიდა.

— გეთაყვა, ბეიკერსფილდი 586-6529.

— სიამოვნებით, სერ, — უპასუხა ტელეფონისტმა ქალმა.

ტელეფონს კარგა ხანს არავინ უპასუხა, და, ის იყო რიკარდო უურმილის დაკიდებას აპირებდა, რომ ხაზის მეორე ბოლოში ჩხაკუნი გაისმა.

— დიახ? — უპასუხა ხმამ.

— მისტერ ლეონ ორტისს სთხოვეთ, გეთაყვა.

— ვინ კითხულობს? — შეეკითხა ქალის ხმა.

— ხაიმე ტორესი, — იცრუა რიკარდომ.

— ერთი წამით, გეთაყვა.

და თითქმის მაშინვე მოესმა ლეონ ორტისის ხმა.

— ხაიმე!

— არა, ლეონ. ეს მე ვარ, რიკარდო ვილია.

— საიდან?

— ბეიკერსფილდიდან ორ ნაბიჯზე, სასტუმრო „კოლუმბიიდან" ვრეკავ, დღესვე სასწრაფოდ მჭირდება თქვენი ხანა.

— კეთილი, — უპასუხა ლეონმა. — მოხდა რაიმე?

— ტორესის პირადი თხოვნა უნდა გადმოგცეთ. მითხრა, აუცილებლად ინახულეთ.

— კარგი, — კვლავ ვაიმეორა ლეონმა. — ისადილე?

— ჯერ არა. ეს-ესაა, ჩამოვედი.

— ერთად ვისადილოთ. გელოდები პირველ საათზე. გზა ხომ იცი?

— ნახვამდის, — უპასუხა რიკარდომ.

ყურძილი დაკიდა და დაბრუნდა მაგიდასთან, რომელზედაც უკვე იდგა შეკვეთილი კოქტეილი. სირჩიდან ცოტა მოსვა და სიგარეტს მოუკიდა. საინტერესოა: ლეონ ორტისი ინგლისურად უფრო თავისუფლად ლაპარაკობს, ვიდრე ესპანურად. დიქტატურის მთელი იმ დროის მანძილზე ის გახლდათ მთავარი მოქმედი პირი ბატისტასთან და უკან მიჰყვა მმართველს 1959 წლის ორ თუ სამ იანვარს. სწორედ ის ყიდულობდა იარაღს, როდესაც აჯანყებულთა ძალების შემოტევის შემდეგ 1958 წლის მაისის ბრძოლებმა ასეთი გაქანება მიიღო სიერაში. მაგრამ იარაღმა დაიგვიანა, მხოლოდ ნოემბერში მოიტანეს, ხოლო ორი თვის შემდეგ დიქტატურასაც ბოლო მოეღო... ლეონი ჩრდილოამერიკელი იყო და არა კუბელი. დიახ, სულით მუდამ ჩრდილოამერიკელი იყო. თავი და თავი ესაა სწორედ.

რიკარდომ მეორე „მანჰეტენი" მოითხოვა და საათს დახედა: 11 საათი და 30 წუთია. 12 საათსა და 30 წუთზე ბეიკერსფილდს მიაშურებს.

მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირზე თითით გამოიყვანა ციფრი 5. უეცრად რაღაც უსასრულო წამით ხევდამ შეიპყრო და უგუნებობა დაეუფლა.

ხუთი წელი კუბიდან მოშორებით გაატარა! იქნებ მასაც თანდათან ავიწყდება ესპანური. ის დაკონსერვებული ესპანური კი არა, რომელსაც ასე საძაგლად ამახინჯებენ ეს ნაძირალები მაიამში, არც ის ესპანური, რომლის სინატიფე და სიმდიდრე სადღაც ინგლისურსა და ჰავანის ყოფილ პილასა და კოლონის ქუჩების მეძავებისა და ლიუმპენების ჟარგონს შორის გაითქვიფა. არამედ მისი ესპანური. ის, რომელზეც ახლა, სწორედ ამ წუთს, კუბაში ლაპარაკობენ მისი ძველი მეგობრები, იოლანდა...

მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა. სადილი სქელ, გათქვირეტულ ლეონ ორტისთან გაგრძელდა, რაკი ერთი სუბიექტი, ვინმე არნალდო როდილესიც შეესწროთ; კუბაში საეჭვო წარმატების მქონე რომანის გამოქვეყნების შემდეგ ის პარიზში გაქცეულა. მაგრამ, როგორც ჩანს, არც პარიზმა გაამართლა მისი ფინანსური იმედები და აი, ახლა ჰოლივუდში მოღვაწეობს, როგორც ავტორი უხეირო სცენარებისა, რაზედაც ხელს აწერს პრეტენციოზული ფსევდონიმით. იგი პედანტურობის განსახიერება გახლდათ. ამავე დროს ორტისის ქერათმიანი ქალი-

შვილი შეყვარებოდა (მაგიდასთან რომ იჯდა შალის ქოფთით, უაზ-ღუდოდ). როდილესი ჰიპისა და გენერლის სასაცილო ნაჯვარს წარმოადგენდა: შავგვრემანი იყო, უშველებელი ულვაშები, გაზეთილი თმა ჰქონდა და ყელზე ფერადი მოსახვევი შემოეხვია.

სადილად სულ იმას ამტკიცებდა, რომ ყველა დიდ მწერალს (და მათ შორის, რასაკვირველია, მასაც) უყვარდა კატები, ხოლო პოლიტიკოსები ძაღლებს ამჯობინებდნენ.

— მაგალითად, ჰემინგუეის, ის, რასაკვირველია, არ იყო დიდი მწერალი, თუმცა უვიცთა შორის სახელი აქვს გავარდნილი, უყვარდა კატები. ტოლსტოისაც, ჩეხოვსაც, კეტრინ მენსფილდსაც, ფოლკნერსაც, გინახავთ ფოლკნერის ფოტოსურათი კატით ხელში? პოლიტიკოსებს კი — ჰიტლერს, ნაპოლეონს, რუზველტს... ძაღლები ერჩიათ.

ოთხ საათზე ორტისი და რიკარდო მეორე სართულზე ბიბლიოთეკის ყაიდაზე მოწყობილ ოთახში გავიდნენ. როდილესმა და ქერათმიანმა ქალიშვილმა სახლის სხვა მხარეს მიაშურეს.

ორტისმა ორი სირჩა შეავსო ძვირფასი მარტელით და ისინი კაობისაგან გაკეთებული უზარმაზარი საწერი მაგიდის წინ მდგარ სავარძლებში ჩასხდნენ. ამ მაგიდას-ეს სქელი კაცი მხოლოდ იმიტომ ამოეფარებოდა ხოლმე, რომ რომელიმე ილუსტრირებული ჟურნალი გადაეფურცლა, ანდა ქალაქის ქვედა ნაწილში მდებარე მისი კუთვნილი სამი პორნოგრაფიული მაღაზიის შემოსავალი დაეანგარიშებინა.

— კიდევ არ დაოჯახებულხართ? — მყუდროება დაარღვია და შეეკითხა ორტისი.

— ჯერჯერობით არა. თუმცა წლოვანების მიხედვით უკვე კარგა ხანია დროა, — რიკარდომ გაიღიმა.

— უნდა გადაწყვიტოთ, — უთხრა ორტისმა და გაიცინა.

— ვიფიქრებ.

— აბა, კარგი, — ორტისი უცებ დასერიოზულდა. — რა საქმე გაქვთ?

რიკარდომ კონიაკი შესვა, მუცლიანი სირჩა სავარძლის სახელურზე დადგა და ორტისისაკენ შებრუნდა.

— ტორესს სჭირდება ინფორმაცია კუბაზე ბოკა დე პახაროს ოპერაციის თაობაზე. გსმენიათ რაიმე მის შესახებ?

— დიახ, „მაიამ ჰერალდში“ წავიკითხე. ეს რა, ტორესის ნამოქმედარი არ არის?

— არა. ვილაცამ წამოიწყო ბინძური თამაში. ცსს-მ დაარწმუნა

ტორესი, რომ თვითონ არაა გარეული ამ აქციაში. და თქვენ დაგეთანხმებით, რომ ტორესის თანხმობისა და დამტკიცების გარეშე ჩატარებული ამგვარი მოქმედებები სახელს უტეხს „გეგმის" პრესტიჟს.

— დიახ, მესმის, — უთხრა ორტისმა.

— აი, უყურეთ,—გახაგრძობდა რიკარდო. — ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ მაიამი აქ არაფერ შუაშია. წინააღმდეგ შემთხვევაში გვეცოდინებოდა. გარდა ამისა, ხომ იცით, რომ „დელტა 99-ის" გარდა ყველა სხვა ორგანიზაცია ტორესის ირგვლივ არის შემოკრებილი. და სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ „დელტა-99"-ის ხალხს არ დაუშვენია სოფლისათვის.

— მერედა, რატომ ხართ ასე დარწმუნებული? — შეეკითხა ორტისი.

— დარწმუნებული ვართ, — მშრალად მოუჭრა რიკარდომ.

ორტისმა სიგარეტს მოუკიდა. რიკარდომ თავისი „მალბორო" ამოიღო და სქელ-სქელმა მასპინძელმა ანთებული სანთებელა გაუწოდა.

— ხომ იცით, რომ მე 52-ე ვარსკვლავის მომხრე ვარ, — ჩაილაპარაკა ორტისმა და ცხვირიდან ბოლი გამოუშვა. — პირადად მე (რულებით არ მაინტარესებს ტორესის „გეგმა". ის უაზროდ მეჩვენება. იმათ რიცხვს მივეკუთვნები, ვისაც სწამს, რომ კუბის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა — შტატებთან შეერთებაა. კუბა 52-ე შტატი უნდა გახდეს. ყველაზე რეალური გამოსავალი ეს გახლავთ. რასაკვირველია, სისხლის ღვრის გარეშე... კასტროს ამჟამად საუკეთესო არმია ჰყავს ლათინურ ამერიკაში და ვერავითარი ემიგრანტული დაჯგუფება ვერ დასძლევს მას. გამიგეთ? რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩემი შეხედულებაა.

— ასეც გავიგე. მაგრამ ჩვენ ვერ დაგეთანხმებით, — შეეპასუხა რიკარდო. წამით ცბიერმა აზრმა გაუელვა, რომ სწორედ უკანასკნელ მოსაზრებაში ეთანხმება ორტისს.

— ვიცი, — უპასუხა ორტისმა და ამოიხვნეშა. მისი სქელი და მძიმე სხეული საკარძელში შეირხა. — მაშ, კარგი: როგორადაც უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ქისა გამოფხეკილი აქვს, ტორესი ჩემი მეგობარია... კონკრეტულად, მაინც რას მოითხოვს ჩემგან?

ბოლო შეკითხვა თითქოსდა სხვათა შორის მისცა. სავსებით ცხადია, რომ ორტისი დარტყმასავით ელოდა, საცაა ფულს მომთხოვენო, მაგრამ იმათ რიცხვს როდი განეკუთვნებოდა, ვინც ტორესისთანა ამომავალ ვარსკვლავებთან ურთიერთობას იფუჭებს.

— მისტერ ორტის, შემიყვანეთ ნიუ-იორკის აქტიური მოქმედების ჯგუფებში. თქვენ იქ კარგი ნაცნობობა გყავთ, — სთხოვა რიკარდომ.

ორტისმა პასუხად გაიღიმა და შვებით ამოისუნთქა.

— და სულ ესაა?

— დიახ, მხოლოდ ეს.

— ვერი ველ, — ჩაილაპარაკა ორტისმა. — მაინც რომელ'ში?

— მთავარია აქტიური მოქმედება იყოს. მინგოლო არტეაგასა და სან ჰილის ჯგუფში...

— რა გაეწყობა, კარგად ვიცნობ მინგოლოსაც და სან ჰილსაც.

— შემიძლია ვუთხრა, რომ თქვენგანა ვარ?

ორტისი ჩაფიქრდა, თავის პასუხს სწონიდა. იცოდა, რომ არტეაგაც და სან ჰილიც ტორესის თავს ითხოვდნენ.

— ვფიქრობ, კი, — გაუბედავად წაიბუტბუტა მან.

— ფიქრობთ, თუ დარწმუნებული ხართ?

— კეთილი, — ორტისი ოდნავ გაბრაზდა. — კარგი, დარწმუნებული ვარ. მოგცემთ ტელეფონის ნომრებს და მისამართებს, მაგრამ. რასაკვირველია. თქვენ...

— არა, არა. თუ ეს გაწუხებთ, ისინი ვერ გაიგებენ, რომ ტორესისათვის ვმუშაობ.

— დიახ, სწორედ ეს მაწუხებს, — დაეთანხმა ორტისი.

ნელა, გაჭირვებით წამოდგა საკარძლიდან და კიდევ დაუსხა ცოტა კონიაკი.

— როდის მიდიხართ ნიუ-იორკში?

— ხვალ, დილის 7 საათზე.

— მაშინ ახლავე დაგიწერთ მინგოლოსა და სან ჰილის მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს. იქნებ, ტატიკი რომანოს კოორდინატებიც მოგცეთ, თუ გაინტერესებთ?

— არა, არ მჭირდება, — უპასუხა რიკარდომ და აუჩქარებლად დალია 1940 წლის მოსავლის შესანიშნავი მარტელი.

— ძველი ანდაზა ამბობს: ადამიანი რომ გამოიცნო, მასთან ერთი ფუთი მარილი უნდა შეჭამოო, — წაიბუტბუტა სტიუარტ დიუკმა, თან დაჟინებით შეჰყურებდა მაიკ ნორმანს, — პირადად მე ეს არ მწამს: არიან ადამიანები, რომლებსაც რამდენიმე თვეშიც კარგად გა-

იცნობ. ვფიქრობ, თქვენში არ შევმცდარვარ, მაიკ; თქვენ ახალგაზრდა და პატივმოყვარე, მაგრამ ერთგული ხართ.

— გმადლობთ, სერ, — უპასუხა ნორმანმა და ცივად გაიღიმა.

— თქვენთან, — განაგრძობდა დიუკი, — შემიძლია გულღია ვიყო, რადგან ჩემი სდობით სარგებლობთ.

ნორმანმა დახარა თავისი გულმოდგინედ დავარცხნილი თავი.

დიუკი სკამზე შეტრიალდა, ხელი საწერ მაგიდაზე დადებული სიგარეტებიანი კოლოფისაკენ გაიწვდინა, ერთი ღერი ამოიღო, ნელა დაყნოსა, თითებში შეატრიალა და ცეცხლი მოუკიდა. „იაფფასიანი ვირჯინიული თამბაქოა, — გაიფიქრა ნორმანმა. — „ჰავანაც“ კი არაა“.

— აი, როგორი საქმეა, — დაიწყო მოხუცმა და პირიდან მოცისფრო ბოლი გამოუშვა. — კაპლანმა გვიბრძანა გავიგოთ, ერია თუ არა ვინმე ნიუ-იორკელი სან ჰილი ორი კვირის წინ კუბის იმ პატარა სოფელზე, ბოკა დე პახაროზე თავდასხმაში.

— იცით თქვენ ამის შესახებ რაიმე?

ნორმანი წინ დაიხარა და საჩვენებელი თითით სათვალე გაისწორა.

— ძალზე ცოტა, სერ.

— კონკრეტულად?

— რომ სამმართველო ამაში არაა გარეული...

— სწორია, — დაუდასტურა დიუკმა. — სავსებით სწორია.

მან მაგრად მოქაჩა სიგარა. ნორმანმა ოდნავი ზიზღით შენიშნა, რომ სტიუარტი ძალიან ადორბლიანებდა სიგარის წვეტს, მაგრამ სახე არ შეცვლია, ძველებურად გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა.

— მაშ ასე, საქმე ისაა, — განაგრძობდა დიუკი, — რომ პირველად აგვიარეს გვერდი ჩვენ და არა პირიქით. ამგვარი რამ, რასაკვირველია, არ უნდა განმეორდეს. სწორედ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ კუბის ყველა საქმეზე: ეს, ასე ვთქვათ, მთავრობის საგარეო პოლიტიკის ნაწილია. ვფიქრობ, თქვენც სწორედ ასე გესმით.

— მშვენივრად მესმის, სერ. — მიუგო ნორმანმა.

ვიდრე ამ ძალზე არასასიამოვნო საქმის არსზე გადავიდოდა, დიუკმა საკმაოდ დააყოვნა. სურდა ნორმანის აზრები მის თვალებში ამოეკითხა, მაგრამ ისინი დაფარული იყო ლითონისჩარჩოიანი სათვალით და კაბინეტის ნეონის სინათლეზე ორ პატარა ვერცხლის მონეტას წააგავდა. რამდენად შეიძლება მასზე იმედის დამყარება?

— მე პატარა შეცდომა დავუშვი, — ნელა დაიწყო მან, — და ეს საქმე... ასე ვთქვათ... დავაკალ...

ჩანდა, დიუკი ღელავდა. მაგრამ ნორმანმა თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა.

— დავავალე... ჰარი ტერცს, — ბოლოს ძლიეს ამოღერღა სტიუარტმა. — რას იზამ, ეაღიარებ, თქვენ მაფრთხილებდით, საბრალო ჰარი წყალწაღებული კაციაო...

ნორმანი დუმდა, თვითკმაყოფილებისაგან გულში იბღინძებოდა.

— ჰარის გამო ორი კვირა დავკარგე, — გაბრაზებით დააბოლოვა დიუკმა. — კაპლანმა სულ ოთხი კვირა მომცა, ორიღა დარჩა, ეიცი, ძნელია, მაგრამ... მითხარით, თქვენ რომ დაგავალოთ, თქვენი თანამშრომლებიდან ვინმე შეძლებს ცნობების შეგროვებას? კიდეე აგიხსნით: თქვენებიდან რომელიმე შეძლებს იმის გაგებას, ნამდვილად არის სან ჰილი ბოკა დე პახაროს ამბებში გარეული თუ არა? ნორმან, მხოლოდ გაგებაა საჭირო, რადგან თუ ასეა, მაშინ დანარჩენს სხვები მიხვდებიან...

— ვფიქრობ, არის, სერ.

დიუკი გააოცა მისი თანაშემწის სწრაფმა პასუხმა.

— ნამდვილად არის? — უნდობლად გაუმეორა კითხვა.

— ნამდვილად, სერ.

ხუთშაბათი

მეორე დილით მაიკ ნორმანი სასტუმრო „ფენიქსის“ ვესტიბიულში შეხვდა თავის ორ ყველაზე კარგ აგენტს: ფილიპ პაველჩაკსა და ჩარლი მელტონს. ნახევარ საათში აუხსნა, როგორი ინფორმაცია სჭირდებოდა და, რაც მთავარია, რა გზით მიეღწიათ მისთვის. შემდეგ სან ჰილის მისამართი მისცა და დასძინა, რომ საღამოს 11 საათზე აქვე, სასტუმრო „ფენიქსში“ დაელოდებოდა.

— წაიღეთ მაგნიტოფონი, — უბრძანა ნორმანმა, თან წინასწარ ტკბებოდა დიუკზე გამარჯვებით, — შრატიც.

პაველჩაკმა და მელტონმა განყოფილებაში აიღეს მაგნიტოფონ სტ-5151-ის საცდელი ნიმუში ფირებით და ექვსი ამპულა შრატი ლს-140. ისადილეს, ნახეს ფილმი და საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე ლიმონისფერ-მოყვითალო „მერსედესით“ პარკ-ავენიუ №19357-ისაკენ მისრიალებდნენ.

ეს იყო ოცსართულიანი, ფართოფანჯრებიანი მინისა და ბეტონის

შენობა. სასლს შემოუარეს, მისგან ორი კვარტლის დაშორებით დატოვეს მანქანა და ფეხით დაბრუნდნენ. მელტონს მაგნიტოფონი მოჰქონდა.

შენობის ფართო ვესტიბიულში არავინ იყო. ლიფტში შეეიდნენ და მეექვსე სართულის ღილაკს დააჭირეს თითი.

ფილიპ პაველჩაკმა სან ჰილის ბინაში დარეკა.

კაპიტანი რიკენესი და ლეიტენანტი სარდუი ფანჯრიდან გაყურებდნენ ქუჩაში მოსრიალე მანქანების ნაკადს. აი, უკვე თხუთმეტი წუთია, ისინი ხმაამოუღებლივ იდგნენ, მას შემდეგ, რაც თითქმის სამი საათის განმავლობაში იხილავდნენ კაპიტნის მაგიდაზე გაშლილ კუბის რუკას.

თითქოს ეს ხანგრძლივი პაუზა არც ყოფილაო, რიკენესმა ისე გააგრძელა საუბარი:

— თუ ტორესი გარეული არაა ბოკა დე პახაროზე ცეცხლის დაშენის ამბავში, მაშინ საინტერესოა, ცსს-მ რატომ დატოვა ის განზე?

სარდუიმ დააყოვნა, აუჩქარებლად გამოიღო პირიდან ჩიბუხი და შეეპასუხა:

— ერუნომ ხომ გვაცნობა, ცსს-მ დაარწმუნა ტორესი, ბოკა დე პახაროზე თავდასხმაში მონაწილეობა არ მიმიღიაო. ტორესს კი ძალზე მჭიდრო კავშირი აქვს სამმართველოსთან. თუმცა, შესაძლოა, ცსს-ს არც სურს გაუმჟღავნოს თავისი ზრახვები და იდუმალ რომელიმე სხვა ჯგუფთან მუშაობს.

— კი მაგრამ, რატომ? მათ მშვენივრად შეეძლოთ ტორესის გამოყენება. არა მგონია, ცსს სრულებით არაფერ შუაში იყოს. მაგრამ, რატომ არ გამოიყენა ტორესი? აი, უკვე ერთი წელია, რაც ამგვარი აქციით იმუქრებიან ისიც და მისი ჯგუფიც.

სარდუიმ მოწმენდილ ცას გახედა და ჩაფიქრდა.

— არა, კაპიტანო. ტორესი ბევრს ქადაგებს დიდი მასშტაბის მოქმედებებზე. ეს მხოლოდ ყბედობაა განმათავისუფლებელ ძალებზე, რომელთაც თითქოს ის უყრის თავს... ეს კი უფრო მცირე მასშტაბის აქციაა, ასეთები „დელტა 99“-ის ჯგუფმა დაახლოებით ხუთი წლის წინ ჩაატარა. რასაკვირველია, ცსს-მ იცის, რომ ტორესი, უბრალოდ, თაღლითია. ვფიქრობ, მას იყენებენ იმისათვის, რომ კონტროლი გაუწიონ და დაძაბულ მდგომარეობაში იყოლიონ ემიგრანტები. მხოლოდ მაიამელ კონტრებს სწამთ მისი რაკეტებისა და მოჩვენებითი არმიისა.

რიკენესი მოსაუბრეს შეაცქერდა.

— მით უმეტეს, როდესაც. ბოკა დე პახაროსე თავდასხმას ტორესის „გეგმის“ გამოცოცხლება შეუძლია. თუ ცსს-ს მიზანი ემიგრაციის ერთიანობისა და აქტიურობის მხარდაჭერაა, მაშინ, შეიძლება, ტორესის პრესტიჟის აწევის ყველაზე კარგი საშუალება სწორედ ისეთი აქციაა, როგორიც ბოკა დე პახაროში მოხდა.

— არა, კაპიტანო, ბოკა დე პახაროს ამბავი სწორედაც არასასიამოვნო მდგომარეობაში აგდებს ტორესს. თავადვე განსაჯეთ: უკვე წელიწად-ნახევარია ტორესი ფულს აგროვებს... რას წერდა „რესპუბლიკა“, რამდენი შეაგროვეთ?

— ორი მილიონი.

— ორი მილიონი. ჰოდა, არ ეკადრება მეთევზეთა პატარა, უმწეო სოფელზე ღამის თავდასხმაში მონაწილეობა, როცა აგერ უკვე ორი წელია, სერიოზულ ბრძოლას ჰპირდება, მას ერთი რამ სჭირდება — რაკეტებით, მასობრივი დესანტით დაემუქროს და... ფულის შეგროვება გააგრძელოს.

რიკენესმა მეათე სართულიდან კვლავ გადაიხედა ქუჩაში: კაცები, ქალები, ბავშვები — ყველანი სადღაც მიიჩქარიან: სკოლებში, ინსტიტუტებში, წრეებში, ბრუნდებიან სამუშაოდან. საქმიანი დღეებია, ჩვეულებრივი საქმიანი დღეები, და ეს ადამიანები, სიმართლე რომ ვთქვათ, საეჭვოა ფიქრობდნენ ახლა რაიმე საშიროებაზე, მათ ერთი სურვილი აქვთ — დროზე მივიდნენ იქ, სადაც ელიან, იპოვონ ბედნიერება...

— შესაძლოა, — დაეთანხმა. — მაშასადამე, დავუშვათ, რომ ტორესს საერთო არაფერი აქვს თავდასხმასთან. მაშ, რისთვის სჭირდება ცსს-ს მისი დარწმუნება, რომ ისიც არაფერ შუაშია?

რიკენესმა სიგარეტი მოსწია. სარდული შურით უყურებდა მოცისფრო ბოლს, რომელიც ჭერისკენ მიიწევდა. მან ხელისგულზე დაირტყა ჩიბუხი და მიბრუნდა.

— კაპიტანო, მოდით განვიხილოთ კონკრეტული ფაქტები. ტორესს საერთო არაფერი აქვს ცეცხლის დაშენასთან. ცსს ირწმუნება, მეც არაფერ შუაში ვარო. მაგრამ ჩვენ ვეარაუდობთ, რომ აქ ცსს-ს ხელი ურევია. მაშასადამე ცსს ეთამაშება ტორესს. რა მიზნით? შესაძლოა იმიტომ, რომ მხარი დაუჭიროს რომელიმე ახალ დაჯგუფებას, რომელიც ტორესს შეცვლის, როდესაც მისი ვარსკვლავი ჩაესვენება.

— მაგრამ არც ერთი ორგანიზაცია თავის თავზე არ იღებს ამ აქციას. გაზეთები დუმან, და არც ტორესს განუცხადებია რამე.

— ტორესს, კაპიტანო, ნამდვილად პანიკურად ეშინია საჯაროდ იმის აღიარება, რომ კიდევ არსებობს მისი კონკურენტი სხვა დაჯგუფება, რომელსაც ცსს უჭერს მხარს. როგორც ჩანს, მას ურჩევნია, საფიქრად გაუხადოს, მართლა მისი ნამოქმედარია თუ არა ბოკა დე პახაროზე თავადსხმა. ხოლო რაც შეეხება ცსს-ს, შესაძლოა, რაღაც სხვაც ჰქონდეს განზრახული. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ სულაც მან აუკრძალა მეორე ჯგუფს განცხადების გაკეთება.

— ეს ლოგიკურია.

— და, მიუხედავად ამისა, კაპიტანო, ანგარიში უნდა გაეუწიოთ სხვა შემთხვევითობებსაც.

— მაგალითად, რომელს?

— შეეძლოთ ბრუნოსთვის მიეკვლიათ და ცრუ ინფორმაცია შეეჩეჩებინათ. ჩვენთვის კვალის აბნევის მიზნით, შეეძლოთ ისე მოეწყოთ საქმე, რომ ბრუნო დაერწმუნებინათ, ამ საქმეში მაიამი არ მონაწილეობდაო. იქნებ, ბრუნო... მოკლეს ციხეში, ხოლო გადაცემებს სამმართველოს რომელიმე „პიანისტი“ აწარმოებს!

— ამისათვის შიფრის გასაღები სჭირდებათ, ხოლო ბრუნო მას არაფრის გულისათვის არ გასცემს.

— ამაში ეჭვიც არ მეპარება. მაგრამ ხომ იცით, რომ მათ შეუძლიათ შიფრის გამოცნობა.

— ბრუნო არაფრის გულისათვის არ გასცემს, — თითქოს სარდუის სიტყვები არ გაუგონიაო, გაუმეორა რიკენესმა.

რიკენესმა მეხსიერებაში ნათლად აღიდგინა 1957 წელი და ბრუნო, რომელსაც ის იყო ცხრამეტი წელი შესრულებოდა და უკვე მეთაურობდა 26 ივლისის მოძრაობის ერთ-ერთ უჯრედს. შემდეგ ახალგაზრდული, თითქოს მუდამ რაღაცით ოდნავ გაკვირვებული სახე გაქრა და ამოტივტივდა სხვა — დაძაბული, მაგრამ ნათელი სახე იმ ბრუნოსი, რომელსაც 1964 წელს სახელმწიფო უშიშროების განყოფილების შენობაში გამოემშვიდობა, ბრუნოსი, რომელმაც ურთიერთობა გაწყვიტა თავის ამხანაგებთან, წარსულთან, თანდათან ჩამოსცილდა მათ, საჯაროდ ჩამოშორდა რევოლუციას, რათა შემდეგ მაიამში წასულიყო თავისი რთული, ხანგრძლივი მისიის შესასრულებლად. ბრუნოსი, რომელიც უღიმოდა, უკანასკნელად ეხვეოდა, ხოლო მერე მშვიდად წავიდა და უკან მოიტოვა ყველაფერი, რაც ასე უყვარდა. შემდეგ მის

შესახებ მოვიდა ცნობა, პატარა ნავით სახიფათო ყურე გადაცურაო და ბოლოს მაიამიდან მოაწვდინა ხმა. რიკენესს ესმოდა, რა ძნელია ემიგრაციის მღელვარე ცხოვრებაში ჩაბმა. მისი არეულ-დარეული, ერთმანეთის მოძულე, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ადამიანთა შორის ყოფნა. ბრუნო ბავშვობიდანვე კარგად ლაპარაკობდა ინგლისურად, მაგრამ შეერთებულ შტატებში არ ყოფილა. თითქმის მთელი წელი (სწორედ 1964 წელს, მაიამში მისი ჩასვლის წელს) ჰავანას უმოქმედო მდგომარეობაში ჰყავდა და ელოდა, სანამ შეეგუებოდა იქაურობას. ეს დრო მან გამოიყენა სამსახურში მოსაწყობად, ჩაეწერა კარატეს სკოლაში და კავშირი დაამყარა იმ დროის ყველაზე აგრესიულ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან — ეროვნულ განმათავი-სუფლებელ მოძრაობასთან. 1965 წელს ჰავანიდან ჩამოვიდა მეკავშირე, რადიოგადამცემი და ინსტრუქციები ჩამოუტანა. შეხვედრა ნახევარი საათიც არ გაგრძელებულა; მერვე ქუჩაზე კაფეში შეხვდნენ ერთმანეთს. რიკარდომ დღესაც არ იცის იმ ამხანაგის გვარი, რაციიანი პატარა ჩემოდანი რომ გადასცა, ორივე ხელი ჩამოართვა და დიდი, დიდი წარმატება უსურვა. მას შემდეგ დაიწყო მისი რეგულარული გასვლები ეთერში იმ რადიოს საშუალებით, რომლის გამოყენებაც 1963 წელს შეასწავლეს. ცენტრმა ნება დართო გაეგრძელებინა კარატეს სწავლა, და იქ შავი ლენტი მიიღო.

ხუთი წლის მანძილზე რიკარდო მრავალრიცხოვან სიძნელეებს სძლევდა, მუდამ საფრთხე ელოდა, ემიგრაციის მიერ შედგენილი ყველა გეგმის კურსში ჰყავდა ჰავანა.

დიახ, გამუდმებით საფრთხე ელოდა.

1966 წლის თებერვალში აფეთქებულმა ბომბმა სიცოცხლეს გამოასალმა პედრო ოროსმანი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური და დაჭრა რიკარდო. ბომბი შეუერთეს სამმართველოს შენობაში მდგარ ტელეფონს და ოროსმანს თავში მოუვიდა უბედური აზრი თვითონ ეპასუხა მოულოდნელ ზარზე... მან, ალბათ, ვერც კი გაიგო, რა მოხდა. რიკარდომ ერთი თვე დაჰყო ჰოსპიტალში. მერე კი რიგი განცხადებებით გამოვიდა პროცესზე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა მაიამში. ბომბმა არა მარტო მოკლა ოროსმანი, არამედ მთლად დაშალა მისი ორგანიზაცია.

ამავე წლის ნოემბერში რიკარდომ შეძლო შესულიყო ახლადშექმნილ „კუბის ფალანგაში“, რომელსაც ხელმძღვანელობდა უინსტონ-მუელან ბაროსა. ხოლო 1968 წლის დასაწყისში მიაღწია იმას,

რომ ბაროსას ბანდა შეუერთდა ხაიმე ტორესის მოძრაობას. 1968 წლის ბოლოს მუჟლანი მკვდარი იპოვეს თავის ბინაში, ხაილეაში. რიკარდო კი ფალანგის ლიდერი და ბებერი ტორესის ერთ-ერთი უახლესი თანაშემწე გახდა. მხოლოდ შემდეგ გაიგო, რომ თურმე თვით ტორესმა გასცა ბრძანება ბაროსას ლიკვიდაციის თაობაზე.

ხაიმე ტორესს ერთი წელიც კი არ დასჭირვებია, 1959 წლიდან მოყოლებული, ემიგრაციის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შესაქმნელად. ეგრეთ წოდებულ ტორესის „გეგმას“ შეუერთდა ყველა (გარდა „დელტა 99“-ისა) ანტიკასტროული დაჯგუფება. მაიამელი კონტრრევოლუციონერები ენდობოდნენ ტორესს და მასზე ამყარებდნენ უკანასკნელ იმედებს. ტორესი (პრიოს მთავრობის ყოფილი სენატორი ყველას არწმუნებდა, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდა თეთრ სახლთან და პენტაგონთან) პირობას იძლეოდა, რომ 1970 წელს საბოლოოდ გაანთავისუფლებდა კუბას და იმათაც ბრმად სჯეროდათ, მხოლოდ რიკარდომ (და ვალტერმა) იცოდნენ სიმართლე: ტორესი გახლდათ ჩვეულებრივი თაღლითი, რომელიც თეთრი სახლისა და პენტაგონის ხარჯზე მდიდრდებოდა; მისი ზღაპრული არმიები მხოლოდ მის ავადმყოფურ წარმოსახვაში არსებობდა. მაგრამ რიკარდომ შეძლო მისტერ ტორესთან განსაკუთრებით დაახლოებულ თანამებრძოლთა რჩეულ წრეში შეღწევა. და აი, ამ პრივილეგირებულმა მდგომარეობამ საშუალება მისცა, ერთ კვირაზე ნაკლებ დროში დაედგინა, რომ ბოკა დე პახაროზე თავდასხმას მაიამში როდი ამზადებდნენ.

— კაპიტანო!

— გისმენ, — გამოეხმაურა რიკენესი.

— აქ ერთი დეტალია. დაეუშვათ, ეს მართლა რომელიმე ჯგუფი იყო ნიუ-იორკიდან.

სარდუი საწერ მაგიდასთან მივიდა და რუკა აიღო. ქვემოთ იდო სამი საქაღალდე წარწერებით: „16 აპრილის სარდლობა“, „სამშობლო და მართლმსაჯულება“ და „აქსიონ კუბანა“. ხელში აიღო ის, რომელზეც „სამშობლო და მართლმსაჯულება“ ეწერა.

— თუკი ეს ერთ-ერთი ამ ჯგუფთაგანი იყო, მაშინ საიდან გავიდა კატარლა? ჩასაკვირველია, ნიუ-იორკიდან არა, — ღიმილით დაუმატა მან.

— იქნებ, მაიამიდან,—შეეპასუხა რიკენესი.

— არა, მაიამიდან არა, მაშინ ეს ამბავი ეცოდინებოდა ტორესს. და, მაშასადამე, ბრუნოსაც.

ერთხანს ორივე დუმდა. ლეიტენანტი ჩაძქრალ ჩიბუხს ეპერდა კბილებს; რიკენესი შუალით ფანჯრის მინას მიყრდნობოდა.

— აბა, მაშ როგორ? — შეეკითხა და თან ქუჩას გახედა.

როდოლფო სარდუიმ თითებში ჩიბუხი შეატრიალ-შემოატრიალა.

— კაპიტანო, ვფიქრობ, ბრუნოსაგან დაშიფრული დეპეშის მოსელამდე ვერაფერს. ვიღონებთ.

რიკენესი დაიღალა, თვალები ასტკივდა და წამით მოხუჭა.

— მეც ასე ვფიქრობ.

კომპანია „პან ამერიკენის" თვითმფრინავი კენედის აეროპორტში 8 ოქტომბერს, ზუსტად დილის 10 საათსა და 25 წუთზე დაეშვა. ნახევარი საათის შემდეგ რიკარდომ უკვე დაიქირავა ტაქსი და 11 საათსა და 30 წუთზე შეავიდა ოტელის ვესტიბიულში, სადაც ოთახი ჯერ კიდევ ლოს-ანჟელესიდან დაჯავშნა.

ის ძალზე დაიღალა. თბილი შხაპი მიიღო და სთხოვა ნომერში ერთი ბოთლი დაძველებული „კორვუაზიე" და შემწვარი სუკი მოეტანათ.

მადიანად მიირთვა, ცოტა წასთვლიმა და დღის პირველ საათზე ჰოლში ჩავიდა. იქ ტელეფონი იპოვა და რობერტო სან ჰილის ნომერი აკრიფა. ყურმილი ქალმა აიღო. სან ჰილი შინ არ აღმოჩნდა. რიკარდომ ჰკითხა, ხუთი საათისათვის თუ იქნებაო, მაგრამ ქალმა არაფერი იცოდა (ანდა, არ უნდოდა თქმა).

— ლეონ ორტისი ვარ, — ესპანურად უთხრა რიკარდომ.

— ორტისი? — ასევე ესპანურად გაუმეორა ქალმა კითხვა. — ერთი წუთით, გეთაყვა.

რიკარდომ გაიღიმა. სან ჰილი შინ იყო.

— მოხუცო, — გაისმა ყურმილში ჩახლეჩილი ხმა.

— სან ჰილ, ორტისი არა ვარ. რამონ სიერას მეძახიან. ჩვენ პირადად არ ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ ორტისმა გამომგზავნა ნიუიორკში თქვენს სანახავად.

რიკარდომ მოკლედ აუხსნა, რომ ორტისი სთხოვდა მისთვის სამსა-

ხურის გაწევას. არა, არა, ფულის ამბავი არაა. უბრალოდ, სთხოვს პატარა სამსახური გაუწიოს. შეუძლია ახლავე შეხვდეს მას? დიახ, რამონს აქვს მისამართი. სან ჰილმა ხუთ საათზე დაპატიჟა.

სან ჰილმა ყურმილი დაჰკიდა. შემდეგ კვლავ აიღო.

— ალო! — გასცეს პასუხი.

— ფიკო ხარ?

— არა. პედრიტინი.

— რობერტო ვარ. ძმა სახლშია?

— კი. მოიცადე.

სან ჰილი თითს უკაკუნებდა ყურმილს და ელოდა.

— რა მოხდა? — როგორც იქნა უპასუხეს მეორე ბოლოდან.

— ორტისს სურს ჩემი ნახვა, — უთხრა სან ჰილმა.

— ნიუ-იორკშია?

— საქმეც ეგაა, რომ არაა. დამირეკა ვინმე...—სან ჰილმა მაგიდაზე, ტელეფონთან დადებულ ბლოკნოტში მოძებნა, — რამონ სიერამ. იცნობ?

— არასოდეს გამიგონია, — უპასუხა ფიკო ტაბლადამ.

— ამბობს, რომ ორტისისაგანაა.

— რა საქმეზეა?

— არ ვიცი. მაგრამ მითხრა, სასწრაფო საქმე მაქვსო, რას ფიქრობ ყოველივე ამაზე?

— ვერაფერი მომიფიქრებია, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მიუგო ტაბლადამ.

— უცნაურია, რომ ორტისი ვიღაცის საშუალებით გვთხოვს სამსახური გავუწიოთ.

— დიახ, — დაეთანხმა ტაბლადა, — უცნაურია.

— ხუთი საათისათვის დავუნიშნე შეხვედრა.

— სად?

— ჩემთან, სახლში.

ფიკო ტაბლადამ საათს დახედა: ორის ოცი წუთი იყო.

— როდესაც წავა, დაგირეკავ, — უთხრა სან ჰილმა. — დამელოდე.

სან ჰილთან შეხვედრამდე ოთხი საათი რჩებოდა. რიკარდომ გაიფიქრა, ურიგო არ იქნება თუ ნიუ-იორკს დავათვალიერებო. მაგრამ ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო ასე მოკლე დროში, იყო ის,

რომ ასულიყო ემპაირ სტეიტ ბილდინგზე და იქიდან ქალაქის საერთო ხედისათვის თვალი შეეკლო.

სასტუმროს სადარბაზოსთან ტაქსი დაიქირავა და მძღოლს მისამართი უთხრა.

პირველად როდი გახლდათ ნიუ-იორკში, მაგრამ მისთვის მუდამ ოდნავ მოულოდნელი იყო ხოლმე ტროტუარებზე მოფუთფუთე ბრბო, შეტროს სადგურებს მიმწყდარი ხალხის ტალღა, მანქანებით გაჭედილი ქუჩები და სირენებისა და საყვირთა გამაყრუებელი ღმუილი.

ტაქსი მესუთე ავენიუსა და ოცდამეთოთხმეტე ქუჩის შესაყართან მიდიოდა და რიკარდოს მოეჩვენა, თითქოს შიგ ქაოსის შუაგულში ტრიალებდა (სადღაც წაიკითხა, რომ ემპაირ სტეიტის გარშემო ყოველდღიურად მიმოდის 90 ათასზე მეტი ავტომანქანა და დაახლოებით 300 ათასი ფეხით მოსიარულე).

ტაქსი ნელა იკვლევდა გზას მანქანების ოკეანეში. ბოლოს მძღოლმა მოახერხა და ას ორსართულიანი გიგანტური კოშკის მთავარი შესასვლელის წინ, ტროტუარის მარჯვენა მხარეს შეჩერდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ რიკარდო არსებული 74 ლიფტიდან ერთ-ერთით უკვე ცისაკენ მიექანებოდა.

უღრუბლო დღე იდგა. დაწესებული ხუთი დოლარი გადაიხადა და აუჩქარებლად შეუერთდა ტურისტთა ჯგუფს, რომელთაც დასათვალიერებელი მოედანი აევსოთ.

გიდმა საუბარი დაიწყო მსოფლიო ვაჭრობის ცენტრის შენობაზე, რომელიც მშენებლობის დამთავრების შემდეგ ემპაირზე მაღალი იქნება, და იმაზე, თუ მის ოთხმოცდამეათე სართულს უკვე როგორ შეასქდა გადამფრენ ფრინველთა გუნდი.

რიკარდო ყურს არ უგდებდა. ქალაქთან პირისპირ დარჩენა სურდა. აქედან, სიმაღლიდან. ნიუ-იორკი თითქმის ჰუმანური ჩანდა. შორიდან არ იგრძნობოდა ხალხის გულის ტკივილი, არ ჩანდა უფსკრული კლასებსა და რასებს შორის. არც ის ჩანდა, როგორ იბრძოდნენ არსებობისათვის ადამიანები მანჰეტენის ჭიანჭველების ბუდის არტერიებში. მხოლოდ პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩებით დაქსელილი უსასრულო რკინა-ბეტონის კარკასები ქსოვდნენ იმ ქსოვილს, რომელიც ჰუდზონიდან ჰარლემამდე და ბრუკლინიდან კუინზამდე გაშლილიყო.

მაგრამ რიკარდოს ნანახი ჰქონდა, იცოდა, რას წარმოადგენდა ეს

მფეთქავი მაგმა ქვემოთ; ამ ქალებსა და კაცებს შორის ცხოვრობდა. ბევრი რამ ნახა, ბევრი გადაიტანა. ალღო აუღო ამ სიბოროტის, თვითკმაყოფილებისა და შიშისაგან დაავადებული ქვეყნის მაჯისცემას.

პარკ-ავენიუზე დაახლოებით 4 საათსა და 40 წუთზე მივიდა. ანგარიში გაუსწორა ტაქსის მძღოლს, კიდევ ათი წუთი მოიცადა და ხუთს რომ ხუთი წუთი აკლდა, მეექვსე სართულზე ავიდა.

კარი გაუღო სან ჰილის მეუღლემ (როგორც ჩანს, ტელეფონზე ის პასუხობდა). ეულგარული სახე ჰქონდა და საშინაო ხალათში დონდლო მკერდი იკვეთებოდა. რიკარდო შინ შეიპატიჟა, სადაც მას დამწვარი მარგარინის მწარე სუნი ეცა ცხვირში.

რიკარდომ დაჯდომაც ვერ მოასწრო, რომ ოთახში სან ჰილი შემოვიდა. ჯმუხი კაცი იყო, ყასბის გარეგნობა და გ ფ ბ-ს სერჟანტის ხმა ჰქონდა. თუმცა, ამ საკითხში თავის თავის ერთგული გაბღდათ. სან ჰილი, მართლაც, პოლიტიკური პოლიციის სერჟანტად მსახურობდა და სენატორ ალიპიო კოლიასოს პირადი მცველი იყო. მან ყურადღებით წაიკითხა ორტისის სარეკომენდაციო წერილი რამონ სიერაზე (რიკარდოზე).

საუბარი საკმაოდ ძნელად აეწყო. იგი არ ენდობოდა სიერას, რომლის შესახებაც არასდროს არაფერი სმენოდა. სან ჰილი გულმოდგინედ სწონიდა ყოველ სიტყვას. რიკარდომ პირდაპირ წამოიწყო საუბარი მისთვის საინტერესო თემაზე (ორტისს სურს იცოდეს, მართალია თუ არა, რომ ბოკა დე პახაროს მთელი ეს ამბავი მაიამელი ჰაიმე ტორესის ხალხმა წამოიწყო). მაგრამ სან ჰილი არ წამოეგო ანკესზე.

— რატომ იფიქრა ლეონმა, რომ მე შეიძლება რაიმე ვიცოდე?

— არა, — საწრაფოდ მიუგო რიკარდომ, — მან, უბრალოდ, მთხოვა, თქვენ შეგხვედროდით. მინგოლო არტეაგასაც უნდა შევხვდე.

— დიახ, რასაკვირველია, — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა სან ჰილმა.

— კიდევ ერთი, — შენიშნა რიკარდომ. — მაიამში ფიქრობენ, რომ ოპერაცია ტორესმა მოიფიქრა და ჩაატარა.

— ტორესმა? — ცნობისმოყვარედ გაუმეორა კითხვა სან ჰილმა.

— სწორედ ასე ფიქრობენ, — კატეგორიულად დაუდასტურა რიკარდომ, — მაგრამ ტორესი უარყოფს.

— ლეონი რაღას ფიქრობს?

— აბა, რა ვიცი... — ჩანდა, რიკარდო ცდილობდა თავიდან აეცილებინა ამ საჩოთირო კითხვაზე პასუხი, — საბოლოოდ...

— რა საბოლოოდ? — დაჟინებით მოითხოვდა პასუხს სან ჰილი.

— სენიორ ორტისი ფიქრობს, რომ ყველაფერი ეს არტეაგას ხალხმა გააკეთა.

— არტეაგას? — სან ჰილმა გაიცინა. — ყური მიგდე, მეგობარო, უკანასკნელად მან ორმოცდათვრამეტში წაიმუშავა.

— მაშ, ვინ? — თითქოსდა გულუბრყვილოდ. ხელახლა ჰკითხა რიკარდომ. —ტორესის ხალხმა?

სან ჰილის ლაპლაპა სახეზე თითქოს ღიმილი გაკრთაო.

— მისტერ სიერა, თქვენ კარგად იცნობთ ტორესს?

— არა, სიმართლე გითხრათ, არც ისე. — წაიბუტბუტა რიკარდომ.

— მე კი ვიცნობ, სუსტია.

კარზე დააკაკუნეს.

— მე გავაღებ, — გასძახა სან ჰილმა ცოლს.

— მისტერ სან ჰილი აქ ცხოვრობს? — ღიმილით შეეკითხა ფილიპ პაველჩაკი.

— დიახ, — უპასუხა სან ჰილმა, და რიგრიგობით ხან ერთ, ხან მეორე აგენტს შეჰყურებდა.

— თქვენა ხართ?

— ვთქვათ, ასეა, — დამტვრეული ინგლისურით უპასუხა სან ჰილმა.

პაველჩაკს ტუჩებზე ისევ ღიმილი დასთამაშებდა. ჯიბიდან „მაგნუმის“ მარკის მსხვილკალიბრიანი პისტოლეტი ამოიღო და სან ჰილს შიგ შუბლში დაუმიზნა. ყოველივე ერთ წუთში მოხდა.

— ამ შეძთხვევაში, ცოტა უხდა გავისაუბროთ... სენიორ, — დაუმატა ესპანურად.

დიუკი ას დოლარს არ დაიშურებდა, ოღონდ მაიკლ ნორმანის თვალებში იოტისოდენა კმაყოფილება შეენიშნა იმ დროს, როდესაც წინა დღით სან ჰილის საქმეს ავალებდა. მაგრამ ნორმანმა თავის განზრახვა არ გამოამჟღავნა: ეს გარემოება ეჭვსაც არ იწვევდა. ახლა მოხუცი დიუკი მის ხელში აღმოჩნდა და იძულებულია ნორმანს გაენდოს, არადა, გული უწუხს.

საღამოს რვა საათია. დიუკი ზის თავის სახლის დარბაზში გოლდ

ტპრინგზე, მანჰეტენის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში. ტელევიზიით მრავალსერიან ფილმს უჩვენებენ კონტრდაზვერვაზე. დიუკის შვილიშვილები ტელევიზორის წინ ხტუხავენ. როცა ხედავენ, როგორ ჩხუბობს ამ სულელური ფილმის გმირი ჰარლემის შესახვევში მოსკოვის ოქროთი ნაყიდ ხუთ თუ ექვს ზანგთან.

მთელი დღის მანძილზე მერვე სიგარას უკიდებს. კვამლი მწარე ეჩვენება. არა, დიუკს არ სძულს ნორმანი. მაგრამ რატომღაც დარწმუნებულია, რომ ნორმანს სძულს ის, ანდა, უფრო მეტი — ეზიზღება კიდეც. მას არ სძულს ნორმანი, ისევე როგორც არ სძულს გველები ანდა ტარანტულები. ამგვარი ქმნილებები არავითარ გრძნობებს არ იწვევენ, მათ გაურბიხარ — მორჩა და გათავდა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ დიუკს არ შეუძლია ნორმანს გაექცეს. პირიქით, სჭირდება იგი.

სტიუარტი მუდამ ეჭვობდა, რომ ნორმანი სათვალთვალოდ მიუჩინეს. თუმცა, შესაძლოა, მთლად ასე არც იყოს. უბრალოდ, სამმართველოში ცუდი აზრი შეიქმნა ვეტერანებზე. უკეთეს შემთხვევაში, ისინი ერთგვარ უწყინარ, სამუზეუმო ექსპონატებად ჰყავდათ. ხუთ წელზე უფრო ნაკლები დროის მანძილზე სამმართველო ახალი თაობით აივსო. და ეს ახალი თაობა, უეჭველია, სულიერად გაცილებით მოქნილი აღმოჩნდა, უფრო სწორად — გაცილებით ცინიკური.

მაიკი და ცინიკოსი? უთუოდ უარესიც უნდა იყოს.

და მაიკ ნორმანის წაწვეტილი სახის გახსენებაზე დიუკს გააჟრჟოლა.

ეს ამბავი დიდხანს გაჭიანურდა.

რიკარდო პირქვე იწვა გაპრიალებული პარკეტის იატაკზე. ხელები ზურგს უკან ჰქონდა შეკრული აბრეშუმის ჰალსტუხით. მაგრამ მანამდე ერთ-ერთმა მოსულმა ბრაუნინგის ტარი სახეში ჩაარტყა.

„ეს ვინღაა“? შეეკითხა კაცი, რომელსაც ხელში „მაგნუმი“ ეჭირა და მკვდარივით გაფითრებულ სან ჰილს ოთახში უკან შეჰყვა.

„ეს წუთია მოვიდა“, — ძლივს გამოსცრა სან ჰილმა.

მეორემ ბრაუნინგი დაუმიზნა რიკარდოსა და სან ჰილის მიტკალივით გაფითრებულ ცოლს

„შენიანია?“ — ეკითხა „მაგნუმიანი“ კაცი და სან ჰილს საკარიბლისაკენ უბიძგა.

„მე მას არ ვიცნობ“, — უპასუხა მან.

„ოჰ, არ ვიცნობ!“ — უთხრა „მაგნუმიანმა“ კაცმა და ბრაუნინგიანისკენ შებრუნდა. — „ამბობს, არ ვიცნობო“.

„აბა, დაეგდე იატაკზე!“ — უბრძანა ბრაუნინგიანმა.

რიკარდოს შეპასუხება უნდოდა.

„დაეგდე იატაკზე ძაღლისშვილო!“ — დაუყვირა კაცმა და სახეში პისტოლეტის ტარი ჩასცხო.

რიკარდო მუხლებზე დაეცა, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. გატეხილი ცხვირიდან სისხლი წასკდა და იატაკი დასვარა.

„თოკი, ანდა, უარეს შემთხვევაში, ჰალსტუხი მომიტანე“, — უბრძანა ბრაუნინგიანმა კაცმა სან ჰილის ცოლს. ის იატაკზე მილურსმნულივით გაოგნებული იდგა, ფართოდ გახელილი თვალებით ხან სან ჰილს მისჩერებოდა, ხან მოსულებს.

„გააკეთე, რასაც გეუბნებიან“, — უბრძანა სან ჰილმა.

ქალი თავისდაუნებურად ოთახში შეეიდა.

„იცოდეთ, მისს, არაფერი გაბედოთ იქ“.

ქალი ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა, ხელში თეთრ-წითელი აბრეშუმის ჰალსტუხი ეჭირა.

ბრაუნინგიანმა კაცმა გამოართვა და რიკარდოს მიუბრუნდა.

„ შენ გეუბნებიან, სახით დაბლა!“

რიკარდო დამორჩილდა, სახე ეწვოდა და თავბრუ ეხვეოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგრძნო, რომ ზურგს უკან ხელები მაგრად გაუკრეს.

„შენთვის კი, აი, რა გვაქვს“, — უთხრა ბრაუნინგიანმა კაცმა სან ჰილს და წყვილი მაგნიტიანი ხელბორკილი ამოაძვრინა.

„შებრუნდი!“ — უბრძანა „მაგნუმიანმა“ კაცმა.

სან ჰილი შებრუნდა და ზურგს უკან ხელბორკილები დაადეს.

„თქვენ კი, მისს, — უთხრა ბრაუნინგიანმა კაცმა, — მომყევით“.

ქალმა წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ კაცმა ხელი უხეშად ჭკრა და ოთახში შეაგდო.

„რას უპირებთ?“ — ამოიოხრა სან ჰილმა.

„მშვიდად“,—გამოეხმაურა „მაგნუმიანი“ კაცი.

იქ, ბინის სილრმეში, ბრაუნინგიანმა ქალი საპირფარეშოში ჩაკეტა. შემდეგ კარზე დაუკაკუნა და შესძახა: „მხოლოდ კრინტი არ დააძრათ!ო, კეი“.

ქალი დუმდა.

„ჰოდა, კეთილი, — ამოიზმუვლა მან. — დავიწყოთ?“

ფრთხილად გააღო პატარა ჩემოდანი, რომელიც შემოსვლისას დივანზე დადო. იქიდან მაგნიტოფონი და ლს-140 შრატით სავსე ამპულები ამოიღო. შემდეგ, თითქოს ქირურგიული ოპერაციისათვის ამზადებსო. მაგნიტოფონი დადო სავარძლის გვერდით, რომლისკენაც „მაგნუმიანმა" კაცმა სან ჰილს უბიძგა და შპრიცის მოშზადებას შეუდგა.

„რას მიპირებთ?" — შეეკითხა სან ჰილი.

„შიშისაგან უკვე ჩაისვარა", — შენიშნა „მაგნუმიანმა" კაცმა.

„ყური მიგდე, — შეეკითხა ბრაუნინგიანი, რომელმაც უკვე შეაესო შპრიცი მოლურჯო სითხით, — ვინმე უნდა მოვიდეს აქ?"

სან ჰილმა არ უპასუხა.

„კარგი, — შენიშნა მან. — სიმართლეს მაინც არ მეტყვი, მაგრამ ასეა თუ ისე, თუ კარის გაღების ხმას გავიგონებ, თავს გაგიხეთქავ, გასაგებია?"

სან ჰილს ნემსი ვაუკეთეს. ისეთი შიში დაეუფლა, რომ მორჩილად მიუშვირა სხეული ნემსის გასაკეთებლად. ხარივით ტანი უცახცახებდა.

„ნუ მომკლავთ", — მხოლოდ ეს წაიჩურჩულა.

რიკარდო ოდნავ-შემოტრიალდა და შეხედა, რა ხდებოდა. დაინახა, როგორ დასხდნენ ისინი სან ჰილის პირდაპირ და გააბოლეს. აშკარა იყო, რაღაცას ელოდნენ, ალბათ, იმას, თუ როდის დაიწყებდა მოქმედებას ნარკოტიკი.

„ეს ძაღლი ხომ ნარკომანია! — წამოიძახა „მაგნუმიანმა" კაცმა. — ნამდვილად ნარკომანია. ალბათ, არც იმოქმედებს მასზე. ნამდვილად იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული".

„ეს სპილოსაც კი მოერევა". — გამოეხმაურა მეორე.

ვინ არიან? რიკარდოს თავში უტრიალებდა ეს კითხვა, სან ჰილს კი არა. ჰილმა იცოდა, ვინ იყვნენ ისინი. რადგან სწორედ ამ ჯგუფმა მოაწყო გასულ კვირას ბოკა დე პახარიოზე თავდასხმა სამმართველოს დაუკითხავად. ეს ორნი მხოლოდ ცსს-დან შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

უცებ სან ჰილს მოეჩვენა, რომ ბუზი უზის თავის ქალაში; რაღაც ბზუოდა, ოდნავ უღიტინებდა. სუნთქვა გაუძნელდა, სხეული ოფლით დაეცვარა.

ოთახმა, ავეჯმა — ყველაფერმა შეიცვალა ფერი და მოცულობა, შემდეგ კი...

მძიმედ და დიდხანს გრძელდებოდა ყოველივე. რიკარდომ მაშინვე შეიცნო შრატის მოქმედების სიმპტომები: სან ჰილი გაფითრდა, სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი, თვალები დახუჭა და თავი მკერდზე ჩამოუვარდა.

დაკითხვა დაიწყო.

მაგრამ მოსულებს გამორჩაო ერთი დეტალი — ნარკოტიკის მოქმედების შედეგად სან ჰილი კითხვებზე ესპანურად პასუხობდა.

საღამოს 9 საათი და 30 წუთია.

მაიკ ნორმანმა ჯინი შესვა და ფილტრიანი „ტარეინტონი" გააბოლა. კომპანია „პლეიბოის" კუთვნილ სასტუმრო „ფენიქსის" ბარში იჯდა. ნახევრად შიშველი, სუნამონაპკურები გოგონები, გრძელი, ხავერდის ყურებითა და საჯდომზე აბზეკილი კუდით, რომელთაც აქ „ბაქიებს" უწოდებდნენ, მაგიდებს შორის წინ და უკან მიდი-მოდიოდნენ.

თერთმეტ საათზე უკვე ეცოდინება, თუ მართლა სან ჰილია ის, ვისაც ეძებს. არადა მაშინ კიდევ ორნი არიან, მათი სახელები დიუკმა ჩაუწერა — მინგოლო არტეაგა და ტატიკა რომანო — „აქსიონ კუბასა" და „სამშობლო და მართლმსაჯულების" მეთაურები.

რა კარგი იქნება, სან ჰილი რომ აღმოჩნდეს. მაშინ დროს მოიგებს.

და, ნორმანს გაეცინა იმის გაფიქრებაზე. თუ რა სიურპრიზს მიართმევდა ბოლოს მობუც დიუკს.

— მგონი, მოვათავე საქმე,—უთხრა ბრაუნინგიანმა კაცმა.

სან ჰილს ეძინა, დივანზე კი იდო მაგნიტოფონის ორი ფირი, რომელზეც საკმაოდ საინტერესო საუბარი იყო ჩაწერილი.

ერთ-ერთი აგენტის ხმის გაგონებაზე (იმისა, რომელსაც ბრაუნინგი ჰქონდა?) რიკარდომ კბილი კბილს დააჭირა.

— ამას რაღა ვუყოთ?

— გაუხსენი ხელები, — უპასუხა მეორემ („მაგნუმიანმა?).—მომწონს ეს ჰალსტუხი.

რიკარდოს ტვინში ჩაებეჭდა სან ჰილის უთავბოლო აღსარების ყოველი სიტყვა და ახლა თითქოს ცეცხლითაა ამომწვარიო, სისხლში მის მაჯისცემასთან ერთად ფეთქდა, ჩაქუჩივით ურტყამდა ოთხი ასო: დაღი.

დამტვრეული ესპანური (ბრაუნინგიანი ლაპარაკობდა) მხოლოდ სან ჰილის დასაკითხავად კმაროდა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა გარ-

კვევით ვერ გაიგო ის, რაც მოისმინეს. მათ კი მოისმინეს (რიკარდომაც მოისმინა გულის ფანცქალით) ოპერაციის მთელი გეგმა, რომლის პირველი ნაბიჯიც გაკეთდა ბოკა დე პახაროზე, ხოლო ბოლო გაკეთდება ამ კვირას (ე. ი. ოთხი დღის შემდეგ) სენფუეგოსში.

— ადექი, — უთხრა ერთ-ერთმა.

რიკარდო ნელა წამოდგა. ცხვირზე სისხლი შეხმობოდა, ტუჩი გასივებოდა.

ბრაუნინგიანმა კაცმა ჰალსტუხის კვანძი გახსნა და რიკარდომ ხელები ჩამოუშვა.

— არ დაშმუჭნილა, სუფთა აბრეშუმია, — უთხრა კაცმა. — ლამაზი ჰალსტუხია.

რიკარდომ დაბუჟებული ხელები დაისრისა. ორივე მოსულმა მას დაუმიზნა.

— რომლისაგან დავიწყოთ? — იკითხა ბრაუნინგიანმა კაცმა და ჰალსტუხი გულის ჯიბეში შეინახა.

— მძინარე მზეთუნახავიდან, — უპასუხა „მაგნუმიანმა".

ჩემოდანთან მივიდა, შეინახა მაგნიტოფონი, ფირები, დარჩენილი ამპულები, შპრიცი კი ჯიბეში ჩაიდო. მერე დაახლოებით ათი სანტიმეტრის სიგრძის ლითონის პატარა მილი ამოიღო და თავისი „მაგნუმის" ლულას ნელა ჩაახრახნა.

— მზადაა, — მან გაიღიმა და სან ჰილისაკენ მიბრუნდა.

რიკარდოს არ გაუგონია გასროლის ხმა, მხოლოდ დაინახა, როგორ ერთბაშად მოიკრუნჩხა სან ჰილის სხეული და უკან გადაწვა სავარძლიანად, რომელშიც იჯდა. მაშ ასე, მისგან ორი მეტრის მოშორებით უსულოდ ეგდო ტყვიით თავგახვრეტილი საბრალო დონდროხი კაცი. კედლებსა და ნოხზე შედედებული სისხლი და ტვინის შხეფები იყო მოფანტული.

— შემდეგი, — თქვა „მაგნუმიანმა" კაცმა.

რიკარდომ პირდაპირ თვალებში შეხედა, მაგრამ „მაგნუმიანს" უაზრო თვალები ჰქონდა.

დავიღუპო?

აი ასე, სწორედ ასე უნდა მოკვდეს ახლა ნიუ-იორკის ვესტ-საიდის ბინაში? ყველაზე საშინელი ისაა, რომ ის მოკვდება არა როგორც რიკარდო ვილია და თავისი საქმეებისათვის კი არ აგებინებენ პასუხს, არამედ აქ, ამ ბინძურ ჩხუბში მოკლავენ, როგორც სან ჰილის თანამოაზრეს, ხოლო ვალტერი ვერასოდეს გაიგებს „დაღის" ამბავს.

რიკარდო თვალდაუხამხამებლად ელოდა გასროლას.
და სროლა გაისმა.

საღამოს 10 საათი და 25 წუთია.

ნორმანმა მესამედ მოითხოვა ტონიკიანი ჯინი და ისევ იმ ქერათმიანმა „ბაჭიამ“ მოუტანა, რომელმაც ორი ჭიქა მოართვა. ჭიქაზე დახატული იყო სხვა ქერათმიანი „ბაჭია“, ოღონდ მთლად შიშველი.

ქალიშვილი სავსე ჭიქის დასადგმელად და ცარიელის ასაღებად მაგიდაზე დაიხარა. ნორმანი ნაცრისფერი თვალებით მიაშტერდა.

— მინახიხარ სადმე? — სერიოზულად შეეკითხა ის.

— ჟურნალი „პლეიბოი“, მარტის ნომერი, ფერადი გარეკანი.

— იქ გაცილებით შიშველი ხარ, ვიდრე აქ.

— ჰო, დიახ, სერ, გაცილებით შიშველი.

ზურგი შეაქცია და თეძოების რხევით გასცილდა.

ის ფეხზე მდგარი მოკვდა.

ტყვია ზურგში შევიდა და გული გაუგმირა.

კრინტი არ დაუძრავს, არ დაუკვნესია, ისე დაეცა იატაკზე.

ბრაუნინგიანი კაცი შებრუნდა და ნამდვილი პროფესიონალივით ორჯერ გაისროლა. პირველი ტყვია კედელში შეერჭო, მეორე სან ჰილის ცოლს მხარში მოხვდა და ზედ სისხლიანი ყვავილი გაიშალა.

რიკარდომ ყველაფერი ისე დაინახა, თითქოს შენელებულ კინოკადრს უყურებსო.

აი, ქალი გამოდის ოთახიდან. ღმერთმა უწყის, როგორ გამოაღწია საპირფარეშოდან, სადაც ჩაჰკეტეს; ორივე ხელით ძლიეს სწევს მაღლა პისტოლეტს, ალბათ, სან ჰილის პისტოლეტია — და ისვრის. რიკარდოს ესმის ტკაცანი და იატაკზე ეცემა ტყვიით განგმირული „მაგნუმიანი“ კაცი.

შემდეგ შემობრუნდება ის, ბრაუნინგიანი, ორი გასროლა და სან ჰილის ცოლი ნოხზე ეცემა.

მაგრამ ბრაუნინგიანი კაცი ვერ ასწრებს რიკარდოსაკენ კვლავ შებრუნებას. უხმოდ, კარატეს მკვეთრი დარტყმით ძირს ვარდება. კაცმა გონება დაკარგა.

რიკარდო ცოტა ხანს იდგა, ცდილობდა გონება მოეკრიბა, ჩაცუცქ-

და, ჩემოდანი გააღო და ჩაწერილი ფირები ამოიღო. შემდეგ მოკლულს ხელიდან „მაგნუმი" აართვა, იატაკზე უგონოდ გაშოტილ კაცთან მივიდა და ლოყებზე ღონივრად გაუტკაცუნა.

კაცმა ნელა გაახილა თვალები და, ცხვირიდან ერთ სანტიმეტრზე, ხმის საბშობის გრძელი, შავი ლულა დაინახა და დენთის სუნი იგრძნო.

— ვინა ხარ? — შეეკითხა რიკარდო.

კაცი დუმდა.

რიკარდომ რევოლვერი დაუმიზნა:

— შენ გეკითხებიან, ბილწო, ვინა ხარ? — კბილებში გამოსცრა მან.

— ცსს-დან, — ამოღერღა და ყელში გაჩხერილი გუნდის გადაყლაპვა სცადა.

— სტყუი!

— ვფიცავ!

— რა საქმე გქონდათ სან ჰილთან? რატომ მოხდა ყოველივე ეს? — კვლავ შეეკითხა რიკარდო.

აგენტი ფართოდ გახელილ თვალებს არ აცილებდა „მაგნუმის" ლულას.

— არ ვიცი. ბრძანებას ვასრულებდი.

— სტყუი, იცი.

— ვფიცავ, არ ვიცი.

რიკარდომ რევოლვერის ლულა კაცს პირში ჩასჩარა.

— არ ვიცი, — ისევ წაიბუტბუტა. მისი სიტყვების გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. დენთის მწარე გემო ენას სწვავდა.

— დამიმტკიცე, რომ ცსს-დან ხარ, — შეცვალა საუბარი რიკარდომ.

— შრატი, — ძლივს წარმოთქვა მან.

რიკარდომ პირიდან რევოლვერის ლულა გამოუღო.

— მერე რა, რომ შრატი. ლსდ. სხვა სულელი მოძებნე...

— ეს ლსდ კი არა, ლს-140-ია, ასეთი მხოლოდ ცსს-ს აქვს.

რიკარდო კვლავ სახეში უმიზნებდა. მეორე ხელით ჩემოდნიდან ამოიღო ლითონის კოლოფი, რომელშიც ორი ამპულა დარჩენილიყო და სწრაფად დახედა, მართლაც ლს-140-ია. არცთუ კარგად ესმოდა ტოქსიკოლოგია. ნეტავ სიმართლე თქვა ამ ტიპმა?

— ვინა ხარ?

— მილტონ კაუფმანი, — იცრუა კაცმა.

— გაქვს რაიმე საბუთი? მოწმობა? ბოლოს და ბოლოს, საფულე მაინც?

— მხოლოდ ცხვირსახოცი და ცოტაოდენი ფული, როგორც ყოველთვის. თუ გინდათ შეამოწმეთ

რიკარდომ გაიფიქრა, საეჭვოა, აგენტი ჯიბეში ცსს-ს მოწმობით დასეირნობდეს.

— კარგი, — უთხრა და ფეხზე წამოდგა.

კაციც წამოდგა. კანკალებდა და სახეს ხელებში მალავდა.

— ნუ კანკალებ, — უთხრა რიკარდომ. — შენს ბოკვლას არ ვაპირებ. თუ, რასაკვირველია, უკან არ გამომყვები დერეფანში, გასაგებია?

მან ნელ-ნელა დაიხია გასასვლელი კარისაკენ. აგენტს ისევ სახეზე ჰქონდა ხელები აფარებული.

რიკარდომ კარი გაიღო და მიაძახა:

ხუთ წუთზე ადრე თუ გამოხვალ, სიცოცხლეს დაემშვიდობე.

კარი მიხურა, ჰოლში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მეექვსე სართულიდან სირბილით დაეშვა.

საათმა 10 საათი და 30 წუთი დარეკა. ლეიტენანტმა სარდუმ თავის კაბინეტში სინათლე ჩააქრო და სახლში წასასვლელად მოემზადა.

დღის განმავლობაში ძალზე დაიღალა და უნდოდა ცოტა დაესვენა. კარი გაიკეტა და ლიფტისაკენ გაემართა.

ხუთი წუთის შემდეგ ლეიტენანტი უკვე ქუჩაში იყო. ნახევარი კვარტალის იქით მისი „ფოლკსვაგენი“ იდგა.

სამოცი კილომეტრის სისწრაფით წავიდა დასახლება ბატუას მიმართულებით, სადაც მისი სახლი იყო.

„როგორ გარბის დრო!“ — გაიფიქრა.

დიახ. დრო ძალზე სწრაფად გადის. ხუთი წელი — ეს ბევრიცაა და ცოტაც. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გესმის ცხოვრების აზრი, რამდენი გააკეთა ადამიანმა, როგორ გამოიყენა ბოლომდე ყოველი წამი, რა შეიძინა, რა დაკარგა. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ხუთი წელი რიკარდო ვილიასათვის მარადისობად უნდა ჩაითვალოს. ნეტავ, თუ შეიცვალა? ფუჭი კითხვაა. ისინი ხომ არ იცნობენ ერთმანეთს. მან რიკენესთან ერთად დაიწყო სამსახური მაშინ, როდესაც ბრუნო უკვე მთელი წლის მანძილზე აწარმოებდა თავის გადაცემებს. ის იცნობს იმ ბრუნოს, რომელიც მისთვის მხოლოდ ციფრთა

რიგია, მაღალი სიხშირის სიგნალი, უძვირფასესი ინფორმაცია მაიამში კონტრრევოლუციის მოქმედების თაობაზე.

ეს იყო ბრუნო.

მაგრამ მის უკან იდგა კაცი, მისი კონკრეტული სახე, მისი გიგანტური თავგანსწირვა. მის უკან იდგა საშინლად დაძაბული ნერვები, ხმა, გული ამხანაგისა, რომელიც თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა. მის უკან იდგა რიკარდო ვილია, რომელიც არასდროს ენახა.

მისი ფოტოსურათიც კი არ ენახა. არაფერი იცოდა წარსულზე. მუშაობის განაწილების ბუნებრივი ლოგიკური სისტემა არ ვარაუდობდა რიკარდო ვილიასთან პირად ნაცნობობას. ეს მისი ნამდვილი სახელია? არც ამაშია დარწმუნებული. მისთვის, უბრალოდ, ბრუნო არსებობდა.

მაგრამ ის კაცი იქ, შორს — კოსმონავტივით მარტოხელა მდუმარე სივრცის უსასრულო სიცარიელეში — უსახელო მებრძოლია, და მხოლოდ მაღალი სიხშირის სიგნალებით როდი არიან დაკავშირებულნი. მათ ანათესავებთ გამარჯვების ერთიანი რწმენა, ერთიანი სიყვარული იმ მიწისადმი, სადაც დაიბადნენ, ერთიანი სიყვარული სისხლისა, რომელიც იმისათვის დაღვარეს, რომ ამ მიწაზე ოდესმე ირბინონ და თავისუფლად ითამაშონ კომუნიზმის თავისუფალმა შვილებმა.

კვირიდან კვირამდე ისმენდა ეთერიდან მოღწეულ სიგნალებს. მაშასადამე, ბრუნოს პულსი ცემს, გული ძგერს. თუ სიგნალები შეწყდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრუნომ სიცოცხლე გაწირა, და მაშინ მასში, რუდოლფო სარდუიშიც რაღაც მოკვდება. დაღვრილმა სისხლმა დააძმობილა ისინი.

ურღვევია დაღვრილი სისხლის კავშირი.

...თავისდა შეუმჩნევლად აწეებოდა აქსელერატორს, და მისი „ფოლკსვაგენი" სულ უფრო სწრაფად მიქროდა კინტა ავენიდაზე.

უცებ. თითქოსდა მკვეთრი ბიძგისაგან, გაქრა ტკბილი შეგრძნება ძალაუფლებისა, რომელიც „ფენიქსის" ბარში დაეუფლა. ახლა მაიკ ნორმანის გული საშინელი სიბრაზისა და უსასრულობის შემაძრწუნებელი, აუტანელი გრძნობისაგან სკდებოდა. აქ, სასტუმროს ჰოლში, მის წინ იდგა ჩარლი მელტონი და უამბობდა, რომ სან ჰილი მარილა მოკლეს, მაგრამ მოკლეს სან ჰილის ცოლიც და, რაც მთავარია, პაველჩაკი — ყველანი ლამაზად გაიშხლართნენ ნოხზე პარკ-ავენიუზე

მდებარე ბინაში. ისიც უაბო, რომ ვიღაც უცნობი ბკვლელობის მოწმე გახდა და — წრინდაო უფალო! — წაიღო ფირი სან ჰილის მონაყოლით.

ნორმანს თხელი ტუჩები უორთოდა, ხოლო გაფითრებული ხელებით ნერვიულად ჩასჭიდებოდა საკარძლის სახელურებს.

სასწორი საშიშრად იხრებოდა დიუკის მხარეზე.

თუმცა შიგ შუბლში დამიზნებული „მაგნუმის“ ლულის მოგონება ზარავდა, ჩარლიმ ოდნავ გაიღიმა:

— მე მას ფოტოსურათი გადავუღე.

— ეს როგორღა მოახერხე? — კბილებში გამოსცრა ნორმანმა.

— ყველას გადავუღე სურათი. ჩემმა „მიკროროლექსმა“, სულ ცოტა, ათი სურათი მაინც გადაიღო.

და ჩარლიმ სახე ხელისგულებში დამალა, ისევე როგორც მაშინ, ოთახში, როცა ერთ ხელში რევოლვერითა და მეორეში ფირით რიკარდო გამოჩნდა. და მართლაც, ნორმანმა ცხადლივ დაინახა, როგორ მიშტერებოდა თვალებში საათში ჩადგმული მიკროკამერის ობიექტივი.

ფეხზე წამოხტა.

—წავედით!

ჭუჩაში გავარდა, ჩარლი უკან გაჰყვა.

რიკარდო სასტუმროში ნახევარი საათიც არ დაყოვნებულა; მხოლოდ ჩემოდანი ჩაალაგა, ანგარიში გაასწორა და კენედის აეროპორტში წასასვლელად ტაქსი მოძებნა.

აეროპორტში მივიდა ღამით, პირველს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მაგრამ პირველი თვითმფრინავი მაიამში მხოლოდ დილის ექვსზე მიფრინავდა. როგორ მოიქცეს? ყველაფერი ცუდად აეწყო. ნიუ-იორკში ერთი წამითაც არ შეიძლება დარჩენა. იქნებ მანქანა დაიჭიროს და გზატკეცილით წავიდეს მაიამში? არა. ეს ძალიან ბევრ დროს დააკარგვინებს. ნიუ-იორკიდან რომელიმე სხვა ქალაქში მიმავალ რეისზე რომ აიღოს ბილეთი და იქიდან გაფრინდეს მაიამში?

მაგრამ სან ჰილის მკვლელები თუ მართლაც ცსს-ს აგენტები არიან, მაშინ უკვე დაგებული ექნებათ გზებზე მისთვის ხაფანგები. იქნებ, ყველაზე კარგი იყოს ის, რაზედაც ეპვს ვერ აიღებენ, ეს ოთხი საათი დარჩეს ნიუ-იორკში და ექვსსაათიანი რეისით გაფრინდეს მაიამში.

ასეც გადაწყვიტა. ბილეთი აიღო, შემდეგ აეროპორტის გაჩერებაზე ტაქსი დაიჭირა.

„კიდევ ოთხი საათია ჩემს განკარგულებაში".

— საით? — შეეკითხა მძღოლი.

— ისეთ ადგილზე წამიყვანეთ, სადაც კარგად დავნაყრდები.

პარასკევი

2 საათსა და 30 წუთზე ჩარლი მელტონის მიკროკამერით გადაღებული სურათები უკვე გაამჟღავნეს. 3 საათსა და 10 წუთზე ამომხსნელ-გამომთვლელმა მოწყობილობამ ფოტოსურათზე აღბეჭდილი სახის ნაკვთებიდან გამომდინარე კოდი გამოსცა. 3 საათსა და 20 წუთზე ცენტრალური დოსიეს ანალიზატორებმა იპოვეს რიკარდო ვილია სოლანას დოსიე. 3 საათსა და 25 წუთზე ეს დოსიე უკვე მიიღეს ი ბ მ ფოტოტელეგრაფის მოწყობილობაზე. 3 საათსა და 30 წუთზე შერატონის მეხუთე სართულზე მიღებულ იქნა ოცდაექვსი სწრაფი სიგნალი, რომელიც შეეფარდებოდა დოსიეს ოცდაექვს გვერდს. 3 საათსა და 50 წუთზე ნეგატივები გაამჟღავნეს, ხოლო 4 საათსა და 14 წუთზე მესამე სართულის პატარა სპეცკაბინეტში მაიკ ნორმანი ფირის გამტაცებელი კაცის დოსიეს ფურცლავდა.

რიკარდო ვილია სოლანა. იგი დოსიეში წარმოდგენილი იყო როგორც მაიამსა და კი ვესტში ანტიკასტროულ მოქმედებებთან დაკავშირებული კაცი, და ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის უაქტიესი პროპაგანდისტი. 1968 წლიდან მოყოლებული ხაიმე ტორესის უახლოესი თანამშრომელია. სოლანა მაიამში გამომცემლობის „დაიმონდ ენდ მეიერის" მთარგმნელი იყო და ესპანელი და ესპანელ-ამერიკელი ავტორების პუბლიკაციებზე მუშაობდა. გარდა ამისა, ამ გამომცემლობის სტამბაში, ფლორიდაში, გამოდიოდა ხაიმე ტორესის მლიქვნელის—გუსტავო მონტესის გაზეთი „ალერტა". ვილია სოლანას ნიშნები: 32 წლისა, სიმაღლე 1 მეტრი და 90 სანტიმეტრი, წაბლისფერი თმა, თაფლისფერი თვალები...

მაიკ ნორმანმა თავის „ტარეიტონს" მოუკიდა და კვლავ რიკარდოს ფოტოსურათების თვალიერებას შეუდგა დოსიედან — ორი 1965 წელს იყო გადაღებული სამსახურებრივი მოწმობისათვის, დანარჩენი ჩარლიმ გადაუღო მიკროკამერით. ამ ბოლო სურათებზე (თავადაც არ

იცოდა, ისე) პირდაპირ ობიექტივში იყურებოდა და მარცხენა ხელში სახშობიანი „მაგნუმი“ ეჭირა.

მაინც რას აკეთებდა ეს ვილია სოლანა სან ჰილის სახლში? ჩარლი ამტკიცებდა, სან ჰილი მე და პაველჩაკს გვარწმუნებდა, არ ვიცნობო. მაშინ რაღა გამოდის?

მაგრამ ეს ვილია სოლანა გაიქცა, ფირიც წაიღო, და ამიტომ უნდა მოიძებნოს. ნორმანმა საათს შეხედა: 4 საათი და 20 წუთია. ნეტავ ჯერ კიდევ ნიუ-იორკშია სოლანა, თუ უკვე გაფრინდა მაიამში?

ყურმილი აიღო და ტელეფონისტ ქალს კენედის აეროპორტთან შეერთება სთხოვა. ორი წუთის შემდეგ მან უკვე იცოდა, რომ დილის ექვს საათამდე მაიამის რეისები არ იყო.

— მისს, როდის გაფრინდა ბოლო რეისი მაიამში? — ჰკითხა ქალიშვილს, ინფორმაციის განყოფილებაში რომ მუშაობდა.

— ერთი წუთით, გეთაყვა.

ქალიშვილმა სწრაფად შეამოწმა განრიგი და უპასუხა:

— 22 საათსა და 40 წუთზე, სერ.

— გმადლობთ.

ნორმანმა ჩარლი მელტონის ბინის ტელეფონის ნომერი აკრიფა. ყურმილი სწორედ მან აიღო.

— ნორმანი ვარ.

ჩარლი ოდნავ გაპოცოცხლდა.

— გისმენთ.

— რომელ საათზე გაიქცა ის ტიპი იქიდან?

ჩარლი მელტონს ათიოდე წამი დასჭირდა იმის გასააზრებლად, რომ „ის ტიპი“ — ისაა, ვინც ფირიანად გაიქცა; ხოლო „იქიდან“, ნიშნავდა — სან ჰილის ბინიდან.

— ვფიქრობ, თერთმეტის შემდეგ.

— ფიქრობ თუ დარწმუნებული ხარ?

— არა, დარწმუნებული ვარ, — არცთუ დარწმუნებით უპასუხა ჩარლიმ.

— კეთილი, დამელოდე ტელეფონთან. ათიოდე წუთის შემდეგ ხელახლა დაგირეკავ.

და დაუმშვიდობებლად დადო ყურმილი.

კიდევ ერთი შესაძლებლობა რჩებოდა. ისევ დარეკა აეროპორტში და ინფორმაციის სამსახურთან შეერთება სთხოვა.

— მისს, — რამდენადაც შეეძლო ნაზად და დაყვავებით მიმართა, — ხომ ვერ მეტყვით, ფლორიდაში, მაიამში, 22 საათსა და 40 წუთზე მიმავალ რეისზე ბილეთი ხომ არ აუღია ვინმე რიკარდო ვილია სოლანას? იცით, საქმე ისაა, რომ მე დაზღვევის აგენტი ვარ და... თუმცა, ეს გრძელი და მოსაწყენი ამბავია. ხომ არ დამეხმარებოდით ჩემი კლიენტის მოძებნაში?

— ერთი წუთით, გეთაყვა.

გოგონამ ლოყით დაიჭირა მხართან ყურმილი და მეორე ტელეფონით ცენტრალურ სალაროში დარეკა. ორი წუთის შემდეგ ნორმანმა მიიღო პასუხი:

— მგზავრთა სიაში არავითარი რიკარდო სოლანა არ არის, სერ.

—გმადლობთ, მისს.

— მზად ვარ გემსახუროთ, სერ.

ნორმანმა ყურმილი დადო. მაშ ასე, მომავალი თამაშისათვის მის ხელთაა რამდენიმე კარტი: ერთი — რიკარდო ვილია არ წასულა ნიუ-იორკიდან, მაგრამ წავა ექვსი საათის რეისით; მეორე — ის დედაქალაქს დატოვებს ორი-სამი დღის შემდეგ, შესაძლოა მომავალ კვირასაც კი; მესამე — სხვისი გვარით გაფრინდა 22 საათი და 40 წუთიანი რეისით (თუმცა, ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ეს ნაკლებ სავარაუდოა, ვინაიდან, პარკ-ავენიუდან აეროპორტამდე ერთი საათის სავალია, ჩარლზი კი ირწმუნება, სოლანა სან ჰილის ბინიდან თერთმეტი საათის შემდეგ გავიდაო); მეოთხე — ის ჩაჯდა სადღაც სხვაგან მიმავალ თვითმფრინავში; მეხუთე — ნიუ-იორკიდან ავტობუსით ან ავტომანქანით გავიდა.

პირველ შემთხვევაში ყველაფერი ნათელია; საკმარისია ექვს საათზე შეხვდე მას აეროპორტში და მთელი სულითა და გულით შესთავაზო გასეირნება. მეორე შემთხვევაში — საქმე რთულდება, რადგან უნდა ეძებო მთელ ნიუ-იორკში, რაც არც ისე იოლია დიუკის ანდა თვით კაპლანის ნებართვის გარეშე, ვინაიდან ამისათვის საჭირო იქნება დიდი რაოდენობით ხალხის მობილიზება. რა თქმა უნდა, რჩება, ასე ვთქვათ, პასიური მოქმედების გზაც: აეროპორტში მორიგეობის დაწესება. მაგრამ, თუ ეს სხვა მიმართულების რეისით ანდა მანქანით

წავიდა? მესამე და ბებუთე შემთხვევაში ძიგ მაიამში უნდა ექეგბონ.

მან საწერ მაგიდაზე მდგარი ალუმინის საფერფლის ფსკერს მაგრად მიასრისა სიგარეტი.

რა გაეწყობა, ბოლოს და ბოლოს, ის არაფერს კარგავს, თუ ჩარლის აეროპორტში გაგზავნის და...

თითქოს საფერფლემ მიიპყროო მისი მზერა. თვალები გაუბრწყინდა, ტუჩები ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაუპო. თუმცა, რატომაც არა? კვლავ აეროპორტის ცნობათა ბიუროში დარეკა. ქალის იმავე ხმამ უპასუხა:

— დილა მშვიდობისა, ცნობათა ბიუროა.

— ერთხელ უკვე დაგირეკეთ და მაიამისკენ მიმავალი რეისების შესახებ ვიკითხე, — ყოველი შემთხვევისათვის, ენის ბორძიკით ლაპარაკობდა, — იცით, საქმე ისაა, რომ ვერაფრით ვერ მოვძებნე ჩემი კლიენტი რიკარდო ვილია სოლანა... მგონი უკვე აგიხსენით, რომ ლაპარაკია ქონების დაზღვევის პოლისზე... მესმის, გაწუხებთ... მაგრამ ხომ ვერ მეტყოდით... ესე იგი, ძალზე ძნელია იმის გაგება, შეუკვეთა თუ არა მისტერ ვილიამ მაიამში მიმავალ ექვსსაათიან რეისზე ბილეთი?

— კიდევ ერთხელ გამიმეორეთ, გეთაყვა, გვარი.

— რიკარდო ვილია სოლანა. რიკარდო, რიჩარდ, სოლანა. კეტყვით ასოებით: ს, ო, ლ, ა, ნ, ა.

— ერთი წუთით.

ხორმანი მოუთმენლად ითვლიდა წამებს. თავით მხართან დაიჭირა ყურძილი, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და მაგრად მოქაჩა. ერთხელ, ორეულ...

— სერ? — ბოლოს გაისმა ყურმილში:

— დიახ, დიახ!

— არის, სერ. მისტერ რიჩარდ ვილია სოლანა: რეისი 505, მაიამში მიმავალი, გადის დილის ექვს საათზე.

— რა ბედნიერებაა! — წამოიძახა ხორმანმა.

— მოხარული ვარ, სერ, რომ შევძელი თქვენი დახმარება, — უპასუხა ქალიშვილმა.

ხანირობა დაიწყო.

ნაწილი II

წლები

...და კომუნისტის უდრეკი გმირობა...

მაიამი, ფლორიდა. რიჩმონდის შტატი — სამხრეთ-დასავლეთით, ბისკაის ყურე — აღმოსავლეთით. კიდევ რა? ქალაქის ცენტრში ფლედ-შლერსტრიტი ებჯინება 47-ე აქენიუს. ფლედშლერი — ქალაქის სამხ-რეთ ნაწილის სასიცოცხლო არტერიაა: საღამოობით და მთელი ღამე შუქრეკლამის მრავალფეროვანი სხივებით განათებული ფართო, პირ-დაპირი ქუჩა. ღრუბლოვანი რეზინის ცენტრი მარცხ-ნივ მდებარეობს, ვილი ტემპლის მოტოციკლების კომ-პანია—მარჯვნივ; მარცხნივ—სესხი 30-დან 600 დოლარამ-დე (ოღონდ ხელი მოაწერეთ); მარჯვნივ — შოლტცის სადაზღვევო სააგენტო; მარცხნივ—მაიამელი ოსტატე-ბი (დიდად საიმედო); მარჯვნივ — პიკს — საცეკვაო აკა-დემია. აკრობატული ბალეტი; თანამედროვე ჰა-ვაიური ჯაზი; მზიური სტილი; მარცხნივ... ბანკები, სადაზ-ღვევო სააგენტოები, დამკრძალავი ბიუროები, ფეხსაცმლის მაღაზიები, კინოთეატრები, ბარები, გარაჟები, კაბეულის დუქნები, რესტორნები, ფოტოსტუდიები, დისკოთეკები. მაგრამ. უპირველეს ყოვლისა, ფლედ-შლერზე ჩამწკრივებულია მაიამის ყველაზე დიდი მაღაზიები — კრე-სის, ბერდეინის, ბეიკერის, რიჩარდის. ფლედშლერი. ამ გაწკრიალებულ ქუჩაზე მთელი დღე-ღამის განმავლობაში დაეხეტებიან ემიგრანტი-კუბელები. გაოცებისაგან თვალები შუბლზე ასვლიათ, გამალებით უცემთ გულები, პირდაღებულებს ხან — აჰ! ხან უნებური — ოჰ! აღმო-ხდებათ; ცხვირები მოუჭერიათ ბერდეინის ვიტრინებისათვის, სადაც გამოფენილია ძვირფასი ბეწვეული, თვალისმომჭრელი ტანისამოსი (მოდის უკანასკნელი გამოძახილი), საუცხოო ფეხსაცმელი. დეკორატო-რების მიერ კარგადაა განლაგებული ლურჯი, მწვანე, ყვითელი პლაფო-ნები, რომელნიც ხაზს უსვამენ ლაქის პრიალს და ელფერს მატებენ აბრეშუმის მომხიბლავ ელვარებას. ფლედშლერზე განლაგებული ვიტ-რინების თვალიერება ერთ-ერთი ხელმისაწვდომი გართობაა კუბე-ლი ემიგრანტებისათვის, რომელთაც დღემდე ვერ უშოვიათ სამუშაო და არსებობენ იმ სამოცი დოლარით, რასაც კუბელი ემიგრანტების

სამუშაოზე მოწყობის ცენტრიდან ყოველთვიურად იღებენ დახმარების სახით. მათი თავშესაფარია მდინარის ნაპირას არსებული ნესტიანი პატარა ოთახები ანდა ის კვარტალი, რომელსაც ვიღაცამ არცთუ ღვარძლიანი იუმორის გარეშე „სამოთხე" უწოდა. ცარიელ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი კაცები დაძაბუნებული ქალების თანხლებით დაბორიალებენ ფლედშლერზე, რათა გაუთავებლად უცქირონ, თვალი გაძღონ ფირსაკრავებით, სამზარეულოს ჭურჭლეულობით, მაცივრებით, სხვადასხვა იარაღით, სპორტსაქონლით, ჭურჭლის სარეცხი მანქანებით, კოსმეტიკით, ნოხებით, ხელოვნური ყვავილებით, საათებით, ავეჯით, მოტორიანი ნაკეებით, ფარდებით, პალტოებით, სათამაშოებით, ავტომანქანებით, სარეცხი ფხვნილებით, კონსერვებით, მოტოციკლებით, ქალის ხელჩანთებით, იოცნებონ ნივთთა ამ სამყაროზე, რომელიც შექმნილია ყოველგვარი კომფორტისათვის, ყველანაირი გემოვნებისათვის, ყოველი საათისათვის, ყოველგვარი მოხმარებისათვის, ნებისმიერი ფინის დასაკმაყოფილებლად. აქაა ნაირ-ნაირი შეფერილობის, ფორმის, მოცულობის ნივთები, რომლებიც გაკეთებულია პლასტმასისაგან, მინისგან, თიხისგან, ალუმინისგან, ხისგან, ოქროსგან, თაბაშირისგან, ვერცხლისგან, ფოლადისგან, ქრომისგან, ტყავისგან, პლატინისგან, თუნუქისგან, მატყლისგან, ბრინჯაოსგან, თუთიისგან, კაუჩუკისგან. ნივთები, რომ მათზე შედგე, დაწვე, დაჯდე, დაიბანო მათში, იძინო მათზე, გაიღვიძო, იმხიარულო, დათვრე, გადაიფარო. ნივთები ხელისთვის, ფეხისთვის, თმისთვის, სახისთვის, ყურისთვის, თვალისთვის, ზურგისთვის, სექსისთვის, ტუჩისთვის, მტვრევადი, გამძლე, მუდმივი, წუნდებული ნივთები. ნივთები, რომელთაც უნდა უსმინო, გასინჯო, იყნოსო, შეეხო.

ნივთები, რომელთაც არა მარტო ყიდიან, არამედ აქირავებენ კიდეც, ყიდიან კრედიტით, ათამაშებენ ლატარეაში, ცვლიან. მაყურებელთა უკან (ვიდრე თითები მცირეოდენ ხურდასა და ორ-სამ დაჭმუჭნილ დოლარს მოისინჯავენ ჯიბეში) ქვაფენილზე მისრიალებენ ანდა მიქრიან იმათი მანქანები, ვინც ყოველივე ამას ყიდულობს. ყველა მარკის, ფერის, ღირებულებისა და მოცულობის მანქანები. საჭეს უზის ფლორიდელი, რომელიც ზიზღიან მზერას შეავლებს პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე საჭიროების ნივთებით სავსე ვიტრინებზე დახრილ ზურგებს.

დიახ, მაიამი, ფლორიდა. სწორედ აქ მოვედი დანჯღრეული პატარა ნავით ფითქმის ერთკვირიანი დრეიფის შემდეგ 1964 წლის 12 მარტს.

1957 წლის აპრილის გაფიცვიდან სამი დღის შემდეგ სახლიდან წამოვედი და სამუშაო მივატოვე. მოხუცმა ასი პესო მომცა, და ბენხუმედის ქუჩაზე მდებარე პანსიონში პატარა ოთახი ვიშოვე. ამით შევძელი თავის გადარჩენა. ჩვენი უჯრედიდან ბევრი დახოცეს; ზოგი დაიმალა, და მხოლოდ ნაწილმა შეძლო სიერა-მაესტრაში გაღწევა. ჰავანაში ხუთიოდე თუ დავრჩით და ჩვენც გამუდმებით დაგვეძებდა პოლიცია.

მაშინ ლავასტიდამ შეძლო აჯანყებულთა არმიაში ჩემი გამგზავრება. სხვა გამოსავალი არ მქონდა. ერთხელ, სამშაბათს, მან მითხრა: ამ პარასკევს მამაჩემის სატვირთო ავტომანქანით სანტიაგოში წავალთ. წავიღებთ მცირეოდენ ტვირთს: შვეიცარულ საათებსა და ქსოვილების ნიმუშებსო. თითქოსდა იმისათვის მივდიოდით, რომ საათები და ნაჭრები სანტიაგოს, ოლგინესა და ტუნასის ვაჭრებისათვის მიგვეყიდა.

იოლანდას დავურეკე. როგორც ყოველთვის, შეხვედრა ჩვენს ჩვეულ ადგილზე, სან-მარიანოს პარკთან დავუნიშნე.

საღამოს რვა საათზე შევხვდით ერთმანეთს.

— მიხარია, რომ გნახე.

გამხდარ ხელებს ქვიშაზე უსვამდა და თითებით ხუთ ერთნაირ კვალს ტოვებდა.

— მეც, — ვუპასუხე და შევყურებდი მის ხელს, რომელიც უცებ გაშეშდა.

უეცრად მკვეთრად ასწია ხელი და თავზე დაიმაგრა ლურჯი ტილოს პანამა, რომელიც ქარმა კინაღამ წააძრო. შემდეგ დიდხანს და გულდაგულ მალავდა მის ქვეშ წაბლისფერი თმის ურჩ კულულებს. მე კი — ამდენი წლის შემდეგ — თვალმოუშორებლად შევყურებდი მას.

„რამდენი? ხუთი წელი". „კესანე" — ასე უწოდებენ პინარ დელ რიოს პროვინციაში ბუჩქს, რომელზეც ეს იისფერი ყვავილები იზრდება.

— ეს რა გაქვს? — შევეკითხე მე.

— კესანეს ყვავილი.

ედისონის სახელობის სკოლიდან ათიოდე კვარტლის მოშორებით, სან-მარიანოს პატარა სკვერში ვისხედით. უკვე დაღამდა. იისფერი ყვავილი მისი ფიზიკის წიგნის ფურცლებს შორის იდო. იქნებ იმიტომაც მაჩვენა, რომ ყვავილის სახელწოდება—„კე-სა-ნე" — წარმოეთქვა.

თავიდან არც ისე იოლად ეწყო ჩვენი ამბავი. პირველ ხანებში, სახლში რომ მივაცილებდი, ჯიუტად უარყოფდა ხოლმე ჩემს მუდმივ და მხურვალე მიპატიჟებებს კინოში.

ერთმანეთი გავიცანით ჩინურ დუქანში, სადაც ედისონის სახელობის სკოლის მოწაფეები ხილის ნაყინის საჭმელად დადიოდნენ.

„რა გქვია?"

„ლუკრეცია ბორჯა", — მიპასუხა, თან ნაყინით პირს იტკბარუნებდა.

„აი, მე კი მფრინავი ჰოლანდიელი ვარ".

ორიოდე კვარტალი უკან მივყვებოდი.

„აქ ცხოვრობ?"

„დიახ, აქვე, ახლოს".

— გახსოვს, მაშინ? — ვეუბნები ახლა, — არ გინდოდა, ჩემთვის შენი სახელი გეთქვა.

— სამაგიეროდ შენი სახელი ვიცოდი.

— იცოდი? მაინც საიდან?

— აი, ასე.

— რას ნიშნავს ეს „ასე, ასე"?

მან გაიცინა.

— ჩემმა დაზვერვამ შემატყობინა.

ორივენი ვიცინით. ბოლოს ვაკოცე. მის ტუჩებს ხარბად დავეკონე. ფიზიკის სახელმძღვანელო ბალახზე ეცემა, და ჩემი ხელი კოფთის ქვემოთ მის პატარა, მკვრივ ძუძუებს ეძებს.

პანამა კარგად მოერგო თავზე და შუბლზე აღარ უცვიოდა წაბლისფერი თმის ურჩი კულულები. გულმოდგინედ გაიკეთა მუქი სათვალე და შემომხედა.

მერე გამიღიმა:

— დავბერდი?

— არა, ისეთივე ხარ, — წავიჩურჩულე.

— არ გინდა გაზვიადება.

რამდენიმე წამი დაყინებით მიყურებდა მონაცრისფრო მინებიდან. ღიმილი თანდათან გაუქრა და ბაგეები მაგრად მოკუმა.

კვლავ ზღვას გავხედე, ერთი მუქა სილა ავიღე და ნელა ვაბნევდი თითებს შუა.

— გათხოვდი? — შეეკითხე და ჩემს ხელს ქვემოთ ოქროსფერი ქვიშის ბორცვს ვუყურებდი.

პატარა სასეირნო ნავის მოტორის დახშული ტკაცანი გაისმა ბაკურანაოდან. ნავი ნელა უახლოვდებოდა ნავსაბმელს.

— სჯობს შენს შესახებ მომიყვე, — მთხოვა მან.

„არც ისე ბევრი რამის მოყოლა შემიძლია, — მითხრა მან. — თვრამეტი წლის ვარ, ვსწავლობ, დავიბადე ფომენტოში...“

გამეცინა: „შეუძლებელია“

„რა?“ — გაიოცა.

„მეც ხომ ფომენტოში დავიბადე. სულ პატარა ვიყავი, ჰავანაში რომ წამომიყვანეს“.

იმანაც გაიცინა და ნაყინის ჭიქა გადააგდო. ხელების გასაწმენდად სასწრაფოდ მივაწოდე ჩემი ცხვირსახოცი.

„შეიძლება სახლამდე მიგაცილო?“

„კუთხემდე“.

„სად ცხოვრობ?“

„აკოსტოსა და ხუან დელგადოს ქუჩების კუთხეში“.

„მე კი ერედიასა და ლიბერტადის კუთხეში“.

„შორსაა“.

„რა მნიშვნელობა აქვს. მაინც მიგაცილებ სახლამდე“.

— პასპორტი? — მეკითხება მეგაჟე.

პასუხად მხოლოდ ვიღიმები. ხუთი დღის წვერგაუპარსავი ვარ და მთლად დავიწვი მზეზე. ნუთუ მას არავინ აუხსნა, რომ კუბიდან მდინარის ნავით გადმოვცურე, წყურვილმა კინაღამ დამახრჩო კარიბის ზღვაში და ჩრდილოეთ ამერიკის სანაპირო დაცვამ ამიყვანა? იქნებ ფიქრობს, რომ გაქცევისას პასპორტიც უნდა მომემარაგებინა?

— მაპატიეთ, — ბუტბუტებს ის.

საოცარი ტიპია, ზუსტად ლუდის რეკლამად გამოდგება: მრგვალი, ღაღაჟა ლოყები და ქერა თმა აქვს, თანაც საჯიშე მოზვერივით ღონიერია, მითხრა, რომ ძალიან ნანობს. რას ნანობს? იმას, რომ მაინც მივაღწიე შეერთებულ შტატებამდე, თუ იმას, რომ ძალზე ბევრი ვაჭირვება გადავიტანე ზვიგენებით ავსებული მექსიკის ყურეზე გადმოცურვის დროს?

მაგრამ მის ბზერაში სიმპათიას ვგრძნობ. თუ არ ვცდები, საკუთარი სისულელისათვის მოიხადა ბოდიში.

საინტერესოა, როგორ შეიძლება პასპორტი ჰქონდეს გემის დაღუპვის დროს დაზარალებულს?

ლითონის კოლოფიდან თეთრ ბარათს იღებს და გულდასმით ავსებს. მიხსნის, რომ ესაა ემიგრანტის ბარათი „პატიოსანი სიტყვის ქვეშ“ (ინსტრუქციის თანახმად, ბუჭდური ასოებით ავსებს).

— თქვენი გვარი?

— ვილია სოლანა.

— სოლანა ერთი „ლ“-თი?

— დიახ, ერთით.

— თქვენი მისამართი შეერთებულ შტატებში?

აბა, რა მისამართი უნდა მქონდეს აშშ-ში? ვუპასუხებ, რომ აშშ-ში ოჯახი არა მყავს.

— მეგობრები?

— მეგობრები? არა, არც მეგობრები.

მაგრამ მოხელეს ეს არ აწუხებს. ბევრი ჩამოდის შეერთებულ შტატებში ისე, რომ არავითარი წარმოდგენა არა აქვს, სად და როგორ იცხოვრებს. მე კი ინგლისური მაინც ვიცი და ახალგაზრდა ვარ. ალბათ, სწორედ ეს გაიფიქრა, რადგან უცებ აშკარა სიმპათიით ჩამიკრა თვალი.

— ოლ რაიტ, მისტერ ვილია. ფული გაქვთ?

— ფული? დიახ, კუბიდან 300 დოლარის გამოტანა შევძელი.

ნახევარი საათის შემდეგ პირადობის მოწმობით ხელში, საემიგრაციო ცენტრის შენობიდან გამოვდივარ. ხვალ შრომითი მოწყობის ცენტრში უნდა მივიდე (მისამართი ჩამიწერა) და მივიღო პოლიტემიგრანტის ბარათი, რომელიც ყოველთვიურად სამოცდოლარიანი სუფსიდიის უფლებას მომცემს და... კიდევ რა? მეტი არაფერი.

ახლა მთავარია, გავიპარსო, დავიბანო, რაიმე ჩასაცმელი ვიყიდო

და იაფფასიანი სასტუმრო მოეძებნო. ოცდამეექვსე ქუჩას გავუყვეი. თუმცა შესახედავად გამვლელებისაგან ძალზე განსხვავდები, ყურადღებას არაევინ მაქცევს. მართალია, ჩამოკონკილი არა ვარ, მაგრამ ტანსაცმელი ძალზე დაჭმუჭნილია. სადმე ახლოს უთუოდ იქნება საპარიკმახერო. ჰო, აი, სამი კვარტალის იქით „ჩარლზ ბარბერ შოპია". სალონში სამი სავარძელია, მაგრამ მხოლოდ ერთია დაკავებული.

— აქეთ მობრძანდით, მისტერ, — აქცენტიანი ინგლისურით წარმოთქვა მელოტმა პარიკმახერმა, რომელსაც შავი, სქელი სათვალე უკეთია და თეთრი, გაქათქათებული ხალათი აცვია.

— გამკრიჭეთ და გამპარსეთ, — ყოველი შემთხვევისათვის ესპანურად ეუპასუხებ მე.

მის გამოხედვაში აშკარა უკმაყოფილება იგრძნობა. ჩანს, რომელიღაც კუბელი ვალში დარჩა.

— მექსიკელი ხართ? — ვეკითხები. სანამ კისერზე ქათქათა, გახამებულ ხელსახოცს მიკეთებს.

— იეს, სერ. — ინგლისურად მიპასუხა, რაც იმის აშკარა ნიშანია, რომ არ სურს საუბრის გაგრძელება. მაგრამ მე მაინც არ ვეშვები,

— იაფფასიან სასტუმროს ვეძებ, — ისევ ესპანურად ვაგრძელებ საუბარს, ის კი ამ დროს მკვეთრი მოძრაობით სავარძელს უკან სწევს.

— ახლომახლო ასეთი არ მეგულება, — ახლა უკვე ისიც ესპანურად მიპასუხებს.

ნიკაპს მისაპნავს; სურნელოვანი საპონია (ასეთი სუნი შოკოლადს აქვს, თუკი შეიძლება ამგვარი შედარების მოტანა).

— აუცილებელი არაა, ახლომახლო იყოს. სულ ერთია, სადაც იქნება.

დიდხანს დუმს, თან კვლავ სახეს მისაპნავს.

თვალებს ვხუჭავ.

— არის ერთი საკმაოდ რიგიანი სასტუმრო „სილვია".

პასუხი გამცა აშკარად არა მექსიკელმა პარიკმახერმა. კუბური აქცენტი მომესმა. ოდნავ ვახელ თვალებს და ვხედავ მოლაპარაკეს: ეს გახლავთ პირველ სავარძელში მჯდარი მოხუცი, რომელიც ეს-ესაა გაპარსეს.

— გმადლობთ, — ეუპასუხებ მე. — შორსაა აქედან?

— საკმაოდ, — მომიგო.

შემდეგ თვალს მიკრავს.

— ახლა ჩამოხვედით?
— გუშინ საღამოს.
— ესპანეთზე თუ მექსიკაზე გამოელით?
— ნავით.
მოხუცი ოდნავ უსტვენს.
— ძალიან გაგიჭირდათ?
— საკმაოდ.
პარიკმახერს ჩემს გასაპარსად და გასაკრეჭად ორმოცი წუთი დასჭირდა.
კარგა ხანია მოხუცს მოემსახურნენ, მაგრამ ის სალონის კართან მდგარ ერთ-ერთ სკამზე ზის და ნელ-ნელა ეწევა. აშკარად ჩემთან საუბარი სურს.
— რამდენი გერგებათ? — ვეკითხები პარიკმახერს და თან სარკეში ვიყურები.
— სამი დოლარი და კიდევ ოთხმოცი ცენტი მომსახურებისათვის, სეხიორ.
— სულ?
— ოთხი დოლარი.
ჩემი ტყავის საფულედან, სადაც სამასი დოლარი მაქვს შენახული, ზუსტად ოთხ დოლარს ვუხდი. „მადლობას" არავინ მეუბნება.
ძოხუცი დგება, ქუჩაში გამოვდივართ და ხალხის დინებას მივყვებით.
— სასტუმროსაკენ მივდივართ? — ვეკითხები.
— ჰო.
მისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იძულებული ვარ ჩემი თავგადასავალი მოვუყვე. ვუამბე, რომ ვარადეროს პლაჟიდან ღამით გამოვედი მოტორიანი ნავით. თავიდან, სანამ ძალა მეყოფოდა, ნიჩბებს ვუსვამდი, ხოლო როდესაც ვიგრძენი, ნაპირს საკმაოდ დაეცილდი, ძრავა ჩავრთე. ორი დღე მოვდიოდი ძრავით, რადგან დამატებით ბენზინიანი კასრის წამოღება მოვიფიქრე. მესამე დღეს საწვავი შემომაკლდა და დრეიფი დავიწყე. მეოთხე დღეს სასმელი წყალი გამითავდა. გვიან ღამით ანდროსის ახლოს ჩრდილოეთ-ამერიკელთა სანაპირო დაცვის მესაზღვრეებს გადავაწყდი. ღამე ციხეში გავატარე. მეხუთე დღეს გამოძიების ფედერალურ ბიუროში დამკითხეს და სურათი გადამიღეს. მეექვსე დღეს გამანთავისუფლეს (წინასწარ დარწმუნდნენ გადახდისუნარიანი რომ ვიყავი. მე ხომ

სამასი დოლარი მქონდა). მაგრამ ვერც მეშვიდე დღეს შევძელი მამაზეციერივით მოვქცეულიყავი, ე. ი. დამესვენა, ვინაიდან, როგორც პოლიციამ მიბრძანა, საემიგრაციო ცენტრში მომიხდა მისვლა.

— და მეშვიდე დღე სწორედ დღესაა.

— დიახ, გასაგებია, — ამბობს მოხუცი. — მაგრამ, სად გაატარეთ მეექვსე დღის ღამე?

— სკვერში, — ვიღიმები მე.

კიდევ რამდენიმე კვარტალი გავიარეთ.

— აი, აქ შეგიძლიათ ავტობუსში ჩაჯდეთ, მეთოთხმეტე ქუჩამდე მიხვიდეთ და იქ...

— ტაქსის დავიჭერ.

მან ხელი გამომიწოდა და მითხრა, რომ მისი გვარია ერნესტო ტრავიესო და 1960 წელს ჩამოვიდა მაიამში. არ აუხსნია რით ცხოვრობდა, მაგრამ, ტანსაცმლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი საქმეები არც ისე ცუდად მიდიოდა.

— რიკარდო ვილია სოლანა, — მეც ჩემი მხრივ გავეცანი. — თქვენ იცით, სად მიპოვოთ: სასტუმრო „სილვია-ში," თუ თავისუფალი ოთახი იქნება.

ყოველდღე ველოდი მას სკოლის გამოსასვლელთან. სახლიდან ერთ კვარტალზე მდებარე კაფე „ვიქტორიამდე" მიცილების ნებას მაძლევდა, მაგრამ ჯიუტად უარს მეუბნებოდა, შევჩერებულიყავით და გვესაუბრა, ანდა კინოში წავსულიყავით. არსებითად, სწორედ სან-მარიანოს სკვერში შედგა ჩვენი პირველი სასიყვარულო შეხვედრა (იისფერი კესანეს ყვავილი, ფიზიკის სახელმძღვანელო, დაუოკებელი ხანგრძლივი კოცნა...). მას შემდეგ თითქმის ყოველ საღამოს ვხვდებოდი; ახლა თავში მერევა ადგილები და თარიღები, მაგრამ მგონი, მათთან სახლში პირველად 1956 წლის მაისში მივედი.

მგონი გვიყვარდა ერთმანეთი. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ერთმანეთის შესახებ არაფერი ვიცოდით. მაინცდამაინც უფროსკლასელთა გაფიცვა უნდა მომხდარიყო ვიბორში, რომ გამეგო, ვინ იყო იგი სინამდვილეში. მას კი მთელი სიმართლე შეეტყო ჩემს შესახებ.

ეს მოხდა სამშაბათს. და, თუმცა დიდი ხანი გავიდა, მაინც არასდროს დამავიწყდება თარიღი — 17 ნოემბერი, რადგან იმ დღეს შემისრულდა ცხრამეტი წელი.

შეიქმნა გაფიცვის კომიტეტი, და 26 ივლისის მოძრაობამ ყოველ

სკოლაში თითო-თითო დელეგატი გაგზავნეს. ხე ედინბურგის სასულიერო მოსწავლეთა კრებაზე წასვლა დამავალეს. ეს კრება მიმდინარეობდა პაპო მოლინოს სახლში, რომელიც მარისტასის კოლეჯში სწავლობდა (პაპო მოლინო ჯერ აწამეს და შემდეგ მოკლეს 1958 წლის შობის ღამეს).

იოლანდას დავურეკე და მოვუბრდიშე. ეს მობოდიშება მეტისმეტად ძნელი ასახსნელი შეიქნა, მით უმეტეს, რომ ჩემი დაბადების დღე იყო. ძალზე უცნაურია, მაგრამ დამიჯერა, ზუსტად არ მახსოვს. მგონი, ვუთხარი, დეიდა მარგო უნდა მოეინახულო, ამ ბოლო დროს თავს შეუძლოდ გრძნობს-ᲛᲔᲗᲥᲘ (სამოცდათხუთმეტი წლის მიუხედავად, მას, ალბათ, არასდროს უგრძნია ასე კარგად თავი).

საღამოს რვა საათზე მივედი ხუან ბრუნო საიასას ქუჩაზე მდებარე №179 სახლთან, სადაც პაპო მოლინო ცხოვრობდა. დაეკაკუნე.

გაოცებისაგან კინაღამ ორივემ შეკივლეთ. სწორედ იოლანდამ გამიღო კარი.

პატარა სასეირნო ნავი თანდათან უახლოვდებოდა ნავსაბმელს.

— გათხოვდი, იოლანდა? — ისევ შევეკითხე და ხელისგულებზე აკრული სილა ჩამოვიშორე.

სათვალის მუქი ფერის მინის მიღმა ვერ ვხედავდი მის თვალებს. მაგრამ ვიცოდი, რომ დაჟინებით შემომცქეროდა.

— დიახ, გავთხოვდი.

ქვიშას ხელებით დაეყრდნო, წამოდგა და ზღვისკენ წავიდა. ქვედატანი მუხლებს ზემოთ აიწია და წყალში შევიდა. მკვრივი, მზისაგან გაშავებული ბარძაყები ჰქონდა. მეც წამოვდექი, კედები გავიძრე და წყალს მივუახლოვდი. ზედ ნაპირთან მოწითალო ნიჟარის ნამტვრევი ეგდო და ავიღე.

— დიახ, — გაიმეორა მან. — წავიდეთ.

პერანგი ავიღე და კედების ქნევით ნავმისაბმელისაკენ წავედით.

—რამდენითა ვარ შენზე უფროსი?

პასუხს ველოდი და თან ისე ვიქცეოდი, თითქოს სადაფის ნატეხს ვათვალიერებდი გულმოდგინედ.

— ოცდახუთი წლისა ვარ. ამის გაგება-გინდოდა? შენ კი ოცდაექვსისა ხარ. ასეა?

მზერა ავარიდე. ნატეხი წყალში მოვისროლე. იოლანდა ნაპირზე ჯიმოვიდა და სველი ქვედატანის კალთას იწურავდა.

— გავისეირნოთ ნავით? — შევეპატიჟე.

ფეხის გულებიდან სილა ჩამოიბერტყა და ფეხსაცმელები ჩაიცვა.

იმ სამშაბათს შემდეგ უკვე აღარ ვუმალავდით ერთმანეთს ჩვენს რევოლუციურ საქმიანობას. თავისთავად ცხადია, სხვადასხვა ჯგუფებში ვმუშაობდით. მას არასოდეს მიუღია პირდაპირი მონაწილეობა ჩემს სამუშაოში. ჩემ წინაშე სხვა ამოცანები იდგა: უფრო სარისკო, უფრო საშიში. მხოლოდ ერთხელ დამალა თავის სახლში ორი ბომბი: სწორედ ისინი, შემდეგ სანტოს სუარესში ტელეფონების კომპანიის ცენტრალური სამმართველოს შენობაში რომ აფეთქდა.

კოლეჯი იმ წლის (1956) სექტემბერში დავამთავრე, მაგრამ უნივერსიტეტში არ შევსულვარ. იძულებული ვიყავი სამსახური დამეწყო და მშობლების დახმარებით სატრანსპორტო კომპანიაში რეკლამის დარგში, თანაშემწის ადგილზე დავიწყე მუშაობა.

მე და იოლანდა ნაირ-ნაირ გეგმებს ვაწყობდით. ვინ არ აკეთებს ამას ახალგაზრდობაში? ვოცნებობდით დაქორწინებაზე, ბავშვებზე, ბედნიერებაზე. ვინ აღარ ოცნებობს ოჯახზე, ბავშვებზე, ბედნიერებაზე? მხოლოდ შემდეგ გავიგეთ, რომ ბედნიერება — დიდი ცხოვრების ერთ-ერთი ისეთივე წახნაგია, როგორც ტანჯვა ანდა მოვალეობის შესრულება. ისეთი ბედნიერება, ჩვენ რომ მაშინ წარმოგვედგინა, არ არსებობს.

დაახლოებით ორი საათი ვისეირნეთ ზღვაზე. როდესაც ჩვენი ნავი ნაესაბმელთან მივიდა, თითქმის დაღამებული იყო. ფიცარნაგზე გადავხტი და გადმოსვლაში დავეხმარე.

— ნათლიმამა, — შეგვახსენა ნავის მეპატრონემ,—ხუთ პესოდ გამირიგდით.

ჯიბიდან ქაღალდის ფული ამოვიღე და გავუწოდე.

ჩამოწოლილ ბინდში ნავსაბმელს გავუყევით. ფრთხილად მივაბიჯებდით ერთმანეთს დაცილებულ სველ ფიცრებზე.

იქ, ზემოთ, დაბინდული მთვარე ცის სიშავეს დაეჩრდილა. მიედიოდით ჯერ კიდევ მზის სითბოშენარჩუნებულ სილაზე. შორს, ბაკურან-

ოში, რესტორნის შუქები ციმციმებდა. პლაჟი უკაცრიელი იყო. მკვეთრად შეეჩერდი და იოლანდას ნაზად მოეხვიე ხელები წელზე, მივეხიდე და ტანზე მივიკარი. მან უმწეოდ ჩაუშვა ხელები და თვალები გაანაბა.

— გამიშვი, — წაიჩურჩულა მან.

ჩემი ტუჩები მის ტუჩებს მივუახლოვე, მაგრამ ის შებრუნდა.

— არ გინდა, გთხოვ.

მთვარე სველი, რუხი ღრუბლების მიღმა მიიმალა. სიბნელით გარემოცულნი დიდხანს ვიდექით გაუნძრეველად.

— წავიდეთ, — მითხრა ხმადაბლა.

ხელები ჩამოვუშვი, მან ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. რესტორნისაკენ წავედით.

სასტუმრო „სილვიაში" მოიძებნა თავისუფალი ოთახები. მეპატრონე აღმოჩნდა გაქნილი კუბელი, რომელმაც 1959 წლისშემდეგ მოახერხა თავისი ფულის გამოტანა. მან წინასწარ მომთხოვა ერთი კვირის საფასურის გადახდა: 56 დოლარი, ე. ი. დღეში 8 დოლარი.

პატარა, კეთილმოუწყობელი სასტუმრო ცენტრიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა, მაგრამ ფასი ხელსაყრელი იყო. ნომერი მეორე სართულზე მომცეს (ოტელში სულ 30 ოთახი იყო, მაგრამ ჩემი ოთახი გამომწვევად 209-დ ინომრებოდა). ეს გახლდათ პატარა სენაკი, კედლებზე კრემისფერი შპალერი აეკრათ, ვიწრო საწოლი, ერთი სკამი, ალუმინის შირმა და ალუმინისავე ღამის პატარა მაგიდა იდგა. სასთუმალთან მკრთალად ანათებდა ნათურა. ერთადერთი სამშვენისი იყო მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული რეპროდუქცია რემინგტონის სურათისა „სამხედრო აღალზე თავდასხმა".

ჩემი ფინანსების მოკლე ბალანსი გამოვიყვანე: 210 დოლარი დამრჩა. ეს არც ისე ბევრია, მაგრამ, შემიძლია, სულ ცოტა, ერთი კვირა ვიცხოვრო და ოთახზე არ ვიფიქრო. გარდა ამისა, უნდა ვიყიდო ტანსაცმელი, წავიდე შრომითი მოწყობის ცენტრში, მერე კი სამუშაოს ძებნას შევუდგე.

თვით მეპატრონემ მიმითითა იქვე ახლოს მდებარე რესტორან „ჰონკონგზე", სადაც საკმაოდ კარგად, თანაც იაფად კვებავდნენ.

უკვე დღის თორმეტი საათი იყო და მშიოდა. მაგრამ ჯერ მაინც ტანსაცმლის ყიდვა ვამჯობინე.

იქვე, სასტუმროს გვერდით, წავაწყდი დუქანს, სადაც იყიდებოდა ყველაფერი: სათხილამურო შარვლიდან დაწყებული და პლაჟის პანამითა და ქოლგით დამთავრებული. გაუთავებელი ვაჭრობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ვიყიდე ორი შარვალი, სამი პერანგი, ქვედა საცვლები, წინდები, რეზინისძირიანი ორი ფეხსაცმელი, პატარა ჩემოდანი, სვიტერი და კუბოკრული სპორტული ჩახთა (არც ისე მოდური საქონელი გახლდათ, და ამიტომაც მხოლოდ ორმოცდაათი დოლარი დამიჯდა). „სილვიაში“ დავბრუნდი, ნომერში ავედი და გადავიცვი. „ჰონკონგში“ საკმაოდ ცუდი საკმელები იყო, მაგრამ იაფი კი ღირდა. სამ დოლარად ვისადილე (შეძწვარი ბრინჯი, მოშუშული ღორის ხორცი ვეგეტმე მწვანილითა და ლუდიც დაეყოლე).

შემდეგ ისევ „სილვიაში“ დავბრუნდი. ვესტიბიულში მდგარი ორი პატარა, გაცვეთილი დივანიდან ერთ-ერთზე დავჯექი და არანაკლებად გაცვეთილი „მაიამი ნიუსის“ ფურცვლა დავიწყე. განცხადებათა განყოფილებაში შესაფერ სამუშაოს ვეძებდი. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ახლა, როცა ჩემი კაპიტალიდან ას ორმოცდაათ დოლარამდე დამრჩა, ყოველგვარ სამუშაოზე თანახმა ვიყავი.

შუადღის ორი საათი ხდებოდა. ვესტიბიული ცარიელი იყო. ოღონდ ბარიერს იქით ხმამაღლა ამთქნარებდა სასტუმროს მეპატრონე ფელიქს მარტინესი. წარმოსადეგი მამაკაცია, ესპანელს უფრო წააგავს, ვიდრე კუბელს: ვარდისფერი ლოყები, ჩალისფერი თმა და ღია ფერის თვალები აქვს. „მაიამი ნიუსის“ ნომერი ძველ ადგილზე დავდე (ე.ი. ნოხზე) და მასთან მივედი. ჯერ კიდევ დილით მივაქციე ყურადღება, რომ გასაღებების პატარა განჯინის გვერდით ეკიდა კენედის სურათი და ესპანურ და ინგლისურ ენებზე შედგენილი პატარა პლაკატი: პ ო ლ ი ტ ი კ ა ა რ გ ვ ა ი ნ ტ ე რ ე ს ებ ს. თ ქ ვ ე ხ ი მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი თ ვ ა რ თ დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ებ უ ლ ნ ი. პატარა ბარიერს დავეყრდენი და შევეკითხე:

— ხომ არ შეგიძლიათ გამონაკლისი გამიკეთოთ?

გაშტერებულმა შემომხედა. ღიმილით პლაკატზე მივუთითე.

— როდესაც მაიამში სამუშაოს ეძებ, პოლიტიკაზე ლაპარაკს გვერდს ვერ აუვლი. ხომ მართალია?

ძილი რომ დაეფრთხო, სიგარეტი გააბოლა და ლურჯი თვალებით მომაშტერდა. რამდენი წლის იქნება?

შეშუპებული უპეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, ორმოცდაათამდე.

— გინდათ გირჩიოთ? — აუჩქარებლად მკითხა ძახ.

— რასაკვირველია, — ეუპასუხე.

— არ იმუშაოთ კუბელებთან, იმუშავეთ ჩრდილოეთამერიკელებთან.

— მაგას რატომ ამბობთ?

— ვიცი, რასაც ვამბობ.

— განა თქვენ კუბელი არა ხართ?

— ვიყავი, — მითხრა მან. — წარსულში... მგონი, ასე ითქმის.

— წარსულში...

— დღეს ჩრდილოეთამერიკელი ვარ.

— ვხედავ.

ძეც მომინდა გაბოლება, მაგრამ პოლიციის განყოფილებაში ნაჩუქარი „ქემელის" კოლოფი უკვე დაიცალა.

— რამდენი ხანია, რაც შეერთებულ შტატებში ხართ?

— 1959 წლიდან. კუბიდან ივლისში წამოვედი.

— რატომ მირჩევთ იანკებთან მუშაობას?

მტკიცედ შემომხედა.

— მე არ მითქვამს „იანკებთან", ჩემო მეგობარო, მე ვთქვი ჩრდილოეთამერიკელებთან. ეს ერთი და იგივე როდია. ყური მიგდეთ, როდის ჩამოსვედით? ალბათ, ორი დღის წინ.

— მართლა ორი-სამი დღის წინ.

— ძალიან ცოტა დროა იმისათვის, რომ ამერიკელები ცუდად მოიხსენიოთ. აქ ბევრი აგინებს მათ. უმადურები არიან. ჯონსონის ადგილზე რომ ვიყო, იცი, რას ვიზამდი? ყველას უკანვე, კუბაზე გავასახლებდი. დიახ, დიახ, სწორედ ასე მოვიქცეოდი. აჰ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენთვის გავაკეთეთ, კიდევ გვლანძღავთ? ჰოდა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, უკანვე, კუბაში წაეთრიეთ.

მან თავი გააქნია.

— გასაგებია? აი, რატომ არ მინდა პოლიტიკაზე ლაპარაკი.

— მესმის თქვენი, — დავეთანხმე.

მან სიგარეტი ბარიერზე მდგარ მინის საფერფლეზე ჩააქრო.

— ნათესაები გყავთ აქ?

— არავიან.

— მეგობრები?

— საემიგრაციო ცენტრში იგივე მკითხეს. ადრე ჩამოსულთაგან

ზოგიერთს ვიცნობ. მაგრამ ისინი მეგობრები არ არიან. არც მათთან დარეკვას ვაპირებ.

— კარგადაც იქცევით. იცით, საოცარია, რა მალე კარგავენ აქ ადამიანები მეხსიერებას. არავის სურს წარსულის გახსენება. სანაძლეოს ვდებ, რომელიმე ყოფილ ნაცნობს თუ დაურეკავ, ყურმილს დაგიკიდებს.

— შესაძლოა.

— ნამდვილად, — დააზუსტა მან.

კიდევ ნახევარი საათი ვილაპარაკეთ. დავინტერესდი მაიამში არსებული აქტიური მოქმედების ჯგუფებით.

— ბევრია შარლატანობა, ცარიელი ყბედობა, მიტმასნების სურვილი. სიმართლე რომ ითქვას, საქმეს ნაკლებად აკეთებენ. იკრიბებიან „მაკ ალისტერში", აწყობენ ბანკეტებს, იძლევიან დაპირებებს და მეტი არაფერი. ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის სულ ერთია: მე ხომ არ ვფიქრობ დაბრუნებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მულატი წერო ბატისტა ისევ პრეზიდენტი გახდება. რაც გამაჩნია, ახლა აქაა — შეერთებულ შტატებში.

— ყველა ჯგუფი ხომ ერთნაირი არაა. მე მგონია, — ფრთხილად შევაპარე, — ვიღაცას, ალბათ, მტკიცე კავშირი აქვს მთავრობასთან...

— თითოეული მათგანი ირწმუნება, რომ მისთვის ღიაა თეთრი სახლის კარი, რომ ხვდება ადმირალებს, სადილობს დიდ სახელმწიფო მოღვაწეებთან, სძინავს ცსს-ს შეფის ქალიშვილთან... ტრაბახია, წმინდა წყლის ტრაბახი. ჩემი აზრით, თუ ვინმე რაიმე კონკრეტულ საქმეს აკეთებს, ეს კოქლი ოროსმანია, აი ის, ეროვნული რევოლუციური მოძრაობიდან, იცნობთ?

— ე რ მ?

— ეროვნული რევოლუციური მოძრაობა. ისინი, თუმცა, ცოტას ლაპარაკობენ, სამაგიეროდ ბევრს აკეთებენ. ასეთები მომწონს.

— სად შემიძლია მისი ნახვა?

გაიღიმა:

— მისმინეთ, მეტისმეტად ხომ არ ჩქარობთ?

— ნამდვილად ვჩქარობ.

გავჩუმდი.

— კოქლის ნახვა იოლი არაა. რესტორანი აქვს ლამუს პარკის ახლოს, ოუშენ დრაივზე, მაიამის პლაჟთან.

იცნობთ მას?

— ცოტათი, — ორჭოფულად მიპასუხა მეპატროხემ.
— მაგრამ საკმაოდ, რომ...
— არასაკმაოდ, — მომიჭრა მან. — არასაკმაოდ.
ცოტა ხანს გავჩუმდი, შემდეგ გაწბილებული კაცის სახე მივიღე.

შემთხვევითობაა თუ ბედი? არც ერთი და არც მეორე: უბრალოდ ცხოვრებაა. და სწორედ მან დაგვაშორა ერთმანეთს 1958 წლის აპრილში. მე სიერაში წავედი. ხოლო სამი თვის შემდეგ იოლანდა ვენესუელაში გაემგზავრა ემიგრაციაში. 1959 წლის სექტემბრის საღამომდე ჩვენ არაფერი ვიცოდით ერთმანეთის შესახებ. უკვე აღარ მახსოვს, სად შევხვდით, მგონი რადიოცენტრის კინოთეატრთან. მაგრამ მახსოვს მისი ცრემლები, წვერზე რომ ჩამომდიოდა, და ჩემს მომწვანო ზეითუნისფერ ფორმის ტანსაცმელს ჩაფრენილი თითები. ის ჯერ კიდევ აპრილში დაბრუნდა ვენესუელიდან და გაფაციცებით მეძებდა. არ იცოდა, რომ მარტში დავქორწინდი პლასეტასელ ქალიშვილზე. ირმინზე, რომელიც სიერაში გავიცანი. ახლაც კი ვერ გამიგია, რატომ დავქორწინდით. ჩვენმა ქორწინებამ ერთ წელზე მეტხანს გასტანა. ერთმანეთს ისე დავცილდით, როგორც ბრძოლის წინ სიერაში სცილდებიან ხოლმე ამხანაგები: ხელის ჩამორთმევითა და ხანგრძლივი, სეედიანი მზერით.
— ცოლი შევირთე.
უცებ მშვიდი და გულჩათხრობილი სახე გაუხდა.
— მოხარული ვარ.
გავჩუმდი, შევთავაზე, წამოდი დავლიოთ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა.
წავიდა და მას შემდეგ დღემდე, 1964 წლამდე, აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს.

ახლა გვერდიგვერდ მდუმარედ მივაბიჯებდით ბალახზე. უეცრად ვიგრძენი, როგორ ნაზად შეეხო მისი ხელი ჩემსას და ნაზადვე მომაცილა.
— წადი, — მითხრა და შეჩერდა.
მოოქრული შარავანდედით მოსილი მთვარე ღრუბლებიდან გამოცურდა.
— არ წავიდეთ რესტორანში?
— არა. სჯობს ჩემთან წავიდეთ.

— ნუ ღელავ, ცოტაოდენი საქმელი მომეძევება, — მითხრა იოლანდამ და გამომრთველის ძებნაში ხელს კედელზე აფათურებდა. სინათლე აანთო და პატარა სახლის ერთადერთ ოთახში შევედით. აულაგებელ საწოლზე რაღაც საცვალი იდო, რომელიც იოლანდამ მაშინვე შეინახა ჩემოდანში.

კარი მიეხურე, საწოლზე ჩამოვჯექი და სიგარეტი გავაბოლე.

იოლანდამ კედლის პატარა განჯინიდან ელექტროქურა გამოიღო.

— დაგეხმარო?

— ჯერჯერობით არა, — მომიგო და ქურა პატარა მაგიდაზე დადო.

იატაკზე დავაფერფლე. მან სწრაფად შემომხედა:

— მეორედ აღარ დაქორწინებულხარ?

უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე.

— ასეც ვფიქრობდი.

— რატომ?

— ეს, — იატაკზე დაყრილ ფერფლზე მიმითითა, — მარტოხელებს ახასიათებთ.

— მაპატიე, გინდა თქვა, რომ გამოუსწორებელ მარტოხელებს.

— ოცდაექვსი წლის ასაკში გამოუსწორებელი მარტოხელა?

— ფსკერისაკენ მიმავალი გემი ვარ. — გავუღიმე.

— ჰო, რახან ასეა...

იმავე პატარა განჯინიდან გამოიღო პოლიეთილენის პარკში ჩაწყობილი კვერცხები; შემდეგ სოდიანი გალეტები და ორი ბოთლი ღვინოც მოაყოლა...

კიდევ სამი ღღე გავიდა, სანამ გავიცნობდი ტონი მენდესს, ვისაც კოპლ ოროსმანთან უნდა შეეხვედრებინე. სამი გრძელი, სევდით აღსავსე დღე, რომელთა განმავლობაში სხვადასხვა საქმეებს ვაგვარებდი. ვიყავი კუბელ ემიგრანტთა შრომითი მოწყობის ცენტრში. გამიკეთეს პოლიომიელიტის საწინააღმდეგო აცრა, გადამიღეს გულმკერდის სურათი, დამპირდნენ ორი კვირის შემდეგ საცხოვრებლად გაფორმებას, მომცეს საწყობის ლურჯი ორდერი. წითელმა ჯვარმა გადმომცა პატარა კოლოფი, რომელშიც ეწყო: ბამბის პაკეტი, ასპირინი, უსაფრთხო სამართებელი და ლეიკოპლასტირი. მაგრამ, უდაოა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამოცდოლარიანი ჩეკი.

კვლავ ყურადღებით ვკითხულობდი როგორც „მაიამი ჰერალდს“,

ისე „მაიამი ნიუსს“, მაგრამ განცხადებათა განყოფილებაში შესაფერისი სამუშაო ვერ აღმოვაჩინე.

პარასკევი იყო — მაიამში ჩემი თავისუფალი ცხოვრების მეექვსე დღე. რვა საათისათვის „ჰონკონგში“ ვივახშმე (ყელში ამომივიდა მომაბეზრებელი ჩინური სამზარეულო), და სიგარეტის მოსაწევად ოტელის ვესტიბიულში დავჯექი. სასტუმროს მეპატრონეს მეტად აღარ გამოვლაპარაკებივარ, მხოლოდ ვესალმებოდით ერთმანეთს. ის დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ შემოვიდა. შესახედავად ოცდასუთ წელზე მეტს არ მისცემდით. მაღალი, ლამაზი, ელეგანტურად ჩაცმული მამაკაცი იყო. ოდეკოლონის ნაზი სურნელი ასდიოდა, პლასტმასის შუნდშტუკიან ძვირადღირებულ სიგარას ეწეოდა. მანამდე, დაახლოებით ათი წუთის წინ, ქუჩიდან შემომესმა სამარეულო მანქანის ძრავას ყრუ ხმაური.

ჩემ პირდაპირ დაჯდა და საავტომობილო სპორტისადმი მიძღვნილი ჟურნალის ფურცვლა დაიწყო.

ბედი ორმაგად კეთილგანწყობილი აღმოჩნდა ჩემდამი: მან ცეცხლი მთხოვა და მოვიფიქრე მისთვის მეთქვა (ინგლისურად), „მაიამი ჰერალდში“ მოთავსებულია განცხადება, „ფერარი“ სულ სამი ათას დოლარად იყიდება-მეთქი. ფრაზა მაგიური აღმოჩნდა. რასაკვირველია, მას ყურადღებით არ წაუკითხავს უკანასკნელი სამი დღის განცხადებები. მაგრამ ეტყობა შიგ გულში მოეარტყი.

— ნამდვილად?

— გუშინ წავიკითხე.

— სულ სამ ათასად?

ასანთი დამიბრუნა და დივანზე ჩემ გვერდით ჩამოჯდა.

— კუბელი ხარ?

— დიახ, — ვუპასუხე ესპანურად.

— მეც.

ხელი გამომიწოდა.

— ტონი.

— რიკარდო.

— დიდი ხანია აქა ხარ?

შენობით მომმართავდა და გავიფიქრე, დროა, მეც ასევე მოვიქცეთ-მეთქი.

— ერთი კვირაც არ არის.

— რომელი გზით?

გავიღიმე.

— ზღვით. „შევროლეს“ ძრავა გავუკეთე ნავს და... აი, ერთი სიტყვით, აქა ვარ.

— „შევის“ ძრავა?

— ჰო.

— რომელი წლის გამოშვება?

— ორმოცდათექვსმეტის. ოღონდ სახურავის გადაკეთება და ბენზინის მილის კარგად გაწმენდა მომიხდა.

ცოტათი ვერკვეოდი მექანიკაში, მაგრამ, რასაკვირველია, ისე არა, როგორც მინდოდა, რომ მას დაეჯერებინა; ცხადია, „შევის“ ძრავას ამბავიც მოგონილია. მაგრამ მაინც წამოეგო ანკესზე.

დროდადრო საათს დაჰყურებდა. ყოველ ღონეს ვხმარობდი, საუბარი რომ არ შეწყვეტილიყო და გაცხარებით ვყვებოდი რბოლებსა და მრბოლელებზე. დაახლოებით ნახევარი საათი ვსაუბრობდით, რომ უცებ მითხრა:

— ის უკვე აღარ მოვა. ჰოდა, ეშმაკმა წაიღოს!

გაოცებით შევხედე. გაიცინა და საჭიროდ ჩათვალა ჩემთვის აეხსნა, რომ ლაპარაკია ერთ ფისუნიაზე, რომელმაც გააცურა.

— ხშირად მოვდივარ აქ, — საიდუმლოდ დაუმატა. — მარტინესს არ მოსწონს, როდესაც მის სასტუმროს პაემნებისთვის იყენებენ. მე კი კარგად ვუხდი.

ერთხანს დუმდა, შემდეგ შემომთავაზა:

— წავიდეთ, დაველიოთ?

— მაპატიე, მაგრამ ფული არა მაქვს. ჯერ ხომ სამუშაო არ მიშოვნია.

— გპატიჟებ.

— თუ ასეა...

თავისი მგ-ით წაიტრაბახა: ოთხი სიჩქარე აქვს, ორას ოცს ავითარებს გზატკეცილზეო. ადამიანების ძარღვებში სისხლის ნაცვლად სხვა რამ რომ [illegible] ის, მაშინ ტონი მენდესის ძარღვებში უეჭველად ბენზინი იქნ[illegible]

პლაჟის ახლოს ძდებარე პატარა ბარში თითქმის სამი ბოთლი ჯინი გამოვწრუპეთ. ტონი მთლად გაილეშა, მე კი, აზროვნება რომ არ დამეკარგა, ნელა და ზომიერად ვსვამდი. როდესაც საკმაოდ შეჩიკჩიკდა, კვლავ შევახსენე, რომ ჯერ კიდევ უმუშევარი ვიყავი.

— ჰო-ო, ეს უკვე ჩემი სა-ქმეა, ძ-მაო, — ენის ბორძიკით მითხრა. და შეძლებისდაგვარად ამიხსნა, რომ მამამისი ნახმარი ავტომობილებით მოვაჭრე კანტორის მფლობელი იყო. — მო-გა-წყობ...

იძულებული ვიყავი მანქანამდე ზურგზე წამოკიდებული მიმეთრია და საჭეს თვითონ მივჯდომოდი. ყოველ გზაჯვარედინზე ვეკითხებოდი და ისე მივიკვლევდი გზას, თან, რაკი მართვის უფლება არ მქონდა, სულ ვცახცახებდი პოლიციას არ გავეჩერებინე. „სილვიამდე“ მივაღწიეთ. მარტინესი გავაღვიძე და ვთხოვე, ტონი ჩემს ნომერში ამაყვანინე-მეთქი.

მთელი ღამე სკამზე ვიჯექი და მის ხვრინვასა და გაუგებარ ლუღლუღს ვუსმენდი.

საბედნიეროდ, დილითაც ისეთივე კეთილი იყო და არც დანაპირები დავიწყებოდა.

— კარგი, თანამემამულეე, მოგაწყობ.

ახლოს მივედი. რასაკვირველია, ისაა. იოლანდა სილაზე იჯდა, ხელები მუხლებზე შემოეხვია და ზედ ნიკაპით დაყრდნობოდა.

ნელა მოტრიალდა.

— იოლანდა!

ფრთხილად ასწია მუქი სათვალე და მომაჩერდა. უცებ წამოხტა და სათვალით ხელში დაბნეულად გაშეშდა.

— რიკარდო.

ხელები კისერზე შემომხვია.

რამდენიმე ხანი ასე ვიდექით უსიტყვოდ, ერთმანეთს მაგრად ჩახვეულები. შემდეგ ნელა უკან დაიხია. სათვალე სილაზე დაუვარდა, ასაღებად ორივე სწრაფად დავიხარეთ და ერთმანეთს შუბლებით მივეხეთქეთ.

— რიკარდო, — გაოგნებული ჩურჩულებდა ის. — რიკარდო...

მუყაოს პატარა თეფშებზე ომლეტი დადო და სააბაზანოში გავიდა.

— გეთაყვა, ქურა განჯინაში შეინახე და ბოთლი გახსენი. ხუთ წუთში გამოვალ აბაზანიდან.

საბაზანოს კარი დაიკეტა. გავაბოლე. შემდეგ განჯინაში სასწრაფოდ შევინახე ქურა, დანა ავიღე და ერთ-ერთი ღვინის ბოთლის გახსნას შევუდექი. მერე ღამის პატარა მაგიდაზე დავდე და ისევ საწოლზე ჩამოვჯექი.

— შეიძლება შეგეკითხო? — ხმამაღლა გავძახე.

შიგნიდან გაისმა წყლის ხმაურით დახშული ხმა:

— რაა?

— შეიძლება რაღაც გკითხო? — უფრო ხმამაღლა დავიყვირე.

— კეთილი.

წამოვდექი და კართან მივედი.

— რატომ ქმართან ერთად არ ჩამოხვედი?

რამდენიმე წუთი მხოლოდ წყლის ხმა ისმოდა.

— იმიტომ, რომ გარდაიცვალა... — ბოლოს მიპასუხა.

ისევ საწოლზე დავეცი. ჩემ გვერდით მისი ჩემოდანი იდგა. ფრთხილად, უხმაუროდ, ავწიე სახურავი. რაღაც გაურკვეველი, საოცრად მძაფრი არომატისაგან ნესტოები გამიფართოვდა. ძალზე სუფთა, გაურკვეველი, სასიამოვნო სუნი იდგა. წყლის ხმა უცებ შეწყდა და მეც სახურავი დავუშვი.

კარი გაიღო და იოლანდა გამოჩნდა. მუქი-ნაცრისფერი ხალათი ეცვა და სუნამოს ნაზი სურნელი ასდიოდა.

— დაასხი ღვინო?

— ჯერ არა, — ვუპასუხე. — მაგრამ ბოთლი გახსნილია.

შევავსე ორი ჭიქა და ერთმანეთის პირისპირ ღამის პატარა მაგიდასთან დავსხედით: მე — საწოლზე, ის — ოთახში მდგარ ერთადერთ სკამზე.

— რა დროიდან მუშაობ? — შევეკითხე მე.

— უკვე მრავალი წელია.

იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ჩემკენ დაიხარა. რამდენიმე ყლუპი ღვინო მოსვა.

— ერთი რამ მითხარი. რატომ გაეყარე იმ... რა ერქვა?

— ირმინა.

— ჰო, — მითხრა, — ირმინას.

— შეცდომა დავუშვით, რომ დაქორწინდით. შენი ქმარი რისგან მოკვდა?

როგორც ჩანს, არ მოელოდა ამ კითხვას.

— უბედური შემთხვევით? — დაეინებით ვეკითხებოდი მე.

— მთლად ასე არაა, რიკარდო, — თვალები გამისწორა. -- ის 1960 წელს წავიდა სამშობლოდან.

წამოდგა და თეფშების ალაგება დაიწყო. უკვე შევსვით ერთი ბოთლი ღვინო და ახლა მეორე დავიწყეთ. სიყვარულით ვადევნებდი თვალს ყოველ მის მოძრაობას, ყოველ ჟესტს.

— აბა, — მითხრა მან. — ახლა შენი ჯერია.

ზურგი შემომაქცია და პატარა განჯინაში სურსათისა და ჭურჭლის შელაგება დაიწყო. ხალათის ქვეშ მკვრივი და მზეზე გაშაეებული ფეხები მოუჩანდა.

— რატომ აღარ შეირთე ცოლი?

— შენთვის ასე მნიშვნელოვანია ეს? შენ თვითონ რატომღა არ გათხოვდი?

უცებ შემობრუნდა. ჩემმა ეხეშმა პასუხმა მე თვითონვე გამაოცა.

— მაპატიე, — წავიჩურჩულე. — ზედმეტი დავლიე.

წამოვდექი და კართან მივედი. გამოვაღე: გარეთ ნესტიანი, უვარსკვლავო ღამე იყო. ზღვა არ ჩანდა. მხოლოდ მისი თანაბარი, დიდებული სუნთქვა ისმოდა.

— იქნებ, — არ შემიხედავს, ისე წავიჩურჩულე, — იქნებ არ შემხვდა...

— შენც ისეთივე ხარ, როგორც ყველა, — შემაწყვეტინა მან. — ყოველი მეორე ერთსა და იმავეს იმეორებს. ხოლო ვინც არ ამბობს, ფიქრობს.

მივუბრუნდი და ვუთხარი:

— მე მგონი, სცდები.

ვერ ვიტყვი, რომ ტონიმ ძალიან კარგად მომაწყო. მაგრამ მამა ხვეწნით დაიყოლია ჩემთვის გამყიდველის ადგილი მოეცა და კვირაში 80 დოლარი დაენიშნა. ორშაბათიდან დავიწყე მუშაობა და პარასკევს უარი ვთქვი ემიგრანტულ დახმარებაზე, რადგან ახლა თვითონვე შემეძლო ცხოვრების სახსარი მეშოვნა და სულაც არ იყო საჭირო გ ფ ბ-სათვის ზედმეტად თავის შეხსენება.

ტონიმ გამაცნო ჩრდილოამერიკელი გოგონა ვანდა. ბოცვერივით დიდი კბილები, ჭორფლიანი სახე და ლამაზი ცისფერი თვალები ჰქონდა. 67-ე ქუჩაზე, ერთ პატარა ბინაში ცხოვრობდა მასთან ერთად ტონის გოგონა — გათქვირული, შავგრემანი ეილისი, რომელსაც ფუმფულა მკერდი და საკმაოდ წვრილი ფეხები ჰქონდა.

ივნისში — ჩამოსვლიდან სამი თვის შემდეგ — უკვე ოთხმოცდათხუთმეტ დოლარს ვღებულობდი კვირაში და შემეძლო დამექირავებინა უბრალო, მაგრამ ცალკე ბინა.

ეროვნული რევოლუციური მოძრაობის კარი ჩემ წინ ერთ საღამოს გაიხსნა...

ერთხელაც, გასაყიდად გათვალისწინებული მანქანების სადგომზე, ტონის მამამ გამაცნო ჯეკ მორენო — კოჭლი ოროსმანის ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირი.

კაცმა ხელი გამომიწოდა. მიუხედავად იმისა, რომ „ჯეკი" ერქვა, გეგონებოდა, ეს-ესაა ჰავანას ჩინურ კვარტალში, სანხას ქუჩაზე მდებარე საბილიარდოდან გამოვარდაო: გრძელი ქილვაშები ჰქონდა, ყელზე ეკიდა იაფფასიანი ოქროს უზარმაზარი მედალი წმინდა ბარბალეს გამოსახულებით და ტყავის შარვალი ეცვა.

— მარჯვე ბიჭია, — შემაქო ტონის მამამ.

კაცს ღიმილისაგან სახე გაებადრა და მთელი თავისი ოქროს კბილები გააელვა.

— დღეს საღამოს „ბისკაიში" ვიკრიბებით, — მითხრა მან.

— ეროვნული რევოლუციური მოძრაობა?

— რასაკვირველია. აბა სხვა ვინ?

„ბისკაიში" წავედი. კართან შემაჩერა საშინელი შესახედაობის ქერათმიანმა მასტოდონტმა, რომელიც ბარბაროსულად ამახინჯებდა ინგლისურს. ჯეკ მორენო ვუხსენე და, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, გამატარა.

ასამდე კაცი შეიკრიბა. დავსხედით დასაკეც სკამებზე პრეზიდიუმის მაგიდის წინ, რომელსაც კარგა ხანია არავინ უჯდა. საღამოს ცხრა საათზე ადიუტანტებისა და პირადი მცველების მთელი ამალით გარშემორტყმული პედრო ოროსმანი გამოჩნდა. მაგრამ მაგიდას მიუსხდნენ მხოლდ თვითონ, ჯეკ მორენო, კიდევ ჩემთვის უცნობი ორი კაცი და მოხუცი, რომელიც ჩიბუხს არ იცილებდა და შემდეგ წარმოგვიდგინეს როგორც სენატორი ვიქტორ პეპერი.

სანამ ოროსმანი ნელა და ხრინწიანი ხმით წარმოთქვამდა თავის

სიტყვას, ერთი, როგორც მე მომეჩვენა, კარგი აზრი მომივიდა. კალმისტარი ამოვიღე და უბის წიგნაკში ორატორის ფრაზებისა და გამოთქმების ჩაწერა დავიწყე. ერთი საათის განმავლობაში ოროსმანი სასტიკად ესხმოდა თავს იმათ, „ვინც თავს ანტიფიდელისტებად და ანტიკომუნისტებად აცხადებს, სინამდვილეში კი ანტიამერიკელები და ანტიდემოკრატები არიან...“ სახელებითა და გვარებით ჩამოთვალა ზოგიერთი ლიდერი, რომელიც ეგრეთწოდებულ „ულტრამეამარჯვენე“ ჯგუფს ხელმძღვანელობს, „ქუჩის თაღლითიც“ კი უწოდა; „ჩვენ, — თქვა ბოლოს, — არავითარ დაპირებას არ ვიძლევით. ჩვენ, უბრალოდ, ვიმოქმედებთ, ვიმოქმედებთ. ვიმოქმედებთ“.

ჯერ კიდევ ისმოდა აპლოდისმენტების ხმა, როდესაც დარბაზიდან გამოვვარდი, ტაქსი დავიჭირე და ვანდასკენ გავქანდი. უკვე ღამის თორმეტი საათი იყო, ის კი დილაუთენია უნდა ამდგარიყო. ნამძინარევს, საშინაო ხალათი მოესხა და ისე გამიღო კარი.

ვაკოცე და სწრაფად შევეკითხე:

— საბეჭდი მანქანა გაქვს?

— რა ეშმაკმა...

ნაზად მივაფარე ხელი ტუჩებზე.

— გაქვს?

— ჰო, მაქვს... ჯაბახანა...

ოთახიდან ეილისის ხმა მოისმა:

— ვანდა, ვინ არის მანდ?

— რიჩარდი.

— მომეცი, ხვალ დაგიბრუნებ.

ძველი „უნდერვუდი“ ჰქონდა, მაგრამ მასზე ბეჭდვა შეიძლებოდა. ტაქსი დავიჭირე და სახლში წავედი. ღამის სამი საათისათვის უკვე მზად მქონდა პატარა, დაახლოებით ოთხგვერდიანი სტატია.

ქუჩაში გამოვვარდი და ტონის დავურეკე. სახლში არ იყო. უეჭველად „სილვიაში“ ერთობოდა. იქ დავრეკე და არც შევმცდარვარ.

— სასწრაფო საქმეა, მარტინეს, — ვუთხარი ოტელის მეპატრონეს.

— კარგი, დაგუძახებ.

„სილვიას“ ნომრებში არ იყო ტელეფონები. სანამ ტონი ვესტიბიულში ჩამოვიდოდა, კარგა ხანს მომიხდა ცდა.

— ტონი ხარ?

— რა ამბავია? — არცთუ ისე ხალისით გამომეხმაურა.

— ძველებურად კარგ დამოკიდებულებაში ხარ საკოისთან „ლას ამერიკას“-იდან?

ჩემმა შეკითხვამ გააოცა.

— და ასეთ დროს ამის გამო ამაფორიაქე?

— ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა, ტონი.

— მერე?

— მინდა, ახლავე დაურეკო.

— დილის ოთხ საათზე? შემთხვევით ჭკუაზე ხომ არ შეიშალე?

— მისი სახლის ტელეფონის ნომერი გაქვს?

— მახსოვს...

— დაურეკე და უთხარი, რომ შემდეგ ნომერში ერთი პატარა სტატიის მოთავსება გსურს.

— ვისი?

— ჩემი.

— ყური მიგდე, შემთხვევით, მთვრალი ხომ არა ხარ?

— არა ვარ მთვრალი. ეს სამსახური უნდა გამიწიო. თხუთმეტი წუთის შემდეგ კვლავ დაგირეკავ. ოთხგვერდიანი სტატიაა.

— კარგი. ჯანდაბამდეც გზა გქონიათ...

ყურმილი ჩამოეკიდე.

ოცი წუთის შემდეგ ისევ დაეურეკე.

— რა ქენი?

— ხვალ დილით მიიტანე რედაქციაში. ცხრა საათის შემდეგ. შემეკითხა, ასეთ დროს რომ რეკავ, ქვეყნის დაქცევის თაობაზე ხომ არ არის ეს სტატიაო...

— დაახლოებით ასეა. ხვალ მოგიყვები.

რასაკვირველია, სტატია ქვეყნის დაქცევის თაობაზე კი არა, ოროსმანის სიტყვის მოკლე, საკმაოდ მწვავე, ოდნავ სკანდალური გადმოცემა იყო.

დილის ათის ნახევარზე მიმიღო საკოიმ. სტატია წაიკითხა და მომაშტერდა.

— იმქვეყნიური არაფერია აქ!

— მაგრამ დამეთანხმეთ, რომ...

— მაგას არ გედავები. კეთილი. ოცი დოლარი?

ამაზე არც მიფიქრია და ვაჭრობა არ დაეუწყე.

— ოთხი დღის შემდეგ სალაროში შეიარეთ

ჩემი გვარი ბლოკნოტში ჩაიწერა.

ორი. დღე ველოდე სტატიის გამოსვლას. ბოლს, 18 ივლისს, რ. ვილია სოლანას ხელმოწერით მეორე გვერდზე დაბეჭდეს საბა-ურით: „პედრო ოროსმანი და მისი ერმ ჩვენი ნათელი იმედი.

სანამ კოჭლი თავის თავს შეგვახსენებდა, ერთი კვირა გავიდა. ერთ დილას ჩვენი მანქანების სადგომზე შავი „მერსედესი" გამოჩნდა და ტონის მამა კისრისტეხით გაიქცა ოროსმანისათვის კარის გასაღებად. მასთან ერთად მძღოლი და ორი პირადი მცველი გადმოვიდა. დავინახე, რომ ჩემკენ მოდიოდნენ. ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებულმა ტონის მამამ ერთმანეთი გაგვაცნო.

— მაშ, ეს შენა ხარ ვილია სოლანა, — თქვა ოროსმანმა და მწვანე სათვალიდან მომჩერებოდა.

— დიახ, სენიორ.

— ძალზე კარგი სტატიაა.

— მადლობელი ვარ, სენიორ.

კვლავ ეშმაკური ღიმილით მათვალიერებდა.

— კარგი. ძალიან კარგი...

— მამა გარდაიცვალა, — მითხრა მან.

— მამაჩემიც, აი უკვე ორი წელია, — მივუგე.

— მაინც, რას აკეთებდი მთელი ამ ხნის მანძილზე?

— ისეთს არაფერს...

— მაშ, რას აკეთებდი?

— ვმუშაობდი. და კიდევ მრავალი სხვა საქმე მქონდა...

— სად მუშაობდი?

— 1961 წელს არმიაში ვიყავი, შემდეგ კი, ხან აქ, ხან იქ.

— ახლა რას აკეთებ?

— როგორც შემიძლია, ისე ვშოულობ ლუკმა პურს.

— ალბათ, ხშირად ხარ ზღვაზე.

— არა. მრავალი წელია, რაც არ ვყოფილვარ. შენ?

— ყოველთვის ჩამოვდივარ გოგონასთან ერთად.

— შენი გოგონაა?

— დიახ. სამი წლისაა.

— რა ჰქვია?

— რაც დედამისს.
— ასეც ვფიქრობდი. ახლა რატომ არ ჩამოვიდა შენთან ერთად?
— ორიოდე დღე მარტოდ მინდოდა დამესვენა.

სილაზე ვისხედით, ზურგით პატარა სახლის კედელს ვეყრდნობოდით.
— უკვე ღამის თორმეტი საათია, — წარმოვთქვი.
— თანდათან აცივდა.
მისკენ ოდნავ მივიწიე და მხრებზე მოვხვიე ხელები. თითქოს ჩემმა ხელმა დაწვაო, ისე შეკრთა. ერთხანს ჩუმად ვისხედით და ტალღების მონოტონურ გუგუნს ყურს ვუგდებდით.
— რიკარდო, მართალია, რაც მე გავიგე?
კითხვამ გამაოცა.
— განა რა გიამბეს ჩემ შესახებ?
— სხვადასხვა რამ...
— მაინც, რა?
— ის, რომ რევოლუციას ჩამოშორდი.
— ვინ გითხრა?
— მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენმა საერთო მეგობრებმა.
თვალები დავხუჭე. სხვას, ვინც უნდა ყოფილიყო, დაახლოებით ამგვარად ეუპასუხებდი: „ნახე რა სალაპარაკო!“ მისთვის ტყუილის თქმა არ შემეძლო. მაგრამ ვერც სიმართლეს ვეტყოდი. ძალა მოვიკრიბე და ვკითხე:
— შენ რევოლუციის მხარეზე ხარ?
— შენ რა, არა ხარ?
— მე შენ გეკითხები.
— ანდა, როგორ მეკითხები ამას?
პასუხი არ გამიცია. ნელა ჩამოვიღე ხელი მისი მხრიდან და წამოვდექი. ფეხზე წამოღგომაში მივეშველე და ხელი ჩავკიდე.
— წავიდეთ, — ვუთხარი.
— გესმის, რომ არ მინდა? — წამჩურჩულა მან და წინააღმდეგობის გაწევა სცადა.
ოდნავ ეუბიძგე ოთახისაკენ. კარი მიეიკეტე და სინათლე ჩავაქრე. მივუახლოვდი და ყურში ჩავჩურჩულე:
— ასწიე ხელები...

ნელა, ძალზე ნელა ასწია ხელები და თითქმის სულმოთქმელად გავაძრე ხალათი. მოვეხვიე და უცებ მივხვდი, რომ ხალათის ქვეშ თავიდანვე არაფერი ეცვა.

ივნისში ტონის მამისაგან წავედი და მუშაობა დავიწყე გამომცემლობა „დაიმონდი და მეიერში", სადაც უფრო მეტს მიხდიდნენ. ამ სამუშაოზე თარჯიმნად მომაწყო ოროსმანმა. განვაგრძობდი წერას, მაგრამ ამჟამად ეროვნულ რევოლუციურ მოძრაობაზე საქმებარ სტატიებს ვაქვეყნებდი პატარა გაზეთ „ალბორადაში", რომელსაც ერმ სცემდა.

იმ დროს მაიამში არსებობდა, სულ ცოტა, ორმოცდაათამდე კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლებიც ერთმანეთში კინკლაობდნენ. მათ შორის ერმ არა მარტო ყველაზე აქტიური, არამედ ყველაზე სიტყვაძვირიც იყო. სწორედ ეროვნულმა რევოლუციურმა მოძრაობამ განახოციელა თავდასხმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულ კუბის მისიის შენობაზე, ტყვია დაუშინა ბაგამის კუნძულების ახლოს, სანტიაგო-დე-კუბასაკენ მიმავალ ბერძნულ გემს, და ამზადებდა — მორალურად და მატერიალურად — დესანტის გადასხმას ლას-ვილიასში. გარდა ამისა, ერმ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ესკამბრაეში მოქმედ ერთ-ერთ ბანდასთან, რომელსაც ბენიტო პარუა მეთაურობდა.

ჩემთვის ძნელი არ იყო — კაცმა რომ თქვას, არცთუ იოლი გახლდათ — მიმეღწია იმისათვის, რომ ოროსმანს თავის ერთგვარ „მრჩევლად" მივეჩნიე. ამან, ბუნებრივია, „ვეტერანების" მხრიდან გარკვეული ეჭვიანობა გამოიწვია და, რაც მთავარია — მტრად მომკიდა ორლანდო კონდე სანტოსი, რომელსაც პარუას ბანდასთან კავშირი და ესკამბრაეს საქმეები ჰქონდა დავალებული.

1964 წლის ოქტომბერში ჩვენი ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ ნათელი გახდა: მალე ერთ-ერთი ჩვენგანი ზედმეტი აღმოჩნდებოდა. ოროსმანი აშკარად არც მე მაძლევდა უპირატესობას და არც მას. გადავწყვიტე, შეტევაზე გადავსულიყავი.

26 ოქტომბერს ერმ-ს მთავარ რეზიდენციაში დანიშნული იყო თათბირი; პარუას ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით ლას-ვილიასის პროვინციაში დესანტის გადასხმას აპირებდნენ და მსჯელობდნენ როგორ ჩაეტარებინათ ოპერაცია.

ვიდრე კონდე სიტყვას მოითხოვდა, წამოდექი და ვთქვი:

— მე მგონი, არაფითარი აზრი არა აქვს დახმარება გავუწიოთ ჯგუფს, რომელიც უკვე აღარ არსებობს.

ათი თავი ერთბაშად მოტრიალდა ჩემკენ. კონდე გაფითრდა.

— არ მესმის შენი, რიკარდო, — ჩაილაპარაკა ოროსმანმა.

— უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ესკამბრაეში ჩვენი უკვე აღარავინ დარჩა. ეს პარუა კი, თუკი ოდესმე საერთოდ არსებობდა, დ. ლი ხნის მოკლული ან დაჭერილია.

კონდე წამოხტა.

— სად გაქვს დამამტკიცებელი საბუთები?..

მე შევაწყვეტინე:

— ორლანდო კონდე, შენ აქ გამოსვლის უფლებაც კი არა გაქვს, რადგან არ იცი, რა ხდება ესკამბრაეში. შენ ყველას გვატყუებდი, შეგიძლია შენი ესკამბრაე უკან შეიკვეხო.

კონდე ღონიერი კაცი იყო, და როდესაც გაგვაშველეს, ცხვირიდან სისხლი მომდიოდა, თვალიც ჩალურჯებული მქონდა. თუმცა, მასაც გვარიანად მოხვდა.

ოროსმანი კონდეს ეცა. იმდენად გონებაჩლუნგი იყო, რომ ჩემი ნათქვამი მისთვის საკმარისი შეიქნა. ორლანდოს დედა. აგინა და თეთბირიდან გააგდო. კონდე მხოლოდ იმიტომ არ მივარდა ოროსმანს, რომ ორი მასტოდონტი — რასიელიტო და ბომბონ ეჩევარია — ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებოდნენ მას.

როდესაც ყველაფერი დაწყნარდა, ოროსმანმა მომმართა:

— რიკარდო, შენ რას გვთავაზობ ესკამბრაეს თაობაზე?

ბრძოლა მოვიგე.

ამ ეპიზოდმა ორმაგი სამსახური გამიწია: პირველი — ოროსმანის ფასეულობათა შკალაზე რამდენიმე დანაყოფით მაღლა ავიწიე და. მეორე — მივხვდი, რომ უნდა შემეძლოს თავის დაცვა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

იანვარში კარატეს სკოლაში ჩავეწერე. მას ხელმძღვანელობდა სან ფრანცისკოში დაბადებული იაპონელი რიო მონდი. მოსწავლეები მას რეიმონდს ეძახდნენ, მხოლოდ სკოლის კედლებს გარეთ. ვარჯიშის დროს მისთვის სენსეი უნდა გვეწოდებინა. გაკვეთილები კვირაში სამჯერ ოთხ-ოთხი საათი ტარდებოდა და თვეში ას ორმოცდაათი დოლარი ჯდებოდა. ეს საკმაოდ იაფი იყო, თუ მხედველობაში

მიყიღებთ იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კარატეს სწავლება ძალზე ძვირი ღირდა.

ერმ-ს წევრებს შორის უფრო და უფრო ცნობილი ხდებოდა ჩემი სახელი. ამბობდნენ, ენერგიული კაცია, არ ეშინია სიტყვის პირში მიხლა, თუმცა თავშეკავებაც არ აკლიაო. ჩემი პოზიციები მტკიცდებოდა, და 1965 წელს თვით ოროსმანმა ღამნიშნა მოძრაობის ყველა ოპერაციის პასუხისმგებლად.

პირველი, რაც თვალის გახელისთანავე, ჩემი თვალებიდან რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით დავინახე, თაფლისფერი თვალები იყო, რომელთა სიღრმეშიც წითელი წერტილი მოჩანდა. ის ჩემ გვერდით იწვა და მიყურებდა, როგორ მეძინა. გაეღიმე, პასუხად იმანაც გაიღიმა.

— არ მოგწონს, როდესაც გიყურებენ?

მივუალერსე თმაზე, კეფაზე, კისერზე, ზურგზე.

— მარტო ცხოვრობ?

თვალები დახუჭა.

— გოგონასთან ერთად.

— რატომ დავკარგე ამდენი დრო, და არ მოგძებნე, იოლანდა?

თვალი გაახილა, ოდნავ შეტრიალდა და გვერდით მომიწვა.

— ხვალ მივემგზავრები.

— საწყენია, — ვუპასუხე.

— კიდევ ვნახავთ ერთმანეთს?

— არ ვიცი.

იდაყვზე წამოვიწიე და ტუჩებზე დავეწაფე.

— იოლანდა, გიყვარს ცხოვრება?

— ჯერ ვერ გავრკვეულვარ.

გაჩუმდა და უცებ თვალებში ჩამაშტერდა.

— კი მაგრამ, ყური მიგდე, რა ცხოვრებაზე ლაპარაკობ?

— ცხოვრებაზე, — ვუპასუხე, — ამ ცხოვრებაზე.

— რევოლუციას გულისხმობ?

— ჰო, დავუშვათ.

— დიახ. მიყვარს. შენ არა? ასეა, ხომ?

წამოიწია და მკერდზე ზეწარი გადაიფარა.

— ხომ არ გაბრაზდები, ეროი რამე რომ გითხრა?

მეც წამოვჯექი და პერანგის მოსანახად იატაკზე ხელი მოვაფათურე. სიგარეტის კოლოფი და ასანთი ამოვიღე.

— ეს ხომ მიამიტობაა, გესმის?

სიგარეტს მოვუკიდე, ხელები მიკანკალებდა.

— რა არის მიამიტობა?

ბოლი გამოვუშვი და ჭერს ავხედე.

— ნუთუ ფიქრობ, რომ ვერ შევამჩნიე, როგორ გაურბიხარ ჩემთან იმაზე... — შეყოვნდა, თითქოს სიტყვებს ეძებსო, — რევოლუციაზე ლაპარაკს?

შევხედე. აღელვებული სახე ჰქონდა.

— ეს როგორ შეიძლება, რიკარდო! მას შევალიეთ ჩვენი ახალგაზრდობა, ყველაფერი. როგორ შეიძლება, ახლა შეაქციო ზურგი, როგორც ეს გააკეთა ჩემმა. იმან, ვინც, ჩემი ქმარი იყო. მაშ რიღასთვის იბრძოდი?

მზად ვიყავი მეტირა. მინდოდა ხელზე ხელი მომეკიდა, მაგრამ გამომტაცა.

— ეს იგივეა, რომ მომკვდარიყავი, —თქვა და მწარედ ატირდა.

— უკვე ძალზე გვიანაა, — წავიბურტყუნე და უცებ ავწიე თავი; აუტანელი ტკივილისაგან გული მისკდებოდა. ავდექი და სწრაფად დავიწყე ჩაცმა. პერანგის შეუკრავად მივვარდი კართან. ის თვალცრემლიანი შემომყურებდა.

— რიკარდო!

ზღურბლზე შევჩერდი და შემოვბრუნდი, რათა უკანასკნელად შემეხედა.

— თუ გეტყვი, რომ დღევანდლამდე მხოლოდ შენ მიყვარდი, გამოგადგება რაიმეში?

—კი, — მივუგე, — გამომადგება.

შევტრიალდი და სახლიდან გავედი.

შეერთებულ შტატებში ჩემი ყოფნის პირველმა წელმა საკმაოდ უღიმღამოდ გაიარა. მე და ელიზაბეტმა (მგონი აქამდე არ მიამბნია ლიზის შესახებ, თუმცა, არც ღირს) პლაჟის პატარა რესტორანში ვივახშმეთ, საღამოს კი კინოში წავედით. შევიძინე „ბიუიკი". მართალია, ორმოცდაცხრამეტი წლის გამოშვება გახლდათ, მაგრამ კარგად იყო შენახული და ამან საშუალება მოგვცა უნივერსიტეტის

ირგვლივ ცოტა გვესეირნა. აეროპორტისაკენ მიმავალი გზატკეცილიდან გადავუხვიეთ და მანქანის უკანა საჯდომზე, განსაკუთრებული აღმაფრენის გარეშე ერთმანეთს ვესიყვარულებოდით.

მთელი წელი გავიდა.

კუბიდან კი არავითარი ცნობა არ მომდიოდა.

დადგა 20 აპრილი. დაახლოებით დილის თერთმეტი საათი იყო. გვიან ავდექი და ერთ დღეში ვაპირებდი ერთი კვირის სამუშაოს შესრულებას, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა ჩამებარებინა გამომცემლობაში. ეს იყო ანალიტიკური გეომეტრიის უსაშველოდ მოსაწყენი ტექსტი.

ტელეფონმა დარეკა.

— რიკარდო ვილია სოლანა ხართ? — მკითხეს ესპანურად.

— დიახ, გისმენთ.

— თქვენ ხომ არ დაგრჩენიათ ღია ყავისფერი პალტო კინოთეატრ „კაპიტოლში?"

სუნთქვა შემეკრა, ძლივს მოვედი აზრზე, რომ სწორედ ის იყო — დიდი ხნის ნანატრი პაროლი ჰავანიდან!

— დიახ, ნამდვილად მე დამრჩა, — უფრო წავიჩურჩულე, ვიდრე ვთქვი. — შავმანჟეტებიანი ღია ყავისფერი პალტო.

— ხვალ დილის ათ საათზე მერვე ქუჩაზე, ბარ „ეიშეს"-ში გელოდებით. მე გიცნობთ, თქვენ კი არა. დახლიდან მოშორებით მდგარ მაგიდაზე დაჯექით და რაიმე დასალევი მოითხოვეთ. მე მოვალ.

— გმადლობთ. — ვუპასუხე.

„გმადლობთ!" — გავიფიქრე მე.

მოვეხვიე.

— როდის? — მკითხა მან.

— პარასკევს.

სან მარიანოს პატარა სკვერში ვისხედით.

— სამი დღის შემდეგ, — წაიჩურჩულა.

— ჰო, სამი დღის შემდეგ.

მისი ცრემლები მხრებზე მეცემოდა. მაგრად ჩავიკარი გულში.

— ის ყველა ჩვენგანზე მნიშვნელოვანია.

— ვინ ის?

— ის, — ვუპასუხე. — რევოლუცია.

— მაშასადამე, შესაძლებლია, როდესაც მას დავამთავრებთ...

ცრემლიანი თვალები დავუკოცნე.

— დიახ. როდესაც დავამთავრებთ, ალბათ, მაშინ.

იმ წუთში მთელი მისი სიცოცხლის ჩემს მკერდში მოთავსება მინდოდა. მაგრამ უკვე განშორების დრო იდგა. და აი, ახლა შორსა ვართ ერთმანეთისაგან, ისევე, როგორც მიწაზე დაგდებული ევა დაშორებული ცაში მოელვარე ვარსკვლავისაგან.

ნაწილი III

სიცოცხლე

მიენიჭოს სიკვდილის შემდეგ...

პარასკევი

დილის ხუთ საათამდე მანჰეტენზე დადიოდა. მძღოლს სიამოვნებისაგან სახე გაბადროდა — მრიცხველი 22 დოლარსა და 80 ცენტს უჩვენებდა.

ხუთ საათსა და ოც წუთზე კენედის აეროპორტთან ჩამოვიდა.

აეროპორტებსაც აქვთ ძილისა და გამოცოცხლების საათები, და თუმცა კენედის აეროპორტი არასოდეს იღვიძებს, ვინაიდან არც არასოდეს იძინებს, დილის ხუთიდან ექვს საათამდე ის მაინც მეტროს წააგავს: მიმსვლელ-მომსვლელ მამაკაცთა და ქალთა ტალღის მოზღვავებაა. ისინი მიემართებიან ქვეყნისა და პლანეტის სულ სხვადასხვა ქალაქებში — ატლანტასა და სინგაპურში, დაკარსა თუ ლონდონში, დელისა თუ ოსლოში.

ყოველ ოც-ოცდაათ წამში რეპროდუქტორები იტყობინებიან თვითმფრინავების ჩამოსვლას ან გაფრენას. რიკარდო შეუერთდა ჭიანჭველებივით მოფუთფუთე ხალხს, აეროპორტის ერთკილომეტრიან ვესტიბიულში რომ ირეოდა. ეროვნული ავიახაზების სალაროსთან მივიდა და მაიამში მიმავალ ექვსაათიან რეისზე ბილეთი დააკომპოსტირა.

პატარა რიგი იდგა. მომცრო სარკმელში ბილეთი გაუწოდა.

— ბარგი? — შეეკითხა მოლარე.

— მხოლოდ ხელის პატარა ჩემოდანი მაქვს.

მოლარემ ბილეთს შტემპელი დაარტყა.

რიკარდომ კაფეს აბრა მოძებნა და იქით მიაშურა. ბრბოში უცბად ვერ შენიშნა, რომ მის გვერდით, მხარდამხარ ვიღაც კაცი მოდიოდა. მეორე მხრიდან ოდნავი ბიძგის შემდეგ მიხვდა, რაც ხდებოდა.

ორ კაცს ორივე მხრიდან ბლოკირებული ჰყავდა.

— მე მგონი, გახსოვარ, — ხმადაბლა უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა. — როდესაც ბოლოს ერთმანეთს შევხვდით, რევოლვერს მიმიზნებდი. ახლა კი მე გიმიზნებ. იარე და გულში ეშმაკობა არ გაიელო.

რიკარდომ სან ჰილის მკვლელი, ცსს-ს ერთ-ერთი აგენტი შეიცნო.

— საით მივდიეართ?

— იმ კარისაკენ წადი.

ისინი შებრუნდენ და მანქანების სადგომისაკენ გამავალ მეექვსე კარისკენ გაემართნენ.

— ნუ ჩქარობ, — გააფრთხილა ჩარლი მელტონმა.

ქუჩაში გავიდნენ.

ლიმონისფერი „მერსედეს-ბენცი" სულ ბოლოში იდგა. ხალხი აქ თითქმის არ იყო. ჩარლიმ რევოლვერი ამოიღო და რიკარდოს წაუბიძგა.

— შეძვერი, ლამაზო.

მეორემ მანქანის უკანა კარი გამოაღო და რიკარდომ, თითქოს შიგ ჩაჯდომას აპირებსო, თავი დახარა. მაგრამ ამის ნაცვლად მკვეთრად შემოტრიალდა და ჩარლის სახეში მუშტი ჩაარტყა. ჩარლის პისტოლეტი გაუვარდა ხელიდან და ასფალტზე გულაღმა დაეცა.

მეორემაც დააძრო რევოლვერი, მაგრამ ზევით აწევაც ვერ მოასწრო, რომ რიკარდომ მკერდში ჩემოდანი ესროლა და წააქცია. რიკარდომ, რაც შეიძლება, დაბლა დახარა თავი და ავტომანქანებს შორის გაიქცა.

უკნიდან სროლის ხმა მოისმა. ჩარლიმ შეძლო დავარდნილ რევოლვერამდე მიბობღება და გაქცეულ რიკარდოს ორჯერ ესროლა.

— სარდუი ხარ?
— დიახ, კაპიტანო.
— უკვე ადექი?
— ავდექი.
— ჩემთან ვიქნები. შვიდს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, იქ შევხვდებით.
— კარგი, კაპიტანო.
რიკენესმა ყურმილი დადო.

ტყვიები ასცდა.
გვერდზე გაუხვია და საჩქაროდ შევიდა აეროპორტის ვესტიბიულში. საათს გახედა: 5 საათი და 59 წუთია. ცნობათა ბიუროს სარკმელი მოძებნა, სწრაფად მიაღწია იქამდე, გზადაგზა ხან ერთს გაჰკრავდა მხარს, ხან მეორეს და თან ებოდიშებოდა. ორიოდეჯერ მოიხედა, მაგრამ აგენტები არსად იყვნენ. ისინი, რასაკვირველია, ვერ გაბედავდნენ, ვესტიბიულში სროლა აეტეხათ. ჩემოდანი მანქანების სადგომზე ეგდო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ცოტაოდენ თეთრეულსა და რევოლვერის ხმის სახშობს დაკარგავდა. თვით რევოლვერი, ფირი, რომელზეც სან ჰილის ნაამბობი იყო ჩაწერილი, საბუთები და ფული ჯიბეებში ჰქონდა.
მისმა რიგმაც მოაღწია.
— არის ახლა ლოს-ანჟელესის რეისი?
მოსამსახურემ განრიგი გადაფურცლა, ერთი-ორჯერ ტელეფონზე დარეკა და უპასუხა:
— დიახ. 6 საათსა და 15 წუთზე გადის კომპანია ტეა-ს ლაინერი, სალარო ნომერი 36.
— გმადლობთ.
კომპანია ტეა-ს სალარო № 36 საკმაოდ შორს იყო. რიკარდო ცდილობდა ხალხმრავლობაში ეევლო. სალარომდე მიაღწია. თვალებით გაფაციცებით ეძებდა ჩარლის და იმ მეორეს. არავინ ჩანდა.
ლოს-ანჟელესამდე მიმავალ რეისზე ბილეთი აიღო.
— ბარგი, სერ?
— არა მაქვს, — მწარედ მიახალა. — ხელბარგულიც არა მაქვს.
— 6 საათსა და 15 წუთზე გაფრინდება. გასასვლელი № 23.
— გმადლობთ.

რიკარდომ საათს შეხედა: 6 საათი და 08 წუთი იყო. რჩებოდა 7 წუთი.

გადაწყვიტა 23-ე გასასვლელთან მისულიყო. ჯიბეში მაინც მოსინჯა „მაგნუმი". თუმცა კარგად იცოდა, რომ აეროპორტის შენობაში ვერ გაისროდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხმის დამხშობი ჩემოდანში დარჩა.

სიგარეტს მოუკიდა და ამავე მიმართულებით მიმავალ მონაზონთა ჯგუფს შეერია. ბელგიელები თუ ფრანგები იყვნენ. საბედნიეროდ, ისინიც თითქმის იმ კარამდე მივიდნენ. რიკარდო გასასვლელთან მომლოდინე მგზავრებს შორის გაძვრა. იქ სამხედრო-საჰაერო ძალების ორი ოფიცერი იდგა. თამბაქოს ეწეოდნენ და ჩოგბურთის ბოლო მატჩზე საუბრობდნენ. მათთან მივიდა და სთხოვა, სიგარეტზე მომიკიდეთო. რაც შეიძლება ნელა მოუკიდა (კიდევ რამდენიმე წუთი მაინც უნდა მოიგოს) გამოწოდებული სანთებელათი. გაიღიმა, უკან დაუბრუნა და შეეკითხა:

— ხომ არ ყოვნდება რეისი?

ერთ-ერთმა ოფიცერმა საათს შეხედა:

— არ მგონია. ახლა მხოლოდ ექვსი საათი და თერთმეტი წუთია. მოვასწრებთ.

— გაფრენა ექვს საათსა და თხუთმეტ წუთზეა, არა?

— ასე გამოაცხადეს.

— ჩვეულებრივად ტვა ძალზე პუნქტუალურია, — უთხრა რიკარდომ.—ეროვნულს კი არ ჰგავს... მახსოვს, ერთხელ ვაშინგტონში ორი საათით შეყოვნდა გაფრენა, ისიც კარგი ამინდის დროს...

ჩვეულებრივ ბანალურ თემებზე საუბრობდნენ. როგორიც მოსაცდელ დარბაზში სჩვეოდათ. რიკარდო მშვენივრად ართმეედა თავს ამგვარ საუბარს.

— ჩემი ქვისლი გერმანიაში სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობს, იქნებ იცნობთ კიდეც, კაპიტანი მარტინ გუსტენი.

— მარტინ გუსტენი?—ზრდილობიანად გაუმეორა შეკითხვა ოფიცერმა. — არა, მგონი, არ ვიცნობ.

რიკარდოს სუნთქვა შეეკრა, როცა გაფრენის შესახებ ცნობა მოისმინა.

კარი გაიღო და მგზავრები საფრენ მინდორზე გავიდნენ.

რიკარდო ჩამორჩა.

სავსებით შესაძლებელია. სათვალთვალო მოედნიდან აუტეხონ სროლა.

მის წინ კიდევ ხუთი კაცი იდგა.

თითქმის დაუფიქრებლად გასწი-გამოსწია ისინი და ელვის სიჩქარეით გავარდა მინდორზე. მგზავრები შეჩერდნენ და გაოცებით შეჰყურებდნენ კაცს, ასფალტზე კისრისტეხით რომ მირბოდა.

— მომისმინე, საით მიიჩქარით? — მიაძახა მორიგემ.

რიკარდომ ტრაპთან მიირბინა და რამდენიმე საფეხურის გამოტოვებით, ხტუნვა-ხტუნვით, სალონში შევარდა. სტიუარდესამ გაოცებით შეხედა.

— სანაძლეო მოვიგე, მოვიგე! — სულელური ღიმილით შესძახა რიკარდომ. — ჩემო ლამაზო, მე და ჯერი ათ დოლარზე დავნაძლევდით, რომ ბოლოს გამოვიდოდი და პირველი შევიდოდი თვითმფრინავში.

— გასაგებია, — გაუღიმა ქალიშვილმა.

რიკარდომ თვალი ჩაუკრა.

რიკენესი თავისი „ფოლკსვაგენის" საჭეს მიუჯდა. დილის ექვსი საათი და თხუთმეტი წუთი იყო. კისრის მალებში ჩხვლეტას გრძნობდა. ალბათ, ზედეტი მოსწია გუშინ.

სეროს რაიონში ცხოვრობდა. ლა როსას ქუჩაზე ავიდა, აიესტარანი გადაჭრა და რანჩო ბოიეროსზე გავიდა.

მოუსვენარი დღე ელოდა.

6 საათსა და 30 წუთზე ჩარლიმ ნორმანს დაურეკა და ყოველივე დაწვრილებით უამბო. ისიც უთხრა, როგორ მირბოდა ველზე რიკარდო. და ვერც თვითონ და ვერც კოვაკმა ვერ შეძლეს სათვალთვალო მოედნიდან მისი მოკვლა.

პასუხად სასტიკი ლანძღვა-გინება მიიღო. ნორმანს ნერვებმა უმტყუნა და მთელი ბოღმა ჩარლის დაანთხია. იმანაც მშვიდად მისცა ნორმანს საშუალება გული მოეოხებინა.

როდესაც დაძაბულობა დაცხრა, ნორმანმა ტელეფონში წაიბურტყუნა:

— დაუყოვნებლივ წადი ჩანგთან. იმ ნაძირალას ფოტოსურათი ხომ გაქვს, გადაეცი, თან იმდენი ფული მიეცი, რომ ხუთი დღის განმავლობაში ეყოს მაიამში. არა მგონია, იმ ძაღლმა დიდი ხანი დაჰყოს ლოს-ანჟელესში. არ ღირს იქაური პოლიციის შეწუხება. თქმა არ უნდა, მაიამში ეცდება წასვლას, თუ ხუთი დღის განმავლობაში იქ არ გამოჩნდება, ჯო დევინს დაურეკე. დღეს მეც დავურეკავ, რომ კიდევ მისცეს ფული ჩანგს. ჩანგს კი უთხარი, რომ დღეს საღამოს შვიდი საათის შემდეგ დავუკავშირდები.

9 ოქტომბერს, დილის შვიდ საათზე, ნორმანის ძიერ გაგზავნილი სამი აგენტი პარკ-ავენიუზე რობერტო სან ჰილის ბინაში შეიჭრა.

მათდა გასაოცრად, სან ჰილის ცოლი ცოცხალი აღმოჩნდა. ბევრი სისხლი დაეკარგა, მაგრამ ჯერ კიდევ სუნთქავდა. ნორმანის ინსტრუქციის თანახმად მაქს გრუილეოუმ პოლიციასა და ჯეფერსონის სახელობის ჰოსპიტლის „სასწრაფო დახმარების“ სადგურში დარეკა, შემდეგ მაიკ ნორმანს დაუკავშირდა.

ნორმანი უძილო ღამის შემდეგ გაფითრებულიყო, თან ისიც ანერვიულებდა, რაც ჩარლიმ ტელეფონით აცნობა. მან უსიტყვოდ მოისმინა მაქსის მოხსენება.

— პოლიციას აცნობე?

—დიახ, სერ. ჯეფერსონის სახელობის ჰოსპიტალსაც.

— ყურადღებით მისმინე, მაქს, — ცოტა ხანი ფიქრობდა. შემდეგ მაიკმა უბრძანა. — „სასწრაფო დახმარებამ“ კინზზე მდებარე ვესტჩესტერის ჰოსპიტალში წაიყვანოს ქალი. იცი, სად არის ეს ჰოსპიტალი?

— დიახ, სერ. სამმართველოს ჰოსპიტალია.

— სწორედ ის. შენც წადი მასთან ერთად „სასწრაფო დახმარების“ კარეტით. პოლიციელებს ეტყვი, რომ ეს საქმე სასტიკად საიდუმლოა და ცსს-ს ხელშია. გასაგებია?

— გასაგებია, სერ.

ნორმანმა გონება დაძაბა აზრების დასაწყობად:

— შენ იქ მაშინვე... მოიცა...

საწერი მაგიდის ყუთიდან უბის წიგნაკი ამოიღო და ფურცვლა დაუწყო. ნახა ასო კ და მის ქვეშ გვარი მოძებნა.

— მოელაპარაკები ექიმ ვილი კლიუგერს.

— ექიმ ვილი კლიუგერს,—გაიმეორა მაქსმა.

— დიახ, მას. მე მოვაგვარებ, რომ დაგელოდოს და კიდევ ერთი, — მაიკი სწრაფად ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვების გაგება შეიძლებოდა. — პაველჩაკის გვამთან ვინმე დატოვე და გააფრთხილე, არც ერთ შეკითხვაზე არ უპასუხოს, რაც შეთანხმებული არ იქნება ჩემ მიერ შენთვის მოცემულ პროგრამასთან. ყველას ეტყვი, რომ ეს საქმე ცსს-ს ხელშია და ეცადე ერთი სიტყვაც არ გავიდეს გარეთ. გასაგებია?

— გასაგებია.

— თუ რომელიმე პოლიციელი შენთან ერთად მოისურვებს წამოსვლას, წამოვიდეს, მაგრამ შენ მე დამელოდები. ნათელია?

— ნათელია, სერ.

— მორგში რომ წაიღებენ, მაშინაც დამირეკავ. დანარჩენს თვითონ მოვაგვარებ. დე, მათ იმოქმედონ თავიანთი წესების მიხედვით; გადაიღონ ფოტოსურათი, მოახდინონ კვალის რეგისტრირება. მაგრამ ერთ-ერთი ჩვენიანი უნდა იყოს პაველჩაკის გვამის გვერდით, შენ კი ქალთან იქნები. ო'კეი?

— მესმის თქვენი, სერ.

ნორმანმა ყურმილი დადო, უბის წიგნაკში ჩაიხედა და ექიმ კლიუგერის ნომერი აკრიფა. ყურმილში დიდხანს ისმოდა ზუმერი. ნორმანს ძალზე სურდა, კლიუგერი სახლში არ ყოფილიყო (ეს იმას ნიშნავდა, რომ ის ჰოსპიტალში იქნებოდა). მაგრამ მას კლიუგერის ნამძინარევი ხმა მოესმა.

— კლიუგერი ხარ?

— დიახ.

— მაიკ ნორმანი ვარ. ყურადღებით მომისმინე. გამოფხიზლდი?

— ჰო. თქვი.

— ახლავე ჩაიცვი და ვესტჩესტერში წადი. გაიგე?

— გავიგე, გავიგე, — ნაღვლიანად გაიმეორა კლიუგერმა.

— ნახევარი საათის შემდეგ იქ მოვა ერთ-ერთი ჩემი კაცი მძიმედ დაჭრილ ქალთან ერთად. ყურადღებით მისმინე, ის ქალი არაფინ არ უნდა ნახოს. ჩემს მოსვლამდე ცალკე მოათავსე, ერთი სიტყვით, თვითონ იცი, როგორ გააკეთო ეს.

— გასაგებია, — უპასუხა კლიუგერმა.

— ყველას უთხარი, რომ ეს სტიუარტ დიუკის ბრძანებაა. ეს

მართლაც მისი საქმეა. თუ უფრო ზემდგომის დასახელება იქნეს საჭირო, კაპლანი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჯ. ჯ. დაასახელე.

— კაპლანს ვიცნობ, — წაიბურტყუნა კლიუგერმა.

— ჩაიწერე დანარჩენი ორი სახელი. დაწერე...

— მოიცა, — სთხოვა კლიუგერმა. კალამი აიღო და „ნიუსუიკის" გვერდზე დაწერა, რაც ნორმანმა უკარნახა.

— სტიუარტ დიუკისაგან დაიწყე. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. თუ მისი სახელი არ გიშველის, დაასახელე კაპლანი და ჯ. ჯ. ჩემი ხსენება არ შეიძლება. გაიგე?

— გავიგე, მისტერ ნორმან.

— და ჩემს მოსვლამდე არ წახვიდე ჰოსპიტლიდან.

— კარგი.

— დაბოლოს, ვილი. ის ქალი უნდა გადარჩეს. გაიგე?

— ყველაფერს გავაკეთებ, რაც შესაძლებელია.

— შეძლებელსაც გააკეთებ, — უბრძანა ნორმანმა.

— ოლ რაიტ, შეუძლებელსაც.

— ახლავე გაემგზავრე.

ნორმანმა ყურმილი დადო.

შემდეგ სიგარეტს მოუკიდა. მიუხედავად იმისა, რომ მის კაბინეტში ჩართული იყო ჰაერის კონდიციერების აპარატი, მთლად ოფლში ცურავდა. ნელა აიღო ყურმილი.

ერთი ზარი, მეორე, მესამე...

ბოლოს, როგორც იქნა, ხაზის მეორე ბოლოში უპასუხეს.

— ჩანგი ხარ? — შეეკითხა მაიკი.

— დიახ. ველოდი თქვენს ზარს.

— ჩარლიმ მოგიტანა ფოტოსურათი, ფული და ბილეთი?

— დიახ.

— დილის ცხრა საათის რეისით გაფრინდი მაიამში. ჩაიწერე: 121 ქუჩა, სახლი № 23864, ბინა 12-ა.

— ცხრაზე, ესე იგი, ორი საათის შემდეგ. 121 ქუჩა, სახლი 23864, ბინა 12-ა, ჩავიწერე, — მიუგო ჩანგმა.

— ჩარლიმ აგიხსნა საქმის ვითარება?

— დიახ, ამიხსნა.

— ჩანგ...

— დიახ?

— შენი იმედი მაქვს...

ტურბოხრახნიანი თვითმფრინავი ლოს-ანჟელესში ჩაფრინდა. ამჯერად რიკარდო არც „სამეფოში“ გაჩერდა და არც „კოლუმბიაში“. ქალაქის ცენტრიდან დაშორებული მესამეხარისხოვანი ოტელი ამჯობინა. ოტელის ცენტრალურ ატს-ში დარეკა, სთხოვა, ზუსტად დილის შვიდ საათზე გამაღვიძეთო და მაშინვე ჩაეძინა. ის, რაც სიზმარში ნახა, ალბათ, ყველაზე მეტად შეეფერებოდა წინა დღით მომხდარ ამბავს. დაესიზმრა, რომ დაეხეტებოდა ბრუკლინის (ბრუკლინზე მუდამ სასაკლაოს სუნი დგას) ქუჩებში, ცხვირიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი, და ძალით მიათრევდა თოკით ვიღაც კაცის გვამს. მერე უცებ თავისი თავი დაინახა აღმოსავლეთ გზატკეცილზე, სწორედ იქ, ბორცვებსა და დაბლობებს შორის რომ მიიკლაკნება. თბილი დღე იდგა, ცრიდა, გულაღმა იწვა ასფალტზე და სახეზე წყალი ღვარად ჩამოსდიოდა. წამოდგომა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ თითები გაანძრია ოდნავ და თვალები გაახილა. ახლა სატვირთო მანქანა ან ავტომობილი გაივლის და გასრესს.

და უცებ, უკვე გზატკეცილზე კი აღარ არის, რომელიღაც ხიდზე ძირბის, როგორც შენელებული კინოგადაღებების დროს. შეიცნო ის. ძალზე წააგავს კოხიმარს — იქ, ჰავანის მიდამოებში, ოღონდ, რატომღაც ზღვა არ მოჩანს. მისგან დაახლოებით ასი მეტრის დაშორებით იოლანდა ხეზე ზურგმიყრდნობილი ზის. უღიმის და თითით თავისკენ უხმობს. ცოტაც და მივა მასთან, თითებით შეეხება, აგერ ქალიც მისკენ იწვდის ხელებს. უცებ იოლანდა ქრება, ხოლო მის ადგილზე ზის ის ტიპი, რევოლვერს უმიზნებს და ესვრის.

გამოეღვიძა, ოფლში ცურავდა. ტელეფონი რეკავდა, მომსახურების ბიუროდან ურეკავდნენ, რომ უკვე დილის შვიდი საათი იყო. პასუხად რაღაც წაიბურტყუნა და ყურმილი დადო.

მთელი სხეული სტკიოდა, და თითქოს ღონეც გამოსცლოდა. საბაზანოში სარკეში ჩაიხედა: ტუჩი შესიებოდა, ცხვირთან სილურჯე აჩნდა. შხაპი მიიღო, ჩაიცვა და რევოლვერი პიჯაკის ჯიბეში ჩადო. შემდეგ ჰოლში ჩავიდა, ნაღებიანი ყავა შესვა და აეროპორტში დარეკა. რეისი მაიამისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე იქნებოდა. დღეს პარასკევია, ხოლო ხვალ, შაბათს, ჰავანას გადასცემს დაშიფრულ ტექსტს და სენფუეგოსის პორტზე თავდასხმის გეგმას შეატყობინებს. მაგრამ იენ ჩანგი უკვე მიფრინავდა მაიამში ფლორიდამდე ბიჭავალი თვითმფრინავით...

იმავე პარასკევს, ცხრაში, თორიტეტს რომ ოსუთმეტი წუთი აკლ-

და, მაიკ ნორმანი სტიუარტ დიუკის მისაღებში იჯდა. მისკენ ხელ-გით მჯდომი მბეჭდავი ქალი რაღაც საბუთს ბეჭდავდა. ნორმანმა გადაწყვიტა, შორიდან კი არ მოევლო, პირდაპირ ემოქმედა. ყოველ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, მოხუცი ყველაფერს გაიგებს.

დილის რვა საათზე ჰოსპიტალში შეიარა, ექიმმა კლიუგერმა უთხრა, სან ჰილის მეუღლეს საშიშროება აღარ ემუქრებაო (და რაც ძთავარია, მას ვერავინ ნახავს: მხრიდან ტყვიის ამოღების შემდეგ ექიმმა მოახერხა, რომ ქალი მოათავსეს შენობის დასავლეთ ფრთაში მდებარე იზოლირებულ პალატაში, რომელიც სააგენტოს მოსაბსა-ხურეთა ნათესავთათვის იყო განკუთვნილი). კლიუგერმა იცრუა რე-გისტრატურაში, მან ქალი ჩაწერა როგორც თავისი ცოლისდა და ბა-რათში აღნიშნა, თითქოს სანადირო თოფის წმენდისას შემთხვევით მოირტყა ტყვია მხარში. ნორმანმა დაამშვიდა ის და დაპირდა, რომ ავადმყოფს დღეს საღამოსეე გადაიყვანდნენ კინზზე მდებარე კერძო კლინიკაში.

— შეძლებს დღეს საღამოს ჩვენების მიცემას? — შეშფოთებით შეეკითხა ის.

— ნარკოზის მოქმედების გასვლისთანავე შეძლებს ლაპარაკს, — უპასუხა კლიუგერმა.

— კეთილი, ვილი. თუ გაიღვიძოს, დააძინე. მაგრამ საღამოს რვა საათისათვის დამჭირდება.

ბინძური საქმე იყო, მაგრამ ვილი იმდენად დავალებული გახლ-დათ ნორმანისაგან, რომ არ შეეძლო უარის თქმა.

— დაახლოებით რვის ნახევრისათვის მოვალ და წავიყვან. არ წახვიდე ჰოსპიტლიდან.

კლიუგერმა თითქოს წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ნორ-მანი შეტრიალდა და გავიდა.

დილის ათ საათზე მორგში მივიდა. პაველჩაკის გვამს მაქსის მიერ მიჩენილი კაცი დარაჯობდა. მორგის გამგე, შეუხედავი კაცუ-ნა, სქელი სათვალე რომ ეკეთა და მელოტ თავზე ქერა თმა გადაეგ-ლისა, ძალზე ღელავდა, რადგან ეგონა, „სახელმწიფო საიდუმლო-ებებში", შეთქმულებებში და სხვა მისთანებში ვარ გარეულიო. ხო-ლო როდესაც „პალატის პირველმა თანაშემწემ" ნორმანი წარუდგი-ნა როგორც „დიდი უფროსი", სულ დაიბნა.

ნორმანს სულ არ გასჭირვებია კაცუნასათვის აეხსნა საქმის არსი,

მით უმეტეს, რომ საერთოდ არაფერიც არ აუხსნია. მხოლოდ ბუნდოვნად ახსენა „სახელმწიფო უშიშროება“ და, ეტყობოდა, კაცუნაც მზად იყო „სმენა“-ზე დამდგარიყო. ნორმანმა ის დაარწმუნა, რომ დღის ოთხ საათზე წაიღებდნენ სან ჰილისა და პაველჩაკის გვამებს და სთხოვა (თითქმის უბრძანა) გაეკვეთა.

11 სათსა და 30 წუთზე ნორმანმა ჩარლი მელტონს დაურეკა და დაავალა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც პაველჩაკთან იყო დაკავშირებული: ოჯახისათვის ეცნობებინა, დამკრძალავ ბიუროში ყველა საკითხი მოეგვარებინა და დაკრძალვაც ეთავა. მასვე დაავალა სან ჰილის მეუღლისათვის კინზზე მდებარე კერძო კლინიკაში ადგილი მოენახა და 7 საათსა და 30 წუთზე „სასწრაფო დახმარების“ კარეტით სამმართველოს ჰოსპიტალთან დალოდებოდა.

თორმეტ საათს ხუთი წუთი უკლდა. ნორმანმა სიგარეტი ჩააქრო.

— მისტერ ნორმან, შებრძანდით, გეთაყვა, — უთხრა მდივანმა ქალმა.

— სონია არსად ჩანს, — ნერვულად თქვა ხოსეიტო მენოკალმა.

— რა გაიგე კიდევ? — შეეკითხა ფიკო ტაბლადა და ბოლი ცხვირიდან გამოუშვა.

— რა ჯანდაბა უნდა გაიგო, ფიკო? რობერტო მოკლეს — აი, რა არის ახლა მთავარი.

ტაბლადამ კვლავ გაიხსენა რობერტო სან ჰილთან გუშინდელი ტელეფონით ლაპარაკი:

„ორტისს სურს ჩემი ნახვა“.

„ნიუ-იორკშია?“

„არა, დამირეკა ვინმე... რამონ სიერამ. იცნობ?“

„არასოდეს მსმენია მის შესახებ“.

სან ჰილი დაჰპირდა, რომ საღამოს შვიდი საათის შემდეგ დაურეკავდა. ათ საათზე ფიკო შიშმა აიტანა, ხოსეიტო მენოკალს დაურეკა და სთხოვა, პარკ-ავენიუზე წასულიყო. ღამის თორმეტ საათზე ხოსეიტომ დაურეკა და უთხრა, სან ჰილის ბინიდან არავინ არ პასუხობსო.

მეორე დღეს დილაადრიან ხოსეიტო კვლავ დაბრუნდა პარკ-ავენიუზე და იქ პოლიციელების ჯგუფი და „სასწრაფო დახმარების“

კარეტა ნახა. უსაქმოთა ბრბოში გაერია და დაინახა, როგორ გამოჰ-ქონდათ საკაცეებით სან ჰილისა და ვიღაც მისთვის უცნობი კაცის გვამი.

ის ფიკო ტაბლადასთან გაიქცა. მაგრამ სონია სადღაა, სან ჰილის ცოლი?

— ვფიქრობ, გაბერილმა ორტისმა ზოგი რამ უნდა აგვიხსნას, — წაიბურტყუნა ფიკომ. — რომელი საათია?

— ცხრა საათი და ოცდაათი წუთია.

— თორმეტ საათზე აეროპორტში დაგელოდები, თუ ადრე მიხვალ. ორი ბილეთი აიღე ლოს-ანჟელესამდე.

თორმეტს ხუთი წუთი აკლდა. სტიუარტ დიუკი კაბინეტში იჯდა და ჩუმად კვნეტდა სიგარის ბოლოს. ფიქრობდა, რა ეთქვა მაიკ ნორმანისათვის. ჩანს, რაღაც სერიოზული მოხდა, რადგან მაიკმა დილა-ადრიან დაურეკა მდივან ქალს და დღის თორმეტი საათისათვის სასწრაფო შეხვედრა მოითხოვა.

მაღალზურგიან მბრუნავ სკამზე გადაწვა და თითი გამოძახების წითელ ღილაკს დააჭირა, მაგრამ არ დააჭირა.

იმ წამიდან, როდესაც დილით მდივანმა ქალმა უთხრა, ზუსტად შუადღეზე რაღაც ძალზე საიდუმლო ამბის შესატყობინებლად მაიკ ნორმანი მოვაო, დიუკი, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა და ვერც დასძლია ეს შეშფოთება. რამ გამოიწვია ასეთი ნერვული დაძაბულობა? ადრე არც კი გაახსენდებოდა შეხვედრის ამბავი მანამდე, სანამ ღილაკს თითს არ დააჭერდა და მდივან ქალს მომსვლელის კაბინეტში შემოშვებას არ სთხოვდა. მაგრამ ეს იყო წარსულში. დღეს კი დილიდანვე თავში რაღაც ბუნდოვანი აზრები უტრიალებდა. დიახ, საკუთარი თავის რწმენა და ხასიათის სიმტკიცე წარსულს ჩაბარდა. და არა იმიტომ, რომ ის, სტიუარტ დიუკი, უცებ ერთბაშად დაბერდა (თუმცა ის მართლაც დაბერდა). უბრალოდ, ძალზე სწრაფად შეიცვალა სამყარო და ის უკან მოიტოვა.

ბოლოს გადაწყვიტა.

მაგრად მოკვნიტა სიგარა და ღილაკს თითი დააჭირა. ერთი წუთის შემდეგ გაფითრებული, მაგრამ, როგორც ყოველთვის, წელში გამართული და თავდაჯერებული ნორმანი კაბინეტში შემოვიდა.

ისინი თეთრ ღრუბლებს ზემოთ მიფრინავდნენ. თვითმფრინავი ხუთ კილომეტრზე მაღლა ასულიყო, დაბლა მთები დაცურავდა. ახლა დღის 12 საათი და 40 წუთია, 14 საათზე მაიამში იქნებიან.

რიკარდო ანგარიშმიუცემლად ფურცლავდა აეროპორტში ნაყიდ „ტაიმსის“ ნომერს და სხვათა შორის ათვალიერებდა. ფიქრები შორს გაურბოდა.

ის ორი ტიპი, რომლებმაც სან ჰილი დაკითხეს და მოკლეს, ნამდვილად ცსს-დან იყვნენ? იქნებ დაქირავებული მკვლელები არიან ნიუ-იორკის რომელიმე ბანდიდან, რომელიც, შესაძლოა, სან ჰილმა გასცა? მაგრამ, თუ მართლაც ცსს-დან არიან, მაშასადამე სან ჰილის მოქმედება შეთანხმებული არ ყოფილა სამმართველოსთან? რიკარდომ იცოდა, რომ ცსს-მ, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ტორესთან და მის გეგმებთან, ფსიქოლოგიური ომი გააჩაღა კუბის წინააღმდეგ. ცდილობს ყველა შეიარაღებული ჯგუფი ერთიანი სარდლობის ქვეშ გააერთიანოს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, სურს კონტროლი გაუწიოს მათ მოქმედებას. იქნებ, სან ჰილის აქციამ რომელიმე მნიშვნელოვანი გეგმა ჩაშალა? იქნებ. მის მაგალითზე გადაწყვიტეს სხვებისათვის ‘ჭკუა’ ესწავლებინათ, რათა ასეთი რამ მომავალში აღარ განმეორებულიყო? ჯერჯერობით ერთი რამ ნათელია: თავის ნაამბობში სან ჰილს ერთი სიტყვაც არ უთქვამს სამმართველოზე. როგორც ჩანს, იახტის ოპერაცია, რომელიც ნიკარაგუას პორტიდან უნდა განხორციელებულიყო და საერთაშორისო სატელეგრაფო-სატელეფონო კომპანია აფინანსებდა, როგორც ეს სან ჰილმა აღიარა, ჩაფიქრებული იყო და სორციელდებოდა პირადად მისი და მისი ხალხის თაოსნობით. რასაკვირველია, პირდაპირ არა, მაგრამ ცსს აქაცაა გარეული; თვით სან ჰილმა 1966 წელს გაიარა სწავლების კურსი სამმართველოს სკოლაში შენობების აფეთქების სპეციალობით. მაგრამ, როგორც ფაქტები გვიჩვენებს, კვიცი წინ გადაუხტა დედას.

დღეს პარასკევია. შაბათამდე უნდა დაიცადოს და ჰავანას უნდა გადასცეს დაშიფრული ტექსტი, რომ კვირისათვის სენფუეგოსის პორტზე თავდასხმა მზადდება. ჰავანას სულ ათი საათი დარჩება, რათა მტერს საკადრისად დახვდეს. თუმცა, ათი საათი ვალტერს ეყოფა.

ათი საათი.

ნორმანი უსიტყვოდ ელოდა, როდის დაიწყებდა ლაპარაკს სტიუარტ დიუკი.

ერთი ამოსუნთქვით, ყოველგვარი წვრილმანის გარეშე უამბო დიუკს რაც შეემთხვათ. მისი (ნორმანის) ხალხი ჩხრეკას აწარმოებდა კუბელის სახლში პარკ-ავენიუზე. სამხილს ეძებდნენ. მოქმედებდნენ ცენტრალური დოსიესა და ჰარი ტერციისგან მიღებული ცნობებისა და მონაცემების თანახმად (ამ სახელის ხსენებაზე სტიუარტმა თვალები დახარა); ესე იგი, მოქმედებდნენ სან ჰილის დღის წესრიგის გათვალისწინებით. მაგრამ იმ დღეს რატომღაც მოულოდნელად ორი საათით ადრე დაბრუნდა და აგენტებს თავს წაადგა. იფიქრა, ალბათ, ქურდები არიანო, სროლა ატეხა და ერთი აგენტი მოკლა. მეორემ თავდაცვის მიზნით ისროლა და სან ჰილი მოკლა. ეს უბრალოდ ზუსტად ვერ გაიახგარიმეს.

მაიკ ნორმანმა სან ჰილის ბინაში მომხდარი ამბავი არა მარტო მიაჩუმათა, ქალზეც კი არაფერი უთქვამს, და, თავისთავად ცხადია, არც კუბელი რიკარდო ვილია უხსენებია, რომელმაც მაგნიტოფონი წაიღო; ეს კუბელი ხომ ინციდენტის უშუალო მოწმეა. მაიკს არ სურდა თავისი საიდუმლო გაეხდო.

ჩაფიქრებული დიუკი კბილებში სიგარას ღეჭდა.

— ძალზე ცუდი ნამუშევარია, — გამოსცრა ბოლოს.

— მართლაც, სერ. ცუდი ნამუშევარია. შემთხვევის ამბავია...

ნორმანმა დიდებულად გაითამაშა იმ გულმოდგინე მუშაკის როლი, რომელმაც პირველად დაუშვა შეცდომა: გაფითრებული ლოყები ოდხავ შეეფაკლა კიდეც.

მაგრამ დიუკი არ აპირებდა ამგვარი ამბის ასე იოლად ჩაყლაპვას.

— როგორ ფიქრობთ, სწორი გზა აირჩიეთ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად? — შეეკითხა დიუკი.

— სერ, რა გაქვთ მხედველობაში? ბინის გაჩხრეკა?

— დიახ, სწორედ ეგ.

— სერ, ეს მივიჩნიე ყველაზე საუკეთესოდ, თუმცა რეზერვში სხვა გზაც მქონდა.

— მაგალითად?

— სან ჰილის „გაძლიერებულად დაკითხვა", სერ.

დიუკმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა „გაძლიერებული დაკითხვა". ჭეშმარიტების შრატი, ელექტრონული ჰიპნოზი, წამება. დი-

უკის ოქროს ხანაში პირველი ორით არ სარგებლობდნენ, მესამე საშუალება მაშინაც იხმარებოდა.

— სწორედ ამით უნდა დაგეწყოთ, — წაიბურტყუნა დიუკმა.

— მე, სერ, უფრო კეთილგონიერულად ჩავთვალე დამეწყო, ასე ვთქვათ, ქვემოდან, შემდეგ კი თანდათან ავსულიყავი ზევით.

— წარმოგიდგენიათ, რა მოჰყვება ახლა ამას?

— კარგად მაქვს წარმოდგენილი, სერ. მაგრამ უკვე ყველაფერი მოვიფიქრე.

— მერე?

— თქვენი ნებართვით, სერ, ვფიქრობ, საჭირო არაა დეტალური ახსნა. მოდით მთელი ეს ამბავი წარმოვიდგინოთ, როგორც თვით კუბელების ნამოქმედარი, რომლებიც ერთმანეთს თვალებს თხრიან. მაგრამ, დაე, კუბელებმა იეჭვიანონ (ბუნებრივია, ჩვენ ამას არ დავადასტურებთ), რომ აქ გარეულია სამმართველო და მაშინ მომავალში ვერავინ გაბედავს დაწესებული ნორმებიდან გადახვევას.

— თქვენს აგენტს რაღა ვუყოთ?

— აქ სირთულეები არ მოგველის. ველაპარაკე დუანს — ჩვენს კაცს ქალაქის პოლიციაში. ისინი მიჩქმალავენ ამ საქმეს. ყველანაირი გარანტია მომცა.

— ჰოდა, მაინც როგორი სურათი იხატება?

— სან ჰილი მოკლეს კუბელებმა მისი მოქიშპე დაჯგუფებიდან, სერ. ჩვენ კი საკითხს ღიად ვტოვებთ, დაე, ჩვენზე აიღონ ეჭვი.

დიუკმა სიგარას მოუკიდა. ბოლი ნელა გამოუშვა.

— ნორმან, აქ ერთი სიძნელეა, — უთხრა მან. — სულ პატარა და უმნიშვნელო. აი, ჩემს თავს ვეკითხები, რა ვუთხრა კაპლანს?

— ამ საქმის თაობაზე, სერ?

— დიახ, დიახ, ამაზე. ხომ ვერ გამოვცხადდები მასთან და მოვახსენებ. იმიტომ ვერ შევძელით ბოკა დე პახაროზე თავდამსხმელი. ვინაობის გაგება. რადგან... ჰო, რადგან, ერთ-ერთმა ჩემმა კაცმა „შემოხვევით" მოკლა სან ჰილი-მეთქი? რას იტყვით?

— ამაზეც ვიფიქრე, სერ.

დიუკს მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია ეს სიტყვები. ნორმანი მართლაც ეშმაკი იყო და შეეძლო წყლიდან მშრალად ამოსვლა.

— აბა, ვნახოთ...

— ყველაფერს ახლავე გაიგებთ, სერ. ვფიქრობ, დრო საკმაოდ გვაქვს გასაგებად, იყო თუ არა ეს სან ჰილის ჯგუფი. საკმარისია,

რომელიმე გაზეთმა გამოაქვეყნოს ცნობა, რომ ის მოკლა იმ მოქიშპე ჯგუფის ხალხმა, რომელთაც უღალატა, როცა ბოკა დე პახაროს ცეცხლი დაუშინა. და მაშინ ისღა დაგვრჩება, რომელიმე მისი ამფსოხი იძულებით დავაჯეროთ, თითქოს ზუსტად ვიცით, რომ ისინი დაესხნენ თავს სოფელს.

დიუკი დუმდა.

— თუ ისინი არ იყვნენ?

— მაშინ, სერ, გამორიცხვის მეთოდით დავასკვნით, რომ ლაპარაკია ორი ბანდიდან ერთ-ერთზე, უფრო არტეაგის ჯგუფზე.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მაიამში ჩაფრინდებიან. როგორც ჩანს, მის მეზობელს, ქერათმიან გოლიათს, რომელმაც ლოს-ანჟელესში ტრაპის მოშორებისთანავე ტაბილაზ დაიძინა, კოშმარები ტანჯავდა: სუსტად კვნესოდა და სახეს შანჯავდა. იქნებ ესიზმრებოდა, რომ თვითმფრინავი პიკირებდა და ლურჯი ალის ენებში გახვეული, მიწაზე ეცემოდა.

შიმშილს არ გრძნობდა, მაგრამ ყავა ძალიან უნდოდა. რასაკვირველია, ის უგემური თხლე კი არა, რომელსაც ჩრდილოამერიკელები სვამენ (ის ვერაფრით ვერ შეეჩვია), არამედ, ნამდვილი, მაგარი, ტკბილი ყავა, რომელსაც ხარშავენ..

მაინც სად? რასაკვირველია, კუბაზე, მაგრამ ვინ?

დედას ძალზე გემრიელი გამოსდიოდა, თუმცა ოდნავ სიმწარე დაჰკრავდა. მაგრამ დედა გარდაიცვალა და საეკვოა, კიდევ ახსოვდეს მისი ყავის გემო — უკვე მრავალი წელი გავიდა. იქნებ ასეთ ყავას ვიბორში, თავის სახლში, კვირა დღეს იოლანდა აკეთებდა, ძალზე ტკბილს, მაგრამ არცთუ ძალიან მაგარს.

შორეულ, ნახევრად მივიწყებულ ყავის არომატთან ერთად მოგონებებიც მოეძალა. სასიამოვნო თუ უსიამოვნო მოგონებები იმ, სხვა ცხოვრებაზე, მის ერთადერთ ჭეშმარიტ ცხოვრებაზე.

ადრე თუ გვიან ის დაბრუნდება, მაგრამ ისინი, ვინც მას შეცვლიან, მის სამუშაოს გააგრძელებენ, რათა ვერავინ ვერასდროს შეძლოს ზურგში დანა ჩასცეს თავისუფლების კუნძულს, ნეტა რამდენ წელს იცხოვრებენ ჭეშმარიტი ცხოვრებით? აქ მოუწევთ დარჩენა, სახამ მათი საქმე მოითხოვს და კიდევ ერთი საათი, იმდენი წელი,

რამდენიც საჭიროა, და კიდევ ერთი წელი, ვიდრე რევოლუციაზე თავდასხმის საშიშროება არ მოისპობა.

ხოლო სანამ ეს არ მომხდარა, ვიდრე ქვეყანას ჯერ კიდევ მშვიდობიანად არ ამოუსუნთქავს, საჭიროა აქ ყოფნა, და ამ საზარელი ძალებისათვის საკუთარი რწმენისა და ვაჟკაცობის დაპირისპირება. ვაჟკაცობა, რწმენა... ამით არიან ძლიერნი, რადგან მათზეა დამოკიდებული სამშობლოს თავისუფლება. სხვა გზა არ არსებობს. კარიბის ზღვაში მდებარე პატარა, კურთხეულმა კუნძულმა შეიძლება გაძლოს და გაიმარჯვოს მხოლოდ ვაჟკაცობით, მოხერხებითა და რწმენით. ვაჟკაცობით, რათა თუ საჭირო იქნა — ზეზეურად მოკვდეს, ერთი ჩივილიც არ აღმოხდეს, და იბრძოლოს უსასტიკეს მძიმე პირობებში. ხოლო რწმენით, რათა მტკიცედ სწამდეს ფიდელი, რევოლუცია, მომავალი. მილიარდობით დოლარი, ადამიანთა ცოდნის ყველა დარგში მომუშავე მრავალი ათასი მეცნიერი, უზუსტესი ტექნიკის იარაღის არსენალები, ასობით ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, სიკვდილისა და ნგრევისათვის სულ ახალ-ახალ აპარატებს რომ შეიმუშავებენ, ჯაშუშთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, კომპიუტერთა არმიები... საზღვრის მეორე მხარეს კი — პატარა ქვეყანა, რომელმაც მხოლოდ ვაჟკაცობითა და რწმენით გადაწყვიტა გაძლება.

ოდესმე დაიწერება ამ გმირული ბრძოლის ისტორია; და ისიც იქნება აღნიშნული, თუ რა დაძაბულად მუშაობდა კუბელთათვის დამახასიათებელი ჭკუა. კუბელებისა, რომელთაც ზიზღით უცქეროდნენ, თვლიდნენ ვულგარულ ბრიყვებად, რომელთაც მხოლოდ გუარაჩუს ცეკვა შეუძლიათ და ერთი ყლუპი აგუარდიენტესათვის მშობლიურ პალმასაც კი გაყიდიან. კუბელების ჭკუა გამარჯვებას ემსახურება. აი მას, რიკარდოს, შეერთებულ შტატებში აქვს მხოლოდ პატარა რაცია, რომელიც დამზადებულია ცსს-ს საჭიროებისათვის. ეს რაცია სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის მიერ განადგურებული კონტრრევოლუციონერების დასახმარებლად ფარულად გადაისროლეს კუბაში და ხელახლა გაგზავნეს შეერთებულ შტატებში, რათა თავისი გადაცემები აწარმოოს „პიანისტმა“ ბრუნომ...

თვითმფრინავის ფრთებქვეშ ასიათასობით კილომეტრზე გადაჭიმულა მძლავრი გიგანტური ქვეყანა, რომელსაც იმ ოცნებების გათელვა სურს, რითაც მისი სამშობლო სულდგმულობს.

ვერ შეძლებს ამის გაკეთებას.

ვერ შეძლებს მაშისაც კი, ქვეყნიერების დაქცევამდე რომ გაგრძელდეს ბრძოლა.

ამგვარი საქმეების მოკვარახჭინება ნორმანს ესერხებოდა.

ქალი მშვიდად იწვა, ეს-ესაა შრატი გაეკეთებინათ მხარს. საიდანაც ტყვია გაძოულეს, პლასტიკის ანტისეპტიკური ხუფი ფარავდა. ხელა და თანაბრად სუბთქავდა. უსიცოცხლო თვალები საწოლთან მსხდომ კლიუგერისა და ნორმანისაკენ მიეპყრო. თეთრ, გაკრიალებულ პალატაში სხვა არავინ იყო.

— როგორ გრძნობთ თავს? — შეეკითხა ნორმანი.

ქალმა ძლივს ანიშნა ხელით.

— უკეთ ხართ?

ქალმა თავი დაუქნია.

— შეგანიშნავია. შეგიძლიათ ლაპარაკი?

მან არაფერი უპასუხა და თვალი მიაპყრო კლიუგერს, რომელმაც ბზერით გაამხნევა

— ვფიქრობ, კი, — სუსტად უპასუხა ქალმა.

თამაში დაიწყო.

მაიკ ნორმანი კარგად აკვარახჭისებდა ამგვარ საქმეებს. მან ქალს ჩააგონა, სახელი გაქვს გატეხილი და ამ ამბიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში დააღწევ თავს, თუ შეძლებისდაგვარად დაგვეხმარებიო. უბრალოდ და გარკვევით აუხსნა, რა უნდოდათ მისგან. შემდეგ ძოთმინებით დაელოდა, ვიდრე ქალი დავალებას გაიმეორებდა. ბოლოს კი აჩვენა თხუთმეტი ფოტოსურათისაგან შემდგარი კოლექცია. ფოტოსურათებზე აღბეჭდილი იყო ჭაღარათმიანი მოხუცი. შესახედავად სამოცი წლისა იქნებოდა.

— აი, ეს კაცია, კარგად გაიგეთ ყველაფერი?

— დიახ, — უპასუხა ქალმა.

— დაიმახსოვრეთ. თქვენ მოკალით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი. მზად ვართ დავიიწყოთ ეს ამბავი, მაგრამ თქვენც ყველაფერი ისე უნდა გააკეთოთ, როგორც გითხარით. გარდა ამისა, ხუთი ათას დოლარს მიიღებთ. თქვენს მეუღლეს ხვალ დაასაფლავებენ პირველი თანრიგით. ვფიქრობ, ასეთ მდგომარეობაში ვერ დაესწრებით დაკრძალვას. დარწმუნებული ხართ, რომ

თქვენს ქმარს მეტი ახლობელი არავინ ჰყავს შეერთებულ შტატებში?

უარყოფის ნიშნად ქალმა თავი გააქნია.

— ძალიან კარგი. ახლა კი დაისვენეთ. სანამ გეძინათ, ჩვენ ნიუ-იორკის ერთ-ერთ საუკეთესო კერძო კლინიკაში გადმოგიყვანეთ. ექიმი კლიუგერი აგებს პასუხს თქვენს ჯანმრთელობაზე. ის შესანიშნავი ექიმია, ასე რომ, ნურაფერზე იწუხებთ.

ნორმანმა ფოტოსურათები ტყავის პორტფელში შეინახა და კლიუგერთან ერთად პალატიდან გავიდა.

ქალმა თვალები დახუჭა და თვალწინ დაუდგა ფოტოსურათზე აღბეჭდილი ჭაღარათმიანი მოხუცის სახე. ნორმანმა რამდენჯერმე გაუმეორა მისი სახელი, რომ დამახსოვრებოდა. და ახლა გაფითრებული ტუჩებით წაიჩურჩულა: სტიუარტ დიუკი.

ის ბისკაის ბულვარზე მდებარე ოტელ „ბიკაინ ტერესში" გაჩერდა. წინასწარ სამი დოლარი გადაიხადა და საღამოს ექვს საათამდე ნომერში ჩაიკეტა. ექვს საათზე რესტორანში დარეკა და სთხოვა, ნახევარი ლიტრი ჩაი და ცხაურზე შემწვარი სამი ბიფშტექსი მოეტანათ.

ძველებური რიტუალის მიხედვით იქადილა. წელზე ტყავის კორსეტი შემოეკრა და სკამზე ძალზე გამართული იჯდა. საგულდაგულოდ ღეჭავდა ხორცს და ყლუპ-ყლუპით უშაქრო ჩაის აყოლებდა. ჭამას არასდროს ანდომებდა ორ საათზე ნაკლებს. მხოლოდ ძროხის ხორცს ჭამდა და მხოლოდ ჩაის სვამდა.

ჭამის შემდეგ კორსეტი მოუშვა და ათი წუთის განმავლობაში პირდაპირ ნოხზე გაიჭიმა. თითქოს ზურგზე ცურავსო, მონაცვლეობით იქნევდა ხელებს და ფეხებს. შემდეგ ცივი შხაპი მიიღო. საბაზანოდან გამოსული, თითქოს არც უჭამიაო, მუცელში არავითარ სიმძიმეს არ გრძნობდა: საჭმლის მონელება თვით ჭამის მომენტში ბოხდა. ჩაიცვა მოხერხებული ტანისამოსი: სპორტული პერანგი, ფლანელის შარვალი, რეზინისლანჩიანი ტილოს ფეხსაცმელი, ნაცრისფერმინებიანი სათვალე აიღო და ვესტიბიულში ჩავიდა.

ტელეფონით მოითხოვა გაქირავების მანქანა. საწინდრის ჩათვლით, რომელსაც ოტელში იღებდნენ, ორი დღისათვის თხუთმეტი დოლარი გადაიხადა და 8 საათსა და 40 წუთზე გარაჟის თანამშრომელმა თეთრი „ბიუიკი" ზედ კართან მიაყენა.

საჭეს მიუჯდა. მანქანა გააჩერა ექვსსართულიან სახლთან. რომელზეც მკაფიოდ გამოირჩეოდა ნომერი და ძრავა გამორთო. ო�აx წუთის შემდეგ ჩასგის გამლებმა იმ ბინის კარი გააღო. სადაც რიკარდო ცხოვრობდა.

სიხათლის აუხთეველად, ბელის ფათუოით მოძებნა სკამი და წელში გაბართული დაჯდა.

სიბნელეში იყურებოდა, სასიკვდილო დარტყმისათვის ხელებს ნელა და რითმულად აკარჯიმებდა.

ორტისმა ვერც ერის თქმა მოასწრო, „რას უნდა ვუმადლოდეთ თქვენს მობრძანებას", და ვერც — „რა მოხარული ვარ თქვენი ხახვიანობ". ფიკო ტაბლადა შიგ გულში უძიზსებდა.

— გასწი, — უბრძანა და ლულა ზედ მკერდზე მიაჯიბა.

ორტისს სახეზე დაბნეულობა დაეტყო. ტუჩები აუკაკაბდა და ოთახში უკან დაიხია.

— კიდევ არის ვინმე სახლში? — ჰკითხა ხოსეიტომ.

უარყოფის ნიშნად ორტისმა თავი გააქნია.

— შეამოწმე, — უბრძანა ფიკომ ხოსეიტოს და თან ორტისის მკერდს რევოლვერს არ აშორებდა.

ხოსეიტომ თავისი პისტოლეტი ამოიღო და მეორე სართულზე მოთავსებულ საძილე ოთახებში სირბილით ავიდა.

— მე და შენ ბევრი რამ გვაქვს სასაუბრო, — უთხრა ტაბლადამ.

— კი მაგრამ, რა ხდება, ფიკო? — დაიკვნესა გაბერილმა.

— ვინაა რამონ სიერა? — ნელა შეეკითხა ტაბლადა.

— რაოხინ? რომელი?

— ნუ სულელობ, ლეონ. ეს არ შეგშვენის და არც მე მაქვს დრო. აბა, დაუაქე.

— გეფიცებით ყოვლად წმინდა...

— არავინაა! — დაიყვირა ხემოდან ხოსეიტომ.

— ჩადი და საბაზარეულოსა და სააბაზანოში შეიხედე! — გასცა განკარგულება ტაბლადამ და ისევ ჩააშტერდა გაბერილ ორტისს ქოხიან სახეში. — აბა, გელოდები, ლეონ.

— რა მოხდა, ფიკიტო? ღმერთმა დამლახვროს...

ფიკომ არ დაამთავრებინა, პისტოლეტის ლულა მთელი ძალით ჩაარტყა სახე'ში, ქვებით სავსე ტომარასავით ორტისი ნოხზე დაეცა. ოთახის ხის იატაკი შეზანზარდა.

ორტისს პირიდან სისხლი წასკდა, დაიკვნესა და მუხლებზე წამოდგომა სცადა.

— ფიკიტო, ღვთის გულისათვის...

— სიმართლეს დაგაფქვევინებ! — დაუყვირა ტაბლადამ.

მთელი ძალით ჩაარტყა ფეხი მკერდში და გაბერილი კვლავ გაგორდა ნოხზე. ტაბლადა მივარდა:

— მოთმინება აღარ მყოფნის, ლეონ.

— წმინდა მარიამის გულისათვის... —აღმოხდა ორტისს და თან სახეს იფარავდა.

— გეყოფა ლაქლაქი, ძაღლო! — უყვიროდა ტაბლადა, — ვინაა რამონ სიერა? ვინ?

რიკარდომ გადაწყვიტა კვირამდე არ დაერეკა ტორესისათვის. შაბათს, 8 საათსა და 30 წუთზე, თავის „პიანინოზე" მოცემულ პიესას შეასრულებდა, მანამ კი არ უნდოდა ტორესთან დაკავშირება. დღის სამი საათი იყო. რიკარდო აეროპორტის ახლოს მდებარე ავტომობილების გამქირავებელ კანტორაში გაემართა და კლუბ „დინერზის" საწევრო ბილეთი წარუდგინა. მოსამსახურემ რიკარდოს გასაღები მისცა და მაიამში სასიამოვნო დროის გატარება უსურვა.

3 საათსა და 25 წუთზე რიკარდო 185-ე ქუჩაზე მდებარე პატარა მოტელ „ტანდერბირდისაკენ" მიდიოდა.

4 საათსა და 30 წუთზე შენობის აღმოსავლეთ ფრთაში აუზის გვერდით მდებარე ოთახის გასაღები მისცეს.

5 საათსა და 30 წუთზე შხაპი მიიღო და ფლეჯლერზე წავიდა. იქ სამოცდახუთ დოლარად იყიდა მაგნიტოფონი „ფილიპსი". საცვლებსა და ჩემოდანში ორმოცდათი დოლარი დახარჯა და „ტანდერბირდში" დაბრუნდა. დაახლოებით რვა საათზე მოტელის რესტორანში ივახშმა, თავის ოთახში შეევიდა და მაგნიტოფონში სან ჰილის აღსარების ფირი ჩადო. 9 საათსა და 30 წუთზე უკვე მზად ჰქონდა ჰავანაში გასაგზავნი ტექსტი. მხოლოდ მისი დაშიფვრა იყო საჭირო. შიფრის გასაღებისა და „პიანინოსათვის" ხვალ დილით წავა.

რიკარდომ მაგნიტოფონი და ფირი ნაყიდ ჩემოდანში შეინახა, კარი ურდულით დაკეტა, გაისადა და საწოლზე მიეგდო, რათა ძილის წინ, ღამის ჰატარა მაგიდაზე მდგარ რადიოდან მუსიკა მოესმინა. გადმოსცემდნენ ჯაზურ პროგრამას. ჰაერის კონდიციერების აპარატი მთელი სიმძლავრით მუშაობდა და რიკარდო იძულებული შეიქნა ადგარიყო და სვიტრი ჩაეცვა.

მაგრამ მუსიკამ ვერ დაამშვიდა, პირიქით, ააფორიაქა.

ოთახში მიდი-მოდიოდა და ნერვულად ეწეოდა. შემდეგ ჩემოდნიდან „მაგნუმი" ამოიღო და ბალიშის ქვეშ დამალა. ისევ დაწვა, სიხათლე ჩააქრო, რადიო გამორთო და როგორც იქნა, ჩაეძინა.

შაბათი

ღამის ორის თხუთმეტი წუთია.

ყველაფერი მზადაა. მხოლოდ ორი რამ რჩება. პირველი: ჩანგმა დაურეკოს მაიამიდან და აცნობოს, რომ რიკარდო ვილია მომავალში ვეღარასოდეს გაინასკვავს ჰალსტუხს, და, მაშასადამე, მას, ჩანგს, ხელთა აქვს ფირი. მეორე: იპოვოს უკანასკნელი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელიც სტიუარტ დიუკს უნდა მოახვიოს. ისე კი, წარმატების მისაღწევად ყველა თულფი მის ხელთაა: სან ჰილის ცოლი, ჩარლი, ექიმი კლიუგერი...

უდაოდ წარმატება ელის.

— მარცხი შეუძლებელია, — წაიბუტბუტა მაიკ ნორმანმა.

— რა? — შეეკითხა „პლეიბოელი" გოგონა, მის გვერდით რომ იწვა.

— არაფერი, — დაამშვიდა ნორმანმა

წვიმდა.

ფიკო ტაბლადამ საათს დახედა: 7 საათი და 25 წუთია.

— წავიდეთ, ვისაუზმოთ, — შესთავაზა ხოსეიტომ.

ათი წუთია, რაც მაიამში არიან. არც ერთ მათგანს არ უყვარდა მაიამი. ორივეს მოუხდა აქ ცხოვრება (ფიკოს სამი თვე, ხოსეიტოს კი თითქმის ერთი წელი), მაიამში ყველაფერი ჰავანას წააგავდა, მათ

კი სულ სხვა რამ სურდათ. ამიტომ ორთავემ ნიუ-იორკში გადასვლა გადაწყვიტა. რას იზამ, არც ისე ცუდად გამოუვიდათ.

აეროპორტის ერთ-ერთ კაფეში შევიდნენ. დახლთან დასხდნენ და ფუნთუშები და შავი ყავა მოითხოვეს. ორტისმა აღიარა, რომ რამონ სიერა სინამდვილეში რიკარდო ვილია სოლანა იყო და ტორესის ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ. მაგრამ ორტისის აღწერილობით თუ ვიმსჯელებთ, ვილია სოლანა სრულებით არ ჰგავდა იმ მოკლულს, რომელიც სან ჰილის ბინიდან გამოიტანეს.

ყოველ შემთხვევაში, ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ რიკარდო ჯერ კიდევ ნიუ-იორკშია. მაგრამ მათ საქმე აქვთ ტორესთან, მეთაურთან; თუკი ვინმეს სან ჰილის აღგვა სურდა პირისაგან მიწისა, რასაკვირველია, მხოლოდ მას. რა გაეწყობა, დაე. თვითონ აგოს პასუხი მისი სიკვდილისათვის (თუმცა ისინი, ცხადია, იმითაც ისარგებლებენ, რომ ორტისმა მისცა ვილია სოლანას მისამართი, და სამახსოვროდ დაუტოვებენ პატარა საჩუქარს: დინამიტით გატენილ ჩაის თუნუქის ცარიელ კოლოფს, რომელიც ელემენტთან და ამფეთქებელთან იქნება შეერთებული. ვილია სოლანა თავისი ბინის კარის შეღებისთანავე ჯოჯოხეთში, სან ჰილის გვერდით ამოყოფს თავს).

წაისაუზმეს და კაფედან გამოვიდნენ.

— ახლა რა ვქნათ? — შეეკითხა ხოსეიტო.

— მე ტორესთან წავალ, შენ კი ეს პატარა სანთელი წმინდა ბარბალეს დაუნთე.

ორივემ ცალ-ცალკე დაიჭირა ტაქსი.

ნახევარი საათის შემდეგ ფიკო ხაიმე ტორესის კანტორის მინის კარზე აკაკუნებდა.

— შემობრძანდით, — უპასუხა მდივანმა ქალმა.

კარში გამოჩნდა ტაბლადას მოღიმარი სახე.

— შეიძლება შემოვიდე? — იკითხა ინგლისურად.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — შეეკითხა ქალიშვილი და წამოდგა.

ტაბლადა გრილ ოთახში შევიდა.

— მისტერ ხაიმე ტორესი თავისთანაა?

— გელოდებათ?

ამ დროს მარჯვნივ გაიღო კარი და ტაბლადას შეეჯახა ვიღაც

დიდულაშიანი კაცი, რომელიც ყველაზე ნაკლებად ჰგავდა ადვოკატს.

— ვის ეძებს? — შეეკითხა ქალიშვილს, თან დაჟინებით ათვალიერებდა ტაბლადას.

— დოქტორს.

— რა საქმეზე?

— აი, ჩემი სადაობაზო ბარათი, — წაიბუტბუტა ტაბლადამ და თითქოს ეძებსო, ჯიბეებზე ხელი მოისვა. — აქაა! — და სწრაფად ჩაიყო ხელი ჯიბეში.

დიდულაშა ნაშინვე მიხვდა, რომ ჯიბიდან სადარბაზო ბარათს არ ამოიღებდა, მაგრამ ტაბლადა ელვის სისწრაფით მოქმედებდა.

— მშვიდად, — უბრძანა მან და იქ მყოფთ რევოლვერი დაუმიზნა.

შაბათს დილიდანვე წვიმდა. გულის გამაწვრიელებელი დღე გათენდა. მძაფრი ქარი ქროდა, ცა კი ბუმბუყიანი და მოწყენილი ჩანდა. რიჯარდომ საშინელი თავის ტკივილით გაიღვიძა, ალბათ, ნერვებმა ეტყუნა, ესეც არ იყოს, უკანასკნელი ორი დღის მანძილზე მეტისზეტად ბევრს ეწეოდა.

ცხელი შხაპი მიიღო და წვერი გაიპარსა. თბილი შარვალი, სვიტერი და მოხერხებული ფეხსაცმელი ჩაიცვა. ნომრის კარი გააღო და გაახსენდა რომ ბალიშის ქვეშ „მაგნუმი“ დარჩა, დაბრუნდა და ჩემოდანში დამალა. ჯიბეში ჩაიდო ფირი, რომელზეც ჩაწერილი იყო სან ჰილის ნაამბობი და შეტყობინების ტექსტი, დღეს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე რომ უნდა გადაეცა.

სწრაფად ისაუზმა. ფორთოხლის წვენი და ყავა დალია. კიოსკში ვრცელი კოლოფი „მალბორო“ იყიდა. რომ არ დასველებულიყო, მოტელის კარიდან სადგომამდე ოცი მეტრი სირბილით გაიარა. „მუსტანგში“ ჩაჯდა, ძრავა ჩართო და ქუჩას ნელა გაუყვა.

ჩანგს ერთი წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი. სააბაზანოში ორჯერ გავიდა, პირი დაიბანა. დანარჩენი დრო უხერხულად იჯდა სკამზე და დროის ნელ სვლას გრძნობდა.

ახლა დილის ცხრა საათი იქნებოდა. მაგრამ ფანჯრები ფარდებით მჭიდროდ იყო დახშული. ოთახი სიბნელეს მოეცვა.

და მაშინ შეშოესმა...

თავდაპირველად თითქოს ვიღაც ოდნავ აფხაჭუნებდა დერეფანში გამავალ კარზე. ნელა, უჩუმრად წამოდგა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა კედელს, კუთხეში დაიმალა და გაინაბა.

გაიღიმა — ვიღაც გამღებით ცდილობდა კარის გაღებას, როგორც თვითონ თერთმეტი-თორმეტი საათის წინ გააკეთა, ოღონდ კარსუკან მდგომი კაცი ისე მოხერხებულად ვერ ირჯებოდა.

ლითონის გაჩხაკუნება და კარის გაღება ერთი იყო.

კარი უხმაუროდ გაიღო და ოთახში ვიღაცის ჩრდილი შემოსრიალდა.

ჩანგი დაელოდა, ვიდრე კაცი კარს დაკეტავდა.

როდესაც ურდული ჩაიკეტა და დერეფნიდან შემოსული სინათლის მკრთალი შუქი გაიფანტა, ჩანგმა ისკუპა.

იმის გასააზრებლად, თუ რა ხდებოდა, კაცს მხოლოდ ორი წამი ჰქონდა. ორი წამი პირველი დარტყმიდან, რომელმაც ხერხემალი გადაუმტვრია, მეორე დარტყმამდე, რომელმაც თავის ქალა ჩაუმსხვრია.

დაკენესებაც ვერ მოასწრო, და კარიდან ორ ნაბიჯზე მძიმედ დაეცა.

ჩანგმა სინათლე აანთო.

კაცის ფართოდ გახელილი თვალებიდან თითქოს კიდევ გამოსჭეიოდა სიცოცხლე, მაგრამ ჩანგმა იცოდა, რომ მკვდარი იყო.

მოხრიალე უძრავი სხეულის გვერდით ჩაცუცქდა, აუჩქარებლად ამოიღო ჯიბიდან ფოტოსურათი, ნიუ-იორკში ჩარლი მელტონმა რომ მისცა და იატაკზე გაშხლართული კაცის გაფითრებულ, დამანჭულ სახეს შეადარა. ეს არ იყო რიკარდო ვილია სოლანა.

რაღაც შეცდომა მოხდა.

ჩანგმა მკვდარს ჯიბეები გადმოუბრუნა. იქ პატარა ბომბი, გამღები, საიზოლაციო ლენტი და რევოლვერი იპოვა. გარდა ამისა, ნახა საფულე, რომელშიც ოცი დოლარი იდო და მაშინვე ჯიბეში იკრა; კიდევ — მანქანის მართვის უფლების მოწმობა: „ხოსე ა. მენოკალი; აფ. № 39867, ნიუ-იორკი 8622“.

10 საათსა და 30 წუთზე რიკარდომ „მუსტანგი“ შეაჩერა იმ სახლის წინ, სადაც ცხოვრობდა. ძრავა გამოთიშა, მინები ასწია, მახქანა დაკეტა და გადმოვიდა.

აქ დიდხანს არ დაყოვნდება, მხოლოდ აიღებს ჩემოდანს, რომელშიც რაცია და შიფრის წიგნია. მაგრამ ვიდრე მათ სამალავიდან გამოიღებდეს, ოციოდე წუთი მაინც დასჭირდება.

თავის სართულზე ავიდა და გასაღები ამოიღო. შემდეგ კარის წინ ჩაცუცქდა, ყურადღებით დაათვალიერა და ოდნავ გაფითრდა: ბექედი გატეხილი იყო. სახლიდან გასვლის შემდეგ, ზედ იატაკთან, კოსა და კარის ჩარჩოს შორის, პლასტელინის ორი პატარა ბურთულით ამაგრებდა წვრილ მავთულს. ასე იგებდა რიკარდო, ნიკი ოიუოფნის დროს სახლში თუ ვინმე შევიდოდა.

ვიღაც ყოფილა სახლში, იქნებ ახლაც იქ არის.

„მაგნუმი“ ამოიღო, ჩახმახი შეაყენა და კლიტის ჭუჭრუტანაში გასაღები უხმაუროდ ჩასვა.

ოთახში უკუნეთს დაეასდგურებინა. რიკარდომ კარი ღია დატოვა და ოთახში ფრთხილად შევიდა. რევოლვერი მაგრად ჩაებღუჯა ხელში, ხელის ფათურით მოებნა გამომრთველი და სინათლე ანთო.

საშიში არაფერი ჩანდა. ყველა ნივთი თავის ადგილზე იდო. მაგრამ, იქნებ, საძილე ოთახში ანდა სააბაზანოში იმალება ვინმე? ფეხაკრეფით წავიდა სააბაზანოსაკენ.

მკვეთრი მოძრაობით გადასწია მუშამბის ფარდა და შეშინებულმა უკან გადადგა ნაბიჯი: აბაზანიდან ხოსეიტო მენოკალის უსიცოცხლო თვალები შეჰყურებდა. რიკარდომ სწრაფად დაიხია დერეფანში და დაინახა, რომ საპირფარეშოს კარი გარედან ურდულით იყო დაკეტილი. გაახსენდა, რომ ლოს-ანჯელესში გაფრენის წინ ღია დატოვა. რიკარდო ნელა მიუახლოვდა, სამამცე დაითვალა, ფრთხილად გამოსწია ურდული და უცებ გამოაღო კარი.

არავინაა.

რიკარდომ ცხვირსახოცი ამოიღო და „მაგნუმის“ ტარი გაწმინდა.

ვისია აბაზანაში დაგდებული ცხედარი? როგორ მოხვდა ის კაცი მასთან?

ეს კითხვები უტრიალებდა თავში, ვიდრე საწოლს გამოაჩოჩებდა ადგილიდან, ნოხს აკეცავდა და იატაკს ფიცრებს ააგლეჯდა,

ხუთი ფიცრის ქვეშ სამალავია, იქიდან ამოიღო ჩემოდანი, რომელშიც რაცია და შიფრის წიგნი იდო.

ჩემოდანი ისევ ადგილზე დადო, ნოხი გაასწორა და საწოლი ადგილზე მისწია.

ახლა რაღა ქნას?

პოლიციას შეატყობინოს? არ შეიძლება. ჯერ დაშიფრული ტექსტი უნდა გადასცეს კუბაზე.

უეცრად ტელეფონმა დარეკა.

მაიკ ნორმანმა ტელეფონის ყურმილი აიღო და შერატონის კადრების განყოფილებასთან შეერთება უბრძანა.

— რა მოხდა, მაიკ? — გაისმა ყურმილში.

— განსაკუთრებული არაფერი, ბერიკა

ტელეფონი უცებ დადუმდა. რიკარდო მივიდა და ყურადღებით შეათვალიერა: გარეგნულად ტელეფონი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა — „შემზადების“ არავითარი ნიშანი არ ჩანდა. მაგრამ, შესაძლოა, მომაკვდინებელი საჩუქარი შიგ ჩაამონტაჟეს.

ტელეფონი ისევ აწკრიალდა.

რიკარდომ თვალები დახუჭა. კბილი კბილს დააჭირა და უცბად აიღო ყურმილი.

არ აფეთქებულა, მხოლოდ ხმა მოისმა მავთულის მეორე ბოლოდან.

— შენა ხარ?

რიკარდომ შენიშნა, რომ ხელი, რომელშიც „მაგნუმი“ ეჭირა, ოდნავ ცახცახებდა.

უცნობი ხმა იყო.

— მისმინე, — ისევ გაისმა ყურმილში, — ხოსეიტო, შენა ხარ?

— ჰო, — წაიბუტბუტა რიკარდომ.

— უკვე ყველაფერი დაამთავრე?

რა უპასუხოს?

— ჰო.

— მეც. გავასაღე ტორესი, კიდევ ერთი ტიპი და გოგო. აი, მანჭანაზე რომ ბეჭდავს... გესმის? ისევ მანდ ხარ?

— გისმენ, — ოდნავ ხმა შეიცვალა და ხმადაბლა უთხრა რიკარდომ.

— ნახევარი საათის შემდეგ შეგიძლია აეროპორტში მოსვლა?

— ვფიქრობ, კი.

— იჩქარე, — უბრძანა ხმამ. — აქ ყოფნა საშიში ხდება, მაინც ხომ ტორესი მეფობს...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— უფრო სწორად, ტორესი მეფობდა, — და მან, ვინც ტელეფონზე რეკავდა, ნერვულად გაიცინა. — მაშასადამე, ნახევარი საათის შემდეგ, ო'კეი.

— დიახ, რასაკვირველია, — უპასუხა რიკარდომ.

— მაგრამ მისმინე, შენ რატომ...

რიკარდომ პასუხი აღარ გასცა და ყურმილი დაჰკიდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ თავისი „მუსტანგით“ მოტელ „ტანდერბირდისაკენ“ მიქროდა.

15 საათსა და 20 წუთზე რიკარდო „ტანდერბირდის“ ბარში შეავლა და ორმაგი ვისკი დაუკვეთა. სულმოუთქმელად გადაჰკრა და კიდევ მოითხოვა. სიგარეტი გააბოლა და შუბლზე ხელი მოისვა: საშინლად სტკიოდა თავი.

აზრების მოკრება სცადა — არაფერი გამოსდიოდა.

ნუთუ მართლა მოკლეს ხაიმე ტორესი? და ვინაა ის მიცვალებული, რომელიც რიკარდომ თავის ბინაში ნახა? რა იღონოს ახლა?

თუმცა ამჟამად მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა. რაც უნდა მოხდეს, გეგმა 20 საათსა და 30 წუთზე ჰავანაში უნდა გადასცეს. ყველაფერი დანარჩენი შემდეგ. ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. მარტო დეპეშის დაშიფვრას დასჭირდება არა ნაკლებ ორი საათი.

ვისკი ბოლომდე დალია და ფსკერზე დარჩენილ ყინულის ნატეხს დააშტერდა.

უცნაურია, მაგრამ ჯერ კიდევ ბინიდან გამოსვლისას დაეუფლა გრძნობა, რომ უთვალთვალებდნენ. მთელი გზა სარკეში აკვირდებოდა ქუჩას. თითქოს არაფერი იყო საშიში, მაგრამ უცნაურ შეგრძნებას ვერ იშორებდა.

და არც შემცდარა.

ბარში იენგ ჩანგი შევიდა, შორიახლო დაჯდა და ერთი ჭიქა ლუდი შეუკვეთა.

რიკარდო მოტელის ნომერში იჯდა. ის იყო გადაწერა თოთხმეტი სვეტი, რომელთაგან თითოეული ოთხი ციფრისაგან შედგებოდა. ორიგინალის დაწვამდე კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაიკითხა.

ოპერაცია ბოკა დე პახარო ჩაატარა ნიუ-იორკში რეზიდენციის მკონე 16 აპრილის სარდლობამ წრტ ცსს-მ არაფერი იცოდა გეგმის შესახებ წრტ ცსს-ს აგენტებმა დაკითხეს და ლიკვიდაცია უყვეს რობსან ჰილს წრტ ხვალ კვირას დილის ექვს საათზე პუერტო კაბესას ნიკარაგუას პორტიდან გამოსული ქვემეხიანი ნავი უუმბარებს დაუშენს კუბის პორტს სენფუეგოსს წრტ ცსს-მ იცის ჩემთვის რომ ცნობილია სან ჰილის ჯგუფის გეგმა და ალბათ იცის რომ ვეკუთვნი ხაიმე ტორესის ორგანიზაციას ტორესი შესაძლებელია დღეს მოკლეს წრტ დადასტურებას მოგცემთ კავშირის შემდეგი სეანსით დათქმულ ტალღაზე ოთხშაბათს. თოთხმეტში წრტ ვიმეორებ ხაიმე ტო-

რესი შესაძლოა მოკლეს დადასტურებას მოგცემთ კავშირის შემდეგი სეანსით დათქმულ ტალღაზე ოთხშაბათს თოთხმეტი.

რიკარდომ საათს დახედა: ზუსტად 20.00 საათი იყო. ჩემოდნიდან რაცია ამოიღო და ღამის პატარა მაგიდაზე დადგა. ჩართავს ზუსტად 20 საათსა და 25 წუთზე — გადაცემის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე.

რიკარდო ზურგით იჯდა კარისკენ. მუშაობის ხუთი წლის მანძილზე პირველად დაავიწყდა სპეციალური მაგნიტური ურდულით კარის დაკეტვა. რა მიუტევებელი შეცდომაა!

ნავარჯიშებმა ხელმა როგორ უხმოდ გადაატრიალა გასაღები, რიკარდომ ვერ გაიგონა, ხოლო როდესაც შემობრუნდა, ჩანგი უკვე ოთახში შესულიყო და კარს კეტავდა.

კაპიტანი რიკენესი ბოლთას სცემდა კაბინეტში. ყურსაცვამიანი ოპერატორი ნაზად ატრიალებდა მიმართული ანტენის კოჭს იქვე, სკამზე, როდოლფო სარდუი მოკალათებულიყო და დროდადრო ჩიბუხს კვენტდა.

თაროზე მდგარი მწვანე ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ.

რამდენიმე წამი ყურმილში რაღაცას ლაპარაკობდნენ.

— ერთი წუთით, — რადისტმა ყურმილი რიკენესს გაუწოდა — თქვენ გთხოვენ, კაპიტანო.

რიკენესი სწრაფად მივიდა აპარატთან.

სასაზღვრო ჯარების მთავარი შტაბიდან რეკავდნენ.

— არა, ჯერჯერობით არაფერია, — ხმადაბლა უპასუხა რიკენესმა. — არ წახვიდე. მაშინვე დავრეკავ.

ყურმილი დადო და სელექტორის ღილაკს თითი დააჭირა.

— გისმენთ, — გაისმა ქალის ხმა.

— მირიამ, — სთხოვა რიკენესმა. — საშიფრო განყოფილებაში დარეკე და სთხოვე, გუსტავო ჩვენთან ამოვიდეს. ბრუნოს ეთერში გასვლამდე მოვიდეს. ერთი წუთიც არ უნდა დავკარგოთ.

— კარგი, კაპიტანო.

იუნგ ჩანგი იარაღს არ ატარებდა. რად უნდოდა?

რიკარდო ჩინელის პატარა, ჩამქრალ, უაზრო თვალებს ჩაშტერე-

ბოდა და ცდილობდა მათში დაეჭირა ის, რასაც კარატეს მწვრთნელი მუდამ შეახსენებდა — პირველი დარტყმის მიმართულება.

მაგრამ შემოსულის ცივ მზერაში არაფერი გამოსჭვიოდა. არც მისი პოზიცია ეუბნებოდა რამეს რიკარდოს. ჩინელი უთუოდ ბრძოლისათვის იყო გამზადებული. მაგრამ ეს არ იყო კიბა დაჩი — რკინის ცხენოსანი და არც სენკუტსუ — მშვილდი და ისარი.

არა, არა, ეს კარატე არ არის.

ჩინელმა ოდნავ წინ გადადგა მარცხენა ფეხი და ხელები მარწუხებივით მკერდამდე ასწია. და მაშინ რიკარდომ დაინახა იდაყვებამდე გაშიშვლებული ხელები, ერთზე მოსვირინგებული იყო ვეფხვის ფიგურა, მეორეზე — ფრთოსანი ურჩხულის გამოსახულება.

ტვინში გაუელვა — ეს კუნ-ფუა! კუნ-ფუ! ჭიდაობის საშინელი ხელოვნება, რომელსაც ასე კარგად ფლობენ ჩინელები. ბრძოლის ხელოვნება, რომელიც ჩინეთში წარმოიქმნა ათას ოთხასი წლის წინ, როდესაც გადმოცემით შაოლინის ტაძარში ბოდხიდხარმა გამოჩნდა. კუნ-ფუს თითქმის არც კი იცნობენ დასავლეთში, და მის ტექნიკას საუკნეების მანძილზე საიდუმლო სკოლებში თაობიდან თაობებს გადასცემენ. იმათ, ვინც კუნ-ფუს იყო ნაზიარები, თითქოსდა წარჩინების ნიშნად მაჯებზე ცეცხლით ჰქონდათ ამომწვარი ვეფხვისა და ფრთოსანი ურჩხულის გამოსახულებები.

აი, უკვე მრავალი წელია, რაც ჭიდაობის სპეციალისტებს მოსვენებას არ აძლევდა კითხვა, რომელზეც, როგორც რიკარდომ იცოდა, ჯერაც ვერავის გაეცა პასუხი: კარატე თუ კუნ-ფუ? მისმა მასწავლებელმა უთხრა, რომ კარატე გაიმარჯვებდა. კუნ-ფუს ოსტატები სხვაგვარად ფიქრობდნენ.

ახლა, აქ, მაიამში, ამ ოტელში, რიკარდო, ბოლოს და ბოლოს, გაიგებს პასუხს.

თხუთმეტი წუთი რჩებოდა, მაგრამ კაპიტან რიკენესსა და ლეიტენანტ სარდუის ეჩვენებოდათ, რომ დრო არ გადიოდა.

წამმზომის მწვანე ისარმა მილიმეტრით წაიწია: 20 საათსა და 15 წუთს უჩვენებდა.

განუწყვეტლივ, ყრუდ გაისმოდა მიმღების „ბიპ-ბიპ“. რადისტი ხელის სათუთი მოძრაობით ცდილობდა 43 მეტრი ტალღის დაჭერას.

რიკენესმა სიგარეტი გააბოლა.

— მეც მომეცით, კაპიტანო. – წაიჩურჩულა სარდუმ.

რიკენესმა უცებ შეხედა მას, უნდოდა რაღაც ეთქვა. მაგრამ უსიტყვოდ გაუწოდა სიგარეტი. ლეიტენანტმა, თითქოს ბროლის უფაქიზესი ნივთიაო, ისე აიღო სიგარეტი და ტუჩებთან მიიტანა. სარდუმ მოუკიდა და ნაფაზი დაარტყა. სიგარეტის გემო უცნაურად მწკლარტე ეჩვენა, მაგრამ ლოდინისაგან დაძაბული ნერვები დაუმშვიდა.

კარზე ნელა დააკაკუნეს. რიკენესმა გააღო. საშიფრო განყოფილების ლეიტენანტი გუსტავო იყო. იგი რადისტის გვერდით დაჯდა, საქაღალდე გახსნა და ჯიბიდან ბურთულიანი კალამი, შიფრის გასაღების მაჩვენებელი და შიფრის წიგნი ამოიღო.

სარდუის ყელი ეწეოდა, მაგრამ სიამოვნებით, ხარბად ისუნთქავდა სიგარეტის ბოლს.

კიდევ ორმოცდაათი წამი გავიდა.

— ნუთუ ზუსტად გამოვა ეთერში? — წაიბუტბუტა რიკენესმა.

— დარწმუნებული ვარ, — გამოეხმაურა სარდუ.

მიმღებიდან წვრილი გაბმული სტვენა მოესმა. ოპერატორმა ღილაკს თითი დააჭირა, რაციო ორმოცდამესამე ტალღაზე ჩაერთო.

კიდევ ორმოცდაათი წამი.

მწვანე ისარმა ერთი მილიმეტრით გადაიწია: 20 საათი და 18 წუთია

ეს უხმაურო დარტყმა სასიკვდილო უნდა ყოფილიყო. ჩანგი შეხტა, ფეხი წინ გაიქნია, რათა რიკარდოსთვის ყბაში მოერტყა. მაგრამ რამდენიმე წამით დაიგვიანა. რიკარდო მკვეთრად გადაიწია მარცხნივ და წიხლითვე უპასუხა, მაგრამ აცდინა.

ჩანგმა ხელები ზემოთ ასწია და ქვედან გამოთლილ ქანდაკებასავით გაშეშდა. მისგან ორი მეტრის მანძილზე გამზადებული იდგა რიკარდო, რომელსაც წონასწორობის დასაკავად მარჯვენა ფეხი ოდნავ წინ წაეწია.

ჩინელმა თვალები ოდნავ შესამჩნევად მოჭუტა და რიკარდო მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს. თავდასხმას არ დაელოდა, ყრუ, ხორხისმიერი ყვირილი აღმოხდა, ძალუმად წინ გადაიხარა და ჩინელს მხარში დაარტყა.

ის შეტორტმანდა, მაგრამ თავი შეიკავა და უკან გახტა. რიკარ-

დო ისევ მივარდა, მაგრამ ჩინელმა ტერფი მხარში დაარტყა და კედელს მიახეთქა.

ახლა უკვე ჩანგი ეძებდა წუთს დამაგვირგვინებელი დარტყმისათვის. სწრაფად გაიქრა რიკარდოსაკენ და ცდილობდა ბრჭყალებივით მოკრუნჩხული თითები მოწინააღმდეგის სახეში ჩაევლო. მაგრამ კედელს შეენარცხა და იატაკზე ბათქაშის ნატეხები დაცვივდა. რიკარდო მარჯვნივ გახტა და ახლა ცდილობდა მარჯვენა ფეხით ჩინელისათვის სახეში ჩაერტყა. ჩანგის რეაქცია სწრაფი იყო, ხელის წრიული მოძრაობით რიკარდოს ფეხი უკუაგდო და მანაც, რომ არ დაცემულიყო, მთელი ძალ-ღონე დაძაბა.

ისინი კვლავ პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს თვალით ზომავდნენ. რიკარდოს ოფლმა დაასხა, მუშტები გათეთრებოდა; ჩინელს სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა. ორთავეს ტკივილი ტანჯავდა. რიკარდოს ხელი ეკრუნჩხებოდა. ჩანგი მწვავე ტკივილს გრძნობდა მხარში: ჩანს, რიკარდოს დარტყმამ ლავიწი გადაუმტვრია.

რიკარდომ ნაბიჯი წინ წადგა, ჩინელმა უკან დაიხია. ახლა უკვე რიკარდოს ხელი აღიმართა მაღლა სახიფათოდ, თუმცა ჩინელს უპირებდა წიხლის ჩარტყმას, წინ გაექანა, მაგრამ მისი ფეხსაცმლის წვერმა ოდნავ გაუჩხაპნა ჩინელს მარცხენა მუხლი. დარტყმა მაინც საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა და ჩანგმა, თითქოს მათრახი გადაუკრესო, კვლავ მწვავე ტკივილი იგრძნო. სწრაფად შეაქცია ზურგი და უხდოდა წიხლი ჩაერტყა რიკარდოსათვის, მაგრამ ააცდინა.

უკვე რამდენი ხანია გრძელდებოდა ეს ბრძოლა? სამი, ოთხი წუთი? რიკარდომ ღრმად ამოისუნთქა და კვლავ ეძგერა მოწინააღმდეგეს. მაგრამ მუცელში საშინელი ძალით დარტყმულმა მუშტმა შეაჩერა.

8 საათსა და 28 წუთზე მაიკ ნორმანმა ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა. ტელეფონთან სწორედ ის კაცი მოვიდა, ვისთანაც ლაპარაკი სურდა.

— მოიფიქრეთ ჩემი წინადადება? — პირდაპირ შეეკითხა ის.

ხაზის მეორე მხარეს ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ბუტბუტი მოისმა:

— დიახ.

— და მერე რა გადაწყვიტეთ?

მაიკი მშრალად და უხეშად ლაპარაკობდა.

— თანახმა ვარ.

— ორი ათასი, — უთხრა ნორმანმა.

— აღრე მითხარით...

ახლა ორს ვამბობ. — მოუჭრა ნორმანმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ნორმანი მოუთმენლობამ შეიპყრო თვალი შეავლო საათს: 8 საათი და 29 წუთი იყო.

— კარგი, — უპასუხეს მორიდებით. — ნება თქვენია.

— ხვალ, დილის ათ საათზე. იქ. სადაც ვთქვი. ვფიქრობ, ყველაფერი დაიხსომეთ, რაც უნდა თქვათ და გააკეთოთ.

— დიახ, მისტერ ნორმან.

— ჰო, მისმინეთ, სიტყვამ მოიტანა და, მიუკიბ-მოუკიბავად უნდა გითხრათ. — თითქოს კაფეში ოფიციანტს მიმართავსო, ისე წარმოთქვა ნორმანმა, — რომ საფრთხეშია მრავალი ადამიანის სიცოცხლე. ყველაფერი გარკვევით აგიხსენით?

— საკვლებით, მისტერ ნორმან.

— ... ჯიბეში ორი ათასი პესოს ქონა სჯობს კისერზე ჩამოკიდებულ ქვიან თოკს. ხომ ასეა?

— სწორედ ასეა, მისტერ ნორმან.

— ჰოდა. ჩინებულია. მაშ, ათ საათამდე. და, კიდევ, აი რა, დაიბანეთ და გაიპარსეთ. უკანასკნელად რომ გნახეთ, მათხოვარს ჰგავდით.

— გასაგებია, მისტერ ნორმან, — მოკლედ და სევდიანად უპასუხეს ხაზის მეორე ბოლოდან.

უცებ რიკარდოს მოეჩვენა, რომ ნელ-ნელა იძირებოდა წყალში. თვალები დაებინდა და ტუჩებზე თითქოს ჭიანჭველები დაურბოდნენ ჩანგმა ღვიძლში მოარტყა და ახლა ნელ-ნელა ეცემოდა გულმა.

ყოველივე ეს ზუსტად ერთი წამი გაგრძელდა.

მისი სხეული ყრუდ მიენარცხა კედელს.

ჩინელმა მისკენ წაიწია, რათა უკანასკნელი საშინელი დარტყმით ბოლო მოეღო, ხელები ასწია და რიკარდოსათვის საფეთქელი რომ ჩაემტვრია, სასიკვდილო დარტყმისათვის მოამზადა.

— რვა საათი და ოცდაათი წუთია, — თქვა სარდუომ, თუმცა თვალები ყველას კედლის საათისაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

ისრები ზუსტად 20 საათსა და 30 წუთს უჩვენებდა.

კიდევ ათი, თორმეტი წამი...

მაგრამ მიმღებში მხოლოდ ხრიალი ისმოდა.

მან თითქმის ანგარიშმიუცემლად მოიმოქმედა, რაც თავდაცვითმა ინსტინქტმა უკარნახა. რიკარდომ მარჯვენა ხელი ასწია, ჩანგის მუშტი თავიდან აიცდინა და მარცხენათი სასიკვდილო დარტყმა მიაყენა ზედ მზის წნულში.

ჩანგს არც დაუყვირია. უკან გადავარდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნისო, პირს ხან აღებდა, ხან მუწავდა. შემდეგ ხელები მკერდთან მიიტანა. როგორც ჩანს, დარტყმამ გული გაუხეთქა, რადგან სანამ ძირს გაიშხლართებოდა, მანამ მოკვდა.

მისი სხეული ერთი-ორჯერ შეინძრა ნაპირზე გამოგდებული მედუზასავით, მაგრამ ეს იყო კუნთების სიკვდილისშემდგომი შეკუმშვა. ბოლოს გაშეშდა.

ნელა, კედელ-კედელ, რიკარდო იატაკზე გასრიალდა, წამოდგომა სცადა, მაგრამ გრძნობა დაკარგა.

20 საათი და 32 წუთია.

რიკენესი და სარდუი რამდენიმე წამი მდუმარედ შეჰყურებდნენ ერთმანეთს და, თითქოს ამ უხმო საუბრის ეშინიათო, თვალები დახარეს.

რადისტი თითებით ნელა ატრიალებდა კოკს, ტალღა რომ ზუსტად დაეჭირა.

საათის მწვანე ისრები ულმობლად მიიწევდა წრეზე.

სარდუომ ღრმად ჩაიყო ხელები ჯიბეებში. მარცხენა ხელის თითებმა ჩიბუხი მოძებნა, მოუჭირა და დაამტვრია.

— მაინც გამოვა ეთერში, — ჯიუტად თქვა რიკენესმა. — გამოვა. ვიცი.

რაღაც სამუდამოდ და უიმედოდ ჩასწყდა შიგნით.

ტუჩებზე ხელი ძოისვა: ხელისგული სისხლით დაესვარა. ხველა

აუვარდა, ტკივილისაგან ტანი დაეკრუნჩხა. რაღაც სამუდამოდ და უიმედოდ ჩასწყდა შიგნით, ალბათ, მალე მოკვდება.

ძლივს ასწია ხელი და საათს დახედა: რაღაცნაირი გამჭვირვალე, გაცრეცილი ჩრდილები დგებოდა თვალის გუგებსა და ციფერბლატს შორის; სახესთან მიიტანა და ბუნდოვნად გაარჩია ციფრები და ისრები. რვა საათსა და ოცდაათ წუთს გადასცილებოდა.

ისევ დაეცა გვერდზე. საშინელად ერეოდა გული, და პირი შედედებული, მწკლარტე, ცხელი სისხლით ევსებოდა. ძლივს, მძიმედ გაფოფხდა ნოხზე საწოლისაკენ, უკან რჩებოდა მუქი სისხლის კვალი, რომელსაც ნოხი იწოვდა.

ნესტოებიდან სისხლი მოეონავდა. ვარდისფერი ქაფი თანდათან უფარავდა ტუჩებს. ტუჩები სახელოთი მოიწმინდა, არაადამიანურად დაძაბა ძალ-ღონე და იდაყვზე წამოიწია. ბოლოს, იატაკზე ორივე ხელით დაეყრდნო. მძიმედ წამოდგა და საწოლზე დაეცა.

თითებით ღილაკი მოძებნა და რაცია ჩართო. თითქმის გრძნობას კარგავდა, 43-მეტრიანი ტალღა იპოვნა. აციმციმდა წითელი ნათურა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აპარატი მზად იყო გადაცემისათვის. გვერდით, პატარა მაგიდაზე დაშიფრული შეტყობინება იდო.

ახლა მოკვდება.

ლოყებზე სისხლნარევი ცრემლები ჩამოსდიოდა. არა, ეს შიში როდი იყო, ეს გახლდათ ყრუ გულისწყრომა, მწარე შეგრძნება იმისა, რომ სამშობლოდან ასე შორს კვდებოდა.

და მან ნელა დაიწყო ციფრების გარდაქმნა ელექტროსიგნალების იმპულსებად. იქ, მათთან, კარიბის ზღვის თბილ ტალღებს ზემოთ, გზავნიდა თავის სიცოცხლეს.

— ყველა დამამტკიცებელი საბუთი გვაქვს, — უთხრა მაიკ ნორმანმა.

ჯ. ჯ.-მ სათვალის ლითონის ჩარჩოს ზემოდან კმაყოფილი მზერა შეავლო.

— ძალიან სერიოზული ბრალდებაა.

— მთელი ჩემი პასუხისმგებლობით ვიმეორებ, სერ, ყველა დამამტკიცებელი საბუთი გვაქვს. თქვენ თვითონ შეგეძლოთ ნიუ-იორკის განყოფილების მუშაკის — ჩარლზ მელტონის განცხადების წაკითხვა: რობერტო სან ჰილმა სამმართველოდან სასარგებლო ინფორმაციის

მილების მიზნით მოისყიდა სტიუარტ დიუკი, სან ჰილის ცოლი ადასტურებს ამას, სერ. მან ერთი-ორჯერ შეისწრო მისტერ დიუკი თავიანთ სახლში და მომსწრე იყო საუბრისა, რომელიც სახელს უტეხდა მოხუცს. მზადაა დაადასტუროს დაპირისპირების დროს.

ჯ. ჯ. უკან გადაწვა. ასეთ დელიკატურ საქმეებში სიფრთხილეა საჭირო.

— რატომ კაპლანს არ აცნობეთ ყოველივე?

— მაპატიეთ, სერ, მაგრამ ვფიქრობ, ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემები თქვენს დონეზე უნდა გადაწყდეს.

— რასაკვირველია, რასაკვირველია. — არცთუ თვითკმაყოფილების გარეშე წაიბუტბუტა ჯ. ჯ.-მ.

— ბოკა დე პახაროზე თავდასხმა „16 აპრილის სარდლობის" ჯგუფმა განახორციელა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ზურგს უკან, მაგრამ სტიუარტ დიუკის თანხმობით, სერ.

— ამის დაჯერება ძნელია, — შეეჭვდა ჯ. ჯ., რომლის გაკვირვება მართლაც ძნელი იყო.

— თუ ნებას დამრთავთ, კიდევ მაქვს ერთი უდაო დამამტკიცებელი საბუთი.

— მართლა? — ასწია წარბები ჯ. ჯ.-მ.

— კაცი, რომელმაც სან ჰილთან დიუკი დააკავშირა, სერ. შუამავალი.

— ვინ?

— ჩრდილოამერიკელი, სერ. და ეს კაცი სრულ ნდობას იმსახურებს. მრავალი წლის მანძილზე სამმართველოსათვის მუშაობს.

— ვინაა?

— შესაძლოა, მისმა გვარმა არაფერი გითხრათ, სერ. მაგრამ, თავს ნება მივეცი და, ის აქ მოვიყვანე.

— მაინც, სად არის?

— კარს უკან, სერ. თუ კიდევ გაქვთ თხუთმეტი წუთი დრო, მისგან საინტერესო ამბებს მოისმენდით.

— მისაღებშია?

— დიახ, სერ.

ჯ. ჯ. აპარატისაკენ დაიხარა და გამოძახების ღილაკს თითი დაეჭირა.

— დორის, ვინმე მელოდება მისაღებში? — შეეკითხა იგი.

— დიახ, სერ, გელოდებათ, — უპასუხა ქალმა.

— სასოვეთ. შემოვიდეს.

ჯ. ჯ.-მ სიგარა გააბოლა, და წამით ნორმანს გაახსენდა ის მყრალი სისაძაგლე, რომელსაც სტიუარტ დიუკი ეწეოდა. მაგრამ ჯ. ჯ. ახალგაზრდა, ელეგანტური კაცია და ეს სიგარა უხდება.

კარზე წყნარად დააკაკუნეს.

— შემობრძანდით. შესძახა ჯ. ჯ.-მ.

ჯ. ჯ.-მ დაინახა დაღლილი, გაფითრებული სახე, რომელიც თითქოს დაფარული იყო ბრინჯის პუდრით, ქუჩის ჩვეულებრივი მასხარები რომ ხმარობენ ხოლმე.

ბებერი მასხარა, რომელსაც სახეზე გრძელი ნაიარევი ჰქონდა.

— შეიძლება შემოვიდე? — წყნარად იკითხა ჰარი ტერცმა.

ᲔᲙᲘᲚᲝᲒᲘ

...მიენიჭოს კაპიტნის წოდება ლეიტენანტ რიკარდო ვილია სოლანას, რომელიც დაეცა თავისი მოვალეობის შესრულების დროს.

ოპერაცია „დალი"
02-7935
საიდუმლოდ

(. .) რის შედეგად დილის 08 საათსა და 30 წუთზე ა. წ. 11.X. სასაზღვრო ჯარების ქვეითმა ქვედანაყოფებმა და კუბის სამხედრო-საზღვაო ძალების სახაპირო დაცვის ქვედანაყოფებმა კოსტა-დელ-ორმოცი მილის მახლობლად (. .) ხელში ჩაიგდეს იახტა „სტიგმა" № 875688 მ-აშშ.-დან

6. იახტის ეკიპაჟი შედგებოდა კონტრრევოლუციონერებისაგან .

ჩაბარდნენ უბრძოლველად და გადაეცხენ პორტ ხენფუეგოსის სახელმწიფო უშიშროების გახუოფილებას

9. წინასწარ დაკითხვაზე აჩვენეს, რომ კონტრრევოლუციური სარდლობის მიზანი იყო საარტილერიო ცეცხლის დაშენა ხენფუეგოსის პორტისათვის. ამავე იახტამ განახორციელა თავდასხმა ბოკა დე პახაროზე .

10. ხელმძღვანელობა შუამდგომლობს იმის თაობაზე, რომ კომუნისტის ძიერ ჩადენილი გმირობისა და ვაუკაცობისათვის, რომელიც გამოავლინა საგანგებო დავალების შესრულების დროს ლეიტენანტმა რიკარდო ვილია სოლანამ, სიკვდილის შემდეგ მას მიენიჭოს კაპიტნის წოდება

19. სარდლობა აგრეთვე გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ კაპიტან ანდრეს რიკესეს დისის თხოვნა და ლეიტენანტ ვილია სოლანას თანა-

მებრძოლს, კუბის კომუნისტური პარტიის წევრს, იოლანდა რობაინა ლუნას გადასცეთ იმ წერილის ასლი, რომელიც მან ამხანაგ რიკენესს, ამხ. ბრუნოს ოპერატიულ ოფიცერს დაუტოვა მტრის ტერიტორიაზე გადასვლის წინ, და რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მის პოლიტიკურ ანდერძად

ჰავანა, 19

ხელმოწერა

დღის ორი საათია: ცაზე ღრუბლის ფთილაც არა ჩანს, მზის თვალისმომჭრელ სხივებსა და პაპანაქებას რომ თავი ავარიდოთ, ნაძვების ჩრდილს მივაშურებთ, ნაპირზე რომ არიან ჩარიგებულნი.

მაიორი ერერო და კაპიტანი რიკენესი მდუმარედ მიდიან, ხელები ჯიბეებში ჩაუწყვიათ და ნაღვლიანად დასცქერიან სილას ფეხქვეშ. ასევე მდუარედ მივყვებით მე და იოლანდა. იქებ, სხვა დროს, სხვა საათის შერჩევა ღირდა იმისათვის, რომ ზღვასთან მივსულიყავით და ცოტაოდენი ყვავილები გაგვეტანებინა მისი ტალღებისათვის იმათი ხსოვნის პატივსაცემად, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე და სისხლი არ დაიშურეს უკეთესი მომავლისათვის.

ზღვასთან მისვლისა და ყვავილების გადაყრის აზრი კაპიტანმა რიკენესმა გამოთქვა. მაიორმა ერერომ პასუხად მხოლოდ ნაღვლიანად დაუქნია თავი. მე კი ისე მომეჩვენა, თითქოს მეფიქროს ამაზე. რაც შეეხება იოლანდას, მან უკვე ექვსი თვეა იცის, ვინ იყო სინამდვილეში რიკარდო და რა ბედი ეწია მას. იგი დიდხანს და მწარედ ტიროდა, მაგრამ, როგორც მომეჩვენა, ამავე დროს ბედნიერიც იყო. მე მესმის მისი: არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება — მწუხრის ჟამსაც კი — როცა გაიგებ, ჩვენი საყვარელი ადამიანების გულები დიდების ალში დაიფერფლა. როდესაც პლაჟს მოხეთქებულ ტალღებში რიკენესმა ათი ვარდი მოისროლა და უკან ვბრუნდებოდით, იოლანდა აქვითინდა, ჩვენ კი მოგვეჩვენა, რომ ფეხებქვეშ მიწა ისძრა. შორს, პლაჟზე, დამსვენებლები სეირნობდნენ, ხელიხელჩაკიდებული "შეყვარებულები ტალღებისკენ მირბოდნენ. ცისარტყელასფერ შხეფებში ბავშვები თამაშობდნენ. მათ არ იცოდნენ, რატომ ვიყავით აქ. ოდესმე რიკარდოსა და სხვათა სახელები, რომელთა გამხელაც ჯერ კიდევ არ შეიძლება, მთელი ქვეყნისათვის გახდება ცნო-

ბილი და მაშინ მრავალი, ძალზე მრავალი ხელი გადაყრის ყვავილებს ზღვის მლაშე, მარილიან წყალში და ამ დროს მრავალი გული ააგერდება უფრო ძალუმად.

ახლა კი ნელა მივუყვებით ნაძვების ჩრდილებს, მაგრამ მომავალ წელს ისევ მოვალთ აქ ამ დროისათვის, იქნებ, კიდევ დავკარგოთ რომელიმე ჩვენი ამხანაგთაგანი. მაგრამ კვლავ საზეიმო ჰიმნად გამოგვეხმაურება ზღვა, და ჩვენი სამშობლოს თავისუფალ ცაში კვლავ ეკ შკაშებს მზე. ჩვენ კი, ცოცხლად დარჩენილები, თავებს დავხრით ბრძოლაში დაცემულთა ხსოვნის წინაშე და კიდევ ერთხელ მივუძღვნით მადლობას იმისათვის, რომ გააძრავლეს ჩვენი ძალები, გააძლიერეს ჩვენი რწმენა, ვაჟკაცობა და ვთხოვთ, რომ არ დაგვტოვონ, ჩვენთან ერთად იყვნენ სიკვდილის შემდეგაც, ჩვენთან ერთად აშენონ ახალი ცხოვრება.

და თუ ხვალ მოვკვდები, დაე, იცოდნენ ჩემმა ამხანაგებმა, რომ მუდამ ვიყავი იმ იდეალის ერთგული, რომელიც მთელ ჩემს ცხოვრებას ახათებდა; დაე, იცოდნენ ჩემმა ამხანაგებმა, რომ სამშობლოსათვის დავღვარე სისხლი. და თუ ხვალ მოვკვდები, მხოლოდ იმისათვის, რომ მუდამ ცოცხლობდეს რწმენა მშვენიერი მომავლისა.

კაპიტან-ლეიტენანტ ს ო ლ ა ხ ი ს წერილიდან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ს ი ი ტ ო მ ა ც უ მ ო ტ ო — მკვიდრთა სამყარო 3

ძ ი ნ ბ ე ლ ი ი ნ დ ა მ დ ი ნ დ ო რ ჟ ი — სუბურღანის საიდუმლოება 255

პ ე რ ვ ა ლ ე — 31-ე განყოფილების დაღუპვა 399

ლ უ ი ს რ ო ხ ე ლ ი ო ნ ო ბ ი რ ა ს ი — და თუ ხვალ მოვკვდები 561

რედაქტორები: ლ. ქელბაქიანი, ზ. ბორდანიშვილი
მხატვარი ზ. დეისაძე
მხატვრული რედაქტორი ა. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბუხაზავა
კორექტორები: ე. ჟვანია, ე. ყარყარაშვილი
გამომშვები ნ. მანგაძე

ს. ბ. № 2912

გადაეცა წარმოებას 04.07.83 ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.04.84. საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 39,99. პირ. საღ.-გატ. 40,34. საღრ.-საგამომც. თაბახი 36,42.
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 380

ფასი 6 მან. 00 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.